საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

სავლე წერეთელი

დიალექტიკური ლოგიკა

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1965

ნაშრომი წარმოადგენს დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ცდას. მასში სისტემატურად გადმოცემულია დიალექტიკური ლოგიკის შინაარსი, სახელდობრ, ლოგიკურ განვითარებაშია განხილული ლოგიკურის კატეგორიები და კანონები, მსჯელობა, უშუალო დასკვნა, სასრული შუალობითი დასკვნა და უსასრულო დასკვნა; დასაბუთების თეორიაში ყურადღება ექცევა: 1) დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის დასაბუთებას, 2) დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, გარკვევას, და 3) დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტას.

ნაშრომში მოცემულია ცდა პასუხის გაცემისა თანამედროვე ლოგიკის ისეთ ძირითად აქტუალურსა და სადავო საკითხებზე როგორიცაა, მაგალითად, 1) სინთეზურ-ლოგიკურის, 2) ლოგიკური რეფლექსიის, 3) კატეგორიების ლოგიკის და 4) ლოგიკური განვითარების პრობლემები.

რედაქტორი სერგი ავალიანი

წინასიტყვაობა

ამ ნაშრომით ერთგვარად დავასრულე ის მუშაობა, რომელიც დავიწყე 1934 წელს, როცა ვამზადებდი საკანდიდატო დისერტაციას (დაცულ იქნა 1938 წ.). რომლის თემასაც შეადგენდა დასაბუთების რედუქციული მეთოდები. მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით უკუქცევითი ლოგიკური კავშირების შესწავლამ მიმიყვანა უსასრულო ლოგიკურის, უსასრულო დასკვნის ცნებამდე, რომლის შესახებაც პირველად მოხსენება გავაკეთე ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1947 წელს (მოხსენების თეზისები დაიბეჭდა ქართულსა და რუსულ ენებზე). ეს მოხსენება სათაურით „დასკვნის პრობლემისათვის“ გამოქვეყნდა 1949 წ. ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომებში“, ტ. I. სწორედ აქ იქნა პირველად გამოთქმული უსასრულო დასკვნის განსაზღვრება შემდეგი სახით: „დაუბოლოებელი არის ის, რომლის უარყოფაც მას ასაბუთებს“ (დასახელებული „შრომები“, გვ. 132). უსასრულო დასკვნის ცნება უფრო სრულად იქნა წარმოდგენილი ნაშრომებში: 1952 წ. „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“ (თავი II) და 1956 წ. „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“ მეორე თავში („ლოგიკურის განსაზღვრებისათვის“). სწორედ უსასრულო დასკვნის ცნების თვალსაზრისით იქნა გასწორებული ანგარიში ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკურ ლოგიკასთან ნაშრომში „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“ (1959 წ.). უსასრულო დასკვნის ცნება კიდევ უფრო განვითარებული სახით წარმოდგა ჩემს წიგნში „დასაბუთების საწყისი“ (1963 წ.). წინამდებარე მონოგრაფია აჯამებს და ავითარებს მთელ ამ მუშაობას; მასში მოცემულია დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ცდა სწორედ უსასრულო დასკვნის ცნების საფუძველზე.

ამასთანავე, ეს ნაშრომი წარმოადგენს მომავალი მუშაობის პროგრამას დიალექტიკური ლოგიკის პრობლემათა შემდგომი დამუშავების ხაზით. ისე როგორც ამ ნაშრომის ბოლო საკითხზე — დასაბუთების საწყისის პრობლემაზე — დაიწერა მონოგრაფია, ასევე მონოგრაფიული წესით უნდა დამუშავდეს ბევრი სხვა საკითხიც. ამ

მონოგრაფიების საფუძველზე კიდევ უფრო სრული სახით წარმოდგება ის, რაც ამ ნაშრომშია შესრულებული.

დიალექტიკური ლოგიკის პრობლემა დღეს ითვლება ლოგიკის უაქტუალურეს პრობლემად არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ბურჟუაზიულ დასავლეთშიც. ამ გარემოებას მოწმობს ის, რომ, მაგალითად, ვუდი[1] და ვერკმაისტერი[2] არკვევენ „თვითუარმყოფელი" დებულებების პრობლემას, ჰაისი[3] და გიუნთერი[4] კი არჩევენ ლოგიკური „ორმნიშვნელოვანების" და რეფლექსის ლოგიკურ ფაქტებს. დიალექტიკურ-ლოგიკურის სიძნელეებს; ჰაისი მოითხოვს „წინააღმდეგობის ლოგიკის" შექმნას, გიუნთერი კი გვპირდება დიალექტიკურ-ლოგიკური აზროვნების ფაქტების ახსნას თავისებური მრავალნიშნა ლოგიკის საფუძველზე.

ჩვენი აზრით, დიალექტიკურ-ლოგიკური აზროვნების ფაქტები. ცხადია, შეიძლება და უნდა აიხსნას მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში.

დიალექტიკური ლოგიკის საკითხებზე მრავალი ნაშრომი დაიწერა საბჭოთა კავშირში (მაგალითად, როზენტალის, ალექსეევისა და სხვ.), მაგრამ ვერ მოხერხდა დიალექტიკური ლოგიკის, როგორც სწორედ ლოგიკის, ჩამოყალიბება, რადგან მხედველობის გარეშე დარჩა ის ძირითადი პრობლემა საკუთარი სიძნელით, რომელზედაც პასუხს დიალექტიკური ლოგიკა წარმოადგენს და უნდა წარმოადგენდეს; ვერ აღმოჩნდა დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკური ფორმა, ძირითადი ლოგიკური ფორმა, და ამიტომ ვერ გაირკვა აზრის ლოგიკური ფორმების დიალექტიკურ-ლოგიკური განვითარების ბუნება. ამ პრობლემასთან ყველაზე უფრო ახლოს მივიდა პროფ. ლ. გოკიელი თავის ნაშრომში: „О природе логического" (1958), სადაც მოცემულია მოძღვრება „ძირეული დასკვნების" შესახებ. ჩვენი აზრით, პროფ. ლ. გოკიელის „ძირეული დასკვნა" არის ჩვენი „უსასრულო დასკვნის" მხოლოდ ერთი — ისიც არასრულად წარმოდგენილი — მომენტი, რამდენადაც „უსასრულო დასკვნა" არის ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობა, ე. ი. დადებითი დიალექტიკა, მაშინ რო-

---

[1] L. Wood. The Analysis of Knowledge. 1940.

[2] W. H. Werkmeister, The Basis and Structure of Knowledge, 1948.

[3] R. Heiss. Logik des Widerspruchs, 1932; იხ. აგრეთვე მისივე, Wesen und Formen der Dialektik. 1959.

[4] G. Günther. Idee und Grundriss einer nicht-Aristotelischen Logik, I. 1959; იხ აგრეთვე მისივე, Zweiwertigkeit. logische Paradoxie und Selbst-referierende Reflexion. „Zeitschrift f. phil. Forschung", 1963, juli-September.

ცა „ძირეული დასკვნა“ წარმოადგენს უარყოფით დიალექტიკას, სახელდობრ, — უარყოფით ასპექტში საპირისპიროს აუცილებლობას (მაგალითად, ზოგადის მოწყვეტა კერძოსაგან იწვევს უსასრულო რეგრესს, რაც უარყოფით ასპექტში ადგენს ზოგადისა და კერძოს განუწყვეტლობას, მაგრამ რეგრესის დაუსრულებლობა ხელს უშლის დაპირისპირების გაფორმებას).

დიალექტიკური ლოგიკა არის ფილოსოფიური ლოგიკა; ამიტომ ჩვენ მხოლოდ გაკვრით ვეხებით „მათემატიკურ ლოგიკას“, რომელიც მათემატიკის სპეციალურ დარგს წარმოადგენს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნაშრომის ცენტრში დგას ის მთავარი სიძნელე („ორმნიშვნელოვანების“, პარადოქსების თუ ანტინომიურობის სიძნელე, რომელსაც ეხება ჰაისის, გიუნთერისა და სხვათა ნაშრომები), რომელსაც აწყდება მათემატიკური ლოგიკა და რომელიც, ჩვენი აზრით, მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში წყდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლოგიკა არ შეიძლება არ იყოს ფილოსოფიური მეცნიერება, რადგან იგი ყოველგვარი მეცნიერული ცოდნის მიმართ არის ერთი და იგივე, მას უნივერსალური ხასიათი აქვს.

როგორც ითქვა, დიდი ხანია ვამტკიცებთ იმას, რომ დიალექტიკური ლოგიკა, როგორც აზრის ფორმებში განხორციელებული დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკა, არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა. მაგრამ უსასრულო დასკვნის დებულება, ვფიქრობთ, საბოლოოდ გავამართლეთ იმით, რომ შევძელით მასზე დაყრდნობით აგება მთელი ლოგიკისა, რაც წინამდებარე ნაშრომის სახით არის წარმოდგენილი. მთელი დიალექტიკური ლოგიკა არის გაშლილი უსასრულო დასკვნა და, პირიქით, უსასრულო დასკვნა არის შეკუმშული — ერთი ლოგიკური კავშირის სახით წარმოდგენილი მთელი ლოგიკა.

სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული ახალი პროგრამა, როგორც კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამა, პირდაპირ მოითხოვს მეცნიერული შემეცნების მეთოდების სრულყოფასა და პრაქტიკულ გამოყენებას. მეცნიერული შემეცნების ლოგიკა კი არის, უპირველეს ყოვლისა, დიალექტიკური ლოგიკა. დიალექტიკური ლოგიკა, როგორც მეცნიერული შემეცნების — ცოდნის — ლოგიკა, გამოიყენება როგორც შემეცნების წესი, მეთოდი, რომელიც ამავე დროს მოქმედების მეთოდსაც წარმოადგენს და უნდა წარმოადგენდეს.

წინამდებარე ნაშრომი არ არის მხოლოდ გამოკვლევა — ცდა დიალექტიკური ლოგიკის შექმნისა, არამედ ის არის დიალექტიკური ლოგიკის კურსიც, რომელიც ჩვენ მიერ რამდენჯერმე იქნა წაკით-

ხული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის. ეს გარემოება განაპირობებს ბევრ რამეს, რაც ამ ნაშრომისთვისაა დამახასიათებელი, კერძოდ, იმას, რომ ის შედგება სამი გარკვეული ნაწილისაგან. ეს დაყოფა აუცილებელია: 1) პედაგოგიური თვალსაზრისით, დიალექტიკური ლოგიკისათვის, როგორც კურსისათვის, და 2) მასალის ათვისების გაადვილებისათვის; ამ სახით წარმოდგენილი მასალა უფრო ადვილად ასათვისებელია; დიალექტიკური ლოგიკის რთული შინაარსის რაც შეიძლება ადვილად ათვისების საჭიროება გვაიძულებს დავაჯგუფოთ მასალა იმგვარად, როგორც ეს ამ ნაშრომშია წარმოდგენილი. ეს გარემოება აუცილებელია დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ცდის დროს.

დიალექტიკური ლოგიკის სისტემა, როგორც აზრის ფორმათა დიალექტიკურ-ლოგიკური განვითარების სისტემა, და მასში განხორციელებული აუცილებლობა, მოითხოვს ამ ნაშრომის მასალის დალაგების შეცვლას დაახლოებით შემდეგნაირად: 1) პირველი თავი შეასრულებს შესავლის როლს, 2) დანარჩენი მასალა უნდა მოთავსდეს „მსჯელობის“ და „უსასრულო დასკვნის“ თავებში, მათ შორის, სახელდობრ: ა) თავი „ზოგადის ბუნება“ გადატანილ უნდა იქნეს „ცნების“ წინ, ბ) „ლოგიკური კატეგორიები“ — „ცნების“ შემდეგ, „უსასრულო დასკვნის“ წინ, გ) „ლოგიკური აზრის კანონები“ კი — უსასრულო დასკვნის წესებში და იგი გამოყოფილ უნდა იქნეს ცალკე თავად, დ) „დაბაუთების“ საკითხები უნდა განაწილდეს და შევიდეს უსასრულო დასკვნის პრობლემათა განხილვაში. მასალის ამგვარი დალაგება მოითხოვს განხილვის მეტ სიღრმეს, ვიდრე ეს ამ შრომაშია განხორციელებული. მასში ზედმეტი იქნება მრავალი ელემენტარული დებულება, რომელიც ამ ნაშრომისთვის, როგორც კურსისათვის, არის აუცილებელი.

დიალექტიკური ლოგიკის, როგორც გარკვეული განვითარებისა და ამ განვითარებაში განხორციელებული აუცილებლობის თვალსაზრისით, მასალის საჭირო დალაგება, რომლის შესახებაც ახლა იყო აღნიშნული, ადვილად შესასრულებელია, რადგან ეს ამოცანა ამ ნაშრომში ძირითადად განხორციელებულია აზრის ლოგიკურ ფორმათა განვითარების სახით დალაგება-გადმოცემაში.

ავტორი სიამოვნებით მოელის მკითხველისაგან საქმიან შენიშვნებს, რათა დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ეს ცდა წინ წასწიოს, ნაშრომი გააუმჯობესოს და მოამზადოს მეორე გამოცემისათვის.

ავტორი

ნაწილი პირველი

დიალექტიკური ლოგიკის შესავალი

იმის დასადგენად, თუ რას წარმოადგენს დიალექტიკური ლოგიკის საგანი, თუ რას გულისხმობს ამ საგნის ცნება, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, იმის გარკვევა, თუ როგორ დამოკიდებულებაშია საერთოდ ლოგიკა, კერძოდ, დიალექტიკური ლოგიკა სხვა ფილოსოფიურ მეცნიერებებთან და ზოგიერთ არაფილოსოფიურ მეცნიერებასთან, მაგალითად, ფსიქოლოგიასა და მათემატიკურ ლოგიკასთან. ლოგიკისა და გნოსეოლოგიის, ლოგიკისა და ონტოლოგიის, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის დამოკიდებულების გამორკვევა მიგვიყვანს დიალექტიკური ლოგიკის, როგორც მეცნიერების, თავისებურების დადგენამდე.

დიალექტიკური ლოგიკის საგნის ბუნების გასაგებად აუცილებელია იმ კატეგორიების დახასიათება, რომელთა გამოყენება მისთვის აუცილებელია და რომლებიც, ამავე დროს, მის საგანში უშუალოდ იგულისხმება. აუცილებელია აგრეთვე აზრის ლოგიკური კანონების გამოკვლევა, რაც საშუალებას მოგვცემს არსებითად გაირკვეს დიალექტიკური ლოგიკის, როგორც მეცნიერების, და მისი საგნის ხასიათი. მაშასადამე, დიალექტიკური ლოგიკის საგანი, ლოგიკური კატეგორიები, განსაკუთრებით, ზოგადის კატეგორია და აზრის ლოგიკური კანონები შეადგენს იმას, რაც განხილული უნდა იყოს „დიალექტიკური ლოგიკის შესავალში“.

თავი პირველი

დიალექტიკური ლოგიკის საგანი

დიალექტიკური ლოგიკის საგნის გარკვევისათვის აუცილებელია გაირკვეს დამოკიდებულებანი ლოგიკისა ფსიქოლოგიასთან, შემეცნების თეორიასთან, ონტოლოგიასთან, — გაირკვეს დამოკიდებულება ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკისა, ამ უკანასკნელის დამოკიდებულება მათემატიკურ ლოგიკასთან. აუცილებელია იმის გამოკვლევა, თუ რაში მდგომარეობს ლოგიკურის ობიექტურობა, რას წარმოადგენს ლოგიკის მეცნიერება: იგი ფილოსოფიური მეცნიერებაა თუ კერძო მეცნიერება, რა იგულისხმება შინაარსში დებულებისა ლოგიკის, დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ. დიალექტიკური ლოგიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება უნდა მოხდეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა პრინციპული დებულებების საფუძველზე, მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე.

§ 1. ლოგიკა და ფსიქოლოგია

როგორც ცნობილია, ზოგიერთი ლოგიკოსის აზრით (მილი, ზიგვარტი, ბ. ერდმანი, ლიპსი და სხვ.), ლოგიკა არის ფსიქოლოგიური მეცნიერება, რადგან ლოგიკის საგანი — აზროვნება — ფსიქიკური ფენომენია, რომელიც ფსიქოლოგიის საგნის ნაწილს წარმოადგენს. ეს რომ მართლაც ასე იყოს, მაშინ ლოგიკა, როგორც მეცნიერება, საბოლოოდ, არც იარსებებდა, სრულიად ზედმეტი იქნებოდა, რადგან მისი საგანი ფსიქოლოგიის მიერ იქნებოდა შესწავლილი, ლოგიკა კი დამოუკიდებლობას დაკარგავდა. მეცნიერება, რომელსაც თავისი საკუთარი საგანი არა აქვს, შეუძლებელია.

ამიტომ სრულიად ბუნებრივია საწინააღმდეგო თვალსაზრისის არსებობა, სახელდობრ, ისეთი თვალსაზრისისა, რომელიც ლოგიკას დამოუკიდებელ, კერძოდ, ფსიქოლოგიისაგან დამოუკიდებელ მეცნიერებად თვლის, რადგან საგანი, რომელსაც ლოგიკა შეისწავლის, სრულიადაც არ არის სხვა რომელიმე მეცნიერების, მაგ., ფსიქოლო-

ვის საკვლევი საგანი. ლოგიკის საგანი არის ლოგიკის, როგორც განსაკუთრებული მეცნიერების, შესასწავლი სფერო, რომელიც დამოუკიდებელია სხვა მეცნიერებათა მიერ შესასწავლი საგნებისაგან იმ აზრით, რომ იგი მათში არ შედის, რომ ის განსაკუთრებული რამ არის, და სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მეცნიერებას საჭიროებს. ამ გარემოებას დამტკიცება სჭირდება; და მართლაც არსებობს არგუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ ლოგიკის, როგორც განსაკუთრებული მეცნიერების, აუცილებლობას. აქ საკმარისი იქნება მხოლოდ ზოგიერთი არგუმენტის დასახელება.

1) ამბობენ, რომ ფსიქოლოგიის საგანს შეადგენს ჩვენი განცდები, დარწმუნებულობა, საერთოდ ფსიქიკა, როგორც დროში გაშლილი პროცესი, ლოგიკის საგანი კი სრულიად სხვა რამეა. ლოგიკა არ სწავლობს ჩვენს განცდებს, იმას, რომ ჩვენ რაიმეში ვართ დარწმუნებული; არა, მას საქმე აქვს რაღაც ო ბ ი ე ქ ტ უ რ თ ა ნ, რომელიც ფსიქოლოგიის საგანში სრულიადაც არ შედის. მაგრამ ობიექტური, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ, შეიძლება იყოს აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული საგანი, მაგ., მაგიდა, რიცხვები 5, 7 და სხვ. მაგრამ ობიექტურია საგნის ამსახველი — გამომხატველი აზრიც. არსებობს ობიექტური აზრშიც, მაგალითად, მაგიდის ცნება, 5-ის ან 7-ის ცნებები. ლოგიკის საგანია აზრში არსებული ობიექტური და ასეთ ობიექტურთა კავშირები. 5+7=12 არის რიცხვთა კავშირი, რომელსაც არითმეტიკა სწავლობს. მაგრამ 5+7=12 — ეს არის ჩვენი აზრიც, როგორც გარკვეული ფსიქიკური აქტი და, ამავე დროს, დარწმუნებულობა, რომ ეს მართლაც ასეა; ეს და ასეთი აქტები და დარწმუნებულობები ფსიქოლოგიის საგანში შედის. მაგრამ არსებობს მ ა ჯ ე ლ ო ბ ა 5+7=12, რომელიც არც ობიექტურად არსებული საგანია და არც ჩვენი დარწმუნებულობა ან ფსიქიკური აქტი, არამედ ის არის აზრში არსებული ობიექტური; ლოგიკას საქმე აქვს სწორედ ასეთ ობიექტურთან. ლოგიკა შეისწავლის იმ ობიექტურს, რომელსაც აზრში აქვს ადგილი.

არსებობს იგივეობრივი საგნები სინამდვილეში; იგივეობას ადგილი აქვს სინამდვილეში, რომელსაც შეისწავლის არა ლოგიკა, არამედ სხვა მეცნიერება. მაგრამ არსებობს იგივეობა აზრშიც. თუ აზრი არ იყოს იგივე თავის თავისადმი, მაშინ ის არც იარსებებდა. აზროვნება უნდა იცავდეს იგივეობას. იგივეობის კანონი აზრის, ლოგიკური აზროვნების კანონია. ეს კანონი და იგივეობა, რომელიც არსებობს აზრის ობიექტურობაში, ლოგიკის საგანში შედის. ასე გაგებული იგივეობა და იგივეობის კანონი არ არის ფსიქიკური, სუბიექტური რამ. იგივეობა ლოგიკური კატეგორიაა, იგივეობის კანონი

ლოგიკის კანონია, რადგან ლოგიკის საგანს წარმოადგენს აზრის ობიექტური შინაარსის ფორმა და არა აზროვნების სუბიექტური აქტები.

ხშირად ამბობენ, რომ ლოგიკის საგანია აზრი და არა აზროვნება, რადგან ეს უკანასკნელი არის პროცესი, რომელიც დროში ხორციელდება, და ამიტომ ფსიქოლოგიის საგანს წარმოადგენს. ეს აზრი შეიძლება სწორ აზრად ჩავთვალოთ, თუ მივიღებთ, რომ აზრი ობიექტურია (ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით), აზროვნება კი ფსიქიკური აქტების შინაარსია. მაგრამ თუ არსებობს ლოგიკური პროცესი, მაშინ აზროვნებაც შეიძლება ასეთად მივიჩნიოთ და იგი „აზრთან“ იქნება გაიგივებული. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, არსებობს აზროვნების არა მარტო ლოგიკური პროცესი, არამედ არსებობს აგრეთვე აზროვნების განვითარება, რომელსაც ლოგიკური განვითარება ეწოდება. მაშასადამე, მთავარია აზრის თუ აზროვნების ობიექტურობა, რომელიც ლოგიკის საგანს წარმოადგენს.

ფსიქოლოგიისგან ლოგიკის გასასხვავებლად აღნიშნავენ, რომ ფსიქოლოგიის საგანი არ არის ჭეშმარიტება, ჭეშმარიტების მცდარობისაგან განსხვავება. ფსიქოლოგია სწავლობს, სხვათა შორის, აზროვნებას როგორც პროცესს, სულ ერთია ის ჭეშმარიტია თუ არა; ეს განსხვავება მას არ ეხება. ლოგიკის მიზანი არის სწორედ ჭეშმარიტება; ლოგიკის საგანი არის ის გზა, რომლითაც აზრი აღწევს ჭეშმარიტებას და არ ვარდება შეცდომაში.

ყოველი მეცნიერების საგანს შეადგენს რაიმე კანონზომიერება. ფსიქოლოგია სწავლობს ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებას, სუბიექტური სფეროს კანონზომიერებას, მაგალითად, იდეათა ასოციაციის კანონს. ფსიქოლოგია შეისწავლის სუბიექტურის, ფსიქიკურის, განცდების კანონზომიერებას. თუ ასეთი კანონზომიერება არ არსებობდეს, მაშინ ფსიქოლოგია მეცნიერება არ იქნებოდა, ის არ იარსებებდა. ლოგიკის შესასწავლი კანონზომიერება არაა სუბიექტურის, განცდების კანონზომიერება; არა, იგი სწავლობს აზრის ობიექტურ კანონებს, ობიექტურად არსებული საგნის მიერ აზრში შექმნილ კანონზომიერებას, აზრის ობიექტური — საგნის მიერ შექმნილი — განსაზღვრულობების კანონებს. აზრში არსებული ობიექტურის კანონზომიერება ლოგიკის საგანს შეადგენს.

მაგრამ არსებობს სხვადასხვანაირი — როგორც იდეალისტური, ისე მატერიალისტური — გაგება იმისა, თუ როგორ უნდა გვესმოდეს აზრში არსებული ობიექტური, მისი კანონზომიერება, კანონები. ზოგიერთი ლოგიკოსის აზრით, აზრის ლოგიკური კანონი არის ნორმა, რომელსაც ჩვენი აზრი უნდა მისდევდეს, რათა შეცდომაში

არ ჩავარდეს; ლოგიკის კანონები ნორმებს წარმოადგენენ, ლოგიკა არის ნორმატული, ამიტომ პრაქტიკული და არა თეორიული მეცნიერება. ზოგიერთი ლოგიკოსის (მაგ., ჰუსერლი) აზრით, აზრში არსებული ობიექტური და მისი კანონი არის იდეალური; არსებობს იდეალური ანუ იდეალურ-რეალური სფერო, სრულიად დამოუკიდებლად დროულ-ვრცეული რეალური სფეროსაგან, და ლოგიკას სწორედ იდეალურთან აქვს საქმე. ჰეგელის აზრით, ობიექტური, რომელსაც ლოგიკა სწავლობს, არის თვითონ სინამდვილე, სახელდობრ, აზრი, რომელიც ნამდვილია და ნამდვილი, რომელიც აზრია; ობიექტური აზრი იგივე სინამდვილეა. ეს და ასეთი შეხედულებები ობიექტურ-იდეალისტურია, არამეცნიერული შეხედულებებია.

როგორც ეს შემდგომში გაირკვევა, აზრის ლოგიკური კანონი არსებითი და აუცილებელი კავშირის ზოგადობის სრულიად გარკვეული ფორმაა, რომელიც არსებობს შინაარსეულ აზრში და არ არის წმინდა ნორმა. ლოგიკის კანონები არის აზრში ობიექტური. ისინი ნორმებადაც გამოდგებიან, რადგან აზრი უნდა ასრულებდეს, ექვემდებარებოდეს მის კანონს, რათა მისწვდეს ჭეშმარიტებას; მაგრამ ნორმად გამოსადეგი აზრის ლოგიკური კანონი არსებობს როგორც ობიექტური ფორმა.

აზრის ლოგიკური კანონები არ არის არც აპრიორული და არც რაღაც იდეალური; არა, ისინი ობიექტურია არა აპრიორულობის თუ იდეალურობის გამო, არამედ უბრალოდ იმის გამო, რომ ობიექტურად არსებული სინამდვილით განსაზღვრული აზრის კანონებს წარმოადგენენ. აზრი, თუ ის ობიექტური შინაარსისაა, სინამდვილის ასახვას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ არის ის ობიექტური. თუ აზრის განსაზღვრულობა შექმნილია საგნით, ე. ი. თუ იგი საგნის ცოდნის განსაზღვრულობაა, მაშინ, ცხადია, ობიექტური იქნება. ასეთია, როგორც ცნობილია, ჭეშმარიტების, სახელდობრ, ობიექტური ჭეშმარიტების აზრით გაგებული ობიექტურობა, რომელთანაც საქმე აქვს ლოგიკის მეცნიერებას.

ლოგიკის საგანია არა თვითონ სინამდვილე (რომელიც აზრს უდრის ჰეგელთან), არამედ ობიექტური, რომელიც აზრში, აზრის ფორმით არსებობს.

რადგან აზრის ლოგიკური კანონი არის თავისებური ობიექტური კანონი, ამიტომ ის არ შეიძლება გაგებული იყოს ტექნიკური წესის თუ ხერხის აზრით, რადგან ტექნიკური წესი შეიძლება შეიცვალოს. შეიძლება ის სუბიექტურად, სახელდობრ, მხოლოდ ხელსაყრელ წესად იქნეს მიჩნეული, ლოგიკური კანონი კი ობიექტური ხასიათისაა. ლოგიკურის ტექნიკური მხარე უნდა გაგებულ იქნეს, რო-

გორც აზრის ობიექტური კანონების, წესების თუ ფორმების მხარე, რომელსაც სწორედ ობიექტური მნიშვნელობა და ხასიათი აქვს.

თუ აზრში არსებული ობიექტური დიალექტიკური ბუნებისაა, მაშინ ლოგიკურიც ასეთი იქნება, და შესაძლებელი და აუცილებელი გახდება დიალექტიკური ლოგიკა (მაგრამ ამის შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი).

2) ფსიქოლოგიისაგან ლოგიკის გასაზღვრებლად ერთი მეორისაგან უნდა გავარჩიოთ ფსიქოლოგიური სიცხადე და ლოგიკური სიცხადე. ფსიქოლოგიურად ცხადი არის სუბიექტურად ცხადი. თავისთავად მცდარი და შეუძლებელი შეიძლება ფსიქოლოგიურად სარწმუნო იყოს როგორც ფსიქოლოგიურად ჭეშმარიტი და შესაძლებელი. რაიმეს შესახებ შეიძლება არაფერი არ იცოდე, მაგრამ იგი ცხადად, სარწმუნოდ მიგაჩნდეს. მაგალითად, მორწმუნეს ღმერთი სწამს, მისი არსებობა ცხადად, სარწმუნოდ, სხვანაირად შეუძლებლად მიაჩნია, მაგრამ მასზე მან შეიძლება ნამდვილად არაფერი არ იცოდეს, და არც შეიძლება იცოდეს, რადგან ის არ არის. ლოგიკურად ცხადი კი სულ სხვა რამაა; ეს არის არა სუბიექტურად, არამედ სწორედ ობიექტურად ცხადი; ფსიქოლოგიური სიცხადე არაა ობიექტური სიცხადე. განცდა ფსიქოლოგიურად ყოველთვის ცხადია. განცდა არ შეიძლება ცხადი არ იყოს. ფსიქოლოგიური სიცხადე არის უშუალობა როგორც ინტუიცია, მიუხედავად ცხადად წარმოდგენილის ყოველგვარი ობიექტურობა — არაობიექტურობისა.

მაგრამ თვითონ სიცხადე მოითხოვს გარკვევას, სიცხადის ცნების გარკვევა აუცილებელია; საჭიროა პასუხი კითხვაზე, თუ რა არის ცხადი. სიცხადის ცნების გარკვევა უკვე აღარაა უშუალობა, ამ აზრით, სიცხადე; სიცხადის ცნება მოითხოვს იყოს ობიექტურად ცხადი. რა შეიძლება იყოს აზრში ობიექტურად, ლოგიკურად ცხადი?

აზრში ობიექტურად, ლოგიკურად ცხადი არის ის, რაც სხვანაირად შეუძლებელია, არა მხოლოდ ჩვენთვის (ასეთი იქნება განცდაც, ვინაიდან შეიძლება სხვანაირი განცდაც არ შეგვეძლოს), არამედ სწორედ თავისთავად — ობიექტურად. მაგრამ იმის დადგენა, რომ რაიმე არის ასე და სხვანაირად შეუძლებელია, უკვე არის დასაბუთება. ლოგიკური სიცხადე დასაბუთების სიცხადეა; ეს არის დასაბუთების სისწორე, რაც ლოგიკურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ლოგიკურად ცხადი ყოველმხრივი დასაბუთების სიცხადეა, რაც შეიძლება ფსიქოლოგიურად სრულიადაც არ იყოს ცხადი. რაიმე რთული თეორემის ზუსტი დასაბუთება შეიძლება ფსიქოლოგიურად ძნელი წარმოსადგენი იყოს, მაგრამ ის ლოგიკურად ცხადი იქნება;

ფსიქოლოგიურად ცხადი შეიძლება სრულიად არ ექვემდებარებოდეს ლოგიკურ დასაბუთებას. სიზმარში ბევრი რამ არის ფსიქოლოგიურად ცხადი, მაგრამ ის შეიძლება უაზრობას წარმოადგენდეს.

დასაბუთების სიცხადე დასაბუთების ანოდიქტურობაა. დასაბუთების ანოდიქტურობა იგივეა, რაც აზრის ობიექტურობა, ლოგიკური ობიექტურობა. ლოგიკის საგანი სწორედ ეს დასაბუთებაა, რომელიც ლოგიკური სიცხადის დადგენაში მდგომარეობს. რაიმეს დასაბუთება არის ამ რაიმეს აუცილებლობის ჩვენება, დადგენა. აზრში ობიექტური იგივეა, რაც აუცილებელია. დასაბუთება ლოგიკური აუცილებლობის ბუნებისაა. აზრში აუცილებელი და ობიექტური ერთი და იგივეა (სუბიექტური კი შემთხვევითია).

თუ დასაბუთება დიალექტიკური ბუნებისაა, მაშინ ლოგიკაც დიალექტიკური იქნება (ამის შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი).

3) ამბობენ, რომ ფსიქოლოგია სწავლობს ფსიქიკურს, რომელიც დროში მუდმივად ცვალებადია. განცდები დროში განუწყვეტლად იცვლება. ამისგან განსხვავებით ამტკიცებენ, რომ ლოგიკას საქმე აქვს არა დროში მუდმივად ცვალებად ფსიქიკურთან, არამედ უ ც ვ ლ ე ლ თ ა ნ. ლოგიკური პროცესი არ არის პროცესი დროში (წანამძღვრები დანასკვს არ უსწრებენ წინ დროში).

ლოგიკა სწავლობს კანონებს, რომლებიც უცვლელია დროში. მაგრამ შეიძლება თქვან, რომ ასეთ კანონებთან აქვს საქმე არა მარტო ლოგიკას, არამედ ყველა მეცნიერებას, მათ შორის ფსიქოლოგიასაც. ფსიქოლოგია რომ არ სწავლობდეს ცვალებადი მოვლენების უცვლელ (ამ მოვლენებთან შედარებით უცვლელ) კანონებს. მაშინ ის მეცნიერებაც არ იქნებოდა. მართლაც, საერთოდ ცვალებადობა-განვითარების კანონი თვითონ უცვლელი უნდა იყოს. ეს კანონი რომ იცვლებოდეს, მაშინ ამ ცვალებადობას სხვა კანონი დასჭირდებოდა და ა. შ. უსასრულოდ, რაც უაზრობას წარმოადგენს. დებულება, რომ ყველაფერი იცვლება, თვითონ არ შეიძლება იცვლებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნება ხან ცვალებადობის და ხან უცვლელობის აღიარება, ამით კი ცვალებადობას შემთხვევითად ვცნობდით, რაც პირველ დებულებას არ ეთანხმება, მას გამორიცხავს. ცვალებად მოვლენებს ამ მოვლენებთან შედარებით უცვლელი კანონები აქვთ. შეიძლება კერძო, არაძირითადი კანონები იცვლებოდეს მოვლენათა ცვალებადობის მიხედვით, რადგან კანონი სწორედ მოვლენათა შინაგანი, აუცილებელი კავშირია, მაგრამ ძირითადი კანონი ერთი და იგივე უნდა იყოს მთელი ცვალებადობისათვის.

ლოგიკაში თვითონ „მოვლენაც“ არ იცვლება დროში, მაგალითად, რომელიმე დასკვნა, როგორც პროცესი, დროული ხასიათის არ არის. ასეთ უცვლელთან აქვს საქმე ლოგიკას. ლოგიკური ცვალებადობა-განვითარების შესაძლებლობის და აუცილებლობის შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი (თვითონ ლოგიკური კანონების კავშირსაც განვითარების სახით წარმოვადგენთ), მაგრამ აქ უკვე თქმულით დავკმაყოფილდებით. ლოგიკური არის ობიექტური, აუცილებელი. ის არ არის ცვალებადი ფსიქიკური პროცესი. აზრის ყოველი დროული პროცესი თუ აქტი წინასწარ გულისხმობს ლოგიკურად ობიექტურს, რომლის საფუძველზეც ჩვენ ვარჩევთ დროული პროცესის ხასიათს. ამდენად ფსიქიკური ლოგიკურს წინასწარ გულისხმობს, მას ემყარება. ამდენად, ფსიქოლოგიის, ისე როგორც სხვა მეცნიერების, ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს ლოგიკა და არა პირიქით.

4) ამბობენ, რომ ფსიქოლოგიას საქმე აქვს რელატიურთან, ლოგიკას კი — ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ თ ა ნ; თუ ფსიქოლოგიური სიცხადე და დარწმუნებულობა ცვალებადია, ლოგიკური — ლოგიკის საგანი არის მხოლოდ აბსოლუტური (ჰუსერლი და სხვა.). აზრში არის აბსოლუტური, რომელსაც ლოგიკა სწავლობს.

ეს აზრი მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი, რადგან შესაძლებელია არაფსიქოლოგიური რელატიურიც (როგორც ეს ქვემოთ გაირკვევა); შეიძლება ლოგიკურიც იყოს რელატიური. თუ ლოგიკური აბსოლუტურია, მაშინ მისი რომელიმე მომენტი ხომ რელატიური — აბსოლუტურთან შეფარდებით აზრის მქონე იქნება? მაგრამ შეუძლებელია მხოლოდ რელატიურის აღიარება და აბსოლუტურის უარყოფა, რადგან წმინდა რელატიურის აღიარება რელატიურის აბსოლუტურად აღიარება იქნება, რაც უაზრობას მოგვცემს. მხოლოდ აბსოლუტურის აღიარება და რელატიურის უარყოფაც შეცდომას წარმოადგენს, რადგან რელატიურის გარეშე აღებული აბსოლუტური თვითონ არის რელატიური — რელატიურთან დაპირისპირებაში აზრის მქონე. აბსოლუტურს აზრი აქვს რელატიურთან მიმართებაში. ამიტომ აბსოლუტური იქნება თვითონ აბსოლუტურის და რელატიურის ერთიანობა. ამიტომ ლოგიკა სწავლობს აბსოლუტურს რელატიურში. მაგრამ ეს აბსოლუტური საერთოდ აბსოლუტური კი არაა; ეს იქნებოდა მთელი სინამდვილე, რასაც სხვა მეცნიერება სწავლობს და არა ლოგიკა. აბსოლუტური, რომელთანაც ლოგიკას აქვს საქმე, არის სინამდვილით განსაზღვრული აზრის შინაარსი და ფორმა; ეს არის ობიექტური აზრში. აქ აბსოლუტური უდრის ობიექტურს (ვ. ი. ლენინი).

ლოგიკური, როგორც ლოგიკის მეცნიერების საგანი, მართლაც, არაა რელატიური იმ აზრით, თითქოს ის დამოკიდებული იყოს ჩემზე. ჩვენზე, ჩვენს ცნობიერებაზე საერთოდ ან ჩვენს ორგანიზაციაზე. აზრის ობიექტურ შინაარსს საყოველთაობა ახასიათებს. ლოგიკა სწავლობს აზრის იმ კანონებს, რომლებიც მოქმედებენ ყოველ დროს, ყოველი კლასის წარმომადგენლის აზრში. ლოგიკაში აღმოჩენები იმის აღმოჩენებია, რაც არსებობს და მოქმედებს აზრში. აზრის ობიექტური შინაარსის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში თვითონ ეს უარყოფა უნდა მიგვეჩნია ობიექტურად და აბსოლუტურად.

მაშასადამე, ლოგიკას საქმე აქვს აზრში არსებულ ობიექტურთან — აბსოლუტურთან, რომლის მხარეები — მომენტები — რელატიურია. რელატიური ფუძნდება აბსოლუტურით, აბსოლუტურს ადგილი აქვს რელატიურში. ლოგიკის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა აქ აღნიშნული მხარეების — მომენტების აღმოჩენის ისტორია. წმინდა რელატივიზმი ფსიქოლოგიზმია, სუბიექტივიზმია. ფსიქოლოგიზმი და რელატივიზმი ლოგიკაში, ეს არის ლოგიკის უარყოფა. ლოგიკა შეუძლებელია, თუ ბატონობს „შემწყნარებლობის პრინციპი“ (კარნაპი), თუ არ არსებობს „მორალი“, თუ ჩვენზეა დამოკიდებული ლოგიკური წესი და კანონი. აბსოლუტურისა და რელატიურის ზემოთ გარჩეული დამოკიდებულება დიალექტიკური დამოკიდებულებაა, ამიტომ უნდა ითქვას, რომ აბსოლუტურისა და რელატიურის დიალექტიკა აზრში შესაძლებელს ხდის და აფუძნებს დიალექტიკურ ლოგიკას.

თქმულიც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: ფსიქოლოგია და ლოგიკა ერთიმეორისგან დამოუკიდებელი მეცნიერებებია, მათ საკუთარი საკვლევი ობიექტები გააჩნიათ.

§ 2. ლოგიკა და გნოსეოლოგია

თუ ფსიქოლოგიური აზრი არ არჩევს ჭეშმარიტებასა და მცდარობას, სამაგიეროდ ლოგიკური აზრი არის ჭეშმარიტი, ჭეშმარიტების ობიექტურობის მქონე აზრი; ასეთი აზრი არის სინამდვილის ასახვა, ცოდნა, როგორც გარკვეული ასახვა (ყოველი ასახვა არაა ცოდნა). აზროვნება, როგორც შემეცნება, ჭეშმარიტებას ისახავს მიზნად. ჭეშმარიტება არის აზრის ის ობიექტური შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, თვითონ აზრისაგან; ის დამოკიდებულია საგანზე, აზრისაგან დამოუკიდებელზე (როგორც ამას ასახვის ლენინური თეორია გვასწავლის).

თუ ზემოაღნიშნული სწორია, მაშინ ლოგიკას საქმე უნდა ჰქონდეს ცოდნასთან; ის უნდა იყოს მეცნიერება ცოდნის, სახელდობრ, ჭეშმარიტი ცოდნის კანონების შესახებ, რადგან ცოდნაშია შესაძლებელი ობიექტური, რომელსაც აზრში აქვს ადგილი. მაგრამ თვითონ ცოდნის შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება, ცოდნა ყველას არ ესმის ერთნაირად. ზოგიერთის თვალსაზრისით, ცოდნა მხოლოდ ემპირიულია, მხოლოდ ინდუქციით მიიღება, და რადგან ინდუქცია ალბათურობის შემცველად არის გაგებული, ამიტომ შეიმეცნება-ცოდნაც ალბათური ბუნების მქონედ ესმით. ალბათური არის რელატიური, იგი გამორიცხავს აბსოლუტურს. ამიტომ აქ აღნიშნული გაგება ცოდნისა ფსიქოლოგისტურია. ასეთი შეხედულება ლოგიკის უარყოფამდე უფრო მივა, ვიდრე დაფუძნებამდე.

ამიტომ შესაძლებელია და არსებობს ისეთი შეხედულება, რომელიც აღიარებს იმას, რომ ცოდნას აუცილებლად უნდა ახასიათებდეს აპოდიქტურობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ცოდნა, როგორც ასეთი. აპოდიქტურობაში კი მართლდება ლოგიკური კანონები, რომლებსაც ობიექტური ხასიათი აქვთ.

არსებობს ისეთი თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით ცოდნის აპოდიქტურობა და ინდუქციურობა ერთიმეორეს არ გამორიცხავენ; პირიქით, ლოგიკური ცოდნა, ლოგიკა არის ინდუქციური მეცნიერება; დედუქციური სხვა მეცნიერებაა (ნატორპი, კოჰენი). მაგრამ ეს უკვე ინდუქციის, ინდუქციური და დედუქციური მეცნიერების თავისებური გაგებაა (ინდუქციის შესახებ შემდეგ).

თუ ლოგიკურის, ლოგიკური კანონების ჭეშმარიტებას ჩვენ ვწვდებით ინდუქციურად ან დედუქციურად, მაშინ ამ მიწვდომას, ამ კანონების დადგენას ვახორციელებთ შუალობით, შუალობის გზით და თვითონ ლოგიკა და საერთოდ მეცნიერება შუალობითი ცოდნის სფეროდ არის აღიარებული. მაგრამ არსებობს ისეთი შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც, მართალია, ჭეშმარიტი ცოდნა უშუალო, როგორც გრძნობადი უშუალო, არ არის, მაგრამ ლოგიკური კანონების ჭეშმარიტების მიწვდომა უშუალოდ, არაგრძნობადი უშუალობის გზით ხდება; აპოდიქტური სიცხადე უშუალობის გამორიცხვა კი არაა, არამედ სწორედ უშუალობაში მდგომარეობს; ლოგიკური კანონების ჭეშმარიტებას ჩვენ მხოლოდ უშუალოდ ვწვდებით; სწორედ აქაა აპოდიქტური სიცხადე, რომელიც იდეალური ბუნებისაა; ჭეშმარიტება უშუალოდ განიცდება მსჯელობაში; ეს განცდა არის აქტუალური ობიექტური განცდა (ეს არის ჰუსერლის თვალსაზრისი).

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ჩვენი აზრით, ლოგიკური სიცხადე გაშუალების — დასაბუთების სიცხადეა (როგორც ამას ქვემოთ ნათელვყოფთ), უშუალო გაშუალების მომენტია; უშუალობას არ ღვევს პასუხი კითხვაზე, თუ რა არის უშუალო. მხოლოდ უშუალობა, წმინდა უშუალობა შეუძლებელიცაა, რადგან შუალობისგან გამოცალკევებული უშუალობა სწორედ შუალობით განისაზღვრება. გაშუალება (რომლის მომენტსაც უშუალობა წარმოადგენს) შეიძლება იყოს ინდუქციურიც, დედუქციურიც, დიალექტიკურიც. გაშუალება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, არის დასაბუთება, თუ, ცხადია, ამ გაშუალებას ლოგიკის სფეროში აქვს ადგილი. ლოგიკური ანუ დასაბუთებითი სიცხადე მოქმედებს ცოდნაში, ჰეშმარიტ აზრში. ლოგიკური ჰეშმარიტება დასაბუთების ჰეშმარიტებაა.

შეუძლებელია დასაბუთებიდან ჰეშმარიტების უარყოფა, რადგან თვითონ ეს უარყოფა არის დასაბუთება და თვითონ ჰეშმარიტების უარყოფა უნდა მივიღოთ ჰეშმარიტებად, თუკი მართლაც ვასრულებთ ამ უარყოფას. ჰეშმარიტების უარყოფის შეუძლებლობა უკვე მიგვითითებს ჰეშმარიტების აუცილებლობაზე, რაც მხოლოდ ობიექტური შეიძლება იყოს. ეს ობიექტურობა არის ლოგიკის საგანი, მაგრამ ის ხომ გნოსეოლოგიის საგანიცაა? ლოგიკური ობიექტურია, ის ექვემდებარება ობიექტურს, მაგრამ ხომ ასეთია ჰეშმარიტებაც, საერთოდ ცოდნაც? ცოდნა, შემეცნება ობიექტური უნდა იყოს, სხვანაირად ცოდნა შეუძლებელია.

ჰეშმარიტება შემეცნებისა და ცოდნის ობიექტურობას ჰქვია. ჰეშმარიტება მხოლოდ ობიექტური შეიძლება იყოს; ჰეშმარიტების ობიექტურობა მისი აბსოლუტურობაა. ჰეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია. აბსურდია ჰეშმარიტად მიიჩნიო ჰეშმარიტების უარყოფა. ჰეშმარიტების უარყოფა ლოგიკურად შეუძლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს უარყოფა მაინც ჰეშმარიტად უნდა მიიღო; ის გარემოება, რომ ჰეშმარიტების უარყოფა გვაიძულებს როგორღაცნაირად მაინც ვაღიაროთ ჰეშმარიტება, რომ ამით მყარდება ჰეშმარიტების აუცილებლობა, ჰეშმარიტების აბსოლუტურობის ლოგიკურ დასაბუთებას ნიშნავს. შეფარდებითი ჰეშმარიტების ჰეშმარიტობა სწორედ ისაა, რომ მასში არის აბსოლუტური ჰეშმარიტება, აბსოლუტური ჰეშმარიტების „მარცვალი". ამდენად, შეფარდებითი ჰეშმარიტება აბსოლუტური ჰეშმარიტების ერთი მხარეა. სწორედ ასეთი მხარეები შეადგენენ აბსოლუტურ ჰეშმარიტებას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ არ შეიძლება არ არსებობდეს შეფარდებითი ჰეშმარიტებები, რადგან არსებობს ობიექტური, აბსოლუ-

ტური ჰეშმარიტება. აზრის ობიექტურობა, რომელიც ჰეშმარიტებას წარმოადგენს, არის ლოგიკის მეცნიერების საგანი; „ლოგიკა = საკითხი ჰეშმარიტების შესახებ“ [1].

მაგრამ აქ თავს იჩენს სიძნელე: თუ ლოგიკური სწორედ ობიექტურობით განსხვავდება ფსიქოლოგიურისაგან, ე. ი. თუ აზრში არსებული ობიექტური არის ლოგიკის საგანი და თუ აზრის ობიექტურობას ჰეშმარიტება ჰქვია, მაშინ ლოგიკა და შემეცნების თეორია— გნოსეოლოგია ხომ ერთი და იგივე მეცნიერება იქნება? რით უნდა განსხვავდებოდეს ლოგიკა გნოსეოლოგიისგან? აქ ადგილი ხომ არ აქვს ლოგიკის უარყოფას და გნოსეოლოგიის აღიარებას, ან — გნოსეოლოგიის უარყოფას და ლოგიკის აღიარებას?

ამ პრობლემის გადაწყვეტა სხვადასხვანაირად ხორციელდება, არსებობდა და არსებობს სხვადასხვანაირი ცდა მისი გადაწყვეტისა. შეიძლება ითქვას, რომ გნოსეოლოგიის ძირითად პრობლემას ჰეშმარიტების პრობლემა წარმოადგენს, ლოგიკის პრობლემა კი არის აზრის სისწორის და არა ჰეშმარიტების პრობლემა; ლოგიკა სწავლობს აზრიდან აზრის გამოყვანის აუცილებლობას და არა იმას, თუ როგორ არის შესაძლებელი აზრის სინამდვილესთან თანხმობა, აზრის მიერ სინამდვილის ასახვა. ამდენად უნდა არსებობდეს ორი მეცნიერება: 1) ლოგიკა — მეცნიერება აზრის სისწორის შესახებ და 2) შემეცნების თეორია — მეცნიერება აზრის ჰეშმარიტობის შესახებ.

მართლაც, შემეცნების თეორია სწავლობს იმას, თუ როგორი დამოკიდებულებაა არსსა და აზრს შორის, როგორ არის შესაძლებელი აზრის ობიექტურობა, ჰეშმარიტობა. ლოგიკა კი მხოლოდ აზრის, ობიექტური აზრის წესებსა და კანონებს შეისწავლის. მაგრამ აზრის ობიექტურობა ხომ მისი ჰეშმარიტობაა?

ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს, რომ შემეცნების თეორია არის ლოგიკის საფუძველი, რამდენადაც: 1) ლოგიკა შემეცნების თეორიის ნაწილია, რადგან აზრის სისწორე ჰეშმარიტების ერთი მხარეა; 2) ლოგიკა გნოსეოლოგიური მეცნიერებაა, რადგან მას შემეცნებისთეორიული ხასიათი აქვს; ის ხომ ობიექტური, ჰეშმარიტი შემეცნების კანონებს უნდა სწავლობდეს?

ზოგიერთის აზრით კი ლოგიკა წარმოადგენს შემეცნების თეორიის საფუძველს (და არა პირიქით), რადგან: 1) შემეცნება, ცოდნა ემყარება გარკვეულ ლოგიკურ პირობებს; ცოდნა შესაძლებელია

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებანი, ტ. 38, IV გამოცემა, 1963, გვ. 172.

მხოლოდ გარკვეული ლოგიკური პირობების საფუძველზე. ცოდნას. რეალური პირობების გარდა, უნდა ჰქონდეს ლოგიკური საფუძველიც; 2) ყოველი ცოდნა — მეცნიერება ერთსა და იმავე ლოგიკურ ფორმებს, კანონებსა და წესებს მოიხმარს; მეცნიერული ცოდნა არსებობს მხოლოდ გარკვეულ ლოგიკურ ფორმებში და ექვემდებარება გარკვეულ ლოგიკურ წესებსა და კანონებს; 3) ყოველი მეცნიერული ცოდნა ლოგიკურად დასაბუთებულ ცოდნას ჰქვია, და სხვ.

ზოგიერთი ლოგიკოსის აზრით კი, არც ლოგიკაა გნოსეოლოგიის საფუძველი და არც პირიქით — გნოსეოლოგია ლოგიკის საფუძველი; არა, ეს ორი მეცნიერება ნამდვილად ერთია და არა ორი: ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა, რადგან ცოდნის ობიექტურობა და ლოგიკურის ობიექტურობა ერთი და იგივეა. შემეცნება იმას იკვლევს, თუ როგორ აქვს ჩვენს ცოდნას ობიექტური ხასიათი, ლოგიკა კი შეისწავლის უკვე არსებული ობიექტური ცოდნის წესებსა და კანონებს, ლოგიკაში განხორციელებულ აზრთა კავშირების წესებსა და კანონებს. ლოგიკის საგანია აზრის ობიექტური შინაარსი და არა შემეცნების აქტები. შემეცნების დროული. ისტორიული თუ ფაქტობრივი პროცესი. ლოგიკა სწავლობს აზრის გზას ჭეშმარიტებისაკენ, იმ კანონებსა და წესებს, რომლებითაც ვასხვავებთ ჭეშმარიტებას შეცდომისაგან. ამ აზრით, ჭეშმარიტება განსაზღვრავს ლოგიკურს. მაგრამ ჭეშმარიტი აზრის დასაბუთების გზა მხოლოდ ლოგიკის საგანს შეადგენს. დასაბუთება ლოგიკის შესასწავლი ობიექტია, მაგრამ დასაბუთება ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან დანასკვის აუცილებელ გამოყვანას ჰქვია. ამრიგად, გამოდის ისიც, რომ ლოგიკა და გნოსეოლოგია ერთი და იგივე უნდა იყოს და ისიც, რომ ისინი განსხვავებულ მეცნიერებებს უნდა წარმოადგენდნენ. საჭიროა ამ გაურკვევლობის თავიდან აცილება.

ლოგიკა არ სწავლობს ცოცხალ განჭვრეტას — შეგრძნებებს, აღქმებს, წარმოდგენებს, რომლებსაც შემეცნების თეორია აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს; ლოგიკა არ სწავლობს შემეცნების პროცესს, შემეცნების ისტორიას, რასთანაც შემეცნების თეორიას უნდა ჰქონდეს საქმე. ლოგიკა არ შეისწავლის შეფარდებითი და აბსოლუტური ჭეშმარიტების დამოკიდებულებას, ჭეშმარიტების კრიტერიუმს — თუ რა არის სინამდვილესთან აზრის შესაბამისობის მაჩვენებელი და სხვ. შემეცნების თეორიისათვის კი ამ საკითხების გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მართალია, ლოგიკა არ შეისწავლის შემეცნების ისტორიას, მაგრამ მას საქმე არ შეიძლება არ ჰქონდეს შემეცნების ისტორიის შედეგთან, შემეცნების ისტორიის „საკვანძო პუნქტებთან“. შემეცნე-

ბის ისტორიის საკვანძო პუნქტებს წარმოადგენს კატეგორიები (ვ. ი. ლენინი), ცნებები, რომელთაც, როგორც სწორედ ცნებებს, უნდა სწავლობდეს ლოგიკა, რადგან ცნება აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმაა და იგი აუცილებლად შედის ლოგიკის საკვლევ ობიექტში. ლოგიკა სწავლობს და უნდა სწავლობდეს კატეგორიებს, როგორც ცნებებს, მათი კავშირის კანონებს, წესებს და იმას, რაც მათ ექვემდებარება. ამ აზრით, ლოგიკა არის შემეცნების თეორიის არსება. მას არსებითად ემთხვევა. შემეცნების ისტორიის არსებას, მის ზოგად ბუნებას წარმოადგენს ლოგიკური, როგორც ლოგიკის მეცნიერების საგანი.

მაშასადამე, გარკვეულ ასპექტში ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა, გარკვეულ ასპექტში კი ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდება. ის, რაშიც იგივეობრივია ლოგიკა და შემეცნების თეორია, ერთ მეცნიერებას შეიძლება წარმოადგენდეს. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მოიხსნა ან ლოგიკა, ან შემეცნების თეორია და მეორე რჩება. არა, აქ საკითხი დგას ახალი მეცნიერების შესახებ, იმის შესახებ, რაც ლოგიკაა, მაგრამ შემეცნების თეორიასაც წარმოადგენს და რაც შემეცნების თეორიაა, მაგრამ ლოგიკის პრობლემებს შეიცავს.

როგორც ჩანს, ლოგიკისა და გნოსეოლოგიის დამოკიდებულების პრობლემა მრავალ სიძნელეს შეიცავს. ამ სიძნელეების გადაწყვეტა დღესაც მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოოდ დადგენილი რამ ჯერ არ არის მიღწეული. ასეთია საქმის ვითარება დღევანდელ პირობებში (ამ პრობლემის ჩვენს მიერ გადაწყვეტას გადმოვცემთ ქვემოთ — დასაბუთების პრობლემის გარჩევის დროს).

§ 3. ცოდნის ლოგიკა

ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ლოგიკა ცოდნის ლოგიკაა (სულ ერთია ის იგივეობრივია გნოსეოლოგიასთან, თუ განსხვავებული). დაახლოებით ასე ესმოდა არისტოტელეს ის, რასაც შემდეგ, სამართლიანად, „ორგანონი“ უწოდეს. არისტოტელეს „მეორე ანალიტიკა“ სწორედ წარმოადგენს ცოდნის თეორიას, რომლის ელემენტებიც მას სხვა ლოგიკურ თხზულებებში აქვს განხილული. ცოდნის ლოგიკას წარმოადგენს კანტის „ტრანსცენდენტალური ლოგიკა“, კოჰენის „წმინდა შემეცნების ლოგიკა“, შუპეს „შემეცნებისთეორიული ლოგიკა“, ჰეგელის „ლოგიკა“, რომელიც უდრის არა მარტო შემეცნების თეორიას — ცოდნის თეორიას, არა-

მედ ონტოლოგიასაც (რადგან მისთვის აზრი და არსი ერთი და იგივეა).

ყოველი აზრი არის აზრი საგანზე; ამიტომ ყოველი აზრი ან ჭეშმარიტია, ან მცდარი. ჭეშმარიტი აზრი არის ცოდნა, რომელიც ან შეფარდებითი ჭეშმარიტების ბუნებისაა და ან აბსოლუტური ჭეშმარიტების ბუნებისა. არ შეიძლება არსებობდეს აზრი, რომელიც არ იყოს აზრი რაიმეს შესახებ, რომელსაც არ ჰქონდეს საგანი. შეუძლებელია უსაგნო აზრი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ:

1) ცნება არის ცოდნა იმაზე, თუ რა არის საგანი; „რა არის“ — არსების შესახებ ცოდნაა;

2) მსჯელობა არის ცოდნის ფორმა, სახელდობრ, მტკიცებაუარყოფის ფორმა;

3) დასკვნა არის მსჯელობის გამართლება, მსჯელობის ლოგიკური ჭეშმარიტების დადგენა;

4) დასკვნათა სისტემა არის მათი გამართლება, რომელიც დასაბუთებაა, ცოდნაა.

ამრიგად, ლოგიკური ფორმები არის ცოდნის ფორმები, სახელდობრ, არაგრძნობადი, აბსტრაქტული ცოდნის ფორმები, რაც იგივე აბსტრაქტული აზროვნების ფორმებს წარმოადგენს.

ცოდნის გარეშე აღებული აზრის ფორმა შეუძლებელია. თუ აზრის ფორმა აღებულია ცოდნის გარეშე, მაშინ ის იქნება არა აზრის ფორმა, არამედ სიტყვა, როგორც ნიშანი, ან სიმბოლოები, მხოლოდ სიმბოლიური ნიშნები, რომლებიც ამ ფორმას აღნიშნავენ, ანდა: 1) წარმოადგენენ არაფერს, 2) თვითონ არიან საგნები, ისიც „უხეირო“ საგნები — საგანთა მოჩვენებები, რომელთა მიმართ ისეთივე დამოკიდებულებაში აღმოვჩნდებით, როგორც ნამდვილი საგნების მიმართ.[1]

მაშასადამე, ლოგიკის საგანს უნდა წარმოადგენდეს აზრის ფორმები, როგორც ცოდნის ობიექტური საშუალებები (სწორედ ობიექტური საშუალებები და არა სუბიექტური ხერხები), რომელთაც გარკვეული საფუძვლების აზრი აქვთ და უნდა ჰქონდეთ. ცოდნის ლოგიკური ფორმა იგივეა, რაც აზრის ლოგიკური ფორმა ან კანონი. ცოდნის ლოგიკური ფორმა, როგორც მისი სწორედ ლოგიკური საშუალება-საფუძველი, იქნება ის, რომლის გარეშე შეუძლებელია ცოდნა და რომლის საშუალებითაც ის არსებობს. ცოდნა არის

[1] შდრ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, 1955, გვ. 172. (კ. მარქსი ძველი სკეპტიკოსების შესახებ).

აზრი რაიმეს შესახებ, მტკიცება-უარყოფა და აუცილებელი კავშირი აზრთა შორის. ლოგიკა სწორედ ამას სწავლობს და სხვას არაფერს.

§ 4. ლოგიკა და ონტოლოგია

ონტოლოგია, ზოგადად რომ ვთქვათ, არის ფილოსოფიური მეცნიერება სინამდვილის შესახებ. ონტოლოგია არის ცოდნა, ის, რაც ჩვენ ვიცით სინამდვილის შესახებ; ონტოლოგიაში, როგორც ცოდნაში, სინამდვილეა ასახული. მაგრამ თუ ლოგიკური არის აზრში არსებული ობიექტური, მაშინ იქი რით უნდა განსხვავდებოდეს ონტოლოგიურისაგან? მართალია, „2×2=4“, როგორც საგანი სხვაა, ვიდრე „2×2=4“, როგორ აზრი. მაგრამ უკანასკნელი ხომ მხოლოდ პირველის აზრობრივი გამოთქმაა? ლოგიკურად აქ ხომ ერთსა და იმავესთან, სახელდობრ, „2×2=4“-თან უნდა გვქონდეს საქმე? სადაა აქ ლოგიკური განსხვავება? ჩიუტონის მიზიდულობის კანონი ხომ სინამდვილეში არსებული მიზიდულობის გამოხატულებაა? აქ ხომ ერთი კანონია და არა ორი? ცნებებში გამოთქმული სინამდვილე ხომ ლოგიკურში გამოთქმული სინამდვილეა? როცა ლოგიკაში ასახელებენ რომელიმე, მაგალითად, ადამიანის ცნების ნიშნებს, მაშინ ხომ თვითონ ადამიანის ნიშნებს, მაგალითად, იარაღის მკეთებლობას ასახელებენ?

სინამდვილეს ახასიათებს ობიექტური და აბსოლუტური არსებობა, აზრი კი მისი მხოლოდ ასახვაა, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია. აზრი, ცოდნა გამოთქვამს („გამოთქვამს“ არა მხოლოდ ენობრივად, არამედ სწორედ აზრობრივად, იქ ესაა მთავარი) იმას, რაც მისგან დამოუკიდებლად არსებობს. სინამდვილეში არსებული საგნები ისეთ კანონებს ექვემდებარება, რომელთა უმრავლესობას აზრში არ აქვს ადგილი, ე. ი. ისინი აზრის კანონებს არ წარმოადგენენ, თუმცა აზრით გამოითქმებიან. მაგალითად, მიზეზობრიობა არ არის აზრის კანონი. თუ აუცილებელია ის, რომ მიზეზი დროში წინ უსწრებდეს შედეგს, ლოგიკურში არ აქვს ადგილი დროში ასეთ განსხვავებას. მიზეზობრიობას აზრში შეესაბამება საფუძველ-შედეგების კავშირი, რომელიც მიზეზობრივ კავშირს სრულიადაც არ წარმოადგენს. ლოგიკური საფუძველი და შედეგი ერთდროულად არსებობენ; საფუძველი წინ უსწრებს შედეგს ლოგიკურად და არა დროში. საფუძველი განსაზღვრავს შედეგს, მაგრამ შედეგიც განსაზღვრავს საფუძველს; საფუძვლიდან ვასკვნით შედეგზე, მაგრამ შედეგიდანაც ვასკვნით მის საფუძველზე. ასეთ შებრუნებას არ აქვს

ადვილი სინამდვილეში არსებულ მიზეზობრიობაში: მიზეზი იწვევს შედეგს და არა პირიქით (ქვის გასროლით შეიძლება გატყდეს მინა, მაგრამ მინის გატეხის გამო კი არ ხდება ქვის გასროლა. ჩვენ აქ ყურადღების გარეშე ვტოვებთ მიზეზის და შედეგის ერთდროულად არსებობის შესაძლებლობას და სხვ.). მაგრამ როცა მიზეზობრიობა აზრშია გადატანილი და გადამუშავებული ცნების სახით, მაშინ ეს ცნება სრულიად თავისებური რამ არის. არა მარტო შედეგის ცნება გულისხმობს წინასწარ მიზეზის ცნებას, არამედ პირიქითაც: მიზეზის ცნება წინასწარ გულისხმობს შედეგის ცნებას, რადგან მიზეზი სწორედ შედეგის მიზეზს ჰქვია. ამრიგად, სინამდვილეში არსებული და აზრში გადატანილი ეს არსებული, — აზრის ფორმით არსებული, ცხადია, ერთი მეორისაგან არსებითად განსხვავდება, სრულიად სხვადასხვა ბუნებისაა.

ონტოლოგია სინამდვილეში არსებულს სწავლობს, ლოგიკა კი აზრში არსებულ ობიექტურს, — სინამდვილით განსაზღვრულ აზრს, ანუ — აზრის განსაზღვრულობას, რომელიც საგნის ასახვას წარმოადგენს. სხვაა ის, თუ რაა საგანი და სულ სხვაა ის, თუ რაა აზრი ამ საგანზე: მაგიდა ორი მეტრი სიგრძის, წითელი და სხვ. შეიძლება იყოს; აზრი მაგიდის შესახებ კი არ შეიძლება ასეთი ნიშნებით ხასიათდებოდეს. ცნება , ცხადია, განსხვავდება ამ ცნების შესატყვისი საგნისაგან. საგნებს სწავლობს (ფილოსოფიური თვალსაზრისით) ონტოლოგია, ცნებებს — კი ლოგიკა. ამიტომ ისინი ერთი მეორისგან არსებითად განსხვავდება, სრულიად განსხვავებულ მეცნიერებებს წარმოადგენს.

ლოგიკა და ონტოლოგია, როგორც ითქვა, განსხვავებული მეცნიერებებია; მაგრამ უნდა აღინიშნოს საქმის მეორე მხარეც. ამ ორ მეცნიერებას საერთოც ბევრი აქვს. საქმე იმაშია, რომ არსებობს არსისა და აზრის უზოგადესი კანონებიც, რომლებიც ამ ორ განსხვავებულ სფეროში, არსებითად, ერთსა და იგივე კანონებს წარმოადგენენ. მაგალითად, არისტოტელეს ასე ესმოდა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, რომელიც მან „პირველ ფილოსოფიაში“ გამოიკვლია („პირველი ფილოსოფია“ ანუ „მეტაფიზიკა“ გაგებული იყო როგორც მეცნიერება არსისა და აზრის პირველი ძირის შესახებ), „ანალიტიკებში“ კი გამოიყენა, სადაც მან სპეციფიკურობაც შეიძინა. თუ სინამდვილის სფეროში წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი იმას ნიშნავდა, რომ ერთი და იგივე ნიშანი ერთსა და იგივე საგანს ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე მიმართებით არ შეიძლება კიდეც მიეწეროს და არც მიეწეროს, იგივე კანონი ლოგიკაში იმას ნიშნავდა, რომ ერთსა და იმავეს შესახებ ერთი და იგივე არ შე-

იძლება კიდეც ამტკიცო და კიდეც უარყო. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება საგნებს, მეორე შემთხვევაში კი მსჯელობებს. ასე ითქმის დიალექტიკის ძირითადი კანონების შესახებაც. დიალექტიკა ხომ არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ (ენგელსის განმარტება)! ეს უზოგადესი კანონები ერთი და იგივეა არსისა და აზრისათვის, თუმცა ისინი ორივე სფეროში სპეციფიკურობას იძენენ (როგორც ეს შემდეგ იქნება ნათელყოფილი). სხვაა საგანთა დამოკიდებულება და სხვაა აზრთა დამოკიდებულება, მაგრამ მათ შეიძლება ჰქონდეთ ერთი და იგივე უზოგადესი კანონებიც. ზოგადი სპეციფიკურობას აფუძნებს და არ გამორიცხავს.

აქ აღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ როგორც ცნობილია, ის, რაც არსისა და აზრისათვის უზოგადესია, მხოლოდ ლოგიკურად შეიძლება იქნეს განხილული. არსისა და აზრისთვის უზოგადესი, მართალია, არსის მოვლენებშიც მონაწილეობს და აზრის მოვლენებშიც, ამიტომ მასთან მისვლა ამ მოვლენების გზით შეიძლება, მაგრამ იგი თავისთავად მხოლოდ აზრით — ლოგიკურად — შეიძლება იქნეს დახასიათებული. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი რამ უნდა იქნეს უარყოფილი იმ საბუთით, თითქოს მის შესახებ გრძნობადი მონაცემები არ არსებობს. ცნებაც ხომ გამოხატავს იმას, რაც შეიძლება არსებობდეს? ჩვენ აქ არ გავარჩევთ ამ სადავო საკითხს, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ონტოლოგიასა და ლოგიკას აქვს საერთო, რომ შესაძლებელია (და არსებობს) ონტოლოგიური ლოგიკა. არსისა და აზრისათვის საერთო — უზოგადესი — კანონები აფუძნებს არა იმას, რომ ონტოლოგია და ლოგიკა ერთი და იგივეა (როგორც ეს, მაგ., ჰეგელს ეგონა), არამედ იმას, რომ ლოგიკა ონტოლოგიას უნდა ემყარებოდეს, ე. ი. ის უნდა იყოს ონტოლოგიური ლოგიკა.

დიალექტიკური ლოგიკა ონტოლოგიური ლოგიკაა (და არა პირიქით, ყოველი ონტოლოგიური ლოგიკა, როგორც ცნობილია, არაა დიალექტიკური), რადგან იგი, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლის კატეგორიებს, როგორც ცნებებს, და მათ ლოგიკურ კავშირებს. როგორც რეალურ-ისტორიული კავშირების ასახვას (ეს აზრი ქვემოთ უფრო ნათლად იქნება წარმოდგენილი, აქ — „შესავალში“ — თქმულიც საკმარისად უნდა მივიჩნიოთ).

ონტოლოგია, როგორც ფილოსოფიური მეცნიერება არსის შესახებ, პირველია, წინ უსწრებს ლოგიკას; ონტოლოგია ლოგიკას აფუძნებს საგნის მხრივ. არსი ხომ წინ უსწრებს აზრს! ამიტომ ლოგიკა ონტოლოგიური ხასიათისაა, ე. ი. ის დაფუძნებულია ონტო-

ლოგიაზე, მაგრამ თუ ონტოლოგია საგნის მხრივ განსაზღვრავს ლოგიკას, ლოგიკა თავისებურად განსაზღვრავს ონტოლოგიას. ონტოლოგია ლოგიკის განმსაზღვრელია საგნობრივის მხრივ, ლოგიკა კი ლოგიკურად განსაზღვრავს ონტოლოგიას, ისევე როგორც სხვა მეცნიერებას. ლოგიკა ყოველი მეცნიერების ლოგიკური საფუძველია. ყველა მეცნიერება, მათ შორის ონტოლოგიაც, ლოგიკურად ემყარება ლოგიკას. ამიტომ, ლოგიკურად, ლოგიკა არის პირველი მეცნიერება. ლოგიკურის კატეგორიები (როგორც ეს ქვემოთ გაირკვევა) ლოგიკურად აფუძნებს ყველაფერს ჩვენს ცოდნაში — ყველა მეცნიერებაში, კერძოდ, ონტოლოგიაშიც. ცოდნის ყოველ სფეროში ყველაფერი საბუთდება ლოგიკის საშუალებებით, რომელთა ლოგიკური დასაბუთება თვითონ ლოგიკის საშუალებებითვე წარმოებს. ლოგიკას არ შეიძლება წინ უსწრებდეს სხვა ლოგიკა; ესეც ხომ ლოგიკა იქნებოდა? ლოგიკა სხვა მეცნიერებების ლოგიკური საფუძველიცაა და თავის თავის ლოგიკურ საფუძველსაც შეიცავს და წარმოადგენს (ამიტომ მიაჩნდა არისტოტელეს თავისი ლოგიკა ყველა მეცნიერების შესავლად).

§ 5. ლოგიკურის ობიექტურობა

როგორც ითქვა, ლოგიკური არის აზრში ობიექტური, მაგრამ იგი განსხვავდება ობიექტურად, ჩვენგან, აზრისაგან დამოუკიდებლად არსებულისაგან. ლოგიკურის ობიექტურობა არის ჭეშმარიტების ობიექტურობა. ეს ობიექტურობა აზრისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს; ის არსებობს აზრში სწორედ აზრის განსაზღვრულობის სახით. აზრის ეს განსაზღვრულობა საგანზეა დამოკიდებული და არა აზრზე. აზრის ასეთი განსაზღვრულობა აზრისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ აზრისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. მაგალითად, აზრი, რომ $2\times2=4$ და არა 5 დამოკიდებულია საგანზე და არა აზრზე, თუმცა ის აზრის გარკვეული განსაზღვრულობაა. ობიექტურად არსებული საგანი კი აზრისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს. ამრიგად, ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ „ობიექტური“, როგორც აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული, და „ობიექტური“, როგორც აზრისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ აზრში მყოფი, აზრის განსაზღვრულობა, რომელიც აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული საგნით არის განსაზღვრული. აზრის ასეთი ობიექტური განსაზღვრულობა სხვა არაფერია, თუ არა საგნის გაგება, ცოდნა საგნის შესახებ, ამიტომ ვამბობთ, რომ

ობიექტური, რომელიც აზრში არსებობს, როგორც აზრის გარკვეული განსაზღვრულობა, ლოგიკის საგანს წარმოადგენს, მას ლოგიკა სწავლობს და არა სხვა მეცნიერება; ეს ასეა იმიტომ, რომ ლოგიკური სპეციფიკურ კანონებს ექვემდებარება, ეს არის ლოგიკურის კანონები, რომელთაც არსში ადგილი არ აქვთ.

ლოგიკური აზრი არის აზრი საგანზე, ამიტომ იგი ობიექტურია; თვითონ საგნის ობიექტური არსებობა კი სრულიად სხვა რამ არის. მაგ., რაოდენობრივი ცვლილება საგანში ამ ცვლილების გარკვეულ საფეხურზე იწვევს საგნის თვისობრივ ცვლილებას, რაოდენობა გადადის თვისობრიობაში, მაგრამ თავისებურია რაოდენობის ცნების გადასვლა თვისობრიობის ცნებაში. რაოდენობის ცნებაში იგულისხმება ის, რომ რაოდენობა არის ეს (საგნის აუცილებელი და გარეგანი განსაზღვრულობა) და არა სხვა, ეს კი რაოდენობის თვისობრიობის აზრობლივი გამოთქმაა, ამით რაოდენობის ცნება გადავიდა თვისობრიობის ცნებაში. ეს გადასვლა შესრულდა რაოდენობის ცნების ლოგიკური განსაზღვრებით. რაოდენობის ცნების განსაზღვრებისათვის აუცილებელია თვისობრიობის ცნება. აქ ნათლად ჩანს ის, რომ სინამდვილეში არსებული ობიექტური კავშირი განსაზღვრავს შესატყვის აზრთა კავშირს, თუმცა ეს უკანასკნელი თავისებურია, პირველისგან არსებითად განსხვავებულია (შებრუნებული მდგომარეობაა ჰეგელთან, რადგან, მისი აზრით, ლოგიკური განსაზღვრავს საგნობრივს და არა პირიქით. ამიტომ მოუხდათ მარქსსა და ენგელსს თავდაყირა დაყენებული ჰეგელის დიალექტიკის ფეხზე დაყენება).

ასე ითქმის ყოველი ცნების შესახებ, რადგან ცნება არის აზრი საგნის არსების შესახებ. საგნის არსება და მის შესახებ ცნება, ცხადია, სხვადასხვაა, მაგრამ ცნება სწორედ საგნის არსებით განისაზღვრება, მის აზრობლივ გამოთქმას წარმოადგენს; ამიტომაა ცნება ობიექტური. ასე ითქმის მსჯელობის შესახებაც. მსჯელობა გამოთქვამს (აზრობლივად) სინამდვილეში არსებულ გარკვეულ კავშირს, მაგრამ თვითონ საგნობრივ სინამდვილეში, ცხადია, არ არსებობს მსჯელობა (როგორც ეს ჰეგელს ეგონა). ასეთია დასკვნაც, როგორც გარკვეული ლოგიკური შუალობითი კავშირი, რომელიც საგნებში არსებული კავშირით განისაზღვრება. დასაბუთების სისტემაც ემყარება სინამდვილეში არსებულ სისტემას; ამიტომაა ის ობიექტური.

ყველაფერი ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ლოგიკური ეხება საგანს და თითქოს შეუძლებელია ლოგიკური თვითონ ლოგიკურის შესახებ; არა, ლოგიკური ობიექტურია, ასეთივეა, სწორედ ამის გა-

მო, ლოგიკურიც თვითონ ლოგიკურის შესახებ. მაგ., არსებობს ცნების ცნება, მსჯელობა მსჯელობის შესახებ. იმის გამო, რომ ცნება ობიექტურია, სწორედ ამიტომ ამ ცნების შესახებ ცნებაც ასეთია. ასე ითქმის მსჯელობის შესახებ მსჯელობაზეც.

აზრის ობიექტურობა აზრის საგნით განსაზღვრულობაში მდგომარეობს. ეს შესაძლებელია იმით, რომ გარკვეული კანონები, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ერთი და იგივეა არსსა და აზრში. ამ მხრივ, არსი და აზრი ერთი და იგივე კანონებს ექვემდებარება, თუმცა ისინი სხვადასხვა ფორმის არიან(ფ. ენგელსი). საგნობრივი ფორმით არსებობა სხვაა, აზრის ფორმით არსებობა კი სხვა. არსისა და აზრის კანონები — ეს ორი რიგის კანონები (ლაპარაკია უზოგადეს კანონებზე) არსებითად ერთი და იგივეა (ენგელსი). არსისა და აზრის ამ საერთოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აზრის ობიექტური ხასიათი და არსი აზრისათვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა, მისგან სრულიად მოწყდებოდა. აზრი არის ასახვა და არა ისეთივე არსი, როგორიც ასასახი საგანია, თუმცა მეორე პირველს ასახავს.(აზრში არსებული ობიექტური — ლოგიკური აზრის ფორმით არსებული არსია, მისი თავისებური გამოთქმაა.)

არსისა და აზრის საერთო—უზოგადესი კანონები, რომლებიც არსებითად ერთი და იგივეა და მხოლოდ გამოხატულებით განსხვავდებიან,[1] უზოგადესია სწორედ იმიტომ, რომ როგორც არსის, ისე აზრის სპეციფიკურობას გულისხმობს (და სრულიადაც არ აუქმებს). ზოგადი არ არსებობს კერძოების გარეშე. ზოგადი სწორედ კერძოების ზოგადია. ის გარემოება, რომ არისტოტელეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი არსისა და აზრის უზოგადეს კანონად მიაჩნდა, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ არისტოტელე თავის „მეტაფიზიკასა“ და „ორგანონს“ ერთიმეორესთან აიგივებდა. ეს ორი მეცნიერება ერთიმეორისაგან განსხვავდება მათთვის უზოგადესის, საერთოს საფუძველზე. ჰეგელისათვის არსისა და აზრის უზოგადესი კანონი იყო წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, მაგრამ ამით იგი სრულიადაც არ აიგივებდა თავის „ლოგიკას“ და, მაგალითად, „ნატურფილოსოფიას“. რაიმეს სპეციფიკურობა სწორედ მ ი ს ი სპეციფიკურობაა და არა ამ სპეციფიკურობის უარყოფა.

შეუძლებელია ლოგიკურის ობიექტურობის უარყოფა. ლოგიკური არ შეიძლება არ იყოს ობიექტური. ობიექტურობის უარყოფა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ სუბიექტური იქნებოდა აბსოლუტუ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, 1950, გვ. 465 (ფ. ენგელსის „ლ. ფოიერბახიდან“).

რი, მაშასადამე, ობიექტური ხასიათისა; სუბიექტური გამოვიდოდა ობიექტურის როლში, რაც შეუძლებელია, უაზრობას წარმოადგენს. თუ აზრს შეუძლია ობიექტური გამორიცხოს, მაშინ თვითონ გამოდის ობიექტის როლში. თუ სიმბოლო თავისთავადია, არ საჭიროებს აღსანიშნავს, მაშინ თვითონ კისრულობს საგნად არსებობის როლს. საგანი და ობიექტური თავიდან მოუცილებელია ლოგიკურისათვის. თუ ობიექტურობის უარყოფა შესაძლებელია, მაშინ თვითონ ეს უარყოფა იქნება ობიექტურისა და აბსოლუტურის როლის შემსრულებელი. ასეთი შეცდომა არის ლოგიკურის ობიექტურობის აუცილებლობის მაჩვენებელი, თავისებურად დამსაბუთებელი (ამ „შესავლისათვის“ აქ თქმულიც საკმარისია, ლოგიკურის ობიექტური ხასიათი ქვემოთ უკეთ გაშუქდება).

§ 6. ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა

ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულების საკითხს ქვემოთ რამდენიმე პარაგრაფი სპეციალურად მიეძღვნება, საერთოდ კი იგი მთელი ამ ნაშრომის მანძილზე გადაწყდება; აქ — „შესავლისათვის“ კი საკმარისია რამდენიმე დებულებაზე მითითება.

პირველად კანტმა განასხვავა ერთიმეორისაგან ფორმალური ლოგიკა ანუ ზოგადი ლოგიკა და შემეცნებისთეორიული ანუ ტრანსცენდენტალური ლოგიკა. მისი აზრით, ფორმალური ლოგიკა სწავლობს აზროვნების ფორმებს შინაარსის გარეშე, ტრანსცენდენტალური ლოგიკა კი არის ლოგიკის გამოყენება შემეცნების შინაარსისადმი და ამით მისი განვითარება.

მართლაც, ფორმალური ლოგიკა სწავლობს აზრის ლოგიკურ ფორმებს, კანონებსა და წესებს. დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ლოგიკა, არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა მეცნიერება აზროვნების ფორმებისა, კანონებისა და წესების შესახებ. ამიტომ ორივე ამ ლოგიკას ერთი საგანი აქვს. მაგრამ ორი ლოგიკის აღიარება ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს, რადგან ორ ლოგიკას გამაერთიანებლად დასჭირდება მესამე და ა. შ. სადაა ამ სიძნელიდან გამოსავალი? გამოსავალი აქ ისაა, რომ ორივე ეს ლოგიკა ერთი და იგივე ლოგიკის განვითარების საფეხურებს წარმოადგენს; ფორმალური ლოგიკა არის ლოგიკის განვითარების დაბალი საფეხური, დიალექტიკური ლოგიკა კი უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს (ის გარემოება, რომ ფორმალური ლოგიკა დღესაც ვითარდება, არ აუქმებს ამ ჩვენს დებულებას; ფორმალური ლოგიკის განვითარება, თუ ის სწორად წარიმართა, აუცილებლად მიდის დიალექტიკურ ლოგიკამდე).

დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის ერთი მეორისაგან განსასხვავებლად და იმის საჩვენებლად, რომ აქ ერთი და იგივე ლოგიკის განვითარებასთან გვაქვს საქმე, ჯერჯერობით, დავკმაყოფილდეთ რამდენიმე დებულებაზე, რამდენიმე მაგალითზე მითითებით (რომელთაც შემდგომ დაწვრილებით გავარჩევთ).

ფორმალურ ლოგიკას იგივეობა ცალმხრივად ესმის, როგორც მხოლოდ აბსტრაქტული იგივეობა --- იგივეობა ყოველგვარი განსხვავების გარეშე, დიალექტიკური ლოგიკა კი აღიარებს კონკრეტულ იგივეობას — განსხვავების შემცველ იგივეობას, ე. ი. იგივეობა ესმის არა ცალმხრივად, არამედ სრულად.

ფორმალური ლოგიკა წინააღმდეგობას უარყოფს, რადგან წინააღმდეგობა შეცდომად მიაჩნია. დიალექტიკური ლოგიკაც უარყოფს შიშველ წინააღმდეგობას როგორც შეუძლებლობას, შეცდომას. მართლაც, შეუძლებელია ორ საწინააღმდეგოთაგან ერთი იყოს მეორე; მაგრამ წინააღმდეგობის უარყოფის დროს წინააღმდეგობა, როგორც კატეგორია, მოიხმარება; ამიტომ დიალექტიკა წინააღმდეგობას კი არ აუქმებს. არამედ ამართლებს იმით, რომ აღმოაჩენს წინააღმდეგობის საფუძველს — ერთიანობას (როცა ასეთი საფუძველი არსებობს), ე. ი. აღიარებს წინააღმდეგობის ერთიანობას, რომლის მომენტსაც წინააღმდეგობა შეადგენს.

ფორმალური ლოგიკის მიმდევართა უმრავლესობა აღიარებს მსჯელობის ანალიზურობას, დიალექტიკური ლოგიკა კი ასაბუთებს მსჯელობის სინთეზურობას, რომელიც ანალიზურობას მომენტად შეიცავს. თუ არისტოტელისათვის მსჯელობა არის მტკიცება ან უარყოფა, დიალექტიკური ლოგიკისათვის მსჯელობის აზრი მტკიცება-უარყოფაში მდგომარეობს.

ფორმალური ლოგიკისათვის დასკვნა არის ანალიზური გამომდინარეობა, დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით კი დასკვნა სინთეზურია, ის არის აუცილებელი სინთეზური შუალობითი კავშირი, რომელიც ანალიზურობას მომენტად შეიცავს (და არ გამორიცხავს).

ფორმალურ-ლოგიკური დიალექტიკურ-ლოგიკურის ცალმხრიობაა; მაგალითად, მსჯელობა ფორმალურ ლოგიკაში გაგებულია როგორც SP+P — როგორც ანალიზური, დიალექტიკური ლოგიკა კი ამართლებს მსჯელობას — S+P, რაც იგივეობისა და განსხვავების ერთიანობას წარმოადგენს (ფორმალურ ლოგიკაშიც მსჯელობა ასე იწერება: S+P, მაგრამ იგულისხმება SP+P).

ფორმალური ლოგიკა აღიარებს ლოგიკურ მეთოდებს — ინდუქციას, დედუქციას და სხვ. დიალექტიკური ლოგიკისათვის კი ეს მე-

თოდები კერძო მეთოდებს წარმოადგენს; უნივერსალური მეთოდი კი დიალექტიკური მეთოდია, სახელდობრ, დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი. ეს არის ლოგიკური დალაგების, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი.

მთავარია ის, რომ დიალექტიკური ლოგიკა, ძირითადად, კატეგორიების ლოგიკაა, რასაც ფორმალური ლოგიკა არ წარმოადგენს.

პირველად ჰეგელმა აღიარა დიალექტიკურ-ლოგიკური. მისი აზრით, ლოგიკური სამი მომენტის შემცველია: აბსტრაქტულ-ლოგიკურის, უარყოფით-დიალექტიკურისა და დადებით-დიალექტიკურისა. ჩვენ კი შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ სრული ლოგიკური არის უსაზრულო ლოგიკური, რომლის ცალმხრიობასაც წარმოადგენს სასრული ლოგიკური, რომელიც ფორმალურ ლოგიკას სრულ ლოგიკურად წარმოედგინა (აქ აღნიშნული დებულებები ამ შრომის შემდგომ დალაგებაში სრულ დახასიათებას ჰპოებს).

დიალექტიკური ლოგიკის მიერ აზროვნების ფორმების თავისებური გაგება არ არის ისეთი „ინტერპრეტაცია“, როცა საინტერპრეტაციოს ბუნება იგივე რჩება. მაგ., დასკვნა არ არის სქემა, რომლის მოდელებს, ამ აზრით, ინტერპრეტაციებს წარმოადგენს მისი ფორმალურ-ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგიკური გაგება. დასკვნა სქემა კი არაა, აზრია; ფორმალურ-ლოგიკურად დასკვნა წარმოადგენს აზრთა ანალიზურ გამომდინარეობას; დიალექტიკურ-ლოგიკურად კი დასკვნა აზრთა სინთეზური აუცილებელი შუალობითი კავშირია, ანალიზურ-სინთეზური კავშირია და სხვ.

§ 7. ლოგიკა როგორც ფილოსოფიური მეცნიერება

კერძო მეცნიერებანი იყენებენ ფილოსოფიურ კატეგორიებს, მაგალითად, არსებობას, რაოდენობას, თვისობრიობას, არსებას, ჰეშმარიტებას და სხვ., რომლებიც მხოლოდ ფილოსოფიაში შეისწავლება./ფილოსოფია არის ზოგადი მეცნიერება, რომლის საგანიც ზოგადია სხვა მეცნიერებათა საგნების — ობიექტების მიმართ. თუ კერძო მეცნიერების საგანს მოძრაობის ესა თუ ის ფორმა წარმოადგენს, ფილოსოფია მოძრაობა-განვითარების უზოგადეს კანონებს (დიალექტიკის ძირითადი კანონები) სწავლობს; ამგვარი უნდა იყოს ყოველი ფილოსოფიური მეცნიერება, მათ შორის ლოგიკაც. ლოგიკა ფილოსოფიურ მეცნიერებად იყო გაგებული და ასეთად უნდა დარჩეს.

არისტოტელეს ლოგიკა — „ორგანონი“—იყო საერთოდ ცოდნის იარაღის შემსწავლელი მეცნიერება. ის მასთან გაგებული იყო რო-

გორც ერთგვარი შესავალი ფილოსოფიური მეცნიერებებისა და საერთოდ ცოდნისა. ლოგიკა ფილოსოფიურ მეცნიერებად მიაჩნია კანტს, ჰეგელს, ჰუსერლს და ბევრ სხვას. ასე ესმის ლოგიკა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას. მაგრამ მათემატიკური—სიმბოლიური—ლოგიკა არის კერძო, სპეციალური მეცნიერება, როგორც ამას ამ მეცნიერების დიდი წარმომადგენლები აღიარებენ, ის არ არის ფილოსოფიური მეცნიერება (ამაზე ქვემოთ).

ლოგიკა რომ კერძო მეცნიერება იყოს, მაშინ მის კანონებს არ ექნებოდა ზოგადი მნიშვნელობა ყველა მეცნიერებისათვის. ლოგიკა არ სწავლობს ყველა მეცნიერების საგნებისათვის ზოგად საგანს (როგორც მატერიალისტური დიალექტიკა); მაგრამ ის მაინც ზოგადია, რადგან მი ს საგანს წარმოადგენს აზრის კანონები და წესები, რომლებიც ყველა მეცნიერების, საერთოდ ცოდნის, ზოგად და ობიექტურ საშუალებებს — გარკვეულ ლოგიკურ პირობებს თუ საფუძვლებს წარმოადგენს. მაგალითად, ლოგიკურის კატეგორიები (იგივეობა, წინააღმდეგობა, საფუძველი, ზოგადი და სხვ.) ყოველგვარი ცოდნის ობიექტურ საშუალებებს წარმოადგენს. ლოგიკის საგანი არის უზოგადესი საშუალება-საფუძველი ყველა მეცნიერებისათვის, საერთოდ ცოდნისათვის.

ყოველი ცოდნა გამოიხატება ცნება-მსჯელობა-დასკვნებში, რომლებსაც მხოლოდ ლოგიკა შეისწავლის. ყველა მეცნიერებაში წარმოებს დასაბუთება, რომლის გარეშე მათ (მეცნიერებებს) აზრი არ აქვს, მაგრამ დასაბუთება ლოგიკის საგანს შეადგენს, და სხვ.

ლოგიკისათვის მისი საგანი არ არის გარედან — წინასწარ მიღებული, როგორც ამას ადგილი აქვს კერძო მეცნიერებებში. ლოგიკის მეთოდი არის აზრის წესი — ფორმა, რომელსაც იგივე ლოგიკა შეისწავლის. ლოგიკის მეთოდი მისივე საგანია (მაგალითად, ინდუქცია, დედუქცია, რედუქცია, დიალექტიკური მეთოდი). ლოგიკა რეფლექსური მეცნიერებაა (ისე როგორც გნოსეოლოგია), რადგან ის არის გარკვეული აზროვნება თვითონ აზროვნების ფორმებზე, ის არის ცოდნა ცოდნის ფორმებზე. ლოგიკის კანონები და წესები არა მხოლოდ სხვა მეცნიერებებში მოიხმარება, არამედ თვითონ ლოგიკაშიც. ლოგიკას წინ უსწრებს რეალური საფუძველი (სინამდვილე), მაგრამ იგი ლოგიკურად სხვას არაფერს არ ემყარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით რეგრესს უსასრულობაში.

ლოგიკა რომ კერძო — სპეციალურ მეცნიერებას წარმოადგენდეს, მაშინ ის ისეთ რაიმეს დაემყარებოდა, რომელსაც სხვი ლოგიკა დასჭირდებოდა. მაშასადამე, ლოგიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა.

§ 8. ლოგიკა და „მათემატიკური ლოგიკა"

როგორც ითქვა, შეუძლებელია ერთზე მეტი ლოგიკა. „მათემატიკური" ლოგიკა კი მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლებელია კიდევ სხვა ლოგიკა. გამოთქმები „მათემატიკური", „ფორმალური", „დიალექტიკური" მიუთითებენ სხვა ლოგიკის აუცილებლობაზე, რაც შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელია „ლოგიკა" ყოველივე დამატების გარეშე. ჩვენ ვხმარობთ „დიალექტიკურ" ლოგიკას მხოლოდ „ფორმალური" ლოგიკისაგან განსასხვავებლად, იქ კი უმჯობესია გამოთქმა „ლოგიკა".

ლოგიკა არ შეიძლება იყოს „მათემატიკური", რადგან მათემატიკური მეთოდები არ არის ყველა მეცნიერებისათვის არსებითი და ზოგადი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბოლოო ანგარიშში, ყველა მეცნიერება მათემატიკად უნდა ქცეულიყო. მართალია, ყველა საგანს აქვს რაოდენობრივი მხარე, ამიტომ მათემატიკური საერთო შეიძლება იყოს ბევრისათვის, მაგრამ თვისობრიობაც ხომ საერთოა ბევრი საგნისათვის; თვისობრიობის დაყვანა რაოდენობაზე შეუძლებელია, რადგან მხოლოდ რაოდენობის აღიარება რაოდენობის თვისობრიობის აღიარებაა. რაოდენობის გარკვეული არსებობა უკვე მისი თვისობრიობაა. ასეთია ზომაც, არსებაც და სხვა კატეგორიები. საგანი განსაზღვრავს მეთოდს და არა პირიქით; ლოგიკის საგანი განსაზღვრავს მის მეთოდს. მათემატიკური მეთოდები კი მათემატიკის საგნის შესატყვისი მეთოდებია.

ლოგიკის და „მათემატიკური ლოგიკის" დამოკიდებულების შესახებ აქ ჩამოთვლით აღვნიშნავთ იმას, რაც შემდეგ უფრო დაწვრილებით გაირკვევა. ლოგიკა არის და უნდა იყოს მეცნიერება საერთოდ აზროვნების და ცოდნის უპირველესი, უზოგადესი საფუძველ-საშუალებების (ლოგიკის კატეგორიები) შესახებ. მათემატიკური ლოგიკა კი ეყრდნობა თანაარსებობა-თანამიმდევრობას (კლასი); მასში არსებითია დროულ-ვრცეული მიმართებები, საგანთა მათემატიკური მიმართებები.[1] სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ აქსიომატური მეთოდი ემყარება კანტის ფილოსოფიურ სახელმძღვანელო დებულებას იმის შესახებ, რომ ლოგიკური ეყრდნობა არალოგიკურს— გრძნობად ინტუიციას,[2] ე .ი. კანტის „ტრანსცენდენტალურ ესთეტიკას" (მოძღვრებას დროსა და სივრცეზე). ამიტომ აღნიშნავენ იმას,

[1] Д. Гильберт и В. Аккерман, Основы теоретической логики, Москва, 1947 г., გვ. 81 და შემდეგ.

[2] Д. Гильберт, Основания геометрии, М., 1948 г., გვ. 351, 353, 360, 366, 373, 377.

რომ მათემატიკურ ლოგიკას ესთეტიკური ხასიათი აქვს და იგი ლოგიკის, როგორც „კანონის“, ზოგიერთი დებულების გამოყენებას წარმოადგენს.[1] კონსტრუქციული მათემატიკური ლოგიკაც უშუალოდ ეყრდნობა დროისა და სივრცის არალოგიკურ ბუნებას, დროისა და სივრცის ინტუიციას.

სწორედ მათემატიკური საგანი განსაზღვრავს მათემატიკური ლოგიკის ძირითად მეთოდებსა და ცნებებს, მაგალითად, აქსიომატურ მეთოდს და ფუნქციისა და ცვლადის ცნებებს. ფუნქციური დამოკიდებულების აუცილებლობა მათემატიკისათვის სპეციფიკურია, ის არ არის საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების აუცილებლობა — ლოგიკური აუცილებლობა. არც ცვლადის ცნებაა ლოგიკურისათვის დამახასიათებელი. ცვლადის ცნება მათემატიკის სპეციფიკურსა და ძირითად ცნებას წარმოადგენს (როგორც ეს ქვემოდ გაირკვევა). სწორედ ცვლადის ცნება იძლევა შესაძლებლობას ისეთი მათემატიკურ-მექანიკური მეთოდის გამოყენებისა, როგორიცაა ჩასმის ხერხი, რომლის გამოყენებაც მათემატიკურ ლოგიკაში დასაბუთებას მექანიკური პროცესის ხასიათს აძლევს (მაგალითად, გადაწყვეტადობის პრობლემის გადაწყვეტის დროს).

სწორედ მათემატიკური საგანი განსაზღვრავს მათემატიკურ ლოგიკას, როგორც სიმბოლიურ ლოგიკას. პირობითი ნიშნები და სქემები მათემატიკურ ლოგიკაში ზოგადობის მაგიერ მოიხმარებიან, მაშინ როცა ლოგიკაში, რომლის განვითარებულ სახესაც დიალექტიკური ლოგიკა წარმოადგენს, უზოგადეს ცნებებსა და კავშირებს ლოგიკურის კატეგორიები და მათი კავშირები წარმოადგენს.

მათემატიკურ ლოგიკაში modus ponens-ის მეტალოგიკურ წესად გამოყენება იმას ნიშნავს, რომ მათემატიკური ლოგიკა წინასწარ გულისხმობს ლოგიკას, როგორც ასეთს; ამ გარემოებას ისიც მოწმობს, რომ კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურის მოდუსებს აქსიომებად მიიჩნევენ და ლოგიკის შინაარსი დაყავთ მათზე სხვა მოდუსების რედუქციაზე (ლუკასევიჩი). ეს იმას ნიშნავს, რომ მათემატიკური ლოგიკა არის ლოგიკის გამოყენება გარკვეულ, სახელდობრ, მათემატიკურ სფეროში; მათემატიკური ლოგიკა გამოყენებითი ლოგიკაა, სადაც ლოგიკის ძირითადი ცნებები (ცნება, მსჯელობა, დასკვნა, დასაბუთება) სრულიად თავისებურ ხასიათს ღებულობს (ამის შესახებ ქვემოდ გვექნება საუბარი); საფუძველ-შე-

---

[1] K. Wuchterl, Reine und mathematische Logik. „Zeitschrift für philosophische Forschung“, Bd. XVIII, H 3. Juli-September, 1964, გვ. 408, 418—419, 421.

დეგის დამოკიდებულების მაგიერ მიმართავენ იმპლიკაციას, მსჯელობის მაგიერ — წინადადებას, ცნების მაგიერ — პროპოზიციულ ფუნქციას, დასაბუთება ესმით როგორც ფორმულათა თანამიმდევრობა, რომელიც წარმოებს მეტალოგიკური წესების გამოყენებით და შინაგან გამომდინარეობას არ წარმოადგენს. აქსიომების ბუნებიდან, მეტაწესების გარეშე, არაფერი არ გამომდინარეობს; ჩასმის ხერხის და modus ponens-ის გამოყენება კი ფორმულათა გამომდინარეობას მექანიკური პროცესის ხასიათს აძლევს.

მათემატიკური ლოგიკა არ სწავლობს ცნება-მსჯელობა-დასკვნას, როგორც აზროვნების ფორმებს; ეს მისთვის გაუგებარია.[1] მასში ძირითადად მიჩნეულია სივრცით-დროული მიმართებები, მაგალითად, წერტილთა მიმართებები სივრცეში, ვთქვათ, B წერტილი ძევს A და C წერტილებს შუა, რასაც ახასიათებს სიმეტრიულობა, რომელიც თითქოს გაუგებარი იყოს ძველი ლოგიკისათვის.[2] ეს სიმეტრიულობა დამახასიათებელია საგნებისთვის, რომელსაც ლოგიკა არ სწავლობს და, ცხადია, ის მისთვის „გაუგებარი" იქნება. საგნობრივი მიმართებების ლოგიკის საგნად გამოცხადება არა თუ არ აფართოებს ლოგიკის სფეროს, როგორც ამას მათემატიკური ლოგიკის წარმომადგენლები ფიქრობენ, არამედ, საბოლოო ანგარიშში, აუქმებს მას.

როგორც ამას შემდგომ გავარკვევთ, ფილოსოფიური ლოგიკის ფორმალიზაცია შეუძლებელია. მათემატიკური ლოგიკა, როგორც აქსიომატური და ფორმალიზებული მეცნიერება, სპეციალურ მეცნიერებას, სახელდობრ, მათემატიკურ მეცნიერებას წარმოადგენს; აქსიომები, როგორც დაუსაბუთებელი დებულებები (აქ შედის მათემატიკური ლოგიკის აქსიომებიც და მეტაწესებიც. ორივე დაუსაბუთებელ დებულებებს, ამდენად, ზოგად-ლოგიკური აზრით, აქსიომებს წარმოადგენენ) ფილოსოფიური ლოგიკის გამოსავალ დებულებებად არ გამოდგება. დასაბუთებაში დაუსაბუთებლის შეტანა ან დასაბუთების დამყარება დაუსაბუთებელზე ლოგიკურ ნაკლს და შეუძლებლობას წარმოადგენს. ზუსტი გაგებით მათემატიკურ ლოგიკაში შეისწავლება არა ზოგადლოგიკური მეთოდი, არამედ „ლოგისტიკური მეთოდი"[3] (ამის შესახებ შემდგომ).

მაგრამ მთავარი, რომელიც დამახასიათებელია როგორც ტრადიციული (დაწყებული არისტოტელედან), ისე მათემატიკური ლო-

---

[1] Я. Лукасевич, Аристотелевская силлогистика..., გვ. 48, 50.

[2] Д. Гильберт и В. Аккерман, Основы теоретической логики, გვ. 82.

[3] იხ. А. Чёрч, Введение в математическую логику, I, გვ. 48.

გიკისათვის, ეს არის ცნებათა მხოლოდ ერთმნიშვნელოვანების აღიარება და ორმნიშვნელოვანების გაუგებრობა, მაგალითად, იმის გაუგებრობა, რომ უარყოფით დადებით მნიშვნელობაც აქვს და სხვ.[1] ის. რაც დაუძლეველი იყო ძველი ლოგიკისათვის, დაძლეული და გადაწყვეტილია დიალექტიკურ ლოგიკაში.

მეცნიერება, რომელიც მოიხმარს დაუსაბუთებელს. მხოლოდ კერძო მეცნიერება შეიძლება იყოს, რადგან მისი საფუძვლები სხვაგან, სახელდობრ. ფილოსოფიაში უნდა გაირკვეს. ყველა კერძო მეცნიერება იყენებს ისეთ კატეგორიებსა და კანონებს, რომლებიც მხოლოდ ფილოსოფიაში შეისწავლება. ასეთია მათემატიკური ლოგიკაც, როგორც სპეციალური მათემატიკური დარგი, რომელსაც უდიდესი ტექნიკური გამოყენება აქვს (ფილოსოფიას უდიდესი პრაქტიკული გამოყენება აქვს, მაგრამ არა ტექნიკური. ტექნიკური არაა იგივე, რაც პრაქტიკული).

„მათემატიკური ლოგიკა" უმყარება ზოგადი ლოგიკის კანონებს, მაგრამ ამ კანონების ბუნება ამ „ლოგიკაში" არ შეისწავლება. შეიძლება მეტიც ითქვას, ლუკასევიჩმა არისტოტელეს ლოგიკის მათემატიკური აქსიომატიზაცია მოიხდომა; ამით მან კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურის მოდუსები აქსიომებად ჩათვალა. მაშინ როცა არისტოტელესათვის მთავარს სწორედ ამ მოდუსების ბუნების გარკვევა შეადგენდა. „მათემატიკურ ლოგიკაში" არ განიხილება არც ერთი ფილოსოფიური კატეგორია (ისე როგორც სხვა სპეციალურ მეცნიერებაში), მაშინ როცა ფილოსოფიური კატეგორიების გამოყენების გარეშე ის (ისე როგორც სხვა კერძო მეცნიერება) აზრს ჰკარგავს.

მათემატიკური ლოგიკა რომ სპეციალური, არაფილოსოფიური მეცნიერებაა, ამას ამ დარგის სპეციალისტები აღიარებენ. აქსიომებზე ლოგიკის დაყრდნობის საბაბი მას არისტოტელემ მისცა, მაგრამ თვითონ არისტოტელეს „ორგანონი" (განსაკუთრებით „მეორე ანალიტიკა") ცოდნის თეორიას წარმოადგენს (ამიტომაა საჭირო მისი ამ მხრივ განვითარება).

მათემატიკური ლოგიკა, როგორც ითქვა, ეყრდნობა ფილოსოფიურ კატეგორიებს (მაგალითად, არსებობის, ზოგადის და სხვ. კატეგორიებს), მაგრამ ეს კატეგორიები მის ფარგლებს გარეთ რჩება, მაშინ როცა დიალექტიკური ლოგიკა, პირველ რიგში, კატეგორიების ლოგიკაა. კატეგორიების მათემატიკურ ლოგიკაში შეყვანა არ შეიძ-

[1] იხ. Heiss-ისა და G Günther-ის ზემოთ დასახელებული ნაშრომები.

ლება, რადგან, როგორც ცნობილია, კატეგორიების ფორმალიზაცია შეუძლებელია.

არ შეიძლება ლოგიკის ფორმალიზაცია-აქსიომატიზაცია, რადგან ლოგიკას არ შეიძლება მის ფარგლებს გარეთ ჰქონდეს ლოგიკური წანამძღვრები. ყოველგვარი ლოგიკური წანამძღვარი მხოლოდ ლოგიკაშიაა შესაძლებელი, მასში უნდა მოექცეს აუცილებლობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთიანი ლოგიკა, ე. ი. სწორედ ლოგიკა დაირღვეოდა (ლოგიკის აქსიომატიზაციის შეუძლებლობა ქვემოთ სპეციალურად იქნება განხილული).

ლოგიკის აღრიცხვაზე დაყვანა, რასაც მათემატიკურ ლოგიკაში აქვს ადგილი. შეცდომაა, რადგან აღრიცხვა მექანიკური ხასიათისაა, ლოგიკური კი შეუძლებელია ასეთი ბუნების იყოს. ჰეგელი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მანქანური აზროვნება თუ უვიცის აზროვნება ლოგიკაში უბედურებაა. ლოგიკის აღრიცხვაზე დაყვანა სპობს ლოგიკურს, ცნების ბუნებას აუქმებს. აღრიცხვაში შეცდომა არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს ლოგიკურ შეცდომასთან. სიმბოლოებს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ გვესმის ის, რაც სიმბოლოებით აღინიშნება, და თუ გვესმის თვითონ სიმბოლოები; ამიტომ სიმბოლო მხოლოდ მეორადია და არსებითს — პირველადს ვერ შეცვლის.

მაშასადამე, „მათემატიკური ლოგიკა" არაა ლოგიკა, რომელიც ფილოსოფიურ მეცნიერებას წარმოადგენს.

§ 9. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ

ლოგიკა, როგორც ამას შემდგომ სპეციალურად გავარკვევთ, თავისი არსებით იგივეა, რაც შემეცნების თეორია; ორივე ერთსა და იგივეს უნდა შეადგენდნენ, სახელდობრ, დიალექტიკურ ლოგიკას. აზრის დიალექტიკა და ლოგიკა ერთი და იგივეა.

ჰეგელამდე არსებობდა სამი ფილოსოფიური მეცნიერება: ონტოლოგია, ლოგიკა და შემეცნების თეორია — მეცნიერებანი არსის, აზრისა და მათი დამოკიდებულებების შესახებ. მაგრამ ამ სამს ახასიათებდა რაღაც იგივეობრივი, რომლის განვითარებამაც ისინი ერთიმეორესთან თავისებურად გააიგივა. ეს საერთო არის კატეგორიები. ლოგიკა, შემეცნების თეორია და ონტოლოგია კატეგორიებზე მოძღვრებად გადაიქცა. ამ გზით მოხდა მათი გაიგივება, ერთ მეცნიერებად გადაქცევა. დიალექტიკა ჩამოყალიბდა კატეგორიების

შესახებ მოძღვრებად. სწორედ დიალექტიკის გაბატონებამ შემეცნების თეორიაში და ლოგიკაში შექმნა დიალექტიკური ლოგიკა, რომელშიც დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. დიალექტიკა იქვემდებარებს ლოგიკურს და შემეცნებითს.

შემეცნება — ცოდნა დიალექტიკურია, დიალექტიკის კანონებს ექვემდებარება, სახელდობრ, იმ კანონებს, რომლებიც სინამდვილეში ბატონობენ, ე. ი. ონტოლოგიურ კანონებს წარმოადგენენ. არსისა და აზრის უზოგადესი კანონები დიალექტიკის კანონებია. სინამდვილის აზრობლივი ასახვა — ჰეშმარიტება დიალექტიკურია (ისე როგორც თვითონ სინამდვილე), რადგან ჰეშმარიტება, როგორც ეს მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორიაშია გარკვეული, არის: 1. ობიექტურის სუბიექტური სახე, 2) შეფარდებითისა და აბსოლუტურის ერთიანობა, 3) სასრულისა და უსასრულის ერთიანობა და სხვ. დიალექტიკური სინამდვილის ასახვა ხდება დიალექტიკური აზრით. ეს საგნის და აზრის ჰეგელიანური გაიგივება კი არაა, არამედ ის, რომ საგანთა დიალექტიკა ქმნის ცნებათა დიალექტიკას (და არა პირიქით, როგორც აქაც ადგილი აქვს ჰეგელის დიალექტიკაში). ამიტომ შემეცნებასა და ლოგიკაში ერთი და იგივე ობიექტურობაა, რომელსაც დიალექტიკური ხასიათი აქვს.

ჰეგელთან დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა ემყარება არსის და აზრის იგივეობას, მატერიალისტურ დიალექტიკაში კი — ასახვის დიალექტიკურობას.

დიალექტიკური ლოგიკა სწავლობს იმას, რაც შემეცნების თეორიის არსებას წარმოადგენს და რაც თავისი ბუნებით დიალექტიკურია. ეს არის ახალი მეცნიერება, რომელიც მოხსნილი სახით შეიცავს ძველ ლოგიკასა და შემეცნების თეორიას. ეს ლოგიკა ონტოლოგიურია, დიალექტიკურია სწორედ სინამდვილის კანონზომიერებაზე აზრის ობიექტურობის დაქვემდებარების გამო. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა არის ახალი მეცნიერების შექმნა, რომელიც არ აუქმებს არც ერთ მათგანს, პირიქით, სისრულით აშუქებს და წყვეტს საკითხებს, რომლებიც წინათ ცალმხრივად წყდებოდნენ სწორედ იმის გამო, რომ ზედმეტად ითიშებოდა არსი, აზრი და მათი დამოკიდებულება (ეს საკითხი ქვემოთ ცალკე თავში იქნება გაშუქებული).

აქ არსებითია ზემოთქმულიდან გარკვეული დასკვნების გამოტანა და დიალექტიკური ლოგიკის განსაზღვრების დადგენა. მაგრამ გასათვალისწინებელია ზოგიერთი მოსაზრება დიალექტიკური ლოგიკის, როგორც ლოგიკის, წინააღმდეგ; აგრეთვე, საჭიროა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სახელმძღვანელო დებულებების მომარჯვება დიალექტიკური ლოგიკის, როგორც მეცნიერების, უფლებამოსილების დასადგენად.

ზოგიერთი ლოგიკოსის (მხედველობაში გვყავს საბჭოთა დიალექტიკოსები) აზრით, დიალექტიკური ლოგიკა არ არსებობს, ის შეუძლებელია, რადგან დიალექტიკური არის სინამდვილე, მის შესახებ აზროვნება, სახელდობრ, ლოგიკური აზროვნება არ არის დიალექტიკური. სინამდვილე განვითარებას განიცდის, განვითარება შესაძლებელია დროში და იმის გამო, რომ იგი წინააღმდეგობრივია; ლოგიკური აზროვნება კი არაა დროული პროცესი, ამასთანავე, იგი არაა წინააღმდეგობრივი; წინააღმდეგობრივის შესახებ აზრი არ შეიძლება წინააღმდეგობრივი იყოს, თუ იგი ჭეშმარიტი და სწორი აზრია.

მაგრამ დიალექტიკური ლოგიკის შესაძლებლობას მოწმობს ის, რომ იგი ფაქტიურად არსებობს. ფაქტია ჰეგელის დიალექტიკური ლოგიკის არსებობა. ამ ლოგიკის იდეალისტურობა და ამიტომ არამეცნიერულობა არ ნიშნავს მატერიალისტური დიალექტიკური ლოგიკის შეუძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ იდეალისტური დიალექტიკის შესაძლებლობის აღიარებას მივიღებდით. თუ იდეალიზმის არამეცნიერულ ნიადაგზე როგორღაც მოხერხდა დიალექტიკური ლოგიკის შექმნა, მაშინ მეცნიერულობა, მატერიალიზმი ხელს კი არ შეუშლის, არამედ, პირიქით, ხელს შეუწყობს უნაკლო დიალექტიკური ლოგიკის ჩამოყალიბებას.

დიალექტიკური ლოგიკის შესაძლებლობა იმაში ჩანს, რომ არსებობს მისი სუბსტანცია, ეს არის დიალექტიკური აზროვნება, რომელსაც ადგილი ჰქონდა აზროვნების ისტორიაში და ახლაც ფაქტია მეცნიერულ აზროვნებაში. დიალექტიკური აზროვნების ნიმუშებს იძლევიან ჰერაკლიტე, პლატონი, კუზანელი, დეკარტი, ფიხტე, ჰეგელი, მარქსის „კაპიტალი", ვ. ი. ლენინის „ფილოსოფიური რვეულები" და სხვ. აგრეთვე, — ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია და სხვა მეცნიერებანი. დიალექტიკური ლოგიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია დიალექტიკური აზროვნების ფაქტების გათვალისწინება ფილოსოფიის ისტორიიდან, სპეციალური მეცნიერებე-

ბიდან და ჩვეულებრივი აზროვნებიდან, და, რაც მთავარია, თვითონ აზროვნების ლოგიკური ფორმების ბუნების განხილვა, რომელიც მათ დიალექტიკურობას გვიჩვენებს.

მატერიალისტური დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოების და აზროვნების მოძრაობა-განვითარების უზოგადეს კანონებზე. ბუნების დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნებაში არსებული მოძრაობა-განვითარების ზოგად კანონებზე; ისტორიული მატერიალიზმი სწავლობს ადამიანთა საზოგადოების განვითარების დიალექტიკას. დიალექტიკური ლოგიკა კი არის მეცნიერება აზროვნების დიალექტიკაზე, მასში არსებული ლოგიკური მოძრაობა-განვითარების კანონებზე. მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები სპეციფიკურად ლოგიკურ აზროვნებაში ვლინდება; ეს სპეციფიკურობა სწორედ ამ კანონების სპეციფიკურობაა (და არა მათი გაუქმება), ამიტომ დიალექტიკურ ლოგიკას სრულიად გარკვეული საგანი აქვს.

დღესდღეობით დავა კიდევ გრძელდება იმის შესახებ — ლოგიკა დიალექტიკურია თუ მხოლოდ ფორმალური; შესაძლებელია თუ არა და როგორ არის შესაძლებელი დიალექტიკური ლოგიკა?

საბჭოთა კავშირში არსებობს ლოგიკოსების სამი ჯგუფი, რომლებიც აქ დასმულ კითხვაზე განსხვავებულ პასუხს აძლევენ.

1. საბჭოთა ლოგიკოსების ერთი ჯგუფი სცნობს მხოლოდ ფორმალურ ლოგიკას და, როგორც აღინიშნა, აღიარებს დიალექტიკური ლოგიკის შეუძლებლობას. ამ ლოგიკოსების აზრით, დიალექტიკურია სინამდვილე და მისი შემეცნება, ლოგიკური კი არაა დიალექტიკური. ლოგიკოსთა ამ ჯგუფის ერთი ნაწილი ლოგიკას ფილოსოფიურ მეცნიერებად თვლის, მეორე ნაწილი კი ლოგიკას სპეციალურ — კერძო მეცნიერებად მიიჩნევს; თანამედროვე ფორმალური ლოგიკა, როგორც არაფილოსოფიური — კერძო მეცნიერება, არის მათემატიკური ლოგიკა, რომელიც ზოგიერთებს მიაჩნიათ ძველი — ტრადიციული ფორმალური ლოგიკის და, კერძოდ არისტოტელეს ლოგიკის (ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკას ასხვავებენ არისტოტელეს ლოგიკისაგან) განვითარებად, ზოგიერთის აზრით კი მათემატიკური ლოგიკა არის ძველი — ტრადიციული — ლოგიკის დაძლევა და სრულიად ახალი მეცნიერება. მათემატიკური ლოგიკა, როგორც აღინიშნა, მართლაც არის კერძო მეცნიერება. ამას ისიც მოწმობს, რომ არსებობს, მსგავსად გეომეტრიის სისტემებისა, მათემატიკური ლოგიკის მრავალი სისტემა (ორნიშნა, სამნიშნა, მრავალნიშნა და სხვ. ლოგიკები). ასეთი სიმრავლე ფილოსოფიური ლოგიკი-

სათვის შეუძლებელია. მრავალი ლოგიკის აღიარება, როგორც ითქვა, თვითონ ლოგიკის ცნებას ეწინააღმდეგება.

2. საბჭოთა ლოგიკოსების მეორე ჯგუფი იმ აზრისაა, რომ არსებობს ორი ლოგიკა — ფორმალური, რომლის განვითარების თანამედროვე სახე მათემატიკური ლოგიკაა, და დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც ახლა იწყებს განვითარებას. ზოგიერთი იმასაც აღიარებს, რომ არსებობს სამი ლოგიკა — ტრადიციული ფორმალური ლოგიკა, მათემატიკური ლოგიკა და დიალექტიკური ლოგიკა, რომლის პრინციპებიც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებშია მოცემული. ეს აზრი, როგორც ითქვა, არ უნდა იყოს სწორი, რადგან ერთზე მეტი ლოგიკის აღიარება ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს. ლოგიკა, როგორც ასეთი, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი.

3. საბჭოთა ლოგიკოსების მესამე ჯგუფი იცავს იმ აზრს, რომ არსებობს და უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი ლოგიკა, რომელიც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე დიალექტიკურ ლოგიკას წარმოადგენს; ფორმალური ლოგიკა კი ლოგიკის განვითარების დაბალი საფეხურია. ფორმალური ლოგიკა დიალექტიკურ ლოგიკაშია მოხსნილი და შენახული (და არავითარ შემთხვევაში გაუქმებული, როგორც ამას შეცდომით მიაწერენ ამ ჯგუფის წარმომადგენლებს). ფორმალურ-ლოგიკური დიალექტიკურ-ლოგიკურის ცალმხრიობას წარმოადგენს.

ჰეგელი განიხილავდა ლოგიკურის სამ მომენტს და ლოგიკის განვითარების სამ საფეხურს: 1. განსჯის ლოგიკა, ეს იყო ძველი ფორმალური ლოგიკა, მომდინარე არისტოტელედან, 2. უარყოფითი დიალექტიკა, წინააღმდეგობის აუცილებლობა, მაგ., კანტის ანტინომიებში, რამდენადაც აქ მოქმედებს ლოგიკურის გარკვეული მომენტი, რომელიც პირველი მომენტის — საფეხურის უკიდურესი განვითარების შედეგია და მისი ბუნებიდან გამომდინარეობს, 3. სპეკულაციური ლოგიკა — დადებითი დიალექტიკა.

ვისაც სურს დიალექტიკური ლოგიკის გაგება, მან ანგარიში უნდა გაუწიოს ჰეგელის მიერ ლოგიკურის სამი მომენტის დასაფუძნებლად წამოყენებულ არგუმენტებს. თუ ჰეგელის მიერ დიალექტიკური ლოგიკის სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტები არ იქნება დაძლეული, ისე დიალექტიკური ლოგიკის წინააღმდეგ ბრძოლა მარცხით დამთავრდება.

მოითხოვენ დიალექტიკური ლოგიკის დამუშავებას (სკკპ ცკ დადგენილება, ჩვენი ფილოსოფიური ჟურნალები, დიალექტიკური ლო-

გიკის კურსის შეტანა უნივერსიტეტების სასწავლო გეგმაში); არის ცდები დიალექტიკური ლოგიკის საკითხთა დამუშავებისა (როზენტალი, ალექსეევი, ჩერკესოვი, გორტარი, ფოგარაში, ლ. გოკიელი, ს. წერეთელი). ზოგიერთი საბჭოთა ლოგიკოსი კი დიალექტიკური ლოგიკის დაცვას ჰეგელიანიზმად თვლის, მაგრამ ეს უკვე საერთოდ დიალექტიკის ჰეგელიანურ დიალექტიკასთან გაიგივების ცდას წარმოადგენს. გერმანელი ლოგიკოსი გ. უნთერი ასხვავებს ძველსა და ახალ ლოგიკას; ძველი ლოგიკა არის არსის შესახებ აზრის ლოგიკა, ახალი ლოგიკა კი რეფლექსიის ლოგიკაა. ჰაისი აღიარებს „წინააღმდეგობის ლოგიკას“. კლაუსიც ორი ლოგიკის აღიარებელია; მას ფორმალური ლოგიკა ექსტენსიონალურ ლოგიკად მიაჩნია, დიალექტიკური ლოგიკა კი ინტენსიონალურ ლოგიკად.

დიალექტიკური ლოგიკის ბუნების გასაგებად აუცილებელია გავითვალისწინოთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დებულებები დიალექტიკური ლოგიკის შესახებ. სწორედ ეს დებულებები წარმოადგენენ იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც დიალექტიკური ლოგიკა უნდა აშენდეს.[1]

ფ. ენგელსი ფორმალურსა და დიალექტიკურ ლოგიკას ერთიმეორისაგან ასხვავებს ანალოგიურად დაბალი და უმაღლესი მათემატიკის განსხვავებისა. ისე, როგორც დაბალ მათემატიკას საქმე აქვს მუდმივსა და სასრულ რიცხვებთან, უმაღლეს მათემატიკას კი ცვლადსა და უსასრულო რიცხვებთან, ასევე განსხვავდება საგნის მიხედვით ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა. ისე როგორც დაბალი და უმაღლესი მათემატიკა ერთი და იგივე მათემატიკის განვითარების საფეხურებს წარმოადგენენ, ასევე ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა ერთი და იგივე ლოგიკის განვითარების საფეხურებია. ენგელსი ხაზს უსვამს იმას, რომ არ არის სწორი დიალექტიკის სფეროში მოპოებული შედეგები დაამტკიცონ ფორმალური ლოგიკის საშუალებებით; ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთება არა მარტო ფორმალური ლოგიკის სფეროა, არამედ ის დიალექტიკური ლოგიკის სფეროსაც წარმოადგენს; ე. ი. დიალექტიკური ლოგიკა არა მარტო შემეცნების თეორიაა, არამედ ლოგიკასაც წარმოადგენს. ფ. ენგელსი ერთიმეორისაგან ანსხვავებს ახალი შედეგების მიღების დაბალ — არასრულ და სრულ მეთოდებს; სრული მეთოდი დიალექტიკური ლოგიკის მეთოდია, დაბალი კი — ფორმალური ლოგიკის

---

[1] იხ. ეს დებულებები ჩემს ნაშრომში „ლოგიკურის დიალექტიკური ბუნების შესახებ“, გვ. 5 და შემდეგ. აქ მოვიყვანთ ამ დებულებათაგან მხოლოდ ზოგიერთს.

მეთოდი. ლოგიკურ მეთოდს წარმოადგენს არა მხოლოდ დიალექტიკა, არამედ ფორმალური ლოგიკის მეთოდიც, მაგალითად, ინდუქცია, დედუქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი. სწორედ ამ მეთოდით არღვევს დიალექტიკური ლოგიკა ფორმალური ლოგიკის ვიწრო ჰორიზონტს (ენგელსი). იმის თქმით, რომ დასაბუთებაში ახლის მიღების მეთოდს წარმოადგენს ფორმალურ-ლოგიკური მეთოდიც და უფრო სრულად — დიალექტიკური მეთოდი, ფ. ენგელსი იმაზე მიუთითებს, რომ საერთოდ ლოგიკური მეთოდი უნდა იყოს სინთეზური (და არ უნდა გამორიცხავდეს შემეცნებითს).[1]

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ისე როგორც ინდუქცია და დედუქცია არის შესაბამის დასკვნებში განხორციელებული, ასევე დიალექტიკური მეთოდიც შესატყვის დასკვნებში ხორციელდება და უნდა განხორციელდეს. მეთოდი უდრის განხორციელებულ მეთოდს. ამიტომ არაა სწორი აზრი, თითქოს დიალექტიკა არის მხოლოდ მეთოდი ლოგიკისათვის, დასკვნები კი არადიალექტიკურია. დიალექტიკური ლოგიკა უნდა გავიგოთ როგორც მეცნიერება დიალექტიკურ მეთოდზე და ამ მეთოდის შესაბამის დასკვნებზე. დიალექტიკური მეთოდი ლოგიკის საგანიცაა.

ვ. ი. ლენინი ანვითარებს ენგელსის ზემოთ აღნიშნულ აზრს და ამტკიცებს, რომ დიალექტიკური ლოგიკა ფორმალურ ლოგიკაზე უფრო „შორს მიდის".[2] ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ფორმალური ლოგიკიდან დიალექტიკურზე გადასვლა თითქოს არის ლოგიკიდან სხვა მეცნიერებაზე, სახელდობრ, დიალექტიკურ ლოგიკაზე, როგორც შემეცნების თეორიაზე, გადასვლა, როგორც ამას ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს, არამედ იმას ნიშნავს, რომ ფორმალურ ლოგიკას აგრძელებს, ანვითარებს, ასრულებს დიალექტიკური ლოგიკა; წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა არა „შორს წასვლას", არამედ ახლის დაწყებას. ლოგიკაზე „შორს" ვერ წავა ის, რაც სრულიად სხვაა, ვიდრე ლოგიკა.

ცნობილია ფ. ენგელსის აზრი ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის განსხვავების შესახებ, სახელდობრ, შემდეგი: დიალექტიკური ლოგიკა ფორმალური ლოგიკისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი აზრის ფორმებს მხოლოდ კი არ ჩამოთვლის, მხოლოდ კოორდინაციაში კი არ განიხილავს, არამედ ადგენს მათ კავშირს, გამოყავს ისინი ერთიმეორისაგან, განიხილავს მათ სუბორდინაციაში, განვითა-

[1] იხ. ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952, გვ. 160.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32 (IV გამოც.), გვ. 102.

რებაში დაბალიდან მაღალისაკენ — მარტივიდან რთულისაკენ[1]. ფ. ენგელსი აღნიშნულს იმასაც უმატებს, რომ სწორედ განვითარების, სახელდობრ, „ლოგიკური განვითარების" გამო არსებობს სუბიექტური დიალექტიკა, რომელიც ასახავს ობიექტურ დიალექტიკას.

ვ. ი. ლენინი, ანვითარებს რა ენგელსის ამ აზრს, ამტკიცებს, რომ თუ სინამდვილე ვითარდება, მაშინ მოძრაობს და ვითარდება ცნებებიც, კატეგორიებიც. ამის გარეშე მათ შორის კავშირიც არ იარსებებს; ამიტომ არსებობს ცნებათა დიალექტიკაც. ცნებები მოძრაობს, გადადის ერთიმეორეში, ამიტომ ასახავენ სინამდვილეს; ცნებები იმყოფებიან დაპირისპირებულთა ერთიანობაში, რომ მოიცვან ქვეყანა. ცნებათა უნივერსალური მოქნილობა მიდის დაპირისპირებულთა ერთიანობამდე. საგანთა დიალექტიკა ქმნის ცნებათა დიალექტიკას (და არა პირიქით).[2]

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ დიალექტიკა არა მხოლოდ სინამდვილეშია, არამედ ლოგიკურშიც, და პირიქით, განვითარება არა მარტო აზრებშია, არამედ სინამდვილეშიც. ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ დიალექტიკის კანონები მხოლოდ აზრის კანონები კი არაა, როგორც ეს ჰეგელს ეგონა, არამედ სინამდვილის კანონებსაც წარმოადგენს[3] (სინამდვილის დიალექტიკა აზრთა დიალექტიკის რეალური საფუძველია). აზროვნების ორი — მეტაფიზიკური და დიალექტიკური — წესი ლოგიკური წესებია. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება აზრის დიალექტიკურ წესზე. აზრის დიალექტიკური წესი არის ის ლოგიკური წესი, რომელიც მეთოდიცაა და აზრის ფორმების უზოგადესი კანონიც, უმაღლესი ფორმაც.

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ დიალექტიკა არის აზროვნების უმაღლესი ფორმა; ეს, მართლაც ასეა, რადგან უარყოფა ბატონობს არა მარტო სინამდვილეში, არამედ ცნებებშიც; აზროვნების სფეროში ვერ გავექცევით წინააღმდეგობას. დიალექტიკური აზროვნება გულისხმობს თვითონ ცნებათა ბუნების გამოკვლევას.[4]

კ. მარქსი ამტკიცებს, რომ დიალექტიკური აზროვნების წესი (მაგალითად, ყიდვა-გაყიდვა, ს—ფ—ს), რომ დაპირისპირებულთა ერთიანობაა, უნდა განიხილებოდეს ლოგიკაში და არა სხვაგან, მაგ., პოლიტიკურ ეკონომიაში.[5]

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ კ. მარქსმა დაგვიტოვა „კაპიტა-

---

[1] ფ ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, თბილისი, 1954, გვ. 232.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 38, გვ. 260, 257, 264, 290, 103.
[3] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 18, 31.
[4] იქვე, გვ. 25, 394, 29, 29, 169, 144.
[5] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 119.

ლის“ ლოგიკა; „კაპიტალში“ გამოყენებულია დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია; ესენი ერთი და იგივეა, არაა საჭირო სამი სიტყვა. „კაპიტალის“ დიალექტიკა ზოგადის კერძო შემთხვევაა, ნიმუშია. მართლაც, „კაპიტალში“ გაანალიზებულია არა მხოლოდ გარკვეული რეალური საგანი, არამედ იქ მოცემულია ცნებების — კატეგორიების ლოგიკური ანალიზიც.[1]

ამ აზრით არის გაგებული ლოგიკური ფ. ენგელსთან, როცა ის ამბობს, რომ ლოგიკური არის ისტორიულის ასახულობა მის (ისტორიულის) ზოგად ხაზებში.

დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ითქვა, უფრო სრულია ფორმალურ ლოგიკასთან შედარებით; სახელდობრ, ისე, როგორც უმაღლესი მათემატიკა დაბალ მათემატიკასთან შედარებით, ლობაჩევსკის გეომეტრია ევკლიდეს გეომეტრიასთან შედარებით, ანდა თანამედროვე ფიზიკა, მაგალითად, კვანტური მექანიკა ნიუტონის მექანიკასთან შედარებით, და სხვ.

დიალექტიკურ აზრში, როგორც სწორედ დიალექტიკურში, ცხადია, იმოქმედებენ დიალექტიკის ნიშნები და კანონები. დიალექტიკური ლოგიკის კანონები არის და უნდა იყოს უზოგადესი კანონები ყოველი აზროვნებისა და საერთოდ ცოდნისათვის; ის არ მოქმედებს ცოდნის მხოლოდ რომელიმე სფეროში (ისე როგორც ამას ამბობდა არისტოტელე წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და სხვა კანონებზე). ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკა, როგორც უზოგადესი, გამოიყენება ყველგან — ყველა მეცნიერებაში, კერძოდ ონტოლოგიაშიც (ესეც ხომ ერთ-ერთი მეცნიერებათაგანია, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა).

აზრისათვის, საერთოდ, ცოდნისათვის უზოგადესი, უპირველეს ყოვლისა, არის კატეგორიები, რომლებიც დიალექტიკური ლოგიკის (და არა ფორმალური ლოგიკის) საგანში შედიან; ამიტომ დიალექტიკური ლოგიკა საერთოდ ცოდნის მეთოლოგიაცაა. დიალექტიკური ლოგიკა ცოდნაში — აზროვნებაში ლოგიკურად ყველაფრის გამმართლებელია და თვითონ მას სხვა არაფერი არ ამართლებს სწორედ ლოგიკურად. რეალურად კი დიალექტიკურ ლოგიკას ამართლებს სინამდვილე, მისი კანონზომიერება და ადამიანის რევოლუციურ-გარდამქმნელი მოქმედება — პრაქტიკა, რომელიც ყოველგვარი ცოდნის საფუძველი და გამმართლებელია. ლოგიკურს არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ლოგიკური საფუძველი.

თუ ლოგიკას აქვს სხვა ლოგიკური საფუძველი, მაშინ მივიღებთ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 326, 327.

მეტა და მეტამეტალოგიკების სიძნელეს. ისე როგორც დასკვნის წესი არ შეიძლება იყოს დასკვნის წანამძღვარი, ასევე ლოგიკას არ აქვს სხვა ლოგიკური წანამძღვარი; ლოგიკა სხვას არაფერს არ ეყრდნობა ლოგიკურად, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკურს გავიტანდით ლოგიკურის გარეთ, დასკვნას — დასკვნის გარეთ და სხვ. ლოგიკა ლოგიკურად თავის თავის საფუძველი უნდა იყოს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკა არ შეიძლება დაუსაბუთებელი დებულებებიდან გამოდიოდეს; ლოგიკა მთლიანად უნდა დასაბუთდეს თვითონ ლოგიკაში; წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით უსასრულო რეგრესს. ლოგიკა არ იწყებს დაუსაბუთებელი ლოგიკური წანამძღვრით, რაც უაზრობას — ლოგიკურის და არალოგიკურის ლოგიკურ კავშირს მოგვცემდა. ამიტომაა ლოგიკის საგანი და მისი მეთოდი ერთი და იგივე. ლოგიკაში ყველაფერი უნდა დასაბუთდეს, თვითონ ლოგიკაც ლოგიკურად სხვაგან არსად არ შეიძლება დასაბუთდეს. ლოგიკის საგანი არის დასაბუთება, დასაბუთება ყველაფრის, თვითონ ლოგიკისაც. სწორედ ამის გამო ლოგიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება (მათემატიკური ლოგიკა კი, როგორც ითქვა, კერძო მეცნიერებაა, სხვათა შორის, სწორედ იმის გამო, რომ იწყებს აქსიომებით და მეტალოგიკური წესებით).

ლოგიკა წინ წავიდა, განვითარდა დიალექტიკურ ლოგიკაში, რადგან ეს უკანასკნელი, პირველ რიგში, სწავლობს იმას, რასაც ფორმალური ლოგიკა ეყრდნობოდა, მაგრამ შეუმჩნეველი რჩებოდა. სახელდობრ, თვითონ აზრის ფორმათა ლოგიკურ კავშირს — ლოგიკურის კატეგორიათა კავშირს; მაგალითად, დადებითობის ფორმის უარყოფითობის ფორმასთან კავშირს (ფიხტეს მიერ აღნიშნული სიძნელე), დადებითი მსჯელობის უარყოფითთან კატეგორიულ კავშირს, და სხვ.

დიალექტიკურმა ლოგიკამ თავის თავში შემოიტანა ის, რაც ფორმალურ ლოგიკას თავის ფარგლებს გარედ რჩებოდა, თუმცა მის ლოგიკურ წანამძღვარს წარმოადგენდა.

დიალექტიკური ლოგიკის საგნის სფერო არის აზრის ლოგიკურ საშუალებათა ერთიანი ძირის სფერო. ეს „საშუალება“ არის აუცილებელი, ობიექტური საფუძველი და არა სუბიექტური — შემთხვევითი ხერხი. ასეთია ლოგიკურის კატეგორია (იხ. შემდეგი თავი — „ლოგიკურის კატეგორიები“). დიალექტიკური ლოგიკის საგანი არის თავისებურად გაგებული პირველი ფილოსოფიის საგანი, გადატანილი ცნებებში (დიალექტიკა ხომ არის ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების მოძრაობა-განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ მეცნიერება. — ეს არის თავისებურად გაგებული პირველი ფი-

ლოსოფია), ეს არის ლოგიკურის კატეგორიების სფერო და ის, რაც მისგან პირდაპირ გამომდინარეობს.

ლოგიკურის ობიექტურ-ლოგიკური საშუალებანი თვითონ ლოგიკის საგანში შედის (ასე გადადის პირველი ფილოსოფიის საგანი ლოგიკაში). ამიტომ ლოგიკური არის რეფლექსური (სწორედ ეს რეფლექსურობაა დაუძლეველი მათემატიკური ლოგიკისათვის; პრედიკატთა გაფართოებული აღრიცხვა პარადოქსებს აწყდება სწორედ ლოგიკურის რეფლექსურობის გამო. დიალექტიკური ლოგიკა კი თავისი ბუნებით არის ლოგიკურად რეფლექსური, ამიტომ ცნობილი ლოგიკური სიძნელეების დამძლევი მეცნიერება). ლოგიკა განსაზღვრულია რეალური საფუძვლით — რეალური დიალექტიკით, ლოგიკურად კი იგი განუსაზღვრელია, ანუ უკეთ: განსაზღვრულია თავისი თავითვე, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეალური უნდა გვექცია ლოგიკურად, რაც ობიექტურ-იდეალისტური (ჰეგელიანური) შეცდომა იქნებოდა.

დიალექტიკურის უზოგადესი კანონები ლოგიკურში მოქმედებენ, მაგრამ, ცხადია, სპეციფიკურად, სახელდობრ, მსჯელობათა, ცნებათა, დასკვნათა კავშირის ზოგადობის ფორმის სახით. ეს სპეციფიკურობა, ცხადია, არ უარყოფს მისთვის ზოგადს, პირიქით, ასაბუთებს მას, სახელდობრ, დიალექტიკის უნივერსალურობას. არ კმარა ლოგიკურის, როგორც ასახვის, მხოლოდ მატერიალისტური გაგება; აუცილებელია მისი დიალექტიკურობის აღიარებაც. დიალექტიკური ლოგიკა სწორედ მატერიალისტური დიალექტიკური ლოგიკაა.

ლოგიკურის დიალექტიკურობა, მოკლედ, იმას ნიშნავს, რომ მასში მოქმედებს შინაგანი უარყოფა, რომ ის ექვემდებარება წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს; ეს კანონი მასში გარკვეული ლოგიკური — დასკვნითი ფორმით არის განხორციელებული. ამ ნაშრომისათვის მთავარი სწორედ ამ გარემოების ჩვენება-დასაბუთებაა. თუ ფორმალური ლოგიკის ძირითადი კანონი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონია, დიალექტიკური ლოგიკის ძირითად კანონს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი წარმოადგენს, მაგრამ ისე, რომ ეს უკანასკნელი თავის თავში მომენტად შეიცავს პირველის აზრს (წინააღმდეგობის ერთიანობა შეიცავს წინააღმდეგობას, რომლის ერთი მხარე გამორიცხავს მეორეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინააღმდეგობაც არ იარსებებდა). ლოგიკის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა და წარმოადგენს სინთეზურ-ლოგიკურის პრობლემა, რაც წყდება მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში, რომელიც სწავლობს სინთეზურ-ლოგიკურს — დიალექტიკურ-ლოგიკურს, ე. ი. ისეთ ლოგიკურს, სადაც არსებითია შინაგანი უარყოფის, წინააღმდეგობის მომენტი.

მაშასადამე, ყველა ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება განისაზღვროს დიალექტიკური ლოგიკა, როგორც მეცნიერება; ეს განსაზღვრება შეიძლება შემდეგნაირად იქნეს ჩამოყალიბებული:

1. ლოგიკა არის მეცნიერება აზრის ფორმების შესახებ. მაგრამ ეს განსაზღვრება არ განირჩევა ფორმალური ლოგიკის განსაზღვრებისაგან; ამასთანავე, აზრის გარკვეულ ფორმებს ფსიქოლოგიაც ხომ სწავლობს? ამიტომ უმჯობესი იქნება შემდეგი:

2. ლოგიკა არის მეცნიერება აზრის ობიექტურ ფორმებზე. მაგრამ ფორმალური ლოგიკაც თვლის ობიექტურად იმას, რასაც ის სწავლობს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ლოგიკა არ იქნებოდა.

3. შეიძლება უმჯობესი იყოს ასეთი განსაზღვრება: დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ. მაგრამ აქ გამოტოვებულია მთავარი დიალექტიკური ლოგიკისათვის, სახელდობრ, მოძრაობა-განვითარება, რაც შედის შემდეგში:

4. დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება აზრის მოძრაობისა და განვითარების კანონებსა და ფორმებზე; ის დიალექტიკის ნაწილია, ამიტომ უფრო ადექვატური იქნება შემდეგი განსაზღვრება:

5. დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება აზროვნების დიალექტიკური წესის — დიალექტიკურ-ლოგიკური წესის — შესახებ; მაგრამ ეს განსაზღვრება ტავტოლოგიურია; ეს წესი შეიძლება გაგებული იქნას როგორც მხოლოდ შემეცნების მეთოდი. საჭიროა სხვა განსაზღვრება.

6. დიალექტიკური ლოგიკა არის დიალექტიკის გავრცელება აზროვნებაზე; მაგრამ აქ არ არის ნათქვამი ის, თუ რას წარმოადგენს ეს გავრცელება. ეს გარემოება გათვალისწინებულია შემდეგში:

7. ლოგიკა არის აზრის დიალექტიკა. მაგრამ ამ განსაზღვრებას შეიძლება დაეთანხმოს დიალექტიკური ლოგიკის უარმყოფელიც, რადგან დიალექტიკა გაიგოს მხოლოდ შემეცნების თეორიად და იგი ლოგიკად არ მიიჩნიოს. ამიტომ აზრი უფრო სრულად ასე შეიძლება გამოითქვას:

8. დიალექტიკური ლოგიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების, საგანს შეადგენს დიალექტიკური წესით შესრულებული აზროვნება, ანუ ცოდნა, სადაც განხორციელებულია აზროვნების დიალექტიკური წესი. მაგრამ აქ ადგილი აქვს ტავტოლოგიურობასა და განსაზღვრების ზედმეტ გავრცობას.

9. მოკლედ განსაზღვრული დიალექტიკური ლოგიკა არის წინააღმდეგობის ერთიანობა აზრში, მაგრამ აქაც გაურკვევლობაა, არ არის წინ წამოწეული აზრის ლოგიკურობა; შეიძლება აზრში არსე-

ბული წინააღმდეგობის ერთიანობა გაგებულ იქნეს როგორც მხოლოდ შემეცნებისათვის დამახასიათებელი.

10. დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება ცოდნაში განხორციელებული ლოგიკური კავშირების შესახებ, შემეცნების ისტორიის შედეგთა – · საკვანძო პუნქტთა ანუ კატეგორიების და მათი კავშირების შესახებ· მაგრამ აქაც არის ტავტოლოგიურობის მომენტი. ამასთანავე, განსაზღვრება ერთგვარი მოთხრობითი ხასიათისაა, აკლია ლოგიკურობა.

11. დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება ობიექტური სინამდვილის ცოდნის ფორმების და აზრის მოძრაობის უზოგადესი კანონების შესახებ. ანდა შეიძლება სჯობდეს ასეთი განსაზღვრება:

12. დიალექტიკური ლოგიკა არის მეცნიერება იმ აზრის ფორმებისა და კანონების შესახებ, რომლებშიც გამოხატულია არსისა და აზრის უზოგადესი მხარეები. აქაც ხაზგასმელი რჩება ლოგიკურისათვის მთავარი; „გამოხატვა“ ხომ შეიძლება გავიგოთ როგორც შემეცნება? ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ ლოგიკისათვის ზედმეტია ზედსართავი. ამიტომ უკეთესია შემდეგი ფორმულა:

13. ლოგიკა არის მეცნიერება აზრის მოძრაობა-განვითარების ობიექტურ ფორმათა შესახებ. ეს განსაზღვრება არის ყველა ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებებზე უფრო სრული და უნაკლო, რადგან: იგი ზემოთ მოყვანილი 12 განსაზღვრების ჭეშმარიტების მარცვლებსაც შეიცავს და მათი ნაკლოვანებებისგანაც არის თავისუფალი. ეს განსაზღვრება არ შეიცავს არც ტავტოლოგიურობის მომენტს. „მოძრაობა-განვითარება“ დიალექტიკურობაზე მიუთითებს, ამიტომ „ლოგიკაც“ დიალექტიკურად არის გაგებული. აზრის „მოძრაობა-განვითარების ობიექტური ფორმები“, სწორედ ამის გამო, არის ლოგიკური და არა მხოლოდ შემეცნებითი ან ფსიქოლოგიური. ერთი სიტყვით, ლოგიკის აქ მიღებული განსაზღვრება ჯერჯერობით უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს დიალექტიკური ლოგიკის განსაზღვრების უკეთესი ფორმულირება არ შეიძლებოდეს. ამ სტრიქონების ავტორი კიდევ დაძებნის უკეთეს ფორმულას ლოგიკის განსაზღვრისათვის.

თავი მეორე

ლოგიკურის კატეგორიები

აზროვნება შეუძლებელია კატეგორიების გარეშე. კატეგორიები უზოგადესი ცნებებია, რომელთა მოხმარება აუცილებელია როგორც შემეცნებისათვის, ისე ლოგიკური აზროვნებისათვის. ლოგიკა, როგორც მეცნიერება, პირველ რიგში, ლოგიკურ კატეგორიებს უნდა ითვალისწინებდეს. ლოგიკურისათვის აუცილებელი კატეგორიების განხილვის გარეშე ლოგიკა არ იქნება სრულად წარმოდგენილი მოძღვრება. ლოგიკა შეუძლებელია, თუ ის ლოგიკურ კატეგორიებს არ გულისხმობს. მაგრამ უმჯობესია ეს ნაგულისხმევი წარმოდგეს როგორც ლოგიკურად განხილული; იგი პირველი და აუცილებელი ელემენტი უნდა იყოს ლოგიკის მეცნიერებაში. ფორმალური ლოგიკა კატეგორიებს ყურადღების გარეშე ტოვებდა. თანამედროვე მათემატიკური ლოგიკა კი ცდილობს უარყოს კატეგორიები, როგორც „თიოქოს“ რაღაც მეტაფიზიკური. ამასთანავე, პრედიკატთა გაფართოებული აღრიცხვა, როგორც ცნობილია, ისეთ სიძნელეებამდე მიდის, რომელთა გადაწყვეტა. როგორც ეს შემდგომ იქნება ჩვენს მიერ ნათელყოფილი, შესაძლებელია მხოლოდ ლოგიკური კატეგორიების შეგნებულად მოხმარების, ლოგიკის მათზე დაფუძნების საშუალებით და შემწეობით. ლოგიკურის კატეგორიებზე მოძღვრება, ჩვენი აზრით, აუცილებელი ნაწილი უნდა იყოს ლოგიკის მეცნიერებაში.

§ 11. ლოგიკური კატეგორიები და ლოგიკურის კატეგორიები

ცნება, როგორც ცნობილია, აზრის ლოგიკური ფორმაა; კატეგორია განსაკუთრებული ცნებაა, აზრის განსაკუთრებული ფორმაა. ჯერ კიდევ არისტოტელემ აღნიშნა, რომ კატეგორია არის არსის უზოგადესი მხარის გამომხატველი ცნება, კატეგორია არის უზოგადესი ცნება, ე. ი. ისეთი ცნება, რომელსაც გვარი არა აქვს; მას არა აქვს არც სახე. კატეგორია, მაგალითად. მიზეზობრიობის კატეგორია სინამდვილის სხვადასხვა სფეროში სხვადასხვანაირად ვლინდება,

მაგრამ ის, როგორც კატეგორია, არ შეიძლება ერთზე მეტი იყოს. კატეგორიის შინაარსი ეხება ყველაფერს, რაც არსებობს; მაგალითად, თვითონ არსებობის კატეგორია, არსებობს ყველაფერი, შეცდომაც არსებობს და სხვა. თუ ცნებას არ აქვს უნივერსალური ხასიათი, ის არ არის კატეგორია. ასეთია ყოველი ფილოსოფიური კატეგორია, მაგალითად, რაოდენობა, თვისობრიობა, არსება და სხვ. ყოველი ფილოსოფიური კატეგორია არის ლოგიკური კატეგორია, ის აზრის განსაკუთრებული ფორმაა.

კატეგორიები უზოგადესია არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ ისინი სინამდვილის უზოგადეს მხარეებს ასახავენ, არამედ მეორე მხრივაც. სახელდობრ, აზრის ობიექტური საშუალებების მხრივაც. აზროვნებას აქვს უზოგადესი ობიექტური საშუალებები, რომლებიც კატეგორიებს წარმოადგენს. ამ მხრივ კატეგორიები პირველად კანტმა გამოიკვლია, გაიგო რა კატეგორია, როგორც შემეცნების აუცილებელი ლოგიკური საშუალება, როგორც საერთოდ მსჯელობის ფორმა (ერთიანობა, სიმრავლე, რეალობა, უარყოფა და სხვ.). კატეგორიების შესახებ შემდგომმა მოძღვრებებმა (ფიხტეს, ჰეგელის, ნ. ჰარტმანის და სხვ.) ნათელყო, რომ კატეგორია აზრის სუბიექტური საშუალება კი არაა, არამედ ობიექტური, ე. ი. ნათელი გახდა ის, რომ არისტოტელესა და კანტის აზრები კატეგორიების შესახებ უნდა გაერთიანებულიყო იმ აზრით, რომ აზრის ობიექტური საშუალება არსის უზოგადესი მხარის გამოხატვის გამო ყოფილიყო და გამხდარიყო ლოგიკური საშუალება — საფუძველი, გარკვეული სახის საფუძველი.

მართლაც. კატეგორია არის აზრის უზოგადესი საშუალება იმის გამო, რომ ის არსის უზოგადესი მხარის გამოხატულებაა. კატეგორია არის არსის უზოგადესი მხარის ამსახველი აზრის ობიექტური აუცილებელი საშუალება — საფუძველი. ის არის ლოგიკურის გარკვეული ფორმა.

მაგრამ ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ ლოგიკური და ლოგიკურის კატეგორიები. ლოგიკური კატეგორია ისეთი კატეგორიაა, რომლის უარყოფა არის სხვა კატეგორია; უკეთ: რომლის უარყოფა გვაძლევს სხვას, სხვა კატეგორიის აუცილებლობას. მაგალითად, რაოდენობის კატეგორია არის ლოგიკური კატეგორია, რადგან რაოდენობის უარყოფა აღარაა რაოდენობა; შემთხვევითობის უარყოფა აღარაა შემთხვევითობა, არამედ — სხვა და სხვ. ლოგიკურის კატეგორია კი არის ისეთი კატეგორია, რომლის უარყოფა მასვე ადგენს. ლოგიკურის კატეგორიის უარყოფა შეუძლებელია, იმ აზრით, რომ ლოგიკუ-

რის კატეგორიის უარყოფისას მასვე მოვიხმართ აუცილებლობით; მაგალითად, იგივეობის, უარყოფის, კერძოს, ზოგადის, ცნების, მსჯელობის და სხვა კატეგორიები ლოგიკურის კატეგორიებია. ცნების უარყოფა არის ცნება, მსჯელობის უარყოფა მსჯელობაა, უარყოფის უარყოფა არის სწორედ უარყოფა, იგივეობრივის უარყოფა იგივეობრივია და სხვ.

კატეგორიების ასეთი დაჯგუფება არ ნიშნავს იმას, რომ ლოგიკურის კატეგორია თითქოს მხოლოდ აზრის სფეროს ეკუთვნოდეს, ლოგიკური კატეგორია კი მხოლოდ სინამდვილეს ეხებოდეს. აქ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ სინამდვილის რაიმე უზოგადესი მხარის გამომხატველი კატეგორია შეიძლება, ამავე დროს, აზრშიც მოქმედებდეს სწორედ როგორც ლოგიკურის კატეგორია(ეს არ ითქმის, ცხადია, ყველა კატეგორიის შესახებ). მაგალითად, იგივეობა არის სინამდვილის ერთი მხარის გამომხატველი კატეგორია, მაგრამ იგი ლოგიკურის კატეგორიაცაა. ფორმა არის სინამდვილის სფეროშიც, ე. ი. ფორმის ცნება საგნობრივი შინაარსისაა, მაგრამ იგი ლოგიკურის კატეგორიასაც წარმოადგენს. ლოგიკურის ფორმა ლოგიკურის კატეგორიაა, მისი უარყოფა მასვე მოიხმარს და ადგენს (ცნების უარყოფაც ცნებაა, მსჯელობის უარყოფაც მსჯელობაა); უარყოფა, ისე როგორც დადგენა, დასკვნის და დასაბუთების აუცილებელი და არსებითი მომენტია. დასკვნა-დასაბუთება მტკიცება-უარყოფაში — მსჯელობის მოხმარაში მდგომარეობს. ამიტომაა, რომ დასაბუთების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფა თვითონ არის თავისებური დასაბუთება. ამიტომ ცდებოდნენ ძველი სკეპტიკოსები დასაბუთების უარყოფის ცდისას.

ისეთი კატეგორიები, რომლებიც სინამდვილის უზოგადეს მხარეებს გამოხატავენ და იმავე დროს ლოგიკურის კატეგორიებსაც შეადგენენ, ასე ვთქვათ, თავისებური პირველი ფილოსოფიის სფეროს ცნებებს წარმოადგენენ. ასეთი კატეგორიები აზრის ობიექტური და აუცილებელი საშუალებებია, გარკვეულ საშუალება-საფუძვლებს წარმოადგენენ.

ლოგიკური კატეგორიის სფერო მოცულობით უფრო ფართოა ლოგიკურის კატეგორიებზე. ყველა ფილოსოფიური კატეგორია ლოგიკურია, ასეთია ლოგიკურის კატეგორიაც. მაგრამ ლოგიკურის კატეგორიები თავისებურად იქვემდებარებს ლოგიკურ კატეგორიებს; ეს დაქვემდებარება არაა მოცულობითი. ლოგიკურში ლოგიკურის კატეგორიების მოქმედებას ექვემდებარება ყველაფერი, მათ შორის ლოგიკური კატეგორიებიც. ლოგიკურის სფერო, ზოგადად რომ ვთქვათ, არის დასაბუთების სფერო, სადაც, როგორც ამას შემდგომ

სპეციალურად გავარკვევთ, უძირითადესია ლოგიკურის კატეგორიის მოქმედება. რომელშიც დაქვემდებარებული (არა მოცულობითი ლოგიკური დაქვემდებარების აზრით) საბით მოიხმარება ყველა საჭირო და აუცილებელი ობიექტური კატეგორია, იმე როგორც ყველაფერი, რასაც აზრი ეხება.

§ 12. იგივეობა და განსხვავება

განვიხილოთ რამდენიმე კატეგორია, რომელიც ლოგიკურში მოქმედებს. ასეთია, მაგალითად. იგივეობისა და განსხვავების (თუ სხვაობის) კატეგორიები. ეს კატეგორიები სინამდვილის კატეგორიებიცაა, ე. ი. არიან ცნებები, რომლებიც არსის უზოგადეს განსაზღვრულობებს (აზრობლივად) გამოთქვამენ, მაგრამ ესინი ლოგიკურ კატეგორიებსა და ლოგიკურის კატეგორიებსაც წარმოადგენენ.

იგივეობა არის არსების კატეგორია, არსის თავისთავთან მიმართების კატეგორია. იგივეობა არის რაიმესი თავისთავთან გარკვეული მიმართება; ეს არის არა მიმართება ერთი საგნის მეორესთან, ე. ი. არაა ორი საგნის იგივეობა, არამედ — მიმართება თავისთავთან;

A იგივეა A-სთან და არა B-სთან. ასევე ითქმის განსხვავების შესახებაც. განსხვავება არსებობს, ცხადია, სხვადასხვა საგანს შორის, მაგრამ განსხვავება, როგორც არსების კატეგორია, არის განსხვავება რაიმესი თავის თავში, შინაგანი განსხვავება, იგივეობრივში განსხვავება.

ორივე ეს კატეგორია მოქმედებს ლოგიკურში, სახელდობრ, იმგვარად, რომ მათი გამოყენებით და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნა ლოგიკის ორი კანონი: იგივეობის (არისტოტელე) და სხვაობის (ლაიბნიცი) კანონები. იგივეობის კანონის მიხედვით რაიმე, მაგ., ცნება იგივეობრივია თავისთავთან; ასეა მსჯელობაც, დასკვნაც და სხვ. სხვაობის კანონის მიხედვით კი ყველაფერშია განსხვავება, ყველაფერია განსხვავებული (ამ კანონების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ. ის, რომ იგივეობისა და განსხვავების კატეგორიები ლოგიკური რეფლექსურობის ბუნების მქონე კატეგორიებია, ე. ი. ლოგიკურის კატეგორიებს წარმოადგენს.

შეუძლებელია იგივეობის უარყოფა, რადგან ეს უარყოფა (და უარყოფის შედეგად მიღებულიც) იგივეობრივია და ასეთი უნდა

იყოს. იგივეობის უარყოფისას აუცილებლობით მოიხმარება იგივეობა, ამ აზრით, დგინდება იგი. ის არის აზრის გარკვეული ლოგიკური საშუალება-საფუძველი, რომელიც მასვე მიეყენება, მის მიმართაც მოიხმარება. ასე ითქმის განსხვავების შესახებაც („განსხვავებას“ და „სხვაობას“ აქ იგივეობრივად ვხმარობთ, რადგან ამ შემთხვევაში მათი განსხვავება არ გვჭირდება). განსხვავების უარყოფაც მოიხმარს განსხვავებას; არა მხოლოდ მოიხმარს, არამედ ქმნის მას; უარყოფა ქმნის განსხვავებას (კიდევ მეტი: უარყოფა ქმნის წინააღმდეგობას). ის არის აზრისთვის გარკვეული აუცილებელი ობიექტური საშუალება.

ლოგიკური შეუძლებელია იგივეობისა და განსხვავების გარეშე. იგივეობა ლოგიკურის ანალიზურობის საფუძველია; დასკვნაში გამომდინარეობა ან აუცილებელი კავშირი იგივეობის გარეშე შეუძლებელია; სწორედ იგივეობა ქმნის შესაძლებელს რაიმედან გამოვიყვანოთ რაიმე აუცილებლობით. მაგრამ რაიმედან მისგან განსხვავებულის აუცილებელი გამოყვანა უკვე არის ანალიზურობის შემცველი სინთეზური, რომელიც არ არსებობს განსხვავების გარეშე; განსხვავება გარკვეული საფუძველია სინთეზურობისათვის. ლოგიკური, რომელიც ემყარება და თავისში შეიცავს იგივეობასაც და განსხვავებასაც, არის ანალიზურის და სინთეზურის ერთიანობა (როგორც ეს ქვემოთ იქნება ნათელყოფილი). აქ ისიცაა თქმული, რომ ლოგიკურისათვის აუცილებელია იგივეობისა და განსხვავების ერთიანობა (ამის შესახებ სპეციალურად საუბარი გვექნება მაშინ, როცა ლოგიკის კანონებს გავარჩევთ).

მაშასადამე. განსხვავება და იგივეობა არა მარტო ლოგიკური კატეგორიებია, არამედ — ესაა ჩვენთვის მთავარი — ლოგიკურის კატეგორიებსაც წარმოადგენენ. სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან განსხვავება არის გარკვეული უარყოფითობა იგივეობრივში; იგივეობა კი არის ის , რითაც რაიმე არის ის, რაც არ არის სხვა. ორივე არის რაიმეს თავის თავისადმი მიმართების სრულიად გარკვეული განსაზღვრულობები და ერთიმეორესაც გულისხმობენ.

§ 13. ჰეგელის და უარყოფა

როგორც ითქვა, განსხვავებას უარყოფა ქმნის. შეიძლება ითქვას, რომ უარყოფა არის ის, რაც ქმნის განსხვავებას. უარყოფა, გარკვეული აზრით, თვითონ არის განსხვავება, ისე როგორც პირიქით — განსხვავება არის უარყოფა, სახელდობრ, ის. რომ რაიმე არ არის

სხვა რაიმე (როგორც ეს პირველად პლატონმა გაარკვია თხზულებაში „სოფისტი“).

მაგრამ უარყოფა წინასწარ გულისხმობს ჰყოფას, რაიმე დადგენას ანუ რაიმეს დადგენილად ყოფნას, რაღაც დადებითობას, რადგან უარყოფა შესაძლებელია როგორც მხოლოდ რაიმეს — რაიმე დადებითის უარყოფა. თუ უარყოფა არ არის რაიმეს, როგორც რაღაც დადებითის უარყოფა, მაშინ ის, სწორედ უარსაყოფელის არარსებობის გამო, შეუძლებელია, არ განხორციელდება.

შეუძლებელია ჰყოფის უარყოფა, რამდენადაც შეუძლებელია არ უარყო რაიმე, ანუ უარყო არარაიმე. კიდევ მეტი: ჰყოფის უარყოფით დგინდება ჰყოფა, როგორც რაღაც დადებითობა, რადგან: 1) უარყოფა აუცილებლობით გულისხმობს რაიმეს, როგორც უარსაყოფელს; 2) უარყოფა თვითონ არის დადგენის ფორმა, დასაბუთების ელემენტი, რაღაც დადებითის როლის შემსრულებელი; 3) თვითონ უარყოფა, რომ რაღაც დადებითობას თავისებურად არ ადგენდეს, ისე შეუძლებელი იქნებოდა უარყოფითი მსჯელობა, როგორც გარკვეული ერთიანობა, ერთი გარკვეული აზრი, სუბიექტ-პრედიკატის გარკვეული კავშირი. მაშასადამე, შეუძლებელია ჰყოფის უარყოფა, ეს უკანასკნელი მას აუცილებლობით გულისხმობს. ეს გულისხმობა ორ მომენტს შეიცავს: 1) უარყოფა რაიმეს უარყოფაა, 2) უარყოფა არის რაღაც დადგენა.

მეორე მხრივ უარყოფა შეუძლებელია უარყოფილ იქნას, რადგან ეს უარყოფა თავისთავის დადგენაა.

არსებობს ორგვარი უარყოფა: 1) გარეგანი უარყოფა; ეს არის სხვისი უარყოფა, მაგალითად, ჩვეულებრივი —ფორმალურ-ლოგიკური — უარყოფა რაღაც სხვისი უარყოფაა; ვთქვათ, მსჯელობა „ადამიანი არ არის ოთხფეხი“ უარყოფს ადამიანის ოთხფეხიანობას, როგორც სხვას. 2) შინაგანი უარყოფა; უარყოფა, რომელიც სრულდება ერთიანში; ეს არის გარკვეული უარყოფა თავისი თავისა, თავისი თავის შედარებითი უარყოფა, უარყოფითობა რაიმეში; ასეთია, მაგალითად, დადებით სინთეზურ მსჯელობაში არსებული უარყოფა, სახელდობრ, ის უარყოფა, რომელიც არსებობს განსხვავებაში სინთეზურობის ელემენტებს შორის (განსხვავების გარეშე ხომ შეუძლებელია სინთეზი? სინთეზი განსხვავებულთა სინთეზია მხოლოდ).

მაშასადამე, ერთიმეორისგან უნდა განვასხვავოთ აბსოლუტური და შედარებითი უარყოფა, წმინდა უარყოფა და დადებითის აუცილებლობით მოგულისხმე უარყოფა. ამრიგად, უარყოფა არის 1) აბსოლუტური უარყოფა; ეს არის სხვისი უარყოფა, როგორც სხვისი

გამორიცხვა-გაუქმება. ეს უარყოფა ფორმალურ ლოგიკაში აღინიშნება ასე: „არა-A". რომელსაც წარმოიდგენენ ორგვარად: ა) არა-A როგორც A-ს გაუქმება, ბ) ყველაფერი, რაც არ არის A. ასე გაგებული უარყოფის შემთხვევაში მოქმედებს ორი მომენტი: ა) მოვლენათა სიმრავლე და ბ) სუბიექტი, სახელდობრ, მომსჯელე სუბიექტი. ამ უკანასკნელის მოქმედება არის შემთხვევითი რამ, სახელდობრ ის, რომ მომსჯელე სუბიექტი აწარმოებს გამორიცხვას საერთოდ; ე. ი. გამორიცხვას აწარმოებს მომსჯელე სუბიექტი და არა გამოსარიცხი-ვით გარკვეული ობიექტური რამ. ამიტომ უარსაყოფელი და უარმყოფელი მოთავსებულია სხვადასხვა სიბრტყეზე; პირველი ობიექტურ სიბრტყეზე; მეორე კი სუბიექტურ სფეროში. მაგრამ ლოგიკური უარყოფის დროს უარსაყოფელი და უარმყოფელი ერთსა და იგივე სიბრტყეზე უნდა იყვნენ, სახელდობრ, ობიექტურად — ლოგიკურ-ობიექტურად უნდა არსებობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფა ლოგიკური ხასიათის არ იქნებოდა. თუ ეს ორი რამ ერთ, ობიექტურ სიბრტყეზე იქნება მოთავსებული, მაშინ ორივე გარკვეული ხასიათის იქნება, მაშინ როცა ფორმალურ ლოგიკაში, სწორედ სუბიექტური მოქმედების გამო, არა-A გაურკვეველია; ის, როგორც ითქვა, გაურკვეველია, აგრეთვე, მოვლენათა სიმრავლის გამო, იმ სიმრავლისა, რომელიც არა—A-ში იგულისხმება; მაგალითად, არა—თეთრი შეიძლება იყოს შავი, ან მწვანე, ან სხვა რამ ფერი, და არა რომელიმე გარკვეული ფერი (ამას ადგილი აქვს მაშინ, თუ „არა-A" გაგებულია, როგორც „ყველაფერი, რაც არ არის A"). 2) შედარებითი უარყოფა არის ისეთი უარყოფა, რომელიც აუცილებლობით გულისხმობს დადებითობას; ეს არის დადებითობაში არსებული უარყოფა. როგორც ითქვა, პირველად ასეთი უარყოფის ცნება გაარკვია პლატონმა, როცა მან პარმენიდეს აბსოლუტური არარსის წინააღმდეგ წამოაყენა შედარებითი არარსის ცნება. მარტივად რომ ვთქვათ, პლატონისათვის არარსი არის განსხვავება; ერთი რაიმე არის ის, რაც არ არის სხვა; ეს არის სხვისი არარსი (მაგალითად, მაგიდა არის სკამის არარსი და სხვა:), ასეთი არარსი, პლატონის აზრით, არსებობს, არის. ეს არარსი არის ლოგიკური საგანი; პლატონის გამოთქმით, ეს არის ისეთი არარსი, რომლისადმი მიმართულია ჩვენი გონება, ის აზრის საგანია; მასზე, როგორც რაღაც არსებულზე, მსჯელობა შესაძლებელია. არ შეიძლება არარსი, რომელიც არ იყოს შედარებითი.

პლატონმა ისიც დაამტკიცა. რომ აბსოლუტური არსი შეუძლებელია, რომ მისთვის აუცილებელია რაღაც „სხვა". ასევე უნდა ითქ-

უას, რომ შეუძლებელია ნამდვილად, სრული ლოგიკური აზრით არსებობდეს აბსოლუტური „არარსი“, აბსოლუტური უარყოფა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ, ლოგიკური თვალსაზრისით არსებობს მხოლოდ ერთი და ერთადერთი უარყოფა, ეს არის შედარებითი უარყოფა (უარყოფითისა და დადებითის კატეგორიები ხომ ფარდობითი კატეგორიებია?), აბსოლუტური უარყოფა კი შედარებითი უარყოფის ხელოვნური გაფართოებაა, ეს არის უარყოფის გამოცალკევება — აბსტრაქცია იმ დადებითი მომენტისაგან, რომელიც მისთვის აუცილებელია. არა-A აუცილებლობით გულისხმობს A-ს, ამის გარეშე ის არცკი დაიწერება. მეორეს მხრივ, არა-A-ს გამოა A გარკვეული.

შედარებითი უარყოფა სისრულით კატეგორიებში ხორციელდება, სახელდობრ, მაშინ როცა ერთის უარყოფა არის მეორე და პირიქით. მაგალითად, სასრულის უარყოფა არის უსასრულო და პირიქით, კერძოს უარყოფა არის ზოგადი და პირიქით და სხვ. უარმყოფელი დადებითი ნიშნის მქონეცაა. ის წმინდა უარყოფაზე მეტია. ეს „ორმნიშვნელოვანება“ არსებითია დიალექტიკურ-ლოგიკურისთვის.

სწორედ შედარებითი უარყოფა მოქმედებს მსჯელობის შიგნით, დასკვნისა და ცნების შიგნით. ამიტომაა ლოგიკური აუცილებელი სინთეზის ხასიათის.

ამიტომ ვამბობთ, რომ უარყოფა აუცილებელია ლოგიკურში. უარყოფის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია; კიდევ მეტი—უარყოფის ლოგიკური უარყოფა თვითონ მისივე დადგენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ უარყოფა (ისე როგორც ჰოყოფა) ლოგიკურის კატეგორიაა; ის რეფლექსური, სწორედ ლოგიკურად რეფლექსური კატეგორიაა.

სწორედ ასეთი უარყოფა მოქმედებს სინთეზურ ლოგიკურში, სადაც რაიმეს დადგენა შეუძლებელია მისი შინაგანი უარყოფის გარეშე, იმ უარყოფისა, რომელიც დადებითის გარკვეულობას ქმნის.

აქ ლაპარაკი იყო უარყოფის შესახებ, რამდენადაც საჭირო იყო მისი, როგორც ლოგიკურის კატეგორიის, დადგენა. საერთოდ უარყოფის ცნება უფრო სრულად იქნება გარჩეული ლოგიკის კანონების გარჩევისას.

§ 14. დაპირისპირება

დაპირისპირება არის განვითარებული განსხვავება (არისტოტელე, ჰეგელი). თუ, როგორც ითქვა, განსხვავება არის უარყოფა, მაშინ დაპირისპირებაც იქნება უარყოფა, უფრო განვითარებული —

თავისებური საბით წარმოდგენილი უარყოფა. მაინც როგორია ეს უარყოფა? უნდა ითქვას, რომ დაპირისპირება არის ერთმხრივი უარყოფა, რადგან რაიმეს უარმყოფელს ჰქვია ამ რაიმეს საპირისპირო. მაგალითად, ზოგად-დადებითი მსჯელობის საპირისპირო არის ზოგად-უარყოფითი მსჯელობა, რომელიც პირველს უარყოფს. ზოგად-დადებითი მსჯელობის უარყოფა შეიძლება ორნაირად— ორგვარი მსჯელობით—1) ზოგად-უარყოფითი მსჯელობით და 2) კერძოობით-უარყოფითი მსჯელობით. დაპირისპირებას ადგილი აქვს მხოლოდ პირველ შემთხვევაში, რადგან, როგორც ცნობილია, თუ ზოგად-დადებითი მსჯელობა მცდარია, მაშინ ზოგად-უარყოფითიც შეიძლება იყოს მცდარი; შეიძლება ორივე ეს დაპირისპირებული მსჯელობა მცდარი იყოს, ე. ი. ერთის ჭეშმარიტება-მცდარობიდან აუცილებლობით არ გამოდის მეორის ჭეშმარიტება-მცდარობა. მაშასადამე, დაპირისპირების დროს ერთმხრივი უარყოფა გვაქვს და არა ორმხრივი — ურთიერთუარყოფა. მხოლოდ ერთის ჭეშმარიტების დროს გვაქვს მეორის მცდარობა, მაგრამ არა პირიქით — ერთის მცდარობიდან მეორის ჭეშმარიტება არ გამომდინარეობს.

ეს ასეა, რადგან დაპირისპირების დროს ადგილი აქვს ერთმხრივ უარყოფას. მაგრამ ეს უარყოფა არის: 1) ზედმეტად ფართო უარყოფა; ზოგად-დადებითი მსჯელობის უარყოფისათვის საკმარისია კერძოობით-უარყოფითი მსჯელობა; ზოგად-უარყოფითი მსჯელობა ზედმეტ უარყოფას ასრულებს, სახელდობრ, ისეთს, რომ მისი მცდარობა ვერ ადგენს მაინცდამაინც საპირისპიროს ჭეშმარიტებას. მაგალითად, თუ ჭეშმარიტია მსჯელობა: „ზოგიერთი ადამიანი არ არის თეთრკანიანი“, მაშინ ეს საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ზოგად-დადებითი მსჯელობა — „ყველა ადამიანი თეთრკანიანია“ მცდარია. ზოგად-უარყოფითი მსჯელობა „არც ერთი ადამიანი არ არის თეთრკანიანი“ ზედმეტად ფართო უარყოფას წარმოადგენს; 2) დაპირისპირების დროს ადგილი აქვს რაღაც ზედმეტის დაშვებას; მაგალითად, თეთრის საპირისპიროა შავი, რომელიც არის არა მხოლოდ თეთრის უარყოფა, არამედ თეთრის უარმყოფელს ზედმეტი ნიშანი აქვს, თეთრის უარმყოფელი თვითონ არის დადებითი ნიშნის მქონე, ე. ი. ეს უარმყოფელი მხოლოდ უარმყოფელი კი არაა, არამედ დადებითი ნიშნის მქონეცაა (როგორც ითქვა, ეს გარემოება აუცილებელიცაა მაშინ, თუ უარყოფა შეფარდებითია, ე. ი. როცა ობიექტურია უარმყოფელიც, მაგრამ ამას ადგილი ექნება და გამართლებული იქნება მაშინ, თუ დაპირისპირება უდრის წინააღმდეგობას, რასაც, როგორც ამას ქვემოთ

ვნახავთ, ადგილი აქვს კატეგორიებში). თუ დაპირისპირება განსხვავებულია წინააღმდეგობისაგან, თუ დაპირისპირებას განვიხილავთ ცალკე სხვა კატეგორიებისაგან, მაგალითად, წინააღმდეგობისაგან განსხვავებულად, მაშინ ადგილი აქვს და უნდა ჰქონდეს უარყოფისათვის რაღაც ზედმეტს, რაც ქმნის უარყოფის ერთმხრიობას და შეუძლებელს ხდის ორმხრივ უარყოფას.

დაპირისპირება ისეთი რამაა, რომ დაპირისპირებულები უნდა არსებობდნენ ერთში; როგორც ამბობენ, მათ ერთი „გვარი" უნდა ჰქონდეთ; დაპირისპირებას საფუძვლად უძევს ერთი აზრი, რომელიც დაპირისპირებას შესაძლებლად ხდის. დაპირისპირება არ უნდა განაწილდეს ორ „საგნად", წინააღმდეგ შემთხვევაში: 1) არ გვექნება დაპირისპირება, ან 2) ადგილი ექნება ორ დაპირისპირებას; დაპირისპირების ერთი მხარეც დაპირისპირება იქნება, თუკი მასში დარჩა საპირისპიროს რაიმე ნიშანი. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დაპირისპირებისათვის აუცილებელია რაღაც ერთიანობა, და არა მხოლოდ გვარი, რადგან არა მხოლოდ დაპირისპირებულთათვის უნდა იყოს აუცილებელი ერთიანობა, არამედ პირიქითაც—ერთიანობისათვის აუცილებელი უნდა იყოს საპირისპირონი, მაშინ როცა გვარისათვის არ არის აუცილებელი, ზედმეტია სახეთა სპეციფიკური ნიშნები.

რადგან დაპირისპირება აუცილებელი უნდა იყოს ერთიანობისათვის, ისე როგორც პირიქით, ამიტომ უნდა ითქვას, რომ დაპირისპირება თავისთავისადმი დაპირისპირებას ნიშნავს. ისე როგორც იგივეობა არის რაიმეს იგივეობა თავისთავთან, ასევე განსხვავებაც და დაპირისპირებაც არის რაიმეს თავისთავისაგან განსხვავება და დაპირისპირება. ეს არის შინაგანი დაპირისპირება, შესრულებული შინაგანი უარყოფის საფუძველზე. შინაგანი უარყოფა ნიშნავს იმას, რომ რაიმე დგინდება მისივე უარყოფით, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარყოფა არ იქნება ამ რაიმესათვის შინაგანი; ასე ითქმის განსხვავების შინაგანობის შესახებაც.

მაგრამ დაპირისპირებაში მხოლოდ მაშინ განხორციელდება შინაგანი უარყოფით რაიმეს დადგენა — თავისთავისადმი დაპირისპირება, თუ ამ უკანასკნელს გავიგებთ, როგორც წინააღმდეგობას. მართლაც, თავისთავისადმი დაპირისპირება არის წინააღმდეგობა.[1] დაპირისპირება, როგორც ერთმხრივი უარყოფა, არ არის წინააღმდეგობა, რადგან წინააღმდეგობა ურთიერთუარყოფაა; მაგრამ ერთმხრივი უარყოფა აუცილებელი მომენტია ორმხრივი უარყოფისა — თავის-

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 414.

თავის უარყოფისა, რომელიც მასვე ადგენს. ამიტომ დაპირისპირებაც ექვემდებარება წინააღმდეგობას, დაპირისპირებაც წინააღმდეგობის ბუნების ქვემდებარეა; ე. ი. ორივე კატეგორია ლოგიკურის კატეგორიაა, რომლის ბუნებაც წინააღმდეგობაში უფრო ჩანს, ვიდრე დაპირისპირებაში; მაგრამ მათი ბუნება არსებითად ერთია.

არ შეიძლება შინაგანი განსხვავება, უარყოფა, დაპირისპირება, თუ წინააღმდეგობა არ იყოს ლოგიკურის კატეგორია. რადგან მათი უარყოფა მათვე ადგენს. უარყოფა ქმნის და ადგენს განსხვავებასა და დაპირისპირებას, რადგან მათი არსება სწორედ უარყოფაა. დაპირისპირების ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან სწორედ უარყოფა ადგენს დაპირისპირებას. უარყოფა ბოლომდე არ მიდის დაპირისპირებაში; ურთიერთუარყოფა არის ბოლომდე მიყვანილი უარყოფა; მაგრამ ეს უკვე მეტია დაპირისპირებაზე, ის წინააღმდეგობას წარმოადგენს.

§ 15. წინააღმდეგობა

წინააღმდეგობა არის ურთიერთუარყოფა, სადაც რაიმეს ჰეშმარიტება მეორის მცდარობაა და პირიქით, ე. ი. უარყოფა მიყვანილია ბოლომდე. თუ დაპირისპირებაში რჩება რაღაც მესამე, წინააღმდეგობაში მესამე გამორიცხულია. ზოგად-დადებითი მსჯელობა და კერძოობით-უარყოფითი მსჯელობა ერთიმეორის საწინააღმდეგო მსჯელობებია, ე. ი. ერთის ჰეშმარიტება მეორის მცდარობაა და პირიქით. წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს.

წინააღმდეგობა, როგორც ასეთი, არის ერთი. წინააღმდეგობა როგორც კატეგორია, იგივეობრივია თავისთავთან; იგი ერთი და იგივე ბუნებისაა, სადაც არ უნდა იყოს იგი. მართალია, არსში არსებული წინააღმდეგობა და აზრში არსებული წინააღმდეგობა, რეალური და ლოგიკური წინააღმდეგობანი ერთიმეორისაგან განსხვავდება, მაგრამ ორივეგან წინააღმდეგობა არსებობს. წინააღმდეგობა, როგორც კატეგორია, არ არის სადმე, ის ყველგანაა, უკეთ: ერთია ყველგან, ერთი და იგივე ბუნებისაა. თუ აზრში რომელიმე წინააღმდეგობა არის შეცდომა, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობა, როგორც კატეგორია — ცნება — არაა შეცდომა. ის, რასაც წინააღმდეგობა წარმოადგენს, არ შეიძლება შეცდომა იყოს. სწორედ წინააღმდეგობის საფუძველზე შეიძლება გავიგოთ ის, თუ რომელი წინააღმდეგობაა შეცდომა. ლოგიკურში არსებობს და მოქმედებს წინააღმდეგობა როგორც ასეთი, როგორც კატეგორია.

რადგან განსხვავებაში ადგილი აქვს შინაგან უარყოფას, ამიტომ

სინთეზურობაში ადგილი აქვს წინააღმდეგობას. განსხვავების და სინთეზის ძირში — არსებაში არსებობს წინააღმდეგობა, რადგან მათში შინაგანი უარყოფა მოქმედებს. შეუძლებელია სინთეზურობა წინააღმდეგობის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ წინააღმდეგობას ადგილი არ აქვს ანალიზურობის დროს, რადგან აქ ტავტოლოგიურობაა, სადაც უნდა მოქმედებდეს არა წინააღმდეგობა, არამედ წინააღმდეგობის შეუძლებლობა, არაწინააღმდეგობა. ამიტომაა, რომ ლოგიკურის ანალიზურობის მიმდევრები ლოგიკურის სინთეზურობას უარყოფენ და ლოგიკის ძირითად კანონად წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს მიიჩნევენ, წინააღმდეგობას ლოგიკურიდან სრულიად გამორიცხავენ, მას იქ შეცდომად თვლიან.

მაგრამ წმინდა ტავტოლოგიურობა — იგივეობა თვითონ ქმნის და არის წინააღმდეგობა, რადგან ასეთი იგივეობა არის არაფერი, არარა. ეს გარემოება ყველაზე უკეთ ჩანს დასაბუთებაში. თუ დასაბუთებელი და დამსაბუთებელი ერთი და იგივეა, მაშინ არაფერი არ საბუთდება. ამიტომ ლოგიკური ანალიზურობაც შეუძლებელია წინააღმდეგობის გარეშე.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ ლოგიკურისთვის აუცილებელია შინაგანი წინააღმდეგობა. სწორედ წინააღმდეგობრივი სინამდვილე აიძულებს მის ამსახველ აზრს იყოს წინააღმდეგობრივი. წინააღმდეგობის კატეგორია თავისი შინაარსით უზოგადესია როგორც არსისათვის, ისე აზრისათვის — ლოგიკურისათვის და შემეცნებისათვის; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს რეალური წინააღმდეგობა და ლოგიკური წინააღმდეგობა ერთი და იგივე იყოს. მათ შორის არის არსებითი განსხვავება, რადგან ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს საგანთა შორის წინააღმდეგობას, მეორე შემთხვევაში კი აზრთა შორის; მაგალითად, მსჯელობათა შორის და თვითონ მსჯელობაში არსებულ წინააღმდეგობას. რეალურ საგნებში მოქმედი საწინააღმდეგო ძალების მოქმედება და მსჯელობა, როგორც მტკიცება-უარყოფის წინააღმდეგობა, ცხადია, სხვადასხვაა, მაგრამ, როგორც ითქვა, წინააღმდეგობა ყველგან არის სწორედ წინააღმდეგობა. წინააღმდეგობის ცნების სწორი განსაზღვრება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი.

მსჯელობაში აუცილებელია წინააღმდეგობა, რადგან მსჯელობის ბუნება (როგორც ამას შემდგომ გავარკვევთ) მტკიცება-უარყოფაში მდგომარეობს. ცნება არის მსჯელობის შედეგი (ესეც ქვემოთ გაირკვევა), დასკვნა მსჯელობათა გარკვეული ერთიანობაა. ამიტომ წინააღმდეგობა ლოგიკურის ყველა ფორმაში მოქმედებს; მაგრამ ისე, რომ ლოგიკურის არც ერთი ფორმა არ არის შიშველი წინააღმდეგობა; ასეთ შემთხვევაში ეს ფორმები შეუძლებელი იქნებოდა. წი-

ნააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე. ლოგიკურის ყოველ ფორმაში მოქმედებს წინააღმდეგობის ერთიანობა (როგორც ეს შემდგომ დამტკიცდება) და არა მხოლოდ წინააღმდეგობა. წმინდა წინააღმდეგობა არის ურთიერთგაუქმება. ე. ი. შეუძლებელია, შეუძლებლობაა. წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს, საფუძვლის მქონეა; წინააღმდეგობის საფუძველი არის ერთიანობა.

მართალია, წინააღმდეგობა განსხვავდება, როგორც ითქვა, დაპირისპირებისაგან, მაგრამ კატეგორიებში წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთი და იგივეა. სასრული და უსასრულო დაპირისპირებას ქმნიან, მაგრამ არასასრული არის უსასრულო და პირიქით. ასევე, კერძო და ზოგადი საპირისპირო კატეგორიებია, მაგრამ არაკერძო არის ზოგადი და პირიქით. უკვე აქედან ჩანს, რომ კატეგორიების ლოგიკაში არ შეიძლება არ მოქმედებდეს შინაგანი წინააღმდეგობა.

შინაგანი წინააღმდეგობა იმას ნიშნავს, რომ რაიმეში არის შინაგანი უარყოფა; ეს არის წინააღმდეგობა როგორც თვითუარყოფა. წინააღმდეგობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა რაიმე თავისთავის მიმართ არის წინააღმდეგობრივი. რაიმეს წინააღმდეგობა მხოლოდ თავისთავთან მიმართების კატეგორიაა, ამიტომ წინააღმდეგობა აბსოლუტური ხასიათის უნდა იყოს.

წინააღმდეგობის აბსოლუტურობა ლოგიკურისათვის საბუთდება ლოგიკურად ისევ უარყოფის საშუალებით. წინააღმდეგობა აბსოლუტურია, რადგან მისი ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია; უარყოფა თვითონ ქმნის წინააღმდეგობას; უარყოფა წინააღმდეგობის დადგენაა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობა რეფლექსურია; ის არის ლოგიკურის კატეგორია.

§ 16. ერთიანობა

როგორც ახლახან ითქვა, წინააღმდეგობა შეუძლებელია ერთიანობის გარეშე, სადაც წინააღმდეგობა მოქმედებს, იქ ერთიანობაც მოქმედებს.

არსებობს ერთიანობის კატეგორია (ლოგიკაში კანტმა შემოიტანა). ერთიანობა არის საერთო, რომლისთვისაც აუცილებელია განსხვავებული. ამით განსხვავდება იგი გვარისაგან, რომლისთვისაც არა თუ აუცილებელი არაა განსხვავებული, არამედ სრულიად ზედმეტია (სახის სპეციფიკური ნიშნები). მაგ., წარმოება, როგორც მისი მომენტების ერთიანობა, არის ერთიანობა, რომლისთვისაც აუცილებელია მოხმარება, განაწილება და სხვ. საერთო — გვარი განსხვავების აუცი-

ლებელი პირობაა, მით უმეტეს ეს ითქმის ერთიანობის შესახებ. ერთიანობა არის არა მხოლოდ განსხვავების, არამედ, როგორც ითქვა, წინააღმდეგობის აუცილებელი საფუძველიც. ერთიანობა არის ერთი და იგივეობრივი განსხვავება-დაპირისპირება-წინააღმდეგობაში; ერთიანობის გარეშე არაფერია.

მით უმეტეს ეს ითქმის ლოგიკურის შესახებ. ერთიანობის გარეშე შეუძლებელია ლოგიკური აზრი. ცნება მისი ნიშნების ერთიანობაა, ის არის ერთი — განუყოფელი აზრი საგნის არსების შესახებ. მსჯელობაც განსხვავებულთა ერთიანობაა; ის ერთი — განუყოფელი აზრია, თუმცა მას აქვს მომენტები სუბიექტისა და პრედიკატის სახით. ასეთია დასკვნაც, დასაბუთებაც. სისტემა, მაგალითად, დასაბუთებისა სწორედ ერთიანობაში მდგომარეობს. ერთიანობის გარეშე შეუძლებელია ლოგიკური აუცილებლობა. იგივეობა, რომელიც განსხვავებას შეიცავს, ერთიანობას წარმოადგენს. ლოგიკური სინთეზი აუცილებელი ერთიანობის გარეშე შეუძლებელია.

ერთიანობა არის როგორც რაიმე საგნის არსებობის, ისე აზრის აუცილებელი პირობა თუ საფუძველი. პლატონმა თავის თხზულებაში „პარმენიდე“ აჩვენა, რომ აბსოლუტური ერთის დაშვებას მივყევართ ყველაფრის, მათ შორის თვითონ ერთის უარყოფამდე; ერთის აბსოლუტური უარყოფაც შეუძლებელია, რომ არსებობს აუცილებლად ერთი და „სხვა“, ე. ი. აუცილებელია შედარებითი ერთის აღიარება. არსისა და აზრის ასეთი აუცილებელი ერთიანობა არისტოტელესათვის არის „ფორმის ფორმა“, სპინოზასათვის სუბსტანციაა, ლაიბნიცისათვის — მონადა, ჰეგელისათვის აბსოლუტური და სხვ. პირველად ლოგიკაში, სახელდობრ, შემეცნებისთეორიულ ლოგიკაში („ტრანსცენდენტალური ლოგიკა“) ერთიანობის კატეგორია კანტმა შემოიტანა, რომლისთვისაც ერთიანობის კატეგორია არის ზოგადი მსჯელობის წესი, ფორმა. ეს ერთიანობა ჰეგელმა, საბოლოოდ, ცნების, როგორც ზოგადობის, სახით წარმოიდგინა. მართლაც, ერთიანობის კატეგორია მნიშვნელოვანი კატეგორიაა დიალექტიკაში, რადგან დიალექტიკის „ბირთვი“ სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობაში მდგომარეობს, ერთიანობის გარეშე შიშველი წინააღმდეგობის აღიარება შეუძლებელია.

აზროვნება, ლოგიკური თვალსაზრისით, არის აუცილებელი ერთიანობა; ეს არის გარკვეული განუწყვეტლობა, მაგალითად, განუწყვეტლობა წინააღმდეგობისა, როგორც წინააღმდეგობის აუცილებლობა, რომელიც პირველად კანტის „ანტინომიებში“ დასაბუთდა, როგორც უარყოფითი დიალექტიკა; ჰეგელმა კი დადებითი დიალექტიკის სახით კატეგორიების დიალექტიკურ ერთიანობაში განა-

ხორციელა (ამ გაგებამ კოჰენზე დიდი გავლენა მოახდინა); მაგალითად, რაოდენობა არის წყვეტილობა-უწყვეტობის ერთიანობა. ვ. ი. ლენინის განმარტებით, მოძრაობა არის დროისა და სივრცის წყვეტილობა-უწყვეტობის ერთიანობა. ერთიანობა არის არა მარტო უწყვეტობის პრინციპი, არამედ წყვეტილობის პრინციპიც, რადგან წყვეტილობაში აუცილებელია გარკვეული უწყვეტი ერთეულების აღიარება.

ერთიანობის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა თვითონ უნდა იყოს ერთიანი. ერთიანობა არის ობიექტური საშუალება ყველაფრის მიმართ და თავის მიმართაც. ერთიანობის უარყოფა თავისებურად ადგენს ერთიანობას, აუცილებლობას, ე. ი. ასაბუთებს მას. ამიტომ ეს კატეგორია არის ლოგიკურად რეფლექსური. ის არის ლოგიკური კატეგორიაც და ლოგიკურის კატეგორიაც.

§ 17. წინააღმდეგობა და ერთიანობა

წინააღმდეგობა და ერთიანობა განუწყვეტელ ერთიანობაშია და წინააღმდეგობის ერთიანობა თვითონ არის ერთი კატეგორია. კატეგორიათა ერთიანობა ახალი კატეგორიაა. წინააღმდეგობა არის ერთი (როგორც კატეგორია), ის ერთი კატეგორიაა. ერთიანობა გულისხმობს განსხვავებას, რომლის არსებაც არის უარყოფა, ამიტომ წინააღმდეგობაც. ერთიანობა აუცილებლობით გულისხმობს წინააღმდეგობას. წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს, მესამე გამორიცხულია; თვითეული ამ მხარეთაგანი, ცხადია, ერთია. წინააღმდეგობა ერთის და ერთიანობის გარეშე შეუძლებელია.

წინააღმდეგობა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანის — ერთიანობის საფუძველზე; ერთიანობა არც ჩქმალავს და არც აუქმებს წინააღმდეგობას (როგორც ეს ჩვეულებრივ ჰგონიათ). პირიქით, ერთიანობა სრულიად ავლენს წინააღმდეგობას. რაიმეს განვითარების საფუძველზე წინააღმდეგობა აუცილებლად არის სხვადასხვა (მაგ., კაპიტალიზმში წინააღმდეგობა ანტაგონისტურია, სოციალიზმში კი — არაანტაგონისტური, თუმცა წინააღმდეგობა მაინც არსებობს; განვითარება შეუძლებელია შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე). ასეა ერთიანობაც. სხვადასხვა წინააღმდეგობრიობისათვის სხვადასხვა ერთიანობაა აუცილებელი და პირიქით. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ერთიანობა იცვლება, წინააღმდეგობა კი იგივე რჩება, და თითქოს ეს წარმოადგენს წინააღმდეგობის აბსოლუტურობას და ერთიანობის შეფარდებითობას. ასეთი აზრი იქნებოდა წინააღმდეგობისა და ერთიანობის ერთიმეორისაგან მომწყვეტი აზრი, რაც შეცდომად უნდა

იქნას მიჩნეული. ერთიანობა შეფარდებითია და წინააღმდეგობა აბსოლუტური მხოლოდ როგორც მოძრაობა და მისი მომენტი უძრაობა (ვ. ი. ლენინი); მოძრაობა აბსოლუტურია, უძრაობა კი შეფარდებითი, მაგრამ უძრაობა მოძრაობის აუცილებელი მომენტია; უძრაობის გარეშე მოძრაობაც შეუძლებელია. აბსოლუტურია მოძრაობა არა უძრაობის გარეშე, არამედ როგორც უძრაობის შემცველი. მაშასადამე, სრულად წარმოდგენილი აბსოლუტური არის წინააღმდეგობის ერთიანობა და არა შიშველი წინააღმდეგობა, რომელიც შეუძლებელია.

ერთიანობა არ არის წინააღმდეგობის მხარეების მსგავსი მესამე მხარე; არა, წინააღმდეგობა მესამეს გამორიცხავს. წინააღმდეგობის ერთიანობა არის საწინააღმდეგოებში არსებული იგივეობრივი, რომლისთვისაც აუცილებელია წინააღმდეგობის მხარეთა სპეციფიკური „ნიშნები". არა მარტო წინააღმდეგობაა შეუძლებელი ერთიანობის გარეშე, არამედ პირიქითაც, ერთიანობა შეუძლებელია წინააღმდეგობის გარეშე, რადგან ეს ერთიანობა არის სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა, წინააღმდეგობაში გარკვეული იგივეობრივი გარკვეული წინააღმდეგობის გადაწყვეტა შესაძლებელია იმიტომ, რომ წინააღმდეგობა თვითონ არის შესაძლებელი გარკვეულ საფუძველზე.

შეცდომაა ერთიანობისა და წინააღმდეგობის დაპირისპირება; ასეთი დაპირისპირების დაშვების შემთხვევაში საჭირო გახდებოდა ახალი ერთიანობა და ა. შ. უსასრულოდ, რაც შეუძლებლობას ნიშნავს. წინააღმდეგობა თვითონ შეიცავს ერთიანობას და არ დგას მის გარეთ. ერთიანობა იმას ნიშნავს (როგორც ამას შემდეგ გავარკვევთ), რომ ერთ-ერთი საწინააღმდეგოთაგანი თავისი ბუნებით გადადის მეორეში. ზოგადი თავისი ბუნებით გადადის კერძოში, რადგან ზოგადი, აღებული ცალკე, არის კერძო; კერძოც აბსოლუტურია, ზოგადის მნიშვნელობისაა, თუ ის წარმოვიდგინეთ ზოგადის გარეშე, და სხვ.

წინააღმდეგობა გამორიცხავს მესამეს, როგორც პრედიკატს. რაიმე სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრედიკატი, ან მისი საწინააღმდეგო, მესამე გამორიცხულია. არ შეიძლება რაიმე არ იყოს არც წითელი და არც არაწითელი, რადგან არაწითელში ყველა ფერი იგულისხმება, გარდა წითლისა. რაიმე არ შეიძლება არ იყოს არც კერძო და არც ზოგადი, რადგან მესამე არაფერია. მართალია, წინააღმდეგობა გამორიცხავს მესამეს, როგორც პრედიკატს, მაგრამ ემყარება „მესამეს", როგორც საფუძველს. როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ, დებულება: „რაიმე არის ან A, ან არა-A" თვითონ შეიცავს მესამეს, როგორც სუბიექტს („რაიმე"). ეს „მესამე", რო-

გორც სუბიექტი, ცხადია, არ არის ისეთი ბუნების, როგორიცაა წინააღმდეგობის მხარეები; როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ, ეს „მესამე“ უსასრულობის ბუნებისაა, წინააღმდეგობის მხარე კი სასრულია.

ჩვენთვის აქ საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის ცნება — კატეგორია არის ლოგიკური კატეგორია, მსგავსად სხვა ფილოსოფიური კატეგორიებისა; მაგრამ ის, აგრეთვე, არის ლოგიკურის კატეგორიაც, რადგან წინააღმდეგობის ერთიანობის უარყოფა თვითონ მას ემყარება; ის აბსოლუტური ხასიათისაა.

§ 18. არსი და არარსი ლოგიკაში

ყველასათვის ცნობილია, რომ არსის და არარსის კატეგორიები ონტოლოგიის კატეგორიებია, მაგრამ ლოგიკოსთა უმრავლესობის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ეს კატეგორიები, სწორედ როგორც ზოგადფილოსოფიური კატეგორიები, მოქმედებენ ლოგიკურშიც, სადაც იძენენ სპეციფიკურობას და წარმოდგებიან როგორც ლოგიკურის კატეგორიები (და არა მარტო ლოგიკური კატეგორიები). მაგალითად, არსი და არარსი მსჯელობაში კოპულის — „არის“ და „არ არის“ სახით მოქმედებს და არსებობს, როგორც სწორედ მსჯელობის ლოგიკური ელემენტები. აქ საქმე გვაქვს ლოგიკურში არსებობის ფორმასთან (რაც, მაგ., რიკერტის ფილოსოფიის ძირითად პრობლემას წარმოადგენს).

აქ თქმული მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, თითქოს კოპულას მხოლოდ ექსისტენციალური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს; არა. მაშინაც, თუ კოპულა „არის“ ექსისტენციალური მნიშვნელობის არაა, მთელი მსჯელობა მაინც გულისხმობს არსებობას, ან სინამდვილეში არსებობის და ან შესაძლებლობაში არსებობის სახით. როგორც ცნობილია, ლოგიკურად შესაძლებელია ყველაფერი ის, რაც მოიაზრება, რაც თავისთავის გაბათილება არაა. მსჯელობას არ სჭირდება მეტი არსებობა. თუ იმასაც ვიტყვით, რომ მსჯელობა ყრ გულისხმობს ობიექტურ არსებობას, რომ შესაძლებელია ობიექტურად არარსებულზე მსჯელობაც, მაშინ ის მაინც უნდა ვაღიაროთ, და იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ მსჯელობისათვის აუცილებელია ლოგიკური არსებობა. თვითონ ლოგიკური, როგორც ითქვა, თავისებური ობიექტურია. ამავე დროს, ლოგიკური არსებობა აქვს ყველაფერს იმას, რაც მოიაზრება, რაც შეიძლება ლოგიკური საგანი იყოს. მართალია, ეს არსებობა თავისებურია, სხვანაირად შეუძლებელიცაა.

ჰაგრამ მაინც არსებობაა. ლოგიკურში არსებობის უარყოფა შეუძლებელია, რადგან, ასეთ შემთხვევაში, უარყოფა ხომ მაინც იარსებებს?

არსებობა, როგორც კატეგორია, არსებითად, ერთი და იგივეა, ჭიუხედავად იმისა, თუ სად აქვს მას ადგილი. არსებობს ობიექტური საგანიც და ლოგიკური საგანიც; არ შეიძლება ლოგიკის საგანი არ არსებობდეს; ლოგიკის საგანი არ არის არარსებული. ლოგიკის საგანი, მართალია, არ არსებობს ობიექტურ-მატერიალურ სინამდვილეში, მაგრამ მას თავისებური არსებობა უსათუოდ აქვს.

არსი არის არა მარტო ონტოლოგიის საგანი, არამედ ის ლოგიკური საგანიცაა, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ლოგიკური არსის გამოა ობიექტური. არსი, როგორც ლოგიკურში გადასული ობიექტური, ლოგიკური ფორმით წარმოდგენილი არსი, არის საგანი ლოგიკისა. მაგრამ არარსიც ლოგიკური საგანია, იგი ლოგიკურადაც არსებობს. ეს აზრი პირველად დიალექტიკის ისტორიაში პლატონმა დაასაბუთა (დაუსაბუთებლად ჰერაკლიტესაც ჰქონდა). როგორც ითქვა, პლატონის აზრით, არარსი არის არსებობაში, როგორც განსხვავება; მაგრამ მანვე გარკვეულად ნათელყო ის, რომ არარსი არის, არარსი არსებობს, როგორც აზრის საგანი; ის ლოგიკური საგანიცაა. რამდენადაც არსშიც და აზრშიც „არარსი" არის, ამდენად ეს „არარსი" შეფარდებითია და არა აბსოლუტური (ეს აზრი სისრულით მოიხმარა შემდგომ ჰეგელის დიალექტიკამ).

უნდა ითქვას, რომ, გარკვეული აზრით, არსი არის არარსი და პირიქით: 1) როგორც უაღრესად აბსტრაქტულნი (კონკრეტული საგნის არსებობის და არარსებობის გაიგივება უაზრობაა); ცარიელი არსი იგივე არარსია და პირიქით (როგორც ეს ჰეგელმა აჩვენა); აქ ორივე ცნება შედარებითი მნიშვნელობით არის აღებული და არა აბსოლუტური მნიშვნელობით; 2) ამ გარემოებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ არსი და არარსი გაგებული იქნება როგორც ქმნადობის მომენტები, წარმოშობა-მოსპობის მომენტები; წარმოშობა-მოსპობაში ადგილი აქვს არსის არარსში და პირიქით გადასვლას; 3) არსი და არარსი იგივეობრივია, რამდენადაც არარსი ლოგიკურად არის, ე. ი. რამდენადაც ის ლოგიკური საგანია.

აბსოლუტური არსი და არარსი ერთიმეორეს გამორიცხავენ, როგორც ეს ნათელყოფილ იქნა პარმენიდესთან და პლატონთან. მაგრამ ამით ისიც ნათელი გახდა (როგორც ეს პირველად ჰეგელმა აღნიშნა), რომ აბსოლუტური არსი არის იგივე არარსი; აბსოლუტური არსი თავისი ბუნებით გადადის და არის არარსი. ეს (ისტორიულად)

დაამტკიცა გორგიამ. რომელიც ამბობდა, რომ არაფერი არ არსებობს; მას ეს დებულება გამოყავდა სწორედ პარმენიდეს არსის ცნებიდან. პარმენიდე ამტკიცებდა, რომ არსი არ არის ბევრი, არსი არ არის ცვალებადი და სხვა. — უარყოფითი პრედიკატების ჩამოთვლით, ე. ი. ყველა დადებითი პრედიკატის გამოკლებით არსი გადაიქცა არარსად, მაშინ როცა იგი არარსის არსებობას უაზრობად თვლიდა.

არსისა და არარსის, როგორც კატეგორიების, განსაზღვრებები არის მათი ერთიმეორისადმი პირველადობა — მეორადობის დადგენა. პირველადი არის არსი, რომელიც აზრს აძლევს არარსს და პირიქით, არსის ცნება შესაძლებელია არარსის ცნებასთან დაპირისპირებაში, მაგრამ გაბატონებული (მარქსის თქმით „გარეგადამწყდომი") არის არსი. „არარსი" უკვე შეუძლებლია არსის გარეშე იმ აზრითაც, რომ „არარსი" ფორმალურად არსსაც შეიცავს; შეუძლებელია დაიწეროს „არარსი", თუ შიგ არ იქნა არსი, მაშ., არარსი არსებითად და ფორმალურად შედარებითი ცნებაა; არარსი არის შედარებითი არარსი.

არსებობა არ შედის ცნებაში, როგორც მისი ნიშანი (როგორც ამას კანტი ამტკიცებდა); ამიტომ მცდარი იყო ანსელმის ონტოლოგიური არგუმენტი ღმერთის დასაბუთებისა; მაგრამ მთელი სინამდვილის ცნება შეიცავს არსებობის ნიშანსაც; სინამდვილის მთავარი ნიშანი სწორედ ობიექტური არსებობის ნიშანია. არსებობა, როგორც უზოგადესი (კატეგორიის შინაარსი) არ შეიძლება არ შევიდეს რაიმე ფორმით ყველაფერში. შეუძლებლია სინამდვილის არსებობის უარყოფა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უარყოფა ხომ მაინც უნდა არსებობდეს? შეუძლებელია ლოგიკურის ლოგიკური უარყოფაც, რადგან ეს უარყოფა თვითონ იქნება ლოგიკური კატეგორია თუ ოპერაცია. ამდენად არსებობა ლოგიკურშიცაა; არის ლოგიკური არსებობაც — ლოგიკური არსი და არარსი.

არსი და არარსი ონტოლოგიური საფუძველია მტკიცება-უარყოფის, ლოგიკური დადებითობა-უარყოფითობის. მაგრამ არსი და არარსი თავისებურად მოქმედებს ლოგიკურში — მსჯელობაში, როგორც „არის" და „არ არის".

არსის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს უარყოფა ხომ არის? არარსის უარყოფაც შეუძლებელია, რადგან ხომ ეს უარყოფა იქნება არარსი? ამრიგად, არსის უარყოფაც მასვე ადგენს და არარსის უარყოფაც მასვე ადგენს. მაშასადამე, არსი და არარსი, როგორც ლოგიკურში მოქმედნი, არა მხოლოდ ლოგიკური კატეგორიებია, არამედ ლოგიკურის კატეგორიებსაც წარმოადგენენ.

როგორც ვნახეთ, წინააღმდეგობის და ერთიანობის დამოკიდებულებაში და არსის და არარსის დამოკიდებულებაში ადგილი აქვს შეფარდებითისა და აბსოლუტურის დამოკიდებულებას. ამიტომ უნდა ითქვას, რომ სადაც მოქმედებენ კატეგორიების პირველი ორი წყვილი, იქ უკანასკნელებიც მოქმედებს. შეფარდებითი (თუ შედარებითი) და აბსოლუტური ონტოლოგიის კატეგორიებიც არიან და ლოგიკის კატეგორიებსაც წარმოადგენენ. ისინი არიან ლოგიკური კატეგორიებიც და ლოგიკურის კატეგორიებიც.

რელატიურის და აბსოლუტურის განსხვავება თვითონ არის რელატიური ხასიათისა (ვ. ი. ლენინი). ეს ასეა, რადგან რელატიურის და აბსოლუტურის ცნებები შეფარდებითი ცნებებია: რელატიურს აზრი აქვს აბსოლუტურით და პირიქით — აბსოლუტური ასეთია შეფარდებითთან მიმართებაში. ეს ცნებები ერთიმეორის საპირისპირო ცნებებია, მაგრამ ერთიმეორისგან მოუწყვეტელი არიან, ე. ი. იმყოფებიან აუცილებელ ერთიანობაში. რაიმე ან შეფარდებითია, ან აბსოლუტური, მესამე გამორიცხულია, მაგრამ „მესამე" უნდა იყოს მათი ერთიანობა. თუ შეფარდებითი და აბსოლუტური ერთიმეორის მიმართ არის აზრის მქონე და თუ ამ მიმართებაში არ არსებობს მესამე შეფარდებითი, მაშინ უნდა ითქვას, რომ: 1) შეფარდებითთან დაპირისპირებული აბსოლუტური თვითონ არის შეფარდებითი, და 2) ამ ორი შეფარდებითის ერთიანობა აღარ იქნება შეფარდებითი, ის იქნება აბსოლუტური. ანუ უკეთ: რელატიურის და აბსოლუტურის ერთიანობაში „გარეგადამწვდომი" არის აბსოლუტური. ამიტომ უნდა ითქვას, რომ აბსოლუტური ამ ორი შეფარდებითის ერთიანობაა.

მცდარია (სოფისტიკაა) აზრი, თითქოს რელატიური იყოს მხოლოდ რელატიური, აბსოლუტურის გამომრიცხველი (ვ. ი. ლენინი); არა, რელატიური არ არის მხოლოდ რელატიური, „რელატიურში არის აბსოლუტური".[1] თუ რელატიური მოვწყვიტეთ აბსოლუტურს, მაშინ თვითონ რელატიური გამოცხადდება აბსოლუტურად. ამიტომაა, რომ რელატივიზმი თავისთავს აუქმებს, აბათილებს, ვარდება გამოუვალ წინააღმდეგობაში. აქ ნათელია შეფარდებითისათვის აბსოლუტურის აუცილებლობა. უარყოფით დიალექტიკასთან ერთად მჟღავნდება დადებითი დიალექტიკის აუცილებლობა.

აბსოლუტური, როგორც შეფარდებითის შემცველი, არ შეიძლება არ იყოს აბსოლუტური. შეფარდებითიც შეიცავს აბსოლუტურს, როგორც მარცვალს. მაგალითად, შეფარდებითი ჭეშმარი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 372.

ტება მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტება, თუ ის აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავს (ვ. ი. ლენინი).

შეფარდებითი არის აბსოლუტურის ცალმხრიობა თუ ერთმხრიობა, მომენტი, მხარე. აბსოლუტური არის ერთიანობა შეფარდებითთა, თუკი ეს უკანასკნელი არის მხოლოდ ორი — წინააღმდეგობის მხარეები. წინააღმდეგობის ერთი მხარე არის შეფარდებითი, წინააღმდეგობის ერთიანობა კი აბსოლუტურია. წარმოება აბსოლუტურია, მისი მომენტები კი შეფარდებითი არიან. მსჯელობა რელატიურია, ერთი მხარეა წინააღმდეგობის ერთიანობისა; მაგალითად, „კერძო არის ზოგადი“ და „კერძო არ არის ზოგადი“ ერთმხრიობებია კერძოს და ზოგადის ერთიანობისა, რომელიც აბსოლუტურია.

მსჯელობა, როგორც დასკვნის ერთი მხარე, არ შეიძლება არ იყოს რელატიური; ასე ითქმის თვითონ მსჯელობის მომენტების შესახებაც; ისინი მსჯელობის ერთმხრიობებს წარმოადგენენ. მაგრამ, როგორც ამას შემდეგ დავამტკიცებთ, არსებობს ისეთი დასკვნა, როგორც სრული შუალობითი კავშირი, რომელიც აბსოლუტური ხასიათისაა მისი ერთმხრიობების მიმართ. იმასაც ნათელვყოფთ, რომ აბსტრაქტული ზოგადი კონკრეტული ზოგადის ერთმხრიობაა. ყოველი ერთმხრივი არის რელატიური. აბსოლუტური კი გარკვეული ერთმხრიობების ერთიანობას წარმოადგენს.

ჩვენთვის აქ საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ: 1) აბსოლუტურის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს უარყოფა იქნებოდა აბსოლუტური; ამიტომ აბსოლუტურის უარყოფა მასვე ადგენს. 2) შეფარდებითის უარყოფაც აბსოლუტურს ხდის შეფარდებითად, რადგან ის მოწყვეტილი აღმოჩნდება შეფარდებითს, რომელთანაც დაპირისპირებული აბსოლუტური თავის თავს ხსნის. მაშასადამე, რელატიურის უარყოფაც მასვე ადგენს. ამრიგად, ეს კატეგორიები ლოგიკურის კატეგორიებია.

§ 20. პირობითი და უპირობო

აბსოლუტურის და შეფარდებითის ბუნების განხილვიდან პირდაპირ გამომდინარეობს პირობითის და უპირობოს, როგორც კატეგორიების, ხასიათიც. ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით მხოლოდ შემდეგის აღნიშვნით.

პირობითი არის ის, რაც სხვაზეა დაფუძნებული, რასაც სხვა აქვს პირობად: 1) რომელიმე მოვლენა პირობითია, რამდენადაც მას აქვს გარეგანი მიზეზი — პირობა; 2) დანასკვი პირობითია, რამდენადაც ის არის სწორედ დანასკვი საფუძვლიდან — წანამძღვრებიდან;

თეზისი პირობადებულია საფუძვლით; ყოველი ერთმხრივი, ნაწილი მთელით არის გაპირობებული და სხვ. უპირობო კი არის ის, რაც თავისთავზეა დაფუძნებული. მაგალითად, მთლიანად აღებული ლოგიკური, ე. ი. ლოგიკური, როგორც ასეთი, არ შეიძლება ლოგიკურად ეფუძნებოდეს სხვას; ლოგიკურს არ აქვს სხვა ლოგიკური საფუძველი. ლოგიკური რეალურით არის გაპირობებული. რეალური არ შეიძლება იყოს ლოგიკურის ლოგიკური საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით რეალურის ლოგიკურთან გაიგივებას, ე. ი. მივიღებდით იდეალისტურ შეცდომას. მეორე მხრივ, ლოგიკურს რომ სჭირდებოდეს სხვა ლოგიკური საფუძველი, მაშინ ამ საფუძველსაც დასჭირდებოდა სხვა ლოგიკური საფუძველი და ა. შ., რაც შეუძლებელია. მაშასადამე, აუცილებელია ლოგიკურის თავის თავის საფუძვლად აღიარება.

თუ რას წარმოადგენს უპირობო ლოგიკური, ამის შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი. აქ კი აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ უპირობო არის პირობითის და უპირობოს ერთიანობა, სადაც უპირობო „გარეგადამწვდომ" მომენტს წარმოადგენს. პირობითის უარყოფა, კატეგორიულად, გვაძლევს უპირობოს, მაგრამ ასეთი უპირობო აღარაა უპირობო, რადგან მას აკლია პირობითი, რომელთან დაპირისპირებაც (უარყოფით ხდება ეს დაპირისპირება) მას აქცევს პირობითად. ეს გადასვლა საპირისპიროში ამ უკანასკნელის აუცილებლობას ადგენს. გარკვეული მხრივ, პირობითი არის ის, რაც სხვით დგინდება ან უარიყოფა, მაგრამ პირობითი, როგორც კატეგორია, არ შეიძლება უარყოფილ იქნას, ის აუცილებელია, რადგან ასეთი პირობითის უარყოფა გაპირობებულს ქმნის; ასეთი უარყოფა თვითონ არის გაპირობებულის გარკვეული პირობა. აქ ნათქვამი იმასაც ნიშნავს, რომ თვითონ პირობითი უნდა შეიცავდეს უპირობოს, წინააღმდეგ შემთხვევაში უპირობოს კატეგორია არ იარსებებდა, ის არ იქნებოდა აუცილებელი.

შეუძლებელია უპირობოს უარყოფაც, რადგან უპირობოს უარყოფა, ასე ვთქვათ, უპირობოზე უფრო ძლიერი იქნებოდა, ე. ი. ასეთი უარყოფა თვითონ იქნებოდა უპირობო. მაგრამ უარყოფა წინასწარ გულისხმობს უარყოფილს, როგორც რაღაც დადებითს, ამიტომ თვითონ ეს უარყოფა გაპირობებული გამოდის.

მაშასადამე, პირობითი და უპირობო ერთიმეორეს და ამით მათ ერთიანობას აუცილებლობით მოითხოვენ. ეს კატეგორიები ერთიმეორის საშუალებით თავიანთ თავს ადგენენ, ე. ი. ლოგიკურის კატეგორიები არიან.

§ 21. კერძო და ზოგადი

კერძო და ზოგადი აქ განხილული იქნება როგორც ლოგიკურის კატეგორიები (ისე კი მათი სრული განხილვა და მათი განსაზღვრებები შემდეგ იქნება წარმოდგენილი). ეს კატეგორიები არსებითია ლოგიკურისათვის, რადგან: 1) ამ კატეგორიებს ემყარება ცნობილი ლოგიკური მეთოდები და შესატყვისი დასკვნები: ინდუქცია, დედუქცია, რედუქცია. ინდუქცია კერძოდან ზოგადის მიღებაა, დედუქცია პირიქით — ზოგადიდან კერძოს მიღება; რედუქცია კი კერძოს, როგორც შედეგის, საფუძველზე მიყვანას წარმოადგენს; 2) ყოველი მსჯელობა, არსებითად, არის კერძოსა და ზოგადის ერთიანობა; 3) ამიტომ დასკვნები და დასაბუთება ემყარება კერძოსა და ზოგადის, როგორც კატეგორიების, კავშირს (კერძოს კერძოსთან კავშირიც ხომ არის: ა) ამ კატეგორიის გამოყენება, და ბ) ეს კავშირი არ შეიძლება არ იყოს ზოგადი, როგორც საერთო-ერთიანი განსხვავებულთათვის); 4) ცნება ხომ ზოგადია თავისი ბუნებით. ერთეულის ცნებაც თავისებურ ზოგადს წარმოადგენს, რამდენადაც ის შეიძლება იყოს ერთეულის არსებითი მომენტების აუცილებელი ერთიანობა.

კერძოსა და ზოგადის კატეგორიები არის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის კატეგორიები, ამიტომ ისინი თავისებური პირველი ფილოსოფიის — ლოგიკის — კატეგორიებს წარმოადგენს.

შეუძლებელია კერძოს უარყოფა, რადგან ის, რასაც უარყოფით მივიღებთ, იქნება კერძო (მაგალითად, ცალკე წარმოდგენილი ზოგადი არის ცალკეული, კერძო). ამიტომ კერძოს უარყოფა (ზოგადის საშუალებით) ისევ კერძოს ადგენს. შეუძლებელია ზოგადის უარყოფაც, რადგან: 1) ამ უარყოფის შემდეგ მიღებული კერძო იქნება ერთადერთი, აბსოლუტური, ე. ი. ზოგადი, 2) თვითონ ამ უარყოფას ექნება ზოგადობის ხასიათი; ეს უარყოფა თვითონ იქნება ზოგადი. ამიტომ ზოგადის უარყოფა ისევ ზოგადს ადგენს (კერძოზე გავლით). ამიტომ ორივე კატეგორია რეფლექსურია. ნამდვილი ზოგადი არის კერძოს და ზოგადის (გარეგადამწვდომი) ერთიანობა. მაშასადამე, ეს კატეგორიები ლოგიკურის კატეგორიებია.

§ 22. არსება და მოვლენა ლოგიკურში

როგორც ცნობილია, არსებისა და მოვლენის კატეგორიები მეტაფიზიკის, სახელდობრ, არსების ონტოლოგიის კატეგორიებია, მაგრამ მათი გამოყენება ხდება და უნდა მოხდეს ლოგიკაშიც, რადგან ყველაფერს აქვს არსება, სახელდობრ, ის, თუ რა არის ეს; არსება

აქვს არაარსებით ნიშნებსაც. მაგალითად, ფერს; არსება აქვს მსჯელობას, დასკვნას, დასაბუთებას, — ყველაფერს, რისი განსაზღვრებაც, ე. ი. რისი ცნებაც შეიძლება; განსაზღვრებით დგინდება ყველაფრის ცნება, კერძოდ, ლოგიკურის და მისი ფორმების ცნებებიც. არისტოტელე ფიქრობდა, რომ დეფინიცია არის არსების ცოდნის — ცნების — დადგენა; ასეთი ცნება დგინდება არაარსებითის შესახებაც. კანონი საერთოდ არის არსების კატეგორია; ასეთია ლოგიკურის კანონიც, რომელიც ხორციელდება ცნებებსა, მსჯელობებსა და დასკვნებში, როგორც აზრის ფორმებში. არსება არის ამხსნელი, ახსნილი კი მოვლენაა. არსება არის ის, თუ რა არის ეს; მოვლენა კი არის ის, თუ როგორია ეს; არსება არის თავისთავთან მიმართება; მოვლენა კი მისი მხარეა.

რადგან არსება არის ის, რასაც რაიმე წარმოადგენს, ამიტომ ცნების თვალსაზრისით ის არის ლოგიკური კატეგორიაც. არსება ლოგიკაში არაა არისტოტელეს „უსიას" მაგვარი მისტიკური; არა, ის სწორედ ცნების შინაარსია. არსებისა და მოვლენის ცნებები ლოგიკაში შეიძლება შეიცვალოს ზოგადისა და კერძოს ცნებებით, მაგრამ ამ ცნებებსაც ხომ აქვს არსება? ამიტომ ლოგიკაში არსების ცნებას გვერდს ვერ აუვლით; ამდენად, მოვლენის ცნებაც აუცილებელი ხდება. არსებისა და მოვლენის ცნებები უზოგადესია, ამიტომ ისინი ლოგიკურშიც მოქმედებენ.

არსების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ამ უარყოფით მიღებულს — მოვლენას ხომ ექნება არსება, ე. ი. ის, რაც ის არის? ამიტომ არსების უარყოფა მოვლენის უარყოფაცაა (ემპირიზმი და პოზიტივიზმი ამიტომ გამოუვალ წინააღმდეგობაში იმყოფება). არსების უარყოფით მიღებულიც არსების მქონეა, ე. ი. არსების უარყოფით თვითონ არსების აუცილებლობა დგინდება. ასე ითქმის მოვლენის შესახებაც. არც მოვლენის უარყოფა შეიძლება, რადგან მოვლენის უარყოფით მიღებული არსებაც მოვლენა იქნება; კერძოს უარყოფით მიღებული ზოგადი არის ისევ კერძო, ცალკეული. მოვლენის უარყოფა ცხადყოფს მოვლენის აუცილებლობას. მოვლენა არის ერთმხრიობა, კერძო, არსება კი — კერძოთა ერთიანობა, სისრულე; არსება ერთმხრიობათა ძირია და არა ერთობლიობა. ერთმხრიობისა და სისრულის ერთიანობა ამოსწურავს ლოგიკურს; ლოგიკური აუცილებლობის ბუნება სწორედ ამ ერთიანობაში მდგომარეობს. მაშასადამე, არსება და მოვლენა ლოგიკურის კატეგორიებსაც წარმოადგენს.

ფორმისა და შინაარსის ცნებები მეტაფიზიკის, სახელდობრ, არსების ონტოლოგიის კატეგორიებია, მაგრამ ლოგიკურ და ლოგიკურის კატეგორიებსაც წარმოადგენენ. საერთოდ, შინაარსი არის ელემენტების ერთიანობა, ფორმა კი ამ ერთიანობის წესს წარმოადგენს; ამ წესს შეიძლება კანონის აზრი ჰქონდეს. ასეთი მდგომარეობაა ლოგიკის სფეროშიც.

მსჯელობა არის აზრის ფორმა — აზრის ელემენტების (სუბიექტი, პრედიკატი) ერთიანობის გარკვეული წესი; ეს არის მტკიცებაუარყოფის წესით შესრულებული ერთიანობა. ასეთია მსჯელობის ყველა სახე. ასე ითქმის დასკვნის, დასაბუთების შესახებაც. ცნება არის გარკვეული ფორმა, სახელდობრ, ის ზოგადობა, რომელიც მსჯელობით, დასკვნით მიიღება. ის დასკვნის ზოგადი აზრია (როგორც ეს ქვემოთ — აზრის ფორმების განხილვის დროს — იქნება ნათელყოფილი). ლოგიკა არის მეცნიერება აზრის ამ ფორმების შესახებ, რდგორც გარკვეული შინაარსის მქონე ფორმების შესახებ.

ლოგიკა სწავლობს აზრის ფორმებს. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს ფორმები უშინაარსო ფორმებს წარმოადგენენ. ლოგიკა აბსტრაქციას აკეთებს ემპირიული შინაარსისაგან, მაგრამ არა საერთოდ შინაარსისაგან, კერძოდ, ლოგიკური შინაარსისაგან; თუმცა მათემატიკური ლოგიკა იმასაც ცდილობს, რომ საერთოდ შინაარსისაგან განთავისუფლდეს. ამას მოწმობს ლოგიკის ფორმალიზაცია, აქსიომატიზაცია, ყველაფრის დაყვანა სიმბოლურზე და მათ კომბინაციაზე, რასაც მათემატიკური ლოგიკა მიმართავს. სწორედ ამიტომ სჭირდება მას მეტა-და მეტამეტალოგიკები, ლოგიკის ერთიანობის დაშლა, რაც შეცდომას წარმოადგენს.

ლოგიკურ ფორმას აქვს საკუთარი შინაარსი (ჰეგელი, მარქსი). ეს შინაარსი არის ის, რასაც ფორმა, მაგალითად, მსჯელობა, ცნება ან დასკვნა წარმოადგენს. ყოველგვარი, კერძოდ, ლოგიკური განსხვავებულობა არის შინაარსი. აქსიომების სიმრავლე, ლოგიკური ფორმების სხვადასხვაობა არის ლოგიკურის და ლოგიკის შინაარსი. შინაარსისგან დაცლილი სიმბოლოც რაღაც შინაარსის მქონეა; შინაარსის გარეშე სიცარიელეა და არა გარკვეული ფორმა. ფორმა სხვა არაფერია, თუ არა შინაარსის გარკვეულობა, რომელსაც შინაარსი აქვს.

ლოგიკური ფორმები ერთიმეორეს სწორედ საკუთარი შინაარსის გამო უკავშირდებიან; ამიტომაა შესაძლებელი მათი ლოგიკური აუცილებელი კავშირი, სახელდობრ: 1) დიალექტიკა, განვითარება

აზრში, აზრის ფორმების განვითარებითი კავშირი, 2) ამის გამო შემეცნების თეორიისა და ლოგიკის იგივეობა (ამ საკითხებს შემდგომ სპეციალურად განვიხილავთ და აღნიშნულ დებულებებს დავასაბუთებთ).

შეუძლებელია შინაარსის უარყოფა, რადგან ამ უარყოფას და იმას, რაც ამ უარყოფით დარჩება, ექნება და აქვს რაღაც შინაარსი. შინაარსის უარყოფით ნათელი ხდება შინაარსის აუცილებლობა. შეუძლებელია ფორმის უარყოფა, რადგან უარყოფა თვითონ არის გარკვეული ფორმა და რაც ამ უარყოფით დარჩება, მასაც რაღაც გარკვეული ფორმა ექნება. ასე რომ ფორმის უარყოფა მისსავე აუცილებლობას ადგენს, აჩვენებს. მაშასადამე, ფორმისა და შინაარსის კატეგორიები რეფლექსური ბუნებისაა; ისინი ლოგიკურის კატეგორიებსაც წარმოადგენენ. ფორმის და შინაარსის კატეგორიები მოიხმარებიან ყველაფრის, მათ შორის, თავისთავის მიმართაც.

§ 24. საფუძველი და შედეგი

ერთიმეორისაგან განასხვავებენ რეალურ საფუძველ-შედეგს და ლოგიკურ საფუძველ-შედეგს. ეს იმასაც მოწმობს, რომ არსებობს მათთვის უზოგადესი კატეგორიები — საფუძველ-შედეგის კატეგორიები, რომლებიც ლოგიკურშიც მოიხმარებიან. ლოგიკისათვის არსებითია სწორედ ლოგიკური საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, მათი აუცილებელი ერთიანობა — კავშირი (საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება არ არის იმპლიკაცია, და ის არ დაიყვანება ან-ან-ზე —გაყოფით წინადადებაზე, როგორც ამას ადგილი აქვს მათემატიკურ ლოგიკაში).

ლოგიკისათვის მთავარია აზრთა შორის საფუძველ-შედეგის კავშირი, რომელსაც შუალობითი ხასიათი აქვს, სადაც შუალობა აუცილებლობით ხორციელდება. მაგალითად, სილოგიზმში არ აქვს ადგილი საფუძვლისა და შედეგის შუალობით კავშირს, რამდენადაც საფუძვლიდან (აქაა მოთავსებული საშუალო ცნება) შედეგი უშუალოდ გამოდის (ამაზე შემდგომ). საფუძვლისა და შედეგის შუალობითი კავშირი უფრო სრული უნდა იყოს, ვიდრე სილოგისტური აუცილებელი კავშირი.

საფუძველი, შედეგი და მათი დამოკიდებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სხვადასხვანაირად:

1. ანალიზური დამოკიდებულების სახით, სადაც საფუძველში შედეგი წინასწარ იგულისხმება და არსებობს; ამიტომ გამოყვანას

ტავტოლოგიური, წმინდა იგივეობრივი ხასიათი აქვს; ასეთია სილოგიზმი, ოპერაციები მათემატიკურ ლოგიკაში და სხვ.

2. ისეთი სინთეზური დამოკიდებულების სახით, სადაც საფუძვლიდან აუცილებლობით მიიღება მისგან განსხვავებული შედეგი; მაგალითად, განსხვავებული კატეგორიების გადასვლები, როგორც ამას ადგილი აქვს ჰეგელის „ლოგიკაში“, მარქსის „კაპიტალში“ (მარქსის „სილოგიზმი“, წარმოდგენილი შემდეგი სახით: წარმოება — განაწილება— გაცვლა — მოხმარება, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ შესავალში) და სხვ. (ეს გადასვლები შემდგომ იქნება განხილული).

3. საპირისპირო კატეგორიის აუცილებლობით მიღების სახით: ა) საფუძველი არის ასეთი მისი საპირისპიროსათვის როგორც შედეგისათვის, მაგალითად, სასრული გადადის უსასრულოში და პირიქით უარყოფის საშუალებით, ასე — კერძო ზოგადში და სხვ. ბ) ასევე შედეგი აუცილებლობით გადადის მის საპირისპირო საფუძველში (იგივე მაგალითები); გ) ე. ი. საპირისპიროთაგან თვითეული საფუძველიც არის და შედეგიც, მაგრამ სხვადასხვა მხრივ. აქ აღნიშნული შესაძლებელია თვითსაფუძვლის მქონე ლოგიკურით და მასში.

4. თვითსაფუძვლის სახით, თვითსაფუძვლის მიმართებაში, სადაც რაიმე არის თავისი თავის საფუძველიც და შედეგიც; მაგალითად, უარყოფის უარყოფა ⁂რის უარყოფა, უარყოფის უარყოფით ისევ უარყოფის დადგენა; ასე ითქმის ყველა ლოგიკურის კატეგორიის შესახებ. თვითსაფუძველს ადგილი აქვს ყოველ ლოგიკურ რეფლექსიაში (თვითსაფუძვლის ცნება სრულად განხილული იქნება უსასრულო დასკვნის განხილვისას).

ახლახან თქმული შეიძლება გადმოცემულ იქნეს შემდეგნაირად: არსებობს საფუძველი: 1) სასრული: ა) ერთმხრივი, ბ) ორმხრივი (შებრუნებითი); 2) უპირობო — უსასრულო (თვითსაფუძველი). როგორც შემდგომ გაირკვევა, თვითსაფუძველი ტავტოლოგიური არაა, რადგან იგი შესრულებულია შინაგანი უარყოფით (მაგალითები: ლოგიკურის კატეგორიების მიღება); ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, ლოგიკური რეფლექსურობა. საფუძველი და შედეგი თვითსაფუძველზე გამოიყენება თავის თავის მიმართ; ამიტომ ისინი ლოგიკურის კატეგორიებს წარმოადგენენ.

საფუძვლის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფის დროს თვითონ უარყოფა იქნება საფუძვლად გამოყენებული; შედეგის უარყოფაც შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფის განხორციელებისას სწორედ უარყოფის შედეგთან გვექნება საქმე. ამიტომ

უნდა ითქვას, რომ ეს კატეგორიები მათი უარყოფის დროსაც აუცილებლობით მოიხმარებიან, ე. ი. ისინი ლოგიკურის კატეგორიებს წარმოადგენენ.

§ 25. მსჯელობა, დასკვნა და ცნება, როგორც კატეგორიები

მსჯელობის, დასკვნისა და ცნების ცნებები, შეიძლება ითქვას, ამოწურავენ ლოგიკურის სფეროს. მსჯელობა, დასკვნა და ცნება განხილულ იქნება შემდეგ. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მსჯელობა, დასკვნა და ცნება არა მხოლოდ ლოგიკური კატეგორიებია, არამედ ლოგიკურის კატეგორიებიც; ისინი, როგორც ლოგიკური ფორმები, ამავე დროს ლოგიკურის კატეგორიებსაც წარმოადგენენ.

ცნება საგნის არსების შესახებ აზრია. რამდენი საგნის არსებაცაა, იმდენი ცნებაა შესაძლებელი. მაგრამ ცნება, როგორც კატეგორია, არის მხოლოდ ერთი. ცნების სწორი განსაზღვრება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. ცნება, როგორც ცნება, არ შეიძლება ერთზე მეტი იყოს. ასე ითქმის მსჯელობისა და დასკვნის შესახებაც.

ამ კატეგორიებში ლოგიკური რეფლექსურობა ყველაზე უკეთ ჩანს; შესაძლებელია და სიძნელეს არ ქმნის ცნების ცნება, ასევე მსჯელობა მსჯელობის შესახებ. ცნების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ცნების უარყოფა თვითონ არის ცნება. შეუძლებელია მსჯელობის უარყოფაც, რადგან მსჯელობის უარყოფა მსჯელობას წარმოადგენს. ამასთანავე, ცნების უარყოფა ცნებასვე ადგენს; მსჯელობის უარყოფა მსჯელობისვე დადგენაა. ეს კატეგორიები თავის თავის მიმართ გამოიყენებიან, რეფლექსურნი არიან, ე. ი. ლოგიკურის კატეგორიებს (და არა მარტო ლოგიკურ კატეგორიებს) წარმოადგენენ.

უფრო რთული წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება დასკვნა იყოს ლოგიკურის კატეგორია; დასკვნის უარყოფა ისევ დასკვნა როგორღა იქნება? სადაა აქ რეფლექსურობა? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ დასკვნის განხილვის შემდეგ; ახლა კი საკმარისი იქნება შემდეგის თქმა: დასკვნა უნდა გავიგოთ, როგორც აუცილებელი შუალობითი კავშირი. რაიმეს უარყოფით ამ რაიმეს დადგენა არის სრული შუალობითი კავშირი, სრული დასკვნა. ამიტომ რეფლექსურობა თვითონ ამ დასკვნაშია განხორციელებული. თუ დასკვნა უარვყავით, მაშინ ამ უარყოფას, როგორც ჩვენ ამას შემდეგ ვაჩვენებთ, მეორე მხარეც აქვს, სახელდობრ, დადგენის მხარე. რაიმეს უარყოფა არის რაღაც დადგენა. უარყოფის ცნება გულისხმობს უარსაყოფელს და უარმყოფელს. უარყოფა არის სა-

შუალო ცნების როლის შემსრულებელი. ამიტომ შუალობითი კავშირის უარყოფაც არ იქნება მხოლოდ უშუალო, არამედ უარყოფის შემცველი უშუალო, ე. ი. ეს იქნება ისევ შუალობითი კავშირი, ამ აზრით. დასკვნა.

თუ დასკვნა მსჯელობებისა და ცნებებისაგან შედგება და თუ ცნებაც და მსჯელობაც ლოგიკურის კატეგორიებია, მაშინ არ შეიძლება დასკვნაც, კიდევ უფრო სრული სახით, არ იყოს რეფლექსური, ლოგიკურის კატეგორია. შეუძლებელია ლოგიკური შუალობითობა უარყოფის გარეშე. როგორც შემდეგ იქნება გარკვეული, ყოველი დასკვნა უარყოფის მომენტს შეიცავს. უარყოფის შინაგანად შემცველის უარყოფა შეუძლებელია, ისე როგორც წინააღმდეგობის ერთიანობის უარყოფა არ შეიძლება; ეს უარყოფა სწორედ მასვე ადგენს. შინაგანი უარყოფის შემცველის საწინააღმდეგოს შეუძლებლობა სწორედ შინაგანის უარყოფის შემცველის დადგენაა.

§ 26. აუცილებლობა

ცნობილია სხვადასხვანაირი აუცილებლობა: 1) რეალური აუცილებლობა, აუცილებლობა ბუნების საგნებში, 2) ისტორიული აუცილებლობა საზოგადოებაში და 3) ლოგიკური აუცილებლობა, აუცილებლობა აზრის ფორმებში, მაგალითად, დასკვნის აუცილებლობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვითონ აუცილებლობა იყოს სამი და არა ერთი; რომ აუცილებლობა სამი იყოს, მაშინ უნდა ითქვას, რომ სამივე აუცილებლობაა. აუცილებლობა, როგორც კატეგორია, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, მაგრამ მისი გამოვლინება შეიძლება მრავალნაირი იყოს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ აუცილებლობა არის სხვაგვარად შეუძლებლობა. აუცილებლობა არის რაიმეს არსებიდან გამომდინარეობა; აუცილებელი არის ის, რაც მოვლენის არსებიდან გამოდის (აზრის არსებიდან გამოდის მისთვის აუცილებელი).

აუცილებლობა შეუძლებელია იგივეობის ანუ ტავტოლოგიურობის მომენტის გარეშე; თუ ერთი რაიმედან მეორე აუცილებლობით გამოდის, თუ მათ შორის აუცილებელი კავშირია, მაშინ არსებობს მათში რაღაც იგივეობრივი, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლობა გამოირიცხებოდა, მაგრამ აუცილებლობა შეუძლებელია, აგრეთვე. განსხვავების გარეშე. აუცილებლობა მდგომარეობს განსხვავებულთა კავშირში, მხოლოდ განსხვავებულის მიღებაში. ერთი და იგივეს განმეორება აზრს უკარგავს აუცილებლობას. სწორედ სინთე-

ზურობა ქმნის პრობლემას აუცილებლობის შესახებ. სინთეზურობის გარეშე აუცილებლობის საკითხიც არ დაისმებოდა.

ლოგიკური აუცილებლობა შეიძლება გაგებულ იქნას სხვადასხვანაირად: 1) იგივეს მიღების აუცილებლობა, რასაც ადგილი აქვს ანალიზურობის დროს; 2) სხვისი მიღების აუცილებლობა; ეს ხორციელდება სინთეზურობაში; 3) თავის თავის დადგენის აუცილებლობა შინაგანი უარყოფის საშუალებით; აქ არსებობს სინთეზურობისა და ანალიზურობის სრული აუცილებელი ერთიანობა (რომელიც შემდგომ იქნება გამოკვლეული). აუცილებლობის პირველი გაგება არის ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობა, რომელიც სრული სახით ასე განისაზღვრება: აუცილებელი არის ის, რისი საწინააღმდეგოც შეუძლებელია. მაგრამ აუცილებლის ასეთი განსაზღვრება პირდაპირ პასუხობს არაპირდაპირი დასაბუთების —აპაგოგიის აუცილებლობას და არაა სისრულით გამომთქმელი იმისა, რაც პირდაპირ დასაბუთებაში ხორციელდება. ის გარემოება, რომ რაიმეს საწინააღმდეგო შეუძლებელია, ნიშნავს იმას, რომ აქ დასაბუთებულია სწორედ საწინააღმდეგოს შეუძლებლობა (საწინააღმდეგოს შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე), მაგრამ თვითონ „რაიმე“ რჩება დაუსაბუთებელი, თუკი საწინააღმდეგოს შეუძლებლობის გამო რაიმე დარჩენა დასაბუთებად არ იქნა ჩათვლილი. მაგრამ ასეთი „დარჩენა“ დაუსაბუთებლად დარჩენასაც ნიშნავს. ერთი სიტყვით, როგორც ცნობილია, აპაგოგიური დასაბუთება ნაკლოვანი დასაბუთებაა. პირდაპირ დასაბუთებაში განხორციელებული აუცილებლობა უფრო სრული უნდა იყოს; მაგრამ ამ სისრულეს ვეღარ გამოთქვამს განმარტება, რომ აუცილებელი არის საწინააღმდეგოს შეუძლებლობა. ამრიგად, სრული ლოგიკური აუცილებლობა განუსაზღვრელი რჩება.

მაგრამ თუ რაიმე აუცილებლობით არის ასეთი იმიტომ, რომ საწინააღმდეგო შეუძლებელია, მაშინ ეს რაიმე ასეთი ყოფილა სწორედ საწინააღმდეგოს შეუძლებლობის გამო. საწინააღმდეგოს შეუძლებლობა გაშოდის რაიმე განსაზღვრულობის საფუძვლად, რომელიც საწინააღმდეგოს ნიშანსაც შეიცავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია წინააღმდეგობის ერთიანობა, ე. ი. სრული აუცილებლობა უნდა იყოს წინააღმდეგობის ერთიანობის აუცილებლობა. მაგრამ საკითხავია, თუ როგორ და რაში ხორციელდება ეს აუცილებლობა. ახლა, როცა ვიცით ლოგიკურის კატეგორიის ბუნება, ადვილად შეიძლება გაეცეს პასუხი აქ დასმულ კითხვას. ეს აუცილებლობა არის ლოგიკურის კატეგორიის აუცილებლობა, — რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით ანხორციელებს ამ აუცილებლობას (რომელიც

უსასრულო დასკვნის აუცილებლობას უდრის, როგორც ეს შემდგომ იქნება ნაჩვენები). მაშასადამე, არსებობს ლოგიკურის კატეგორიის აუცილებლობა, რომელიც სრულ ლოგიკურ აუცილებლობას წარმოადგენს, და ამ აუცილებლობის ერთმხრივობა, რომელიც სრულად მიაჩნდა ფორმალურ ლოგიკას.

ამბობენ, რომ ლოგიკური აუცილებლობა ხორციელდება მხოლოდ დასკვნაში; მას ადგილი არა აქვს მსჯელობაში. ეს აზრი რომ სწორი იყოს, მაშინ მსჯელობა არ იქნებოდა აზრის ლოგიკური ფორმა, რადგან ლოგიკას საქმე აქვს მხოლოდ აუცილებლობასთან. რადგან მსჯელობა არის დასკვნის ერთი მხარე, მომენტი, ამიტომ მსჯელობაშიც არის აუცილებლობა, თუმცა ეს აუცილებლობა სრული არ არის. მსჯელობაში კოპულა სწორედ იმას გამოთქვამს, რომ სუბიექტი არის პრედიკატი. ეს ერთი შეხედვით ისეთი აუცილებლობის გამოთქმაა, რომელზე უფრო სრული შეუძლებელიც კი ჩანს. დასკვნაში სწორედ ის მართლდება, რაც მსჯელობაშია გამოთქმული. დასკვნაში სისრულით წარმოდგება კოპულის მიერ გამოთქმული აუცილებლობა, რომელსაც აუცილებლად აქვს ადგილი მსჯელობაში (ეს მსჯელობისა და დასკვნის გარჩევისას სრულად დახასიათდება).

იმის თქმა, რომ დასკვნაში აუცილებლობა სისრულითაა წარმოდგენილი, მსჯელობაში კი არასრულად, არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს აუცილებლობას ჰქონდეს მაღალი და დაბალი ხარისხი; არა, არსებობს მხოლოდ ერთი ლოგიკური აუცილებლობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს — მოვლინდეს სრულად და არასრულად. ლოგიკურ აუცილებლობაში არ არის რიცხვობრივი განსხვავება. თუ ინდუქციური დასკვნა ალბათურია, მაშინ მასში აუცილებლობის დაბალი ხარისხი კი არაა, არამედ სრულიად არ შეიცავს აუცილებლობას. ლოგიკური „ალბათობა“, როგორც ამას შემდგომ გავარკვევთ, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი მომენტი რაიმესათვის საწინააღმდეგოს საფუძვლად გამოყენებისა (უარყოფითი დიალექტიკის მომენტი).

შეიძლება ერთიმეორისაგან ვანვასხვავოთ ორგვარად მოვლენილი აუცილებლობა — სრულად გამოვლენილი და არასრულად გამოვლენილი. პირველი იქნება ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობაში გამოვლენილი აუცილებლობა, მეორე კი საარულ ლოგიკურში განხორციელებული აუცილებლობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ორი აუცილებლობის აღიარებას (რაც უაზრობას მოგვცემს), არამედ იმას, რომ ერთ შემთხვევაში გვაქვს სრული აუცილებლობა, მეორე შემთხვევაში კი — მისი ერთმხრივობა.

შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელი არის ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია (ე. ი. რომელსაც თავიდან ვერ ავიცილებთ). ეს გა-

ნააზღვრება თითქმის იგივეა, რაც ზემომოყვანილი: აუცილებელი არის ის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია, მაგრამ ამ უკანასკნელზე უფრო სრულია და პირდაპირი დასაბუთების აუცილებლობის ბუნებისაა. მაგრამ აუცილებლობა უფრო სისრულით წარმოდგება შემდეგ განსაზღვრებაში: აუცილებელი არის ის, რომლის უარყოფა მასვე ადგენს, მაგალითად, რომელიმე ლოგიკურის კატეგორიის აუცილებლობა. აქ მოყვანილი ორი განსაზღვრებიდან პირველი მეორეში მის ერთ მხარედ იგულისხმება. ის, რისი უარყოფა მასვე ადგენს, არის, ცხადია, ისიც, რომლის უარყოფა შეუძლებელია.

ასეთია თვითონ აუცილებლობა. შეუძლებელია აუცილებლობის უარყოფა. აუცილებლობის უარყოფა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ ეს უარყოფა უფრო ძლიერი აუცილებლობა იქნებოდა, ვიდრე ის აუცილებლობა, რომლის უარყოფასაც ვცდილობდით. მაშასადამე, აუცილებლობის კატეგორია რეფლექსურია, ლოგიკურის კატეგორიას წარმოადგენს.

§ 27. სასრული და უსასრულო

უკვე თქმული მიგვითითებს იმაზე, რომ სასრულისა და უსასრულოს კატეგორიები რეფლექსური ხასიათის უნდა იყვნენ, ისინი ლოგიკურის კატეგორიებს უნდა წარმოადგენდნენ.

სასრული და უსასრულო გაგებული იყო როგორც მხოლოდ მეტაფიზიკის კატეგორიები; ჩვენი აზრით, ისინი ლოგიკურ და ლოგიკურის კატეგორიებსაც წარმოადგენენ. თუ, მაგალითად, ჰეგელთან სასრულის და უსასრულის კატეგორიები არსის კატეგორიებს წარმოადგენენ, ჩვენთვის ისინი გაგებულია როგორც არსების კატეგორიები: უფრო ზუსტად, როგორც დასაბუთების არსების კატეგორიები. ჩვენთვის მთავარია უსასრულო ლოგიკური, უსასრულო ლოგიკურის ცნება, რომელსაც მსჯელობის თვისობრიობის აზრი აქვს; მსჯელობის თვისობრიობას მივყავართ ლოგიკური უსასრულობის ცნებამდე.

ფორმალური ლოგიკა ლოგიკურს სასრულის კატეგორიაზე აფუძნებს. არისტოტელესთან სასრული იგივეა, რაც გარკვეული, უსასრულობა კი გაურკვეველს წარმოადგენს; სასრული ანუ გარკვეული არის ის, რაც სხვანაირად შეუძლებელია; სასრული არის „ეს და არა სხვა". ამას გამოხატავს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი და თვითონ ლოგიკური აუცილებლობა, ლოგიკურად აუცილებელი, რომელიც განისაზღვრება ასე: აუცილებელი არის ის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია.

სასრულს, როგორც იმას, რაც არის „ეს და არა სხვა“, უშუალოდ გამოხატავს მსჯელობა: „რაიმე არის ეს“—დადებითი მსჯელობის აზრს წარმოადგენს, „ რაიმე არ არის სხვა“ უარყოფითი მსჯელობის ბუნების გამოთქმაა. სასრულის კატეგორია მსჯელობის თვისობრიობის საფუძველია, შინაარსია. შეიძლება ითქვას, რომ მსჯელობა არის სასრული ლოგიკურის ერთადერთი ფორმა. ამიტომ ლოგიკა, რომელიც მხოლოდ სასრულის კატეგორიას ეფუძნება, არის მსჯელობის ლოგიკა; ასეთია ფორმალური ლოგიკა მთელი მისი ისტორიის მანძილზე (ამ გარემოებას მოწმობს დასკვნის დაყვანა პირობით წინადადებაზე სტოელებთან და მათემატიკურ ლოგიკაში). მისთვის ლოგიკური არის მხოლოდ სასრული ლოგიკური.

სასრულ ლოგიკურს გამოხატვის ორი ფორმა აქვს: ჰოყოფადადგენა (მტკიცება) და უარყოფა. ონტოლოგიურად სასრული არის ის, რაც სხვაზეა დამოკიდებული, რასაც გარეგანი მიზეზი—პირობა აქვს; ასეთი პირობაც სასრულია, რადგან მას, როგორც სწორედ პირობას, აზრი აქვს გაპირობებულით. სასრულის ბუნება კარგად არის გამოთქმული სპინოზას მიერ მოდუსის განსაზღვრებაში; მისთვის სასრული მოდუსი არის ის, რომელსაც სხვა საფუძველი აქვს, რომელიც არის სხვაში და რომლის მოაზრებისათვის სხვისი მოაზრებაა აუცილებელი. სასრული შეიძლება ასე განიმარტოს: სასრული არის ის, რაც სხვის მიერ დგინდება ან უარიყოფა. მაგრამ რაიმეს უარყოფა სხვის მიერ შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ამ რაიმეს შეუძლია უარყოფილ იქნეს; ამიტომ უნდა ითქვას,რომ სასრული არის ის, რომლის უარყოფა არის მის შიგნით, ე. ი. რაც უარიყოფა თავისივე თავითვე. სასრული არის ის,რომლის შინაგანი უარყოფა ადგენს სხვას, გარდაქმნის მას სხვად.

ჰეგელის აზრით, სასრული არის უარყოფა, ის, რაც თავის ცნებას არ ემთხვევა, რაც თავის ცნებისაგან განსხვავდება. მაგრამ შეუძლებელია არ არსებობდეს სასრულის ცნება; ის ხომ კატეგორიაა?! ამიტომ სასრული სწორედ თავისი ცნებით გამოიხატება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასრული არც იარსებებდა (ჰეგელი თავის თავს ეწინააღმდეგება, როცა ერთი მხრივ, სასრული ესმის როგორც უარყოფითობა — არაფერი, უსასრულო კი — როგორც ყველაფერი, მეორე მხრივ კი მოითხოვს სასრულის და უსასრულის დიალექტიკურ ერთიანობას).

სასრული ბუნებისაა, მაგალითად, „აზროვნების კანონები“, რადგან ისინი საკმარისი არ არიან ლოგიკური აუცილებლობისა და ჭეშმარიტებისათვის. სასრული ბუნებისაა ამ კანონებზე დამყარებული მთელი ძველი ლოგიკური მოძღვრება მსჯელობა-დასკვნა-დასაბუთებაზე.

როგორც ეს შემდეგ იქნება ნათელყოფილი. პოტენციალური უსასრულო არ არის ნამდვილი უსასრულო; ის არის უარყოფითი და არა დადებითი უსასრულო (მაგ., ნატურალური რიცხვების რიგი, დრო, სივრცე და სხვ.). ასეთია მათემატიკური უსასრულობა, მაგრამ მათემატიკაში ისიც დამტკიცდა, რომ უსასრულო დადებითია და დადებითად განისაზღვრება (უსასრულო სიმრავლე არის ისეთი სიმრავლე, რომელიც ექვივალენტურია რომელიმე მისი ნაწილისადმი). ჰეგელმა და ენგელსმა განასხვავეს ცუდი და ჭეშმარიტი უსასრულობა: დაუსრულებელი პროგრესი და სასრულის და უსასრულოს ერთიანობა როგორც უსასრულო. ჰეგელისათვის ჭეშმარიტი უსასრულო, ეს არის რაიმეს უსასრულო პროგრესის თავის თავში დაბრუნება. ფ. ენგელსისათვის კი იგი ზოგადობას—კანონს წარმოადგენს.[1] ვ. ი. ლენინის აზრით, უსასრულობა, რომელიც სასრულის მიღმაა, არის სასრულობა და არა უსასრულობა.[2]

შეიძლება ითქვას, რომ დადებითი უსასრულობა არის წინააღმდეგობის ერთიანობა. მოძრაობა-განვითარების უსასრულო პროგრესი დაჭერილია წინააღმდეგობის ერთიანობის კანონში, როგორც სასრულში. თვითონ უსასრულოს ცნებაში დასრულებულად არის წარმოდგენილი უსასრულო პროცესი, რომელსაც ბოლო არ აქვს. უსასრულო არის გარეგადამწვდომი სასრულის და არასასრულის ერთიანობაში. უსასრულო (უკეთ: დაუბოლოებელი) სასრულის და უსასრულოს ერთიანობაა.

თუ უსასრულო არის წინააღმდეგობის ერთიანობა, მაშინ სასრული იქნება წინააღმდეგობის ერთი მხარე; სასრული არის ის, რაც არის ეს და არა სხვა. სრული სასრული არის ის, რაც არის ეს და არა საწინააღმდეგო. წინააღმდეგობა ამოწურავს სასრულის ბუნებას, რადგან წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს, მესამე გამორიცხულია.

ლოგიკურად — ლოგიკურის სფეროში — წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურის კატეგორიებით ხორციელდება (რომელიც უსასრულო დასკვნის სახით წარმოდგება, რის შესახებაც შემდგომ გვექნება საუბარი). უსასრულო ლოგიკური არის ის, რისი უარყოფაც მასვე ადგენს, უკეთ: ეს არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. თუკი არსებობს უსასრულო ლოგიკური, მაშინ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკური ლოგიკა არის ლოგიკა უსასრულო ლოგიკურის შესახებ, იმ დასკვნისა, რომლის ერთ მხარესაც მსჯელობა წარმოადგენს).

სასრული არის ერთმხრივი. უსასრულო კი სრულ ერთმხრივთა

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 244, 246.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 104-105.

ერთიანობაა. სასრული წინააღმდეგობის შეუძლებლობაა; უსასრულო კი წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. თუ წინააღმდეგობის ერთიანობის ლოგიკური ფორმა არ არსებობს, მაშინ დიალექტიკური ლოგიკა შეუძლებელია, ხოლო თუ არსებობს, მაშინ ეს ლოგიკა აუცილებელია.

შეუძლებელია სასრულის უარყოფა, რადგან სასრულის გარეშე და მასთან დაპირისპირებული უსასრულო თვითონ არის სასრული (ე. ი. საწინააღმდეგოში გადადის). შეუძლებელია უსასრულოს უარყოფაც, რადგან მხოლოდ სასრულის აღიარება მას აბსოლუტურობას ანიჭებს. მაშასადამე, სასრული და უსასრულო ისეთია, რომელთა უარყოფა მათვე მოითხოვს აუცილებლობით. ამრიგად, სასრული და უსასრულო ლოგიკურის კატეგორიებსაც წარმოადგენენ.

§ 28. კატეგორიების ლოგიკა

კატეგორიების ლოგიკის შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი. მაგრამ აქ ლოგიკის კატეგორიების განხილვისას საჭიროა აღინიშნოს ზოგიერთი რამ, რომელიც აუცილებელია დიალექტიკური ლოგიკის, როგორც ლოგიკის, დაფუძნებისათვის.

ფორმალური ლოგიკა არ შეიცავს მოძღვრებას კატეგორიებზე; დიალექტიკური ლოგიკა კი, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიების ლოგიკაა. ზემოთ ჩამოთვლილი ლოგიკურის კატეგორიები ლოგიკაში მხოლოდ კი არ მოიხმარება, არამედ ლოგიკა. პირველ რიგში, მათ შესახებ მოძღვრებას წარმოადგენს. ლოგიკაში უნდა გაირკვეს ლოგიკურის კატეგორიების ბუნება და ყველაფერი ის, რაც მისგან გამომდინარეობს. ლოგიკა რომ მხოლოდ მოიხმარდეს ლოგიკურ კატეგორიებს და მათ ბუნებას არ არკვევდეს, მაშინ ის იქნებოდა კერძო და არა ფილოსოფიური მეცნიერება.

ფორმალურ ლოგიკაში შეისწავლება მხოლოდ ზოგიერთი ცნება, სახელდობრ, ცნებები, რომლებიც სახეობით-გვარეობით დამოკიდებულებაში იმყოფებიან; მაგრამ არ შეისწავლება ერთეული ცნებები და კატეგორიები. ფორმალურ ლოგიკაში შემუშავებული წესი ცნების განსაზღვრებისა, სახელდობრ, წესი, რომ ცნების განსაზღვრება არის უახლოესი გვარის და სპეციფიკური ნიშნის დადგენა, კერძო ხასიათისაა, რადგან ის მხოლოდ ზოგიერთ ცნებას მიეყენება; ამ წესით არ განისაზღვრება, მაგალითად კატეგორია. კატეგორია განისაზღვრება სხვა წესით, რომელსაც დიალექტიკური ლოგიკა სწავლობს და არა ფორმალური ლოგიკა. კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა — დადგენა სისტემაში. რომელიმე კატეგორიის განსაზღვრება ნიშნავს იმის ჩვენებას — დადგენას, თუ რომელი

კატეგორია უსწრებს წინ მას აუცილებლობით და რომელია მისი შემდეგი კატეგორია. კატეგორიების განსაზღვრება ხდება მათი პირველადობა-მეორადობის დადგენით. ამ გარემოების კერძო შემთხვევას წარმოადგენს ის, რასაც ფორმალური ლოგიკა მოითხოვს ცნების განსაზღვრების შემთხვევაში; უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის დადგენაც არის ცნებისათვის ადგილის მონახვაზე გაურკვეველი მითითება. ამიტომ ფორმალურ-ლოგიკური, ამ მხრივ (და საერთოდაც) შედის დიალექტიკურ-ლოგიკაში, როგორც მომენტი მთელში.

ის გარემოება, რომ კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის დადგენა სისტემაში, იმასაც ნიშნავს, რომ კატეგორიის ადგილის დადგენა არის, ამავე დროს, მისი დასაბუთებაც. კატეგორიის განსაზღვრება, როგორც სისტემაში გარკვეული ადგილის დადგენა, არის კატეგორიის აუცილებლობის ჩვენება, რაც დასაბუთებას წარმოადგენს. მას, როგორც ამას შემდგომ გავარკვევთ, სრულიად თავისებური ხასიათი აქვს, ვიდრე დასაბუთებას ფორმალურ ლოგიკაში. კატეგორიები, სწორედ ხსენებულის გამო ქმნიან ლოგიკურ — დასაბუთების ხასიათის მქონე სისტემას.

კატეგორიების, სახელდობრ, ლოგიკურის კატეგორიების ლოგიკა, ეს არის ლოგიკა, რომელიც, პირველ რიგში, სწავლობს იმ ობიექტურ საშუალებებს — ფორმებს, რომლებიც მოიხმარება ლოგიკის სფეროშიც და შემეცნების სფეროშიც (ამ საფუძველზე საბუთდება ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობა; ამის შესახებ შემდგომ). ეს ობიექტური საშუალებები გამოიყენებიან თავის თავის მიმართაც, ისინი რეფლექსური არიან და ხორციელდებიან ლოგიკურ თვითდაფუძნებაში. დიალექტიკური ლოგიკა ანხორციელებს ძველი ლოგიკის მოთხოვნას ლოგიკურის რეფლექსურობაზე. ლოგიკური რეფლექსურია სწორედ ლოგიკური აზრით. ცოტა ქვემოთ იქნება ნაჩვენები, რომ კატეგორიების ლოგიკა ემყარება თავისებურ ზოგადს, სახელდობრ, შინაარსეულ ზოგადს. შემდგომ ისიც გაირკვევა, თუ რა დასკვნით ფორმაში ხორციელდება ლოგიკურის კატეგორიისთვის დამახასიათებელი აუცილებლობა.

§ 29. ლოგიკური და მეტალოგიკური

ახლახან ნათქვამიდან უშუალოდ გამომდინარეობს ის, რომ ლოგიკურის რეფლექსურობა გამორიცხავს მეტალოგიკურის საჭიროებასა და სრულიად გარკვეულს ხდის ლოგიკის მთლიანობის აუცილებლობას.

როგორც ითქვა, ლოგიკური, რომელსაც სხვა ლოგიკურად უსწ-

რებს წინ, არის არასრული ლოგიკური; ეს წინწასწრებულიც ლოგიკურია, რადგან იგი სწორედ ლოგიკურად წინწასწრებულია. ამიტომ თუ არსებობს მეტალოგიკური, რომელიც ლოგიკურს წინ უსწრებს ლოგიკურად, ის არ უნდა იყოს მეტალოგიკური, არამედ სწორედ ლოგიკურს უნდა წარმოადგენდეს.

მათემატიკას, ფიზიკას ან სხვა რომელიმე კერძო მეცნიერებას წინ უსწრებს მისი ლოგიკური საფუძვლები, რომლებიც ამ კერძო მეცნიერებაში არ შეისწავლება. მაგრამ თვითონ ლოგიკურს არ შეიძლება წინ უსწრებდეს ლოგიკურად სხვა ლოგიკური. ლოგიკურისათვის რომ აუცილებელი იყოს კიდევ სხვა ლოგიკური, მაშინ ამ სხვა ლოგიკურისათვის კიდევ სხვა ლოგიკური იქნებოდა საჭირო და ა. შ. უსასრულოდ. ეს ლოგიკური შეცდომა ახასიათებს მეტა-და მეტა-მეტალოგიკურის აღიარებას. ლოგიკას ლოგიკურად სხვა ლოგიკა არ შეიძლება წინ უსწრებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა ლოგიკურიდან ლოგიკურის და ლოგიკიდან ლოგიკის გატანას, რაც შეუძლებლობას წარმოადგენს.

ლოგიკურს აუცილებლობით შეიძლება წინ უსწრებდეს მხოლოდ რეალური, რომელიც, ცხადია, არაა მეტალოგიკური. თუ რეალურს მივიჩნევთ ლოგიკურის ლოგიკურ საფუძვლად, მაშინ, როგორც ითქვა, გვექნება: 1) ლოგიკური შეცდომა, რომელიც, როგორც ახლახან აღინიშნა, უსასრულო რეგრესში მდგომარეობს, და 2) ობიექტური იდეალიზმი, რადგან რეალური წარმოდგენილი იქნება ლოგიკურის სახით, რეალური გაიგივდება ლოგიკურთან. მაშასადამე, აუცილებელია ლოგიკურის ერთიანობა; ლოგიკური შეიძლება იყოს მხოლოდ ერთიანი და არა მეტა-მეტა საფეხურებრივი.[1] ლოგიკის გატანა ლოგიკიდან ლოგიკის უარყოფას წარმოადგენს.

თუ, მაგალითად, წინადადებათა აღრიცხვის აქსიომების გამოყენებას სჭირდება მეტალოგიკური წესები (ჩასმის წესი და დასკვნის სქემა), მაშინ მათთვის აუცილებელი იქნება მათი გამაერთიანებელი წესები, ან წესები, რომლებიც მეტალოგიკური წესების მოხმარას გაამართლებს და სხვ. (იხ. § 203).

მეტალოგიკური თუ ლოგიკის საფუძველი არ შეიძლება იყოს მისტიკური ან ინტელექტუალური ინტუიცია, — მაგალითად, კუზანელის ღმერთი, როგორც coincidentia oppositorum, წინააღმდეგობის ის ერთიანობა, რომელიც არალოგიკურია. ამავე აზრით მცდარია ნ. ჰარტმანის აქსიოლოგია, მოსე გოგიბერიძის აქსიომატიკა, ჰუსერლის „არსის ჰვრეტა", შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიის „უმიმართულე-

[1] იხ. პროფ. ლ. გოკიელის ნაშრომები საფეხურებრივი ლოგიკის წინააღმდეგ.

ბო ხედვა" და სხვა ამის მსგავსი (მაგალითად, ნეოპლატონიკოსების ერთი, სპინოზას სუბსტანცია და სხვ.). თუ მისტიკური ან ინტელექტუალური ჰვრეტა აღვიარეთ ლოგიკურის საფუძვლად, მაშინ ისინიც ლოგიკური ბუნების მქონედ უნდა ჩავთვალოთ, რადგან მისტიკურის განსაზღვრება და ამიტომ ცნება შესაძლებელია; პასუხი კითხვაზე, თუ რა არის მისტიკური, გვაძლევს მის ლოგიკურ განსაზღვრებას და ცნებას. შესაძლებელია ყველაფრის ცნება. ამიტომ იხსნება მისტიკური არალოგიკურობა, ე. ი. იხსნება თვითონ მისტიკური. ლოგიკურად დაშვება მისტიკურისა შეუძლებელია. ინტუიციის თუ ექსტაზის მდგომარეობა არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, — არალოგიკური, მაგრამ აზრისებური. არალოგიკური არ შეიძლება იყოს ლოგიკურის ლოგიკური საფუძველი, მისი ლოგიკურად გამმართლებელი.

მეტალოგიკური, ლოგიკურის საფუძველი არ შეიძლება იყოს არც პლატონის იდეა, ან კანტის აპრიორული, რადგან ისინი ლოგიკური ბუნების არიან, თუმცა ამ ლოგიკურს ლოგიკური სისრულე აკლია, რადგან ისინი წარმოდგენილი არიან როგორც ლოგიკურისადმი მუდამ წინწასწრებული ლოგიკური, რაც, როგორც ითქვა, შეუძლებელია. ლოგიკურს ლოგიკურად არ შეიძლება წინ უსწრებდეს ლოგიკური. ის ლოგიკური, რომელიც არის ყოველი ლოგიკური ოპერაციის აუცილებელი საშუალება, ამდენად, წინწასწრებული საფუძველი, ამავე დროს უნდა იყოს ჩართული ლოგიკურში და ლოგიკური ოპერაციით — დასაბუთებით უნდა იქნას მიღებული. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ეს გარემოება შესრულებადია და ამიტომ შეუძლებელია რაღაც აპრიორულ-ლოგიკური, ლოგიკურის წინწასწრებული ლოგიკური.

დედუქციის აქსიომები, როგორც არალოგიკური, ვერ დაუკავშირდება და ვერ გაამართლებს ლოგიკურს, რადგან ასეთი კავშირი ლოგიკურ წინააღმდეგობას, როგორც შეცდომას, მოგვცემს. დედუქციის საფუძვლად მდებარე ზოგადობას გაამართლებს ინდუქცია, თუკი ეს უკანასკნელი თვითონ იქნება ლოგიკურ მეთოდად გამართლებული. ანდა როგორ შეიძლება დედუქციის სათავე, როგორც ზოგადობა, იყოს არალოგიკური, როცა ზოგადი არის ის, რაც საერთოა ბევრისათვის და ამ უკანასკნელის გარეშე შეუძლებელია? შეუძლებელი უნდა იყოს ის, რომ დედუქციის სათავეს, როგორც უშუალოს, აუცილებლობით დასჭირდეს ზოგადი წესები (მეტალოგიკური წესები). ეს რომ უშუალობის გაუქმება იქნება? თუ აქსიომა არის უშუალო დებულება, სხვანაირად შეუძლებელია, და თუ მისთვის — მისი გამოყენებისთვის (გამოუყენებელი აქსიომა არაა აქსიომა) აუცილე-

ბელია ზოგადი წესები (წესი არ შეიძლება არ იყოს ზოგადი), მაშინ გაურკვეველი რჩება, თუ როგორ შეიძლება ამ უშუალოს და ზოგადის ისე დაკავშირება, რომ ორივემ თავისი ბუნება არ დაკარგოს.

მათემატიკური ლოგიკა მისთვის ძირითად წესებს (ჩასმის ხერხს და დასკვნის სქემას) მოიხმარს და არ სწავლობს, მაშინ როცა ლოგიკა არ შეიძლება არ სწავლობდეს მასში გამოყენებულ ყველა წესს.

ამრიგად, აუცილებელია მეტალოგიკურის უარყოფა და მის გარეშე ლოგიკურის დაფუძნება. აუცილებელია ის, რომ ლოგიკურს თვითონ ჰქონდეს არა მარტო რეალური საფუძველი, არამედ საკუთარი ლოგიკური საფუძველიც, მაგრამ ისეთი, რომელიც არ იქნება ლოგიკურს წინწასწრებული, არამედ თვითონ ლოგიკურშივე იქნება გამართლებული. მაშასადამე, აუცილებელია რეფლექსური ლოგიკური, ლოგიკურის რეფლექსურობა, რომელიც გარკვეულ თვითდაფუძნებაში უნდა მდგომარეობდეს; ეს კი შესაძლებელია, რადგან არსებობს ლოგიკურის კატეგორიები.

თავი მესამე

ზოგადის გუნება

ზოგადის კატეგორია ლოგიკურის ერთ-ერთი კატეგორიათაგანია. მისი განხილვა ცალკე თავად გამოვყავით, რადგან ამ კატეგორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ყველა მეცნიერებისათვის, პირველ რიგში კი ლოგიკისათვის.

ნომინალიზმის საფუძველზე აგებული ლოგიკის მიმდევრები ზოგადის კატეგორიას უარყოფენ და ცდილობენ ლოგიკის აგებას მის გარეშე. ჩვენი აზრით, ლოგიკისათვის არაფერია იმაზე უფრო მეტად საზიანო, ვიდრე ზოგადის უარყოფა და ლოგიკის აგების ცდა ამ კატეგორიის გარეშე. შეუძლებელის განხორციელების ცდა უსათუოდ შეცდომას მოგვცემს. შეუძლებელია ზოგადის უარყოფა, რადგან ზოგადის უარყოფის ცდის დროს ამ უარყოფას ზოგადი მნიშვნელობით ხმარობენ; უარყოფა ხომ ერთ-ერთი კატეგორიათაგანია? ამიტომ შეუძლებელია უარყო კატეგორიები, კერძოდ კი ზოგადის კატეგორია, რადგან ამ შემთხვევაში მოხმარებულია უარყოფა, რომელიც. ცხადია. კატეგორიას წარმოადგენს. ზოგადის უარყოფის დროს თუ ხიტყვა უარყოფა არ აღნიშნავს კატეგორიას, ის მაინც ზოგადი მნიშვნელობით უნდა იქნას მოხმარებული. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ზოგადის უარმყოფელმა არ იცის, თუ რას აკეთებს და რას ამბობს. ზოგადის გარეშე არ არსებობს ცნება, მსჯელობა, დასკვნა, დასაბუთება; ინდუქციას, დედუქციას და სხვ. ზოგადის გარეშე აზრი არ აქვს; მხოლოდ ერთეულების აღება ამ ერთეულებს ზოგად მნიშვნელობას აძლევს; ერთეულებზე ზოგადად ლაპარაკი ზოგადის მოხმარაა; ყველა ერთეულზე ითქმის „ეს ერთეული".

§ 30. ზოგადის სფეროს შემოსაზღვრის შესახებ

ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია დღემდე გადაუწყვეტელი პრობლემა, რომელიც პირველად სოკრატესა და პლატონის მიერ იყო დასმული; ეს არის უნივერსალიების პრობლემა, სახელდობრ, პრობლემა იმის შესახებ, თუ რა არის ზოგადი. ეს პრობლემა სხვადასხვა

დროს სხვადასხვანაირად იყო დასმული, მაგრამ პრობლემის დასმის ხასიათი ძირითადად მაინც შემდეგში მდგომარეობდა: სად არის ზოგადი კერძო საგნებისგან დამოუკიდებლად, კერძო საგნებში. ჩვენს აზროვნებაში, ჩვენს ენაში, თუ არსად? ზოგადის პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდნენ ზოგადის სფეროს შემოსაზღვრით, მისი ადგილის მონახვით. ცნობილია სხვადასხვა შეხედულებები ზოგადის შესახებ. ჩვენ მათ მოკლეთ გავარჩევთ.

1) რ ე ა ლ ი ზ მ ი (იდეალ-რეალიზმი). ამ თვალსაზრისის მიხედვით. ზოგადი არსებობს და მას აბსოლუტური ხასიათი აქვს. კერძო საგნები დროსა და სივრცეში არსებული საგნებია, სადაც არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ზოგადობას, რომელიც არ შემოისაზღვრება დროულ-ვრცეულობით. ის უნდა არსებობდეს დროისა და სივრცის გარეშე, კერძო საგნებისაგან სრულიად დამოუკიდებლად.

ზოგადი რომ არ არსებობდეს, შეუძლებელი იქნებოდა აზროვნება და არსებობაც. ზოგადის გარეშე შეუძლებელია მეტყველებაც, რადგან აზრის გადაცემა სიტყვით და თვითონ სიტყვა არ უნდა იცვლებოდეს დროის განუწყვეტელ ცვალებადობაში, ის ერთ გარკვეულ მნიშვნელობას უნდა ინარჩუნებდეს. საგანი ვერ იარსებებს, თუ მას არ აქვს გარკვეული იგივეობა თავისთავთან. სხვადასხვა დროისა და სივრცისათვის იგივეობრივი არ შეიძლება დროისა და სივრცის მიხედვით იცვლებოდეს, არ შეიძლება დროული და ვრცეული პირობებით განისაზღვრებოდეს. ამიტომ არსებობისა და აზროვნებისათვის აუცილებელი ზოგადი უნდა არსებობდეს კერძო საგნებს მიღმა, იქით. მათ წინ და მათ უკან. მაგალითად. პლატონის აზრით, იდეა არსებობს თვალხილული საგნების იქით, სადღაც მიღმა ქვეყანაში, სადღაც „გონიერ ადგილზე“.

ასე ესმის ზოგადობა ობიექტურ იდეალისტებს, რომლებსაც ზოგადი მეტაფიზიკის სფეროში გადააქვთ. მაგალითად, ბოლცანოს და მის მიმდევრებს, რომლებიც აღიარებენ ჰეშმარიტებას თავისთავად, რაღაც ღვთაებრივ ჰეშმარიტებას. ზოგიერთი იდეალისტის აზრით. არსებობს რაღაც ღირებულება, რომელიც არ არის არსი, მაგრამ მნიშვნელობს თავისთავად, რაზედაც დამოკიდებულია ყველაფერი ღირებული, და სხვ. ერთი სიტყვით, ზოგადობა გაგებულია, როგორც რეალურად არსებული იდეალური, როგორც იდეალურ-რეალური.

არსებობს რეალიზმის ორი სახე; ერთი აღიარებს ზოგადის აბსოლუტურ დამოუკიდებლობას კერძოსგან; თითქოს ზოგადის სფერო არსებობს კერძო საგნებისაგან დამოუკიდებლად, მათ მიღმა. მეორე

სახე რეალიზმისა იწოდება ზომიერ რეალიზმად (მაგალითად, არისტოტელეს, თომა აქვინელის და სხვ. შეხედულებები), რომლის მიხედვითაც ზოგადი თავისი ბუნებით არის იდეალური, ის არის ობიექტური აზრი (ფორმა), მაგრამ არსებობს არა კერძო საგნებისაგან დამოუკიდებლად — მათ მიღმა, არამედ კერძო საგნებში; ზოგადი არსებობს რეალურად, როგორც კერძო საგნების არსება; ეს არის კერძოს არსებითი ზოგადი, რომელიც დამოუკიდებელია კერძოსაგან, თვითონ კერძოა მასზე დამოკიდებული; კერძო საგანი დამოკიდებულია თავის არსებაზე, რომელიც სწორედ კერძოში არსებობს და არა სხვაგან.

რეალიზმის წინააღმდეგ მრავალი არგუმენტი იყო წამოყენებული ფილოსოფიის ისტორიაში, მაგრამ ჩვენთვის აქ საკმარისია მხოლოდ ერთი არგუმენტის აღნიშვნა. რეალიზმი მცდარია, რადგან მისთვის ზოგადი, რომელიც კერძოებისაგან, ცალკეულებისგან დამოუკიდებლად არსებობს, თვითონ არის კერძო, ცალკეული და არა ზოგადი. არისტოტელე აღნიშნავდა, რომ პლატონმა კერძო საგნებიდან ზოგადების, როგორც იდეების, ცალკე წარმოდგენით საგნები გაამრავლა (და არ შეამცირა), რადგან ეს ზოგადები კერძოებად აქცია. ზოგადის აღიარება კერძოს უარყოფის საფუძველზე არის კერძოს აუცილებლობის ჩვენება, ზოგადის გადაქცევა კერძოდ, რაც შეცდომას წარმოადგენს, სახელდობრ, ისეთ შეცდომას, რომელიც ზოგადის აუცილებლობას აჩვენებს. ეს გარემოება, ცალკე აღებული, არის უარყოფითი დიალექტიკა, რომელიც მხოლოდ დადებით დიალექტიკაში შეიძლება გამართლდეს.

2. კ ო ნ ც ე პ ტ უ ა ლ ი ზ მ ი. კონცეპტუალისტები (მაგალითად, ლოკი, კანტი) რეალისტებს ეთანხმებიან იმის აღიარებაში, რომ ზოგადი არ არსებობს კერძო საგნებში, რომლებიც დროსა და სივრცეში იმყოფებიან; დროულობა და ვრცეულობა ამოწურავს კერძო საგნების სფეროს. განუწყვეტელ თანამიმდევრობაში და თანარსებობაში არ არსებობს ზოგადი. სინამდვილე თვალხილული ქვეყანაა, თვალხილული საგნების ერთობლიობაა, სადაც ზოგადობას არ აქვს ადგილი; ცდა არ შეიცავს ზოგადობას; შთაბეჭდილებების ერთობლიობაში ზოგადობა და აუცილებლობა გამორიცხულია. კონცეპტუალიზმი იმაშიც ეთანხმება რეალიზმს, რომ არ შეიძლება ზოგადობის უარყოფა; ზოგადი უსათუოდ არსებობს, მაგრამ, კონცეპტუალისტების აზრით, ზოგადი არსებობს არა აზრისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას რეალიზმი აღიარებს, არამედ მხოლოდ ადამიანურ აზრში აზრის, ცნების სახით; ზოგადი არის მხოლოდ კონ-

ცეპტი. სინამდვილეში არსებობენ მხოლოდ ერთეული საგნები, მაგალითად, მაგიდები, რომლებშიც არავითარი ზოგადობა არაა, ზოგადი კი ჩვენი აზრია; მაგალითად, ცნება მაგიდის შესახებ შეეხება ყველა ერთეულ მაგიდას, ამიტომ მხოლოდ ეს ცნებაა ზოგადობის ხასიათისა. ერთიანობა ცდაში, მოცემულობაში კი არაა, არამედ იგი არის მხოლოდ ცნება; კანტის აზრით, ერთიანობა არის განსჯის კატეგორია, როგორც ტრანცენდენტალური პირობა, გარკვეული ფორმა, წესი, რომელიც ზოგადი მსჯელობის საფუძვლად ძევს. რეალობა არის დადებითი მსჯელობის ფორმა; რეალობა კატეგორიაა, ცნებაა და არა სხვა რაიმე; ასეთივეა სინამდვილეც, რომელიც ასერტორიული მსჯელობის ფორმას წარმოადგენს, მიზეზობრიობა არის წესი, ფორმა პირობითი მსჯელობისა და სხვ. კანტისათვის ზოგადობა არის მხოლოდ ადამიანურ აზროვნებაში, ის არის ყველა ადამიანისათვის სავალდებულო; მხოლოდ ამ აზრით არის იგი ობიექტური და აუცილებელი. მაგრამ ეს „ობიექტურობა“ არ არის მართლაც ობიექტურობა, რამდენადაც მას სინამდვილეში, აზრისაგან დამოუკიდებლად არსებულში არაფერი არ შეესაბამება, რადგან იქ არავითარ ზოგადს არ აქვს ადგილი.

მცდარია კონცეპტუალისტური შეხედულება, რადგან ისიც წყვეტს ზოგადს კერძოებისაგან. კონცეპტუალიზმი არის გარდამავალი საფეხური გზაზე ზოგადის აღიარებიდან ზოგადის უარყოფამდე. კონცეპტუალიზმს ახასიათებს ზოგადისა და კერძოს ის გათიშვა, რომელიც რეალიზმისათვის იყო დამახასიათებელი. კონცეპტუალიზმი, როგორც ითქვა, უარყოფს ზოგადს სინამდვილეში, სადაც მხოლოდ კერძოები არსებობენ, მაშინ როცა კერძო უნდა იყოს ზოგადის კერძო და ზოგადი — კერძოს ზოგადი. მას ზოგადი გადმოაქვს აზროვნებაში, მაგრამ აქაც იგივე შეცდომა მეორდება, რადგან ეს ზოგადი წყდება კერძოს; ზოგადი, როგორც ცნება, არის მხოლოდ ზოგადი კერძოს გარეშე.

თუ ლოკის კონცეპტუალიზმს დავუჯერებთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ზოგად ცნებას ჩვენ ვადგენთ, ვიმუშაებთ კერძო საგნებიდან ნიშნების აბსტრაქციით; მაგრამ თუ კერძოთა ნიშნები ზოგადს მოგვცემენ, მაშინ ზოგადი კერძოებში არსებულა გარკვეული ნიშნის სახით; ამიტომ არ არის სწორი კერძოების აღიარება ზოგადის გარეშე. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნების შესადგენად ნიშნების ამორჩევა უკვე წინასწარ გულისხმობს ცნებას (მაგალითად, ადამიანის ცნების შესადგენად სწორედ ადამიანებიდან ნიშნების ამორჩევა იმას მოწმობს, რომ ამ ამორჩევის დროს ადამიანის ცნებით

უკვე ვხელმძღვანელობთ). ამ სიძნელეს ჯერ კიდევ სოკრატე გრძნობდა. როცა ის აღიარებდა ცნების ჩვენს მიერ შეუქმნელობას და იცავდა იმას, რომ ცნება წინასწარ უნდა გვქონდეს და მისი მხოლოდ დაბადება და არა შექმნა-გაკეთება შეიძლება. სოკრატეს ეს აზრი პლატონის ობიექტურ იდეალიზმს დაედო საფუძვლად, მაგრამ ზემოაღნიშნული სიძნელის შემჩნევა უკვე ბევრ რამეს ნიშნავდა მისი დადებითი გადაწყვეტისათვის, რაც საბოლოოდ მხოლოდ დიალექტიკურ მატერიალიზმში განხორციელდა.

თუ კანტის კონცეპტუალიზმს დავუჯერებთ, მაშინ ზოგადობა არის განსჯის კატეგორია, რომელიც აპრიორულია, წინასწარ არსებობს აზრში წმინდა ზოგადობის სახით, ე. ი. კერძოობას აბსოლუტურად არის მოწყვეტილი. მაგრამ კანტის კატეგორიას, როგორც წესს, აზრი შეიძლება მხოლოდ მაშინ ჰქონდეს, თუ ის გამოიყენება, ე. ი. თუ არსებობს ის, რის წესსაც ის წარმოადგენს; წესის ზოგადობა მაშინ იქნება გარკვეული აზრის, მნიშვნელობის მქონე, თუ არსებობს კერძოები, რომელთა მიმართ ის გამოიყენება, როგორც წესი. როგორც ცნობილია, კანტის სქემატიზმის სიძნელე, რომელიც მასთან გადაუწყვეტელ სიძნელედ დარჩა, სწორედ ზოგადის და კერძოს დაკავშირების სიძნელეს წარმოადგენს.

მაშასადამე, კონცეპტუალიზმმა სინამდვილეში კერძო მოწყვიტა ზოგადობისაგან, აზრში კი პირიქით, ზოგადი მოწყვიტა კერძოსგან. ამიტომ ზოგადი, როგორც კერძოსგან მოწყვეტილი, თვითონ იქნა კერძოდ ქცეული, ე. ი. ზოგადი ახსნის მაგიერ მოიხსნა.

3) ნ ო მ ი ნ ა ლ ი ზ მ ი. ნომინალისტები (ოკამი, ბერკლი, ჰუაინი, გუდმენი და სხვ) უარყოფენ ზოგადის არსებობას საერთოდ; ის არ არსებობს არც სინამდვილეში და არც ჩვენს აზრში როგორც ცნება. ნომინალიზმი თავისი განვითარების ბოლო პერიოდამდე აღიარებდა მხოლოდ სახელის ზოგადობას; ზოგადი შეიძლება იყოს მხოლოდ მრავალი ერთეულისათვის ერთი ნიშანი, სიმბოლო, სახელი. მაგრამ სადაც არ უნდა იყოს ზოგადი, ის მაინც რჩება როგორც ზოგადი და ამიტომ იქმნებოდა წინააღმდეგობა ზოგადის უარყოფასა და მის აღიარებას შორის; ამდენად აუცილებელი ხდებოდა რაიმეს საშუალებით ამ წინააღმდეგობის დაძლევა: ან ნომინალიზმის უარყოფით, ან მისი ისეთი განვითარებით, როცა სახელის ზოგადობაც იქნებოდა უარყოფილი. ამ უკანასკნელ გზას დაადგა ახალი — თანამედროვე ნომინალიზმი (ჰუაინი, გუდმენი), რომლის მიხედვითაც ზოგადი არ არსებობს არსად, არც სახელია ზოგადი; ზოგადი არის ქიმერა; ყველაფერი არის ერთეული, არსებობენ მხოლოდ ერთეულები; საგნებიც ერთეულია და აზრებიც. სინამდვილეში საგნები მხოლოდ დრო-

სა და სივრცეში არსებული საგნებია, რომლებიც არავითარ ზოგადობას არ შეიცავენ. აზრები კი მხოლოდ წარმოდგენებს წარმოადგენენ; ცნება, როგორც ზოგადი აზრი, შეუძლებელია. სახელიც საერთოდ გარკვეული ერთეული რამ არის. ზოგადობის დაშვება უაზრობას წამოადგენს.

ნომინალიზმის გაკრიტიკება მრავალ მხრივ არის შესაძლებელი, მაგრამ ჩვენ დავკმაყოფილდებით შემდეგი არგუმენტების მოყვანით. თუ არსად არ არსებობს ზოგადი და თუ მხოლოდ ერთეულები არსებობენ, მაშინ ეს ერთეულები ხომ ერთნაირია? ყველა ერთეულიდან თითოეული ხომ არის მართლაც და მხოლოდ და მხოლოდ ერთეული და არა სხვა? ერთეულების ერთნაირობა არის სწორედ ზოგადობა, რომელიც ამ ერთეულებშია განხორციელებული. თუ ზოგადი არ არსებობს, ერთეულების არსებობა ხომ არის საფუძველი ერთეულის კატეგორიისათვის, რომლის უარყოფა შეუძლებელი უნდა იყოს, თუკი სწორედ ერთეულებს ვაღიარებთ. ერთეულის კატეგორია კი არ შეიძლება არ იყოს ზოგადი.

ზოგადის უარყოფა შეუძლებელია, რადგან: ა) ის, რაც ამ უარყოფით იქნება მიღებული, ეს იქნება ერთადერთი, ამიტომ მას ექნება ზოგადობის აზრი, რადგან იგი, როგორც სწორედ ერთადერთი, იქნება აბსოლუტური: ბ) თვითონ ეს უარყოფა იქნება ზოგადობის აზრის მქონე. არ შეიძლება საერთოდ უარყო ზოგადი და ეს უარყოფა არ იყოს ზოგადი; შეუძლებელია ზოგადობის უარყოფა თვითონ ზოგადის ბუნების არ იყოს. არ არის შესაძლებელი ზოგადი უარყო კერძოდ, ე. ი. რომ ეს უარყოფა იყოს კერძო ხასიათის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ზოგადი ხან უნდა აღიარო და ხან უნდა უარყო, ანდა რაიმეში უნდა უარყო და სხვა რაიმეში უნდა აღიაროო, მაგრამ ზოგადის ასეთი უარყოფა, საბოლოოდ მიდის ზოგადის სრულ უარყოფამდე, რადგან გამოცალკევებული ზოგადი აღარაა ზოგადი, ის ცალკეულია. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგადის უარყოფა არა თუ მხოლოდ შეუძლებელია, არამედ ზოგადის ეს უარყოფა არის სწორედ ზოგადის აუცილებლობის ჩვენების ყველაზე უკეთესი საშუალება, რადგან ზოგადის უარყოფა თვითონ არის ზოგადობის ბუნების მქონე. ასეთი უარყოფის ცდა სწორედ ზოგადობის მოხმარა და მისი დადგენაა. ზოგადის უარყოფისას თვითონ ზოგადია მოხმარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უარყოფა არ შეიძლება შესრულდეს.

4) ზ ო გ ა დ ი ს ა და კ ე რ ძ ო ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. აქ აღნიშნული შეხედულებების ზემოთ წარმოებული კრიტიკიდან, ვფიქრობთ, აუცილებლობით გამომდინარეობს ის,

რომ: 1) ზოგადი არსებობს; მისი უარყოფა შეუძლებელია, ზოგადის უარყოფა მასვე ადგენს; 2) კერძოს უარყოფაც შეუძლებელია; კერძოს უარყოფაც კერძოსვე ადგენს, ამიტომ 3) აუცილებელია ზოგადისა და კერძოს ერთიანობა, სახელდობრ, მათი დიალექტიკური ერთიანობა, რადგან კერძო და ზოგადი ერთიმეორის საპირისპირო ცნებებია.

ზემოთ გაკრიტიკებული შეხედულებები ეხებოდნენ ზოგადის ბუნებას, მავრამ მათთვის მთავარი მაინც ზოგადის ადგილსამყოფელის გარკვევა იყო. სადმე, შემოსაზღვრულად არსებული ზოგადი უკვე აღარაა ზოგადი: 1) კერძოობის მიღმა არსებული ზოგადი აღარაა ზოგადი, რადგან ის არსებობს მხოლოდ მიღმა, ამიტომ ის არის კერძო; 2) არც მხოლოდ აზრში არსებული ზოგადია ზოგადი, რადგან ის მხოლოდ ერთ ადგილზეა — მხოლოდ აზრშია; 3) არც მხოლოდ სიტყვაში არსებული ზოგადია ზოგადი. ამიტომ რეალიზმი, კონცეპტუალიზმი და ნომინალიზმი — ყველა ეს თვალსაზრისი საბოლოოდ ზოგადის უარყოფამდე მიდის; ამიტომ ახალი ნომინალიზმი თითქოს ლოგიკურ ბოლომდეა მისული, როცა ის საერთოდ უარყოფს ზოგადს; მაგრამ ნამდვილი ლოგიკური ბოლო, როგორც ვნახეთ, ეს არის ზოგადის აუცილებლობა, რომელიც ნათლად ჩანს ახალი ნომინალიზმის მცდარობის საშუალებით.

§ 31. მოცულობითი ზოგადი და კერძო

მოცულობითი ზოგადი აღინიშნება სიტყვით „ყველა“, მოცულობითი ზოგადი არის ყველა ერთეული, რომელსაც ცნება გულისხმობს; ის არის კლასი. მოცულობითი კერძო აღინიშნება სიტყვით „ზოგიერთი“. ერთეულიც კერძოა, მაგრამ იგი ითვლება ზოგადად, მაგალითად, სილოგისტურ დასკვნაში, რადგან ერთეული მთელი მოცულობით არის აღებული მსჯელობაში, ისე როგორც ზოგად მსჯელობაში სუბიექტი მთელი მოცულობითაა აღებული. ერთეულისა და ზოგადის განსხვავება არ ცვლის სილოგისტური დასკვნის წესებს. სილოგიზმის წესები დამყარებულია „ყველას“ და „ზოგიერთის“ დამოკიდებულებაზე.

მოცულობითი ზოგადი ემყარება სიმრავლისათვის საერთო ნიშანს, რომელიც მოიცავს — ახასიათებს „ყველას“; ეს არის ყველას საერთო ნიშანი, ყველა ერთეულის ნიშანი. ამიტომ აქ არის ერთგვარი გაურკვევლობა: ზოგადი არის ეს ნიშანი, თუ საგანთა სიმრავლე, რომელსაც ეს ნიშანი ითვალისწინებს? თუ ერთიც არის და მეორეც?

სიმრავლის გამოა ნიშანი ზოგადი, თუ ერთი ნიშნის გამოა ყველა ერთეული ზოგადი? აგრეთვე, ზოგადი არის აზრი მრავალი საგნის შესახებ, თუ საგნების სიმრავლე — ყველა საგანია ზოგადი? ეს გაურკვევლობა არისტოტელეს, ასე ვთქვათ, „შევსებული“ აქვს სხვა გაურკვევლობით: მისი აზრით, „ყველა“, მაგალითად, „ყველა ადამიანი“ გარკვეულია, მაგრამ გაურკვეველია „ადამიანი“, თუმცა სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს ზოგადი და ამდენად — ცნება, ამიტომ გარკვეული უნდა იყოს სწორედ „ადამიანი“ და არა „ყველა ადამიანი“: რომელშიც ერთი და იგივე ერთეულია განმეორებული „ყველამდე“. თუ „ადამიანი“ არის ზოგადი, მაშინ კიდევ სხვა გაურკვევლობასთან გვაქვს საქმე, სახელდობრ, იმასთან, რომ „ადამიანი“, როგორც ასეთი, არის ერთი (ასეთი გაურკვევლობა ახასიათებს პლატონის იდეასაც). თუ ის ერთია, მაშინ როგორღაა ის „ყველა“?

თუ ზოგადი არის საერთო ბევრისათვის, სახელდობრ, ზოგადი არის ის, რაც ბევრზე (ყველაზე) გამოითქმის[1], როგორც ამას არისტოტელე განსაზღვრავს, მაშინ ზოგადი არის რაიმე ნიშანი, საერთო ნიშანი, რომელიც ერთი და იგივეა „ყველაში“, „ზოგიერთში“ და „ერთში“. ამ აზრით ზოგადი, კერძო და ერთეული განუსხვავებელი გამოდის. ე. ი. გაურკვეველი გვრჩება ის, თუ რა არის ზოგადი და რით განსხვავდება ის სხვისგან.

§ 32. ცვლადი და ზოგადი

ზემოთ ჩამოთვლილი გაურკვევლობის (და სხვათა) გამო ლოგიკოსები მივიდნენ აზრამდე, რომ ზოგადი არის ცვლადი, ზოგადი გაიგეს როგორც მათემატიკური ცვლადის მსგავსი რამ.

მათემატიკურ ლოგიკაში ცვლადი უპირისპირდება მუდმივს — კონსტანტს. ჩერჩის მიხედვით, კონსტანტი არის დენოტატის (საგნის) მქონე საკუთარი სახელის სინონიმი; სიტყვით „კონსტანტი“ გამოხატავენ ცალკე აღებულ სიმბოლოებსაც, გამოსახულებებსაც. ცვლადი კი არის სიმბოლო, რომლის შინაარსი ემთხვევა საკუთარი სახელის შინაარსს, ანუ კონსტანტის შინაარსს, მაგრამ ისე, რომ კონსტანტის ერთადერთი დენოტატი შეცვლილია ცვლადის განსხვავებულ მნიშვნელობათა შესაძლებლობით. ცვლადთან დაკავშირებულია მისი შესაძლებელი მნიშვნელობების არაცარიელი სფერო, ცვლადი არის გარკვეული სიმბოლო და არა საგანი (მაგალითად, რიცხვი), რომელსაც ეს სიმბოლო აღნიშნავს ანუ როგორმე მიუთი-

[1] არისტოტელე, პერი ჰერმენეიას, VII, 17 თ. 38-39.

თებს. პირდაპირ არ უნდა გავიგოთ მათემატიკოსების გამოთქმები: „ცვლადი ნამდვილი რიცხვები“, „ცვლადი სიდიდეები“. ცვლადობა ანუ განუსაზღვრელობა თუ გაურკვევლობა ყოველთვის არის ენის საკითხი და დაკავშირებულია სიმბოლოებთან, გამოსახულებებთან.[1]

მათემატიკურ ლოგიკას ზოგადი დაყავს ცვლადზე, ეს კი ერთეულებზე. აქ დაშვებულია: 1. ლოგიკური შეცდომა, რადგან: ა) ზოგადი წარმოდგენილია სქემად, ბ) ყველა ერთეული თვითონ არის ზოგადი, გ) ერთეულის კატეგორიის მოხმარა ზოგადის მოხმარაა, დ) ზოგადისგან გაქცევა ზოგადზე დაქვემდებარებაა, 2. შეცდომა მათემატიკის აზრით. რადგან: ა) ცვლადის ხასიათი მის ზოგადობაშია, ბ) ცვლადი არ დაიყვანება მისი მნიშვნელობების ჯამზე.

პროპოზიციულ ფუნქციაში „X არის მოკვდავი“, „ყველა“ გაურკვეველია; გარკვეულობას შეიტანს ჩასმა, თუ X-ის ადგილზე მოთავსდება, მაგალითად, „სოკრატე“ ან სხვა ერთეული. მაგრამ ზოგადის ასეთი გაგება არის მისი დაყვანა ერთეულზე, თვითონ ზოგადის, როგორც ასეთი უარყოფა. X არის სიმბოლო და არა აზრი; პროპოზიციული ფუნქცია არაა წინადადება, მით უმეტეს მსჯელობა, ის არის მხოლოდ სქემა, და არ არის აზრი. ლოგიკას არ უნდა ჰქონდეს საქმე არააზრთან. სქემასთან, რომელიც არაა აზრი. ლოგიკა აზრის შესახებ მეცნიერებაა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათემატიკურ ცვლადს სრულიად გარკვეული აზრი აქვს. ცვლადის ზღვარი არის ცვლადის ხასიათი. მისი გარკვეულობა არის მისივე წესი. ცვლადი არ უდრის მის მნიშვნელობებს: არც რომელიმეს და არც ყველას.[2]

ცვლადის წესი და გარკვეულობა არ შეიძლება ზოგადი არ იყოს. სიმბოლოების დამაკავშირებელი წესები შეუძლებელია ზოგადობის ბუნების არ იყოს. თვითონ რომელიმე სიმბოლოს, მაგალითად, á-ს ხომ ყველგან ერთი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ე. ი. იყოს იგივეობრივი, ამიტომ — ზოგადი? ეს იგივეობრიობა ანუ ზოგადობა აუცილებელია. ამიტომ უნდა ითქვას, რომ აუცილებელია ზოგადი, რომელიც არ შეიძლება იყოს „ცვლადი“.

§ 33. წესის და კანონის ზოგადობა

ზოგადობა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც კანონის თუ წესის ზოგადობა. ასე ჰქონდა წარმოდგენილი, მაგალითად, კანტს

---

[1] А. Чёрч, Введение в математическую логику, გვ. 20—24, 350.

[2] კ. მარქსი, ნათემატიკური ხელნაწერები, თარგმანი და გამოკვლევა პროფ. ლ. გოკიელისა, თბილისი, 1947, გვ. 108.

ცნება — კატეგორიის ზოგადობა; მისთვის კატეგორია მრავალსახიანობის შეერთების თუ ერთიანობის წესია, მსჯელობის ფორმაა. კასირერისათვის ზოგადობა წესის ზოგადობაა, სახელდობრ, მათემატიკური წესი რიგისა ,სადაც სწორედ წესით, როგორც ზოგადობით, იწარმოება კერძოები; წესი აწარმოებს თავის კერძოებს.[1]

წესის თუ კანონის ზოგადობა თავისებურია; ის არ არის მოცულობითი ზოგადობა.

კანონი, როგორც ცნობილია, არის ერთ-ერთი კატეგორიათაგანი, ამიტომ მისი ზოგადობა არის კატეგორიის ზოგადობა, ე. ი. ისეთი ზოგადობა, რომელიც არაა მოცულობითი; კატეგორიები არ არიან ისეთი ცნებები, რომლებიც გვარეობით-სახეობით დამოკიდებულებაში იმყოფებიან. კანონის ზოგადობა არ არის გვარის ზოგადობა.

მართალია. კანონი ყველა კანონის გვარია, მაგრამ ერთი კანონის მეორე კანონზე დაქვემდებარება არ არის სახის გვარზე დაქვემდებარება. ერთი კანონი არ შეიძლება იყოს მეორის გვარი, რადგან არც ერთი კანონი არ გამოდგება მეორე კანონის პრედიკატად; ვერ ვიტყვით, რომ ერთი კანონი არის მეორე კანონი. კანონს ექვემდებარება მოვლენები, მაგრამ მოვლენათა გვარი არის მოვლენის ცნება და არა კანონისა. დასკვნის წესი იქვემდებარებს დასკვნებს, მაგრამ დასკვნების გვარი არის დასკვნა და არა წესი. დასკვნის წესზე დაქვემდებარება განსხვავდება სახის გვარზე დაქვემდებარებისაგან.

კანონი, წესი არის არსებითი და აუცილებელი კავშირი; მაგალითად, იგივეობის კანონი, მიზეზობრიობის კანონი, საფუძვლის კანონი, წინააღმდეგობის კანონი და სხვ. კანონის ზოგადობა ისაა, რომ ერთი რაიმე თავისი ბუნებით უკავშირდება, გადადის მეორეში და არის მეორე. აქ არის გადასვლის აუცილებლობა. კანონი აუცილებელია დაკავშირებულთათვის და პირიქით, რადგან ის მათი აუცილებელი კავშირის ზოგადობის ფორმაა.

კანონი არ არის კანონით დაკავშირებულთა ხასიათისა იმ აზრით, თითქოს ისიც მათ უნდა უკავშირდებოდეს სხვა კანონით. დასკვნის წესი არ არის დასკვნის წანამძღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი კავშირი იქნება სხვა დასკვნა, რომლის წესი კიდევ ახალ წანამძღვრად წარმოდგება და ა. შ. უსასრულოდ. მიზეზობრიობისა და მასზე დაქვემდებარებული მოვლენების დაკავშირება არ მოითხოვს ახალ კანონს და მიზეზობრიობას ცალკეულ მოვლენად არ აქცევს.

---

[1] Э. Кассирер, Познание и действительность, 1912, გვ. 32 და შემდეგ.

კანონის ზოგადობა არ არის გვარის, მხოლოდ საერთო ნიშნის ზოგადობა, რომლისთვისაც კერძოები შემთხვევითი და ზედმეტია. თუ გვარისთვის საბის ნიშანი ზედმეტია, კანონისა და წესისათვის აუცილებელია ის, რაც მას ექვემდებარება. კანონისა და წესის ზოგადობა არსებითი კავშირის ზოგადობაა.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ ასეთი ზოგადობის გამოყენება თუ აღმოჩენა აზრის ფორმებში თავისებურ, ფორმალური ლოგიკისაგან განსხვავებულ ლოგიკას დაგვისაბუთებს.

§ 34. საერთო და არსებითი ზოგადი

არისტოტელეს განმარტებით, ზოგადი არის ის, რაც გამოითქმის ბევრზე; ეს არის ბევრისათვის საერთო, საერთო ნიშანი, მაგალითად, რომელიმე თვისება. პლატონი განასხვავებდა იდეას და ეიდოსს. იდეა შინაარსია — არამოცულობითი ზოგადია, ეიდოსი კი მოცულობით ზოგადს წარმოადგენს; თუმცა ეს განსხვავება მასთან გაურკვეველობას შეიცავდა (ნატორპი, ლოსევი და სხვ. ემხრობიან ასეთი განსხვავების არსებობას პლატონის ნააზრევში, რიტერი და სხვები კი არ სცნობენ მასში ასეთი განსხვავების არსებობას. ორივე ამ შეხედულებას გარკვეული საფუძველი აქვთ თვითონ პლატონის ფილოსოფიაში). ეს ორგვარი ზოგადობა, რომლებიც პლატონთან შეიმჩნევა, ერთი და იგივეს ორ მხარეს წარმოადგენს; შინაარსეულად ზოგადი აფუძნებს იმას, რაც ბევრი ერთეულისათვის შეიძლება საერთო იყოს. არისტოტელეც ანსხვავებდა ორ ზოგადს: 1) საერთოს და 2) არსებით ზოგადს: „უსია“ არის ზოგადი ერთეულში, როგორც მისი არსება, ფორმა, სული. სხვაა საერთო ნიშნის ზოგადობა. არისტოტელე ერთიმეორისგან ანსხვავებდა (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) დიდი ცნების ზოგადობას, როგორც საერთოს, და საშუალო ცნების ზოგადობას, როგორც კიდურათა გარკვეულ ერთიანობას სილოგისტურ დასკვნაში. ამ ორ ზოგადს კანტიც არჩევდა. მისთვის საერთო-საგან, როგორც ზოგადისაგან, განსხვავდება კატეგორიის, როგორც წესის, ზოგადობა; ცნების, როგორც ერთიანობის წესის, ზოგადობა. ცხადია, არაა საერთო მრავალსახიანობისათვის. მოცულობითი ზოგადისაგან არსებით ზოგადს ჰეგელის დიალექტიკაც მკვეთრად განასხვავებდა. ჰეგელამდე ვერც ერთმა, ჰეგელმა კი მხოლოდ ნაწილობრივ დააფუძნა ლოგიკური ფორმები არამოცულობით ზოგადზე. კატეგორიათა (ერთეული-განსაკუთრებული-ზოგადი) კავშირი თავისე-

ბურ ზოგადობას შეიცავს, არსებითად განსხვავებულს მოცულობითი ზოგადობისაგან — საერთოს ზოგადობისაგან.

საერთო შეიძლება იყოს არაარსებითი, მაგალითად, ადამიანისათვის კანის ფერი. არსებითი კი შეიძლება იყოს საერთოც და არასაერთოც. მაგალითად, ადამიანისათვის არსებითი და საერთოა იარაღის მკეთებლობა; „ნიუტონისათვის“ არსებითი კი არაა საერთო სხვებისათვის, რადგან „ნიუტონი“ მხოლოდ ერთი იყო და ერთადერთი დარჩება. ერთეული და ზოგადი ცნებებისათვის მთავარია არსებითი და არა საერთო.

კანონის ზოგადობა არის არსებითი ზოგადობა; თუმცა ყველა არსებითი ზოგადობა არ არის კანონის ზოგადობა, რადგან არსებას, კანონს გარდა, აქვს სხვა მხარეებიც, რომელთაგან არც ერთი არ არის არაარსებითი; კანონი არსების მხოლოდ ერთ-ერთი კატეგორიათაგანია.

არსებითი ზოგადი, საბოლოოდ, არის არსება. ყველაფერს (მაგალითად, ფერს) აქვს თავისი არსება, ის, თუ რა არის ის; ამიტომ ყველაფერს აქვს არსებითი ზოგადი. ეს არის მთავარი ცნებისათვის, რადგან ცნება არსების შესახებ აზრია (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

არსებითია არა ის, რაც სხვისთვისაც ასეთია (ეს საერთო იქნებოდა), არამედ ის, რაც რაიმესათვის, როგორც თავისთავისათვის, არის ასეთი; არსება არის არსის თავის თავთან მიმართება, რომლის მხარეებსაც არსების კატეგორიები წარმოადგენენ (იგივეობა, წინააღმდეგობა და სხვა), რომელთა ზოგადობა არსებით ზოგადობას წარმოადგენს (არსების, როგორც თავისთავთან მიმართების, და არსის, როგორც სხვასთან მიმართების. განსხვავება არ არის ჰეგელიანური განსხვავება, რადგან ის კაცობრიობამ ანტიკური დროიდან იცოდა. სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ძველ მოაზროვნეებს ეყრდნობოდა, ასეთ განსხვავებას იძლეოდა თავისი ლექსიკონში)[1].

არსებითი ზოგადი არ არის გვარი, რადგან რაიმეს არსება არ არის სხვა არსება, ე. ი. აქ არ არის სუბიექტ-პრედიკატის დამოკიდებულება. საერთოსათვის არაა აუცილებელი, ზედმეტია დაქვემდებარებულის სპეციფიკური ნიშანი; არსებითი ზოგადისათვის კი აუცილებელია ის, რაც მის კერძოს მიეწერება, როგორც მისთვის დამახასიათებელი. მაგალითად, მსჯელობისათვის აუცილებელია სუბიექტიც და პრედიკატიც, დასკვნისათვის — მსჯელობა და სხვ.

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1948. გვ. 432, იხ. „მყოფი“.

ზემოთ ვილაპარაკეთ ერთიანობაზე, ახლა ვმსჯელობთ მის ზოგადობაზე, რაც უშუალოდ გამომდინარეობს ახლახან თქმულიდან. რაც ზემოთ ზოგადად ითქვა, ის აქ უფრო გამოკვეთილად უნდა წარმოდგეს.

ერთიანობა არის ისეთი საერთო, რომელიც აკავშირებს ორ ან რამდენიმე განსხვავებულს, ისე რომ მათ ელემენტებად შეიცავს თავის თავში. თუ არისტოტელე ზოგადს განმარტავდა როგორც იმას, რაც ბევრზე გამოითქმის, ბევრის ქვეშ კი ესმოდა ბევრი ერთეული საგანი, მარქსი ზოგადს განმარტავს შემდეგნაირად: ზოგადი არის საერთო ბევრი ელემენტისათვის[1]; ბევრი ელემენტის ქვეშ კი კ. მარქსს ესმოდა არა ბევრი ერთეული საგანი, არამედ შემადგენელი ელემენტები, რომლებიც აუცილებელია იმ ერთისათვის, რომელიც ამ ელემენტების ზოგადობას — ერთიანობას წარმოადგენს. მაგალითად, თუ წარმოების ნიშანი მრავალი წარმოებისათვის საერთო (და არსებითიც) არის, ერთი წარმოება და წარმოება, როგორც ასეთი, არის შემცველი მისთვის აუცილებელი ელემენტებისა — საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების. წარმოება არის ერთიანობა—ზოგადობა ამ ელემენტებისა. ასე ითქმის ლოგიკური ფორმების შესახებაც: ცნება არის ერთიანობა მისი ნიშნებისა, მსჯელობა არის ერთიანი აზრი სუბიექტისა და პრედიკატისათვის, დასკვნა არის ერთიანი აზრი მისი ელემენტებისა. როგორც ითქვა თუ ჩვეულებრივ — ფორმალურ-ლოგიკური — გვარისათვის ზედმეტია მისი სახის სპეციფიკური ნიშანი, ერთიანობის ზოგადობისათვის აუცილებელია მისი ელემენტები. წარმოება არ არსებობს მისი ელემენტების გარეშე; ასე ითქმის მსჯელობის, დასკვნის და სხვ. შესახებ

ერთიანობა შეიძლება იყოს: 1) ორი სხვადასხვა ერთეულის არსებითი კავშირი, მაგალითად, მიზეზობრივი კავშირი. ან სხვა რომელიმე კანონი; 2) ერთი ერთეულის ერთიანობა, როგორც ერთიანობა საკუთარი ელემენტებისა, მაგ., ერთი წარმოება, როგორც ერთიანობა მისი ელემენტებისა; 3) მთლიანობა ორგანიზმისა; მთლიანობა მეორადია ელემენტების მიმართ, — ელემენტები შეადგენენ მთელს. მაგალითად, ორგანიზმს, თუმცა ეს მთლიანობა მეტია ელემენტებზე, ის თავისებური თვისობრიობაა. ერთიანობა კი არის ძირი ელემენტებისა, რომელთა აუცილებელ ზოგადობასაც ის წარმოადგენს. მაგალითად, ყოველი დაპირისპირებულთა ერთიანობა არის დაპირისპირებულთა ძირი და არა გაერთიანება; ის არის ერთიანის გაორება და

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 287, 264.

არა ორის შეერთება თუ შეჯამება. ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ერთიანობა, რომელიც განხორციელებულია ლოგიკურ ფორმებში, ლოგიკურში.

ერთიანობა არის ზოგადობა, რომელიც სხვადასხვაობას აუცილებლობით შეიცავს. ერთიანობა შეიძლება იყოს ზღვრული ან არაზღვრული. ზღვრული ერთიანობა არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, სრულ სასრულთა ერთიანობა. უსასრულობის, სახელდობრ, ლოგიკური უსასრულობის (როცა საქმე გვაქვს ლოგიკურთან) ერთიანობა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ „უსასრულო დასკვნა“-ში). არაზღვრული ერთიანობა ყოველთვის არსებობს, როცა ადგილი აქვს არასრულ სასრულოთა სხვადასხვაობას; მაგალითად, ასეთია ჩვეულებრივი — ფორმალურ ლოგიკური — მსჯელობა, სილოგიზმი და სხვ. ორივე ეს ერთიანობა მოქმედებს ლოგიკურში, ლოგიკურ ფორმებში, მაგრამ ისე, რომ პირველი იქვემდებარებს მეორეს, უსასრულოს ერთიანობა იქვემდებარებს სასრულის ერთიანობას. მაშასადამე, ერთიანობა არის ის ზოგადი, რომლისთვისაც აუცილებელია განსხვავება და წინააღმდეგობა.

§ 36. შინაარსეული ზოგადის ცნება

თქმულიდან ნათელი უნდა იყოს, რომ მოცულობით ზოგადს გარდა არსებობს შინაარსეული ზოგადიც. მაგალითად, მოცულობითი ზოგადია „ყველა წარმოება“, შინაარსეული ზოგადია „წარმოება“ როგორც მისი ელემენტების, მომენტების თუ მხარეების აუცილებელი ერთიანობა. მსჯელობა ზოგადია მოცულობის თვალსაზრისით, თუ ის გაგებულია, როგორც „ყველა მსჯელობა“, ან ყველა მსჯელობის საერთო ნიშანი; ასევე ითქმის დასკვნის შესახებაც. რომელიმე მსჯელობის პრედიკატია „მსჯელობა“, როგორც ზოგადი; ასეა დასკვნაც. შინაარსეულია ერთი მსჯელობის ერთიანობის ზოგადობა. ერთი დასკვნის ერთიანობის ზოგადობა. მსჯელობის შინაარსეული ზოგადობა არის ერთიანობა სუბიექტისა და პრედიკატის მიმართ; დასკვნის შინაარსეული ზოგადობა კი არის მისი ერთიანობა მსჯელობების მიმართ; დასაბუთების ზოგადობა არის ერთიანობა დასაბუთების შემადგენელი დასკვნების მიმართ და სხვ. შინაარსეული ზოგადობა არის ერთიანობა მისი მომენტებისა, რომლებიც ამ ზოგადის, როგორც პრედიკატის, სუბიექტებს წარმოადგენენ (მაგალითად, მოხმარება არის წარმოება, განაწილება არის წარმოება და სხვ.). ერთიანობის ზოგადობა გასაერთიანებელი მომენტების როგორობას წარმოადგენს, — ამაშია მისი შინაარსეულობა.

ერთიანობის ზოგადობა მისი მომენტების ბუნებაა; საერთო კი არის ერთეულთა ნიშანი; განვითარების არსება არის გარკვეული ერთიანობაც და საერთოც მისი საფეხურებისა, რომლებშიც იგი (ერთიანობა) თავის ბუნებას, ამ ბუნების არსებით განსაზღვრულობებს ავლენს. ერთიანობა უნდა იყოს მისი შინაგანი მხარეების — მომენტების — ზოგადობა. დაპირისპირებულთა — წინააღმდეგობის ერთიანობა არის შინაგანი ერთიანობა, ზოგადობა საწინააღმდეგო მხარეებისა. ამრიგად, მივიღეთ არა ორი, არამედ ოთხნაირი ზოგადობა: 1) საერთო ნიშნის ზოგადობა, 2) განვითარების არსების ზოგადობა. 3) განსხვავებულთა ერთიანობის ზოგადობა და 4) დაპირისპირებულთა ერთიანობის ზოგადობა. ეს ოთხი ზოგადი, არსებითად. არის ორი ზოგადი: მოცულობითი და შინაარსეული. საერთო ნიშნის ზოგადობა, აღებული, როგორც „ყველა", მოცულობითია; დანარჩენი სამი კი შინაარსეული ზოგადის ბუნებისაა, რადგან გარკვეულ ერთიანობებს წარმოადგენენ.

შეიძლება ითქვას, რომ მოცულობითი ზოგადი არის ასეთი მხოლოდ ერთი მბრივ. საერთო ნიშნის ზოგადობა, როგორც „ყველა", მოცულობითი ხასიათისაა, რადგან ის არის კლასი, ერთეულთა გარკვეული სიმრავლე; მაგრამ საერთო ნიშნის ზოგადობა შინაარსეულიცაა, რამდენადაც მისი ზოგადობა სწორედ ერთი ნიშნის ზოგადობაა, თუმცა მის მომენტებს არ ექცევა ყურადღება, როცა ის განიხილება, როგორც სიმრავლის ნიშანი.

შინაარსეული ზოგადი უშუალოდ, პირდაპირ არის წარმოდგენილი კატეგორიებში, კატეგორიების ერთიანობაში. კატეგორია შინაარსეული ზოგადია, გარკვეული ერთია მის მომენტებში; მაგალითად. რაოდენობის კატეგორია არის წყვეტადობის და განუწყვეტლობის ერთიანობა, ანუ რაოდენობა არის გარკვეული თვისობრიობა. რაოდენობის თვისობრიობა, სახელდობრ, ის, რომ რაოდენობა არის საგნის გარეგანი და აუცილებელი განსაზღვრულობა, რომ ის არის სწორედ ეს და არა სხვა. ზომა არის რაოდენობის თვისობრიობა და თვისობრიობის რაოდენობა, — სწორედ ის ერთი, რომელშიც გაერთიანებულია რაოდენობისა და თვისობრიობის კატეგორიები. იგივეობის კატეგორია არის განსხვავების შემცველი იგივეობა; საფუძველი არის შედეგის შემცველი აზრი; მიზეზი სწორედ მოქმედების მიზეზია და სხვ. აქ ისიც ჩანს, რომ არა მარტო რომელიმე კატეგორია არის ერთიანობა, არამედ ასეთია ერთი კატეგორიის მეორეში გადასვლა, როგორც გარკვეული ერთიანობა, რომელიმე კატეგორიის მეორეში რეფლექსია, ერთი კატეგორიიდან მეორის განვითარება

საერთოდ. შინაარსეული ზოგადის ბუნებისაა როგორც ერთი კატეგორია, ისე კატეგორიათა კავშირიც. ამ გარემოებას კატეგორიების ლოგიკაში, მათი კავშირის ლოგიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

შინაარსეული ზოგადი ფორმალურ ლოგიკაში წარმოდგენილია ერთეულის სახით. მაგალითად, ჩვეულებრივ ინდუქციაში თუ დედუქციაში არ არის განსხვავება ერთეულსა და ერთეულის ერთიანობას, როგორც ზოგადობას, შორის; უკეთ, ერთეული, როგორც ერთიანობა, ყურადღების გარეშეა დატოვებული. ფორმალურმა ლოგიკამ არ იცის, მასში არაა გაფორმებული ის, რასაც ჩვენ შინაარსეულ ზოგადს ვეძახით. დიალექტიკური ლოგიკა, ვფიქრობთ, სწორედ შინაარსეულ ზოგადს უნდა დაემყაროს, მისთვის გამოსავალი სწორედ ეს ზოგადი იქნება, ამით იგი იმასაც ახსნის, თუ რას წარმოადგენს შოცულობითი ზოგადი. ლოგიკა, რომელიც დაემყარება შინაარსეულ ზოგადს, სრულიად სხვა ხასიათის ლოგიკა იქნება.

დიალექტიკურ ლოგიკას, პირველ რიგში, აინტერესებს ერთიანობის ზოგადობაში განხორციელებული ლოგიკური აუცილებლობა, ის ერთიანობა, რომლის ფორმებსაც აზრის ფორმები წარმოადგენენ.

შინაარსეული ზოგადის ცნების სრულად წარმოდგენისათვის აუცილებელია შინაარსეული კერძოს ცნების განხილვა, აგრეთვე ზოგადის სახეების გარკვევა.

§ 37. კერძოს და მომენტის ცნება

შინაარსეული ზოგადის განხილვამ აჩვენა, რომ კერძო სხვადასხვანაირია: 1) ერთეული, 2) განვითარების საფეხური, 3) ერთმხრიობა: ა) არასრული — განსხვავების ერთი მხარე და ბ) სრული ერთმხრიობა — წინააღმდეგობის ერთი მხარე. სხვანაირად, არსებობს ორნაირი კერძო: 1) მოცულობითი და 2) შინაარსეული. მოცულობითი კერძო არის ერთეული ან „ზოგიერთი"; „ზოგიერთი" არის ბევრი — ერთზე მეტი; „ყველაც" არის ბევრი. ამ მხრივ „ზოგიერთი" და „ბევრი" ერთეულის განმეორებით მიღებული სიმრავლეა, ამიტომ „ერთეული", „ზოგიერთი" და „ბევრი" არსებითად, ერთი და იგივეა. როგორიცაა ერთეული, ისეთია ბევრიც: ზოგიერთიც და ყველაც, მაგალითად, ადამიანი, წარმოება, საქონელი, მთა, მდინარე და სხვ.

შინაარსეული კერძო არის ერთმხრიობა, ელემენტი ანუ მომენ-

ტი. მომენტის, როგორც შინაარსეული კერძოს, თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: 1) მომენტის ნიშანი აუცილებელია იმისათვის, რის მომენტსაც ის წარმოადგენს — ერთიანობისათვის. ერთიანობა აუცილებლობით შეიცავს მომენტებს,—ყველა მომენტს და არა მხოლოდ რომელიმეს, მაშინ, როცა გვარისათვის სრულიად ზედმეტია სახის სპეციფიკური ნიშანი; ამავე დროს გვარისათვის არ არის აუცილებელი ყველა ერთეული. მაგალითად, წარმოებისათვის, როგორც ერთიანობისათვის, აუცილებელია მისი მომენტები — ყველა მომენტი: საკუთრივ წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება. მსჯელობისათვის აუცილებელია მისი მომენტები; ასე ითქმის დასკვნაზეც. ცხოველის გვარისათვის კი არ არის აუცილებელი ადამიანის სახე და ცხოველის არც ერთი სახის სპეციფიკური ნიშანი. თუ გვარს მიეწერება სპეციფიკური ნიშანი, მაშინ ის იქნება სახე (რომლისთვისაც აუცილებელია გვარი) და არა გვარი. 2)მომენტები შეიძლება იყოს ერთი მეორისადმი საპირისპირო და საწინააღმდეგო (მაგ., წარმოების მომენტები), მაშინ როცა ასეთი არ არის სახეების სპეციფიკური ნიშნები. 3) მომენტი სწორედ იმას ჰქვია, რომელსაც აქვს ერთიანობის ნიშანი, ამიტომ ის არის ამ ნიშნის სუბიექტი, ისე როგორც სახის პრედიკატი არის გვარი, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ შეიძლება შებრუნება (არ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი არის ქართველი), პირველ შემთხვევაში კი ასეთი შებრუნება აუცილებელია (მაგ., მოხმარება არის წარმოება და პირიქით). გვარისათვის სახის ნიშანი (სპეციფიკური ნიშანი) გარეგანია და ზედმეტი; ერთიანობაში კი მოხსნილი და შენახულია მომენტი; ერთიანობაში, როგორც შინაარსეულ ზოგადში, მოხსნილი და შენახულია მომენტი (ამიტომ არის შესაძლებელი კონკრეტული ზოგადი).

შესაძლებელია ისეთი შინაარსეული კერძოც, რომელიც არ არის მომენტი, მაგრამ არის ერთმხრიობა (იხ. ზემოთ ჩამოთვლილი კერძოები). ყოველი ერთმხრიობა არის შინაარსეული კერძო, რომელიც შეიძლება იყოს მომენტი და შეიძლება არც იყოს.

შინაარსეული კერძო შედარებითი ცნებაა, რადგან ერთმხრიობა შეიძლება იყოს შინაარსეული ზოგადიც მისი რომელიმე მხარისადმი. მაგალითად, მსჯელობა, როგორც ერთმხრიობა დასკვნისა, თვითონ არის შინაარსეული ზოგადი მისი ელემენტებისადმი.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ ერთეული და კერძო-ერთმხრიობა, რადგან ერთეული არის სუბიექტი, ერთმხრიობა კი პრედიკატი, თუ ეს ერთმხრიობა არის ერთმხრივი კატეგორია. სუბიექტიც კატეგორიაა, მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, ის არ არის ერთმხრივი. კატეგორიები ამოწურავენ სუბიექტის ცნებას და მივიღებთ ამ ცნების

დადგენას, როგორც ამას ჩვენ შემდეგ ნათელვყოფთ (დასაბუთების თეორიაში, როცა ლაპარაკი გვექნება დასაბუთების, როგორც განვითარების, შესახებ). შეიძლება ზოგადად ისიც ითქვას, რომ ყოველი ცნება, რომელსაც რამდენიმე ნიშანი აქვს, არის სუბიექტი. რომელიც ნიშნებით, როგორც პრედიკატებით ამოიწურება. რომ ნიშნები საერთოდ არ ამოწურავდნენ სუბიექტს, რომ ეს შეუძლებელი იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ცნების დადგენა, ჩვენ არავითარი ცნება არ გვექნებოდა. ცნების უარყოფა კი შეუძლებელია, რადგან თვითონ ეს უარყოფაა გარკვეული ცნება. მიუხედავად აღნიშნული განსხვავებისა, შეიძლება „ერთეული“ და „კერძო“ ერთი მნიშვნელობითაც ვიხმაროთ.

§ 38. ზოგადის სახეები

ზოგადის სახეები ზემოთ იყო ჩამოთვლილი, აქ კი, მათი შინაარსის გარკვევისათვის, გავარჩევთ ამ სახეების დამოკიდებულებას. ზოგადის სახეებია: 1) მოცულობითი ზოგადი („ყველა“, ყველა ერთეული; კერძო კი იქნება ერთეული, ერთეული საგანი); 2) შინაარსეული ზოგადი არის ერთიანობა, რომელიც, როგორც ითქვა, სხვადასხვანაირია: ა) საერთო ნიშნის, როგორც სწორედ ნიშნის, ზოგადობა, რასაც მოცულობით ზოგადი ეყრდნობა; ეს არის ის ზოგადობა. რომელიც მოიცავს მრავალ ერთეულს; ეს არის ნიშნის ზოგადობა ერთეულების მიმართ; ბ) განვითარების არსების ზოგადობა; მის კერძოს წარმოადგენს განვითარების საფეხური. განვითარების არსება ზოგადია საგნის განვითარების საფეხურებისადმი, რომლებიც გარკვეულ კერძოებს წარმოადგენენ; გ) განსხვავებულთა ერთიანობის ზოგადობა; მის მიმართ კერძოებს განსხვავებულები წარმოადგენენ; დ) დაპირისპირებულთა ერთიანობის, სრული ერთიანობის ზოგადობა, რომლის ერთი მხარე არის სრული კერძო (როგორც ეს ზემოთ აღინიშნა).

ერთეული, როგორც კერძო, თავის მხრივ არის ზოგადი, რამდენადაც ის განიხილება როგორც საკუთარი მომენტების ერთიანობა. ასეთია განვითარების საფეხურებიც მისი ელემენტების თუ მომენტების მიმართ. ასეთივეა განსხვავების ერთი მხარე; მაგალითად, რომელიმე ჩვეულებრივი მსჯელობის სუბიექტი ან პრედიკატი. წინააღმდეგობის ერთი მხარე კი არის ის ზოგადობა, რომელსაც ფორმალური ლოგიკა ეყრდნობა და აღიარებს. წინააღმდეგობის ერთი მხარეა სწორედ ის, რომელიც საწინააღმდეგოს გამორიცხავს. წინააღმდეგობის ერთი მხარე არის სრული სასრული, ამიტომ მისი ზოგადობა სასრულის ზოგა-

დობაა. ფორმალური ლოგიკისათვის აუცილებელი არის ის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია. ეს აუცილებლობა, მაშასადამე, არის სანრულის ზოგადობის აუცილებლობა.

საერთო არის გვარი განვითარების საფეხურებისთვისაც; ის არის აბსტრაქტული ზოგადი. განვითარების არსების ზოგადობა თვითონ არის განსხვავებულთა ერთიანობა; უფრო ზუსტად, ის არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომლის ზოგადობაც უსასრულოს ზოგადობას წარმოადგენს.

ერთეული, როგორც ერთეული, ამასთანავე არის ზოგადობა ორი მხრივ: 1) მისი შინაარსი ერთნაირია ყველა ერთეულში, როგორც ერთეულში; ფორმითაც ერთნაირია ყველა ერთეული. 2) ერთეული, როგორც კატეგორია, ცხადია, ზოგადია; არაზოგადი კატეგორია შეუძლებელია.

ზემოთ ითქვა, რომ არსებობს რამდენიმე ზოგადი; ძირითადად არსებობს ორი ზოგადი. მაგრამ ეს გარემოება შეიცავს ერთგვარ გაურკვევლობას, რომელიც უნდა მოიხსნას. საქმე იმაშია, რომ ერთზე მეტი ზოგადის აღიარება ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს; თუ არსებობს ორი (ან მეტი ზოგადი), მაშინ მათთვის საერთო მესამე ზოგადი იქნება და ა. შ. ცნების და მისი განსაზღვრების მიხედვით შეუძლებელია ერთზე მეტი ზოგადის აღიარება. სწორი პასუხი კითხვაზე, თუ რა არის ზოგადი, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. ერთი ზოგადის აღიარება, ცხადია, არ გამორიცხავს ამ ზოგადის სახეებს. აქ არ არის არავითარი სიძნელე. თუ ორი ზოგადის აღიარებისას ერთი ზოგადი მეორეს როგორღაც ექვემდებარება, მაშინ მოხსნილია ორი ზოგადის აღიარების დუალიზმი. თუ მრავალი ზოგადი ერთი ზოგადის მოვლენებს წარმოადგენენ, მაშინ დუალიზმის სიძნელე გადალახულია. მართლაც, მოცულობითი ზოგადი არის შინაარსეული ზოგადის თავისებური მოვლენა, რადგან ერთეულში არსებული შინაარსეული ზოგადი სიმრავლეში მეორდება, სადაც ყველა ერთეული ერთნაირია, სადაც სიმრავლეს ერთი საერთო ნიშანი აქვს. მრავალი ადამიანი ერთი ადამიანის ბუნების განმეორებაა. ყველა წარმოება ერთი წარმოების ბუნებისაა, რომელსაც წარმოების ზოგადი ცნება ლოგიკურად გამოხატავს, და სხვ.

ერთეულისა და ზოგადის აღნიშნული დამოკიდებულებები ხსნიან ერთეულის ცნების პრობლემას (მაგალითად, რიკერტის პრობლემას ისტორიული ერთეულის შესახებ), აგრეთვე — კატეგორიის, როგორც ცნების, პრობლემას. ერთეულისა და კატეგორიის ცნებებს, როგორც ცნობილია, ფორმალური ლოგიკა ვერ უვლიდა.

ის, რაც აქ ითქვა ზოგადის ცნების შესახებ, შეიძლება ითქვას კერ-

ძოს ცნებაზეც. კერძო, ლოგიკურად — ცნების განსაზღვრების თვალსაზრისით — შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. თუ არსებობს მრავალი კერძო, მაშინ ეს კერძოები ერთი კერძოს სახეები ან მოვლენები იქნებიან, ერთი კერძო, აქ ნათქვამის გამო, თვითონ იქნება ზოგადი. კერძოს და ზოგადის ცნებათა ეს შეფარდებითობა არსებითი იქნება კერძოსა და ზოგადის დიალექტიკისათვის (ამაზე ქვემოთ).

უნდა ითქვას ისიც, რომ კერძოსა და ზოგადის ცნებების შეფარდებითობა ორივეს — კერძოსაც და ზოგადსაც — აქცევს კერძოებად. კერძოსა და ზოგადს ერთიმეორის მიმართ აქვს აზრი. ნამდვილი ზოგადი იქნება არა კერძოსადმი დაპირისპირებული ზოგადი, რადგან ეს დაპირისპირება ზოგადს გამოაცალკევებს კერძოსაგან და თვითონ გახდება კერძო, არამედ ეს იქნება კერძოსა და ზოგადის ერთიანობა; უკეთ: ზოგადი არის „გარეგადამწვდომი“ მომენტი კერძოსა და მისადმი დაპირისპირებული ზოგადის დამოკიდებულებაში. მაგალითად, წარმოება არის ზოგადი მისი მომენტებისა — საკუთრივ წარმოების, განაწილება-გაცვლის და მოხმარების — მიმართ (ეს გარემოება შემდეგში კიდევ უფრო გაირკვევა).

გარკვეული აზრით რომ კერძო არის ზოგადი, ამას გამოთქვამს მსჯელობა: „კერძო არის ზოგადი“ („ცუგა არის ძაღლი“ და სხვ.). ეს გარემოება და ზემოთ აღნიშნული ის აზრი, რომ მოცულობითი ზოგადი ერთეულის ბუნების განმეორებაა. სრულიადაც არ ნიშნავს ზოგადის ერთეულზე თუ კერძოზე დაყვანას; არა, ზოგადი და კერძო ერთი მეორის საპირისპირო ცნებებია, რომელთაც აზრი ერთიანობაში აქვთ.

§ 39. დაქვემდებარების ხასიათი

აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ლოგიკური დაქვემდებარება კერძოსი ზოგადზე და არა სხვაგვარი და სხვა დაქვემდებარება, რომელსაც ჩვენ ამ შემთხვევაში ვერ შევეხებით.

თანახმად მოცულობითი და შინაარსეული ზოგადის განსხვავებისა, ზოგადზე დაქვემდებარებაც სხვადასხვანაირია, უმთავრესად ორნაირი; მოცულობითი და შინაარსეული. მოცულობითი დაქვემდებარება არის „ზოგიერთის“ „ყველაზე“, ქვეკლასის კლასზე დაქვემდებარება. ადამიანის ცნება ექვემდებარება ცხოველის ცნებას, სამკუთხედი ექვემდებარება გეომეტრიულ ფიგურას და სხვ. ამ დაქვემდებარებას ემყარება ტრადიციული დედუქცია, სილოგიზმის ანალიზურობა. ზოგიერთი შედის ყველაში, რომელსაც მეტი მოცულობა, მაგ-

რამ ნაკლები შინაარსი აქვს; დაქვემდებარებულს კი, პირიქით, მეტი შინაარსი და ნაკლები მოცულობა აქვს.

შინაარსეული დაქვემდებარება არის მომენტის დაქვემდებარება ერთიანობისადმი; მეტი შინაარსის მქონე ერთიანობა, როგორც ზოგადობა, ნაკლები შინაარსის ერთმხრიობებს — მომენტებს იქვემდებარებს. თუ, როგორც ითქვა, გვარისათვის არაა აუცილებელი მისი ქვემდებარე სახის სპეციფიკურობა, ერთიანობისათვის აუცილებელია ის, რაც მას ექვემდებარება. შინაარსეული დაქვემდებარება არის ერთიანობისადმი მისი ერთმხრიობების დაქვემდებარება, რომელსაც, ცხადია, აუცილებლობის ხასიათი აქვს, იმ აუცილებლობისა, რომელსაც ფორმალური ლოგიკა არ ითვალისწინებს; საერთოდ ლოგიკისათვის კი, როგორც ვნახავთ, მას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

შინაარსეული დაქვემდებარების მაგალითებია: წარმოება იქვემდებარებს მოხმარებას, გაცვლას, განაწილებას; მოძრაობა იქვემდებარებს მის მომენტს — უძრაობას; დასკვნა იქვემდებარებს მასში შემავალ მსჯელობას, მსჯელობა კი სუბიექტსა და პრედიკატს; საქონელი ექვემდებარება ფულს, ფული კი კაპიტალს კაპიტალისტურ საზოგადოებაში; საქონლის ცნება ფულის ცნებას ექვემდებრება, რადგან ფულის სახმარი ღირებულება მის საცვლელ ღირებულებაშია, ფული საყოველთაო საქონელია; ფული ექვემდებარება კაპიტალს, რადგან კაპიტალი არის თვითმზარდი ფული, ფულის წრებრუნვა, რომლის მომენტსაც ფული წარმოადგენს.

შინაარსეული დაქვემდებარება არის არა ნაწილის მთელზე დაქვემდებარება, არამედ მომენტისა ერთიანობაზე (თუკი მომენტს ნაწილს არ დავარქმევთ, ერთიანობას კი—მთელს). რომელიმე ნაწილზე ვერ გამოვთქვამთ მთელს პრედიკატის აზრით, ერთიანობა კი მომენტის პრედიკატია. მაგალითად, მოხმარება არის წარმოება და სხვ.

მოცულობითი და შინაარსეული დაქვემდებარება ერთი და იგივეს მომენტებს უნდა წარმოადგენდეს, სახელდობრ, ისინი უნდა იყოს მომენტები სრულად წარმოდგენილი შინაარსეული დაქვემდებარებისა, ლოგიკური განვითარებისა. ლოგიკური განვითარების ბუნებას ქვემოთ გავარკვევთ, აქ კი დავკმაყოფილდებით მაგალითის მოყვანით. მოცულობის აზრით საქონელი იქვემდებარებს ფულს, რადგან ფული არის განსაკუთრებული საქონელი. ფული იქვემდებარებს კაპიტალს, რადგან კაპიტალი არის არა საერთოდ ფული, არამედ თვითმზარდი ფული. მაგრამ შინაარსეულად, როგორც აღინიშნა, შებრუნებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ორივე ეს დაქვემდებარება არის მომენტები განვითარებისა, რომელიც იწყება სა-

ქონლით და მთავრდება ფულით. მეორე მაგალითი: შინაარსეულად ჭმნადობა იქვემდებარებს წარმოშობას და მოსპობას, არსსა და არარსს, როგორც საკუთარ მომენტებს, მაგრამ მოცულობის აზრით ჭმნადობაც არსია, არსის ერთ-ერთი კატეგორიათაგანია, ე. ი. ამ აზრით არსის კატეგორიას ექვემდებარება.

აქ შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ შინაარსეული აბსტრაქტული ზოგადი არ უდრის მოცულობით ზოგადს, რადგან შინაარსეული აბსტრაქტული ზოგადი შინაარსეული კერძოა და არა მოცულობითი ზოგადი (მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ სრული შინაარსეული დაქვემდებარება, ეს არის განვითარების დაქვემდებარება, სახელდობრ, დაქვემდებარება, რომელსაც ადგილი აქვს შინაარსეულ სუბორდინაციაში; შინაარსეული ზოგადი შინაარსეული კერძოს განვითარებაა. მსჯელობა ექვემდებარება დასკვნას, რადგან მსჯელობის გამართლება დასკვნაში ხდება; დასკვნა ექვემდებარება დასაბუთებას. მსჯელობა-დასკვნა-დასაბუთება ლოგიკური განვითარებაა, მაგრამ განზოგადებასაც წარმოადგენს.

§ 40. განზოგადება

როგორც ცნობილია, მოცულობითი ზოგადი კერძოსაგან ნიშნის გამოკლებით მიიღება. ეს გამოკლება არის გარკვეული უარყოფა ანუ აბსტრაქცია. ეს აბსტრაქცია არის ისეთი უარყოფა, როცა ეს უარყოფა აბსოლუტურია, ე. ი. უარყოფილისაგან სრულიად არაფერი რჩება. მაგალითად, ქართველის ცნების განზოგადება ხდება ქართველის ნიშნის გამოკლებით, რაც გვაძლევს ადამიანის ცნებას, რომელშიც ზედმეტია ქართველის ნიშანი; ასე მიიღება ადამიანის ცნებიდან ცხოველის ცნება და სხვ. შინაარსეული განზოგადება კი სრულდება ნიშნის ანუ განსაზღვრულობის მიმატებით, რომელშიც მოქმედებს უარყოფა, მაგრამ არა აბსტრაქტული, არამედ სწორედ კონკრეტული უარყოფა, რომლის საშუალებითაც ხდება ახლის, როგორც უფრო რთულის, მიღება; ამიტომ ხორციელდება განვითარება — შედარებით მარტივიდან უფრო რთულის მიღება.

შინაარსეული განზოგადების მაგალითად ავიღოთ რიცხვის ცნების განზოგადება მათემატიკაში. პირველი რიცხვები არის ნატურალური რიცხვები, სადაც ყოველთვის ხორციელდება მიმატება, მაგრამ გამოკლება აფართოებს რიცხვის ცნებას; ვღებულობთ მთელ რიცხვებს (უარყოფითი და დადებითი რიცხვები), რომლებიც შეიცავს ნატურალურ რიცხვებსაც და წარმოადგენს ახალ რიცხვებს,

რადგან მთელ რიცხვებს თავისებურებანი (სიმეტრიულობა და სხვ.) ახასიათებს. მთელ რიცხვებში ყოველთვის ხორციელდება გამრავლება, მაგრამ გაყოფა აფართოებს რიცხვის ცნებას, წილადების შემოსვლით ვღებულობთ რაციონალურ რიცხვებს, რომლითაც იწყება ნამდვილი რიცხვები. რაციონალურ რიცხვებში ყოველთვის ხორციელდება ახარისხება, მაგრამ დადებითი რაციონალური რიცხვიდან ფესვის ამოღება გვაძლევს ირაციონალურ რიცხვს. რაციონალური და ირაციონალური რიცხვები შეადგენენ ნამდვილ რიცხვებს. უარყოფითი ნამდვილი რიცხვიდან ფესვის ამოღება გვაძლევს კომპლექსურ რიცხვს ($a+ib$); კომპლექსური რიცხვი კი უზოგადეს რიცხვს წარმოადგენს; ამით მთავრდება რიცხვის ცნების განზოგადება. მაშასადამე, რიცხვის ცნების განზოგადება ხდება უარყოფის საშუალებით (აქ უარყოფის როლს ასრულებს: გამოკლება, გაყოფა, ფესვის ამოღება), მაგრამ ისე რომ უარყოფით სრულდება ძველზე ახლის მიმატება, რაც გვაძლევს ახალი თვისობრიობის მქონე რიცხვებს.

შინაარსეული განზოგადების მეორე მაგალითი ავიღოთ კ. მარქსის „კაპიტალიდან". საქონლის ცნებიდან მიიღება ფულის ცნება, ფულის ცნებიდან კი კაპიტალის ცნება. ფულის ცნება შინაარსეულად უფრო ზოგადია საქონლის ცნებაზე, კაპიტალის ცნება კი — ფულის ცნებაზე. გადასვლები საქონლიდან ფულზე და ფულიდან კაპიტალზე ხდება უარყოფით, სახელდობრ, ისეთი უარყოფით, რომელიც სრულდება ახლის მიმატება, ამით კი — შინაარსეულად უფრო მეტად ზოგადზე გადასვლა.

საქონლის ფულზე გადასვლისას უარიყოფა საქონლის სარგებლიანობა — სახმარი ღირებულება და ვღებულობთ ისეთ საქონელს, რომლის სახმარი ღირებულება მის საცვლელ ღირებულებაში მდგომარეობს; ეს არის ფული. ფულის ტრიალი — წრებრუნვა ხორციელდება ეკვივალენტური გაცვლის პირობებში. ეკვივალენტური გაცვლა არ იძლევა კაპიტალს, რადგან კაპიტალი არის ფულიდან ზედმეტი ფულის მიღება, რაც ეკვივალენტურ გაცვლას უარყოფს. ეს უარყოფა ეკვივალენტური გაცვლის პირობებში ხდება. ამიტომ უარყოფით სრულდება „მიმატება"; ე. ი. ფულიდან კაპიტალზე გადასვლა წარმოადგენს თავისებურ განვითარებას, რომელიც ცნების თავისებური განზოგადების — შინაარსეული განზოგადების — ნიმუშს წარმოადგენს.

ჰეგელის ლოგიკაში კატეგორიების გადასვლები და ამ გზით მიღებული ლოგიკური განვითარება, რომელსაც კატეგორიების სისტემა წარმოადგენს, არის ნიმუში შინაარსეული განზოგადებისა. არ-

სის ცნების უარყოფა ხდება არარსის კატეგორიით. მაგრამ ორივეს მოხსნა და შენახვა ხორციელდება ქმნადობის კატეგორიაში და ა. შ. „აბსოლუტურ იდეამდე“, ცნების დასრულებამდე -- ე. ი. ცნების და რეალობის ჰეგელიანურ დამთხვევამდე. იდეალიზმის გამორიცხვის შემდეგ აქ რჩება „რაციონალური მარცვალი“, რომლის ერთ მომენტსაც წარმოადგენს ის, რასაც ჩვენ შინაარსეული განზოგადება ვუწოდეთ.

შინაარსეული განზოგადოება არის უარყოფით დადებითის მიღება, მარტივიდან უფრო რთულის მიღება. სწორედ ამ გზით ხორციელდება ცნების დადგენა, რადგან ცნება დგინდება მისი ნიშნების დაკავშირებით. ნიშნების დაკავშირება კი შესაძლებელია მსჯელობების სახით. ამრიგად, შინაარსეული განზოგადება გვაძლევს ახალს, ისიც უფრო რთულს, კონკრეტულს უარყოფა-დადგენის — მსჯელობების საშუალებით და მათი სახით.

როგორც ეს ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, შინაარსეული განზოგადების სრული განხორციელება ხდება კატეგორიების ერთი მეორეში გადასვლებში, სადაც კატეგორიებიც ფორმებს წარმოადგენენ და გადასვლებიც. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ შინაარსეული განზოგადება ფორმათა, სწორედ ლოგიკურ ფორმათა აუცილებელი დაკავშირებაა, რომელიც ერთსა და იმავე დროს შემეცნების გზასაც წარმოადგენს და ლოგიკურ გზასაც; ის არის შემეცნების ლოგიკური გზა და ლოგიკური გზა, რომელსაც შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს. ამ გზაში ერთიანდება ლოგიკური და შემეცნებითი (ამიტომ ამ ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა).

ისიც ითქვა, რომ შინაარსეული განზოგადება არის მარტივიდან რთულზე გადასვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ განზოგადებაში ხორციელდება აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა.

§ 41. ზოგადის აბსტრაქტულობა და კონკრეტულობა

ზოგადობა შეიძლება იყოს აბსტრაქტულიც და კონკრეტულიც. ფორმალური ლოგიკა არ სცნობს ზოგადის კონკრეტულობას, რადგან მასში არაა გარკვეული შინაარსეული ზოგადობა. შინაარსეულ ზოგადობაზე დამყარებული ლოგიკა არ შეიძლება იყოს ფორმალური; ის დიალექტიკურია.

რამდენადაც ყოველი ზოგადი არის რაღაც განსაზღვრულობა ანუ შინაარსი, ამდენად ზოგადი არ შეიძლება არ იყოს კონკრეტული; ამიტომ, ამ აზრით, ზოგადი ყოველთვის კონკრეტულია. მაგრამ ზოგადები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან კონკრეტულობის ანუ შინაა-

რსის მეტნაკლებობით. ნაკლებ კონკრეტული არის აბსტრაქტული; ასეთია, მაგალითად, რაიმე განსაზღვრულობა — ნიშანი, რომელიც აღებულია ცალკე. ვარდის საწოთლე, ცალკე აღებული, არის აბსტრაქტული, საქონლის სახმარი ღირებულება, როგორც მისი ერთი მხარე, არის აბსტრაქტული და სხვ.

ერთი რომელიმე ნიშანი აბსტრაქტულია, მაგრამ მეორე ნიშნის მიმატება იძლევა პირველ კონკრეტულს, რომელიც თვითონ არის აბსტრაქტული მასზე უფრო კონკრეტულთან შედარებით. მაგალითად, ქმნადობა არის პირველი კონკრეტული ჰეგელის „ლოგიკაში“, რადგან ის არის არსისა და არარსის ერთიანობა. კ. მარქსის „კაპიტალში“ პირველი კონკრეტული, მაგრამ ყველაზე უფრო აბსტრაქტული, არის საქონელი, რადგან ის არის სახმარი და საცვლელი ღირებულების ერთიანობა, და, ამავე დროს „კაპიტალის“ ყველა სხვა კატეგორიაზე უფრო მარტივია — აბსტრაქტულია. ასეთი პირველი აბსტრაქტული, ჩვენი აზრით (როგორც ამას შემდგომ ნათელ-ვყოფთ), ლოგიკაში არის და უნდა იყოს დადებითი მსჯელობა, რომელიც, ვფიქრობთ, აზროვნების ფორმებში ყველაზე უფრო მარტივია. აბსტრაქტული ზოგადი არის კონკრეტული ზოგადის ერთმხრიობა, ერთი მხარე თუ განსაზღვრულობა.

კონკრეტული არის მრავალმხრიობის ერთიანობა,[1] კონკრეტული საერთოდ მრავალმხრიობის ერთიანობას ჰქვია; სულ ერთია, ის სინამდვილეშია, შემეცნებასა, თუ ლოგიკურში. ამიტომ ცხადია, რომ აბსტრაქტული უნდა იყოს და არის კონკრეტულის — მრავალმხრივის — ერთმხრიობა, ერთი მხარე, ერთი განსაზღვრულობა.

რადგან კონკრეტული არის მრავალმხრიობის ერთიანობა, აბსტრაქტული კი ერთმხრიობა, ამიტომ ზემოთ განხილული შინაარსეული განზოგადება არის კონკრეტიზაცია. კონკრეტიზაცია, როგორც შინაარსეული განზოგადება, სრულდება უარყოფის საშუალებით, სახელდობრ, ისეთი უარყოფით, რომლითაც რაიმე განსაზღვრულობას სხვა განსაზღვრულობა უერთდება (იხ. შინაარსეული განზოგადების ზემოთ მოყვანილი მაგალითები).

როგორც ითქვა, აბსტრაქტული ზოგადი და მოცულობითი ზოგადი არ არის ერთი და იგივე, რადგან მოცულობითი ზოგადი აბსტრაქტული ზოგადია, მაგრამ არა, პირიქით, ყოველი აბსტრაქტული ზოგადი არ არის მოცულობითი ზოგადი. აბსტრაქტული ზოგადის ქვეშ ჩვენ გვესმის შინაარსეული ზოგადის მარტივი სახე, ის შინაარსეული ზოგადი, რომელიც სხვა შინაარსეულ ზოგადზე მარტივია.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281.

აღებულია სხვა, უფრო რთულთან დაპირისპირებაში; აბსტრაქტული ზოგადი არის კონკრეტული ზოგადის ერთი მხარე და სხვა არაფერი. საქონელი არის აბსტრაქტული ფულთან და კაპიტალთან შედარებით, ისე კი თვითონაც კონკრეტულია, რადგან განსხვავებულთა ერთიანობაა.

ფორმალური ლოგიკისათვის ყველაზე უფრო ზოგადი არის ზოგად-დადებითი მსჯელობა, მაგრამ შინაარსეული ზოგადის, როგორც კონკრეტული ზოგადის, თვალსაზრისით, ის არის აბსტრაქტული, რადგან ზოგადი არის საგნის ერთი მხარე. მსჯელობა „ყველა ადამიანი მოკვდავია“ გამოთქვამს ადამიანის ერთ მხარეს და მხოლოდ ერთ მხარეს, მაშინ როცა ადამიანი, როგორც ასეთ ერთმხრიობათა ერთიანობა, კონკრეტული იქნება. არსებობა საგანთა ერთი მხარეა, ის უზოგადესი რამაა, მაგრამ საგანი მრავალი მხარის ერთიანობაა, ამიტომ საგნის კატეგორია არსებობის კატეგორიაზე გაცილებით უფრო კონკრეტულია.

როგორც ითქვა, სრული ერთმხრიობა არის წინააღმდეგობის ერთი მხარე (წინააღმდეგობაში მხოლოდ ორი მხარეა, მესამე გამორიცხულია; წინააღმდეგობის მხარეები სრული სასრული მხარეებია, მათ მიმართ „მესამე“ მხოლოდ უსასრულოა; წინააღმდეგობის სასრული მესამე მხარე არ არსებობს). ამიტომ იგი წარმოადგენს იმას, რომელზე უფრო მეტი შინაარსეული აბსტრაქტული შეუძლებელია. წინააღმდეგობის ერთი მხარე, როგორც სრული სასრული, არის აბსტრაქტულის საზღვარი არა იმ აზრით, თითქოს ის იყოს ყველაზე უფრო ცალმხრივი, არამედ იმ აზრით, რომ მასზე მეტი შინაარსეული აბსტრაქტული შეუძლებელია (რადგან იგი სრული ერთმხრიობაა), ყოველი აბსტრაქტული მასში თავსდება. ამიტომ იგი სრული ფორმალურ-ლოგიკური კონკრეტულიცაა. ფორმალურ ლოგიკური მოთავსებულია წინააღმდეგობის ერთ მხარეში, რადგან იქ გაგებული ლოგიკური აუცილებლობა იგივეა, რაც საწინააღმდეგოს შეუძლებლობა.

თუ სრული შინაარსეული აბსტრაქტული არის წინააღმდეგობის ერთი მხარე, მაშინ აუცილებელია, რომ სრული კონკრეტული იყოს წინააღმდეგობის ერთიანობა (როგორც სინამდვილეში, ისე შემეცნებითსა და ლოგიკურშიც). წინააღმდეგობის ერთიანობის ზოგადობაზე უფრო „მეტი“ შინაარსეული ზოგადი შეუძლებელია, რადგან წინააღმდეგობის ერთიანობა არის უსასრულო; წინააღმდეგ შემთხვევაში უსასრულოზე მეტი უსასრულოს აღიარება გვექნებოდა, რაც შეც დომას მოგვცემდა.

თუ უაბსტრაქტულესი არის ერთი მარტივი განსაზღვრულობა, უკონკრეტულესი კი წინააღმდეგობის ერთიანობა, მაშინ უნდა ით-

ქვას, რომ ამ ორს შორის მოთავსებულია ყოველგვარი ზოგადი. კონკრეტული მრავალმხრიობის ერთიანობაა; ეს მხარეები ორ სრულ აბსტრაქტულში (წინააღმდეგობის მხარეებში) თავსდება, ამიტომ წინააღმდეგობის ერთიანობა კონკრეტულის საზღვარია.

აქ თქმული იმასაც ნიშნავს, რომ გზა აბსტრაქტული ზოგადიდან კონკრეტული ზოგადისაკენ არის განვითარების გზა — მარტივიდან რთულისკენ სვლის გზა. ასეთი გზა არსებობს სინამდვილეშიც, შემეცნებაშიც და ლოგიკურშიც. ლოგიკური, როგორც ეს უფრო სრულად შემდგომ გაირკვევა, არის რეალურ-ისტორიულის და შემეცნებით-ისტორიულის თავისებური ასახვა, გამოხატვა. ლოგიკური ფორმები და ამ ფორმათა სახეები, ე. ი. მთელი ლოგიკის სისტემა გაგებული უნდა იქნას, როგორც განვითარება აბსტრაქტული ზოგადიდან კონკრეტული ზოგადისაკენ.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს შეუძლებელი იყოს ის, რომ რაიმეს განვითარება დაწყებულ იქნეს წინააღმდეგობის ერთიანობით და ეს განვითარება წინააღმდეგობის ერთიანობითვე იქნეს დამთავრებული; არა, განვითარების დამთავრება წინააღმდეგობის ერთიანობით სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ განვითარების დასაწყისში აღებულ უნდა იქნეს წინააღმდეგობის ერთიანობა მარტივი, აბსტრაქტული სახით. ასეთია, მაგალითად, „კაპიტალის" დასაწყისი. „კაპიტალი" იწყება საქონლით, რომელიც მარტივია, აბსტრაქტულია, მაგრამ წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს; ის არის წინააღმდეგობის ერთიანობის „ჩანასახი" (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი), რომელიც განვითარებული სახით, სრული სახით წარმოდგება სწორედ განვითარების ბოლოს. ასეთი საწყისი წინააღმდეგობის ერთიანობა არის დადებითი მსჯელობაც, რომელიც სრული სახით წარმოდგება უსასრულო დასკვნაში, როგორც სრულ ლოგიკურ წინააღმდეგობის ერთიანობაში (მთელი ლოგიკის მანძილზე მხოლოდ ამ გარემოების გარკვევას შევეცდებით).

§ 42. კერძოსა და ზოგადის ერთიანობა

რადგან კერძო და ზოგადი ერთიმეორის საპირისპირო კატეგორიებია, ამიტომ მათი ერთიანობა დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს, ე. ი. ეს ერთიანობა არის დიალექტიკური, რომლის ბუნება გაუგებარი რჩებოდა საუკუნეების განმავლობაში, სწორედ იმის გამო, რომ შეუძლებლად იყო მიჩნეული დაპირისპირებულთა ერთიანობა. როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, კერძოს და ზოგადის აუცილებელი ერთიანობა შეიძლება შემდეგნაირად დასაბუთდეს.

ზოგადობის აღიარება და კერძოს სრული უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასე აღიარებული ზოგადი აღარ იქნება ზოგადი, ის გადავა თავის თავის უარყოფაში — საწინააღმდეგოში. კერძოსაგან გამოცალკევებული ზოგადი არის არა ზოგადი, არამედ სწორედ გამოცალკევებული, ცალკეული, კერძო. კერძოს სრული უარყოფა თვითონ არის კერძო, რამდენადაც ეს უარყოფა არის ზოგადის კერძოდ დადგენა, გამოცალკევება. ასე ითქმის ზოგადის უარყოფის შესახებაც. ზოგადის უარყოფა და მხოლოდ კერძოს აღიარება ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს. მხოლოდ კერძო, ზოგადის უარყოფის შემდეგ დარჩენილი კერძო არის ერთადერთი. ვინც იმას ამბობს, რომ არ არსებობს ზოგადი და არსებობს მხოლოდ კერძო, მას კერძო ესმის როგორც აბსოლუტური რამ; ამიტომ ასეთი კერძო იქნება ზოგადის როლის შემსრულებელი. მეორე მხრივ, ზოგადის უარყოფა არის ზოგადის გამორიცხვა — უარყოფა ზოგადად, ე. ი. ეს უარყოფა თვითონ არის ზოგადი ხასიათის. ზოგადის უარყოფის დროს მოიხმარება ზოგადის ბუნების მქონე უარყოფა. მაშასადამე, არ შეიძლება არც კერძოს და არც ზოგადის თავიდან აცილება, ე. ი. ორივე აუცილებელია.

შეიძლება და უნდა ითქვას მეტიც. თუ კერძოს უარყოფით მიღებული ზოგადი არის კერძო და თუ კერძოს უარყოფაც ზოგადს მოიხმარს აუცილებლობით, მაშინ ზოგადისა და კერძოს აუცილებლობა იმასაც ნიშნავს, რომ ისინი ერთიმეორეს ადგენენ. ზოგადის უარყოფით ისევ ზოგადი დგინდება და კერძოს უარყოფით ისევ კერძო მიიღება. ისინი ერთიმეორისათვის აუცილებელია და ერთიმეორეს ადგენენ. კერძოს და ზოგადის ურთიერთუარყოფა მათი ურთიერთდადგენაცაა. ისინი ერთიმეორის უარყოფით თავიანთ თავს და ერთიმეორეს ადგენენ აუცილებლობით; ეს მათ დიალექტიკურ ერთიანობას ნიშნავს.

რადგან კერძოს დაპირისპირებული ზოგადი თვითონ არის კერძო (მაგალითად, პლატონის იდეა ადამიანობისა, რომელიც მოწყვეტილია კერძო ადამიანებს, თვითონ გამოდის კერძო ადამიანად, რომელიც ადამიანების რიცხვს ამრავლებს, როგორც ეს არისტოტელემ აღნიშნა), ამდენად უნდა ითქვას, ნამდვილი ზოგადი იქნება კერძოსა და ზოგადობის ერთიანობა, რომელსაც შინაარსეული ზოგადის ბუნება აქვს; უკეთ: ზოგადი არის ზოგადი არა როგორც კერძოსადმი დაპირისპირებული, არამედ როგორც კერძოს შემცველი, ე. ი. ზოგადი არის „გარეგადამწდომი“ კერძოსა და ზოგადის ერთიანობაში. კერძო მხოლოდ მაშინ იქნება თავის თავის გამმართლებე-

ლი, თუ ის არ არის მოწყვეტილი ზოგადს, თუ ის თავის თავში შეიცავს ზოგადს, თუ ის როგორმე არის ზოგადი.

ყოველი ერთიანობა, როგორც ითქვა, შინაარსეული ზოგადია, მაგრამ სრული ზოგადობა არის (ესეც აღინიშნა) დაპირისპირებულთა ერთიანობის ზოგადობა.

შინაარსეული კერძოს და ზოგადის დიალექტიკური ერთიანობა დიალექტიკური ლოგიკის საფუძველში ძევს (როგორც ეს შემდგომ იქნება გარკვეული).

§ 43. კერძო-ზოგადი და სასრული-უსასრულო

კერძოსა და ზოგადის დამოკიდებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც სასრულის და უსასრულოს დამოკიდებულება, თუკი მხედველობაში გვექნება შინაარსეული კერძო და ზოგადი.

სასრული, როგორც ითქვა, არის „ეს და არა სხვა"; თუ ეს სხვა არის საწინააღმდეგო, მაშინ გვაქვს ორი სრული სასრული (მესამე გამორიცხულია), რომელთა ერთიანობა იქნება უსასრულო, რაც დაპირისპირებულთა ერთიანობაში მდგომარეობს; მაგრამ დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც აღინიშნა, არის სრული შინაარსეული ზოგადობა, სრული კერძო კი წინააღმდეგობის ერთი მხარეა. სასრული არის ერთმხრიობა, შინაარსეული კერძო. ზოგადი არის ერთმხრიობების ერთიანობა.

კერძოსა და ზოგადის ერთიანობა არის რვამხრივი: 1) თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი (ანუ რამდენადაც არის კერძო, იმდენად არის ზოგადიც), 2) თუ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო, 3) თუ არ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი, 4) თუ არ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო, 5) თუ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი (რამდენადაც არის კერძო, იმდენად არ არის ზოგადი), 6) თუ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო(რამდენადაც არის ზოგადი, იმდენად არ არის კერძო), 7) თუ არ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი (რამდენადაც არ არის კერძო, იმდენად არის ზოგადი), 8) თუ არ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო (რამდენადაც არ არის ზოგადი, იმდენად არის კერძო). თვითეული ამ დებულებათაგანი არის ერთმხრიობა ანუ სასრული; პირველი ოთხი დებულება დაპირისპირებულთა დადებითი დამოკიდებულების გამოთქმაა, მეორე ოთხი კი უარყოფითის. ამიტომ ამ რვა ერთმხრიობის ერთიანობა არის დაპირისპირებულთა ერთიანობა.

ზოგადისა და კერძოს, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანო-

ბა, სადაც ზოგადის უარყოფით ისევ ზოგადი მიიღება და კერძოს უარყოფით ისევ კერძო დგინდება, არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა (ან რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით). ამიტომ ეს დამოკიდებულება, როგორც რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით, არის უსასრულო, სახელდობრ, უსასრულო ლოგიკური, რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იქნას რვა დებულების დამოკიდებულებით, იგი გაშლილია რვამხრივად. სასრულის და უსასრულოს ეს დამოკიდებულება მთელი ლოგიკის საფუძვლად ძევს, როგორც ეს შემდგომ იქნება ნათელყოფილი და დასაბუთებული.

აქ აღნიშნული დამოკიდებულებები ეკუთვნიან, ასე ვთქვათ, პირველი ფილოსოფიის სფეროს, რამდენადაც ისინი მოქმედებენ და არსებობენ როგორც არ'ში, ისე აზრში. მაგრამ ჩვენთვის მთავარია ლოგიკის სფერო, ამ დამოკიდებულებით ლოგიკური ფორმების ახ'სნა (ამაზე შემდგომ).

როგორც ითქვა, პირველი მეცნიერება ლოგიკურად არის ლოგიკა. ამიტომ ეს დამოკიდებულებები „პირველ-ლოგიკურია".

ზოგადი შეიძლება გაგებულ იქნეს შემდეგნაირად: რაიმე შეიძლება ზოგადი იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის არა მარტო სხვაზე გამოითქმის, არამედ თავის თავზეც, ე. ი. თუ ის რეფლექსურია (ლოგიკური რეფლექსური); რაც ასეთი არ არის, ე. ი. რაც მხოლოდ სხვას ეხება, ის არის კერძო და არა ზოგადი. მაგალითად, ცნება არის ისეთი, რომელიც არა მარტო სხვაზე გამოითქმის (ლოგიკურად გამოითქმის), არამედ — თავის თავზეც. ამიტომ შესაძლებელია ცნების ცნება, ასევე — მსჯელობის მსჯელობა (მაგალითად, მსჯელობის უარყოფა თვითონ არის მსჯელობა). მაგრამ კრიტელის დებულება, რომ „ყველა კრიტელი ცრუობს", არის კერძო, რადგან ის ეხება ყველა კრიტელს, გარდა თვითონ ამ კრიტელისა, რომელმაც ეს დებულება გამოთქვა. ამიტომ ეს დებულება არის კერძო, არ არის რეფლექსური. დებულება, რომ „დალაქი თავს პარსავს იმას, ვინც თავის თავს არ იპარსავს", კერძოა, რადგან ის თვითონ დალაქს არ ეხება. ასე წყდება ზოგადისა და რეფლექსურობის პარადოქსალურობა. (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი). შინაარსეული ზოგადის საფუძველზე უნდა გადაწყდეს დასკვნის პრობლემაც და ლოგიკური პარადოქსების პრობლემაც.

§ 44. შინაარსეული ზოგადი და აზრის ლოგიკური ფორმები

დიალექტიკურ ლოგიკაში არსებითია არა მოცულობითი ზოგადი, როგორც ამას ადგილი აქვს ფორმალურ ლოგიკაში, არამედ

შინაარსეული ზოგადი, შინაარსეული ზოგადის პრინციპი. ლოგიკაში მთავარი უნდა იყოს არა აზრის ფორმის, როგორც გვარის, და მისი სახეების დამოკიდებულება, არამედ აზრის ფორმის შინაარსეული ზოგადობა და მისი დამოკიდებულება მის ერთმხრიობებთან — შინაარსეულ კერძოებთან. აზრის ფორმის ბუნება მის შინაარსეულ ზოგადობაში მდგომარეობს; აზრის ფორმების და მათი სახეების ერთიმეორეში გადასვლები, კავშირები ემყარებიან და წარმოადგენენ შინაარსეული კერძოს და შინაარსეული ზოგადის დამოკიდებულებას. სწორედ ამ გზით შეიძლება იქნას გაგებული აზრის ფორმათა გადასვლები, მათი კავშირი როგორც განვითარება, „ლოგიკური განვითარება".

მსჯელობის შინაარსეული ზოგადობა არის მსჯელობის ერთიანობა (ის ხომ ერთი გარკვეული აზრია?), როგორც ერთიანობა გარკვეული მომენტებისა, სახელდობრ, სუბიექტისა და პრედიკატის ერთიანობა. ეს ერთიანობა ისეთი მჭიდრო და განუყოფელია, რომ არისტოტელე არც კი არჩევდა კოპულას და მსჯელობას განიხილავდა როგორც მთლიან მტკიცებას ან უარყოფას. ლოგიკისათვის სწორედ ის არის გამოსავალი, თუ როგორია სუბიექტისა და პრედიკატის ერთიანობა და როგორ დამოკიდებულებაშია სუბიექტი პრედიკატთან და პირიქით, როგორია მათი კავშირი.

დასკვნის შინაარსეული ზოგადობა ის ერთიანობაა, ის ერთიანი აზრია, რომელსაც დასკვნა წარმოადგენს მის დანაწევრებაში, რაც აუცილებელია ლოგიკური აუცილებლობის გამოსაჩენად, გასახორციელებლად. დასკვნის შემადგენელი მომენტები განხილულ უნდა იქნეს როგორც შინაარსეული კერძოები, ერთმხრიობები, რომელთა შინაგანი იგივეობა, რომელიც აუცილებლობით შეიცავს სხვადასხვაობას, ქმნის ერთიანობის ზოგადობას. თუ შესაძლებელია ისეთი სრული შუალობითი კავშირი, როგორც დასკვნითი-ლოგიკური აუცილებლობითი კავშირი, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს, მაშინ ლოგიკურში სისრულით იქნება წარმოდგენილი ლოგიკური სასრულის და ასეთივე უსასრულოს აუცილებელი ერთიანობა; ეს ლოგიკურის ბუნების სრულ წარმოდგენას ნიშნავს, რის შესახებაც მსჯელობა დასკვნისა და დასაბუთების განხილვისას გვექნება.

შინაარსეულია ცნების ზოგადობაც, რადგან ცნება არის ერთიანობა გარკვეული ნიშან-განსაზღვრულობებისა (ამას ადექვატურად გამოხატავს გერმანული სიტყვა „der Begriff"). ეს ასეა არა მხოლოდ მაშინ, როცა ცნება შეიცავს რამდენიმე ნიშანს, არამედ მაშინაც, როცა ცნება ერთნიშნაა, როცა ცნება კატეგორიას წარმო-

ადგენს. კატეგორია თვითონ არის ცნება, რომელიც არაა გვარეობით-სახეობით დამოკიდებულებაში სხვა ცნებებთან; იგი შინაარსეული ზოგადობაა. კატეგორია აუცილებლობით გულისხმობს იმ კატეგორიებს, რომლებიც მას განსაზღვრავენ, როგორც მისი წინამავალი და მომდევნო; კატეგორიის განსაზღვრება ხომ მისი ადგილის დადგენაა სისტემაში? კატეგორიათა აუცილებელი პირველადობა-მეორადობის დადგენა სხვა არაფერია, თუ არა მათი განსაზღვრება, კიდევ მეტი, მათი დასაბუთება (კატეგორიების განსაზღვრებით ხორციელდება მათი დასაბუთება და დასაბუთება კატეგორიებში). კატეგორიათა დასაბუთებაში ხორციელდება მათი ერთიანობა, რომელიც შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს.

შინაარსეულ ზოგადობებს წარმოადგენენ აზრის ფორმათა ლოგიკური კავშირებიც. მსჯელობათა აუცილებელ შუალობით ერთიანობას დასკვნა წარმოადგენს; ცნება კი, როგორც ეს ქვემოთ იქნება სპეციალურად განხილული, დასკვნის ზოგად აზრს წარმოადგენს. მაგალითად, შინაარსეული ზოგადობის ნიმუშს წარმოადგენს დადებითობის და უარყოფითობის, როგორც ფორმების, ერთიანობა, თუკი ასეთი შესაძლებელია (ეს პრობლემა პირველად ფიხტემ დასვა). თვითონ ლოგიკური სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა შინაარსეული ზოგადობა, როგორც გარკვეული მომენტების (შინაარსეული კერძოების) აუცილებელი ერთიანობა, რომლის ფორმებიც სწორედ ლოგიკურის ფორმებს წარმოადგენენ. ლოგიკური არის აზრთა აუცილებელი კავშირ-ერთიანობა, რომელიც არ შეიძლება არ იყოს შინაარსეული ზოგადობა. ლოგიკური არ შეიძლება არ იყოს შინაარსეული ზოგადობა, თუკი აუცილებელია ლოგიკურის სინთეზურობა.

§ 45. დასაბუთების საწყისის ზოგადობა

წინა პარაგრაფის აზრის დასამთავრებლად საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას დასაბუთების საწყისის, როგორც დასაბუთების არსების, ზოგადობის შესახებ, ისე კი დასაბუთების საწყისის პრობლემა განხილული იქნება ქვემოთ — დასაბუთების თეორიაში (უკანასკნელ თავში).

დასაბუთების, როგორც სისტემის, შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების პრინციპი, კანონი თუ წესი, ის, თუ რას წარმოადგენს დასაბუთების არსება. არისტოტელეს აზრით, დასაბუთების საწყისი, როგორც მისი

არსება, არის წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, როგორც ერთისა და იმავეს ერთსა და იმავეზე მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობის კანონი. მტკიცება-უარყოფის ერთდროული შეუძლებლობა დასაბუთების ბუნებას წარმოადგენს. მას ზოგადობის ხასიათი აქვს არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ის ყველაფერს ახასიათებს და ყველაფერს გვიხსნის დასაბუთებაში, არამედ თვითონ აზრის ყოველი ფორმის და ამ ფორმის სახით შინაარსეულ ზოგადობას, გარკვეულ აუცილებელ ერთიანობას — არსებას წარმოადგენს. მტკიცება-უარყოფა მსჯელობის ბუნებაა, ასეთივე ბუნებისაა დასკვნაც.

თვითონ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება დასაბუთების ბუნებისაა, რადგან იგი მტკიცება-უარყოფის ხასიათის მქონე დებულებაა.

ყოველგვარი მოძრაობის არსება, როგორც ეს საკმაოდ დასაბუთებულია დიალექტიკურ მატერიალიზმში, არის წინააღმდეგობის ერთიანობა. ასე უნდა იყოს ლოგიკურ დასაბუთებაშიც; მის არსებას უნდა წარმოადგენდეს წინააღმდეგობის ერთიანობის ლოგიკური განხორციელება, რაც, როგორც ამას ქვემოთ გამოვიკვლევთ, გარკვეული სახის დასკვნაში მდგომარეობს; წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში უშუალოდ, პირდაპირ გამოხატულია რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში, რასაც, როგორც ვიცით, ლოგიკურის კატეგორიის ბუნება აქვს და რაც ლოგიკურ რეფლექსურობას წარმოადგენს.

ლოგიკაში სისრულით წარმოდგენილი ზოგადი არის ის, რაც თავისთავზეც ვრცელდება; „ყველა"-ში იგულისხმება ზოგადობაც. ეს გარემოება, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, არავითარ სიძნელეს არ ქმნის დიალექტიკურ ლოგიკაში (მაშინ როცა მათემატიკურ ლოგიკაში პარადოქსებს წარმოშობს).

§ 46. „ლოგიკური სქემა" და მოდელი

აქსიომათა სისტემა, მაგალითად, წინადადებათა აღრიცხვის სისტემა და თვითეული აქსიომა, როგორც გარკვეული სწორად აგებული ფორმულა, არის ლოგიკური სქემა. ამ სქემის ინტერპრეტაციას კი მოდელი ჰქვია. მოდელი, საბოლოო ანგარიშში, შინაარსეული ხასიათისაა. აქსიომებისა და თეორემების ლოგიკური სისტემა მოდელირების შემთხვევაში გადაიქცევა მოდელის შინაარსეულად ჭეშმარიტ წინადადებებად.

ცნობილია, რომ აქსიომათა სისტემის არაწინააღმდეგობრიობის, დამოუკიდებლობის და სისრულის დასადგენად ძიმართავენ მოდელირებას, გარკვეულ ინტერპრეტაციას (მოდელირებას და ინტერპრეტაციას ზოგჯერ განასხვავებენ). შეიძლება წინადადებათა ნიშნები x, y, z გავიგოთ როგორც არითმეტიკული ცვლადები (აქ მოგვყავს ჰილბერტისა და აკერმანის აზრი), რომელთა მნიშვნელობებად ავიღოთ 0 და 1; xvy იქნება არითმეტიკული ნამრავლი, $\bar{x}$ იქნება $\bar{0}$, რომელიც ტოლია 1 და $\overline{1}$ ტოლია 0. ასეთი ინტერპრეტაციის საფუძველზე თვითეული რთული წინადადება წარმოადგენს ძირითად წინადადებათა გარკვეულ არითმეტიკულ ფუნქციას, რომელსაც შეუძლია მიიღოს მხოლოდ ორი მნიშვნელობა: 0 ან 1.

აქედან ნათელია, მაგალითად, ის, რომ $\overline{x}vx$ ყოველთვის აქვს მნიშვნელობა 0; ამიტომ აქსიომა $\overline{xvx}vx$ ყოველთვის 0-ის ტოლია. ასე ითქმის სხვა აქსიომების შესახებაც.

თუ ცვლადები x, y, z იღებენ მნიშვნელობებს 0, 1, 2, 3, მაშინ ამ ცვლადების კავშირი v („ან“) განისაზღვრება ასე:

$$0v0 = 0v1 = 0v2 = 0v3 = 0;$$

$$1v1 = 1v2 = 1v3 = 1;$$

$$2v2 = 2;\ 3v3 = 3;\ 2v3 = 2;$$ და სხვ.

ჩვენ აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ რიცხვის, როგორც სქემის მოდელის, ზოგადი არ შეიძლება იყოს სქემა, არამედ ისევ რიცხვი თუ რაოდენობა; სქემა არ არის ზოგადი და მოდელი — კერძო, თუკი „კერძოს“ და „ზოგადს“ მართებული ლოგიკური მნიშვნელობით გავიგებთ.

მოდელი არის სქემის არა კერძო, არამედ ინტერპრეტაცია; თუ „ინტერპრეტაციის პრობლემა არის რაიმე გარკვეულის ჩასმის პრობლემა“ (ბ. რასელი), მაშინ ცხადია, რომ ცვლადი, როგორც გაურკვეველი თუ განუსაზღვრელი (ჩერჩი) არ შეიძლება იყოს ზოგადი გარკვეულის მიმართ.

სიტყვა „მოდელი“ სხვადასხვანაირად ესმით: 1) ზოგიერთისათვის მოდელი არის მეორადი, სქემა კი პირველადი, 2) ზოგიერთისათვის კი პირიქით. ჰოლანდიელმა მათემატიკოსმა ვან-დანცოგმა თქვა, რომ ჩვენ ნუ ვუწოდებთ ქალაქ პარიზს მისი გეგმის მოდელს, პირიქით, პარიზის გეგმა არის ამ ქალაქის მოდელი.

ჩვენთვის აქ მხოლოდ ის არის საინტერესო, რომ სქემასა და მის მოდელს შორის არ არის ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულება. ქ. პარიზის ზოგადი არის, ცხადია, ქალაქი საერთოდ და არა პარიზის გეგმა, ან პირიქით. შეუძლებელია ლოგიკაში ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულება შეიცვალოს სქემისა და მოდელის დამოკიდებულებით. ლოგიკურ ფორმებში — მსჯელობა-დასკვნა-ცნება-დასაბუთებაში — მოქმედებს ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულება და არა სქემისა და მოდელის დამოკიდებულება, რომელიც მათემატიკური ლოგიკისათვის არსებითი ხასიათისაა.

თავი მეოთხე

აზრის ლოგიკური კანონები

აზრის ლოგიკური კანონების განხილვა, ალბათ, აჯობებდა არა აქ, არამედ სხვა ადგილას, მაგალითად, ლოგიკის მეცნიერების ბოლოს, თუკი განვითარების პრინციპს თავიდან ბოლომდე დავიცავდით და მას სისრულით განვახორციელებდით ლოგიკური განვითარების სახით. ეს შეიძლება ასეც მოხდეს ლოგიკის სრული სისტემის აგებისას, აქ კი ლოგიკური კანონები სწორედ ამ ადგილზე შეიძლება იქნეს განხილული, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია ლოგიკის მხოლოდ ძირითადი მომენტების დახასიათება; აგრეთვე, ხაზგასმით უნდა იქნას წარმოდგენილი ლოგიკურის კავშირი ონტოლოგიურთან ლოგიკის მეცნიერების დასაწყისიდანვე, რათა ლოგიკის მატერიალისტურობა დაედოს საფუძვლად მის დიალექტიკურობას.

კანონების პრობლემა ლოგიკაში მწვავედ დგას დღეს — თანამედროვე პირობებში ლოგიკის განვითარებისა, როცა, მაგალითად, მათემატიკურ ლოგიკაში კანონად ცხადდება ყოველი „ყოველთვის ჭეშმარიტი დებულება“ და კანონების „სიუხვეს“ საზღვარი არ აქვს.

ლოგიკური კანონების განხილვისას დავემყარებით დიალექტიკის პრინციპს, სახელდობრ, იმ აზრით, რომ დავიწყებთ ძველი ფორმალური ლოგიკის კანონებით და მათი ბუნების განხილვით ვაჩვენებთ დიალექტიკური ლოგიკის კანონების აუცილებლობასა და არსებითობას. აქ, როგორც ვნახავთ, აღმოჩნდება ის, რომ ფორმალური ლოგიკა არის დიალექტიკური ლოგიკის მომენტი; ფორმალურ-ლოგიკური დიალექტიკურ-ლოგიკურის ერთი მხარეა; დიალექტიკური ლოგიკა ლოგიკის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, ის „უმაღლესი ლოგიკაა“.

ლოგიკური კანონების განხილვას წინ უნდა უსწრებდეს კანონის ცნების დადგენა.

როგორიცაა საერთოდ მეცნიერების კანონი, ისეთი უნდა იყოს ლოგიკის მეცნიერების კანონიც; მაგრამ სინამდვილის ყოველ სფეროში, ამ სფეროს თავისებურებების გამო, კანონებიც თავისებურია. ამიტომ ლოგიკური კანონები სპეციფიკურ კანონებს წარმოადგენენ, მით უმეტეს, რომ ისინი არა სინამდვილის, არამედ ამ სინამდვილის თავისებური ასახვის — აზრის კანონებს შეადგენენ.

ლოგიკური კავშირი აუცილებელი კავშირია, მაგრამ იგი, სწორედ როგორც კავშირი, არის სინთეზური. კავშირი მაშინ ხორციელდება, თუ დასაკავშირებელი განსხვავებულია. ლოგიკური კავშირი შეიძლება იყოს მხოლოდ განსხვავებულთა ერთიანობა. როგორც ვიცით, ელემენტების ერთიანობა არის შინაარსი. ერთიანობა შეიძლება შესრულდეს სხვადასხვანაირად, სხვადასხვა წესით. ეს ნიშნავს იმას, რომ ერთიანობას აქვს და არ შეიძლება არ ჰქონდეს ფორმა. ის წესი, თუ როგორაა შესრულებული ერთიანობა, არის კანონი. კანონი არის ერთიანობის ზოგადობის ფორმა.

სულ სხვანაირად აქვს წარმოდგენილი ლოგიკური კანონის ბუნება მათემატიკურ ლოგიკას. მათემატიკურ ლოგიკაში ლოგიკურ კანონად ითვლება ყოველთვის ჭეშმარიტი წინადადება, ე. ი. ისეთი რთული წინადადება, რომელიც ჭეშმარიტია მისი შემადგენელი ნაწილების ჭეშმარიტების ყოველნაირი მნიშვნელობის დროს, ანუ ლოგიკური კანონი არის გამოსახულება, რომელიც შედგენილია ცვლადებისა და მუდმივებისაგან და სადაც ცვლადების შეცვლა ჭეშმარიტი ან მცდარი წინადადებებით ყოველთვის ჭეშმარიტ წინადადებას იძლევა; ეს უკანასკნელი წინადადება არის კანონი.

კანონია ყოველთვის ჭეშმარიტი დებულება, მაგალითად, „ჰიპოთეზური სილოგიზმის კანონი“: თუ A→B და B→C, მაშინ A→C, ანუ: $[(A \to B) \cdot (B \to C)] \to (A \to C)$. ეს კანონი გვიჩვენებს იმპლიკაციის ტრანზიტულობას.

მათემატიკურ ლოგიკაში კანონი არის ფუნქციონალური დამოკიდებულების გამოხატულება; იგი, ჩვენი აზრით, გამოსადეგია და ბუნებრივია მათემატიკისათვის, მაგრამ მას ზოგადლოგიკური ხასიათი არ აქვს (როგორც ეს შემდგომში იქნება ნათელყოფილი).

კანონი უნდა იყოს მოვლენების ამხსნელი, ე. ი. ის უნდა იყოს და არის არსებითი. კანონი არსების კატეგორიაა. არსება აქვს ყველაფერს, მათ შორის ლოგიკურსაც. ლოგიკური კანონი ლოგიკურის არსების კატეგორიას წარმოადგენს.

თუ არ არსებობს კანონი, მაშინ ადგილი აქვს ქაოსს, სადაც ყველაფერი გაუგებარია. თუ კანონი და მისი ქვემდებარე ერთმანეთს უდრის, მაშინ შეუძლებელია მეცნიერების არსებობა; თუ კანონი მოვლენის ზედაპირზე ჩანს, მაშინ მეცნიერება, მეცნიერული კვლევა ზედმეტია (კ. მარქსი). კანონი არ შეიძლება წინ უსწრებდეს ან შემდეგ მოსდევდეს მოვლენას (მოვლენებს), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კანონი კი არა, მოვლენა იქნებოდა. კანონი მოვლენის ბუნების გამოხატულებაა; ამ ბუნების გარკვეულობა ფორმაა, რომელიც, ცხადია, მისთვის შინაგანია. ერთი სიტყვით, კანონის ბუნების გაგება მისი ნიშნების გაგებას ნიშნავს.

§ 48. ლოგიკური კანონის ობიექტურობა

ლოგიკური კანონის ობიექტურობა უშუალოდ გამომდინარეობს ლოგიკურის ობიექტურობიდან. შეუძლებელია საერთოდ კანონი და კერძოდ ლოგიკურის კანონი სუბიექტური იყოს. სუბიექტური შემთხვევითია და თვითონ საჭიროებს ამხსნელ ობიექტურობას, კერძოდ, ობიექტურ კანონს. ამ მხრივ, კანონი აბსოლუტური ხასიათის უნდა იყოს, სრულიად თავისუფალი ყოველგვარი სუბიექტურობისაგან.

კანონის სუბიექტურობის აღიარება უაზრობამდე, ლოგიკურ შეცდომამდე, თავის თავის გამორიცხვამდე მიდის, რადგან თუ კანონი სუბიექტურია, მაშინ ასეთი სუბიექტური არ უნდა იყოს სუბიექტური, არამედ ობიექტური, უკეთ: ასეთი სუბიექტური ობიექტურად უნდა მივიჩნიოთ, რაც შეუძლებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკური კანონისათვის აუცილებელია ობიექტურობა. ლოგიკური კანონი რომ მხოლოდ ჩვენი ნორმა იყოს, მაშინ ის სუბიექტური იქნებოდა იმ აზრით, რომ მისი შეცვლა შეგვეძლებოდა, ჩვენზე იქნებოდა დამოკიდებული. თუ რაიმე არის ყოველგვარი სუბიექტურისათვის ნორმა, მაშინ ეს ნორმა არ იქნება მხოლოდ ნორმა, მას ობიექტური ხასიათი ექნება (ობიექტურიც ხომ შეიძლება ნორმად გამოდგეს და უნდა გამოდგეს კიდეც). ის, რაც მხოლოდ უნდა იყოს და არ არის, არც არასოდეს იქნება, არ შეიძლება იყოს კანონი. ის, რაც მხოლოდ უნდა იყოს, არის სუბიექტური; ამგვარი „უნდას“ მნიშვნელობა სუბიექტურია.

მაგრამ შეიძლება ისიც ითქვას, რომ ცნების მიხედვით ის, რაც უნდა იყოს, უკვე არის, როგორც სწორედ ცნება. ცნებაში მიწვდომილი ლოგიკურად უკვე არის. მაგალითად, ნატურალურ რიცხვთა

უსასრულო რიგის მიწვდომა მთლიანად შეუძლებელია, რადგან იგი არ ამოიწურება, უსასრულო არ მთავრდება, მაგრამ თუ ვიცით, რა არის ეს უსასრულო, მაშინ გვაქვს მისი ცნება, ე. ი. ცნებაში იგი დასრულებულია. ამდენად ის აღარ არის „უნდა“.

ლოგიკური კანონის დარღვევა არ შეიძლება. შესაძლებელია ის, რომ ჩვენ ვერ ავმაღლდეთ ლოგიკურ კანონამდე; „დარღვევა“ შეიძლება გაგებულ იქნეს კანონის საფუძველზე; „დარღვევას“ თუ „არდარღვევას“ კანონით ვზომავთ; კანონია მასშტაბი იმისა, ვცდებით თუ არ ვცდებით. შეცდომა სუბიექტურია და იგი ობიექტურით არის გასაგები. ობიექტურია საზომი. ასეთი უნდა იყოს კანონი.

კანონებს ჩვენ არ ვქმნით და არ ვაუქმებთ; ეს კანონები ობიექტურია; სხვაგვარი კანონი მეცნიერებში არც არსებობს. ლოგიკური აზროვნება არის ფაქტი, ამიტომ მისი კანონები ობიექტურია. ლოგიკური კანონები ყოველი ნორმალური აზრის კანონებია. ხდება ლოგიკური კანონების აღმოჩენა და არა შექმნა.

ლოგიკურ აზრს, როგორც ასახვას, არ შეიძლება არ ჰქონდეს ობიექტური კანონები, რადგან ასახვა განისაზღვრება ასასახით — სინამდვილით. მაგალითად, იგივეობის კანონი ემყარება სინამდვილეში არსებულ იგივეობას, რომელიც აზრში ცნების თუ მსჯელობის ფორმას ღებულობს. აზრში არის აზრისაგან დამოუკიდებელი იგივეობა. იგივეობა, როგორც ასეთი, არის მხოლოდ ერთი.

აზრის კანონი, როგორც ასახვის კანონი, მეორადია, მაგრამ ეს მეორადობა არ უარყოფს ობიექტურობას, რადგან ჭეშმარიტი აზრი სწორედ მისგან დამოუკიდებლის თავისებური გამოთქმაა.

კანონი, როგორც ობიექტური, ნორმადაც გამოდგება; მას უნდა ვიცავდეთ. „უნდა“ ექვემდებარება არსს, რადგან ის არის ჯერ არსი. არსით განისაზღვრება ის, რაც უნდა იყოს არსი.

ლოგიკური კანონი არის აზრისათვის შინაგანი. ლოგიკური კანონის აზრისათვის შინაგანობა არ უარყოფს მის ობიექტურობას, რადგან ის, რაც აზრის შიგნითაა, განისაზღვრება მისგან დამოუკიდებლად არსებულით. მეორე მხრივ, აზრის ლოგიკური კანონი ასეთია მხოლოდ მაშინ, თუ ის არის ყოვლად აუცილებელი, აზრისათვის აბსოლუტური მნიშვნელობისა.

კანონის ობიექტურობა მრავალი კანონისათვის ერთი და იგივეა; არ შეიძლება ზოგი კანონის მეტად ობიექტურობა, ზოგის კი — ნაკლებად ობიექტურობა. აზრის კანონი შეიძლება მეორადი იყოს არა მარტო იმ გაგებით, რომ ის სინამდვილით განისაზღვრება, არამედ იმ აზრითაც, რომ აზრის რომელიმე კანონი მეორადი იყოს

აზრის სხვა — უფრო ძირითადი — კანონის მიმართ. ორივე ეს კანონი ერთნაირად იქნება ობიექტური.

აზრის კანონის ობიექტურობა იმასაც ნიშნავს, რომ აზრში რაიმე სხვაგვარად შეუძლებელია. ამიტომ ლოგიკურ კანონს აუცილებლობის ნიშანიც უნდა ჰქონდეს; კანონის ბუნება აუცილებლობაში უნდა მდგომარეობდეს. ობიექტური არის ისიც, რაც არ არის კანონი, ამიტომ ობიექტურობა არ არის საკმარისი კანონისათვის. აუცილებელია კანონის სხვა ნიშანიც.

§ 49. კანონის აუცილებლობა

კანონი არა მარტო ობიექტური, არამედ აუცილებელი კავშირიცაა. აუცილებელი კავშირი გარკვეული ერთიანობაა, რომლის ფორმასაც კანონი წარმოადგენს. აუცილებლობა კანონზომიერების, კანონების სახით არსებობს. ამიტომ კანონის ერთ-ერთ ნიშანს აუცილებლობის ნიშანი წარმოადგენს. ლოგიკურობა იგივე ლოგიკური აუცილებლობაა. ლოგიკური ფორმები სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკური აუცილებლობის ფორმები (როგორც ამას შემდგომ დავასაბუთებთ), ლოგიკური აუცილებლობა განსხვავდება რეალური აუცილებლობისაგან; ის თავისებური ხასიათისაა. ლოგიკური აუცილებლობა აზრებისათვის არის შინაგანი; სწორედ ამის გამო არსებობს ლოგიკური კანონები და თვითონ ლოგიკა. ლოგიკური აუცილებლობა რომ არ იყოს ლოგიკურისათვის შინაგანი, მაშინ ლოგიკის მეცნიერება არ იარსებებდა, ზედმეტი იქნებოდა. თუ სინამდვილეში მიზეზი დროში წინ უსწრებს მოქმედებას და არა პირიქით, ე. ი. არ შეიძლება მოქმედებამ გამოიწვიოს მიზეზი — არ შეიძლება მიზეზ-შედეგის შებრუნება, მაშინ ეს არ ითქმის ლოგიკურზე, რამდენადაც ლოგიკურში: 1) არა მარტო მიზეზის ცნება განსაზღვრავს შედეგის ცნებას, არამედ პირიქითაც, შედეგის ცნებაც განსაზღვრავს მიზეზის ცნებას; მიზეზი ხომ სწორედ შედეგის (მოქმედების) მიზეზს ეწოდება, 2) შეიძლება დასკვნა არა მარტო მიზეზიდან შედეგზე, არამედ პირიქითაც შედეგიდან — მიზეზზე.

სინამდვილეში არსებული აუცილებლობა, ცხადია, ობიექტურია; იგი თავისებურად ვლინდება ლოგიკურში, ლოგიკურ ფორმებში — მსჯელობა-ცნება-დასკვნებში; დასაბუთება განხორციელებული აუცილებლობაა. ლოგიკური აუცილებლობაც ობიექტურია; იგი არ შეიძლება არ იყოს ობიექტური, რადგან: 1) ის ჭეშმარიტების ობიექტურობის ხასიათისაა; 2) ლოგიკურში ბატონობს რეფ-

ლექსურობა; აუცილებლობის კატეგორია, როგორც ითქვა თვითონ არის არა მარტო ლოგიკური, არამედ ლოგიკურის კატეგორიაც. აუცილებლობის უარყოფა შეუძლებელია, რადგან: 1) ეს უარყოფა თვითონ იქნება აუცილებლობის ბუნებისა, 2) ამ უარყოფით მოცემული შემთხვევითობა თვითონ გადაიქცევა აუცილებლობად (ფ. ენგელსი).

შეიძლება ერთიმეორისაგან განვასხვავოთ სასრული და უსასრული ლოგიკური აუცილებლობა (როგორც ეს შემდგომ უფრო სრულად იქნება წარმოდგენილი); სასრული ლოგიკური აუცილებლობა არის საწინააღმდეგოს შეუძლებლობის აუცილებლობა. უსასრულო ლოგიკური აუცილებლობა კი ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობის აუცილებლობაა, ამ რეფლექსურობაში განხორციელებული აუცილებლობაა; ეს არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის აუცილებლობა; მაგალითად, იგივეობის უარყოფისას იგივეობის მოხმარის აუცილებლობა და სხვ. (იხ. ზემოთ. ლოგიკურის კატეგორიები). სასრული აუცილებლობა უსასრულოს ერთმხრიობაა (ორივე აუცილებლობა სინამდვილითაა განსაზღვრული; ასეა მათი ერთიანობაც).

აუცილებლობის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში თვითონ ეს უარყოფა აუცილებლობის ბუნების იქნება. ამიტომ აუცილებლობის უარყოფა მასვე ადგენს. ამაშია ლოგიკური ობიექტურობის უმაღლესი ფორმა. სხვაგვარი ობიექტურობა ლოგიკურში არ არსებობს.

§ 50. კანონის იდენტურობა

აზრის გაურკვევლობა არალოგიკურობის მომასწავებელია. ლოგიკური სრულ გარკვეულობას წარმოადგენს. გარკვეულობა შეუძლებელია იდენტურობის გარეშე. სადაც არ არსებობს არავითარი იგივეობრივი, იქ რაიმეს არსებობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ამიტომ იდენტურობა აუცილებელია. ლოგიკური კანონი იდენტური გარკვეულობაა[1]. ლოგიკური კანონი შეუძლებელია იდენტურობის გარეშე.

ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს იდენტურობის მიღება ლოგიკური პროცესის თუ განვითარების უარყოფას ნიშნავდეს. რაიმეს განვითარების ცნება წინასწარ გულისხმობს იგივეობრივს განვითარება-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 145, 146, 147, 272, 273, 274.

ში, წინააღმდეგ შემთხვევაში განვითარებას ადგილი არ ექნებოდა, იარსებებდა მხოლოდ ახალ-ახალი დაწყება, მაგრამ იგივეობის გარეშე ამ ახალ-ახალსაც ერთიმეორისაგან ვერ გავარჩევდით. მით უმეტეს ეს ითქმის კანონის შესახებ; კანონი იგივეობრივი უნდა იყოს პროცესის თუ განვითარებისათვის.

კანონი იდენტურია, რადგან: 1) იგივეობრივია ყველაფერში, იგივეობრივია პროცესში; 2) ის არის განსხვავებულთა (არაიგივეობრივთა) იგივეობრივი .ამიტომ ეს იდენტურობა შედარებითია; იდენტური არაიდენტურთა — განსხვავებულთა იდენტურია. სწორედ ამის გამოა შესაძლებელი ის, რომ 1) იგივეობის კანონი არის ლოგიკური პროცესის კანონი და 2) ეს იგივეობა განსხვავების შემცველია. იდენტურობის გარეშე შეუძლებელია აუცილებლობა და მისი განხორციელება. აბსოლუტური იდენტურობა ანალიზურობას უძევს საფუძვლად, მაგრამ იდენტურობაც და ანალიზურობაც სინთეზურ-ლოგიკური კავშირის, აუცილებელი სინთეზის მომენტებია (ამის შესახებ შემდგომ).

იდენტურობა აუცილებელია ლოგიკური კავშირისათვის, მაგრამ არ არის საკმარისი, რადგან აუცილებელია განსხვავებაც; განსხვავების გარეშე შეუძლებელია კავშირი, პროცესი, სინთეზურობა. ლოგიკური სინთეზურობა არის თავისებური განვითარება, რომელიც შეუძლებელია იგივეობისა და განსხვავების აუცილებელი ერთიანობის გარეშე. დადებითი სინთეზური მსჯელობა არის განვითარება, რადგან აქ ადგილი აქვს განსხვავებულთა აუცილებელ დაკავშირებას. ასეთია ყოველი სინთეზური მსჯელობა; ასეთია დასკვნაც, რადგან აუცილებელ გამომდინარეობას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ რაიმედან (წანამძღვრები) აუცილებლობით მიიღება განსხვავებული (დანასკვი). განსხვავების უარყოფა შეუძლებელს გახდის იგივეობრივ კავშირს, რადგან კავშირი მხოლოდ განსხვავებულთა კავშირია.

იგივეობა თავისთავთან მიმართებაა (იგივეობაც და განსხვავებაც არსების კატეგორიებია; არსება ლოგიკურსაც აქვს; ამიტომ ბატონობს მასში იგივეობაც და განსხვავებაც). კანონი არის ამ მიმართების ერთი მხარე, ერთი განსაზღვრულობა თავისი ზოგადი ფორმით.

კანონი იგივეობრივია, როგორც საერთო მრავლისთვის და როგორც შინაარსეული ზოგადის ფორმა. ის, რაც შინაარსეული ზოგადია მსჯელობაში თუ დასკვნაში, საერთოცაა მრავალი მსჯელობისა და დასკვნისათვის. კანონი ლოგიკური ფორმების ბუნების გამოხატულებაა. ლოგიკური აუცილებლობა თავისი ბუნებით არის

ერთი, მაგრამ არსებობს მისი სხვადასხვანაირი განხორციელება; შეიძლება ის მოვლინდეს სრულად და შეიძლება არასრულადაც. არასრულად გამოვლენილი აუცილებლობა არის სრული აუცილებლობის ერთი მხარე. იდენტურობა ყველგან ერთნაირია, მით უმეტეს კანონის იდენტურობა. აზრის სხვადასხვა ფორმებში სხვადასხვანაირად ვლინდება აუცილებლობა. ლოგიკური აუცილებლობა სრულად ვლინდება დასკვნა-დასაბუთებაში, მსჯელობაში კი არასრულად. ეს სხვადასხვაობა იმას ნიშნავს, რომ კანონი შეიძლება იყოს და არის კიდეც არა ერთი, არამედ მრავალი.

იდენტურობა აუცილებელია კანონისათვის, მაგრამ არ არის საკმარისი, რადგან იდენტური ისიცაა, რაც არ არის კანონი.

§ 51. კანონის არსებითობა

კანონი არ არის ყოველი იდენტური; ის არსებითი იდენტური უნდა იყოს (იდენტური არაარსებითიცაა). კანონი არის არსებითი კავშირი, ასეთია ლოგიკური კანონიც. კავშირი შეიძლება იყოს: 1) არაარსებითი, გარეგანი და 2) შინაგანი, არსებითი. გარეგანია, მაგალითად, სივრცითი და დროითი კავშირები; სივრცეში ერთად და დროში თანმიმდევრობით შეიძლება არსებითად განსხვავებულებიც არსებობდნენ. გარეგანია კავშირი „და"; „და"-თი ყველაფერი კავშირდება ერთიმეორესთან; ზოგადი სახით აღებული „და" ყველაფერს, არსებითად განსხვავებულებსაც, აკავშირებს ერთმანეთთან, სწორედ იმის გამო, რომ თვითონ არის გარეგნული, არაარსებითი ხასიათის. გარეგანი კავშირი არ არის აუცილებლობის ბუნებისა; ამიტომ ასეთი — გარეგანი კავშირი შემთხვევითია, ამდენად — ლოგიკურ აუცილებლობასთან შეუთავსებელი. არააუცილებელი კავშირი არ შეიძლება ლოგიკური იყოს. ლოგიკური კავშირი ყოველთვის აუცილებელია.

ხსენებულის გამო უნდა ითქვას, რომ მიმართების ლოგიკა არ არჩევს გარეგან, მაგალითად, სივრცით და დროით კავშირს არც 1) არსებითისაგან და 2) არც ლოგიკურისაგან. მიმართების ლოგიკა ერთიმეორეში ურევს არსებითსა და არარსებით კავშირებს, და, ამასთანავე, ლოგიკური დაყავს რეალურზე, რაც ლოგიკისათვის დაუშვებელია. მათემატიკური ლოგიკა ეყრდნობა ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, რომელიც გარეგან კავშირს წარმოადგენს. ფუნქციონალურად შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს ერთიმეორისგან არსებითად განსხვავებულნი. ამიტომ საფუძველ-შედეგის ლოგიკური დამოკიდებულება არ შეიძლება დაყვანილ იქნეს ფუნქცი-

ონალურ დამოკიდებულებაზე. ლოგიკურად დაკავშირება იმას ნიშნავს, რომ ერთი აზრი თავისი ბუნებით გადადის მეორეში, უკავშირდება მეორეს.

არსებითი და არაარსებითი, შინაგანი და გარეგანი შეფარდებითი ცნებებია. მაგალითად, მსჯელობა უფრო გარეგანია, ვიდრე დასკვნა; პირველი არის მეორის ერთი მხარე. მაგრამ მსჯელობა არის არსებითი მისი მხარისათვის, მაგალითად, პრედიკატისათვის. გარეგანისა და შინაგანის, არაარსებითისა და არსებითის, როგორც კატეგორიების, მათი კავშირის და ამ კატეგორიების თანაფარდობითობის გამოყენება ხორციელდება აზრის ლოგიკურ ფორმებში. აზრის გარეგან მხარეებს ყურადღების ცენტრში ფორმალური ლოგიკა სვამდა, როცა იგი აზრის ფორმებს მხოლოდ აღწერდა, კოორდინაციაში და არა ურთიერთკავშირსა და სუბორდინაციაში განიხილავდა. უკვე არისტოტელე მოითხოვდა იმას, რომ ლოგიკას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ლოგიკურის „შინაგანი აზრი“ და არა გარეგანი გამოხატულება[1]; ე. ი. ძველი ლოგიკა თვითონ მოითხოვდა იმას, რომ ლოგიკა აღწერით, კოორდინაციით არ დაკმაყოფილდეს, მაგრამ ეს მოთხოვნა დიალექტიკურ ლოგიკამდე ვერ განხორციელდა. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ აზრის ფორმების დიალექტიკური განხილვა არის მათი განხილვა სუბორდინაციაში, განვითარებაში. აზრის ფორმების (და საერთოდ ყველაფრის) განხილვა განვითარებაში არის მათი განხილვა არსებითის მიხედვით, რადგან განვითარება არის ერთის გადასვლა მეორეში მისი შინაგანი ბუნებით, სადაც უშუალოდ კანონები მოქმედებს. კანონი არსების კატეგორიაა აზრის მიმართაც.

ამ გარემოებას ადასტურებს ვ. ი. ლენინის აზრი იმის შესახებ, რომ ფორმალური ლოგიკა ემყარება იმას, რაც „наиболее обычно или что чаще всего бросается в глаза“, დიალექტიკური ლოგიკა კი მოითხოვს, „чтобы мы шли дальше“[1]. (ეს ნიშნავს იმას, რომ ლოგიკა და შემეცნების თეორია ემყარება ონტოლოგიას — არსებითის და არაარსებითის განსხვავებას, რომელიც სპეციფიკურად წარმოდგება ლოგიკაში და ამხსნელია დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის განსხვავებისა).

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ: 1) ფორმალური ლოგიკა ემყარება აზრის გარეგან, არარსებით მხარეებს, მის მოვლენებს, — რომ ფორმალურ-ლოგიკური გარეგანია იმისა, რასაც დიალექტი-

---

[1] არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წ. I, თ. 10.

[2] В. И. Ленин, Соч., т. 32, გვ. 72.

კური ლოგიკა სწავლობს; სახელდობრ, აზრის, ფორმების შინაგან, არსებით მხარეს, რასაც გარეგანიც ემორჩილება; დიალექტიკური ლოგიკა სწავლობს ერთმხრიობათა სრულ ერთიანობას, მაშინ როცა ფორმალურ ლოგიკას მხოლოდ ერთმხრიობა, სახელდობრ, წინააღმდეგობის ერთი მხარე აქვს მხედველობაში. ფორმალური ლოგიკის მიმდევრები ცნებას ხშირად განმარტავენ როგორც საგნის არსების ამსახველ აზრს, მაგრამ ვერ არჩევდნენ არსებითს არარსებითისაგან, წარმოდგენას ცნებისაგან, მათ ერთიმეორეში ურევდნენ მსჯელობისა და დასკვნების განხილვისას, ფორმალური ლოგიკა მხედველობის გარეშე ტოვებს, უარყოფს კიდეც ლოგიკურ კატეგორიებს, კატეგორიების კავშირს მსჯელობა-დასკვნაში.

ყოველი კანონი არის არსებითი შინაარსისათვის. ასეთია ლოგიკური კანონიც. კანონი არ ჩანს ზედაპირზე არც ლოგიკაში. შეიძლება თვითონ რომელიმე კანონი მეორე კანონის მიმართ იყოს „ზედაპირული", უფრო გარეგანი (ამის შესახებ ქვემოთ). ლოგიკური კანონი არის ფორმის საკუთარი შინაარსის არსებითი კავშირი. მხოლოდ ფორმა შეუძლებელია. რასაც ფორმა წარმოადგენს, ის არის მისი შინაარსი. ამ შინაარსით უკავშირდებიან ერთიმეორეს აზროვნების ფორმები. კანონი ამ კავშირებისათვის არის არსებითი. სხვანაირად შეუძლებელიცაა (აქ დასაბუთება არის ახსნაც; ეს ახსნა და შინაარსი აიგივებს ლოგიკასა და შემეცნების თეორიას; ამის შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი). კანონი არის შინაგანი, არსებითი და აუცილებელი კავშირი. კანონი არის გარკვეული ერთიანობის — შინაარსის— შინაგანი ფორმა, მაგალითად, წინააღმდეგობის შეუძლებლობის თუ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი დასაბუთებაში. არისტოტელესათვის დასაბუთების არსებას წარმოადგენს მტკიცება-უარყოფის ერთდროული შეუძლებლობა, დიალექტიკური ლოგიკისათვის კი დასაბუთების არსება არის მტკიცება-უარყოფის აუცილებელი ერთიანობა-კავშირი (როგორც ეს შემდეგ იქნება ნათელყოფილი).

კ. მარქსის აზრით, კანონი არის „შინაგანი და აუცილებელი კავშირი ორ გარეგნულად ერთიმეორის მოწინააღმდეგე მოვლენას შორის"[1] („კონკურენციაში ყველაფერი უკუღმა ჩანს"[2]). თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ითქვას შემდეგიც: ლოგიკური კანონი არის ანტინომიურ ცნება-მსჯელობათა შინაგანი აუცილებელი კავშირი (ამის შესახებ ქვემოთ). ამიტომ ლოგიკური კანონი დიალექტიკურ-ლოგიკური ბუნებისა უნდა იყოს.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, III, 1, 1932, გვ. 189.

[2] იქვე, გვ. 174.

თუ კანონი იდენტური ბუნებისაა, მაშინ ის ზოგადიც იქნება. ზოგადი ხომ არის ერთი ბევრისათვის. ყოველი კანონი ასეთია — ერთია ბევრის მიმართ. კანონი არ ამოიწურება ერთი მოვლენით ან ერთი ერთმხრიობით; წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი არ იარსებებდა.

ინდუქცია-დედუქცია და მისი კანონები, როგორც ცნობილია, ემყარება სწორედ ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულებას. თვითონ კანონი კი უზოგადესია ამ დამოკიდებულებაში. თუ ზოგადი არის არსებითი, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ კანონი არის ზოგადი და ზოგადი არის კანონი[1]. აუცილებლობა არის „არსში ზოგადი". ზოგადი აუცილებლობაა, რადგან ის ერთია ბევრისათვის. აუცილებლობა ზოგადობაში მდგომარეობს. მეცნიერების საგანი არის ზოგადი, კანონი. ასეა ლოგიკის მეცნიერებაშიც. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ზოგადი კანონი არის გაბატონებული ტენდენცია[2]. კანონი გაბატონებული ტენდენციაა ორი მნიშვნელობით: 1) კანონი მოვლენების ტენდენციაა, მოვლენები კანონის გარშემო (მაგ., ფასები ღირებულების გარშემო) ტრიალებენ და მას არ ემთხვევიან. ყოველგვარი ლოგიკური დასაბუთება არსებითად ერთი და იგივე კანონის გარშემო უნდა ტრიალებდეს, შეიცავდეს მას, როგორც მისსავე გაბატონებულ ტენდენციას; 2) განვითარების ძირითადი განსაზღვრულობის აზრით; განვითარების საფეხურები განვითარების არსებას და განვითარებაში მყოფის არსებას უფრო და უფრო ავლენენ. კანონში დაჭერილია კავშირი არსებას და მოვლენას შორის, საფუძველსა და შედეგს შორის (ამიტომ საფუძვლის „წაშლის" კანონი არ იქნება კანონი). აქ არსებობს აუცილებელი ზოგადი კავშირი, რაც კანონს წარმოადგენს. კანონი არის აუცილებელი ზოგადი კავშირი.

კანონი არის არსებითი ზოგადის ბუნებისა. სწორედ ასეთია ის კანონი, რომელიც ლოგიკურ აუცილებლობაში მოქმედებს, მოქმედებს დასკვნებში, დასაბუთებაში. კანონის აუცილებელი ზოგადობა შინაარსეული ზოგადის ბუნებისაა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ კანონი არ არის მარტივი, ის „რთულია" (მტკიცება-უარყოფის აზრით, როგორც ეს არისტოტელეს ესმოდა). კანონის ზოგადობა არის არსების მომენტთა ერთიანობის ზოგადობა. კანონის ზოგადობა კონკრეტულია. ის არის ერთიანობა მსჯელობებისა დასკვნაში, დასაბუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 272—273.

[2] იქვე, გვ. 269.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 130.

თებაში, უკეთ, ამ ერთიანობის ფორმა. კანონი არის რთული, როგორც განსხვავებულთა კავშირი: 1) მოვლენათა კავშირია, რომელიც მათი ბუნებიდან გამოდის (მიმართება საგანთა ბუნებიდან გამოდის და არა პირიქით, წინააღმდეგ „მიმართების ლოგიკისა“). კანონი, წესი არის შინაგანი აზრი, მაგალითად, მსჯელობის, დასკვნის (და არა წანამძღვარი); 2) თვითონ კანონს აქვს საკუთარი მომენტები; კანონი არის განსხვავებულ მომენტთა ერთიანობის ფორმა. „სირთულეს“ სწორედ განსხვავებულობა ქმნის. განსხვავებულთა ერთიანობა არის ერთიანობა სწორედ განსხვავებულთა და ამიტომ იგი არ არის აბსტრაქტული მარტივი. კავშირი არ შეიძლება იყოს მარტივი. კანონი არის შინაგანი უარყოფის შემცველი დადებითი ერთიანობის ფორმა. კანონი არის ერთიანობის ზოგადობის ფორმა. მაგალითად, მიზეზობრიობის კანონი მიზეზისა და შედეგის ერთიანობაა, მათი გამაერთიანებელი ზოგადობის ფორმაა (მიზეზიც და შედეგიც ზოგადებია, როგორც ბევრისთვის საერთო). იგივეობა შინაგანი განსხვავების შემცველი იგივეობაა. წინააღმდეგობის შეუძლებლობა არის მტკიცება-უარყოფის ერთდროული შეუძლებლობა. წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში არის მტკიცება-უარყოფის გარკვეული ერთიანობა, სადაც მტკიცება გამორიცხავს უარყოფას და პირიქით. საფუძველ-შედეგის ლოგიკური კავშირი სწორედ მათი კავშირია, ამ კავშირის ზოგადობაა. კანონი არის ახლის მიღების კანონი, სინთეზურის კანონი, ლოგიკურში — სინთეზურ-ლოგიკურის კანონი. მაგალითად, მსჯელობათა ტენდენცია დასკვნის კანონშია. დასაბუთების ტენდენცია არის მისი კანონი. ეს ტენდენცია ახლის მიღების, სინთეზის ტენდენციაა. კანონი მდგომარეობს განვითარების ზოგადობაში, სულ ერთია ეს განვითარება ლოგიკურია, თუ არალოგიკური.

კანონი რთულია, რადგან ის არის უარყოფის შემცველი დადებითი ერთიანობის ზოგადობა, მისი ფორმა. ეს სირთულე, როგორც ითქვა, მტკიცება-უარყოფის სირთულეა. კანონის ზოგადობის სისრულე განხორციელებულია სრულ კერძოთა ერთიანობაში, დაპირისპირებულთა ერთიანობაში. სწორედ ამიტომ დაპირისპირებულთა ერთიანობა არის უზოგადესი კანონი, რომელსაც სრული ზოგადობა ახასიათებს. ეს ზოგადობა არის უსასრულობის ზოგადობა, მაშინ როცა წინააღმდეგობის ერთი მხარის ზოგადობა სრული სასრულის ზოგადობაა. უსასრულო ზოგადობის ბუნებისაა, მაგალითად, კერძოსა და ზოგადის ერთიანობის ზოგადობა და სხვ. ეს ზოგადობაა ყოველი მსჯელობის და დასკვნის, ცნებისა და დასაბუთების ამხსნელი (როგორც ეს შემდგომ იქნება გარკვეული).

კანონის განსაზღვრება სრული სახით უკვე მოცემულია კანონის ნიშანთა ზემოთ წარმოებული დახასიათებით. კანონი არის გარკვეული ერთიანობა, ერთიანობის გარკვეული ფორმა, უკეთ, კანონი ერთიანობის ზოგადობის ფორმას წარმოადგენს.

საერთოდ მეცნიერების კანონი არის მოძრაობა-განვითარებაში მყოფ მოვლენათა ობიექტური, აუცილებელი, იდენტური, არსებითი კავშირ-ერთიანობის ზოგადობის ფორმა. უზოგადესი კანონი კი დაპირისპირებულთა შინაგან, აუცილებელ, დადებით კავშირ-ერთიანობას წარმოადგენს.

ლოგიკური და ლოგიკურის კანონიც კანონია და ამიტომ საერთოდ კანონის ნიშნებს შეიცავს, მაგრამ იგი არის სწორედ ლოგიკურის კანონი, კანონი გარკვეულ — აზრის — სფეროში, ამიტომ შეიცავს სპეციფიკურობას. ლოგიკურს საკუთარი კანონები აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკური არც იარსებებდა. აქ საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ლოგიკურის უძირითადესი კანონი უნდა იყოს და არის დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი აზრის — ცნებათა და მსჯელობათა — სფეროში; ლოგიკურის უძირითადესი კანონი არის დაპირისპირებულ ცნება-კატეგორიათა თუ მსჯელობათა ერთიანობის კანონი, რომელიც არსებობს გარკვეული დასკვნის სახით. ლოგიკურში წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ამას შემდგომ ვნახავთ, გარკვეული დასკვნის საწით, უსასრულო დასკვნის სახით არსებობს.

ლოგიკური კანონი არის აზრთა აუცილებელი, არსებითი კავშირის ზოგადობის ფორმა. ამ ზოგადობას რამდენიმე ფორმა აქვს და ამიტომ არსებობს ლოგიკური კანონების სიმრავლეც; მაგრამ კანონის ცნების თანახმად, არსებობს ერთი უზოგადესი კანონი, რომელსაც სხვა კანონები ექვემდებარება. მრავალი კანონი ერთის ერთმხრიობებს წარმოადგენენ.

აზრთა აუცილებელი კავშირის ზოგადობა არის ამ კავშირის მომენტთა ერთიანობა, სახელდობრ, მსჯელობა-ცნება-დასკვნის მომენტთა ერთიანობა. კანონები კი ამ ერთიანობის ფორმებია — გარკვეული ერთიანობებია; კანონები წარმოადგენენ იმას, თუ როგორ, რა ფორმით უკავშირდებიან აზრები ერთიმეორეს. ეს არის საფუძველ-შედეგის კავშირის ფორმები, ლოგიკური სუბორდინაციის წესები, საფუძვლიდან შედეგებზე და პირიქით გადასვლის წესები.

ერთი მეორისაგან განსხვავდებიან და უნდა განსხვავდებოდ-

ნენ ფორმალურ-ლოგიკური ცნებების და მსჯელობების კავშირის წესები კატეგორიათა კავშირის წესებისაგან; ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ანალიზურ-ლოგიკურის და სინთეზურ-ლოგიკურის წესები. ისინი არ შეიძლება არ განსხვავდებოდნენ ერთიმეორისგან. სწორედ ამიტომ ფორმალურმა ლოგიკამ ვერ მოუარა საერთოდ სინთეზურ-ლოგიკურს, კერძოდ კი კატეგორიებს და მათ კავშირებს, ვერ შემოიტანა ისინი ლოგიკაში და ამიტომ ლოგიკა ცალმხრივად წარმოადგინა.

შეუძლებელია არსებობდეს სინთეზურ-ლოგიკური ანალიზურობის მომენტის გარეშე, რადგან ლოგიკური უდრის ლოგიკურ აუცილებელ კავშირს, რომელიც შეუძლებელია იგივეობის გარეშე. ლოგიკური აუცილებლობა შეუძლებელია იგივეობის და, ამიტომ, ანალიზურობის გარეშე. სინთეზურ-ლოგიკურის კანონები არის სინთეზ-ანალიზის ანუ სინთეზისა და ანალიზის აუცილებელი ერთიანობის კანონები. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თუ დიალექტიკურ-ლოგიკური სინთეზურ-ლოგიკურია, მაშინ ფორმალური ლოგიკის კანონები მომენტების თუ ერთმხრიობების სახით შევლენ დიალექტიკურ-ლოგიკურის კანონებში. ამდენად იარსებებს მხოლოდ ერთი ლოგიკა — დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც ფორმალური ლოგიკის მომხსნელი და შემნახველი იქნება. ეს გარემოება ნათელყოფილი იქნება, უპირველეს ყოვლისა, ლოგიკური კანონების გარჩევისას.

§ 54. კატეგორია და კანონი

ფორმალური ლოგიკის „აზროვნების კანონები“ ეყრდნობიან გარკვეულ კატეგორიებს, სახელდობრ, იგივეობის, წინააღმდეგობის, საფუძვლის კატეგორიებს. მართლაც, აზროვნება შეუძლებელია კატეგორიების გარეშე[1] ეს გარემოება ფორმალურ ლოგიკას გაურკვეველი დარჩა და რჩება; მათემატიკური ლოგიკა გამორიცხავს ფილოსოფიურ კატეგორიებს, ამიტომ მას აზროვნება ენობრივსა და სიმბოლიურზე დაყავს.

როგორც ეს ზემოთ გაირკვა, ლოგიკურის კატეგორია არის ის ობიექტურ-აუცილებელი საშუალება, რომლითაც წარმოებს აზროვნება საერთოდ, და კერძოდ, აზროვნება ამ საშუალების მიმართაც. ამიტომ აზრის კანონი იმდენი უნდა იყოს, რამდენიც არსებობს ასეთი საშუალება-საფუძველი, და არ უნდა იყოს მხოლოდ სა-

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 216, 217.

მი თუ ოთხი, როგორც ეს ძველ ლოგიკას წარმოედგინა; აზრის ლოგიკური კანონები არ შეიძლება იმაზე მეტი იყოს, რამდენიც ლოგიკურის კატეგორიაა (მათემატიკურ ლოგიკაში ლოგიკურ კანონებად ბევრი ისეთი დებულებაა აღებული, რომელთაც არაფერი კავშირი არ აქვს კატეგორიებთან, რომლების გამორიცხვასაც გულმოდგინედ ცდილობენ).

კანონების რაოდენობის განსაზღვრის პრინციპი უნდა ემყარებოდეს ლოგიკურის კატეგორიებს. ძველ ლოგიკას საერთოდ არ ჰქონდა კანონთა განმსაზღვრელი პრინციპი. მათემატიკური ლოგიკის ის პრინციპი, რომ კანონი ეწოდება ყოველთვის ჭეშმარიტ დებულებას, გაურკვეველია; 1) კანონად გამოდის თითქმის ყოველი ძირითადი დებულება, ამიტომ კანონის თავისებურება იკარგება. 2) როგორადაც არ უნდა გავიგოთ ჭეშმარიტება, მისი გამოყენება ასეთ პრინციპად არ გამოდგება, რადგან არაკანონიც ხომ შეიძლება ჭეშმარიტება იყოს? 3) ტავტოლოგიური და გაურკვეველი დებულებები, მაგალითად, **AvĀ** პრინციპად არ გამოდგება რადგან: ა) ტავტოლოგია—წმინდა იგივეობა—გადადის საწინააღმდეგოში არარაში, ბ) გაურკვევლობა, მერყეობა შეუძლებელია პრინციპი იყოს. იმაზე უარესი არაფერია, რომ უპრინციპობა მიიღო პრინციპად (მაგ., კარნაპის „შემწყნარებლობის“ პრინციპი).

ლოგიკური კანონები ემყარება გარკვეულ კატეგორიებს, მაგრამ იგი თვითონ კატეგორიებშიც მოქმედებს; ადგილი აქვს ლოგიკურ რეფლექსურობას. კანონი შეიძლება იყოს კატეგორიების კავშირიც, რომლებსაც კატეგორიები დაექვემდებარება. მაგალითად, რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი იქვემდებარებს რაოდენობისა და თვისობრიობის კატეგორიებს, თუმცა ის ამ კატეგორიებს ემყარება. როგორც ეს ქვემოდ გაირკვევა, რაოდენობის თვისობრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი ლოგიკურში მოქმედებს როგორც ახლის მიღების კანონი, რომელიც, ამიტომ, ექვემდებარება და თავის მხრივ იქვემდებარებს იგივეობას, როგორც ანალიზურობას, და ახლის მიღებას, როგორც განსხვავებას. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი ემყარება წინააღმდეგობის, შესაძლებლობისა და თვითონ კანონის კატეგორიებს, რომლებიც, თავის მხრივ, ამ კანონს ემორჩილებიან და სხვ.

დიალექტიკური ლოგიკისათვის, როგორც ამას შემდგომ დავამტკიცებთ, უძირითადესი კანონი, ეს იქნება დაპირისპირებულთა (წინააღმდეგობათა) ერთიანობის კანონი, აღებული სპეციფიკური ფორმით. ლოგიკურ კანონებს ჩვენ სწორედ ამ უძირითადესი კანონის ასპექტში განვიხილავთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს კანონი

დოგმატურად იქნება მიღებული, არა, ჩვენ მას თავისებურად დავასაბუთებთ, ვაჩვენებთ მის აუცილებლობას, სახელდობრ—ამ კანონის აუცილებლობას სხვა კანონებისათვის. სისრულეს კანონების ჩამოთვლაში, ცხადია, ვერ დავიცავთ, რადგან ლოგიკურის კანონები შეიძლება კიდევ მრავალი აღმოჩნდეს. სისრულე დაცული იქნება უზოგადესის ასპექტში, ე. ი. მხედველობაში გვექნება მთლიანობა, რომლის ყველა მხარე არ იქნება გათვალისწინებული.

§ 55. იგივეობის კანონი (1)

ის, რაც ზემოთ ითქვა იგივეობის შესახებ, აქ არ გავიმეორებთ. არ გავარჩევთ არც შეხედულებებს იგივეობის კანონზე. შევეხებით არსებითს, იმას, რაც ჩვენი ნაშრომისათვის აუცილებელია.

იგივეობის დებულების თანახმად, ყველაფერი იგივეობრივია; იგივეობის დებულება შეიძლება გამოითქვას ასე: ყველაფერი თავის თავთან იგივეობრივია, რაიმე არის თავის თავთან იგივეობრივი, A არის A. თავისთავთან იგივეობრივია განსხვავებაც, წინააღმდეგობაც. აქ ლაპარაკია არა რაიმეს სხვასთან იგივეობაზე, არამედ სწორედ თავის თავთან იგივეობაზე. იგივეობა არის თავისთავთან მიმართების გარკვეული ფორმა, გარკვეული მხარე, განსაზღვრულობა თუ კატეგორია. ყველაფერი, როგორც არსში, ისე აზრში, თავის თავთან არის იგივეობრივი (ამიტომ ჰეგელი იგივეობას არსების კატეგორიად განიხილავს). ✓

აზრში, ლოგიკურში იგივეობა არის ტავტოლოგიურობა დებულებისა „A არის A". ისე როგორც საგანია თავისთავთან იგივეობრივი, ასევე ყოველი აზრიც იგივეობრივია თავისთავთან. იგივეობის გარეშე არაფერი არ არსებობს. იგივეობა აუცილებელია რაიმეს არსებობისათვის. იგივეობის გარეშე შეუძლებელია აზროვნება, ლოგიკური. თუ აზრი თავის თავს არ „უდრის", მაშინ ის არ არსებობს; ცნება თუ არ არის თავისთავის „ტოლი", მაშინ ეს იგივეა, რაც ცნების უარყოფა. ასე ითქმის მსჯელობაზეც და სხვ.

შეუძლებელია იგივეობის უარყოფა, რადგან ეს უარყოფაც თავის თავთან იგივეობრივი უნდა იყოს, ე. ი. იგი აუცილებლობით უნდა მოიხმარდეს იგივეობას, ეყრდნობოდეს მას. ამ აზრით, იგივეობის უარყოფა თვითონ ადგენს იგივეობას, როგორც მის საშუალება-საფუძველს.

იგივეობა რეფლექსური კატეგორიაა. ეს რეფლექსურობა ტავტოლოგიის რეფლექსურობაა. იგივეობის რეფლექსურობა იმაში

მდგომარეობს, რომ იგივეობა ეხება თვითონ იგივეობას. იგივეობა ხომ თავის თავთან გარკვეული მიმართებაა. იგივეობის დებულება, კანონი მოითხოვს ასეთი იგივეობის დაცვას, რადგან ეს იგივეობა აუცილებელია ყოველი აზრისათვის. იგივეობის რეფლექსურობა ორ რაიმეში მდგომარეობს: 1) იგივეობრივია თავის თავთან თვითონ იგივეობა, 2) იგივეობის უარყოფაც თავის თავთან იგივეობრივია.

უკანასკნელი დებულება, სახელდობრ, დებულება, რომ იგივეობის უარყოფაც თავის თავთან იგივეობრივია, იმას გვიჩვენებს, რომ იგივეობა, მართალია, აუცილებელია სწორი აზრისათვის, მაგრამ ის არ არის საკმარისი. თუ იგივეობის უარყოფაც იგივეობრივია, მაშინ იგივეობა აზრის არასისწორისთვისაც გამოდგება, არასწორი აზრიც ხომ სწორედ არასწორი აზრი იქნება და არა სწორი? მცდარი აზრიც იგივეობრივია თავის თავთან. ამიტომ მხოლოდ იგივეობა ვერ იქნება სისწორის არასისწორისგან განმასხვავებელი. იგივეობის დარღვევა აზრს შეუძლებელს ხდის, მაგრამ მისი დაცვა სისწორის გარანტიას ვერ იძლევა. იგივეობის დებულება გამორიცხავს განსხვავებულობას, მაგრამ განსხვავებულობის თავის თავთან იგივეობასაც აღიარებს და მოითხოვს. იგივეობა უპირისპირდება სხვაობას; ეს ორი კატეგორია ერთიმეორის საპირისპირო კატეგორიებია, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ სხვაობაც უნდა იყოს თავის თავთან იგივეობრივი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არც იარსებებს.

მათემატიკურ ლოგიკაში იგივეობის კანონი ასე გამოითქმება: თუ A, მაშინ A, ანუ A → A, მაგალითად, „თუ მოდის წვიმა, მაშინ მოდის წვიმა“. ეს კანონი კლასთა აღრიცხვაში ასეთ ფორმას ღებულობს: A ⊂ A, რაც ნიშნავს: ყოველი კლასი შედის თავის თავში, იგივეობის კანონი — A → A გივეა, რაც AvA; გივეობა დაიყვანება გაყოფითობაზე. ამდენად, იგივეობის კანონი მათემატიკურ ლოგიკაში არც მოიხმარება (ტოლობა კი შედის მეტალოგიკაში და არა ლოგიკაში, რადგან ის შინაარსეული ხასიათისაა). ამრიგად, ნათელია, რომ მათემატიკურ ლოგიკაში იგივეობის კანონი ერთ-ერთი ტავტოლოგიურ დებულებათაგანია. იგი სხვაობას, სინთეზურობას გამორიცხავს.

იგივეობის დებულება — „A არის A“ არ შეიცავს პასუხს იმაზე, თუ რა არის A, არამედ ნიშნავს მხოლოდ შემდეგს: „თუ არის A, მაშინ არის A“, როგორც ეს პირველად ფიხტემ გამოთქვა, და ზოგიერთი ლოგიკოსი დღესაც იმეორებს. მაშასადამე, იგივეობის დებულება არ ადგენს A-ს (თუ რა არის A), არამედ — მხოლოდ ფორმალურ კავშირს რაიმესი თავის თავთან (ამის შესახებ უფრო

გარკვევით ნათქვამი იქნება ქვემოთ, სახელდობრ, მაშინ, როცა გავარკვევთ დადგენის კანონს).

იგივეობის დებულების მიხედვით: 1) რაიმე არის რაიმე, შეუძლებელია, რომ რაიმე იყოს სხვა; 2) მსჯელობა ტავტოლოგიურია, S არის S და არა S არის P, ე. ი. მსჯელობა არ შეიძლება გამართლდეს, თუ ის არ არის ტავტოლოგიური; 3) დასკვნა ანალიზურია; დანასკვი წანამძღვრებშია მოთავსებული და ამიტომ იქიდან აუცილებლობით გამოდის; მაგრამ ამ გამოყვანას აზრი ეკარგება, რადგან გამოსაყვანი და გამოყვანილი ახალი არ არის, ის იგივეა, რაც არის იმაში, რისგანაც ის გამოგვყავს; 4) ასეა დასაბუთებაც; დასაბუთებული დებულება არ განსხვავდება დამსაბუთებელი დებულებისაგან, თეზისი — საფუძვლისაგან. ამიტომ აქ ადგილი აქვს ლოგიკურ რკალს, შეცდომას. თუ დამსაბუთებელი იგივეა, რაც დასასაბუთებელი, მაშინ არაფერი არ საბუთდება. აქ ყველაზე უფრო ნათლად ჩანს ტავტოლოგიურის არარაობა თუ მცდარობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ტავტოლოგია არის არაფრის თქმა. წმინდა იგივეობა — „A არის A“ ტავტოლოგიაა, რაც სისრულით ვლინდება დასაბუთების ტავტოლოგიურობაში, როგორც მცდარობაში. ფორმალური ლოგიკა აბსოლუტურ იგივეობას ემყარება, რომელსაც დასაბუთებაში ლოგიკურ წრემდე მივყევართ, რასაც იგი მცდარად თვლის. ამით ფორმალური ლოგიკა, ამ ასპექტში, გამოუვალ წინააღმდეგობაშია თავის თავთან.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ იგივეობის დებულება სიძნელეს შეიცავს; შეუძლებელი უნდა იყოს მხოლოდ წმინდა იგივეობის აღიარება, რადგან: 1) არსში წმინდა იგივეობა არის არარა, სიცარიელე; 2) აზრში წმინდა იგივეობა არის იმ არაფრის თქმა, რომელიც ტავტოლოგიურობაშია, ეს არის ტავტოლოგიურის არაფერი; 3) იგივეობის ცნება აუცილებლობით გულისხმობს განსხვავების ცნებას; იგივეობრივს აზრი აქვს განსხვავებულთან მიმართებაში; იგივეობა და განსხვავება ფარდობითი კატეგორიებია.

იგივეობის დებულების ეს სიძნელე გვაიძულებს ვთქვათ, რომ წმინდა ანუ აბსტრაქტული იგივეობა განსხვავდება კონკრეტული იგივეობისაგან; აბსტრაქტული იგივეობა აუცილებლობით მოითხოვს კონკრეტულ იგივეობას, რომლის მიმართაც შეიძლება აზრი ჰქონდეს აბსტრაქტულს. კონკრეტული იგივეობა არის განსხვავების შემცველი იგივეობა[1] (კონკრეტული იგივეობის — იგივეობის და სხვაობის—ერთიანობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). აბსტრაქტუ-

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 223.

ლი იგივეობა გამორიცხავს განსხვავებას. განვითარებული განსხვავება—სრულად წარმოდგენილი განსხვავება—არის დაპირისპირება (არისტოტელე, ჰეგელი). ამიტომ აბსტრაქტული. იგივეობა გამორიცხავს დაპირისპირებასა და წინააღმდეგობასაც; ე. ი. აუცილებელია წინააღმდეგობის შეუძლებლობა.

§ 56. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი (2)

წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებას ხშირად იგივეობის დებულების უარყოფით ფორმად მიიჩნევენ. იგივეობის დებულების შებრუნებულ—უარყოფით—ფორმად უნდა მივიღოთ განსხვავების შეუძლებლობის დებულება და არა პირდაპირ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, რადგან წინააღმდეგობის შეუძლებლობა განსხვავების შეუძლებლობაზე უფრო მეტის მომცველია. რაიმეს საწინააღმდეგოს შეუძლებლობა არ ნიშნავს მხოლოდ განსხვავებულის შეუძლებლობას. შეიძლება რაიმეს განსხვავებული და საპირისპიროც მივიღოთ, მაგრამ მისი საწინააღმდეგო უარვყოთ.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება ასე გამოითქმება: „A არ არის არა-A". თუ A არის A, მაშინ, ცხადია, A არ შეიძლება იყოს არა-A.

არისტოტელეს აზრით, წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის როგორც არსებობის, ისე აზროვნების სისწორე—ჭეშმარიტების კრიტერიუმი: თუ რაიმე თავის თავს ეწინააღმდეგება, მაშინ ის შეუძლებელია არსებობდეს; თუ აზრი თავის თავს ეწინააღმდეგება, მაშინ ის არის მცდარი; ის უაზრობაა. არისტოტელესათვის წინააღმდეგობის შეუძლებლობა არის დასაბუთების პირველი დებულება, დასაბუთების საწყისი, რადგან წინააღმდეგობის შეუძლებლობა ლოგიკის სფეროში არის ერთი და იმავეს ერთსა და იმავეზე ერთდროული მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობა, რაც დასაბუთების ბუნებას, მის არსებას გამოთქვამს.

მართლაც, წმინდად აღებული წინააღმდეგობა, შიშველი წინააღმდეგობა, ეს არის: 1) არსებობის შეუძლებლობა—უარყოფა, რადგან საწინააღმდეგონი ერთიმეორეს აბათილებენ; რაიმე აუქმებს თავის თავს, ე. ი. შეუძლებელია მისი არსებობა; 2) აზრის შეუძლებლობა; თუ აზრი თავის თავს აუქმებს, მაშინ ის შეუძლებელია; ამ შეუძლებლობას ჰქვია სიყალბე, უაზრობა. მართლაც, შეუძლებელია რაიმე იყოს მისი საწინააღმდეგო. რაიმე რომ იყოს მისი საწინააღმდეგო, მაშინ ის ეს საწინააღმდეგო იქნებოდა და არა თვითონ ის; ეს იქნებოდა რაიმეს და მისი საწინააღმდეგოს გაიგივებაც,

რაც, ცხადია, შეუძლებელია .ამ აზრით, ცხადია ,სწორად, ჰეშმარიტად უნდა ჩაითვალოს წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება და მისი მოთხოვნა.

ზემოთ აღინიშნა იგივეობის დებულების სიძნელეები. ასეთი სიძნელეები ახასიათებს წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებასაც. რუსულ ლოგიკურ ლიტერატურაში ცნობილია წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის კრიტიკა (ფრანკის მიერ). სახელდობრ შემდეგი: წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებაში „A არ არის არა-A" არის ან ცარიელი ტავტოლოგია, ან თავისებური აზრი, რომელიც ემყარება განსახილველ დამოკიდებულებას. რა არის არა-A? ეს არის: „ის, რაც არ არის A", ამიტომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების ფორმულა მთლიანად იქნება ასეთი: „A არ არის ის, რაც არ არის A", ე. ი. „A განსხვავებულია ყველაფრისაგან, რაც მისგან განსხვავებულია". ესეც განმეორებაა და მეტი არაფერი. მაგრამ რამდენადაც წინააღმდეგობის შეუძლებლობის ფორმულას „სურს" გამოხატოს არა მარტო განსხვავება, არამედ წინააღმდეგობაც, ამდენად ის არის მცდარი: A განისაზღვრა სწორედ მისი დამოკიდებულების საშუალებით არა-A-სთან, ე. ი. მასთან საკუთარი უარყოფითი კავშირით, ისე რომ არა-A არის ნიშანი, რომლის საშუალებითაც პირდაპირ განისაზღვრება თვით A; A არის ის, რაც განსხვავებულია არა-A-სგან[1].

ფრანკის არგუმენტი ძლიერია. ის იყენებს ჰეგელის დიალექტიკის დებულებებს, რაც ცხადია, ფორმალური ლოგიკის შეზღუდულობის მაჩვენებლად გამოდგება, მაგრამ არ ეთანხმება თვითონ ფრანკის მეტალოგიკას.

არისტოტელე თავის „პირველ ფილოსოფიაში"[2] ასე განსაზღვრავს წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებას: ერთი და იგივე ერთსა და იმავეს ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე მიმართებაში არ შეიძლება კიდეც ეკუთვნოდეს და არც ეკუთვნოდეს. ეს დებულება ლოგიკაში („ორგანონი") იღებს შემდეგ სახეს: არ შეიძლება ერთი და იგივე კიდეც ვამტკიცოთ და არც ვამტკიცოთ. მაშასადამე, არისტოტელესთან წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის როგორც არსის, ისე აზრის უნივერსალური კანონი, ის არის „პირველი ფილოსოფიის" კანონი, რომელიც ლოგიკაში სპეციფიკური ფორმით გამოიყენება.

გავარჩიოთ არისტოტელეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის

---

[1] იხ. С. Франк, Предмет знания, გვ. 211—214.

[2] იხ. Аристотель, Метафизика, 1005 в 40.

დებულება მასში არსებული სიძნელეების ჩვენებით. ჩვენების აქ მთავარია სწორედ ამ სიძნელეების ჩვენება.

1) წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის უარყოფითი დებულება. ამიტომ ამ დებულების უარყოფითობას წინ უნდა უსწრებდეს რაღაც დადებითობა, რადგან, თვითონ არისტოტელეს მოთხოვნით, უარყოფითობას წინ უსწრებს დადებითობა; უარყოფითობას აზრი აქვს დადებითის მიმართ. ამის გამო წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არ შეიძლება იყოს ლოგიკის ძირითადი კანონი (როგორც ეს არისტოტელეს და ლოგიკოსთა უმრავლესობას მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია).

ძველი ლოგიკა მოითხოვს კანონის დადებითობას, კანონის გამოთქმას ზოგად-დადებითი მსჯელობით. ლოგიკური კანონის (და საერთოდ კანონის) განსაზღვრება უნდა გვეუბნებოდეს იმას, თუ რა არის და რა შეიძლება იყოს და არა იმას ან მხოლოდ იმას, თუ რა არ არის და რა არ შეიძლება იყოს. უარყოფით დებულებას უნდა ამაგრებდეს რაღაც დადებითი, დადებითი დებულება, რომელიც პირველზე უფრო მნიშვნელოვანი და ძირითადი იქნება. ასეთ გარემოებას წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონში ადგილი არა აქვს.

თუ იმას ვიტყვით, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების უარყოფითობას წინ უსწრებს იგივეობის დებულების დადებითობა, და ამიტომ, ორივე გამართლებულია, მაშინ უნდა ითქვას, რომ: 1) იგივეობის დებულება უფრო ძირითადი და პირველი ყოფილა წინააღმდეგობის დებულებასთან შედარებით და 2) (რაც მთავარია) წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების უარყოფითობის და იგივეობის დებულების დადებითობის გაერთიანების მოთხოვნა არის წინააღმდეგობის (დადებითის და უარყოფითის) ერთიანობის მოთხოვნა და არა წინააღმდეგობის შეუძლებლობის აღიარება.

2) არისტოტელეს მიერ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის ფორმულირებაში ლაპარაკია იმაზე, რომ „ერთსა და იმავე საგანს ერთი და იგივე ნიშანი...“, სადაც ნაგულისხმევია ნიშნის განსხვავება საგნისაგან; აქ ლაპარაკია საგანზე მისგან განსხვავებული ნიშნის მიწერა-არმიწერაზე. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ეს აზრი არ არის შედგენილი მხოლოდ იგივეობის კანონის თანახმად, მხოლოდ ამ კანონის შებრუნებით, მხოლოდ მისი უარყოფითი ფორმით; ამ აზრით, წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება იგივეობის კანონის უარყოფითი ფორმა ვერ იქნება. თუ საგნისა და ნიშნის განსხვავებას არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ წი-

წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის იგივეობის დებულების უარყოფითი ფორმა; თუკი ამ განსხვავებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ საქმე გვაქვს სინთეზურობასთან, რომლის ასახსნელადაც არ კმარა იგივეობისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონები. რამდენადაც წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებაში განსხვავება (საგანსა და ნიშანს შორის), ამიტომ, სინთეზურობა იგულისხმება, იმდენად იგი უპირისპირდება არა მარტო იგივეობის დებულებას, არამედ თავის თავსაც, რადგან განსხვავება და სინთეზურობა შეიცავს უარყოფით მომენტს, მაშინ როცა ასეთ რაიმეს ეს კანონი გამორიცხავს.

თუ იმას ვიტყვით, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის იგივეობის დებულების უარყოფითი ფორმა, მაშინ ამ ორი დებულების ერთიმეორესთან შეთავსება თითქოს არავითარ სიძნელეს არ უნდა იწვევდეს; მაგრამ აქ ნამდვილად არის სიძნელე, სახელდობრ, სიძნელე დადებითობის ფორმის უარყოფითობის ფორმასთან შეთანხმება თუ ერთიანობისა (ეს სიძნელე პირველად ფიხტეს ფილოსოფიაში წარმოდგა დაუძლეველი სიძნელის სახით, მაგრამ იგი ჰეგელის დადებითი დიალექტიკის სფეროში გადაწყდა). სინთეზურობის სიძნელე აქ აყვანილია კატეგორიების სფეროში თვითონ დადებითობისა და უარყოფითობის დაკავშირების სახით.

3) არისტოტელეს ფორმულირება წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებისა შეიცავს დროის მომენტზე მითითებას, მაშინ როცა ლოგიკური არ შეიძლება შეიცავდეს დროს. მართალია, წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, რომელიც დროის მომენტს გამოთქვამს, ფორმულირებულია „მეტაფიზიკაში“, მაგრამ არისტოტელეს მიხედვით, არც „პირველი ფილოსოფია“ უნდა შეიცავდეს დროის სფეროს (დრო არისტოტელეს მიერ განხილულია „ფიზიკაში“ და არა „პირველ ფილოსოფიაში“; ეს ასეც უნდა ყოფილიყო). ამიტომ სწორი უნდა იყოს აზრი, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებაში არ უნდა იყოს „ერთსა და იმავე დროს“, არამედ ამის მაგიერ უნდა იყოს „ერთად“; „ერთსა და იმავე დროს“ უნდა ნიშნავდეს „ერთად“. მაგრამ ეს უკვე ინტერპრეტაციაა არისტოტელეს აზრისა და არა თვითონ არისტოტელეს აზრი, რომლის ფორმულირებაში დროის მომენტი მონაწილეობს. აქ უსათუოდ ადგილი აქვს ერთგვარ გაურკვევლობას, რომელიც დავას იწვევს.

არისტოტელეს მიხედვით, რაიმეს ერთდროულად არ შეიძლება მიეწეროს საწინააღმდეგო პრედიკატები, მაგრამ აქ ნაგულისხმევია

ის, რომ ასეთი პრედიკატები რაიმეს შეიძლება მიეწეროს სხვადასხვა დროს (მაგალითად, სოკრატე მაღალიც არის და დაბალიც არა ერთსა და იმავე დროს, არამედ მხოლოდ სხვადასხვა დროს). ეს იმას ნიშნავს, რომ დრო ხსნის იმ წინააღმდეგობას, რომელსაც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი კრძალავს. სწორედ ერთდროულობა-არაერთდროულობით არის შესრულებული მითითება წინააღმდეგობის შეუძლებლობა-შესაძლებლობის განსხვავებაზე. მაგრამ თუ დრო ხსნის წინააღმდეგობას, მაშინ შეუძლებელი და დაუშვებელი უნდა იყოს ასეთი გამოთქმა: რაიმეს სხვადასხვა დროს შეიძლება მიეწეროს საწინააღმდეგო პრედიკატები. ეს უკვე არის წინააღმდეგობის დაშვება სხვადასხვა დროს. ამრიგად, ან სხვადასხვა დრო ვერ ხსნის წინააღმდეგობას ან აქ სხვაგვარი წინააღმდეგობა გვაქვს, ანდა რაიმეს სხვადასხვა დროს შეიძლება მიეწეროს ის, რაც ერთდროულად წინააღმდეგობას წარმოადგენს.

ერთისა და იმავეს მიმართ სხვადასხვა დროს წინააღმდეგობა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუ იგი (წინააღმდეგობა) შესაძლებელია ერთდროულადაც, როგორც თავისთავისადმი დაპირისპირება. თავის თავის მიმართ დაპირისპირება არის წინააღმდეგობა[1]. წინააღმდეგობა არის არსების კატეგორია, ე. ი. თავისთავისადმი მიმართების კატეგორია. ამიტომ სხვადასხვა დროს წინააღმდეგობა შეიძლება იყოს მოვლენა იმისა, რაც ერთდროულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. არისტოტელეს დებულება წინააღმდეგობის შესახებ ეყრდნობა მოვლენებს (აქ ჩანს არისტოტელეს ემპირიზმის სჯარბე); დიალექტიკა კი ეყრდნობა არსებას და ამით ახსნის მოვლენებს სინამდვილის ყველა სფეროში, აზრის სფეროშიც. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ დრო კი არ ხსნის (აუქმებს) წინააღმდეგობას, არამედ ეყრდნობა და გულისხმობს მას, სახელდობრ, თავის თავისადმი წინააღმდეგობას როგორც ერთადერთ წინააღმდეგობას.

მაშასადამე, წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება წინააღმდეგობას წინასწარ უნდა გულისხმობდეს. ეს დებულება არ უნდა იყოს წინააღმდეგობის გაუქმება; ის მხოლოდ იმას უნდა მიუთითებდეს, თუ როდის არის წინააღმდეგობა შეცდომა.

4) არისტოტელეს მიერ ფორმულირებული წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება მიმართების მომენტსაც შეიცავს. ეს დებულება სწორედ იმას ამბობს, რომ წინააღმდეგობა შეუძლებელია ერთსა და იმავე მიმართებაში, შეუძლებელია რაიმეს საწინააღმდეგო პრედიკატები მიეწერებოდეს ერთსა და იმავე მიმართებაში;

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 414.

სხვადასხვა მიმართებაში კი ეს შესაძლებელია; რაიმე შესაძლებელია იყოს A-ც და არა-A-ც მხოლოდ სხვადასხვა მიმართებით და არა ერთი და იგივე მიმართებით. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიმსჯელოთ ისე, როგორც ეს ითქვა დროის მომენტის შესახებ, მაგრამ აქ არგუმენტებს არ გავიმეორებთ. მოვიყვანთ ახალ არგუმენტს, რომელიც მხოლოდ მიმართების მომენტს ეხება (ეს არგუმენტი ეკუთვნის ლოსევს).

თუ ერთი რაიმე შეიძლება იყოს A-ც და არა-A-ც სხვადასხვა მიმართებით, მაშინ ორი — ერთიმეორის საწინააღმდეგო საგანი გვექნება და არა ერთი საგანი (საგნის ერთი ნაწილი A-ს ტოლი იქნება, მეორე კი არა-A-ს ტოლი); გვექნება ორი საგანი: A და არა-A. წინააღმდეგობა განაწილდება ამ ორ საგანს შორის (ფ. ენგელსის აზრით, ასეთი განაწილება წინააღმდეგობას აუქმებს)[1]. თუ ეს ორი საგანიც ისევ სხვადასხვა მიმართებით იქნებიან ერთიმეორის საწინააღმდეგო, მაშინ ეს ორი საგანი კიდევ გაიყოფა ორ-ორად, ე. ი. მივიღებთ ოთხ საგანს და ასე შემდეგ უსასრულოდ. ამით კი ერთი საგანი დაიკარგება, ერთი საგანი დაიშლება უსასრულოდ. ამიტომ წინააღმდეგობა უნდა იყოს ერთში ერთი და იგივე მიმართებით (ეს არგუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას დროის მომენტის მიმართაც). ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ერთი რაიმე არის თავისთავისადმი საპირისპირო. წინააღმდეგობა სწორედ რაიმეს თავის თავისადმი წინააღმდეგობას ჰქვია. სწორედ ასეთ რაიმეს კრძალავს ფორმალური ლოგიკა თავისი წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებით. ის არ კრძალავს წინააღმდეგობას სხვადასხვა მიმართებით (ამის გამო არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს დიალექტიკა აღიარებდეს სხვადასხვა მიმართებით წინააღმდეგობას და ეთანხმებოდეს ფორმალურ ლოგიკას ერთი და იგივე მიმართებით წინააღმდეგობის უარყოფაში. ამის თქმა, ეს იქნებოდა დიალექტიკის ფორმალურ ლოგიკასთან გაიგივება, დიალექტიკის უარყოფა. სხვადასხვა მიმართებით აღებულ წინააღმდეგობას ყველა არადიალექტიკოსი სცნობს. საკითხი ეხება ერთი და იგივე მიმართებით წინააღმდეგობის არსებობას თუ არარსებობას).

სხვადასხვასთან განსხვავებულ და დაპირისპირებულ მიმართებაში ყოფნა შეუძლია სწორედ იმას, რაც შინაგანი განსხვავების და დაპირისპირების შემძლეა, მაგალითად, მოძრაობა შეიცავს უძრაობის მომენტს, ერთეული შეიცავს ზოგადობას, სასრული — უსასრულოს, შეფარდებითი—აბსოლუტურს და სხვ.

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 143.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება ნამდვილად კრძალავს წინააღმდეგობას იქ, სადაც ის მართლაც შეუძლებელია, მაგრამ წინააღმდეგობის გაუქმებას ვერ ახერხებს. თუ წინააღმდეგობა შეცდომაა, მაშინ სისწორე და ჰეშმარიტება წინააღმდეგობრივი არ უნდა იყოს. მაგრამ არც მცდარი გამორიცხავს თავის თავს; მცდარი არის სწორედ მცდარი და არა მისი საწინააღმდეგო—ჰეშმარიტება თუ სისწორე. ამიტომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის მხოლოდ უარყოფითი პირობა სისწორისა და ჰეშმარიტებისათვის და არა დადებითი პირობა, რომელიც არ შეიძლება წინააღმდეგობას აუქმებდეს, მის შეუძლებლობას მოითხოვდეს.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების აზრი, ვფიქრობთ, იმაში მდგომარეობს, რომ წინააღმდეგობის მხარეები ერთი-მეორეს გამორიცხავს, ერთი არ შეიძლება იყოს მეორე. ამიტომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება წინააღმდეგობას ემყარება და არ აუქმებს. ეს კანონი წინააღმდეგობის კატეგორიის მოხმარის გარეშე შეუძლებელია.

ყველაფერი ზემოთქმული იმას კი არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგობის არსებობა და მოაზრება თითქოს შეუძლებელია, არამედ იმას, რომ წინააღმდეგობის არსებობა, მოაზრება და გამოყენება შესაძლებელი და აუცილებელია.

წინააღმდეგობის ლოგიკური უარყოფა მართლაც შეუძლებელია, რადგან უარყოფა თვითონ ქმნის წინააღმდეგობას; უარყოფა წინააღმდეგობის არსებაა. რაკი განხორციელებულია უარყოფა, ამით დადგენილია უარსაყოფელიც და უარმყოფელიც, ე. ი. წინააღმდეგობა.

მათემატიკური ლოგიკა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს (წინადადებათა აღრიცხვაში) შემდეგი სახით წარმოადგენს: არ შეიძლება A და $\bar{A}$ ორივე ჰეშმარიტი იყოს, ანუ უფრო სრულად: ყოველი A წინადადებისათვის მტკიცება, რომლის თანახმადაც არაა სწორი, რომ A და $\bar{A}$ ერთად ჰეშმარიტია, წარმოადგენს ყოველთვის ჰეშმარიტ წინადადებას; ეს გამოისახება ასე: $AA\ (\bar{A} . \bar{A})$ (პირველი A აღნიშნავს „ყოველს“). ეს კანონი კლასთა აღრიცხვაში ასე გამოითქმება: არ არსებობს საგანი, რომელსაც ჰქონდეს A-ს თვისება და A'-ს თვისებაც (A' არის „დამატებითი კლასი“, რომელიც უდრის ყველა საგანთა კლასს, რაც არ შედის A-ში; A-ს მიმართ A' არის უარყოფა).

მათემატიკურ ლოგიკას წინააღმდეგობა სრულიად თავისებურად ესმის; როცა ამტკიცებენ აქსიომათა ლოგიკური სისტემის არაწინააღმდეგობას, მაშინ გადიან ამ სისტემის ფარგლებიდან და გადადიან ინტერპრეტაციაზე, მოდელირებაზე. თვითონ ლოგიკურ სისტემაში, თეორიაში არაა ლაპარაკი წინააღმდეგობაზე; იგი დაკავშირებულია მოდელთან, საგანთან, ინტერპრეტაციასთან; ლოგიკურ სქემაში ლოგიკურ წინააღმდეგობას, როგორც ლოგიკურ ურთიერთგამორიცხვას აზრი არა აქვს, ეს იქ უადგილოა, არ მოიხმარება. მათემატიკურ ლოგიკაში წინააღმდეგობას არა აქვს ძველი ლოგიკის წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის აზრი. წინააღმდეგობა იმას ნიშნავს, რომ არა ყოველი დებულებაა დამტკიცებადი. თუ A და $\bar{A}$ დამტკიცებულია, მაშინ მტკიცდება ყოველი სხვა წინადადებაც[1], ე. ი. სისტემიდან ყველაფერი გამოდის (გამოიყვანება), ე. ი. სისტემა არ მუშაობს. წინააღმდეგობა იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, აპარატი, ვთქვათ, მანქანა, არ მუშაობს. წინადადებათა აღრიცხვაში აქსიომების სისტემისათვის ახალი აქსიომის მიმატება იწვევს წინააღმდეგობას, ე. ი. იქიდან ყველაფერი გამოდის. ფუნქციათა აღრიცხვაში კი ფორმულის ასეთი დამატება [უმატებენ ფორმულას $(Fx)\, f(x) \rightarrow (x)\, f(x)$] არ იწვევს წინააღმდეგობას, თვითონ ეს ფორმულა კი არ გამოდის აქსიომებიდან.

მათემატიკურ ლოგიკაში მოხმარებული წინააღმდეგობის ცნების ბუნება კარგად ჩანს ექვივალენტობის და არაექვივალენტობის დაპირისპირებაში. როგორც ვიცით, ექვივალენტობა არაა შინაარსობლივად იგივეობრივობა; არა, ექვივალენტურია ორი წინადადება, თუ ორივე არის ჭეშმარიტი, ან ორივე მცდარია; მაგალითად, ექვივალენტურია წინადადებები: 1) „$2 \times 2 = 4$“ და „მზე ვარსკვლავია“, 2) „$2 \times 2 = 5$“ და „მზე პლანეტაა“. არაექვივალენტობა კი ნიშნავს გაყოფით, გამომრიცხავ დისუნქციას. მაგალითად, არაექვივალენტურია წინადადებები: „$2 \times 2 = 4$“ და „მზე პლანეტაა“, რადგან პირველი ჭეშმარიტია, მეორე კი მცდარი. გამომრიცხავ „ან“-ს აქ აქვს ადგილი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჭეშმარიტება და მცდარობა, როგორც ჭეშმარიტობის მნიშვნელობები, ერთიმეორეს გამორიცხავენ (თვითონ მაგალითად აღებული წინადადებები კი, ცხადია, არ არიან წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაში).

[1] Д. Гильберт и В. Аккерман, Основы теоретической логики, გვ. 61.

წინააღმდეგობის ბუნება უშუალოდ უკავშირდება „მესამის“ აზრს. ეს გარემოება უშუალოდ ჩანს გამორიცხული მესამის კანონში: „რაიმე არის ან A, ან არა-A, მესამე გამორიცხულია“. ეს კანონი მოითხოვს გარკვეულობას და გამორიცხავს გაურკვევლობას; მისი მოთხოვნა სწორედ გარკვეულობის დადგენასა და გაურკვევლობის გამორიცხვაში მდგომარეობს.

ჩვენი აზრით, გამორიცხული მესამის კანონის ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს წინააღმდეგობიდან მესამის გამორიცხვაში. წინააღმდეგობას, მართლაც, ორი — ერთიმეორის საწინააღმდეგო — მხარე აქვს; მესამე ასეთი მხარე შეუძლებელია; შეუძლებელია რაიმეს ჰქონდეს B-ს და არა-B-ს გარდა კიდევ რაღაც მესამე პრედიკატი; B და არა-B ამოწურავს ყველაფერს, ცნების მთელ სფეროს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ეს კანონი აზროვნების აუცილებელი კანონია. იმ წინააღმდეგობას კი არ უარყოფს, როგორც ამას ადგილი აქვს წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულებაში, არამედ წინააღმდეგობის მხარეებიდან, სახელდობრ, ერთიმეორის საწინააღმდეგო მხარეებიდან მესამეს გამორიცხავს, გამორიცხავს მესამე საწინააღმდეგო მხარეს, რადგან ასეთს თვითონ წინააღმდეგობა გამორიცხავს; მართლაც შეუძლებელია მესამე საწინააღმდეგო მხარე.

მიუხედავად ამისა, გამორიცხული მესამის კანონი შეიცავს მრავალ სიძნელეს, სახელდობრ შემდეგს:

1) მსგავსად წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონისა, გამორიცხული მესამის კანონის გამომთქმელი დებულება უარყოფითი ხასიათისაა; მასში ლაპარაკია მესამის გამორიცხვაზე, მესამის შეუძლებლობაზე და არა რაიმეს დადგენაზე თუ შესაძლებლობაზე. კანონი უნდა იყოს დადებითი, ან იგი დადებითს უნდა ემყარებოდეს; უარყოფითი ხომ აუცილებლობით გულისხმობს წინასწარ დადებითს? გამორიცხული მესამის დებულება, როგორც უარყოფითი დებულება, ან არ არის კანონი, ანდა ძირითად კანონს არ წარმოადგენს. თუ ის არის კანონი, მაშინ აუცილებლად სხვა კანონზე დაქვემდებარებული კანონი იქნება.

2) მართალია, გამორიცხული მესამის კანონის მოთხოვნა გაურკვევლობის მოხსნაში მდგომარეობს, მაგრამ ის თვითონ შეიცავს გაურკვევლობას, ამ აზრით — არალოგიკურობას. ლოგიკურობა აზრის გარკვეულობაში მდგომარეობს და გაურკვევლობას აბსოლუტურად გამორიცხავს. ის გაურკვევლობა, რომელიც გამორიცხული მესამის დებულებისთვისაა დამახასიათებელი, არის „ან-ან“-ის გაურკვევ-

ლობა, „ან-ან-ის მერყეობა. აზრის გარკვეულობა-ლოგიკურობა ერთგვარად დარღვეულია „ან-ან"-ით.

აზრის ლოგიკური გარკვეულობა გვაქვს მაშინ, როცა: 1) რაიმე არის A, 2) რაიმე არ არის A, 3) რაიმე არის დაპირისპირებულთა ერთიანობა. აზრის სხვაგვარი გარკვეულობა შეუძლებელია, მაშინ როცა „ან-ან"-ი არც ერთი მათგანი არ არის. ამიტომ ვამბობთ, რომ ან-ან-ი არის მერყეობა-გაურკვევლობა[1].

„ან-ან"-ის გაურკვევლობას ხსნის ა) წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი — ფორმალურ-ლოგიკური გაგებით, ძველი ლოგიკა სწორედ ამ გზით ხსნიდა ან-ან-ის გაურკვევლობას; თუ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი აღიარებს საწინააღმდეგოთაგან მხოლოდ ერთის ჭეშმარიტებას, გამორიცხული მესამის კანონი მიუთითებს საწინააღმდეგოებში მესამის შეუძლებლობას. წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელიც არის არა საწინააღმდეგოების გაერთიანება, არამედ წინააღმდეგობის ძირი (აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინააღმდეგობის ერთიანობა ხსნის იმ გაურკვევლობასაც, რომელიც ჩვენი აზრით, ახასიათებს სასრულს აზრში, კერძოდ, წინააღმდეგობის შეუძლებლობას, როგორც საწინააღმდეგოს შეუძლებლობას). გამორიცხული მესამის კანონი ორ საწინააღმდეგოთაგან ერთს კი არ ტოვებს და მხოლოდ ერთს ორიდან კი არ გამორიცხავს (ამას წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი მოითხოვს), არამედ გამორიცხავს სწორედ მესამეს, აღიარებს მესამის შეუძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს კანონი ორი — ერთიმეორისადმი საწინააღმდეგოს — შესაძლებლობასაც უშვებს. გამორიცხული მესამის კანონი არ უშვებს ორი საწინააღმდეგოს აუცილებლობას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამეს ველარ გამორიცხავდა, მესამე აუცილებელი იქნებოდა წინააღმდეგობისათვის; თუ ერთიმეორის საწინააღმდეგოთაგან ორივე აუცილებელია, მაშინ წინააღმდეგობა შესაძლებელია; რაც შესაძლებელია, მას საფუძველი აქვს, ამიტომ წინააღმდეგობისათვის აუცილებელი ხდება მისი ძირი, რაც ერთიანობაში მდგომარეობს. „ან-ან"-ი ემყარება ორი საწინააღმდეგოს მხოლოდ შესაძლებლობას[2].

---

[1] იხ. ლ. გოკიელი, სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები, გვ 24—40. იხ. აგრეთვე, А. Гейтинг, Обзор исследований по основаниям математики, გვ. 25, 71—72.

[2] იხ. არისტოტელეს „პერი ჰერმენეიას" IX თავის ბოლო, სადაც ნათქვამია, რომ „ან-ან"-ი აუცილებელია, წინააღმდეგობა აუცილებელია, როცა საქმე ეხება შესაძლებლობას, მომავალს.

თუ „ან ერთი ან მისი საწინააღმდეგო...“, მაშინ ერთიც შესაძლებელია და მეორეც, შეუძლებელი მხოლოდ მესამეა; შეუძლებელია ისეთი მესამე, როგორიცაა ერთიმეორის საწინააღმდეგო, ე. ი. შეუძლებელია სრული სასრული მესამე. გამორიცხული მესამის დებულება მეტსაც გულისხმობს; შეუძლებელია ყოველი მესამე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

თუ დავუშვებთ წინააღმდეგობის შესაძლებლობას, მაშინ მართლაც შეუძლებელი იქნება მესამე — საწინააღმდეგოთაგან მესამე, რადგან, როგორც ითქვა, წინააღმდეგობას მხოლოდ ორი სრული სასრული მხარე აქვს. ამრიგად, გამორიცხული მესამის დებულების რაციონალური მარცვალი მდგომარეობს ორი საწინააღმდეგოს შესაძლებლობის აღიარებასა და მესამე საწინააღმდეგო მხარის გამორიცხვაში, სახელდობრ, იმის აღიარებაში, რომ წინააღმდეგობა მესამე საწინააღმდეგო მხარეს გამორიცხავს.

ნათქვამიდან ისიც ჩანს, რომ გამორიცხული მესამის დებულება გარკვეული მხრივ არ უთავსდება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი საწინააღმდეგოთაგან მეორის შეუძლებლობას აღიარებს, გამორიცხული მესამის დებულება კი ეყრდნობა წინააღმდეგობის შესაძლებლობას და მხოლოდ მესამის შეუძლებლობას აღიარებს, მესამეს გამორიცხავს. წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება მეორის შეუძლებლობის დებულებაა, ის არის გამორიცხული მეორის დებულება; გამორიცხული მესამის დებულება კი ფორმალურ ლოგიკაში ცალკე კანონად. ისიც ერთ-ერთ „ძირითად კანონად“ არის მიჩნეული.

4) გამორიცხული მესამის დებულება ასეთ ლოგიკურ შეუძლებლობასაც შეიცავს: საქმის დაწყება ან-ან-ით იმასაც ნიშნავს, რომ არჩევანი ეხება ორს; ამით მესამე უკვე წინასწარვეა გამორიცხული, ამიტომ ამის შემდეგ მესამის გამორიცხვის მოთხოვნა ზედმეტია; ვღებულობთ ტავტოლოგიას: გამორიცხულია მესამე, მესამე გამორიცხულია; რაც გამორიცხულია, ის უნდა გამოირიცხოს; გამორიცხვა უნდა განმეორდეს; ანდა: გამორიცხულია მესამე, ამიტომ ან A ან არა-A, მესამე გამორიცხულია. სურთ შემდეგ მიიღონ ის, რაც უკვე წინასწარაა მიღებული. დასაბუთების თვალსაზრისით აქ საქმე გვაქვს ლოგიკურ წრესთან, შეცდომასთან.

5) ლოგიკური კანონი უნდა იყოს არა კერძო ხასიათისა, არამედ საყოველთაო მნიშვნელობისა; ის უნდა გამოიყენებოდეს ყველგან და არა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში. ზოგიერთ შემთხვევაში გამოსაყენებელი არ შეიძლება იყოს კანონი, ცალმხრივი დებულება

შეუძლებელია იყოს „ძირითადი კანონი". გამორიცხული მესამის კანონი არ გამოიყენება აზრის ყოველ სფეროში.

ა) ამბობენ, რომ გამორიცხული მესამის კანონი არ გამოიყენება მათემატიკური, რაოდენობრივი (ანუ „ცუდი") უსასრულობის მიმართ. მაგალითად, ბროუერის[1] აზრით, tertium non datur-ს გარკვეული აზრი აქვს იქ, სადაც გამოიყენება ალტერნატივა A საგანს რაიმე (E) თვისება აქვს, ან არ აქვს, მაგრამ არ გამოიყენება უსასრულობის მიმართ: შეიძლება E თვისება ეკუთვნის რაიმე რიცხვს უსასრულობიდან, რომელიც არაა მოცემული, მაგრამ მოსაღოდნელია. ბროუერის აზრით, გამორიცხული მესამის კანონი მხოლოდ გარკვეულობის დროს მოქმედებს და არა გაურკვევლობის დროს. მას უსასრულობა გაურკვევლობად ესმის (ამიტომ მოძრაობა განვითარებაც მისთვის გაურკვევლობა იქნება)[2]. ბროუერი მცდარია, რადგან მას უსასრულობა ესმის როგორც გაურკვევლობა, არა ცნებითი აზროვნებით მისაწვდომი, არამედ როგორც ინტუიცია. ბროუერი ინტუიტივისტია. მაგრამ ბროუერის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მისი დებულებების სახით ძველმა ლოგიკამ აღიარა გამორიცხული მესამის კანონის გამოუსადეგრობა უსასრულობისადმი.

მაგრამ ეს უკვე იმასაც ნიშნავს, რომ უსასრულობის ლოგიკური გამოხატვა კიდევ სხვა უფრო ძლიერ კანონს მოითხოვს; უსასრულობის გამომხატველი ლოგიკური იქნება უფრო სრული.

თუ გამორიცხული მესამის კანონი არ გამოიყენება უსასრულობის მიმართ, მაშინ გამოდის, რომ ეს კანონი სასრულის კანონია.

სასრულის გარკვეულობადაა მიჩნეული: 1) A, 2) არა-A, 3) თვითონ ან-ან; მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ითქვა, გაურკვევლობას წარმოადგენს. უნდა ითქვას ისიც, რომ არც A და არც არა-A, როგორც წინააღმდეგობის ერთმხრიობები, გაურკვევლობისაგან არ არიან თავისუფალი; სასრული გარკვეულობა ლოგიკურად გაურკვევლობასაც შეიცავს, რადგან, როგორც ითქვა, A გარკვეულია არა-A-ს გამო. რაიმეს გარკვეულობა საწინააღმდეგოს გულისხმობს.

უსასრულობაც გაურკვევლობას შეიცავს, თუ ის აღებულია სასრულის გარეშე. როგორც ითქვა, სასრულის გარეშე, მის მიღმა აღებული უსასრულო აღარაა უსასრულო, ის სასრულია, სასრულით

---

[1] Brouwer, Intuitionistische Mengenlehre „Jahresbericht der Deutschen Mathematiker Vereinigung". B. 28, H. 7—12, გვ. 203, 1919. Zur Begründung der intuitionistischen Mathematik. „Mathematische Annalen". B. 93, ¾ H. B. 95, 3. H. B. 96, ¾, H. 1925—1926.

[2] იხ. ლ. გოკიელი, სინრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები. „მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების ინსტიტუტის შრომები", I, გვ. 91 და შემდეგ.

არის განსაზღვრული. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს უსასრულო არ იყოს გარკვეულობის მქონე. ნამდვილი უსასრულო არის სასრულის და უსასრულოს დიალექტიკური ერთიანობა, რომელსაც სრული გარკვეულობა (სასრულისაგან განსხვავებული) ახასიათებს. სასრულიც (A) გარკვეულია, მაგრამ მიდის გაურკვევლობამდე. გაურკვევლობას სისრულით ხსნის უსასრულო, რომელიც სასრულის შემცველია. სასრულის გარკვეულობას გაურკვეველობაც ახასიათებს. უსასრულოს გარკვეულობა კი სრული ხასიათისაა.

თუ ნამდვილი გარკვეულობა სასრულის და უსასრულოს დიალექტიკური ერთიანობის გაურკვეველობაა, მაშინ უნდა ითქვას, რომ მისთვის არ არის საკმარისი გამორიცხული მესამის კანონი, რადგან სასრულის და უსასრულოს ერთიანობაში სწორედ ეს ერთიანობაა „მესამე".

ბ) გამორიცხული მესამის კანონის შეზღუდულობას და ამით ძველი ლოგიკის ნაკლს აღიარებენ, როცა მოითხოვენ ლოგიკაში შემოიტანონ გამორიცხული მესამის კანონის მაგიერ გამორიცხული მეოთხის კანონი[1], რომელიც ასე გამოითქმება: ერთი ცნება მეორეს ან მიეწერება, ან არ მიეწერება, ან შეიძლება მიეწეროს, მეოთხე გამორიცხულია. ამით ლოგიკურ ჭეშმარიტებას სამი მნიშვნელობა მიეწერება, გვაქვს ჭეშმარიტების სამი მნიშვნელობა: ჭეშმარიტება, მცდარობა და შესაძლებლობა. ამ გზით ჩამოყალიბდა სამნიშნა ლოგიკა. მრავალნიშნა ლოგიკა[2] კიდევ შორს მიდის, როცა იგი შესაძლებლობის მრავალ ხარისხს არჩევს და ამ ხარისხებს ჭეშმარიტების მნიშვნელობებად წარმოადგენს (დეტუში, რაიხენბახი, ზინოვიევი). ამ მხრივ გასათვალისწინებელია მოდალური ლოგიკები და ალბათობის ლოგიკა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ სამ და მრავალნიშნა ლოგიკებში მაინც გამორიცხული მესამის კანონი გამოიყენება, რადგან რაიმე არიან ან A, ან სხვა, ე. ი. არა-A, მესამე გამორიცხულია. ძველი ფორმალური ლოგიკა არა-A-ში სწორედ იმას გულისხმობდა, რაც არ არის A, ე. ი. რაც არის სხვა.

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არა-A-ს გაურკვევლობა იწვევს იმას, რომ მისი გარკვევისათვის სხვადასხვა მნიშვნელობებს ეძებენ. მაგრამ თუ ლოგიკაში კატეგორიებს შემოვიყვანთ, ეს კი უნდა შეს-

---

[1] Н. А. Васильев, О частных суждениях, о треугольнике противоположностей, о законе исключенного четвертого, Казань, 1910, გვ. 42 და შემდეგ.

[2] Jan Lukasiewicz, Philosophische Bemerkungen zu mehrwertigen Systemen des Aussagenkalküls, 1930.

რულდეს აუცილებლად, რადგან კატეგორიები ცნებებს და ისიც უძირითადეს ცნებებს წარმოადგენენ, მაშინ გაირკვევა არა-A-ს გაურკვევლობა, მოიხსნება ეს გაურკვევლობა; კატეგორიებში არაკერძო არის ზოგადი და პირიქით, არასასრული არის უსასრულო და პირიქით და სხვ.

6) გამორიცხული მესამის კანონი შეიცავს გაურკვევლობას, რადგან იგი, ერთი მხრივ, მოითხოვს იმას, რომ რაიმეს მიეწეროს ან A, ან არა-A, ე. ი. აუცილებელია მხოლოდ ერთი მათგანის მიწერა; ამდენად ეს კანონი აღარ განსხვავდება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონისაგან; მაგრამ, მეორე მხრივ, ან-ან-ი გულისხმობს წინააღმდეგობის შესაძლებლობას, რომელსაც იგი ემყარება. ეს ორი რამ გამორიცხული მესამის კანონში აუცილებლად იგულისხმება, ამიტომ იგი შეიცავს გაურკვევლობას, რომლის მოხსნა შეიძლება ორნაირად: წინააღმდეგობის შეუძლებლობის საშუალებით და წინააღმდეგობის ერთიანობის საშუალებით. მაგრამ წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინასწარ გულისხმობს წინააღმდეგობას და წინააღმდეგობის შესაძლებლობას. ამიტომ ერთადერთი — საბოლოოდ ჭეშმარიტი — გზა გამორიცხული მესამის აქ აღნიშნული გაურკვევლობის მოხსნისა არის ამ კანონის მიერ მოთხოვნილი წინააღმდეგობის ერთიანობის გზა. გამორიცხული მესამის კანონი წინააღმდეგობის შესაძლებლობის დაშვებით მოითხოვს წინააღმდეგობის ერთიანობას. რადგან ერთიანობის გარეშე წინააღმდეგობა მართლაც შეუძლებელია.

7) გამორიცხული მესამის კანონის მთავარი ნაკლი ისაა, რომ დებულება „რაიმე არის ან A, ან არა-A, მესამე გამორიცხულია", მართალია მესამეს გამორიცხავს, მაგრამ, ამავე დროს, თვითონვე შეიცავს მესამეს „რაიმეს" სახით[1] (აქაა ჰეგელის „ლოგიკის" ერთ-ერთი „რაციონალური მარცვალი").

ს. ფრანკი ჰეგელზე დაყრდნობით აღნიშნავს შემდეგს: გამორიცხული მესამის კანონი წინააღმდეგობრივია, რადგან მესამე აქ არის ან ქვემდებარე, ანდა იგი უდრის ან A-ს, ან არა-A-ს, ეს კი შეცდომაა. რადგან: არც ერთზე არ შეიძლება ითქვას, რომ ის არის მისი საწინააღმდეგო[2].

მართლაც, გამორიცხული მესამის დებულება სამართლიანად

---

[1] Hegel, W. d. Logik, II, გვ, 56—7, 493 და ვ. ი. ლენინი, თხზ. 38, გვ. 130—131.

[2] С. Л. Франк, Предмет знания, 1915, გვ. 213 და შემდეგ.

მოითხოვს მესამის. როგორც პრედიკატის, გამორიცხვას, მაგრამ ეწყარება მესამეს. როგორც სუბიექტს, რომლის გამორიცხვა შეუძლებელიცაა, რადგან წინააღმდეგობის შესაძლებლობა მას აუცილებლობით მოითხოვს.

8) გამორიცხული მესამის (და წინააღმდეგობის შეუძლებლობის) კანონი არ არის საკმარისი რეფლექსურობისათვის, რომელიც შეიცავს „ორმნიშვნელოვანობას“, მაგ., 1) სუბიექტის შესახებ, რომელიც თავის თავს ობიექტად იხდის, ვერ ვიტყვით იმას, რომ ის ან სუბიექტია ან ობიექტი; 2) თუ რაიმე მისივე უარყოფით დგინდება, მაშინ ეს არ ამოიწურება გამოთქმით: იგი ან დადგენაა ან უარყოფა; 3) თუ უარყოფას დადებითი მნიშვნელობაც აქვს, მაშინ მას არ ამოწურავს გამოთქმა: ის ან დადებითია ან უარყოფითი, და სხვ.

9) მათემატიკურ ლოგიკაში გამორიცხული მესამის კანონი ასე ჩაიწერება: $A^{A}(A \vee \bar{A})$, რაც ნიშნავს: ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მსჯელობიდან არ შეიძლება ორივე მცდარი იყოს.

უნდა ითქვას ისიც, რომ მათემატიკურ ლოგიკაში იგივეობის კანონი დაიყვანება გამორიცხული მესამის კანონზე: $A \to A$ იგივეა, რაც $\bar{A} \vee A$, ეს კი $= A \vee \bar{A}$-ს. იგივეობის კანონი ზედმეტი ხდება, მაშინ როცა მათემატიკური ლოგიკის ყოველი კანონი ტავტოლოგიური დებულებაა (მრავალნიშნა ლოგიკებში გამორიცხული მესამის კანონი არ მოიხმარება).

მათემატიკური ლოგიკის $A \vee \bar{A}$, მთლიანად აღებული, არის რაღაც მესამე. რადგან იგი ყოველთვის ჭეშმარიტი დებულებაა. მართლაც, „რაიმე არის ან ჭეშმარიტი ან მცდარი“ ყოველთვის ჭეშმარიტია, მაგრამ არაფრის მთქმელია, რამდენადაც აქ „ან-ან“-ის გაურკვევლობა გარკვეულობადაა ჩათვლილი; „ან ჭეშმარიტი ან მცდარი*. მაგრამ რომელი? რომელიმე დებულება ან ჭეშმარიტია ან მცდარი. მაგრამ გაურკვეველი რჩება, თუ რომელია იგი. ეს ასეა თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, რაც მთავარია მათემატიკური ლოგიკისათვის, ეს მისთვის საკმარისია და სასარგებლოც, მაგრამ საფუძველ-შედეგის ლოგიკური დამოკიდებულებისათვის არ გამოდგება.

აქ შეიძლება ისიც აღინიშნოს (შენიშვნის სახით), რომ მათემატიკური ლოგიკის კანონები მათემატიკური ხასიათისაა, მაგალითად, წინადადებათა აღრიცხვის უზოგადესი კანონები ალგებრის კანონებს წარმოადგენენ; ასეთია:

1) კომუტატივობის კანონი — $A \cdot B \text{ თ } B \cdot A$

$A (B \cdot C) \text{ თ } (A \cdot B) \cdot C.$

2) ასოციატურობის კანონი — $A \vee B \text{ თ } B \vee A$

$A (B \vee C) \text{ თ } (A \vee B) \vee C.$

3) დისტრიბუტიულობის კანონი — $A \vee (B \cdot C) \text{ თ } (A \vee B) \cdot (A \vee C)$

$A \cdot (B \vee C) \text{ თ } (A \cdot B) \vee (A \cdot C).$

(. არის გამრავლების ნიშანი, v — ჯამის ნიშანია, თ — ექვივალენტობის ნაშანი).

ისიც უნდა ითქვას, რომ მათემატიკური ლოგიკა კანონს არ ანსხვავებს იმისაგან, რის კანონსაც ის წარმოადგენს, რამდენადაც კანონად გაგებულია ყოველთვის ჭეშმარიტი დებულება, რომლის მიღებაც მთავარია ლოგიკისათვის. მაგალითად, ჰიპოთეზური სილოგიზმის დასკვნა არის იგივე კანონი, და სხვ. გადაწყვეტადობის პრობლემა, რომელიც არსებითია ლოგიკისათვის, ემსახურება სწორედ ყოველთვის ჭეშმარიტი წინადადების მიღებას. კანონის განსხვავებულობა იმისაგან, რის კანონსაც ის წარმოადგენს, კანონს გაურკვევლად ხდის.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ გამორიცხული მესამის კანონი სწორია, რამდენადაც ის 1) უშვებს წინააღმდეგობის შესაძლებლობას, 2) გამორიცხავს მესამეს, როგორც პრედიკატს, ე. ი. ადგენს წინააღმდეგობას (წინააღმდეგობას მხოლოდ ორი სრული სასრული მხარე აქვს), 3) რამდენადაც მესამეს, როგორც სუბიექტს, აუცილებლობით ემყარება და გულისხმობს („შეუგნებლად", მისი „შეგნების" წინააღმდეგ). მაგრამ ამ სამი მომენტის მიღება უკვე აღარაა გამორიცხული მესამის კანონი; იგი სხვა კანონის აუცილებლობაზე მიუთითებს, სხვა კანონს მოითხოვს აუცილებლობით.

§ 58. დადგენის კანონი (4)

როგორც ითქვა, წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და გამორიცხული მესამის დებულებები უარყოფითი ხასიათისაა; ისინი მიუთითებენ იმაზე, რაც შეუძლებელია. რაც არ უნდა იყოს, რაც გამორიცხულია, ე. ი. არაფერს არ ადგენენ, არ ადგენენ დადებითად. დადებითის დადგენა, დადებითის მიღება წინ უნდა უსწრებდეს უარყოფით დებულებებს. დადებითის დადგენა, რაიმეს დადებითი დადგენა არსებითი უნდა იყოს მსჯელობაში, დასკვნაში, დასაბუთებაში. დასაბუთება, პირველ რიგში, სწორედ რაიმეს დადებითი დასაბუთებაა და

არა მხოლოდ რაიმეს შეუძლებლობის ჩვენება. ამიტომ ლოგიკურში უნდა არსებობდეს დადებითი დადგენის კანონი ანუ დადგენის კანონი.

შეიძლება თქვან, რომ ასეთი დადგენის კანონი არის იგივეობის კანონი — „A არის A“. მაგრამ უნდა ითქვას, რომ: 1) იგივეობის დებულება ტავტოლოგიის კანონია და თვითონ არის ტავტოლოგიური ბუნებისა; ის არის ერთი და იგივეს განმეორება; უფრო ზუსტად: ის არის სიცარიელე, არაფრის თქმა. სწორედ დასაბუთების თვალსაზრისით; როგორც ითქვა, დასაბუთებაში ერთი და იგივეს განმეორება არაფრის დასაბუთება არ არის. უნდა ითქვას მეტიც: დასაბუთებაში განმეორება არის დამსაბუთებელის განმეორება დასასაბუთებელში, რაც შეცდომას წარმოადგენს, რადგან დასასაბუთებლის დამსაბუთებლად წარმოდგენა არის დასაწყისი რეგრესისა უსასრულობაში. 2) იგივეობის დებულება არ ნიშნავს ა) არც ერთი რაიმეთი მეორის დადგენას და ბ) არც თვითდადგენას. იგივეობის დებულება არ ნიშნავს ერთი რაიმეთი მეორის დადებით დადგენას, რადგან აქ მეორე გამორიცხულია; „A არის A“ ეხება ერთსა და იმავე A-ს და არა მეორეს, სხვას. რომლის მიღება-დადგენა არსებითი უნდა იყოს ლოგიკურში, დასაბუთებაში. სინთეზურობის გარეშე ლოგიკური შეუძლებელია.

იგივეობის დებულება არ არის რაიმეს არც თვითდადგენა, რადგან აქ ადგილი არა აქვს A-ს შინაარსს, ამ შინაარსის დადგენას ან ამ შინაარსის გამო A-ს თვითდადგენას. დადგენა რაიმეს დადებითი დადგენა უნდა იყოს; ის უნდა იყოს, ასე ვთქვათ, პირველი დადგენა და პირველის დადგენა, რომელსაც შეიძლება და აუცილებლად უნდა მოყვეს სხვა (ან ისევ დადებითი, ან უარყოფითი).

როგორც ითქვა, იგივეობის დებულება — „A არის A“ — არ გულისხმობს იმას, თუ რა არის A; ამ აზრით, აქ არ არის A-ს დადგენა; იგივეობის დებულება —„A არის A“, სხვა არაფერია, თუ არა შემდეგი: „თუ არის A, მაშინ არის A“. ეს არის გარკვეული, მაგრამ მაინც უშინაარსო ფორმა. „A არის A“ არაფერს არ ამბობს უპირობოდ A-ს შესახებ. შეიძლება მეტიც ითქვას: „A არის A“ არაფერს არ ამბობს A-ს შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში. ეს დებულება არ იქნებოდა ტავტოლოგიური, არაფრის მთქმელი დასაბუთების, ე. ი. ლოგიკური თვალსაზრისით.

ზემოთქმულის გამო უნდა ითქვას, რომ A-ს დადგენა მეტია, ვიდრე A იგივეობის დებულებაში და თვითონ იგივეობის დებულება — „A არის A“. ამიტომ დადგენის კანონი განსხვავდება იგივეობის კა-

ნონისაგან, ისე როგორც, მაგალითად, ფიხტეს „მე ვარ“ განსხვავდება იგივეობის დებულებისაგან — „A არის A“ [1].

დადგენის კანონი შეიძლება გამოითქვას ასე: „არის A“, არა როგორც ექსისტენციალური მსჯელობა — „A არსებობს“, არამედ როგორც A-ს დადგენა.

დადგენის კანონი არა მხოლოდ განსხვავდება იგივეობის კანონისაგან, არამედ ამ უკანასკნელს კიდეც იქვემდებარებს, რადგან რაიმე გარკვეულის (A) დადგენა მეტია, ვიდრე „A არის A“ როგორც „თუ A არის, მაშინ არის A“. ეს უკანასკნელი პირველს აუცილებლობით გულისხმობს, როგორც უფრო სრულს, რომლის ერთმხრიობასაც ის წარმოადგენს. უპირობო დადგენა პირობითი დადგენის საფუძველია. ლოგიკური აუცილებლობის ობიექტურობა, თვითონ ეს აუცილებლობა შეუძლებელია (ამიტომ ლოგიკაც შეუძლებელია) რაღაც უპირობო დადგენის გარეშე (როგორც ეს შემდეგ გაირკვევა).

იგივეობის კანონის მაგალითია „მაგიდა არის მაგიდა“; დადგენის კანონის მაგალითია „ეს არის მაგიდა“, „არის მაგიდა“ ან „მაგიდა არის ასეთი“, რამდენადაც აქ დგინდება მაგიდა. დადგენის კანონი არის დადებითი სინთეზური მსჯელობის კანონი, რომელიც, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნათელყოფილი, დასაბუთებას თავიდან ბოლომდე გასდევს. უფრო ზუსტად: დადგენის კანონი არის მსჯელობის სუბიექტის, დასკვნის საფუძვლის, დასაბუთების დასაწყისის თუ საწყისის დადგენის კანონი. დადგენის კანონი ლოგიკური დასაწყისის კანონია. ყოველ ლოგიკურ ფორმაში არის რაიმე დადგენა, ყოველ ლოგიკურ ფორმას აზრი აქვს ასეთი დადგენით; თვითონ უარყოფაც არის: 1) დადებითად დადგენილი რაიმეს აუცილებლობით მოგულისხმე, 2) რაიმე დადებითი აზრის მქონე; რაიმეს უარყოფა თავისებური, სახელდობრ, უარყოფითი დადგენაა; A-ს უარყოფა სწორედ ამ გარემოებას ადგენს. ამიტომ დადგენა თავიდან ბოლომდე გასდევს დასაბუთების სისტემას, ლოგიკას, როგორც დასაბუთების სისტემას.

დადგენის დებულებაში არ არის მოცემული უარყოფა; უარყოფას სჭირდება სხვა კანონი, სახელდობრ, უარყოფის კანონი. დადგენის კანონის ბუნება კიდევ უფრო ნათლად წარმოდგება, თუ განვიხილავთ უარყოფის კანონს.

---

[1] J. G. Fichte, Grundlage der gesamten Wissenschaftslehre, Medicus, 1911, გვ. 15.

§ 59. უარყოფის კანონი (5)

რაიმეს დადგენა არის სწორედ ამ რაიმეს დადგენა, ე. ი. ის არის ამ რაიმეს დადგენა და არა სხვისი დადგენა. „არა სხვისი დადგენა“ ნიშნავს სხვის არდადგენას. სხვის გამორიცხვას. რაიმეს დადგენა არის სხვისი გამორიცხვა მხოლოდ ერთი მხრივ, სახელდობრ, იმ მხრივ, რომ დგინდება სწორედ ეს რაიმე და არა სხვა. ასე იწყება სხვისი გამორიცხვა. რაიმეს გამორიცხვის თუ უარყოფის როგორც დასაწყისი, ისე სრული წარმოდგენა ექვემდებარება და უნდა ექვემდებარებოდეს, ცხადია, არა დადგენის კანონს, არამედ მის უარყოფით ფორმას — უარყოფის კანონს. მაშასადამე, უნდა არსებობდეს და არსებობს უარყოფის კანონი.

როგორც რამდენიმეჯერ აღინიშნა, უარყოფითი ხასიათისაა როგორც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, ისე გამორიცხული მესამის კანონიც. საწინააღმდეგოთაგან მეორის უარყოფა თუ მესამის შეუძლებლობა, ორივე უარყოფას წარმოგვიდგენს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, როგორც მეორის უარყოფა, და გამორიცხული მესამის დებულება, როგორც მესამის უარყოფა, უარყოფის კანონის კერძო შემთხვევებს წარმოადგენენ და ამ კანონს ექვემდებარებიან.

უარყოფის კანონი არის საერთოდ უარყოფის კანონი; როგორც სხვისი უარყოფა. ისე თავის თავის თვითუარყოფაც მასში იგულისხმება. თუ დადგენის კანონი შეიძლება აღინიშნოს ფორმულით „არის A“, მაშინ უარყოფის კანონის ფორმულა იქნება „არ არის A“.

უარყოფის კანონი უარყოფითი ხასიათის დებულებაა, რადგან ის არის დადგენის შებრუნებული დებულება; რაიმეს დადგენა არ არის სხვის დადგენა. „ეს არის მაგიდა“ ნიშნავს იმას, რომ „ის არ არის სხვა“. ეს „არის“ და „არ არის“, როგორც ითქვა და შემდგომაც გავარკვევთ, განსაზღვრულობის აუცილებელი მომენტებია. რაიმე არის ეს და არა სხვა; რაიმე არის ეს იმის გამო, რომ ის არ არის სხვა. უარყოფა ეხება რაიმესაც და სხვასაც.

როგორც დადგენის ისე უარყოფის დებულებები მოქმედებენ გამოთქმაში: კერძო არის კერძო და არა სხვა, ზოგადი არის ზოგადი და არა სხვა. რაიმეს გარკვეულად ხდის სხვისი უარყოფა. ეს გარკვეული დგინდება თანახმად დადგენის კანონისა. ამიტომ უარიყოფა სხვაც თანახმად უარყოფის კანონისა. ორივე კანონი ერთის ერთმხრიობების გამოხატულებაა.

ყოველ სინთეზურ მსჯელობაშია ორი მხარე: რაიმეს დადგენა და სხვისი გამორიცხვა. „კერძო არის ზოგადი“ და „კერძო არ არის

ზოგადი“ ორი მხარეა კერძოსა და ზოგადის ერთიანობისა. ეს ორი მხარე აღნიშნულ ორ კანონს — დადგენისა და უარყოფის კანონებს —ექვემდებარებიან. თუ რაიმე შეიცავს განსხვავებას, მაშინ ის უარყოფის შემცველიც იქნება, ამიტომ აქ მოქმედებს როგორც დადგენის ისე უარყოფის კანონიც. ორივე ეს კანონი სინთეზურ-ლოგიკურის აუცილებელ კანონებს წარმოადგენენ.

თუ რაიმეს არ ახასიათებს სინთეზურისათვის დამახასიათებელი განსხვავება, მაშინ გვექნება, ცხადია, ტავტოლოგიები. მაგრამ ტავტოლოგიის სიცარიელე თვითონ არის გარკვეული ხასიათის უარყოფა. ამიტომ ტავტოლოგიებიც კი დაექვემდებარება უარყოფის კანონს.

ამრიგად, უარყოფას ადგილი აქვს ყველგან, ტავტოლოგიების დროსაც. უარყოფის გარეშე შეუძლებელია მსჯელობა, დასკვნა. საერთოდ ლოგიკური უარყოფის კანონი ლოგიკურის ზოგადი კანონია, ისე როგორც დადგენის კანონი.

§ 60. განსხვავების კანონი (6)

დადგენა, რომ „ეს არის A“ და უარყოფა, რომ „ეს არ არის A“, აუცილებლობით გულისხმობს განსხვავებას,რომელიც არსებობს ორს შორის. მაგალითად, „ეს არის მაგიდა“ და „ეს არ არის მაგიდა“, ცხადია, განსხვავებას შეიცავს და გამოთქვამს კიდეც. დადებითი და უარყოფითი მსჯელობების საწარმოებლად აუცილებელია განსხვავება. საერთოდ ლოგიკური შეუძლებელია განსხვავების თუ სხვაობის (ამ ორი კატეგორიის განსხვავება ჩვენ აქ არ გვჭირდება) გარეშე. არსებობს განსხვავების კატეგორია და არსებობს განსხვავების (თუ სხვაობის) ლოგიკური კანონიც.

სხვაობის ლოგიკური კანონი, როგორც ცნობილია, აღმოაჩინა ლაიბნიცმა, თუმცა მას სრულიად გარკვეულად მოიხმარდნენ ცინიკებიც (მაგ., ანტისთენე), როცა უარყოფდნენ იგივეობას და მხოლოდ განსხვავებას აღიარებდნენ (წინააღმდეგ პარმენიდესი და მეგარელებისა).

სხვაობის კანონი გამოითქმება ასე: „ყველაფერი განსხვავებულია“. მაგალითად, ლაიბნიცის თქმით, არ არსებობს ორი ერთნაირი ფოთოლიც კი. სხვაობის თუ განსხვავების კანონი არის იგივეობის საპირისპირო კანონი. იგივეობის დებულება ტავტოლოგიური დებულებაა; ასეთია მისი საპირისპირო — სხვაობის დებულებაც, რადგან თქმა იმისა, რომ „ყველაფერი განსხვავებულია“, ერთი და იგივეს განმეორებაა, ვინაიდან „ყველაფერი“ უკვე ნიშნავს სხვადასხვაობას.

იგივეობის და სხვაობის დებულებები ორივე ტავტოლოგიურია, მაგრამ ერთიმეორის საპირისპირო აზრით. ტავტოლოგიური დებულებები ხომ განსხვავებულია ერთიმეორისაგან? (მათემატიკური ლოგიკის რომელიმე სისტემის აქსიომები ტავტოლოგიური დებულებებია, მაგრამ ერთიმეორისაგან განსხვავებული არიან; აქსიომები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, ე. ი. აქაც მოქმედებს სხვაობის კანონი). აბსოლუტური ტავტოლოგია გვექნება მაშინაც, თუ ვიტყვით, რომ „ყველაფერი არის წმინდა ერთი“ (თუმცა „ყველაფერი“ უკვე გულისხმობს განსხვავებას, ამასთანავე, ჩვენი ეს წინადადება უკვე ოთხი სიტყვისაგან შედგება), მაგალითად, ასეთია პარმენიდეს არსი და სპინოზას სუბსტანცია. მაგრამ ეს უკვე არის წმინდა იგივეობის აღიარება, რომელიც გამორიცხავს სხვაობას. სხვაობა კი არის იგივეობის გამორიცხვა. ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ. სხვაობა გამორიცხავს იგივეობას, თუმცა სხვაობაც იგივეობრივია თავის თავთან და განსხვავებულთაგან თვითეულიც თავის თავთან იგივეობრივია

მსოფლიო დიფერენციულია, ასეთია აზრებიც. დიფერენციულობის გარეშე არაფერი არ არსებობს არც სინამდვილეში, არც აზრში. როგორც არსებობისათვის, ისე აზროვნებისათვის აუცილებელია სხვადასხვაობა, განსხვავება. შეუძლებელია რაიმე სიტყვის თქმაც, თუ ის არ არის სხვისგან განსხვავებული. მაგრამ, როგორც ითქვა, სხვაობა, განსხვავება თუ სხვადასხვაობა აუცილებლობით ემყარება უარყოფას. განსხვავება არის უარყოფა, სახელდობრ, ის, რომ ის არის არა სხვა; განსხვავებულთაგან ერთი არის ის, რაც არ არის სხვა და პირიქით. არსებობა და აზროვნება შესაძლებელია სხვადასხვაობის, განსხვავების პირობებში. როგორც იტყვიან, აბსოლუტურ სინათლეში არაფერი არ ჩანს, ისე როგორც აბსოლუტურ სიბნელეში. ეს ითქმის არა მარტო ბუნებრივი სინათლე-სიბნელის შესახებ, არამედ გონების სინათლე-სიბნელის ანუ ცოდნა-არცოდნის შესახებ. აზრი მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ რაღაც ერთიანობა არსებობს, ერთიანობა კი მხოლოდ განსხვავებულთა ერთიანობაა.

იგივეობრივი სწორედ ის არის, რაც სხვისგან განსხვავებულია: განსხვავება არის „სხვა“ იგივეობის მიმართ. ამიტომ იგივეობა და განსხვავება ერთიმეორისათვის აუცილებელი უნდა იყოს. არსებობს იგივეობის და განსხვავების ერთიმეორისათვის აუცილებლობა.

§ 61. იგივეობისა და სხვაობის აუცილებლობის კანონი (7)

ამ კანონის აუცილებლობა ნათლად ჩანს წინა პარაგრაფში ნათქვამიდან. ეს კანონი მხოლოდ იმას გამოთქვამს, რომ იგივეობისათვის

აუცილებელია სხვაობა და პირიქით — სხვაობისათვის აუცილებელია იგივეობა. ამაზე მეტი ამ კანონში არ იგულისხმება. ეს კანონი არ არის იგივეობისა და სხვაობის ერთიანობის კანონი, მსგავსად უარყოფითი და დადებითი დიალექტიკის განსხვავებისა (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). როგორც ცნობილია, უარყოფითი დიალექტიკა აღიარებს წინააღმდეგობის აუცილებლობას, დადებითი დიალექტიკა კი — წინააღმდეგობის ერთიანობას. ასევე უნდა განვასხვაოთ ერთიმეორისაგან იგივეობისა და სხვაობის ერთიმეორისათვის აუცილებლობა და იგივეობის და სხვაობის ერთიანობა, რომელიც იგივეობასა და სხვაობას მომენტებად შეიცავს, მაშინ როცა იგივეობის გარეთ არსებული სხვაობაც მისთვის შეიძლება აუცილებელი იყოს.

იგივეობისთვის „სხვის“ აუცილებლობა პირველად პლატონმა დაამტკიცა თხზულებაში „პარმენიდე“ სწორედ პარმენიდეს „არსის“ დასაძლევად. მანვე იქვე დაამტკიცა „სხვისთვის“ ერთის იგივეობრივის აუცილებლობა. ამ აზრის დასაწყისი უნდა ვეძიოთ პითაგორას „გაურკვეველ ორში“. პლატონის ეს აზრი შემდგომმა დიალექტიკამ გამოიყენა, მაგალითად, ჰეგელმა თავის დიალექტიკაში. ასე რომ აქ გასაკვირველ კანონს არ აქვს ხანმოკლე ისტორია.

იგივეობისათვის აუცილებელია სხვაობა, რადგან: 1) წმინდა იგივეობა არის არაფერი; ამდენად ის არის წმინდა განსხვავება. პირველ რიგში ეს ითქმის სწორედ დასაბუთების; ლოგიკურის თვალსაზრისით (როგორც ეს ზემოთ აღინიშნა). 2) ერთი თავისთავთან იგივეობრივი რაიმე აუცილებლობით გულისხმობს მეორეს, სხვა ასეთს; წინააღმდეგ შემთხვევაში არ გექნებოდა რაიმეს თავისთავთან იგივეობაც, ერთი და იგივე იქნებოდა თავისთავთან და სხვასთან იგივეობა, რაც, ცხადია, სრულ გაურკვევლობას წარმოადგენს. 3) იგივეობრივი ჰქვია სხვისგან განსხვავებულს, ამიტომ იგი სხვას აუცილებლობით გულისხმობს; იგივეობრივი არის ის, რაც სხვისგან განსხვავებულია. სხვის ნიშანი იგივეობრივის ცნებაში არის ნაგულისხმევი.

სხვაობისათვის აუცილებელია იგივეობა, რადგან სხვაობის ცნება იგივეობას (ისე როგორც პირიქით) აუცილებლობით გულისხმობს. სხვაობა არის სწორედ სხვაობა და არა სხვა რამ; სხვაობა თავისთავთან იგივეობრივია; განსხვავებულნიც თავიანთ თავთან იგივეობრივია. სხვაობა იგივეობასავით არის ერთი; განსხვავებული კი ორია. იგივეობა არ მოიაზრება განსხვავების გარეშე. ამიტომ სხვაობასთან დაკავშირებული იგივეობა არის კონკრეტული იგივეობა. ასე ითქმის სხვაობის შესახებაც. სხვაობას აზრი აქვს მხოლოდ იგივეობით. იგი-

ვეობა და სხვაობა ერთიმეორეს განსაზღვრავენ. იგივეობა და სხვაობა ერთიმეორისათვის აუცილებელია.

იგივეობისა და სხვაობის ერთიმეორისათვის აუცილებლობას აჩვენებს ის, რომ იგივეობის მიღება და სხვაობის უარყოფა (მეგარელები) შეუძლებელია, რადგან უარყოფა თვითონ ქმნის და არის სხვაობა. აგრეთვე, შეუძლებელია სხვაობის მიღება და იგივეობის უარყოფა (ცინიკები), რადგან ასეთ შემთხვევაში აღარ გვექნებოდა სხვაობა როგორც სწორედ სხვაობა. ყოველი უარყოფა გულისხმობს სხვაობას, თუმცა ისიც (უარყოფა) თავისთავთან იგივეობრივია. ამ გარემოების — იგივეობის და სხვაობის ერთი მეორისათვის აუცილებლობის — გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ის, თუ რა არის მსჯელობა, ცნება, დასკვნა, საერთოდ ლოგიკური კავშირი. გაუგებარი იქნება ყოველგვარი მოძრაობა, პროცესი, ქმნადობა, თუ იგივეობა და სხვაობა ერთიმეორისაგან ისე გავაცალკევეთ, რომ მათი ერთიმეორისათვის აუცილებლობა უარვყავით. ყოველგვარი მოძრაობისათვის აუცილებელია იგივეობისა და სხვაობის ერთმანეთთან კავშირი.

წმინდა აბსტრაქტული იგივეობა შედეგია განსხვავების უარყოფისა, ისე როგორც პირიქით; ამიტომ ისინი ერთიმეორის საფუძველზე არსებობენ და ერთიმეორეს აუცილებლობით გულისხმობენ. ამდენად, იგივეობა და სხვაობა ფარდობითი კატეგორიებია. ამასთანავე, იგივეობისა და სხვაობის კატეგორიები, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, რეფლექსური ხასიათის კატეგორიებს წარმოადგენენ, ისინი ლოგიკურის (და არა მხოლოდ ლოგიკური) კატეგორიებია. ამავე დროს, იგივეობა ენთიმემურია — გულისხმობს განსხვავებას, ისე როგორც პირიქით.

იგივეობა, როგორც ტავტოლოგია, არის განმეორება. განმეორება კი აუცილებლობით ორს გულისხმობს. ტავტოლოგია — განმეორება რაოდენობრივ სინთეზურობას წარმოადგენს (რაოდენობასაც აქვს თავისი თვისობრიობა). სხვაობა გაურკვეველია იგივეობის გარეშე, ის არის, ასე ვთქვათ, პითაგორელების „აორისტოს დუას“. გაურკვეველია იგივეობაც სხვაობის გარეშე. ასე რომ მხოლოდ მათი აუცილებელი კავშირი შეიძლება იყოს გარკვეული. თვითეული მათგანი აუცილებელია გარკვეულობისათვის, მაგრამ არ არის საკმარისი. ასეა ლოგიკური გარკვეულობის შემთხვევაშიც. იგივეობასა და განსხვავებას, აღებულს ცალ-ცალკე, არ აქვთ დამოუკიდებლობა, ისინი ერთიმეორისათვის აუცილებელია; ამ აზრით ისინი ერთიმეორეში გადადიან. მაგ., კერძო არის კერძო ზოგადთან კავშირში და პირი-

ქით, საფუძველი საფუძველია შედეგთან კავშირში და პირიქით. მაგრამ ეს უკვე არის დაპირისპირების აუცილებლობა, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

§ 62. აუცილებელი მეორის კანონი (3)

იგივეობისა და სხვაობის ერთიმეორისათვის აუცილებლობა გულისხმობს იმას, რომ რაიმესათვის აუცილებელია მეორე. ეს კანონი უფრო ზოგადი აზრის მქონეა, ვიდრე ამის წინა კანონი.

სხვაობის კანონი იმას მოითხოვს, რომ არსებობს განსხვავება, აუცილებელია სხვაობა, სახელდობრ. ის, რომ ერთი რაიმე არ არის მეორე — სხვა და პირიქით. ასეთი სხვაობის გარეშე შეუძლებელია საერთოდ კავშირი, კერძოდ კი, ლოგიკური კავშირი. კავშირი შეუძლებელია დასაკავშირებელთა გარეშე, დასაკავშირებელნი ერთიმეორისაგან აუცილებლობით განსხვავდებიან. მაგრამ სხვაა აუცილებელი მეორის კანონი, რომელიც იმას ამბობს, რომ ერთი რაიმესათვის აუცილებელია მეორე რაიმე, ანუ ერთი რამედან მეორე წარმოიშობა აუცილებლობით, ანდა: ერთი გარდაიქმნება სხვად, ერთი აუცილებლობით დგინდება როგორც სხვა.

დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, მაშინ არის შესაძლებელი, თუ ლოგიკაში მოქმედებენ დიალექტიკის ძირითადი კანონები, რომლებიც ლოგიკურში, ცხადია, სპეციფიკურად ვლინდებიან. ჩვენი აზრით, აუცილებელი მეორის კანონი არის ლოგიკურში სპეციფიკური სახით არსებული დიალექტიკის ცნობილი კანონი რაოდენობის თვისობრიობაში და პირუკუ გადასვლისა. როგორც ცნობილია დიალექტიკის თეორიიდან, რაოდენობის თვისობრიობაში, და პირუკუ გადასვლა არის ერთი თვისობრიობის მეორე თვისობრიობაში აუცილებელი გადასვლა. ამ კანონს ადგილი აქვს ლოგიკურში არა იმ აზრით, თითქოს ლოგიკურის რაოდენობრიობა გადადიოდეს ლოგიკურის თვისობრიობაში, არამედ იმ აზრით, რომ ერთი რაიმესათვის აუცილებელია მეორე, ერთი რაიმე გადადის მეორეში. ერთი თვისობრიობის მეორეში გადასვლა სხვა არაფერია, თუ არა ახლის მიღება. აუცილებელი მეორის კანონი იგივეა, რაც ახლის მიღების კანონი, ახალთან აუცილებელი კავშირის კანონი. ახალში—სხვაში აუცილებელი გადასვლა იგივეა, რაც შინაგანი აუცილებელი კავშირი ერთისა მეორესთან.

თუ ერთი თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობა აუცილებლობით მიიღება, მაშინ, ცხადია, რომ ერთისათვის აუცილებელია მეორე. ეს მეორე ანუ სხვა არის არა საერთოდ მეორე, საერთოდ სხვა—

სულ ერთია ეს სხვა არის საერთოდ სხვა თუ საპირისპირო, — არამედ ეს არის „თავისი სხვა", „თავისი საპირისპირო". წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლობას არ ექნებოდა ადგილი; რაიმედან აუცილებლობით გამომდინარეობს, რაიმეს აუცილებლობით უკავშირდება მხოლოდ გარკვეული სხვა, სწორედ „თავისი სხვა" (ჰეგელის გამოთქმა). რაიმესათვის სხვისი აუცილებლობა ასე გამოითქმის: „თავისი სხვა". ყველაფერი ყველაფრისათვის კი არ არის აუცილებელი, არამედ რაიმესათვის აუცილებელია მხოლოდ „მისი სხვა". თუ რაიმესათვის მეორე რაიმე „მისია", მაშინ ის მისთვის აუცილებელია და პირიქით.

ერთი რაიმესათვის მეორის აუცილებლობის კანონი ზოგადი კანონია, ის არის ლოგიკურის კანონიც. მსჯელობაში „ცუგა არის ძაღლი" ანუ უფრო ზოგადად — „კერძო არის ზოგადი" სუბიექტისათვის პრედიკატი არის მისი სხვა; სუბიექტისათვის აუცილებელია პრედიკატი, კერძოსათვის — ზოგადი. სუბიექტი წარმოდგება პრედიკატის სახით; პრედიკატი იმას გამოთქვამს, რასაც სუბიექტი წარმოადგენს. სინთეზური დადებითი მსჯელობა უშუალოდ ანხორციელებს აუცილებელი მეორის კანონს. ასე ითქმის ერთი მსჯელობისათვის მეორე მსჯელობის აუცილებლობის შესახებ, წანამძღვრებისათვის დანასკვის აუცილებლობის შესახებ, ან თეზისისათვის საფუძვლის აუცილებლობის შესახებ და სხვ.

მაშასადამე, აუცილებელი მეორის კანონი აუცილებელი სინთეზის ანუ ახლის მიღების კანონია. ლოგიკური სინთეზურია, ამიტომ არსებობს და მოქმედებს მასში აუცილებელი მეორის კანონი. ლოგიკურისათვის არსებითია აუცილებელი სინთეზურობა ანუ აუცილებელი მეორის აზრი.

§ 63. დაპირისპირებულთა აუცილებლობის კანონი (9)

ეს კანონი აუცილებელი მეორის კანონის განვითარებაა, რადგან „დაპირისპირება არის დასრულებული განსხვავება". (არისტოტელე ჰეგელი[1]), ისიც შეიძლება და უნდა ითქვას, რომ დაპირისპირებულთა აუცილებლობის კანონი აუცილებელი მეორის კანონის საფუძველია, რადგან დაპირისპირება არსებითია განსხვავებისათვის; არსებითი კი არარსებითის გარკვეული საფუძველია. განსხვავებისათვის არსებითი უარყოფა უშუალოდაა განხორციელებული დაპირისპირებაში.

---

[1] არისტოტელე, მეტაფიზიკა, წიგნი X, თ. IV (1055 a 3—31); იხ. აგრეთვე, Hegel, W. d. Logik, II, გვ. 40, 1923, Lasson.

იგივეობა და სხვაობა, როგორც ვნახეთ, ერთიმეორისათვის აუცილებელია, მაგრამ ეს არის დაპირისპირებულთა აუცილებლობა, რადგან იგივეობა და სხვაობა ერთიმეორის საპირისპირო კატეგორიებია. უკვე განხილული გვაქვს იგივეობისა და სხვაობის ერთიმეორისადმი აუცილებლობა, როგორც იგივეობის და სხვაობის ცნობილი კანონების ერთიმეორისათვის აუცილებლობა, ახლა კი მხედველობაში გვექნება იგივეობისა და სხვაობის, როგორც კატეგორიების, ერთიმეორისადმი აუცილებლობა, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიმეორისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირებულთა აუცილებლობის კანონს მხედველობაში აქვს და უნდა ჰქონდეს დაპირისპირებულთა ერთიმეორისათვის მხოლოდ აუცილებლობა და არა ერთიანობა, . რომელიც პირველზე უფრო არსებითია, ძირითადია და უშუალოდ ერწყმის წინააღმდეგობის ერთიანობას. დაპირისპირებულთა ერთიმეორისათვის აუცილებლობა უარყოფითი დიალექტიკის ბუნებისაა, მაშინ როცა დაპირისპირებულთა ერთიანობა დადებით დიალექტიკას წარმოადგენს.

თუ ზედაპირზე, მოვლენებში ადგილი აქვს განსხვავებულთა კავშირს, არსებაში ანუ კატეგორიებში ადგილი აქვს დაპირისპირებულთა აუცილებლობის უშუალო განხორციელებას. აუცილებელი მეორის კანონი უფრო ზედაპირულია, ვიდრე დაპირისპირებულთა აუცილებლობის კანონი. ამიტომაა, რომ დაპირისპირებულთათვის ერთიმეორის აუცილებლობა კატეგორიების კავშირში უშუალოდ, პირდაპირ ხორციელდება. დაპირისპირებულთა აუცილებლობას ადგილი აქვს კატეგორიებში. თუ, მაგალითად, ცუგასათვის აუცილებელია რომელიმე ფერი, კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი, სახელდობრ. ერთი გარკვეული ზოგადი, თუკი, ცხადია, ვმსჯელობთ რომელიმე მსჯელობის, მაგალითად „ცუგა არის ძაღლი“-ის მიხედვით. კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი, შეფარდებითისათვის — აბსოლუტური, სასრულისათვის — უსასრულო და სხვ. და პირიქითაც. ისინი — ეს კატეგორიები ერთიმეორისათვის აუცილებელია. ეს აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, არის ერთისათვის მეორის თავიდან მოუცილებლობა (აქაა უარყოფითი დიალექტიკა); შეუძლებელია რომელიმე მათგანი, თუ არ არსებობს და არ მოიაზრება მეორე და პირიქით.

დაპირისპირებისათვის ძირითადი კატეგორიებია დადებითი და უარყოფითი, რომლებიც ლოგიკურში არსებობენ ცნებების — კატეგორიების — სახით და მათი კავშირი ხორციელდება მსჯელობებ-

სა და დასკვნებში, დასაბუთებაში. ლოგიკურში დადებითი შეუძლებელია უარყოფის მომენტის გარეშე.

დადებითი და უარყოფითი დადებითი და უარყოფითია სწორედ ერთიმეორის მიმართ; ისინი ფარდობით კატეგორიებს წარმოადგენენ. დადებითი დადებითია უარყოფითის მიმართ, უარყოფითი ასეთია სწორედ დადებითის მიმართ. მაგრამ დადებითიც უარყოფითია მისი საპირისპიროს მიმართ და უარყოფითიც დადებითია მისთვის დაპირისპირებულის მიმართ (ეს ასეა, პირველ რიგში, სწორედ მსჯელობებში, მაგრამ ამას განვიხილავთ მსჯელობის თეორიაში). აქ, ცხადია, ნათლად ჩანს დაპირისპირებულთა ერთიმეორისათვის აუცილებლობა. მაგალითად, მოძრაობისათვის აუცილებელია უძრაობა და პირიქით, რადგან უძრაობა არის მოძრაობის მომენტი და უძრაობის, სახელდობრ, შედარებითი უძრაობის გარეშე მოძრაობაც შეუძლებელია, როგორც ეს ნათლად არის დამტკიცებული მატერიალისტური დიალექტიკის თეორიაში. ასევე, როგორც ითქვა, კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი და პირიქით, — სასრულისათვის აუცილებელია უსასრულო და პირიქით; თავისუფლებისათვის აუცილებელია აუცილებლობა და პირიქით (რადგან აუცილებლობა უნდა იყოს შინაგანი და არა მხოლოდ გარეგანი, ე. ი. აუცილებლობა უნდა იყოს დამოუკიდებელი, ასე ვთქვათ, Causa sui-ს აუცილებლობა, რომელიც იგივე თავისუფლებაა, როგორც ეს პირველად სპინოზამ დაასაბუთა); აბსტრაქტულისათვის აუცილებელია კონკრეტული, რადგან აბსტრაქტული კონკრეტულის ერთ მხარეს ჰქვია; კონკრეტულისათვის აუცილებელია აბსტრაქტული, რადგან კონკრეტული აბსტრაქტულ მრავალმხრიობათა ერთიანობას წარმოადგენს (თანახმად კონკრეტულის მარქსისტული განმარტებისა). შეუძლებელია კონკრეტულის უარყოფა, რადგან: 1) ეს უარყოფაც კონკრეტული იქნება და 2) ამ უარყოფის შედეგად მიღებულიც, ასეთ შემთხვევაში, კონკრეტულად, კიდევ მეტი, ერთადერთად უნდა წარმოვიდგინოთ. შეუძლებელია აბსტრაქტულის უარყოფაც და მხოლოდ კონკრეტულის მიღება, რადგან აბსტრაქტული კონკრეტულის ერთმხრიობას ჰქვია. აბსტრაქტულიც კონკრეტულია: 1) როგორც კონკრეტულის უარყოფის შ ე დ ე გ ი (რომელიც, როგორც სწორედ შედეგი, კონკრეტულია, გარკვეული განვითარების შედეგია), 2) როგორც ცალკე — დამოუკიდებლად აღებული; (მაგალითად, ვარდის ფერი, როგორც ვარდის ერთი ნიშანი, აბსტრაქტულია, მაგრამ ის არის კონკრეტული, თუკი ის აღებულია ცალკე, როგორც ფერი, ე. ი. თუ ის განხილულია როგორც დამოუკიდებელი საგანი— ვარდისფერი როგორც ასეთი).

ლოგიკურ დაპირისპირებულთა აუცილებლობაში ხორციელდება ლოგიკური რეფლექსურობა: 1) თვითონ დაპირისპირება არის რეფლექსური, ლოგიკურის კატეგორია. დაპირისპირების უარყოფა თვითონ ქმნის დაპირისპირებას; სადაც უარყოფაა, იქ ადგილი აქვს უარსაყოფელს და უარმყოფელს, ე. ი. დაპირისპირებას; 2) კატეგორიებში დაპირისპირებულთა აუცილებლობა იმას ნიშნავს, რომ რაიმეს უარყოფა მასვე (ამ რაიმესვე) გულისხმობს აუცილებლობით; კერძოს უარყოფა ისევ კერძოს გვაძლევს და სხვ. ჩვენ აქ იმის თქმა გვინდა, რომ დაპირისპირების რეფლექსურობა პირდაპირ შეიცავს დაპირისპირებულთა ერთიმეორისათვის აუცილებლობას. დაპირისპირებულნი აუცილებელ კავშირში იმყოფებიან.

დაპირისპირებისათვის დამახასიათებლად იმას მიიჩნევენ, რომ მისი ორივე მხარე დადებითი ნიშნის მქონეა; დაპირისპირებაში ერთი მეორეს არა მხოლოდ უარყოფს, არამედ თვითონ წარმოადგენს დადებითს. მაგალითად, თეთრის საპირისპირო არის შავი, კერძოსი— ზოგადი, სასრულისა — უსასრულო (მათემატიკაში უსასრულო, როგორც ცნობილია, დადებითად არის განსაზღვრული), და სხვ. ამიტომ დაპირისპირებაში, ასე ვთქვათ, ადგილი აქვს ზედმეტ უარყოფას (მაგ., ზოგად-დადებითი მსჯელობის უარყოფა ზოგად-უარყოფითი მსჯელობით: ყველა ადამიანი სტუდენტია — არც ერთი ადამიანი არ არის სტუდენტი) და ზედმეტის უარყოფას (ზოგად-დადებითი მსჯელობის უარსაყოფად საკმარისია კერძოობით-უარყოფითი მსჯელობა, ზედმეტია ზოგად-უარყოფითი მსჯელობის მიერ შესრულებული უარყოფა). მიუხედავად აქ აღნიშნულისა, დაპირისპირება ფორმალურ ლოგიკაში განსხვავდება დაპირისპირებისაგან დიალექტიკურ ლოგიკაში, რომელსაც საქმე აქვს არა მარტო ჩვეულებრივ ცნებებთან, არამედ, ძირითადად, კატეგორიებთან. კატეგორიების დაპირისპირება, მაგალითად, კერძოსა და ზოგადის დაპირისპირება, განსხვავდება ჩვეულებრივი ცნებების, მაგალითად, თეთრისა და შავის დაპირისპირებისაგან, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ გავარჩევთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, სახელდობრ, იმას, რომ თეთრის საპირისპირო ბევრია, კერძოს საპირისპირო კი მხოლოდ ერთი ზოგადია (როგორც ეს ზემოთაც ითქვა).

ფორმალური ლოგიკისათვის მიუღებელია დაპირისპირებულთა აუცილებლობა, რადგან ის ვერ მიდის კატეგორიების ბუნების გაგებამდე, არ შემოყავს ისინი ლოგიკაში.

ეს კანონი არის არა წინააღმდეგობის (თუ დაპირისპირებულთა) ერთიანობის კანონი, რომელიც დადებითი დიალექტიკის უძირითადეს კანონს წარმოადგენს, არამედ — უარყოფითი დიალექტიკის კანონი, იმ უარყოფითი დიალექტიკისა, რომელიც დადებითი დიალექტიკის მომენტს შეადგენს. წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონი გამოთქვამს მხოლოდ იმას, რომ საწინააღმდეგონი ერთიმეორისათვის აუცილებელია (და მეტი არაფერი არ იგულისხმება ამ კანონში).

როგორც ვიცით, განსხვავებისა და დაპირისპირების მხარეები სრული სასრული ბუნებისაა, რადგან აქ უარყოფა ბოლომდე არ არის მიყვანილი. წინააღმდეგობის მხარეები კი სრულ სასრულობს წარმოადგენენ, რადგან უარყოფა ბოლომდე მიდის, ურთიერთუარყოფა, წინააღმდეგობა სასრულის ბუნებას ამოწურავს (მესამე გამორიცხულია). ამიტომ უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობის მხარეთა ერთიმეორისათვის აუცილებლობა ემყარება სასრულისათვის უსასრულოს და პირიქით აუცილებლობას. სრული სასრულონი (ასეთი მხოლოდ ორი შეიძლება იყოს) უსასრულობას ავსებენ, სახელდობრ, ავსებენ იმას, რაც წინააღმდეგობის — საწინააღმდეგო მხარეების ერთიანობა ჰქვია. ამრიგად, წინააღმდეგობის აუცილებლობის პრობლემას სასრულისათვის უსასრულოს აუცილებლობა წყვეტს.

დაპირისპირება და წინააღმდეგობა ერთიმეორისაგან, აგრეთვე, იმით განსხვავდებიან. რომ დაპირისპირებაში „არა-A" გაურკვეველია იმ მხრივ, რომ არ არის ამოწურული სიმრავლე, რომელიც „არა-A"-ს მიერ არის ნაგულისხმევი; მაგალითად, თეთრის საპირისპირო არის შავი, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთია მრავალთაგან, მრავალი ფერიდან. წინააღმდეგობაში კი ამოწურულია არსება თუ ცნება, რადგან არა-A აღებულია მთლიანად და, რაც მთავარია, იგი აღებულია როგორც ერთი გარკვეული რამ. „არა-A"-ს ასეთი გარკვეულობა ხორციელდება კატეგორიებში; კერძოს საპირისპირო მხოლოდ ზოგადია და პირიქით, სასრულის საპირისპირო მხოლოდ უსასრულოა და პირიქით, და სხვ. ამის გამო ვამბობთ იმასაც, რომ კატეგორიების სფეროში (სახელდობრ, არსების ამსახველ კატეგორიებში) დაპირისპირება და წინააღმდეგობა ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან, ისინი ერთი და იგივეა, რადგან ორივეგან მხოლოდ ორი, და ორივე გარკვეული, მხარე გვაქვს. ამიტომ ზემოთ მოყვანილი ზოგიერთი მაგალითი დაპირისპირებულთა აუცილებლობისა წინააღმდეგობის აუცილებლობის მაგალითებიცაა; მაგალითად, კერძო და ზოგადი, სასრული და უსასრულო და სხვ.

ორი ერთიმეორისადმი საწინააღმდეგოს ერთიმეორისათვის აუცილებლობა არის, უპირველეს ყოვლისა, უარყოფითი დიალექტიკა. რას წარმოადგენს უარყოფითი დიალექტიკა? ამ კითხვაზე პასუხის შინაარსი ამოწურავს წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონის ბუნებას. უარყოფით დიალექტიკას ჰეგელი უწოდებდა დიალექტიკას; მისი აზრით, უარყოფით-დიალექტიკური არის დიალექტიკური, რომელიც განსხვავდება სპეკულაციურისაგან—დადებითი დიალექტისაგან. ჰეგელის აზრით, უარყოფითი დიალექტიკის ცნება გარკვეულად წარმოიდგინა კანტმა თავის „ანტინომიებში", სადაც მან სწორედ წინააღმდეგობის აუცილებლობის შესაძლებლობა გაარკვია, მოგვცა წინააღმდეგობის აუცილებლობაზე მოძღვრება (ჰეგელის აზრით, პლატონის დიალექტიკაც უარყოფითი დიალექტიკა იყო, უარყოფითი დიალექტიკის შესანიშნავ ნიმუშს იძლევა ძენონის აპორიები და სხვ).

მართლაც, კანტმა თავის „ანტინომიებში" აჩვენა წინააღმდეგობის აუცილებლობა, სახელდობრ, უსასრულოს აუცილებლობა სასრულისათვის და პირიქით. კანტი ცდილობს დაამტკიცოს, მაგალითად, ის, რომ ქვეყანა არის სასრული, მაგრამ ამ დებულების დასაბუთების ბოლოს აუცილებლობით გამოუდის ის, რომ ქვეყანა არ არის სასრული, აუცილებელია მისი უსასრულობა. მეორე მხრივ, ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქვეყანა არის უსასრულო, მაგრამ ამის დასაბუთების ბოლოს აუცილებლობით დებულობს ქვეყნის უსასრულობის შეუძლებლობას, მისი სასრულობის აუცილებლობას. ანუ, უფრო ზუსტად: ამ პირველი ანტინომიის თეზისის (ქვეყანა სასრულია) დასაბუთების დროს გამოდის ქვეყნის უსასრულობის დამცველიდან და ამტკიცებს, რომ ეს უსასრულობა შეუძლებელია, ამიტომ ქვეყანა სასრულია; ამ ანტინომიის დასაბუთებისას ქვეყნის სასრულობის შეუძლებლობით ამტკიცებს მის უსასრულობას. ასევე იქცევა იგი სხვა ანტინომიებშიც. რთულის შეუძლებლობიდან ასკვნის მარტივის აუცილებლობაზე და პირიქით, მხოლოდ აუცილებლობის არსებობის შეუძლებლობიდან ასკვნის „თავისუფალი მიზეზობრიობის (Kausalität durch Freiheit) აუცილებლობაზე და პირიქით, და სხვ. მაშასადამე, კანტი ამტკიცებს ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო დებულებებს, ისე რომ ერთის დასაბუთებისას მეორის აუცილებლობა ჩანს და პირიქით. მაშასადამე, დასაბუთება არ დაიყვანება ბაგოგიურ გზაზე, რომლისთვისაც მთავარია საწინააღმდეგოს შეუძლებლობა, არა, კანტთან მთავარია უარყოფითი დიალექტიკა — საწინააღმდეგოს აუცილებლობა, სახელდობრ, ის, რომ რაიმეს დასა-

ბუთებისას საწინააღმდეგოს თავიდან ვერ ავიცილებთ, რაიმეს საწინააღმდეგო ამ რაიმესათვის არის გარდაუვალი (unvermeidlich). კანტი სწორედ იმას ამტკიცებდა, რომ „არსებობს წმინდა გონების ბუნებრივი და გარდუვალი დიალექტიკა“ („Es gibt also eine natürliche und unvermeidliche Dialektik der reinen Vernunft“[1]).

თუ რაიმეში შინაგანი წინააღმდეგობა აღმოჩნდა, მაშინ ამ წინააღმდეგობის ერთი მხარის შეუძლებლობა, როგორც თავისთავის უარყოფა, საპირისპიროს აუცილებლობას ადგენს, მისი საპირისპირო დგინდება უარყოფითად, დგინდება საპირისპიროს გარდუვალობა, მისი თავიდან ვერაცილება; ამ აზრით, ხორციელდება საპირისპიროს აუცილებლობა და საპირისპიროში აუცილებელი გადასვლა. მაგალითად, რაოდენობა არის წყვეტადობისა და განუწყვეტელობის წინააღმდეგობის თუ დაპირისპირების შემცველი, რადგან ის მათ ერთიანობას წარმოადგენს; წყვეტადობისათვის თავიდან მოუცილებელია განუწყვეტელობა და პირიქით (კანტის მეორე ანტინომიის შინაარსი სწორედ ესაა).

უარყოფითი დიალექტიკა მდგომარეობს საწინააღმდეგოს თავიდან აუცილებლობაში, ისე რომ რაიმე თავისი ბუნებით მოითხოვს საწინააღმდეგოს; მაგალითად, კერძოს უარყოფა, როგორც ზოგადის მიღება, აუცილებლობით მოითხოვს ისევ კერძოს. უფრო ზუსტად: კერძოს უარყოფისას გარდუვალია კერძო; ზოგადის უარყოფისას თავიდან ვერ ავიცილებთ ზოგადს (როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული). უარყოფითი დიალექტიკა მდგომარეობს რაიმეს უარყოფის შეუძლებლობაში, მის გარდუვალობაში — თავიდან მოუცილებლობაში. წინააღმდეგობის აუცილებლობა, რომელიც უარყოფით დიალექტიკას წარმოადგენს, არის საწინააღმდეგოებისათვის ერთმეორის თავიდან მოუცილებლობა, გარდუვალობა. აქ უარყოფა ადგენს იმას, რომ რაიმეს უარყოფა შეუძლებელია. აზრის ლოგიკური უარყოფა ვერ იცილებს თავიდან აზრს, რადგან ეს უარყოფა არ შეიძლება თვითონ არ იყოს აზრი, და სხვ.

თუ რაიმე გადადის თავის საწინააღმდეგოში, ეს ნიშნავს იმას, რომ რაიმე უარყოფს თავის თავს და ადგენს თავის საწინააღმდეგოს, როგორც მისთვის აუცილებელს. ამ გარემოებას ადგილი აქვს არა მარტო ლოგიკურში, არამედ სინამდვილის მოვლენებშიც. ამბობენ, რომ უკიდურესობამდე მისული სამართალი უსამართლობაა, დესპო-

[1] Kant, Kritik d. r. Vernunft², გვ. 354.

ტიზმი გადადის ხოლმე ანარქიაში და პირიქით, მეტისმეტად მახვილი იარაღი ადვილად ჩლუნგდება, დიდ სიხარულს ცრემლები მოსდევს, დიდი მწუხარება სიცილში გადადის, კომიკური ტრაგიკულის ფონზეა ნამდვილი სახით გამოვლენილი და სხვ.

უარყოფითი დიალექტიკა, როგორც წინააღმდეგობის აუცილებლობა, უნდა განვასხვაოთ სკეპტიციზმისა და სოფისტიკისაგან. სოფისტიკა წინააღმდეგობის — საწინააღმდეგოების აღრევაში მდგომარეობს, ის, როგორც ჰეგელი იტყოდა, ჩერდება უკიდურესობებზე, მას რაიმე თავისი ბუნებით არ გაჰყავს საწინააღმდეგოში. იმის თქმა, რომ სასრული იგივეა რაც უსასრულო, კერძო იგივე ზოგადია და სხვ. სკეპტიციზმია, სოფისტიკას წარმოადგენს. უარყოფითი დიალექტიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ დგინდება საწინააღმდეგოთა აუცილებლობა, ერთიმეორისათვის აუცილებელი კავშირი, მაგალითად, ის, რომ კერძოსათვის აუცილებელია მისი საპირისპირო — ზოგადი — და პირიქით; კერძო თავისი ბუნებით აუცილებლობით უკავშირდება ზოგადს და პირიქით, და სხვ.

ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ სკეპტიციზმი არ უქმდება დიალექტიკაში; სკეპტიციზმი უარყოფითი დიალექტიკის მომენტს წარმოადგენს. დიალექტიკა შეიცავს სკეპტიციზმის მომენტს, მაგრამ მასზე არ დაიყვანება.[1] ხშირად აწარმოებენ დიალექტიკის უმართებულო კრიტიკას იმით, რომ ის დაყავთ მის მომენტზე — სკეპტიციზმის მომენტზე. ეს სკეპტიციზმი იმაში მდგომარეობს, რომ უარყოფითი დიალექტიკა იძლევა უარყოფით შედეგს, რომლის ერთ მომენტსაც თავის თავის უარყოფა წარმოადგენს. ეს უარყოფითი შედეგი ისაა, რომ, მაგალითად, კერძოს უარყოფა არ შეიძლება ზოგადისათვის და პირიქით, ეს არის საწინააღმდეგოს უარყოფის შეუძლებლობა, მაგრამ კერძოს უარყოფა რომ ისევ კერძოს გვაძლევს, აქ არის მომენტი, რომელიც შეიძლება გამოითქვას ასე: კერძო არ არის კერძო, ან ზოგადის უარყოფა გვაძლევს სწორედ ზოგადის მიერ ზოგადის გაუქმებას; უსასრულო სასრულოდ წარმოდგება, სასრულო-უსასრულოდ და სხვა. უარყოფითი დიალექტიკის ეს მომენტი, აღებული თავისთავად, არის შეცდომა (კანტის Schein), შიშველი წინააღმდეგობა; რაიმეს მიერ თავისთავის გაუქმება, ცხადია, შეუძლებლობას და შეცდომას წარმოადგენს. მაგრამ სასრულისათვის უსასრულოს აუცილებლობა, კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა არ არის მხოლოდ თავის თავის გაუქმება; აქ არ არის მხოლოდ უარყო-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 14 (IV გამოც.), გვ. 165.

ფა, არამედ — უარყოფით დადგენა საწინააღმდეგოსი, საწინააღმდეგოს აუცილებლობა.

უარყოფითი დიალექტიკა დადებითი დიალექტიკის მომენტია და ამიტომ არის ის აზრის მქონე. უარყოფითი დიალექტიკის გარეშე შეუძლებელია დადებითი დიალექტიკა, მაგრამ ეს მასზე არ დაიყვანება.

უარყოფითი დიალექტიკის, როგორც საწინააღმდეგოს აუცილებლობის, გარეშე შეუძლებელია აგებსნათ, მაგალითად, მსჯელობის ბუნება, დასკვნის ხასიათი (ამის შესახებ შემდეგ), კატეგორიების გადასვლები და სხვ. წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონი სინთეზურ-ლოგიკურის ერთ-ერთი ზოგადი კანონია.

§65. აუცილებელი მესამის კანონი (11)

თუ საწინააღმდეგოთათვის აუცილებელია ერთი მეორე, მაშინ ეს აუცილებლობა, ამავე დროს, არის მითითება რაღაც მესამის აუცილებლობაზე, სახელდობრ, წინააღმდეგობის მხარეთათვის მესამის აუცილებლობაზე. ამ მესამეს უკავშირდება ის მესამე, რომელიც აუცილებელია გამორიცხული მესამის დებულებისათვის.

როგორც ვიცით, გამორიცხული მესამის დებულება გამორიცხავს მესამეს, როგორც პრედიკატს, მაგრამ ემყარება მესამეს, როგორც სუბიექტს; ეს მესამე, რომელიც ამ დებულებაში აღინიშნება სიტყვით „რაიმე", აუცილებელია წინააღმდეგობის მხარეებისათვის. „რაიმე" არის სუბიექტი, რომლის მიმართ შეიძლება ვამტკიცოთ „ანან".

გამორიცხული მესამის დებულება გამორიცხავს მესამეს როგორც პრედიკატს, რადგან წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს, წინააღმდეგობა გამორიცხავს მესამე საწინააღმდეგოს, რომელიც წინააღმდეგობაში მართლაც შეუძლებელია. ასეთი მესამის, როგორც პრედიკატის, გამორიცხვა არ უდრის მესამის, როგორც სუბიექტის გამორიცხვას. გამორიცხული მესამის დებულება, როგორც ითქვა, გამორიცხავს მესამე პრედიკატს, მაგრამ ტოვებს მესამეს როგორც სუბიექტს — „რაიმეს". მაგრამ პრედიკატი საერთოდ არის ის, რასაც სუბიექტი წარმოადგენს, პრედიკატი სუბიექტს გამოთქვამს. ამიტომ თუ პრედიკატი შეუძლებელია, მაშინ არც სუბიექტი არსებულა, არ არსებულა პრედიკატით გამოსათქმელი. ამიტომ წინააღმდეგობაში არავითარ მესამეს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, წინააღმდეგობა საერთოდ — ყოველგვარ მესამეს უნდა გამორიცხავდეს. წინააღმდეგობა

მართლაც გამორიცხავს ყოველგვარ მესამეს, რომელსაც წინააღმდეგობის ერთი მხარის ხასიათი აქვს. წინააღმდეგობაში არ არსებობს ისეთი მესამე, როგორიცაა წინააღმდეგობის ერთი მხარე, წინააღმდეგობა ორის წინააღმდეგობაა.

მაგრამ გამორიცხული მესამის დებულებისათვის აუცილებელია „რაიმე" როგორც მესამე. ამიტომ უნდა არსებობდეს აუცილებელი მესამის კანონი, რომელიც აზრს აძლევს და რომელსაც ექვემდებარება გამორიცხული მესამის დებულება. შეუძლებელია დებულება „რაიმე არის ან A, ან არა-A, მესამე გამორიცხულია", თუ აქ არ არის „რაიმე", როგორც მესამე. ასეთი მესამის გარეშე შეუძლებელია წინააღმდეგობა, შეუძლებელია საწინააღმდეგო პრედიკატების შესახებ ლაპარაკი. მართალია, არ არსებობს მესამე საწინააღმდეგო პრედიკატი, მაგრამ ორ საწინააღმდეგო პრედიკატს, ან რაიმე ერთ პრედიკატს ხომ სჭირდება სუბიექტი, სჭირდება ის, რაც მან უნდა გამოთქვას. ასეთი სუბიექტის აუცილებლობა კიდევ უფრო ცხადია, როცა ლაპარაკია ორ შესაძლებელ საწინააღმდეგო პრედიკატზე, როგორც ამას ადგილი აქვს გამორიცხული მესამის დებულებაში. ამიტომ უნდა არსებობდეს მესამე, როგორც სუბიექტი, და აუცილებელია აუცილებელი მესამის აღიარება, ე. ი. აუცილებელი ყოფილა აუცილებელი მესამის კანონის მიღება.

შესაძლებელი თუ ნამდვილი წინააღმდეგობისათვის მართლაც აუცილებელია „მესამე", რადგან წინააღმდეგობის მხარეების მიმართ თვითონ წინააღმდეგობა ხომ მესამეს წარმოადგენს? წინააღმდეგობა არის ერთი, განუყოფელი კატეგორია. წინააღმდეგობის აზრი არ იყოფა ორად იმის გამო, რომ მას აქვს ორი მხარე, რომელთა მიმართ ის არის მესამე. თვითონ „ან-ან"-ია მესამე მისი მხარეების მიმართ. მათემატიკურ ლოგიკაში AvĀ არის სწორედ მესამე მისი მხარეების მიმართ, რადგან სწორედ ის და არა მისი მხარეებია ყოველთჳს ჭეშმარიტი დებულება. ყოველ მსჯელობაში მოქმედებს ასეთი მესამის აუცილებლობა, აუცილებელი მესამის კანონი, რადგან თვითონ მსჯელობა, როგორც ერთი აზრი, არის მესამე მისი მხარეების — სუბიექტისა და პრედიკატის მიმართ. თუ მსჯელობისათვის აუცილებელია ასეთი მესამე და ამ მესამის კანონი, მაშინ ის აუცილებელი იქნება ყოველი დასკვნისა და საერთოდ დასაბუთებისათვის, მთელი ლოგიკისათვის.

გამორიცხული მესამის დებულება გამორიცხავს გარკვეულ მესამეს და არა საერთოდ მესამეს, რადგან „ან-ან"-ი თვითონ არის მესამე. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი გამორიცხავს მეორეს, სახელდობრ, საწინააღმდეგოს, აღიარებს წინააღმდეგობის შე-

უძლებლობას, მაგრამ აუცილებლობით მოიხმარს წინააღმდეგობის კატეგორიას. რაიმე წინააღმდეგობის შეცდომად აღიარება, ცხადია, არ ნიშნავს საერთოდ წინააღმდეგობის შეცდომად აღიარებას. უნდა იცოდე, თუ რა არის წინააღმდეგობა, ე. ი. უნდა გქონდეს წინააღმდეგობის ჰეშმარიტი აზრი, რომ ილაპარაკო წინააღმდეგობაზე როგორც შეცდომაზე. ეს უკანასკნელი პირველს ეყრდნობა, როგორც შეცდომა — ჰეშმარიტებას. მხოლოდ ჰეშმარიტებით განიზომება ის, თუ რა არის შეცდომა.

§ 66. აუცილებელი პირველის კანონი (12)

ის „მესამე", რომელზედაც ახლა გვქონდა საუბარი და გამორიცხული მესამის დებულების „რაიმე", როგორც „მესამე", არ არის ერთი და იგივე, თუმცა ისინი წინა ნ-ში ერთ სიბრტყეზე განვიხილეთ, ერთიმეორისაგან არ განვასხვავეთ; როგორც ითქვა, წინააღმდეგობისათვის შეუძლებელია მესამე, როგორც წინააღმდეგობის ერთი მხარე; წინააღმდეგობისათვის შეუძლებელია მესამე, როგორც წინააღმდეგობის გაერთიანება — საწინააღმდეგო მხარეების ერთიმეორესთან გაიგივება, ერთიმეორესთან შერევა, რაც, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, სოფისტიკას წარმოადგენს. წინააღმდეგობისათვის აუცილებელია „მესამე", როგორც თვითონ წინააღმდეგობა. მაგრამ სხვაა გამორიცხული მესამის „რაიმე". ეს არის არა მხოლოდ მესამე, არამედ პირველიც წინააღმდეგობისათვის. ის სუბიექტი, რომელიც გამორიცხული მესამის „რაიმე"-თი აღინიშნება, არის ძირი წინააღმდეგობისა. ეს არის ის, რომლის მიმართ შესაძლებელია ერთიმეორის საწინააღმდეგო პრედიკატები, თანაბმად გამორიცხული მესამის დებულებისა; წინააღმდეგობის ძირი არის წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც მისი საფუძველი. წინააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე. ერთიანობის გარეშე წინააღმდეგობა შეუძლებელია, მაშასადამე, წინააღმდეგობისათვის აუცილებელია არა მხოლოდ მესამე, რომელსაც წინააღმდეგობის მხარეების მიმართ თვითონ წინააღმდეგობა წარმოადგენს, არამედ პირველიც, რომელიც წინააღმდეგობის ძირი, საფუძველია. ამიტომ არსებობს აუცილებელი პირველი და ლოგიკაში მოქმედებს აუცილებელი პირველის კანონი. ამრიგად, ერთიმეორისაგან განსხვავდება აუცილებელი მესამის კანონი და აუცილებელი პირველის კანონი.

დიალექტიკური წინააღმდეგობა, შინაგანი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ცნობილია, არის „ერთიანის გაორება" (ვ. ი. ლენინი) და არა ორის შეერთება. ერთიანის გაორე-

ბაში ერთიანი არის გაორების ძირი, საფუძველი, გაორებისათვის ანუ წინააღმდეგობისათვის პირველი. წინააღმდეგობა არის უარყოფითობა, საბელდობრ, ურთიერთუარყოფა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის დადებითს ეყრდნობა. წმინდა წინააღმდეგობა, წმინდა ურთიერთუარყოფა შეუძლებელია; ის შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ისეთი რაიმე, რომელიც მას „უძლებს", მას თავისთავში ინახავს. შესაძლებელია შინაგანი წინააღმდეგობა (გარეგანი მას ეყრდნობა, მეორადია). წინააღმდეგობა შესაძლებელია, თუ არსებობს მისთვის პირველი, წინააღმდეგ შეშთხვევაში, წინააღმდეგობა არც განხორციელდება. წინააღმდეგობა, ასე ვთქვათ, ერთის გარშემო ტრიალებს. ორი ერთიმეორის წინააღმდეგ მებრძოლი თუ მოკამათე მაშინ არიან ასეთი, თუ არსებობს საერთო, ერთი საბრძოლო და საკამათო, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლას და კამათს აზრი დაეკარგება. ეს უხეში მაგალითიც კი მოწმობს იმას, რომ წინააღმდეგობისათვის აუცილებელია ერთი ძირი. მაშასადამე, თუ დიალექტიკა არის ერთიანის გაორება, ცხადია, რომ წინააღმდეგობისათვის აუცილებელია ერთიანი.

აუცილებელ პირველს მოითხოვს: 1) წინააღმდეგობა საკუთარი შესაძლებლობისათვის და არსებობისათვის; 2) დიალექტიკურ-ლოგიკური, მაგალითად, ა) ლოგიკურის კატეგორიები, როგორც ისეთნი, როცა ხორციელდება რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით, ბ) საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობა — „კერძო არის ზოგადი" და „კერძო არ არის ზოგადი" — ორივე ეს მსჯელობა აუცილებელია კერძოსა და ზოგადის ერთიანობისათვის, და ეს ერთიანობა მათვის, გ) ინდუქციისა და დედუქციის ერთიანობისათვის აუცილებელია კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, და სხვ. მთელი ჩვენი ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა ამ გარემოების ნათელყოფა — გაშლა, დასაბუთება. შემდგომ ყოველმხრივ დასაბუთდება ის, რომ მსჯელობა, დასკვნა, დასაბუთება აუცილებლობით მოითხოვს ლოგიკურ ერთიანის გაორებას, რომელიც რეალური ერთიანის გაორების ასახვა იქნება. უბრალო მსჯელობა, როგორც კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, სხვა არაფერია, თუ არა ერთიანის გაორება, სადაც, ცხადია, მოქმედებს აუცილებელი პირველის ლოგიკური კანონი. „ცუგა არის ძაღლი", როგორც „კერძო არის ზოგადი" შესაძლებელია მხოლოდ იმით, რომ არსებობს კერძოსა და ზოგადისათვის პირველი, როგორც მათი ერთიანობა, რომელიც მათ საფუძველს წარმოადგენს და სხვ.

რადგან გამორიცხული მესამის დებულება გამორიცხავს მესამე პრედიკატს, მაგრამ რაღაც მესამის აუცილებლობას მაინც მოითხოვს, ამიტომ, ცხადია, რომ აუცილებელია ორიც — წინააღმდეგობის მხარეები, ე. ი. თვითონ წინააღმდეგობა. ურთიერთგამორიცხვა არის წინააღმდეგობა, სახელდობრ, წინააღმდეგობის ორი მხარის ურთიერთგამორიცხვა. ფაქტია, რომ დებულებები ერთიმეორეს გამორიცხავენ, რომ არსებობს ურთიერთგამომრიცხავი დებულებები, ერთიმეორის საწინააღმდეგო კატეგორიები და სხვ. ამიტომ ლოგიკურში მოქმედებს ურთიერთგამორიცხვა, როგორც ერთ-ერთი გარკვეული კანონი. თუ რაიმე შეცდომაა, თუ რაიმე წინააღმდეგობა შეუძლებელია, ეს ნიშნავს იმას,რომ აქ, როგორც ითქვა, გამოყენებულია წინააღმდეგობის, კერძოდ, წინააღმდეგობის მხარეების ურთიერთგამორიცხვის აზრი; წინააღმდეგობა, ურთიერთგამორიცხვა თვითონ აღარაა შეცდომა. წინააღმდეგობის კატეგორიას ემყარება ყოველი წინააღმდეგობა და ყოველი ურთიერთგამორიცხვა. ყოველი ურთიერთგამორიცხვა შესაძლებელია საერთოდ ურთიერთგამორიცხვის საფუძველზე.

უარყოფა წინააღმდეგობას არსებაა, მაგრამ წინააღმდეგობა არ არის ერთმხრივი უარყოფა, იგი ორმხრივ უარყოფას წარმოადგენს. ამიტომ არსებობს არა მარტო უარყოფის კანონი, არამედ ურთიერთუარყოფის კანონიც, რომელიც ითვალისწინებს და შეიცავს არა მარტო ერთმხრივ უარყოფას, არამედ შებრუნებულ უარყოფასაც: რაიმე უარყოფს მეორეს და პირიქით. ერთი გარემოებაა ის, რომ რაიმე უარყოფს სხვას, მაგრამ მეორეა ის, რომ ეს სხვა, როგორც მეორე რაიმე, უარყოფს პირველს. ურთიერთუარყოფა განსხვავდება ერთმხრივი უარყოფისაგან, ის შეიცავს თავისებურებას (რაც სრულის სახით წარმოდგება ურთიერთდადგენასთან კავშირში. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი).

ურთიერთუარყოფის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: კონტრადიქტორული მსჯელობები ერთიმეორეს უარყოფენ; თვითონ დადებითი და უარყოფითი მსჯელობების აზრები ერთიმეორის უარმყოფელი აზრებია; ერთიმეორეს უარყოფენ კერძო და ზოგადი, აუცილებლობა და თავისუფლება, საბრული და უსაბრულო და სხვ. (ესენი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, არა მხოლოდ უარყოფენ ერთიმეორეს). კ. მარქსის „კაპიტალში" კაპიტალის ცნება შეიცავს ურთიერთუარმყოფელ მხარეებს, რომლებიც მარქსს ასე აქვს გამოთქმული: კაპიტალი წარმოიშობა მიმოქცევიდან და არც წარმო-

იშობა მიმოქცევიდან, კაპიტალი წარმოიშობა წარმოებიდან და არც მხოლოდ წარმოებიდან წარმოიშობა და სხვ.

წინააღმდეგობა ლოგიკურში აუცილებლად მოქმედებს იმის გამო, რომ წინააღმდეგობა აბსოლუტურია, რაც ლოგიკურშიც მოქმედებს, რადგან წინააღმდეგობის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, იმიტომ, რომ ეს უარყოფა თვითონ ქმნის წინააღმდეგობას. ამიტომ ის არის ძირი, საფუძველ-საშუალება, რომელიც მოიხმარება ყველგან და საკუთარი თავის მიმართაც.

ურთიერთგამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს დადებითობა, სახელდობრ, თუ ურთიერთგამომრიცხავები რაღაც დადებითი აზრის მქონენი არიან; წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთგამორიცხვა არ განხორციელდება. ამიტომ ურთიერთგამორიცხვის კანონი არის ერთ-ერთი კანონი, რომელიც აუცილებლობით მოითხოვს და გულისხმობს სხვა კანონს თუ კანონებს.

§ 68. დადგენით უარყოფის კანონი (14)

ლოგიკურისათვის ელემენტარულ დებულებას წარმოადგენს დებულება, რომ თუ რაიმე არის ეს, მაშინ ის არ არის სხვა. რაიმეს ასე დადგენა გამორიცხავს მის სხვაგვარად დადგენას. თუ ფორმალურ ლოგიკაში ეს „სხვა" გაურკვეველია, დიალექტიკაში ის გარკვეულია, ანუ სხვანაირად: ეს „სხვა" გარკვეულ სფეროში, სახელდობრ, კატეგორიების სფეროშია გარკვეული; ჩვეულებრივი — ფორმალურ-ლოგიკური — ცნების სფეროში კი იგი გაურკვეველია, თუმცა უკანასკნელი პირველს არის დაქვემდებარებული; ამდენად ერთიანი ლოგიკა არა მარტო საჭირო და შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ რაიმეს დადგენა არის სხვისი უარყოფა (ისე როგორც პირიქით). უფრო ზუსტად: უარყოფა ხდება დადგენით. ამიტომ უნდა არსებობდეს და არსებობს დადგენის საშუალებით უარყოფის კანონი — დადგენით უარყოფის კანონი, რომელიც მოქმედებს მსჯელობებში, დასკვნებში, დასაბუთებაში, როგორც ამ ფორმებისათვის ზოგადი კანონი. მაგალითად, კერძოს დადგენა არის სხვისი, სახელდობრ, ზოგადის უარყოფა და პირიქით; თუ რაიმე არის კერძო, მაშინ ის არ არის ზოგადი და პირიქით; რამდენადაც რაიმე არის ზოგადი, იმდენად ის არ არის კერძო (იხ. ზემოთ ზოგადის ბუნების შესახებ). სასრულის დადგენა უსასრულოს უარყოფაა და უსასრულოს დადგენა სასრულის უარყოფას წარმოადგენს და სხვ.

დადგენა აუცილებელ ერთიანობაშია უარყოფასთან, დადგენის ფორმა—უარყოფის ფორმასთან (ფიხტეს მიერ ნაჩვენები სიძნელე), დადებითი მსჯელობა — უარყოფით მსჯელობასთან. დადგენა ამავე დროს არის უარყოფაც; 1) რაიმეს დადგენა სხვისი უარყოფაა, 2) ის თავის თავის უარყოფასაც წარმოადგენს, რამდენადაც დადგენა და დადგენილი არის გარკვეული განსაზღვრულობა, რომელსაც უარყოფის მომენტი აუცილებლობით ახასიათებს (omnis determinatio est negatio). აქ უარყოფა დადგენაშია, რადგან დადგენა არის სხვისი უარყოფა, მაგრამ ეს სხვა შეიძლება იყოს იმაში, რის „სხვასაც" ის წარმოადგენს. მაგალითად, მსჯელობაში მხოლოდ სუბიექტის დადგენა და პრედიკატის უარყოფა უარყოფს თვითონ სუბიექტს (ამიტომ მთლიანად მსჯელობასაც, თუმცა უარყოფა თვითონ არის მსჯელობა), რადგან მხოლოდ სუბიექტი — უპრედიკატო სუბიექტი არ არის სუბიექტი. ასე ითქმის პრედიკატის შესახებაც: მხოლოდ პრედიკატი, მხოლოდ პრედიკატის დადგენა თვითონ პრედიკატისვე უარყოფაა, რადგან პრედიკატი სწორედ სუბიექტის პრედიკატს ჰქვია. მხოლოდ საფუძვლის დადგენა (და შედეგის უარყოფა) თვითონ საფუძვლის უარყოფას წარმოადგენს, რადგან საფუძველი სწორედ შედეგის საფუძველს ჰქვია (ლოგიკური კავშირი ორივეა, რაც საფუძველ-შედეგის კავშირი, ამიტომ აღნიშნულ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ლოგიკისათვის). მხოლოდ კერძოს დადგენა თვითონ კერძოს უარყოფაა, მხოლოდ ზოგადის დადგენა ამ ზოგადს კერძოდ აქცევს (როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული), და სხვა. ამიტომ აქ რაიმეს დადგენა არის სხვაში გადასვლა, მისი უარყოფა და სხვისი დადგენაც.

დადგენა და უარყოფა ფარდობითი ცნებებია, ისე როგორც დადებითი და უარყოფითი. ეს კანონი კიდევ უკეთ იქნება გაგებული მისი შებრუნებული დებულების გარკვევისას.

§ 69. უარყოფით დადგენის კანონი (15)

ცნობილია, რომ რომელიმე დებულების ჭეშმარიტების უარყოფა, ე. ი. დებულების მცდარობა ადგენს საწინააღმდეგო დებულების ჭეშმარიტებას და პირიქით. თუ კერძოობით-უარყოფითი მსჯელობა მცდარია, მაშინ ჭეშმარიტია ზოგად-დადებითი მსჯელობა და პირიქით. ცხადია, შესაძლებელია და მოიხმარება ისეთი უარყოფაც, რომელიც არ ადგენს სხვას, მაგრამ ლოგიკური კავშირისათვის არსებითია, უფრო ძირითადია, რაიმეს უარყოფით სხვისი (ან თავის თავის) დადგენა.

რაიმე არის ეს და არა სხვა იმის გამო, რომ ეს სწორედ არ არის სხვა; რომ რაიმე არ არის სხვა, სწორედ ამის გამო ეს არის ეს. ვარდი წითელია იმის გამო, რომ ის სხვა ფერის არაა; თუ ვარდი არავითარი სხვა ფერის არაა, გარდა წითელისა, მაშინ, ცხადია, რომ ის წითელია. ფორმალურ-ლოგიკური უსასრულო მსჯელობა, ე. ი. პრედიკატების უარყოფა ადგენს რაღაც დადებითს; ეს დადგენა განბორციელდება, თუ პრედიკატები სასრულია; თუ პრედიკატები უსასრულოა, მაშინ რაიმეს მიმართ პრედიკატის დადებითი მიწერა მიზნად რჩება, მაგრამ ასეთი მიწერით აქვს აზრი უარყოფით პრედიკატს. მაგრამ გარკვეულ სფეროში ერთი უარყოფითი პრედიკატიც საკმარისია დადებითის მიწერისათვის; მაგალითად, თუ რაიმე არ არის ზოგადი, მაშინ ის არის კერძო; თუ რაიმე არ არის სასრული, ის უსასრულოა და პირიქით. ასეთ შემთხვევაში საკითხი არსებითად წყდება. ასეთ შემთხვევებს ექვემდებარება ისეთი უსასრულო მსჯელობის აზრი, სადაც უსასრულო უარყოფითი პრედიკატები გვაქვს, რადგან უარყოფითების სიმრავლე არსებითად ერთი უარყოფითობაა.

A არის A იმის გამო, რომ ის არ არის არა-A; არა-A-ს გამოა A სწორედ A. A-ს ცნება აუცილებლობით გულისხმობს მისი საწინააღმდეგოს ნიშანს, როგორც გარკვეულ უარყოფას. ასევე, არა-A აუცილებლობით გულისხმობს A-ს, ის ხომ არის სწორედ არა-A. ეს გარემოება საპირისპირო კატეგორიებში სისრულით ხორციელდება: არაკერძო არის ზოგადი, არაზოგადი არის კერძო და სხვ.

როგორც ცნობილია, მატერიალისტური დიალექტიკისათვის საყოველთაოდ მისაღებია დებულება, რომ ყოველი განსაზღვრება არის უარყოფა (omnis determinatio est negatio). რაიმეს განსაზღვრა თუ განსაზღვრულობა იქმნება მასში არსებული უარყოფით. ეს არის ეს იმის გამო, რომ ის არ არის სხვა და ეს სხვა არის მასშივე. ეს არის ეს იმიტომ, რომ მასში არის უარყოფა, რომელიც მას განსაზღვრავს; სიცოცხლეში სიკვდილის მომენტია, კაპიტალიზმში მისი მესაფლავეა, შეფარდებითში არაშეფარდებითია (შეფარდებითი ჰეშმარიტება აბსოლუტურის შემცველია) და სხვ.

უარყოფით დადგენა სისრულით კატეგორიებში ხორციელდება, სახელდობრ, საპირისპირო კატეგორიების კავშირში. როგორც ითქვა, თუ რაიმე არ არის სასრული, მაშინ ის არის უსასრულო; თუ რაიმე არ არის კერძო, მაშინ ის არის ზოგადი და სხვ., მაგრამ სასრული ასეთია სწორედ იმით, რომ ის უსასრულოს, როგორც მის უარყოფას, შეიცავს, სასრულის ცნება უსასრულოს ცნებას აუცილებლობით გულისხმობს. კერძოს ცნება ზოგადის ცნების ნიშანსაც

შეიცავს იმ აზრით, რომ კერძო არის კერძო სწორედ ზოგადობის გამო. კერძოში რომ ზოგადი არ იყოს ნაგულისხმევი, მაშინ ის კერძო არ იქნებოდა; კერძოს აზრი აქვს მისი საპირისპიროთი, მისი უარმყოფელით; კერძო დგინდება მისი უარყოფით — ზოგადით, ზოგადი კი მისი უარყოფით — კერძოთი დგინდება. შეფარდებითი სწორედ აბსოლუტურით არის შეფარდებითი. შეფარდებითი ჭეშმარიტება არ იქნება ჭეშმარიტება. თუ ის მხოლოდ შეფარდებითია და არაა ამავე დროს შეფარდებითის უარმყოფელიც — აბსოლუტური.

მაშასადამე, თუ დადგენა უარყოფს, უარყოფა ადგენს.

§ 70. ურთიერთდადგენის კანონი (16)

ფორმალურ ლოგიკაში დასაბუთებულია ის, თუ როგორ ხდება ერთი დადებითით მეორე დადებითის დადგენა; დადებითი დანასკვის წანამძღვრები დადებითი უნდა იყოს; დადებითი საფუძველი დადებით შედეგს გვაძლევს; საფუძვლის დადგენა აუცილებლობით იწვევს შედეგის დადგენას. ასევე, უარყოფითი შედეგისათვის, როგორც ამას არისტოტელე ამბობდა, აუცილებელია დადებითიც და უარყოფითიც. თუ წანამძღვრებში არ არის, დადებითს გარდა, უარყოფითიც, ისე უარყოფითი დანასკვი არ მიიღება. ესეც საფუძვლის დადგენით შედეგის დადგენას წარმოადგენს.

მაგრამ ფორმალური ლოგიკისათვის მიუღებელია აქ აღნიშნული დებულების შებრუნება, შეცდომად არის მიჩნეული დადებით-რეგრესული მოდუსი პირობით-კატეგორიულ სილოგიზმში; შეცდომად და შეუძლებლად არის მიჩნეული შედეგის დადგენით საფუძვლის დადგენა, რადგან რომელიმე დებულების დასაბუთება შეიძლება შესრულდეს სხვადასხვა დებულებების საფუძველზე. რომელთაგან ერთი მათგანის აუცილებელი მიღება არ ხდება. ამიტომაა, რომ ფორმალურ ლოგიკაში დასაბუთების გზა — გზა თეზისიდან საფუძვლისაკენ არ არის ლოგიკური აუცილებლობის ბუნების მქონე გზა; თეზისიდან საფუძვლის აუცილებელი მიღება არ ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში. გვექნებოდა ისევ საფუძვლიდან შედეგის მიღება (თეზისი საფუძვლად იქნებოდა აღებული).

მაშასადამე, ფორმალური ლოგიკის ფარგლებში არ ხორციელდება ურთიერთდადგენა, იმიტომაც, რომ რაიმეთი მეორის დადგენა და პირიქით — ამ მეორით პირველის დადგენა ერთი და იგივეა საბოლოოდ, ეს არის საფუძვლის დადგენით შედეგის დადგენა (სულ ერთია, თუ რომელი დებულება თუ დებულებები იქნება აღებული

საფუძვლად, მაგრამ ამისთვის, ცხადია, აუცილებელია ის, რომ რომელიმე დებულება ან დებულებები გამოდგეს საფუძვლად, სხვა კი შედეგად).

დიალექტიკურ ლოგიკაში, ცხადია, მისაღებია ის, რაც ამ (ზემოთ აღნიშნულის) მხრივ გაკეთებულია, სახელდობრ, მისაღებია: 1) საფუძვლის დადგენით შედეგის დადგენა და 2) შედეგის უარყოფით საფუძვლის უარყოფა; მაგრამ დიალექტიკური ლოგიკა, აფართოებს რა ლოგიკის სფეროს, იმასაც ასაბუთებს, რომ შესაძლებელია ურთიერთდადგენა, რომლის ერთ მომენტსაც ფორმალურ ლოგიკაში გარკვეული ახლა აღნიშნული დებულებები წარმოადგენენ.

ურთიერთდადგენა შეიძლება შესრულდეს უარყოფის საშუალებით. სწორედ ეს არის მთავარი ურთიერთდადგენისათვის. ურთიერთდადგენა დიალექტიკურ-ლოგიკურის ნიმუშს წარმოადგენს. ურთიერთდადგენა სრულად ხორციელდება კატეგორიებში, სადაც პირდაპირ მოქმედებს წინააღმდეგობის ერთიანობა, სადაც წინააღმდეგობის ერთი მხარე მეორეს არა მხოლოდ უარყოფს, არამედ ადგენს კიდეც, სადაც ურთიერთდადგენა ურთიერთუარყოფით ხორციელდება. თუ ერთი რაიმეს დადგენა მეორის უარყოფაა და ერთის უარყოფა მეორის დადგენას წარმოადგენს, მაშინ ისინი ამ უარყოფის საშუალებით ადგენენ ერთიმეორეს. მაგალითად, კერძო და ზოგადი აუცილებელ ერთიანობაშია; კერძოს და ზოგადის აუცილებელი ერთიანობა დაპირისპირებულთა ერთიანობაა, სადაც კერძო უარყოფს ზოგადს და პირიქით (ამის გარეშე დაპირისპირება არც იარსებებდა). მაგრამ კერძოს უარმყოფელი ზოგადი თვითონ არის კერძო და პირიქითაც (როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული); ამიტომ კერძოს უარყოფა ზოგადია, რომელიც კერძოს ადგენს. კერძო უარყოფს ზოგადს და პირიქით, მაგრამ ამ უარყოფით ერთი მეორესაც ადგენენ; თავის თავს ადგენენ იმად, რაც მათთვის საპირისპიროა. კერძო და ზოგადი ერთიმეორის უარყოფით ურთიერთს ადგენენ. ასე ითქმის სასრულის და უსასრულოს და სხვათა ურთიერთდადგენის შესახებაც.

საფუძველი ადგენს შედეგს, მაგრამ შედეგიც ადგენს საფუძველს, რადგან შედეგი აუცილებლობით არის სწორედ საფუძვლის შედეგი, ისე როგორც საფუძველი შედეგის საფუძველს წარმოადგენს. თუ კერძოს საფუძველზე ზოგადი მიიღება, მაშინ ისიც შეიძლება, რომ ზოგადის საფუძველზე მივიღოთ შედეგი. კერძოს უარყოფა, როგორც ითქვა, ზოგადს გვაძლევს და პირიქით. აქ შებრუნება ხდება უარყოფის საშუალებით.

საფუძველ-შედეგის შებრუნება უცხოა ფორმალური ლოგიკისათვის; მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალურ-ლოგიკური ინდუქცია, როგორც კერძოდან ზოგადზე გადასვლა, ეს არის საფუძველზე გადასვლა, რამდენადაც აქ კერძოს საფუძვლად ზოგადი აღებული. ამიტომ რედუქცია პირდაპირ მოითხოვს შედეგიდან საფუძველზე გადასვლას და სხვ. (დედუქცია ხშირად გაგებულია, როგორც შედეგის საფუძველში გამართლება; ამასთანავე, დედუქცია, როგორც ამას შემდეგ გავარკვევთ, აუცილებლობით მოითხოვს მისი საფუძვლის მიღებას დასკვნის წესით. ე. ი. ინდუქციის ლოგიკურ მეთოდად გამართლებას).

ამრიგად, ურთიერთდადგენის კანონი ლოგიკურის ერთ-ერთ კანონს წარმოადგენს.

§ 71. უარყოფის უარყოფის კანონი (17)

როგორც ითქვა, დიალექტიკის ერთი ძირითადი კანონი, სახელდობრ, რაოდენობის თვისობრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი ლოგიკურში მოქმედებს, როგორც აუცილებელი მეორის თუ ახლის მიღების კანონი (ანუ აუცილებელი სინთეზის კანონი). ასევე თავისებური სახით მოქმედებს ლოგიკურში დიალექტიკის მეორე ძირითადი კანონი — უარყოფის უარყოფის კანონი. თუ სინამდვილის დიალექტიკის სფეროში უარყოფის უარყოფა აღმავალ განვითარებას ნიშნავს, ე. ი. განვითარების აღმავალი საფეხურების ამბსნელ კანონს წარმოადგენს, ლოგიკის სფეროში უარყოფის უარყოფის კანონი, პირველ რიგში, წინააღმდეგობის ბუნების ერთი არსებითი მხარის გამომთქმელ კანონს წარმოადგენს. წინააღმდეგობის ბუნების ის მხარე, რომელსაც ლოგიკური უარყოფის უარყოფის კანონი გამოხატავს. მოქმედებს ლოგიკურ მოხსნა-შენახვაში, როგორც ლოგიკურ აღმავალ განვითარებაში. ასე რომ უარყოფის უარყოფის კანონი, როგორც სინამდვილეში მოქმედი კანონი და როგორც ლოგიკურში მოქმედი კანონი, როგორც კანონები, ერთიმეორისაგან უფრო ნაკლებად განსხვავდებიან, ვიდრე რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის და აუცილებელი მეორის ანუ ახლის მიღების კანონები.

მაგალითად, ზოგადი არის კერძოს უარყოფა, კერძო კი არის ზოგადის უარყოფა, ე. ი. კერძო არის მისი უარყოფის უარყოფა, ასევე ზოგადიც თავისი უარყოფის უარყოფაა. ასე ითქმის სასრულის და უსასრულოს, შეფარდებითისა და აბსოლუტურის და სხვ. შე-

სახებაც. ამავე დროს ზოგადის და კერძოს აქ აღნიშნული უარყოფები იძლევა, როგორც ამას ქვემოთ უფრო გავარკვევთ, მათ აუცილებელ ერთიანობას, რომელშიც მოხსნილი სახით — მომენტების სახით არის შენახული როგორც კერძო ისე ზოგადი (ის ზოგადი, რომელიც კერძოსადმია დაპირისპირებული). სინთეზური დადებითი მსჯელობის (მაგალითად, „კერძო არის ზოგადი“) უარყოფითი მხარე გამოითქმება უარყოფითი მსჯელობით („კერძო არ არის ზოგადი“). მათი ერთიანობა, როგორც შუალობითი კავშირი — დასკვნა, შეიცავს მათ მოხსნილ-შენახული სახით (ეს გარემოება შემდგომ სპეციალურად იქნება შესწავლილი). დადებითი და უარყოფითი ლოგიკური ფორმების ლოგიკური აუცილებელი კავშირი შეუძლებელია ახსნილ იქნეს უარყოფის უარყოფის ლოგიკური კანონის გარეშე. დადებითობა და უარყოფითობა ერთიმეორის უარყოფებს წარმოადგენენ; მათი ერთიანობა კი მათზე უფრო მაღალი საფეხურია, და მოხსნა-შენახვა, რომელიც აქ მოქმედებს, ლოგიკურ განვითარებას, სწორედ აღმავალ განვითარებას (სხვანაირი განვითარება არ არსებობს) წარმოადგენს.

ლოგიკური უარყოფის უარყოფის კანონი თავისებური ორმაგი უარყოფის კანონია: უარყოფის უარყოფა ორმაგ უარყოფას წარმოადგენს. მაგრამ იგი განსხვავდება ფორმალურ ლოგიკაში, კერძოდ, მათემატიკურ ლოგიკაში მოხმარებული ორმაგი უარყოფის კანონისაგან. ფორმალურ ლოგიკაში ორმაგი უარყოფა ისევ პირველ უარსაყოფელს იძლევა, ე. ი. განმეორებას წარმოადგენს: A-ს უარყოფის უარყოფა არის ისევ A და მეტი არაფერი; დიალექტიკურ ლოგიკაში კი ორმაგი უარყოფა არის მოხსნა-შენახვა — განვითარება, არა მხოლოდ მეორის — ახლის მიღება, რომელსაც გვიხსნის აუცილებელი მეორის კანონი, არამედ უფრო მაღალი მეორის (თუ მესამის) — უფრო მაღალი ახლის მიღება, აუცილებელი სინთეზის სრულად განხორციელება. უარყოფის უარყოფა იძლევა დადებით შედეგს,[1] მაგრამ არა როგორც განმეორებას, არამედ უფრო მაღალ დადებით შედეგს, რაც სწორედ უარყოფის უარყოფის საშუალებით მიიღება.

უარყოფის უარყოფა დადებითია, მაგრამ არაა პირველი უარსაყოფელის მხოლოდ აღდგენა, ის განვითარებაა, რადგან უარყოფაც შენახულია; ეს ასეა, რადგან უარყოფა ადგენს — ასაბუთებს, დასაბუთებული კი ლოგიკურად უფრო მაღალია დასაბუთებელზე.

წინააღმდეგობაში მისი თვითეული მხარე არის მეორე მხარის, როგორც მისი უარყოფის, უარყოფა, ე. ი. თვითეული მათგანი უარ-

[1] იხ. კ. მარქსი, მათემატიკური ხელნაწერები, გვ 6.

ყოფის უარყოფაა. ამიტომ წინააღმდეგობა წარმოადგენს არა მხოლოდ უარყოფის უარყოფას, არამედ ორმაგ უარყოფის უარყოფას. როგორც ითქვა, კერძო არის მისი უარყოფის — ზოგადის უარყოფა, ე. ი. კერძო არის კერძოს უარყოფის უარყოფა, მაგრამ ამ უარყოფაა ნაგულისხმევი — შენახული აქვს ზოგადი. ასევე: ზოგადი არის მისი უარყოფის უარყოფა, მაგრამ შენახულია კერძოც. როგორც ვიცით, ზოგადის და კერძოს ურთიერთ ორმაგი უარყოფა ერთი მეორის გაუქმება და მხოლოდ თავის თავის დატოვება (აღდგენა) კი არ არის, არამედ ერთი მეორისათვის აუცილებლობასაც წარმოგვიდგენს. სწორედ ამით განსხვავდება დიალექტიკური ლოგიკის ორმაგი უარყოფა ფორმალური ლოგიკის ორმაგი უარყოფისაგან (მაგრამ ამ აზრის სრულად წარმოდგენა განხორციელდება სხვა კანონში. სახელდობრ, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონში).

რადგან უარყოფის უარყოფა არ არის არც გაუქმება, არც განმეორება, ამიტომ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ერთგვარ ერთიანობას, რომელიც უარყოფის შემცველი იქნება; ე. ი. უნდა არსებობდეს ერთიანობის კანონი, როგორც განსაკუთრებული ლოგიკური კანონი.

§ 72. ერთიანობის კანონი (18)

ლოგიკურის ყოველი ფორმა გარკვეულ ერთიანობას წარმოადგენს. თვითონ ლოგიკური არის აუცილებელი ერთიანობა. ამიტომ შეუძლებელია მასში არ მოქმედებდეს ერთიანობის კანონი. ერთიანობის კანონი ლოგიკურში ყველგან მოქმედებს, რადგან დიალექტიკურ-ლოგიკური სინთეზურ-ლოგიკურია. სინთეზი, სახელდობრ, აუცილებელი სინთეზი (სხვაგვარი სინთეზი ლოგიკურში არ არსებობს) ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომაც უნდა ითქვას, რომ ლოგიკურის ცნება სწორედ დიალექტიკურ-ლოგიკურში მართლდება სისრულით.

ანალიზურ-ლოგიკურიც ექვემდებარება ამ კანონს, რადგან 1) ანალიზური არის მომენტი სინთეზურ-ლოგიკურისა, 2) ტავტოლოგია, როგორც გარკვეული იგივეობა, წარმოადგენს გარკვეულის ერთიანობას, მაგრამ ერთიანობა თავისი ბუნებით არის კონკრეტული, ე. ი. ის არის განსხვავებულთა აუცილებელი ერთიანობა. ერთიანობა განსხვავდება გვარისაგან სწორედ იმით, რომ ერთიანობისათვის აუცილებელია განსხვავებული, განსხვავებულთა ნიშნები, მაშინ როცა გვარისათვის ზედმეტია სახელთა სპეციფიკურობანი (როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა). მაგალითად, ცნებისათვის აუცილებელია მისი ნიშნები, მისთვის აუცილებელი და საკმარისი ნიშნები; მსჯელო-

ბისათვის აუცილებელია სუბიექტი და პრედიკატი, მისი მომენტები; დასკვნისათვის აუცილებელია მსჯელობები, და სხვ. ასეთი ერთიანობა არსებითია ლოგიკური კავშირისათვის.

კონკრეტული იგივეობა არის ისეთი იგივეობა, რომელიც განსხვავებას აუცილებლობით შეიცავს; სწორედ ასეთი იგივეობა ერთიანობას წარმოადგენს. განსხვავების შემცველი იგივეობა ლოგიკურში არის ანალიზურობის შემცველი სინთეზურობა, რომლისთვისაც ერთიანობა არსებითია. ერთიანობის გარეშე შეუძლებელია აუცილებელი სინთეზურობა.

რადგან ერთიანობისათვის აუცილებელია განსხვავებულნი, რომელთა ერთიანობასაც ის წარმოადგენს, ამიტომ ერთიანობა წარმოადგენს შინაარსეულ ზოგადობას, მასში ნაგულისხმევი განსხვავებული მომენტები კი შინაარსეულ კერძოებს წარმოადგენენ. ერთიანობისა და ცალმხრიობების თუ ერთმხრიობების დამოკიდებულება არსებითია ყოველი ლოგიკური ფორმისათვის. ლოგიკური აუცილებლობა ხორციელდება სწორედ ერთიანობაში და მისი სახით არსებობს. მაგალითად, პრედიკატი და სუბიექტი მსჯელობის ერთმხრიობებია, დასკვნის ერთმხრიობებს წარმოადგენენ მსჯელობები, რომლებიც მას შეადგენენ. ცნების ერთმხრიობები მისი მომენტებია (მაგალითად, წარმოების ცნების მომენტებია — საკუთრივ წარმოების, განაწილება-გაცვლა-მოხმარების ნიშნები).

ერთიანობა მოქმედებს ლოგიკურის უარყოფით ფორმებშიც. მაგალითად, უარყოფით მსჯელობაში, რომ არ იყოს ერთიანობა, მაშინ არც იარსებებდა უარყოფითი მსჯელობა როგორც ერთიანი აზრი. უარყოფით მსჯელობაში ადგილი აქვს სუბიექტისადმი პრედიკატის უარყოფით მიწერას; აი, ეს „მიწერა" არის დადებითობა, რომელიც ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომაა უარყოფითი მსჯელობა, როგორც სუბიექტისადმი პრედიკატის გარკვეული მიწერა შესაძლებელი. თუ ლოგიკური სინთეზურ-ლოგიკურია, მაშინ ის წარმოადგენს განსხვავებულთა ერთიანობას, რომელშიც მოქმედებს როგორც დადებითობა, ისე უარყოფის მომენტიც. უარყოფითი მომენტის გარეშე განსხვავება და ამიტომ სინთეზურობაც შეუძლებელია.

ერთიანობა აუცილებელი უნდა იყოს დაპირისპირებისთვისაც, წინააღმდეგობისთვისაც, როგორც ეს უკვე ზემოთ განხილული კანონებიდანაც ჩანს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა არც დაპირისპირების კატეგორია, არც წინააღმდეგობის კატეგორია, და სხვ.

საფუძვლის კანონის აზრი უშუალოდ გამომდინარეობს ზემოთ განხილული საფუძვლის კატეგორიიდან. ისე როგორც ყოველ მოვლენას აქვს რეალური საფუძველი, ასევე ყოველ დებულებას, ლოგიკურ აზრსაც აქვს (არა მარტო რეალური, არამედ) ლოგიკური საფუძველი, სახელდობრ, „საკმაო საფუძველი“, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი არც იარსებებდა და აზრიც შეუძლებელი იქნებოდა; პირველ რიგში, შეუძლებელი იქნებოდა დასაბუთებითობა, დასაბუთება.

როგორც ცნობილია, საკმაო საფუძვლის კანონი ლაიბნიცმა აღმოაჩინა, თუმცა მას არისტოტელეც კარგად მოიხმარდა; წანამძღვრებით დანასკვის გაპირობებაზე მოძღვრება, ეს არის საკმაო საფუძვლის მოქმედებაზე მოძღვრება. არისტოტელე დედუქციას ინდუქციისაგან სწორედ იმით განასხვავებდა, რომ პირველში ადგილი ჰქონდა საკმაო საფუძვლის მოქმედების განხორციელებას, მეორეში კი ამას არ ჰქონდა ადგილი; კერძოები ზოგადის საკმაო საფუძველს არ წარმოადგენენ — ფიქრობდა არისტოტელე.

ლაიბნიცის მიერ აღმოჩენილი საკმაო საფუძვლის კანონი, როგორც ცნობილია, მეტაფიზიკური ხასიათის იყო იმ აზრით, რომ ამ კანონს ექვემდებარება ყველაფერი როგორც არსში, ისე აზრში. ამიტომ ის ლოგიკის კანონსაც წარმოადგენს. იგი ასე უნდა გვესმოდეს დღესაც, თუმცა ამ კანონში სხვა აზრი უნდა ჩავდოთ, კერძოდ ის უნდა განვიხილოთ დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით. საკმაო საფუძვლის კანონის მოთხოვნა დიალექტიკურ-ლოგიკურში სრულად ხორციელდება, როგორც ამას ახლავე ვაჩვენებთ.

ჰეგელის აზრით, გამოთქმაში „საკმაო საფუძველი“ ზედმეტია „საკმაო“, რადგან თუ საფუძველი არ არის საკმაო, მაშინ ის არც არის საფუძველი; საფუძველს მაშინ აქვს ადგილი, თუ ის საკმაოა. საფუძველი არ შეიძლება იყოს არასაკმაო. თუ არასაკმაო საფუძველს საკმაოდ ჩავთვლით, მაშინ სოფისტიკას მივიღებთ.

აზროვნების პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი არასაკმაო საფუძვლის საკმაო საფუძვლად მოხმარას. ამიტომ ამბობდნენ ჰეგელი და მარქსი, რომ ყველაფერი, რაც ქვეყნად წახდა (ასეთის) საკმაო საფუძვლის გამო წახდა. ჯარისკაცის ფრონტზე დარჩენასაც აქვს ასეთი „საკმაო საფუძველი“ და ფრონტიდან მის გამოქცევასაც (წინააღმდეგ შემთხვევაში ის ასე არ მოიქცეოდა). კაპიტალის-

ტებისათვის საკმაო საფუძველი აქვს იმასაც, რომ მოზარდები ამუშაონ (ამუშაონ ღამითაც) და იმასაც, რომ არ ამუშაონ[1] და სხვ.

ლოგიკური კავშირი საფუძველ-შედეგის აუცილებელი კავშირია. საფუძვლის კანონი ამ კავშირის კანონს წარმოადგენს. თუ ლოგიკურში არ მოქმედებს საფუძვლის კანონი, მაშინ ასეთი ლოგიკური ლოგიკურს არც წარმოადგენს, ის შეცდომით არის მიჩნეული ლოგიკურად. არ შეიძლება საფუძველი გაგებულ იქნეს არგუმენტის აზრით, შედეგი კი ფუნქციის აზრით; არგუმენტისა და ფუნქციის დამოკიდებულება არ არის საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება და საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება არ უნდა წარმოვიდგინოთ ფუნქციონალურ დამოკიდებულებად. ფუნქციონალური დამოკიდებულება არის შესაბამისობა, თანადობა და მხოლოდ, ის არ არის ორის ისეთი დამოკიდებულება, როცა ერთის ბუნებიდან მეორე გამოდის. საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაში კი ის არის აუცილებელი, რომ საფუძვლის ბუნებიდან შედეგი აუცილებლობით გამომდინარეობს, საფუძველი თავისი ბუნებით უკავშირდება შედეგს. ამიტომ შეცდომაა საფუძვლის „წაშლა“ (როგორც ეს „ესმის“ „დასკვნის სქემას“). აგრეთვე, ამიტომაც არ შეიძლება საფუძველ-შედეგის კავშირი დავიყვანოთ გაყოფით დამოკიდებულებაზე: საფუძვლის ჭეშმარიტობის უარყოფა ან შედეგის ჭეშმარიტობა და სხვ.

ლოგიკური საფუძველი არის ლოგიკურად განმსაზღვრელი, შედეგი კი — განსაზღვრულს ჰქვია. დასაბუთებაში საფუძველი განსაზღვრავს თეზისს, დასკვნაში წანამძღვრები განსაზღვრავს დანასკვს. ამიტომ, საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, ეს არის რაიმესი მეორით აუცილებელი განსაზღვრება, სადაც „განსაზღვრება“ გაგებულია როგორც აუცილებელი, ლოგიკური დაქვემდებარება.

მართალია, საფუძველი განმსაზღვრელს ჰქვია და შედეგი კი განსაზღვრულს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ შედეგიც თავისებურად განსაზღვრავს თავის საფუძველს, რადგან შედეგი არის სწორედ საფუძვლის შედეგი (ისე როგორც პირიქით — საფუძველი შედეგის საფუძველია). რაიმე არ შეიძლება იყოს საფუძველი, თუ მას არ აქვს შედეგი, ისე როგორც შედეგი აუცილებლობით გულისხმობს საფუძველს. აქ არის შედეგის საფუძვლად აღიარება, რადგან განსაზღვრულიც თავისებურად განსაზღვრავს განმსაზღვრელს. თუ განსაზღვრული არის კერძო, განმსაზღვრელი კი — ზოგადი, მაშინ კერძოც საფუძველია ზოგადისა (ისე როგორც პირიქით). სწორედ ამით აქვს აზრი ინდუქციას, თუ ის შესაძლებელია როგორც დასა-

---

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 332, 1954.

ბუთების მეთოდი (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). შესაძლებელია ისეთი დასაბუთება, სადაც საფუძველი ზოგადია, მაგრამ ისეთი დასაბუთებაც შესაძლებელია, სადაც საფუძველი არის კერძო. ორივე საფუძველია, მაგრამ განსხვავებული საფუძველი (ქვემოთ — დასაბუთების თეორიაში ეს აზრი სრულად იქნება წარმოდგენილი).

როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, არსებობს სხვადასხვანაირი საფუძველი. არსებობს ისეთი საფუძველი, საიდანაც შედეგი ანალიზურად გამომდინარეობს. ამას ადგილი აქვს, მაგალითად, კატეგორიულ სილოგიზმში, ანალიზური გამომდინარეობა აბსტრაქტული იგივეობის ნიადაგზე შესრულებული ტავტოლოგიაა. არსებობს ისეთი საფუძველიც, საიდანაც განსხვავებული შედეგი გამოდის და უნდა გამოდიოდეს. ლოგიკური კავშირი შესაძლებელია სწორედ იქ, სადაც საფუძვლისგან შედეგი განსხვავებულია. ეს კავშირი სიძნელესაც შეიცავს, მაგრამ ეს სიძნელე გადაწყვეტადია, მაშინ როცა ტავტოლოგიურობის სიძნელე დასაბუთებაში შეცდომას წარმოადგენს (როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა). თვითონ ანალიზური დასკვნა შესაძლებელია იმით, რომ ის ენთიმემურია, განსხვავების მოგულისხმეა. არისტოტელემ სწორედ დასკვნის, როგორც სწორედ სინთეზური დასკვნის განსაზღვრება მოგვცა თავისი „პირველი ანალიტიკის“ პირველი წიგნის პირველ თავში.

არსებობს აგრეთვე ისეთი საფუძველიც, საიდანაც მისი საწინააღმდეგო შედეგი გამოდის; რაიმე შეიძლება იყოს განმსაზღვრელი საფუძველი მისი საპირისპირო თუ საწინააღმდეგო შედეგისა. ამას ადგილი აქვს ლოგიკურ დაპირისპირებულთა ერთიანობაში, სადაც წინააღმდეგობის ერთი მხარე არის მეორე მხარის განმსაზღვრელი, საფუძველი, ისე როგორც პირიქით. დაპირისპირებულთა ერთიანობაში დაპირისპირებული მხარეები ერთიმეორის საფუძველიცაა და შედეგიც. მაგალითად, კერძოსა და ზოგადის ერთიანობაში კერძო არის ზოგადის განმსაზღვრელი საფუძველი და ზოგადიც ასეთივე საფუძველია კერძოს მიმართ. ასეთია სასრულის და უსასრულოს დამოკიდებულებაც და სხვ. ისინი ერთიმეორეს უარყოფენ, მაგრამ ერთიმეორის საფუძველსაც (შედეგს) წარმოადგენენ. აქ არ არის საფუძვლისა და შედეგის გაიგივება, რადგან ისინი ერთიმეორეს არა მხოლოდ ადგენენ, არამედ უარყოფენ კიდეც.

ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლები არიან სასრული საფუძვლები, რადგან ისინი განსხვავებულთა თუ დაპირისპირებულთა კავშირის მხოლოდ ერთ მხარეს, ერთმხრიობებს წარმოადგენენ. მაგრამ

შესაძლებელია უსასრულო საფუძველიც. ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა საფუძველი, სახელდობრ, ის ერთიანი, რომელიც ორდება (ერთიანის გაორებაში). ეს არის შინაგანი უარყოფის მქონე თვითსაფუძველი.

§ 74. წინააღმდეგობის ერთიანობის ანუ თვითდადგენის კანონი (20)

მთელ სინამდვილეს — განვითარებაში, უკეთ, თვითგანვითარება-მოძრაობაში მყოფ სინამდვილეს — არ შეიძლება ჰქონდეს სხვა რეალური საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაშიც ეს უნდა გვემტკიცებია, რადგან აქ აღნიშნული საფუძველიც სინამდვილეში უნდა გვეგულისხმა. ორი სინამდვილის თუ ორი არსებობის აღიარება შეცდომაა. რადგან ორივე მაინც ერთი სინამდვილე თუ ერთი არსებობა იქნებოდა. ეს მით უმეტეს ითქმის ლოგიკურის, ცნების თვალსაზრისით, რადგან სინამდვილის თუ არსებობის ცნება არ შეიძლება ერთზე მეტი იყოს. არა მარტო მთელ სინამდვილეს, არამედ ყოველი მოძრაობის ფორმას, რომელსაც თავისი კანონზომიერება აქვს, უსათუოდ უნდა ჰქონდეს რაღაც შინაგანი საფუძველი, ამ აზრით, თვითსაფუძველი; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოძრაობა არ იქნებოდა თავისებური ბუნების — სპეციფიკური კანონზომიერების მქონე. ასე ითქმის ლოგიკურის შესახებაც, მასაც თავისებური კანონზომიერება აქვს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სინამდვილის ასახვას წარმოადგენს. საერთოდ ლოგიკურის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ რეალური. საერთოდ ლოგიკურის სხვა ლოგიკური საფუძველი შეუძლებელია, რადგან ესეც ხომ ლოგიკური იქნებოდა. ამიტომ და ამ აზრით უნდა არსებობდეს ლოგიკური თვითსაფუძველი, ლოგიკურის ლოგიკური საფუძველი თვითონაა. ამიტომ ის ლოგიკურ თვითსაფუძველს წარმოადგენს. თვითსაფუძველი არის ის, რასაც სხვანაირად შეიძლება ეწოდოს უპირობო საფუძველი, უკეთ, უპირობო. როგორც ეს შემდგომ იქნება გარკვეული, ასეთი ლოგიკური უპირობო, ანუ ლოგიკური თვითსაფუძველი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის არის შინაგანი უარყოფის მქონე. ის კი, რაც შინაგან უარყოფას შეიცავს, უნდა წარმოადგენდეს დაპირისპირებულთა ერთიანობას. მაშასადამე, აუცილებელია ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობა და ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობის ანუ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, რომელსაც, ახლახან თქმულის გამო, შეიძლება სხვანაირად თვითდადგენის კანონი ეწოდოს.

ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის მიღებას, აგრეთვე გვაიძულებენ ის ლოგიკური კანონები, რომლებიც ზემოთ იქნა ჩვენს მიერ განხილული. ეს „იძულება“ ნათლად ჩანს. მაგალითად, შემდეგში:

1. როგორც ითქვა, გამორიცხული მესამის კანონი მოითხოვს პირველს წინააღმდეგობისათვის: „რაიმე არის ან A, ან არა A“, აქ ეს „რაიმე“ უნდა იყოს ერთიანობა დაპირისპირებულთა და სხვა არაფერი. ამას მოითხოვს შესაძლებელი წინააღმდეგობა, რომელიც აქ არსებობს.

2. ისიც ითქვა, რომ საწინააღმდეგონი ერთიმეორისათვის აუცილებელია; ეს არის უარყოფითი დიალექტიკა. მაგრამ ეს აუცილებლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტია, ე. ი. თუ ის წინააღმდეგობის ერთიანობაში განხორციელდა. წინააღმდეგობის ერთიანობის გარეშე წინააღმდეგობის აუცილებლობა მოგვცემს სკეპტიციზმს თუ სოფისტიკას, რაც თავისი უარყოფითობით დადებითი დიალექტიკის აუცილებლობის მაჩვენებელი იქნება. ამრიგად, აუცილებელია ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც დადებითი დიალექტიკის „ბირთვი“.

3. როცა ერთი რაიმე მეორე რაიმეს უარყოფს, მაშინ პირველი არის მეორეზე უფრო „ძლიერი“, „მეტი“. მაგრამ როცა შებრუნებული უარყოფაც ხდება, მაშინ მეორე რაიმეც არის პირველზე უფრო „ძლიერი“, „მეტი“ (ცხადია, არა რაოდენობრივად „მეტი“). ურთიერთუარყოფის დროს ეს „მეტები“ შეადგენენ ერთიანობას. ურთიერთუარმყოფელნი საკუთარი დადებითი ნიშნების მქონე არიან და იგივეობრივსაც შეიცავენ, ამდენად, აუცილებელია დაპირისპირებულთა ერთიანობა. კერძო და ზოგადი ერთიმეორის უარმყოფელი —საპირისპირო (და საწინააღმდეგო) ცნებებია, ისინი ერთიმეორისათვის აუცილებელი არიან და შეადგენენ ერთიანობას; მათთვის აუცილებელია ერთიანობა, ისე როგორც პირიქით — ისინი ერთიანობისათვისაც არიან აუცილებელი.

4. ურთიერთუარყოფა და ურთიერთდადგენა აუცილებლობით გვაძლევს იმ ერთს, რომლის საფუძველზედაც ისინი შესაძლებელია. წინააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე; აქ ხომ სწორედ ერთიანობის გაორება გვაქვს. ერთიანობა წინააღმდეგობას არც ასუსტებს, არც აუქმებს, პირიქით — მას შესაძლებელს ხდის და სისრულით აცლენს. შეუძლებელია წმინდა, შიშველი წინააღმდეგობა, ასეთი წინააღმდეგობა აზრში შეცდომას წარმოადგენს. ე>

აზრი აქვს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობის ერთ მხარეს გამოხატავს.

5. ეს გარემოება კიდევ უფრო სრულად წარმოდგება ორმაგი უარყოფის უარყოფის ანუ ორმაგი ურთიერთუარყოფა-ურთიერთდადგენის დროს. ამ გზით მიღებული ერთიანობა არის ის დადებითი, რომელსაც ეს ორმაგი ურთიერთუარყოფა-დადგენა იძლევა, როგორც საკუთარ საფუძველს, საკუთარ შინაარსს. წინააღმდეგობა აუცილებლობით გვაძლევს საკუთარ საფუძველს, სადაც წინააღმდეგობის მხარეები შინაარსეულ სრულ კერძოებს წარმოადგენენ. მათი საფუძველი კი ასეთივე ზოგადობას. ამიტომ, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ. აქ საქმე გვაქვს თავისებურ ინდუქციასა და რედუქციასთან.

6. განსხვავებაში ადგილი აქვს შედარებით უარყოფას. განსხვავება ლოგიკურად გამოითქმება ასე: ერთი რაიმე არის ის, რაც არ არის მეორე, ე. ი. პირველს მიეწერება ის, რაც ის არ არის— უარყოფითი. აქედან ცხადია, რომ აუცილებელია ერთიანობა დაპირისპირებულთათვის. ეს გარემოება დადებითი და უარყოფითი მსჯელობებისა და მათი აუცილებელი კავშირის ბუნების ამხსნელია, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ (მსჯელობის თეორიაში) გავარკვევთ.

7. იგივეობისა და განსხვავების (ზემოთ განხილული) ერთიანობა არის დაპირისპირებულთა (წინააღმდეგობის) ერთიანობა, მაგრამ არა ისეთი ერთიანობა, რომელიც ამ სამისათვის მოითხოვდეს სხვა — ახალ ერთიანობას (რაც უაზრობაში ჩაგვაგდებდა), რადგან ეს ერთიანობა არ არის სასრული ხასიათის, ე. ი. ისეთი, როგორიცაა წინააღმდეგობის მხარეები. წინააღმდეგობა ამოწურავს სასრულს, ამიტომ წინააღმდეგობის ერთიანობა არის უსასრულობის ბუნების. სწორედ ასეთი ერთიანობაა წინააღმდეგობის მხარეებისათვის, როგორც სრული სასრულებისათვის, აუცილებელი.

8. წინააღმდეგობის მხარეები ერთმეორის მიმართ არა მარტო უარყოფითი არიან, არამედ დადებითიც. მათში არის ერთიანობა ორივე მხრივ. ეს გარემოება ადვილი წარმოსადგენია ლოგიკურად. ლოგიკურში, ცნების (თუ დასკვნის) თვალსაზრისით. ეს ერთიანობა არის შინაგანი ერთიანობა, რომელიც შინაგან უარყოფას შეიცავს (ეს გარემოება ნათლად იქნება წარმოდგენილი უსასრულო დასკვნაში, რომელსაც ჩვენ ქვემოთ სპეციალურად გავარკვევთ).

9. უარყოფის ბუნება ისეთია, რომ იგი აუცილებლობით მიდის წინააღმდეგობის ერთიანობამდე. უარყოფა — არა-A, როგორც ითქვა (იხ. „ჰოყოფა და უარყოფა"), ფორმალურ ლოგიკაში

გაურკვეველია, რადგან იგი მოვლენების სიმრავლეს გულისხმობს, მაგრამ არსებაში — კატეგორიებში კი უარყოფა გარკვეულია, რადგან ის გულისხმობს და წარმოადგენს ერთს, — არა-A-ს საპირისპიროც არის ერთი რაიმე. არაკერძო ზოგადია, არასაბრული უსასრულოა და სხვ.

უარყოფა არის კონკრეტული, როგორც: 1) რაიმე კონკრეტულის უარყოფა, გარკვეულის გარკვეული უარყოფა, 2) თვითონ გარკვეული, გარკვეული უარყოფა, 3) ყოველთვის რაიმეს მოგულისხმე; აბსტრაქტული არ-A-ც გულისხმობს A-ს (სხვანაირად არც დაიწერება; „არა-A-ში“ არ შეიძლება არ იყოს „A“), 4) ზოგადი კატეგორია, უარყოფა არის კატეგორია, გარკვეული ფორმა, 5) კონკრეტულის ნიშანი — მხარე, სახელდობრ, განსაზღვრულობის აუცილებელი მხარე („განსაზღვრება არის უარყოფა“). 6) თავის თავის დამდგენი უარყოფა, რომელსაც ადგილი აქვს რაიმეს უარყოფით მისაგე დადგენაში, სახელდობრ, ლოგიკურის კატეგორიაში (და ამიტომ უსასრულო დასკვნაში, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ). ცხადია, ასეთია არა ყველა კონკრეტული, არამედ მხოლოდ ზოგიერთი, სახელდობრ, ის, რომელიც ლოგიკურის კატეგორიის ბუნებისაა. ამრიგად, უარყოფა უშუალოდ მიდის ერთიანობამდე, წინააღმდეგობა აუცილებლობით მიდის მის ერთიანობამდე.

ეს ასეა, რადგან უარყოფა აუცილებლობით გულისხმობს სხვას, როგორც: 1) უარსაყოფელს და 2) უარმყოფელის ნიშანს, თვითონ უარმყოფლისთვის აუცილებელ ნიშანს, იმას, რასაც უარმყოფელი აუცილებლობით გულისხმობს. ამიტომ აუცილებელია ერთიანობა დაპირისპირებულთათვის.

როგორც ითქვა, უარყოფა არის: 1) გარეგანი, მაგალითად, ფორმალურ-ლოგიკური უარყოფითი მსჯელობა, 2) შინაგანი, როგორც დადებითი მსჯელობის შინაგანი და აუცილებელი მომენტი. მსჯელობა „კერძო არის ზოგადი“ აუცილებლობით გულისხმობს იმას, რომ „კერძო არ არის ზოგადი“. ეს ჩანს იმეთ მსჯელობაშიც, როგორიცაა „ცუგა არის ძაღლი“, რადგან ცუგა და ძაღლი სხვადასხვაა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ აუცილებელია დაპირისპირებულთა ერთიანობა.

თუ უარყოფა არის კავშირის მომენტი,[1] ე. ი. გარკვეული ერთიანობის მომენტი, მაშინ ცხადია ამ ერთიანობის აუცილებლობა დაპირისპირებულთათვის.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 226.

არა-A-ს გაურკვეველობა იხსნება არა მარტო კატეგორიებში, ე. ი. დიალექტიკურ ლოგიკაში, არამედ ფორმალურ ლოგიკაშიც, სახელდობრ, მაშინ, როცა საქმე გვაქვს გაყოფით (უფრო გარკვევით დიხოტომიურ) მსჯელობებსა და დასკვნებთან, სადაც გაყოფის წევრები აუცილებლობით გულისხმობენ გვარს, როგორც გარკვეულ ერთიანობას. აქ უპათუოდ მოქმედებს გარკვეული შედარებითი უარყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა აუცილებელი გვარი — ერთიანობა.

როგორც ითქვა, არა-A ფორმალური ლოგიკისათვის გაურკვეველია. ეს გაურკვეველობა შედეგია არა მარტო მოვლენათა სიმრავლისა (რომელსაც არა-A გულისხმობს), არამედ სუბიექტის ხელოვნური მოქმედებისაც. სუბიექტი (შემმეცნებელი) უარყოფს A-ს და „არა-A“ არის მხოლოდ A-ს უარყოფა; აქ უარმყოფელი სუბიექტია, როგორც სხვა სფეროში არსებული, რჩება არა-A, როგორც ობიექტური A-ს უარყოფა მხოლოდ; ე. ი. A და მისი უარმყოფელი სხვადასხვა სფეროშია მოთავსებული, მაშინ როცა ლოგიკურად გამართული მდგომარეობა გვექნება მხოლოდ მაშინ, თუ A და არა-A, როგორც A-ს უარმყოფელი, მოთავსებული იქნება ერთ, სახელდობრ, ობიექტურ სფეროში. სხვანაირად დაუშვებელია ლოგიკური თვალსაზრისით.

არა-A-ს გაურკვეველობა ემყარება ფაქტიურობას, სახელდობრ, მოვლენათა სიმრავლეს და სუბიექტის ხელოვნურ მოქმედებას, ე. ი. ობიექტურსა და სუბიექტურ ფაქტობრიობას. არა-A-ს გაურკვეველობა არ არის ლოგიკური, როგორც ამას ხშირად ფიქრობენ, როცა ამბობენ, რომ არა-A არის A-ს მხოლოდ გაუქმება და სხვა არაფერი. არა-A ლოგიკურად გარკვეულია. გაურკვეველობა არ შეიძლება იყოს ლოგიკური. ლოგიკური ყოველთვის გარკვეულია. ასეთია ლოგიკური არა-A-ც.

არაა სწორი აზრი, თითქოს არა-A ლოგიკურად არ შეიძლებოდეს იყოს წმინდა უარყოფაზე „მეტი“, ე. ი. თითქოს არ შეიძლებოდეს ის, რომ ის შეიცავდეს დადებითობასაც, რადგან თუ ის დადებითობასაც არ შეიცავს, მაშინ ის არ გამოდგება უარმყოფელად. ეს „მეტი“ როგორც დადებითი, როგორც ითქვა, აუცილებლად მიდის ერთიანობამდე, ე. ი. გარკვეული უარყოფის საშუალებით წინააღმდეგობა მიდის ერთიანობამდე.

არა-A, როგორც მხოლოდ A-ს გაუქმება, არის სრული უარყოფის მხოლოდ ერთი მხარე. უარყოფის სრული ცნება სწორედ ლოგიკურად გულისხმობს სამ მომენტს, სახელდობრ: 1) თვითონ უარყოფას, 2) უარსაყოფელს და 3) უარმყოფელს. სამივე ამ მო-

ვენტს მოითხოვს სწორედ უარყოფის ლოგიკური ცნება. სწორედ ლოგიკური აზრით უარყოფა აუცილებლობით გულისხმობს უარსაყოფელსაც და უარმყოფელსაც, წინაალმდეგ შემთხვევაში უარყოფის ცნება დამახინჯდება. უარყოფის ლოგიკურ ცნებაში შეერევა ფაქტიური და ფსიქოლოგიური. სწორედ ამის გამო ვამბობდი ზემოთ, რომ რადგან უარმყოფელი (ისე როგორც უარსაყოფელი) არის „მეტი" უარყოფაზე, როგორც მხოლოდ რაიმეს გაუქმებაზე (წინაალმდეგ შემთხვევაში უარყოფა არ შესრულდება), ამიტომ ურთიერთუარყოფაში ორი „მეტი" იქნება ერთი დადებითობა, ერთიანობა, რომელიც აუცილებელია წინაალმდეგობისათვის. რადგან უარყოფა აუცილებლობით გულისხმობს უარსაყოფელთან ერთად უარმყოფელსაც, ამიტომ აუცილებელია მათი ერთიანობა. უარსაყოფელი და უარმყოფელი წინაალმდეგობის მხარეებია, უარყოფითი კი მათი გარკვეული მიმართებაა. ასეთი უარყოფა მოითხოვს ერთიანობას დაპირისპირებულთათვის. მაშასადამე, აუცილებელია დაპირისპირებულთა ერთიანობა.

კონკრეტული უარყოფის შესახებ ზემოთ ნათქვამიდან უშუალოდ გამოდის ის, რომ კონკრეტული უარყოფა არის არა მხოლოდ უარყოფა, არამედ იმის შენახვაც, რაც უარიყოფა. კონკრეტული უარყოფა არის გარკვეული მოხსნა-შენახვა. თუ უარყოფა უარსაყოფელს აუცილებლობით გულისხმობს, მაშინ, ცხადია, რომ ის შენახულიცაა. ამიტომ შეიძლება და უნდა ითქვას, რომ ისე როგორც უარყოფა, ასევე მისი შედეგიც არის შინაარსეული ზოგადის ბუნების, რადგან ორივე აუცილებლობით შეიცავს განსხვავებულ მომენტებს.

ამგვარად გაგებული უარყოფიდან აუცილებლობით გამოდის ის, რასაც ურთიერთუარყოფა-დადგენა წარმოადგენს. მაშასადამე, საბოლოოდ უნდა ითქვას ის, რომ სრული უარყოფა გადადის ურთიერთუარყოფა-დადგენაში, ე. ი. წინაალმდეგობაში, რომელიც აუცილებლობით ეფუძნება ერთიანობას (ურთიერთდადგენით მიღებულს).

ჰეგელმა თავის დიალექტიკაში სწორად მოიხმარა შედარებითი უარყოფის ის ცნება, რომელიც პლატონმა გაარკვია თეზულებაში „სოფისტი", თუმცა ეს უარყოფა გააყალბა იმით, რომ უარყოფა გაიგო როგორც აბსოლუტის მისტიკური ძალა. მიუხედავად ამისა, ჰეგელთან მაინც გვაქვს „რაციონალური მარცვალი", ამ შემთხვევაში — კონკრეტული უარყოფის ცნებაში; ჰეგელიანური კონკრეტული უარყოფის ცნება შეიცავს რაციონალურ მარცვალს, რომე-

ლიც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას მატერიალისტურ დიალექტიკურ ლოგიკაში.

10. წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნების ნათელსაყოფად საჭიროა მისი ზოგიერთი მხარის კიდევ უფრო სრულად და გარკვეულად წარმოდგენა.

წინააღმდეგობის შეუძლებლობა უშუალოდ ემყარება და მოიხმარს წინააღმდეგობისა და შესაძლებლობის (შეუძლებლობა შესაძლებლობას ემყარება) კატეგორიებს, როგორც გარკვეულ დადებით საშუალებებს. ეს ნათლად ჩანს ლოგიკური აუცილებლობის განსაზღვრებაში როგორც საწინააღმდეგოს შეუძლებლობაში (აუცილებელი არის ის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია). რაიმეს აუცილებლობის ჩვენება, რაიმეს დასაბუთება მისი საწინააღმდეგოს უარყოფით არის: 1) ამ რაიმეს დაფუძნება საწინააღმდეგოს მოხმარების საშუალებით (რაიმე არის ეს საწინააღმდეგოს შეუძლებლობის გამო) და 2) საწინააღმდეგოს უარსაყოფად ამ რაიმეს საფუძვლად გამოყენება. აქ ადგილი აქვს საწინააღმდეგოთა ურთიერთგანსაზღვრას, რომლისთვისაც, ცხადია, აუცილებელია წინააღმდეგობა, ამ წინააღმდეგობის საფუძვლად გამოყენება.

წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობის შეუძლებლობის საშუალება—საფუძველი. ამ საშუალების უარყოფა ან 1) შეუძლებელია, ან 2) ამით (ამ საშუალების უარყოფით) უარიყოფა თვითონ წინააღმდეგობის შეუძლებლობა, როგორც მართლაც წინააღმდეგობის შეუძლებლობა; ე. ი. წინააღმდეგობა ლოგიკურად წინ უსწრებს მის შეუძლებლობას.

თუ წინააღმდეგობა შეუძლებელია, მაშინ ფორმალურ ლოგიკაში გაყოფითი დასკვნები და მსჯელობები შეუძლებელი იქნება. გაყოფითი მსჯელობის და გაყოფითი დასკვნის საფუძველ-საშუალება არის, ან-ან, წინააღმდეგობა.

თუ წინააღმდეგობა შეუძლებელია, მაშინ ეს შეუძლებლობა წინასწარ გულისხმობს შესაძლებლობას, შესაძლებლობის კატეგორიას, ეს კი — სინამდვილის კატეგორიას. მხოლოდ წინააღმდეგობის საფუძველზე შეიძლება ლაპარაკი წინააღმდეგობის შეუძლებლობის შესახებ. ეს ასეა, რადგან წინააღმდეგობის შეუძლებლობა არის უარყოფითი ცნება, რომელიც, როგორც სწორედ უარყოფითი, წინასწარ გულისხმობს მის გამმართლებელ დადებითს, რაცაც წინააღმდეგობის კატეგორია წარმოადგენს (წინააღმდეგობა კი შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე; ერთიანობის გარეშე ის მართლაც შეუძლებელია).

თუ ვიტყვით, რომ ორი ერთიმეორისადმი საწინააღმდეგოთაგან

ერთი არის, მეორე კი შეუძლებელია, მაშინ გამოუვალ წინააღმდეგობაში ვარდებით, რადგან უარვყოფთ იმას, რისგანაც გამოვდივართ — რასაც ვეყრდნობით. მხოლოდ წინააღმდეგობაზე დაყრდნობით შეიძლება იმის თქმა, რომ „ორი ერთიმეორისადმი საწინააღმდეგოთაგან...".

წინააღმდეგობის შეუძლებლობა არის მომენტი წინააღმდეგობისა, რომელიც, თავის მხრივ, წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტს წარმოადგენს. წინააღმდეგობა, ცხადია, არის საწინააღმდეგოთა ურთიერთშეუთავსებლობა, სახელდობრ, ის, რომ ერთი არ არის მისი საწინააღმდეგო, ერთი გამორიცხავს მეორეს და პირიქით. წინააღმდეგობის შეუძლებლობა საწინააღმდეგოთა ამ შეუთავსებლობას — ურთიერთგამორიცხვას ნიშნავს და არა წინააღმდეგობის არარსებობას. წინააღმდეგობა რომ არ არსებობდეს, მაშინ ურთიერთგამორიცხვაც შეუძლებელი იქნებოდა.

შეუძლებელია მხოლოდ წინააღმდეგობა, წმინდა წინააღმდეგობა როგორც არსში, ისე აზრში. არსში, საგანში წმინდა წინააღმდეგობა დაანგრევდა მას; მხოლოდ ურთიერთგამორიცხვა ანგრევს საგანს. თუ საგნის მხარეები ერთიმეორეს მხოლოდ აუქმებენ, მაშინ, ცხადია, ასეთი საგნის არსებობა შეუძლებელია. წმინდა ურთიერთგამორიცხვა-გაუქმების დროს თვითონ წინააღმდეგობა შეუძლებელი იქნება, ის წარმოშობასაც ვერ მოასწრებდა იმე გაუქმდებოდა მისი მხარეების ურთიერთგაუქმებით; წინააღმდეგობა თვითონ წინააღმდეგობას შეუძლებლად გახდიდა. წმინდა წინააღმდეგობა შეუძლებელია აზრშიც, უკეთ სწორ და ჭეშმარიტ აზრშიც. აზრი, რომელიც თავის თავს აუქმებს, არის მცდარი ან შეუძლებელი. მაგრამ შეცდომა შესაძლებელია; წინააღმდეგობა, როგორც შეცდომა შესაძლებელია. ის რომ შეუძლებელი იყოს, მაშინ მისგან თავის დაცვაც არ დაგვჭირდებოდა. ეს შესაძლებლობა საფუძვლად რაღაც სხვას გულისხმობს. წინააღმდეგობის, როგორც შეცდომის, გაგება შესაძლებელია, თუ მასზე მაღლა ვდგევართ, თუ შეგვიძლია წინააღმდეგობას გავუძლოთ, თუ შესაძლებელია მისი მოაზრება; წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გვეცოდინებოდა წინააღმდეგობის შესახებ, ვერ გავარჩევდით ერთიმეორისაგან ჭეშმარიტებასა და შეცდომას. სწორედ ჭეშმარიტების საფუძველზე გაიგება შეცდომა და შეცდომის და ჭეშმარიტების დაპირისპირება (ეს საკითხი პირველად გაარკვია პლატონმა „თეეტეტში" და სხვა დიალოგებში). ურთიერთგამორიცხვა, როგორც რაიმეს შეუძლებლობა, თვითონ არის შესაძლებელი უფრო მაღალი საფუძვლის არსებობის გამო.

წინააღმდეგობის შეუძლებლობა ექვემდებარება წინააღმდეგობას; იგი წინააღმდეგობის საფუძველზეა შესაძლებელი; თვითონ წინააღმდეგობა კი ერთიანობის საფუძველზეა შესაძლებელი, მის საფუძველზე არსებობს. წინააღმდეგობის ერთიანობა იქვემდებარებს წინააღმდეგობას და წინააღმდეგობის შეუძლებლობას, როგორც ურთიერთგამორიცხვას, და არა პირიქით, როგორც ეს ზოგიერთს (ლოგიკოსთა უმრავლესობას) წარმოუდგენია.

წინააღმდეგობის ერთიანობა იქვემდებარებს წინააღმდეგობასა და მის შეუძლებლობას (ახლა აღნიშნული გაგებით) და არა პირიქით, რადგან: 1) მართალია, წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო შეუძლებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს პირველის მეორეზე დაქვემდებარებას. წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ წინააღმდეგობის ერთიანობა ცალმხრიობა იქნებოდა და საჭირო გახდებოდა ახალ-ახალი „მესამეები", მისთვის აუცილებელი იქნებოდა მეორე მხარე და ამ ორი მხარის ერთიანობა, როგორც „მესამე", და ა. შ. უსასრულოდ, რაც უაზრობას წარმოადგენს; 2) თუ წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო შეუძლებელია, მაშინ სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა რჩება და საბუთდება; 3) წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო შეუძლებელია, რადგან ასეთი შეუძლებლობა იმ წინააღმდეგობის მომენტია, რომელიც ერთიანობაშია. წინააღმდეგობის ერთიანობაში არსებული მომენტი არ უნდა გავიტანოთ მის გარეთ და არ უნდა დაუპირისპიროთ მას. წინააღმდეგ შემთხვევაში: ა) იმას დავანგრევდით, რასაც ვეყარებით და ბ) ისევ იმით ვეხელმძღვანელებდით, რასაც უარვყოფთ; 4) წინააღმდეგობის ერთიანობა არის სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა, ამიტომაა მისი საწინააღმდეგო შეუძლებელი; წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა წინააღმდეგობის ერთიანობა; 5) წინააღმდეგობის ერთიანობის უარყოფა თვითონ არის (იხ. ზემოთ უარყოფის ცნების შესახებ) და ქმნის წინააღმდეგობას; ამიტომაა: ა) წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგო შეუძლებელი და წინააღმდეგობის ერთიანობა შესაძლებელი და აუცილებელი. უარყოფა წინააღმდეგობის არსებაა; თუ არსებობს და შესრულდა უარყოფა, მაშინ უკვე არსებობს წინააღმდეგობა. ამიტომ შეუძლებელია წინააღმდეგობის უარყოფა; წინააღმდეგობის უარყოფა წინააღმდეგობის დადგენის საშუალებაა. წინააღმდეგობა აბსოლუტურია; ის თავის თავს ადგენს.

თუ რაიმეს მიღება მისი საწინააღმდეგოს უარყოფაა და პირიქით, მაშინ აუცილებელია წინააღმდეგობა და წინააღმდეგობის ერ-

თიანობა. წინააღმდეგობის ერთიანობაში წინააღმდეგობის ერთი მხარე თავის თავს ადგენს მისი საწინააღმდეგოს საშუალებით: ა) წინააღმდეგობის ერთი მხარე ასეთია სწორედ იმის გამო, რომ ის არ არის მისი საწინააღმდეგო და პირიქით, ბ) მისი საწინააღმდეგო რომ ასეთია და არა სხვა, ამიტომაა იგი გარკვეული რამ. ამიტომაა შესაძლებელი ის წინააღმდეგობა, რომლის მხარეებიც არა მარტო უარყოფენ ერთმანეთს, არამედ ადგენენ კიდეც; საწინააღმდეგოს დადგენით თავის თავს ადგენენ. ამიტომ არსებობს ერთიანობა, სახელდობრ, წინააღმდეგობის ერთიანობა.

ეს ერთიანობა არის წინააღმდეგობის თავის თავში მქონე, შემძლე იმისა, რომ შეინახოს წინააღმდეგობა, არსებობდეს მხოლოდ როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელიც სხვას არაფერს არ წარმოადგენს, თუ არა ერთიანის გაორებას, რომელიც დიალექტიკის დედაარსს წარმოადგენს.[1] რადგან წინააღმდეგობის ერთიანობა არის ერთიანის გაორება (და არა საწინააღმდეგოების შეერთება), ამიტომ ცხადია, რომ ერთიანობა საფუძველია მისი გაორებისათვის.

წინააღმდეგობის, სასრულის და უსასრულოს, როგორც კატეგორიების, განხილვის შემდეგ გასაგები იქნება, თუ ვიტყვით იმას, რომ წინააღმდეგობა და „წინააღმდეგობის შეუძლებლობა" ახასიათებს სასრულს, წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც სრულ სასრულთა ერთიანობა, უსასრულოს (დაუბოლოებელს) წარმოადგენს. საგანში შინაგანი წინააღმდეგობის არსებობა არის სასრულში უსასრულოს არსებობა. წინააღმდეგობის ერთიანობა სრულ სასრულთა ერთიანობაა, ამ აზრით, სასრულოები უსასრულოში არსებობენ, უკეთ, სრული სასრულოების ერთიანობაა უსასრულო; როგორც სრულ სასრულოებად გაორებული ერთიანობა წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთიანობას (ამ სფეროში, როგორც ვიცით, წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთი და იგივეა).

სასრული, როგორც ერთმხრივი, არის აბსტრაქტული: 1) ასეთია განსხვავების ერთი მხარეც და 2) წინააღმდეგობის ერთი მხარეც. რომელიც სრულ სასრულს წარმოადგენს. შეუძლებელია წინააღმდეგობის ერთ მხარეზე უფრო სრული აბსტრაქტული (ყველა აბსტრაქტულის შემცველი) და სრული სასრული. კონკრეტული კი განსხვავებულთა ერთიანობაა: 1) ასეთია მხოლოდ განსხვავებულთა ერთიანობაც და 2) დაპირისპირებულთა ანუ წინააღმდეგობის ერთიანობაც, რომელიც უკონკრეტულესია. კონკრეტული მრავალმხრიობის ერთიანობაა (კ. მარქსი). უკონკრეტულესს კი წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს. ყოველი კონკრეტული არის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 38, გვ. 371.

ესეც და სხვაც — განსხვავებულთა, დაპირისპირებულთა ერთიანობა.[1]

კონკრეტული, როგორც ერთიანობა, ორდება საწინააღმდეგო მხარეებად. განსხვავებულები და საწინააღმდეგონი შინაგანია ერთიანობისათვის, რადგან აქ მოქმედებს შინაგანი უარყოფა, შინაგანი წინააღმდეგობა. ამიტომაა, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობა ემყარება წინააღმდეგობას, წინააღმდეგობა კი — ერთიანობას და ამდენად აუცილებლობით წინააღმდეგობის ერთიანობა არსებობს. ისე როგორც ჰეშძარიტება არის პირველი (და მასშტაბი) ჰეშმარიტება-შეცდომის დაპირისპირებისადმი, ასევე წინააღმდეგობის ერთიანობა არის პირველი წინააღმდეგობის, ურთიერთგამორიცხვის მიმართ.

წინააღმდეგობის ერთიანობა არის: 1) წინააღმდეგობის ძირი. მისთვის პირველი საფუძველი, ამიტომ 2) ის არის, ამავე დროს წინააღმდეგობის გადაწყვეტაც. სწორედ ერთიანის გაორება იძლევა წინააღმდეგობის გადაწყვეტის შესაძლებლობას. წინააღმდეგობის გადაწყვეტა, არის ა) ახლის წარმოშობა, რასაც ადგილი აქვს მოძრავ-განვითარებად სინამდვილეში და ბ) დასაბუთება, როგორც წინააღმდეგობის დაძლევა. ერთიანის გაორების საფუძველზე შეიძლება წინააღმდეგობის გადაწყვეტა ლოგიკურ სფეროშიც, დასაბუთება (როგორც ეს შემდგომ იქნება გარკვეული).

წინააღმდეგობამ ამოწურა სასრულის ბუნება, წინააღმდეგობამ გამორიცხა მესამე, სახელდობრ, სასრული მესამე, მაგრამ ამით დადგინდა „მესამე“ რასაც თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს. ეს არის უსასრულოს დადგენა სწორედ წინააღმდეგობით.

როგორც ითქვა (იხ. ზემოთ წინააღმდეგობის კატეგორიის შესახებ), წინააღმდეგობა არის დაპირისპირება თავის თავის მიმართ (ფ. ენგელსი); წინააღმდეგობა უდრის დაპირისპირებას კატეგორიებში (არსებაში); წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა თავის თავის მიმართ, წინააღმდეგობა ერთი და იგივე მიმართებით (სხვანაირად არც არსებობს წინააღმდეგობა. წინააღმდეგობა რომ მხოლოდ სხვადასხვა მიმართებით არსებობდეს, მაშინ ასეთი წინააღმდეგობა კიდევ სხვადასხვა მიმართებით ხომ ვერ იარსებებს?). ერთი და იგივე მიმართებით წინააღმდეგობა — თავისთავის მიმართ წინააღმდეგობა (წინააღმდეგობა არსების კატეგორიაა, არსება არის არსის თავისთავისადმი მიმართება) საფუძველია წინააღმდეგობისა სხვადასხვა

---

[1] ვ. ი ლ ე ნ ი ნ, თხზ. ტ. 38, გვ. 130—131.

მიმართებით; სწორედ ამიტომ არის შესაძლებელი წინააღმდეგობა სხვადასხვა მიმართებითაც.

უარყოფა და ამიტომ წინააღმდეგობა აფართოებს ცნებას, წინააღმდეგობიდან ავდივართ ერთიანობამდე, თვითონ წინააღმდეგობა (ურთიერთუარყოფით ურთიერთდადგენა) მიდის თუ ადის ერთიანობამდე (უარყოფა აფართოებს ცნებას, მაგალითად, რიცხვის ცნებას, მსჯელობას, რომელიც უარყოფით გადადის დასკვნაზე, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ). ეს „ასვლა“ თუ გადასვლა აუცილებელი ბუნებისაა.

ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, თითქოს ერთიანობის სფერო იყოს მეტაფიზიკური და მეტალოგიკური ან რაღაც მისტიკური (როგორც ეს ესმოდათ კუზანელს, შელინგს, ს. ფრანკს და სხვ.), რადგან წინააღმდეგობის სფერო და ერთიანობის სფერო არ არის ორი სხვადასხვა სფერო. მხოლოდ წინააღმდეგობის, წმინდა წინააღმდეგობის სფერო, როგორც ითქვა, შეუძლებელია. წინააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე, მასში მოქმედი ერთიანობით. ამიტომ ერთიანობა არ არის წინააღმდეგობის იქით არსებული სფერო, ის არ არის სასრული; ცალკე აღებული უსასრულო უკვე სასრულია. ამიტომ არსებობს ერთი სფერო, სახელდობრ, წინააღმდეგობის ერთიანობის სფერო, რომელშიც, ცხადია, შეიძლება გავარჩიოთ და არსებობს მისი მხარეები, მომენტები. რომ წინააღმდეგობის და ერთიანობის სფერო სხვადასხვა სფერო იყოს, მაშინ საჭირო გახდებოდა, აუცილებელი იქნებოდა ახალი ერთიანობა (მათი შესაძლებლობისათვის) და ა. შ. უსასრულოდ, რაც მოგვცემდა უაზრობას, ლოგიკურ შეუძლებლობას. სწორედ ეს შეუძლებლობა იძლევა აუცილებლობას წინააღმდეგობის ერთიანობისა; სწორედ ის გვაჩვენებს იმას, რომ აუცილებელია წინააღმდეგობის ერთიანობის ერთ სფეროდ წარმოდგენა. ამიტომ ვინც წინააღმდეგობის სფეროს ცალკე გამოყოფს, ის წინააღმდეგობას წარმოიდგენს ენთიმემურად, ისე როგორც ანალიზურ-ლოგიკური შეუძლებელია სინთეზურობის აუცილებელი გულისხმობის გარეშე. ლოგიკა მოითხოვს ამ გაურკვეველის მოხსნას, ნაგულისხმების გაფორმებას, რაც სისრულით წარმოგვიდგენს ლოგიკურს როგორც სწორედ დაპირისპირებულთა (წინააღმდეგობის) ერთიანობას.

როგორც აღინიშნა, საწინააღმდეგონი ერთიმეორეს განსაზღვრავენ, ერთიმეორეს ადგენენ უარყოფის საშუალებით. ამიტომ ერთიანობა საწინააღმდეგოთა იმანენტური ხასიათია და არა მათგან დამოუკიდებელი რამ. რაიმე საწინააღმდეგოში გადადის საკუთარი ბუნებით. კერძო თავისი ბუნებით არის ზოგადობის მქონე, სასრუ-

ლი სწორედ მისი ბუნებით უკავშირდება უსასრულოს და პირიქით; საქმის სხვაგვარად წარმოდგენა შეცდომას გვაძლევს (როგორც ეს ზემოთ საკმარისად იქნა გარკვეული). ამიტომ ვამბობთ, რომ წინააღმდეგობის სფერო და ერთიანობის სფერო არ არის ორი სფერო. არამედ არის მხოლოდ ერთი (ჰეგელსაც, მისი დიალექტიკის წინააღმდეგ, გამოუდის ორი სფეროს აღიარება[1]). ამდენად, დაბოლოებულში არის დაუბოლოებელი (სასრულში — უსასრულო) როგორც მისი არსება.

შეიძლება თქვან (და ამბობდნენ კიდეც. მაგ. ს. ფრანკი), რომ წინააღმდეგობასთან შედარებით ერთიანობა ლოგიკურად არის სხვა. ამიტომ მათი ახალი ერთიანობის სიძნელე და ამ სიძნელის გადაუწყვეტელობა აუცილებელი ჩანს, ე. ი. დიალექტიკა თითქოს დაუძლეველი სიძნელის წინაშე დგას. ამას შესახებ პასუხი ახლახან ითქვა. მაგრამ აქ შეიძლება დაემატოს შემდეგიც. წინააღმდეგობა რომ საერთოდ გადაუწყვეტელი იყოს, მაშინ ის არც წარმოიშობოდა. მაგრამ წინააღმდეგობა საერთოდ არ არის გადაუწყვეტელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გვექნებოდა: 1) არც წინააღმდეგობა და 2) არც საგანი. როგორც ერთი საგანი (არც რეალურად, არც ლოგიკურად). თუ წინააღმდეგობა არ ეხება ერთს, მაშინ წინააღმდეგობა მის მხარეებად გაიყოფა და გვექნება ორი რამ და არა წინააღმდეგობა; წინააღმდეგობის განაწილება მას აუქმებს (ფ. ენგელსი). წინააღმდეგობა ხომ თავის თავის მიმართ გარკვეული მიმართებაა? ეს არის რეფლექსური მიმართება, თავის თავის მიმართ სრულიად გარკვეული, უარყოფის საშუალებით შესრულებული დამოკიდებულება. საგანი თავის არსებობით იმას გვამცნობს, რომ წინააღმდეგობა გადაწყვეტილია. წინააღმდეგობის, შინაგანი უარყოფის შემცველი საგანი ან არის ერთი, მაშინ წინააღმდეგობა ერთიანობაშია სწორედ ერთ სფეროში, ანდა შეუძლებელია ერთი საგანი, ის იქნება ორი, ეს ორი ოთხად წარმოდგება და ა. შ. უსასრულოდ, რაც უაზრობას წარმოადგენს. წინააღმდეგობა და ერთიანობა შესაძლებელია მხოლოდ ერთში, უკეთ, წინააღმდეგობა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანობაში. ეს არის ერთი საგანი რეალურადაც და ლოგიკურადაც. მისი ლოგიკურად ორ საგნად წარმოდგენა, როგორც ახლა (და ზემოთაც) აღინიშნა, მათი გაუქმება იქნებოდა. მაშასადამე, აუცილებელია წინააღმდეგობის ერთიანობა როგორც ერთი გარკვეული რამ.

უნდა განვასხვაოთ რეალური და ლოგიკური წინააღმდეგობები და რეალური და ლოგიკური წინააღმდეგობების ერთიანობები (რე-

[1] **Hegel, W. d. Logik, II, Lasson.** გვ. 62.

ალურის დიალექტიკა და ლოგიკურის დიალექტიკა), მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ მათთვის ზოგადი, წინააღმდეგობა, როგორც ასეთი, და წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ასეთი; ე. ი. აუცილებელია ერთი წინააღმდეგობის კატეგორია და ერთი წინააღმდეგობის ერთიანობა სწორედ კატეგორიული აზრით. შეუძლებელია კატეგორიული აზრით ორი წინააღმდეგობის, ორი წინააღმდეგობის ერთიანობის აღიარება. ეს გარემოება გვავალებს და სრულიადაც არ უარყოფს იმას, რომ არსებობს რეალური წინააღმდეგობაც და ლოგიკური წინააღმდეგობაც (და მათი ერთიანობები), რომ ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. ერთი შეიძლება ორ სხვადასხვა სფეროში წარმოდგეს სხვადასხვანაირად (ისე როგორც არისტოტელეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი მის „პირველ ფილოსოფიასა" და „ორგანონში"). ამიტომ მცდარად უნდა ჩაითვალოს აზრი, რომელიც წინააღმდეგობებს უშვებს სინამდვილეში და მას უარყოფს აზროვნებაში, ისე როგორც პირიქით — მცდარია აზრი. რომელიც წინააღმდეგობას გამორიცხავს სინამდვილიდან (მაგ. ჰილბერტი[1]), აზრში კი იგი შესაძლებლად მიაჩნია, თუმცა იგი ყოველთვის მხოლოდ შეცდომად არის წარმოდგენილი.

როგორც ითქვა, ჯერ კიდევ პლატონმა იცოდა, რომ ყოველი განსხვავება, სადაც არ უნდა იყოს ის, არის უარყოფა. ეს დიალექტიკის მომენტი ჰეგელთან განვითარებული სახით წარმოდგა და მეცნიერულად დასაბუთდა მატერიალისტურ დიალექტიკაში. როგორც აღინიშნა, უარყოფა ქმნის და არსებითად არის წინააღმდეგობა. განსხვავება სინამდვილეშიც ფაქტია და აზროვნებაშიც, აზრშიც. ამიტომ ყველგან აქვს ადგილი უარყოფას, წინააღმდეგობას, ე. ი. დიალექტიკას.

ცნებათა დიალექტიკა ობიექტური ხასიათისაა, რადგან მას საგანთა დიალექტიკა ქმნის (არა პირიქით, როგორც ეს ჰეგელს წარმოედგინა). საგანთა დიალექტიკა ქმნის ცნებათა დიალექტიკას[2]. სინამდვილეში არსებული წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურშიც წინააღმდეგობის ერთიანობით, სახელდობრ, დაპირისპირებულ ცნებათა თუ მსჯელობათა ერთიანობის სახით წარმოდგება.

არ არის სწორი აზრი, თითქოს ლოგიკურის დიალექტიკის აღიარება 1) აიგივებს აზრს სინამდვილესთან და 2) თიშავს მათ ერთიმეორისაგან. ორივე ამ აზრის ერთად წარმოდგენის სიყალბეს რომ თავი დავანებოთ, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ისე როგორც არისტო-

---

[1] ჰილბერტი, გეომეტრიის საფუძვლები, რუს. გვ. 341.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 194. იხ. აგრეთვე. მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 465.

ტელეს „პირველ ფილოსოფიასა“ და „ორგანონში“ ერთი ძირითადი კანონის — წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის მოქმედება არ აიგივებდა მათ, ასევე უნდა ითქვას დიალექტიკის „ბირთვის“ მოქმედების შესახებ მატერიალისტურ ონტოლოგიასა და მატერიალისტურ დიალექტიკურ ლოგიკაში. ერთი და იგივე ზოგადი კანონის მოქმედება ორ განსხვავებულ სფეროში ამ კანონს ორი სპეციფიკური სახით წარმოადგენს და არ აუქმებს სპეციფიკურობებს, პირიქით, სპეციფიკურობები შესაძლებელია ერთის საფუძველზე. ზოგადი აზრს აძლევს სპეციფიკურობებს და სრულიადაც არ უარყოფს მათ.

ისე როგორც ზოგადი არ გამორიცხავს სპეციფიკურობებს. ასევე, პირიქით, არც სპეციფიკურობები არიან ზოგადის გარეშე, ერთიმეორისაგან მოწყვეტილი. მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე აზრის სპეციფიკურობას ეხება, აზრისა, რომელიც მისგან დამოუკიდებლად (და საერთოდ დამოუკიდებლად) არსებულის ასახვას წარმოადგენს. ასახვა უნდა განისაზღვრებოდეს ასასახის ბუნებით. აზრი გამოთქვამს სინამდვილეს, მაგრამ, ცხადია, თავისებურად. აზრის გაიგივება სინამდვილესთან ორივეს უკარგავს თავისებურებას. ის, რაც სინამდვილისა და აზრისათვის საერთოა, დამოუკიდებლობის მქონეა სინამდვილეში. ამიტომ სინამდვილე განსაზღვრავს აზრს და არა პირიქით. თუმცა დასაბუთების თვალსაზრისით, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ლოგიკა პირველი მეცნიერებაა; ყველა მეცნიერება მას ემყარება ლოგიკურად. მით უმეტეს, თუ უზოგადესის განხილვა მხოლოდ ლოგიკურად არის შესაძლებელი (ეს კი ასეა).

რეალური და ლოგიკური წინააღმდეგობის განსხვავება. როგორც ცნობილია, საფუძვლიანად გაარჩია კანტმა თავის თხზულებაში „Versuch...“ („უარყოფით სიდიდეთა ცნების ფილოსოფიაში შეტანის ცდა“, 1763). მან იქ ერთიმეორისაგან განასხვავა რეალური „არა“ (ნული) და ლოგიკური „არა“ (ლოგიკური უარყოფა) და შეეცადა დაემტკიცებია, რომ წინააღმდეგობას (მაგალ. ძალთა წინააღმდეგობას) ადგილი აქვს სინამდვილეში. ლოგიკურში კი წინააღმდეგობას ადგილი არ აქვს (ის არის შეცდომა). მაგრამ იგი „წმინდა გონების კრიტიკაში“ კი პირიქით ამტკიცებდა. რომ წინააღმდეგობას ადგილი აქვს არა სინამდვილეში, არამედ გონებაში, რომ გონება ვარდება აუცილებელ წინააღმდეგობაში, როცა მას საქმე აქვს უსასრულობასთან. ამასთანავე წინააღმდეგობის საკითხი კანტმა დაუკავშირა სინთეზის პრობლემას. თუ ის ზემოაღნიშნულ თხზულებაში გადაუწყვეტლად თვლიდა საკითხს: Wie soll

ich es verstehen, dass weil Etwas ist, etwas Anderes sei?[1], „წმინდა გონების კრიტიკაში“ სწორედ ამ პრობლემის პოზიტიური გადაწყვეტა სცადა და ასეთი შედეგი მიიღო: „Versuch“-ში დასმული საკითხი სინთეზურობის შესახებ მან გაყო ორად: ერთი შეეხებოდა საგნებს თავისთავად და მეორე — მოვლენებს; საგნებში თავისთავად შეუძლებელია სინთეზურობა, მოვლენებში კი შესაძლებელია[2]; უფრო ზუსტად, ცნებები თავისთავადი საგნების შესაბებ ერთიმეორეს უკავშირდებიან არასინთეზურად, ანალიზურად, მოვლენების მიმართ მოხმარებისას კი შესაძლებელია აუცილებელი სინთეზური მსჯელობების შედგენა; დასკვნები ანალიზურია, მსჯელობების ნაწილი კი აპრიორულ სინთეზური.

აქ ჩვენთვის მთავარია იმის აღნიშვნა, რომ პირველად კანტმა სცადა სინამდვილეში არსებული წინააღმდეგობის ფილოსოფიაში, კერძოდ, ლოგიკაში გადატანა, მაგრამ მან ეს საქმე მხოლოდ უარყოფითი დიალექტიკით დაასრულა. უარყოფითმა დიალექტიკამ მოითხოვა დადებითი დიალექტიკა, რომელიც იდეალისტურ საფუძველზე ჩამოყალიბდა ჰეგელთან, მატერიალისტურ საფუძველზე კი — მარქსთან, ენგელსთან და ვ. ი. ლენინთან. საბოლოოდ მივიღეთ დებულება: საგანთა დიალექტიკა ქმნის ცნებათა დიალექტიკას (ვ. ი. ლენინი), სადაც ძირითადია ის, რომ წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელიც საგნებში არსებობს, განმსაზღვრელია იმ წინააღმდეგობის ერთიანობისა, რომელიც ლოგიკურში ხორციელდება. ეს უკანასკნელი გარემოება ახსნილი იქნება შემდგომ — მთელი ჩვენი ლოგიკის გასწვრივ. ახლა კი დავკმაყოფილდებით რამდენიმე მაგალითის ჩვენებით, სახელდობრ, შემდეგით:

1) ავიღოთ მოძრაობის მაგალითი, რომელიც (მოძრაობა) მხოლოდ მაგალითი კი არაა, არამედ — სამაგალითოც. მოძრაობა არის განხორციელებული წინააღმდეგობა, როგორც 1) რეალურ სინამდვილეში, ისე 2) ლოგიკურ გადასვლებში. დიალექტიკურ მატერიალიზმში მოძრაობა განიმარტება ასე: მოძრაობა არის დროისა და სივრცის წყვეტადობისა და დროისა და სივრცის განუწყვეტლობის ერთიანობა; „მოძრაობა არის წინააღმდეგობა, არის წინააღმდეგობათა ერთიანობა“.[3] არა მარტო რეალური მოძრაობაა წყვეტადობის და განუწყვეტელობის გარკვეული (სახელდობრ, დროისა და სივრ-

[1] I. Kant's Sämmtliche Werke, V, S. 59. Kirchmann.

[2] იხ. I. Kant, Kritik der praktischen Vernunft, S. 64. K. Kehrbach (სადაც ისიც აღნიშნულია, რომ „წმინდა გონების კრიტიკაში“ ნათქვამი წმინდა თეორიული გონების ძველი სტერო, კერძოდ, რასაც ეტაფიზიკას ეძახიან).

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 262.

ცის წყვეტადობა-განუწყვეტლობის) ერთიანობა, არამედ მსჯელობა „მოძრაობა არის წყვეტადობის და განუწყვეტლობის ერთიანობა“ შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას, რადგან წყვეტადობა და განუწყვეტლობა ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნებებია.

ძენონის პრობლემა იყო რეალური მოძრაობის ცნებებში გადატანის პრობლემა. ძენონის საკითხი ეხება არა იმას, არის თუ არა მოძრაობა, არამედ იმას, როგორ გამოვხატოთ „ეს მოძრაობა ცნებათა ლოგიკაში“.[1] ძენონი შეუძლებლად თვლიდა მოძრაობის გამოხატვას ცნებათა ლოგიკით, რადგან მოძრაობა წარმოადგენს წინააღმდეგობას, წინააღმდეგობა ცნებებში კი მას შეცდომად მიაჩნდა; ამიტომ და ამ აზრით იგი უარყოფდა მოძრაობას. მოძრაობის ცნებათა ლოგიკაში გამოხატვა, ეს არის მოძრაობის გაგება (გაგება საკუთარი ლოგიკით). მოძრაობის გაგებისათვის აუცილებელია: 1) არ უნდა გავაიგივოთ მოძრაობა მის შედეგთან (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძენონთან), 2) უნდა ვაჩვენოთ მოძრაობის შესაძლებლობა, 3) მოძრაობა არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც გაჩერებათა ჯამი. ე. ი. 4) მოძრაობის დიალექტიკური წინააღმდეგობა არ უნდა მოვიჩქმალოთ. ძენონი მოძრაობის დიალექტიკურ წინააღმდეგობას კი ვერ უარყოფდა, არამედ მხოლოდ ჩქმალავდა.[2]

როგორც ამას ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, მოძრაობის აზრით გამოხატვა აუხსნებს მას, მაგრამ მოძრაობის დიალექტიკის არსება მაინც გამოიხატება ფორმულით: „დაპირისპირებულთა ერთიანობა, იგივეობა“.[3] მოძრაობა გამოიხატება დაპირისპირებულ ცნება-კატეგორიების თუ მსჯელობების ერთიანობით. მოძრაობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, გამოიხატება აზრით, რომელიც თვითონ წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობას. დიალექტიკური სინამდვილე, ასე ვთქვათ, აიძულებს აზრს იყოს დიალექტიკური (ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს აზრის მიერ სინამდვილის ასახვისათვის საჭირო და აუცილებელი იყოს სინამდვილის თვისებების აზრისათვის მიწერა, არა, არსის და აზრის სფეროებში საერთო არის მხოლოდ დიალექტიკის უზოგადესი კანონები და კატეგორიები. ამაზე პირდაპირ მიუთითებს მატერიალისტური დიალექტიკის განსაზღვრება, როგორც მეცნიერებისა ბუნების, საზოგადოების და აზროვნების მოძრაობა-განვითარების უზოგადესი კანონების შესა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 260.

[2] იქვე, გვ. 263.

იხ. ძენონზე და საერთოდ მოძრაობაში წინააღმდეგობაზე აიდუკევიჩის წერილი „Deutsche Zeitschrift für Philosophie“, 1956, გვ. 318—352.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 264.

ხებ). მოძრაობის შინაგანი წინააღმდეგობა გამოითქმება აზრის დიალექტიკური წინააღმდეგობით. დებულება „მოძრავი A საგანი B ადგილზე კიდეც არის და არც არის“ შეიცავს „არის“ და „არ არის“ წინააღმდეგობას და გამოთქვამს რეალურ მოძრაობაში არსებულ წყვეტადობასა და განუწყვეტლობას. ორივე სფეროში ადგილი აქვს წინააღმდეგობის ერთიანობას, მაგრამ ერთ შემთხვევაში წინააღმდეგობა საგნებშია, მეორე შემთხვევაში კი აზრებში. განსხვავება არ აუქმებს ზოგადს, ამ შემთხვევაში, წინააღმდეგობას, როგორც წინააღმდეგობის ცნება-კატეგორიის, შინაარსს.[1]

2) კ. მარქსის „კაპიტალში“ გარკვეულია, რომ კაპიტალი არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობით გამოითქმება. კ. მარქსი ამტკიცებს, რომ კაპიტალი არ წარმოიშობა მიმოქცევიდან, მაგრამ ის არ წარმოიშობა არც მიმოქცევის გარეშე, რადგან კაპიტალი არის სწორედ ფულის წრებრუნვა. კაპიტალი წარმოიშობა წარმოებიდან, მაგრამ არა ყოველი წარმოებიდან, არამედ განსაკუთრებული წარმოებიდან, სახელდობრ, იმეთი წარმოებიდან, სადაც ღირებულებას ქმნის სამუშაო ძალა, რომელიც საქონელს წარმოადგენს. საქონელი არის პროდუქტი. რომელიც გაცვლაში ბრუნავს — გასაცვლელი პროდუქტია. ასე რომ მიმოქცევა წარმოების მომენტია. გაცვლა, განაწილებასთან ერთად .არის წარმოების მომენტი. ამიტომ უნდა ითქვას, რომ კაპიტალი წარმოიშობა წარმოებიდან და არც წარმოიშობა წარმოებიდან. ასე ითქმის მიმოქცევიდან მისი წარმოშობის შესახებაც.[2] ეს საწინააღმდეგო მსჯელობები ერთიანობაშია კაპიტალის ცნებაში, როგორც თვითმზარდი ღირებულების და თვიმზარდი ზედმეტი ღირებულების ცნებაში. კაპიტალი არის ფულის წრებრუნვა, რომელიც არ შეიძლება განხორციელდეს ექვივალენტური გაცვლის გარეშე, მაგრამ — ექვივალენტური გაცვლის დარღვევის გარეშეც, რადგან ფულის წრებრუნვა მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როცა ფულს ზედმეტი ფული მოაქვს, ეს კი შესაძლებელია იმით, რომ მიმოქცევაშია ისეთი საქონელი, რომელიც წარმოებაში ქმნის ზედმეტ ღირებულებას; ეს არის, როგორც ითქვა, სამუშაო ძალა. კაპიტალის ცნება აერთიანებს

---

[1] მ. თემატიკურ ლოგიკაში არ ჩაიხსარება წინააღმდეგობის ის გაგება, რომელიც ჩაღებული იყო ძველ ლოგიკაში, ფილოსოფიასა და ჩვეულებრივ აზროვნებაში. იქ წინააღმდეგობა ნიშნავს, იმას, რომ, მაგალითად, ჩანჩანა არ ჩუშაობს „ან-ან“-ი არ ნიშნავს წინააღმდეგობის წინადადებათა ალრიცხვაში; იგი სრულიად სხვა აზრით მოიხმ რება მათემატიკურ ლოგიკაში.

[2] იხ. კ. მარქსი, კაპიტალი, I, გვ. 212.

მის საწინააღმდეგო ცალმხრიობებს, რომლებიც ზემოაღნიშნული მსჯელობებით, სწორედ, ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო მსჯელობებით გამოითქმება. კაპიტალი არის დაპირისპირებულთა ერთიანობა. კაპიტალის ცნება არის საწინააღმდეგო მსჯელობების ერთიანობა, ამ ერთიანობის ზოგადი ახრი.

3). ქვეყანა არსებობს მხოლოდ სასრული მოვლენების სახით. მაგრამ ეს მოვლენები უსასრულოა თვისობრივი მრავალფეროვნებით და რაოდენობრივადაც; ქვეყანა უსასრულო განვითარებაშია. მეორე მხრივ, ქვეყანა არის უსასრულო. უსასრულო არსებობს სასრული მოვლენების სახით თუ ფორმით. აქ არის სასრულისა და უსასრულის ერთიანობა. ეს წინააღმდეგობა და ერთიანობა შესაძლებელია, რადგან ქვეყანა არსებობს თავის თავად (წინააღმდეგ კანტისა). სწორედ ეს თავისთავად არსებული ქვეყანა არის არც მხოლოდ სასრული და არც მხოლოდ უსასრულო — სასრულის გარეშე აღებული უსასრულო. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ქვეყანა უსასრულოა, მაშინ, ცხადია, სასრულს არ გამოვრიცხავთ; სასრული მოვლენების გარეშე ქვეყანა არაფერია. ამიტომ აუცილებელია ქვეყნის, როგორც სასრულის და უსასრულოს ერთიანობის, აღიარება. სასრული და უსასრულო ერთიმეორისადმი საპირისპირო ცნებებს წარმოადგენენ. ამიტომ: 1) ქვეყანა არის სასრულის და უსასრულოს ერთიანობა, ე. ი. „ჰეშმარიტი“ უსასრულობა (და არა „ცუდი“ უსასრულობა), 2) ქვეყნის ცნება არის სასრულის და უსასრულის ცნებების ერთიანობა (ასე წყდება კანტის პირველი ანტინომია).

ამასთანავე, უსასრულო განვითარებაში მყოფი ქვეყანა, ე. ი. ქვეყანა, როგორც უსასრულო განვითარება, ექვემდებარება უძირითადეს კანონს — წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს. შინაგანი წინააღმდეგობა არის უსასრულო განვითარების არსება. უსასრულო განვითარება „დაშვერილია“ მის უძირითადეს კანონში, რომელიც, ცხადია, სასრულია; ე. ი. უსასრულო სასრულშია „მოკუმული“. აქაც არსებობს სასრულისა და უსასრულის ერთიანობა.

აგრეთვე, თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობა არის სასრულისა და უსასრულოს ერთიანობა, რადგან წინააღმდეგობის მხარეები, როგორც ვიცით, სრულ სასრულოებს (ორ სრულ სასრულს) წარმოადგენს; წინააღმდეგობა, ამიტომ, ამოწურავს სასრულის სფეროს, წინააღმდეგობათა ერთიანობა კი არის უსასრულობა (დაუბო-

ლოებელი). ეს ასეა საგანშიც და მის გამოხმობელ აზრშიც, მაგრამ ისე რომ პირველი მეორეს განსაზღვრავს.

4) კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ შესავლიდან ცნობილია, რომ წარმოება არის მის ურთიერთუარმყოფელი და ურთიერთდამდგენი მომენტების (საკუთრივ წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება) ერთიანობა, რომელშიც წარმოება „ყარეგადამწვდომს“ წარმოადგენს. მაგალითად, წარმოება და მოხმარება ერთიმეორის საპირისპიროა, მაგრამ ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ. წარმოება ადგენს თავის თავს თავისი საპირისპიროს — თავისი უარყოფის — მოხმარების საშუალებით. ასე ითქმის მოხმარების შესახებაც.[1] წარმოება რეალურად არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც ლოგიკურად გამოითქმება დაპირისპირებულ ცნებათა თუ მსჯელობათა ერთიანობით. საგნის დიალექტიკა განსაზღვრავს აზრის დიალექტიკას, სახელდობრ, ლოგიკურის დიალექტიკურობას.

5) თვითონ ლოგიკურში, სახელდობრ, მსჯელობებსა და დასკვნებში ადგილი აქვს დაპირისპირებულთა ერთიანობას იმ მხრივაც, რომ, როგორც ეს ქვემოთ გაირკვევა, მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფა, მტკიცება-უარყოფის აზრის მქონე; ამიტომ მსჯელობა, როგორც მტკიცება-უარყოფა, მოითხოვს გამართლებას, რაც სრულდება, ხორციელდება დასკვნა-დასაბუთებაში, როგორც სრულ შუალობით კავშირში. მსჯელობა დიალექტიკურია, რადგან ის არის: 1) მტკიცება-უარყოფის აზრის მქონე, 2) კერძოსა და ზოგადის ერთიანობის აზრის მქონე. მსჯელობა (როგორც ეს შემდგომ გაირკვევა) უნდა იყოს მტკიცება-უარყოფა და კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, ე. ი. დაპირისპირებულთა ერთიანობა; ამით აქვს მას აზრი, მაგრამ ეს აზრი საბოლოოდ ხორციელდება, მართლდება სრულ შუალობით კავშირში, რომლის ერთ მომენტსაც მსჯელობა წარმოადგენს. ასე გადაებმება ერთიმეორეს მსჯელობა და დასკვნა-დასაბუთება. ეს კავშირი თვითონ არის დიალექტიკური ბუნებისა.

---

[1] სწორედ ამ გარემოების გარკვევის გზით მივედი ლოგიკური უსასრულოს ცნებამდე. პირველად ლოგიკური უსასრულოს ცნება, როგორც რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის ცნება, განვსაზღვრე 1947 წელს. ფილოსოფიის ინსტიტუტის სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში „დასკვნის პრობლემისათვის“ (წაკითხული იყო 26 დეკემბერს), რომლის თეზისებიც (ქართულად და რუსულად) დაიბეჭდა იმავე წლის იმავე თვეში; ეს მოხსენება სრული სახით კი გამოქვეყნდა 1949 წელს „ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომების“ I ტომში (უსასრულო დასკვნის განსაზღვრება იხ. ამ ტომის გვ. 132). თვალსაზრისი, რომელიც აქ იყო წარმოდგენილი, განვითარდა ჩემს შემდეგ ნაშრომებში.

დაპირისპირებულთა ერთიანობა სრული სახით ლოგიკურში გაერთიანდება სრულ შუალობით კავშირში, გარკვეულ დასკვნაში, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ უპასრულო დასკვნას, რომელიც ამავე დროს დასაბუთებასაც წარმოადგენს. ამ დასკვნა-დასაბუთებაში სრულით წარმოდგება ლოგიკური რეფლექსურობა, სახელდობრ, ლოგიკურის კატეგორიის ბუნება. ამდენად ამ დასკვნა-დასაბუთებაში მისი ზოგადი აზრის სახით წარმოდგება ცნებაც. ამრიგად, ლოგიკურის ყველა ფორმის ბუნება დაპირისპირებულთა ერთიანობის ხასიათისაა.

§75. ფორმალური ლოგიკის კანონთა დაძველებარებული ხასიათი

ფორმალური ლოგიკის „აზროვნების კანონები“ აჩვენებენ იმას, თუ როგორი არ შეიძლება იყოს ლოგიკური კავშირი, რომის არის შეუძლებელი იგი და არა იმას, თუ როგორ უნდა იყოს და რომის არის ის დადებითად შესაძლებელი თუ განხორციელებული. ლოგიკური კავშირი რომ არსებობდეს, ამისათვის აუცილებელია, რომ იგივეობა არ დაირღვეს, წინააღმდეგობა, თავისთავის გაუქმება არ იქნას დაშვებული და უნდა გამოირიცხოს წინააღმდეგობისათვის მესამე და სხვ. ამიტომ, როგორც ითქვა, „აზროვნების კანონები“, როგორც უპირობითი დებულებები, თვითონ საჭიროებენ ამხსნელ საფუძველს, ისინი არ არიან პირველადი ხასიათის და უნდა ექვემდებარებოდნენ დადებითს, ძირითადს, უფრო არსებითს და უფრო შინაგანს. ამდენად ისინი არიან უფრო გარეგანი და „ზერელენი“ იმ დადებითისა და ლოგიკური კავშირისათვის აუცილებელი და საკმარისი პირობების მიმართ, რომლებსაც ისინი ექვემდებარებიან და უნდა დაექვემდებარონ.

როგორც ითქვა, ჯერ კიდევ ფიხტემ აღნიშნა, რომ იგივეობის კანონი — „A არის A“ ექვემდებარება „მე ვარ“-ს, როგორც თვითდადგენას; „A არის A“ იგივეა, რაც „თუ არის A, მაშინ არის A“, სადაც არაა ის, თუ რა არის A; არის მხოლოდ ფორმა, როგორც პირობითი დადგენა, რომელსაც იქვემდებარებს თვითდადგენა, რომელიც არ არის არც მხოლოდ ფორმა და არც მხოლოდ შინაარსი, არამედ შინაარსეულ ფორმას წარმოადგენს. ჰეგელისათვის იგივე-

ობის კანონი არის განსჯის კანონი, რომელიც აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი ლოგიკური კავშირისათვის; იგივეობა თავისი ბუნებით გადადის თავის საწინააღმდეგოში, უარყოფაში (უარყოფითი დიალექტიკა), მაგრამ მომენტად შედის სპეკულაციურში (დადებით დიალექტიკაში). კოპენისათვის პირველი ანუ ძირითადი კანონი არის არა იგივეობის კანონი, არამედ პირველსაწყისის (Ursprung-ის) მსჯელობა,[1] და სხვ. ერთი სიტყვით, იგივეობის კანონი სხვაზე დაქვემდებარებული კანონი უნდა იყოს.

იგივეობა არის ერთიანობის მომენტი, წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინააღმდეგობის მომენტია, გამორიცხული მესამის დებულება კი თვითონ შეიცავს და ეყრდნობა „მესამეს". როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული, დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი კი არ ექვემდებარება წინააღმდეგობის შეუძლებლობას და გამორიცხული მესამის კანონებს, არამედ, პირიქით, იქვემდებარებს მათ. ამ კანონებს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი აფუძნებს როგორც საკუთარ მხარეებს — მომენტებს.

კიდევ მეტი ითქმის „აზროვნების კანონებზე" მათემატიკურ ლოგიკაში. იგივეობის კანონი — $A \to A$ იგივეა, რაც $\bar{A} \vee A$, ე. ი. უდრის გამორიცხული მესამის კანონს — $A \vee \bar{A}$. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონიც $A \cdot \bar{A}$ იმავე აზრისაა, რასაც გამორიცხული მესამის კანონი წარმოადგენს; მაგრამ ამ კანონის გაყოფითობა არის უმთავრესად არა გამომრიცხავი, ამიტომ დასკვნის აუცილებლობისათვის არ გამოდგება (თუ დასკვნა აღრიცხვაზე არ დავიყვანეთ). „აზროვნების კანონები" მათემატიკურ ლოგიკაში არ არიან საფუძველ-შედეგის ლოგიკური დამოკიდებულების კანონები[2]; ისინი არიან გარკვეული ფუნქციონალური დამოკიდებულების — ჭეშმარიტების ფუნქციის კანონები, მაშინ როცა ლოგიკური კავშირი საფუძველ-შედეგის კავშირს წარმოადგენს.

ამრიგად, ფორმალური ლოგიკის „აზროვნების კანონები" (არისტოტელეს სამი კანონი) დაქვემდებარებული ხასიათის მქონე კანონებია. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ფორმალური ლოგიკა დაბალი — დაქვემდებარებული ლოგიკაა, დიალექტიკური ლოგიკა კი „უმაღლეს ლოგიკას" წარმოადგენს.

---

[1] H. Cohen. Logik der reinen Erkenntnis, Berlin, 1914, გვ. 63.

[2] Д. Гильберт и В. Аккерман, Основы теоретической логики, გვ. 20.

თუ ლოგიკური კანონების განხილვას იგივეობის კანონის განხილვით დავიწყებთ, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ, ამ კანონების აზრით, იგივეობის კანონის მიერ ნაგულისხმევი იგივეობა არის უმარტივესი რამ; ეს იგივეობა ისეთი მარტივი და აბსტრაქტულია, რომ არ არჩევს ჭეშმარიტებას შეცდომისაგან, სიმწორეს არასისწორისაგან, იმ აზრით, რომ არა მარტო ჭეშმარიტი და სწორია თავისთავთან იგივეობრივი, არამედ — მცდარი და არასწორიც. რომ მცდარი თუ არასწორი არ იყოს თავისთავთან იგივეობრივი, მაშინ ის არ იქნება ასეთი, იქნებოდა ჭეშმარიტი და სწორი. მიუხედავად ამისა, იგივეობა აუცილებელია ყველაფრისათვის, კერძოდ, ჭეშმარიტება-ცისწორისათვის.

იგივეობის კანონი აუცილებლობით უკავშირდება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს, რადგან წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება იგივეობის დებულების უარყოფითი გამოთქმაა (თუ კი მხედველობის გარეშე დავტოვებთ წინაღმდეგობის შეუძლებლობის დებულების ერთ — სინთეზის — მომენტს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი). ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ დადებითობის ფორმისათვის ლოგიკურად აუცილებელია უარყოფითობის ფორმა (ფიხტეს მიერ ნაჩვენები სიძნელე). ლოგიკისათვის ამ აუცილებლობის უგულებელყოფა იქნება ღალატი თავის თავისადმი; მისი დადგენა კი არის გარკვეული გადასვლა დადებითობის ფორმიდან უარყოფითობის ფორმაში; ეს უკვე არის წინააღმდეგობის აუცილებლობა, რომელიც დადებითად არის გათვალისწინებული წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულების მიერ ნაგულისხმევ სინთეზურობის მომენტში (რაზეც ქვემოთ განსხვავებული ნიშნის მიწერაში).

ამასთანავე, როგორც ითქვა, წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინასწარ გულისხმობს წინააღმდეგობას, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს მესამეს, რამდენადაც წინააღმდეგობას მხოლოდ ორი სრული სასრული მხარე აქვს; ამით უკვე შესრულდა გამორიცხული მესამის დებულების სფეროში გადასვლა. ასე აუცილებლობით უკავშირდება გამორიცხული მესამის კანონი იგივეობისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონებს (ამ კავშირს აქვს ერთგვარი განვითარების ხასიათი, რომელიც შემდგომ უფრო აშკარა გახდება).

მესამის შეუძლებლობა და საწინააღმდეგოს გამორიცხვა არის უკვე რაიმეს დადგენა, რომელიც „მეტია" იგივეობაზე. ეს არის დადგენის კანონის აზრი. ამით სრულდება გადასვლა დადგენის კანონზე.

მაგრამ ეს დადგენა გადადის უარყოფაში, რადგან რაიმეს დადგენა, ამავე დროს, არის სხვისი უარყოფაც. ამით გადავედით („საქმე“ გადავიდა) უარყოფის კანონში, გაირკვა ამ კანონში გადასვლის აუცილებლობა; დადგენის კანონი დაუკავშირდა მის წინ არსებულ კანონებს.

სხვისი გამორიცხვა-უარყოფა შესაძლებელია განსხვავების თუ სხვაობის საფუძველზე, განსხვავების კატეგორიის გამოყენებით, ამიტომ არსებობს ამ კატეგორიის შესატყვისი კანონიც, ეს არის განსხვავების კანონი.

ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია და არსებობს იგივეობისა და სხვაობის აუცილებლობის კანონი.

აქედან აუცილებლობით გამომდინარეობს ის, რომ არსებობს და მოქმედებს აუცილებელი მეორის (ანდა როგორც განსხვავებულის მიღების) კანონი, რომელიც შეესატყვისება დიალექტიკის ერთ ძირითად კანონს; რაოდენობის თვისობრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი — ერთი თვისობრიობის ახალ თვისობრიობაში გადასვლის კანონი ლოგიკურში მოქმედებს როგორც აუცილებელი მეორის კანონი. იგივეობისათვის განსხვავებულის აუცილებლობა, ეს არის ერთსათვის მეორის (სხვის) აუცილებლობა.

თვითონ იგივეობა და სხვაობა ერთიმეორისადმი დაპირისპირებული ცნებებია, ამიტომ უნდა არსებობდეს და არსებობს კიდეც დაპირისპირებულთა აუცილებლობის (მათი არა ერთიანობის, არამედ მხოლოდ აუცილებლობის) კანონი. ეს არის, მაგალითად, სასრულისათვის უსასრულის აუცილებლობა, კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა და სხვ. ამით ვეებულობთ უარყოფით დიალექტიკას ლოგიკურში (მაგალითად, კანტის ანტინომიების აზრს).

მაგრამ დაპირისპირება კატეგორიებში იგივეა, რაც წინააღმდეგობა; ამიტომ არსებობს არა მარტო დაპირისპირებულთა აუცილებლობის კანონი, არამედ წინააღმდეგობის აუცილებლობის (არა ერთიანობის) კანონიც (სრულად წარმოდგენილი უარყოფითი დიალექტიკა). ამგვარად სრულდება გადასვლა ამ ახალი კანონის სფეროში.

თუ არსებობს წინააღმდეგობა და წინააღმდეგობის აუცილებლობა, მაშინ, ცხადია, უნდა არსებობდეს წინააღმდეგობისათვის აუცილებელი რაღაც გარკვეული „მესამე“ (მაგალითად, თვითონ წინააღმდეგობა). მაშასადამე, არსებობს აუცილებელი მესამის კანონიც.

მაგრამ წინააღმდეგობა გამორიცხავს გარკვეულ მესამეს, ამიტომ არსებობს წინააღმდეგობის საფუძველიც, წინააღმდეგ შემთხვევაში

იგი შეუძლებელი იქნებოდა, ე. ი. არსებობს წინააღმდეგობისათვის აუცილებელი პირველი. ამრიგად, ვღებულობთ აუცილებელი პირველის კანონს — გადავდივართ ამ კანონის სფეროში.

წინააღმდეგობის აუცილებელ მხარეს წარმოადგენს ურთიერთგამორიცხვა. ამიტომ არსებობს ურთიერთგამორიცხვა და მისი შესატყვისი (ურთიერთგამორიცხვის) კანონიც.

მაგრამ წინააღმდეგობა იმასაც ნიშნავს, რომ ერთი რაიმეს დადგენით გამორიცხება (არა მარტო სხვა, არამედ) საწინააღმდეგო, ამრიგად ვღებულობთ ახალ კანონს, რომელსაც ზემოთ ვუწოდეთ დადგენით უარყოფის კანონი.

წინააღმდეგობა არის არა მარტო დადგენით უარყოფა, არამედ უარყოფით დადგენაც, ამიტომ არსებობს და მოქმედებს უარყოფით დადგენის კანონიც.

მაგრამ წინააღმდეგობა არის არა მხოლოდ ურთიერთუარყოფა (ასეთი რამ, როგორც ითქვა, შეუძლებელიც იქნებოდა), არამედ ურთიერთდადგენაც. ამრიგად, გვაქვს სრული საფუძველი ვთქვათ, რომ ლოგიკურში მოქმედებს ურთიერთდადგენის კანონიც.

ამიდ კი უკვე მივედით („საქმე" თვითონ მივიდა) იმ დადებითამდე, რომელიც შედეგია უარყოფის უარყოფისა ლოგიკურში. არსებობს უარყოფის უარყოფის ლოგიკური კანონიც.

საწინააღმდეგოთაგან თვითეული მხარე არის უარყოფის უარყოფა, ამდენად ორივე მხარე დადებითობებსაც წარმოადგენს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობა არის ორმხრივი თუ ორმაგი უარყოფის უარყოფა, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ერთიანობა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ლოგიკურში მოქმედებს და არსებობს ერთიანობის კანონი.

ეს ერთიანობა არის გარკვეული საფუძველი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყოველგვარ სხვა საფუძველს ამართლებს, ყოველგვარ სხვა ლოგიკურ საფუძველს აძლევს აზრს. ამიტომ ისიც უნდა ითქვას, რომ ლოგიკურში მოქმედებს საფუძვლის კანონი.

გარკვეული ერთიანობა აუცილებელია წინააღმდეგობისათვის, როგორც მისი საფუძველი. წინააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე. მაშასადამე, არსებობს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი ლოგიკურში, წინააღმდეგობის ერთიანობის ლოგიკური კანონი.

ყველა ზემოთ განხილული კანონი წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის, როგორც ლოგიკურის კანონის, ერთმხრიობებს (თუ ცალმხრიობებს) წარმოადგენენ. კანონთა ზემოთ გარკვეული კავშირი

არის განვითარებითი კავშირი, ლოგიკური გადასვლა-განვითარება წინააღმდეგობის ერთიანობაში მოხსნილი და შენახულია ყველა მისი მხარე, როგორც მისთვის აუცილებელი მომენტი. ასეთია, მოკლედ, ლოგიკურ კანონთა კავშირი, სუბორდინაცია.

§ 77. ლოგიკური აზრის ძირითადი კანონი

კანონის ზოგადობა შესაბამისი საგნის ბუნების ზოგადობაა; ის არის საგნის არსების სიღრმის ზოგადობა; კანონი არსების კატეგორიაა. არსებობს არსების სიღრმის სხვადასხვაობა და ამიტომ — სხვადასხვა სიღრმის ზოგადობანი. არსებობს პირველი რიგის, მეორე რიგის და ა. შ. არსებანი[1], რასაც სხვადასხვა ზოგადობა შეესატყვისება და რაც მათით განისაზღვრება. აქ, ხაზენებული სიღრმის სხვადასხვაობის გამო, ადგილი აქვს დაქვემდებარებას, სუბორდინაციას. შინაარსეული ზოგადობანი, რომლებიც არსების სიღრმის სხვადასხვაობას გამოხატავენ, განსაზღვრავენ მრავალი კანონის შესაძლებლობას. ამასთანავე, თანახმად კანონის ცნებისა, უნდა არსებობდეს მრავალი კანონის დამქვემდებარებელი ერთი ძირითადი (თუ უძირითადესი) კანონი.

როგორც ეს ზემოთ განხილულ ლოგიკურ კანონთა კავშირის ბუნებიდან გამომდინარეობს, წინააღმდეგობის ერთიანობის ლოგიკური კანონი სხვა ლოგიკურ კანონებს იქვემდებარებს შინაარსეულადაც და ფორმის მხრივაც. ამიტომ ის არის ლოგიკურის ძირითადი კანონი.

აქ აღნიშნული სხვანაირად შეიძლება ასეც გამოითქვას: კანონი არის გარკვეული ერთიანობა, რომელსაც სხვადასხვა სიღრმე —საფეხურები აქვს; მას აქვს შემდეგი ძირითადი საფეხურები: 1) იგივეობა, 2) განსხვავებულთა ერთიანობა, 3) ამ განსხვავების სხვადასხვა სიღრმის ანუ დაპირისპირების ერთიანობა, 4) სრული სასრული ერთმხრიობის (წინააღმდეგობის ერთი მხარის) ერთიანობა და. ბოლოს, 5) წინააღმდეგობის ერთიანობა (ანუ უსასრულობის ერთიანობა). სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის (ანუ თვითდადგენის და უსასრულობის) კანონი არის ძირითადი (თუ უძირითადესი) კანონი, ყველა სხვა ერთიანობის კანონთა დამქვემდებარებელი კანონი.

სხვა კანონები ძირითადი კანონის ერთმხრიობების კანონებია. ანუ მასთან შედარებით სპეციფიკურ კანონებს წარმოადგენენ. ლოგიკურის ძირითადი კანონი — წინააღმდეგობის ერთიანობის ლო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 257.

ვიკური კანონი სრული სახით ფილოსოფიურ კატეგორიებში, ამ კატეგორიათა ლოგიკურ კავშირ-ერთიანობაში ხორციელდება.

ლოგიკური კავშირი აუცილებელი სინთეზის ხასიათისაა. ამიტომ მისი ძირითადი კანონი სწორედ აუცილებელი ლოგიკური სინთეზის სრული ამხსნელი უნდა იყოს. ასეთს არ წარმოადგენს „აზროვნების კანონები“, რომლებიც არა სინთეზის, არამედ სწორედ ანალიზურობის კანონებია. ლოგიკური სინთეზის სრულად ამხსნელი კანონი, ცხადია, უნდა ითვალისწინებდეს აუცილებელი სინთეზის მომენტებს. ეს მომენტებია: იგივეობა, ერთიანობა, უარყოფა, დაპირისპირება-წინააღმდეგობა, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული. ასეთი მომენტების შემცველი კანონი არის მხოლოდ დაპირისპირებულთა ანუ წინააღმდეგობის ერთიანობის ლოგიკური კანონი, რომელიც, სწორედ აქ თქმულის გამო, ლოგიკური აზრის ძირითად კანონს წარმოადგენს.

ლოგიკურის ძირითადი კანონი უნდა იყოს სინამდვილის ძირითადი კანონის სპეციფიკური წარმოდგენა, მისი მოქმედება ლოგიკის სფეროში (ეს ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა არისტოტელეს ლოგიკაში, რომლის ძირითადი კანონი — წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი—წარმოადგენდა „პირველი ფილოსოფიის“ ძირითადი კანონის ლოგიკურში სპეციფიკურად წარმოდგენილ ფორმას). ეს უზრუნველყოფს ლოგიკურის ობიექტურობას, რომლის გარეშე ლოგიკა უსაგნო და ამიტომ ზედმეტი გახდებოდა.

§ 78. ლოგიკურის ძირითადი და არაძირითადი კანონები

ლოგიკურ კანონთა ზემოთ გადმოცემულ დახასიათებაში თითქმის სრულად არის მოცემული პასუხი ლოგიკურის ძირითადი და არაძირითადი კანონების საკითხზე. ამ პარაგრაფში ჩვენს მიზანს შეადგენს წინ წამოვწიოთ ამ კანონებს შორის არსებული დამოკიდებულება.

როგორც გაირკვა, არსებობენ ლოგიკურის ძირითადი და არაძირითადი კანონები. ძირითადი კანონი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. ერთზე მეტი ძირითადის აღიარება ეწინააღმდეგება ძირითადის ცნებას. არ შეიძლება არსებობდეს სამი თუ ოთხი (ერთზე მეტი) ძირითადი კანონი, როგორც ამას ფორმალური ლოგიკა აღიარებს, რომელსაც საბოლოოდ არ დაუდგენია ლოგიკის კანონთა დამოკიდებულების ლოგიკური ხასიათი (თუ რამდენიმე კანონს ვუწოდებთ ძირითად კანონს, მაშინ ერთი იქნება უძირითადესი. ეს გარემოება შეთანხმებაზეა დამოკიდებული. ლოგიკური სიზუსტე კი ერთის ძირითადობას მოითხოვს).

აზრის ძირითადი კანონი არ არის არც ერთი „აზროვნების კანონებიდან“ და არც ყველა ერთად, რადგან ისინი მხოლოდ უარყოფითი პირობებია ლოგიკური აზროვნებისათვის, და, მართლია, აუცილებელნი არიან მისთვის, მაგრამ საკმარის კანონებს არ წარმოადგენენ.

ძირითადი კანონი არის საგნის არსების, საგნის განვითარების განმსაზღვრელი კანონი. ასეთია ლოგიკურის ძირითადი კანონიც. ასეთ კანონს, როგორც ითქვა, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი წარმოადგენს. არაძირითადი კანონი (საგნის თუ) ლოგიკურის ერთი აუცილებელი მხარის განმსაზღვრელი კანონია. მაშასადამე, უნდა ითქვას, რომ ძირითადი და არაძირითადი კანონების დამოკიდებულება არის დაქვემდებარების — სუბორდინაციის — დამოკიდებულება, სხვანაირად, ეს არის შინაარსეული ზოგადისა და შინაარსეული კერძოების დამოკიდებულება, ანუ ერთიანობისა და მისი მომენტების დამოკიდებულება, ანდა კიდევ: ზოგადის და სპეციფიკურის დამოკიდებულება, სადაც სპეციფიკური გაგებულია როგორც შინაარსეული კერძო.

როგორც ითქვა, აზრის ძირითადი კანონი (როგორც სხვა ლოგიკური კანონები) აზრის სინამდვილესთან კავშირს, მის ობიექტურობას აფუძნებს. აზრს რომ სინამდვილესთან საერთო არ ჰქონდეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა აზრის ობიექტურობა, ამიტომ — ლოგიკაც უსაგნო დარჩებოდა. აზრს რომ სპეციფიკურობა არ ჰქონდეს, არც მაშინ იქნებოდა ლოგიკა შესაძლებელი; ის ონტოლოგიას დაემთხვეოდა. სპეციფიკურობა კი აუცილებლობით მოითხოვს იმას, რის სპეციფიკურობაც ის არის.

რადგან არაძირითადი კანონები ძირითადი კანონის ერთმხრიობებს წარმოადგენენ, ამიტომ მათ აზრი აქვთ ერთიმეორესთან და ძირითადთან მიმართებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადი და არაძირითადი კანონების დამოკიდებულება აბსოლუტურისა და შეფარდებითის დამოკიდებულებას წარმოადგენს. წინააღმდეგობის ერთიანობა აბსოლუტურია, რადგან: 1) წინააღმდეგობის უარყოფა მასვე ადგენს; წინააღმდეგობა, როგორც ვიცით, ლოგიკურის კატეგორიაა; 2) ერთიანობის უარყოფაც გარკვეული ერთიანობაა; 3) ისიც ვიცით, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგოს შეუძლებლობა მასვე ადგენს. არაძირითადი კანონების აზრი კი ემყარება (ერთიმეორეს და) ძირითადი კანონის აზრს, რომელიც მისივე მომენტების არსებობით არის გამართლებული.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ ეს ურთიერთდამყარება ლოგიკური ხასიათისაა, ე. ი. საფუძველ-შედეგის გარკვეულ დამოკიდებულებას

წარმოადგენს. მაშასადამე, ძირითადი და არაძირითადი ლოგიკური კანონების დამოკიდებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც საფუძველ-შედეგის ლოგიკური დამოკიდებულება; ამიტომ იგი გაამართლებს საფუძველ-შედეგის ყოველგვარ ლოგიკურ დამოკიდებულებას, როგორც ეს შემდგომ იქნება ნათელყოფილი.

ამრიგად, 1) ლოგიკურის ძირითადი კანონი არის წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, რადგან ის არის აბსოლუტური, ლოგიკური უსასრულობის ბასიათის; ის არის შინაგანი უარყოფით თვითდადგენის კანონი, ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობის ბუნების მქონე; ის, რაც თავის თავის უარყოფით (შინაგანი უარყოფით) თავის თავს ადგენს, არ შეიძლება ექვემდებარებოდეს სხვას, მაშინ როცა ეს უკანასკნელი მას აუცილებლად ექვემდებარება. 2) ლოგიკურის „ძირითადი კანონები“ ეფუძნებიან სხვას, სხვით დგინდებიან; ამიტომ ისინი ლოგიკურის ძირითადი კანონის ერთმხრიობებს — მომენტებს შეადგენენ და ამიტომ, ცხადია, დაქვემდებარებული ხასიათის არიან; 3) ლოგიკური აზრის არაძირითადი და ძირითადი კანონების დამოკიდებულება სასრულის და უსასრულოს დამოკიდებულებაა, რადგან შინაგანი უარყოფით თვითდადგენა არის ლოგიკური უსასრულო, მისი ერთმხრიობები კი სასრულის ბუნების არიან; 4) არსისა და აზრის უზოგადესი კანონი არ შეიძლება ლოგიკურისათვის არ იყოს პირველი, რამდენადაც, ცხადია, იგი ლოგიკურში მოქმედებს, როგორც ლოგიკური ფორმების და მათი ობიექტურობის განმსაზღვრელი კანონი.

ლოგიკურის ყველა კანონი მოქმედებს ლოგიკურ ფორმებში, რომლებშიც ისინი ხორციელდებიან, ისე რომ ისინი მათ ლოგიკურ წანამძღვარებს არ წარმოადგენენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ლოგიკურ უაზრობას: წანამძღვრების შედეგთან კავშირს სხვა წანამძღვარი დასჭირდებოდა და ა. შ. უსასრულოდ.

§ 79. ონტოლოგიური და ლოგიკური კანონები

ნათქვამიდან ჩანს, რომ ლოგიკური კანონების რეალურ საფუძველს რეალური კანონები წარმოადგენს. სინამდვილის ზოგიერთი კანონი ლოგიკურშიც მოქმედებს, ცხადია, სპეციფიკურად; ამით, როგორც ითქვა, საბუთდება ლოგიკურის ობიექტურობა.

ონტოლოგიური კანონები საგნობრიობის მხრივ აფუძნებს ლოგიკურ კანონებს. ამიტომ ლოგიკა უნდა იყოს და არის ონტოლოგიური ლოგიკა. ონტოლოგიური ლოგიკის საწინააღმდეგო თვალსაზრისი მიდის იქამდე, რომ ლოგიკური კანონები თამაშის კანონებად წარმოიდგინონ. მაგრამ იმის თქმა, რომ ლოგიკის კანონები თამა-

შის კანონებია, თვითონ აღარ იქნება თამაში; წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკას საერთოდ დაეკარგებოდა აზრი. ლოგიკის კანონების თამაშის კანონებად ჩათვლა ლოგიკას აუქმებს და შეხედულება, რომ ლოგიკის კანონები თამაშის კანონებია, თავის თავს გამორიცხავს, რადგან მისი ეს აზრიც მას თამაშად უნდა ჩაეთვალა. ეს თვითგამორიცხვა, როგორც შეცდომა, საწინააღმდეგოს აუცილებლობას ასაბუთებს. სუბიექტივისტურ თვალსაზრისზე ლოგიკის აგება შეუძლებელია; ეს შეუძლებლობა ლოგიკის ობიექტურ საფუძველზე აგების აუცილებლობაზე მიუთითებს.

თუ საგნობრიობის მხრივ ლოგიკა ონტოლოგიაზე ფუძნდება, ლოგიკურობის მხრივ ონტოლოგია, ისე როგორც ყველა სხვა მეცნიერება, ლოგიკას ემყარება. ლოგიკურად, ცხადია, ლოგიკაა პირველი, სხვანაირად შეუძლებელია. დასაბუთება, რომელიც სხვა მეცნიერებაში, კერძოდ კი ონტოლოგიაში, ხორციელდება, თავის სათავეს ლოგიკაში პოულობს. ლოგიკის ძირითადი კანონი, როგორც ლოგიკური კანონი, ლოგიკურად ამართლებს ყოველგვარ დასაბუთებას და მის კანონებს და წესებს ყველა მეცნიერებაში, კერძოდ, ონტოლოგიაშიც.

ისეთი ონტოლოგიური კატეგორიებიც კი, როგორიცაა არსის, რაოდენობის, თვისობრიობის (და ბევრი სხვა) კატეგორიები მოქმედებს მსჯელობებსა და დასკვნებში, ცხადია, სპეციფიკურად; არსის კატეგორია იგულისხმება არსებობის მსჯელობაში, კოპულაშიც და სხვ. თვისობრიობა მსჯელობაში დადებითობის და უარყოფითობის სახით არსებობს, რაოდენობაზეა დამყარებული საერთოდ ექსტენსიონალური ლოგიკა და სხვ. საფუძველი არის რეალურიც და ლოგიკურიც; სასრულის და უსასრულოს კატეგორიები მოქმედებენ ონტოლოგიაშიც და ლოგიკაშიც, თუმცა სპეციფიკურობის შეძენით, და სხვ.

ონტოლოგიური ლოგიკა არ შეიძლება გაუიგივდეს ონტოლოგიას; ეს ლოგიკის უარყოფა იქნებოდა, რაც შეუძლებელია, რადგან დასაბუთება, რომელსაც ადგილი აქვს ონტოლოგიაში და სხვა მეცნიერებაში, მათთვის ზოგადი ბუნებისაა, რასაც გარკვეული მეცნიერება —ლოგიკა სწავლობს და არა ონტოლოგია ან სხვა მეცნიერება. ამ მხრივ ყველა მეცნიერება ემყარება ლოგიკას, რომელიც დასაბუთების მხრივ რეფლექსურია, თავისთავს ეფუძნება. ლოგიკა თვითონ არის ლოგიკურად რეფლექსური.

ლოგიკური რეფლექსურობა დამახასიათებელია ლოგიკური კანონებისათვის და არა ონტოლოგიური კანონებისათვის. ზოგიერთი ონტოლოგიური კატეგორია ლოგიკურშიც მოქმედებს როგორც ლო-

გიკურის კატეგორია (როგორც ეს ზემოთ იქნა ნაჩვენები). ლოგიკურის კატეგორიის ლოგიკური რეფლექსურობა დამახასიათებელია ლოგიკურისათვის და არა ონტოლოგიურისათვის; რაიმეს დადგენა ამ რაიმეს უარყოფით არის დასაბუთება, რომელსაც, ცხადია, არ აქვს ადგილი სინამდვილეში, თუმცა ასეთი დასაბუთების რეალურ საფუძველს საგანში არსებული შინაგანი წინააღმდეგობა წარმოადგენს.

ლოგიკაში, სახელდობრ, დიალექტიკურ ლოგიკაში (და არა ფორმალურ ლოგიკაში) ადგილი აქვს საფუძველ-შედეგის შებრუნებადობას, მაშინ როცა ასეთი რამ ონტოლოგიურ სფეროში არ არსებობს, მაგალითად, მიზეზისა და შედეგის შებრუნება სინამდვილეში შეუძლებელია, მაშინ როცა ლოგიკაში დასკვნა სრულდება არა მარტო მიზეზიდან შედეგზე, არამედ შედეგიდან საფუძველზე. ლოგიკური საფუძველ-შედეგის შებრუნებადობის რეალურ საფუძველს წარმოადგენს სინამდვილეში არსებული უკუკავშირები, ურთიერთკავშირები.

ლოგიკას თავისი სპეციფიკური კატეგორიებიც აქვს, რომლებიც მხოლოდ მისი საკუთრებაა. ეს არის ცნების, მსჯელობის და დასკვნის კატეგორიები. ამ მხრივ, ცხადია, რომ ლოგიკის გაიგივება ონტოლოგიასთან დაუშვებელია. მსჯელობისა და დასკვნის კანონები და წესები, როგორც სწორედ მსჯელობის და დასკვნის წესები, მხოლოდ ლოგიკის კუთვნილებაა.

მაშასადამე, არსებობს ონტოლოგიური ლოგიკის კანონები, რომლებიც ონტოლოგიის კანონებს არ წარმოადგენენ; მაგრამ ლოგიკურ კანონებს ონტოლოგიური საფუძველი აქვს.

§ 80. წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, როგორც ლოგიკური კანონი

მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში ონტოლოგიის ძირითად კანონს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი. დიალექტიკურ ლოგიკაში, რომელიც ონტოლოგიურ ლოგიკას წარმოადგენს, ძირითადი კანონის როლს სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი ასრულებს. „საგანთა ლოგიკა“ განსაზღვრავს აზრთა ლოგიკას. წინააღმდეგობის კანონი ლოგიკურში თავისებური სახით, სპეციფიკურად არსებობს.

წინააღმდეგობის ერთიანობის, როგორც ლოგიკურის კანონის, შესახებ, ზემოთ საკმაოდ ითქვა, აქ ჩვენთვის მთავარია ხაზგასმა იმისა, თუ რით საბუთდება ამ კანონის, როგორც სწორედ ლოგიკური კანონის, თავისებურება, რაშია ამ კანონის ლოგიკური ხასიათი.

წინააღმდეგობა და წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ითქვა, ლოგიკურადაც აბსოლუტურია. წინააღმდეგობის ერთიანობის ლოგიკური აბსოლუტურობა ისაა, რომ მისი უარყოფა (ისე როგორც წინააღმდეგობის უარყოფა) შეუძლებელია და, რაც მთავარია, მისი უარყოფა მასვე ადგენს. ამ აზრით აბსოლუტურია წინააღმდეგობის ერთიანობის ისეთი მომენტებიც, როგორიცაა უარყოფა და წინააღმდეგობა. უარყოფის უარყოფა არის სწორედ უარყოფა. წინააღმდეგობის უარყოფა თვითონ ქმნის წინააღმდეგობას; უარყოფა, როგორც წინააღმდეგობის არსება, არსებითად წინააღმდეგობაა. მთლიანად წინააღმდეგობის ერთიანობის უარყოფაც მასვე ადგენს, რადგან ასეთი უარყოფის დროს, როგორც ეს ზემოთ გაირკვა. იგი წარმოიდგინება ცალმხრიობად, რომელიც აუცილებელი ხდება მისი უარყოფით მიღებული ცალმხრიობისათვის, ე. ი. აუცილებელი ხდება ახალი წინააღმდეგობის ერთიანობა, და ა. შ. ეს უაზრობა უკვე დადგენილია წინააღმდეგობის ერთიანობის აუცილებლობისა. ამიტომ ვამბობთ, რომ წინააღმდეგობის უარყოფა შეუძლებელია და რომ ეს უარყოფა, აქ აღნიშნულის გამო, მასვე ადგენს.

წინააღმდეგობის ერთიანობის ეს ლოგიკური რეფლექსურობა ასაბუთებს მის აბსოლუტურობას ლოგიკურში.

წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, ცხადია, ლოგიკური კანონიცაა, რადგან იგი მოქმედებს ლოგიკურ ფორმებში, როგორც ძირითადი, არსებითი. წინააღმდეგობის ერთიანობა არ შეიძლება ლოგიკურში არ მოქმედებდეს, რადგან ლოგიკური კავშირი, როგორც გაირკვა, არის სინთეზური, სახელდობრ, ისეთი სინთეზური, რომელიც აუცილებლად შეიცავს ანალიზურობას; ის არის ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობა, ე. ი. წინააღმდეგობის ერთიანობა. ლოგიკური თავისი ბუნებით დიალექტიკურია. დაწვრილებით ქვემოთ გაირკვევა ის, თუ როგორაა სინთეზ-ანალიზი დაპირისპირებულთა ერთიანობა (ეს გაირკვევა დასაბუთების ბუნების განხილვის დროს). ქვემოთ სპეციალურად (დასკვნის თეორიაში) გაირკვევა ის, რომ წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში უშუალოდ. პირდაპირ და სრული სახით ხორციელდება მხოლოდ უსასრულო დასკვნაში, რომელიც დასაბუთების არსებას შეადგენს. ახლა კი, ზემოთ გარკვეული მასალის ნიადაგზე შეიძლება ვთქვათ, რომ წინააღმდეგობის ერთიანობა არის ლოგიკური იმ აზრით, რომ ის ლოგიკურის კატეგორიის ბუნებისაა.

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი ლოგიკაში შეიძლება სხვა სახელწოდებითაც წარმოდგეს. წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში არის შინაგანი უარ-

ყოფის საშუალებით შესრულებული თვითდადგენა, ამიტომ ამ კანონს შეიძლება ეწოდოს თვითდადგენის კანონი, თუკი თვითდადგენა, ცხადია, გაგებულ იქნა როგორც შინაგანი უარყოფით თვითდადგენა და არა თვითდადგენა ტავტოლოგიის აზრით (როგორც ეს ხშირად ასე ესმით).

სინთეზურ-ლოგიკურში ადგილი აქვს განსხვავებულთა აუცილებელ ერთიანობას. განსხვავება შინაგანი უარყოფის შემცველია. ეს უარყოფა სრული სახით წარმოდგება დაპირისპირება-წინააღმდეგობის დროს, სახელდობრ, მაშინ, როცა საქმე გვაქვს კატეგორიების ლოგიკურ კავშირთან, რომელიც არსებითად მოქმედებს ყოველ მსჯელობასა და დასკვნაში. მსჯელობა „კერძო არის ზოგადი“ აუცილებლობით შეიცავს უარყოფას, დაპირისპირება-წინააღმდეგობას, რომელიც აქ გამოითქმება უარყოფითი მსჯელობით —„კერძო არ არის ზოგადი“. ის დადებითი, რომელიც აუცილებლობით შეიცავს წინააღმდეგობას, ცხადია, არის წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელიც განხორციელებულია თვითდადგენის სახით. ლოგიკაში შინაგანი უარყოფის შემცველი არის თვითდამდგენი, თვითდადგენა, რომელიც მოქმედებს მსჯელობებში, დასკვნებში, მსჯელობის დასკვნაში გადასვლაში, გარკვეული სახის დასკვნებში და წარმოადგენს არსებას დასაბუთებისათვის, დასაბუთების ლოგიკურ საწყისს (როგორც ეს შემდგომ სპეციალურად იქნება გარკვეული. და თავისებურად დასაბუთებული გვაქვს ნაშრომში „დასაბუთების საწყისი“. 1963 წ.)

მაშასადამე, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი ლოგიკაში არის თვითდადგენის კანონი.

§ 81. ლოგიკური კანონი და წესი

ლოგიკაში დღემდე არ არის ზუსტად დადგენილი, თუ რას ეწოდება ლოგიკური კანონი და რას —ლოგიკური წესი. ხშირად ყველაზე უზოგადესი კანონიც წესად იწოდება. მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ არსებობს აზროვნებისა და შემეცნების დიალექტიკური წესი და მხედველობაში გვაქვს დიალექტიკური მეთოდი, ის წესი, რომლითაც ჩვენ სინამდვილის შემეცნებას უნდა ვაწარმოებდეთ (დიალექტიკური მეთოდი არა მხოლოდ შემეცნების, არამედ მოქმედების მეთოდიცაა); მაგრამ, როცა სილოგიზმის წესებზე ვლაპარაკობთ, მაშინ ლოგიკური კანონი უფრო ზოგადი მნიშვნელობით გვესმის, და სხვ. მართალია, სიტყვების „კანონის“ და „წესის“ მოხმარება შეთანხმებაზე და სიტყვა-ხმარებაზეცაა დამოკიდებული, მაგრამ მაინც საჭიროა ამ საკითხში გარკვეულობის შეტანა.

ლოგიკური კანონი უნდა იყოს ის კანონი, რომელიც ლოგიკურის ყოველ ფორმაში მოქმედებს, სულ ერთია ეს კანონი ძირითადი იქნება თუ არაძირითადი, ერთმხრიობის კანონი იქნება თუ ლოგიკურის არსების. ლოგიკური წესი კი არის ის, რომელიც აზრის მხოლოდ რომელიმე ფორმაში ან მის სახეში მოქმედებს.

უნდა ითქვას ისიც, რომ ლოგიკურის კანონს შეიძლება ვუწოდოთ წესი, მაგრამ არა პირიქით, ყოველი წესი არ არის კანონი, რადგან კანონი მხოლოდ ის წესი შეიძლება იყოს, რომელიც საყოველთაოა ლოგიკური ფორმებისათვის.

როგორც ამას შემდგომ ვნახავთ, არსებობს ისეთი დასკვნა, რომელიც, ამავე დროს, დასაბუთებაცაა. ამიტომ მისი კანონი და წესი ერთი და იგივე იქნება; მას დასკვნის შემადგენელი ნაწილებიც — მსჯელობებიც — დაექვემდებარება. ასეთი კანონი თუ წესი არის ლოგიკურის კატეგორიის ანუ უსასრულო დასკვნის კანონი, წესი.

სიტყვებს „კანონი“ და „წესი“ სრულიად სხვა აზრი აქვს მათემატიკურ ლოგიკაში. ლოგიკურ კანონად იწოდება ტავტოლოგიური ან ყოველთვის ჭეშმარიტი დებულება, ე. ი. ისეთი წინადადება, რომელიც ჭეშმარიტია მიუხედავად მისი შემადგენელი ნაწილების ჭეშმარიტობა-მცდარობისა, რომელთა ჭეშმარიტობის ფუნქციასაც ის წარმოადგენს. ლოგიკური წესი მათემატიკურ ლოგიკაში არის ნამდვილად არა ლოგიკური წესი, არამედ მეტალოგიკური წესი, მაგ., ჩასმის ხერხი, რომლის გამოყენება მექანიკური ხასიათისაა. არც ფუნქციონალური დამოკიდებულებაა ლოგიკური დამოკიდებულება (ფუნქციის ცნება მათემატიკის ძირითადი ცნებაა და არა ლოგიკისა) და არც მექანიკური პროცესია ლოგიკური აუცილებლობის ხასიათისა. ამიტომ ლოგიკური კანონი და წესი ლოგიკაში უნდა გვესმოდეს ისე, როგორც ზემოთ იყო წარმოდგენილი.

———————

ნაწილი მეორე

აზრის ლოგიკური ფორმები

თავი პირველი (5)

მსჯელობა

§ 82. აუცილებელი სინთეზის პრობლემა.

სინთეზის პრობლემა პირველად პარმენიდესთან (საერთოდ, ელეელებთან) იქნა დასმული. ეს პრობლემა მასთან არსის პრობლემის სახით იქნა წარმოდგენილი; მაგრამ, შეიძლება ისიც ითქვას, რომ პარმენიდეს არსის პრობლემა აზრის პრობლემაც იყო, რადგან მისთვის აზრი და არსი ერთი და იგივეა (მე-5 და მე-8 ფრაგმ.); არსებობს მხოლოდ ის, რაც აზრის ბუნებისაა (არა აზრის ბუნების მქონე არსი, რომელიც ჩვენი აზრისაგან განსხვავდება; არა, ასეთი დაპირისპირება პარმენიდესთან არ გვაქვს. მისთვის არსი არის მხოლოდ ერთი). არსი არის ერთი, არარსი არ არის. ამიტომ არ შეიძლება ერთ არსს სხვა რაიმე მიეწეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში იარსებებდა არსი და სხვა, რომელიც იქნებოდა არსის მიმართ მეორე. ყოველი სხვადასხვაობა აუცილებლობით შეიცავს არარსს (ეს მომენტი განავითარა პლატონმა თხზულებაში „სოფისტი"). ამიტომ არ არსებობს სიმრავლე და მოძრაობა (რომელთა წინააღმდეგ პარმენიდეს აზრი თავისებური არგუმენტებით გაამაგრა ელეელმა ძენონმა). სხვადასხვაობა მოუაზრებელია; ე. ი. სინთეზი შეუძლებელია, რადგან სინთეზი სხვადასხვაობას აუცილებლობით გულისხმობს (პარმენიდესთან ეს პრობლემა, როგორც სინთეზის პრობლემა, უშუალოდ არ იდგა, მან არსის პრობლემაში ჩამოაყალიბა დებულებები, რომლებიც გამორიცხავდნენ სინთეზის შესაძლებლობას). პარმენიდეს ამ აზრმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომ ფილოსოფიაზე საერთოდ, კერძოდ კი ლოგიკაზე; ამან განსაზღვრა ლოგიკურის ანალიზურობის შესახებ მოძღვრებები.

სინთეზის პრობლემა ლოგიკურობაში უშუალოდ იქნა დასმული სოკრატული სკოლების მიერ. ეს პრობლემა აქ ორი მხრივ წარმოდგა:

1) მეგარელები (ევკლიდე) ამტკიცებდნენ, რომ არსებობს მხოლოდ იგივეობა, ზოგადობა, ერთი და არ არსებობს განსხვავება, კერძოები. სიმრავლე; ამიტომ შეუძლებელია მსჯელობის სუბიექტს მიეწეროს მისგან განსხვავებული პრედიკატი. ჰეშმარიტი მსჯელობები მხოლოდ ტავტოლოგიური მსჯელობებია (მაგიდა არის მაგიდა, ადამიანი არის ადამიანი და სხვ); 2) ცინიკები (ანტისთენე) კი ამტკიცებდნენ, რომ არსებობს არა იგივეობა, არამედ მხოლოდ განსხვავება, არა ზოგადი, არამედ — კერძოები, არა ერთი, არამედ — სიმრავლე. ამიტომ სინთეზი შეუძლებელია, რაიმე სუბიექტს არ შეიძლება მიეწეროს მისგან განსხვავებული პრედიკატი; განსხვავებულთა გაიგივება, გაერთიანება შეუძლებელია (რადგან არ არსებობს იგივეობა, ერთი). მაშასადამე, ორივე ეს სკოლა ერთსა და იგივე დასკვნამდე მიდიოდა: ორივე აღიარებდა მხოლოდ ტავტოლოგიური მსჯელობების ჰეშმარიტობას, უარყოფდნენ ლოგიკური სინთეზის შესაძლებლობას.

მეგარელები თავიანთ თავს ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ერთი მხრივ, აღიარებდნენ განსხვავების შეუძლებლობას, მაგრამ, მეორე მხრივ, მათი ტავტოლოგიური მსჯელობები იყო ბევრი და არა მხოლოდ ერთი. ბევრის აღიარება, ხომ არ ეთანხმება და გამორიცხავს ბევრის უარყოფას, მხოლოდ ერთის აღიარებას? თავის თავს ეწინააღმდეგებოდნენ ცინიკებიც, რადგან თუ სუბიექტი არ შეიძლება დაუკავშირდეს განსხვავებულ პრედიკატს, რადგან განსხვავებულები არ ერთიანდებიან, მაშინ თვითეული ამ განსხვავებულთაგან ხომ იქნება თავის თავისადმი იგივეობრივი? წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნება სხვა (შესრულდება სინთეზი).

მაშასადამე, სინთეზის უარმყოფელი თვალსაზრისები შეიცავენ გამოუვალ წინააღმდეგობებს, მაგრამ ისეთ წინააღმდეგობებს, რომლებიც თავისი ბუნებით სწორედ სინთეზს მოითხოვს.

არისტოტელემ არ გაარჩია ეს პრობლემა; მან სინთეზური მსჯელობა მიიღო როგორც ფაქტი და მოითხოვა დასკვნის და დასაბუთების სინთეზურობაც (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი); თუმცა მის მიერ დახასიათებული სილოგისტურ-ლოგიკური საბოლოოდ ანალიზური გამოვიდა.

ახალ დროში პირველად მთელი სიმწვავით სინთეზის პრობლემა კანტმა დასვა და მასზე პასუხის გაცემასაც შეეცადა, რითაც საფუძველი ჩაუყარა დიალექტიკურ-ლოგიკურის პრობლემას. როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, კანტმა „Versuch"-ში დასვა პრობლემა: „როგორც უნდა გავიგო მე, რომ იმის გამო, რომ რაიმე არის ერთი, არის აგრეთვე. რაღაც სხვა". აქ საკითხი დასმულია კატეგორიულ სფეროში — პირველი ფილოსოფიის სიბრტყეზე, ამიტომ ის ეხება ლოგი-

კურსაც. მაგრამ სინთეზის პრობლემა, როგორც მსჯელობის პრობლემა, კანტმა ძირითად პრობლემად მიიჩნია თავის „წმინდა გონების კრიტიკაში“. ამ შრომის მთავარი საკითხი, როგორც ცნობილია, არის სინთეზურ-აპრიორული მსჯელობის საკითხი, ე. ი. აუცილებელი სინთეზური მსჯელობის საკითხი. კანტმა ეს პრობლემა ასე გადაწყვიტა: სინთეზურ-აპრიორული მსჯელობა შესაძლებელია და არსებობს აპრიონული გრძნობადი ინტუიციის საფუძველზე; სინთეზი შეუძლებელია ცნებებში, რადგან არ არსებობს ინტელექტუალური ინტუიცია. აუცილებელი სინთეზები ხორციელდება მოვლენების მიმართ, კატეგორიის გამოყენებისას მოვლენების მიმართ (კატეგორია მსჯელობის ფორმაა) და არა თავისთავადი საგნების მიმართ. შესაძლებელია და არსებობს (მათემატიკასა და ფიზიკაში) სინთეზურ-აპრიორული მსჯელობები, სინთეზური დასკვნები კი შეუძლებელია (ამიტომაა შეუძლებელი ძველი მეტაფიზიკა, როგორც მეცნიერება).

კანტის მიერ მსჯელობების ანალიზურად და სინთეზურად, ამ უკანასკნელის ცდისეულად და აპრიორულად გაყოფა შეეხებოდა არა მარტო შემეცნების პრობლემას, არამედ, პირველ რიგში. სწორედ ლოგიკის პრობლემას, რადგან ეს დაყოფა მხოლოდ შინაარსის მიხედვით კი არ იყო შესრულებული, არამედ ფორმის მხრივაც. ტრანსცენდენტალურ ლოგიკაში გარკვეულად იყო გაიგივებული შემეცნების თეორია და ლოგიკა (როგორც ამას ჩვენ შემდეგ უფრო დაწვრილებით გავარკვევთ); მსჯელობის შინაარსი და ფორმა განხილული იყო ერთიანობაში. მსჯელობების, როგორც სინთეზური და ანალიზური კავშირის, განსხვავება ფორმასაც ეხება. აუცილებელი სინთეზის პრობლემა სწორედ მსჯელობის, როგორც ლოგიკური კავშირის, პრობლემას წარმოადგენს. ანალიზურ მსჯელობაში განხორციელებულია კავშირი, რომელიც იგივეობას ემყარება; სინთეზი კი მოითხოვს მეტს — იგივეობასა და წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე მეტს. რადგან სინთეზი განსხვავებას შეიცავს, განსხვავება კი გარკვეული უარყოფის შემცველია (ეს ნაგრძნობი ჰქონდა, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ პარმენიდეს). დადებითობის ფორმა და უარყოფითობის ფორმა ერთიმეორისაგან ლოგიკურად განსხვავებულია.

პირველად ფიხტე შეეცადა (სწორედ კანტის ფილოსოფიის საფუძველზე) დადებითად გადაეწყვიტა ლოგიკურში სინთეზის პრობლემა, როგორც ცნებითი სინთეზის (რასაც კანტი შეუძლებლად მიიჩნევდა) პრობლემა. ფიხტეს „მეცნიერების თეორიაში“ განხორციელებული სინთეზები ცნებების, სახელდობრ, კატეგორიების სინთეზებს და ამ გზით კატეგორიების სისტემას წარმოადგენდა. ეს სისტემა, ერთსა და იმავე დროს, იყო შემეცნების თეორიაც, ლოგიკაც და მეტაფიზიკაც.

მიუხედავად ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმისა). სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად ჰეგელის ფილოსოფიას.

ჰეგელმა სინთეზურობა ცნებაში და ცნებების კავშირში აღმოაჩინა. მან ცნების ანალიზით სინთეზის შესაძლებლობა დაასაბუთა და ამით საფუძველი ჩაუყარა დიალექტიკურ ლოგიკას (რომელიც დამახინჯდა იდეალიზმის გამო). მაგალითად, წმინდა იგივეობის ანალიზი იმას გვაძლევს, რომ ეს იგივეობა წარმოდგება სიცარიელედ, გარკვეულ არარად, რომელსაც შედარებითი ხასიათი აქვს. აქ გამოყენებულ და განვითარებულ იქნა პლატონის „სოფისტის" შედარებითი არარსის ცნება,როგორც შედარებითი უარყოფის ცნება (პარმენიდეს აბსოლუტური არსი იგივე გამოვიდა, რაც გორგიას არარსი, რომელიც მან სწორედ პარმენიდეს არსიდან გამოიყვანა, რადგან განსხვავების გარეშე აღებული არსი იგივე არარსს წარმოადგენდა).

იდეალიზმმა დაამახინჯა სინთეზის პრობლემა ჰეგელთან, რადგან მასთან უარყოფა აბსოლუტის ძალად გამოცხადდა, რის შედეგად უარყოფის ლოგიკური ხასიათი დამახინჯდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ, ერთი მხრივ, ნეოკანტიანელებმა ისევ კანტიანური სინთეზის სფეროში დარჩენა ამჯობინეს, ფორმალურმა ლოგიკამ კი აღადგინა ლოგიკური ანალიზურობა, რომელიც მან საერთოდ ლოგიკურს გაუიგივა; ეს კი ლოგიკურის აბსოლუტურ ტავტოლოგიურობამდე მივიდა მათემატიკურ ლოგიკაში. დღეს ეს პრობლემა, სახელდობრ, ლოგიკური სინთეზურობის პრობლემა უაქტუალურეს პრობლემად არის დარჩენილი (მათემატიკური ლოგიკის წარმომადგენლებიც გრძნობენ ლოგიკურის მხოლოდ ანლიზურობით შემოფარგლის შეუსაბამობას და სვამენ სინთეზის პრობლემას. ამ მხრივ საინტერესოა კარნაპის თვალსაზრისი).

მაშასადამე, ლოგიკურის, სახელდობრ, ლოგიკური ფორმების სინთეზური ბუნების შესახებ პრობლემა ძირითადი პრობლემაა ლოგიკურისათვის, პირველ რიგში, დიალექტიკური ლოგიკისათვის. აუცილებელი სინთეზის პრობლემის გადაწყვეტაზე ხელის აღება ლოგიკისადმი ღალატია. თუ უარყოფა აღებულ იქნა ლოგიკური აზრით, მაშინ უნდა ითქვას, რომ აუცილებელი სინთეზის უარყოფა შეუძლებელიცაა, რადგან ეს უარყოფა თვითონ ქმნის სინთეზურობას, რადგან ის განსხვავების არსებას წარმოადგენს.

§ 83. განსაზღვრულობის ცნება

ლოგიკურის, პირველ რიგში კი, მსჯელობის სინთეზურობის დასაბუთებისათვის აუცილებელია გარკვეულ იქნეს საერთოდ განსაზღვრულობის (Bestimmtheit) ბუნება.

საერთოდ განსაზღვრულობა, სულ ერთია ის იქნება არსის განსაზღვრულობა თუ აზრის განსაზღვრულობა, არის ის, რომ რაიმე არის ეს. რაიმეს რაღაც ნიშანი ახასიათებს, რაიმე არის ასეთი — ეს ამ რაიმეს განსაზღვრულობაა, მაგალითად, ვარდს სიწითლე ახასიათებს. ცნებას — ზოგადობა და სხვა. ისინი განსაზღვრულობებს, სახელდობრ, ვარდისა და ცნების განსაზღვრულობებს წარმოადგენენ.

რაიმეს განსაზღვრულობა მაშინ არსებობს, თუ ეს რაიმე სხვისგან განსხვავდება; წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება რაიმეს არა განსაზღვრულობას, არამედ სწორედ განუსაზღვრელობას, ე. ი. იმას, რომ რაიმე სხვა რაიმესგან არ გამოირჩევა, რაიმე არ არის გარკვეული რაიმე განსაზღვრულობა არ არის სხვა განსაზღვრულობა; ამ აზრით ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ; რაიმე არის ეს სწორედ იმიტომ, რომ ის არ არის სხვა და, პირიქით, რაიმე არის არასხვა; მაშ., რაიმეს მიეწერება გარკვეული უარყოფა. სწორედ ასეთ შემთხვევაში გვაქვს განსაზღვრულობა. განსაზღვრულობა ყოველთვის ასეთი უარყოფის მქონეა, რაიმეს მიეწერება სხვისი გამორიცხვა, სახელდობრ, ის, რომ ის არ არის სხვა. მაგრამ, მეორე მხრივ (და პირველიდან გამომდინარე), რაიმე არის ეს სწორედ იმის გამო, რომ ის არ არის სხვა, ე. ი. სხვის გამო არის რაიმე ეს და არა სხვა. ეს სხვა რაიმეს განსაზღვრულობის გარკვეული საფუძველია. სხვისი განსაზღვრულობა განსაზღვრავს რაიმეს, როგორც ამას და არა სხვას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ უარყოფა არის განსაზღვრულობისათვის აუცილებელი ელემენტი — determinatio est negatio (სპინოზა, მარქსი). ის გარემოება, რომ კერძო არის კერძო და არა ზოგადი, კერძოს განსაზღვრულობას წარმოადგენს. კერძო არის არაზოგადი, ე. ი. კერძო სწორედ გარკვეული უარყოფის ჭონების გამოა კერძო და სხვ.

სწორედ უარყოფის გამო არის შესაძლებელი ყოველი განსაზღვრულობის გადასვლა სხვაში, ცვალებადობა. განსაზღვრული აუცილებლობით უკავშირდება სხვას. სხვასთან დაკავშირება არის განსაზღვრულობა და პირიქით.

განსაზღვრულობა თავისი ბუნებით არის სინთეზური. სინთეზური არ შეიძლება თავისში არ შეიცავდეს შინაგან უარყოფას. ყოველ განსაზღვრულობაში არის უარყოფა. თუ განსაზღვრულობაში არის უარყოფა, მაშინ მისთვის აუცილებელი იქნება წინააღმდეგობაც, რადგან უარყოფა წინააღმდეგობის არსებაა. ამრიგად, განსაზღვრულობა, სწორედ შინაგანი უარყოფისა და წინააღმდეგობის გამო, დიალექტიკური ბუნებისაა.

თუ რაიმეს განსაზღვრულობა დამოკიდებულია სხვაზე, თუ იგი სხვის გამოა ასეთი, მაშინ ეს სხვა იქნება „მისი სხვა“ და მისი ცნება

შეიცავს ამ სხვის ნიშანს. ამიტომ შესაძლებელია საქმე წარმოვიდგინოთ ისე, რომ რაიმესათვის სხვა იყოს თვითონ მასში, როგორც მისთვის შინაგანი. მაგალითად, მსჯელობაში „ცუგა არის ძაღლი“ ძაღლი, როგორც ზოგადი, არის სხვა, მაგრამ შინაგანი ცუგასათვის. სწორედ ამ შინაგანობას გამოთქვამს მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი“ ანუ „კერძო არის ზოგადი“, სადაც ზოგადი კერძოს საპირისპიროა და ამიტომ მათი კავშირი შეიცავს შინაგან უარყოფას. თუ ეს ასეა, მაშინ ყოველი განსაზღვრულობა არის არსებითად დაპირისპირებულთა ერთიანობა.

დაპირისპირებულთა ერთიანობაა, მაგალითად, თავისუფლების განსაზღვრულობა, ე. ი. ის, თუ რას წარმოადგენს ის; თავისუფლება შეიცავს საპირისპიროს — აუცილებლობას; თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა; რაიმე არის თავისუფალი, თუ მას აუცილებლობა შინაგანად აქვს გადაქცეული და ეს მისთვის შეგნებულია. შემთხვევითობის ცნებაც აუცილებლობით გულისხმობს „მის სხვას“, რომელიც მისთვის საპირისპიროა. ამიტომ ვამბობთ, რომ შემთხვევითობა არის აუცილებლობის არსებობის ფორმა. მიზეზი შეიცავს შედეგის ნიშანს, რადგან მიზეზი შედეგის მიზეზს ჰქვია; ასე ითქმის შედეგის შესახებაც და სხვა.

განსაზღვრულობის მქონეა ყოველი საგანი, ყოველი აზრი და მათი ყოველი ნიშანი. განსაზღვრულობის ლოგიკური უარყოფაც სრულიად გარკვეულ განსაზღვრულობას წარმოადგენს, რადგან უარყოფა არის ის, რაც არსებითია განსაზღვრულობისათვის, როგორც ასეთისათვის.

§ 84. სასრული ლოგიკური

განსაზღვრულობის ბუნება განსაზღვრავს სასრულ ლოგიკურს. რეალური განსაზღვრულობა არის რეალური საფუძველი, პირველ რიგში, მსჯელობისა, რომელიც, როგორც ვნახავთ, სასრულ ლოგიკურს წარმოადგენს.

არისტოტელესათვის (და მთელი ძველი ბერძნული აზროვნებისათვის) უსასრულო არის გაურკვეველობა, სასრული კი გარკვეულობაა; სასრული იგივეა, რაც გარკვეული. სასრული ანუ გარკვეული არის ის, რაც არის ეს და არა სხვა; ამგვარად და არა სხვაგვარად მყოფი არის სასრული — გარკვეული (ლაიბნიცი, ბოლცანო, ჰუსერლი და სხვ.).

სასრულის კატეგორიას ემყარება და მას სისრულით გამოთქვამს არისტოტელეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, იგი-

ვეობისა და გამორიცხული მესამის დებულებები: 1) ეს არის ეს (იგივეობის კანონი), 2) ეს არის არასაწინააღმდეგო (წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი), 3) ეს არის ან A, ანა არა-A, მესამე გამორიცხულია (გამორიცხული მესამის კანონი).

ეს კანონები თუ დებულებები სასრულია არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ისინი სასრული საგნების ბუნების გამომთქმელი არიან, არამედ იმ აზრითაც, რომ თვითონ არიან სასრულის ხასიათისა. 1) „A არის A“, როგორც ითქვა, არის არა A-ს დადგენა, არამედ „თუ არის A, მაშინ არის A“. — პირობითი დებულებაა, — პირობითობის დებულებაა. 2) წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და გამორიცხული მესამის დებულებები, როგორც ითქვა, უარყოფით დებულებებს წარმოადგენენ; ამიტომ ისინი რაღაც დადებითის გამო არიან აზრის მქონენი. რაღაც დადებითს გულისხმობენ წინასწარ და მას ემყარებიან. 3) სამივე ეს დებულება არ არის საკმარისი არც ჭეშმარიტებისათვის და არც სისწორისათვის (ლოგიკური ჭეშმარიტებისათვის), რადგან: ა) ამ კანონებს ემყარება არაჭეშმარიტიც და ბ) არასწორიც (როგორც ეს ზემოთ აღინიშნა). 4) ისინი არ არიან საკმარისი სინთეზისათვის, ვერ ხსნიან სინთეზის ბუნებას, თუმცა სინთეზის ახსნისათვის აუცილებელი არიან; 5) ეს კანონები მხოლოდ ანალიზურის კანონებად გამოდგებიან იმ აზრით, რომ ტავტოლოგიურობია კანონებს წარმოადგენენ. 6) აღნიშნული კანონები არა დადებითი, არამედ მხოლოდ უარყოფითი პირობებია როგორც ჭეშმარიტების, ისე სისწორისათვის. მათი დარღვევა შეცდომას იწვევს, დაცვა კი არ არის ჭეშმარიტებისა და სისწორის გარანტია. 7) ეს კანონები თავისი ბუნებით არიან ტავტოლოგიური (როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული). 8) ისინი ემყარებიან და გულისხმობენ სხვა კანონებს (ესეც ზემოთ ლოგიკური კანონების განხილვის დროს იქნა გარკვეული). 9) ცალმხრივ თუ ერთმხრივ კანონებს ანუ არაძირითად კანონებს წარმოადგენენ; 10) ეს ლოგიკური კანონები, როგორც სწორედ აზრის კანონები, თავისი ბუნებით მეორადია, რადგან აზრი არის საგნის ასახვა.

სასრულის ცნება შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირადაც: სასრული არის ის, რაც სხვით დგინდება ან უარიყოფა. ასეთია ყოველი საგანი, მოვლენა და ყოველი აზრი, როგორც სხვით დაფუძნებული და სხვით უარყოფილი. მაგალითად, სასრულია მიზეზი, საფუძველი, პირობა, რადგან მათ აზრი აქვთ შედეგით, გაპირობებულით. თვითონ შედეგის და გაპირობებულის სასრულობა თავისთავად ცხადია. ასევე სასრულია დანასკვი, თეზისი, რადგან მათ გარკვეული საფუძველი აქვთ. მაგრამ სასრულია თვითონ საფუძველი თუ წანამძღვრე-

ბიც, რომლებიც აზრის მქონე არიან თეზისით, დანასკვით. დანასკვის გარეშე წინამძღვარი არ არსებობს.

სასრულის ბუნებას კარგად გამოთქვამს მოდუსის ცნება სპინოზასთან. სასრული (სპინოზას ენით რომ ვილაპარაკოთ) არის ის, რაც არსებობს სხვაში, რასაც სხვა აქვს მიზეზად, რის მოაზრებისათვის სხვისი მოაზრებაა საჭირო და აუცილებელი.

სხვით ფუძნდება და უარიყოფა ის, რასაც შეუძლია თავის თავსაც დაემყაროს და თავისი თავით იქნეს უარყოფილი. თუ რაიმე არ ემყარება თავის თავს ნაწილობრივ მაინც, ის არც არსებობს. რაც ყოველმხრივ სხვაშია, ის სხვაა და არაა თვითონ (რელიგიური თვალსაზრისი, რომ ყველაფერი ღმერთს გულისხმობს თავის საფუძვლად და რომ ღმერთის გარდა არაფერია თავისთავადი, ღმერთის გარდა ყველაფრის მოჩვენებად გამოცხადება). რაიმე გარკვეულობა რომ არის ეს და არა სხვა, იმას ნიშნავს, რომ ის თავის თავს ეფუძნება შედარებით — ნაწილობრივ მაინც. გარეგანით უარყოფა შეუძლია იმას, რასაც სწორედ ეს შეუძლია, რასაც აქვს უნარი — შესაძლებლობა უარყოფილ იქნას, რასაც ახასიათებს შინაგანი უარყოფა. რომელიმე ადამიანი შეიძლება ტყვიით მოკვდეს, მაგრამ ის არ მოკვდება არაფრით, თუ მას სიკვდილი არ შეუძლია, თუ ეს შესაძლებლობა მასში არაა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სასრული არის ის, რაც შინაგანი უარყოფის მქონეა და ამ უარყოფით უარიყოფა.

ვ. ი. ლენინი ასე განსაზღვრავს სასრულს :„რაიმე აღებული მისი იმანენტური საზღვრის თვალსაზრისით, — თავისთავთან მისი წინააღმდეგობის თვალსაზრისით, წინააღმდეგობისა, რომელიც მას (ამ რაიმეს) უბიძგებს და გაყავს იგი თავის საზღვრებზე უფრო შორს, არის სასრული". [1] ვ. ი. ლენინის ეს აზრი ეთანხმება ჰეგელის ერთ აზრს: ყველაფერი (ყოველი სასრული) იცვლება შინაგანი წინააღმდეგობით, რაც სასრულის შესახებ ჰეგელის დებულებებში „რაციონალურ მარცვალს" წარმოადგენს. ვ. ი. ლენინი ჰეგელის ფილოსოფიის რაციონალურ მარცვალს ანვითარებდა მატერიალისტურ საფუძველზე.

ჰეგელის აზრი სასრულის შესახებ მეორე მხარესაც შეიცავს, სახელდობრ, იმას, რომ სასრული გაიგივებულია არარსთან, არსი კი მხოლოდ აბსოლუტია; თუმცა ამით ის ეწინააღმდეგებოდა თავისსავე დიალექტიკას, სახელდობრ, სასრულისა და უსასრულოს დიალექტიკას.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 102.

ჰეგელი იმასაც ამბობს, რომ სასრული არის ის, რაშიც ცნება და არსი განსხვავებული და განცალკევებულია.[1] სასრულის ასეთი გაგება მიდის სასრულის ცნების უარყოფამდე, რადგან სასრულის ცნება შეუძლებელია, თუ ის სწორედ სასრულს არ გამოთქვამს, თუ სასრულის არსი არ არის გამოთქმული მის ცნებაში, თუ ეს ცნება მის არსს არ ეთანხმება.

ჰეგელის აზრით, სასრული ლოგიკური არის განსჯის ლოგიკური. ცალმხრივი ცნების თუ მსჯელობის აღება სრულად, ცალმხრივის სრულად — არაცალმხრივად წარმოდგენა, ლოგიკური განსაზღვრულობების განცალკევებულად წარმოდგენა; მაგალითად, თავისუფლების წარმოდგენა აუცილებლობის გარეშე, დადებითის წარმოდგენა უარყოფითის გარეშე და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ჰეგელის ეს აზრი კარგად ახასიათებს იმას, რასაც ფორმალურ-ლოგიკური წარმოადგენს. მართლაც, სასრული ერთმხრიობაა; მაგალითად, დადებითი მსჯელობა ფორმალურ ლოგიკაში წარმოდგენილია უარყოფითი მსჯელობის გარეშე, თავისთავად. ასევეა წარმოდგენილი უარყოფითი მსჯელობაც, არ არის დადგენილი ლოგიკური კავშირი დადებითობის და უარყოფითობის ფორმებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა დაპირისპირებულთა ერთიანობა — დიალექტიკური ლოგიკურში.

შეიძლება და უნდა ითქვას, რომ სასრული არის პირობითი, რომელიც ლოგიკაში გამოითქმება ასე: „თუ — მაშინ“ (თუ არის A, მაშინ არის B, ანუ: თუ A, მაშინ B). ეს დებულება, როგორც ცნობილია, არის ფორმალურ-ლოგიკური პრინციპი საერთოდ ლოგიკურისა, კერძოდ, დასკვნებისა. ამიტომ სასრული ბუნებისაა დასკვნები ფორმალურ ლოგიკაში; ასეთივეა მსჯელობებიც, რადგან ისინიც ემყარებიან პრინციპს — „თუ — მაშინ“. შემდგომ იმასაც ცხადვყოფთ, რომ ფორმალურ ლოგიკური დასკვნები არსებითად მსჯელობებს წარმოადგენენ, დაიყვანებიან მსჯელობებზე; ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სასრული ლოგიკური არის მსჯელობა, როგორც სრული ლოგიკური შუალობითი კავშირის ერთმხრიობა (თუ ცალმხრიობა). მაშასადამე, უნდა ითქვას, რომ ფორმალური ლოგიკა არის სასრული ლოგიკურის ლოგიკა. ის სრული ლოგიკურის მხოლოდ ერთ მხარეს სწავლობს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ სასრული არის ის, რაც სხვით უარიყოფა და დგინდება, მაშინ სასრული ლოგიკური არ ამოიწურება ანალიზურით; პირიქით, ის სინთეზური უნდა იყოს. თუ

[1] **Hegel**, W. d. L. I, გვ. 75.

რაიმეს დადგენა-უარყოფისათვის აუცილებელია სხვა, მაშინ აუცილებელია სინთეზურობა. მაგრამ ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ სასრულისთვის აუცილებელია უსასრულო (მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი).

§ 85. ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობის შესახებ

ფორმალურ-ლოგიკურ მსჯელობას ჩვენ ვეძახით მსჯელობას, რომელიც ფორმალურ ლოგიკაში განიხილებოდა და განიხილება. ეს არის მსჯელობის იმ სახით წარმოდგენა, როგორც ეს პირველად არისტოტელემ მოგვცა, შემდეგ კი ტრადიციულმა ლოგიკამ შეინახა.

სასრული ლოგიკური, უპირველეს ყოვლისა, არის ფორმალურ ლოგიკური მსჯელობა — S—P. როგორც ცნობილია, არისტოტელეს მსჯელობა წარმოდგენილი ჰქონდა როგორც მტკიცება ან უარყოფა; ამიტომ იგი თვისობრიობის მხრივ მსჯელობას ორ სახედ ყოფდა: დადებითსა და უარყოფით მსჯელობად. ეს ორი მსჯელობა ერთიმეორეს გამორიცხავენ, ერთიმეორის საწინააღმდეგო მსჯელობებს წარმოადგენენ; თუ საკითხს კატეგორიულ სიმაღლეზე ავიყვანთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ რასაც დადებითი მსჯელობა ამტკიცებს, იმას უარყოფითი მსჯელობა უარყოფს და პირიქით. კატეგორიული აზრით არსებობს მხოლოდ ერთი დადებითი მსჯელობა და მხოლოდ ერთი უარყოფითი; მსჯელობაც, როგორც ასეთი, მხოლოდ ერთია.

მსჯელობა არის სასრული ლოგიკური, რადგან მტკიცება და უარყოფა სასრულის კატეგორიის აზრის გამოთქმაა; სასრული ხომ იმას ჰქვია, რაც არის ეს და არა სხვა? რომ რაიმე არის ეს, დადებით მსჯელობას წარმოადგენს, და რომ რაიმე არ არის ეს, უარყოფითი მსჯელობაა; უკეთ: დადებითი მსჯელობა გამოთქვამს სასრულის კატეგორიის აზრს; უარყოფითიც მას გამოთქვამს, მაგრამ უარყოფითი მხრივ. დადებითი და უარყოფითი მსჯელობები უშუალოდ გამოთქვამენ (აზრობრივად გამოთქვამენ) განსაზღვრულობის ბუნებას (რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი). განსაზღვრულობის უმარტივესი აზრობრივი გამოთქმა არის მსჯელობა.

მაგრამ, როგორც ეს განსაზღვრულობის ბუნებიდან გამოდის, მის სრულ აზრობრივ გამოთქმას ესაჭიროება დადებითი და უარყოფითი მსჯელობები; რამდენადაც განსაზღვრულობას დადებითი მომენტიც ახასიათებს და უარყოფითიც, ამიტომ მისი გამოთქმა სრულად არ შეიძლება მხოლოდ ერთი მსჯელობით; ან მხოლოდ დადებითი, ან მხოლოდ უარყოფითით. რომელიმე განსაზღვრულობა

შეიძლება გამოითქვას ერთი მსჯელობით (მსჯელობით კი არა — ერთი ცნებითაც), თუ, ცხადია, მეორე მსჯელობა ნაგულისხმები გვაქვს, თუ განსაზღვრულობის გამომთქმელი ერთი მსჯელობა ენთიმემურია. ასეთი ნაგულისხმების სრული ლოგიკური გაფორმება აუცილებელია ლოგიკურისათვის.

ამბობენ, რომ მსჯელობა არის აზრი, რომელიც ჭეშმარიტია ან მცდარი; მსჯელობის ეს განსაზღვრება არ არის სწორი, რამდენადაც ჭეშმარიტება-მცდარობა მიეწერება დასკვნას, დასაბუთებას და შეიძლება მიეწეროს ცნებასაც, მით უმეტეს თუ მატერიალისტური ასახვის თეორიის საფუძველზე დავდგებით. ის, რაც აზრის ყველა ფორმის დახასიათება შეიძლება იყოს, ცხადია, არ იქნება საკმარისი აზრის რომელიმე ფორმის განსაზღვრისათვის. „ჭეშმარიტება-მცდარობის“ ნიშანი მსჯელობას არ მიეწერება, თუ ის გაგებულია ისე, როგორც ეს ესმის წინადადებათა აღრიცხვას. ჭეშმარიტების ფუნქცია მსჯელობას ვერ განსაზღვრავს, რადგან ლოგიკური კავშირის აზრით გაგებული მსჯელობა არ შეიძლება იყოს ფუნქციონალური დამოკიდებულება, რომელსაც გარეგანი ხასიათი აქვს და მხოლოდ მათემატიკურს ახასიათებს. არ არის სწორი აზრი (მაგალითად, დეკარტის), რომ მსჯელობაში, როგორც მტკიცება-უარყოფაში, თითქოს თავისუფალი ნებისყოფა მოქმედებს (და ამიტომ მსჯელობა ჭეშმარიტიც შეიძლება იყოს და მცდარიც), რადგან მსჯელობის ასეთი გაგება ფსიქოლოგისტურია. ლოგიკა კი აუცილებლად უნდა გამორიცხავდეს ფსიქოლოგიურს. ლოგიკიდან, აგრეთვე, უნდა გამოირიცხოს მსჯელობის დაყვანა დარწმუნებულობაზე, რადგან მისი ასეთი გაგებაც ფსიქოლოგისტურია, მაშინ როცა ლოგიკას, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, მხოლოდ იმასთან აქვს საქმე, რაც აზრში ობიექტურია.

მსჯელობის, როგორც მტკიცების და უარყოფის, გარკვეული საფუძველი არის განსაზღვრულობის ორი მომენტი — დადებითობის და უარყოფითობის მომენტები. ამიტომ უნდა ითქვას, რომ მსჯელობა არის უმარტივესი ობიექტური განსაზღვრულობა აზრში. განსაზღვრულობა მსჯელობის ობიექტური საფუძველია, მაგრამ მსჯელობა თვითონ არის განსაზღვრულობა, სახელდობრ, ლოგიკური განსაზღვრულობა, რომელსაც, ცხადია, ობიექტური ხასიათი აქვს, რადგან ლოგიკური განსაზღვრულობა მისგან დამოუკიდებელი განსაზღვრულობის თავისებური გამოთქმაა.

დადებითი მსჯელობა გამოთქვამს იმას, რომ რაიმე არის ეს — რაიმეს აქვს ეს ნიშანი; უარყოფითი მსჯელობა კი იმის გამოთქმაა, რომ რაიმე არ არის ეს — რაიმეს არ აქვს ეს ნიშანი; მსჯელო-

ბაში, ფორმალურ-ლოგიკური აზრით, სხვა არაფერი არ გამოითქმება. აქ ერთი განსაზღვრულობის გამოთქმა ორად არის გაყოფილი, მათი კავშირი დაკარგულია; ფორმალურ ლოგიკაში „S არის P“ არაფერს არ ამბობს იმაზე, რომ „S არ არის სხვა“; ამას უარყოფითი მსჯელობა — „S არ არის P“ გამოთქვამს. ფორმალურ ლოგიკაში დაკარგულია ამ ორი რაიმეს კავშირი — ერთი განსაზღვრულობა დაყვანილია მის ორ მხარეზე; ის დადებითსა და უარყოფით მსჯელობებს ცალ-ცალკე განიხილავს. ფორმალური ლოგიკა არ ვანიხილავს დადებითი და უარყოფითი მსჯელობის ლოგიკურ კავშირს, სახელდობრ, მათ კატეგორიალურ კავშირს. ფორმალურ-ლოგიკური გაგება მსჯელობისა ყურადღების გარეშე ტოვებს დადებითობის ფორმის უარყოფითობის ფორმასთან ლოგიკურ კავშირს, მაშინ როცა კატეგორიალურად მსჯელობა უნდა იყოს არა ორი, არამედ მხოლოდ ერთი.

§ 86. მსჯელობა და წინადადება

მსჯელობა განსაზღვრულობის გამოთქმაა, მაგრამ ეს გამოთქმა არის აზრობრივი და არა ენობრივი გამოთქმა. არისტოტელე ხშირად ურევდა ერთიმეორეში გრამატიკულსა და ლოგიკურს ამ უკანასკნელის სიტყვიერი გამოთქმის დროს; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს არისტოტელე ზუსტად ვერ ანსხვავებდა ლოგიკურს ენობრივისაგან. არისტოტელესთან აზრის ენობრივად გამოთქმას ნაკლი არ უნდა მივიჩნიოთ მისი ლოგიკის ნაკლად; კიდევ მეტი — არ უნდა ვიფიქროთ, რომ თითქოს არისტოტელეს აზრი დაყავდა ენობრივზე (როგორც ამას აქვს ადგილი მათემატიკური ლოგიკის წარმომადგენლებთან, მაგალითად, ლუკასევიჩთან[1]).

ენობრივი ფორმა, რომელიც მსჯელობას გამოხატავს, არის წინადადება. მსჯელობა წინადადებით გამოითქმის, მაგრამ მათი გაიგივება შეცდომაა. ყოველი მსჯელობა წინადადებით გამოიხატება, მაგრამ ყოველი წინადადება არ არის მსჯელობის ენობრივი გამოთქმა; მაგალითად, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი წინადადებები მსჯელობებს არ გამოთქვამენ, თუმცა გარკვეულ აზრებს კი შეიცავენ. არც ყოველი წინადადებაა მსჯელობა და არც ყოველი აზრია მსჯელობა. ის აზრი, სადაც ადგილი არ აქვს მტკიცებას ან უარყოფას, მსჯელობას არ წარმოადგენს.

[1] Я. Лукасевич, Аристотелевская силлогистика... გვ. 56, 58 და სხვა.

მსჯელობის ენობრივი გამოთქმა მრავალნაირია. ერთი და იგივე წინადადებით შეიძლება მრავალი მსჯელობა გამოითქვას და ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება რამდენიმე წინადადებამ გამოხატოს. მაგალითად, წინადადებამ „წარმოების წესი არის საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი“ შეიძლება გამოთქვას სხვადასხვა მსჯელობა იმის მიხედვით, თუ ამ წინადადების რომელ სიტყვაზეა მახვილი დასმული; სახელდობრ, მსჯელობები: 1) „წარმოების წესი (სწორედ ეს) არის...“ 2) „წარმოების წესი არის (სწორედ) საზოგადოების...“, 3) წარმოების წესი არის... განმსაზღვრელი“ და სხვ. მეორე მხრივ, ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება სხვადასხვა წინადადებით გამოითქვას. ამ გარემოების უველაზე მარტივი შემთხვევაა ის, როცა ერთსა და იმავე მსჯელობას სხვადასხვა ენაზე გამოვთქვამთ.

წინადადების სტრუქტურა და მისი წევრები სხვაა, მსჯელობის სტრუქტურა და წევრები კი სხვა. მსჯელობაში ორ ძირითად მხარეს — წევრს — განასხვავებენ — სუბიექტსა და პრედიკატს; წინადადებაში კი იმდენი წევრია, რამდენ სიტყვასაც იგი შეიცავს. წინადადება ექვემდებარება გრამატიკულ წესებს, მსჯელობა კი ლოგიკურ წესებს. მრავალი ენა ერთსა იგივე აზრს გამოთქვამს. თუ შეიძლება აზრის შესატყისი ერთი სიმბოლური ენა, რომელიც მხოლოდ ერთი იქნება, მაშინაც ის იქნება სწორედ ენა და ამიტომ — ერთ-ერთი ენათაგანი. ის ერთი ენით გაზრდის არსებულ ენათა რიცხვს. აზრის ენაზე დაყვანა შეუძლებელია. რადგან მრავალი ენა ერთსა და იგივე აზრს გამოთქვამს, ამიტომ არსებობს მრავალი გრამატიკა, ლოგიკა კი არის მხოლოდ ერთი. წინადადება არის პირობითი ნიშანი თუ ნიშანთა ერთობლიობა, ის არის სიმბოლო, რომელიც შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ ერთ აზრს კი გამოთქვამდეს. მსჯელობა კი არის არა სიმბოლო, არამედ სრულიად გარკვეული ობიექტური აზრში. მსჯელობის ფორმა სხვაა, წინადადების ფორმა კი სხვა. მსჯელობა აზრის ფორმაა, წინადადება კი მეტყველების ფორმას წარმოადგენს. წინადადება მხოლოდ მსჯელობის ენობრივი გამოთქმის ფორმა კი არ არის, ის დასკვნასაც გამოთქვამს. ერთი და იგივე წინადადება არის მსჯელობის გამოხატულების ფორმაც და დასკვნის გამოხატვის ფორმაც; ეს იმ აზრით, რომ გრამატიკაში არ არსებობს დასკვნის გამოხატვისათვის სპეციფიკური ენობრივი ფორმა. დასკვნა და მსჯელობა, ეს არის ორი სხვადასხვა ლოგიკური ფორმა, მაშინ როცა გრამატიკაში მხოლოდ წინადადებებია, რომლებიც ამ ორი ლოგიკური ფორმის გამოსათქმელად მოიხმარებიან.

წინადადება გამოთქვამს მიმართებას, მსჯელობის მთელი ში-

ნაარსი პრედიკატშია მოთავსებული. წინადადება რომ გადავაქციოთ მსჯელობად, მისი შინაარსი უნდა გამოვყოთ კოპულას.

ამიტომ მცდარია მსჯელობის დაყვანა წინადადებაზე, ლოგიკისა — გრამატიკაზე: აქ არის ორი კანონზომიერების შესახებ ორი და არა ერთი მეცნიერება, მათი ერთიმეორეზე დაყვანა ორივეს აზრს უკარგავს (როგორც ამას ლოგიკისა და გრამატიკის ისტორია გვიჩვენებს).

მართალია, მსჯელობა, როგორც აზრი, არ არსებობს წინადადების გარეშე, ის რაიმე წინადადებით გამოითქმება, მისთვის აუცილებელია წინადადება, მაგრამ ეს მათ იგივეობას არ ამტკიცებს. მსჯელობა და მისი შესატყვისი წინადადება ერთიმეორეს გარეშე არ არსებობენ, მაგრამ მსჯელობა არის გარკვეული აზრი, წინადადება, როგორც ასეთი, კი არ არის აზრი. ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ აზრის საკუთარი ფორმა, მაგალითად, მსჯელობის ფორმა და აზრის ენობრივი გამოთქმის ფორმა; მაგალითად, წინადადება მსჯელობის, როგორც აზრის ფორმის, გამოთქმის ენობრივ ფორმას წარმოადგენს.

ზოგიერთი ლოგიკოსის (მაგალითად, ჰეგელის) აზრით, თუ მსჯელობის პრედიკატი არის ერთეული და არა ზოგადი (სუბიექტზე უფრო ზოგადი), მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს წინადადებასთან და არა მსჯელობასთან; მსჯელობა უნდა სვამდეს და წყვეტდეს პრობლემას. მაგალითად, წინადადებაა და არა მსჯელობა შემდეგი გამოთქმები: 1) „არისტოტელე დაიბადა 384 წ. ჩვენს ერამდე“, 2) „ცეზარმა გადალახა რუბიკონი“ და სხვა. ჩვენ ასეთი აზრის წინააღმდეგ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ერთეული ცნებაც არის თავისებური ზოგადობის შემცველი, სახელდობრ, შინაარსეული ზოგადობისა (როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული). იქ, სადაც მხოლოდ ერთეულობას ხედავენ, ყოველთვის არ არის ასეთი, თუკი მხედველობაში გვექნება სწორედ შინაარსეული ზოგადობა. ამიტომ სწორია ის აზრი, რომ ყოველ მსჯელობაში უნდა იყოს ზოგადობა. ზოგადობის გარეშე არ არსებობს არავითარი აზრი (ყოველი სიტყვის გამოყენებაც კი აუცილებლობით გულისხმობს ზოგადობას[1]). მიმართების ლოგიკაში თუ მსჯელობის ორივე მხარე არის ერთეული, მაგალითად, მსჯელობაში A=B, მაშინ პრედიკატი იქნება ტოლობა, რომელიც როგორც შინაარსეული ზოგადობა, მოიცავს A-ს და B-ს.

შეუძლებელია მსჯელობა არ შეიცავდეს ზოგადობას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ პრედიკატი უფრო ზოგადი უნდა იყოს სუბიექ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 281.

ტზე, არამედ იმიტომაც, რომ (და ესაა მთავარი) მსჯელობა თვითონ არის ერთიანი აზრი, რომელიც მოიცავს (შინაარსეული ზოგადობის აზრით) მის მხარეებს. სუბიექტი და პრედიკატი მსჯელობის, როგორც ერთი აზრის, მომენტებს წარმოადგენენ. თვითონ მსჯელობა, როგორც ერთიანობა, არის ზოგადობა, სახელდობრ, შინაარსეული ზოგადობა (ეს გარემოება მხედველობის გარეშე დარჩა როგორც ძველ, ისე ახალ ფორმალურ ლოგიკასაც). ასეთი ზოგადობა დამახასიათებელია მსჯელობისათვის და არა წინადადებისათვის. წინადადება ზოგადია, რამდენადაც ის საერთოა მრავალი წინადადებისათვის, მაგრამ მისთვის არ არის დამახასიათებელი კერძოს და ზოგადის ლოგიკური ერთიანობა, რასაც მხოლოდ ლოგიკა სწავლობს.

მსჯელობა რეფლექსურია, წინადადება კი არა. ლოგიკური რეფლექსურობა წინადადებაში არ ხორციელდება, მსჯელობაში კი შეიძლება და უნდა განხორციელდეს, ვუდი თავის შრომაში „შემეცნების ანალიზი“ ამბობს, რომ წინადადება „არ არსებობენ წინადადებები“ (There are no propositions) შეიცავს წინააღმდეგობას წინადადების ფაქტთან (ამ წინადადების არსებობის ფაქტთან) და არა ლოგიკურ წინააღმდეგობას. ეს „თვითუარმყოფელი“ წინადადება რომ შეიცავდეს ლოგიკურ წინააღმდეგობას, მაშინ წინადადება „არ არსებობენ წინადადებები“ უნდა შეიცავდეს წინადადებას „არსებობენ წინადადებები“; ეს შეუძლებელია, ამიტომ არ არსებობენ თვითუარმყოფელი წინადადებები[1], მართლაც შეუძლებელია არსებობდეს წინადადება და ის იყოს თვითუარმყოფელი, ე. ი. რეფლექსური. მაგრამ არ შეიძლება მსჯელობის გაიგივება წინადადებასთან, როგორც ამას ადგილი აქვს ვუდთან. მსჯელობა რეფლექსურია, მაშინ როცა წინადადება არ არის რეფლექსური. მსჯელობა რეფლექსურია ლოგიკურად, რადგან მსჯელობის უარყოფა თვითონ არის მსჯელობა. რომელიმე წინადადებაში, მართალია, არ არის მისი საწინააღმდეგო წინადადება (არც ჩაწერილი, არც თქმული), მაგრამ მსჯელობა არის აზრი და მისი უარმყოფელი მსჯელობაც აზრია, ასე რომ მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობაა, მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობას ადგენს; ის ლოგიკურად რეფლექსურია. აქ ისიც ჩანს, რომ ლოგიკური რეფლექსურობისათვის აუცილებელია შინაგანი წინააღმდეგობა, შინაგანი უარყოფა, დიალექტიკა. მსჯელობის რეფლექსურობა და საერთოდ ლოგიკური რეფლექსურობა გაუგებარია ფორმალური ლოგიკისათვის, მით უმეტეს ისეთი ლოგიკისათვის, რო-

[1] იხ. L. Wood, The Analysis of Knowledge, London, 1940, გვ. 195

მელსაც ლოგიკური გრამატიკულზე, კერძოდ, მსჯელობა წინადადებაზე დაყავს.

ლოგიკას საქმე აქვს მსჯელობასთან და არა წინადადებასთან; ამ უკანასკნელს სრულიად სხვა მეცნიერება შეისწავლის. მსჯელობის დაყვანა წინადადებაზე არის ლოგიკის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, გაუქმება. მსჯელობის რეფლექსურობის დიალექტიკურობის მოვლა კი მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკას შეუძლია. ამიტომ ის მაღლა დგას ფორმალურ ლოგიკაზე, ლოგიკის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.

§ 87. მსჯელობის ობიექტურობა

მსჯელობის ობიექტურობა, ცხადია, უშუალოდ გამომდინარეობს საერთოდ ლოგიკურის ობიექტურობიდან (რომელიც ზემოთ იქნა განხილული). ისიც ითქვა, რომ მსჯელობის ობიექტურობა საგნის განსაზღვრულობას ემყარება, რადგან მსჯელობა ამ განსაზღვრულობის აზრობრივ გამოთქმას წარმოადგენს. მსჯელობა არის საგნის განსაზღვრულობა „გადატანილი და გადამუშავებული“ აზრში. მსჯელობა, როგორც ლოგიკური განსაზღვრულობა, საგნის განსაზღვრულობის აზრობრივი გამოთქმაა. ამიტომ ჰეშმარიტი მსჯელობა არ არის დამოკიდებული სუბიექტზე; მსჯელობა არის აზრი, რომელიც საგნის განსაზღვრულობაზეა დამოკიდებული. მსჯელობა არის აზრის ფორმა, მაგრამ აზრისაგან დამოუკიდებელი (და არა აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული; ეს ორი რამ აუცილებლად უნდა იქნას ერთიმეორისაგან განსხვავებული). მსჯელობა არ არის საგანში, საგანი არ არის მსჯელობა (როგორც ამას ჰეგელი ამბობდა), არა, ის არის გარკვეული აზრი, მაგრამ საგანზე დამოკიდებული, საგანზე დამოკიდებული აზრის განსაზღვრულობა ანუ აზრისაგან დამოუკიდებელი განსაზღვრულობა აზრისა. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს არაობიექტური, სუბიექტური. მსჯელობა არის საგნის გარკვეული ასახვა, ამიტომ ის არის ობიექტური; მისი ობიექტურობა არ არის საგნის ობიექტურობა, არამედ ჰეშმარიტების ობიექტურობაა (აზრის შინაარსი, რომელიც დამოკიდებულია საგანზე, საგნის განსაზღვრულობაზე და არა სუბიექტის აზრზე, სუბიექტზე).

მცდარი მსჯელობაც საგნის ასახვას წარმოადგენს, მაგრამ იგი არის დამახინჯებული ასახვა. შეცდომა ჰეშმარიტების დამახინჯებაა, ამდენად მის უარყოფას წარმოადგენს, მაგრამ იგი გასაგებია მხოლოდ და მხოლოდ ჰეშმარიტებით. ამიტომ მცდარობა, მცდარი აზრიც როგორღაცნაირად უკავშირდება სინამდვილეს. მართალია, არარ-

სებულის არსებულად მიჩნევა, რომელიც მცდარობას წარმოადგენს, ჩვენი ფსიქოლოგიური საქმიანობაა, მაგრამ არარსებულის ცნება მხოლოდ არსებულის ცნების საფუძველზეა შესაძლებელი. არარსი აუცილებლობით გულისხმობს არსს.

სწორი იყო არისტოტელე, როცა მას მსჯელობა ესმოდა როგორც სინამდვილის გამოთქმა. მისი აზრით, რაც სინამდვილეში დაკავშირებულია, ის ასევე უნდა იყოს წარმოდგენილი აზრში; დადებითი მსჯელობა, როგორც დადებითი კავშირი, უნდა გამოთქვავდეს იმ დადებით კავშირს, რომელსაც ადგილი აქვს საგანში თუ საგნებში. სინამდვილეში გათიშული კი აზროვნებაშიც ასე უნდა იქნეს წარმოდგენილი; უარყოფითი მსჯელობა გამოთქვამს იმას, რაც სინამდვილეშია გათიშული. საქმის შებრუნება შეცდომას მოგვცემს. აქ ლაპარაკია სწორედ მსჯელობაზე და არა წინადადებაზე, რადგან შეიძლება უარყოფითი მსჯელობის დადებითი წინადადებით გამოთქმაც. მაშასადამე, მსჯელობა არის ობიექტური ხასიათის, ობიექტური ბუნების მქონე აზრი.

მსჯელობის ობიექტურობა უარყოფილი გამოდის, როცა ის დაყავთ წინადადებაზე, ანდა მსჯელობას უიგივებენ დარწმუნებულობას, რომელსაც ფსიქოლოგია სწავლობს და არა ლოგიკა. მაგრამ, როგორც ითქვა: 1) წინადადება არის გარკვეული სიმბოლო, პირობითად აღებული რამ (წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ერთი ენა), რომელიც შეიძლება მრავალნაირად შეიცვალოს, მაგრამ გამოთქვას (ენობრივად გამოთქვას) ერთი და იგივე მსჯელობა. წინადადების ამგვარი ცვალებადობა შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება ასე იცვლებოდეს ჭეშმარიტი მსჯელობა, მისი გამოსათქმელი საგანი კი იგივე რჩებოდეს. საგნის განსაზღვრულობის იგივეობრიობა განსაზღვრავს მსჯელობის (აქ აღნიშნულ) იგივეობრიობას. საგნის რაიმე განსაზღვრულობაც ერთია და მისი აზრობრივად გამომთქმელი მსჯელობაც; მაშინ როცა მსჯელობა შეიძლება იყოს ერთი, მისი გამომთქმელი წინადადებები კი მრავალია. ამიტომ მსჯელობა აუცილებლად არის ობიექტური ხასიათის. 2) დარწმუნებულობა არის ფსიქოლოგიური აქტი, ის სრულიად სხვა სფეროა და მეორადია მსჯელობასთან, მის ობიექტურობასთან შედარებით. მსჯელობა წინასწარ იგულისხმება მასში დარწმუნებულობისათვის. უნდა იყოს განხორციელებული მსჯელობა, რომ მასში დარწმუნდე. ლოგიკა ფსიქოლოგიის ლოგიკური საფუძველია (ისე როგორც ყოველი მეცნიერების).

ცნობილია, რომ მსჯელობაში ერთიმეორისაგან განსხვავდება მსჯელობის აქტი და ამ აქტის შინაარსი. მსჯელობის აქტი ფსიქო-

ლოგიის მიერ შეისწავლება. ამ აქტის შინაარსი კი არის ის ლოგიკური ფორმა, რომელსაც ლოგიკა სწავლობს. მსჯელობის აქტი სუბიექტურია, მსჯელობის აქტის შინაარსი, როგორც ლოგიკური ფორმა, კი ლოგიკურ-ობიექტურია. მსჯელობის ობიექტურობა არ არის, როგორც ითქვა, საგნის ობიექტურობა; მსჯელობის ობიექტურობა არ არის არც იდეალურობა (როგორც ეს ჰუსერლს ეგონა) და არც რიკერტიანული „მნიშვნელობა". მსჯელობის ობიექტურობა როგორც ითქვა, იმაშია, რომ იგი საგნის განსაზღვრულობის ასახვაა, მის გარკვეულ აზრობრივ გამოთქმას წარმოადგენს, რადგან მსჯელობის აქტი არის სუბიექტური, ამიტომ მსჯელობის მასზე დაყვანა არ შეიძლება; აუცილებელია მსჯელობის ობიექტურობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მსჯელობას წინ უნდა უსწრებდეს დებულება, რომელიც წარმოადგენს მსჯელობას თავისთავად. მსჯელობის ობიექტურობისათვის ასეთი რაიმეს დაშვება ზედმეტია, საკმარისია საგნის განსაზღვრულობის ობიექტურობა. ამიტომ არ იყო სწორი ბოლცანო[1], როცა ის მსჯელობის ობიექტურ საფუძვლად უშვებდა „დებულებას" (Satz).. თუ მსჯელობის ობიექტურობისათვის არ არის საკმარისი საგნის განსაზღვრულობა, და საჭიროა „Satz"-ი, მაშინ ამას სხვა ასეთი იდეალური დასჭირდება და ა. შ.

სწორედ განსაზღვრულობის საფუძველზე არის ობიექტური როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მსჯელობა. განსაზღვრულობის უარყოფითი მომენტი უარყოფითი მსჯელობის რეალური საფუძველია. ამიტომ ობიექტურია არა მარტო დადებითი მსჯელობა, არამედ უარყოფითი მსჯელობაც. ამის გამო უნდა ითქვას, რომ მცდარია უარყოფითი მსჯელობის, როგორც დადებითი მსჯელობის უარყოფის სახით წარმოდგენა (ზიგვარტისეული გაგება).

მსჯელობის ლოგიკური ობიექტურობა სისრულით ჩანს მსჯელობის კატეგორიულობაში. მსჯელობა, როგორც ითქვა, თვითონ არის ლოგიკური და ლოგიკურის კატეგორია. მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობაა, მსჯელობის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია. მსჯელობის უარყოფით ისევ მსჯელობა დგინდება აუცილებლობით. ეს აუცილებლობა იგივეა, რაც ლოგიკური ობიექტურობა. მსჯელობის ობიექტურობა საგნის ობიექტურობისაგან განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, ლოგიკური რეფლექსურობით. საგანი ობიექტურია, მისი უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ ეს უარყოფა რეალურ საგანს, ცხადია, არ ადგენს; საგნის არსებობა აბსოლუტურად დამო-

[1] იხ. ბოლცანოს **Wissenschaftslehre**-ს დასაწყისი.

უკიდებელია აზრისაგან. მსჯელობა (ისე როგორც ლოგიკურის სხვა კატეგორია) მისი უარყოფითვე დგინდება. აქაა ლოგიკურობა და ამ ლოგიკურის ობიექტურობა. აუცილებლობა, რომელიც განხორციელებულია მსჯელობის უარყოფით მისსავე დადგენაში, უსრულესი ლოგიკური აუცილებლობაა. ამაზე „მეტი" ლოგიკური აუცილებლობა და ლოგიკურის ობიექტურობა შეუძლებელია. რეალურის აუცილებლობა კი საფუძველია ყოველგვარი ლოგიკური აუცილებლობისა. კატეგორიალურად არსებობს მხოლოდ ერთი აუცილებლობა, არსებობს აუცილებლობის მხოლოდ ერთი კატეგორია, რომლის განმსაზღვრელი არის რეალური აუცილებლობა, რასაც ეყრდნობა ლოგიკური აუცილებლობა. აზრის ობიექტურობას ქმნის საგანი.

§ 88. მსჯელობის ცნება მათემატიკურ ლოგიკაში

აქ ჩვენთვის საკმარისია აღვნიშნოთ რამდენიმე მომენტი მსჯელობის გაგებისა მათემატიკურ ლოგიკაში, სახელდობრ, ის, თუ რას მოიხმარს მათემატიკური ლოგიკა მსჯელობის ფუნქციის შესასრულებლად. განავითარა თუ არა მან ტრადიციული ფორმალური ლოგიკა, კერძოდ, მსჯელობის თეორიის ხაზით? მათემატიკური ლოგიკის შესახებ ზემოთ წარმოებული მსჯელობა გვაფიქრებინებს, რომ ასეთ განვითარებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მათემატიკურ ლოგიკას მსჯელობა დაყავს წინადადებაზე. რას წარმოადგენს წინადადება მათემატიკურ ლოგიკაში? ა. ჩერჩის[1] აზრით, წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა (Sentence) არის მარტივი გამოსახულება ჩვეულებრივ ენაში. წინადადება არის სიტყვების ისეთი შეერთება, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი აზრი, ე. ი. გამოსახავს დასრულებულ აზრს (წინადადება დასრულებული აზრის ენობრივი გამოთქმაა). მათემატიკურ ლოგიკაში მოიხმარება თხრობითი წინადადებები, ე. ი. ისეთი, რომლითაც გამოთქმული აზრი არის დადებითი (ე. ი. გამოირიცხება უარყოფა). მათემატიკურ ლოგიკაში ტერმინი წინადადება გადააქვთ ჩვეულებრივი ენიდან ფორმალიზებულ ენაში. ჩერჩს (ეთანხმება ფრეგეს) წინადადება ესმის როგორც სახელის კერძო შემთხვევა, გარკვეული სახის სახელი. საზრისით განსხვავებულ წინადადებებს შეიძლება ერთი დენოტატი (საგანი) ჰქონდეს. ერთი და იგივე დენოტატი აქვს ორ წინადადებას: 1) „ილია ჭავჭავაძე არის „კაცია-ადამიანი?!"-ს ავტორი" და 2) „საბჭოთა კავშირში 15

[1] იხ. А. Чёрч, Введение в математическую логику, I, გვ. 29—35

რესპუბლიკაა", იმ აზრით, რომ ორივე ჭეშმარიტია. ამიტომ მართებულია, თუ ვიტყვით, რომ ყველა ჭეშმარიტ წინადადებას (ისე როგორც ყველა მცდარს) აქვს ერთი და იგივე დენოტატი. ამრიგად, ვღებულობთ ორ აბსტრაჰირებულ საგანს — ჭეშმარიტების ორ მნიშვნელობას: ჭეშმარიტებას და მცდარობას.

შეიძლება გვქონდეს წინადადების აზრი, მაგრამ არ ვიცოდეთ მისი დენოტატი — ჭეშმარიტობის მნიშვნელობა. მ ს ჯ ე ლ ო ბ ა (proposition) არის ჭეშმარიტობის მნიშვნელობის კონცეპტი, სულ ერთია ის წინადადების აზრია თუ არა. მსჯელობა არის აბსტრაქტული ობიექტი ზოგადობის ისეთივე ხარისხისა, როგორიცაა კლასი, რიცხვი ან ფუნქცია. მსჯელობა არ არის შინაარსიანი წინადადება. მსჯელობას არ ახასიათებს არაფერი ფსიქოლოგიური. ჩერჩისათვის მსჯელობას ისეთივე ობიექტურობა ახასიათებს, როგორც ფრეგეს Gedanke-ს. ყოველი მსჯელობა არის კონცეპტი, ე. ი. მას აქვს რომელიმე ჭეშმარიტობის მნიშვნელობა. მსჯელობა არ არის ისეთი საზრისიანი წინადადება, რომელსაც არ აქვს ჭეშმარიტობის მნიშვნელობა — ჭეშმარიტი (მსჯელობა გარკვეული სახის წინადადებაა). მსჯელობა ჭეშმარიტია, თუ მას აქვს ჭეშმარიტობის მნიშვნელობა— ჭეშმარიტი. ის არის მცდარი, თუ მას აქვს ჭეშმარიტობის მნიშვნელობა „მცდარი". ერთი და იგივე მსჯელობა გამოითქმება სხვადასხვა წინადადებით სხვადასხვა ენაზე და ერთი და იგივე წინადადება შეიძლება მოხმარებულ იქნეს სხვადასხვა მსჯელობის დასადგენად, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ენაზე ლაპარაკობენ.

მათემატიკურ ლოგიკაში მსჯელობა, ახლახან თქმულის გამო, უშუალოდ უკავშირდება პროპოზიციულ ფუნქციას, რომელიც ემყარება პროპოზიციულ ფორმას, ეს კი — პროპოზიციულ ცვლადს. პ რ ო პ ო ზ ი ც ი უ ლ ი ც ვ ლ ა დ ი არის ისეთი ცვლადი, რომლის მნიშვნელობათა სფეროს შეადგენს ორი ჭეშმარიტობის მნიშვნელობა, ე. ი. ის ისეთი ცვლადია, რომლის ადგილზე ბუნებრივად ჩაისმება მსჯელობის გამომთქმელი წინადადება. ჩერჩი არ მოიხმარს ცვლადებს, რომელთა მნიშვნელობები იქნება მსჯელობები. პროპოზიციული ფორმა არის ის ფორმა, რომლის მნიშვნელობებსაც ჭეშმარიტობის მნიშვნელობები წარმოადგენს, პ რ ო პ ო ზ ი ც ი უ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ა არის ფუნქცია, რომლის მნიშვნელობათა სფერო მხოლოდ ჭეშმარიტების მნიშვნელობებისაგან შედგება. პროპოზიციული ფუნქცია სრულდება მოცემული არგუმენტით, თუ ის ღებულობს ჭეშმარიტობის მნიშვნელობას მოცემული არგუმენტისათვის.

თუ კლასის შინაარსეულ გაგებას ოდნავ გადავუხვევთ, მაშინ კლასი (სიმრავლე, ერთობლიობა) შეიძლება გავუიგივოთ სინგუ-

ლარულ პროპოზიციულ ფუნქციას; კლასი არის სინგულარული პროპოზიციული ფუნქცია. მიმართებაც შეიძლება გაუიგივდეს ბინარულ პროპოზიციულ ფუნქციებს, და სხვ. მიმართება იგივეა, რაც მოცულობითი ექსტენსიონალური მიმართება.

თვისება კლასისაგან, უმთავრესად, იმით განსხვავდება, რომ ორი თვისება შეიძლება განსხვავებული იყოს მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსაზღვრავენ ერთსა და იმავე კლასს. ჩერჩი აიგივებს თვისებას კლასის კონცეპტთან. ორი თვისება არის ტოლმოცულობითი ანუ მოცულობის მიხედვით დამთხვევა, თუ ისინი განსაზღვრავენ ერთსა და იმავე კლასს. მიმართება ინტენსიონალური გაგებით არის მიმართების კონცეპტი, ე. ი. მიმართების კონცეპტი ექსტენსიონალური გაგებით (კლასი, რომელსაც არ აქვს ელემენტები, არის ცარიელი კლასი; კლასი, თუ ის ემთხვევა მისი განსაზღვრების სფეროს, არის უნივერსალური კლასი. პროპოზიციული ფუნქციისა და კლასის გაიგივებიდან გამოდის, რომ თუ განსაზღვრების სფერო ფიქსირებულია, მაშინ არსებობს მხოლოდ ერთი ცარიელი კლასი).

ამრიგად, ნათელი უნდა იყოს, რომ მათემატიკურ ლოგიკას: 1) მსჯელობა დაყავს წინადადების ერთ სახეზე, 2) მსჯელობიდან გამორიცხავს მისთვის მთავარს — „მტკიცება-უარყოფას“, 3) „მსჯელობა“ ესმის, როგორც ჭეშმარიტობა-მცდარობა, რომელსაც თავისებური პირობითი ნიშნის ხასიათი აქვს, 4) ძირითად ფორმად ღებულობს პროპოზიციულ ფუნქციას და წინადადებას (მსჯელობას) იყენებს ჩასმის ხერხის მოხმარებით, 5) თვისება დაყავს კლასზე, ინტენსიონალური—ექსტენსიონალურზე და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობის ბუნებისათვის აუცილებელია თვისება როგორც პრედიკატი. მისი დაყვანა კლასზე მათემატიკისათვის გამოსადეგია, მაგრამ მსჯელობის ლოგიკურ ბუნებას ვნებს. როგორც ამას კარნაპი აღნიშნავს, ორი თვისება არ შეიძლება იგივეობრივი იყოს, მაშინ როცა ორი კლასი კი შეიძლება იყოს იგივეობრივი.[1] კლასთა აღრიცხვაში გამოიყენება მათემატიკურ-მექანიკური წესები, მაგრამ თვისებების, როგორც მსჯელობათა პრედიკატების, ლოგიკური კავშირები თავისებურია. თუ კლასში იგივეობა სრულდება ტოლობის აზრით, მაშინ განსხვავებული თვისებების კავშირები აუცილებლად სინთეზური ხასიათის უნდა იყოს, რასაც მათემატიკური ლოგიკა გამორიცხავს, რამდენადაც მისთვის მთავარია სწორედ ტავტოლოგიური დებულებების მიღება.

მათემატიკურ ლოგიკაში წინადადება სიმბოლოებით აღინიშნება, რადგან ლოგიკას საქმე ზოგადობასთან უნდა ჰქონდეს; ეს ზო-

[1] Р. Карнап, Значение и необходимость, გვ. 168.

გადობა მათემატიკურ ლოგიკაში წარმოდგენილია სიმბოლოების სახით, სქემით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს არ არის განზოგადება, რადგან სქემა, მაგალითად, პროპოზიციული ფუნქცია, არ წარმოადგენს აზრს; ის არის სქემა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. განზოგადებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ნაკლებ ზოგადი აზრიდან გადავდივართ უფრო მეტად ზოგად აზრზე და არა მაშინ, როცა არააზრზე, მაგალითად, სქემაზე გადავდივართ. განზოგადებას უნდა მივყავდეთ კატეგორიებამდე და არა სიმბოლოებამდე. ცნობილია, რომ ნომინალიზმი (რომელსაც მათემატიკური ლოგიკა ემყარება) განზოგადებას უარყოფს, მას შეუძლებლად თვლის, რადგან მის მიერ საერთოდ უარიყოფა სწორად გაგებული ზოგადობა როგორც ასეთი.

მათემატიკურ ლოგიკაში კატეგორიული მსჯელობა დაყვანილია პირობითზე, ეს კი გაყოფითზე. ძირითად დამოკიდებულებად ლოგიკაში აღებულია დამოკიდებულება „თუ A, მაშინ B“, რომელიც გაგებულია როგორც: „Ā, ან B“, მაგრამ ისე, რომ „ან-ან“ (უმთავრესად) არ ნიშნავს გამორიცხვას. ამიტომ მსჯელობის ფორმულა „S—P“ მიჩნეულია მოძველებულად და ზედმეტად.

ამბობენ, რომ ფორმა „S—P“ გამოუსადეგარია, რადგან მასზე არ შეიძლება დავიყვანოთ ისეთი მიმართება, როგორიცაა, მაგალითად „C წერტილი ძევს A-ს და B-ს შუა“. ეს მართლაც ასეა, მაგრამ როგორც ეს ზემოთ ითქვა და აქაც უნდა აღინიშნოს, ასეთი მიმართება საგანთა მიმართებაა და არა ლოგიკური დამოკიდებულება. მათემატიკურ ლოგიკას მსჯელობა საგანთა მიმართებაზე დაყავს, იგი მსჯელობის მაგიერ იღებს საგანთა დამოკიდებულებას. მიმართება „C წერტილი ძევს A-ს და B-ს შუა“ საგანთა დამოკიდებულებაა და არა ცნებათა დამოკიდებულება. ის არ არის მსჯელობა, არამედ არის წინადადება, რომელიც საგანთა დამოკიდებულებას გამოთქვამს. საგანთა ეს მიმართება სივრცითი მიმართებაა — წერტილების მდგომარეობაა სივრცეში. მისი გამომთქმელი მსჯელობა იქნება ასეთი „C წერტილი არის A-ს და B-ს შუამდებარე წერტილი“. აქ არის ერთეულისა და ზოგადის დამოკიდებულება, მსჯელობა. თვითონ წერტილთა მიმართება კი არ შეიძლება იყოს მსჯელობა. ლოგიკაში დაუშვებელია მსჯელობის სივრცით მიმართებაზე დაყვანა.

არც წინადადება და არც საგანთა დამოკიდებულება არ არის ლოგიკის საგანი. მათემატიკურ ლოგიკაში არ განიხილება მსჯელობა, როგორც აზროვნების ფორმა; არ განიხილება მსჯელობა მისი ნა-

შდვილი ბუნების მიხედვით; ეს ასეც უნდა იყოს, რადგან „მათემატიკური ლოგიკა“ არის მათემატიკური დარგი და არა მართლაც ლოგიკა.

§ 89. მსჯელობა და ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები

ის დასკვნები, რომლებიც ფორმალურ ლოგიკაში განიხილებიან, შეიძლება დაყვანილ იქნეს მსჯელობაზე. აქ ლაპარაკია არა ხელოვნურ დაყვანაზე, არამედ იმაზე, რომ ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები თავიანთი ბუნებით მსჯელობებს წარმოადგენენ.

ფორმალურ-ლოგიკური დასკვნა დაიყვანება მსჯელობაზე: 1) ცოდნის თვალსაზრისით, რამდენადაც ცოდნის ფორმად თვლიან მსჯელობას და არა დასკვნას. ეს აზრი პირველად კანტმა გამოთქვა, რომელმაც ფორმალური ლოგიკა, როგორც სწორედ ფორმალური ლოგიკა („ზოგადი ლოგიკა“), გააფორმა (თუმცა მის გვერდით აღიარა ისეთი ლოგიკაც, რომელიც შემეცნების თეორიას გაუიგივა, — ეს არის მისი „ტრანსცენდენტალური ლოგიკა“). კანტის აზრით, მსჯელობა არის ცოდნის ერთადერთი ფორმა. დასკვნა არ წარმოადგენს ცოდნის ფორმას, ის არის აზრის ფორმა, რომელიც გამოიყენება ცდის საზღვრებს იქით, მაშინ როცა ცოდნა ცდის საზღვრებში რჩება; იქ, სადაც არ გამოიყენება ცდის მასალა, ცოდნა არ არის შესაძლებელი (არსებობს მხოლოდ ორი მეცნიერება — მათემატიკა, რომელიც გრძნობიერების აპრიორულ ფორმებს ემყარება და ბუნებათმეცნიერება — ფიზიკა, — რომელიც კატეგორიებს მოიხმარს ცდაში მოცემულის მიმართ; მეტაფიზიკა ეყრდნობა დასკვნებს და არ არის მეცნიერება). კანტის ის აზრი, რომ ცოდნის ერთადერთი ფორმა არის მსჯელობა, შემდგომ იქნა გამოყენებული სხვადასხვა მიმართულებების მიერ (კანტიანელები, ჰუსერლი და სხვ.).

მართლაც, ცოდნის თვალსაზრისით ფორმალურ-ლოგიკური დასკვნა იგივეა, რაც მსჯელობა. მსჯელობაში გამოთქმული ცოდნა ამოწურავს იმ ცოდნას, რომელიც ფორმალურ-ლოგიკურ დასკვნაშია მოცემული. ეს ასეა, რამდენადაც ფორმალურ-ლოგიკაში დასკვნა არ არის შუალობითი ხასიათის, ის უშუალო კავშირია, სახელდობრ, მსჯელობის ხასიათის კავშირი. ეს აზრი ნათელყოფილი იქნება შემდეგით:

2) აზრის ფორმის მიხედვითაც ფორმალურ-ლოგიკური კავშირი მსჯელობითი ხასიათისაა:

ა) მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმი (ყველაზედ უფრო

გამოკვეთილი ფორმალურ-ლოგიკური დასკვნა) არ არის შუალობითი კავშირი; იგი უშუალო კავშირს წარმოადგენს. კატეგორიულ სილოგიზმში წანამძღვრები, როგორც საფუძველი, შედეგს (დანასკვს) უკავშირდება უშუალოდ; მათ შორის არ არსებობს არავითარი საშუალო. მთელი სილოგისტური დასკვნა დაიყვანება პირობით მსჯელობაზე „თუ არის A, მაშინ არის B“ (თუ არის წანამძღვრები, მაშინ არის დანასკვი). „საშუალო“ მოქცეულია საფუძველში, საიდანაც შედეგი უშუალოდ გამოდის.

ბ) კატეგორიული სილოგიზმის არსება გამოითქმება დებულებაში: ნიშნის ნიშანი არის საგნის ნიშანი; მაგრამ ეს დებულება იმას აღნიშნავს, რომ საშუალო ცნება, რომელიც სუბიექტის პრედიკატია მცირე წანამძღვარში (პირველი ფიგურა), იგივეა, რასაც დიდი ცნება წარმოადგენს. წანამძღვარში დაკავშირებული სამი ტერმინიდან — S — M — P M და P ერთი და იგივეა, რადგან M-ში აღებულია P-ს ნიშანი და სწორედ ამ აზრით გამოითქმის ის S-ზე (სოკრატე-ადამიანი-მოკვდავი-დან ადამიანში აღებულია მოკვდავის ნიშანი და გამოითქმის სოკრატეზე, ამიტომ გვაქვს დანასკვი: სოკრატე არის მოკვდავი), რასაც დანასკვი წარმოადგენს. ერთი სიტყვით, აქ საქმე გვაქვს მსჯელობასთან, ამ აზრით, უშუალო კავშირთან (და არა — S—M—P — როგორც განსხვავებულთა შუალობით კავშირთან).

გ) კატეგორიული სილოგიზმის სანიმუშო მოდუსად ითვლება მისი პირველი ფიგურის პირველი მოდუსი — Barbara, რომელიც დადებით ანალიზურ კავშირს წარმოადგენს; მასში მხოლოდ დადებითობაა, არ არის არავითარი უარყოფითობა; აქ გამოტოვებულია განსხვავება და ამიტომ სინთეზურობა, თუმცა ასეთი რამ მისთვის აუცილებელია, რადგან მასში ლაპარაკია სამ ტერმინზე, სამ მსჯელობაზე და არა მხოლოდ ერთზე. Barbara სინთეზურობას გამორიცხავს, ამიტომ ის ერთი და იგივეს განმეორებას წარმოადგენს (ეს გასაგებია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რაც ამის წინ „ბ“ პუნქტში ითქვა). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ Barbara არა მარტო მსჯელობაზე დაიყვანება, არამედ ის ჟღრს უკარგავს მსჯელობასაც, რამდენადაც აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავეს განმეორებასთან — ტავტოლოგიასთან.

დ) რამდენადაც, მაგალითად, Barbara-ში წანამძღვრები ერთი მსჯელობის აზრისაა და ეს აზრი დანასკვშიც მეორდება, ამდენად აქ საქმე გვაქვს მსჯელობის განმეორებასთან და არა დასკვნასთან. მსჯელობის განმეორება ლოგიკურად არის ერთი მსჯელობა და სხვა არაფერი.

თქმულიდან არ გამომდინარეობს ის, თითქოს ჩვენ უარვყოფდეთ ფორმალურ-ლოგიკურ დასკვნებს და მათი დაყვანით მსჯელობებზე მხოლოდ ამ უკანასკნელს ვაღიარებდეთ; არა, ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები არიან დასკვნები (რომლებსაც სწორედ დასკვნის თეორიაში განვიხილავთ), მაგრამ ისინი ისე არიან გაფორმებული, რომ ნამდვილად მსჯელობებს წარმოადგენენ და არა დასკვნებს, როგორც შუალობით კავშირებს. ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები წარმოადგენენ დასკვნებს, რამდენადაც ისინი მოითხოვენ და ემყარებიან სინთეზურობას, სინთეზურობისათვის დამახასიათებელ უარყოფას და შუალობითობას. მაგალითად, Barbara-ში უნდა იყოს სამი ტერმინი, რომლებიც ერთიმეორისგან განსხვავებულია; ისინი სწორედ განსხვავებული ნიშნებით — S — M — P აღინიშნებიან; ის მოითხოვს იმას, რომ მასში უნდა იყოს სამი მსჯელობა, რომლებიც, ცხადია, ერთს და იმავეს არ უნდა წარმოადგენდეს. ეს განსხვავება მოითხოვს იმას, რომ განსხვავებულთაგან ერთი უნდა იყოს ის. რაც არ არის მეორე და პირიქით, ე. ი. აქ აუცილებელია შედარებითი უარყოფის მომენტი. Barbara-ში უნდა იყოს სამი ტერმინი, რომელთაგან ერთი იქნება საშუალო, ე. ი. ეს დასკვნა უნდა წარმოადგენდეს შუალობით (და არა უშუალო) აუცილებელ კავშირს.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ ფორმალურ-ლოგიკურ დასკვნებს დასკვნებად ხდის ის, რაც იქ გამორიცხულია, მაგრამ მათთვის აუცილებელია. ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები ენთიმემური ხასიათისაა; ისინი გულისხმობენ სინთეზურობას, შუალობითობას. უარყოფას. მაგრამ მათი გამორიცხვის გარეშე ისინი ვერ იარსებებენ. ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები არ იარსებებს მაშინ. თუ მათში არ ვიგულისხმეთ სინთეზურობა, შუალობითობა, უარყოფა. მაგრამ ამ ნაგულისხმევის გაფორმების დროს ისინი შეუძლებელნი იქნებიან (ამის შესახებ შემდეგაც გვექნება საუბარი).

ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები არიან დასკვნები; ისინი არ დაიყვანებიან მსჯელობებზე, თუ მათთვის აუცილებელია სინთეზურობა და შუალობითობა. ამას მოითხოვს ეს დასკვნები, მაგრამ ეს მოთხოვნა ფორმალურ ლოგიკაში არ ხორციელდება; დასკვნის მიერ ნაგულისხმევი მისთვის აუცილებელი სინთეზურობა და შუალობითობა იქ ლოგიკურად არ ფორმდება. ამიტომ ვამბობთ, რომ ფორმალურ-ლოგიკური დასკვნა დაიყვანება მსჯელობაზე, ეს დასკვნა არსებითად, თავისი ლოგიკური აზრით, მსჯელობას წარმოადგენს.

მათემატიკური ლოგიკა, სწორედ ამ გარემოებას ემყარება, როცა ის მოითხოვს დასკვნის გამოთქმას ერთ პირობით (და გაყოფით) წინადადებაში (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამბობენ, რომ მსჯელობა არის ფორმა, რომელსაც ლოგიკა შინაარსისაგან დამოუკიდებლად სწავლობს; ლოგიკას საგნად აქვს აზრის სწორედ წმინდა ფორმები, იგი შინაარსს არ უნდა აქცევდეს ყურადღებას. მსჯელობა „სოკრატე არის ადამიანი" ლოგიკას აინტერესებს მხოლოდ ფორმის მხრივ, სოკრატეს და ადამიანს ლოგიკა არ სწავლობს. ეს აზრი ნაწილობრივ სწორია, ნაწილობრივ მცდარი, ე.ი. გაურკვეველია.

საქმე იმაშია, რომ: 1) ზოგიერთი წინადადების შინაარსი. როგორც ითქვა, არის თვითონ ლოგიკური ფორმა. რომელსაც მსჯელობა წარმოადგენს. როგორც ცნობილია, მსჯელობის, როგორც ფორმის, ცალკე გამოყოფამ, ბევრი ლოგიკოსი მიიყვანა მსჯელობის წინადადებაზე დამთხვევამდე, მაგრამ მსჯელობა, ნამდვილად, არის წინადადების შინაარსი, რომელიც მსჯელობას, როგორც ფორმას. წარმოადგენს. აქ შინაარსი უდრის ფორმას. თუ წინადადების ფორმას ავიღებთ, მის შინაარსს კი გამოვტოვებთ, მაშინ მსჯელობა მხედველობის გარეშე დაგვრჩება.

2) ლოგიკურ ფორმას თვითონ აქვს საკუთარი შინაარსი, სახელდობრ, ლოგიკური შინაარსი (ჰეგელი, მარქსი). რასაც ფორმა წარმოადგენს, ის არის მისი შინაარსი. სახელდობრ, ის, რითაც იგი სხვა ფორმებისაგან განსხვავდება. მსჯელობის, როგორც ფორმის, შინაარსი არის მსჯელობის ფორმის ცნების შინაარსი. ფორმათა სხვადასხვაობა თვითონ წარმოადგენს შინაარსს. ლოგიკური ფორმების და ამ ფორმათა სახეების სხვადასხვაობა არის ის შინაარსი, რომელიც ლოგიკის მეცნიერების საგანს შეადგენს.

3) მსჯელობა, როგორც გარკვეული მომენტების ერთიანობა. არის შინაარსი. ამ ერთიანობის წესი, რომელიც მსჯელობის არსებას შეადგენს, სახელდობრ, მტკიცება-უარყოფის წესი, არის მსჯელობის ფორმა. მაშასადამე, მსჯელობას შინაარსიც აქვს და ფორმაც. ერთიანობის, როგორც შინაარსის, გარეშე მსჯელობა არ არსებობს. მსჯელობა სწორედ გარკვეულ ერთიანობას წარმოადგენს. მისი ფორმა ამ ერთიანობის წესი და გარკვეულობაა.

4) მსჯელობის ემპირიული შინაარსი (სოკრატე. მოკვდავობა, ლითონი, ელექტრობის გამტარობა და სხვ.) მართლაც უნდა გამოირიცხოს ლოგიკიდან. სახელდობრ, სწორედ ლოგიკის შინაარსიდან, ის სხვა მეცნიერებათა საგანია. ამ აზრით, მსჯელობა უნდა აღებულ იქნეს როგორც ფორმა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მსჯელობა, მა-

გალითად, დადებითი მსჯელობა, როგორც დადებითი კავშირი, არის ზოგადი (შინაარსეული ზოგადიც და მოცულობითი ზოგადიც) ემპირიული შინაარსებისათვის. არსებობს მრავალი დადებითი მსჯელობა, რომელთა ემპირიული შინაარსი სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს (მაგალითად, „სოკრატე არის ადამიანი“ და „ვარდი არის წითელი“), მაგრამ მათში ზოგადი ის იქნება, რომ ყველა წარმოადგენს დადებით კავშირს, რომელსაც დადებითი მსჯელობა გამოთქვამს, როგორც შინაარსს. სინამდვილეში არსებული დადებითი კავშირი არის მსჯელობის ობიექტური შინაარსი, რომლის გამორიცხვა მსჯელობიდან შეუძლებელია, რადგან თვითონ დადებითი მსჯელობა დადებით კავშირს წარმოადგენს. დადებითი კავშირი არის ერთიანობა, რომელიც უზოგადესი კატეგორიაა.

5) მსჯელობას, როგორც ფორმას, თვითონ აქვს ფორმები. არსებობს მსჯელობის სხვადასხვა ფორმა — სხვადასხვანაირი მსჯელობა, მაგალითად, დადებითი, უარყოფითი, უსასრულო მსჯელობები. მსჯელობას, როგორც ფორმას რომ არ ჰქონდეს საკუთარი შინაარსი, მაშინ არც სხვადასხვა ფორმის მსჯელობები იარსებებდა. მსჯელობათა სხვადასხვაობა არის ა) ფორმა, ამიტომ განსხვავდებიან ისინი ერთიმეორისაგან და ბ) შინაარსი, რომელიც არის თვითონ ეს სხვადასხვაობა.

მსჯელობის ფორმა სხვა არაფერია, თუ არა მისი შინაარსის გარკვეულობა. ამიტომ მსჯელობის შინაარსისა და ფორმის გათიშვა შეუძლებელია. შინაარსისაგან გამოთიშული ფორმა, თუ ეს შესაძლებელია, იქნება გარკვეული რამ, ე. ი. ექნება შინაარსი და ა. შ. შინაარსის თავიდან აცილება შეუძლებელია.

მსჯელობა განსხვავდება ცნებისა და დასკვნისაგან; ის მათ თავისებურად კიდეც უპირისპირდება და კიდეც უკავშირდება. მსჯელობა აზრის სხვა ფორმებს უპირისპირდება და უკავშირდება როგორც თავისი ფორმით, ისე საკუთარი შინაარსითაც. შინაარსის გარეშე მსჯელობა არც თვითონ იქნება გარკვეული რამ და ვერც სხვა ფორმებს დაუკავშირდება, ვერც სხვას დაიქვემდებარებს და სხვაც ვერ დაექვემდებარება.

მსჯელობისათვის დამახასიათებელია მტკიცება და უარყოფა, ცნებას კი ეს არ ახასიათებს; მაგრამ მსჯელობა, განსაკუთრებული მსჯელობა, სახელდობრ, განსაზღვრება ადგენს ცნებას. მსჯელობისათვის დამახასიათებელი მტკიცება-უარყოფის გარეშე დასკვნა შეუძლებელია. დასკვნა შეიცავს მსჯელობებს, ექვემდებარება მათ. თვითონ დასაბუთება სწორედ მტკიცება-უარყოფის გზით ხორციელდე-

ბა. ასე რომ ცნების, მსჯელობის, დასკვნისა და დასაბუთების განსხვავება მათ საკუთარ შინაარსშია, რომლის ერთ მომენტსაც მსჯელობის ფორმა წარმოადგენს.

შინაარსის გარეშე მსჯელობას არ ექნება საკუთარი სტრუქტურა სტრუქტურის გარეშე არაფერი არ არსებობს, კერძოდ, არც მსჯელობა.

§ 91. მსჯელობის სტრუქტურის შესახებ

მსჯელობაში არჩევენ სამ ნაწილს: სუბიექტს, პრედიკატსა და კოპულას. სუბიექტი არის ის, რაზედაც რაიმე გამოითქმის, პრედიკატი არის ის, რაც ძასზე გამოითქმის, კოპულა კი თვითონ გამოთქმაა რომელიც არის დადებითი ან უარყოფითი; დადებითი კოპულა აღინიშნება სიტყვით „არის“, უარყოფითი კი სიტყვით „არ არის“.

ზოგიერთი ლოგიკოსი (რასელი,[1] სერიუსი[2], საერთოდ მათემატიკური ლოგიკის მიმდევრები) მსჯელობას უიგივებს პრედიკატს სუბიექტს კი უარყოფს. სუბიექტიც პრედიკატად არის წარმოდგენილი და ლაპარაკობენ პრედიკატთა აღრიცხვაზე თუ პრედიკატთა მიმართებაზე. ისინი გამორიცხავენ მსჯელობის სუბიექტს, რადგან იგი ძველი მეტაფიზიკის „გადმონაშთად“ მიაჩნიათ. ამას ადგილი აქვს უმთავრესად პოზიტივისტებთან, რომლებსაც „ეშინიათ“ არისტოტელეს სუბსტანციალიზმისა და საერთოდ მატერიალიზმისა; ისინი ცდილობენ საგნის გარეშე ააგონ ლოგიკა და ამიტომ მსჯელობიდან სუბიექტს გამორიცხავენ.

მსჯელობის დაყვანა პრედიკატზე და სუბიექტის გამორიცხვა თითქოს არ უნდა იყოს მცდარი აზრი, რადგან ხომ შეიძლება ვთქვათ, რომ პრედიკატი არის ის, რაც სუბიექტს გამოთქვამს! პრედიკატი სწორედ სუბიექტის გამოთქმაა, ამიტომ მსჯელობაში სუბიექტის არსებობა რომ დავუშვათ, ის მაინც პრედიკატში იქნება გამოთქმული; პრედიკატს არაფერი არ დარჩება გამოუთქმელი სუბიექტიდან (თუ დარჩა, ის მოცემულ მსჯელობას არ ეხება). ჰეგელიც ამბობდა, რომ პრედიკატი გამოთქვამს იმას, რასაც სუბიექტი წარმოადგენს. მაგრამ ამავე დროს სცნობდა სუბიექტის არსებობას. მისი აზრით, სუბიექტი არის ერთეული, პრედიკატი კი ზოგადია; ზოგადი გამოთქვამს ერთეულს; აქ ადგილი აქვს კერძოსა და ზოგადის დიალექტიკას. მაგრამ ბევრი ლოგიკოსი ამ დიალექტიკის უარყო-

[1] Б. Рассел, Человеческое познание, გვ. 118 და სხვ.

[2] Charles Serrus, Traite de logique, გვ. 153. იხ. აგრეთვე, Ш. Серрюс, Опыт исследования значения логики, გვ. 124—125.

ფას იმით „ახერხებს“, რომ მსჯელობიდან სუბიექტის გამორიცხვას ცდილობს.

მსჯელობა რომ, მართლა, უდრიდეს პრედიკატს, რომ მსჯელობაში ადგილი არ ჰქონდეს სუბიექტს. რომ არ არსებობდეს ის, რაზედაც რაიმე გამოითქმის, ე. ი. რჩებოდეს მხოლოდ პრედიკატი, მაშინ ის პრედიკატი იქნებოდა ერთადერთი, რაც მსჯელობაში იქნებოდა გამოთქმული, ე. ი. იგი პრედიკატი კი არა, სუბიექტი იქნებოდა; ამით პრედიკატი სუბიექტად გადაიქცეოდა; მხოლოდ პრედიკატის აღიარება მოგვცემდა მხოლოდ სუბექტის აღიარებას. მხოლოდ პრედიკატის აღიარება თავის თავს გააუქმებდა. ამიტომ მსჯელობაში სუბიექტის უარყოფა არის შეცდომა, გამოუვალი წინააღმდეგობა.

მტკიცება-უარყოფაში ლოგიკურად აუცილებელია ის, რაზედაც ვამტკიცებთ, და ისიც, რასაც მასზე ვამტკიცებთ, და, ცხადია, ისიც, რასაც თვითონ დადგენა ან უარყოფა წარმოადგენს. ერთი სიტყვით, აუცილებელია მსჯელობის სუბიექტიც, პრედიკატიც და კოპულაც.

§ 92. მსჯელობის სუბიექტი

რას წარმოადგენს მსჯელობის სუბიექტი? ეს საკითხი სადავოა. ზოგიერთი ლოგიკოსის აზრით, მსჯელობის სუბიექტი არის ცნება, ზოგიერთის აზრით, სუბიექტი არის წარმოდგენა. ზოგიერთის აზრით კი იგი საგანს წარმოადგენს; ამასთანავე ზოგიერთი იმასაც ფიქრობს, რომ მსჯელობის სუბიექტი სხვა არაფერია. თუ არა პრედიკატის ლოგიკური საფუძველი.

თუ მსჯელობის სუბიექტი არის ცნება, მაშინ ცნება უსწრებს წინ მსჯელობას. მაგრამ აქ იქმნება სიძნელე; ცნება, აღებული მსჯელობის გარეშე შეიძლება იყოს ან წარმოდგენა და ან ცარიელი სიტყვა. მსჯელობით დგინდება ცნება და არა პირიქით. მსჯელობა, „მაგიდა არის შავი“ ადგენს ცნებას „შავი მაგიდა“, რომელიც მსჯელობის („მაგიდა არის შავი“) შემოკლებულად აღებას წარმოადგენს. ეს ასეა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, აქ სიძნელე ნაკლებად ჩანს; ამიტომ ცნება არ უნდა უსწრებდეს წინ მსჯელობას (ამ საკითხს შემდგომ— ცნების თეორიაში — განვიხილავთ), ე. ი. მსჯელობის სუბიექტი არ უნდა იყოს ცნება.

თუ მსჯელობის სუბიექტი არ არის ცნება, მაშინ ხომ შეიძლება ითქვას, რომ ის არის წარმოდგენა? მაგრამ უნდა ითქვას, რომ წარმოდგენებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ლოგიკაში. წარმოდგენა არ არის ლოგიკური აზროვნების ფორმა. მის ადგილზე ლოგიკაში არის ცნება.

არც ის აზრი უნდა იყოს სწორი, თითოეს მსჯელობის სუბიექტი წარმოადგენს საგანი, რადგან საგანია სწორედ ის. რაზედაც ვმსჯელობთ. მართალია, მსჯელობას, როგორც აზრს, რომელიც საგნის ასახვას წარმოადგენს, საგანი აქვს, მაგრამ მსჯელობის სუბიექტი. როგორც მსჯელობის — აზრის ელემენტი, არ შეიძლება ასეთი საგანი იყოს. მსჯელობის სუბიექტი საგანს გულისხმობს, მაგრამ თვითონ არის აზრი. მსჯელობის სუბიექტი არის ის. რაზედაც პრედიკატი გამოითქმის, მაგრამ ორივე არ-ს აზრის, სახელდობრ. მსჯელობის ელემენტები. თუ იმას იტყვიან, რომ მსჯელობაში საგანი არის ინტუიციურად — უშუალოდ მოცემული. მაშინ ის-ც უნდა ითქვას. რომ ეს ინტუიციურობა სრულიად ზედმეტია მსჯელობაში. მსჯელობა ხსნის ინტუიციურობას. ინტუიცია შემმეცნებელი სუბიექტის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. მსჯელობა კი ლოგიკურ-ს ფორმას წარმოადგენს.

როგორც ითქვა, მსჯელობის სუბიექტი არ არის ცნება. ცნება არ უსწრებს წინ მსჯელობას. მაგრამ არც იმის თქმა უნდა შეიძლებოდეს, რომ მსჯელობის სუბიექტს არაფერი საერთო არ აქვს ცნებასთან. მსჯელობა ცნებას უნდა გულისხმობდეს და შეიცავდეს. მსჯელობის სუბიექტი არ არის ცნება, მაგრამ ის არ არის არც არა-ცნება. ის უნდა იყოს ცნება, სხვა არაფერი არ შეიძლება შედიოდეს მსჯელობაში, როგორც აზრის ფორმაში. მაშასადამე, მივიღეთ სიძნელე: მსჯელობის სუბიექტი უნდა იყოს ცნება და არც უნდა იყოს ცნება. სად არის გამოსავალი?

საქმე ისაა, რომ მსჯელობა ექვემდებარება განსაზღვრების პრინციპს, განსაზღვრებისა, რომელიც ცნებას ადგენს. განსაზღვრება არის მსჯელობა, თუმცა ყოველი მსჯელობა არ არის განსაზღვრება. მსჯელობა გამოთქვამს განსაზღვრულობას და თვითონაც გარკვეულ განსაზღვრულობას წარმოადგენს. განსაზღვრება არსების აზრობრივი გამოთქმის დადგენაა, იმის გამოთქმაა. თუ რა არის რამე (ამის შესახებ ქვემოთ). მაგრამ მსჯელობაც ამას ჰგავს. თუმცა იგი უფრო ფართოა, რადგან ის არაარსებითსაც. როგორც ასეთს, გამოთქვამს. ამიტომ როგორც განსაზღვრება იწყებს სუბიექტით. რომელსაც პრედიკაცია ამოწურავს და ადგენს ცნებას. რომელიც განსაზღვრების დასაწყისში სუბიექტით აღინიშნება. ასევე მსჯელობაშიც სუბიექტი არის დასაწყისი გარკვეული ლოგიკური პროცესისა. დასაწყისი სწორედ ლოგიკური პროცესის დასაწყისია და ამიტომ მას გულისხმობს აუცილებლობით. დასაწყისი, ცხადია. მთელის დასაწყისია და არა მთელი. სუბიექტი არის დასაწყისი. ის. სწორედ რო-

გორც დასაწყისი, არც ცნებაა და არც მსჯელობა, მაგრამ ის არის სწორედ ცნების დასაწყისი. რამდენადაც მსჯელობა-განსაზღვრება ადგენს ცნებას. სუბიექტი არ არის ცნება, რადგან ის მხოლოდ დასაწყისია; სუბიექტი არის ცნება, რადგან ის სწორედ ცნების დასაწყისია, რამდენადაც სუბიექტი არის დასაწყისი მსჯელობა-განსაზღვრებისა, ცნების დადგენისა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ არც ცნება უსწრებს წინ მსჯელობას და არც პირიქით; ისინი ერთიმეორეს გულისხმობენ და მოითხოვენ, მაგრამ ისე რომ ორივეს ერთი დასაწყისი აქვს. ეს არის მსჯელობა-განსაზღვრების სუბიექტი, საიდანაც დაწყებული პროცესი, სახელდობრ, ცნების დადგენის პროცესი, რომელსაც განსაზღვრება-მსჯელობა წარმოადგენს, სწორედ ცნების დადგენით მთავრდება. სუბიექტი არის ცნება მისი დადგენის დასაწყისში.

მსჯელობის სუბიექტის უარყოფა ლოგიკაში შეუძლებელია, რადგან ლოგიკაში, საბოლოო ანგარიშში, ირკვევა მხოლოდ ერთი საკითხი: რა არის ლოგიკური. ლოგიკურის, როგორც სუბიექტის, ამომწურავი პრედიკატები ლოგიკის მთელ შინაარსს უდრის.

§ 93. მსჯელობის პრედიკატი

სუბიექტი, აღებული პრედიკატის გარეშე. არის არაფერი, არარა, რომელიც, თავისი ბუნებით, შედარებითია, რადგან ის სწორედ დასაწყისია. ამიტომ ის არ არის მარტო არარა; არა, იგი შედარებით—დადებითიც არის. სწორედ ამ დადებითის განსაზღვრულობა არის პრედიკატი.

პრედიკატი არის ის, რასაც სუბიექტი წარმოადგენს, მაგრამ ის მისგან განსხვავებულიცაა. სუბიექტს „ემატება“ არა სრულიად სხვა, ეს შეუძლებელია, არამედ, ასე ვთქვათ, „თავისი სხვა“. ე. ი. ის, რაც თვითონ სუბიექტშივეა, როგორც განსხვავებული. სუბიექტში, როგორც დასაწყისში, რომ შესაძლებელია განსხვავება და დაპირისპირებაც კი, ეს იქიდან ჩანს, რომ: 1) ის არის მხოლოდ დასაწყისი. და 2) იგი დასაწყისში არის არარა, ე. ი. დასაწყისი დადებითიც არის და უარყოფითიც; დასაწყისის დადებითობას უპირისპირდება მისივე უარყოფითობა (ეს იმით არის შესაძლებელი, რომ როგორც ითქვა, ორივე ეს მომენტი შეფარდებითია).

ამიტომ უნდა ითქვას, რომ პრედიკატი სუბიექტის მიმართ იგივეობრივიცაა და განსხვავებულიც; პრედიკატი გამოთქვამს სუბიექტის განსხვავებულ ბუნებას, იმას, რასაც სუბიექტი წარმოადგენს.

ამის გამო მსჯელობა არც მხოლოდ ანალიზურია და არც მხო-

ლოდ სინთეზური (როგორც ეს დასაბუთდება დასაბუთების თეორიაში ანალიზურობის და სინთეზურობის აუცილებელი კავშირის გარჩევის დროს). არ არსებობს მხოლოდ ანალიზური მსჯელობა და მხოლოდ სინთეზური მსჯელობა (როგორც ეს ლოკსა და კანტს ეგონა); არა, ერთი და იგივე მსჯელობაა ანალიზურიც და სინთეზურიც; ანალიზურობა და სინთეზურობა კავშირის მომენტებია რომელსაც მსჯელობა წარმოადგენს.

შეუძლებელია მსჯელობა იყოს მხოლოდ ანალიზური, რადგან მხოლოდ ანალიზურობა ერთი და იგივეს განმეორებაა, რაც წარმოადგენს ტავტოლოგიას, რომელიც ლოგიკურად არაფრის გამოთქმას ნიშნავს. მართალია, ერთი და იგივეს განმეორება რაოდენობრივ სინთეზურობას წარმოადგენს (და ამიტომ გამოსადეგია მათემატიკისათვის), მაგრამ ლოგიკურად იგი არის ტავტოლოგია, ანუ, დასაბუთების თვალსაზრისით, ის არაფერია. თუმცა ისიც შეიძლება და უნდა ითქვას, რომ ტავტოლოგია, როგორც წმინდა დადებითობა, მიდის სინთეზურობამდე, რადგან ის, რაც უნდა იყოს მხოლოდ დადებითი, არის არაფერი — უარყოფითი; ტავტოლოგიურობა, ეს არის საწინააღმდეგოში თავისებური გადასვლა; ამ გადასვლის შეჩერება კი არის ჩვეულებრივი ტავტოლოგია, რომელიც არაფრის თქმას უდრის. თუ რაიმე ითქმის (ლოგიკურად ითქმის), ითქმის სინთეზურად. ამიტომ სუბიექტის კავშირი პრედიკატთან აუცილებლად არის სინთეზური, ამას უშუალოდ გამოთქვამს თვითონ ფორმულა — S — P.

რადგან სუბიექტი არის დასაწყისი მსჯელობისა, მსჯელობით განსაზღვრებითი პროცესისა. ამიტომ ის არის შინაარსეული კერძო (თუ ერთეული). ის, გარკვეული აზრით, არ არის ზოგადი (ზემოთ გარკვეული სუბიექტის ცნება აქ — პრედიკატის ცნების გარკვევისას — კიდევ უფრო ზუსტდება). შინაარსეული ზოგადობა აუცილებლობით გულისხმობს სხვადასხვაობას, რომლის ერთიანობასაც ის წარმოადგენს, ამიტომ სუბიექტი, როგორც დასაწყისი. ცხადია, არ არის ასეთი ზოგადი. ამიტომ უნდა ითქვას, რომ პრედიკატი ყოველთვის უფრო ზოგადია სუბიექტის მიმართ. ეს ასეა, რადგან პრედიკატი გულისხმობს სუბიექტსაც და მისგან განსხვავებასაც. პრედიკატი არის შინაარსეული ზოგადი (მაგრამ არა მარტო შინაარსეული, არამედ შეიძლება ის მოცულობითი ზოგადიც იყოს). მსჯელობაში, როგორც სინთეზურ კავშირში, პრედიკატი სუბიექტზე უფრო ზოგადია (ამიტომ სწორი იყო არისტოტელეც, ჰეგელიც და ბევრი სხვა ლოგიკოსიც, რომლებიც ამ აზრს აღიარებდნენ, თუმცა, მათი აზრით, პრედიკატის ზოგადობა მოცულობითი ხასიათისაა. ამას ჰე-

გელიც იმეორებს, როცა ის პრედიკატის ზოგადობას წარმოადგენს როგორც მოცულობითს—საერთოს სხვადასხვა ერთეულებისათვის)[1]. თუ მსჯელობაში სუბიექტი და პრედიკატი ერთეულებად არის წარმოდგენილი (მიმართების მსჯელობებში), მაშინაც პრედიკატი ერთეული კი არ იქნება. არამედ თვითონ მიმართება ერთეულებისა, რომლებსაც „სუბიექტად" და „პრედიკატად", უკეთ, ამათ შემცვლელად წარმოიდგენენ; მაგალითად, A = B-ში ტოლობა იქნება პრედიკატი, რომელიც შინაარსეული ზოგადია A-ს და B-ს მიმართ (ე. ი. აქ სიძნელეს წყვეტს შინაარსეული ზოგადობის ცნება).

ზემოთ ითქვა, რომ სუბიექტი არის კერძო — ერთეული (შინაარსეულად, შეიძლება მოცულობის აზრითაც), მაგრამ შეიძლება ითქვას ამის საპირისპიროც, გარკვეული აზრით, სუბიექტი არის ზოგადი, სახელდობრ, შინაარსეული ზოგადი, რამდენადაც ერთ სუბიექტზე შეიძლება გამოითქვას რამდენიმე პრედიკატი, რომელთა ერთიანობასაც სწორედ სუბიექტი წარმოადგენს. სუბიექტის ანალიზი მოგვცემს პრედიკატებს. პრედიკაცია კი ერთის განსხვავებულობებს — განსაზღვრულობებს დაადგენს, რაც ამოწურავს მას და მრავალი ნიშნის მქონე ცნებას მოგვცემს. ამ შემთხვევაში პრედიკატი იქნება კერძო, ერთმხრიობა სუბიექტისა.

გარკვეული აზრით და ზემოთ ნათქვამის საფუძველზე ისიც შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტი არის პრედიკატის საფუძველი. პრედიკატი კი სუბიექტის შედეგია. სუბიექტი შეიძლება გაგებულ იყოს როგორც პრედიკატის საფუძველი ორი აზრით: 1) სუბიექტი, როგორც კერძო, ინდუქციური საფუძველია პრედიკატის, როგორც ზოგადისა, 2) სუბიექტი, როგორც ზოგადი, დედუქციური საფუძველია პრედიკატის, პრედიკატების, როგორც მისი ერთმხრიობების — კერძოებისა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საფუძველ-შედეგის რთული დამოკიდებულების დაყვანა მსჯელობაზე შეცდომად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც ეს იქნებოდა დასკვნის და დასაბუთების გაუქმება; ეს იქნებოდა მსჯელობის და მსჯელობათა შუალობითი კავშირის ერთიმეორეში აღრევა, რაც მიჩქმალავდა ლოგიკური აუცილებლობის ბუნებას, ვერ გამოავლენდა მას. ლოგიკური აუცილებლობა სრულად ვლინდება მხოლოდ დასკვნა-დასაბუთებაში. მსჯელობა დასკვნის მხოლოდ მხარეს — მომენტს წარმოადგენს.

თუ სუბიექტი არის ერთეული და პრედიკატი ზოგადია, მაშინ ისინი ერთიმეორის საპირისპირო ყოფილა; ასე ითქმის მაშინაც, როცა სუბიექტი გაგებულია როგორც ზოგადი, პრედიკატი კი როგორც

[1] Hegel, W. d. Logik, გვ. 277.

მისი ერთმხრიობა — კერძო. მაგრამ თუ პრედიკატი იმას ჰქვია, რაც სუბიექტს გამოთქვამს, მაშინ ამ ორი მომენტის ერთიანობა იქნება დაპირისპირებულთა ერთიანობა. მსჯელობაში სუბიექტს გამოთქვამს მისი საპირისპირო პრედიკატი. ეს ნიშნავს იმას, რომ სუბიექტსა და პრედიკატს შორის აუცილებელია უარყოფის მომენტი. აქ სინთეზურობის და ანალიზურობის ზემოთ განხილული კავშირი წარმოდგება სისრულით. დაპირისპირებულთა ერთიანობა აზრს აძლევს მსჯელობას. მის გარეშე შეუძლებელია მსჯელობა, სინთეზური კავშირი (ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსჯელობა უდრის ლოგიკურ დაპირისპირებულთა ერთიანობას, როგორც ეს შემდგომ იქნება სისრულით გარკვეული). მსჯელობის სინთეზურობა, მისი ანალიზურობა-სინთეზურობა დაპირისპირებულთა ერთიანობაში სისრულით წარმოდგება, თუკი, ცხადია, ეს ერთიანობა შესაძლებელია ლოგიკაში. ასეთი რამ, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა. რადგან სრული ლოგიკურის ბუნება სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობის თუ წინააღმდეგობის ხასიათისაა (იხ. ამის შესახებ წინ — ლოგიკური კანონები და შემდეგ — უსასრულო დასკვნა).

მაშასადამე, გაირკვა ისიც, თუ რას წარმოადგენენ მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი და ისიც, თუ როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება მათ შორის. მაგრამ ამ უკანასკნელის სრულად და უფრო გარკვეულად წარმოსადგენად აუცილებელია გავარჩიოთ კოპულის ცნება.

§ 94. კოპულა

როგორც აღინიშნა, მსჯელობა არის გარკვეული აუცილებელი კავშირი; ის არის გარკვეული ერთიანობა; მსჯელობა არის ერთი აზრი, ამიტომ ის არ შეიძლება არ იყოს აუცილებელი კავშირი. მსჯელობაში და მსჯელობით განხორციელებული კავშირი და მასში განხორციელებული აუცილებლობა განსხვავდება დასკვნისა და მასში განხორციელებული აუცილებლობისაგან. მსჯელობაში რომ სრულიად არ იყოს ლოგიკური აუცილებლობა. მაშინ მსჯელობა არ უნდა შედიოდეს ლოგიკის საგანში; ლოგიკა უნდა სწავლობდეს მხოლოდ დასკვნას (როგორც ამას ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს). ლოგიკური ყოველთვის აუცილებლობის ბუნებისაა, ასეთია ლოგიკურის ერთი ფორმა — მსჯელობაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აზრის ლოგიკური ფორმა არ იქნებოდა.

როგორ შეიძლება მსჯელობაში უარვყოთ აუცილებელი კავშირი, როცა მსჯელობა არის იმის აზრობლივი გამოთქმა, რომ რაიმე არის ეს ან არ არის ეს. „არის“ ისეთ კავშირადაც კი არის მიჩნეული, რომ მას უიგივებენ ტოლობას ან ის ესმით როგორც იგივეობა. ტოლობა თუ იგივეობა, ცხადია, აუცილებელ კავშირს წარმოადგენს. „არის“ უნდა ნიშნავდეს და ნიშნავს კატეგორიულ კავშირს, ამიტომ არსებობს კატეგორიული მსჯელობა. შეუძლებელია აღიარო მსჯელობითი კავშირის კატეგორიულობა და ამავე დროს უარყო მსჯელობაში ლოგიკური აუცილებლობის არსებობა. „არის“ ნიშნავს კატეგორიულ კავშირს. თუმცა იგი ხშირად გაგებულია როგორც პირობითი კავშირი; მაგალითად, ფიხტე ამბობდა, რომ „A არის A“ არის იგივე. რაც „თუ არის A. მაშინ არის A“, მაგრამ ამით არ იყო უარყოფილი ამ კავშირის აუცილებლობა (მათემატიკურ ლოგიკაში კი „თუ—მაშინ“ არ ნიშნავს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას, ამ დამოკიდებულების აუცილებლობას იგი არ შეიცავს. მაგრამ ფუნქციონალური დამოკიდებულება მაინც არის თავისებური აუცილებლობის ბუნების მქონე).

კოპულა „არის“ სხვადასხვანაირად ესმით. არისტოტელე კოპულას, როგორც მსჯელობის ელემენტს, ცალკე არ გამოყოფს, არ განიხილავს. მისთვის მსჯელობა არის მტკიცება და უარყოფა, რომლებიც ორ რაიმეს გულისხმობენ: იმას, რაზედაც ვამტკიცებთ და იმას, რასაც ვამტკიცებთ. ზოგიერთის აზრით, კოპულას „არის“ აქვს არსებობის მნიშვნელობა; ზოგიერთისათვის კი იგი მხოლოდ სიტყვიერი კავშირის აღმნიშვნელია. როგორც ითქვა, ზოგს „არის“ ესმის, როგორც იგივეობა (აქედან მსჯელობის ანალიზური გაგება, მხოლოდ ანალიზური მსჯელობების აღიარება). ზოგიერთისათვის „არის“ აღნიშნავს ტოლობას (2×2 არის 4. იგივეა რაც 2×2=4). კოპულის ასეთ გაგებას ემყარება პრედიკატის ქვანტიფიკაციის პრინციპი. კოპულის ასეთი გაგება საფუძვლად უძევს მხოლოდ ტავტოლოგიური მსჯელობების აღიარებას.

კანტის აზრით, კოპულა „არის“, ეს არის ტრანსცენდენტალური აპერცეპციის აუცილებელი ერთიანობა, რომელიც მსჯელობის ძირს წარმოადგენს და ამიტომ მოქმედებს წარმოდგენების დაკავშირებაში. როგორც მისი ლოგიკური პირობა.[1] ფიხტესათვის, როგორც ითქვა, „არის“ არის აუცილებელი კავშირი, სახელდობრ, „თუ მაშინ“-ის კავშირი, გარკვეული ფორმის აღმნიშვნელი (რომე-

[1] კ ა ნ ტ ი, წმინდა გონების კრიტიკა, ერდმანის გამოცემა, გვ. 135.

ლიც „მე ვარ“-ში შინაარსეულიცაა). ფიხტესათვის „არის“ „თუ-მაშინ“-ის აუცილებელი და არსებითი ელემენტია [1].

„არის“-ის სხვადასხვანაირი გაგების არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს შეუძლებელი იყო მისი ერთი სწორი გაგება. საჭიროა კოპულის ნამდვილი აზრის დადგენა და მასზე არასწორი შეხედულებების უარყოფა (ფილოსოფიაში არ არსებობს არც ერთი ძირითადი პრობლემა, რომლის შესახებ სხვადასხვა აზრი არ არსებობდეს, ეს არ ნიშნავს, ცხადია, სწორი გაგების, სწორი შეხედულების შეუძლებლობას ფილოსოფიის საკითხებზე. ასე ითქმის საერთოდ მეცნიერების ძირითადი პრობლემების შესახებაც).

კოპულის შესახებ ჰეგელის აზრი [2] და ამ აზრის მატერიალისტური წაკითხვა ვ. ი. ლენინის მიერ კოპულას, სახელდობრ, „არის“-ს წარმოადგენს ორმაგი ბუნების მქონედ; კოპულა დიალექტიკური ბუნებისაა, რადგან იგი აჩვენებს იმას, რომ „ცალკეული სუბიექტი, არის ამდენადვე არა ცალკეულიც, არამედ ზოგადი“ (ამის შესახებ ლენინი წერს: 1) „ცნებათა დიალექტიკა და მისი მატერიალისტური ფესვები“; 2) „NB—„ცალკეული=ზოგადს“); ე. ი. კოპულა აჩვენებს იმას, რომ ერთეული (სუბიექტი) არის ერთეული (სუბიექტი), მაგრამ ის არცაა ერთეული (სუბიექტი), არამედ ზოგადია (პრედიკატი).

სწორედ ამიტომ მსჯელობა გამოითქმება ასე: „სუბიექტი არის პრედიკატი“, ანუ „ერთეული არის ზოგადი“. „ერთეული არის ზოგადი“ ნიშნავს: ერთეული არის არა მხოლოდ ერთეული, არამედ ზოგადიც. ერთეული რომ ზოგადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არ არის ერთეული. აქ ერთეულის ზოგადთან გაიგივება და ერთეულის მოხსნა კი არაა, არამედ ის, რომ ერთეული და ზოგადი დაპირისპირებულია, მაგრამ პირველი არის მეორე. წინააღმდეგ შემთხვევაში მსჯელობა არ იქნებოდა დაპირისპირებულთა ერთიანობა. ის ასეთია სწორედ იმის გამო, რომ კოპულას ზემოთ აღნიშნული ორმაგობა ახასიათებს.

ამგვარად გაგებული კოპულა „არის“ შეფარდებითი ხასიათისაა. რადგან იგი შეიცავს „არ არის“-საც, რომელიც თავის მხრივ, ცხადია, არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობით იქნეს აღებული. ამიტომ „არის“ ორმაგი ბუნებისაა, ეს არის განსხვავებულთა, ამ შემთხვევაში, დაპირისპირებულთა ერთიანობის ძირი. კოპულის ორ-

---

[1] ფიხტე, მეცნიერების თეორია. მედიკუსის გამოც., გვ. 14.

[2] ჰეგელი, Enz, § 214, შენიშვნა, Bolland, გვ. 266.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 197.

მაგობა ყოველ სინთეზურ მსჯელობაში აუცილებელია, რადგან ასეთი მსჯელობა არის განსხვავებულთა ერთიანობა, სადაც კოპულა იმას აჩვენებს, რომ სუბიექტი არა მარტო სუბიექტია, არამედ პრედიკატიც; სწორედ სუბიექტისა და მისგან განსხვავებული პრედიკატის ერთიანობა არის მსჯელობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კოპულა არის ორი და არა ერთი. მართალია, კოპულა არის „არის“ და კოპულაა, აგრეთვე, „არ არის“, ეს ორი კოპულაა. მაგრამ პირველი კოპულის („არის“) დროს „არ არის“ მის მომენტს წარმოადგენს. მეორე კოპულის დროსაც არის დადებითობა, წინააღმდეგ შემთხვევაში. შეუძლებელი იქნებოდა უარყოფითი მსჯელობა, როგორც ერთი აზრი.

ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ მსჯელობა წინააღმდეგობრივი ბუნებისაა; ის არის დიალექტიკური; მსჯელობას აზრი აქვს დიალექტიკური წინააღმდეგობით. მსჯელობის წინააღმდეგობა რომ თვითონ მსჯელობის სფეროშივე სისრულით გადაწყდეს, მაშინ (როგორც ჩვენ ამაში შემდგომ დავრწმუნდებით) ლოგიკის სფეროს მხოლოდ მსჯელობა ამოწურავდა. ზედმეტი იქნებოდა დასკვნა და დასაბუთება.

კოპულის ორმაგობა ისეთ სიძნელეებს ქმნის, რომელთა გათვალისწინება-გარკვევა საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ მსჯელობა სისრულით, გავიგოთ მისი კავშირი დასკვნასთან. კოპულის ბუნება, როგორც ვნახავთ, სისრულით წარმოდგება მსჯელობიდან დანასკვზე გადასვლისას.

§ 95. შინაარსეული მსჯელობა

ამ შემთხვევაში „შინაარსეული“ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც „ზოგადი“ ან როგორც „კატეგორიული“. როცა ამბობენ, რომ მსჯელობა არის მხოლოდ წმინდა ფორმა, მაშინ ხშირად იმასაც აღნიშნავენ, რომ „კერძო“ და „ზოგადი“ ლოგიკაში არ შედის. რადგან ეს ცნებები შინაარსეული ხასიათისაა, ლოგიკა კი მხოლოდ ფორმებს სწავლობს. ამ მიზნით აქ ჩვენ ვიხილავთ სწორედ „შინაარსეულ“ მსჯელობას. ასეთი მსჯელობა კატეგორიების, სახელდობრ, კერძოსა და ზოგადის კატეგორიების კავშირს წარმოადგენს, ამიტომ. ჩვეულებრივი — ფორმალური ლოგიკის — მსჯელობისაგან განსხვავებით, ასეთი მსჯელობა შეიძლება იწოდოს კატეგორიალურ მსჯელობად. კატეგორიების კავშირი, როგორც მსჯელობა, განს-

ხვავდება ფორმალური ლოგიკის მსჯელობისაგან. მაგალითად. „კერძო არის ზოგადი“ განსხვავდება მსჯელობისაგან „ცუგა არის ძაღლი“: ეს განსხვავება იმაშია, რომ პირველი მეორესთან შედარებით არის ზოგადი; ამიტომ ასეთი მსჯელობა შეიძლება იწოდოს ზოგად მსჯელობად, მაგრამ ამ ზოგადობის ქვეშ უნდა გვესმოდეს მხოლოდ კატეგორიების ზოგადობა. საბჭოწოდებებიდან თუ რომელს ამოვარჩევთ, ეს ჩვენზეა დამოკიდებული.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობის კერძო გამოხატულებისაგან ზოგადზე გადასვლა, ანუ მსჯელობის ზოგადი ფორმის წარმოდგენა მხოლოდ კატეგორიებზე გადასვლით შეიძლება. კატეგორია არის უზოგადესი ცნება. მსჯელობის ზოგადი სახით წარმოდგენა. რომელიც აუცილებელია ლოგიკისათვის, მხოლოდ კატეგორიების კავშირით შეიძლება და არა „ზოგადი“ სქემის (სქემა არაა ზოგადი) საშუალებით, მაგალითად, სიმბოლოს საშუალებით, რადგან სიმბოლო არის პირობითი ნიშანი და არა ცნებითი ზოგადობა.

როგორც ითქვა (შემდგომ კი უფრო დაწვრილებით გაირკვევა), უარყოფა (შინაგანი უარყოფა) აფართოებს ცნებას, მაგალითად, რიცხვის ცნების გაფართოება ხდება უარყოფის გზით; ლოგიკური განვითარება, მაგალითად. ჰეგელის ლოგიკაში ხდება უარყოფის საშუალებით და სხვა. აქ ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, რომ ვაჩვენოთ კატეგორიების კავშირის სახით წარმოდგენილი მსჯელობის შემოყვანა და მისი აუცილებლობა ლოგიკის სფეროში.

მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი“ სინთეზურია, მასში არსებობს განსხვავება, ამიტომ უარყოფაც. შინაგანი უარყოფა, შედარებითი უარყოფა, სახელდობრ, ის, რომ ცუგა და ძაღლი სხვადასხვაა; ცუგა არ არის იგივე, რაც ძაღლი; ამ აზრით ცუგა არ არის ძაღლი. ეს განსხვავება, სწორედ მასში არსებული უარყოფის საშუალებით, წარმოდგება სისრულით — დაპირისპირების სახით, თუ ამ მსჯელობას გამოვთქვამთ იმ კატეგორიებით, რომლებიც მასშივეა ნაგულისხმევი. უარყოფა აფართოებს მსჯელობის აზრს, ანზოგადებს მას. მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი“ განზოგადებული სახით გამოითქმება კატეგორიების კავშირით, სახელდობრ, ასე: „ერთეული არის ზოგადი“, რამდენადაც „ცუგა“ არის ერთეული თუ კერძო, „ძაღლი“ კი — ზოგადი. ლოგიკა სწორედ ზოგადს სწავლობს და არა ემპირიულს. ლოგიკას პირველ რიგში საქმე აქვს კატეგორიებთან. მათ ლოგიკურ კავშირთან. „ცუგა არის ძაღლი“ მსჯელობის ფორმის ემპირიული მაგალითია. რომელიც შემდეგი სახით არსებობს: „კერძო არის ზოგადი“ (და არა პროპოზიციული ფუნქციის სახით. რომელიც მხოლოდ სქემას წარმოადგენს).

უზოგადესი არის კატეგორია. მსჯელობა უზოგადესი ფორმით იგივეა, რაც „კერძო არის ზოგადი“. კერძო და ზოგადი, ცხადია, ერთიმეორის საპირისპირო კატეგორიებია. ეს დაპირისპირება იგივეა, რაც წინააღმდეგობა, რადგან არაკერძო არის მხოლოდ ზოგადი და პირიქით. მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი“ ეყრდნობა საგნის გარეგან — „ზერელე“ მხარეს და თვითონაც ლოგიკურად არის ზერელე კატეგორიების კავშირთან („კერძო არის ზოგადი“) შედარებით; კატეგორიების კავშირი — „კერძო არის ზოგადი“ არის არსება მსჯელობისა „ცუგა არის ძაღლი“, და ყოველი ასეთი მსჯელობისა საერთოდ. მსჯელობა არსებითად არის კერძოსა და ზოგადის, როგორც კატეგორიების, კავშირი, რომელიც ვლინდება ისეთ მსჯელობაში, როგორიცაა „ცუგა არის ძაღლი“. „შინაარსეული მსჯელობა“ ფორმალურ ლოგიკური მსჯელობის არსებას, მის ზოგად ფორმას წარმოადგენს. ლოგიკა მსჯელობას მის ზოგადობაში განიხილავს.

ზემოთ განხილული კოპულის აზრი, სახელდობრ, კოპულის ორმაგობა თუ დიალექტიკურობა გარკვეულად და სრულად წარმოდგება მსჯელობაში, როგორც კატეგორიების — კერძოს და ზოგადის — კავშირი. „კერძო არის ზოგადი“ მსჯელობის აზრს ვერ გამოთქვამს ყოველმხრივ, პირიქით, გაუგებრადაც კი ჩანს ის, თუ როგორ შეიძლება კერძო იყოს ზოგადი (ეს, მართლაც პრობლემას წარმოადგენს ფილოსოფიის ისტორიის გასწვრივ და დღესაც ასე რჩება). ადვილი წარმოსადგენია „ცუგა არის ძაღლი“, მაგრამ ძნელია გაიგო „კერძო არის ზოგადი“, თუმცა მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი“ ლოგიკურად სხვა არფერია, თუ არა „კერძო არის ზოგადი“. მსჯელობის აზრის სრულად წარმოსადგენად საჭიროა „კერძო არის ზოგადი“-ს საწინააღმდეგოს მასთან დაკავშირება. ეს საწინააღმდეგო არის „კერძო არ არის ზოგადი“, რაც ადვილად გასაგებია, რადგან კერძო და ზოგადი ერთიმეორისადმი საპირისპირო ცნებებია, და, ცხადია, ერთი არ არის მეორე. ამასთანავე, „კერძო არ არის ზოგადი“ ადვილად გასაგებია, ვიდრე „ცუგა არ არის ძაღლი“. ისე როგორც ძნელია გაიგო „კერძო არის ზოგადი“, ასევე ძნელი წარმოსადგენია „ცუგა არ არის ძაღლი“, მაშინ როცა ადვილად წარმოიდგინება „კერძო არ არის ზოგადი“ და „ცუგა არის ძაღლი“. ფორმალურ-ლოგიკური დადებითი მსჯელობის კატეგორიების კავშირით წარმოდგენა მეტ სირთულეში გვაგდებს, ვიდრე ფორმალურ-ლოგიკური უარყოფითი მსჯელობის, სახელდობრ, დადებითი მსჯელობის მიერ ნაგულისხმევი უარყოფის წარმოდგენა კატეგორიების სახით, კატეგორიების კავშირის როგორც მსჯელობის სახით წარმოდგენა.

„კერძო არის ზოგადი“ უშუალოდ გულისხმობს იმას, რომ კერძო არ არის ზოგადი. აი. სწორედ აქ არის წარმოდგენილი სრული სახით კოპულის ორმაგობა, მისი დიალექტიკურობა. „კერძო არ არის ზოგადი“, მაგრამ „კერძო არის ზოგადი“; კერძოს და ზოგადის კავშირი, მათი ერთიანობა ორ საპირისპირო მხარეს შეიცავს: 1) „კერძო არის ზოგადი“ და 2) „კერძო არ არის ზოგადი“. „არის“ და „არ არის“ მომენტებია კერძოს და ზოგადის ერთიანობისა. თუ ეს ერთიანობა გამოითქვა სიტყვით „არის“, მაშინ ეს უკანასკნელი შეიცავს „არ არის“-საც. აქაა კოპულის ორმაგობა, მისი დიალექტიკურობა, რაც კატეგორიების კავშირში უფრო სრულად არის წარმოდგენილი, ვიდრე ჩვეულებრივ მსჯელობაში, სადაც იგი (კოპულის დიალექტიკურობა) ნაგულისხმევია, მაგრამ, ლოგიკური გაფორმების თვალსაზრისით, გამორიცხულია.

თუ კოპულა იმას ნიშნავს, რომ კერძო (ერთეული) არის კერძო, მაგრამ აგრეთვე ზოგადიც. მაშინ სწორედ ეს გარემოებაა გამოთქმული იმით, რომ კერძო არის ზოგადი, ე. ი. ის, რაც არ არის კერძო, არამედ სწორედ კერძოს საპირისპიროა (ეს გარემოება საბოლოოდ დასაბუთდება. ლოგიკურიც სრულად გაფორმდება „უსასრულო დასკვნაში“, სადაც გადაწყდება მსჯელობის სიძნელეც და ყოველგვარი დასკვნის სიძნელეებიც. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

როგორც ითქვა, ზოგიერთის აზრით, ერთეულის თუ კერძოს და ზოგადის კატეგორიები არ შედის ლოგიკის სფეროში. ეს შეხედულება მცდარია, რადგან: 1) „ცუგას“ პრედიკატი „ძაღლი“ არ შეიძლება იყოს არაზოგადი: ა) „ძაღლი“ სწორედ „ცუგას“ გამოთქვამს, პრედიკატი სუბიექტის გამოთქმაა, „ძაღლი“ არის „ძაღლი“ და ამავე დროს „ცუგას“ გამოთქმაც, ე. ი. განსხვავებულთა ერთიანობაა; ბ) „ძაღლი“ სხვა ერთეულების პრედიკატია და არა მხოლოდ „ცუგასი“; გ) პრედიკატი „ძაღლი“-თ „ცუგა“ სხვა ერთეულებსაც (მის მსგავს ერთეულებსაც) უკავშირდება. 2) ზოგადია არა მხოლოდ პრედიკატი „ძაღლი“, არამედ სუბიექტიც -- „ცუგაც“. რამდენადაც მას სხვა მრავალი პრედიკატიც აქვს, ის არის ერთიანობა — ერთი. რომელიც შეიცავს მრავალს, რომელთაგან ერთ-ერთი არის „ძაღლი“; სუბიექტისადმი რომელიმე პრედიკატის მიწერის შესაძლებლობა, როგორც ასეთი, სხვა პრედიკატის (თუ პრედიკატების) მიწერის თუ ქონების შესაძლებლობაცაა (თუმცა ერთის მიწერა სხვას გამორიცხავს); სხვადასხვა პრედიკატი შეიძლება ერთი და იგივეს გამომთქმელი იყოს; სწორედ ასეთი ერთი ზოგადი ქნება. მაგრამ მხოლოდ შინაარსეული ზოგადი. ერთეული ერთეულია, მაგრამ ში-

ნაარსეული ზოგადიც არის. 3) მსჯელობის სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი, მსჯელობის ერთიანობა თვითონ არის გარკვეული— შინაარსეული ზოგადი, რომლის ცალმხრიობებსაც სუბიექტი და პრედიკატი წარმოადგენენ. 4) მსჯელობის მხარეებად მხოლოდ ერთეულების აღებაც ვერ გამორიცხავს ზოგადობას, რადგან ერთეულები სწორედ ერთეულის კატეგორიას ეყრდნობიან და წარმოადგენენ. ყოველი კატეგორია არის ზოგადი, ასეთია ერთეულის კატეგორიაც, რომელსაც ყოველი ერთეული აქვს. 5) ერთეულების ერთიანობა თვითონ არ შეიძლება არ წარმოადგენდეს ზოგადობას, სახელდობრ, შინაარსეულ ზოგადობას. მსჯელობა, რომლის მხარეებადაც ერთეულები გამოდის. ზოგადობას წარმოადგენს; თვითონ კოპულაა ზოგადობა, მაგრამ მთავარი ის არის. რომ 6) ზოგადის უარყოფა შეუძლებელია, რადგან: ა) ზოგადის უარყოფის შედეგად მიღებული კერძო ასეთ შემთხვევაში აბსოლუტური ხასიათისა ე. ი. ზოგადი იქნება. ბ) ასეთი უარყოფა (ზოგადის უარყოფა) თვითონ იქნება ზოგადი. არ შეიძლება უარყო ზოგადი და ეს უარყოფა არ აიღო ზოგადი მნიშვნელობით. ამიტომ ზოგადის უარყოფა შეუძლებელია, კიდევ მეტი, ზოგადის უარყოფა მასვე ადგენს აუცილებლობით. ზოგადის უარყოფა თვითონ არის მსჯელობა, რომელსაც ზოგადის აზრი აქვს. ამიტომ არ შეიძლება მსჯელობაში (და საერთოდ ლოგიკაში) უარყოფილ იქნეს ზოგადობა (ამიტომ მისთვის აუცილებელია კერძოც. ზოგადი აუცილებელია არა მარტო შემეცნების თეორიაში, არამედ ლოგიკაშიც).

§ 96. მსჯელობა რაგორც ლოგიკური ერთმხრიობა

მართალია, მსჯელობა, თავისი ბუნებით, არის „ერთეული არის ზოგადი", მაგრამ, როგორც ითქვა, ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ. 1) „ერთეული არის ზოგადი" და 2) „ერთეული არ არის ზოგადი", მაგრამ ეს უკვე არის არა ერთი, არამედ ორი მსჯელობა. ამიტომ იმის თქმა, რომ „ერთეული არის ზოგადი", არ არის მსჯელობის ბუნების ზუსტი წარმოდგენა. კერძოსა და ზოგადის ერთიანობა „მეტია", ვიდრე მსჯელობა.

მსჯელობის წარმოდგენა კერძო-ზოგადის კავშირის სახით დაზუსტებას მოითხოვს, რადგან: 1) მსჯელობაში „ცუგა არის ძაღლი" არ არის გამოთქმულ-გაფორმებული „არ არის", მაშინ როცა ეს მსჯელობა („ცუგა არის ძაღლი") მას უნდა შეიცავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში. უნდა გვეთქვა „ცუგა არის ცუგა" და არა „ცუგა არის ძაღლი". 2) მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი", როგორც ითქვა, უმრავ-

ლეს შემთხვევაში დავას არ იწვევს, ის მისაღებად მიაჩნიათ, მაშინ როცა „ერთეული არის ზოგადი" შეცდომად, შეუძლებლად არის მიჩნეული, თუმცა პირველ მსჯელობას მეორეში აქვს აზრი და გამართლება. არ შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია „ცუგა არის ძაღლი" და შეუძლებელია „ერთეული არის ზოგადი", რადგან აქ, ლოგიკურად, ერთ იდა იგივე. სახელდობრ, მსჯელობითი კავშირი გვაქვს, კიდევ მეტი, მეორე არის მსჯელობის ზოგადი ფორმა, პირველი კი მისი გამოვლენა. 3). „ერთეული არის ზოგადი" არის დაპირისპირებულ კატეგორიათა ერთიანობა, რომელიც, როგორც ამას ქვემოთ უფრო გარკვეულად წარმოვადგენთ, არ არის მსჯელობა, არამედ მსჯელობაზე უფრო სრული და მსჯელობის დამქვემდებარებელი ლოგიკური ფორმაა; უფრო ზუსტად: „ერთეული არის ზოგადი", როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, შეიცავს ორ მსჯელობას ანუ არის ერთიანობა ორი მსჯელობისა: ა) „ერთეული არის ზოგადი" და ბ) „ერთეული არ არის ზოგადი". ამიტომ უნდა ითქვას, რომ მსჯელობა არის ერთმხრიობა (ცალმხრიობა) იმ სრული ლოგიკური კავშირისა, რომელსაც ერთეულისა და ზოგადის ერთიანობა წარმოადგენს. მსჯელობა უნდა გამოთქვამდეს ერთეულისა და ზოგადის ერთიანობას, მაგრამ ის მას მხოლოდ ერთი მხრივ. ერთმხრივად გამოთქვამს, რადგან მსჯელობა არის მისი — დაპირისპირებულთა ერთიანობის ერთი მხარე. მსჯელობის აზრი მდგომარეობს ერთეულისა და ზოგადის ერთიანობაში. რომელშიც ის მართლდება, როგორც ერთმხრიობა ერთიანობაში — მთელში. მაგრამ მსჯელობაში, როგორც გასამართლებელში, არ შეიძლება სისრულით წარმოდგეს ის, რაც მას ამართლებს. ერთ მხარეში მთელი მხოლოდ ნაწილობრივ არის. მსჯელობა არა სისრულით, არამედ ნაწილობრივ არის დაპირისპირებულთა ერთიანობა.

ლოგიკურში დაპირისპირებულთა ანუ წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, არის უსასრულო ლოგიკური; ამიტომ მისი ერთმხრიობა, რომელიც მსჯელობას წარმოადგენს, არის სასრული ლოგიკური. მსჯელობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის ერთი მხარე, რომელიც მეორეს დიალექტიკურად უარყოფს, არის, ცხადია, ლოგიკური სასრული. „ერთეული არის ზოგადი", მართალია, აუცილებლობით გულისხმობს მეორეს — მის საპირისპიროს — „ერთეული არ არის ზოგადი", მაგრამ ეს სწორედ მეორე მსჯელობაა, რომელიც ამავე დროს არ არის პირველი; პირიქით, მას უარყოფს, თუმცა ორივე ერთიმეორეს აუცილებლობით გულისხმობენ, მათ ერთიმეორით აქვთ აზრი. შეუძლებელია „ცუგა

არის ძაღლი", თუ ცუგა და ძაღლი, როგორც ერთეული და ზოგადი, არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, კიდევ მეტი, თუ არ უპირისპირდებიან ერთიმეორეს.

მაშასადამე, მსჯელობა არის ლოგიკური სასრული, სრული ლოგიკურის ერთმხრიობა; მსჯელობა ერთმხრიობაა და სწორედ ამიტომ საჭიროებს ის გამართლებას, დასაბუთებას.

§ 97. მსჯელობის დიალექტიკურობა

ზემოთ აღინიშნა, რომ 1) კოპულა შეიცავს დადებითობასა და უარყოფითობას, ამ მხრივ ის არის ორმაგი, დიალექტიკური, 2) მსჯელობაში მოიხმარება დაპირისპირებული კატეგორიები და იგი კერძოსა და ზოგადის, როგორც საპირისპირო კატეგორიების, ერთიანობაში მდგომარეობს; ამიტომ ვამბობდით, რომ მსჯელობა არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, დიალექტიკურია თავისი ბუნებით. მაგრამ, მეორე მხრივ, იცი გაირკვა, რომ მსჯელობა დაპირისპირებულთა ერთიანობა კი არაა, არამედ მისი მხოლოდ ერთი მხარე, მსჯელობა ერთმხრიობაა. ამ აზრით, მსჯელობა უნდა იყოს არადიალექტიკური. ეს ორი აზრი, ერთი შეხედვით, შეუთავსებელია ერთიმეორესთან, კიდევ მეტი, ის თითქოს დაუძლეველი წინააღმდეგობაა. აქ უსათუოდ არის სიძნელე, მაგრამ ისეთი, რომლის გადაწყვეტა მსჯელობის აზრს სიზუსტით წარმოგვიდგენს.

ეს სიძნელე, ჩვენი აზრით, შეიძლება შემდეგნაირად გადაწყდეს: თუ ერთმხრიობა არაერთმხრიობად — სისრულედ იქნა წარმოდგენილი, მაშინ გვაქვს არადიალექტიკურობა, როგორც ამას ადგილი აქვს ფორმალურ ლოგიკაში, რომელიც, ცხადია, არ არის დიალექტიკური ლოგიკა. მაგრამ თუ ერთმხრიობა გაგებული იქნა როგორც სწორედ ერთმხრიობა, სახელდობრ, როგორც ერთიანობის ერთმხრიობა, რომელსაც აზრი აქვს ერთიანობით, მაშინ ის ერთიანობას დაექვემდებარება, გაგებულ იქნება როგორც ერთიანობას დამორჩილებული. დიალექტიკურის ერთი მხარეც დიალექტიკურია, რამდენადაც ის დიალექტიკურის ქვემდებარეა; დიალექტიკურის ერთმხრიობა დიალექტიკის კანონებს დაექვემდებარება; წინააღმდეგობის ერთიანობის ერთი მხარე, გაგებული როგორც სწორედ წინააღმდეგობის ერთი მხარე, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს დაემორჩილება. ასე ითქმის მსჯელობის, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობის ერთმხრიობის, შესახებაც. მსჯელობა, როგორც დიალექტიკის ერთი მხარე, დიალექტიკის კანონს ექვემდებარება, ამ მიზნით, ის დიალექტიკური ბუნებისაა. მსჯელობა, როგორც ითქვა, არის

სასრული ლოგიკური, სასრულს აზრი აქვს უსასრულობით როგორც სასრულისა და თვითონ უსასრულოს ერთიანობით, იმ უსასრულობით, რომლის ერთმხრიობაც სასრულია. სასრული ლოგიკური უსასრულო ლოგიკურით განისაზღვრება.

მსჯელობა არ არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, აღებული სისრულით. ის არის დაპირისპირებულთა ერთმხრიობა. დაპირისპირებულთა ერთიანობა ნაწილობრივ, ერთმხრივად. მსჯელობა არ არის დაპირისპირებულთა ერთიანობა სისრულით, მაგრამ ის უნდა იყოს ასეთი; იგი როგორც კი გახდება ასეთი, მაშინ აღარ იქნება მხოლოდ მსჯელობა, არამედ საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობა, რომელიც დასკვნას, როგორც სრულ შუალობით ლოგიკურ კავშირს, წარმოადგენს. ეს არის მსჯელობის დასკვნაში გადასვლა, როგორც ამას უფრო დაწვრილებით ჩვენ ქვემოთ გავარკვევთ. მსჯელობა, როგორც ერთმხრიობა, მოითხოვს მთელს როგორც თავის საფუძველს და ამ საფუძველში გამართლებას. მსჯელობის, როგორც ერთმხრიობის, საფუძველი არის ერთიანობა, სახელდობრ, დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც მის ერთმხრიობას აძლევს აზრსა და გამართლებას.

მსჯელობა, როგორც ითქვა, თავისი არსებით კერძოს და ზოგადის ერთიანობის ბუნებისაა; მსჯელობა უნდა იყოს ერთეულისა და ზოგადის ერთიანობა, მაგრამ ის ნამდვილად ამ ერთიანობის მხოლოდ ერთი მხარეა. ერთეულისა და ზოგადის ერთიანობას ორი — ერთიმეორისადმი საპირისპირო — მხარე აქვს: 1) ერთეული არის ზოგადი და 2) ერთეული არ არის ზოგადი; ესენი მსჯელობებია, ეს არის ორი მსჯელობა, რომლებსაც აზრი აქვთ ერთიმეორით და მათი ერთიანობით; ისინი, როგორც ითქვა, ერთიმეორეს აუცილებლობით გულისხმობენ და ექვემდებარებიან სწორედ მათ, როგორც დაპირისპირებულების, ერთიანობას.

„დაპირისპირებულთა ერთიანობა“ არის ცნება, რომელიც სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობას გამოთქვამს. ის შეიძლება გამოითქვას მსჯელობით „ერთეული არის ზოგადი“, რომელიც თვითონ წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობას, რადგან ერთეული და ზოგადი ერთიმეორისადმი დაპირისპირებულები არიან. ამ აზრით მსჯელობა არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, სახელდობრ, „ერთეული არის ზოგადი“, მაგრამ ისე, რომ ამ მსჯელობას აუცილებლობით ნაგულისხმევი აქვს მეორე მსჯელობა, რომელიც გამოთქვამს იმ უარყოფითს, რაც იგულისხმება მსჯელობაში, „ერთეული არის ზოგადი“, სახელდობრ იმას, რომ ერთეული არ არის ზოგადი.

ამიტომ ლოგიკური კავშირის სისრულე დაპირისპირებულ მსჯელობათა („ერთეული არის ზოგადი“ და „ერთეული არ არის ზოგადი“) ერთიანობაში მდგომარეობს. მსჯელობა „ერთეული არის ზოგადი“, ცხადია, დაპირისპირებულთა ერთიანობაა, რადგან ეს მსჯელობა ენთიმემურია — გულისხმობს მის საპირისპიროს. მაგრამ ლოგიკური კავშირის სისრულით გამოხატვა შეიძლება მხოლოდ ორივე საპირისპიროს და მათი ერთიანობის ლოგიკური გაფორმებით. ერთი სიტყვით, დაპირისპირებულთა ერთიანობა შეიძლება გამოიხატოს დასკვნით, მსჯელობითაც და ცნებითაც, მაგრამ სრულად გაფორმებული ლოგიკური კავშირი მხოლოდ დასკვნით გამოიხატება და დასკვნაში, სახელდობრ, სრულ დასკვნაში მდგომარეობს (ეს დასკვნა არის უსასრულო დასკვნა — დაპირისპირებულთა ერთიანობა ლოგიკურში, ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ).

ის გარემოება, რომ: 1) მსჯელობა „ერთეული არის ზოგადი“ დაპირისპირებულთა ერთიანობაა და 2) „ერთეული არის ზოგადი“ იყოფა ორ მსჯელობად: ა) „ერთეული არის ზოგადი“ და ბ) „ერთეული არ არის ზოგადი“, — ეს ორი რამ არც ერთი მეორეს გამორიცხავს და არც უსასრულობაში რეგრესს იწვევს, რადგან: 1) თუ „ერთეული არის ზოგადი“ ენთიმემურია, მაშინ იგი პირდაპირ გამოთქვამს კავშირის ერთ მხარეს, მეორეს კი გულისხმობს, სახელდობრ, გულისხმობს იმას, რომ „ერთეული არ არის ზოგადი“ (ესენი ერთიმეორის საპირისპირო ცნებებია), რომელიც ამგვარად აფორმებს პირველი დადებითი მსჯელობის მიერ ნაგულისხმებ უარყოფას, 2) ეს დაპირისპირება მიდის ერთიანობამდე, რომელიც მთელია და არა ერთმხრივობა.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ ენთიმემური მსჯელობის „ერთეული არის ზოგადი“ ორად გაყოფა, სახელდობრ, გაყოფა შემდეგ არაენთიმემურ მსჯელობებად: ა) „ერთეული არის ზოგადი“ და ბ) „ერთეული არ არის ზოგადი“, აბსურდებს გაყოფას. აქ მიღებული მსჯელობები აღარ იყოფიან კიდევ ორ-ორად და ა. შ. რადგან ისინი ერთიმეორეს აუცილებლობით გულისხმობენ და არა თვითეული გულისხმობს კიდევ სხვას და ა. შ. დაპირისპირება-წინააღმდეგობას, როგორც ვიცით, აქვს ორი სრული მხარე, ორი სრული საბოლოო მხარე და არა მეტი. თვითეული სრული საბოლოო მხარე მეორე ასეთს, ცხადია, აღარ შეიცავს. წინააღმდეგობის მხარეები ერთიმეორეს გულისხმობენ. წინააღმდეგობის ერთი მხარე თვითონ არ არის წინააღმდეგობის ერთიანობა, ის, რის მხარესაც ის წარმოადგენს.

მტკიცება არის მსჯელობა, უარყოფაც მსჯელობაა. მტკიცება,

როგორც მსჯელობა, გულისხმობს უარყოფას, როგორც მსჯელობას, მაგრამ ისე რო მ თუ მტკიცება (დადებითი მსჯელობა) თავის თავში გულისხმობს გაუფორმებელ უარყოფას, მაშინ ამის გაფორმება მოგვცემს უარყოფით მსჯელობას, რომელიც პირველი მსჯელობის გარეთ არის, თუმცა ისინი ერთიმეორეს გულისხმობენ თავის თავის გამართლებისათვის. დადებითი მსჯელობა თავის თავში გულისხმობს მეორე მსჯელობად გასაფორმებელ შინაგან უარყოფას. ასეთი გაფორმების შემდეგ თვითეულ მათგანში აღარ რჩება კიდევ გასაფორმებელი. ამის შემდეგ ახალი არის მხოლოდ ის, რომ აუცილებელია მათი ერთიანობა, ე. ი. გასაფორმებელი რჩება არა ახალი (და ახალ-ახალი) მსჯელობა, არამედ დაკვნა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, ისეთი შუალობითი კავშირი, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს.

დადებითი მსჯელობა შეიცავს განსხვავებას, უარყოფას, რომელიც უარყოფითი მსჯელობით ფორმდება. უარყოფითი მსჯელობა შეიცავს დადებით მომენტს, გარკვეულ ერთიანობას, რომლის გარეშე ის არ იქნებოდა ერთი აზრი — ერთი მსჯელობა. ორივე ეს მსჯელობა არის ერთიმეორისადმი საპირისპირო, მაგრამ ერთიმეორისადმი აზრის მიმცემი; ამიტომ ისინი ერთიმეორეს ავსებს მათ ერთიანობამდე და შეადგენენ სრულ ლოგიკურ შუალობით კავშირს, რომელიც უკვე არ არის მსჯელობა, არამედ არის ის, რაშიც მართლდება მსჯელობა.

§ 98. მსჯელობის განსაზღვრება

არისტოტელედან დაწყებული დღემდე მსჯელობას ხშირად განსაზღვრავენ შემდეგნაირად: მსჯელობა არის აზრი, რომელიც ჭეშმარიტია ან მცდარი. მსჯელობის ასეთი განსაზღვრება არ უნდა იყოს სწორი იმ აზრით, რომ ჭეშმარიტება-მცდარობა არ გამოთქვამს მსჯელობის სპეციფიკას, განსაზღვრება კი სწორედ სპეციფიკის დადგენაში უნდა მდგომარეობდეს. მხოლოდ მსჯელობა არ არის ჭეშმარიტი ან მცდარი. ასეთი შეიძლება იყოს დასკვნა, დასაბუთება, ცნება და მთელი მეცნიერებაც. თუ მეცნიერება არ არის ჭეშმარიტი, ის, ცხადია, მეცნიერებას არ წარმოადგენს, დასაბუთების სისტემა სწორედ ჭეშმარიტ სისტემას უნდა წარმოადგენდეს.

არისტოტელედან დაწყებული დღემდე მსჯელობას ხოლმე ასე განსაზღვრავენ: მჯელობა არის მტკიცებითი ან უარყოფითი აზრი, ანუ, როგორც ამას არისტოტელე ამბობდა, მსჯელობა არის მტკიცება ან უარყოფა. მტკიცებისა და უარყოფის ნიშნები მართლაც სპე-

ციფიკურია მსჯელობისათვის, ამიტომ ამ გზით მსჯელობის განსაზღვრება უნდა იყოს მისი სწორი განსაზღვრება.

მსჯელობის განსაზღვრება, რომ მსჯელობა არის მტკიცება ან უარყოფა არ არის ზუსტი და ამდენად არასწორია. რადგან ეს განსაზღვრება ნომინალურია და არა რეალური; ამ განსაზღვრებით ჩამოთვლილია მსჯელობის სახეები. მსჯელობის სახეების — მტკიცების და უარყოფის დასახელებითაა შესრულებული ეს განსაზღვრება. სწორია არისტოტელეს აზრი, რომ დადებითი და უარყოფითი მსჯელობები მსჯელობების სახეებს წარმოადგენენ, მაგრამ მათი დასახელებით მსჯელობის განსაზღვრება არ შეიძლება. მსჯელობის ცნების სახეების დასახელება არ იძლევა მსჯელობის სპეციფიკას, მის განსაზღვრებას; სახეები შეიძლება გაგებულ იქნეს მსჯელობის სპეციფიკის საფუძველზე და არა პირიქით.

მეორე მხრივ, თუ მსჯელობა არის გვარი, დადებითი და უარყოფითი მსჯელობები კი მის სახეებს წარმოადგენენ, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ (ასეთ შემთხვევაში) დადებითობა და უარყოფითობა ამ სახეების ნიშნები იქნება და არა გვარისა, რასაც მსჯელობა უნდა წარმოადგენდეს. როგორც ცნობილია, გვარისათვის ზედმეტია მისი სახეების სპეციფიკური ნიშნები. თუ მსჯელობა გვარია და დადებითი და უარყოფითი მსჯელობები მის სახეებს შეადგენენ, მაშინ დადებითობა და უარყოფითობა, როგორც სახეთა სპეციფიკური ნიშნები, ზედმეტი იქნება მსჯელობისათვის, როგორც გვარისათვის. ამიტომ მსჯელობის განსაზღვრება, როგორც მტკიცება ან უარყოფა, არ იქნება სწორი. თუ მტკიცება და უარყოფა საერთოდ მსჯელობის ნიშნებს არ წარმოადგენენ, მაშინ რა ნიშანი რჩება მსჯელობას. რაა მისთვის სპეციფიკური, როგორ უნდა განისაზღვროს მსჯელობა?

ჩვენი აზრით, არისტოტელემ სწორად დაასახელა მსჯელობის ნიშნებად მტკიცება და უარყოფა, მაგრამ შეცდომით გაანაწილა ეს ნიშნები მსჯელობის სახეებში. მსჯელობა არ უნდა იყოს მხოლოდ გვარი დადებითი და უარყოფითი მსჯელობებისათვის. დადებითობა და უარყოფითობა მსჯელობის სახეები კი არ არის, არამედ მისი სპეციფიკური ნიშნებია, უკეთ, მომენტებია. მტკიცება-უარყოფის გარეშე მსჯელობა საერთოდ არ არსებობს, მათ გარეშე მსჯელობას არავითარი სპეციფიკური ნიშანი არ აქვს. მტკიცება-უარყოფის გადატანა მსჯელობის სახეებში მსჯელობისათვის, როგორც გვარისათვის, არავითარ ნიშანს არ ტოვებს.

უნდა ითქვას, რომ მტკიცება და უარყოფა თვითონ მსჯელობის, როგორც ასეთის, მომენტებს წარმოადგენენ. ამ მომენტებს ემყარება მსჯელობის სახეები — დადებითი და უარყოფითი მსჯელობები.

დადებითი მსჯელობისათვის სპეციფიკურია დადებითობა. უარყოფითი მსჯელობისათვის კი — უარყოფითობა, მაგრამ ეს ორი ნიშანი მსჯელობისათვის, როგორც მსჯელობისათვის მომენტებია.

მსჯელობა არ უნდა განისაზღვროს ასე: მსჯელობა არის მტკიცება ან უარყოფა, ან: მსჯელობა არის მტკიცება და უარყოფა, აღებული როგორც ერთიმეორისაგან გამოცალკევებული ნიშნები. მსჯელობა უნდა განისაზღვროს ასე: მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფა, მტკიცება-უარყოფისათვის იგივეობრივი; უკეთ: მსჯელობა არის ერთიანი მტკიცება-უარყოფითი აზრი. (Behauptung, რომელსაც ორი მომენტი აქვს: Bejahung და Verneinung, რომლებიც მსჯელობის სახეებს ჰქმნიან); მსჯელობა არის აზრობრივი გამოთქმა — მტკიცება-უარყოფითი გამოთქმა. შეიძლება უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მსჯელობა, თუ ვიტყვით, რომ მსჯელობა არის აზრობრივი გამოთქმა, რომელიც მტკიცება-უარყოფაში მდგომარეობს.

მსჯელობის განსაზღვრებაში, რომ მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფითი აზრი, კარგად ჩანს მსჯელობის დიალექტიკური ბუნება, ის, რომ მსჯელობა უნდა იყოს დაპირისპირებულთა ერთიანობა. ზემოთ გარჩეული კოპულის ორმაგობა-დიალექტიკურობა მსჯელობის ამ განსაზღვრებაში უშუალოდ ჩანს.

ის გარემოება, რომ მსჯელობა არის აზრი, რომელიც ან ჭეშმარიტია ან მცდარი, მეორადი ხასიათისაა, ემყარება მსჯელობას, როგორც მტკიცება-უარყოფას.

მსჯელობის ამ განსაზღვრების აზრი და მსჯელობის, როგორც ერთმხრიობის, აზრი კიდევ უფრო ნათლად იქნება წარმოდგენილი მაშინ, როცა განვიხილავთ მსჯელობის დასკვნაში გადასვლას. ის გარემოება, რომ მსჯელობა არის ერთმხრიობა და ის, რომ ის არის მტკიცება-უარყოფა, ერთიმეორესთან თითქოს შეუთავსებელია. მართლაც, თუ მსჯელობა მტკიცება-უარყოფაა, მაშინ ის არ იქნება მხოლოდ მტკიცება, ან მხოლოდ უარყოფა — ერთმხრიობა, და პირიქით — თუ მსჯელობა არის ერთმხრიობა, მაშინ ის იქნება მტკიცება ან უარყოფა და არა მტკიცება-უარყოფა, — მტკიცება-უარყოფის ერთიანი აზრი. აქ უნდა ითქვას, რომ მსჯელობა არის ერთმხრიობა, რომელიც მტკიცება-უარყოფის ბუნებისაა, მაგრამ ისე, რომ მტკიცება გულისხმობს უარყოფას, უარყოფა კი მტკიცებას, ისე როგორც ეს ზემოთ იქნა დახასიათებული.

§ 99. მსჯელობის ძირითად სახეთა შესახებ

როგორც ზემოთ გაირკვა, მსჯელობა არის რეალური განსაზღვრულობის გამომთქმელი ლოგიკური განსაზღვრულობა. მსჯელობა,

როგორც განსაზღვრულობა, შეიცავს ორ მომენტს — დადებითს და უარყოფითს. მეორე მხრივ, მსჯელობის განსაზღვრებიდან ნათლად ჩანს, რომ მასში ორი მომენტია — მტკიცება და უარყოფა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსჯელობა არის ორი მსჯელობის ერთიანობა; რომ ის (მსჯელობა) ორი მსჯელობის ერთიანობა იყოს, მაშინ: 1) მივიღებდით რეგრესს უსასრულოში, რადგან მსჯელობის შემადგენელი მსჯელობაც ორი მსჯელობა იქნებოდა და ასე შემდეგ, რაც შეუძლებელია (როგორც ეს ზემოთ გაირკვა); 2) ასეთ შემთხვევაში მსჯელობა იქნებოდა მსჯელობის შემცველი, რაც ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს; 3) თუ მსჯელობა ორი მსჯელობის ერთიანობაა, მაშინ ის მსჯელობა კი არაა, არამედ დასკვნა. მსჯელობის განსაზღვრულობის ორი მომენტის გამოთქმა-გაფორმება ორ მსჯელობად მოგვცემს დასკვნის მომენტებს (ამაზე შემდეგ).

აქ ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ მსჯელობის ორი მომენტის საფუძველზე იქმნება მსჯელობის ორი სახე. მსჯელობა, როგორც ასეთი, ორდება, ე. ი. ადგილი აქვს ერთიანის გაორებას (აქაც დიალექტიკაა). ამ გაორების შედეგად ვღებულობთ მსჯელობის ორ სახეს: დადებით და უარყოფით მსჯელობებს, რომლებიც, როგორც ჩანს, აუცილებლობით გამომდინარეობენ მსჯელობის განსაზღვრებიდან.

§ 100. დადებითი მსჯელობა

დადებითი მსჯელობა არის ისეთი მსჯელობა, რომელშიც რაიმეს მისგან განსხვავებული მიეწერება. ეს „რაიმე", ცხადია, არის აზრი, რადგან ის მსჯელობის ელემენტია. მას მსჯელობის სუბიექტი ეწოდება. ის, რაც მას მიეწერება, არის პრედიკატი. ამ მსჯელობის ფორმულა, როგორც ცნობილია, არის S + P, სადაც S და P, ცხადია, ერთი მეორისაგან განსხვავებულია, მაგრამ მეორე მიეწერება პირველს

თუ დადებით მსჯელობას გავიგებთ როგორც ტავტოლოგიურს, მაშინ ის უნდა აღინიშნოს ასე: S + S, მაგრამ აქ ორი S კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ერთი. ასეთ შემთხვევაშიც დადებითობა, როგორც ტავტოლოგიურობა, უკავშირდება უარყოფითობას, როგორც არაფერს, არარას. ტავტოლოგიურობა თვითონ არის არარა, ის არის არაფრის თქმა (პირველ რიგში, დასაბუთების თვალსაზრისით, რადგან ტავტოლოგიური დასაბუთება არაფრის დასაბუთებაა), ე. ი. წმინდა დადებითობა არის იგივე უარყოფითობა (როგორც ეს ზემოთ აღინიშნა და შემდეგაც იქნება განმეორებული).

დადებითი მსჯელობის განსაზღვრებიდან უშუალოდ ჩანს მისი (დადებითი მსჯელობის) სინთეზურობა. დადებითი მსჯელობის და

დადებითი სინთეზური მსჯელობის განსაზღვრებები ერთი და იგივეა, რადგან მსჯელობა არ შეიძლება არ იყოს სინთეზური; წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, თვითონ მსჯელობას ეკარგება საკუთარი აზრი.

მსჯელობა დადებითია, როგორც განსხვავებულთა ერთიანობა, მაგრამ ეს ერთიანობა შეიძლება იყოს: 1) ერთიანობა მხოლოდ განსხვავებულთა; ეს იქნება ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობა, მაგალითად, „ცუგა არის ძაღლი"; 2) ერთიანობა დაპირისპირებულთა: ეს არის „შინაარსეული" მსჯელობა — მსჯელობა შედგენილი კატეგორიებით, კატეგორიათა კავშირი, როგორც მსჯელობა — „ერთეული (კერძო) არის ზოგადი". ეს ორი მსჯელობა არ არის ერთი და იგივე, თუმცა პირველის არსება თუ ძირი მეორეში მდგომარეობს (ამ განსხვავებას საბოლოოდ გავარკვევთ დასკვნების გარჩევისას).

როგორც ითქვა, დადებითი სინთეზური მსჯელობა, მართალია, არის დადებითი, მაგრამ ის უარყოფის მომენტსაც შეიცავს, რადგან სინთეზური აუცილებლობით შეიცავს განსხვავებას, სადაც ერთი არის ის, რაც არ არის მეორე. ამ უარყოფითი მომენტის გაფორმება, რაც ლოგიკური კავშირის სრული და გარკვეული (გაურკვეველი არ არის ლოგიკური და პირიქით) წარმოდგენისათვის აუცილებელია, გვაძლევს უარყოფით მსჯელობას. ეს იმას ნიშნავს, რომ დადებითი მსჯელობიდან აუცილებლობით გამომდინარეობს უარყოფითი მსჯელობა, დადებითი მსჯელობა გადადის უარყოფით მსჯელობაში.

§ 101. უარყოფითი მსჯელობა

უარყოფითი მსჯელობა ისეთი მსჯელობაა, სადაც რაიმეს მისი გამომრიცხავი მიეწერება; სუბიექტზე გამოითქმის ის, რაც ის არ არის. ეს არის (როგორც ითქვა) ერთიანი აზრი, მიუხედავად იმისა, რომ პრედიკატი არ ეკუთვნის სუბიექტს. სწორედ ამ გარემოების გამოთქმას წარმოადგენს უარყოფითი მსჯელობა, როგორც ერთი გარკვეული აზრი.

უარყოფითი მსჯელობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ აქ ირღვეოდეს აზრის ერთიანობა, გარკვეული დადებითობა, რომლის გარეშე მსჯელობა საერთოდ შეუძლებელია. უარყოფით მსჯელობაში არის დადებითი და უარყოფითი მომენტები: 1) სუბიექტს მიეწერება 2) უარყოფითი. უარყოფითი მსჯელობა, ცხადია, არის უარყოფითი, მაგრამ ის არის: 1) მიწერა-გამოთქმა-გარკვეული აზრობრივი დადებითი კავშირი, 2) ის არის დადებითი სახე თუ

ფორმა მსჯელობისა. არ არსებობს უარყოფითი სახე არაფრის, კერძოდ, მსჯელობისა. ის გარემოება, რომ სუბიექტს მიეწერება ის, რაც ის არ არის, ნათლად აჩვენებს ლოგიკური განსაზღვრულობის, როგორც ასეთის, სინთეზურობას და დიალექტიკურობას (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

უარყოფითი მსჯელობა შეიძლება იყოს: 1) ისეთი, სადაც რაიმეს უარყოფითად მიეწერება მისგან განსხვავებული და მისთვის უარყოფითი ნიშანი, მაგალითად, „ცუგა არ არის ორფეხი", 2) ისეთი, სადაც რაიმეს უარყოფითად მიეწერება მისი საპირისპირო, მაგალითად, „ერთეული (კერძო) არ არის ზოგადი". ორივე შემთხვევაში სუბიექტს მიეწერება სხვა, რომელიც არ არის სუბიექტი. აქ არის მიწერა, გარკვეული კავშირი, რომელსაც უარყოფითი ხასიათი აქვს; რაიმეს, როგორც სუბიექტს, უარყოფითად მიეწერება მისი გამომრიცხველი, მაგრამ ისე, რომ ეს უარყოფითი კავშირი დადებითსაც შეიცავს (და პირიქით), წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება, როგორც ეს ზემოთ ითქვა, უარყოფითი მსჯელობა, როგორც ერთიანი — ერთი აზრი. ის გარემოება, რომ A არ არის B, ნიშნავს იმას, რომ A-ს ახასიათებს B-ს მასში არარსებობა.

ის გარემოება, რომ ერთიმეორისაგან განსხვავდება: 1) რაიმესადმი განსხვავებული ნიშნის მიწერა და 2) საპირისპირო ნიშნის მიწერა, იმას ნიშნავს, რომ ორივე შემთხვევაში მოქმედებს უარყოფითი მსჯელობის აზრი, მაგრამ მეორე შემთხვევაში სრულად არის წარმოდგენილი ის, რაც პირველ შემთხვევაში სრული არ არის. უარყოფითი მსჯელობის აზრი უფრო სრულად არის წარმოდგენილი კატეგორიების კავშირში — „ერთეული არ არის ზოგადი", რადგან ის ერთეული თუ კერძო (ამ ორი რაიმეს განსხვავება არ არის მხედველობაში მისაღები. მათი განსხვავების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი), რომელიც არ არის ზოგადი — გამორიცხავს ზოგადს, თუ ის დამოუკიდებლად იქნა წარმოდგენილი, მაშინ თვითონ იქნება ზოგადი. პირიქითაც: „ზოგადი არ არის კერძო", მაგრამ ზოგადი, აღებული კერძოს გარეშე, თვითონ არის კერძო. ეს ნიშნავს იმას, რომ ორივე ამ შემთხვევაში სუბიექტი უშუალოდ არის ის, რაც მას გამორიცხავს, გადადის წინააღმდეგობაში; უკეთ: აუცილებელია კავშირი სუბიექტს და მის გამომრიცხავს შორის.

კატეგორიების კავშირში გარკვეულად არის წარმოდგენილი ისიც, თუ როგორ აუცილებლობით გადადის დადებითი მსჯელობა უარყოფითში: „ერთეული არის ზოგადი" არის მსჯელობის არაადექვატური გამოთქმა; მსჯელობის ადექვატური გამოთქმისა და წარმოდგენისათვის აუცილებელია ისიც, რომ „ერთეული არ არის ზო-

გადი“ (ერთეული ერთეულია და არა ზოგადი). მაგრამ მათი კავშირი უკვე იმაზე „მეტია“, რასაც მსჯელობა წარმოადგენს.

§ 102. „უსასრულო“ მსჯელობა.

„უსასრულო“ მსჯელობა უშუალოდ ეყრდნობა მსჯელობის განსაზღვრებას. მსჯელობის განსაზღვრებიდან უშუალოდ გამომდინარეობს არა მხოლოდ ის, რომ არსებობს დადებითი და უარყოფითი მსჯელობები, არამედ ისიც, რომ უნდა არსებობდეს მსჯელობის მესამე სახეც. როგორც ცნობილია, თვისობრივი მსჯელობის მესამე სახედ კანტმა „უსასრულო მსჯელობა“ ჩათვალა (ჩვენ აქ ვილაპარაკებთ ე. წ. უსასრულო მსჯელობის შესახებ. ისე კი მსჯელობა არ შეიძლება იყოს უსასრულო; მსჯელობა, როგორც ითქვა, არის მხოლოდ სასრული ლოგიკური და არა უსასრულო ლოგიკური).

ფორმალურ ლოგიკაში უსასრულო მსჯელობა ისეთ მსჯელობას ეწოდება, რომელშიც სუბიექტს დადებითად მიეწერება უარყოფითი პრედიკატი; ეს აღინიშნება ასე: S + (—P). ეს მსჯელობა მრავალი ლოგიკოსის მიერ გაიგივებული იყო უარყოფით მსჯელობასთან, იგი ზედმეტად იყო მიჩნეული; მაგრამ კანტმა შემეცნების თეორიაში ლოგიკის შეტანით განავითარა ძველი ლოგიკა აქ აღნიშნულ პუნქტშიც, როცა მან მიუთითა უსასრულო მსჯელობის აუცილებლობაზე, იმ მსჯელობისა, რომელშიც მოქმედებს ლიმიტაციის კატეგორია (ისე როგორც დადებით მსჯელობაში მოქმედებს რეალობის კატეგორია, უარყოფით მსჯელობაში კი უარყოფის კატეგორია). უსასრულო მსჯელობის კანტის მიერ დახასიათება არის ერთგვარი მითითება იმაზე, რომ განსაზღვრულობას უსასრულობა როგორღაცნაირად უკავშირდება, მაგრამ ეს გარემოება მასთან გაურკვეველი დარჩა (რაც შემდგომ ფიხტესა და ჰეგელთან გამოიკვეთა, გაირკვა).

ფორმალურ-ლოგიკური უსასრულო მსჯელობა მართლაც უსასრულოა შემდეგი აზრით: 1) პრედიკატები უსასრულოა, რადგან ისინი, უარყოფითია; სუბიექტს უსასრულო უარყოფითი პრედიკატები მიეწერება; 2) სუბიექტის და პრედიკატის სფერო ამოწურავს ცნებას, სუბიექტი და არა-სუბიექტი არის ყველაფერი.

უსასრულო მსჯელობა არის დადებითი მსჯელობის და უარყოფითი მსჯელობის თავისებური ერთიანობა. მსჯელობის მესამე სახე პირველი ორი სახის გარკვეული ერთიანობაა, მაგრამ ისეთი, რომ ეს მესამე სახე არის სწორედ მსჯელობის სახე, არის მსჯელობა და მეტი არაფერი (ისე როგორც კანტთან რეალობისა და უარყოფის კატეგორიების ერთიანობა ლიმიტაციის კატეგორიას წარმოადგენს).

ფორმალურ ლოგიკაში უსასრულო მსჯელობა დადებითი და

უარყოფითი მსჯელობების გაერთიანება კი არაა (ეს გაერთიანება იქ შეუძლებლად არის მიჩნეული), არამედ ის არის პირველი ორის, ასე ვთქვათ, მოხსნა-შენახვა; თვითეულისგან ზოგი რამ უარყოფილია, ზოგი რამ კი შენახულია და მიღებულია ახალი, რომელიც სწორედ მსჯელობას წარმოადგენს და არა დასკვნას. დადებითი და უარყოფითი მსჯელობებიდან ამ მსჯელობათა მომენტები ისეა ამორჩეული და დაკავშირებული, რომ ვღებულობთ ახალ მსჯელობას, რომელიც არც დადებით მსჯელობაზე დაიყვანება და არც უარყოფითზე. მაგრამ მსჯელობას კი წარმოადგენს. დადებითი მსჯელობიდან მოხსნილია მხოლოდ დადებითობა — აბსტრაქტული დადებითობა, უარყოფითი მსჯელობიდანაც მოხსნილია აბსტრაქტული უარყოფითობა. დადებითი მსჯელობიდან შენახულია დადებითობის მომენტი, მართლაც როგორც მომენტი, და, ასევე, უარყოფითი მსჯელობიდან შენახულია უარყოფა როგორც სწორედ მომენტი. ასევე დადებითი მსჯელობიდან შენახულია უარყოფის მომენტი, უარყოფითიდან კი— დადებითობის მომენტი (პრედიკატის სუბიექტზე მიწერის მომენტი, სახელდობრ, ის, რომ სუბიექტს უარყოფითი მიეწერება). ამიტომ უსასრულო მსჯელობა თავისებური მსჯელობაა (ამით წყდება დაეჭვება იმის შესახებ, უსასრულო მსჯელობა უარყოფითი მსჯელობაა თუ არა). მსჯელობის, როგორც ასეთის, მხარეები დადებითსა და უარყოფით მსჯელობებში წარმოდგენილია აბსტრაქტულად, ცალმხრივად, მისთვის აუცილებელი მეორე მხარის გარეშე; უსასრულო მსჯელობა კი მსჯელობის მხარეებს მომენტების სახით შეიცავს და წარმოადგენს.

უსასრულო მსჯელობა არის დადებითისა და უარყოფითის თავისებური ერთიანობა, რომელიც ფორმალურ ლოგიკაში წარმოდგენილია, ასე ვთქვათ, მექანიკურად — დადებითი და უარყოფითი გაერთიანებულია მექანიკურად S + (—P)-ს სახით, თუმცა აქ მითითებულია უსასრულოსთან კავშირზე; აგრეთვე სუბიექტს მიეწერება ის, რაც ის არ არის; ასეთი კი უსასრულო შეიძლება იყოს. მაგრამ ის, რომ უსასრულო მსჯელობაში სუბიექტს მიეწერება ის, რაც ის არ არის, უარყოფითი მსჯელობის მეტს არაფერს არ წარმოადგენს; ამიტომ ფორმალურ ლოგიკაში, ადგილი აქვს უსასრულო მსჯელობის ბუნების გაურკვევლობას, ამიტომ უჭირთ ამ მსჯელობის უარყოფითი მსჯელობისაგან განსხვავება.

უსასრულო მსჯელობა მსჯელობის ცნებიდან, მსჯელობის განსაზღვრებიდან გამოდის, ისე როგორც დადებითი და უარყოფითი მსჯელობა, ამიტომ არსებობს მსჯელობის სამი სახე, მაგრამ თუ დადებითი მსჯელობა და უარყოფითი მსჯელობა მსჯელობის ბუნების

ორ მხარეს ცალ-ცალკე წარმოადგენს. უსასრულო მსჯელობა აღადგენს მსჯელობის მთლიანობას; უსასრულო მსჯელობამ სრულად უნდა წარმოადგინოს მსჯელობის აზრი, დაასრულოს მსჯელობის ცნება. უსასრულო მსჯელობაში მსჯელობა მიდის მის საზღვრამდე (ეს გარემოება ვერ გაიგო ვერც ფორმალურმა ლოგიკამ და ვერც ჰეგელმა). უსასრულო მსჯელობა ამოწურავს მსჯელობას, როგორც მტკიცება-უარყოფის აზრს.

უსასრულო მსჯელობის უარყოფითი პრედიკატი (—P) ყველაფერია, გარდა სუბიექტისა, ამიტომ S + (—P) უდრის ყველაფერს. ამდენად უსასრულო მსჯელობა უსასრულობას უნდა გამოხატავდეს. უსასრულობის გამოხატვა ყველაფრის ჩამოთვლით შეუძლებელია, რადგან უსასრულობა არ ჩამოითვლება. როგორც ვიცით, უსასრულობის გამოხატვა მსჯელობის ენაზე, ლოგიკურად წინააღმდეგობის ერთიანობის საშუალებით შეიძლება. უსასრულო მსჯელობა სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს იმით, რომ აერთიანებს დადებითობასა და უარყოფითობას, მაგრამ ფორმალურ ლოგიკური უსასრულო მსჯელობა მის ამ მოთხოვნას ვერ ანხორციელებს, რადგან მისი უარყოფითი პრედიკატი გაურკვეველია (ამიტომ სუბიექტიც გაურკვეველი რჩება). იმისათვის, რომ განხორციელდეს უსასრულო მსჯელობის აზრი და მოიხსნას აქ აღნიშნული გაურკვევლობა, საჭიროა გარკვეულად წარმოდგეს „არა P", საჭიროა სუბიექტის საწინააღმდეგოს გარკვევა, მისი უარყოფითი პრედიკატის გაურკვეველობის მოხსნა და გარკვეულად წარმოდგენა; ის, რაც არ არის სუბიექტი, უნდა წარმოდგეს არა მრავალი უარყოფის სახით, უსასრულოდ მრავალი უარყოფითი პრედიკატის სახით, არამედ ერთი პრედიკატის სახით, რომელიც უპირისპირდება სუბიექტს, მაგრამ მასთან ერთად ერთიანობას — ერთ მსჯელობას წარმოადგენს.

აქ აღნიშნული გარკვეულობა არ ხორციელდება ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობის სფეროში. „უსასრულო მსჯელობის" ზემოთ დახასიათებული აზრი სრული სახით წარმოდგება მხოლოდ კატეგორიების სფეროში, კატეგორიების ლოგიკურ კავშირში, სადაც სუბიექტიც ერთია და პრედიკატიც ერთს წარმოადგენს, თუმცა, ამავე დროს, ისინი ერთიმეორის საპირისპირო ცნებებიც არიან, სადაც წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთიმეორეს უდრის, ე. ი. სუბიექტის საწინააღმდეგო პრედიკატი დადებითი ნიშნის მქონეც არის. ასეთია კერძოსა და ზოგადის მსჯელობითი კავშირი: „კერძო არის ზოგადი". სადაც არაკერძო არის ზოგადი და არაზოგადი არის კერძო (ეს აზრი მეორდება საერთოდ საგნის არსების გამომთქმელი ცნებების კავშირშიც; მაგალითად, კ. მარქსისათვის საქონელში არა-

სახმარი ღირებულება — Nichtsgebrauchswert არის ღირებულება და პირიქით)[1]. კატეგორიების ეს კავშირი წინააღმდეგობის ერთიანობაა, ეს კი, როგორც ვიცით, უსასრულობას წარმოადგენს. ლოგიკურში დაპირისპირებულთა ერთიანობა არის ლოგიკური უსასრულობა (დაუბოლოებელი).

მაშასადამე, ერთეულის (კერძოს) და ზოგადის ერთიანობა სრული სახით არის ის, რასაც უნდა წარმოადგენდეს უსასრულობის აზრი. მაგრამ კერძოს და ზოგადის სრული ერთიანობა, როგორც ითქვა, უკვე აღარ არის მსჯელობა, ის მასზე მეტია, ე. ი. აქ ადგილი აქვს მსჯელობის აზრის ამოწურვას და დასკვნაზე გადასვლას, რასაც შემდეგ გავარკვევთ (უსასრულო მსჯელობის სრული აზრი განხორციელდება გარკვეული სახის დასკვნაში, ამით მსჯელობა ჰპოვებს თავის სრულ გამართლებას).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უსასრულო მსჯელობის აზრი კატეგორიების ლოგიკურ კავშირში ხორციელდება. მაგრამ ეს კავშირი, როგორც მსჯელობა, სახელდობრ, როგორც უსასრულო მსჯელობა, ამ უკანასკნელის აზრს ისე ამართლებს, რომ პრობლემა მაინც გადაუწყვეტელი რჩება, სახელდობრ, პრობლემა, თუ როგორ არის შესაძლებელი დადებითისა და უარყოფითის ლოგიკური ერთიანობა. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ უსასრულო მსჯელობის ეს აზრი მსჯელობის სფეროში გადაუწყვეტელი რჩება, ის როგორც ითქვა მხოლოდ დასკვნის სფეროში წყდება.

მსჯელობის ბუნების გარკვევა რომ გაურკვეველს არაფერს ტოვებდეს, მაშინ მსჯელობის გარდა აზროვნების სხვა ფორმა საჭიროც არ იქნებოდა, მსჯელობა თვითონ მოითხოვს გამართლებას, რაც აზრის სხვა ფორმაში განხორციელდება. ამიტომაა მსჯელობისათვის აუცილებელი აზრის სხვა ფორმა. ეს აუცილებლობა კარგად ჩანს უსასრულო მსჯელობაში, რომლის ბუნებაც ზემოთ იყო დახასიათებული.

უსასრულო მსჯელობა ასრულებს მსჯელობის აზრს — მტკიცება-უარყოფის აზრს, მაგრამ ამავე დროს მასში აუცილებლობით ჩანს მსჯელობისათვის დასკვნის აუცილებლობა.

§ 103. მსჯელობის არაძირითადი სახეების შესახებ

მსჯელობის არაძირითადი სახეები ისეთი მსჯელობებია, რომლებიც მიიღებიან (იწარმოებიან) მსჯელობის ძირითადი სახეებიდან უშუალოდ ან მათი გამოყენებით რაიმე გარკვეულ სფეროში. მსჯე-

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 35, 1953, იხ. აგრეთვე. K. Marx, Zur Kritik der politischen Ökonomie, 1907, გვ. 20.

ლობის არაძირითადი სახეები, თავის მხრივ, შეიძლება გაიყოს იმის მიხედვით, ისინი კატეგორიების კავშირებს წარმოადგენენ თუ არა, მტკიცება-უარყოფა, როგორც მსჯელობის აზრი, კატეგორიებში ხორციელდება თუ ჩვეულებრივ, ფორმალურ-ლოგიკური ცნებების სფეროში. — როგორ ხორციელდება ერთში და როგორ—მეორეში.

ამიტომ ჩვენ ვარჩევთ არაძირითადი მსჯელობების ორ სახეს (მსჯელობის ორ ქვესახეს): ა) მსჯელობის სახით წარმოდგენილი კატეგორიების კავშირი, მსჯელობა როგორც კატეგორიათა კავშირი, ანუ კატეგორიათა კავშირი როგორც მსჯელობა, მაგალითად, „ერთეული არის ზოგადი“ და სხვა; ბ) ჩვეულებრივი, ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობები, მაგალითად. „ცუგა არის ძაღლი“ და სხვ.

შეიძლება და უნდა ითქვას, რომ მსჯელობების გაყოფა ძირითად და არაძირითად სახეებად იმის მიხედვით, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვაწარმოეთ, შეიცავს ერთგვარ გაურკვევლობას, რომლის მოხსნა და გარკვეულობის დადგენა აუცილებელია საქმის ვითარების სწორად წარმოდგენისათვის. აქ აღნიშნული გაურკვევლობა თუ სიძნელე მდგომარეობს შემდეგში: 1) კატეგორიებზე და მათ კავშირზე უპირველესი, უზოგადესი თუ უძირითადესი არაფერი არ უნდა იყოს. ამიტომ მსჯელობის ძირითად სახეს სწორედ კატეგორიების მტკიცება-უარყოფითი კავშირი უნდა წარმოადგენდეს და არა სხვა რამ — მსჯელობის სხვა სახე; 2) მსჯელობის ზემოთ განხილული ძირითადი სახეები, როგორც ვნახეთ, შეიცავს კატეგორიების კავშირსაც და ფორმალურ-ლოგიკურ მსჯელობებსაც, ამიტომ მათი ცალკე და ისიც ძირითად სახედ წარმოდგენა არ უნდა იყოს მართებული. ის, რაც არ არსებობს ცალკე სახით, ის არც არის სახე. ეს სიძნელეები შემდეგნაირად წყდება:

1) სწორედ ის გარემოება, რომ მსჯელობის ძირითადი სახეები მოიცავს კატეგორიების მსჯელობებით კავშირებსაც და ფორმალურ-ლოგიკურ მსჯელობებსაც. იმას ამტკიცებს, რომ ისინი ამ ორ ქვესახეზე უფრო ძირითადია, მათ წინ უსწრებს, მათ საფუძვლად ძევს. თუ იმას იტყვიან, რომ ზემოთ განხილული მსჯელობის ძირითადი სახე არ არის საერთოდ (არამარტო ძირითადი) სახე. რადგან ის არ არსებობს ცალკე მსჯელობის სახით, ე. ი. ზემოთ აღნიშნული ორი სახისაგან (კატეგორიების კავშირის და ჩვეულებრივი, ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობისაგან) გამოცალკევებულად, მაშინ ჩვენ ვუპასუხებთ შემდეგს: მართალია, მსჯელობა არსებობს ან კატეგორიების სახით, ან ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობის სახით და არა სხვა სახით (ამიტომ არსებობს ეს ორი სახე მსჯელობისა), მაგრამ კატე-

გორიალური თვალსაზრისით არსება სხვაა, მისი მოვლენა კი სხვა; მართალია, არსება არ შეიძლება არსებობდეს ცალკე მოვლენის სახით, ის არ არის ცალკე სახე — ერთ-ერთი მოვლენათაგანი. მაგრამ ის მაინც არის რაღაც სხვა, ვიდრე მოვლენა. მოვლენა არსებას გამოავლენს, მაგრამ არსება სხვაა და მოვლენა სხვა. არსება მოიცავს მის ყველა მოვლენას, ამ მოვლენათა გარდა მას სხვა მოვლენა არ შეესატყვისება, მაგრამ აუცილებელია მისი ცალკე დახასიათება. მოვლენისგან გარკვეული აზრით გამოყოფა. აი, სწორედ ამ აზრით გამოვყავით მსჯელობის ძირითადი სახე არა ძირითადისაგან.

საქმე ისაა, რომ მსჯელობის არსებას, როგორც ითქვა, მტკიცება-უარყოფა წარმოადგენს. მსჯელობის ძირითად სახედ სწორედ თვითონ ეს მტკიცება-უარყოფა წარმოვიდგინეთ, ის არ გავთქვიფეთ მოვლენებში, თუმცა ამ მოვლენების გარეშე მას, ცხადია, სხვაგვარი მოვლენა არ აქვს. მსჯელობის არსების — მტკიცება-უარყოფის, როგორც გარკვეული ერთიანობის, სახეებად (გარკვეული გაგებით) წარმოვიდგინეთ ამ არსების მხარეები: a) მტკიცება, როგორც დადებითი მსჯელობა, b) უარყოფა, როგორც უარყოფითი მსჯელობა და c) მათი გარკვეული ერთიანობა „უსასრულო“ მსჯელობის სახით. მსჯელობა, როგორც მტკიცება-უარყოფა, არსებობს ან a) დადებითი მსჯელობის სახით, რომელიც უარყოფით მსჯელობით გასაფორმებელ უარყოფას გულისხმობს, ან b) უარყოფითი მსჯელობის სახით, რომელიც დადებითი მსჯელობით გასაფორმებელ დადებითობას გულისხმობს, ანდა c) მათი თავისებური ერთიანობის — „უსასრულო“ მსჯელობის სახით. ამ აზრით ნახმარი სიტყვა „სახე“ გამოდგება იმისათვის, რომ მსჯელობის ძირითადი მხარე — მისი არსება გამოვყოთ აზრის. სახელდობრ, მსჯელობითი აზრის თავისებურ სახედ. ეს გარემოება არ არის საკმარისი ჩვენი აზრის გასამართლებლად, მას უნდა დაემატოს კიდევ შემდეგი:

2) კატეგორიათა კავშირები მხოლოდ მაშინ არიან მსჯელობითი კავშირები, თუ მათში ხორციელდება მტკიცება-უარყოფა, ე. ი. თუ მათში გამოიყენება მსჯელობის ეს არსება, რომელიც წინ უსწრებს იმას, რაშიც ის გამოიყენება. მართალია, თვითონ მტკიცება და უარყოფა ემყარება და გამოთქვამს დადებითს და უარყოფითს. როგორც კატეგორიებს, მაგრამ ყოველგვარი კატეგორიების (დადებითის და უარყოფითის კატეგორიებისაც) მსჯელობითი დაკავშირება, ცხადია. წინასწარ გულისხმობს მსჯელობითი კავშირის არსებას. კერძოს და ზოგადის, როგორც კატეგორიების, კავშირი მაშინ არის მსჯელობა, თუ ის შესრულებულია მტკიცება-უარყოფით, რაც მის მიმართ, ცხადია, პირველი და ძირითადია. სწორედ ამ პირველის

მიხედვით მსჯელობის გაყოფა გვაძლევს მსჯელობის ძირითად სახეებს: დადებით, უარყოფით და „უსასრულო“ მსჯელობას.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობა თავისი ბუნებით არის რეფლექსური; მსჯელობის ლოგიკური რეფლექსურობა (და არა რეფლექსურობის ის დამახინჯებული ფორმა, რომელიც ჰეგელმა მოგვცა, სადაც რეფლექსურობა აბსოლუტის, როგორც შემმეცნებელი სუბიექტის, მისტიკურ ძალას წარმოადგენს), მართალია, იგივეა, რაც საერთოდ ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობა (რომელიც ზემოთ იქნა დახასიათებული), მაგრამ იგი (მსჯელობის რეფლექსურობა) ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობის უფრო განვითარებული სახეა. რაც იმაში ჩანს, რომ მსჯელობის რეფლექსურობა, სახელდობრ, ის, რომ მსჯელობის უარყოფა თვითონ ადგენს (და არის) მსჯელობა, მოიხმარება ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობის ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც უარყოფა, რომლის გარეშე არ ხორციელდება საერთოდ ლოგიკური რეფლექსურობა, თვითონ არის მსჯელობის არსებითი მომენტი. ლოგიკური რეფლექსურობა ხორციელდება უარყოფა-მტკიცების საშუალებით.

კატეგორიების მსჯელობითი კავშირი, ცხადია, წინ უსწრებს ფორმალურ-ლოგიკურ მსჯელობას, რომლის არსებასაც ის წარმოადგენს; „ცუგა არის ძაღლი“ არსებითად იგივეა, რაც „ერთეული არის ზოგადი“, რაც პირველი მსჯელობის (ისე როგორც სხვა ასეთი მსჯელობის) ძირში ძევს და მასში მოქმედებს, როგორც მისი ზოგადი სახე (მსჯელობა ზოგადად არის კატეგორიების კავშირი და—არა სქემა.

მაშასადამე. კატეგორიების კავშირი, როგორც მსჯელობა და ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობა წინასწარ გულისხმობს როგორც მათთვის პირველს და ძირითადს თვითონ მტკიცება-უარყოფას, რაც მსჯელობის არსებას წარმოადგენს.

3) შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნულ ორ მომენტზე მთავარია მესამე მომენტი, სახელდობრ, შემდეგი: მსჯელობის ძირითადი სახე და მისი ქვესახეები გამოყოფილია შინაარსეული ზოგადის მიხედვით, რაც ძირითადია დასკვნებში (როგორც ამას შემდგომ ვნახავთ). ლოგიკაში არსებითია დასკვნა, ამიტომ სწორედ დასკვნის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ლოგიკურის სხვა ფორმები და ამ ფორმათა სახეები.

მსჯელობა, როგორც ასეთი, შინაარსეული ზოგადობაა; ის არის მტკიცება-უარყოფის ერთიანობა. დადებითი მსჯელობა თვითონ არის შინაარსეული ზოგადის ერთი არსებითი მხარე, ასეთია უარყოფითი მსჯელობაც, რომელიც შინაარსეული ზოგადის მეორე მხარეს

წარმოადგენს. უსასრულო მსჯელობა კი მიდის მსჯელობის აზრის ამოწურვამდე, ამით იგი მიდის შინაარსეული ზოგადის სრულ გამოხატვამდე, თუმცა ამას, როგორც ვნახეთ, ვერ აღწევს. სრული შინაარსეული ზოგადი, როგორც ვიცით, ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობის ზოგადი, რომელიც მსჯელობაში ვერ თავსდება; მისთვის აუცილებელია ლოგიკურის მაღალი ფორმა. ერთი სიტყვით, დადებითი და უარყოფითი მსჯელობები არიან ლოგიკური ცალმხრიობები, ე. ი. ისინი შინაარსეულ სრულ კერძოებს წარმოადგენენ; უსასრულო მსჯელობა კი, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, ამ კერძოების, როგორც ერთმხრიობების, თავისებურ ერთიანობას წარმოადგენს, თუმცა ეს ერთიანობა ვერ მიდის სრულ ზოგადობამდე (სწორედ მსჯელობის, როგორც კერძოს, თვალსაზრისით გაგებულ ზოგადამდე).

4) აქ აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო გარკვევით წარმოდგება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს: არაძირითადი მსჯელობის პირველი სახე, როგორც კატეგორიათა კავშირი, შეიცავს, როგორც ამას ახლავე დავინახავთ, იმეთ კატეგორიას, როგორიცაა განსაკუთრებულის კატეგორია, რომელიც ხელს უშლის მსჯელობის ამ სახეს ავიდეს ძირითად სახემდე — მსჯელობის ბუნების სრულ გამოხატვამდე, საბელდობრ, იმ ზოგადამდე, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს; სწორედ „განსაკუთრებული“ არის ის, რომელიც კ. მარქსის[1] სიტყვებს თუ მოვიხმართ, ჩქმალავს წინააღმდეგობას თუ დაპირისპირებას; სწორედ განსაკუთრებული, როგორც საშუალო დაპირისპირებულთათვის, საშუალებას არ იძლევა, რომ აზრი ავიდეს წინააღმდეგობის ერთიანობამდე, სრულ შინაარსეულ ზოგადობამდე. სწორედ ამ გარემოების გამო უნდა ითქვას, რომ კატეგორიათა კავშირი, როგორც მსჯელობა, არის არაძირითადი სახე მსჯელობისა, როგორც ასეთისა — როგორც სწორედ მტკიცებაუარყოფისა, სადაც არ არსებობს სასრული „მესამე“, რომელიც მოთავსებული იყოს „მტკიცებასა“ და „უარყოფას“ შორის.

§ 104. კატეგორიათა კავშირი როგორც მსჯელობა

არაძირითადი მსჯელობის პ ი რ ვ ე ლ ი სახე არის ის, რომელიც გარკვეული აქვს ჯერ ჰეგელს, შემდეგ კი, თავისებურად, ფ. ენგელსს[2], როგორც კატეგორიათა—ერთეულის, განსაკუთრებულის და ზოგადის — კავშირები, სახელდობრ, მათი სწორედ მსჯელობითი კავშირ-ერთიანობები.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. I, 1955, გვ. 316.
[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 232.

ფ. ენგელსი მსჯელობათა სამ ჯგუფს განასხვავებს: 1) ერთეული მსჯელობები, 2) განსაკუთრებული (თუ კერძოობითი) მსჯელობები და 3) ზოგადი მსჯელობები (ანუ სამი სახე მსჯელობისა: ერთეული მსჯელობა, განსაკუთრებული მსჯელობა და ზოგადი მსჯელობა). ერთეული მსჯელობა არის დაახლოებით ისეთი მსჯელობა, რომელსაც ჰეგელი არსებობის მსჯელობას უწოდებდა (სუბიექტზე გამოითქმის რაიმე თვისება); ასეთია: 1) დადებითი „მსჯელობა“, მაგალითად, „ვარდი არის წითელი“, 2) უარყოფითი მსჯელობა. — „ვარდი არ არის ლურჯი“, და უსასრულო მსჯელობა, — „ვარდი არ არის აქლემი“. განსაკუთრებული (თუ კერძოობითი) მსჯელობა დაახლოებით ისეთი მსჯელობაა, რასაც ჰეგელი ეძახდა რეფლექსიის მსჯელობას (სუბიექტზე გამოითქმის რაიმე მიმართება): 1) სინგულარული მსჯელობა, მაგალითად, „ეს ადამიანი მოკვდავია“, 2) პარტიკულარული მსჯელობა, — „ზოგიერთი ადამიანი მოკვდავია“, 3) უნივერსალური მსჯელობა, — „ყველა ადამიანი მოკვდავია“. და აუცილებლობის მსჯელობა (სუბიექტზე გამოითქმება მისი სუბსტანციალური გარკვეულობა): 1) კატეგორიული მსჯელობა. მაგალითად, „ვარდი არის მცენარე“, 2) ჰიპოთეზური მსჯელობა, — „თუ მზე ამოდის, დღე იწყება“, 3) დისუნქციური მსჯელობა, — „ქერცლოვანი ან თევზია, ან ამფიბია“. ზოგადი მსჯელობა დაახლოებით ისეთია, როგორიცაა ჰეგელის „ცნების მსჯელობა“ (სუბიექტის შესახებ გამოითქმება ის, თუ რამდენად შეესატყვისება იგი თავის ზოგად ბუნებას — ცნებას): 1) ასერტორული მსჯელობა, მაგალითად, „ეს სახლი ცუდია“, 2) პრობლემატური მსჯელობა. — „თუ სახლი ასეთი და ასეთია, მაშინ კარგია“, 3) აპოდიქტური მსჯელობა, — „სახლი, ასე და ასე მოწყობილი, კარგია“.

აქ უნდა შევნიშნოთ ერთი, სახელდობრ ის, რომ ამ მსჯელობებში მოცემულია როგორც კატეგორიათა კავშირები, ისე, ასე ვთქვათ, ემპირიული მსჯელობებიც; მაგრამ პირველები მეორეთა ზოგადი ფორმით გამოსათქმელად არის გამოყენებული, მაშინ როცა ჩვენ აქ მსჯელობათა ორ სახეს განვასხვავებთ იმის გამო, რომ კატეგორიათა კავშირები თავისებურებას შეიცავენ (როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული).

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ჰეგელის მიერ მოხდენილი მსჯელობათა კლასიფიკაცია, როგორც თემა, გენიალურია, და რომ ამ დაჯგუფებას აქვს ღრმა აზრი აზროვნების კანონებში, აგრეთვე ბუნების კანონებშიც[1]. ამ ორ რამეს. სახელდობრ, ლოგიკურსა და ემპირიულ მხარეს, ენგელსი, ცხადია, გარკვეულად განასხვავებს, პირვე-

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 233.

ლი არ დაყავს მეორეზე (როგორც ამას ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს). იმის საჩვენებლად, რომ ლოგიკურ დაჯგუფებას ემპირული სფეროც შეესაბამება ფ. ენგელსი ჩამოთვლის შემდეგ მსჯელობებს: 1) ერთეული მსჯელობის (დაახლოებით არსებობის მსჯელობის ერთერთი სახე — დადებითი მსჯელობა) მაგალითია მსჯელობა: „ხახუნი სითბოს წყაროა". 2) კერძოობითი (დაახლოებით რეფლექსიის უნივერსალური) მსჯელობა — „ყველა მექანიკურ მოძრაობას უნარი აქვს ხახუნის საშუალებით სითბოდ გარდაიქმნეს"; 3) ზოგადი (დაახლოებით ცნების აპოდიქტური) მსჯელობა — „მოძრაობის ყოველი ფორმა იმდენადვე უნარიანია, რამდენადაც იძულებულია თვითეული შემთხვევისათვის გარკვეულ პირობებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გარდაიქმნას მოძრაობის ყოველ სხვა ფორმად".[1] ეს უკანასკნელი მსჯელობა, ენგელსის აზრით, არის მსჯელობის უმაღლესი ფორმა საზოგადოდ. ამიტომ, ენგელსის აზრით, აზრის და ბუნების კანონები ერთმანეთს ეთანხმებიან. ლოგიკური დაჯგუფება და ემპირიული სინამდვილე ერთიმეორესთან თანხმობაშია.

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ზოგად მსჯელობაში მოცემულია კანონის ზოგადობა, რომელშიაც „ფორმაც და შინაარსიც ერთნაირად ზოგადია"[2] (ეს კანონი თვითონ აღარ გაფართოვდება, რადგან ის არის ბუნების აბსოლუტური კანონი). აქ აღსანიშნავია ის, რომ ენგელსი ლაპარაკობს შინაარსის ზოგადობაზე, რის შესახებაც არაფერი იცის ფორმალურმა ლოგიკამ. ენგელსმა სწორედ ფორმისა და შინაარსის ზოგადობის თავისებური გაგების საფუძველზე მოგვცა ზემოგანხილული მსჯელობათა კლასიფიკაცია. შინაარსეული ზოგადობის უგულებელყოფის გამო ფორმალური ლოგიკა ვერ მიიღებს მსჯელობათა ენგელსისეულ კლასიფიკაციას, რომელიც არ ემყარება მხოლოდ მოცულობით ზოგადობას, რაც ფორმალური ლოგიკისათვის გამოსავალს წარმოადგენს. ფორმალური ლოგიკისათვის ენგელსის სამი მსჯელობა არის ერთი, ზოგადი მსჯელობა და არა სამი — ერთეული, განსაკუთრებული და ზოგადი. აქ უსათუოდ ჩანს ფორმალური ლოგიკის შეზღუდულობა, მისი „ვიწრო ჰორიზონტი" (ფ. ენგელსი).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არაძირითადი მსჯელობის პირველი სახე არის ისეთი მსჯელობა, რომელიც წარმოადგენს კავშირს ორი კატეგორიისა შემდეგი სამი კატეგორიიდან: ერთეული, განსაკუთრებული და ზოგადი. ეს ასეა დასკვნის თვალსაზრისით, რად-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 234.

[2] იქვე.

გან გარკვეული სახის დასკვნაში განსაკუთრებული გამოდის როგორც საშუალო ცნება, რომელიც ჩქმალავს დაპირისპირება-წინააღმდეგობას, რაც მხოლოდ ორი მხარე შეიძლება ჰქონდეს,[1] ამიტომ განსაკუთრებული, როგორც საშუალო, სრული ზოგადობის — დაპირისპირებულთა ერთიანობის ზოგადობის მიღებას ხელს უშლის, ასეთ ზოგადობას ზღუდავს.

ეს გარემოება იმას არ ნიშნავს, თითქოს არ არსებობენ ისეთი დასკვნები, სადაც საშუალო ცნება არის განსაკუთრებული თუ კერძო; არა, ასეთი დასკვნები არა თუ არსებობენ, არამედ ისინი დასკვნების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეადგენენ (მაგ., კატეგორიული სილოგიზმი და მის საფუძვლად მდებარე კატეგორიათა შუალობითი კავშირები). არსებობენ ასეთი დასკვნები (რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი) და ამიტომ არსებობენ მათი შემადგენელი მსჯელობებიც, მსჯელობები როგორც ზემოთ აღნიშნულ კატეგორიათა კავშირები. ეს მსჯელობებია: 1) „ერთეული არის განსაკუთრებული“, 2) „განსაკუთრებული არის ზოგადი“, 3) „ზოგადი არის ერთეული“, 4) „ზოგადი არის განსაკუთრებული“, 5) „ერთეული არის ზოგადი“. მაგალითად: 1) მოხმარება არის განაწილება-გაცვლა“, 2) „განაწილება-გაცვლა არის წარმოება“, 3) „წარმოება არის მოხმარება“, 4) „წარმოება არის განაწილება-გაცვლა“, 5) „მოხმარება არის წარმოება“; წარმოება არის ზოგადობა, განაწილება-გაცვლა — განსაკუთრებულობა, მოხმარება კი — ერთეულობა.[2] ასეთივე მსჯელობებს წარმოადგენენ კ. მარქსის „კაპიტალში“ „წრებრუნვების“ მბარეები.

თუ კოპულა „არის“ ნიშნავს იმას, რომ ერთეული იმდენადვე არის ზოგადი, რამდენადაც არ არის, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, მაშინ გვექნება მომენტი — „არაზოგადი არის განსაკუთრებული“ და მივიღებთ: „ერთეული არის განსაკუთრებული“. ამგვარად მართლდება ყველა კავშირი ერთეულსა და ზოგადს შორის, რაც მსჯელობების სახით ყალიბდება.

კატეგორიათა კავშირებს, როგორც მსჯელობებს, აქვთ ემპირიული ექვივალენტი: „ეს ვარდი არის წითელი“, „ეს ვარდი არის რომელიღაც ფერის“, და სხვ.

მაგრამ როგორც ითქვა, კატეგორიების კავშირები, როგორც მსჯელობები, და ჩვეულებრივი მსჯელობები ერთიმეორეს შეესატყვისებიან, რადგან კატეგორიათა კავშირები ჩვეულებრივი — ტრადიციული ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობის არსებას შეად-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. I, გვ. 316.

[2] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. იხ. „შესავალი“.

გენა და უნდა შეადგენდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ორგვარ მსჯელობებს შორის არ იყოს განსხვავება. კატეგორიათა კავშირის ხასიათი განსხვავდება ჩვეულებრივ ცნებათა კავშირისაგან, მაგალითად, კატეგორიებში დაპირისპირება იგივეა, რაც წინააღმდეგობა; ამიტომ კატეგორიების კავშირში, როგორც მსჯელობაში, შებრუნება ყოველთვის პირდაპირია: რაც არაა კერძო, არის ზოგადი და პირიქით; კატეგორიათა ასეთ კავშირში დაპირისპირებულთა ერთიანობა გამოითქმის უშუალოდ — „ერთეული არის ზოგადი".

შეიძლება ითქვას მეტიც: კატეგორიების კავშირი, როგორც მსჯელობა, ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობის თვალსაზრისით, შეიძლება მცდარადაც მოგვეჩვენოს, მაგალითად, ასეთი მსჯელობები: „არსი არის არარსი" და პირიქით, „რაოდენობა არის თვისობრიობა", „ერთეული არის ზოგადი" და სხვ.

§ 105. ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობები

თუ კატეგორიებს მაგიერ ავიღებთ აზრის არაკატეგორიალურ, ამ აზრით „ზერელე" განსაზღვრულობებს ანუ ნიშნებს და მათ მტკიცება-უარყოფით დავაკავშირებთ, მივიღებთ ჩვეულებრივ, ფორმალურ-ლოგიკურ (ტრადიციულ-ლოგიკურ) მსჯელობებს. ეს მსჯელობები არ გამორიცხავენ კატეგორიების გამოყენებას, შეუძლებელიც არის რომ გამორიცხონ, რადგან ლოგიკური აზროვნება მხოლოდ კატეგორიებით აზროვნებაა; შეუძლებელია აზროვნება კატეგორიების გამოყენების და მოხმარების გარეშე. ამიტომ ფორმალური ლოგიკის მიერ განხილული მსჯელობები არიან კატეგორიების მიყენება თუ გამოყენება სხვადასხვა სფეროში. თუ ფორმალური ლოგიკა კატეგორიების ადგილზე ჩასვამს სქემებსა და პირობით სიმბოლოებს, მაშინ მივიღებთ მათემატიკურ „ლოგიკას", რომელსაც დიდი პრაქტიკული გამოყენება ექნება, მაგრამ არ იქნება ლოგიკა ზოგადი მნიშვნელობით, სხვანაირი ლოგიკა კი არ არის ლოგიკა ფილოსოფიური აზრით. ლოგიკა მხოლოდ ფილოსოფიური მეცნიერებაა, რადგან ლოგიკა არის და უნდა იყოს, პირველ რიგში, კატეგორიების და მათი კავშირების ლოგიკა.

როგორც ახლა ითქვა, თუ კატეგორიებს, კერძოდ, ერთეულის, განსაკუთრებულის და ზოგადის კატეგორიებს გამოვიყენებთ სხვადასხვა სფეროში, მაშინ მივიღებთ ჩვეულებრივ, ფორმალურ-ლოგიკურ მსჯელობებს. ამ კატეგორიების გამოყენება თვისებებისადმი მოგვცემს „თვისობრივ" მსჯელობებს, როგორიცაა, მაგალითად, ვარდი არის წითელი, ვარდი არ არის ლურჯი და სხვ. მათი გამოყენება

რაოდენობრივ სფეროში, სახელდობრ, ზოგადობის გამოყენება მოცულობითი აზრით, მოგვცემს ერთეულ, კერძო და ზოგად მსჯელობებს (სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში კანტს, როცა ამბობდა, რომ ცნებების დაყოფა ზოგადად, კერძოდ ან ერთეულად ეხება ცნების მხოლოდ გამოყენებას[1]). აქ „ზოგადი" არის იგივე, რაც „ყველა", „კერძო" კი „ზოგიერთია", მაგრამ ზოგიერთიც და ყველაც დაიყვანება ერთეულზე, რადგან ერთეულის განმეორება — ერთი და იგივეს ბევრჯერ განმეორება მოგვცემს ზოგიერთსაც და ყველასაც. „ყველა" მაშინ არის სხვაგვარი ბუნების, როცა ის არის ერთი ზოგადი; მაგ., როცა „ყველა ადამიანი" უდრის „ადამიანს საერთოდ" (ეს მიუღებელია მათემატიკური ლოგიკისათვის, რომელსაც ზოგადი ერთეულებზე დაყავს ანუ ზოგადს მხოლოდ სქემის სახით წარმოადგენს).

კერძო, როგორც ზოგიერთი, შეიცავს თავისებურებას, სახელდობრ. იმას, რომ კერძოობით მსჯელობაში მსჯელობის თვისობრიობა თავისებურად არის მოხმარებული: „ზოგიერთი" ნიშნავს და მიუთითებს სხვაზეც, მაგალითად, „ზოგიერთი ლითონი მყარია" იმაზეც მიუთითებს, რომ ზოგიერთი არ არის მყარი (მაგალითად, ვერცხლი წყალი). კერძოობით მსჯელობის ასეთი გაგება[2] იმას ემყარება. რომ ყოველი „ზოგიერთი" ნიშნავს „მხოლოდ ზოგიერთს". ის გარემოება, რომ „ზოგიერთი" შეიძლება მოხმარებულ იქნეს „მხოლოდ ზოგიერთისაგან" განსხვავებით, ლოგიკას არ უნდა ეხებოდეს; იმა თქმა, რომ, მაგალითად, „ზოგიერთი ლითონი არის მყარი" არაფერს არ ამბობს სხვის შესახებ, რადგან არ ვიცით სხვა ლითონი მყარია თუ არა, ეხება ცოდნას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ლოგიკურად კი „ზოგიერთი" „მხოლოდ ზოგიერთია", გარკვეული ზოგიერთია. თუ ეს აზრი მართალია, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ „ზოგიერთი" მიუთითებს იმაზე, რასაც მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა ჰქვია, რადგან ერთი კერძოობითი მსჯელობა მეორეს აუცილებლობით მოითხოვს. მსჯელობათა აუცილებელი კავშირი კი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დასკვნა.

აღნიშნული კატეგორიების გამოყენება დამოკიდებულება-მიმართების სფეროში მოგვცემს მსჯელობებს: კატეგორიულს, პირობითს და გაყოფითს. ლოგიკურის, ლოგიკური კავშირის პირველი დამახასიათებელი ნიშანი უნდა იყოს კატეგორიულობა, რომლის გარეშე შეუძლებელიც კი უნდა იყოს ლოგიკური აუცილებლობა. პირობი-

---

[1] I. Kant, Logik, Leipzig, 1904, გვ. 98.

[2] იხ. ვასილევის ზემოდასახელებული ნაშრომი და მის შესახებ ლოსკის Логика, 1923, გვ. 136.

თი ლოგიკური კავშირი მხოლოდ იმდენად არის ლოგიკური კავშირი. რამდენადაც მასში კატეგორიულობა იგულისხმება და მონაწილეობს; ასე ითქმის გაყოფითი კავშირის შესახებაც. თუ ამ უკანასკნელში არ არის ურთიერთგამორიცხვა, მაშინ „ან-ან"-ში ადგილი არ აქვს ლოგიკურ აუცილებლობას, რაც აუცილებლად ნიშნავს კატეგორიულობის მასში არსებობას. თუ კატეგორიულობა დავიყვანეთ პირობითობაზე, პირობითი — გაყოფითზე, ეს უკანასკნელი კი გავიგეთ როგორც არა ურთიერთგამორიცხვა, როგორც ამას ადგილი აქვს მათემატიკურ ლოგიკაში, მაშინ აღარ გვექნება ლოგიკური აუცილებლობა როგორც საფუძველ-შედეგის აუცილებელი დამოკიდებულება.

კატეგორიული მსჯელობა S±P (მაგალითად, „ადამიანი არის მოკვდავი" და „ადამიანი არ არის ოთხფეხი") არის მსჯელობა სწორედ მტკიცება-უარყოფის გამო; აქ მტკიცება და უარყოფა მიყენებულია და მოხმარებულია გარკვეულ მიმართებაში. მსჯელობა ამ მიმართების გამო კი არაა მსჯელობა, არამედ — სწორედ მტკიცება-უარყოფის გამო. მიმართებაში „თუ არის A, მაშინ არის B" მსჯელობა გვაქვს იმ აზრით, რომ A-ს მტკიცება არის საფუძველი B-ს მტკიცებისა, სწორედ მტკიცება იძლევა მსჯელობას. ასევე ითქმის გაყოფითი მსჯელობის შესახებ. გაყოფითი მსჯელობა „A არის ან B, ან არა-B" სწორედ იმიტომ არის მსჯელობა, რომ ერთის უარყოფით მეორის დადგენა ხდება და პირიქით. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ეს მსჯელობები არაძირითადი მსჯელობებია. ისინი წარმოადგენენ ძირითადი მსჯელობების გამოყენებას მიმართების სფეროში. მიმართების დამოკიდებულება სწორედ მტკიცება-უარყოფის გამო შეიძლება იყოს მსჯელობა.

ძირითადი მსჯელობების ანუ ამ მსჯელობებისათვის არსებითის გამოყენება აზრის სინამდვილესთან დამოკიდებულებაში ანუ სინამდვილეში აუცილებლობის განხორციელების აზრობრივ ასახვაში გამოყენება-მოხმარება გვაძლევს ე. წ. მოდალობის მსჯელობებს; პრობლემატურს, ასერტორულს და აპოდიქტურს, რომლებიც მსჯელობებს სწორედ იმიტომ წარმოადგენენ, რომ ისინი ანხორციელებენ მტკიცება-უარყოფას, მსჯელობის არსებას. მტკიცება-უარყოფის გარეშე აზრის სინამდვილესთან დამოკიდებულება, თუ აუცილებლობის გარკვეული საბით განხორციელება მსჯელობას არ მოგვცემს. პრობლემატური მსჯელობა „ხვალ შეიძლება ცუდი დარი იქნეს" წარმოადგენს მსჯელობას მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ადგილი აქვს გარკვეულ მტკიცებას. გარკვეულ დადგენას, ამ დადგენის შესაძლებლობას, რომელიც შეუძლებლობასაც — დადგენის

შეუძლებლობასაც გულისხმობს („შეიძლება ხვალ არ იყოს ცუდ-დარი"). ეს მსჯელობა აუცილებლობით მიუთითებს საწინააღმდეგოს შესაძლებლობაზე, საწინააღმდეგოს შესაძლებლობის გამომთქმელ მსჯელობაზე. ასეთი მსჯელობის დადგენის შესაძლებლობაზე. ასერტორული მსჯელობა (მაგ., „დღეს არის დარი") სწორედ რაიმეს დადგენის გამოთქმაა და თვითონ ეს გამოთქმა არის დადგენა, გარკვეული მტკიცება; ის სწორედ ამის გამო მსჯელობა და არა სხვა რამის გამო. ასოდიქტური მსჯელობა (მაგ., „სიბრტყეზე დაბაზული სამკუთხედის შინაგანი კუთხეების ჯამი აუცილებლად ორი მართი კუთხეა") იმის გამო არის მსჯელობა, რომ აქ ადგილი აქვს აუცილებელ დადგენას, მტკიცებას. განსხვავება ამ მსჯელობებში იმაში კი არაა, რომ ისინი მსჯელობებია, ეს მათთვის არის საერთო და ზოგადი; განსხვავებას იწვევს ის, თუ სად არის გამოყენებული მსჯელობის აზრი, რა სფეროში ხდება მტკიცება თუ უარყოფა. შესაძლებლობის სფეროში მტკიცება არის თავისებურად წარმოდგენილი, სახელდობრ, როგორც ითქვა, მტკიცება უარყოფასაც გულისხმობს. სინამდვილის სფეროში (სინამდვილის კატეგორიის სფეროში და არა იმგვარად გაგებულ სინამდვილეში, რომელიც ყველაფერს შეიცავს, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებელ არსებობას ნიშნავს) არის მხოლოდ მტკიცება, ან მხოლოდ უარყოფა, როგორც ფაქტის დადგენა. ასოდიქტურ სფეროში, ე. ი. აუცილებლობის კატეგორიის სფეროში მტკიცება-უარყოფა უშუალოდ გამოთქვამს სწორედ აუცილებლობას, ის არის აუცილებელი დადგენა ან უარყოფა როგორც აუცილებლობის დადგენა ან უარყოფა.

ზემოთქმული სხვანაირად, უფრო ზუსტად, შეიძლება ასეც გამოითქვას: აზროვნება მხოლოდ კატეგორიებით აზროვნებაა. შეიძლება მსჯელობა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა კატეგორიის მოქმედებისას და ამ კატეგორიათა სფეროების მიხედვით იქნას განსხვავებული მსჯელობის სახეები. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია კანტმა, რომელმაც კატეგორია გაიგო როგორც მსჯელობის ფორმა. ჩვენი აზრით, მსჯელობების გამოყენება სხვადასხვა კატეგორიის მოქმედების სფეროში გვაძლევს მსჯელობათა განსხვავებას, როგორც არაძირითად მსჯელობათა განსხვავებას. მსჯელობას ქმნის არა ესა თუ ის კატეგორია, არამედ მტკიცება-უარყოფა, რომელიც ამა თუ იმ კატეგორიის სფეროში მოიხმარება. თვითონ მტკიცება და უარყოფა კი, როგორც ითქვა, მხოლოდ ორ კატეგორიას ემყარება და შეიცავს — დადებითობის და უარყოფითობის კატეგორიებს. კანტის მიერ დასახელებული კატეგორიების სფეროები რომ მივიღოთ მხედველობაში, მაშინ მსჯელობები განსხვავებული

იქნება შემდეგნაირად: 1) ერთიანობის კატეგორიის სფეროში ჰქმედი მტკიცება-უარყოფა მოგვცემს ზოგად მსჯელობას, 2) სიმრავლის სფეროში გვექნება კერძოობით მსჯელობა, 3) ყოვლობის (Allheit) სფეროში — ერთეული მსჯელობა, 4) რეალობის სფეროში დადებითი მსჯელობა, 5) უარყოფის სფეროში — უარყოფითი მსჯელობა, 6) ლიმიტაციის სფეროში — უსასრულო მსჯელობა, 7) სუბსტანციის კატეგორიის სფეროში — კატეგორიული მსჯელობა, 8) მიზეზობრიობის კატეგორიის სფეროში — პირობითი მსჯელობა, 9) ურთიერთმოქმედების სფეროში — გაყოფითი მსჯელობა, 10) შესაძლებლობის სფეროში — პრობლემატური მსჯელობა, 11) სინამდვილის კატეგორიის სფეროში — ასერტორიული მსჯელობა, 12) აუცილებლობის კატეგორიის სფეროში კი — აპოდიქტური მსჯელობა. ამ მსჯელობებს მტკიცება-უარყოფის სწორედ გარკვეული სფეროში მოხმარა ქმნის.

არაძირითადი მსჯელობების ერთ განსაკუთრებულ სახედ შეიძლება ჩავთვალოთ მიმართების ლოგიკის მსჯელობები, ე. წ. მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ბ ი, თუკი ასეთი მსჯელობები მართლაც მსჯელობებს წარმოადგენენ; მაგრამ, მაგალითად, სივრცითი მიმართების მსჯელობები სივრცით დამოკიდებულებებს უნდა წარმოადგენდნენ. ისინი არიან არა მსჯელობები, არამედ წინადადებები, რომლებიც გამოთქვამენ სივრცით დამოკიდებულებებს და არა აზრთა მსჯელობით—ლოგიკურ კავშირებს. წინადადება „A არის B-ს მარჯვნივ“ გამოთქვამს A-ს და B-ს სივრცით დამოკიდებულებას, რომელიც, ცხადია, არ არის მსჯელობითი კავშირი. წინადადება „მოსკოვი თბილისის ჩრდილოეთითაა“ არის სივრცითი დამოკიდებულება და არა ლოგიკური დამოკიდებულება, მსჯელობა. წინადადება „ნაპოლეონი საფრანგეთში გამეფდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ“, ან წინადადება „A არის B-ს შემდეგ“ არის დროითი დამოკიდებულების გამოთქმა — ორი რაიმეს დროში დამოკიდებულება და არა აზრთა მსჯელობითი დამოკიდებულება. ასეთი დამოკიდებულებები არიან საგანთა მიმართებები და არა მსჯელობები. მსჯელობის და საგანთა მიმართების ერთმეორეში აღრევა, რაც მიმართების ლოგიკისათვის არის დამახასიათებელი, შეცდომად უნდა იქნეს მიჩნეული. ლოგიკა აზრთა გარკვეულ დამოკიდებულებებს სწავლობს და არა საგანთა დამოკიდებულებას, რომელიც სხვა მეცნიერების თუ მეცნიერებების შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზემოთ მოყვანილი წინადადებები არ გამოთქვამენ აზრს და რომ თითქოს არსებობს ისეთი აზრები, რომ-

ლებიც ლოგიკურ ფორმებში არ გამოიბატებიან, — თითქოს ლოგიკური ფორმები ყველა აზრებს არ მოიცავენ; არა. ყველა აზრი გამოიბატება ლოგიკური ფორმით, ყოველი აზრი შეიძლება ლოგიკურად იქნას გაფორმებული. მაგალითად, წინადადებაში გამოთქმული აზრი, რომ „A არის B-ს მარჯვნივ“ შეიძლება ლოგიკურად გაფორმდეს შემდეგი მსჯელობების სახით: „A არის ისეთი საგანი, რომელიც B-ს მარჯვნივაა“ ანუ „A არის B-ს მარჯვნივ მდებარე საგანი“; აქ პრედიკატი უფრო ზოგადია სუბიექტზე. ამიტომ არსებობს მსჯელობათა დამოკიდებულება; თვითონ ერთეულ საგანთა (A და B) სივრცითი დამოკიდებულება კი, ცხადია, არაა ასეთი. წინადადება, რომელშიც ორი სიდიდის თუ რაოდენობის ტოლობაა გამოთქმული, მაგალითად, „A=B“-ს, მსჯელობის სახით წარმოდგება მაშინ, თუ ვიტყვით, რომ „A და B არიან ტოლი სიდიდეები“, სადაც „A და B“ სუბიექტია, „ტოლი სიდიდე“ კი პრედიკატს წარმოადგენს. წინადადება „მოსკოვი თბილისის ჩრდილოეთითაა“ გაფორმდება მსჯელობაში: „მოსკოვი არის თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი“. წინადადება „A არის B-ს შემდეგ“ გაფორმდება ლოგიკურად მსჯელობაში „A არის B-ს შემდეგ არსებული საგანი“. და სხვ.

მაშასადამე, ე. წ. მიმართების მსჯელობები პრედიკატულ მსჯელობებს წარმოადგენენ. პრედიკატულობის გარეშე იხსნი საგანთა მიმართებას გამოთქვამენ, ე. ი. მსჯელობებს არ წარმოადგენენ. ყოველი ზოგადი ცნება, მაგალითად, კატეგორიები, მათ შორის მიმართების კატეგორიებიც, პრედიკატებს წარმოადგენენ. სუბიექტი კი შეიძლება იყოს ერთეული, რომლის ბუნება პრედიკატში იქნება გამოთქმული. მიმართებები კი არ ქმნის საგნებს, არამედ, პირიქით — საგნები თავიანთი ბუნებით არიან გარკვეულ მიმართებებში. საგანთა ბუნება განსაზღვრავს მიმართებას. ამიტომ, ისიც უნდა ითქვას, რომ ისეთი წინადადებაც, როგორიცაა „A=B“-ს, გაფორმებული მსჯელობად „A და B ტოლი სიდიდეებია“, სინთეზურ მსჯელობას წარმოადგენს, მაშინ როცა „A=B“ შეიძლება ტავტოლოგიას წარმოადგენდეს და წარმოადგენს კიდეც. „A=B“ არის ტავტოლოგიის ბუნების, თუმცა ეს ფორმულა არ ეთანხმება ტავტოლოგიურობას, ტოლობის მხარეები სხვადასხვაა: ერთია A, მეორე კი — B.

პრედიკატულია ე ქ ს ი ს ტ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი მსჯელობაც, რადგან ამ მსჯელობაში სუბიექტებს მიეწერება არსებობა; ამიტომ არ არის საჭირო ორი „არის“ (უკეთ — არაა საჭირო ორივე ერთად: „არის“ და „არსებობს“). მათემატიკურ ლოგიკაში არსებობის მსჯელობა იგივეა, რაც ერთეული თუ კერძოობითი მსჯელობა.

მათემატიკურ ლოგიკაში არც წინადადებაა მსჯელობა და არც პროპოზიციული ფუნქცია; პრედიკატთა აღრიცხვაში არ არის სუბიექტი, მხოლოდ სქემაა ან საგანთა მიმართება, რომელიც მსჯელობას არ წარმოადგენს.

მსჯელობის ბუნების იმგვარი გაგება, რომელსაც ჩვენ ვალიარებთ, გვაძლევს იმის საფუძველს, რომ არ ვალიაროთ ე. წ. რთული მსჯელობები. რთულ მსჯელობებს აღიარებს ის, ვისაც მსჯელობა დაყავს წინადადებაზე. რთულ მსჯელობად თვლიან ისეთ მსჯელობას, რომელიც მსჯელობათა ერთიანობას წარმოადგენს. მსჯელობათა ერთიანობა შეიძლება გამოითქვას ერთი წინადადებით და ამიტომ მსჯელობაც აღებულია როგორც ერთი, თუმცა ის მსჯელობათა ერთიანობაა. მსჯელობა ან მარტივია, ან არ არის მსჯელობა. ამიტომ არ არსებობენ რთული მსჯელობები. რთული მსჯელობა, როგორც მსჯელობათა შეერთება — ერთიანობა, ლოგიკურად შეიძლება იყოს მხოლოდ დასკვნა, თუ „რთული მსჯელობა" მის შემადგენელ მსჯელობებს არ უკარგავს მსჯელობის თვისებას; თუკი მათ ასეთი თვისება რთულ მსჯელობაში აღარ რჩებათ, მაშინ იგი მარტივი მსჯელობა იქნება და არა რთული. არც ის შეიძლება ითქვას, რომ რადგან ყოველი დასკვნა არის ერთი აზრი, ამიტომ თითქოს არ არსებობს დასკვნა და არსებობს მხოლოდ მსჯელობა, ან, უარეს შემთხვევაში, — წინადადება, როგორც ამას ადგილი აქვს მათემატიკურ ლოგიკაში, როცა დასკვნაც წინადადებაზე დაყავთ.

რთულ მსჯელობებად არის მიჩნეული, მაგალითად, პირობითი და გაყოფითი მსჯელობები, მაგრამ პირობითი მსჯელობა, გაგებული როგორც მსჯელობათა კავშირი, სახელდობრ, როგორც „თუ A არის B. მაშინ C არის D", არ არის მსჯელობა, არამედ ის არის უშუალო დასკვნის ბუნების გამოთქმა; ამიტომ მას აძლევენ ფორმას: „თუ არის A, მაშინ არის B" ანუ „თუ A, მაშინ B". აქაც გამოთქმულია დასკვნის პრინციპი, თუკი „თუ — მაშინ" გაგებულია როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება (და არა როგორც იმპლიკაცია).

მათემატიკურ ლოგიკაში „თუ — მაშინ" არ არის გაგებული როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, არამედ ის უდრის იმპლიკაციას, სადაც ანტეცედენცი არ უდრის საფუძველს, და კონსექვენცი არ არის იგივე, რაც ლოგიკური შედეგი. მათემატიკურ ლოგიკაში „თუ — მაშინ" დაყვანილია გაყოფით წინადადებაზე, როგორც იმპლიკაციის ბუნების უფრო ზუსტ გამოთქმაზე; „თუ A, მაშინ B" უდრის „Ā ან B" (ĀvB)-ს, რასაც, ცხადია, სრულიად სხვა აზრი აქვს, ვიდრე საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას, თუმცა

ეს უკანასკნელი ისეთ მხარესაც შეიცავს, რომ შეიძლება ვთქვათ: „ან საფუძვლის ჭეშმარიტობის უარყოფა ან შედეგის ჭეშმარიტობა", სადაც გამოტოვებულია საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების ძირითადი აზრი. მათემატიკურ ლოგიკაში „თუ — მაშინ" გაგებულია როგორც ჭეშმარიტებამცდარობის ფუნქციონალური დამოკიდებულება; ეს დამოკიდებულება აღებულია ოთხ შემთხვევაში: 1) ჭეშმარიტებიდან გამოიყვანება ჭეშმარიტება, 2) მცდარიდან — მცდარი, 3) მცდარიდან — ჭეშმარიტი და 4) ჭეშმარიტიდან — მცდარი; მხოლოდ ეს უკანასკნელი შემთხვევაა მიჩნეული მცდარად, რადგან შეუძლებელია ჭეშმარიტებიდან მცდარის გამოყვანა; დანარჩენი შემთხვევები მიჩნეულია მართებულ გამოყვანად. მაგრამ ეს გარემოება არისტოტელემაც კარგად იცოდა, როცა ის ამბობდა. რომ ჭეშმარიტებიდან არ გამოიყვანება მცდარი, მაშინ როცა მცდარიდან გამოიყვანება მცდარი, ჭეშმარიტებიდან — ჭეშმარიტი და მცდარიდან — ჭეშმარიტი, თუმცა ეს უკანასკნელი გარკვეულ შემთხვევაშია სწორი; სწორია ის ფაქტიურად, რადგან არსებობს შემთხვევები მცდარი წანამძღვრებიდან ჭეშმარიტი დანასკვის გამოყვანისა, მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა მცდარიდან არ გამოიყვანება ჭეშმარიტი; მცდარი სწორედ იმას ჰქვია, რომ იქიდან შეიძლება გამოვიდეს მცდარიც და ჭეშმარიტიც; მცდარიდან რომ მხოლოდ მცდარი გამოდიოდეს, მაშინ სიძნელე მოიხსნებოდა, ჭეშმარიტების მიღებისათვის საკმარისი იქნებოდა მცდარის შებრუნება. ამიტომ ამბობს არისტოტელე, რომ ასეთი გამოყვანა არ პასუხობს კითხვას „რატომ"? [1].

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჭეშმარიტება-მცდარობის დამოკიდებულება არისტოტელეს ლოგიკაში არის საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, ისეთი დამოკიდებულება, როცა საფუძვლის შინაარსიდან გამოდის შედეგის შინაარსი, მაშინ როცა მათემატიკურ ლოგიკაში ირკვევა ფუნქციონალური დამოკიდებულება, რომელსაც სრულიად გარეგანი კავშირის ხასიათი აქვს; მაგალითად, შემდეგი კავშირის ხასიათის: 1) „თუ $2\times2=4$, მაშინ თოვლი არის თეთრი", რომელიც ჭეშმარიტ იმპლიკაციას წარმოადგენს, და 2) „თუ $2\times2=4$, მაშინ თოვლი არის შავი" (მცდარი იმპლიკაციაა). აქ, ცხადია, ადგილი არ აქვს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას.

პირობითი მსჯელობა „თუ—მაშინ", როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, არის წინადადება, რომელშიც გამოთქმულია დას-

[1] არისტოტელე, პირველი ანალიტიკა, ნ. II, თ. 2.

კვნის პრინციპი; „თუ არის საფუძველი, მაშინ არის შედეგი". საფუძველ-შედეგის კავშირი კი არის დასკვნა; მსჯელობების შეერთება „თუ — მაშინ"-ით არის დასკვნა და არა მსჯელობა.

მაგრამ „თუ—მაშინ" შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მსჯელობა, როგორც მარტივი მსჯელობა, თუ მასში ნაგულისხმევია და თავისებურად არის გამოთქმული კატეგორიული მსჯელობის, როგორც სინთეზური მსჯელობის, აზრი, ანუ უკეთ, თუ მასში გამოხატულია კატეგორიული მსჯელობის სინთეზურობის მომენტის წინ წამოწევა და არა მსჯელობების ერთიანობა, ე. ი. თუ მასში არის გამოთქმული დაახლოებით ის, რასაც ჰეგელი კატეგორიული მსჯელობის ჰეშმარიტებას უწოდებდა. ეს გარემოება მდგომარეობს შემდეგში: კატეგორიულ მსჯელობაში — S არის P — ნაგულისხმევია ის, რომ თუ არის S, მაშინ მას აქვს P თვისება როგორც რაღაც განსხვავებული S-საგან. ამ აზრით, „თუ არის A, მაშინ არის B" მარტივი მსჯელობაა, რომელიც, ამავე დროს, მსჯელობის დასკვნაში გადასვლის მოთხოვნასაც წარმოადგენს.

„თუ არის A, მაშინ არის B" ნიშნავს იმასაც, რომ B განსხვავებულია A-საგან; ამიტომ, გარკვეული აზრით, სწორია შემდეგი: „თუ არის A, მაშინ არის არა-A (B)". სწორედ მსჯელობის ამ სინთეზურობიდან გამომდინარეობს მსჯელობისათვის დასკვნის აუცილებლობა და მსჯელობის დასკვნაში გადასვლის შესაძლებლობა (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ).

ერთი სიტყვით, „თუ არის A, მაშინ არის B" მხოლოდ მაშინ არის მსჯელობა (ცხადია, „მარტივი" მსჯელობა), როცა ის გაგებულია როგორც კატეგორიულ მსჯელობაში არსებული სინთეზურობის უფრო ზუსტი გამოთქმა; ისე კი პირობითი მსჯელობა არის მსჯელობების ერთიანობა, ასეთ შემთხვევაში იგი არის დასკვნა (წარმოდგენილი არასრული გარკვეულობით) ან წინადადება, რომელიც დასკვნის პრინციპის გამოთქმაა.

რთულ მსჯელობად არის მიჩნეული გაყოფითი მსჯელობაც — „A არის ან B, ან C, ან D" და ეს გაგებულია როგორც მსჯელობათა გარკვეული კავშირი. თუ გაყოფითი მსჯელობა მსჯელობათა კავშირშია, მაშინ იგი შეიძლება იყოს დასკვნა, მაგრამ არა მსჯელობა. რადგან: მასში ან-ან-ი არის ურთიერთგამორიცხვა, სახეები ერთიმეორეს გამორიცხავენ, ამ სახეთა გვარი კი იქნება გარკვეული ერთიანობა სახეებისა, ე. ი. მთლიანად მსჯელობა იქნება დაპირისპირებულთა ერთიანობა — სრული სინთეზური კავშირი. დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც სრული შუალობითი კავშირი, შეიძლება იყოს დასკვნა და არა მხოლოდ მსჯელობა.

თუ „გაყოფითი მსჯელობა“ არის მსჯელობა, მაშინ ის უნდა იყოს მარტივი მსჯელობა, რომელიც უნდა ნიშნავდეს პირობითი მსჯელობის აზრის განვითარებას უკიდურესობამდე, ე. ი. ისე, რომ აქ აშკარად ჩანდეს (წარმოდგეს) მსჯელობის საზღვარი, სახელდობრ, ის მომენტი, სადაც მსჯელობა იქცევა დასკვნად (მსგავსად „უსასრულო“ მსჯელობისა, რაც ზემოთ იყო ნაჩვენები). თუ პირობითი მსჯელობა წინ წამოსწევს კატეგორიული მსჯელობის სინთეზურობას, მაშინ გაყოფითი მსჯელობა არის იგივე სინთეზურობა, მისული დაპირისპირებულთა ერთიანობამდე, თუმცა ფორმალურ-ლოგიკური გაყოფითი მსჯელობა ამ გარემოებას გამორიცხავს (თუმცა ეყრდნობა კიდეც).

რთულ მსჯელობად არის ჩათვლილი ე. წ. ზ ო გ ა დ-გ ა ყ ო ფ ი თი მსჯელობებიც და, აგრეთვე, ზ ო გ ა დ-გ ა მ ო მ რ ი ც ხ ვ ე ლ ი მსჯელობებიც. თუ აქ საქმე გვაქვს მსჯელობების ერთიანობასთან (სწორედ ამიტომ ეძახიან მათ რთულ მსჯელობებს), მაშინ უნდა ითქვას, რომ ისინი წარმოადგენენ არა მსჯელობებს, არამედ დასკვნებს. თუ ეს ასე არაა, მაშინ ისინი არიან წინადადებები და არა მსჯელობები, სახელდობრ, ისეთი წინადადებები, სადაც გაურკვეველად არის შეერთებული სხვადასხვა მსჯელობა, რომლებიც დასკვნებში იგულისხმებიან.

ზოგად-გამომრიცხველი მსჯელობა „ყველა ლითონი, ვერცხლის წყლის გარდა, მყარი სხეულია“ არის წინადადება, სადაც იგულისხმება ორი აზრი — ორი მსჯელობა: 1) „ზოგიერთი ლითონი მყარია“ და 2) „ზოგიერთი ლითონი არ არის მყარი“ (მათი ერთიანობა იქნება დაპირისპირებულთა ერთიანობა, რადგან ის შეაერთებს ორ მომენტს: „არის“ და „არ არის“). ასევე, წინადადებას წარმოადგენს „ზოგად-გამოყოფითი მსჯელობა“ „მხოლოდ ადამიანია იარაღის მკეთებელი ცხოველი“, რომელიც გულისხმობს მეორე აზრსაც, რომ სხვა ცხოველი არ არის იარაღის მკეთებელი. სიტყვა „მხოლოდ“ ერთიმეორეს უპირისპირებს ორ აზრს — ორ მსჯელობას. ეს გარემოება იმას ნიშნავს, რომ აქ გვაქვს არა მსჯელობა. არამედ დასკვნის. როგორც შუალობითი კავშირის, ერთი მომენტი, სახელდობრ, ორი მსჯელობის დაპირისპირება დასკვნა-დასაბუთებაში. სიტყვა „მხოლოდ“ (და კერძოობითი მსჯელობის „ზოგიერთი“, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი) არის წინადადების ის ნაწილი, რომელიც მიუთითებს ერთი მსჯელობის მეორე მსჯელობასთან აუცილებელ კავშირზე. აქ გარკვეულადაა აღებული ის მომენტი, რომელიც აუცილებელია მსჯელობის დასკვნაში გადასასვლელად. ასეთ გადასვლებს არ იხილავს ფორმალური ლოგიკა და ამიტომ აქვს ადგილი ასეთი (ზემოთ აღნიშნული) მომენტების მსჯელობების სახით წარმოდგენის

გაურკვევლობას, ასე ვთქვათ, ხელოვნურ „მსჯელობებს“, რომლებიც წინადადებებია და არა მსჯელობები. „რთული მსჯელობა“ არის წინადადება, რომელიც შეცდომით ჩათვლილია მსჯელობის სახედ; ზოგიერთი წინადადება მსჯელობად არის ჩათვლილი, რაც მსჯელობის წინადადებაზე დაყვანას ნიშნავს, ეს კი, როგორც ვნახეთ, შეცდომას გვაძლევს. ასეთი აღრევა ვნებს ლოგიკასაც, რომელიც მსჯელობებს შეისწავლის და იმ მეცნიერებებსაც, რომელიც წინადადებას სწავლობს.

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ურ ლ ო გ ი კ ა შ ი, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, მსჯელობის მაგიერ აღებულია წინადადება, რომელიც მათემატიკური ხერხებით (მაგალითად, ჩასმის საშუალებით) პროპოზიციული ფუნქციიდან „გამოიყვანება“. პროპოზიციული ფუნქცია არის ენობრივი მოვლენა, რომელსაც აქვს დადებითი წინადადების გრამატიკული ფორმა, მაგრამ რომელიც შეიცავს ცვლადს, რის შესახებაც ჯერჯერობით არაფერი არ არის ნათქვამი; ეს ცვლადი, ასე ვთქვათ, არის ჯერჯერობით ცარიელი ადგილი. მაგალითად, X არის ადამიანი. პროპოზიციული ფუნქცია ხდება წინადადება, თუ ცვლადის მაგიერ ჩავსვამთ ერთეულს, მაგალითად, სოკრატეს. „სოკრატე არის ადამიანი“ არის წინადადება. წინადადება ან მცდარია ან ჭეშმარიტი, მაშინ როცა პროპოზიციული ფუნქცია არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. მართალია, პროპოზიციულ ფუნქციას წინადადების გრამატიკული ფორმა აქვს, მაგრამ ის, თქმულის გამო, არის არა გრამატიკული მოვლენა, არამედ მათემატიკური სქემა, რომელიც წინადადებად გადაიქცევა არა მარტო ცვლადის მაგიერ ერთეულის ჩასმით, არამედ კვანტორებით (ოპერატორებით) „ყველა“ („ყველა X“), „არსებობა“ („არსებობს X“) და ლოგიკური უარყოფით (მაგ. „არ არსებობს ისეთი X, რომ $X+5=X+6$).

პროპოზიციული ფუნქცია, მაგ., „X არის ადამიანი“, არის წინადადების ერთ-ერთი გრამატიკული ფორმა. არსებობს წინადადების სხვა ფორმებიც. მაგალითად, $(a+b)^2=a^2+2ab+b^2$; ეს არის ზოგადი წინადადება, რადგან იგი სწორია a და b-ს ყოველი მნიშვნელობისათვის. პირველი ფორმა მეორისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველ შემთხვევაში ცვლადი თავისუფალია, მეორე შემთხვევაში კი ადგილი აქვს ბმულ ცვლადებს. ბმული ცვლადების შემთხვევაში ყოველთვის ჭეშმარიტი გამოთქმა გვაქვს, მაშინ როცა თავისუფალი ცვლადის შემთხვევაში ჩასმის შემდეგ ვღებულობთ ან ჭეშმარიტს ან მცდარ წინადადებას. არსებობს წინადადების მესამე ფორმაც. ეს არის „არსებობის მსჯელობა“; მაგალითად, „არსებობენ ისეთი ადამიანები X, რომელთაც ერთზე მეტი წიგნი აქვთ დაწერილი“. ასეთი

წინადადებები ახლოს არიან ტრადიციული ფორმალური ლოგიკის კერძოობით მსჯელობებთან, მაგრამ სრულიად განსხვავდებიან ძველი ლოგიკის ექსისტენციალური მსჯელობებისაგან. ამრიგად გამოდის „მსჯელობის“ სამი სახე: ზოგადი, არსებობის და ერთეული „მსჯელობები“ (ერთეულია, მაგ. „ეს არის ადამიანი“), რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ტრადიციული ლოგიკის შესაბამისი სახელწოდებების მსჯელობებისაგან. მათემატიკურ ლოგიკაში, საბოლოოდ, უარყოფილია მსჯელობის სუბიექტი, მსჯელობა დაყვანილია პრედიკატზე.

ლოგიკას ეძახიან ფორმალურს, რამდენადაც მასში ცვლადების მოხმარება გამხდარა სისტემა. ეს კი, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ლოგიკაში მათემატიკის შეტანით, ლოგიკის მათემატიკად გადაქცევით.

მაშასადამე, მსჯელობის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ მსჯელობა არის ლოგიკურის ერთმხრიობა, რომელიც დასკვნას, როგორც მთელს — ერთიანობას, აუცილებლობით საჭიროებს და მოითხოვს. ეს არ ნიშნავს მსჯელობის არაობიექტურობას, არა, მსჯელობა ლოგიკურ-ობიექტური ერთმხრიობაა. მართალია, მსჯელობა ერთმხრიობაა, მაგრამ იგი კატეგორიასაც წარმოადგენს. მსჯელობა არის ლოგიკურის კატეგორია, იგი ლოგიკური რეფლექსიის ბუნებისაა. მსჯელობაში ადგილი აქვს კატეგორიულ აბსოლუტურობას (რომელიც დასკვნაში გამართლდება), რაც მდგომარეობს იმაში, რომ მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობას წარმოადგენს, მასვე ადგენს.

§ 106. მსჯელობის დასკვნაში გადასვლის შესახებ

მსჯელობის დასკვნაში ლოგიკურ გადასვლას განიხილავს მხოლოდ დიალექტიკური ლოგიკა (და არა ფორმალური ლოგიკა). „გადასვლა“ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა სინთეზურ-ლოგიკურ კავშირს[1], მაგალითად, მსჯელობისა დასკვნასთან. ეს კავშირი არსებითად. არის ლოგიკური აუცილებლობა, მაგალითად, მსჯელობისათვის დასკვნის აუცილებლობა. ეს არის სუბორდინაციის განხორციელება—დასკვნაზე მსჯელობის ლოგიკური დაქვემდებარების აუცილებლობა, დაქვემდებარება მარტივისა (მსჯელობა) უფრო რთულზე (დასკვნაზე). „გადასვლა“ არის მსჯელობის ბუნებიდან დასკვნის თავისებური ლოგიკური გამოყვანა და არა მსჯელობის გაიგივება დასკვნასთან[2]. „გადასვლა“ არის სინთეზურ-ლოგიკური სუბორდინაცია, როგორც თავისებური განვითარება. აღსანიშნავია მსჯელობის დასკვნაში გადასვლის რამდენიმე მომენტი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 88, 225 — 226.

[2] იხ. და შდრ. დასკვნაში ჩსჯელობის გადასვლის შესახებ **H e g e l. W. d. Logik, II,** გვ. 307—308.

როგორც ითქვა, ე. წ. უსასრულო მსჯელობა (მსჯელობა ლოგიკური სასრულია და არა უსასრულო; უსასრულო ლოგიკური არის მხოლოდ გარკვეული დასკვნა, დასკვნა, რომელსაც ქვემოთ სპეციალურად განვიხილავთ) მიდის მსჯელობის საზღვრამდე და დასკვნის აზრამდე, რადგან იგი მიდის ცნების ამოწურვამდე და დაპირისპირებულთა ერთიანობამდე. ცნების ამოწურვა სრულდება წინააღმდეგობით — A-ს და არა-A-ს წინააღმდეგობით, რომელიც შესაძლებელია და, ამ აზრით, მოითხოვს ერთიანობას საფუძვლად.

ასეთივე მდგომარეობაა, როგორც ვიცით, გაყოფით მსჯელობაში, სადაც „გვარი“ არის ერთიანობა, სახეები კი ერთი მეორეს გამორიცხავენ, ე. ი. შეადგენენ წინააღმდეგობას, რომელიც „გვარს“ ემყარება და მასში ხორციელდება. ეს „გაყოფითი მსჯელობა“ უნდა იყოს მხოლოდ ორწევროვანი, რადგან წინააღმდეგობას მხოლოდ ორი სრული სასრული მხარე აქვს.

ჩვენი აზრით, „გაყოფითი მსჯელობა“, როგორც მარტივი მსჯელობა, დაიყვანება „უსასრულო“ მსჯელობაზე (ჩვენებურად გაგებულ „უსასრულო“ მსჯელობის აზრზე); სხვანაირად შეუძლებელია, რამდენადაც საქმე გვაქვს სწორედ მსჯელობასთან — მტკიცება-უარყოფასთან, რაც, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, შეადგენს როგორც „გაყოფითის“, ისე „უსასრულო“ მსჯელობის აზრს.

„უსასრულო“ მსჯელობა სწორედ იმიტომ არის უსასრულო, რომ ის სასრულის ფარგლებს გარეთ გადის, რადგან: 1) წინააღმდეგობა ამოწურავს სასრულს, 2) წინააღმდეგობის ერთიანობა კი არის სასრულის შემცველი უსასრულო, რომელიც უკვე აღარაა მსჯელობა. ასე ხდება გადასვლა მსჯელობის სფეროდან დასკვნის, როგორც სრული შუალობითი კავშირის, სფეროში (ეს „გადასვლა“ არსებითად განსხვავდება იმ გადასვლისაგან, რასაც ჰეგელი აღიარებს).[1]

§ 108. კოპულის ბუნება და დასკვნა

მსჯელობის კოპულის ბუნება ზემოთ იქნა განხილული, აქ ჩვენ იგი გვაინტერესებს დასკვნაზე გადასვლის თვალსაზრისით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ვ. ი. ლენინი ეთანხმება ჰეგელის აზრს კოპულის ბუნების შესახებ, ვ. ი. ლენინი ეთანხმება ჰეგელის დებულებას იმის შესახებ, რომ კოპულა აჩვენებს (მიუთითებს) იმას, რომ

[1] **Hegel, W. d. Losik**, II, გვ. 307—308. იხ., აგრეთვე, ჩემი წიგნი „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“, 1959, გვ. 203—228.

„ცალკეული, სუბიექტი, არის იმდენადვე არა ცალკეულიც, არამედ ზოგადი“ („...vom Einzelnen dem Subjekte, aussagt, dass das Einzelne eben so sehr nicht Einzelnes, sondern Allgemeines ist. ეს ხაზგასმა ვ. ი. ლენინს ეკუთვნის.) ამ ამონაწერის ერთ მხარეზე ვ. ი. ლენინი მიაწერს: „ცალკეული = ზოგადს“, მეორე მხარეზე კი აღნიშნავს: „ცნებათა დიალექტიკა და მისი მატერიალისტური ფესვები“.[1] კოპულის ეს ბუნება უშუალოდ მიუთითებს და წარმოადგენს იმას, რომ აქ ადგილი აქვს ერთი ცნების (სუბიექტის) მეორეში (პრედიკატში) გადასვლას; ეს არის გადასვლა ერთეულიდან ზოგადში, როგორც მის საპირისპიროში. ნამდვილად აქ არის არა ორი ცნება, არამედ ერთი ცნების განვითარება, რომლის დასაწყისში იგი წარმოდგენილია სუბიექტის სახით, ბოლოს კი პრედიკატის სახით, ასე რომ ცნებას ერთეულისა და ზოგადის ერთიანობა შეადგენს და არა მისი რომელიმე მხარე.

მსჯელობის კოპულის ზემოთ მოყვანილი გაგება იმას მოწმობს, რომ მსჯელობა თავისი ბუნებით, რომელიც კოპულაშია განხორციელებული, აუცილებლობით მოითხოვს დაპირისპირებულთა ერთიანობას, რომლის ერთმხრიობასაც ის წარმოადგენს; მსჯელობა იმ მთელს — ერთიანობას მოითხოვს, რომლის მომენტსაც ის წარმოადგენს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მსჯელობა თვითონ არის გადასვლა (გადასვლა მსჯელობიდან დასკვნაზე).

§ 109. მსჯელობა როგორც გადასვლა

როგორც ახლა აღინიშნა, კოპულის ბუნება აჩვენებს იმას, რომ თვითონ მსჯელობა წარმოადგენს გადასვლას, სახელდობრ, ერთეულიდან ზოგადზე გადასვლას.

მაგრამ მსჯელობა თვითონ არის გადასვლა იმ აზრითაც, რომ მსჯელობა არაფერია საწინააღმდეგოში გადასვლის — საწინააღმდეგოსთან კავშირის გარეშე; მსჯელობას აზრი აქვს საწინააღმდეგო მსჯელობით; „ერთეული არის ზოგადი“ უაზრობაც კია იმის გარეშე, რომ „ერთეული არ არის ზოგადი“; „ცუგა არის ძაღლი“ შეუძლებელია, თუ ცუგა და ძაღლი არ არის სხვადასხვა, ამ აზრით, თუ „ცუგა არ არის ძაღლი“, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული. მსჯელობას აზრი აქვს როგორც სწორედ ერთმხრიობას, ცალმხრიობას, ე. ი. როგორც ისეთს, რომლისთვისაც აუცილებელია სხვა ერთმხრიობა (და

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 197, და „Ленинский сборник“, IX, გვ. 216

მთელი— ერთიანობა ამ ერთმხრიობათა). როგორც ზემოთ გაირკვა დადებითი მსჯელობის უარყოფითი მომენტი აზრს აძლევს მას (დადებით მსჯელობას), როგორც სინთეზურ მსჯელობას, თუმცა ეს უარყოფითი მომენტი ცალკე მსჯელობად, სახელდობრ, უარყოფით მსჯელობად უნდა გაფორმდეს და ფორმდება კიდეც. ამიტომ უნდა ითქვას, რომ აქ ადგილი აქვს ერთი მსჯელობის (დადებითი მსჯელობის) მეორეში (უარყოფით მსჯელობაში) გადასვლას და პირიქით; ამდენად ხორციელდება მოთხოვნა მათი ერთიანობისა; თუ დადებითი მსჯელობა აუცილებლობით მოითხოვს უარყოფითს და პირიქით, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია მათი ერთიანობა — დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობა. ეს ერთიანობა აუცილებელია თვითეული მსჯელობისათვის, რომელიც მის გარეშე შეუძლებელია. თვითეული ამ მსჯელობათაგანი შეუძლებელია საპირისპირო მსჯელობის და მასთან ერთიანობის გარეშე. დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობის მოთხოვნა, ე. ი. სრული შუალობითი კავშირის მოთხოვნა, ეს არის დასკვნის მოთხოვნა, მსჯელობის გადასვლა დასკვნაში მსჯელობისათვის დასკვნის აუცილებლობა; მსჯელობის გამართლება დასკვნაში ხდება; მსჯელობა თავისთავს დასკვნაში ამართლებს (აქ აღნიშნული იმასაც ამტკიცებს, რომ დასკვნა უნდა გვესმოდეს როგორც აუცილებელი შუალობითი კავშირი, საბოლოოდ, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, და არა მხოლოდ „გამომდინარეობა").

§ 110. მსჯელობა როგორც დანასკვი

ზემოთ გარკვეული იმას ნიშნავს, რომ მსჯელობა მოითხოვს საკუთარი თავის გამართლებას დასკვნა-დასაბუთებაში. ისეთი მსჯელობა, რომელიც გასამართლებელია ან გამართლებულია, არის დანასკვი ან თეზისი. ასეთია ყველა მსჯელობა, რომელიც ყოველთვის ერთმხრიობაა (რამდენადაც ის არაენთიმემურია) და ამიტომ აზრი აქვს მთელით და მთელში, როგორც ერთიანობაში. მსჯელობა, როგორც დანასკვი (თუ თეზისი), ცხადია, ლოგიკურად წანამძღვრებს მოითხოვს; დანასკვის და წანამძღვრების ერთიანობა კი არის დასკვნა. მსჯელობის ბუნება დასკვნაში გადასვლაში მდგომარეობს. ამ გადასვლას წარმოადგენს.

რადგან ყოველი მსჯელობა არის დანასკვი — ყოველი მსჯელობა მოითხოვს საპირისპიროს და თავისში შეიცავს ამ საპირისპიროს ნიშანს, ამიტომ ყოველი მსჯელობა მოითხოვს დასაბუთებას (აქ ფსიქოლოგიური სიცხადე უნდა გამოირიცხოს). ყოველი მსჯელობა უნდა გა-

მართლდეს და მართლდება დასკვნა-დასაბუთებაში (რომელიც ყოველთვის არ არის გარეგანი საფუძვლის გამოყენება, როგორც ამას ქვემოთ ნათელვყოფთ); მაშასადამე, ყოველი მსჯელობა უფრო მარტივი და დაბალია დასკვნასთან შედარებით. ამდენად, მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა არის ლოგიკური განვითარება.

ეს განვითარება, როგორც დასკვნიდან წანამძღვრებში, შედეგიდან საფუძველზე გადასვლა ფორმალურ ლოგიკაში შეუძლებლად არის მიჩნეული (პირობით-კატეგორიული სილოგიზმის მცდარ მოდუსს წარმოადგენს), თუმცა ინდუქცია (როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ) სწორედ ასეთ გადასვლას უნდა წარმოადგენდეს, რამდენადაც კერძოდან ზოგადზე გადასვლისას ზოგადი მაინც გაგებულია. როგორც კერძოს საფუძველი. შედეგიდან საფუძველზე გადასვლის აუცილებლობა, ეს არის რედუქციის აუცილებლობა, რაც ფორმალურ ლოგიკაში გაურკვეველია, დიალექტიკურ ლოგიკაში კი შესაძლებელია მისი გარკვევა; ამით აქ აღნიშნული განვითარების ბუნებაც ნათელყოფილი გახდება (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ჩვენ ქვემოთ—დასაბუთების თეორიაში—ვილაპარაკებთ).

მაშასადამე, მსჯელობა, როგორც დანასკვი, უკვე დასკვნაზე გადასვლას მოასწავებს.

§ 111. მსჯელობა როგორც საფუძველი

ზემოთ ნათქვამი იმასაც ნიშნავს, რომ მსჯელობა არის საფუძველი არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩვეულებრივად წანამძღვარი არის მსჯელობა, რომელიც საფუძველს წარმოადგენს დანასკვისათვის, არამედ იმ აზრით, და ეს არის ჩვენთვის მთავარი, რომ მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ეს მსჯელობა როგორღაცნაირად საფუძველს წარმოადგენს; გადასვლა ხდება საფუძვლიდან შედეგზე; მაგრამ თუ შებრუნებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, მაშინაც შედეგი უნდა წარმოადგენდეს რაღაც თავისებურ საფუძველს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისგან სხვაზე ლოგიკური გადასვლა შეუძლებელი იქნებოდა, არ იარსებებდა.

მსჯელობიდან, როგორც საფუძვლიდან, დასკვნაზე გადასვლა. ცხადია, არ არის გარეგანი საფუძვლიდან გარეგან შედეგზე გადასვლა; არა, რადგან საფუძველიც და შედეგიც ხომ დასკვნის შემადგენელი მხარეებია? ეს არის მსჯელობის დასკვნად სრულყოფა, ერთი მსჯელობის მეორე მსჯელობით „შევსება“, რაც უკვე დასკვნას წარმოადგენს. დასკვნა მსჯელობების, როგორც საფუძვლისა და შე-

დეგის, ერთიანობაა. მსჯელობის დასკვნაზე გადასვლა, ეს არის თავისებური კერძოს, სახელდობრ, ერთმხრიობის გადასვლა ზოგადზე, როგორც ერთიანობაზე; ეს არის შინაარსეული კერძოდან შინაარსეულ ზოგადზე გადასვლა; ამიტომ იგი თავისებურ ინდუქციას წარმოადგენს; მასში მართლდება ინდუქციის აზრი. ეს არის ინდუქცია, სადაც საფუძველი არის მსჯელობა, როგორც კერძო, შედეგი კი ზოგადია, რაც დასკვნას წარმოადგენს. მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა არის თავისებური ინდუქცია, ლოგიკური ინდუქცია სწორედ ლოგიკურ ფორმებში. როგორც ეს ქვემოთ გაირკვევა, ასეთი გადასვლა-განვითარება დიალექტიკურ-ლოგიკურ გადასვლას წარმოადგენს და არ ღიყვანება იმ ინდუქციაზე, რომლის ბუნებაზეც ახლა მივუთითეთ.

მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლისას, მსჯელობა არის საფუძველი, რადგან, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, დადებითი მსჯელობა, რომელიც ყოველთვის სინთეზურია, შეიცავს უარყოფის მომენტს, რომელიც უარყოფითი მსჯელობის სახით ფორმდება, და ამიტომ დადებითი მსჯელობა აუცილებლობით უკავშირდება უარყოფით მსჯელობას; მსჯელობათა ეს აუცილებელი კავშირი კი შეადგენს გარკვეულ შუალობით კავშირს, რომელსაც დასკვნა უნდა ეწოდოს (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით დასკვნის თეორიაში). დადებითი და უარყოფითი მსჯელობების აუცილებელი ერთიანობა არის გარკვეული დასკვნა, რომელსაც ორი საპირისპირო მხარე—მომენტი აქვს. როგორც შემდეგ უფრო სრულად გაირკვევა და ახლაც აღინიშნა, ეს ერთიანობა მიიღება არა ერთი მსჯელობით, არამედ ორი მსჯელობით; ამდენად ეს ორი მსჯელობა, როგორც ორი კერძო, ორი სრული ერთმხრიობა, იქნება საკუთარი ერთიანობის საფუძველი. მსჯელობა, როგორც ერთმხრიობა და ამავე დროს როგორც საფუძველი, ამართლებს დასკვნაში თავისთავს, თუმცა დასკვნის გამართლება, როგორც მისი შესაძლებლობა, მსჯელობით ხდება. ამ აზრით მსჯელობა არის საფუძველი. საფუძველი გამმართლებელს ჰქვია. თუ დასკვნაში მართლდება მსჯელობა, მაშინ დასკვნა იქნება საფუძველი. მაგრამ დასკვნის გამართლება ხდება მსჯელობით, რომლის გარეშეც ის შეუძლებელია. მსჯელობის სისრულით წარმოდგენა, როგორც მისი ერთმხრიობის დაძლევა და ერთიანობაზე გადასვლა მას (მსჯელობას) გარკვეულ საფუძვლად იყენებს. მსჯელობის აზრის შევსება მისთვის აუცილებელი საპირისპირო მსჯელობით არის უკვე არა მსჯელობა, არამედ დასკვნა—დასკვნაზე გადასვლა. ძაშასადამე, მსჯელობა არის გარკვეული საფუძველი (თუმცა, მეორე მხრივ, როგორც ითქვა, ის შედეგიცაა).

მსჯელობა თავისი ბუნებით არის ანტინომიური. ეს გარემოება ზემოთ იყო გადმოცემული, მაგრამ აქ საჭიროა, ამ მხრივ, იმის უფრო გარკვეულად წარმოდგენა, რაც აქამდე ერთგვარ გაურკვეველობას შეიცავდა.

მსჯელობა ანტინომიური ბუნებისაა, რადგან, როგორც ითქვა: 1) დადებითი მსჯელობა შეიცავს უარყოფის მომენტს, რომელიც უარყოფითი მსჯელობით ფორმდება; „ცუგა არის ძაღლი“ შეიცავს იმასაც, რომ ცუგა, როგორც ერთეული, არ არის ძაღლი, როგორც ზოგადი; პირიქით, ეს ორი რამ ერთი მეორის საპირისპიროა. უფრო ზოგადად: „კერძო არის ზოგადი“ და „კერძო არ არის ზოგადი“ ერთიმეორის საწინააღმდეგო მსჯელობებია, მაგრამ ერთსა და იმავე მსჯელობას წარმოადგენენ, ერთი და იგივე მსჯელობის აზრის გამომხატველნი არიან; უკეთ ერთი და იგივე მსჯელობა ორდება ამ ორ საპირისპირო მხარედ; „კერძო არის ზოგადი“ შეიცავს მის საპირისპიროს „კერძო არ არის ზოგადი“. აქ ნათელია ანტინომიურობა; 2) ეს ანტინომიურობა ახასიათებს სინთეზურ მსჯელობას, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ტავტოლოგიური მსჯელობაც ანტინომიურია, რადგან მისი დადებითობა იგივე უარყოფითობაა,—ტავტოლოგიურობა არაფრის გამოთქმაა, 3) როგორც აღინიშნა, მსჯელობა შედეგიცაა და საფუძველიც, გასამართლებელიცაა და გამმართლებელიც; როგორ უნდა გადაწყდეს ეს დაპირისპირება? ამას საბოლოოდ თვითონ მსჯელობა, როგორც ითქვა, ვერ პასუხობს.

მაშასადამე, მსჯელობის ბუნება ანტინომიურია. მაგრამ ისიც ითქვა, რომ მსჯელობაში დაპირისპირებულები ერთიანობაში არიან; ეს ამართლებს მსჯელობას, მაგრამ ლოგიკური დაპირისპირებათა ერთიანობა მეტია მსჯელობაზე, ის დასკვნა-დასაბუთებას წარმოადგენს. მსჯელობის ანტინომიურობა უნდა გადაწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსჯელობა უაზრობა იქნება; ეს გადაწყვეტა კი მოხდება დასკვნაში (სახელდობრ, უსასრულო დასკვნაში), როგორც დადებით დიალექტიკურ-ლოგიკურში. მსჯელობის ანტინომიურობა უარყოფითი დიალექტიკურ-ლოგიკურია; ამ ანტინომიურიობის გადაწყვეტა—ე. ი. მისი მოხსნა-შენახვა (არა გაუქმება) მოხდება დასკვნაში, რომელიც დადებით-დიალექტიკურ-ლოგიკური ბუნებისაა. აქ ყველაზე ნათლად ჩანს მსჯელობისათვის დასკვნის აუცილებლობა, მსჯელობის დასკვნაში გადასვლის აუცილებლობა.

როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, მსჯელობის ანტინომიურობას უშუალო დასკვნა კიდევ უფრო გარკვევით წარმოადგენს. სრული შუალობითი დასკვნა კი მას გადაწყვეტს, გადაწყვეტს დიალექტიკურად, ე. ი. წინააღმდეგობას შეინახავს, არ გააუქმებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მსჯელობის პრობლემა გადაწყდება სრულ დასკვნა. დასაბუთებაში. ამით ამოიწურება ლოგიკურის ბუნებაც. ამიტომ მსჯელობა არის ლოგიკურის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ფორმა; მის გარდა აუცილებელია სხვა ფორმაც.

თავი მეორე (6)

უშუალო დასკვნა

§ 113. უშუალობის ცნება

შეიძლება ითქვას (და ამბობენ კიდეც), რომ უშუალო არის ის, რასაც წინ არაფერი არ უსწრებს, ე. ი. რაც არის დასაწყისი; მაგალითად, უშუალო შემეცნება არის გრძნობადი — „ცოცხალი" განჭვრეტა, რადგან მას არავითარი შემეცნება ფაქტიურად წინ არ უსწრებს; ამბობენ, რომ „შემეცნება ცდით იწყება". მაგრამ „ცოცხალი განჭვრეტა", როგორც უშუალო შემეცნება, არ არის ისეთი რამ, რასაც არაფერი არ უსწრებს წინ. ყოველგვარ შემეცნებას წინ უსწრებს საგანი, რომლის შემეცნებასაც ის წარმოადგენს, ამიტომ იგი გაშუალებულია საგნით. მაგრამ გრძნობადი შემეცნება არის უშუალო იმ აზრით, რომ ის პირველია — დასაწყისია შემეცნებაში, რომ მას სხვა არავითარი შემეცნება წინ არ უსწრებს; დასაწყისი შემეცნება, შემეცნების დასაწყისი არის უშუალო სწორედ შემეცნების აზრით. ის, რასაც არაფერი არ უსწრებს წინ, არის აბსოლუტურად უშუალო. მაგალითად, მთელი სინამდვილე არის ისეთი რამ, რომელსაც არაფერი წინ არ უსწრებს; ამ აზრით ის თავისთავის მიმართ უშუალოა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება ავიღოთ სინამდვილე მთლიანად და მის წინ არსებულს დავუწყოთ ძიება, რადგან სინამდვილე ყოველმხრივ უსასრულოა.

ამიტომ როცა რაიმეს უშუალობაზე ლაპარაკობენ, მაშინ მხედველობაში აქვთ ის, რომ ეს რაიმე არის პირველი თავის მსგავსთა შორის, რომ მას წინ არ უსწრებს მისი ისეთი განმსაზღვრელი, რომელიც მისი ბუნების შეხებია. ამ აზრით ლაპარაკობენ ცოცხალ განჭვრეტაზე, როგორც უშუალო შემეცნებაზე. ამგვარი უშუალო არის დასაწყისი, ამ შემთხვევაში — შემეცნების დასაწყისი, პირველი შემეცნება.

უშუალო, როგორც პირველი, შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად; მაგალითად, არისტოტელეს აზრით, „ბუნებისათვის

პირველი“ არის უზოგადესი. „ჩვენთვის პირველი“ კი კერძო საგანია[1] (ინდუქციური შემეცნების თვალსაზრისით). არსებობს ისეთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, უშუალო არის არა გრძნობადი შემეცნება, არამედ ინტელექტუალური ინტუიცია, ე. ი. ისეთი უშუალობა, რომელიც გრძნობადი ინტუიციისაგან არსებითად განსხვავდება. ინტელექტუალური ინტუიციის მაგალითს წარმოადგენს ის ინტუიცია, რომელიც ნავულისხმევია, მაგალითად, გეომეტრიის აქსიომებში; გეომეტრიის აქსიომები ინტუიციურ, სახელდობრ, ინტელექტუალურად ინტუიციურ დებულებებს წარმოადგენენ.

მაგრამ ჩვენ აქ შემეცნების დასაწყისი, ან ინტუიციური შემეცნება, შემეცნების თვალსაზრისით აღებული უშუალობა კი არ გვაინტერესებს, არამედ ლოგიკური თვალსაზრისით აღებული უშუალობა. აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ინტუიცია, როგორც უშუალობა, არ არის ლოგიკური ხასიათისა; ამიტომ იგი ლოგიკური უშუალოს ცნებაში არ შედის; ლოგიკურად უშუალო სხვა რამ უნდა იყოს, ვიდრე ინტუიცია, რომელსაც ან შემეცნებითი აზრი აქვს, ან ფსიქოლოგიური; ინტუიცია ფსიქოლოგიურია; ინტუიცია სუბიექტის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, ანდა ის შემეცნების სუბიექტის გარკვეულ მდგომარეობას წარმოადგენს, რაც ლოგიკურში არ შეიძლება იგულისხმებოდეს. არავითარი ინტუიცია არ არის ლოგიკური უშუალო, რომელიც სხვა რაიმეს უნდა წარმოადგენდეს.

ზემოთქმულიდან ის გამოდის, რომ ლოგიკურად უშუალო შეიძლება იყოს ის, რასაც წინ არ უსწრებს სხვა ლოგიკური, რაც ლოგიკურად პირველს წარმოადგენს. ლოგიკურად პირველი კი შეიძლება იყოს რაიმე ლოგიკურის პირველი, შეიძლება საერთოდ ლოგიკურის დასაწყისადაც იქნეს გაგებული. ორივე შემთხვევაში საქმე გვექნება უშუალოსთან ლოგიკური აზრით. ერთი სიტყვით, უშუალო არის ის, რაც პირველია, რასაც სხვა არ უსწრებს წინ. მაგალითად, დასაბუთებისათვის პირველი, ე. ი. დასაბუთებისათვის უშუალო არის დასაბუთების დასაწყისი. ამიტომაა, რომ დასაბუთების დასაწყის დებულებებს — აქსიომებს უშუალობის სფეროდ წარმოადგენენ. დასაბუთების თვალსაზრისით, უშუალო არის ის, რაც სხვა რაიმეთი არ საბუთდება; ის, რაც პირველია დასაბუთების ხაზით, რასაც სხვა ლოგიკური საფუძველი არ აქვს. ლოგიკურად უშუალო არის დაუსაბუთებელი, უკეთ, სხვა რაიმეთი, სახელდობრ, სხვა ლოგიკურით დაუსაბუთებელი. თუ რაიმე დასაბუთებაში არის უწანამძღვრო, დაუსაბუთებელი, ის იქნება ლოგიკურად უშუალო

[1] არისტოტელე, ფიზიკა, 184a; „მეორე ანალიტიკა“, წ. I, 71b—72a 7.

სხვანაირად. შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკურად უშუალო არის ის, რასაც ლოგიკურად განმსაზღვრელი არ უსწრებს წინ, ამ აზრით, რაც ლოგიკურად განუსაზღვრელია. მაგრამ ხომ შეიძლება დასაბუთებაში ლოგიკურად რაიმეს სხვა წინ არ უსწრებდეს, მაგრამ ის მაინც იყოს სხვა რაიმეთი განსაზღვრული, განსაზღვრული იყოს არა წინწასწრებულით, არამედ შედეგით და შემდეგით, როცა დასაბუთების დასაწყისად აქსიომას (აქსიომებს) მიიჩნევენ, მაშინ ეს აქსიომები, ცხადია, არაფერი წინწასწრებულით ლოგიკურად არ არიან განსაზღვრული, მაგრამ ისინი თავისებურად განისაზღვრებიან იმით, რის აქსიომებსაც ისინი წარმოადგენენ; ამიტომაა, რომ არსებობს სხვადასხვა გეომეტრიის სისტემის სხვადასხვა აქსიომები, მათემატიკური ლოგიკის სხვადასხვა სისტემის სხვადასხვა აქსიომები. ერთი და იგივე აქსიომები არ შეიძლება სხვადასხვა სისტემას აფუძნებდნენ.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ უშუალო არის ის, რაც არ განისაზღვრება არც წინამავლით, არც შემდეგით. შემდეგით განსაზღვრული ხომ შემდეგით იქნება გაშუალებული. მაშასადამე, ლოგიკურად უშუალო არის ლოგიკურად განუსაზღვრელი. უშუალო არის განუსაზღვრელი. ყოველი განსაზღვრული იქნება გაშუალებული და არა უშუალო.

ამრიგად, ლოგიკურად განუსაზღვრელი არის უწანამძღვარო და უშედეგო — წანამძღვართა და შედეგთა არმქონე. რაიმე სხვასთან დაკავშირებული უსათუოდ არის განსაზღვრული, როგორღაც გაშუალებული და არა უშუალო. თუ რაიმე უშუალოდ არის სხვა რაიმე, მაშინ მათ შორის არ შეიძლება განსხვავება იყოს, ისინი იგივეობრივი იქნებიან, ადგილი ექნება განმეორებას. რაიმე აღარაა უშუალო, თუ ის სხვასთან არის დაკავშირებული: 1) ან რაიმეს საშუალებით, ან 2) ამ საშუალოს გარეშე, მაგრამ განსხვავებულთან დაკავშირებული, სადაც კავშირი უარყოფით არის განსაზღვრული, სადაც ერთი რაიმე მისგან განსხვავებულით არის გაშუალებული.

უშუალო, როგორც განუსაზღვრელი, ლოგიკურად გაურკვეველია. ყოველი გარკვეული განსაზღვრულია. ყოველი ლოგიკურად გარკვეული ლოგიკურად გაშუალებულია.

მაგრამ თუ უშუალო გაურკვეველია, მაშინ შეუძლებელი ყოფილა ლოგიკური უშუალო, რადგან გაურკვეველი ლოგიკური შეუძლებელია, ლოგიკური ყოველთვის გარკვეულია. ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით არა საერთოდ გაურკვეველზე, არამედ განუსაზღვრელ — გაურკვეველზე. მაგრამ რაც სხვით არ არის განსაზღვრული თუ გარკვეული, ის ხომ შეიძლება იყოს თავისთავში განსაზღვრული და

გარკვეული. თავისთავთან იგივეობრივი ხომ სრულიად გარკვეული რამ უნდა იყოს? სწორედ იგივეობა უნდა გვაძლევდეს გარკვეულობას. ამიტომაა, რომ ლოგიკურის ერთ-ერთ კანონად სწორედ იგივეობის კანონია მიჩნეული. ამდენად უნდა ითქვას, რომ ლოგიკურად გარკვეული უშუალო არის ის, რაც თავის თავთან იგივეობრივია; ლოგიკური უშუალობა თავის თავთან იგივეობაში მდგომარეობს. ასე დაზუსტებული უშუალოს ცნება შეიძლება გამოითქვას სიტყვებით: „აი ეს“, „ეს არის ეს“ (ლოგიკური „ეს“).

ამდენად, უნდა ითქვას, რომ ამგვარად გაგებული უშუალო არის არა მხოლოდ რაიმე, როგორც დასაწყისი, სახელდობრ, გაშუალების დასაწყისი, არამედ გაშუალების შედეგიც. მაგალითად, ცნების განსაზღვრების დასაწყისიც უშუალოა, რადგან ის ჯერ არ არის განსაზღვრული, მაგრამ განსაზღვრების შედეგიც უშუალოა. რადგან სწორედ განსაზღვრების შედეგად არის მიღებული ცნება. როგორც „ეს“, თავისთავთან იგივეობრივი ცნება. დამთავრებული ცნება (დაუმთავრებელი ცნება არ არსებობს) არის თავის თავთან იგივეობრივი, უშუალო. უშუალობა, როგორც თავის თავთან იგივეობა, ყველაფერს ეხება, ასეთია ყველაფერი. არაფერი არ არსებობს უშუალობის გარეშე; აღნიშნული აზრით, ყველაფერი არის უშუალო.

თუ უშუალობა არის თავის თავთან იგივეობა და „რაიმე უშუალოდ არის სხვა“ მათ იგივეობას ნიშნავს, მაშინ უშუალობა ყოფილა განუსხვავებლობა; სადაც განსხვავებაა, იქ განსაზღვრულობაცაა, ამიტომ არაა უშუალობა. მაგრამ „განუსაზღვრელობა“ შეიძლება გაგებულ იქნეს ორგვარად: სხვისგან განუსხვავებლობა და თავისთავში განუსხვავებლობა. ის, რაც სხვისგან განუსხვავებელია, ცხადია, იგივეობრივია სხვასთან, უშუალოდ არის სხვა. ის კი, რაც სხვისგან განსხვავებულია, თავისთავთან იგივეობრივია. მაგრამ სხვისგან განსხვავებული და თავისთავთან იგივეობრივი შეიძლება თავის თავში — თავის შიგნით იყოს განსხვავებული, შინაგანი განსხვავებულობის მქონე. ასეთი რამ იქნება შინაგანი შუალობის მქონე, ის არ იქნება შინაგანად უშუალო.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სხვასთან დამოკიდებულების აზრით უშუალო შეიძლება იყოს თავისთავში გაშუალებული, „აი ეს“ შეიძლება იყოს შინაგანი განსაზღვრულობის, შინაგანი განსხვავებულობის — გაშუალების მქონე, მაგრამ მთლიანად აღებული იყოს უშუალო. ასეთია, მაგალითად, განსაზღვრების შედეგად მიღებული ცნება, მსჯელობა, დასკვნა. ცნება, როგორც ცნება, არის უშუალოდ აღებული ცნება. ასე ითქმის მსჯელობისა და

დასკვნის შესახებაც. თუმცა მათში არის განსხვავებულობა და გაშუალება, გარკვეული შუალობითობა.

ამრიგად, ყოველი ლოგიკური, როგორც გარკვეული, არ შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო, წმინდა უშუალობა. არაფერი არ შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო. წმინდა უშუალო ლოგიკურად შეუძლებელია, რადგან ლოგიკური ყოველთვის არის გარკვეული-განსაზღვრული. შეუძლებელია ლოგიკურად მხოლოდ უშუალო. ცალკე აღებული უშუალო, რადგან ასეთი გამოყოფა თვითონ არის სრულიად გარკვეული გაშუალება. ასე რომ, როგორც ამას ქვემოთ დავამტკიცებთ (იხ. ქვემოთ შუალობის ცნების შესახებ), „ყველაფერი არის უშუალო“ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერს აქვს უშუალობის მხარე თუ მომენტი; ამიტომ არაფერი არ არის მხოლოდ უშუალო. ლოგიკურად, კატეგორიალურად (ლოგიკურად ზოგადი ფორმით) უშუალობის ცნება გულისხმობს გაშუალების — შუალობის ცნებას. ორივე ეს ცნება — კატეგორია — ფარდობითია, ერთიმეორის მიმართ აქვთ აზრი. ამიტომ აუცილებელია მათი ერთიანობა, მათი განუყოფლობა, მაგრამ ეს უკვე გაშუალების ბუნებას წარმოადგენს. უშუალობა იხსნება პასუხით კითხვაზე: რა არის უშუალო? უშუალოს განსაზღვრება უკვე გაშუალებაა. განსაზღვრება უკვე არის გაშუალება. ამიტომ გაშუალებას ადგილი აქვს ცნებაშიც, მსჯელობაშიც, თუმცა ისინი უშუალონიც არიან, მით უმეტეს — დასკვნის გაშუალებასთან შედარებით.

§ 114. უშუალო დასკვნის ცნება

მსჯელობის ზემოწარმოებულმა განსაზღვრამ გვაჩვენა, რომ უშუალო დასკვნა არის მსჯელობის დასრულების შედეგი, მაგრამ ის არის დასაწყისი, სხვა — მსჯელობისაგან განსხვავებული ფორმის — აზრის სხვა ლოგიკური ფორმისა. ამიტომ ის არის გაშუალებული მსჯელობით, მაგრამ უშუალოა, როგორც დასკვნის დასაწყისი. ასე ითქმის თვითონ მსჯელობის შესახებაც. მსჯელობის სუბიექტი არის დასაწყისი — უშუალო მსჯელობაში, ასევე დამთავრებული მსჯელობაც, როგორც ასეთი, არის უშუალო, ის არის გარკვეული „ეს“—იგივეობრივი თავის თავთან; თუმცა მსჯელობის შიგნით ადგილი აქვს გაშუალებას, სახელდობრ, პრედიკატის მიერ სუბიექტის გაშუალებას; სუბიექტს განსაზღვრავს პრედიკატი, აშუალებს მას; სინთეზური მსჯელობა, როგორც ვიცით, უარყოფის შემცველია, ე. ი. მსჯელობა თავისთავში განსხვავებული და გაშუალებუ-

ლია. მაგრამ მსჯელობა უშუალოა, აგრეთვე, იმ მხრივაც, რომ ის დასკვნის დასაწყისია; დასკვნა მსჯელობით იწყება.

როგორც აღინიშნა, მსჯელობის სინთეზურობა. ამიტომ თვითონ მსჯელობა გამართლებას საჭიროებს, მისი ბუნება შეიცავს ისეთ დაპირისპირებას, რომელიც უნდა გადაწყდეს, რაც მსჯელობის გამართლებას წარმოადგენს. ეს გამართლება დასკვნაში გადასვლით და დასკვნით ხორციელდება. მსჯელობის სინთეზურობის გამართლების დასაწყისს წარმოადგენს უშუალო დასკვნა, როგორც პირველი დასკვნა. მსჯელობა დასკვნა-დასაბუთებაში მართლდება. ამიტომ არის აუცილებელი და საჭირო მსჯელობის დასაბუთება, რომელიც, როგორც ნათქვამიდან ჩანს, შესაძლებელიცაა.

უშუალო დასკვნა არის უშუალო მხოლოდ შუალობით დასკვნასთან შედარებით, ისე კი ლოგიკური აზროვნება არ შეიძლება მხოლოდ უშუალო იყოს. როგორც ითქვა, მსჯელობაშიც არის აუცილებელი შუალობითობა; მით უმეტეს დასკვნა არ შეიძლება იყოს უშუალო. ყოველი დასკვნა და ყოველი აბსტრაქტულ-ლოგიკური არის შუალობითი (უშუალობის და შუალობის ერთიანობა). რადგან უშუალო დასკვნა არის უშუალო შუალობით დასკვნასთან შედარებით, ამიტომ უშუალო დასკვნის ბუნება გარკვეულად მხოლოდ შუალობითი დასკვნის განხილვისას წარმოდგება.

უშუალო დასკვნას უწოდებენ ერთი მსჯელობიდან მეორის გამოყვანას, სახელდობრ ისეთ გამოყვანას, როცა ამ ორ შორის შუაში არაფერია; უშუალო დასკვნაში არ არის საშუალო. უშუალო დასკვნის წანამძღვრად აღებულია ერთი მსჯელობა, საიდანაც აუცილებლობით მიიღება მეორე მსჯელობა, როგორც დანასკვი, როგორც შედეგი. უშუალო დასკვნა არის პირველი, მარტივი სახე საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებისა, მათი აუცილებელი კავშირისა.

უშუალო დასკვნის ასეთი გაგება მართებულია; მაგრამ ამას უნდა დაემატოს შემდეგი: ყოველ გამოყვანაში, ყოველ დასკვნაში არის უშუალობის მომენტი, სახელდობრ, თავის თავთან იგივეობა, ის, რომ ეს აზრი არის სწორედ „ეს". უშუალო დასკვნის წანამძღვარიც უშუალოა და დანასკვიც, მაგრამ მათ შორის არის გაშუალება, რადგან საფუძველი — წანამძღვარი აშუალებს შედეგს და შედეგი განსაზღვრავს თავის საფუძველს, რამდენადაც საფუძველი შედეგის საფუძველს ჰქვია. შედეგი კი საფუძვლის შედეგს ეწოდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ კატეგორიების გადასვლებიც უშუალო დასკვნებს წარმოადგენენ. რაოდენობა, როგორც ასეთი, არის მისი

თვისობრიობა; კერძო. როგორც ვთქვით, არის ზოგადობა და სხვა. რაოდენობის ცნება არის თვისობრიობის ცნების გარკვეული საფუძველი. კერძოც ზოგადის გარკვეული საფუძველია (ინდექციას ამით აქვს აზრი), და სხვ. ყველაფერი ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს უშუალო დასკვნა არ განსხვავდებოდეს მსჯელობისაგან. „კერძო არის ზოგადი" წარმოადგენს მსჯელობას, მაგრამ „თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი" წარმოადგენს უშუალო დასკვნას, რამდენადაც აქ ადგილი აქვს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას; პირველ შემთხვევაში (მსჯელობის შემთხვევა) კი პრედიკაციის დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. მსჯელობაში გვაქვს სუბიექტი და პრედიკატი, დასკვნაში კი — საფუძველი და შედეგი.

უშუალო დასკვნა არის ლოგიკური გადასვლა საფუძვლიდან შედეგზე, ან პირიქით, როცა საფუძვლის ლოგიკური განსაზღვრულობის ბუნებიდან პირდაპირ — მესამეს გარეშე — გამომდინარეობს მეორე, სხვა, როგორც შედეგი (ან საფუძველი). ეს გადასვლა ექვემდებარება პრინციპს: „თუ არის A, მაშინ არის B", მაგრამ ისე, რომ ეს („თუ — მაშინ") ნიშნავს: 1) საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას (და არა მათემატიკური ლოგიკის იმპლიკაციას), 2) სინთეზურობას გადასვლაში, 3) იმას, რომ გადასვლა არის აზრობრივი, ე. ი. შინაარსეული; ის არის შინაარსეული ფორმა და არა სქემა, აზრობრივი გადასვლა და არა სიმბოლოთა კავშირი.

უშუალო დასკვნას წარმოადგენს ყოველი ორი მსჯელობის ლოგიკური დამოკიდებულება, აუცილებელი დამოკიდებულება ორ მსჯელობას შორის. უშუალო დასკვნას წარმოადგენს მსჯელობათა გარდაქმნები, აგრეთვე, ე. წ. რთული მსჯელობები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. (სწორედ ზემოთ აღინიშნა, მაგალითად, ის, თუ რით განსხვავდება პირობითი მსჯელობა, როგორც მსჯელობა „პირობითი მსჯელობისაგან" როგორც უშუალო დასკვნისაგან, ასევე — გაყოფითი მსჯელობა „გაყოფითი მსჯელობისაგან" როგორც დასკვნისაგან, და სხვ.).

როგორც ჩვენ შემდეგ დავინახავთ, უშუალო დასკვნა არის მომენტი ყოველი შუალობითი ლოგიკური კავშირისა—შუალობითი დასკვნისა. არავითარი დასკვნა არ არის შესაძლებელი უშუალო დასკვნითი კავშირის გარეშე. უშუალო დასკვნითი კავშირი ერთი მხარეა ყოველი სინთეზური შუალობითი კავშირისა. ანალიზური შუალობითი დასკვნები კი პირდაპირ არიან უშუალო დასკვნები.

ძველ ფორმალურ ლოგიკაში განხილული უშუალო დასკვნები წარმოადგენენ ანალიზურ, ტავტოლოგიურ დასკვნებს; აქ უშუალო დასკვნა არის ერთი და იგივე აზრის სხვადასხვა წინადადებით გამოთქმა, მაშინ როცა უშუალო დასკვნა უნდა იყოს ერთი აზრიდან განსხვავებული აზრის აუცილებელი მიღება, რაც არ არის გარკვეულად წარმოდგენილი ძველ ლოგიკაში. ავიღოთ ტავტოლოგიური უშუალო დასკვნის რამდენიმე მაგალითი.

უკუქცევა (Conversio) არის უშუალო დასკვნა მსჯელობის (წანამძღვარის) პრედიკატზე. მოცემული მსჯელობიდან გამოიყვანება მსჯელობა, სადაც სუბიექტს და პრედიკატს, წანამძღვართან შედარებით, შეცვლილი ადგილები უკავია; მაგალითად, „ყველა ადამიანი მოკვდავია, მაშასადამე, ზოგიერთი მოკვდავი არის ადამიანი". აქ დანასკვში იგივე აზრია, რასაც ადგილი ჰქონდა წანამძღვარში. წანამძღვარში ლაპარაკია ყველა ადამიანზე და არა ყველა მოკვდავზე, ამიტომ დანასკვშიც გამოთქმულია, რომ არა ყველა მოკვდავია ადამიანი. თუ ადამიანი მოკვდავია, მაშინ „მოკვდაობაში" არის ისეთი რამ, რაც ემთხვევა ადამიანობის ერთ ნიშანს; შებრუნება ხდება ამ იგივეობის საფუძველზე, მის გამო (სწორედ ამის გამო ხორციელდება მარტივი უკუქცევა განსაზღვრების გამომთქმელ მსჯელობაში). აქ დასკვნა ერთი და იგივე ნიშნის განმეორებაა (თუ მოცულობას, რომელსაც ემყარება უკუქცევა, არ მივიღებთ მხედველობაში; თუ მოცულობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ დასკვნის ანალიზურობა ნათელი ხდება, რადგან „ზოგიერთი" „ყველას" ნაწილია და აქედან პირდაპირ გამოდის), სახელდობრ, ადამიანში მოკვდაობის ნიშანი, ცხადია, იქნება მოკვდაობის ნიშანი ადამიანში. ამაში მდგომარეობს უკუქცევის აზრი და ნათლად ჩანს მისი ტავტოლოგიურობა. ტავტოლოგიურობა კი დასკვნაში არაფერს გვაძლევს, ამიტომ აღნიშნული დასკვნა არ უნდა წარმოადგენდეს დასკვნას. სწორედ ამიტომ ვამბობენ: ეს არის დასკვნა თუ მსჯელობის გარდაქმნა.

როცა ზემოთ განხილული უშუალო დასკვნა დასკვნად მიაჩნიათ, მაშინ წინადადებათა განსხვავება მსჯელობათა განსხვავებად არის მიღებული; მხედველობაში აქვთ არა აზრთა განსხვავება, არამედ სიტყვიერი გამოთქმის განსხვავება. მართალია, ზოგადი და კერძო მსჯელობები ერთიმეორისაგან ლოგიკურად განსხვავდებიან, მაგრამ ზემოთ განხილულ დასკვნაში ზოგადის და კერძოს ფორმით მხოლოდ წინადადებებია აღებული და არა აზრები — მსჯელობები.

ნამდვილი შუალობითი დასკვნა ხორციელდება კატეგორიების კავშირში და მათ საფუძველზე — მათი გათვალისწინებით, მაგალითად. „ადამიანის“ როგორც „კერძოს“ და „მოკვდავის“ როგორც „ზოგადის“ კავშირში (კატეგორიები და მათი კავშირები მოქმედებს მათ გამოვლენაში, თუმცა არა ისე გარკვეულად); ამიტომ „ადამიანი არის მოკვდავი“, როგორც წანამძღვარი, მოგვცემს დანასკვს: „მოკვდავი არაა ადამიანი“, რამდენადაც მოკვდავი და ადამიანი არაა ერთი და იგივე (არავითარი ორი თვისების წმინდა იგივეობა არ შეიძლება). აქ ადგილი აქვს ერთგვარ გაურკვევლობას, რომელიც მოიხსნება, თუ აზრს მხოლოდ კატეგორიებით გამოვთქვამთ; „კერძო არის ზოგადი“ შეიცავს მეორე მხარეს (ამიტომ მისგან გამოდის)— „კერძო არ არის ზოგადი“. ის გარემოება, რომ კერძო არის მისი საპირისპირო — ზოგადი, ცხადია. შეიცავს იმას, რომ კერძო არ არის ზოგადი და ამიტომ ეს უკანასკნელი მისგან უშუალოდ გამოდის. დადებითიდან გამოდის უარყოფითი, რომელიც მის მიერ არის ნაგულისხმევი, მაგრამ ამით ფორმდება ის, რაც გაუფორმებელი იყო. თვითონ დადებითისათვის აუცილებელი უარყოფითი იმას ნიშნავს, რომ აქ ადგილი აქვს სინთეზურ კავშირს, სახელდობრ, დაპირისპირებულთა საფუძველ-შედეგობრივ კავშირს. ის, რაც ითქვა ზემოთ განხილულ დასკვნაზე, ის ითქმის სხვა მსჯელობების უკუქცევებზეც.

უკუქცევის ზემოთ დახასიათებული აზრი პირდაპირ გადადის (ეს გადასვლა გამოტოვებული აქვს ფორმალურ ლოგიკას) უშუალო დასკვნის მეორე სახეში — გადაქცევაში (obversio), რომელიც წარმოადგენს დადგენას დამოკიდებულებისა წანამძღვრის სუბიექტისა მის საპირისპირო პრედიკატთან. მაგალითად, „ადამიანი არის მოკვდავი, მაშასადამე, ადამიანი არ არის უკვდავი“. აქაც ერთისა და იმავეს განმეორება გვაქვს, თუმცა უარყოფითი ნიშნით, რომელიც წინადადების ფორმას ახასიათებს და არა აზრს — მსჯელობის ფორმას; მაგრამ, ამასთანავე, ეს უარყოფითი ნიშანი და მთელი ეს კავშირი მოითხოვს სინთეზურობას, რადგანაც ერთი მეორეს უნდა დაუკავშირდეს დადებითობისა და უარყოფითობის ფორმები; სხვანაირად, წინადადებათა აღნიშნული კავშირი რომ შეესატყვისოს მსჯელობების კავშირის პირდაპირ გამოთქმას წარმოადგენდეს, მაშინ აუცილებელი იქნება დადებითობისა და უარყოფითობის ფორმების, სწორედ როგორც ლოგიკური და არა მხოლოდ გრამატიკული ფორმების, დაკავშირება. ლოგიკური დადებითობისა და უარყოფითობის ფორმათა ლოგიკური კავშირი გაუთვალისწინებელი დარჩა ძველ ლოგიკას; მას არც შეეძლო მისი გათვალისწინე-

ბა, რადგან იგი არ განიხილავდა და არ განიხილავს კატეგორიებს, კატეგორიების კავშირს, მაშინ როცა ეს უკანასკნელი იმის საფუძველი და არსებაა, რაც ფორმალურ ლოგიკაში განიხილება.

გადაქცევა სისრულით წარმოიდგება კატეგორიების კავშირში. „კერძო არის ზოგადი"-დან უშუალოდ გამოდის ის, რომ „კერძო არ არის არაზოგადი", მაგრამ ეს უკანასკნელი არის პირველის განმეორება და ამიტომ აქ არ ხორციელდება დადებითობის ფორმის უარყოფითობის ფორმასთან აუცილებელი კავშირი. ასეთი კავშირი ხორციელდება მაშინ, თუ კერძოს დაუკავშირდება არაკერძო, ამას კი ადგილი აქვს პირველი მსჯელობის მიერ ნაგულისხმევ უარყოფაში. „კერძო არის ზოგადი" უკვე იმასაც ნიშნავს, რომ „კერძო არის არა-კერძო", რადგანაც არაკერძო ზოგადია; მეორე მხრივ, „კერძო არის ზოგადი" ნიშნავს იმას, რომ „კერძო არ არის არაკერძო" (არამედ ზოგადია). მაგრამ ეს უკვე მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვეულებრივი გადაქცევა.

ტავტოლოგიური დასკვნები თავის წინააღმდეგობაში გადადიან.

უშუალო დასკვნის სხვა ცნობილი სახეები ახალს არაფერს გვაძლევს. ნათქვამი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ მიდის ძველი ლოგიკა დიალექტიკურ ლოგიკამდე.

§ 116. ლოგიკური სამკუთხედი

ლოგიკური სამკუთხედი გამოდის „ლოგიკური კვადრატიდან", თუ ამ კვადრატის დამოკიდებულებას კატეგორიათა ლოგიკურ დამოკიდებულებამდე ავამაღლებთ.

ლოგიკურ კვადრატში: 1) დაპირისპირება (კონტრარობა) — ზოგად-დადებით (A) და ზოგად უარყოფითი (E) მსჯელობების დამოკიდებულება, როგორც უშუალო დასკვნა, არ არის: ა) ურთიერთგამორიცხვა და ბ) შებრუნებადი დამოკიდებულება; თუ A ჭეშმარიტია, მაშინ E მცდარია, მაგრამ თუ A მცდარია, მაშინ E არ არის აუცილებლად ჭეშმარიტი, შეიძლება ესეც მცდარი იყოს; დასკვნა სრულდება ცალმხრივად, ე. ი. შებრუნება არ ხდება პირდაპირ, რადგან ადგილი არ აქვს ურთიერთგამორიცხვას. ასეთია კონტრარობის ბუნება, როცა ზოგადი მოცულობითი ხასიათისაა. 2) ურთიერთგამორიცხვა და შებრუნება სრულდება მაშინ, როცა გვაქვს კონტრადიქტორული დამოკიდებულება, წინააღმდეგობა; ერთიმეორეს გამორიცხავენ — წინააღმდეგობაში არიან A და O, E და I, ერთის მიღება მეორის უარყოფაა და პირიქით, ე. ი. მოქმედებს დადგენით უარყოფის და უარყოფით დადგენის კანონები.

ამ ურთიერთგამორიცხვის გამო შეიძლება დასკვნის შებრუნება (ერთის დადგენით მეორის უარყოფა და პირიქით).

„ლოგიკურ კვადრატში“ ამ ორი დამოკიდებულების გარდა კიდევ არსებობს სუბკონტრარული მსჯელობების და დაქვემდებარებული მსჯელობების (დამქვემდებარებლის და დაქვემდებარებულის) დამოკიდებულებანი. მაგრამ თუ A, E, i, o-ში „ჩავსვამთ“ კატეგორიებს, თუ მათ განვაზოგადებთ კატეგორიებამდე, მაშინ მივიღებთ ორის — ურთიერთსაწინააღმდეგოს დამოკიდებულებას; „ლოგიკური კვადრატის“ დამოკიდებულებანი კატეგორიებში ერთიანდება ორი, ერთიმეორისადმი საწინააღმდეგოს დამოკიდებულებაში, სადაც ურთიერთგამორიცხვა და შებრუნება მართლდება. ეს კატეგორიებია: კერძო და ზოგადი; არაკერძო არის ზოგადი და არაზოგადი არის კერძო. აქ დაპირისპირება უდრის წინააღმდეგობას; არ არსებობს სუბკონტრარობა, რადგან კატეგორიებს არ აქვს საზღვები (წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი კატეგორია იქნებოდა ბევრი, რაც შეუძლებელია). კერძოს და ზოგადის დამოკიდებულება არის ურთიერთგამორიცხვითი და შებრუნებადი. ასეთია სასრულის და უსასრულის და სხვა კატეგორიების დამოკიდებულება. თუ, მაგალითად, მცდარია, რომ „სინამდვილე არის სასრული“, მაშინ ჭეშმარიტი იქნება, რომ „სინამდვილე არის უსასრულო“ და პირიქით. აქ ძირითადია ურთიერთუარყოფა — დადგენა და არა ჭეშმარიტება-მცდარობა, რომელიც (როგორც ითქვა) მეორადი ხასიათისაა.

„ლოგიკურ კვადრატში“ ურთიერთგამომრიცხავი დებულებები (A და o, E და i) მხოლოდ ურთიერთგამომრიცხავი დებულებებია: ერთი გამორიცხავს მეორეს და პირიქით. მაგრამ ერთიმეორის საპირისპირო თუ საწინააღმდეგო კატეგორიების დამოკიდებულება არ არის მარტო ურთიერთგამორიცხვა, არამედ, ამავე დროს ურთიერთდადგენასაც წარმოადგენს; აქ მოქმედებს ურთიერთდადგენის კანონიც. კერძო და ზოგადი, სასრული და უსასრულო და სხვ. ერთიმეორეს არა მარტო უარყოფენ, არამედ ადგენენ კიდეც; ამიტომ შეადგენენ წინააღმდეგობის ერთიანობას. ეს წინააღმდეგობის ერთიანობა კი იქნება არა „კვადრატი“, არამედ „სამკუთხედი“, რადგან ამ დამოკიდებულებას აქვს ორი — ერთიმეორის საწინააღმდეგო — მხარე (წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს) და არსებობს მათი ერთიანობა, როგორც მათი ძირი, ე. ი. ადგილი აქვს ერთიანის გაორებას, რაც შეიძლება გამოისახოს ასე:



სადაც +A და —A ერთიმეორის საწინააღმდეგო კატეგორიები იქნება, მაგრამ ისე, რომ — A-ს ეკ-

ნება დადებითი ნიშანიც (მაგალითად, კერძო და ზოგადი); მათი ერთიანობა კი იქნება A, როგორც გარკვეული საფუძველი დაპირისპირებულთა.

თუ ლოგიკურ „სამკუთხედში“ + A და — A ერთიმეორის საწინააღმდეგოა, მაშინ ამ სამკუთხედის გვერდები პარალელურნი უნდა იყვნენ და არ უნდა ერთდებოდნენ A-ში, ე. ი. სამკუთხედს არ უხდა შეადგენდნენ; მაგრამ აქ „სამკუთხედს“ აქვს ადგილი იმიტომ, რომ გვერდების პარალელურობა არ გამორიცხავს იმას, რომ ისინი უსასრულობაში შეერთდებიან. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ უსასრულობა ნამდვილი სახით არის არა „ცუდი“ უსასრულობა, არამედ „ჭეშმარიტი“ უსასრულობა — დადებითი უსასრულობა, ე. ი. სრულის აზრით დასრულებული უსასრულობა, მაშინ დაპირისპირებულთა ერთიანობა იქნება „სამკუთხედის“ წვერი — ორი გვერდის გამაერთიანებელი „წერტილი“.

აქ წარმოებულ მსჯელობაში ერთგვარი გაურკვევლობაა. ეს გაურკვევლობა დაპირისპირებულთა ერთიანობის გაურკვევლობა კი არაა, არამედ ამ ერთიანობის სამკუთხედის (ფიგურის) სახით წარმოდგენის გაურკვევლობა. ლოგიკური არ შეიძლება თვალსაჩინო იყოს, წარმოადგენდეს ფიგურას (წინააღმდეგ ჰილბერტისა, რომლისთვისაც „დასაბუთება არის ფიგურა“[1]). ჩვენ მიერ „სამკუთხედი“ მოხმარებულია „კვადრატის“ ანალოგიურად და არა ზემოთ დახასიათებული ლოგიკურის სისრულით გამოსახატავად.

აღნიშნული „სამკუთხედი“, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში, სისრულით წარმოდგება, თუ შესაძლებელია საწინააღმდეგო აზრების ერთიანობა, რაც უარყოფის საშუალებით თვითდადგენაში განხორციელდება. ეს გარემოება გაირკვევა ქვემოთ — „უსასრულო დასკვნაში“.

§ 117. უშუალო ლოგიკური კავშირის ნიშნები

თანახმად ზემოაღნიშნული ლოგიკური კანონებისა, ლოგიკური კავშირის ნიშნებს წარმოადგენენ: 1) იგივეობა, რომელიც აუცილებელია ლოგიკური კავშირისათვის — ლოგიკური აუცილებლობისათვის; 2) თვითონ აუცილებლობა, რომლის გარეშე ლოგიკური კავშირი შეუძლებელია; ლოგიკურის არსებას ლოგიკური აუცილებლობა წარმოადგენს; 3) სინთეზურობა, რომლის გარეშეც არ ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა; გარკვეულობის გარეშე კავშირის აუცილებლობას აზრი ეკარგება; 4) უარყოფის მომენტი, რომლის გარეშე სინთეზურობა არ არსებობს; აუცილებელი სინთეზისათვის

[1] Д. Гильберт, Основания геометрии, 1948, გვ. 366.

მთავარია შინაგანი უარყოფის მომენტი და სხვა ნიშნები. ლოგიკური კავშირის ნიშნები აჩვენებენ იმას, თუ როგორი უნდა იყოს ლოგიკური კავშირები და როგორი კავშირები არ შეიძლება ჩაითვალოს ლოგიკურ კავშირებად. ჩვენ აქ უმთავრესად გვაინტერესებს იმის გარკვევა, თუ რამდენად არიან წინადადებათა აღრიცხვის კავშირები ნამდვილად ლოგიკური კავშირები, თუ ისინი ასეთ კავშირებს არ წარმოადგენენ.

1) „და“ კავშირი, კონიუნქცია, როგორც ცნობილია, არის ისეთი კავშირი, რომელიც ჭეშმარიტია, თუ ორივე მისი მხარე არის ჭეშმარიტი. აქ ლაპარაკია ჭეშმარიტების ნიშნებზე და არა შინაგან ლოგიკურ აუცილებლობაზე, რომელიც დასაკავშირებელთა შორის უნდა არსებობდეს. საფუძველ-შედეგის კავშირის ლოგიკური აუცილებების (ეს არის ლოგიკაში ყველაფერი) თვალსაზრისით, „და“ კავშირი არ არის ლოგიკური კავშირი. ის მხოლოდ გრამატიკული კავშირია და არა ლოგიკური აუცილებლობის ბუნების მქონე კავშირი. „და“-თი შეიძლება დაკავშირდეს ყველაფერი; ის არ არჩევს შემთხვევითს აუცილებლობისაგან, შემთხვევით კავშირს აუცილებელი კავშირისაგან.

ჯერ კიდევ კანტი იუმის წინააღმდეგ აღნიშნავდა, რომ, მართალია, დროული თანამიმდევრობა არ ნიშნავს მიზეზობრივ — აუცილებელ კავშირს, რომ მცდარია post hoc, ergo, propter hoc, მაგრამ დებულება, რომ „მზის სხივები ათბობს ქვას“ აუცილებელ კავშირს გამოთქვამს; დებულება „მზის სხივები ეცემა ქვას და ქვა თბება“ არ არის აუცილებელი კავშირის გამოთქმა; „და“ არ გამოხატავს აუცილებელ კავშირს. ვინც „და“ კავშირს აუცილებელ კავშირად თვლის, მან უნდა მიიღოს მცდარი დებულებაც — „ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის გამო“. ვ. ი. ლენინი გარკვევით აღნიშნავს, რომ სხვადასხვა განსაზღვრულობის კავშირი „და“-თი არის შემთხვევითი; ასეთია, მაგალითად, „შუშის ცილინდრიც და სასმისი ჭურჭელიც“; ეს არის „ეკლექტური განსაზღვრა, რომელიც საგნის სხვადასხვა მხარეს აღნიშნავს და სხვას არაფერს“;[1] ე. ი. „და“ კავშირით აღინიშნება მხოლოდ სხვადასხვა და არა ამ სხვადასხვას აუცილებელი კავშირი. ვ. ი. ლენინის აზრით, ასეთი ეკლექტური კავშირი ყოველი სოფისტისათვის გამოსადეგია.

ის, რაც აინტერესებს მათემატიკურ ლოგიკას, მართებულად არის გამოთქმული „და“ კავშირით; მართლაც, როცა ორი წინადადება დაკავშირებულია „და“-თი, მაშინ ეს კავშირი ჭეშმარიტია, თუკი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 102.

ორივე წინადადებაა ჭეშმარიტი. მაგრამ ეს არის ისეთი ზერელე კავშირი, რომელსაც არ აქვს საფუძველ-შედეგის კავშირის ლოგიკური აუცილებლობის ხასიათი. ეს არის მხოლოდ ფუნქციონალური დამოკიდებულება, რომელსაც არა ლოგიკა, არამედ მათემატიკური ხასიათის მქონე მეცნიერება შეისწავლის.

2) კავშირი „ან“ — დისუნქცია, რომელიც გაგებულია არა გაყოფითის აზრით, არა ძველი ფორმალური ლოგიკის „ან-ან“-ის აზრით, ჭეშმარიტია მაშინ, როცა წინადადების ერთი მხარე მაინც არის ჭეშმარიტი; შეიძლება ორივე მხარე იყოს ჭეშმარიტი, ამიტომ აქ არ არის ურთიერთგამორიცხვა, მაშინ როცა ლოგიკურ „ან-ან“-ში მხოლოდ ერთი მხარეა ჭეშმარიტი და ადგილი აქვს ურთიერთგამორიცხვას. დასკვნებისათვის, როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებისათვის, არ გამოდგება კავშირი „ან“, თუ მას არ აქვს ურთიერთგამორიცხვის აზრი; ასეთი „ან“ არ არის ლოგიკური კავშირი. ლოგიკური აუცილებლობის გამომხატველია „ან-ან“, როგორც ურთიერთგამორიცხვა, რომელიც მოქმედებს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაში და არა ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში, რომელიც მხოლოდ მათემატიკურ და არა ლოგიკურ დამოკიდებულებას წამოადგენს.

3) კავშირი $A \rightarrow B$ (თუ A, მაშინ B) — იმპლიკაცია, იმპლიკაციური წინადადება მცდარია მხოლოდ მაშინ, თუ A ჭეშმარიტია და B მცდარი (დანარჩენ სამ შემთხვევაში ის არის ჭეშმარიტი), თუმცა აქ ადგილი არ აქვს საფუძველ-შედეგის კავშირს (ამ კავშირის დროსაც ჭეშმარიტიდან მცდარის გამოყვანა შეუძლებელია, დანარჩენი სამი შემთხვევა კი შესაძლებელია, როგორც ეს არისტოტელემაც კარგად იცოდა). იმპლიკაცია გამოსადეგი და სასარგებლოა მათემატიკაში, მაგრამ არა ლოგიკაში, მით უმეტეს დიალექტიკურ ლოგიკაში.

4) კავშირი „უარყოფა“ — $\bar{A}$ არის მცდარი, თუ A ჭეშმარიტია; $\bar{A}$ ჭეშმარიტია, როცა A არის მცდარი. ეს გასაგებია თანახმად წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონისა. მათემატიკური ლოგიკაც იძულებულია ყველგან მოიხმაროს უარყოფა, მაგრამ როგორც „კავშირი“ ჭეშმარიტობის ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში. მაგრამ თუ უარყოფა არის კავშირი, მაშინ ამ კავშირს დადებითი აზრიც უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია, მაგალითად, უარყოფითი მსჯელობა, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული. ამ ორი მომენტის — დადებითის და უარყოფითის — ერთიანობა კი იქნება გარკვეული დიალექტიკური ფორმა, რომელიც ძირითად

როლს თამაშობს ლოგიკურ კავშირებში; ამიტომ არსებობს ლოგიკა, როგორც სწორედ დიალექტიკური ლოგიკა.

5) ექვივალენტურობა — A ∞ B ჭეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ A და B ორივე ჭეშმარიტია, ან ორივე მცდარია. ექვივალენტურობა არ ნიშნავს ორი წინადადების ერთსა და იმავე შინაარსს. ასეთია, მაგალითად, ექვივალენტურობა: „2×2 = 4 ∞ მზე არის უძრავი ვარსკვლავი". ეს და ამგვარი კავშირები არიან წინადადებათა კავშირები, რომელთაც ფუნქციონალური დამოკიდებულების ხასიათი აქვთ და არ არიან ლოგიკური საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების, ლოგიკური აუცილებლობის ბუნების. აღნიშნულ კავშირებში მხედველობაშია მხოლოდ თვისება წინადადებათა იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, აქ მთავარია ჭეშმარიტობის ფუნქცია. „ჭეშმარიტება" და „შეცდომა" უბრალო ნიშნებს წარმოადგენენ.

ფუნქცია არის ოპერაცია, გამოყენებული რაიმესადმი როგორც არგუმენტისადმი, იძლევა გარკვეულ რაიმეს როგორც ფუნქციის მნიშვნელობას მოცემული არგუმენტისათვის. მათემატიკურ ლოგიკას მხედველობაში აქვს ჭეშმარიტობის ფუნქცია. ზემოთ დახასიათებული კავშირები ქმნიან რთულ წინადადებებს, რომელთა ჭეშმარიტობა დამოკიდებულია მათ შემადგენელთა ჭეშმარიტობა-მცდარობაზე. ეს დამოკიდებულება აღებულია როგორც მხოლოდ ფუნქციონალური დამოკიდებულება. რთული წინადადების ჭეშმარიტობა-მცდარობა დამოკიდებულია შემადგენელი წინადადებების მხოლოდ ჭეშმარიტობა-მცდარობაზე და არა მათ შინაარსზე. მაგალითად, ჭეშმარიტია იმპლიკაციები: (1) თუ „2×2=4", მაშინ „თოვლი თეთრია"; 2) თუ „2×2=5". მაშინ „თოვლი თეთრია"; 3) თუ „2×2=5", მაშინ „თოვლი შავია". მცდარი იქნება იმპლიკაცია: თუ „2×2=4", მაშინ „თოვლი შავია", რადგან ჭეშმარიტებიდან მცდარი არ გამოიყვანება; მცდარიდან მცდარის და მცდარიდან ჭეშმარიტის გამოყვანა რომ შესაძლებელია, ეს კარგად იცოდა არისტოტელემაც, რომელიც განიხილავდა საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას და არა ჭეშმარიტობის ფუნქციებს, ფუნქციონალურ დამოკიდებულებას.

ამრიგად, ზემოთ გარჩეული კავშირები ლოგიკურ კავშირებს არ წარმოადგენენ. ლოგიკური კავშირების ნიშნები უნდა დადგინდნენ იმ კანონების საფუძველზე, რომლებიც ზემოთ იქნა გარჩეული და რომელთაც დიალექტიკური ხასიათი აქვთ. ლოგიკური კავშირი დიალექტიკურია.

ის, რაც წინა პარაგრაფში ითქვა, უშუალოდ ეხება უშუალო დასკვნის ცნებას მათემატიკურ ლოგიკაში. წინადადებათა აღრიცხვა მსჯელობას, მსჯელობათა კავშირს ერთ, განუყოფელ წინადადებად წარმოადგენს, სულ ერთია ის ნამდვილად უშუალო დასკვნაა თუ შუალობითი. წინადადება აღებულია ყოველგვარი შინაგანი განსხვავების გარეშე, როგორც ერთიანი. ყურადღება ექცევა მხოლოდ ჭეშმარიტობის ნიშნებს. ასეა წარმოდგენილი, მაგალითად, სილოგიზმი, რომელიც გამოითქმება ასე: „თუ A არის B და B არის C, მაშინ A არის C“; დასკვნის დაყოფა წინამძღვრებად და დანასკვად უკავშირობას ნიშნავს (მაგალითად, ლუკასევიჩისათვის);[1] მაგრამ აქ ყველაფერი დაყვანილია წინადადებაზე, ე. ი. გამოტოვებულია სწორედ ლოგიკური; დასკვნას არ აქვს შესაბამისი სპეციფიკური ფორმა გრამატიკაში.

წინადადებათა აღრიცხვაში მსჯელობა და დასკვნა დაიყვანება პირობით წინადადებაზე, რომელიც უფრო ზუსტი ფორმით უდრის გაყოფით წინადადებას. ის, რაც ძველ ლოგიკაში უშუალო დასკვნის ოთხ მოდუსად ითვლება, აქ წარმოადგენს ოთხ წინადადებას, რომელთაგან მცდარია მხოლოდ ერთი (თანახმად არისტოტელეს დებულებებისა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა): 1) თუ A მცდარია, მაშინ B ჭეშმარიტია, 2) თუ A ჭეშმარიტია, მაშინ B ჭეშმარიტია, 3) თუ A მცდარია, მაშინ B მცდარია, 4) თუ A ჭეშმარიტია, მაშინ B მცდარია. მხოლოდ ეს უკანასკნელია მცდარი, დანარჩენი კი ჭეშმარიტი წინადადებებია. ეს დებულებები მათემატიკურ ლოგიკაში გაგებულია არა როგორც საფუძველ-შედეგის ლოგიკური დამოკიდებულება, არამედ როგორც მხოლოდ ფუნქციონალური დამოკიდებულება, თუმცა წინადადებათა ჭეშმარიტობის და მცდარობის გასარჩევად ისევ ძველი წესია გამოყენებული, სახელდობრ, არისტოტელეს დებულება იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტიდან მცდარი არ გამოიყვანება.

კონტრადიქტორული მსჯელობების დამოკიდებულებაში თუ ერთი მსჯელობა ჭეშმარიტია, მაშინ მეორე არის მცდარი და პირიქით. არც აქ არის ისეთი საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, სადაც ჭეშმარიტიდან არ გამოყვანება მცდარი.

მათემატიკურ ლოგიკაში დასკვნის მაგიერ აღებულია იმპლიკაცია; იმპლიკაცია $A \rightarrow B$ არის შემოკლებული გამოთქმა გამოსახულებისა $\bar{A} \vee B$; აქ მხედველობის გარეშეა დატოვებული საფუ-

[1] Я. Лукасевич, Аристотелевская силлогистика... გვ. 58—59.

ძველ-შედეგის დამოკიდებულება, რომლისთვისაც მთავარია: თუ არის საფუძველი, მაშინ არის შედეგი, მაგრამ შეუძლებელია: ან საფუძვლის უარყოფა ან შედეგი, რადგან შედეგი სწორედ საფუძვლის შედეგია; დასკვნა შეიძლება იყოს სწორი, სულ ერთია საფუძველი და შედეგი ორივე ჭეშმარიტია, თუ მცდარი; ამიტომ დასკვნის ჭეშმარიტება არ არის დამოკიდებული მისი კომპონენტების ჭეშმარიტობა-მცდარობაზე. ამ აზრით დასკვნა არ არის ჭეშმარიტობის ფუნქცია. დასკვნა საფუძველ-შედეგის ლოგიკური დამოკიდებულებაა და არა ფუნქციონალური დამოკიდებულება.

მათემატიკური ლოგიკის უშუალო „დასკვნის“ მაგალითებად შეიძლება ავიღოთ შემდეგი: 1) $x \cdot \overline{y}$-დან, როგორც წანამძღვარიდან, მიიღება $x \to y$, როგორც დანასკვი — „ლოგიკური შედეგი“, 2) აქსიომიდან $xvx \to x$ გამოდის $|xvx| \to |x|$, რაც ნიშნავს: თუ ყოველ საგანს აქვს თვისება xvx (ეკუთვნის x და y კლასების ჯამს), მაშინ ყოველ საგანს აქვს x თვისებაც (ეკუთვნის x კლასს). 3) აქსიომიდან $x \to xvy$ გამოდის ყოველთვის ჭეშმარიტი ფორმულა (ე. ი. ისეთი ფორმულა, რომელიც ჭეშმარიტია, მიუხედავად მისი კომპონენტების მცდარობა-ჭეშმარიტებისა) $|x| \to |xvy|$, რაც ნიშნავს: თუ x პრედიკატის მოცულობა მოიცავს ყველა საგანს, მაშინ xvy პრედიკატის მოცულობაც მოიცავს ყველა საგანს.

„უშუალო დასკვნა“ ნიშნავს გარდაქმნას: კერძოობითი „მსჯელობა“ გარდაიქმნება ზოგადად, მაგალითად, „ზოგი საგანი არის წითელი“ ნიშნავს: „არა ყველა საგანია არაწითელი“; „ზოგიერთი რიცხვი არის კენტი“ — მიიღებს შემდეგ სახეს: „არ არის სწორი, რომ ყველა რიცხვი არის ლუწი“; მტკიცებით, რომ „ზოგიერთი x არის y“ ჩვენ უარვყოფთ, რომ „არც ერთი x არ არის y“; მტკიცებით, რომ „ზოგიერთი x არის არა y“ ჩვენ უარვყოფთ, რომ „ყველა x არის y“. ყოველი კერძო წინადადება შეიძლება განვიხილოთ როგორც რომელიმე ზოგადის უარყოფა.

მათემატიკურ ლოგიკაში ზოგად მსჯელობას არ აქვს ექსისტენციონალური ინტერპრეტაცია, ამიტომ ზოგად დადებითი მსჯელობიდან არ მიიღება კერძოობით დადებითი მსჯელობა. თუ A პრედიკატი სრულდება ყველა საგნისათვის, მაშინ ეს აღინიშნება ასე: $|A|$; თუ A პრედიკატიდან გადავალთ $|A|$-ზე და ამას უარვყოფთ, მაშინ მივიღებთ კერძოობით უარყოფით მსჯელობას. თუ A პრედიკატს უარვყოფთ და $\bar{A}$-დან გადავალთ $|\bar{A}|$ წინადადებაზე, მაშინ მივიღებთ უარყოფით მსჯელობას.

აქსიომებიდან დასკვნის წესების საშუალებით ფორმულების მი-

ლება ყოველთვის ხდება „უშუალო დასკვნების“ სახით, თუ კი მხედველობის გარეშე დავტოვებთ დასკვნის წესებს, რომლებიც მეტალოგიკურ წესებს წარმოადგენენ, ე. ი. „ლოგიკის“ სისტემაში მხოლოდ უშუალო დასკვნები ხორციელდება, მაგრამ ეს განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დასკვნის წესების საშუალებით, ამ აზრით, შუალობით (შუალობითი დასკვნების შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი).

მათემატიკურ ლოგიკაში უშუალო დასკვნა განისაზღვრება შემდეგნაირად. ტრადიციულ ლოგიკაში უშუალო დასკვნა ნიშნავს ერთი მსჯელობიდან, როგორც წანამძღვრიდან, მეორე მსჯელობის, როგორც დანასკვის, გამოყვანას. აქ ადგილი აქვს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას. მათემატიკურ ლოგიკაში კი „უშუალო დასკვნა“ გაგებულია სხვანაირად: უშუალო დასკვნა არის ისეთი დასკვნა, რომელიც სრულდება დასკვნის ერთერთი წესის ერთჯერადი გამოყენებით[1]. ეს არის ერთი ფორმულის მეორე ფორმულად გარდაქმნა, როცა ადგილი აქვს არა საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას (რაც მთავარია ლოგიკაში), არამედ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას. ჭეშმარიტობის ფუნქციას. მაგრამ, როგორც ითქვა, ერთი ფორმულის მეორედ გარდაქმნა სრულდება მხოლოდ დასკვნის წესების გამოყენებით, ე. ი. ყოველთვის შუალობით ხორციელდება.

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათემატიკურ ლოგიკაში არის ცდები საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების, როგორც „მკაცრი იმპლიკაციის“ ფორმალიზაციისა (ლიუისი და მისი მიმდევრები), მაგრამ ასეთმა ცდებმა ჯერჯერობით ვერ მოგვცა გარკვეული შედეგი. საფუძველ-შედეგის ლოგიკური დამოკიდებულება, ეს არის შინაგანი აუცილებელი გამომდინარეობა — კავშირი, რის ფორმალიზაციაც მას გააუქმებს; ამიტომ ასეთი კავშირის ფორმალიზაცია შეუძლებელია. ყოველი ფორმალიზაციის დროს დასკვნის სწორი ცნება წინასწარვეა ნაგულისხმები. მათემატიკური ლოგიკა გამოყენებაა ზოგადი ლოგიკისა (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

§ 119. „თუ — მაშინ“-ის ლოგიკური აზრი

როგორც ეს ზემოთ გაირკვა, „თუ-მაშინ“-ის აზრი უშუალოდ გამომდინარეობს მსჯელობის ბუნებიდან.

„თუ—მაშინ“, უპირველეს ყოვლისა, არის პირობითი დებულება, როგორც უშუალო დასკვნის პრინციპი; ის არის საერთოდ ფორმა-

[1] А. Чёрч, Введение в математическую логику, I, გვ. 372.

ლურ-ლოგიკური დასკვნის პრინციპი. „თუ — მაშინ“-ის ლოგიკური აზრი არის საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების აზრი, და, ცხადია, არ დაიყვანება გაყოფით დამოკიდებულებაზე; „თუ A, მაშინ B“ არ უდრის „A ან B“, როგორც ამას ადგილი აქვს მათემატიკურ ლოგიკაში. მათემატიკურ ლოგიკაში „თუ—მაშინ“ ესმით არა შინაასობლივად, არამედ ჭეშმარიტების ფუნქციის თვალსაზრისით; იგი აღნიშნავს მიმართებას ჭეშმარიტების მნიშვნელობებს შორის და არა მსჯელობებს შორის საფუძველ-შედეგობრივ დამოკიდებულებას, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგად ლოგიკაში, სახელდობრ, ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკაში.

როგორც ეს ლოგიკურის კატეგორიების განხილვისას გაირკვა. საფუძველი არის განმსაზღვრელი, შედეგი კი — განსაზღვრული; საფუძველი დამსაბუთებელია, შედეგი — დასაბუთებული. საფუძველის დადგენით დგინდება შედეგი. საფუძველი არის დამდგენი, შედეგი კი — დადგენილი. მათ შორის კავშირი სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკური დადგენა.

„თუ — მაშინ“ არის პირობითი დამოკიდებულება, სახელდობრ, ლოგიკური პირობის. როგორც საფუძვლის, და შედეგის დამოკიდებულება, მაგრამ თვითონ კავშირი უპირობო ხასიათისაა, რამდენადაც ის ლოგიკური აუცილებლობის ბუნებისაა. „თუ — მაშინ“, როგორც ლოგიკური კავშირი, აუცილებლობით შეიცავს უპირობოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკური არ იარსებებდა. „თუ — მაშინ“-ის პირობითობა ლოგიკურ-ობიექტური ხასიათისაა.

ფორმალურ ლოგიკაში (როგორც ტრადიციულში, ისე მათემატიკურ ლოგიკაში) შეუძლებელია „თუ — მაშინ“-ის შებრუნება, სახელდობრ, იმის თქმა, რომ: „თუ არის შედეგი, მაშინ არის საფუძველი“. როგორც ცნობილია, პირობით დასკვნებში შეცდომად ითვლება დადებით-რეგრესიული მოდუსი. ფორმალურ ლოგიკაში რომ შესაძლებელი იყოს აქ აღნიშნული შებრუნება, მაშინ აქსიომების დაშვების გარეშეც თავიდან იქნებოდა აცილებული დასაბუთებაში უსასრულო რეგრესის საშიშროება, რაც გამოწვეულია საფუძვლის დაუსაბუთებლობით და მისი დასაბუთების საჭიროებით. თუ შესაძლებელია განხორციელდეს დებულება: „თუ არის შედეგი, მაშინ არის საფუძველი“, მაშინ საფუძველი როგორღაც საბუთდება და აღარაა საჭირო აქსიომები, ადგილიც არ აქვს უსასრულობაში რეგრესს. ფორმალურ ლოგიკაში რომ შეუძლებელია განხორციელდეს ეს შებრუნება, სწორედ ამიტომ ეს ლოგიკა უსასრულო რეგრესის საფრთხეშია და მისი თავიდან აცილებისათვის იძულებულია მიმართოს აქსიომატურ მეთოდს, შეაჩეროს დასაბუთებაში უსასრულო რეგრესი აქსიო-

მებით: იმით, რაც არ არის დასაბუთების ბუნების, რაც დაუსაბუთებელია, ე. ი. ფორმალური ლოგიკა იძულებულია დასაბუთება გაამართლოს დაუსაბუთებლით, რაც, როგორც ამას ჩვენ შემდგომ სპეციალურად გავარკვევთ, ქმნის გამოუვალ მდგომარეობას; ეს არის დასაბუთების და არადასაბუთების წინააღმდეგობა.

თუ „თუ — მაშინ“-ი არის აზროვნების ისეთი პრინციპი, რომელიც უპირობოს მომხსნელია, ე. ი. თუ აქ მხოლოდ პირობითი დამოკიდებულება გვაქვს, მაშინ აქსიომების პირველობა, როგორც გარკვეული უპირობობა, როგორღა უნდა იქნას მიღებული თუ დაშვებული? ალბათ, ასეთი რამ უნდა განხორციელდეს ინტუიციით (აქსიომები ინტუიციურ დებულებებად არიან მიჩნეული); მაგრამ ინტუიცია ხომ არალოგიკური მდგომარეობაა? არალოგიკურის და ლოგიკურის ლოგიკური კავშირიც ხომ გამოუვალი წინააღმდეგობაა?

თუკი საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება ისეთია, რომ შესაძლებელია ზემოთაღნიშნული შებრუნება, ე. ი. თუ დებულებასთან — „თუ A. მაშინ B“ — ერთად შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგიც: „თუ B, მაშინ A“, მაშინ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს უპირობობას, რომელიც გარკვეულ თვითდადგენას წარმოადგენს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ „თუ — მაშინ“-ის აზრი მართლდება მაშინ, თუ კი შესაძლებელია ლოგიკური უპირობო, როგორც გარკვეული თვითდადგენა (ეს გარემოება შემდგომ იქნება სპეციალურად განხილული). როგორც ითქვა, „თუ — მაშინ“ არ შეიძლება არ შეიცავდეს უპირობოს მომენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ არ გვექნებოდა ლოგიკური, ლოგიკური აუცილებლობა.

საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების აუცილებლობა, როგორც ლოგიკური აუცილებლობა, იხსნება, თუ „თუ-მაშინ“ დავუყვანეთ გაყოფით დამოკიდებულებაზე, სახელდობრ, ისეთ გაყოფაზე, რომელიც მოხმარებულია მათემატიკურ ლოგიკაში, როცა გაყოფითობა არ უდრის ურთიერთუარყოფას. თუ „ან—ან“-ი გაგებულ იქნა როგორც ურთიერთუარყოფა, მაშინაც არ გვაქვს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების სისრულე, რადგან „საფუძვლის ჰეშმარიტობის უარყოფა ან შედეგის ჰეშმარიტობა“ არ ამოწურავს საფუძვლის და შედეგის კავშირს. მეორე მხრივ, ურთიერთუარყოფა მოითხოვს ურთიერთდადგენას, ეს კი თვითდადგენას, რომელსაც შემდეგ გავარკვევთ უკვე განხილული კანონების საფუძველზე.

§ 120. გადასვლა როგორც უშუალო დასკვნა

მსჯელობის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარეობს ის, რომ ლოგიკური გადასვლა არის დასკვნა. ერთი მსჯელობიდან მეორეზე გადასვლა, ერთი კატეგორიიდან მეორეზე გადასვლა, ან აზრის ერთი ფორმიდან მეორეზე, მაგალითად, მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა არის უშუალო დასკვნა.

„გადასვლა“, ცხადია, არ უნდა გავიგოთ პირდაპირი (მაგ. სივრცითი) მნიშვნელობით. ლოგიკური გადასვლა არის სინთეზური კავშირი, რაიმე აზრის განსხვავებულ აზრთან აუცილებელი კავშირი.

მეტად მნიშვნელოვანია ვ. ი. ლენინის დებულებები ლოგიკური გადასვლის შესახებ. დავასახელოთ რამდენიმე: 1) დასაწყისი დადებითია, მაგრამ აუცილებელია განსხვავება, კავშირი, გადასვლა. აქაა დიალექტიკა—დადებითის და უარყოფითის კავშირი[1]. ეს დებულება სწორედ იმას ამბობს, რომ გადასვლა არის სინთეზური კავშირი, განსხვავების შემცველი კავშირი, რომლის დასაწყისიც არის დადებითი, რომელსაც აუცილებლობით უკავშირდება უარყოფითი, ე. ი. კავშირი დიალექტიკური ბუნებისაა. 2) მთავარია კავშირი, გადასვლა, იგივეობა დაპირისპირებულთა[2]. 3) დიალექტიკა მდგომარეობს ცნებების ერთიმეორეში გადასვლებში, ყველა ცნებისა, გამონაკლისის გარეშე. ყოველი ცნება გარკვეულ კავშირშია — მიმართებაშია სხვასთან[3]. აქ, ცხადია, ლაპარაკია ცნებათა დიალექტიკაზე, დიალექტიკურ ლოგიკურ გადასვლებზე. 4) ცნება თავისი ბუნებით უდრის გადასვლას[4]. აქ უმთავრესად მხედველობაშია კატეგორია, როგორც ცხება, რომლის განსაზღვრება არის სხვაზე გადასვლა. (ეს საკითხი განხილულ იქნება ქვემოთ — ცნების განხილვის დროს). 5) უსასრულოს სასრულოში გადასვლა არის მათი კავშირი. 6) „მომენტი“ ნიშნავს კავშირის მომენტს (მაგალითად, მსჯელობა, ცნება დასკვნის მომენტებს წარმოადგენენ). 7) არსებობს ცნებათა მოძრაობა, მათი კავშირი, ურთიერთგადასვლები[5]. ძველ ლოგიკაში არ არის გადასვლები —შინაგანი აუცილებელი კავშირი[6]. აქ მხედველობაშია აზრის ფორმათა ურთიერთში გადასვლები, მათი სუბორდინაცია. ლოგიკური გადასვლა არის შინაგანი აუცილებელი კავშირი. 9) ჩვეულებრივი წარ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 226.
[2] იქვე, გვ. 174.
[3] იქვე, გვ. 154.
[4] იქვე, გვ. 225.
[5] იქვე, გვ. 257.
[6] იქვე, გვ. 88.

მოდგენა იქერს განსხვავებას, წინააღმდეგობას, მაგრამ არა გადასვლას ერთიდან მეორეზე, ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია[1] და სხვ.

ვ. ი. ლენინის ეს დებულებები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ზოგიერთი საბჭოთა ლოგიკოსი უარყოფს ლოგიკურ გადასვლას, თითქოს ლოგიკური გადასვლები შეუძლებელი იყოს, მაშინ როცა ყველა მეცნიერების, კერძოდ, ლოგიკის მეთოდად მატერიალისტური დიალექტიკა მიაჩნიათ. ეს გასაოცარია. მაგრამ ფაქტია.

უშუალო დასკვნები ხორციელდება მსჯელობის სახეების კავშირში; მაგალითად, დადებითი მსჯელობის უარყოფითში გადასვლაში; როგორც ზემოთ გაირკვა დადებითი მსჯელობა უარყოფაში გადადის ლოგიკური აუცილებლობით, რადგან დადებითი მსჯელობა, როგორც სინთეზური მსჯელობა, შეიცავს უარყოფის მომენტს, რომელიც უარყოფითი მსჯელობით უნდა გაფორმდეს. ორივე ამ მსჯელობის ერთიანობა, რასაც დადებითი მსჯელობა მოითხოვს, ეს უკვე იქნება მსჯელობის დასკვნაში, როგორც დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობაში, გადასვლა. ყოველი ლოგიკური პროცესი არის გადასვლა, რომელიც უშუალო დასკვნას წარმოადგენს. ლოგიკური პროცესი, ცხადია, არის არა ფსიქოლოგიური პროცესი, არამედ ერთი აზრის განსხვავებულ აზრთან აუცილებელი კავშირი; ლოგიკური პროცესი არის ისეთი კავშირი, რომელშიც განხორციელებულია ერთი აზრის მეორესთვის აუცილებლობა.

უშუალო დასკვნას ადგილი აქვს ყოველი ლოგიკური გადასვლის დროს, მაგრამ ასეთი გადასვლები ერთიმეორისაგან გარკვეული სისრულით განსხვავდებიან, სახელდობრ, იმ აზრით, რომ ყოველი სინთეზური კავშირი — გადასვლა — არ არის საპირისპიროში თუ საწინააღმდეგოში გადასვლა. გადასვლა, როგორც განსხვავებულში გადასვლა, არასრული გადასვლაა, ცხადია, არა იმ მიზნით, რომ აქ გადასვლა მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება, არამედ იმ აზრით, რომ განსხვავება არ ამოწურავს გადასვლის ბუნებას: რაიმედან განსხვავებულზე გადასვლა კიდევ ტოვებს შესაძლებლობას სხვა რაიმეზე გადასვლისა; საწინააღმდეგოში გადასვლა კი სხვა შესაძლებლობას გამორიცხავს, რადგან, როგორც ვიცით, წინააღმდეგობას ორი მხარე აქვს. „ყველა ადამიანი მოკვდავია“, როგორც წანამძღვარი, გვაძლევს დანასკვს: „ზოგიერთი მოკვდავი არის ადამიანი“; „ყველა ადამიანი არის ცხოველი“ სხვა დასკვნის წანამძღვრად გამოდგება, და სხვ. მაგრამ „კერძო არის ზოგადი“ უშუალოდ გადადის საპირისპიროში — „კერძო არ არის ზოგადი“ და სხვ.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 136.

უარყოფა, ერთი შეხედვით, არის წყვეტი, გადასვლის შეუძლებლობა. ასე გაგებული უარყოფა არის აბსტრაქტული. წმინდა —— აბსოლუტური უარყოფა, რომელიც ფორმალურ ლოგიკაში მოიხმარება. ასეთ უარყოფას ემყარება ლოგიკური აუცილებლობა როგორც საწინააღმდეგოს შეუძლებლობა, სადაც აკრძალულია საწინააღმდეგოში გადასვლა, სადაც უარყოფილია საწინააღმდეგოსთან კავშირი. უარყოფის ასეთი გაგება პირველად პარმენიდემ მოგვცა, როცა მან „არარსი" აბსოლუტური მნიშვნელობით გაიგო. პარმენიდესა და ძენონისათვის არარსი იმას ჰქვია, რაც არ არის, რაც აბსოლუტური არარაა, რაც აბსოლუტურად შეუძლებელია; არსი აბსოლუტურად გამორიცხავს არარსს, არარსი არავითარი აზრით არ არსებობს. არარსის არარსებობის გამო შეუძლებელია ყოველგვარი განსხვავება, სიმრავლე, მოძრაობა. ეს ნიშნავს იმას, რომ უარყოფა არ არსებობს. რის საფუძველზეც პარმენიდე და ძენონი გულმოდგინედ ცდილობდნენ სიმრავლისა და მოძრაობის უარყოფას.

უარყოფა, როგორც წყვეტი, ანალიზურ-ლოგიკურში მოქმედებს; თუ ერთი განსაზღვრულობა უარყოფს სხვას, მაშინ არ შეიძლება დავუშვათ გადასვლა-კავშირი მათ შორის—აღიარებს ფორმალური ლოგიკა. ყოველი განსხვავება შეიცავს უარყოფას, სახელდობრ, იმას, რომ ერთ-ერთი განსხვავებულთაგანი არ არის მეორე; შეუძლებლად არის მიჩნეული სინთეზური გადასვლა, გადასვლის სინთეზურობა, სწორედ უარყოფის თავისებური გაგების გამო.

უარყოფა, გაგებული როგორც მხოლოდ წვეტი, შეუძლებელს ხდის აზრის ფორმათა კავშირ-სუბორდინაციას, რომელსაც, ამიტომ. ადგილი არა აქვს ფორმალურ ლოგიკაში. ასეთი უარყოფის საფუძველზე შეუძლებლად არის მიჩნეული, მაგალითად, დადებითი მსჯელობის უარყოფითში გადასვლა და სხვ. ამიტომ უარყოფენ ლოგიკური განვითარების შესაძლებლობას (თუმცა, ამავე დროს, ლოგიკურ პროცესს აღიარებენ). მაგრამ თუ უარყოფა მხოლოდ წყვეტილობას ნიშნავს, მაშინ აუხსნელი დარჩება, მაგალითად, უარყოფითი მსჯელობის შესაძლებლობა, რადგან უარყოფითი მსჯელობა, როგორც ვიცით, არის კავშირი, რომელიც არა მხოლოდ უარყოფითია, არამედ დადებითიც, რადგან სუბიექტს რაიმე უარყოფითად მ ი ე წ ე რ ე ბ ა. სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს მივიღოთ შედარებითი უარყოფა.

შედარებითი უარყოფის ცნება, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, საშუალებას იძლევა გამართლებულ იქნეს სინთეზი, გადასვლა. პარ-

მენიდეს კრიტიკის საფუძველზე პლატონმა გაარკვია არარსის, როგორც განსხვავების, ცნება, შედარებითი უარყოფის ცნება. განსხვავება არსებობს, ამიტომ არსებობს შედარებითი არარსი, რომელიც ლოგიკურ საგანს წარმოადგენს (დემოკრიტესთან ეს არარსი არის სიცარიელე), ლოგიკურად არსიც არის და არარსიც, თქმა იმისა, რომ „არარსი არის“ უკვე დიალექტიკას წარმოადგენს.

შედარებითი უარყოფა, მართალია, წყვეტია, მაგრამ სწორედ შედარებითი წყვეტი; ის არის წყვეტი განუწყვეტელში, განუწყვეტლობის, როგორც დადებითი კავშირის, მომენტი. „უარყოფა არის კავშირის მომენტი“ [1].

შეუძლებელია სინთეზი, სინთეზური გადასვლა შინაგანი უარყოფის გარეშე. სინთეზი არის გარკვეული გადასვლა; შეუძლებელია არა სინთეზური გადასვლა. გადასვლა ყოველთვის არის განსხვავებულზე გადასვლა, ე. ი. უარყოფის საშუალებით შესრულებული გადასვლა. სინამდვილეში არსებული განსხვავება, სადაც განსხვავებულები ერთიმეორეს არ გამორიცხავენ, ლოგიკურად, ლოგიკურ სფეროში გადმოტანით უარყოფის საშუალებით შესრულებული განსხვავებაა. „ცუგა არის ძაღლი“, ცუგას აქვს მისი ნიშანი — „ძაღლი“, აქ არ არის ურთიერთგამორიცხვა, არის მხოლოდ განსხვავება, მაგრამ 1) ამ განსხვავების საფუძვლად, მის ძირში ძევს კერძოსა და ზოგადის დაპირისპირება; 2) ლოგიკურად: ა) ცუგა არის ის, რაც არ არის ძაღლი — ერთი არის ის, რაც არ არის მეორე და პირიქით; ბ) კერძო და ზოგადი დაპირისპირებაში იმყოფებიან, ერთიმეორის მიმართ დაპირისპირებული, საწინააღმდეგო კატეგორიებია.

უარყოფა არის გადასვლის საშუალება არა მხოლოდ იმ აზრით, რომ სინთეზურ გადასვლაში ადგილი აქვს A-დან იმაზე გადასვლასაც, რაც არ არის A, არამედ იმ აზრითაც. და ეს არის მთავარი, რომ გადასვლას უარყოფა ახდენს, გადასვლა უარყოფაში ხორციელდება. უარყოფა არის გადასვლის საშუალება, რადგან: 1) ის არის იმის უარყოფა, საიდანაც ხდება გადასვლა; წინააღმდეგ შემთხვევაში გადასვლა არ შესრულდებოდა, დასაწყისშივე დავრჩებოდით, ვერ მივიღებდით სხვას; 2) უარყოფა თვითონ გადასვლის მომენტია, კავშირის მომენტს წარმოადგენს; გადასვლა არის მოძრაობა, რომელიც შინაგანი უარყოფით — წინააღმდეგობით სრულდება; 3) უარყოფა არის გადასვლის საშუალება იმ აზრითაც, რომ ერთის უარყოფა არ არის მხოლოდ მისი უარყოფა, არამედ ამავე დროს მეორის დადგე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 226.

ნაა, მაგალითად, არაკერძო არის ზოგადი და პირიქით; აქ ერთის უარყოფა მის საწინააღმდეგოს ადგენს და პირიქით.

ისიც შეიძლება და უნდა ითქვას, რომ არაგადასვლის აღიარება არის სხვისი უარყოფა. თუ ვამბობთ, რომ შეუძლებელია რაიმედან სხვაზე გადასვლა, მაშინ უარვყოფთ ამ გადასვლას. მაგრამ ეს უარყოფა ნამდვილად არის გადასვლა უარსაყოფიდან იმაზე, საიდანაც უნდა მოგვეხდინა გადასვლა. გადასვლის უარყოფა და ერთ ადგილზე დარჩენა არის დარჩენა სხვისი უარყოფის საფუძველზე. რაიმე არის ეს და არა საწინააღმდეგო, ეს უკვე საწინააღმდეგოს უარყოფის საფუძველზე შესრულებული დადგენაა („დარჩენაა").

ამიტომ შეუძლებელია უარყოფის, როგორც გადასვლის საშუალების, უარყოფა, არმიღება, ე. ი. ის არის აუცილებელი, აუცილებელი საშუალება გადასვლისა. უარყოფა თვითონ არის გადასვლა და პირიქით — გადასვლა არის უარყოფა, გარკვეული უარყოფა. უარყოფის უარყოფაც ხომ უარყოფას წარმოადგენს.

§ 122. მსჯელობათა გადასვლები

როგორც აღინიშნა: 1) ცნება არის გადასვლა, 2) მსჯელობა, თავისი ბუნებით, არის გადასვლა; დასკვნაც, ცხადია, ლოგიკურ გადასვლას წარმოადგენს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცნება, მსჯელობა და დასკვნა ერთი და იგივეა, არამედ იმას, რომ სამივე ფორმა არის სწორედ ლოგიკური ფორმა, გადასვლის გარეშე კი ლოგიკური ფორმა შეუძლებელია. გადასვლა გარკვეული კავშირია; ზემოთ ვნახეთ ის, თუ როგორ კავშირს წარმოადგენს მსჯელობა. შემდეგ გაირკვევა ცნებისა და დასკვნის ბუნება. ახლა შევჩერდებით იმაზე, თუ რას წარმოადგენს მსჯელობათა გადასვლები. სიტყვა „გადასვლა", როგორც აღინიშნა, აქ იხმარება ლოგიკური კავშირის, სახელდობრ, სინთეზური აუცილებელი კავშირის აზრით და არა ამ სიტყვის ჰეგელიანური გაგებით. ჰეგელისათვის გადასვლის სფერო არის არსის სფერო, ეს არის ერთი თვისობრიობის მეორეში — სხვა თვისობრიობაში გადასვლა.

ფორმალური ლოგიკის ყოველი დასკვნა არის მსჯელობათა გადასვლა, ერთი ან რამდენიმე მსჯელობის სხვა მსჯელობაში გადასვლა. ყოველი ლოგიკური პროცესი არის გადასვლა, მაგალითად, დედუქცია არის გადასვლა ზოგადიდან კერძოზე; ინდუქცია არის გადასვლა კერძოდან ზოგადზე; რედუქცია არის გადასვლა შედეგიდან საფუძველზე, მაშინ როცა დედუქცია და ინდუქცია საფუძვლიდან შედეგზე გადასვლაა.

ზემოთ განხილული ფორმალურ-ლოგიკური უშუალო დასკვნები მსჯელობათა გადასვლებს — ერთი მსჯელობიდან მეორეზე გადასვლას წარმოადგენენ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია მსჯელობათა ისეთი გადასვლები, სადაც უარყოფითი დიალექტიკა ხორციელდება.

ისეთი გადასვლა, სადაც ხორციელდება საწინააღმდეგოს აუცილებლობა, არის უარყოფით-დიალექტიკური გადასვლა. შეიძლება ერთი მსჯელობა (ან კატეგორია) გადადიოდეს საწინააღმდეგოში ან 1) ისე, რომ ეს საწინააღმდეგო დგინდებოდეს უარყოფით ასპექტში. ე. ი. ის დგინდებოდეს როგორც თავიდან მოუცილებელი რამ, ამ აზრით, აუცილებელი, ან 2) იგი დგინდებოდეს დადებით ასპექტში. ე. ი. ხდებოდეს რაიმეს გამართლება საწინააღმდეგო რაიმეთი. პირველ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა ვაყალიბებთ ისეთ უარყოფით მსჯელობას, სადაც უარვყოფთ იმას, რისი უარყოფაც შეუძლებელია, მაგალითად, გამოვთქვამთ მსჯელობას „აზრი არ არსებობს"; ეს მსჯელობა იძულებულია მიიღოს საწინააღმდეგო — გადავიდეს საწინააღმდეგოში, რადგან აზრის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია. აზრის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფაც აზრს წარმოადგენს. შეუძლებელია კერძოს უარყოფა, რადგან ეს უარყოფა ისეთი ზოგადის მიღებაა, რომელიც კერძოს წარმოადგენს. თუ რაიმეს თავიდან აცილება შეუძლებელია, მაშინ გვაქვს რაიმეს დადგენა — მასზე გადასვლა უარყოფით ასპექტში[1]. ასეთი დადგენა საწინააღმდეგოს თავიდან მოუცილებლობაა, მისი თავიდან მოცილება შეცდომას წარმოადგენს; მაგრამ შეცდომაა მხოლოდ წინააღმდეგობის აღიარება, ე. ი. ისეთი წინააღმდეგობის აღიარება, რომელიც არ არის მისული გადაწყვეტამდე, ერთიანობამდე, რაც ამ წინააღმდეგობის საფუძველს წარმოადგენს (როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, კანტის „ანტინომიებში").

მეორე შემთხვევას — საწინააღმდეგოზე პირდაპირ — დადებით გადასვლას ადგილი აქვს მაშინ, თუ დადებითში არის შინაგანი უარყოფა, რომელსაც უარყოფითი მსჯელობით გამოვთქვამთ — უარყოფით მსჯელობაში ვაფორმებთ; მაგალითად, დადებითი სინთეზური მსჯელობა „კერძო არის ზოგადი" აუცილებლობით შეიცავს იმას, რომ „კერძო არ არის ზოგადი", რომ კერძო არის ზოგადის საპირისპირო თუ საწინააღმდეგო (ამ შემთხვევაში ეს ორი რამ ერთი და იგივეა). საჭიროა პირველი მსჯელობის ენთიმემურობის მოხსნა და მისი ცალმხრიობის აზრის სრული წარმოდგენა მეორე — საწი-

[1] ასეთია, მაგალითად, პროფ. ლ. გოკიელის „ძირეული დასკვნები", იხ. მისი „О природе логического", 1958 г.

ნააღმდეგო ცალმხრიობასთან დაკავშირებით, მეორე ცალმხრიობის დადებითი დადგენით. ჰეგელის აზრი, რომ კერძო არა მხოლოდ კერძოა, არამედ ზოგადიც, მოითხოვს ორი დადებითის—კერძოს და ზოგადის — გაერთიანებას; აქ ისეთი ორი დადებითი ერთიანდება, რომლებიც ერთიმეორისადმი საწინააღმდეგოა, ე. ი. ერთიმეორის მიმართ უარყოფით, და არა მხოლოდ დადებით, დამოკიდებულებაში არიან.

სინთეზური აუცილებელი კავშირი არის დადებითისა და უარყოფითის აუცილებელი კავშირი; ამიტომ მისი ცალმხრიობანი (ერთმხრიობანი) ერთიმეორეში გადადიან, რაც უშუალო დასკვნის სახით ხორციელდება და უშუალო დასკვნას წარმოადგენს. ასეთია ყოველი ლოგიკური სინთეზი. დადებითისა და უარყოფითის ერთიანობა ლოგიკურში სრული სახით ხორციელდება იმ დასკვნაში, რომელსაც ჩვენ ქვემოთ სპეციალურად განვიხილავთ, და რომლის ცალმხრიობებსაც ახლა ვეხებით.

ერთი მსჯელობის საწინააღმდეგო მსჯელობაში გადასვლა არის უარყოფითი დიალექტიკა, თუკი ეს გადასვლა არაა შემთხვევითი, თუ ის აუცილებელია, ე. ი. გამომდინარეა იმის ბუნებიდან, რაც გადადის; მაგრამ თუ ეს აუცილებლობა საწინააღმდეგოსი ჯერ არ არის მისული ერთიანობამდე, წინააღმდეგობის ერთიანობამდე, რაც დადებით დიალექტიკას წარმოადგენს. თუ უარყოფით-დიალექტიკური გადასვლა არ არის აუცილებელი, ე. ი. თუ რაიმე და მისი საწინააღმდეგო ერთიმეორეს უკავშირდება არა აუცილებლობით, მაშინ საქმე გვაქვს სოფისტიკასთან. აქ განსხვავდება უარყოფითი დიალექტიკა სოფისტიკისაგან.

მსჯელობა „სიდიდე არის წყვეტადი“ აუცილებლობით გადადის მსჯელობაში „სიდიდე არ არის წყვეტადი“ — „სიდიდე განუწყვეტელია“, რადგან წყვეტადი სიდიდე განუწყვეტელი ერთეულებისაგან შედგება. ათი ერთეულისაგან შემდგარი სიმრავლე წყვეტადია, მაგრამ: 1) ის არის ერთი განუწყვეტელი სიმრავლე — ერთი ათი, და 2) ერთი და იმავე ბუნების მქონე ერთეულების სიმრავლე; ცნების მიხედვით, ერთეულები ერთი და იგივეა, არითმეტიკულადაც ტოლნი არიან (ამ ორი რაიმეს — წყვეტის და განუწყვეტელის ერთიანობა კი იქნება შუალობითი კავშირი).

მსჯელობა „ქვეყანა არის სასრული“ გადადის მსჯელობაში „ქვეყანა უსასრულოა“, რადგან; 1) თუ ქვეყანა მხოლოდ სასრულია, მაშინ არსებულა მხოლოდ ერთი ქვეყანა, ამიტომ ის არის აბსოლუტური, ე. ი. უსასრულო; 2) რაც სასრულს საზღვრავს, ისიც ხომ

სასრულში შევა — სასრული იქნება, 3) სწორედ სასრულოებს ჰქვია უსასრულო, ყველა სასრული არის უსასრულო [1].

კანტის პირველ „ანტინომია"-ში ასეთი აზრია განვითარებული: თუ ქვეყანა არის სასრული, მაშინ ის არ არის სასრული — უსასრულოა; თუ ქვეყანა უსასრულოა, მაშინ ის არ არის უსასრულო — სასრულია. ერთის დაშვება აუცილებლობით იწვევს მეორეს და პირიქით; მხოლოდ სასრული შეუძლებელია; მხოლოდ სასრული უარყოფითად ადგენს უსასრულოს და პირიქით. თავის თავის უარმყოფელი უარყოფითად ადგენს მის საწინააღმდეგოს. აქ არის წინააღმდეგობის აუცილებლობა, მაგრამ ისეთი, რომ საქმე გაჩერებულია წინააღმდეგობაზე, რომელიც, თავის თავად აღებული, შეცდომას, „Schein"-ს წარმოადგენს. მოკლედ, ასეთია უარყოფითი დიალექტიკა, რომელიც მოითხოვს დადებით დიალექტიკას; წინააღმდეგობა მოითხოვს მის გამმართლებელს — ერთიანობას.

აქ აღნიშნული გადასვლები წარმოადგენენ უშუალო დასკვნებს, რომლებიც, როგორც ვნახეთ, დიალექტიკური ბუნებისაა. ასეთ დასკვნებში მსჯელობა არის სასრული; მისი საწინააღმდეგოში გადასვლა ამ სასრულობას სისრულით ნათელყოფს, ააშკარავებს, ადგენს. შეიძლება და უნდა ითქვას, რომ სასრული ლოგიკური არის მსჯელობა და პირიქით—მსჯელობა არის სასრული ლოგიკური. მსჯელობის სასრულობა სწორედ დასკვნაში ჩანს, მასში დგინდება. მსჯელობა დასკვნის ერთმბრიობაა. ამ ერთმბრიობისთვის საწინააღმდეგო ერთმხრიობის აუცილებლობა დასკვნაში მართლდება. მსჯელობის სრული აზრი დასკვნაში ჩანს; მსჯელობა დასკვნაში მართლდება. ამიტომ უნდა ითქვას, რომ მსჯელობა შეფარდებითია, რელატურ-ლოგიკურია. მსჯელობის რელატურობა უარყოფით დიალექტიკაში სისრულით არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს სისრულე დადგინდება დადებით-დიალექტიკურ დასკვნაში (რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ).

§ 123. კატეგორიათა გადასვლები

მსჯელობათა გადასვლები, როგორც უშუალო დასკვნები, უშუალოდ აჩვენებენ იმას, რომ კატეგორიების გადასვლებიც უშუალო დასკვნებს წარმოადგენენ, სახელდობრ, ისეთ დასკვნებს, სადაც კიდევ უფრო სრულად არის წარმოდგენილი უშუალო დასკვნის აზრი —ბუნება. კატეგორიების გადასვლებში ხორციელდება საპირისპიროში, საწინააღმდეგოში გადასვლა არა მხოლოდ უარყოფითად, არა-

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 245.

მედ დადებითადაც. კატეგორიების გადასვლებში არა მარტო უარყოფითი დიალექტიკა გვაქვს, არამედ დადებითი დიალექტიკაც; არა მარტო საწინააღმდეგოს აუცილებლობას აქვს ადგილი, არამედ საწინააღმდეგოში დადებით გადასვლასაც.

მაგალითად, უსასრულო გადადის სასრულში, რადგან: 1) უსასრულო არის ყველა სასრული, 2) უსასრულოს ცნებაში არის სასრულის ნიშანიც, უსასრულოში არის სასრული, რადგან დადებითი უსასრულობა სისრულეა; პირველი უსასრულო, ე. ი. უსასრულო, როგორც ყველა სასრული, არის უარყოფითი უსასრულო, რადგან „ყველა“ არის დაუსრულებელი. ცნებაში უსასრულო არის სასრული როგორც სრული, ე. ი. თუ ვიცით, რა არის უსასრულო, ე. ი. თუ გვაქვს მისი ცნების განსაზღვრება, მაშინ, ცხადია, ცნების — ლოგიკური თვალსაზრისით, უსასრულო სასრულად — სრულად არის წარმოდგენილი, ე. ი. საქმე გვაქვს სასრულის და უსასრულოს დიალექტიკურ ერთიანობასთან; 3) დაუსრულებელი მოძრაობა-განვითარება დასრულებულად არის წარმოდგენილი მოძრაობა-განვითარების ძირითად კანონში. თუ ვიცით რა არის განვითარება, მაშინ დაუსრულებელი განვითარება დასრულებულად არის გამოთქმული. თვითონ განვითარების ბუნება დაუსრულებელ განვითარებაში ერთი და იგივეა. 4) უსასრულო არის სასრული, თუ ის სასრულის გარეშეა წარმოდგენილი; მხოლოდ უსასრულო, სასრულის მიღმა არსებული უსასრულო თვითონ არის სასრული[1]. მხოლოდ სასრული კი აბსოლუტურია, უსასრულოა; აქ ადგილი აქვს უარყოფით დიალექტიკას — საწინააღმდეგოს თავიდან მოუცილებლობას.

აქ განხილულ ოთხ შემთხვევაში ნათლად ჩანს უსასრულობისათვის სასრულის აუცილებლობა და — სასრულისათვის უსასრულოს აუცილებლობა (კიდევ მეტი: მათი ერთიანობის აუცილებლობაც).

დიალექტიკურ მატერიალიზმში ცნობილია, რომ შემთხვევითობა გადადის აუცილებლობაში და პირიქით, არა მარტო სინამდვილეში, არამედ ცნებებშიც — შემთხვევითობის ცნება და აუცილებლობის ცნება ერთიმეორეს აუცილებლობით საჭიროებენ; შემთხვევითობა აუცილებლობის არსებობის ფორმაა და არა აუცილებლობის გაუქმება. ასე ითქმის თავისუფლების და აუცილებლობის ცნებების შესახებაც. თავისუფლება არის შეგნებული შინაგანი აუცილებლობა და არა მისი უარყოფა-გაუქმება. რაოდენობის ცნება გადადის თვისობრიობის ცნებაში, რადგან რაოდენობის ცნების განსაზღვრება

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 104—105.

არის რაოდენობის თვისობრიობის ცნების დადგენა. ზოგადი, აღებული ცალკე, არის ცალკეული, და სხვ.

ერთიმეორეში აუცილებლობით გადადიან ლოგიკურის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა მსჯელობა, დასკვნა და ცნება. მსჯელობა გადადის დასკვნაში, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული. ეს გადასვლა თვითონ არის დასკვნა, სახელდობრ, უშუალო დასკვნა. მსჯელობა არსებითად არის დასკვნა: 1) დადებითი მსჯელობა აუცილებლობით გულისხმობს უარყოფითს, ორივე კი მათ ერთიანობას—დასკვნას. 2) მსჯელობა, როგორც „კერძო არის ზოგადი", კერძოს გადასვლაა ზოგადში; 3) მტკიცება-უარყოფა არის არსება დასკვნის და დასაბუთების; დასაბუთება მტკიცება-უარყოფის გზით სრულდება. დასკვნა გამოითქმება მსჯელობით, მაგალითად, პირობითი მსჯელობით. ცალმხრივად გამოთქმული დასკვნა არის მსჯელობა. ცნება, როგორც ეს ქვემოთ გაირკვევა, არის დასკვნის ზოგადი აზრი, რომელიც მსჯელობების ერთიანობის საფუძველზე მიიღება. მსჯელობა, დასკვნა ცნებებს წარმოადგენენ; არსებობს მსჯელობის ცნება, დასკვნის ცნება, დასაბუთების ცნება. მსჯელობა, დასკვნა, ცნება ლოგიკურის კატეგორიები — ცნებებია, და სხვ.

თუ ინდუქცია არის ლოგიკური მეთოდი, მაშინ უნდა ითქვას, რომ კერძო არის ზოგადის საფუძველი. კერძოდან მიიღება ზოგადი, და თვითონ კერძო არის ზოგადი, რაც მსჯელობის ბუნებას გამოთქვამს. თუ დედუქცია არის ლოგიკური მეთოდი,მაშინ უნდა ითქვას, რომ ზოგადი არის კერძოს საფუძველი. კერძოს და ზოგადის ასეთი დამოკიდებულება სისრულით მაშინ წარმოდგება, თუ არსებობს ისეთი მეთოდი, რომელიც ინდუქციას და დედუქციას გააერთიანებს. ასეთი მეთოდი უნდა არსებობდეს, რადგან: 1) მეთოდის ერთი ცნება სწორედ ერთ მეთოდს მოითხოვს, 2) კერძოს და ზოგადის დიალექტიკური ერთიანობა ერთ ლოგიკურ მეთოდს აფუძნებს. ასეთი ერთი ლოგიკური უნივერსალური მეთოდი რომ არსებობს, ამის შესახებ ქვემოთ — დასაბუთების თეორიაში — გვექნება საუბარი.

ერთმხრივი გადასვლის პრინციპია „თუ — მაშინ"; მაგალითად, თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი, ან პირიქით. ორმხრივი გადასვლის პრინციპი არის არა თვითონ ორმხრივი გადასვლა, არამედ ამ ორმხრიობის ერთიანი საფუძველი. თუ შესაძლებელია შემდეგი: „თუ არის A, მაშინ არის B და პირიქით" და „თუ არ არის A, მაშინ არ არის B და პირიქით", მაშინ ადგილი უნდა ჰქონდეს უარყოფის საშუალებით თვითდადგენას, რომელიც „მეტია", ვიდრე „თუ —

მაშინ", მაგრამ ეს „მეტი" უკვე სრული შუალობითი დასკვნა იქნება და არა უშუალო დასკვნა, რომელიც მისი მხოლოდ ერთმხრიობა შეიძლება იყოს (ამის შესახებ ქვემოთ).

§ 124. ლოგიკური რეფლექსია

წინა პარაგრაფში მოცემულია როგორც ერთმხრივი, ისე ორმხრივი გადასვლის დახასიათება. ორმხრივი თუ შებრუნებადი გადასვლა არის ის, რასაც შეიძლება ლოგიკური რეფლექსია ეწოდოს. თუ A არის B-ს საფუძველი და B საფუძველია A-სი, მაშინ ადგილი აქვს ლოგიკურ რეფლექსიას (და არა შემეცნებით რეფლექსიას, როცა ეს გაგებულია როგორც შემეცნებელი სუბიექტის მობრუნება თავის თავისადმი—თავის თავის ობიექტად გახდომა, რაც, როგორც ცნობილია ძირითადი მომენტი იყო როგორც ფიხტეს, ისე ჰეგელის მოძღვრებაში რეფლექსიის შესახებ და საერთოდ მათ ფილოსოფიაში).

მაგრამ აქ ადგილი აქვს სიძნელეს: შედეგი, როგორც საფუძველი, ხომ მართლაც საფუძველია? თუ შედეგს საფუძვლად გამოვიყენებთ, მაშინ ამ საფუძვლიდან გადასვლა, ხომ ისევ საფუძვლიდან შედეგზე გადასვლა იქნება? ამიტომ შებრუნებას და ლოგიკურ რეფლექსიას თითქოს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, ლოგიკური რეფლექსია შეუძლებელი უნდა იყოს. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ერთმხრივ გადასვლას უნდა ჰქონდეს აბსოლუტური ხასიათი; შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ერთმხრივი გადასვლა. მაგრამ ერთმხრივი გადასვლის აბსოლუტურობის მიღება გაუგებარს გახდის კერძოს და ზოგადის დიალექტიკურ ურთიერთდაფუძნებას, ეს კი ერთმხრივი გადასვლის არა აბსოლუტურობას, არამედ სწორედ ერთმხრიობას აჩვენებს. გაუგებარი და აუხსნელი დარჩება, აგრეთვე, ინდუქცია, თუ ლოგიკური რეფლექსია შეუძლებელი იქნება, რადგან, როგორც ცნობილია, ინდუქცია კერძოდან ზოგადზე გადადის, მაგრამ ამ გადასვლას აზრი აქვს და შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის ემყარება ზოგადობას. ეს წრიულობა გამართლდება მხოლოდ ლოგიკური რეფლექსიის შესაძლებლობის პირობებში. ლოგიკური რეფლექსია, ერთგვარი შებრუნებადობა თუ წრიულობა არ შეიძლება არ გამართლდეს, რადგან საფუძველი შედეგის საფუძველია, შედეგი კი სწორედ საფუძვლის შედეგს ჰქვია; ეს ცნებები ერთიმეორეს აუცილებლობით გულისხმობენ და მოითხოვენ.

მხოლოდ ერთმხრივი გადასვლის აღიარება დასაბუთებას, ასე ვთქვათ, უთავბოლოს გახდის; მას არც საწყისი ექნება და, შეიძლება, არც ბოლო; ეს კი იქნება უსასრულო რეგრესის შეცდომა, რაც და-

საბუთებას შეუძლებელს გახდის. ამიტომ აუცილებელია ლოგიკური რეფლექსია, სახელდობრ, ის, რომ როგორმე განხორციელდეს შედეგით საფუძვლის გამართლება, მისი დადგენა.

გადასვლის „უთავბოლობას" მხოლოდ მაშინ ავცდებით, თუ შესრულდება ორმხრივი — შებრუნებითი — გადასვლა და თუ ამ ორმხრივ გადასვლას ერთსა და იმავეში ექნება ადგილი, თუ საფუძველ–შედეგის დამოკიდებულება თავისებურ ერთ საფუძველს დაემყარება და მასში გამართლდება; წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკურ წრეს, როგორც შეცდომას, თავს ვერ დავაღწევთ.

უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: რა აზრით შეიძლება იქნეს აღებული შედეგი როგორც საფუძველი და პირიქით — საფუძველი როგორც შედეგი? შესაძლებელია ასეთი პასუხი: შედეგი კერძოს აზრით არის საფუძველი თავისი ზოგადის — საფუძვლისა და პირიქით — ზოგადი, როგორც ასეთი, საფუძველია კერძოსი. აქ მართლდება ინდუქცია და დედუქცია. ინდუქცია კერძოს საფუძველზე ზოგადის გამართლებაა, მაგრამ თვითონ ეს გამართლება შესაძლებელია ზოგადი პრინციპის საფუძველზე (მაგალითად, ბუნების ერთგვაროვნობის პრინციპის საფუძველზე). დედუქციაში ზოგადის საფუძველზე მართლდება კერძო, მაგრამ ზოგადის ლოგიკური მიღებისათვის აუცილებელი ხდება კერძო; კერძოდან ზოგადის გამოყვანა — ინდუქცია — აუცილებელია დედუქციისათვის და პირიქით. ეს კი უკვე არის ლოგიკური რეფლექსია.

შინაარსეული კერძო არის შინაარსეული ზოგადის საფუძველი, რამდენადაც ასეთი ზოგადი კერძოთა ერთიანობაა; შინაარსეული კერძო ასეთია ზოგადის საფუძველზე, რადგან ერთმხრიობა არის სწორედ მთელის — ერთიანობის მბარე, მომენტი.

ლოგიკური რეფლექსია, როგორც ვნახეთ, უშუალოდ არსებობს ლოგიკურის კატეგორიებში. ლოგიკურის კატეგორიის ბუნება ლოგიკურ რეფლექსიაში მდგომარეობს. მაგალითად, იგივეობა, როგორც ლოგიკურის კატეგორია, რეფლექსურია, რადგან იგივეობის უარყოფა ისევ იგივეობას მოიხმარს და ადგენს; უარყოფის უარყოფა არის სწორედ უარყოფა, აზრის უარყოფა (ლოგიკური უარყოფა) თვითონ არის აზრი. კერძოს უარყოფა ისევ კერძოს გვაძლევს და სხვ. (სრული ლოგიკური რეფლექსია ხორციელდება სრულ ლოგიკურ შუალობით კავშირში, სახელდობრ, უსასრულო დასკვნაში, როგორც ეს ქვემოთ იქნება გამოკვლეული).

ლოგიკური რეფლექსურობის გაუგებრობა, მისი ფორმალიზაციის შეუძლებლობის გამო მისი უარყოფა, ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ ერთმხრივი გადასვლის აღიარება იწვევს ისეთ პარადოქსებს, რო-

მელთა გადასაწყვეტად რასელმა ტიპების თეორია შექმნა. იგი იწყევს საერთოდ ლოგიკურის ენობრივზე დაყვანას, ლოგიკის შეცვლას „ლოგიკური სინტაქსით“. ამ პარადოქსთა გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გამართლებულ იქნა რეფლექსურ-ლოგიკური, ლოგიკური რეფლექსია; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში. კატეგორიების ლოგიკა სძლევს სიძნელეებს, რომლებიც გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს ფორმალურსა და მათემატიკურ ლოგიკას.

§ 125. უშუალო დასკვნის ანტინომიურობა

ლოგიკური რეფლექსურობის შესახებ ზემონათქვამში არის ერთი, ისიც ძირითადი, გაურკვეველობა, რასაც უშუალო დასკვნის სიბრტყეზე ლოგიკური რეფლექსურობის განხილვა იწვევს და რაც უშუალო დასკვნის ანტინომიურობაში მდგომარეობს. ლოგიკური რეფლექსურობა, თუ ის უშუალო დასკვნის დონეზე განვიხილეთ, არ არის სრული, რამდენადაც შეჩერებული ვართ შებრუნებადობაზე, რომელიც ერთგვარ წრიულობას, ისიც გადაუწყვეტელ წრიულობას წარმოადგენს. თუ საფუძველი არის შედეგი და შედეგი საფუძველია, მაშინ მათი გარჩევა შეუძლებელი ხდება. გამოდის, რომ საფუძველი, როგორც ასეთი, საფუძველი კი არაა, არამედ — შედეგი; შედეგი კი საფუძველია და არა შედეგი. თვითეული მათგანი საწინააღმდეგოში გადადის, ისე რომ ერთსაც აზრი ეკარგება და მეორესაც; ამიტომ არსებობს აუცილებელი „უაზრობა“, წინააღმდეგობა, რომელიც აზრდაკარგულობას უდრის. ეს არის უშუალო დასკვნის ანტინომიურობა, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს უშუალო დასკვნის არსებობა, იგი უარყოფილ უნდა იქნას.

უშუალო დასკვნის ანტინომიურობაში თავისებურად და უფრო მაღალ დონზე არის განმეორებული მსჯელობის ანტინომიურობა, იგი ამ უკანასკნელის განვითარებას წარმოადგენს. დადებითი მსჯელობა „კერძო არის ზოგადი“ არის რაღაც უაზრო, რადგან: 1) კერძო არის კერძო და არა ზოგადი, აქ კი ნათქვამია პირიქით: „კერძო არის ზოგადი“; 2) „კერძო არის ზოგადი“ გადადის საწინააღმდეგოში, მას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ „კერძო არ არის ზოგადი“, თუ კერძო გამორიცხავს ზოგადს, მაგრამ, ამავე დროს, ამით მას აზრი ეკარგება, რადგან წინააღმდეგობაში ვარდება: „კერძო არის ზოგადი“ გამართლებულია საწინააღმდეგოთი — „კერძო არ არის ზოგადი“, მაგრამ

ეს მას გამორიცხავს და არ ამართლებს; ე. ი. მივიღებთ: რაც ამართლებს ის არ ამართლებს; ეს აშკარა ანტინომიაა.

ამრიგად, მივიღეთ გამოუვალი მდგომარეობა: უშუალო დასკვნები, როგორც გარკვეული გადასვლები ანტინომიებში იხლართება, ე. ი. ერთგვარ „უაზრობებს“ წარმოადგენენ. გამოდის, რომ უშუალო დასკვნა არ არის დასკვნა. მართლაცდა, დასკვნა გაშუალებაა და ამიტომ „უშუალო დასკვნა“ წინააღმდეგობრივი, ანტინომიური ხასიათის უნდა იყოს. დასკვნა უნდა იყოს არა უშუალო, არამედ შუალობითი. დასკვნის ცნება მხოლოდ შუალობით დასკვნაში მართლდება და არა უშუალო დასკვნაში.

§ 126. უშუალო დასკვნის გადასვლა შუალობითში

უშუალო დასკვნის ანტინომიურობა არის უარყოფითი დიალექტიკა, რომელიც აზრის მქონეა მხოლოდ მაშინ, თუ ის დაქვემდებარებულია დადებით დიალექტიკას; ისე კი მართლაც „უაზრობა“, შეცდომაა. წინააღმდეგობა, აღებული ცალკე, ე. ი. შიშველი წინააღმდეგობა შეცდომას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ აქვს აზრი და გამართლება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ წინააღმდეგობა გამართლებულია და აზრის მქონეა, თუ მას აქვს საფუძველი. თუ წინააღმდეგობა არსებობს ერთიანში. ამიტომ იმასაც უნდა მოველოდეთ, რომ უშუალო დასკვნის ანტინომიურობა გადაწყდება. უშუალო დასკვნის ანტინომიურობის გადაწყვეტა სხვა არაფერია, თუ არა უშუალო დასკვნის გადასვლა შუალობაში. ეს გადასვლა უშუალო დასკვნის ანტინომიურობის გადაწყვეტით ხორციელდება.

როგორც ზემოთ გაირკვა, მსჯელობის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარეობს დასკვნა, პირველ რიგში — უშუალო დასკვნა. ამიტომ უშუალო დასკვნა მსჯელობისათვის აუცილებელია, ე. ი. უშუალო დასკვნის ანტინომიურობა არის აუცილებელი წინააღმდეგობა. სწორედ ეს აუცილებლობა მიუთითებს ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტის შესაძლებლობაზე. მართლაც, მსჯელობა „კერძო არის ზოგადი“ არის ერთგვარი საფუძველი იმისა, რომ ვთქვათ, „კერძოს საფუძველზე არის ზოგადი“, ანუ „თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი“, მაგრამ ეს უკვე ანტინომიურობაა, რადგან კერძოს საფუძველზე უნდა იყოს შესაძლებელი კერძო და არა მისი საპირისპირო თუ საწინააღმდეგო. იმის თქმა, რომ რაიმე არის მისი საწინააღმდეგოს — მისი გამომრიცხველის საფუძველი, ცხადია, ანტინომიურობას წარმოადგენს.

ისიც ითქვა, რომ ეს ანტინომიურობა შესაძლებელია გადაწყდეს და უნდა გადაწყდეს, მაგრამ რა გადაწყვეტს ამ ანტინომიას, რით და როგორ გადაწყდება უშუალო დასკვნის ანტინომია? ამ კითხვაზე პასუხი იქნება ასეთი: უშუალო დასკვნის ანტინომია გადაწყდება შუალობის გზით — გაშუალების საშუალებით, ე. ი. „მესამის“ დადგენით. კერძო უშუალოდ არ არის ზოგადი; კერძო უშუალოდ არის კერძო და არა ზოგადი. კერძო არის ზოგადი რაღაც მესამის საშუალებით; რაღაც გაშუალებით დგინდება ის, რომ კერძო არის ზოგადი, ანდა იგი საერთოდ შეუძლებელია. ასე რომ თუ უშუალო დასკვნა შესაძლებელია, მაშინ ის გამართლდება მხოლოდ შუალობით დასკვნაში და მხოლოდ შუალობითი დასკვნით. ამ აზრით შუალობითი დასკვნა უშუალო დასკვნის საფუძველი იქნება, და უშუალო დასკვნის შუალობითში გადასვლა თვითონ იქნება ნიმუში შედეგის საფუძველში გადასვლისა; მაგრამ შედეგს, როგორც საფუძველს, სხვა აზრი ექნება, საფუძველს როგორც შედეგს კი — სხვა (ამით შესახებ შემდგომ უფრო სრულად გვექნება საუბარი).

საფუძველი, როგორც მხოლოდ საფუძველი, ცალმხრივია, შედეგის გარეშე აღებული საფუძველი არ არის საფუძველი. რამდენადაც ის არის საფუძველი, ამდენად შედეგსაც აუცილებლობით გულისხმობს. საფუძვლის ცნება შედეგის ნიშანსაც გულისხმობს. ამიტომ საფუძველი, როგორც ასეთი, არის ცალმხრივი, მაგრამ მეორე ცალმხრიობის მოგულისხმე. ეს მეორე ცალმხრიობა არის შედეგი. რომლის შესახებაც ისევე ითქმის, როგორადაც საფუძველი დახასიათდა. ამიტომ საფუძველიც და შედეგიც ცალმხრიობებია; ისინი სასრული ხასიათის არიან და სრულის ერთმხრიობებს წარმოადგენენ. ასეთია კერძოს, როგორც საფუძვლის, და ზოგადის, როგორც საფუძვლის, ან პირიქით დამოკიდებულება. ასეთი საფუძვლის და შედეგის დამოკიდებულება მართლდება მათი უცილობელი ერთიანობით, როგორც მათი ძირით. მათი ეს ერთიანობა კი შუალობითია, რაღაც „მესამის“ საშუალებით არის შესრულებული. შუალობითი დასკვნის გარჩევა გაგვირკვევს ამ მესამის ბუნებას. აღმოჩნდება, რომ შუალობითი კავშირის „საშუალო“ ყველა დასკვნაში არ იქნება ერთი და იგივე, რომ არსებობს სხვადასხვანაირი „საშუალო“ თუ „მესამე“, და თუ ამიტომ არსებობს სხვადასხვანაირი შუალობითი დასკვნები. ისიც გაირკვევა, რომ ეს სხვადასხვა „საშუალო“, დასკვნის თვალსაზრისით, არ არის ერთნაირი, ერთი ბუნებისა; ისინი სხვადასხვა ხასიათისაა იმ აზრით, რომ მათი საშუალებით სხვადასხვა სისრულის შუალობითი კავშირი დგინდება, რომ არსებობს ლოგიკური შუალო-

ბითი კავშირის ფორმები, რომლებიც წარმოადგენენ გარკვეული განვითარების საფეხურებს, რომელთაგან პირველი ყველაზე დაბალია, ბოლო კი სისრულით წარმოადგენს ლოგიკურ აუცილებლობას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში „საშუალო“ უკვე აღარ იქნება ისეთი, როგორი ხასიათისაც არიან „კიდურები“; სხვა შემთხვევაში კი ამის საპირისპირო მდგომარეობასთან გვექნება საქმე. ყველაფერი ეს გაირკვევა შუალობითი დასკვნის დახასიათების დროს. როგორც ვნახავთ, შუალობითი დასკვნა იქნება ორი სახის — სასრული და უსასრულო — დასკვნები.

თავი მესამე (7)

სასრული შუალოგითი დასკვნა

§ 127. შუალოგის ცნება

შუალობის ცნება (კატეგორია) უშუალოს საპირისპიროა. უშუალოს ცნების ზემოთ განხილული შინაარსი უკვე მიუთითებს იმაზე, თუ როგორია შუალობის ცნება, ამიტომ ჩვენ აქ რამდენიმე დებულების განხილვით დავკმაყოფილდებით.

გაშუალებული არის ის, რაც შემდეგია, შედეგია, რასაც წინ უსწრებს სხვა რაიმე, როგორც მისთვის აუცილებელი, ანდა — რაც შემდეგით არის განსაზღვრული. ლოგიკის სფეროში გაშუალებული არის იგივე, რაც დასაბუთებული, წანამძღვრის მქონე, გაშუალებული არის განსაზღვრული, ის არის გარკვეული, გარკვეულ დამოკიდებულებებში მყოფი როგორც მის წანამძღვართან, ისე შემდგომთან. გაშუალებული არის ის, რაც აუცილებლობით გულისხმობს სხვას; ის არ არის მხოლოდ იგივეობრივი, სახელდობრ, თავის თავთან იგივეობრივი. მას აუცილებლობით უკავშირდება განსხვავებულობა. ამიტომ შუალობითი არ შეიძლება არ იყოს სინთეზური. ისიც ისეთი, რომელშიც სინთეზი აუცილებლობით არის განხორციელებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოგიკურ სინთეზურობასთან არ გვექნება საქმე. სადაც განსხვავებულობაა, იქ შუალობითობაცაა და პირიქით. შუალობითი მარტო განსხვავებულობა კი არაა, არამედ იგი განსხვავებულობის ერთიანობას წარმოადგენს. შუალობითობა განსხვავებულთა შუალობითი კავშირია. ყველაფერი გაშუალებულია, რადგან: 1) ის არის მართლაც ყველაფერი, 2) რადგან ეს ყველაფერი ერთიანობაშია, 3) ყველაფრიდან თვითეული სხვასთან კავშირშია.

ყოველი გაშუალებული ასეთია სხვასთან დამოკიდებულებაში, მაგრამ ეს სხვა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, შეიძლება იყოს გარეთ და შიგნითაც. შინაგანი განსხვავება აუცილებელი პირობაა შინაგანი გაშუალების. მაგალითად, მსჯელობაში არის სხვადასხვა

შხარე—სუბიექტი და პრედიკატი, რომლებიც ერთიმეორეს განსაზღვრავენ, ერთიმეორეს აშუალებენ. მსჯელობა შინაგანი გაშუალების მაგალითია. ასეთია დასკვნაც, დასაბუთებაც. ის სფერო, სადაც მტკიცება-უარყოფა მოქმედებს, არ შეიძლება შუალობითობის სფეროს არ წარმოადგენდეს.

რადგან სხვასთან დამოკიდებულებაში მყოფი არის გაშუალებული და პირიქით, ამიტომ ყოველი გაშუალებული შეფარდებითია: აზრი აქვს სხვასთან დამოკიდებულებაში, მიმართებაში. სუბიექტი არის სუბიექტი პრედიკატთან მიმართებაში, ასევეა პრედიკატიც. წანამძღვარს აზრი აქვს დანასკვთან მიმართებაში და პირიქით, თეზისი და საფუძველი ერთიმეორით იძენენ აზრს.

გაშუალებული, აღებული ცალკე, თავისთავად, არის უშუალო. მსჯელობა უშუალოა, თუ ის აღებული იქნა ცალკე, სხვა მსჯელობებისგან დამოუკიდებლად და შინაგანი განსხვავების უგულებელყოფით, როგორც მხოლოდ ერთი—თავისთავთან იგივეობრივი აზრი. ასე ითქმის დასკვნის შესახებაც. მაგრამ, მეორე მხრივ, უშუალო, როგორც სხვისგან გამოყოფილი, აბსტრაჰირებული, უკვე აღარაა უშუალო, რადგან იგი განსაზღვრულია,—აზრის მქონეა იმით, რისგანაც ის არის აბსტრაჰირებული. ასეთი რამ შეიძლება სრულიად კარგავდეს აზრს, მაგალითად, მსჯელობის სუბიექტი, აღებული სრულიად ცალკე, აღარ არის სუბიექტი; მაგრამ თუ ის მაინც რჩება, მაშინ ის არის უშუალო, მაგალითად, ისეთი მსჯელობა, რომელსაც ცალკე აქვს აზრი, ვთქვათ, მსჯელობა „ეს არის სახლი“.

ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ უშუალო და შუალობითი შეფარდებითი ცნებებია, მათ აზრი აქვთ ერთიმეორის მიმართ, ერთიანობაში, რომლის გარეშე არც ერთი არ მოიაზრება, არც ერთი არ არსებობს. უშუალოს და შუალობითის ერთიანობა აუცილებელია, აუცილებელია მათი განუწყვეტლობა, რომელსაც არა მარტო უარყოფითი აზრი აქვს, არამედ დადებითიც. შუალობითი და უშუალო აუცილებელ დადებით ერთიანობაში იმყოფებიან, თუმცა ერთიმეორის საპირისპირო თუ საწინააღმდეგო ცნებებსაც წარმოადგენენ. უშუალობის და შუალობის ერთიანობა არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, დაპირისპირებულთა ერთიანობის სანიმუშო მაგალითი.

უშუალოს ცნების განხილვის დროს ვნახეთ, რომ შეუძლებელია არსებობდეს მხოლოდ უშუალო. ამავე საფუძველზე ჩვენ ახლა შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ არ არსებობს არც მხოლოდ შუალობითი: 1) ეს შუალობითი ხომ იქნება თავის თავთან იგივე? მაშასადამე, ის იქნება უშუალო, 2) შუალობითობა თუ გაშუალება გულისხმობს აუცილებლობით იმას, რაც იმყოფება გაშუალებაში; გა-

შუალებაში ყოფნა აღარაა კიდევ გაშუალება, ის არის უშუალო. მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი ერთიმეორეს აშუალებენ, მაგრამ ისინი ამ გაშუალებაში მონაწილეობენ როგორც უშუალონი. წანამძღვარი და დანასკვი ერთიმეორეს აშუალებენ, მაგრამ თვითონ თავისთავად უშუალონი არიან. მსჯელობა, როგორც ითქვა, უშუალოა, მაგრამ თავის თავშიც არის გაშუალებული.

რაიმე დაპირისპირებულთა ერთიანობაში თვითეული მისი მხარე, აღებული ცალკე, აუცილებლობით მოითხოვს მეორეს—მის საპირისპიროს და პირიქით; კერძო მოითხოვს ზოგადს და პირიქით; ეს გარემოება აშკარად დგინდება მათი ერთი მეორისაგან აბსოლუტური გამოცალკევების ცდის დროს, როგორც ეს ზემოთ რამდენიმეჯერ აღინიშნა. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ისინი—საპირისპირონი ერთიმეორეს არა მხოლოდ უარყოფენ, არამედ ადგენენ კიდეც, ამით კი მათი აუცილებელი ერთიანობა დგინდება. დაპირისპირებულთა ერთიანობა არის სრული გაშუალება, რადგან წინააღმდეგობა ამოწურავს სასრულს და ადგენს უსასრულოს, როგორც სისრულეს.

თუ დასაწყისში არის უშუალო, რადგან მას არაფერი გამშუალებელი არ უსწრებს წინ (როგორც ეს უშუალოს ცნების განხილვის დროს ნათელვყავით), მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ის, როგორც დასაწყისი, არის რაიმეს დასაწყისი (წინააღმდეგ შემთხვევაში ის დასაწყისი არ იქნებოდა), ამ რაიმეთი აზრდებული—განსაზღვრული, ამიტომ ის გაშუალებულია; დაწყება უკვე არის გაშუალება. ამიტომ აქსიომა, როგორც დასაბუთების დასაწყისი, შეუძლებელი უნდა იყოს (ამის შესახებ ქვემოთ).

თუ რაიმე უშუალო არის პირველ ადგილზე დასაბუთებაში, მაშინ ეს პირველი ადგილი არის მისი განსაზღვრება, რადგან განსაზღვრება არის ადგილის დადგენა; პირველი ადგილის (როგორც ამას ქვემოთ დავასაბუთებთ) დადგენა უკვე დასაბუთებაა, ე. ი. ლოგიკურ გაშუალებას წარმოადგენს.

ამიტომ არაფერი არ არის მხოლოდ უშუალო და მხოლოდ გაშუალებული არც ცაზე და არც დედამიწაზე (როგორც ამას ჰეგელი იტყოდა). აუცილებელია შუალობის და უშუალოდ ერთიანობა. ასეთ ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს დასკვნა, ამიტომ ის დიალექტიკური უნდა იყოს, არ შეიძლება არ იყოს ასეთი.

§ 128. ლოგიკური აუცილებლობის ცნება

ლოგიკური აუცილებლობა არის ლოგიკური გაშუალების აუცილებლობა. ლოგიკურად გაშუალებული აუცილებელია. თუ უშუალოც აუცილებელია, მაშინ საქმე გვაქვს მის გაშუალებასთან.

ფორმალურ ლოგიკაში აუცილებელი არის ის, რომლის საწინააღმდეგოც შეუძლებელია. ასეთი აუცილებლობის ძირითადი კანონი, როგორც ცნობილია, არის წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ეს აუცილებლობა არის საწინააღმდეგოს გამორიცხვის აუცილებლობა. აუცილებელი არის ის, რაც სხვანაირად შეუძლებელია. ეს უკვე მეტია, ვიდრე საწინააღმდეგოს გამორიცხვა, რადგან აქ აღებულია არა მარტო საწინააღმდეგო, არამედ საერთოდ სხვა. თუ რაიმე არის ეს, მაშინ შეუძლებელია ის იყოს სხვა. მაშასადამე, ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობა არის სასრულის აუცილებლობა. ლოგიკური სასრული ხომ არის „ეს და არა სხვა"? სასრულის აუცილებლობა არის ამგვარად ყოფნის და არა სხვაგვარად ყოფნის აუცილებლობა.

ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობა არის ისეთი აუცილებლობა, რომელიც მოცულობითი ზოგადია, მისი უარყოფა არ შეიძლება, რადგან მოიცავს აზრის ყოველ ფორმაში განხორციელებულ აუცილებლობას; ყოველ აუცილებელზე ითქმის ის, რომ ის სხვაგვარად შეუძლებელია. აუცილებლობა, როგორც ამგვარად და არა სხვაგვარად ყოფნა, უზოგადესია თავისი მოცულობით. ამდენად ერთგვარ გაურკვევლობასაც შეიცავს, რადგან მისი საწინააღმდეგო აზრით გაგებულ აუცილებლობაზეც შეიძლება ითქვას ის, რომ ის არის ამგვარად და არა სხვაგვარად ყოფნის აუცილებლობა. თუ აუცილებელი გავიგეთ ისე, რომ ის საწინააღმდეგოს კი არ გამორიცხავს, არამედ სწორედ მის აუცილებლობაში მდგომარეობს, მაშინაც სწორი იქნება აუცილებლობის, როგორც სხვაგვარად შეუძლებლობის, გაგება. ამიტომ შეუძლებელია არ იქნეს მიღებული წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის ამღიარებელიც ამბობს, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგოც შეუძლებელია, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის საწინააღმდეგოს შეუძლებლობა არის წინააღმდეგობის ერთიანობის აუცილებლობა. თუ ლოგიკური გაშუალება შეიცავს განსხვავებასა და წინააღმდეგობას, მაშინ ასეთი საწინააღმდეგოს შეუძლებლობა სწორედ წინააღმდეგობის შემცველ გაშუალებას დაასაბუთებს. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოხსენებული გაურკვევლობა ამ გზით ასეთ აუცილებლობაზე დამყარებით არასოდეს არ გაუქმდება. თუ აუცილებელი არის ის, რაც სხვაგვარად შეუძლებელია, მაშინ ასეა აუცილებელი წინააღმდეგობის შეუძლებლობაც და წინააღმდეგობის ერთიანობაც; ორივეზე შეიძლება ითქვას, რომ სხვაგვარად შეუძლებელია.

ამრიგად, გასარკვევია ორი რამ: 1) თუ, როგორც ითქვა, „სხვა" მეტია საწინააღმდეგოზე, მაშინ მთავარი ყოფილა განსხვავების შეუძლებლობა და არა საწინააღმდეგოს შეუძლებლობა, ე. ი. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი კი არ არის კანონი ან ძირითადი კანონი ლოგიკური აუცილებლობისათვის, არამედ ასეთია განსხვავების შეუძლებლობის კანონი; 2) თუ სხვაგვარად შეუძლებლობის აუცილებლობა ვრცელდება წინააღმდეგობის ერთიანობაზეც, მაშინ უკანასკნელი უნდა გავიგოთ პირველზე დაქვემდებარებულად და არა პირიქით, ე. ი. დიალექტიკური უნდა დავუქვემდებაროთ ფორმალურ ლოგიკურს, ამით დიალექტიკური არსებითად გავაუქმოთ.

„სხვაგვარად შეუძლებლობა", როგორც ითქვა, მეტია—უფრო ზოგადია მოცულობით წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე—„საწინააღმდეგოს შეუძლებლობაზე", მაგრამ შინაარსეული ზოგადობის თვალსაზრისით უკანასკნელი პირველზე „მეტია"—ზოგადია, ამიტომ, ამ აზრით, მას იქვემდებარებს. საწინააღმდეგო „მეტია", უფრო ზოგადია „სხვაზე": 1) „საწინააღმდეგო" უფრო გარკვეულია, ვიდრე „სხვა", რომელიც არ არის ისეთი, როგორიცაა საწინააღმდეგო. გარკვეულობა სისრულით წარმოდგება, თუ საწინააღმდეგო არის კატეგორია; ერთიმეორის საწინააღმდეგო კატეგორია (მაგალითად, კერძო და ზოგადი, სასრული და უსასრულო) ორივე გარკვეულია (კატეგორიებში დაპირისპირება არის წინააღმდეგობა და პირიქით); 2) საწინააღმდეგო (ისე როგორც ის, რის საწინააღმდეგოც ის არის) არის, როგორც ვიცით, სრული სასრული, „სხვა" კი არ არის ასეთი—სრული სასრული. არასრული. ცხადია, სრულს ექვემდებარება. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკურს ექვემდებარება ფორმალურ-ლოგიკური და არა პირიქით. „სხვაგვარად შეუძლებლობის" გაურკვევლობა იხსნება წინააღმდეგობის ერთიანობით. გაურკვეველი გარკვეულს ექვემდებარება და არა პირიქით. წინააღმდეგობის ერთიანობის საწინააღმდეგოს თუ მისგან განსხვავებულის შეუძლებლობა სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის აუცილებლობას ნიშნავს, მას ემსახურება და ამიტომ მასვე ექვემდებარება; მით უმეტეს, რომ როგორც ვიცით, წინააღმდეგობის შეუძლებლობა წინააღმდეგობის ერთ მომენტს შეადგენს.

ასეთია, ზოგადად, ლოგიკური აუცილებლობის ცნება, მაგრამ აქ უმთავრესად გარკვეული იყო ერთმხრივი ლოგიკური კავშირის აუცილებლობა, თუმცა, ამავე დროს, მითითებული იყო სხვაგვარ—ორმხრივი კავშირის აუცილებლობაზეც. ერთმხრივი ლოგიკური

კავშირის აუცილებლობა არ არის სრული აუცილებლობა; საჭიროა გაირკვეს ეს უკანასკნელი, რომელიც ლოგიკური რეფლექსის აუცილებლობას წარმოადგენს და, როგორც ორმხრივი, ერთმხრივ აუცილებლობას თავისში შეიცავს.

§ 129. ფორმალურ-ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგიკური აუცილებლობა

ამ საკითხის გარკვევა ნიშნავს: 1) ფორმალურ-ლოგიკურისათვის დიალექტიკურ-ლოგიკურის აუცილებლობის ჩვენებას და 2) თვითონ დიალექტიკურ-ლოგიკური აუცილებლობის ბუნების დახასიათებას. ჩვენ აქ შევეხებით უმთავრესად პირველ მომენტს, მეორეს კი—მხოლოდ ნაწილობრივ. დიალექტიკურ-ლოგიკური აუცილებლობის ბუნება სისრულით ქვემოთ იქნება გარჩეული (უსასრულო დასკვნის განხილვისას).

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობის და დიალექტიკურ-ლოგიკური აუცილებლობის აღიარება არ ნიშნავს ორი ლოგიკური აუცილებლობის აღიარებას, რადგან ეს უკანასკნელი უაზრობას წარმოადგენს. ვინც ორგვარ ლოგიკურ აუცილებლობას აღიარებს, ის ვალდებულია მიიღოს მესამე აუცილებლობაც, რომელიც პირველ ორს დააკავშირებს და ა. შ. უსასრულოდ, რაც შეუძლებელია. ლოგიკური აუცილებლობა არის მხოლოდ ერთი — სრული ლოგიკური — აუცილებლობა, მისი ოდნავი დარღვევა მას გააუქმებს. მაგრამ ფორმალური ლოგიკა, რომელიც ლოგიკურ აუცილებლობას სწავლობს, მისი მხოლოდ ერთი მხარის გარკვევას ახერხებს; ამიტომ სრული ლოგიკური აუცილებლობა მასში წარმოდგენილია არასრულად (და არა დაბალი ხარისხით. ლოგიკურ აუცილებლობას არ აქვს ხარისხი, როგორც ამას ქვემოთ—დასაბუთების თეორიაში გავარკვევთ).

ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობა (ფორმალურ ლოგიკაში წარმოდგენილი ლოგიკური აუცილებლობა) არის სასრული აუცილებლობა, რადგან ის სასრულის აუცილებლობაა. სასრულის აუცილებლობა არის „ეს არის ეს და არა სხვა"-ს აუცილებლობა (ანუ არასაწინააღმდეგოს აუცილებლობა). მაგრამ, როგორც ვიცით, რაიმე არის ეს იმის გამო, რომ ის არ არის სხვა. რაიმე რომ იყოს სწორედ ეს, აუცილებელია ის არ იყოს სხვა, იყოს არა-სხვა. ამდენად მისთვის აუცილებელია სხვაც, რადგან ის სწორედ არასხვაა. „სხვას" ნიშანი რაიმეს ცნებაში უნდა იყოს გათვალისწინებული. ამიტომ უნდა ითქვას, რომ რაიმეს აუცილებლობისათვის საჭიროა

სხვის (და საწინააღმდეგოს) აუცილებლობა. აუცილებლობა, რომელიც მდგომარეობს საწინააღმდეგოს შეუძლებლობაში, უფრო სრულად წარმოდგება საწინააღმდეგოს აუცილებლობაში, რადგან ამ შემთხვევაში: 1) რაიმეც აუცილებელი იქნება და 2) საწინააღმდეგოც, ისე როგორც პირიქით. რაიმესათვის საწინააღმდეგოს აუცილებლობა, როგორც ცნობილია, ეს არის უარყოფითი დიალექტიკა. ლოგიკური აუცილებლობა სისრულით წარმოდგება არა მხოლოდ საწინააღმდეგოს აუცილებლობაში, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობის აუცილებლობაში, რომელიც დადებითი დიალექტიკურ-ლოგიკური აუცილებლობაა და ამიტომ იგი შეიცავს უარყოფით დიალექტიკურ აუცილებლობასაც და ფორმალურ-ლოგიკურ აუცილებლობასაც, როგორც საკუთარ მომენტებს—ერთმხრიობებს.

როგორც ვიცით, სასრული არ შეიძლება იყოს მხოლოდ სასრული (მხოლოდ სასრული, ეს არის აბსოლუტურად აღებული სასრული, ე. ი. ის აქ წარმოდგენილია როგორც უსასრულო; ეს კი შეცდომაა), ე. ი. მისთვის აუცილებელია უსასრულო. ამიტომ სასრულის აუცილებლობისათვის აუცილებელია უსასრულოს აუცილებლობა, დიალექტიკურ-ლოგიკური აუცილებლობა, რომლის ერთ მხარესაც წარმოადგენს სასრულის აუცილებლობა ანუ ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობა. წინააღმდეგობის ერთი მხარის აუცილებლობა არის საწინააღმდეგო მხარის უარყოფა, გამორიცხვა; ამის გარეშე არ იარსებებდა თვითონ წინააღმდეგობა, რომლისთვისაც აუცილებელია მისი ერთი მხარე და, აგრეთვე საწინააღმდეგოს აუცილებლობა (უარყოფითი დიალექტიკა). ერთი სიტყვით, წინააღმდეგობის შეუძლებლობის აუცილებლობისათვის საჭიროა (აუცილებელია) საწინააღმდეგოს აუცილებლობაც და კიდევ მეტი—წინააღმდეგობის ერთიანობის აუცილებლობაც. წინააღმდეგობა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე, ამიტომ წინააღმდეგობის ერთი მხარის და მისი საწინააღმდეგო მხარის აუცილებლობა შესაძლებელია წინააღმდეგობის ერთიანობის აუცილებლობის საფუძველზე და მის შიგნით. ამრიგად, სრული ლოგიკური აუცილებლობა. ეს არის დადებითი დიალექტიკურ-ლოგიკური აუცილებლობა.

ამრიგად, ლოგიკური აუცილებლობის ბუნების დასადგენად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ მომენტებს: 1) აუცილებლობა, ეს არის სხვაგვარად შეუძლებლობა, უფრო ზუსტად — საწინააღმდეგოს შეუძლებლობა. აუცილებელი არის ის, რაც სხვაგვარად შეუძლებელია, ანუ აუცილებელი არის ის, რისი საწინააღმდეგოც შეუძლებელია. 2) მეორე მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებე-

ლი არის ის, რის უარყოფაც შეუძლებელია. თუ რაიმეს აუცილებლობა მისი საწინააღმდეგოს შეუძლებლობაშია, მაშინ ამ რაიმეს აუცილებლობა ამ რაიმეს უარყოფის შეუძლებლობაში უნდა მდგომარეობდეს. ამ გარემოებას უშუალოდ უკავშირდება ის, რომ 3) არ არის აუცილებელი ის, რის უარყოფაც შესაძლებელია. რაიმეს აუცილებლობა სწორედ მისი უარყოფის შეუძლებლობაში მდგომარეობს. 4) მაგრამ კიდევ უფრო აუცილებელია ის, რისი საწინააღმდეგოც მას მოითხოვს; რაც საწინააღმდეგოს მოითხოვს, ის არის საწინააღმდეგოს აუცილებლობა (უარყოფითი დიალექტიკა). 5) სრული აუცილებლობა კი იქნება ისეთი აუცილებლობა, როცა რაიმეს უარყოფა არა მხოლოდ შეუძლებელია, არამედ როცა რაიმეს უარყოფა მასვე ადგენს. თუ როგორ არის შესაძლებელი ასეთი ლოგიკური აუცილებლობა, ამის შესახებ, როგორც ითქვა, ლაპარაკი გვექნება „უსასრულო დასკვნის“ გარჩევის დროს.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ ერთი შენიშვნა, სახელდობრ, შემდეგი. მართალია, აუცილებელია ის, რისი უარყოფაც შეუძლებელია, მაგრამ ეს დებულება ერთგვარ გაურკვევლობას შეიცავს. თუ რაიმე არსებობს და მისი უარყოფა შეუძლებელია (შემთხვევითის უარყოფა შესაძლებელია, თუმცა შემთხვევითი არსებობს), მაშინ, ცხადია, რომ ის აუცილებელია, მაგრამ თუ რაიმე არ არსებობს, მაშინაც შეუძლებელია მისი უარყოფა. არარსებულის უარყოფაც შეუძლებელია; მაგრამ ამით მისი არსებობა, ცხადია, არ იქნება აუცილებელი. ამიტომ აუცილებლობა სრულად მაშინ გვაქვს, ე. ი. აქ აღნიშნული და მსგავსი გაურკვევლობა მოხსნილია, თუ ვიტყვით, რომ აუცილებელი არის ის, რომლის უარყოფაც მასვე ადგენს (და არა მხოლოდ ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია).

§ 130. შუალებითი დასკვნის ცნება მათემატიკურ ლოგიკაში

როგორც ითქვა, მათემატიკურ ლოგიკაში ფორმალურ-ლოგიკური შუალებითი დასკვნა, მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმი დაყვანილია პირობით წინადადებაზე. „თუ A არის B და B არის C, მაშინ A არის C“. ამ წინადადებაში, ლუკასევიჩის აზრით, არის ერთიანობა, მაშინ როცა კატეგორიული სილოგიზმის ტრადიციულ გაგებაში წანამძღვრების და დანასკვის, როგორც სამი მსჯელობის, ცალცალკე წარმოდგენა ამ ერთიანობას არ იძლევა[1]. აქედან ჩანს, რომ მათემატიკურ ლოგიკაში დასკვნის ერთიანობა დაყვანილია წინადადების ერთიანობაზე; ის ვერ ამჩნევს დასკვნის ერთიანობას, თუ ის

[1] Я. Лукасевич, Аристотелевская силлогистика, გვ. 58.

გამოთქმულია სხვადასხვა წინადადებებით; ამრიგად, უარყოფილი გამოდის თვითონ დასკვნა, როგორც აზრის გარკვეული შეუალობითი ერთიანობა.

მართალია, ჰეგელიც და მარქსიც[1] წინააღმდეგი იყვნენ დასკვნის დაშლისა წანამძღვრებად და დანასკვად — ცალ-ცალკე მსჯელობებად, მაგრამ იცავდნენ დასკვნის, როგორც ასეთის, აუცილებელ ერთიანობას, მაგრამ წარმოდგენილს სამი კატეგორიის — „ერთეული—განსაკუთრებული—ზოგადის“ ერთიანობის სახით, რაც დასკვნის ზოგად ფორმას წარმოადგენს, მაშინ როცა მათემატიკურ ლოგიკას ზოგადი დაყავს სქემაზე, ე. ი. ნამდვილ ზოგადობას აუქმებს. ზოგადობის გარეშე შეუძლებელია არა თუ დასკვნის, არამედ ლოგიკურის არც ერთი ფორმის გაგება.

მათემატიკურ ლოგიკაში შეუალობითი დასკვნის ცნების ნათლად წარმოსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია საკითხის განხილვა არისტოტელეს სილოგიზმის ბუნებასთან დაპირისპირებაში.

მათემატიკურ ლოგიკაში გამოყენებულია შეუალობითი დასკვნის აზრი, სახელდობრ, modus ponens-ი, რომელსაც ასე წერენ:

$$\frac{\begin{array}{c}A\\A\to B\end{array}}{B},$$

სადაც $A \to B$ არის დიდი წანამძღვარი, A — მცირე წანამძღვარი. B კი — დანასკვი. ეს სქემა, რომელიც იწოდება დასკვნის სქემად (ანუ „წაშლის სქემად“) გამოითქმება ასე: თუ ვიცით, რომ წინადადება A ჭეშმარიტია და სწორია $A \to B$, მაშინ უფლება გვაქვს დავასკვნათ B-ს ჭეშმარიტებაზე. მათემატიკურ ლოგიკაში არ ირკვევა იმ შეუალობითი დასკვნის ბუნება (მრავალი ლოგიკოსი Modus ponens არ თვლის შეუალობით დასკვნად, რადგან მასში არ არის საშუალო ცნება, არის მხოლოდ ორი ცნება: A და B), შეუალობითი დასკვნის ცნება წინასწარაა მოცემული; „დასკვნის სქემა“ არის არა ლოგიკური, არამედ მეტალოგიკური წესი. მათემატიკურ ლოგიკაში დასაბუთება წარმოადგენს ფორმულათა გამომდინარეობას, რომელიც შესრულებულია მეტალოგიკური წესების საშუალებით (ჩასმის ხერხით და დასკვნის სქემით). ამიტომ შეუალობას სწორედ ეს წესები ანხორციელებენ (ამის შესახებ იხ. შემდგომ § 203).

---

[1] იხ. დასკვნის ფიგურები ჰეგელის „ლოგიკაში“ და კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, გვ. 262 და წრებრუნვები „კაპიტალში“

მათემატიკურ ლოგიკაში არისტოტელეს კატეგორიული სილოგიზმის მოდუსი Barbara—MaP და SaM-დან მიიღება SaP — იღებს იმპლიკაციის ტრანზიტივობის კანონის სახეს: $[(M \rightarrow P).(S \rightarrow M)] \rightarrow (S \rightarrow P)$. მაგრამ სილოგიზმში არის არა მხოლოდ ზოგადი მსჯელობები, არამედ კერძოობითი მსჯელობებიც. კერძოობითი მსჯელობის ზოგად მსჯელობად გარდაქმნას აწარმოებენ უარყოფის მოხმარით; მაგალითად, „ზოგიერთი საგანი არის წითელი“ გარდაიქმნება მსჯელობად — „არაყველა საგანია არაწითელი“. პრედიკატი „არაწითელი“ აღვნიშნოთ x-ით, მაგრამ იგი შეიძლება აღნიშნავდეს ერთიმეორისაგან განსხვავებულ ორ რაიმეს: 1) „არა ყველა საგანია წითელი“ და 2) „ყველა საგანი არაწითელია“. ამ სიძნელის გადალახვას ცდილობენ ახალი სიმბოლოს შემოტანით — შესაბამისი პრედიკატის ვერტიკალურ ხაზებში ჩასმით (როგორც ამას აკეთებს ჰილბერტი და აკერმანი); „ყველა საგანს აქვს თვისება x“ გამოისახება ასე: $|x|$; $|\overline{x}|$ აღნიშნავს: „ყველა საგანს აქვს თვისება $\overline{x}$“; $\overline{|x|}$ აღნიშნავს: „არაა სწორი რომ ყველა საგანს აქვს თვისება x“. ამდენად:

SaP-ს შეესაბამება $|\overline{S}vP|$,
SeP-ს —„— $|\overline{S}v\overline{P}|$,
SiP-ს —„— $\overline{|\overline{S}vP|}$,
SoP-ს —„— $\overline{|\overline{S}vP|}$,

ამ გზით არისტოტელეს დასკვნები გარდაიქმნება წინადადებათა აღრიცხვის დამოკიდებულებებად. მაგრამ ამით იკარგება შუალობითი დასკვნისათვის მთავარი: საფუძველ-შედეგის შინაგანი აუცილებელი შუალობითი კავშირი (არისტოტელე ამბობდა, რომ სილოგიზმი ეხება შინაგან აზრს და არა გარეგან გამოხატულებას). სილოგიზმი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს იმპლიკაციაზე.

პრედიკატთა აღრიცხვაში დასკვნების გამოყვანა წანამძღვრებიდან (რომელთაც არ აქვთ წმინდა ლოგიკური ბუნება) შემდეგნაირად ხდება. წანამძღვრებში ადგილი არა აქვს მხოლოდ ცვლადებს, არამედ ინდივიდუალურ პრედიკატებსაც, აგრეთვე, ინდივიდუალურ საგნებსაც. ინდივიდუალური პრედიკატების აღსანიშნავად მოიხმარენ კომბინაციას დიდი ლათინური ასოებისა მცირე ლათინურ ასოებთან, მაგალითად: St, Ms, Dsc... (ან ბერძნულ ასოებს, ან მათემატიკურ საგნებს: $<$, $>$, $=$,...). დასკვნების ფორმალური გამოყვანა (ფორმალური დასაბუთება) სრულდება ასე: სიმბოლურად ვიწერთ წანამძღვრებს და ვუერთებთ მათ, როგორც ძირითად ფორმულებს (აქსიომებს), გარკვეულ ლოგიკურ ფორმულებს, რომლებ-

თანაც ერთად ისინი ქმნიან საწყისს ფორმულებს ფორმალური ოპერაციებისათვის, რომლებიც უნდა სრულდებოდნენ თანახმად დასკვნის წესებისა.

მაგალითისათვის ავიღოთ კატეგორიული სილოგიზმის პირველი მოდუსი — „ყველა ადამიანი მოკვდავია, სოკრატე ადამიანია, მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია". აქ გვხვდება სამი ინდივიდუალური აღნიშვნა. სიტყვებს „ადამიანი", „მოკვდავი" შეესატყვისება ორი პრედიკატი Ms(x) და St(x), რომელთათვისაც საგანთა ზოგად გვარად შეიძლება ჩაითვალოს ცოცხალ არსებათა გვარი. მესამე ინდივიდუალური ნიშანია საკუთარი სახელი „სოკრატე". წანამძღვრები, ჩაწერილი ფორმულების სახით, არის:

$$(x)((Ms(x) \rightarrow St(x))$$
$$Ms\ (\text{სოკრატე}).$$

ჩასმის გზით ფორმულაში: $(x)F(x) \rightarrow F(y)$ (ეს არის აქსიომა: „თუ პრედიკატი F სრულდება ყველა x-სთვის, მაშინ ის სრულდება აგრეთვე ყოველი y-სთვის") ვღებულობთ:

$(x)(Ms(x) \rightarrow St(x)) \rightarrow Ms(y) \rightarrow St(y))$ და შემდეგ (გარკვეული წესის მოხმარით): $(x)(Ms(x) \rightarrow St(x)) \rightarrow (Ms\ (\text{სოკრატე}) \rightarrow St\ (\text{სოკრატე}))$, $Ms\ (\text{სოკრატე}) \rightarrow St\ (\text{სოკრატე})$, $St\ (\text{სოკრატე})$.

უკანასკნელი ფორმულა არის სიმბოლური გამოხატულება დასკვნისა „სოკრატე მოკვდავია"[1]. აქ მოხმარებულია აქსიომა და დასკვნის ერთი წესი, ე. ი. ყველაფერი წინასწარაა ნაგულისხმევი, ამდენად შუალობითი დასკვნა გამოტოვებულია. ჩასმის ხერხით და დასკვნის წესით ფორმულების გარდაქმნა, რომელსაც აქ აქვს ადგილი (და საერთოდაც) მათემატიკურ-მექანიკური ხასიათისაა, და არაა შუალობითი დასკვნა მისი სწორი ლოგიკური გაგებით.

როგორც ცნობილია, კატეგორიული სილოგიზმის 19 სწორი მოდუსიდან მათემატიკურ ლოგიკაში არ მართლდება 4 მოდუსი: III ფიგურის მოდუსები: Darapti და Felapton და IV ფიგურის მოდუსები: Bramalip და Fesapo, ე. ი. არ მართლდება:

1) MaP და MaS-დან SiP-ის მიღება,
2) MeP და MaS-დან SoP-ის მიღება,
3) MaP და SaM-დან PiS-ის მიღება,
4) SeM და MaP-დან PoS-ის მიღება,

[1] იხ. Д. Гильберт и В. Аккерман, Основы теоретической логики, გვ. 133—135.

რადგან ასეთი მიღებისათვის თითქოს საჭირო იყოს დამატებითი წანამძღვარი, თითქოს არისტოტელემ ვერ გაითვალისწინა ის, რომ, მაგ., დასკვნა: „MaP და MaS-დან მიიღება SiP“ მხოლოდ მაშინაა სწორი, როცა ჩვენ დამატებით წინდაშვებული გვაქვს, რომ არსებობენ საგნები, რომლებიც შედიან M კლასში. ჰილბერტი და აკერმანი აღნიშნავენ, რომ ზოგად დადებითი მსჯელობის („ყველა A არის B“) არისტოტელესეული გაგება სისრულით არ ეთანხმება ფორმულის $\overline{|xvy|}$-ის ჩვენს ინტერპრეტაციას-ო; არისტოტელეს დებულება „ყველა A არის B“ ითვლება ჭეშმარიტად, თუ არსებობს საგნები, რომლებიც არის A. ეს ავტორები ამბობენ, რომ ჩვენი გადახვევა არისტოტელესაგან მართლდება ლოგიკის მათემატიკური გამოყენების მოთხოვნით-ო[1].

ეს ნიშნავს იმას, რომ ლოგიკის მათემატიკური გამოყენება ავიწროებს მას; მაგ., 19 სწორი მოდუსიდან რჩება მხოლოდ 15. შეცდომა ის კი არაა, რომ ზოგადდადებითი მსჯელობის სუბიექტი გულისხმობს საგნების არსებობას, არამედ ის, რომ საგნების არსებობა გამოირიცხება. საგნის ცნება აუცილებელია ლოგიკისათვის. საგნის ცნების უარყოფა შეუძლებელიც კია; საგნის კატეგორია არის ლოგიკური კატეგორია, ე. ი. ისეთი ცნება, რომლის უარყოფა შეუძლებელია და რომლის უარყოფაც მასვე ადგენს.

მათემატიკურ ლოგიკაში ყველა დასკვნა არის გარდაქმნა, ამიტომ დასკვნა უშუალოა. მათემატიკურ დასკვნაში არ არის „საშუალო ცნება“, რომელიც შინაგანია წანამძღვრებისათვის, როგორც ამას ტრადიციულ ლოგიკაში აქვს ადგილი. მათემატიკურ ლოგიკაში დასკვნები არ არიან შუალობითი დასკვნები, რამდენადაც დასკვნა იგივეა, რაც საფუძვლიდან შედეგის გამოყვანა, აქ კი საფუძველ-შედეგის კავშირის მაგიერ მოიხმარება იმპლიკაცია.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ მათემატიკურ ლოგიკაში არც ერთი დასკვნა არ არის უშუალო, რამდენადაც აქსიომებიდან არაფერი არ გამოიყვანება უშუალოდ, ე. ი. მეტაწესების გარეშე; გამოყვანა ყოველთვის ხდება მეტალოგიკური წესების საშუალებით; სხვანაირად, მათემატიკურ ლოგიკაში ყველა დასკვნა არის შუალობითი, რამდენადაც ისინი სრულდება მეტაწესების საშუალებით. მაგრამ მეტაწესების დანიშნულება იმაშია, რომ ისინი იცავენ აქსიომების (წანამძღვრების) ტავტოლოგიურობას[2]. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტაწესე-

[1] Д. Гильберт и В. Аккерман, Основы теоретической логики стр. 79.

[2] А. Черч, Введение в математичекую логику, გვ. 121.

ბი არიან გამოყვანის, მოქმედების წესები და, ამავე დროს, არა-გამოყვანის (სინთეზურის გაგებით) და უმოქმედობის წესებიც.

„მოქმედების წესები“ ზედმეტი და უცხო—გარეგანი ხასიათისა დასკვნისათვის, როგორც შინაგანი აუცილებლობისათვის. წანამძღვრებიდან დანასკვის გამოყვანაში სხვა რაიმე კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ უნდა ხდებოდეს შინაგანი გამომდინარეობა. მხოლოდ შინაგანი კავშირია აუცილებელი კავშირი; გარეგანი კავშირი მექანიკური ხასიათისაა. მათემატიკურ ლოგიკაში „დასკვნა“ მექანიკურად სრულდება, მაგალითად, ჩასმების საშუალებით. ამიტომ აქ სრულიადაც არ არის დასკვნა, როგორც შინაგანი აუცილებლობა; ე. ი. მათემატიკურ ლოგიკაში „დასკვნა“ მოიხმარება სხვა, სპეციფიკური აზრით. ლოგიკურისათვის მთავარია შინაგანი აუცილებლობა; ლოგიკურ გადასვლებში ადგილი უნდა ჰქონდეს შინაგან ობიექტურ ლოგიკას.[1]

მათემატიკურ ლოგიკაში დასკვნის წესები მეტალოგიკური წესებია, რომლებიც წინასწარ გულისხმობენ დასკვნის აზრს: 1) მათემატიკურად — ჩასმის ხერხის სახით და 2) ლოგიკურადაც — modus ponens-ის სახით, ე. ი. დასკვნის აზრი გამოყენებულია მისი ბუნების განხილვის გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ მათემატიკური ლოგიკა არის ლოგიკის გამოყენება გარკვეულ სფეროში.

მათემატიკურ ლოგიკაში ისეთი შუალობითი დასკვნა, როგორიცაა კატეგორიული სილოგიზმი, განხილულია კლასთა ალრიცხვაში, მაშინ როცა: 1) კატეგორიულ სილოგიზმში მოხმარებულია პრედიკატული მსჯელობები, 2) თვისებების დაყვანა კლასებზე კი შეუძლებელია. შეიძლება ორი კლასი იყოს იგივეობრივი, მაგრამ შეუძლებელია ორი თვისება იყოს იგივეობრივი[2].

მაშასადამე, შუალობითი დასკვნის მართებული ცნება მათემატიკურ ლოგიკაში არ განიხილება; მის ადგილზე თავსდება ფორმულათა გარდაქმნები, შესრულებული მეტალოგიკური წესების საშუალებით.

§ 131. ლოგიკური კავშირის რვამხრიობა

როგორც ითქვა, საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება არის შებრუნებადი: საფუძველი განსაზღვრავს შედეგს, მაგრამ შედეგიც განსაზღვრავს საფუძველს; შედეგი სწორედ საფუძვლის შედეგია,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., 38, გვ. 88.

[2] ჩერჩის დასახელებული შრომის გვ. 36 და კარნაპის Значение и необходимость, გვ. 168.

აქ ადგილი აქვს ურთიერთგანსაზღვრას (რომლის ახსნა-გადაწყვეტა მოხდება უსასრულო დასკვნაში, რომელსაც შემდეგ შევეხებით). თუ ასეთ დამოკიდებულებებშია ერთიმეორისადმი საპირისპირო თუ საწინააღმდეგო ცნებები ან მსჯელობები, მაშინ ერთი და იგივე დამოკიდებულება შემცველი იქნება რვა ძირითადი მხარისა — მომენტისა; ე. ი. ასეთი საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება იქნება რვამხრივი. აქ ორი მომენტია მთავარი: 1) წინააღმდეგობის და 2) შებრუნებადობის მომენტები საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებისა. ორივე ეს მომენტები ფორმალურსა და მათემატიკურ ლოგიკებში შეუძლებლად არის მიჩნეული, თითქოს ყოველთვის შეუძლებელი იყოს საფუძველ-შედეგის წინააღმდეგობა — დაპირისპირება და შებრუნებადობა.

მაგალითისათვის ავიღოთ კერძოსა და ზოგადის დამოკიდებულება როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება. ეს დამოკიდებულება არის რვამხრივი: 1) თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი (ანუ რამდენადაც არის კერძო, იმდენად არის ზოგადი); 2) თუ არის ზოგადი, მაშინ არის კერძოც (რამდენადაც არის ზოგადი, იმდენად არის კერძოც); 3) თუ არ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი; 4) თუ არ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო; 5) თუ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი (თუ არის კერძო, მაშინ არის კერძო და არა ზოგადი); 6) თუ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო (თუ არის ზოგადი, მაშინ არის ზოგადი და არა კერძო); 7) თუ არ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი და 8) თუ არ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო.

ფორმალური ლოგიკისათვის მისაღებია უკანასკნელი ოთხი მსჯელობა, რამდენადაც აქ ადგილი აქვს იგივეობას, ანალიზურ დამოკიდებულებას; პირველი ოთხი მსჯელობა კი ფორმალური ლოგიკისათვის არ შეიძლება იყოს მისაღები, რადგან აქ საპირისპირო ცნებები და მსჯელობები საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების საბითაა აღებული. ფორმალური ლოგიკისათვის არ არის მისაღები არც შებრუნებადობა, რომელსაც ზემოგანხილულ მაგალითში (რომელიც ამავე დროს არის სამაგალითოც) აქვს ადგილი. ფორმალური ლოგიკა ვერ მიიღებს საფუძველ-შედეგის ამ დამოკიდებულების რვა მოდუსს, რადგან მისთვის მისაღებია პირობითი დასკვნების მხოლოდ ორი მოდუსი. ფორმალური ლოგიკისათვის უცხოა, აგრეთვე, კატეგორიების დამოკიდებულება, რომელსაც ის არ განიხილავს, კიდევ მეტი, ლოგიკური სფეროდან გამორიცხავს. ერთი სიტყვით, აღნიშნულ რვამხრიობაში ბევრი რამ არის მიუღებელი ფორმალური ლოგიკისათვის, მიუღებელია, რადგან მათ გარკვევას ვერ ახერხებს. დიალექტიკურ ლოგიკაში კი ეს რვამხრიობა მართლ-

დება; საფუძველ-შედეგის რვამხრივი დამოკიდებულება აუცილებელიცაა, თუ ადგილი აქვს დაპირისპირებულთა დამოკიდებულებას, დაპირისპირებულთა ერთიანობის მხარეთა დამოკიდებულებას.

ასეთსავე დამოკიდებულებაშია სასრული და უსასრულო, შეფარდებითი და აბსოლუტური და სხვა კატეგორიები და მათი გამომთქმელი მსჯელობები, რომლებიც დაპირისპირებულთა ერთიანობის კავშირში არიან. ასევე ითქმის წარმოებისა და მოხმარების, საქონლის საცვლელი და სახმარი ღირებულების და სხვ. დამოკიდებულების შესახებ; თუმცა საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება კატეგორიების და მათი გამომთქმელი მსჯელობების დამოკიდებულებაში სრულად ჩანს, არაკატეგორიალური ცნებების დამოკიდებულებაში კი ნაკლებად და შეიძლება უშუალოდ სრულიად არ ჩანდეს.

ზემოთ დახასიათებული რვამხრიობა ერთი და იგივე ლოგიკური კავშირის, როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების, რვამხრიობაა, რომლის თვითეული მხარე უნდა განხილულ იქნეს, როგორც სწორედ ერთი მხარე — ერთმხრიობა; ის არ უნდა იქნას ცალკე — აბსოლუტურად წარმოდგენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით შეცდომას. ერთმხრივი და შეფარდებითი არ უნდა იქნას წარმოდგენილი მთელად და აბსოლუტურად. აშკარა შეცდომაა ერთმხრივის არაერთმხრივად, რელატიურის არარელატიურად (აბსოლუტურად) წარმოდგენა.

ზემომოყვანილი რვამხრიობიდან პირველი — „თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი“ და მეხუთე — „თუ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი“ ერთი მეორესთან თითქოს შეუთავსებელი არიან, მაგრამ ნამდვილად ისინი ერთიმეორეს არ აუქმებენ (თუმცა ერთიმეორეს უარყოფენ), არამედ ერთიმეორეს ავსებენ მთლიანობამდე, სახელდობრ, ისეთ მთლიანობამდე, რომელსაც მსჯელობის მთლიანობა ჰქვია. როგორც ითქვა, კოპულის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კერძო არის კერძო, მაგრამ აგრეთვე არაკერძოც — ზოგადიც. კერძო კერძოა და არა ზოგადი, მაგრამ კერძო არის ზოგადი, ე. ი. მსჯელობა: „კერძო არის ზოგადი“, როგორც ითქვა, კერძოს და ზოგადის დაპირისპირებასაც შეიცავს. ეს ორი მხარე ორ მსჯელობად უნდა წარმოდგეს, თუ მათ გარკვეულად — ლოგიკურად გაფორმებულად წარმოვიდგენთ. ამგვარად შეიძლება გაირკვეს რვამხრიობის სხვა მხარეების შინაარსი და მათი დამოკიდებულებებიც.

ზემოგანხილული რვამხრიობა, რომელიც ჩვენ პირობითი მსჯელობების საშუალებით წარმოვადგინეთ, შეიძლება გამოითქვას კატე-

გორიული მსჯელობების სახითაც: 1) კერძო არის ზოგადი, ამიტომ და ამ აზრით 2) კერძო არ არის კერძო, 3) ზოგადი არის კერძო, ამიტომ 4) ზოგადი არ არის ზოგადი, 5) კერძო არ არის ზოგადი, 6) ზოგადი არ არის კერძო, 7) კერძო არის კერძო, 8) ზოგადი არის ზოგადი. ეს რვა მხარე არის ერთეულის და ზოგადის ერთიანობის მხარეები.

§ 132. დასკვნათა კლასიფიკაციის პრინციპი

თუ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება რვამხრივია, მაშინ ნათელია, რომ ეს მხარეები, როგორც საფუძველ-შედეგის კერძო ხასიათის დამოკიდებულებები, საფუძვლად დაედება თავისებურ დასკვნებს; რვამხრიობიდან თვითეული მხარე იქნება გარკვეული დასკვნების პრინციპი. ამიტომ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების რვამხრიობა არის დასკვნათა კლასიფიკაციის პრინციპი.

დებულება „თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი" საფუძვლად უძევს ინდუქციურ დასკვნებს. ინდუქცია, ჩომ კერძოდან ზოგადის გამოყვანას ნიშნავს? თუ საფუძვლად იქნა აღებული კერძო, შედეგად კი მივიღეთ ზოგადი, მაშინ, ცხადია, განხორციელდება ინდუქციური დასკვნა. „თუ-მაშინ" მხოლოდ უშუალო დასკვნების პრინციპი კი არაა, არამედ — შუალობითი დასკვნების პრინციპსაც წარმოადგენს. ასევე — დებულება „თუ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო" ხორციელდება დედუქციაში, დედუქციური დასკვნების პრინციპს წარმოადგენს. დებულებას — „თუ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი" (ე. ი. „თუ არის კერძო, მაშინ არის კერძო და არა ზოგადი") შეესაბამება გარკვეული დასკვნები, მიმართების ზოგიერთი დასკვნა. ასე ითქმის ზემოთ გარჩეული რვამხრიობის ყოველ მხარეზე. ყველა ამ მხარის შესატყვისი დასკვნები ლოგიკაში ჯერჯერობით არ არის გამოკვლეული; ზოგიერთი მათგანი დაწვრილებით არის შესწავლილი, ზოგიერთი კი არა.

თუ არის საფუძველი, მაშინ არის შედეგი და პირიქით. თუ არ არის საფუძველი, მაშინ არც შედეგია და პირიქით. მაგრამ „საფუძველი" შეიძლება იყოს სხვადასხვა: კერძოც და ზოგადიც, რომლებიც ერთიმეორეს უპირისპირდებიან, შეიცავენ ერთიმეორის უარყოფასაც. ასე ითქმის შედეგის შესახებაც. ამიტომ საფუძველი შეიძლება შედეგის უარყოფასაც შეიცავდეს და პირიქით, და შედეგიც შეიძლება ამგვარ დამოკიდებულებაში იქნეს საფუძველთან. ამიტომ რვამხრივი დამოკიდებულება ამოწურავს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების მხარეებს, როგორც სასრულ მხარეებს (ძირითად

სასრულ მხარეებს, რადგან შეიძლება აღებულ იქნეს „არა-A"-ც, „არა-B"-ც და სხვ.). მაშასადამე, საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების რვამხრიობა არის სასრული დასკვნების კლასიფიკაციის პრინციპი (მაგრამ დარჩა კიდევ ერთი დასკვნა, სახელდობრ, უსასრულო დასკვნა, რომელიც აღნიშნული რვამხრიობის ძირში ძევს. ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი).

§ 133. სასრული შუალობითი დასკვნები

ფორმალურ ლოგიკაში განხილული ყველა სახის დასკვნა არის სასრული, რადგან ეს დასკვნები ექვემდებარებიან მხოლოდ „აზროვნების კანონებს", მაგალითად, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს, რომელიც, როგორც ვიცით სასრულის კატეგორიის აზრს წარმოადგენს.

მაგალითად, სილოგიზმი, კლასიკური ფორმით, არის სასრული დასკვნა, რადგან: 1) ის ანალიზურია, დანასკვი უკვე წანამძღვრებშია ნაგულისხმევი და იქიდან ანალიზურად გამომდინარეობს; 2) წანამძღვრებიდან უშუალოდ გამომდინარეობს დანასკვი, აქ არ არის გაშუალება, ამიტომ, დასკვნა უშუალო დასკვნის ხასიათისაა; 3) წანამძღვრებში მცირე, საშუალო და დიდი ტერმინი აღებულია როგორც ერთი ნიშანი, ამიტომ ეს დასკვნა ტავტოლოგიურია, წინააღმდეგ არისტოტელეს მოთხოვნისა დასკვნის სინთეზურობის შესახებ.[1] 4) ამ დასკვნაში არ არის ლოგიკურად გაფორმებული მისთვის აუცილებელი უარყოფის მომენტი; მაგალითად, Barbara (სრული მოდუსი) არ შეიცავს არავითარ უარყოფას (თუმცა ეს მისთვის აუცილებელია, რადგან მასში არის სამი ტერმინი, სამი მსჯელობა); 5) ამიტომ ასეთ დასკვნაში არ არის გაფორმებული დადებითის უარყოფითთან კავშირის აუცილებლობა; 6) ეს დასკვნა ენთიმემურია, იგი გულისხმობს განსხვავებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა; 7) მაგრამ ამ განსხვავება-უარყოფის მასში გაფორმება შეუძლებელია, რადგან ასეთი რამ მას დაანგრევდა; 8) ამიტომ ეს დასკვნა მოითხოვს უფრო მაღალ ლოგიკურს, რომელიც დადებითს უარყოფითთან დააკავშირებს, გაამართლებს ლოგიკურის სინთეზურობას და სხვ.

სილოგიზმის მოთხოვნაა იყოს შუალობითი დასკვნა, რაც მასში ცუდად არის გაფორმებული. წანამძღვრების დანასკვთან კავშირის შუალობითობის მაგიერ შუალობითობა შესრულებულია თვითონ

---

[1] იხ. არისტოტელე, პირველი ანალიტიკა. წ. I, თ. 1.

წანამძღვრებში; შუალობითობა გადატანილია, ასე ვთქვათ, უკან და შემდეგ არის შესრულებული გამოყვანა; აქ წინასწარ არის ნაგულისხმევი ის, რაც შემდეგ თვითონ გამოყვანაში უნდა განხორციელდეს; დასკვნისათვის არსებითი სინთეზურობა წანამძღვარშია გადატანილი, ამიტომ ვღებულობთ ანალიზურობას და უშუალო კავშირს თვითონ დასკვნაში. დასკვნის აზრის დასკვნამდე გულისხმობა ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს.

სასრულია ე. წ. არასილოგისტური ანუ მიმართების დასკვნები, თუ ისინი საერთოდ წარმოადგენენ დასკვნებს. 1) ეს დასკვნები არა აზრთა, არამედ, საგანთა დამოკიდებულებას გამოთქვამენ, ამიტომ ისინი ლოგიკაში არ უნდა შედიოდნენ; 2) მათი, როგორც აზრებისა, დასკვნებად გაფორმება მათ თავისებურებას აუქმებს, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული. 3) ამ „დასკვნაში" ერთეულები წარმოადგენენ სუბიექტს, პრედიკატი კი არის მათი ერთიანობა, რომელიც შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს; 4) ამიტომ ასეთ დასკვნებშიც ადგილი აქვს კერძოს და ზოგადის დამოკიდებულებას, რომელიც მათში არა თუ გაფორმებული არ არის, არამედ პრინციპულად უარყოფილია მიმართების ლოგიკის მიერ.

პირობითი და გაყოფითი სილოგიზმებიც სასრული დასკვნებია, რადგან ისინი უშუალო კავშირებზე დაიყვანებიან: 1) პირობით-კატეგორიულ დასკვნაში არაა საშუალო ცნება, ამიტომ ის დაიყვანება პირობით მსჯელობაზე, რომელიც მხოლოდ დასკვნის პრინციპის გამომთქმელი წინადადებაა; 2) მაგრამ ამასთანავე ადგილი აქვს გაურკვევლობას; პირობით დასკვნებში, ამავე დროს, ნამდვილად არის საშუალო ცნება, რომელიც ვერ აფორმებს შუალობითობას; მაგ. არის საშუალო ცნება, რადგან ერთი-მეორისაგან განსხვავდება „თუ არის A" (პირველი წანამძღვრის დასაწყისი) და „არის A" (მეორე წანამძღვარი). 3) გაყოფითი დასკვნებიც ანალიზურია, რადგან დიდ წანამძღვარში ჩამოთვლილი სახეებიდან დანასკვში ერთი მათგანია აღებული; ამ ანალიზურობით ეს დასკვნა არ ეთანხმება მისსავე პრინციპს, რადგან წევრები, რომლებიც ერთი-მეორეს გამორიცხავენ, არიან გვარში, როგორც მათ ერთიანობაში (ე. ი. ადგილი აქვს დაპირისპირებულთა ერთიანობას, რომელიც ასეთ დასკვნას აზრს აძლევს, თუმცა ის მისგან გამორიცხულია).

ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ სასრული დასკვნები, როგორც სწორედ სასრული კავშირები, დაიყვანებიან მსჯელობებზე. სასრული დასკვნა დაიყვანება მსჯელობაზე, რადგან: 1) როგორც ითქვა, სილოგიზმში დანასკვი უშუალოდ და არა შუალობით გამოდის წანამძღვრებიდან, ამიტომ ის არის უშუალო დასკვნა და დაიყვანება

პირობით მსჯელობაზე (ეს შეატყო მათემატიკურმა ლოგიკამ და ამიტომ სილოგიზმი დაიყვანა პირობით წინადადებაზე); 2) მაგრამ პირობითი მსჯელობა კატეგორიულის აზრსაც შეიცავს, ის კატეგორიული მსჯელობის „ჰეშმარიტებაა“ (როგორც ამას ჰეგელი ამბობდა და როგორც ჩვენ ეს ზემოთაც აღვნიშნეთ); 3) კატეგორიული მსჯელობა არის „უშუალო“ კავშირი „არის“ (ან „არ არის“), რომელიც თავის გამართლებისათვის მოითხოვს გაშუალებას, რამდენადაც, როგორც ითქვა, კოპულა ორმაგი ბუნებისაა

შუალობითობა მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ ერთიან აზრში მოექცევა შინაგანი უარყოფით შესრულებული გაშუალება; წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება არსებითად მსჯელობასთან, „უშუალო“ კავშირთან, რომლის არსება მსჯელობაში მდგომარეობს.

§ 134. პირობითი დასკვნისათვის უპირობო-ლოგიკური აუცილებლობა

როგორც ახლახან აღინიშნა, უშუალობისათვის აუცილებელია შუალობითობა; სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ პირობითისათვის აუცილებელია უპირობო. სიტყვა „პირობითი“ აქ ნიშნავს სასრულს და არა ფსიქოლოგიურ პირობითობას როგორც რელატურობას. ამიტომ პირობითობისათვის უპირობოს აუცილებლობა არის სასრულისათვის უსასრულოს აუცილებლობა.

შინაარსეული ზოგადის თვალსაზრისით სასრული არის ერთმხრივი; სრული ერთმხრივი არის სრული შინაარსეული კერძო, რაც, როგორც ვიცით, წინააღმდეგობის ერთ მხარეს უდრის. ამიტომ არსებობს მხოლოდ ორი კერძო, რომელსაც აქვს ერთი ზოგადი. ეს ზოგადი არის ერთიანობა, რომელიც აუცილებელია ამ ორი კერძოსათვის, ისე როგორც პირიქით — ორი სრული კერძოსათვის აუცილებელია ერთიანობა, სწორედ მათი ერთიანობა. კერძოებისათვის აუცილებელია ზოგადი, რადგან ზოგადის გარეშე აღებული კერძოები თვითონ შეადგენენ ზოგადს; ყველა კერძო ზოგადია, ე. ი. ასეთ პირობებში კერძოები საწინააღმდეგოში გადადიან, ამით აუცილებელს ხდიან მათთვის ზოგადს. თუ კერძო, როგორც ერთმხრივი, არის პირობითი, მაშინ ორი სრული კერძოსათვის აუცილებელი ზოგადი იქნება უპირობო. ამიტომ პირობითისათვის აუცილებელია უპირობო; წინააღმდეგობისათვის აუცილებელია სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობა.

თუ პირობითს ავიღებთ უპირობოს გარეშე, მაშინ თვითონ პირობითი უნდა ავიღოთ უპირობოს როლში; ამით მივიღებთ შეცდომას, ცალკე აღებულ უარყოფით დიალექტიკას, რომელიც აუცილებ-

ლობით მოითხოვს უპირობოს. აღნიშნული შეცდომა სწორედ იმას მოითხოვს, რომ იგი იქნეს დაძლეული; საწინააღმდეგოში გადასვლა, რომელიც ახლა იყო აღნიშნული, საწინააღმდეგოს აუცილებლობას ადგენს და ამიტომ მოითხოვს ერთიანობას.

პირობითობა გამოითქმება ასე: „თუ — მაშინ". „თუ — მაშინ" არის ფორმა, რომელიც შინაარსეულობასაც გულისხმობს; „თუ არის A, მაშინ არის B" გულისხმობს და მოითხოვს იმასაც, თუ რა არის A; ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ეს პირველად ფიხტემ აღნიშნა, პირობითი დადგენა მოითხოვს თვითდადგენას, როგორც მის დამკვიდებარებელს. „თუ — მაშინ"-ის ფორმა შინაარსეული ხდება მასში იმის შემოტანით, თუ რა არის A; ეს უკვე არის უპირობო; თვითდადგენა არის უპირობო, რომელიც აუცილებელია პირობითისათვის.

ის, თუ რა არის A, არ შეიძლება გამოირიცხოს საერთოდ ლოგიკურიდან (პირობითი ლოგიკურიდან კი გამოირიცხება), რადგან ყველაფერზე და, კერძოდ, „თუ — მაშინ"-ზეც შეიძლება ვიკითხოთ ის, თუ „რა არის ეს?" „თუ—მაშინ"-იც არის ის, რაზედაც ისმის კითხვა, თუ რა არის ის და ამ კითხვაზე პასუხი არის მისი განსაზღვრება, რომელიც შედის ლოგიკურ კავშირში (წინააღმდეგ მრავალი ლოგიკოსის შეხედულებისა).

თუ გვაქვს დადებითი სინთეზური მსჯელობა, მაშინ მისთვის, როგორც ვიცით, აუცილებელია მისი შინაგანი უარყოფის გამომთქმელი მსჯელობა, ამიტომ აუცილებელია ამ ორი კერძოს — ორი სრული სასრულის (ერთიმეორის საწინააღმდეგო სასრულოების) ერთიანობა, რომელიც თვითონ აღარ იქნება სასრული; ორი სრული სასრულის, ანუ სისრულით ამოწურული პირობითების ერთიანობა აღარ არის სასრული და პირობითი, არამედ უპირობოა.

მსჯელობის აზრი მტკიცება-უარყოფაში მდგომარეობს, რომელთაგან თვითეული არის სასრული; მსჯელობის აზრი გამართლდება მტკიცებისა და უარყოფის ერთიანობით, რომელიც უკვე არის დასკვნა, სწორედ სრული შუალობითი კავშირი, რომლის საფუძველზეც ყოველი ლოგიკური უშუალობა მართლდება. დასკვნა, აღებული ზოგადად, არის შუალობითი კავშირი (რომელიც არ უდრის გამომდინარეობას; გამომდინარეობაც, არის შუალობითი კავშირი, მაგრამ არა პირიქით). ამიტომ უნდა ითქვას, რომ მსჯელობა, როგორც პირობითი ერთმხრივი, ისე როგორც საერთოდ უშუალობა, როგორც ერთმხრივი, მოითხოვს შუალობას — გაშუალებას, რომლის ერთმხრიობასაც ის წარმოადგენს. გარკვეული შუალობითი კავშირი, სახელდობრ, ისეთი, სადაც ადგილი აქვს პირობითის ამოწურვას, იქნება უპირო-

ბო ლოგიკური, რომელიც, როგორც აღინიშნა, აუცილებელია პირობითისათვის.

ერთეული და ზოგადი ერთიმეორის საპირისპიროა, ამიტომ სწორია ის, რომ „ერთეული არ არის ზოგადი", მაგრამ ისიც სწორია, როგორც ვიცით, რომ მსჯელობის ზოგად აზრს გამოთქვამს „ერთეული არის ზოგადი". „ერთეული არის ზოგადი", მაგრამ „ერთეული არ არის ზოგადი". აუცილებელია მათი ერთიანობა, რომელიც ცალმხრივად გამოთქმულია ასე: „ერთეული არის ზოგადი". თვითეული ამათგანი არის სრული ცალმხრივი, პირობითი, მათი ერთიანობა კი უპირობოა.

ანალიზური დასკვნები და საერთოდ სასრული დასკვნები ერთმხრივი დასკვნებია; ისინი ენთიმემური ხასიათის არიან, ამიტომ აუცილებელია მათი საპირისპიროს ერთიანობა, ე. ი. აუცილებელია დიალექტიკურ-ლოგიკურის უპირობობა. პირობითი დასკვნებიდან გადასვლა უპირობო ლოგიკურ კავშირებზე, როგორც დასკვნებზე, ხორციელდება კატეგორიების კავშირების საშუალებით; ეს გადასვლა გაჯაგები ხდება კატეგორიების კავშირებით, როგორც დასკვნებით.

§ 135. კატეგორიათა კავშირები როგორც დასკვნები

ფორმალურ-ლოგიკური სასრული დასკვნები ვერ ანხორციელებენ სინთეზურობას, თუმცა სინთეზურობის სრული გამორიცხვის პირობებშიც შეუძლებელნი არიან. მაგალითად, როგორც ითქვა. Barbara-ში არ ხორციელდება სინთეზურობა, ის ანალიზური დასკვნაა, მაგრამ რომ ის არ გულისხმობდეს განსხვავებას, თავისებურ უარყოფას, მაშინ იგი, როგორც დასკვნა, შეუძლებელი იქნებოდა (მასში ხომ სამი—განსხვავებული ტერმინებია და ამდენივე მსჯელობაა). მაგრამ ეს უარყოფა მასში რომ გაფორმდეს, მაშინ Barbara შეუძლებელი იქნებოდა; Barbara-ში რამდენი დადებითი მსჯელობაა, იმდენი უარყოფითი მსჯელობაც რომ იყოს, მაშინ, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა რაიმე დასკვნაზე ლაპარაკი; ასეთ შემთხვევაში ორი წანამძღვრის მაგიერ გვექნებოდა ოთხი, ერთი დანასკვის მაგიერ — ორი, ისიც ერთიმეორის გამომრიცხველი და ერთიმეორის გამაუქმებელი მსჯელობები, რაც სრულ არევდარევას შექმნიდა და საერთოდ აზრი მოიშლებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი სასრული დასკვნა ანტინომიური ბუნებისაა: ის არ არის სინთეზური, მაგრამ უნდა იყოს სინთეზური; იგი შეუძლებელია წმინდა ანალიზურობის დაცვის პირობებში, მაგრამ შეუძლებელია ამ ანალიზურობის დარღვევის—სინთეზურობის გაფორმების პირობებშიც. ეს ანტინომიურობა

ასეთი დასკვნის შეუძლებლობას უნდა ნიშნავდეს; მაგრამ ეს ასე არ არის. Barbara არის გარკვეული დასკვნა, ანალიზური დასკვნა, სადაც განსხვავება ნაგულისხმევია, მაგრამ არ არის გაფორმებული. აღნიშნული ანტინომიურობის გადაწყვეტა მოგვცემს: 1) ამ დასკვნის გამართლებას და 2) უფრო მაღალ ლოგიკურ კავშირს, უფრო სრულ ლოგიკურობას, ვიდრე ის ლოგიკურობა, რომელიც დასახელებულ სასრულ დასკვნაშია განხორციელებული. თუ აღნიშნული ანტინომიურობა არ გადაწყდა, ყველაფერი, თვითონ Barbara-ც დაინგრევა, თუ ის გადაწყდა, მაშინ Barbara-ც გამართლდება და უფრო სრულ ლოგიკურსაც მივიღებთ.

როგორც ითქვა, ანტინომიურობას ქმნის უარყოფა, მაგრამ სწორედ უარყოფის გაფორმება მოგვცემს ამ ანტინომიურობის გადაწყვეტას, რადგან როგორც ვიცით, უარყოფა აფართოებს ცნებას; სწორედ უარყოფის საშუალებით ვღებულობთ უფრო ზოგადს, სახელდობრ შინაარსეულ ზოგადს. ზემოგანხილული სასრული დასკვნის ანტინომიურობა შექმნა მასში არსებულმა უარყოფამ, მაგრამ ეს უარყოფა გვაძლევს უფრო ზოგადს, უფრო ზოგად კავშირს, სახელდობრ კატეგორიების კავშირს. უფრო ზოგადი არის კატეგორია და არა სქემა, რომელსაც მათემატიკურ ლოგიკაში მიმართავენ.

Barbara-ში არსებული უარყოფის გაფორმება შეიძლება უფრო ზოგად კავშირში — კატეგორიების კავშირში — რაც თვითონ Barbara-ში მოქმედებს, მაგრამ „შეტია" — უფრო ზოგადია (შინაარსეულად ზოგადია) მასზე; ეს არის ერთეულის, განსაკუთრებულის და ზოგადის, როგორც კატეგორიების კავშირი, რაც დასკვნას წარმოადგენს. ამ კატეგორიების აუცილებელი შუალობითი ერთიანობა არის თავისებური დასკვნა. Barbara-ში მცირე ტერმინი (მაგალითად, სოკრატე) საშუალო ტერმინი (მაგალითად, ადამიანი) და დიდი ტერმინი (მაგალითად, მოკვდაობა) წარმოადგენენ კერძო შემთხვევებს კატეგორიებისა: ერთეული, განსაკუთრებული და ზოგადი; მაგრამ ამ კატეგორიათა კავშირი უფრო ზოგადია, ვიდრე ტერმინების კავშირი. ლოგიკა სწორედ ზოგად ფორმას სწავლობს და არა სოკრატეს და მის ადამიანობა-მოკვდაობას.

ერთეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის, როგორც კატეგორიების, აუცილებელი კავშირი დასკვნად გაიგო პირველად ჰეგელმა, შემდეგ კი ეს „რაციონალური მარცვალი" კ. მარქსმა თავისებურად განავითარა.

ჰეგელის მიერ განხილული დასკვნები ემყარებიან ერთეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის კატეგორიების ერთიანობას, ისე რომ ფორმალური ლოგიკის დასკვნები აყვანილია მათ ზოგად ფორ-

მამდე — აღნიშნული კატეგორიების ლოგიკურ კავშირებამდე. ჰეგელის აზრით, დასკვნები გამოხატავენ ამ კატეგორიების კავშირს, რადგან ერთეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის ერთიანობა წარმოადგენს ცნებას. დასკვნა არის ცნების ბუნების სისრულით განხორციელება, მაშინ როცა მსჯელობა აღნიშნული კატეგორიებიდან მხოლოდ ორის კავშირია, გამოტოვებულია მესამე; ცნებას კი სამი მომენტი აქვს (ერთეულობის, განსაკუთრებულობის და ზოგადობის მომენტები). დასკვნა არის აღნიშნული სამი კატეგორიის შუალობითი კავშირი, რომელსაც აქვს სხვადასხვა სახე იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი არის საშუალო. ამის მიხედვით არსებობს დასკვნის სახეები: 1) საშუალო არის განსაკუთრებული, 2) საშუალო ზოგადია, 3) საშუალო ერთეულობას წარმოადგენს. სამივე კატეგორიის სრული ურთიერთგაშუალება სრულდება მათი გაიგივებით, რაც გვაძლევს მათემატიკურ დასკვნას (ზოგადი-ზოგადი-ზოგადი), რომელშიც დასკვნის აზრი უკვე დაკარგულია, რადგან ტავტოლოგიურობამდეა მისული ის გაშუალება, რომელიც დასკვნებად ჩამოყალიბდა; მაგრამ ეს ტავტოლოგიურობა უკვე იწყებს სხვა დასკვნებს, სახელდობრ, რეფლექსურ დასკვნებს და ა. შ.[1]

კ. მარქსის აზრითაც ერთეულის, განსაკუთრებულის და ზოგადის, როგორც კატეგორიების, შუალობითი კავშირი არის დასკვნა. მაგალითად, წარმოება არის ზოგადი, მოხმარება კი ცალკეული (ერთეული) განაწილება-გაცვლა კი — განსაკუთრებული. მათი კავშირი გვაძლევს დასკვნას;[2] 2) ასეთივე დასკვნებია ამ კატეგორიათა კავშირები ს-ფ-ს და სხვა წრებრუნვები, რომლებიც განხილულია „კაპიტალში“.

§ 136. სასრული მინაარსეული დასკვნები

აქ „შინაარსეული“ არის პირობითი სახელდება, რომელიც განსაზღვრულია არა იმდენად საქმის ვითარებით, რამდენადაც ისტორიული გარემოებით, სახელდობრ, იმით, რომ ძველი ლოგიკის დასკვნებს ეძახიან ფორმალურს, ამიტომ მისგან განსხვავებით შეიძლება „შინაარსეული“ დაერქვას იმ დასკვნებს, რომლებიც კატეგორიათა კავშირებს წარმოადგენენ. ისე კი კატეგორია მხოლოდ შინაარსეულობას კი არ წარმოადგენს, არამედ ის არის სწორედ ფორმა, აზრის ფორმა (პირველად კანტმა შემოიტანა კატეგორია ლოგიკაში, რო-

---

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩემი ნაშრომი „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“ თბილისი, 1959.

[2] იხ. კ. მარქსის პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 264.

გორც აზრის, სახელდობრ, მსჯელობის ფორმა — წესი, ეს დასაწყისი განავითარა შემდგომ ფიხტემ და ჰეგელმა).

დასკვნას წარმოადგენს: „ერთეული — განსაკუთრებული — ზოგადი“ („ე-გ-ზ“). არსებობს სხვადასხვა დასკვნა, იმის მიხედვით, თუ რომელი ამ კატეგორიათაგანია საშუალო, სახელდობრ, არსებობს შემდეგი სახის დასკვნები: 1) ე-გ-ზ, 2) გ-ე-ზ, 3) გ-ზ-ე. მაგალითად: 1) მოხმარება არის წარმოება განაწილება-გაცვლის საშუალებით; 2) განაწილება-გაცვლა არის წარმოება მოხმარების საშუალებით; 3) განაწილება-გაცვლა არის მოხმარება წარმოების საშუალებით.

გ-ზ-ე-ს ნიმუშს წარმოადგენს კ. მარქსის მაგალითი: ს-ფ-ს, სადაც პირველი საქონელი მიმართებაშია ფულთან, როგორც განსაკუთრებული საქონელი ზოგად (საყოველთაო) საქონელთან, ფული კი მიმართებაშია მეორე საქონელთან, როგორც ზოგადი საქონელი ერთეულ საქონელთან. ამიტომ ს-ფ-ს დაიყვანება დასკვნის ფორმაზე გ-ზ-ე.[1]

ის გარემოება, რომ კატეგორიების კავშირები დასკვნებს წარმოადგენენ, უფრო სრულად წარმოდგება მაშინ, როცა აღებული იქნება სწორედ ფილოსოფიური კატეგორიების კავშირები, სახელდობრ, შემდეგი კავშირები (რომლებიც გაგებულია არა ჰეგელისებურად, არამედ ისე, როგორც ამას გვიკარნახებს ჩემს მიერ ზემოთ განხილული კატეგორიების დამოკიდებულებათა ხასიათი): 1) ერთეული არის ზოგადი განსაკუთრებულის საშუალებით და პირიქით — ზოგადი არის ერთეული განსაკუთრებულის საშუალებით, რადგან: ერთეული (კერძო) თვითონ არის ზოგადი, თუ ის განსაკუთრებულად — ცალკე იქნა აღებული, და ზოგადიც ერთეულია, თუ ის განსაკუთრებულად ავიღეთ; 2) განსაკუთრებული არის ზოგადი ერთეულის საშუალებით და პირიქით — ზოგადი არის განსაკუთრებული ერთეულის საშუალებით, რადგან კერძო არის ზოგადი, თუ ის (კერძო) ერთეულად იქნა აღებული; მისი ერთადერთობა (გარკვეული აბსოლუტურობა) უკვე ზოგადობაა. ზოგადობაც, აღებული როგორც ერთეული, განსაკუთრებულობაა. 3) ერთეული არის განსაკუთრებული ზოგადობის საშუალებით და პირიქით, რადგან: ერთეული, აღებული ზოგადად, არის განსაკუთრებული (მისი ზოგადად — აბსოლუტურად—აღება არის ზოგადობისგან მოწყვეტა). განსაკუთრებულიც ერთეულია, თუ ის ზოგადად იქნა აღებული (მისი აბსოლუტურად ცალკე აღება არის მისი ერთეულად წარმოდგენა). ორი რაიმეს ზოგადობით დაკავშირება ანხორციელებს აუცილებლობას.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 116.

ეს დასკვნებიც სასრული დასკვნებია, რადგან ასეთ დასკვნაში სამი კატეგორიის კავშირი გვაქვს. ეს გარემოება კარგად არის წარმოდგენილი ისეთ დასკვნაში, რომელშიც საშუალო არის განსაკუთრებული. განსაკუთრებული არის მესამე ორ საპირისპიროს — ერთეულსა და ზოგადს — შორს, მაშინ როცა კატეგორიებში დაპირისპირება-წინააღმდეგობა გამორიცხავს ასეთ მესამეს. განსაკუთრებული, როგორც საშუალო, ჩქმალავს წინააღმდეგობას.[1] ის დასკვნა, როგორც შუალობითი ერთიანობა, სადაც სრულად იქნება გამოვლენილი წინააღმდეგობა და მისი ერთიანობა (წინააღმდეგობის ერთიანობა), აღარ იქნება სასრული (ამაზე იხ. ქვემოთ).

განსაკუთრებულის გარეშე აღებული ორი საპირისპირო კატეგორია — ერთეული და ზოგადი — სადაც განსაკუთრებული ერთეულში იქნება შესული (განსაკუთრებული არსებითად არის ერთეული), გამორიცხავს სასრულ მესამეს და მოგვცემს დაპირისპირებულთა ერთიანობას; ამიტომ უნდა ავიღოთ ორი, ერთიმეორისაგან საპირისპირო კატეგორია, სახელდობრ, კერძო (ერთეული, რომელიც განსაკუთრებულიცაა) და ზოგადი და გავარკვიოთ მათი დამოკიდებულება. ამ დამოკიდებულებას სამი სახე აქვს, ანუ არსებობს კერძოს და ზოგადის ერთიანობის სამი მოდუსი. ეს მოდუსები უნდა განვიხილოთ ცალ-ცალკე, რათა სისრულით იქნას წარმოდგენილი ის ერთმხრიობები, რომლებიც დაძლეული და შენახული იქნებიან უფრო მაღალ ლოგიკურში (უსასრულო დასკვნაში).

§ 137. ზოგადიდან კერძოზე გადასვლა როგორც დასკვნა

ზოგადიდან კერძოზე გადასვლა შეიძლება გაგებულ იქნას ორგვარად: 1) როგორც უშუალო დასკვნა და 2) როგორც შუალობითი დასკვნა (შუალობითი აუცილებელი კავშირი). აქ ჩვენ შევეხებით, ცხადია, შუალობით დასკვნებს, რომლის არსებით მომენტსაც უშუალო კავშირი წარმოადგენს. ზოგადიდან კერძოზე გადასვლა, როგორც აღვნიშნეთ, შუალობითია: 1) როცა არსებობს სასრული მესამე, 2) როცა ასეთი მესამე არ არსებობს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გაშუალებას — საშუალოს როლს ასრულებს უარყოფა. როგორც ვიცით, კერძოსა და ზოგადის კავშირში, როგორც უშუალო დასკვნაში, ხორციელდება ერთისათვის მეორის თავიდან მოუცილებლობა— უარყოფითი დიალექტიკა. შესაბამის შუალობით დასკვნებში კი ადგილი აქვს დადებითი დიალექტიკის გარკვეულ მხარეს, სახელდობრ,

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. I, გვ. 316.

რმას, რომ კერძო და ზოგადი ერთიმეორეს აძლევენ აზრს. კერძო და ზოგადი ერთი მეორის უარყოფით ერთიმეორეს ადგენენ, ე. ი. ერთიმეორის უარყოფით ერთიმეორეში გადადიან; მათ შორის კავშირი შუალობითი ხასიათისაა.

ზოგადიდან კერძოზე გადასვლაში, როგორც დასკვნაში, უნდა განხორციელდეს ზოგადისათვის კერძოს აუცილებლობა, რაც საფუძვლად უძევს დედუქციას; მაგრამ ზოგადიდან კერძოზე გადასვლა საბირისპიროში გადასვლაა, ფორმალურ-ლოგიკური დედუქცია კი ასეთ რაიმეს კრძალავს, მას შეუძლებლად მიიჩნევს.

ზოგადისათვის აუცილებელია კერძო, რადგან კერძოს გარეშე არ ებული ზოგადი, ე. ი. ზოგადი, რომლისთვისაც შემთხვევითია კერძო, თვითონ არის ცალკეულად აღებული, ცალკეული, არაზოგადი, კერძო. ზოგადისათვის აუცილებელია კერძო, რადგან ზოგადი არის სწორედ კერძოს ზოგადი; ზოგადს კერძოთი აქვს აზრი. ზოგადი არის ის, რაც გამოითქმის ბევრზე, ბევრ ელემენტზე (არისტოტელე, მარქსი); ბევრის გარეშე არ არის მათთვის საერთო და ზოგადი.

ეს ზოგადი, რომლისთვისაც აუცილებელია კერძო, არის შინაარსეული ზოგადი. მოცულობითი ზოგადისათვის — გვარისათვის — ზედმეტია სახის სპეციფიკურობა (ის სწორედ ამ სპეციფიკურობის გაუქმებით მიიღება). თუ გვარი სახის სპეციფიკურობას შეიცავს, მაშინ ის არის არა გვარი, არამედ სახე. გვარიდან არ შეიძლება გამოვიყვანოთ სახე. ამიტომ ზოგადი, რომლისთვისაც აუცილებელია კერძო, არის ერთიანობა, რომლის მომენტები კერძოებს — ერთმხრიობებს — წარმოადგენენ. კატეგორიული სილოგიზმი უნდა იყოს დედუქცია — ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, მაგრამ ეს მასში არ ხორციელდება, რადგან იქ ზოგადი მსჯელობებიდან გამოდის ისევ ზოგადი და არა კერძო. კერძოს აქვს სპეციფიკურობა, რომელიც განსხვავებულია ზოგადისგან, ამიტომ კერძო ზოგადიდან არ გამოდის ფორმალურ-ლოგიკური დედუქციის აზრით. სილოგიზმში კერძო დანასკვი გამოიყვანება ისევ კერძოდან, რომელსაც ადგილი აქვს წანამძღვრებში არსებულ გაუნაწილებელ ცნებაში, მაგალითად, მოდუსებში: Darapti, (III ფიგურა), Bramalip (IV ფიგურა).

თუ ზოგადიდან გამოდის კერძო, როგორც კონკრეტული, მაშინ ზოგადი, რომელიც გამოსავალია, არის აბსტრაქტული; მაგალითად. ჰეგელთან საწყისი ზოგადი არის არსი, საიდანაც აბსტრაქტული არაარსის დამატებით, გამოდის კონკრეტული არსი — ქმნადობა და შემდეგ მუნარსი (Dasein) და ა. შ. აქ გამოყვანის საშუალება არის უარყოფა, სახელდობრ, არარსი. იგივეობიდან გამოდის განსხვავება, რადგან მხოლოდ იგივეობა არის არარა, და სხვ. ასევე, მარქსთან

საქონლიდან გამოდის ფული, რადგან ფული არის ისეთი საქონელი, რომლის სახმარი ღირებულება იგივეა, რაც საცვლელი ღირებულება (ხდება უშუალო სახმარი ღირებულების — სარგებლიანობის უარყოფა). ფულიდან გამოდის კონკრეტული — კაპიტალი უარყოფის— წინააღმდეგობის დაძლევის საშუალებით (კაპიტალში დაძლეული და შენახულია წინააღმდეგობა, ის წარმოიშობა მიმოქცევიდან და არც წარმოიშობა მიმოქცევიდან, წარმოიშობა წარმოებიდან და არც წარმოიშობა წარმოებიდან; კაპიტალი წარმოიშობა ისეთი წარმოებიდან, რომელშიც არის მიმოქცევის მომენტი — სამუშაო ძალა როგორც საქონელი, რომელიც ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს; კაპიტალი არის ფულის ისეთი წრებრუნვა, სადაც ფულს ზედმეტი ფული მოაქვს, ე. ი. ექვივალენტური გაცვლის საფუძველზე ირღვევა თვითონ ექვივალენტური გაცვლა). აქ საშუალოს როლს ასრულებს უარყოფა და არა განსაკუთრებული.

მცდარია ზოგადის ადგილზე ცვლადის ჩასმა (როცა ცვლადი გაგებულია არა როგორც ზოგადი, არამედ როგორც გაურკვეველი x) და იქიდან ერთეულის მიღება, რადგან: 1) თვითონ ცვლადია ერთეულების გაურკვეველი გროვა და იქიდან ერთეულის მიღება მხოლოდ ჩასმა შეიძლება იყოს, მაგრამ 2) თვითონ ჩასმის წესი არის ლოგიკურად ყალბი, ვინაიდან „ჩასმის აქსიომა" მოითხოვს ზოგადის ადგილზე მისი ერთეულის ჩასმას; ასეთ შემთხვევაში თვითონ აქსიომაში ზოგადად უნდა აიღონ ერთეული ზოგადისა, ეს კი ისევ მოითხოვს ამ აქსიომას და ა. შ. [1].

ზოგადიდან, როგორც კატეგორიიდან, კერძოს, როგორც კატეგორიის, მიღება არის თავისებური დედუქცია (რომელსაც შემდეგ განვიხილავთ), რომელსაც ეყრდნობა ფორმალურ-ლოგიკური დედუქცია, თუმცა მას არ წარმოადგენს, რადგან პირველში მოქმედებს შინაარსეული ზოგადი, მეორეში კი — მოცულობითი.

§ 138. კერძოდან ზოგადზე გადასვლა როგორც დასკვნა

კერძოდან ზოგადის გამოყვანა თუ მასზე გადასვლა, ეს არის თავისებური ინდუქცია, აქ ადგილი აქვს საწინააღმდეგოზე გადასვლას (ისე როგორც ზემოთ განხილული დედუქციის დროს). კერძოდან ზოგადზე თუ პირიქით გადასვლა საწინააღმდეგოზე გადასვლაა, ამიტომ იგი სრულდება უარყოფის საშუალებით. საწინააღმდეგოზე გადასვლის „საშუალო" არის უარყოფა.

[1] იხ. Л. П. Гокиели, К проблеме аксиоматизации логики, გვ. 61, Тбилиси, 1947.

კერძოდან ზოგადზე გადასვლაში ხორციელდება კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა, რასაც ჩვეულებრივი — ფორმალურ-ლოგიკური — ინდუქცია ემყარება და მას უნდა ანხორციელებდეს, მაგრამ ვერ ანხორციელებს; ჩვეულებრივი ინდუქციის დასკვნები ალბათური ხასიათისაა. მაგრამ თუ კერძოდან ზოგადზე გადასვლას კატეგორიებში ავიღებთ, ე. ი. თუ კერძოს კატეგორიის ზოგადის კატეგორიაზე გადასვლაზე ვილაპარაკებთ, მაშინ გადასვლაში აუცილებლობა განხორციელდება, გადასვლას აუცილებლობის ხასიათი ექნება; ამით კი ლოგიკის სფეროში გადაწყდება ინდუქციის ფორმალურ-ლოგიკური თეორიის დღემდე დაუძლეველი პრობლემა და შეიქმნება ახალი ინდუქციის თეორია, რომელიც იქნება უკვე არა ინდუქციის, არამედ დიალექტიკის თეორია.

კერძოს გადასვლა ზოგადზე (თუ ესენი აღებულია როგორც კატეგორიები) არის თავისებური ინდუქციური დასკვნა, უკეთ დიალექტიკური დასკვნა, რადგან, როგორც ითქვა, აქ ადგილი აქვს საპირისპიროზე თუ საწინააღმდეგოზე ლოგიკურ გადასვლას.

კერძოდან ზოგადზე გადასვლა როგორც დასკვნა, რომელსაც ახლა განვიხილავთ, ეს არის კერძოდან, როგორც შინაარსეული კერძოდან, ზოგადზე, როგორც შინაარსეულ ზოგადზე, გადასვლა. შინაარსეული კერძო არის ერთმხრიობა, შინაარსეული ზოგადი კი ერთიანობას წარმოადგენს. კერძოდან ზოგადზე გადასვლა ანხორციელებს ერთმხრიობის მოხსნა-შენახვას, მის გადაქცევას ზოგადის მომენტად. მაგალითად, ჰეგელისათვის დასაწყისი არსი არის კერძო — ერთმხრიობა; ასეთია არარსიც. ეს არსი და არარსი გადადიან ქმნადობაში (ურთიერთში გადასვლით ქმნიან ქმნადობას), რომლის ერთმხრიობებსაც ისინი წარმოადგენენ. არსი და არარსი, როგორც კერძოები — ერთმხრიობები — აუცილებლობით იძლევიან ქმნადობას. ქმნადობა აუცილებლობით გამოდის არსიდან და არარსიდან. ქმნადობა შინაარსეული ზოგადია, არსი და არარსი კი კერძოებს— ერთმხრიობებს — წარმოადგენენ. კერძო აუცილებლობით გადადის ზოგადზე.

მეორე მაგალითი ავიღოთ მარქსის „კაპიტალიდან". კაპიტალი არის შინაარსეული ზოგადი. ის არის ფულის წრებრუნვა და ამიტომ წარმოიშობა მიმოქცევიდან, მაგრამ ის არ წარმოიშობა მიმოქცევიდან, არამედ წარმოებიდან. კაპიტალი წარმოიშობა მიმოქცევიდან და არც წარმოიშობა, ასევე ის წარმოიშობა წარმოებიდან და არც წარმოიშობა. ეს ორი — ერთიმეორის საპირისპირო მხარე — წარმოადგენენ თავისებურ კერძოებს, საიდანაც მიიღება მათი ერთიანობა — კაპიტალი, როგორც ზოგადობა. კაპიტალი არის ფულის წრე-

ბრუნვა: ფ-ს-ფ[1] (ფ + △ფ), სადაც საქონელი სამუშაო ძალას წარმოადგენს წარმოებაში, ამიტომ მიმოქცევის და წარმოების გარკვეული ერთიანობის საფუძველზე იქმნება კაპიტალი, როგორც ზემოთ დასახელებულ ცალმხრიობათა (ერთიმეორის საპირისპირო — საწინააღმდეგოთა) ერთიანობა-ზოგადობა. კაპიტალის ცნებაში გაერთიანებულია აღნიშნული საწინააღმდეგო ერთმხრიობების გამომთქმელი მსჯელობების აზრი.

ორივე ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ზემოთ განხილული აბსტრაქტული ზოგადიდან კონკრეტულზე გადასვლა და შინაარსეული კერძოდან ასეთივე ზოგადზე გადასვლა ერთიმეორეს ემთხვევა. ეს იმასაც ნიშნავს, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ, რომ დედუქცია და ინდუქცია გარკვეულ ასპექტში ერთიმეორეს ემთხვევიან, უკეთ, ინდუქციური გადასვლა თავისებური დედუქციური გადასვლაა და პირიქით.

კერძოდან ზოგადზე გადასვლა უფრო სრულად წარმოდგება, ცხადია, მაშინ, როცა კერძოდან, როგორც კატეგორიიდან, ზოგადზე, როგორც კატეგორიაზე, გადასვლა ხორციელდება. თვითონ კერძო გადადის თავის საპირისპიროში — ზოგადში. კერძო გადადის ზოგადში, რადგან კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი. ზოგადის გარეშე აღებული კერძო არის: 1) აბსოლუტური აზრით აღებული კერძო, ე. ი. ის ზოგადია, 2) ზოგადის მნიშვნელობით აღებული კერძო. კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი, რადგან კერძო არის სწორედ ზოგადის კერძო, ამიტომ კერძო განისაზღვრება ზოგადით; კერძოს აზრი აქვს ზოგადით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კერძო არ იქნებოდა. ზოგადი არის ის, რაც ბევრ კერძოზე გამოითქმის, მაგრამ, გარკვეული მხრივ, სწორედ ბევრის გამოა ის ზოგადი, ბევრი აძლევს აზრს ზოგადობას; ამიტომ კერძოც განსაზღვრავს ზოგადობას (ისე როგორც პირიქით; ბევრი არის ზოგადის მომენტები).

მოძრაობა არის ზოგადი, მის კერძოებს (შინაარსეულ კერძოებს) წარმოადგენენ „არის“ და „არ არის“; წყვეტილობა და განუწყვეტლობა, როგორც ერთმხრიობები, კერძოები, აუცილებლობით იძლევიან მოძრაობას, როგორც მათ ერთიანობას — ზოგადობას. სწორედ მოძრაობით აქვს აზრი მის ამ ერთიანობას — ზოგადობას. სწორედ მოძრაობით აქვს აზრი მის ამ მომენტებს. „მოძრაობა არის (დროის და სივრცის) განუწყვეტლობის და (დროის და სივრცის) წყვეტადობის ერთიანობა. მოძრაობა არის წინააღმდეგობა, არის წინააღმდეგობათა ერთიანობა“.[2] ეს საწინააღმდეგო მხარეები მათ ერთიანობას აუცი-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 262.

ლებლობით იძლევიან. ეს არსებითად იგივეა, რაც „არსის“ და„ არაარსის“ კატეგორიებიდან „ქმნადობის“ კატეგორიის მიღება.

ყოველი წინააღმდეგობის ერთიანობა არის შინაარსეული ზოგადობა, რომელთა ერთმხრიობებს — შინაარსეულ კერძოებს წინააღმდეგობის მხარეები წარმოადგენენ. ჩვენ ქვემოთ სპეციალურად განვიხილავთ იმას, თუ რა ლოგიკური ფორმით არსებობს წინააღმდეგობის ერთიანობა და როგორ დასკვნაში ხორციელდება საწინააღმდეგო კერძოებიდან მათ ზოგადზე გადასვლა. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ კატეგორიების სფეროში კერძო აუცილებლობით გადადის ზოგადში.

თუ ჩვეულებრივი — ფორმალურ-ლოგიკური — ინდუქციისათვის სიძნელეს ის ქმნიდა, რომ ზოგადის მიღება საჭიროებს უსასრულო კერძოების „გავლას“, რაც განუხორციელებელია, წინააღმდეგობიდან მის ერთიანობაზე გადასვლისას ასეთი სიძნელე არ არის, რადგან წინააღმდეგობას მხოლოდ ორი კერძო მხარე აქვს. ორი კერძოს „გავლა“ არ ქმნის აღნიშნულ სიძნელეს. წინააღმდეგობის ორი მხარე, არის ორი სრული კერძო, რომელიც ამოწურავს კერძოს, სასრულის სფეროს, მის ბუნებას, ამიტომ კერძოდან ზოგადზე გადასვლა აუცილებლობით ხორციელდება. აქ „ყველა“ უსასრულო კი არაა, არამედ მხოლოდ ორი. ამიტომ მათი ერთიანობის მიღება შესაძლებელია და აუცილებლობით სრულდება. უნდა ითქვას კიდევ მეტი: კატეგორიების სფეროში კერძო ორი კი არაა, არამედ — მხოლოდ ერთი; კერძო, როგორც კატეგორია, არის მხოლოდ ერთი, ამიტომ მის პრედიკატს წარმოადგენს ზოგადი. კერძო აუცილებლობით გადადის ზოგადში (ამ გარემოებას უფრო სრულად გავარკვევთ ქვემოთ, სახელდობრ, უსასრულო დასკვნის და დასაბუთების თეორიის განხილვის დროს. აქ მხოლოდ გარკვეული გადასვლის შესახებ გვაქვს საუბარი).

§ 139. კერძოს მიყვანა ზოგადზე როგორც დასკვნა

კერძოს მიყვანა ზოგადზე, როგორც დასკვნა, არის რედუქცია, რომელიც არსებითად ისაა, რასაც ზემოთ განპირობული ინდუქცია წარმოადგენს. ინდუქცია კატეგორიების სფეროში არის კერძოდან ზოგადზე გადასვლა, სადაც საფუძვლად გამოყენებულია კერძო, სახელდობრ, ორი კერძო, შედეგი კი მათი ერთიანობაა. ეს გადასვლა ხდება უარყოფა-წინააღმდეგობის საშუალებით; კერძო გადადის ზოგადში, როგორც შედეგი საფუძველში წინააღმდეგობის გზით. ამიტომ ინდუქცია არის სინთეზური; ორი კერძო და ერთიანობა არ

არის ერთი და იგივე. არა, ეს კერძოები ერთიანობის მომენტებს — ერთმხრიობებს — წარმოადგენენ; ერთიანობა არ არის ამ კერძოების ჯამი; ერთიმეორის საწინააღმდეგოს შეჯამება მოგვცემს არაფერს, უკეთ უაზრობას. მაშინ როცა მათი ერთიანობა არის სწორედ ამ კერძოთა, როგორც სრულ სასრულ კერძოთა ძირი, საფუძველი. უსასრულობის ბუნების მქონე საფუძველი.

მაგრამ კერძოდან ზოგადზე გადასვლა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც შედეგიდან საფუძველზე გადასვლა; ეს არის რედუქცია, სადაც კერძოები გაგებულია როგორც შედეგი, ზოგადობა კი —როგორც მათი საფუძველი. მართალია, აქაც გადასვლა კერძოდან ზოგადზე ხდება, მაგრამ, ინდუქციასთან შედარებით, მიმართულება შექცეულია — შებრუნებითია. ინდუქციის დროს საფუძველიდან შედეგზე გადასვლა ხდება, რედუქციის დროს კი პირიქით — შედეგიდან საფუძველზე გადასვლა. რედუქციის დროს შედეგი გაუგებარია და უაზრო, თუ ის აღებულია თავისთავად, მისი გამართლება ხდება საფუძველში; ამიტომ შედეგი საკუთარი თავის გამართლებისათვის გადადის საფუძველში. მაგალითად, გაუგებარია კერძოები: 1) კერძო არ არის ზოგადი და 2) კერძო არის ზოგადი; ამ ორი კერძოს გამართლება ხდება მათ ერთიანობაში. გაუგებარია ორი კერძო (შინაარსეული კერძო): 1) ქვეყანა არის სასრული და 2) ქვეყანა არის უსასრულო; მათი ერთად აღება უაზრობაა, მაგრამ სასრულის და უსასრულის ერთიანობა ორივეს ამართლებს. გაუგებარია ერთად აღებული ორი აზრი: 1) არსი არის და 2) არსი არ არის, მაგრამ ორივე გასაგებია ქმნადობაში; „არის“ და „არ არის“ ერთიანდება მოძრაობაში. კაპიტალიზმის პირობებში საქონელს აზრი აქვს ფულით, ფულს კი — კაპიტალით. საქონელი აზრს აძლევს სახმარი და საცვლელი ღირებულების, როგორც ერთმხრიობების, კავშირს. აქ ერთიანობა არის ზოგადობა, რომელიც ამხსნელი, დამდგენი საფუძველია. ის გარემოება, რომ საფუძველში აიხსნება შედეგი, შემეცნებითი მომენტია; მაგრამ ის, რომ საფუძველში დგინდება შედეგი, ლოგიკურ მომენტს წარმოადგენს. ეს ორი მომენტი განუყოფელია, უკეთ, ერთი და იგივეა (ეს არის ერთი არგუმენტი იმისა, რომ ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა). რედუქცია არის შედეგის საფუძველში გამართლება; ინდუქცია (ისე როგორც დედუქცია) საფუძვლით შედეგის გამართლებაა. აბსტრაქტულები — ცალმხრიობები არიან კონკრეტულის შედეგები და ამიტომ აზრი აქვთ კონკრეტულში, როგორც მათ საფუძველში, შინაარსეული ზოგადობა-ერთიანობა აზრს აძლევს, ამართლებს მის მომენტებს, რომლებიც

საფუძველში დგინდებიან. მომენტები დგინდებიან საფუძველში, ამ აზრით, გადადიან საფუძველში.

ყოველი დებულების დასაბუთება არის მისი გამართლება საფუძველში. ასე ესმით, მაგალითად, სილოგიზმი რედუქციის მიმდევრებს. სილოგიზმი დედუქციური დასკვნაა, საფუძვლიდან შედეგის გამოყვანას წარმოადგენს, მაგრამ რედუქციის აზრით გაგებული სილოგიზმი არის არა შედეგის საფუძვლიდან გამოყვანა, არამედ შედეგის საფუძველში მიყვანა. ის. რასაც დედუქციური საფუძვლიდან შედეგის გამოყვანა წარმოადგენს, ეს ნამდვილად არის შედეგის საფუძველში მიყვანა, გამართლება. შედეგის საფუძვლიდან დედუქციური გამოყვანა იმას ამჟღავნებს, რომ შედეგი საფუძველში მართლდება, შედეგი მიიყვანება საფუძველზე. ამიტომაა ინდუქციაშიც რედუქცია, სახელდობრ, ის, რომ კერძოდან ზოგადის გამოყვანა ზოგადი საფუძვლით მართლდება.

რედუქციული ლოგიკისათვის (მაგალითად. პაულერის ლოგიკისათვის[1]) ინდუქცია და დედუქცია არიან სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდები, ფილოსოფოსობის მეთოდს კი მხოლოდ რედუქცია წარმოადგენს, ფილოსოფოსობა არ წარმოებს არც ინდუქციის გზით და არც დედუქციის გზით, არამედ მხოლოდ რედუქციულად (კოჰენისა და ნატორპისათვის ლოგიკა არ არის დედუქციური მეცნიერება, როგორსაც წარმოადგენს მათემატიკა, არამედ, როგორც ლოგიკური საწყისის (Ursprung) აუცილებლობის დამდგენი,[2] თავისებური ინდუქციური მეცნიერებაა). ეს აზრი არ უნდა იყოს სწორი, რადგან, როგორც ამას ქვემოთ დავამტკიცებთ, დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია დიალექტიკური მეთოდის მხოლოდ მომენტებს წარმოადგენენ, სამივე კერძო მეთოდი მასში მართლდება; ცალკე აღებული რედუქცია, ე. ი. აბსოლუტური მნიშვნელობით აღებული რედუქცია შეცდომასაც კი წარმოადგენს.

რედუქციას ადგილი აქვს მაშინ, როცა ხდება ერთგვარი უკანსვლა — უკანდასკვნა. დადებითის და უარყოფითის ერთიანობის მიღება არის დადებით-უარყოფითიდან მათ საფუძველზე უკან მისვლა, რადგან ერთიანობა არის დადებითის და უარყოფითის საფუძველი. დიალექტიკა ერთიანის გაორებაა; რედუქცია არის გაორებიდან ერ-

---

[1] Akos von Pauler Grundlagen der Philosophie, 1925 გვ. 9, 58, მისივე Logik (Versuch einer Theorie der Wahrheit), 1929. გვ. 269, 244.

[2] P. Natorp. Die logische Grundlagen der exakten Wissenschaften, 1910. გვ. 23—45. 34.

H. Cohen. Logik der reinen Erkenntnis, 1914, გვ. 12, 13.

თიანობაზე მისვლა, რომელიც დიალექტიკის ერთ მომენტს წარმოადგენს (ამაზე ქვემოთ). ერთი სრული კერძო — წინააღმდეგობის ერთი მხარე აუცილებლობით გულისხმობს მეორე ასეთ მხარეს, მის საწინააღმდეგოს. ამიტომ აუცილებელია მათი ერთიანობა. წინააღმდეგობა აუცილებლობით მიდის ერთიანობამდე, რადგან ის მისგან გამოდის, მის საფუძველზეა შესაძლებელი. აქ ადგილი აქვს ერთგვარ წრიულობას, რომლის შესახებაც შემდგომ გვექნება საუბარი.

დადებითი და უარყოფითი მსჯელობების აუცილებელი კავშირი. რომელიც ლოგიკაში უნდა გამართლდეს, შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე, საფუძველზე მათი „მიყვანით", მათი გადასვლით საფუძველში ,გარკვეული რედუქციით. რედუქციას წარმოადგენს, მაგალითად, ზემოთ აღნიშნული გადასვლა მსჯელობისა დასკვნაზე. როგორც აღინიშნა, მსჯელობა ანტინომიურია, მისი გამართლება არის ამ ანტინომიურობის გადაწყვეტა. რაც დასკვნაში ხორციელდება. მსჯელობა გადადის მის საფუძველში, დასკვნაში (ეს სისრულით იქნება ნათელყოფილი უსასრულო დასკვნის განხილვის დროს). თვითონ მსჯელობაც კერძოს მიყვანაა ზოგადზე, რადგან „კერძო არის ზოგადი", „ცუგა არის ძაღლი" არის ერთგვარი გადასვლა კერძოსი ზოგადზე.

როგორც აღინიშნა, ჰეგელის ლოგიკაში შესრულებული გადასვლები რედუქციულ მომენტს აუცილებლობით შეიცავენ. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჰეგელთან არსებული რედუქციულობა არსებითად სხვა არაფერია, თუ არა პლატონის მიერ გარკვეული რედუქციულობა: წინააღმდეგობის საშუალებით იდეამდე, როგორც საფუძვლამდე მისვლა.

§ 140. კერძოდან კერძოზე გადასვლა როგორც დასკვნა

დედუქცია უნდა იყოს ზოგადიდან კერძოზე გადასვლა, მაგრამ იგი, როგორც ითქვა, ამ გადასვლას ვერ ანხორციელებს, რადგან, მაგალითად, სილოგიზმში ადგილი აქვს ზოგადიდან ზოგადზე ან კერძოდან კერძოზე გადასვლას, ე. ი. ხორციელდება ანალიზური გამოყვანა. ინდუქცია უნდა იყოს კერძოდან ზოგადზე გადასვლა. მაგრამ ისიც ვერ ანხორციელებს მას; ინდუქციას კერძოდან ზოგადი ვერ გამოყავს ლოგიკური აუცილებლობით; კერძოდან ზოგადის მხოლოდ ალბათური მიღება, რომელიც ფორმალურ-ლოგიკური ინდუქციისათვის არის დამახასიათებელი, იმას მოწმობს, რომ ინდუქციაში ხორციელდება მხოლოდ კერძოდან კერძოზე გადასვლა. ამრიგად, დედუქციაშიც და ინდუქციაშიც არსებითად ერთი და

იგივე მდგომარეობაა. ორივე ანალიზური ბუნებისაა. ამ მხრივ ისინი ერთიმეორისაგან არც განსხვავდებიან. ეს გარემოება საყურადღებოა დედუქცია-ინდუქციის ერთიანობის დასაბუთებისათვის.

აქ აღსანიშნავია ის, რომ ზოგადიდან ზოგადზე ან კერძოდან კერძოზე გადასვლა იგივეა, რაც ერთეულიდან ერთეულზე გადასვლა, ანუ იგივეა, რაც კერძოდან კერძოზე გადასვლა, რომლის გარკვევასაც ახლა ვცდილობთ.

როგორც ეს ზემოთ გაირკვა, ზოგადიდან კერძოზე და კერძოდან ზოგადზე გადასვლები ხორციელდება კატეგორიების სფეროში. ორივე ეს გადასვლა, როგორც ითქვა, დიალექტიკურია, რადგან კერძო და ზოგადი ერთიმეორისადმი საპირისპირო-საწინააღმდეგო კატეგორიებია და ამიტომ ერთი მათგანიდან მეორეზე გადასვლა საპირისპიროზე—საწინააღმდეგოზე გადასვლაა.

ის გარემოება, რომ ინდუქცია ვერ სცილდება კერძოს სფეროს, ვერ გადადის ზოგადზე და დედუქციაც ზოგადიდან ზოგადზე ანუ ერთეულიდან ერთეულზე გადადის და სხვანაირად გადასვლას ვერ ანხორციელებს, ე. ი. რომ ფორმალურ ლოგიკაში ხორციელდება მხოლოდ კერძოდან კერძოზე გადასვლა, სწორედ ეს გარემოება შეამჩნია მიმართების ლოგიკამ, რომელშიც შეიქმნა მოძღვრება კერძოდან კერძოზე გადასვლის შესახებ, მაგალითად, დასკვნად იქნა მიჩნეული ისეთი დამოკიდებულება, როგორიცაა „A = B, B = C, მაშასადამე, A = C“. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ასეთი გადასვლები არ ეხება ლოგიკას, რადგან აქ ადგილი აქვს საგანთა დამოკიდებულებას და არა დასკვნას, როგორც ეს ზემოთ იქნა ნათელყოფილი.

კერძოდან კერძოზე გადასვლა მომენტია კერძოს და ზოგადის ერთიანობის, რადგან ის ზოგადი, რომელიც კერძოს უპირისპირდება, თვითონ არის კერძო, კერძოსგან განკერძოებული. ნამდვილი ზოგადი კი არის ის, რაც შეიძლება იწოდოს „გარეგადამწვდომად“ (მარქსი). მაგალითად, წარმოება, მარქსის აზრით, არის გარეგადამწვდომი მომენტი მისი მომენტების მიმართ, ამიტომ და ამ აზრით ის (წარმოება) არის ზოგადი მოხმარების, განაწილება-გაცვლის და საკუთრივ წარმოების (წარმოების სხვა მომენტებთან დაპირისპირებული წარმოების) მიმართ.[1]

კერძოდან ზოგადზე, როგორც შედეგიდან საფუძველზე, გადასვლა, ისე როგორც პირიქით, განსხვავდება კერძოდან კერძოზე გადასვლისგან, სხვათა შორის, იმით, რომ კერძოდან კერძოზე გადასვლაში, როგორც ეს გაგებულია, მაგალითად, მიმართების ლოგიკაში. კერძოები ნამდვილად წარმოადგენენ სუბიექტს, პრედიკატი კი

[1] კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი.

არის მათი ერთიანობა, რომელიც გამოტოვებულია მიმართების დასკვნაში. კერძოდან კერძოზე გადასვლა არის იმ ერთიანობის, როგორც შინაარსეული ზოგადობის, დადგენა, რომელშიც ხორციელდება ამ გადასვლის აუცილებლობა და რომელიც შეიძლება პრედიკატის სახით წარმოდგეს.

დამოკიდებულება, გამოთქმული წინადადებაში: „თბილისის ჩრდილოეთით არის ხარკოვი, ხარკოვის ჩრდილოეთით არის მოსკოვი, მაშასადამე, თბილისის ჩრდილოეთით არის მოსკოვი“, არის საგანთა სივრცითი დამოკიდებულება, რომელიც, ცხადია, არ შეიძლება იყოს დასკვნა, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ აზრთა აუცილებელ კავშირს წარმოადგენს და არა საგანთა სივრცით დამოკიდებულებას. აზრი, რომელიც აღნიშნულ წინადადებაშია გამოთქმული, ე. ი. აზრი, რომელიც საგანთა სივრცით დამოკიდებულებას გამოთქვამს, დასკვნის ფორმას მიიღებს მხოლოდ მაშინ, თუ კერძოების გამომთქმელი აზრები დაკავშირებული იქნება კერძოთა ზოგადი დამოკიდებულების გამომთქმელ აზრში, როგორც სუბიექტები პრედიკატში, ე. ი. თუ აზრთა დასკვნითი კავშირი განხორციელდა მსჯელობის, როგორც კერძოს ზოგადთან ერთიანობის, საშუალებით; დასკვნითი კავშირია შემდეგი კავშირი: „ხარკოვი არის თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი, მოსკოვი არის ხარკოვის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი, მაშასადამე, მოსკოვი არის თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი“. ასეთი დასკვნა ლოგიკური კავშირია (თუმცა ის არ არის სილოგიზმი); თბილისი, ხარკოვი და მოსკოვი არიან ერთიმეორის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქები. თბილისი, ხარკოვი და მოსკოვი ერთეულებია, ქალაქი კი ზოგადია; ერთეულისა და ზოგადის გარკვეული კავშირი განსაკუთრებულია, რომელიც იმის გამოთქმას წარმოადგენს, რომ ერთი არის მეორის ჩრდილოეთით, ე. ი. ზოგადი განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი. ლოგიკური კავშირი შეუძლებელია ზოგადობის გარეშე.

კატეგორიების კავშირში უფრო სრული სახით არის წარმოდგენილი კერძოს კერძოზე გადასვლა, რადგან კერძოდან კერძოზე გადასვლა, ეს არის იგივე, რაც ერთეულიდან ერთეულზე გადასვლა. ერთი კატეგორიიდან მეორე (ესეც ერთია) კატეგორიაზე გადასვლა სწორედ ერთეულიდან ერთეულზე გადასვლაა, მაგრამ ისეთი გადასვლა, სადაც ერთეული არის ცნება და არა ერთეული საგანი. ლოგიკა საგნების გადასვლებს კი არ სწავლობს; არამედ მათი გამომთქმელი აზრების გადასვლებს, ისიც ისეთს, რომელსაც ზოგადი ფორმა აქვს. კატეგორიების კავშირი აზრთა ზოგადი კავშირია, რომელიც ლოგიკის საგანს შეადგენს.

აქ აღსანიშნავია ერთი სიძნელე, სახელდობრ. შემდეგი. თუ სრულდება კერძოდან კერძოზე გადასვლა, მაშინ ეს ხომ ანალიზური გამოყვანა იქნება? კერძოდან ხომ ისევ კერძო გამოდის? ყოველი კერძო თუ ერთეული, როგორც კატეგორია, ხომ ერთი და იგივეა? საქმე იმაშია, რომ კერძოდან კერძოზე გადასვლა ანალიზურის შემცველი სინთეზური გადასვლაა, რადგან კერძოდან კერძოზე გადასვლა შეუძლებელია შინაარსეული ზოგადის გარეშე, ის შესაძლებელია და ხორციელდება შინაარსეულ ზოგადობაში; ასეთია ყოველი სინთეზური კავშირი, სადაც განსხვავებულთა, როგორც კერძოთა, ერთიანობა შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს. კერძოთა ერთიანობა არის შინაარსეული ზოგადობა. კერძოები ერთიმეორეს აუცილებლობით უკავშირდებიან სწორედ შინაარსეული ზოგადობის საშუალებით და შინაარსეულ ზოგადობაში. ამ გარემოებას ისიც ემატება, რომ კერძოს და ზოგადის ასეთი (და სხვა ყოველგვარი) ერთიანობა დაპირისპირებულთა ერთიანობაა, ე. ი. ეს ერთიანობა შესრულებულია შინაგანი უარყოფით, რაც, ცხადია, სინთეზს ანხორციელებს.

კერძო თავისი ბუნებით გადადის ზოგადში, რომელიც თვითონ არის კერძო (ცალკე აღებული კერძო არის ზოგადი), მაგრამ მათი აუცილებელი ერთიანობა არის ზოგადობა, როგორც გარეგადამწვდომი. კერძოს გადასვლა კერძოში არის კერძოს საფუძველზე კერძოს დადგენა. ასეთი კერძო არის ზოგადი—კატეგორია. იგივეობა თავისი ბუნებით გადადის განსხვავებაში, ორივეს ერთიანობა კი არის კონკრეტული იგივეობა, როგორც შინაარსეული ზოგადობა. ასე, რომ კერძოდან ზოგადზე, ზოგადიდან კერძოზე და კერძოდან კერძოზე გადასვლები ხორციელდება უარყოფის საშუალებით; ამ აზრით, ისინი შუალობით გადასვლებს—დასკვნებს წარმოადგენენ. ეს შუალობა არ არის სრული, რადგან სრული გაშუალებისათვის მხოლოდ უარყოფის მომენტი არ კმარა. მაგრამ ეს გარემოება, თავისი ბუნებით არის უფრო რთული, ვიდრე სასრული შუალობითი დასკვნის ბუნება, ამიტომ იგი შემდეგ იქნება სპეციალურად გარკვეული. სასრულ შუალობით დასკვნებში მსჯელობის ბუნების ანტინომიურობა ნაწილობრივ გადაწყდა, სრულ გადაწყვეტას იგი ისევ მოელის.

§ 141. ზოგადის და კერძოს ერთიანობა როგორც ცნება

შესაძლებელია ყველაფრის ცნება, მაგრამ ცნება როგორც ცნება, არის ერთი; ეს არის ცნების კატეგორია. შეუძლებლია ცნე-

ბის ორი კატეგორია. ორი ცნება, როგორც ასეთი, რომ დაუშვათ, ის მაინც ერთი იქნებოდა, ორივე ერთი და იგივე ცნება იქნებოდა; ამიტომ ორი ცნების, როგორც კატეგორიის, დაშვება შეუძლებელია.

აქ ჩვენ ცნებას უნდა შევეხოთ მხოლოდ ერთი მხრივ, სახელდობრ, გვინდა ვაჩვენოთ ის, რომ კერძოს და ზოგადის ზემოთ განხილული დამოკიდებულებანი შედეგად გვაძლევენ ცნებას, რომ მსჯელობების და კატეგორიების გარკვეული დამოკიდებულებანი შედეგად იძლევიან იმას, რის საფუძველზედაც ისინი არიან შესაძლებელი. ეს საფუძველი მთლიანად არ არის ცნება, მაგრამ მას შეიცავს. სწორედ ასეთ ცნებამდე მიგვიყვანა ზემოთ განხილულმა სასრულმა დასკვნებმა. ცნების ბუნება შემდეგ იქნება განხილული, აქ, როგორც ახლახან ითქვა, საქმის ვითარების მხოლოდ ერთ მხარეს შევეხებით.

კერძოს და ზოგადის ზემოთ განხილული დამოკიდებულებანი გვაძლევენ საშუალებას დავადგინოთ, რომ ცნება არის კერძოს და ზოგადის ერთიანობა, რომელიც ერთ განუყოფელ აზრს წარმოადგენს. მართლაც, ზოგადი კერძოს გარეშე არ არის ზოგადი, რადგან ასეთი ზოგადი არის კერძო. ასევე კერძო ზოგადის გარეშე აღარ არის კერძო, რადგან მხოლოდ კერძო და ყველა კერძო არის ყველაფერი, ის აბსოლუტურია. კერძო, როგორც ასეთი, უკვე ზოგადია. კერძოს უარყოფა ისევ კერძოს იძლევა, ზოგადის უარყოფაც ზოგადს გვაძლევს. მათი უარყოფა შეუძლებელია. ისინი ერთიმეორეს აუცილებლობით ადგენენ. მაგრამ ორივე შეფარდებითი ხასიათის არიან, ამიტომ ცალმხრიობებს (ერთმხრიობებს) წარმოადგენენ. კერძოს და ზოგადს ერთი საერთო აზრი აქვთ, ერთი აზრით არიან გამართლებული, და ამიტომ ერთ აზრში არიან გაერთიანებული. თვითონ კერძოს, როგორც კერძოს, დადგენა, ეს არის კერძოს დადგენა ზოგადი ფორმით. კერძოს კატეგორია არ შეიძლება არ იყოს ზოგადი. კერძო და ზოგადი განუყოფელია ამ მხრივაც.

კერძოს და ზოგადის აუცილებელი ერთიანობა არ არის კერძოს და ზოგადის ნაერთი, რთული რამ. მათი ერთიანობა არის განუყოფელი ერთი, რომელიც ცნებას წარმოადგენს.

კერძოს და ზოგადის ცნებები ერთიმეორისათვის აუცილებელია არა მხოლოდ უარყოფით ასპექტში, არა მხოლოდ ის, რომ არც ერთის უარყოფა არ შეიძლება, არამედ დადებით ასპექტშიც; მათი კავშირი ისეა აუცილებელი, რომ ეს კავშირი შეიძლება გამოვთქვათ მსჯელობებით: „კერძო არის ზოგადი“ და „ზოგადი არის კერძო“. ამიტომ კერძო და ზოგადი ერთი ცნების დადებით მომენტებს წარმოადგენენ (ამის დასაბუთება ზემოთ განხილული უშუალო დასკვ-

ნებით ხდება და არა ისე, როგორც ეს ჰეგელს აქვს დასაბუთებული[1]). სწორედ ცნებაშია კერძოს და ზოგადის განუწყვეტლობა. რადგან კერძოს და ზოგადს ცალ-ცალკე აზრი არ აქვთ, რადგან ისინი ერთიმეორის გარეშე აზრს კარგავენ—თავის საწინააღმდეგოში გადადიან, ამიტომ არსებობს მათი აუცილებელი ერთიანობა, მათთვის აუცილებელი ერთი აზრი, რომელიც ცნებას წარმოადგენს.

§ 142. დასკვნა და ცნება

ამბობენ, რომ დასკვნა მსჯელობებისგან შედგება, მსჯელობა კი—ცნებებისგან. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ცნება უნდა იყოს დასაწყისში, ე. ი. ცნება უნდა უსწრებდეს მსჯელობას წინ, მაგრამ, როგორც ვიცით და ამას შემდეგ უფრო გავარკვევთ, ეს აზრი არ არის სწორი, რამდენადაც ცნება, როგორც გარკვეული და კონკრეტული, არ შეიძლება იყოს დასაწყისში. დასაწყისში ყოველთვის აბსტრაქტულია, კონკრეტული განვითარების შედეგია. ცნება, როგორც ითქვა (და შემდეგ უფრო სრულად წარმოდგება), არის კერძოს და ზოგადის ერთიანობა. ამიტომ დასკვნა, როგორც კერძოს და ზოგადის შუალობითი ერთიანობა, ცნებას თავის შედეგად უნდა გვაძლევდეს. როგორც ვნახეთ, კერძოს და ზოგადის ერთიანობა განხორციელდა დასკვნებში, რომელთა შედეგადაც ცნებას მივაღწიეთ.

აქ აღნიშნული გარემოება უფრო ცხადი გახდება თვითონ ცნების ბუნების გარკვევის დროს, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ერთი გარემოების აღნიშვნა გვინდა, სახელდობრ, იმისა, რომ ზოგადის და კერძოს დამოკიდებულების დასკვნებში განხორციელება მიდის ცნებამდე; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს დასკვნის ბუნების განხილვა უკვე დავამთავრეთ, და თითქოს ცნება არის ლოგიკის უკანასკნელი სიტყვა. ლოგიკა ცნებით არც უნდა დაიწყოს და არც უნდა დამთავრდეს, თუმცა ლოგიკაში — ლოგიკურ ფორმებში და მათ სისტემაში — თავიდან ბოლომდე არის ცნება, ცნების გარეშე, ისე როგორც მსჯელობის გარეშე, ლოგიკური შეუძლებელია. ლოგიკაში თავიდან ბოლომდეა ცნება, სახელდობრ, ლოგიკურის ცნება, სრული ლოგიკური კავშირის—დასკვნის ცნება; ცნება, როგორც აზრის გარკვეული ფორმა, აზრის ყველა ფორმაში მონაწილეობს, ისე როგორც პირიქით, აზრის სხვა ფორმები—მსჯელობა და დასკვნა, ასე

[1] იხ. ამის შესახებ ჩემი ნაშრომი „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში".

ვთქვათ, „ქმნის“ ცნებას, შედეგად იძლევა ცნებას: დასკვნა მიდის მის არსებამდე, რომელიც ცნებას წარმოადგენს.

თუ დასკვნა აღებული იქნება როგორც ერთი ზოგადი აზრი, ე. ი. აღებული იქნა დაუნაწევრებლად, მაშინ გვექნება ცნება. ამიტომ გარკვეული (სახელდობრ, ზემოთ განხილული) დასკვნები იძლევა საფუძველს ცნებაზე გადავიდეთ, მაგრამ რადგან ცნებაში სისრულით, მთელი თავისი კონკრეტულობით არ არის წარმოდგენილი ლოგიკური—სრული შუალობითი კავშირი, რომელიც განსხვავებული და დაპირისპირებული მომენტების ერთიანობაა, ამიტომ ცნების განხილვის შემდეგ უნდა განვიხილოთ სრული სახის დასკვნა. ცნება დასკვნის მომენტია და ამიტომ ის სხვადასხვა დასკვნების შუა განიხილება. ცნება გადავა სრულ ლოგიკურ, სახელდობრ, უსასრულო დასკვნაში, სადაც კიდევ უფრო სრულად წარმოდგება არა მხოლოდ ცნება, არამედ მსჯელობაც და ყოველი სასრული დასკვნის აზრიც.

* * *

მაშასადამე, მივიღეთ, ერთი შეხედვით, გამოუვალი—ანტინომიური—მდგომარეობა: 1) სასრული დასკვნა არის დასკვნა, რამდენადაც ის უნდა იყოს სინთეზური შუალობითი კავშირი, რის გარეშე იგი შეუძლებელია; მაგრამ სასრული დასკვნა არ არის სინთეზური—შინაგანი უარყოფის შემცველი შუალობითი კავშირი, ამდენად ის არ არის დასკვნა; ე. ი. ეს დასკვნა დასკვნაა და არც არის დასკვნა. 2) სასრული დასკვნა არის გარკვეული დასკვნა, მაგრამ იგი, არსებითად, არის არა დასკვნა, არამედ—მსჯელობა, რადგან იგი არის კერძოს და ზოგადის ერთიანობა; სასრული დასკვნა უნდა იყოს დასკვნა და არა მსჯელობა, 3) სასრული დასკვნა, როგორც კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, არც მსჯელობაა და არც დასკვნა, არამედ ის არის ცნება, მაგრამ დასკვნა არ შეიძლება იყოს ცნება.

სასრული დასკვნის ეს ანტინომიურობა გადაწყდება ცნების ბუნებაში, მაგრამ, ამავე დროს, ეს ანტინომიურობა ცნებაში კიდევ უფრო სრულად და თავისებური ფორმით იქნება წარმოდგენილი. ამ ანტინომიურობის საბოლოო გადაწყვეტა მოხდება უსასრულო დასკვნაში, რომელიც ცნების განხილვის შემდეგ იქნება დახასიათებული.

თავი მეოთხე (8)

ცნება

§ 143. მსჯელობა, დასკვნა და ცნება

როგორც ითქვა, მსჯელობას არ შეიძლება წინ უსწრებდეს ცნება, რადგან ცნება არის გარკვეული აზრი საკუთარი შინაარსით— ნიშნებით, რომლებიც რაიმეს, როგორც სუბიექტს, მიეწერებიან, ეს მიწერა კი მსჯელობას წარმოადგენს; ნიშნები ცნების ნიშნებია, ცნებას მიეწერებიან; ერთი და იგივე ცნებაა სუბიექტიც და პრედიკატიც. მსჯელობით მიიღება ცნება. ამდენად ცნება მსჯელობას წინასწარ გულისხმობს, მაგრამ მსჯელობა წინასწარ გულისხმობს მის ელემენტებს — სუბიექტსა და პრედიკატს, რომლებიც ცნებები უნდა იყვნენ. მართლაც, სუბიექტი და პრედიკატი უნდა იყვნენ ცნებები, მაგრამ ისინი ვერ და არ არიან ცნებები. ცნება მსჯელობაში და მსჯელობით ფორმდება. ასე რომ ისინი ერთიმეორეს წინ არ უსწრებენ: არ შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არის ცნება და მას არავითარი მსჯელობა არ სჭირდება; არც ის შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არის მსჯელობა და მას არავითარი ცნება არ სჭირდება. როგორც ეს ზემოთ გაირკვა, მსჯელობის პროცესი, ეს არის ცნების დადგენის პროცესი, ამიტომ ცნება ბოლოს დგინდება. მაგრამ იწყება მსჯელობის სუბიექტით, ის იწყება მსჯელობის დასაწყისშივე. მსჯელობის სუბიექტი არის ცნების დასაწყისი, ცნების დადგენის დასაწყისი. პრედიკატი არის ის, რასაც სუბიექტი წარმოადგენს, ამიტომ მსჯელობის დასრულება ამავე დროს ცნების დადგენაცაა. ეს მსჯელობა არის განსაზღვრება. მსჯელობა არის ცნების განსაზღვრება. განსაზღვრება კი სწორედ ცნების დადგენას ჰქვია, მაგრამ ყოველ მსჯელობას მივყევართ ცნებისაკენ.

ყველა მსჯელობა არ არის განსაზღვრება, ე. ი. ყველა მსჯელობა არ არის ცნების დადგენა, ყველა მსჯელობა არ ადგენს ცნებას. ის მსჯელობა, რომელიც არ არის ცნების განსაზღვრება, ე. ი. მსჯელობა, რომელსაც არ შეუძლია ცნების დადგენა, ცხადია, იქნება, ასე ვთქვათ, „უარესი" განსაზღვრებაზე; და თუ მსჯელობას, რომე-

ლიც განსაზღვრებას წარმოადგენს, არ უსწრებს წინ ცნება, ეს მით უმეტეს ითქმის ისეთ მსჯელობაზე, რომელსაც ცნების დადგენა არ შეუძლია. ასეთი მსჯელობა, ასე ვთქვათ, უნდა ამაღლდეს განსაზღვრებამდე, რომ დაადგინოს ცნება. ის ასეთ ამაღლებამდეც ადგენს გარკვეულ ცნებას (მაგალითად, მსჯელობა „მაგიდა არის წითელი" ადგენს „წითელი მაგიდის" ცნებას).

ზემოთქმული კიდევ უფრო გარკვეულად წარმოდგება, თუ განვიხილავთ კატეგორიების კავშირს. რაიმე კატეგორიის განსაზღვრებისათვის აუცილებელია სხვა კატეგორიის მოხმარა. ერთი კატეგორიის მიმართ მეორეს გამოყენება არის არა მარტო რაიმე განსაზღვრულობის დადგენა, არამედ განსაზღვრება, რადგან იგი აჩვენებს კატეგორიის პირველადობას ან მეორადობას, ე. ი. არკვევს მის ადგილს, არკვევს იმას, თუ რომელი კატეგორია რომელს უსწრებს წინ. კატეგორიის, როგორც გარკვეული ცნების, განსაზღვრება არის მისი ადგილის მონახვა სისტემაში.

კატეგორია წინ უსწრებს ყველაფერს აზროვნებაში; აზროვნება შესაძლებელია მხოლოდ კატეგორიის საფუძველზე, მისი მოხმარით, მისი საშუალებით. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, ცნება კერძოს და ზოგადის ერთიანობაა. ეს ერთიანობა ხომ არის შემდეგ, მას ხომ კერძო და ზოგადი უსწრებს წინ? არა, ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ კერძო და ზოგადი, აღებული თავისთავად, შეუძლებელიც კია, მათ აზრი აქვთ მხოლოდ ერთიანობაში, ისინი სწორედ ამ ერთიანობაში დგინდებიან. თუ იმას ვიტყვით, რომ კატეგორია არის საფუძველ-საშუალება მსჯელობის, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს საფუძველი სწორედ მსჯელობით დგინდება. როგორც ეს შემდეგ გაირკვევა, ლოგიკურ დალაგებაში ადგილი აქვს შედეგიდან საფუძველზე გადასვლას. ამ ლოგიკური გადასვლის თვალსაზრისით, მსჯელობა ადგენს ცნებას. მსჯელობა ადგენს ცნებას, მაგრამ უნდა ითქვას მეტიც, სახელდობრ, ის, რომ მსჯელობა აუცილებელია ცნების დასადგენად, მაგრამ არ არის საკმარისი. მსჯელობა არ კმარა ცნების დასადგენად, საჭიროა მსჯელობები, რადგან ერთი მსჯელობა ერთი ნიშნის გამოთქმა-მიწერაა ცნებისადმი, როგორც სუბიექტისადმი, ცნებას კი შეიძლება ბევრი ნიშანიც ჰქონდეს. ამიტომ ცნების დასადგენად საჭიროა ერთზე მეტი მსჯელობა.

ზემოთ ისიც საკმაოდ იქნა გარკვეული, რომ თვითონ მსჯელობის აზრის გამოსათქმელად არ კმარა ცალმხრიობა, რომელსაც მსჯელობა წარმოადგენს, აუცილებელია, აგრეთვე, მისი საპირისპირო ცალმხრიობაც. ამიტომ ცნებას მოგვცემს არა ცალმხრივი მსჯელობა, არამედ დაპირისპირებული მსჯელობები: ცნება დადგინდება

დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობით და ერთიანობაში. სწორედ ამიტომაა ცნება კერძო-ზოგადის ერთიანობა, რომელიც არის ერთიანობა ორი ცალმხრიობისა: 1) „კერძო არის ზოგადი“ და 2) „კერძო არ არის ზოგადი“. ამ ორი მსჯელობის ერთიანობა კი არის დასკვნა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ცნება დგინდება დასკვნის შედეგად, დასკვნაში. შემდეგ ისიც იქნება ნათელყოფილი, რომ ცნება არა მარტო დასკვნის, არამედ დასაბუთების შედეგია. მაგალითად, რომელიმე მეცნიერების ცნება ამ მეცნიერების, როგორც დასაბუთების სისტემის, შედეგად მიიღება. ასეთია ლოგიკის ცნებაც. თუ არსებობს ისეთი დასკვნა, რომელიც ამავე დროს დასაბუთებაცაა (ასეთი დასკვნა რომ არსებობს, ეს უკვე არისტოტელემ აღნიშნა), მაშინ უნდა ითქვას, რომ ცნება დგინდება დასკვნა-დასაბუთებაში.

ცნება დასაბუთების შედეგია, მაგრამ პირველად — პირველი სახით ის იწყებს დადგენას სასრული დასკვნის შედეგად; საბოლოოდ კი ცნება გაირკვევა უსასრულო დასკვნაში, რომელიც დასაბუთებასაც წარმოადგენს.

არსებობს ყველაფრის ცნება, მათ შორის ზოგადის, კერძოსა და ერთეულის ცნებებიც, მაგრამ ზოგად ფორმაში ცნება არის კერძოს და ზოგადის ერთიანობა, რომლის ცალმხრიობებსაც კერძო და ზოგადი წარმოადგენს. კერძოს და ზოგადის ერთიანობა ხორციელდება დასკვნებში, ამიტომ ცნება არის დასკვნის შედეგი, უკეთ, ის არის დასკვნაში, როგორც კერძოს და ზოგადის ერთიანობის ზოგადი აზრი, წარმოდგენილი ერთ განუყოფელ ცნებად.

მსჯელობის და დასკვნის გარეშე აღებული ცნება აღარაა ცნება, ის მხოლოდ ცარიელ სიტყვას წარმოადგენს. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთი ლოგიკოსი ცნებას უიგივებს სიტყვას, რადგან ის მას მსჯელობის გარეშე წარმოიდგენს, მაშინ როცა იგი სწორედ მსჯელობაში და მსჯელობებში დგინდება.

იმის თქმა, რომ ცნება არის დასკვნის ზოგადი აზრი, არ ნიშნავს თითქოს ცნება არ იყოს აზრის განსაკუთრებული ფორმა და იგი გათქვეფილი იყოს დასკვნასა და მსჯელობაში; არა, ზემოთ აღნიშნული ერთიანობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აზრის ფორმებს შორის არსებობს აუცილებელი შინაგანი კავშირი. მსჯელობაც დასკვნაში მართლდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის თითქოს არ არის აზრის განსაკუთრებული ფორმა. დასკვნაც მტკიცება-უარყოფით სრულდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს დასკვნის მსჯელობაზე დაყვანას. ცნება, მსჯელობა და დასკვნა ლოგიკურის განსაკუთრებული ფორმებია, მაგრამ ეს ლოგიკური არის ერთი. ამიტომ ამ ფორმათა

შინაგანი ერთიანობა უზრუნველყოფილია და ასევე შესაძლებელი და აუცილებელია მისი ფორმების განსხვავებაც.

აზრის ფორმათა შინაგანი კავშირ-ერთიანობა — ლოგიკური — მდგომარეობს გარკვეულ, ლოგიკურ განვითარებაში, რომლის საფეხურებსაც ეს ფორმები წარმოადგენენ; პირველი საფეხური არის მსჯელობა (აზრის ელემენტარული ფორმა), მეორე საფეხურს წარმოადგენს დასკვნა (უშუალო და სასრული შუალობითი დასკვნები). შემდეგ კი ცნება, რომელიც სისრულით წარმოდგება უსასრულო დასკვნა-დასაბუთებაში, რის ზოგად და, ასე ვთქვათ, შემოკლებულ აზრსაც ცნება წარმოადგენს. ამრიგად, ცნება არის მსჯელობა-დასკვნის შედეგი სწორედ ლოგიკურად (არა მხოლოდ შემეცნების თვალსაზრისით). ასეთი შედეგი, როგორც ითქვა, გარკვეული საფუძველიცაა.

§ 144. ცნების ფორმალურ-ლოგიკური გაგება

ჩვენ მიზანს არ შეადგენს ცნების ფორმალურ-ლოგიკური თეორიის გარჩევა. შევეხებით მხოლოდ ერთ ძირითად საკითხს.

საერთოდ ფორმალურ ლოგიკაში არსებობს ორი, ჩვენი აზრით, ერთიმეორესთან შეუთავსებელი თვალსაზრისი ცნების ბუნების შესახებ. ერთი თვალსაზრისით, ცნება არის აზრი საგნის არსების შესახებ; მეორე თვალსაზრისით კი — ცნება არ არის არსების შესახებ აზრი, რადგან არსების საკითხი საერთოდ არ არის ლოგიკის საკითხი ;ის მეტაფიზიკური საკითხია, არსება მეტაფიზიკური, ონტოლოგიური ცნებაა.

ამ შეუთანხმებლობას ადგილი აქვს არისტოტელეს ლოგიკაშიც, რამდენადაც იგი, ერთი მხრივ, იმას აღიარებს, რომ ცნება არის აზრი არსების შესახებ, განსაკუთრებით ზოგიერთი სილოგიზმის საშუალო ცნება (იმ სილოგიზმის, რომელიც არა მარტო დასკვნაა, არამედ დასაბუთებაც); მეორე მხრივ კი, არისტოტელეს აზრით, ცნება არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, თუმცა ჭეშმარიტ აზრად აღიარებულია ის აზრი, რომელიც ობიექტურია, ობიექტური შინაარსის მნიშვნელობისაა; ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დასაბუთების აპოდიქტურობა. არსების შესახებ აზრი კი არ შეიძლება არ იყოს ჭეშმარიტი, თუ კი ჭეშმარიტება აზრის თანხმობაა სინამდვილესთან, როგორც ეს არისტოტელეს ესმოდა (რაც მის მიერ ნათლად არის გამოთქმული მსჯელობის განსაზღვრების დროს).

სწორად უნდა ჩაითვალოს არისტოტელეს აზრი ცნების განსაზღვრების, როგორც არსების დადგენის შესახებ. სწორია არისტო-

ტელეს აზრი იმის შესახებ, რომ განსაზღვრება—ცნების დადგენა—არის პასუხი შემდეგ კითხვაზე: „რა არის?“. ეს არის პასუხი კითხვაზე: „რა“. ასეთი არსება აქვს ყველაფერს, არაარსებითსაც. მაგალითად, ფერს. ამიტომ შესაძლებელია და არსებობს ყველაფრის ცნება, ცნება ყველაფრის შესახებ. ამდენად, აქ აღნიშნული არსება არ უდრის არისტოტელეს „უსიას“. უსია არის საგნის არსება, მისი მისტიკური სული, მაგრამ არსება, როგორც „რა“, არ არის ასეთი. ამიტომ მცდარია თანამედროვე პოზიტივიზმი და საერთოდ ყველა, ვინც ამბობს, რომ არისტოტელეს ლოგიკაში აღიარებული არსება საერთოდ არის მეტაფიზიკური ცნება, როგორც რაღაც მისტიკური ცნება, რომელიც უარყოფილია მეცნიერების მიერ.

არ შეიძლება ლოგიკურიდან ამოვიღოთ პასუხი კითხვაზე „რა?“, რადგან ლოგიკისთვის მთავარია პასუხი კითხვაზე: რა არის ლოგიკური?

თუ ცნებას ობიექტურობას წავართმევთ, მაშინ ის იქნება ან 1) სუბიექტური — ფსიქიკური აზრი, რაც ლოგიკის საგანში არ შევა ანდა 2) ცარიელი სიტყვა, რომელთანაც ლოგიკას არ აქვს საქმე, მას სხვა მეცნიერება შეისწავლის. ლოგიკა მხოლოდ ობიექტური შინაარსის მქონე აზრს სწავლობს.

ცნების დაყვანა სიმბოლოზე, სქემაზე თუ მექანიკურ აღრიცხვაზე, ეს არის ცნების, როგორც ლოგიკური აზრის, უარყოფა. თუ ცნება არის აზრი საგნის არსების შესახებ, იმის შესახებ, თუ „რა არის“, მაშინ ის ჭეშმარიტიც შეიძლება იყოს და მცდარიც, ის ჭეშმარიტების სფეროში ექცევა. ობიექტური მნიშვნელობის მქონე აზრი არ შეიძლება ჭეშმარიტების სფეროში არ იყოს. ასე გაგებული ცნება, როგორც ითქვა, არ არის მსჯელობამდე, არამედ მსჯელობის შემდეგ, როგორც სწორედ მსჯელობის მიერ დადგენილი; ის არის მსჯელობის და დასკვნის შედეგი. ცნება მსჯელობის შედეგია არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩვენ ჯერ ვიმეცნებთ საგნის გარეგან მხარეებს, შემდეგ მის არსებას და ამ გზით ვადგენთ აზრს საგნის არსების შესახებ — ცნებას, არამედ იმ აზრით, რომ მსჯელობა არსების ერთ მხარეს გამოთქვამს, სხვა მსჯელობა სხვა მხარეს, ე. ი. მსჯელობების აზრი მათ ცალმხრიობაში მდგომარეობს, დასკვნა კი მათი ერთიანობაა, რომლის ზოგად აზრსაც ცნება წარმოადგენს. ამრიგად, ჩვენ აქ გვაინტერესებს ის, რომ არა მხოლოდ გნოსეოლოგიურად, არამედ ლოგიკურად (რომელიც გნოსეოლოგიურს არ გამორიცხავს, როგორც ამას ჩვენ შემდეგ გავარკვევთ) როგორ მიიღება ცნება მსჯელობების და დასკვნის შედეგად. ცნება წინასწარ გულისხმობს მის ნიშნებს, ამ ნიშანთა აუცილებლობას მისთვის, ამი-

ტომაა ცნება მსჯელობათა შედეგი. კატეგორია, როგორც განსაკუთრებული ცნება, სხვა კატეგორიას ან წინ გულისხმობს, ან შემდეგ. კატეგორია განისაზღვრება სხვა კატეგორიასთან კავშირში. ამიტომაა ცნება დასკვნის ზოგადი აზრი, სახელდობრ, ის აზრი, რომელშიც მოხსნილია მსჯელობის (დასკვნის შემადგენელი მსჯელობების) მტკიცება-უარყოფა, თუმცა ცნება სწორედ მსჯელობის — მტკიცება-უარყოფის შედეგია. ამრიგად, ცნება არის ლოგიკურის განსაკუთრებული ფორმა, განსხვავებული მსჯელობისა და დასკვნისაგან. რამდენადაც ცნებას სწორედ მსჯელობა და დასკვნა ადგენს, ცნება სწორედ მათში დგინდება, ამიტომ ცნება აუცილებელია ლოგიკური აუცილებლობისათვის, მის გარეშე არ არსებობს ლოგიკური, ის ლოგიკურის აუცილებელი ფორმაა, ერთ ერთი თავისებური ფორმა. ამიტომ მცდარია ის აზრი, რომელსაც ცნება არ შეყავს ლოგიკაში, ლოგიკურის სფეროდან გამორიცხავს ცნებას (ალბათ იმიტომ, რომ ასეთი თვალსაზრისი ცნებას მსჯელობა-დასკვნის გარეშე წარმოიდგენს; ასე წარმოდგენილი ცნება, მართლაც, არ შევა ლოგიკაში).

ლოგიკას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ცნების შესახებ ზოგადი აზრი, მას უნდა შეეძლოს მოუაროს ცნებას საერთოდ, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოგიკა თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს; კერძოობამდე დაშვებული ლოგიკა ღალატობს თავის თავს. ფორმალურ ლოგიკას ცნების შესახებ არ აქვს ზოგადი აზრი, რადგან ვერ უელის ყველა ცნებას, მას შეუძლია განიხილოს მხოლოდ ისეთი ცნებები, რომლებიც გვარეობით-სახეობით დამოკიდებულებაში იმყოფებიან, კატეგორიები და ერთეული ცნებები ვერ შედიან მის კომპეტენციაში. ცნების განსაზღვრების ფორმალურ-ლოგიკური ძირითადი წესი ეხება გვარეობით-სახეობით დამოკიდებულებებში მყოფ ცნებებს, სახელდობრ, ისეთ ცნებებს, რომელსაც აქვს უახლოესი გვარი და სპეციფიკური ნიშანი. სწორედ ამ ნიშანთა დადგენა ითვლება ცნების განსაზღვრებად. კატეგორიას კი არც გვარი აქვს, არც სახე. კატეგორიას რომ სახეები ჰქონდეს, მაშინ ერთი კატეგორია, ამავე დროს, იქნებოდა ბევრი. კატეგორია სწორედ იმ ცნებას ჰქვია. რომელსაც არც გვარი აქვს, არც სახე. ფორმალურ ლოგიკას არ აქვს კატეგორიის განსაზღვრების წესი; ფორმალური ლოგიკა არ იხილავს კატეგორიებს. მათემატიკური ლოგიკა კი ყოველგვარ ფილოსოფიურ კატეგორიას გამორიცხავს ლოგიკიდან, უარყოფს მათ (თუმცა ამ უარყოფით სწორედ უარყოფის კატეგორიას მოიხმარს). ლოგიკა, რომელიც მოახერხებს კატეგორიის განსაზღვრებას, იქნება დიალექტიკური ლოგიკა. რადგან კატეგორიის განსაზღვრა არის მისი ადგილის მონახვა კატეგო-

რიათა სისტემაში, ამიტომ კატეგორიების განსაზღვრებები დაადგენენ სისტემას, როგორც ლოგიკურ განვითარებას, რაც გაუგებარია ფორმალური ლოგიკისათვის.

ფორმალურმა ლოგიკამ ვერ მოუარა ვერც ერთეულ ცნებას (ერთადერთის ცნებას). ზოგიერთი ლოგიკოსი სცნობს მას, ზოგიერთი — უარყოფს. ზოგჯერ ერთეულ ცნებას წარმოდგენასთან აიგივებენ, თუმცა, ამავე დროს, ცნება საგნის არსების შესახებ აზრად მიაჩნიათ. ერთეულსაც აქვს თავისი არსება, ამიტომ მის შესახებ ცნება არ უნდა გავიგოთ როგორც წარმოდგენა, რომელსაც ლოგიკაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს და არცა აქვს. აქ აღნიშნულ გაურკვევლობას, ერთეული ცნების გაუგებრობას ადგილი აქვს ფორმალურ ლოგიკაში, რადგან ცნება გაიგივებულია მოცულობით ზოგადთან, რაც ერთეულ ცნებას არ ახასიათებს.

საქმეს შველის ზოგადის შინაარსეული გაგება, შინაარსეული ზოგადი. შინაარსეული ზოგადის ბუნებისაა ყოველი ცნება. კატეგორიაც და ერთეული ცნებაც. ცნება მართლაც ზოგადია, მაგრამ ეს ზოგადი არის ერთიანობა, რომელიც ზოგადობაა მისი მომენტებისათვის. არსება სწორედ ერთეულის არსებაა, რომელიც მისი მომენტების ერთიანობას წარმოადგენს. ეს ერთიანობა მეორდება ერთეული საგნების სიმრავლეში, ამიტომ, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, მოცულობითი ზოგადი არის შინაარსეული ზოგადის „მოვლენა“. სწორედ შინაარსეულ ზოგადობაზე დაყრდნობით დიალექტიკურ ლოგიკას ცნება ესმის მისი ზოგადი მნიშვნელობით, მას არ რჩება თავის ფარგლებს გარეთ არც ერთი ცნება.

რადგან ზოგადი შინაარსეული ბუნებისაა, ამიტომ რაც მეტი მხარე — მომენტი — აქვს მას, მით უფრო მეტია მისი ზოგადობა, წინააღმდეგ ცნების მოცულობის და შინაარსის შექცეული დამოკიდებულებისა ფორმალურ ლოგიკაში. რადგან მოცულობითი ზოგადი შინაარსეულის მიმართ მეორადია (როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული), ამიტომ ცნების მოცულობისა და შინაარსის შექცეული დამოკიდებულებაც გათვალისწინებულია დიალექტიკური ლოგიკის მიერ. ფორმალურ-ლოგიკური არის დიალექტიკურ-ლოგიკურის ერთი მხარე — მომენტი.

ცნება არის საგნის არსების შესახებ აზრი. ამ აზრით, ის არის ერთი. მაგრამ შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ ცნებას აქვს თავისებურად გაგებული სახეები, სახელდობრ, მომენტის აზრით გაგებული სახეები. ასეთი მომენტებია: 1) რაიმე მხარე, რომლის შესახებ ცნება დადგინდება განსხვავებულის გამომრიცხველი მსჯელობით, 2)

სრული სასრული მხარე, რომლის ცნება დგინდება საწინააღმდეგოს გამომრიცხველი მსჯელობით, 3) დაპირისპირებულთა ერთიანობა. რომელიც დგინდება ერთიმეორის საწინააღმდეგო მსჯელობებით, ამ მსჯელობათა ერთიანობით (ეს იქნება უსასრულო დასკვნის ზოგადი აზრი, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, სადაც ცნების ბუნება საბოლოოდ გაირკვევა).

ამრიგად, შესაძლებელია ყველაფრის ცნება; რაიმე ნიშნის ცნებაც, საგნის არსების ერთი მხარის ცნებაც და თვითონ მთელი არსების ცნებაც. ყველაფერს აქვს თავისი არსება, სახელდობრ, ის, რაც ის არის. ამიტომ ცნების განსაზღვრება არის იმის დადგენა, რაც რაიმე არის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ წარმოდგენაც ცნებად მივიჩნიეთ, არა, ცნება ყოველთვის არის ზოგადი, მაშინ როცა წარმოდგენა ყოველთვის არის კერძო („ზოგადი წარმოდგენა" ლოგიკურად გაურკვეველი რამ არის). ერთეულიც არის ერთიანობა — შინაარსეული ზოგადობა — სწორედ საკუთარი მომენტების მიმართ.

§ 145. ცნება მათემატიკურ ლოგიკაში

როგორც ვიცით, მათემატიკურ ლოგიკაში არ განიხილება მსჯელობა როგორც აზრის ფორმა ;ის დაყვანილია წინადადებაზე ან საგანთა დამოკიდებულებებზე („მიმართების მსჯელობა"), ასე ითქმის ცნების შესახებაც. აზრის ფორმა, როგორც ასეთი (როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა) მათემატიკური ლოგიკისათვის გაუგებარია. ლუკასევიჩი პირდაპირ ამბობს, რომ არ მესმის რას ჰქვია აზრის ფორმა, რადგან აზრს არ აქვს ფიგურა[1]. მისთვის, აზროვნება არის მხოლოდ ფსიქოლოგიური მოვლენა. ის ვერ ამჩნევს ობიექტურ აზრს, ე. ი. ლოგიკურს.

მათემატიკურ ლოგიკაში ცნების შესატყვისი პრედიკატთა აღრიცხვაში, კერძოდ, კლასთა აღრიცხვაში განიხილება. პრედიკატთა აღრიცხვა მათემატიკური ლოგიკის ის ნაწილია, სადაც მოიხმარება მსჯელობის დანაწილება სუბიექტად და პრედიკატად, მაშინ როცა წინადადებათა აღრიცხვაში ადგილი არ აქვს ასეთ დანაწილებას. მსჯელობის დანაწილება აუცილებელია წანამძღვრებასა და დასკვნას შორის კავშირის დასადგენად (მათემატიკური ლოგიკა საბოლოოდ მიდის მსჯელობის სუბიექტის უარყოფამდე, ის დაყავს პრედიკატზე).

---

[1] Я. Лукасевич, Аристотелевская силлогистика..., გვ. 48.

ცნებას შეესატყვისება კლასი. არსებობს ცარიელი კლასიც, ე. ი. ისეთი კლასი, რომელშიც არ არის არც ერთი ელემენტი, მაგალითად, ღმერთი, ამაზონკა და სხვ. თუ მსჯელობას ახასიათებს მტკიცება და უარყოფა, ჭეშმარიტება და მცდარობა, ცნებას ასეთი რამ არ ახასიათებს.

იმის გასაგებად, თუ რა აზრი აქვს ცნებას მათემატიკურ ლოგიკაში, საჭიროა გამოვიდეთ ზემოთდასახელებული „მსჯელობების" ბუნებიდან, სახელდობრ, ზოგადი, კერძოობითი და ერთეული „მსჯელობებიდან". ეს მსჯელობები ავიღოთ შემდეგი მაგალითის სახით და შემდეგი ფორმით: 1) ერთეული წინადადება — „ეს ადამიანი არის მოკვდავი", 2) არსებობის წინადადება — „არსებობს ისეთი x, რომ x არის მოკვდავი" — Ex (x არის მოკვდავი), 3) ზოგადი წინადადება — „ყოველი x-ათვის სწორია, რომ x არის მოკვდავი" — Ax (x არის მოკვდავი). ფრჩხილებში მოთავსებული არის პროპოზიციული ფუნქცია, რომელიც არც ჭეშმარიტია და არც მცდარი; ის ასეთი გახდება, თუ მათ წინ მოვათავსებთ კვანტორებს ან x-ს მივცემთ გარკვეულ — ერთეულ მნიშვნელობას. ერთეული წინადადება, შედგენილი პროპოზიციული ფუნქციით, იქნება ჭეშმარიტი, თუ ცვლადი x-ის მნიშვნელობა არის ელემენტი კლასისა, რომელიც შეესატყვისება ცნებას „მოკვდავი". კერძო წინადადება არის ჭეშმარიტი, თუ კლასი, რომელიც შეესატყვისება ცნებას „მოკვდავი", თავისში შეიცავს ელემენტებს, ე. ი. თუ ის არ არის ცარიელი. ზოგადი წინადადება ჭეშმარიტია მხოლოდ მაშინ, როცა კლასი, რომელიც შეესატყვისება ცნებას „მოკვდავი" მოიცავს ყველა საგანს. აქედან ასკვნიან, რომ მათემატიკურ ლოგიკაში ცნება არის პროპოზიციული ფუნქცია.

ეს აზრი არ უნდა იყოს სწორი იმ უბრალო გარემოების გამოც, რომ ცნებას არ შეიძლება ჰქონდეს პროპოზიციული ფუნქციის ფორმა და ცნება არ შეიძლება შეიცავდეს ცვლადს. ცნების გაიგივება პროპოზიციულ ფუნქციასთან იმას ნიშნავს, რომ ცნება, როგორც აზრის დამოუკიდებელი ფორმა, ამოღებულია ლოგიკიდან, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. პროპოზიციული ფუნქცია არის სქემა და არა აზრი, ცნება კი სრულიად გარკვეული აზრია, ის არის აზრის გარკვეული ფორმა, რომელსაც ლოგიკა უნდა სწავლობდეს.

აზრი, რომ „ცნება არის პროპოზიციული ფუნქცია — სქემა", თვითონ არ შეიძლება იყოს სქემა. ამიტომ ცნება არ არის სქემა, პროპოზიციული ფუნქცია.

ყოველი კატეგორია არის ცნება, მაგრამ არა პირიქით — ყოველი ცნება არ არის კატეგორია, ე. ი. მხოლოდ ზოგიერთი ცნება წარმოადგენს კატეგორიას. კატეგორია არის აზრი სინამდვილის უზოგადესი მხარის შესახებ. აქ სინამდვილე გაგებულია, როგორც ყველაფრის შემცველი, კერძოდ, აზრის შემცველიც. ფილოსოფიური კატეგორია (ჩვენ აქ მხოლოდ ამ კატეგორიაზე ვლაპარაკობთ) აბსოლუტურად საყოველთაოა. კატეგორია ეხება ყველაფერს; მაგალითად, არსებობის კატეგორია ეხება ყველაფერს, საგნებიც არსებობენ და აზრებიც. არსების კატეგორიაც უზოგადესია, რადგან ყველაფერს აქვს არსება, ის, რაც ის არის. თვისობრიობაც უზოგადესია, რადგან ყველაფერს აქვს თვისობრიობა, სახელდობრ, ის, რომ ეს არის ეს და არა სხვა, რაოდენობაც უზოგადესია; ყოველ საგანს აქვს რაოდენობრივი მხარე, მისთვის გარეგანი, მაგრამ აუცილებელი მხარე. ცნების მოცულობაც გარკვეული სახის სიმრავლეა, სიმრავლის ერთობლიობაა, რომელიც გათვალისწინებულია ცნებაში. კანონიც ერთ ერთი კატეგორიათაგანია, რადგან ყველგან არსებობს მოვლენათა აუცილებელი, შინაგანი და ზოგადი კავშირები. ასე ითქმის სხვა ფილოსოფიურ კატეგორიებზეც. მაგრამ ასე არ ითქმის სხვა ცნებებზე.

კატეგორიას არ აქვს გვარი. რაოდენობაზე უფრო მაღალი — ზოგადი რაოდენობა — არ არსებობს. თვისობრიობაზე მეტი თვისობრიობა (რომ რაიმე არის ეს და არა სხვა) არ შეიძლება არსებობდეს. შეუძლებელია არსების ცნებაზე მაღალი — უფრო ზოგადი ცნება არსებისა, და სხვ. კატეგორიების კავშირში არის ერთი ასპექტი, სადაც მოცულობაა გათვალისწინებული და ამიტომ გვარი და სახეც გაირჩევა; მაგალითად, კატეგორიის ცნება არის ყველა კატეგორიის გვარი. რომელიმე კატეგორია შეიძლება სხვა კატეგორიებზე უფრო ზოგადი იყოს, მაგალითად, არსებობს არსების მრავალი კატეგორია (იგივეობის, წინააღმდეგობის, კანონის და სხვა კატეგორიები); ასევე არსი ერთი კატეგორიაა, მაგრამ არსებობს არსის კატეგორიები: რაოდენობა, თვისობრიობა, ზომა, და რომელიმე კატეგორიის უზოგადესი მხარეც შეიძლება იყოს კატეგორია; ასეთი ზოგადობა არის შინაარსეული და არა მოცულობითი.

როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, კატეგორიას არ აქვს არც სახეები. მაგალითად, არ არსებობს რაოდენობაზე უფრო დაბალი რაოდენობა, არსებაზე უფრო დაბალი არსება, და კანონზე უფრო დაბალი კანონი, აუცილებლობაზე უფრო დაბალი აუცილებლობა (ამი-

ტომ აუცილებლობას არ აქვს საროსხები), რომელიმე კატეგორიას რომ სახეები ჰქონდეს, მაშინ, როგორც ითქვა, ერთი კატეგორია, ამავე დროს, იქნებოდა არა ერთი, არამედ ბევრი, რაც შეუძლებელია. რაიმე კატეგორია ლოგიკურად შეუძლებელია იყოს ერთზე მეტი.

არსებობს კატეგორიის არა სახეები, არამედ მათი კონკრეტიზაცია ამა თუ იმ სფეროში, მათი ფორმები. სხვადასხვა სფეროში სხვადასხვანაირად ვლინდება კატეგორია. კატეგორია ერთი და იგივეა სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, არსებობს აუცილებლობის კატეგორია, თუმცა სხვადასხვაა ისტორიული აუცილებლობა და ლოგიკური აუცილებლობა. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული და ლოგიკური აუცილებლობა აუცილებლობის ცნების „სახეებია“, მაგრამ აუცილებლობა, როგორც კატეგორია, არის მხოლოდ ერთი. მოცულობის ასპექტში აღებული კატეგორია იქნება ისეთი ცნება, რომელიც არ არის აღებული კატეგორიის აზრით. აუცილებლობის „სახეების“ განხილვა ვერ და არ შეეხება აუცილებლობას როგორც კატეგორიას. ამრიგად, რომელიმე კატეგორია შეიძლება აღებული იქნას ჩვეულებრივი — ფორმალურ-ლოგიკური — ცნების ასპექტში, სახელდობრ, ცნების მოცულობის ასპექტში, მაგრამ ეს არ იქნება კატეგორია, როგორც ასეთი, რომელიც ფორმალური ლოგიკის სფეროში არ შედის.

რომელიმე ფილოსოფიურ კატეგორიას შეიძლება ჰქონდეს მხარეები, მომენტები, რომლებიც თვითონ იქნებიან კატეგორიები, შემავალი პირველ კატეგორიაში. ასეთი მომენტები, როგორც კატეგორიები, არ არიან სახეები იმ კატეგორიისა, რომლის მომენტებსაც ისინი წარმოადგენენ. ასეთია, მაგალითად, არსების კატეგორიები. არსის კატეგორიები, რომლებიც ზემოთ იქნა დასახელებული, და სხვა. არსის კატეგორიაში შემავალია, მაგალითად, რაოდენობა, როგორც მისი ერთი მხარე, მაგრამ რაოდენობის გვარი არ არის არსი. რაოდენობის გვარი შეიძლება იყოს ისევ რაოდენობა და არა სხვა რამ; მაგრამ, როგორც ითქვა, რაოდენობის კატეგორიაზე უფრო ზოგადი რაოდენობა არ არსებობს. ასე ითქმის სხვა კატეგორიებზეც.

აუცილებელი კავშირის ფორმა შეიძლება იყოს კატეგორია. მაგალითად, ზომა არის თვისობრიობისა და რაოდენობის კავშირის ფორმა. მაგრამ ყოველი კატეგორია არ არის კავშირის ფორმა; არსებობს ისეთი კატეგორიები, რომლებიც კავშირის ფორმას არ წარმოადგენენ. მაგალითად, მოვლენა. შემთხვევითობა კატეგორიებია, მაგრამ არაა კავშირის ფორმები.

არსებობენ ისეთი კატეგორიები — სინამდვილის უზოგადესი

მხარის ამსახველი ცნებები — რომელთა თავიდან აცილება აზროვნებაში — ლოგიკურად — შეუძლებელია; ისინი მისთვის აუცილებელი არიან. ასეთი კატეგორიები არიან ის კატეგორიები, რომლებიც აზრის ობიექტურ წესებად — საშუალებებად — გამოდგებიან. ეს კატეგორიები წარმოადგენენ ლოგიკურის კატეგორიებს, რომლებიც ზემოთ იქნენ განხილული. როგორც ვიცით, ლოგიკურის კატეგორიები მეტია, ვიდრე ის კატეგორიები, რომლებიც ონტოლოგიურ კატეგორიებსაც წარმოადგენენ. არსებობენ მხოლოდ ლოგიკურის კატეგორიებიც (ცნება, მსჯელობა, დასკვნა). ისიც ვიცით, რომ ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ლოგიკური კატეგორიები და ლოგიკურის კატეგორიები. ჩვეულებრივი — ფორმალურ-ლოგიკური ცნებები ლოგიკურ და ლოგიკურის კატეგორიებზე დაქვემდებარებული ცნებებია. მაშასადამე, არსებობს ცნებების სამი სახე, რომელთაგან ორი კატეგორიებს წარმოადგენენ. ცნება, როგორც გვარი იქვემდებარებს კატეგორიებს, როგორც განსაკუთრებულ ცნებებს, მაგრამ კატეგორიები, როგორც შინაარსეული ზოგადობანი და როგორც ლოგიკურის ფორმები ყოველგვარ ცნებებს თავისებურად იქვემდებარებენ.

კატეგორიები ლოგიკაში პირველად კანტმა შეიტანა. არისტოტელესთან და შემდეგ კანტამდე კატეგორიები განხილული იყო უმთავრესად როგორც ონტოლოგიის ცნებები. მაგალითად. არისტოტელეს მეტაფიზიკაში განხილულია კატეგორიები: არსების, ზოგადის, მატერიის, ფორმის, შესაძლებლობის, სინამდვილის და სხვ. მის ფიზიკაში კი განიხილება კატეგორიები: დროის, სივრცის, მოძრაობის და სხვ. კანტმა პირველად გაიგო კატეგორია, როგორც ლოგიკური ფორმა. მისთვის განსჯის ცნებები წარმოადგენენ კატეგორიებს, რომლებიც მსჯელობათა ფორმებს წარმოადგენენ. კატეგორიები (ერთიანობა, სიმრავლე, ყოვლობა, სუბსტანცია, მიზეზობრიობა, ურთიერთობა, შესაძლებლობა, სინამდვილე და აუცილებლობა) მსჯელობათა ტრანსცენდენტალურ პირობებს წარმოადგენენ. კატეგორიები მსჯელობების თავისებურ ლოგიკურ პირობებს შეადგენენ. შეუძლებელია მსჯელობა კატეგორიების გარეშე. კატეგორიები არიან წესები, ამიტომ მათთვის დამახასიათებელი ზოგადობა წესის ზოგადობაა და არა მოცულობითი ხასიათის ზოგადობა. კატეგორიები კანტმა შეიტანა არა „ზოგად ლოგიკაში“— ფორმალურ ლოგიკაში — არამედ „ტრანსცენდენტალურ ლოგიკაში“, შემეცნებისთეორიულ ლოგიკაში, იმ ლოგიკაში, რომელიც იგივეა, რაც შემეცნების თეორია და პირიქით. კატეგორიების, როგორც ლოგიკუ-

რი ფორმების, შესახებ მოძღვრება შემდგომ განავითარა ფიხტემ და ჰეგელმა, რომელმაც ლოგიკა გაიგეს, როგორც კატეგორიების სისტემა.

§ 147. ცნების ფორმა და შინაარსი

ცნება არის აზრის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც განსხვავდება აზრის სხვა ფორმებისგან — მსჯელობისა და დასკვნის ფორმებისაგან. ის, რაც ცნებას, როგორც ფორმას, ახასიათებს და განასხვავებს აზრის სხვა ფორმებისაგან. არის ცნების ფორმის საკუთარი შინაარსი. აქ შინაარსი და ფორმა ერთიმეორეს ისე კი არ ემთხვევა, რომ თითქოს ერთ-ერთი მათგანი რჩება და მეორე უარიყოფა, არამედ ორივეს ერთი და იგივე აზრი აქვს, ორივე ერთი და იგივეა. ცნებას, როგორც ფორმას, აქვს თავისი საკუთარი შინაარსი, ისე როგორც ყოველ ფორმას აქვს მისთვის დამახასიათებელი შინაარსი. რასაც ცნება წარმოადგენს, ის არის მისი საკუთარი შინაარსი; ეს არის ფორმაც. ცნების, როგორც ასეთის, შინაარსი დგინდება ცნების განსაზღვრებით. ლოგიკური თვალსაზრისით, რაიმეს შინაარსი სწორედ მისი განსაზღვრებით დგინდება. განსაზღვრება ადგენს „ნიშნებს“ — შინაარსს.

ცნებას სხვა შინაარსიც აქვს. სახელდობრ, ის, რასაც ის გამოთქვამს. ამ შინაარსს ორი მხარე აქვს: 1) ემპირიულ-ერთეული და 2) ზოგადი მხარე საგნებისა, რომელიც ცნებაში გამოითქმება. მაგალითად, ცნება „წითელი კარდი“ გამოთქვამს თუ მოიხმარს ემპირიულ-ერთეულ შინაარსს და ზოგადობასაც —ვარდს და სიწითლეს საერთოდ. ამიტომ ეს ცნება მიიღება მსჯელობით: „ვარდი არის წითელი“. ცნება არის ზოგადი; ის ეყრდნობა სინამდვილეში არსებულ ზოგადობას; ის არის სინამდვილის ზოგადი მხარის გამოთქმა (ისე, როგორც ამას ადგილი აქვს მსჯელობაში). ადამიანის ცნება გამოთქვამს იმ ზოგადსა და არსებითს, რაც საერთოდ ადამიანისთვის არის ძირითადი. ადამიანის ცნება არ არის სიმბოლო ყველა ადამიანისა; ცნება არ არის პროპოზიციული ფუნქცია. პროპოზიციული ფუნქცია, როგორც სქემა, თვითონ არის შეუძლებელი რაღაც ზოგადობის გარეშე.

ცნება ზოგადია მაშინაც, როცა საქმე გვაქვს ერთეულ ცნებასთან, რამდენადაც ზოგადობა გაგებული გვაქვს შინაარსეული ზოგადის აზრით, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ზოგადია კატეგორიაც. ისეთი კატეგორიაც, როგორიცაა ერთეულის კატეგორია. მაშასადამე, ყოველი ცნება არის ზოგადი.

ცნების ზოგადობა არ ნიშნავს იმას, თითქოს ის არის ცარიე-

ლი, თითქოს ის არ იქვემდებარებს ემპირიულ შინაარსს. ცნება ისე იქვემდებარებს ყოველგვარ შინაარსს, როგორც, მაგალითად, კანონი იქვემდებარებს მოვლენებს. თუმცა მოვლენების ნიშნები კანონში არ შედის. კანტთან კატეგორია იქვემდებარებს მსჯელობას, მაგალითად, ერთიანობის კატეგორია — ზოგად მსჯელობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მსჯელობის ნიშნები კატეგორიის ნიშნებში შედიოდეს. ისე როგორც კანონი არ შეიცავს მოვლენათა ყველა ნიშანს, ასევე ცნება არ შეიცავს ერთეულების ნიშნებს, თუმცა ეს უკანასკნელნი მას ექვემდებარებიან. ეს, ცხადია, არაა მოცულობითი დაქვემდებარება: ის შინაარსეულ ზოგადზე დაქვემდებარებაა. ეს გარემოება ნათლად ჩანს ცნებაში, თუ ის გაგებულ იქნა, როგორც შინაარსეული ზოგადი. ერთადერთის, ერთეულის ცნებაც არის ერთიანობა მისი მომენტებისა.

მაშასადამე, ცნება არის ფორმა და მას სხვადასხვანაირი შინაარსი აქვს. ეს შინაარსი ობიექტურია, ამიტომ ცნებაც ობიექტური მნიშვნელობისაა, ლოგიკისათვის ცნების შინაარსთა შორის მთავარია მისი (ცნების) საკუთარი შინაარსი. შინაარსი არის ელემენტების ერთიანობა; ფორმა კი ამ ერთიანობის გარკვეულობას — წესს წარმოადგენს.

როგორც ითქვა, ცნების საკუთარი შინაარსი მისი განსაზღვრებით დგინდება. ისე როგორც საერთოდ შინაარსი განსაზღვრებით დგინდება. ცნების მიერ გამოსახატავი — გამოსათქმელი — საგნობრივი შინაარსიც განსაზღვრებით დგინდება. მაგალითად, თუ მაგიდის ცნების შინაარსი დგინდება მაგიდის არსებითი ნიშნების დადგენით, ცნების, როგორც ასეთის, შინაარსიც მისი ისეთი განსაზღვრებით დგინდება, რომელსაც მბედველობაში აქვს მსჯელობისა და დასკვნისაგან განსხვავებული ნიშანი ცნებისა.

ცნება ყოველთვის არის საკუთარი შინაარსის ერთიანობა, ამიტომ შეიძლება მისი სხვა ცნებასთან დაკავშირება; ამიტომაა შესაძლებელი „ლოგიკური განვითარება“ — მარტივიდან უფრო რთულზე გადასვლა. ცნებას რომ არ ჰქონდეს შინაარსი, მაშინ ის სხვა ცნებებს ვერაფრით დაუკავშირდებოდა. ამიტომაა შეცდომა ცნების წარმოდგენა სქემის — პროპოზიციული ფუნქციის — სახით. ცნების წარმოდგენა სქემის სახით არის ცნების დაკარგვა. ცნების აყვანა ზოგადობამდე, არის მისი არა სქემად გადაქცევა, არამედ კატეგორიამდე ამაღლება. კატეგორია არის უმაღლესი ზოგადობა.

ერთნიშნა ცნებაც (კატეგორია) არ არის მხოლოდ ერთნიშნა. ასეთი ცნების შინაარსის (ერთი ნიშნის) დადგენა შესაძლებელია სხვა ცნებაში გადასვლით — სხვა ცნების საშუალებით, სახელდობრ,

იმ ცნებების საშუალებით, რომელთაგან ერთი წინ უსწრებს მას, მეორე კი მას მოსდევს, როგორც მისთვის აუცილებელი. მაგალითად. მარქსის „კაპიტალში“ ფულს წინ უსწრებს საქონელი, მაგრამ მოსდევს კაპიტალი; ჰეგელთან — არარსს წინ უსწრებს არსი, შემდეგ კი მოსდევს ქმნადობა, და სხვ. იგივეობა წინ უსწრებს განსხვავებას, ორივეს კი მოსდევს მათი ერთიანობა —დაპირისპირებულთა ერთიანობა და სხვ. ერთი ნიშანი საკუთარი მომენტების ერთიანობაა. შემდეგი კატეგორია წინა კატეგორიებს მომენტებად — შინაარსად შეიცავს.

ცნება ყოველთვის სხვადასხვაობას გულისხმობს. ეს გარემოება კარგად არის გამოთქმული გერმანული სიტყვით „Begriff“-არ არსებობს ცარიელი ცნება. ასეთი რომ არსებობდეს, ისიც რაღაც განსხვავების შემცველი იქნებოდა; არარსი აუცილებლობით გულისხმობს არსს.

§ 148. ცნება და მისი ნიშნები

როგორც ითქვა, ცნებას არ შეიძლება არ ჰქონდეს შინაარსი. ცნებას ყოველთვის აქვს შინაარსი. ცნების შინაარსი არის ნიშნები — ერთი ან ბევრი. ლოგიკურად ეს ნიშნები, როგორც ცნების ნიშნები, მიიღება მსჯელობებით. პრედიკაცია იძლევა ცნების ნიშნებს. მსჯელობაში დგინდება ნიშნები — პრედიკატები. ეს დადგენა ემყარება შემეცნებას — საგნის ცოდნას (ეს საგანი შეიძლება თვითონ ცნებაც იყოს). შემეცნების, ცოდნის განვითარება აფართოებს ცნებას, მაგალითად, ატომის, საზოგადოებისა და სხვა ცნებებს. ამით ცნების ობიექტურობა (ჭეშმარიტების აზრით) უზრუნველყოფილია.

მაგრამ ცნება არ არის ნიშნების ჯამი, საგნის შემეცნების გზით დაგროვილი ნიშნების ერთობლიობა. ცნების ნიშნები არის ცნების მასალა, „მატერია“ „ბაზა“, რომლის ნიადაგზე დგინდება გარკვეული ერთიანობა — ერთი გარკვეული ცნება. ამ ერთიანობაში არ არის მტკიცება-უარყოფა. ე. ი. ცნება არ არის მსჯელობების არც შემეცნებითი და არც ლოგიკური კავშირი; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის დასკვნა იქნებოდა და არა ცნება. ცნებაში მოხსნილი და შენახულია მსჯელობები, რომლების შედეგადაც ცნება იქნა მიღებული. მსჯელობათა პრედიკატები ცნებაში შენახულია, როგორც მისი ნიშნები.

ცნებაში ნიშნებს წართმეული აქვს დამოუკიდებლობა, ისინი ცნების მომენტებს წარმოადგენენ; წინააღმდეგ შემთხვევაში ნიშნები თვითონ არიან ცნებები — სრულიად სხვა ცნებები. მაგალითად, ადამიანის ცნების ნიშანი — ორფეხიანობა — წარმოდგენილი

ცალკე, არის ორფეხიანის ცნება და არა ადამიანის ცნება. ცნება არ არის ცნებების კავშირი; ამის საწინააღმდეგოს აღიარება ლოგიკური შეცდომა იქნებოდა. შეცდომაა იმის თქმა, რომ „ცნება არის **ცნებების**...“, ერთი ცნების ბევრი ნიშანი ცნებას არ ამრავლებს. ცნება არის ერთი, მრავალი ნიშნისათვის ერთი. ნიშნები შეადგენენ ერთს — განუყოფელ ცნებას. ერთი, განუყოფელი ცნება ხასიათდება ბევრი ნიშნით.

ცნებას შეიძლება ჰქონდეს უამრავი ნიშანი, მაგალითად, ფილოსოფიის ცნებას, მეცნიერების ცნებას, სინამდვილის ცნებას. მეცნიერების სრული ცნება, როგორც მისი ყველა ნიშნის შემცველი ცნება, არასოდეს არ დადგინდება; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს ან შეუძლებელია მეცნიერების სრული ცნება. ლოგიკაში თავიდანვე ცნობილია ის გარემოება, რომ ცნების განსაზღვრებისათვის არ არის აუცილებელი ყველა ნიშანი; საკმარისია რამდენიმე. მაგალითად, ადამიანის ცნების განსაზღვრებისათვის საკმარისია ორი ნიშანი: 1) ცხოველისა და 2) იარაღის მკეთებლობის; ადამიანის ცნება ასე განისაზღვრება: ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი. შეუძლებელია სინამდვილის ცნების ამოწურვა (წინაალმდეგ ჰეგელისა, რომელიც აბსოლუტური ცოდნის დასადგენად აბსოლუტის ცნების ამოწურვას ცდილობდა), მაგრამ მისი განსაზღვრებისათვის საკმარისია ერთი ნიშანიც, სახელდობრ, ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობის ნიშანი. ასე ითქმის სხვა ცნებების შესახებაც.

§ 149. დიალექტიკური აბსტრაქციის ცნება

აბსტრაქცია არის რაიმეს ნიშნის დადგენა. ერთიმეორისაგან უნდა გავარჩიოთ სამგვარი აბსტრაქცია.

1) შეიძლება აბსტრაქცია გაგებულ იქნეს (ასე ესმოდათ და ახლაც ბევრს ასე ესმის), როგორც რაიმე საგნიდან ან აზრიდან მისი რომელიმე ნიშნის გამოყოფა; ნიშანი გამოიყოფა, საგანი ე. ი. ის, რის ნიშანსაც გამოვყოფთ, მხედველობის გარეშე რჩება. ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს არსებითიც და არაარსებითიც — შემთხვევითიც; მაგრამ ამგვარი გამოყოფა ნიშანს აქცევს ისეთ რამედ, რომლის უარყოფა შეიძლება; წინაალმდეგ შემთხვევაში ამგვარი აბსტრაქციაც შეუძლებელი იქნებოდა. ეს აბსტრაქცია არის ნიშნის სწორედ ისეთი გამოყოფა, როცა გამოყოფილის უარყოფა შესაძლებელია. ამ აბსტრაქციით არსება არ დგინდება; ასეთი აბსტრაქციით შეიძლება შემთხვევით დავადგინოთ არსება, მაგრამ ამ შემთხვევაში წინაალმდეგობაში ჩავარდებით, რადგან მივიღებთ იმას, რი-

სი უარყოფა შეიძლება, მაშინ როცა ასეთი უარყოფა შეუძლებელი უნდა იყოს იმ საგნის დატოვების პირობებში, რომლის ნიშნის გამოყოფასაც ვახდენთ; მაგალითად, წითელი ვარდისგან სიწითლის ნიშნის გამოყოფა ისეთის გამოყოფაა, რომლის უარყოფა შეიძლება; მაგრამ ვარდისათვის არსებითის გამოყოფა მისგან — ვარდისგან — არაფერს არ ტოვებს. ადამიანისგან მისი რაიმე შემთხვევითის გამოყოფა ისეთის გამოყოფაა, რომლის უარყოფაც შესაძლებელია. მაგრამ თუ ადამიანისგან იარაღის მკეთებლობა გამოვყავით, მაშინ მისი უარყოფა ადამიანში არაფერს არ ტოვებს. საგნისაგან მისი არსების აბსტრაქცია — გამოყოფა — არ შეიძლება, ასეთ შემთხვევაში აზრს კარგავს ეს გამოყოფა. საგანს თვითონ ამ საგნისაგან ვერ გამოვყოფთ.

2) მეორეგვარი აბსტრაქცია (ჰუსერლისეული) არის „ფრჩხილებში ჩასმა“ იმისა, რის უარყოფა შეიძლება და დატოვება იმისა, რის უარყოფა შეუძლებელია. ამ აბსტრაქციაში არსებითია არა გამოყოფა, არამედ დატოვება, რომელიც გამოყოფას, როგორც საშუალებას. მოიხმარს. ასეთ აბსტრაქციას ჰუსერლი ეიდეტურ აბსტრაქციას ეძახდა. ამ აბსტრაქციის საშუალებით მიიღება არა გამოყოფილი ნიშანი, არამედ ის, რომლის გამოყოფა არ შეიძლება. არის ობიექტური არსება, რომლის უარყოფა შეუძლებელია. ეიდეტური აბსტრაქციით მიღებულის მხოლოდ „ჭვრეტა“ შეიძლება; ეს ჭვრეტა არის არსების, ლოგოსის ჭვრეტა, ინტელექტუალური ინტუიცია.[1]

მაგრამ ყოველი ინტუიცია ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც ლოგიკისათვის ზედმეტია. ეიდეტური „ჭვრეტაც“ ფსიქოლოგიური მდგომარეობაა იმის მიმართ, რის უარყოფაც შეუძლებელია, რის თავიდან აცილებაც არ არის შესაძლებელი. ის, რის უარყოფაც შეუძლებელია ეიდეტური აბსტრაქციით, ლოგიკური თვალსაზრისით — ცნების მიხედვით — არის მისტიკური არსება— მისტიკური რაღაცა. „ფრჩხილებში ჩასმა“ არსებას წყვეტს იმისაგან, რისი არსებაც ის არის (თუმცა „ფრთხილებში ჩასმა“ მოწოდებულია სწორედ რაიმეს დასადგენად); სწორედ ამიტომაა ის ლოგიკურად გაურკვეველი, ლოგიკურ განსაზღვრებას მოკლებული. მაგრამ ასეთი აბსტრაქციის დროს ერთი რამ მაინც არის „რაციონალური მარცვალი“, სახელდობრ, უარყოფის საშუალებით იმის მიღება, რის უარყოფაც შეუძლებელია (მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, არარსებულის უარყოფაც შეუძლებელია).

3) დიალექტიკური აბსტრაქცია ზემომოხსენებულ აბსტრაქციებს ხსნის, უარყოფს, მაგრამ მათში არსებულ რაციონალურ მარ-

[1] იხ. E. Husserl, Ideen..., I, B., 1950, გვ. 68 და შემდეგ.

ცვლებს მომენტებად შეიცავს. დიალექტიკური აბსტრაქცია უარყოფის საშუალებით ადგენს: 1) უარსაყოფელ თუ უარყოფად ნიშნებს ანუ სასრულ ნიშნებს და 2) იმას, რის უარყოფაც შეუძლებელია — უსასრულოს. დიალექტიკური აბსტრაქცია არ ამბობს უარს უარსაყოფადზე და თვითონ უარყოფაზე; ეს უკანასკნელი მას არ მიაჩნია მხოლოდ სუბიექტურ ხერხად იმაზე მისასვლელად, რის უარყოფაც შეუძლებელია; ეს უარყოფა მასში არის ლოგიკურის მომენტი; ეს უარყოფა მხოლოდ უარყოფა კი არაა. არამედ დადგენაც, სახელდობრ, იმის დადგენა, რის უარყოფაც შეუძლებელია. ამ უარყოფით დადგენაში მომენტებად არის შენახული ის, რაც უარიყოფა, რადგან აბსტრაჰირებული განისაზღვრება იმით, რისგანაც ის არის აბსტრაჰირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში აბსტრაქცია აზრს დაკარგავს — დარჩენილი გარკვეული იქნება ლოგიკური მნიშვნელობის არმქონე. ის, რისი უარყოფა შეუძლებელია, სწორედ უარყოფით დგინდება. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. ეს არის ლოგიკური მდგომარეობა, რომლის აუცილებელ ელემენტსაც უარყოფა წარმოადგენს.

სწორედ დიალექტიკური აბსტრაქციით დადგინდება ცნება როგორც შინაარსეული ზოგადობა, რომელიც მის მომენტებს კი არ გამორიცხავს, არამედ აუცილებლობით შეიცავს. ნიშნებიდან გაწმენდილი ცნება არის არაფერი, თუმცა „არარას“ ცნებაც არსებობს; არსებობს უარყოფის ცნებაც, არა „ცარიელი ცნება“, არამედ სწორედ უარყოფის ცნება.

დიალექტიკურ აბსტრაქციაში, უპირველეს ყოვლისა, უარიყოფა ისეთი ნიშნები, რომელთა უარყოფა შესაძლებელია; მაგალითად, კ. მარქსის აზრით, შესაძლებელია კაპიტალიზმი ავიღოთ წმინდა სახით, როგორც მხოლოდ ორი კლასის — ბურჟუაზიის და პროლეტარიატის — შემცველი და სხვა უგულებელვყოთ. მაგრამ, შემდეგ, დიალექტიკურ აბსტრაქციაში მნიშვნელოვანია ისეთი უარყოფა, როცა აბსტრაქციით მიღებული (სხვისი უარყოფით დარჩენილი) აუცილებლობით გულისხმობს იმას, რაც უარყოფილ იქნა. მაგალითად, მოხმარების უარყოფა წარმოების მიღებაა და პირიქით, მაგრამ უარყოფილი შენახულია იმაში, რაც უარყოფით მივიღეთ: წარმოებაში შენახულია მოხმარება და მოხმარებაში — წარმოება. წარმოება არ არსებობს მოხმარების გარეშე და პირიქით, წარმოება თვითონ არის განსაკუთრებული მოხმარება და მოხმარება არის წარმოება[1]. ასევე შეიძლება ითქვას შემდეგზეც: არ შეიძლება მსჯელობა მივიღოთ მხოლოდ მისი სუბიექტის უარყოფით ისე, რომ სუ-

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი.

ბიექტი არ დარჩეს მსჯელობაში. ასე ითქმის მსჯელობის პრედიკატის შესახებაც. მტკიცება-უარყოფა აუცილებლობით გულისხმობს იმასაც, რაც მტკიცდება და უარიყოფა (იხ. უარყოფის ცნება ზემოგანხილულ აზროვნების ლოგიკურ კანონებში). უარყოფით მიიღება თვისობრიობიდან რაოდენობა, მაგრამ თვისობრიობა არის ერთი და რაოდენობაც გარკვეული თვისობრიობაა. ნამდვილი რიცხვი ნატურალურ რიცხვს შეიცავს, თუმცა ის მისი უარყოფით არის მიღებული. დადებითი მსჯელობის უარყოფა უარყოფითი მსჯელობაა, მაგრამ უარყოფითსაც აქვს დადებითის მომენტი; წინააღმდეგ შემთხვევაში ის მსჯელობაც არ იქნებოდა.

ბოლოს, დიალექტიკური უარყოფით ვღებულობთ ისეთს, რომლის უარყოფა არ შეიძლება(მაგ., მსჯელობის უარყოფა შეუძლებელია. რადგან მსჯელობის უარყოფა თვითონ არის მსჯელობა); მაგრამ ეს არ არის რაღაც მისტიკური; არა, ის სწორედ უარყოფით დგინდება, ამიტომ მას აუცილებელი კავშირი აქვს უარყოფილთან და უარყოფაც მისი მომენტია; ასეთი უარყოფით შეიძლება მივიღოთ ის, რისი უარყოფაც მოვახდინეთ; ამიტომ კიდევ მეტი აბსტრაქცია, ამ გზით კიდევ უფრო შორს წასვლა, შეუძლებელი იქნება. დიალექტიკური აბსტრაქციის საბოლოო შედეგი ის არის, რომ რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენას ვღებულობთ.

მხოლოდ დიალექტიკური აბსტრაქციით დგინდება ცნება. როგორც კონკრეტული — ნიშნებით მდიდარი და არა ცარიელი. ეს ცნება არის შინაარსეული ზოგადის ბუნების მქონე აზრი. სწორედ ამ გზით და ამიტომ არის ცნება მსჯელობის, მსჯელობათა კავშირის — დასკვნის და დასაბუთების — შედეგი.

დიალექტიკური აბსტრაქცია არ არის აბსტრაქციის ერთ-ერთი სახე, ერთ-ერთი აბსტრაქცია; ის არის ერთადერთი სწორი აბსტრაქცია, რადგან, როგორც ითქვა, ის არის სრული — სხვა აბსტრაქციების მომენტებად შემცველი აბსტრაქცია.

დიალექტიკური აბსტრაქცია ცნების მიღების ლოგიკური საშუალებაა, გზაა. ამიტომ ის შედის ლოგიკაში, მისი გამორიცხვა ლოგიკიდან შეუძლებელია. სახელდობრ, ისეთი ლოგიკიდან, რომელიც შემეცნების თეორიას არ გამორიცხავს. დიალექტიკური აბსტრაქცია, უპირველეს ყოვლისა, ლოგიკურია, მაგრამ გამოიყენება შემეცნების თეორიის თითქმის ყველა სფეროში.

§ 150. დიალექტიკური ანალიზი და ცნების განსაზღვრება

აბსტრაქცია არის ცნების ნიშნების გამოყოფის, ცნების ანალიზის საშუალება. ანალიზი არჩევს მთავარს და არამთავარს ცნებაში. დიალექტიკური აბსტრაქციით სრულდება დიალექტიკური ანალიზი.

ასეთი ანალიზი არ არის მხოლოდ ანალიზი, რადგან ის არის სწორედ დიალექტიკური, სადაც ხორციელდება მოხსნა-შენახვა, როგორც ეს წინა პარაგრაფში იყო გარკვეული. დიალექტიკური ანალიზი არის ანალიზით შესრულებული სინთეზი. ანალიზში სინთეზი ხორციელდება. ანალიზ-სინთეზის ერთიანობის შესახებ ჩვენ საუბარი გვექნება ქვემოთ (დასაბუთების თეორიაში). აქ კი მხოლოდ შემდეგის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

რადგან ანალიზი არის რაიმეს ნიშნების გამოყოფა-დადგენა და დიალექტიკური ანალიზი ნიშნის მოხსნას და შენახვასაც წარმოადგენს, ამიტომ შესაძლებელია ცნების დადგენა, სახელდობრ, ისეთი ცნებისა, რომელიც კონკრეტულია, ე. ი. რომლის ზოგადობა არის შინაარსეული ხასიათისა. მაშასადამე, დიალექტიკური აბსტრაქციის საშუალებით შესრულებული ანალიზი არის ცნების განსაზღვრების, ცნების დადგენის გზა; ეს არის ცნების განსაზღვრების წესი; ამ განსაზღვრების ბუნების გამომხატველი. მაგალითად, წარმოების ცნების დადგენა ხდება წარმოების ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთდამდგენი მომენტების გარკვევით, ამ მომენტთა ერთიანობის დადგენით, იმ ერთიანობისა, რომლის შესახებ აზრსაც წარმოების ცნება წარმოადგენს. ასე დგინდება საქონლის ცნება, რიცხვის ცნება, მსჯელობის ცნება; დასკვნა, როგორც კერძოსა და ზოგადის დიალექტიკური ერთიანობა, სწორედ მისი მომენტების გარკვევის გზით მიიღება. ასე დგინდება ყოველი კატეგორია.

რაიმეს ცნების დადგენა არის სწორედ ამ რაიმეს არსებითი ნიშნების, როგორც მომენტების, დადგენა. ამიტომ აქ ერთადერთი გზა არის ანალიზის გზა; მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეს ანალიზი არ არის მხოლოდ ანალიზი, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა არა რაიმეს ცნების დადგენასთან, არამედ მის დაშლასთან ნიშნებად, რომლებიც სხვა ცნებების სახით იქნება წარმოდგენილი და არა იმ ცნების სახით, რომლის დადგენასაც ეს ანალიზი უნდა ემსახურებოდეს. ცნების დამდგენი ანალიზი არის ისეთი ანალიზი, რომელიც ემსახურება სინთეზს; დიალექტიკური ანალიზით დგინდება სინთეზი, გარკვეული ერთიანობა, რომელსაც ცნება წარმოადგენს. ცნება, როგორც ითქვა, არ არის ნიშნების ჯამი; ის არის ერთიანობა, განუყოფელი ერთი აზრი, რომელიც მოხსნილი სახით —მომენტებად — შეიცავს ნიშნებს. ცნების განსაზღვრება არის ამ გარკვეული ერთიანობის დადგენა.

აქ უნდა განვასხვავოთ სამი რამ: 1) ნიშნების ერთიანობა, როგორც საგანი (მაგალითად, წარმოება), 2) ამ ერთიანობის ამსახველი ცნება, როგორც ერთიანი აზრი, ერთი — განუყოფელი ცნება,

3) ის წესი. რომლითაც დგინდება ცნება, როგორც სინთეზური ერთიანობა. ეს წესი არის დიალექტიკური ანალიზის წესი.

სწორედ დიალექტიკური ანალიზით ანუ ანალიზ-სინთეზის ერთიანობით შეიძლება ისეთი ერთიანობის (არა აბსტრაქტული ზოგადის) დადგენა, რომელიც შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს და რაც დაქვემდებარებული სახით შეიცავს გარკვეულ „ნიშნებს", უკეთ, მომენტებს, რაც ცნების შინაარსს შეადგენს.

§ 151. კატეგორიალური პრედიკაცია როგორც განსაზღვრება

ზემოთ გარკვეული დიალექტიკური ანალიზი და საერთოდ ანალიზი, როგორც რაიმეს ნიშნის — სწორედ რ ა ი მ ე ს ნიშნის — გამოყოფა, არ არის მხოლოდ გამოყოფა, არამედ ის არის ამ ნიშნის რამესადმი მიწერა — სინთეზი, ან ამ სინთეზიდან გამოსვლა; ეს გარემოება, სახელდობრ, ის, რომ 1) რაიმეს მიეწერება ნიშანი, ან 2) რაიმეს აქვს შინაგანი და ის გამოიყოფა, ცხადია, მსჯელობის სახით ხორციელდება. აქ ჩვენ ის გვაინტერესებს, რომ ასეთი მსჯელობა კატეგორიებში ხორციელდება ერთი კატეგორიის მეორისადმი მიწერა-კუთვნილებით. მსჯელობა, როგორც რაიმესადმი სხვა რაიმეს მტკიცება-უარყოფა, არის პრედიკაცია, რომელიც კატეგორიებში წარმოადგენს კატეგორიალურ პრედიკაციას. ეს პრედიკაცია არის განსაზღვრება. ერთი კატეგორიისადმი მეორის მიწერა-კუთვნილება არის განსაზღვრება. აქ არ არის საჭირო და შეუძლებელიც არის უახლოესი (და საერთოდ) გვარის დადგენა. ეს არის, როგორც ითქვა, კატეგორიის ადგილის მონახვა, კატეგორიების სისტემაში რომელიმე კატეგორიისათვის ადგილის დადგენა.

ერთი კატეგორიისადმი მეორის მიწერა-კუთვნილება შეიცავს სიძნელეს, რადგან ასეთ კავშირში მყოფი კატეგორიები შეიძლება ერთიმეორეს კიდეც უარყოფდნენ. სიძნელე სწორედ იმაშია, თუ როგორ შეიძლება ერთიმეორის საპირისპირო თუ საწინააღმდეგო კატეგორიები ერთიმეორეს მიეწერებოდნენ პრედიკატის აზრით, ე. ი. შეადგენდნენ მსჯელობას. მაგრამ ასეთი მსჯელობები არსებობენ, ესენია, მაგალითად, შემდეგი მსჯელობები: „სასრული არის უსასრულო", „ერთი არის ბევრი", „ერთეული არის ზოგადი" [1]. ეს ასეა, რადგან, ვ. ი. ლენინის თქმით, დიალექტიკა საერთოდ მდგომარეობს უარყოფაში პ ი რ ე ლ ი დებულებისა, მის შეცვლაში მეორით (გადასვლაში პირველისა მეორეში, ჩვენებაში კავშირისა პირ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 38, გვ. 226.

ველის მეორესთან და სხვ.). მეორე შეიძლება გახდეს პირველის პრედიკატი[1], ეს შესაძლებელია, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში უარყოფა გაგებულია არა როგორც შიშველი უარყოფა, არამედ როგორც კავშირის მომენტი, განვითარების მომენტი დადებითის შენახვით [2].

კატეგორიალური პრედიკაცია, როგორც განსაზღვრება, ნიშნავს იმას, რომ ერთი კატეგორიის ბუნებიდან უარყოფის საშუალებით მიიღება ისეთი, რომელიც პირველს შეიძლება პრედიკატად მიეწეროს. ეს არის ერთგვარი ლოგიკური განვითარება, რომელშიც ასახულია რეალურ-ისტორიული განვითარება ან ამ განვითარების არსება. მაგალითად, საქონლიდან გამოდის ფული, აქედან — კაპიტალი; ფულის, როგორც კატეგორიის, განსაზღვრება არის ის, რომ მის წინ დგინდება საქონელი, მის შემდეგ კი—კაპიტალი. რაოდენობა, როგორც ასეთი, არის გარკვეული თვისობრიობა, თვისობრიობის რაოდენობას კი ზომა ჰქვია, და სხვ. „სასრული არის უსასრულო“, რადგან: 1) ცალკე აღებული სასრული, ე. ი. თუ მხოლოდ სასრული არსებობს, მაშინ ის არის ყველაფერი—უსასრულო, 2) ყველა სასრული არის უსასრულო. 3) „ცუდი უსასრულობა“ სასრულია, ე. ი. სასრული, რომელსაც ბოლო არ აქვს, არის უსასრულო როგორც დაუსრულებელი, ასეთია დროის, სივრცის უსასრულობა, 4) სასრული არის უსასრულო, თუ სასრულის ქვეშ გაგებულია უსასრულო განვითარების ძირითადი კანონი, რომელიც, ცხადია, არ არის დაუსრულებელი, 5) სასრული არის უსასრულო, რამდენადაც უსასრულო არის სრული, და სხვ. პირველად პლატონმა თავის თხზულებაში „პარმენიდე“ მოგვცა ცდა იმ დებულების დასაბუთებისა, რომ „ერთი არის ბევრი“. ერთი თავის განვითარებაში შეიძლება დადგინდეს როგორც ბევრი საფეხური; ერთში ნულზე მეტი უსასრულოდ ბევრი ნაწილია; ერთი შეადგენს ბევრს. რადგან ბევრი არის ბევრი ერთი, და სხვ. დებულებას, რომ „ერთეული არის ზოგადი“, გამოთქვამს, როგორც ვიცით, მსჯელობა, და სხვ. ისიც ვიცით, რომ მსჯელობა გადადის დასკვნაში; ეს ნიშნავს იმას, რომ მსჯელობა განისაზღვრება დასკვნაში; მსჯელობა მართლდება დასკვნაში; მსჯელობა. როგორც მტკიცება-უარყოფა, არსებითად დასკვნაა; დასაბუთებაც მტკიცება-უარყოფის გზით ხორციელდება.

კატეგორიალურ პრედიკაციაში ერთიმეორეს ემთხვევა განსაზღვრულობის დადგენა და განსაზღვრება; ამ უკანასკნელს ადგილი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 226.

[2] იქვე.

არ აქვს ფორმალურ ლოგიკაში, სადაც განსაზღვრება უახლოესი გვარის და სპეციფიკური ნიშნის დადგენით სრულდება, რაც არ არის კატეგორიათა კავშირ-განვითარება; მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი მის საფუძვლად ძევს (გვარისა და სპეციფიკური ნიშნის ერთიანობას ზოგადისა და კერძოს ერთიანობა უძევს საფუძვლად). ამის გამო, რომ ფორმალურ ლოგიკაში არ ხორციელდება კატეგორიალური პრედიკაცია, იქ ადგილი არ აქვს აზრის ფორმათა შინაგან აუცილებელ კავშირს — გადასვლებს [1]. დიალექტიკური ლოგიკისათვის კი მთავარია, არსებითია კატეგორიათა ლოგიკური კავშირი, რაც სრულდება კატეგორიალური პრედიკაციით როგორც განსაზღვრებით.

§ 152. კატეგორიათა ზოგიერთი კავშირის თავისებურება

როგორც ვიცით, კატეგორია არის თავისებური ცნება, ამიტომ კატეგორიების კავშირიც თავისებურია სხვა ცნებათა კავშირთან შედარებით.

რაიმე ერთეული საგნის მის ნიშანთან კავშირი, გამოთქმული მსჯელობაში (მაგალითად, „ცუგა არის ძაღლი"), არის ისეთი კავშირი, სადაც არ არის გარკვეულად მოცემული დაპირისპირება და დაპირისპირებულთა კავშირი; სახელდობრ, ისეთი კავშირი, რომელიც პირდაპირ ჩანს მსჯელობაში „ერთეული არის ზოგადი", რაც შეცდომადაც კია მიჩნეული ფორმალურ ლოგიკაში, თუმცა ეს მსჯელობა იმას გამოთქვამს, რასაც პირველი მსჯელობა გულისხმობს და ეყრდნობა. პირველი მსჯელობა ზოგადი სახით მხოლოდ მეორე მსჯელობის ფორმით გამოითქმება (და არა სიმბოლოები და სქემაა ლოგიკური ზოგადობა).

ერთი კატეგორია მეორეს აუცილებლობით უკავშირდება მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მეორე პირველს უარყოფდეს. რაც დაუშვებლად არის მიჩნეული სხვა ცნებების კავშირისათვის ფორმალურ ლოგიკაში, რადგან კატეგორიების კავშირი აუცილებლობით ადგენს შედარებითი უარყოფის ცნებას, რომელიც გაუგებარია ძველი ლოგიკისათვის.

ფორმალური ლოგიკა უარყოფს ლოგიკურ განვითარებას, აუცილებელ, შინაგან და სუბორდინაციულ კავშირს აზრის ლოგიკურ ფორმათა შორის, ამით ის ღალატობს ლოგიკის მოთხოვნას აუცილებელი კავშირის შესახებ, რადგან ჩვეულებრივი — ფორმალურ-ლოგიკური — ცნებების და მსჯელობების კავშირში უშუალოდ პირდა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 88.

პირ არ ჩანს ლოგიკური განვითარება, რაც შესაძლებელია და სრულად ხორციელდება კატეგორიების საფუძველზე და კატეგორიების კავშირში, სახელდობრ, ლოგიკური კატეგორიების კავშირში.

ამიტომ კატეგორიების კავშირი, როგორც ლოგიკური კავშირი, უფრო მაღალი, ლოგიკურად უფრო ზოგადია, ვიდრე სხვა ცნებების კავშირი. ლოგიკური კავშირი კატეგორიების კავშირში სისრულით ხორციელდება.

კატეგორიების კავშირი შეიძლება თვითონ იყოს კატეგორია ან კანონი. მაშინ როცა ფორმალურ-ლოგიკური ორი ცნების კავშირი იქნება მსჯელობა, ორი ან მეტი მსჯელობის კავშირი კი — დასკვნა. მსჯელობაში „ცუგა არის ძაღლი“ გამოთქმულია საგნისა და მისი ნიშნის კავშირი, მაგრამ ეს კავშირი თვითონ არც საგანია და არც ნიშანი, არამედ სწორედ კავშირია; წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ლოგიკურ შეცდომას, სახელდობრ, საგანთა და ნიშანთა ხელოვნურ გამრავლებას.

კატეგორიების კავშირში შესაძლებელია და სრულად ხორციელდება ლოგიკური რეფლექსურობა, სწორედ ლოგიკური რეფლექსურობის ბუნების გაუგებრობას მიყავს მათემატიკური ლოგიკა (პრედიკატთა გაფართოებული აღრიცხვა) პარადოქსებამდე (რომელთა დაძლევის ცდა რასელის ტიპების თეორიით კიდევ უფრო ააშკარავებს აღნიშნულ სიძნელეს). ფორმალურ ლოგიკური ცნებები, ძირითადად, არიან ცნებები საგანთა შესახებ, ან ისინი გაგებული არიან როგორც სქემები (პროპოზიციული ფუნქცია); კატეგორიებში კი რეფლექსურობაცაა, რომლის ნიადაგზეც გასაგებია შინაარსეული ზოგადის ბუნება, რაც გაუგებარია ფორმალური ლოგიკისათვის. ცნებები ერთმნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ უარყოფს იმას, რომ ერთმნიშვნელოვნება თავისთავში შეიცავდეს თავისებურ ორმნიშვნელოვანებას. მიზეზის ცნებაში ჩანს შედეგის ცნებაც და პირიქით, საფუძვლის ცნებაში არის შედეგის ნიშანი და პირიქით. საფუძვლის ცნებაში რომ შედეგის ცნებაც ჩანს. ეს არის ამ ცნების ორმნიშვნელოვანება, მაგრამ ისეთი, რომელიც არ აუქმებს ერთმნიშვნელოვანებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით სოფისტიკას. ის გარემოება, რომ საფუძველი არის სწორედ შედეგის საფუძველი, ერთმნიშვნელოვანია, რომელშიც ერთგვარი გაორება— ორმნიშვნელოვანება — არის მოცემული, თუმცა იგი ერთმნიშვნელოვანებაში დაძლეული და შენახულია. ლოგიკურის კატეგორია რეფლექსურია; ის გამოიყენება თავის თავის მიმართაც. როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული. უარყოფა რომ უარყო. ამისათვის თვითონ უარყოფა უნდა მოიხმარო და, ამ აზრით, უნდა დაადგინო.

რადგან ლოგიკურის კატეგორია რეფლექსურია, ე. ი. ის მოიხმარება თავისთავის მიმართაც, ამიტომ ის არის ობიექტური —ლოგიკური საშუალება ზოგადი აზრით; ის არის სრულიად აუცილებელი. აბსოლუტურად ლოგიკური. ასეთი არ არის არც ერთეული საგნის ცნება და არც მოცულობითი ზოგადობანი.

ლოგიკური რეფლექსურობა აჩვენებს იმას, რომ არსებობს კატეგორიათა ლოგიკური კავშირები, რომელთაც პირველი ლოგიკურის აზრი აქვთ, ე. ი. ისეთი კავშირები, რომლებშიც ხორციელდება ლოგიკური უსასრულობა, ლოგიკური უპირობო. ფორმალურ ლოგიკაში ხორციელდება ცნებათა მხოლოდ ცალმხრივი კავშირები, სასრული ხასიათის კავშირები. ფორმალურ ლოგიკაში ადგილი არ აქვს არავითარ ლოგიკურ უპირობოს; ასეთი რამ მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რაც მრავალ დაუძლეველ სიძნელეს იწვევს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

§ 153. ცნების კონკრეტულობა და დიალექტიკურობა

ცნება, როგორც აბსტრაქტული აზროვნების ფორმა, ცხადია, აბსტრაქტულია; მაგრამ, მეორე მხრივ, ის არის კონკრეტული, ცხადია, არაგრძნობად-კონკრეტული. ცნება არ შეიძლება არ იყოს კონკრეტული, როგორც გარკვეული შინაარსის მქონე, როგორც გარკვეული შინაარსი და როგორც გარკვეული ფორმა. ყოველი გარკვეული არის კონკრეტული, ცნება კი არ შეიძლება გაურკვეველი იყოს. ცნებას აქვს შინაარსი, ნიშნები, რომელთა ერთიანობასაც — მათ ერთიან აზრსაც — იგი წარმოადგენს. კონკრეტული არის მრავალმხრიობის ერთიანობა[1]. ასეთია ცნებაც და ამიტომ იგი ყოველთვის კონკრეტულია. ერთი ნიშნის მქონე ცნებაც კონკრეტულია, რადგან ის შინაარსის მქონეა. ისეთი ცნება, რომელსაც არავითარი ნიშანი არ აქვს, არის არა ცნება, არამედ სიცარიელე, არაფერი და არა აბსტრაქტული ცნება. მართალია, არსებობს არარსის ცნება, მაგრამ ის აზრის მქონეა მხოლოდ არსის ცნებით. შედარებითი არარსის ცნება, როგორც ვიცით, რაღაც გარკვეულია და არაა სიცარიელე — არაფერი. „ცარიელ ცნებას“ შეიძლება მათემატიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ არა ლოგიკური. ლოგიკურში მოქმედებს არა „ცარიელი ცნება“, არამედ „უარყოფა“.

ახლა თქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს შეუძლებელი იყოს

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281.

ცნების აბსტრაქტულობა, აბსტრაქტული ცნება. აბსტრაქტული და კონკრეტული შეფარდებითი ცნებებია. ერთი ცნება მეორე ცნებასთან შედარებით არის ან უფრო მეტად კონკრეტული, ან უფრო ნაკლებ კონკრეტული — აბსტრაქტული. მეტი ნიშნების მქონე ცნებასთან შედარებით ნაკლები ნიშნების მქონე ცნება არის აბსტრაქტული; უკეთ: მეტის დამკვემდებარებელი ცნება უფრო კონკრეტულია ნაკლების დამკვემდებარებელ ცნებასთან შედარებით, თუკი ზოგადობა გაგებულია როგორც შინაარსეული ზოგადობა.

ისმის საკითხი, აქვს თუ არა საზღვარი აბსტრაქციას და კონკრეტიზაციას, ანუ: ხომ არ არის იმისთი აბსტრაქტული ცნება, რომელზე უფრო აბსტრაქტული ცნება შეუძლებელია, და ისეთი კონკრეტული ცნება, რომელზე უფრო კონკრეტულიც შეუძლებელია? აქვს თუ არა აბსტრაქცია-კონკრეტიზაციას ქვედა და ზედა საზღვარი? ასეთი საზღვრები არსებობს, მაგრამ მხოლოდ შემდეგი აზრით. ქვემოთ, დასაწყისში არის ისეთი აბსტრაქტული ცნება, რომელსაც მხოლოდ ერთი ნიშანი აქვს და არაფერს არ იქვემდებარებს შინაარსეულად, მოცულობით კი ყველაფერს იქვემდებარებს. ასეთია, მაგალითად „არსი" ჰეგელის „ლოგიკაში" და „საქონელი" მარქსის „კაპიტალში" (საერთოდ „დასაწყისის" შესახებ ლაპარაკი გვექნება ქვემოთ — დასაბუთების ბუნების განხილვის დროს). ეს არის ერთნიშნა უმარტივესი კატეგორია, თუკი მხედველობაში გვაქვს კატეგორიების სისტემა. თუკი ჩვეულებრივი მსჯელობის თვალსაზრისზე დავდგებით, მაშინ უმარტივესი იქნება რაიმე გარეგანი თვისება, მაგალითად, ფერის ობიექტური შინაარსი. ერთი სიტყვით დასაწყისი კატეგორია იქნება ისეთი, რომლის წინაც არაფერია. ამიტომ ასეთი ცნება გადადის არარაში; ის თითქმის არაფერია; არარსი უფრო კონკრეტულია არსზე, რამდენადაც ის არსს აუცილებლობით გულისხმობს და მასთან შედარებით მეორედია. არარსიც ლოგიკური საგანია, რომლის ბუნებაც პირველად პლატონმა გაარკვია თხზულებაში „სოფისტი". მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ისეთი ცნება, რომლის „ქვემოთ" არაფერია. ეს არის ერთნიშნა ცნება, რომლის გაღარიბება არ შეიძლება, რადგან ნიშნის მოკლება მას არარად აქცევს.

შემდეგი, უფრო კონკრეტული ცნება იქნება ისეთი, რომელიც პირველ ცნებას შინაარსეულად იქვემდებარებს. ეს იქნება განსხვავების შემცველი ცნება და ა. შ. ყოველი კატეგორია არსებითად ერთნიშნა ცნებას წარმოადგენს. მაგრამ ისინი ერთიმეორესაც გულისხმობენ, ამიტომ კონკრეტულნი არიან, კონკრეტიზაციის სა-

ფეხურებს წარმოადგენენ. ის გარემოება, რომ ცნებას აქვს ერთი ნიშანი, არ ნიშნავს იმას, თითქოს ის იყოს ზედაპირული; არა, კონკრეტულიც ერთი ნიშნის მქონეა, რამდენადაც ეს არის განუყოფელი რამ, მართლაც ერთი უკონკრეტულესია, მაგრამ სხვებს იქვემდებარებს, ამიტომ უღრმესი და უძირითადესია. მაგალითად, კანონი არის ერთი კატეგორია, არ შეიძლება ორი კანონის კატეგორია (რა არის კანონი? ამ კითხვაზე ჰეშმარიტი პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს).

მაინც რა უნდა იყოს უკონკრეტულესი ცნება? როგორც ითქვა, უაბსტრაქტულესი არის უმარტივესი . ერთნიშნა ცნება. ახლა შეიძლება ითქვას, რომ უაბსტრაქტულესი არის ისეთი ერთმხრიობა (ცალმხრიობა), რომელსაც აღარ აქვს ცალმხრიობა. ის არის უკიდურესად სასრული რამ. ამის შემდეგი იქნება უფრო სრული სასრული, განსხვავებულთა ერთიანობა; სრული სასრული კი. როგორც ვიცით, არის წინააღმდეგობის ერთი მხარე. წინააღმდეგობამდე მისული კონკრეტიზაცია უკვე დასრულებულია ფორმალურ-ლოგიკური აზრით. ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, წინააღმდეგობა აზროვნების საზღვარია. დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით კი ასეთ საზღვარს წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს. უკონკრეტულესი ცნება თვითონ არის წინააღმდეგობის ერთიანობის ცნება. ეს უკონკრეტულესი არის კონკრეტიზაციის ზედა საზღვარი. არსებობს ასეთი საზღვარი, რადგან ის არის უსასრულო. ლოგიკური უსასრულო, სადაც დაძლეულია ყოველგვარი ცალმხრიობა, ერთმხრიობა. წინააღმდეგობა, როგორც ვიცით, ამოწურავს სასრულის ცნებას, წინააღმდეგობა გამორიცხავს მესამე სასრულს; არსებობს ერთი ლოგიკური უსასრულო. არ არსებობს არც შესუსტებული უსასრულობა, არც ნამდვილ უსასრულობაზე უფრო მაღალი თუ შინაარსეულად უფრო ზოგადი უსასრულობა. უსასრულობას არ აქვს ხარისხი. ეს ასეა კატეგორიების სფეროში. კატეგორიალურად (უსასრულობის ცნებაზე უფრო დაწვრილებით შემდგომ).

აქ ლაპარაკია უკონკრეტულესზე წესის, კანონის, ლოგიკური აუცილებლობის თვალსაზრისით და არა ფაქტიურობის თვალსაზრისით; ფაქტიურად უკონკრეტულესი არაფერია, მთელი სინამდვილე ვითარდება უსასრულოდ, მას საზღვარი არ აქვს. მაგრამ ის უკონკრეტულესი, რომელზედაც ახლა გვქონდა საუბარი, არის დაუსრულებელი განვითარების საფუძველი; ეს არის ამ განვითარების ძირითადი კანონი. სინამდვილის დაუსრულებელი განვითარების და მისი ამსახველი ცოდნის განვითარების უძირითადესი კანონი არის

წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, რომელზე უმაღლესი კანონიც შეუძლებელია. ის, რაც დაუსრულებელი განვითარების ამბავნელია. არის უკონკრეტულესი კანონი, რომელშიც „დაჭერილია“ მთელი უსასრულობა, ე. ი. ამით განხორციელებულია სასრულის და უსასრულოს დიალექტიკური ერთიანობა. უსასრულო განვითარების არსება არის წინააღმდეგობის ერთიანობა. არსების შესახებ აზრს ცნება ჰქვია. ამიტომ უსასრულობის ცნება წინააღმდეგობის ერთიანობის ცნებაა. უსასრულობა ლოგიკურად სრული სახით არის წარმოდგენილი მის ცნებაში. თუ ჩვენ დღეს არ გვაქვს ასეთი ცნება, მაშინ როცა ის გვექნება, მაშინ განხორციელდება ის, რაც ახლა ითქვა. რასაც უსასრულობა წარმოადგენს, ის აღარ შეიძლება სხვა იყოს.

მაშასადამე, ცნება არის კონკრეტული; არსებობს უკონკრეტულესი ცნებაც, რომელიც დიალექტიკურია, რადგან ის არის წინააღმდეგობის ერთიანობის ცნება. ყველა სხვა ცნება მის ერთმხრიობას გამოხატავს და ამიტომ წინააღმდეგობის ერთიანობით განისაზღვრება, მას ექვემდებარება. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ყველა ცნება არის დიალექტიკური. დიალექტიკურის მხარეც დიალექტიკას ექვემდებარება და დიალექტიკურია.

თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ფორმალური ლოგიკის ცნება არ იყო და არ არის დიალექტიკური? იმიტომ, რომ მას ცნება ესმოდა არაკონკრეტულად, აბსტრაქტულად; მისთვის გაუგებარია ცნების კონკრეტულობა; თუმცა ფორმალური ლოგიკის ცნება შინაარსის — ნიშნების — მქონე ცნებას წარმოადგენდა. რაც განსხვავების შემცველია, ის შინაარსეულია. ამიტომ ფორმალურ ლოგიკას რომ თავისი საქმე ბოლომდე მიეყვანა, ის გახდებოდა დიალექტიკური. დიალექტიკური ლოგიკა ცნების ასპექტშიც ლოგიკის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისითაც, დიალექტიკური ლოგიკა არის „უმაღლესი ლოგიკა“.

§ 154. ცნების განსაზღვრების ბუნება

ჩვენ აქ გვინდა განვიხილოთ ცნების განსაზღვრება, როგორც განსაზღვრება (დეფინიცია), ე. ი. გვინდა ვუპასუხოთ კითხვას, თუ „რა არის განსაზღვრება?“ და არა იმას, თუ „რა არის ცნება?“ ამ უკანასკნელის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი; ახლა კი გავარკვიოთ ის, თუ რას წარმოადგენს განსაზღვრება, ე. ი. განვსაზღვროთ

თვითონ განსაზღვრება, გავარკვიოთ ცნების განსაზღვრების ბუნება.

ცნობილია. რომ განსაზღვრება (დეფინიცია) არის ცნების დადგენა. რას ნიშნავს და რას წარმოადგენს ცნების დადგენა — განსაზღვრებაᲐ დეფინიცია არის თუ არა მსჯელობა? ამ კითხვას პასუხობენ სხვადასხვანაირად: 1) ზოგიერთის აზრით, დეფინიცია არ არის მსჯელობა; 2) ზოგიერთის აზრით ეს დეფინიცია წარმოადგენს მსჯელობას, 3) ზოგი კი იმას ფიქრობს, რომ განსაზღვრება რამდენიმე მსჯელობის ერთიანობაა.

პირველ აზრს იზიარებს არისტოტელე და ბევრი სხვაც; არისტოტელეს აზრით, დეფინიცია არ არის მსჯელობა, რადგან: 1) მსჯელობა არის მტკიცება ან უარყოფა, მტკიცება-უარყოფა კი ლოგიკურად რთულია; 2) დეფინიცია კი არის მარტივის დადებითობა. მსჯელობა შეიძლება იყოს უარყოფა — უარყოფითი, დეფინიცია კი მხოლოდ დადებითია, ის არ შეიძლება იყოს უარყოფითი. არ უნდა არსებობდეს უარყოფითი დეფინიცია; ის მხოლოდ დადებითი უნდა იყოს, რადგან განსაზღვრება არის ნიშნების დადგენა. იმის თქმა, რასაც საგანი არ წარმოადგენს, არ არის ამ საგნის განსაზღვრება, განსაზღვრება მხოლოდ იმის აზრობრივი გამოთქმაა თუ რა არის (და არა, რა არ არის) რაიმე. (აუცილებელია, რომ უარყოფითი ცნება განისაზღვროს უარყოფითად, მაგრამ შეიძლება, გარკვეული აზრით, ისიც ითქვას, რომ აქაც განსაზღვრება უნდა იყოს დადებითი, რადგან აქაც განსაზღვრება უარყოფითს მიაწერს იმას, რაც ის არის).

მსჯელობა ლოგიკურად რთულია, განსაზღვრება კი მარტივი დადებითობაა, ამიტომ განსაზღვრება წინ უსწრებს მსჯელობას (მარტივი წინ უსწრებს რთულს). მსჯელობას წინ უსწრებს დეფინიცია, რომელიც, ამრიგად, არ არის მსჯელობა (ამ აზრით, მსჯელობას არ შეიძლება წინ უსწრებდეს მსჯელობა, ეს შეცდომა იქნებოდა). დეფინიცია არის მსჯელობის, დასკვნის და საერთოდ დასაბუთების დასაწყისი, ფიქრობს არისტოტელე (ამ დასაწყისის შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი).

მაგრამ თუ დეფინიციის დადებითობა მარტივია, ე .ი. წმინდა დადებითობას წარმოადგენს, მაშინ ის არ შეიცავს განსხვავებას; ეს იმას ნიშნავს, რომ დეფინიცია არ არის შინაარსის დადგენა, ის არის საცარიელე. მაშინ როცა დეფინიცია სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ცნების შინაარსის დადგენა. რაიმეს დეფინიცია არის იმის დადგენა, რასაც რაიმე წარმოადგენს. ეს კი სწორედ შინაარსის ჩვენება-დადგენაა. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს უშინაარსო.

შინაარსის დადგენა, ცხადია, არაა შინაარსის არდადგენა. ამიტომ შეუძლებელია დეფინიცია არ იყოს მსჯელობა; აუცილებელია დეფინიცია მსჯელობას წარმოადგენდეს. დეფინიცია არის გარკვეული მსჯელობა, რომელიც ადგენს ცნების შინაარსს — „ნიშნებს". არ არსებობს მარტივი დადებითობა, სახელდობრ, ისეთი დადებითობა, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავდეს განსხვავებას. განსხვავების მქონე კი იგივეა, რაც შინაარსის მქონე. განსხვავების უარყოფა თვითონ არის გარკვეული მსჯელობა. უარყოფა არის მსჯელობა. თუ უარყოფას მოვიხმართ ისე, რომ გამოვრიცხავთ განსხვავებას და მივიღებთ მარტივ დადებითობას, მაშინ ეს სიმარტივე იქნება არა პირველი, არამედ შემდეგი, სწორედ მსჯელობის შედეგი. ამიტომ შეუძლებელია დეფინიცია არ იყოს მსჯელობა.

დეფინიცია ფორმალურ-ლოგიკური გაგებით, არის უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის დადგენა. ამიტომ დეფინიცია უნდა იყოს არა ერთი მსჯელობა, არამედ ორი მსჯელობის ერთიანობა. ამავე დროს, დეფინიცია, როგორც გვარისა და სახის სპეციფიკურობის ერთიანობა, არ შეიძლება არ იყოს ზოგადის და კერძოს ერთიანობა, ე. ი. — დიალექტიკური.

თუ დეფინიცია აუცილებლად უნდა იყოს პირველი, რომელსაც არაფერი არ უსწრებს წინ, მაშინ ასეთ შემთხვევაშიც ის არ შეიძლება იყოს უშუალო (მარტივი დადებითობა, განსხვავების გარეშე აღებული ისეთი რამ, რომელიც არაფრით არ არის განსაზღვრულ-გაშუალებული); ის მაინც იქნება გაშუალებული: 1) შინაგანად გაშუალებული — განსხვავებულთა ერთიანობა, 2) შედეგით გაშუალებული; პირველი ადგილიც განსაზღვრული ადგილია სისტემაში. ამიტომ დეფინიცია თვითონ არის განსაზღვრულ-გაშუალებული. განსაზღვრება თვითონ განისაზღვრება. აქ არის რეფლექსურობა.

§ 155. ცნების ბუნება

ფართო გაგებით, ცნება არის აზრი რაიმეს არსების შესახებ, იმის შესახებ, თუ რა არის ეს რაიმე. ვიწრო და უფრო ზუსტი გაგებით, ცნება, როგორც ეს საკითხთა ზემოთ წარმოებული განხილვიდან გაირკვა, არის დასკვნის ზოგადი აზრი; ამ გაგებით, იგი დასკვნის არსებაა, ლოგიკურის არსებას წარმოადგენს. ცნება არის ლოგიკურის გარკვეულობა, მისი ამგვარი და არასახვაგვარად ყოფნა. ცნება არის ობიექტური, რამდენადაც იგი საგნობრივ გარკვეულობას აზ-

რობრივად გამოხატავს. მისი ობიექტურობა ჭეშმარიტების ობიექტურობაა.

ცნების გარკვეულობა, როგორც ლოგიკურის ამგვარად და არა სხვაგვარად ყოფნა, არის ცნების აუცილებელი მხარე, მაგრამ არა საკმარისი, რადგან ის ზერელედ — ცალმხრივად წარმოადგენს მას. ამგვარად და არა სხვაგვარად ყოფნა, ეს არის სასრულის, ცალმხრივობის (ერთმხრივის) გარკვეულობა. ცნება კი არ უნდა იყოს ცალმხრივი, ის მასზე „მეტი“ უნდა იყოს, რადგან დასკვნის ზოგად აზრს წარმოადგენს (როგორც ეს შემდგომ — უსასრულო დასკვნის ბუნების გარკვევისას — კიდევ უფრო სრულად წარმოდგება). სასრულის გარკვეულობა შეიცავს გაურკვევლობასაც, რადგან ამგვარად ყოფნა ასეთია მისი არასხვაგვარადყოფნის და სხვაგვარადყოფნის გამო; ეს ასეა და არასხვაგვარად საწინააღმდეგოს შეუძლებლობის და თვითონ საწინააღმდეგოს გამო (როგორც ეს ზემოთ — ლოგიკურის კანონების განხილვის დროს — იქნა გარკვეული). ამგვარადყოფნა არასხვაგვარადყოფნაა, მაგრამ ამგვარად მყოფი სწორედ ესაა სხვაგვარად არყოფნის გამო, მაგრამ ამიტომ საწინააღმდეგოს ნიშანსაც აუცილებლობით გულისხმობს. რაიმეს ცნება სწორედ ცნების თვალსაზრისით შეიცავს საწინააღმდეგოს ნიშანს, მასთან აუცილებელ ერთიანობას; ეს ასეა, რადგან უარყოფა გარკვეულის უარყოფაა, ამიტომ თვითონაც გარკვეული ბუნებისაა.

ამრიგად, ცნების გარკვეულობა არაა სასრულის გარკვეულობა; არა, ის უნდა იყოს დიალექტიკური გარკვეულობა, დაპირისპირებულთა ერთიანობის გარკვეულობა, უსასრულობის გარკვეულობა.

უსასრულოს გარკვეულობაზეც ვრცელდება სასრულის გარკვეულობა, რადგან: 1) უსასრულო არ გამორიცხავს სასრულს, არამედ შეიცავს მას, როგორც მის ცალმხრიობას; 2) უსასრულო სასრულთა (ორი საწინააღმდეგოს) ერთიანობაა; 3) უსასრულო (დაუბოლოებელი) არის სასრულისა და დაუსრულებლის ერთიანობა; 4) ეს ერთიანობაც არის ეს და არა სხვა, მაგრამ ეს უკვე არის არა სასრულის გარკვეულობა, არამედ სწორედ უსასრულოს დადგენა. მაშასადამე, ცნება უნდა იყოს უსასრულოს გარკვეულობა, უსასრულო ლოგიკურის ერთი გარკვეული აზრი (ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ როგორ იქნება, ამას შემდგომ გავარკვევთ).

ცნება არის რეფლექსური ბუნების, რადგან შესაძლებელია და არსებობს ცნების ცნება და ცნების უარყოფაც არის ცნება. მისი ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია; მისი ლოგიკური უარყოფა არის მისივე დადგენა. ამ რეფლექსურობაში უშუალოდ ჩანს ცნე-

ბის ბუნება, ის, რომ ის არის ლოგიკური უსაბრუნებობის გარკვეულობა.

არსებობს ყველაფრის ცნება, არარაის ცნებაც არსებობს. ყველაფერს აქვს განსაზღვრულობა — გარკვეულობა. ყველაფრის განსაზღვრება არის შესაძლებელი. შესაძლებელია პასუხი ყოველ კითხვაზე, თუ რა არის რაიმე. ამიტომ ცნებას ადგენს დეფინიცია, რომელიც მის ბუნებას გამოთქვამს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, დეფინიცია ზოგადისა და კერძოს ერთიანობის დადგენაა, ამიტომ უნდა ითქვას, რომ ცნება არის ზოგადის და კერძოს ერთიანობა, ამ ერთიანობის ერთი, განუყოფელი აზრი. ცნება არის განსაზღვრების შედეგი და მისი ბუნება იშლება განსაზღვრებაში, ე .ი. მსჯელობასა და დასკვნაში.

§ 156. ცნების განსაზღვრება როგორც მსჯელობა

ამ და მომდევნო პარაგრაფში უფრო კონკრეტულად — განვითარებული სახით იქნება წარმოდგენილი ის, რაც ითქვა ზემოთ განსაზღვრების ბუნების შესახებ.

როგორც ვიცით, არისტოტელესათვის ცნების განსაზღვრება არ არის მსჯელობა, რადგან ის მარტივი დადებითობაა, მსჯელობა კი არის მტკიცება-უარყოფის სირთულის ბუნებისა. მაგრამ თუ დეფინიცია მარტივი დადებითობაა, მაშინ ის ინტუიციური ყოფილა. დეფინიცია ინტუიციურ დებულებად ესმით იმათ, ვინც მას დასაბუთების დასაწყისად მიიჩნევს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ინტუიციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ლოგიკაში, რადგან ინტუიცია არალოგიკური, ფსიქოლოგიური მდგომარეობაა. არ შეიძლება ფსიქოლოგიურით გამართლებულ იქნეს დასაბუთება, როგორც ლოგიკური. ის, რაც ცნებას ლოგიკურად ადგენს, არ შეიძლება იყოს არალოგიკური. განსაზღვრება ლოგიკური ოპერაციაა და არა ინტუიციური რამ.

თუ განსაზღვრებას რაიმე უშუალობა ახასიათებს (უშუალობა როგორც ვიცით, ყველაფერს ახასიათებს, არაფერი არ არის უშუალობის გარეშე), მაშინ ეს უშუალობა არ შეიძლება იყოს ინტუიცია, მაგრამ რადგან უშუალობა არ უდრის ინტუიციას და არსებობს ლოგიკური უშუალობაც, ამიტომ დეფინიციის უშუალობა მხოლოდ ლოგიკური უშუალობა შეიძლება იყოს. როცა ამბობენ, რომ დეფინიცია მხოლოდ დადებითობაა, მაშინ ეს დადებითობა ესმით როგორც ლოგიკური უშუალობა, სახელდობრ, იმის აზრობრივი გამოთქმა, რომ რაიმე არის ეს. დეფინიცია, როგორც ცნების დადგენა,

შეიძლება იყოს „მარტივი დადებითობა“, როგორც მხოლოდ ლოგიკური უშუალობა.

დეფინიცია, როგორც ცნების დადგენა, არის ლოგიკური გაშუალება, რომელიც მსჯელობას უნდა წარმოადგენდეს, რადგან არაფერი არ არსებობს როგორც მხოლოდ უშუალო; მით უმეტეს ლოგიკური არ შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო. უშუალოს კატეგორია, როგორც ვიცით, ფარდობითია, მას აზრი აქვს შუალობასთან კავშირში. რაიმეს შეიძლება ჰქონდეს უშუალობის მომენტი, მაგრამ როგორც მხოლოდ მომენტი, თვითონ რაიმე კი იქნება ერთიანობა უშუალობის და შუალობისა. ამიტომ ცნების განსაზღვრება, უშუალოსა და შუალობის ერთიანობა, არის სწორედ მსჯელობა. მსჯელობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული აზრით თუ გარკვეული მხრივ, უშუალობას წარმოადგენს, უშუალობის მხარეს შეიცავს, მაგრამ ამ მხარით არ ამოიწურება, იგი შინაგანი გაშუალების შემცველია. ცნების განსაზღვრება, როგორც უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავების დადგენა, არის იმ განსხვავებულთა ერთიანობა და, ცხადია, ის არ არის მარტივი, მხოლოდ უშუალო. ცნების განსაზღვრება არის განსაკუთრებული მსჯელობა, რომელიც საგნის არსებას გამოთქვამს. არც საგნის არსებაა მარტივი (როგორც ეს არისტოტელეს ჰქონდა წარმოდგენილი „უსიას“ სახით) და არც მისი განსაზღვრებაა მხოლოდ უშუალობა, რაღაც მარტივი დადებითობა.

შეიძლება (და უნდა) ითქვას მეტიც. ის, რაც მტკიცება-უარყოფას შეიცავს, ორმნიშვნელობის (Zweideutigkeit ან Zweiwertigkeit) შემცველი იქნება, ის კი რაც მხოლოდ დადებითობაა, იქნება ერთმნიშვნელობის (Eindeutigkeit) მქონე, ფორმალურ ლოგიკაში ცნების განსაზღვრება გაგებულია სწორედ როგორც ერთმნიშვნელოვანი (ფორმალური ლოგიკა საერთოდ მხოლოდ ერთმნიშვნელოვანებას აღიარებს; ორმნიშვნელოვანება კი მას შეცდომად მიაჩნია, წინააღმდეგ დიალექტიკისა). მაგრამ არ შეიძლება მხოლოდ ერთმნიშვნელოვანებას წარმოადგენდეს ის, რაც თავისში შეიცავს ზოგადის და კერძოს ერთიანობას, განსაზღვრება კი, როგორც ითქვა, სწორედ ასეთია.

განსაზღვრება არის გარკვეული განსაზღვრულობის გამოთქმა და თვითონაც ლოგიკურ განსაზღვრულობას წარმოადგენს, ამიტომ ის აუცილებლობით შეიცავს უარყოფის მომენტებს, შინაგან უარყოფას. ეს იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრება მსჯელობის ბუნებისაა; ის არის მსჯელობა. განსაზღვრება, როგორც უახლოესი გვარისა და

სპეციფიკური განსხვავების ერთიანობა, ე. ი. როგორც ზოგადისა და კერძოს ერთიანობა, არ შეიძლება არ იყოს მსჯელობა. ასეთი მსჯელობა, აღებული როგორც მხოლოდ ერთიანობა, იქნება ისეთი უშუალო, რომელიც შინაგან გაშუალებას შეიცავს. ეს შინაგანი გაშუალება არის ზოგადისა და კერძოს დამოკიდებულება, რომელიც უარყოფას შეიცავს, რადგან ეს დამოკიდებულება არის დაპირისპირებულთა დამოკიდებულება. ცნების განსაზღვრება მხოლოდ იმას კი არ გამოთქვამს, რომ რაიმე არის — ასეთ შემთხვევაში ის არსებობის მსჯელობა იქნებოდა — არამედ იმას, თუ რა არის ეს რაიმე. მაგრამ ამის გამოთქმა, როგორც ვნახეთ, არის ზოგადის და კერძოს ერთიანობის დადგენა, სახელდობრ, ცნების დადგენა. ცნება კი კერძოსა და ზოგადის ერთიანობაა, რომელიც აღებულია როგორც ზოგადი აზრი, გაუნაწევრებელი აზრი; უშუალოდ არის აღებული მსჯელობის (და დასკვნის) ერთიანი აზრი (როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა).

თუ განსაზღვრება, სახელდობრ, გარკვეული რეალური განსაზღვრება გამოთქვამს საგნის არსებას და ადგენს იმ ცნებას, რომელიც საშუალო ცნებად გამოდგება დასკვნაში, როგორც ეს არისტოტელეს წარმოეჩვენა, მაშინ ის არ არის მარტივი, არამედ მსჯელობის ბუნებისაა. არისტოტელეს აზრით, გარკვეული რეალური განსაზღვრებით დადგენილი ცნება, როგორც საშუალო ცნება, არის თავისებური ზოგადი. საშუალო ცნების ზოგადობა არ არის მოცულობითი ხასიათის ზოგადობა, ის არის შინაარსეული ზოგადობა. თუ ეს ასეა, ე. ი. თუ დეფინიციით დადგენილი ცნება ზოგადია, მაშინ ის არ შეიძლება იყოს მარტივი (არც ცნებაა მარტივი და არც მისი განსაზღვრება), რადგან ზოგადი ხომ ის არის, რაც ბევრზე გამოითქმის (კვლითონ არისტოტელეს განმარტებით)? თუ აქ ბევრზე გამოთქმაა, მაშინ, ცხადია, რომ საქმე გვქონია ლოგიკურ პრედიკატებასთან, ე. ი. მსჯელობასთან და არა მხოლოდ „მარტივ დადებითობასთან".

ამას იმიც უნდა დაემატოს, რომ განსაზღვრება, როგორც იმის გამოთქმა, რომ რაიმე არის ეს, არ შეიძლება რეფლექსური ხასიათის არ იყოს. ეს რეფლექსურობა, მართალია, შეიცავს იგივეობას, მაგრამ არ უდრის მას, მასზე არ დაიყვანება. რეფლექსურობის იგივეობაზე დაყვანა დამახასიათებელია მათემატიკისათვის, მათემატიკური ლოგიკისათვის [1] და არა დიალექტიკური ლოგიკისათვის. შინაგა-

[1] А. Тарский, Введение в логику и методологию дедуктивных наук, 1948, გვ. 138.

ნი განსხვავების გარეშე შეუძლებელია ლოგიკური რეფლექსია (და საერთოდ ყოველგვარი რეფლექსია). მსჯელობაში ადგილი აქვს ასეთ რეფლექსიას, რადგან „ერთეული არის ზოგადი“ იმას ნიშნავს, რომ პრედიკატი გამოთქვამს სუბიექტს, ზოგადი გამოთქვამს ერთეულს, ე. ი. ერთეულის ბუნება არის ზოგადობა. მაგრამ ეს გარემოება მსჯელობისათვის რაღაც არაადექვატურია, რომელიც (არაადექვატურობა) უნდა მოიხსნას; ეს კი განხორციელდება დასკვნაში, როგორც მსჯელობაზე უფრო მაღალ ლოგიკურში. მაშასადამე, ცნების განსაზღვრება არის მსჯელობა, მაგრამ არა მხოლოდ მსჯელობა.

§ 157. ცნების განსაზღვრება როგორც დასკვნა

განსაზღვრება არის მსჯელობა, მაგრამ, როგორც ითქვა, მსჯელობის სრულყოფა გვაძლევს დასკვნას. ასე ითქმის განსაზღვრებაზეც, როგორც მსჯელობაზე, რომლის სისრულით წარმოდგენა იქნება დასკვნა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ განსაზღვრება არის დასკვნა, ცნების განსაზღვრება დასკვნის ბუნებისაა.

განსაზღვრება არის არა ისეთი დასკვნა, როგორიცაა სილოგიზმი ან სხვა გამოყვანა–გამომდინარეობა, არამედ ის არის გარკვეული შუალობითი კავშირი, დასკვნა როგორც შუალობითი ერთიანობა. თუ განსაზღვრება არის უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის დადგენა, მაშინ იგი ორი მსჯელობის ერთიანობა ყოფილა, რადგან რაიმეზე უახლოესი გვარის და სპეციფიკური ნიშნის გამოთქმა ორი მსჯელობით უნდა შესრულდეს (წინადადება კი ერთი იქნება). ორი მსჯელობის ერთიანობა კი არის დასკვნა, როგორც შუალობითი კავშირი, მით უმეტეს, რომ ეს კავშირი შინაგან უარყოფას — დაპირისპირებას (კერძოს და ზოგადის განსხვავებას) შეიცავს, ამ დაპირისპირების ერთიანობას წარმოადგენს. მსჯელობათა ლოგიკური ერთიანობა მეტია მსჯელობაზე, ის დასკვნას წარმოადგენს.

თუ განსაზღვრება ზოგადისა და კერძოს ერთიანობის ბუნებისაა, მაშინ ის ორმნიშვნელოვანებას შეიცავს, არ არის ერთმნიშვნელოვანი. განსხვავების ორმნიშვნელობა (რასაც გერმანელები ეძახიან Zweiwertigkeit, Zweideutigkeit და Doppeldeutigkeit, მაგ. Heiss-ის და Günther-ის შრომებში[1]) არ ნიშნავს მის მხოლოდ ანტინომიურობას, არამედ ამის გადაწყვეტასაც. ეს ორმნიშვნელოვანება—დაპირის-

[1] იხ. ამ ნაშრომის წინასიტყვაობა.

პირება არის ერთიანობაში. განსაზღვრებაც ერთი აზრია და ცნებაც ერთ აზრს წარმოადგენს.

აქვე შეიძლება ისიც ითქვას, რომ თუ განსაზღვრება არის დასკვნა, მაშინ იგი შეიძლება იყოს დასაბუთებაც, დასაბუთება ხომ დასკვნის სახით ხორციელდება. თუ განსაზღვრება არის დასკვნა, მაშინ ის დასაბუთებაა. მაგრამ აქ საჭიროა აღინიშნოს განსაზღვრების, როგორც დასაბუთების, თავისებური გაგება. განსაზღვრება არის დასაბუთება იმ აზრით, რომ რაიმეს ლოგიკური განსაზღვრება არის მისი დადგენა ,ამ აზრით, დასაბუთება. რაიმეს აუცილებელი, ლოგიკური დადგენა არის მისი დასაბუთება. განსაზღვრების ასეთი გაგება სრულად ხორციელდება კატეგორიებში. განსაზღვრება კატეგორიის დადგენაა. კატეგორიის განსაზღვრება არის მისი ადგილის დადგენა სისტემაში, ეს კი დასაბუთებას წარმოადგენს. სწორედ განსაზღვრების საშუალებით დგინდება კატეგორიების ერთიმეორისადმი პირველადობა — მეორადობა, ე. ი. ხორციელდება მათი დასაბუთება. განმსაზღვრელი არის საფუძველი, განსაზღვრული — შედეგია, განსაზღვრება კი მათი აუცილებელი კავშირია. ყოველი ადგილის განსაზღვრება, ეს იქნება სრული სისტემის განხორციელება. ყოველ ცნებას აქვს ადგილი, რომელიც შემოსაზღვრულია. მთელ დასაბუთებას ასეთი ადგილი არ აქვს, ამიტომაც ამბობენ, რომ დასაბუთების დასაბუთება არ შეიძლება (მაგრამ აქ სრულდება თვითდადგენა. რომელსაც ჩვენ შემდეგ ვცავარკვევთ).

შეიძლება თქვან, რომ ახლახან თქმული არ ეხება ფორმალურ ლოგიკაში გარკვეულ განსაზღვრებას; განსაზღვრება, როგორც დასაბუთება, სულ სხვაა, ცნების განსაზღვრება კი სხვა. ეს აზრი ნაწილობრივ არის სწორი, მაგრამ არა მთლიანად, რადგან განსაზღვრება, როგორც უახლოესი გვარისა და სპეციფიკური განსხვავების დადგენა, ცნების ადგილის თავისებურ დადგენას წარმოადგენს. როცა ცნებას მოუნახავთ უახლოეს გვარს და იმას, რითაც იგი სხვა სახეებისგან განსხვავდება, ამით განსაზღვრება ცნების ადგილს ადგენს. ეს გარემოება კატეგორიების განსაზღვრებაში სისრულით ხორციელდება, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული, ანუ, რომ განსაზღვრება არის დასაბუთება, ამიტომ ის არ შეიძლება არ იყოს დასკვნა.

ყოველ შემთხვევაში, ნათელი უნდა იყოს, რომ რადგან განსაზღვრება შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც მსჯელობა ან როგორც დასკვნა, ამიტომ უნდა ითქვას, რომ განსაზღვრების ბუნე-

ბა ლოგიკურია. თუ განსაზღვრება არის ცნების დადგენა, მაშინ არ შეიძლება არ იყოს მსჯელობა თუ დასკვნა, რადგან როგორც ითქვა, განსაზღვრებაში ხორციელდება ცნება, ცნება არის მსჯელობის და დასკვნის შედეგი; ის არის დასკვნის ზოგადი აზრი, რომლის დასაწყისსაც მსჯელობის სუბიექტი წარმოადგენს. ამიტომ ისიც უნდა ითქვას, რომ განსაზღვრება არ არის სიტყვის განმარტება (როგორც ეს, მაგალითად, კოტარბინსკის ჰგონია[1]). განსაზღვრება არის ლოგიკური ფორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ცნებას ვერ დაადგენდა. განსაზღვრების დაწყებით იწყება ცნების დადგენა, განსაზღვრების დამთავრება ამთავრებს ცნების დადგენას. ცნება განსაზღვრების პროცესს თავიდან ბოლომდე გასდევს და ამ აზრით არის განსაზღვრების შედეგი. განსაზღვრების დასრულება ასრულებს ცნების განსაზღვრებას (შეიძლება ისიც ითქვას, რომ რომელიმე ცნების განსაზღვრებისათვის საჭიროა წინასწარ განისაზღვროს სხვა ცნებები. რომელიმე რთული, მაგალითად, სისტემის ბოლოს ან მის ახლოს მყოფი ცნების განსაზღვრება აუცილებლობით წინასწარ მოითხოვს სხვა ცნებების განსაზღვრებას. ეს საკითხი აქ ჩვენ უშუალოდ არ გვეხება).

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს განსაზღვრება, მსჯელობა, დასკვნა და დასაბუთება ერთი და იგივეა; ამის დაშვება სრული გაუგებრობა იქნებოდა (აზრის ლოგიკური ფორმები, როგორც სწორედ ლოგიკურის ფორმები, ერთი და იგივეს ფორმებია, იგივეობრივია გვარში). განსაზღვრება არის ლოგიკური ოპერაცია, რომელიც ცნებას ადგენს, მაგრამ ის არ არის მარტივი დადებითობა, არამედ ლოგიკურად რთულია, ე. ი. ისეთივე სირთულისაა, როგორი სირთულეც ახასიათებს მსჯელობას და დასკვნას. სამივე ლოგიკური ბუნებისაა, სამივე მოქცეულია დასაბუთების სისტემის სფეროში. განსაზღვრება შეიძლება გამოითქვას მსჯელობითაც, დასკვნითაც, რადგან სამივე ლოგიკური სირთულის ხასიათისაა. ამიტომ, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა და შემდგომ კი სისრულით გაირკვევა. განსაზღვრება არ უსწრებს წინ დასაბუთებას იმ აზრით, თითქოს ის არ იყოს ლოგიკური, თითქოს ის არდასაბუთებადი ხასიათის უშუალობა იყოს. ყველაფერი შეიძლება დასაბუთდეს, შეიძლება დასაბუთდეს დასაბუთებისათვის პირველიც, რადგან პირველის ადგილის დადგენაც ხომ დასაბუთება იქნება?

---

[1] Т. Котарбинский, Избранные произведения, Москва, 1963, გვ. 627.

წინა პარაგრაფების შინაარსიდან უშუალოდ გამომდინარეობს ცნების განსაზღვრების დიალექტიკურობა.

ლოგიკოსთა უმრავლესობის წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ ცნების განსაზღვრება არ არის ანალიზური, არ არის ტავტოლოგია, თუმცა განსაზღვრების, როგორც დებულების, პირდაპირი შებრუნება შეიძლება, რადგან, როგორც ცნობილია, განმსაზღვრელის და განსასაზღვრის ცნებები მოცულობით იგივეობრივ ცნებებს წარმოადგენენ; მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მოცულობით იგივეობრივი ცნებები შეიძლება შინაარსით სრულიად განსხვავებულნი იყვნენ. ცნებათა იგივეობა შინაარსით უნდა დადგინდეს, რადგან ერთი და იგივე სიმრავლის გამთვალისწინებელი ორი ცნება, როგორც ორი აზრი, შეიძლება არაფერს საერთოს არ შეიცავდეს. მაგალითად, ზოგიერთს ადამიანი ესმის როგორც ღვთაებრივი არსება, ზოგიერთს კი — როგორც იარაღის მკეთებელი ცხოველი; პირველი არის მცდარი ცნება, მეორე — სწორი. ამ ორ ცნებას, როგორც ორ აზრს, შორის საერთო არაფერია გარდა იმისა, რომ ორივეს ერთი და იგივე სიტყვა „ადამიანი“ აღნიშნავს. სიტყვა კი არ არის აზრი; აზრი ენობრივად სიტყვით გამოითქმის. თუ ორი კლასი შეიძლება იგივეობრივი იყოს, ორი თვისება არასოდეს არ არის იგივეობრივი (ამ გარემოებას აღიარებს კარნაპიც კი[1]).

როგორც ითქვა, განსაზღვრება შეიცავს უარყოფას, დაპირისპირებას, ამიტომ ის არის დაპირისპირებულთა ერთიანობის ბუნების მქონე. განსაზღვრების ასეთ გაგებამდე მისული იყო ძველი — ფორმალური ლოგიკაც, რამდენადაც განსაზღვრების მთავარ წესად მიჩნეული იყო უახლოესი გვარის და სპეციფიკური განსხვავების დადგენა. ასეთი განსაზღვრება არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რადგან გვარი არის ზოგადობა, სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშანი კი არის კერძო, ამიტომ განსაზღვრება არის კერძოსა და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობა, ამ ერთიანობის დადგენა. ფორმალურ ლოგიკური განსაზღვრების აქ აღნიშნული წესი, როგორც თქმულიდან ჩანს, არის უშუალოდ დაყრდნობილი გარკვეული კატეგორიების ერთიანობას, მაგრამ არ უდრის მას, წინააღმდეგ შემთხვევაში ძველი ლოგიკაც დიალექტიკური იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან ძველი ლოგიკისათვის და საერთოდ

[1] Р. Карнап, Значение и необходимость, გვ. 168.

ფორმალური ლოგიკისათვის გაუგებარია კატეგორიების ბუნება, საპირისპირო კატეგორიების ერთიანობის მიღება კი მისთვის დაუშვებელია, რადგან ეს გარემოება არ ეთანხმება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის აზრს. ლოგიკა ფორმალურ ლოგიკაში არ ამაღლებულა კატეგორიების ლოგიკამდე და ვერც ამაღლდებოდა. დიალექტიკური ლოგიკა კი, პირველ რიგში, არის კატეგორიების ლოგიკა.

ცნების განსაზღვრების დიალექტიკურობა გარკვეულად არის განხორციელებული კატეგორიების განსაზღვრებაში როგორც კატეგორიის ადგილის დადგენაში, სადაც ერთი კატეგორია მისი საპირისპირო კატეგორიით განისაზღვრება, რადგან პირველის ბუნებას მისი საპირისპირო გამოთქვამს. მაგალითად, თავისუფლება განისაზღვრება აუცილებლობის კატეგორიით; თავისუფლება არის შეგნებული და შინაგანი აუცილებლობა. შემთხვევითობაც აუცილებლობით განისაზღვრება; შემთხვევითობა არის აუცილებლობის არსებობის ფორმა. სასრულის კატეგორია განისაზღვრება უსასრულოს კატეგორიის გამოყენებით, მისი საშუალებით და პირიქით; ასევე, შესაძლებლობა განისაზღვრება სინამდვილით და პირიქით, ორივე ეს კატეგორია განსაზღვრავს აუცილებლობას და პირიქით. მიზეზობრიობა განისაზღვრება ურთიერთმოქმედებით, ეს კი თვითმიზეზობრიობით; მიზეზი განისაზღვრება შედეგით და პირიქით. აქ განსაზღვრულობის დადგენა არის იგივე, რასაც განსაზღვრება წარმოადგენს. კატეგორიების პირველადობა-მეორადობის დადგენა არის მათი განსაზღვრება. ასეთი განსაზღვრებები შეიძლება გამოითქვას მაგალითებით, მაგალითად: „ერთეული არის ზოგადი“, „ერთი არის მრავალი“, „სასრული არის უსასრულო“ (რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი), და სხვ.

მაშასადამე, ცნების განსაზღვრება დიალექტიკური ბუნებისაა.

§ 159. არსების და მისი დადგენის ნიშანი და ცნების განსაზღვრება

ცნება არის აზრი საგნის არსების შესახებ; მაგრამ საკითხავია, თუ როგორ უნდა გავიგოთ ის, თუ რა არის საგნის არსება; საგნის შემეცნების დროს როგორ უნდა დავადგინოთ ის, თუ როდის—შემეცნების რომელ საფეხურზე გვაქვს საქმე საგნის არსებასთან; როგორია აზრი საგნის არსებაზე? რა ნიშანი აქვს საგნის არსებას? რით შევატყობთ, რომელი ნიშნით შევატყობთ იმას, თუ როდის აღმოვაჩინეთ, დავადგინეთ საგნის არსება? რა ნიშანია საგნის არსების და მისი

აღმოჩენის ნიშანი? თუ ასეთი ნიშანი ვიცით, მაშინ, ცხადია, ადვილი იქნება ცნების განსაზღვრება, იმის გაგება, თუ რა არის ცნება.

აქ დასმულ კითხვებზე ფორმალურ ლოგიკაში არ არსებობს პასუხი, თუმცა ფორმალური ლოგიკის წარმომადგენლები ხშირად განმარტავენ ცნებას, როგორც აზრს საგნის არსებაზე (არსების გაგება, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ნიშნავს იმის გაგებას, თუ რას წარმოადგენს რაიმე; ეს რაიმე შეიძლება იყოს ობიექტური საგანიც და აზრიც: ცნება, მსჯელობა, დასკვნა). რომელიმე საგნის არსება მისი შემეცნების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვანაირად წარმოდგება. მაგალითად, ადამიანის არსებას სხვადასხვა დროს და ცოდნის სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვანაირად წარმოიდგენენ. ამის გამო ხშირად იყო არეული საგნის წარმოდგენა და საგნის ცნება.

ზემოთ წარმოებული მსჯელობანი საფუძველს გვაძლევენ განვსაზღვროთ საგნის არსება, მისი უარსებითესი ნიშანი და ამით შევგვიძლია დავადგინოთ ცნება როგორც აზრი საგნის არსებაზე. საქმე იმაშია, რომ არსებითის თვალსაზრისით საგნის ნიშნები სხვადასხვანაირი ბუნებისაა. ერთი მეორისგან განსხვავებენ და ჩვენც უნდა განვასხვავოთ საგნის (რაიმეს) არსებითი და არარსებითი ნიშნები. რაიმეს არაარსებითი ნიშანი ისეთია, რომლის უარყოფა საგანს (რაიმეს) არ ცვლის. ასეთი ნიშანი არის საგნისათვის შემთხვევითი; მაგალითად, წითელი ფერი მაგიდისათვის. ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ საგნის (რაიმეს) აუცილებელი და არსებითი ნიშანიც. ყოველი არსებითი ნიშანი აუცილებელია, მაგრამ არა პირიქით — ყოველი აუცილებელი ნიშანი არა არის არსებითი. მაგალითად, გეოგრაფიული გარემო აუცილებელია საზოგადოებისათვის, მაგრამ არ არის მისთვის არსებითი. იგივეობა აუცილებელია მსჯელობისა და დასკვნისათვის, მაგრამ არ არის არსებითი. გეოგრაფიული გარემოს უარყოფით უარიყოფა საზოგადოება, მაგრამ არა პირიქით (თუმცა გარემო სწორედ რაიმეს გარემოა). იგივეობის უარყოფით უარიყოფა მსჯელობაც და დასკვნაც, მაგრამ არა პირიქით, მსჯელობის და დასკვნის არარსებობა არ ნიშნავს საერთოდ იგივეობის არარსებობას, რადგან იგივეობრივი სხვა რამეც არის და იგივეობა და მსჯელობა-დასკვნა, ცხადია, არ არის ერთი და იგივე. ის ნიშანი, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმე, არის მისთვის აუცილებელი ნიშანი. აუცილებელი ნიშნის უარყოფა საგნის უარყოფას იწვევს (მაგრამ ასეთი რამ შეიძლება არსებითი არ იყოს).

მაგრამ თუ ნიშნის უარყოფა იწვევს საგნის (რაიმეს) უარყოფას და პირიქით, თუ, ამავე დროს, საგნის უარყოფაც იწვევს ნიშნის

უარყოფას, მაშინ საქმე გვაქვს არსებით ნიშანთან (განსაზღვრულობა და არა სიმბოლო). მაგალითად, წარმოების წესის უარყოფა იწვევს საზოგადოების უარყოფას და პირიქით. მტკიცება-უარყოფის ნიშნის უარყოფა იწვევს მსჯელობის და დასკვნა-დასაბუთების უარყოფას და პირიქით.

მაგრამ აქ არსებითი განსაზღვრულია უარყოფითი მხრივ, რადგან თუ ნიშანის უარყოფა საგნის უარყოფას ნიშნავს და პირიქით, მაშინ მხოლოდ ის არის დადგენილი, რომ ისინი ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ, ისინი ერთიმეორისათვის თავიდან მოუცილებელი არიან, განუყოფელი არიან და მეტი არაფერი. საჭიროა არსებითის დადებითი მხრივ განსაზღვრაც, სახელდობრ, იმის აღნიშვნა, თუ არსებითის უარყოფით მხარეს რა უნდა დაემატოს, რომ მივიღოთ არსების შესახებ სრული აზრი. არსებითი დადებითის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ნიშნის (განსაზღვრულობის) დადგენა ადგენს საგანს და პირიქით — საგნის დადგენა ადგენს მის ნიშანს. მაგრამ ესეც არსებითის ცალმხრივი წარმოდგენაა. რადგან შეიძლება რაიმე ნიშნის დადგენა ადგენდეს იმას, რისი ნიშანიც ის არის, და პირიქით. მაგრამ არსებასთან მაინც არ გვქონდეს საქმე (მაგალითად. ყურის ბიბილო და ცხვირის ქვეშა ღარი ადამიანისათვის). ამიტომ აუცილებელია, არსებითის ორივე — როგორც უარყოფითი ისე დადებითი — მხარეების გაერთიანება. ამით მივიღებთ არა მხოლოდ არსებითს, არამედ თვითონ არსებას, ე. ი. არსებითი წარმოდგება სრულად, რომელიც ასე გამოითქმება: ერთი რაიმეს დადგენა-უარყოფა მეორე რაიმეს ადგენს და უარყოფს და პირიქით.

მაგრამ ეს განსაზღვრება, როგორც ვიცით, არის სასრულის განსაზღვრება (ერთ-ერთი განსაზღვრებათაგანი, რომელიც ზემოთ იქნა განხილული). ამიტომ უნდა ითქვას, რომ აქ შესრულებული განსაზღვრება არის სასრულის არსების განსაზღვრება (ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმისა, რაც არსებითია სასრულისათვის). მაგრამ ზემოთ ისიც იყო გარკვეული, რომ სასრულის არსებას უსასრულო უნდა წარმოადგენდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებითის და არსების შესახებ აზრი კიდევ მოითხოვს დაზუსტებას, რომლის საბოლოო სახე. ჩვენი აზრით, შეიძლება შემდეგნაირად იქნას წარმოდგენილი: არსება არის ის, რის უარყოფაც მასვე ადგენს. ეს არსება არის უსასრულო. სასრულის არსება უსასრულოა.

თუ არსება არის ის, რის უარყოფაც მასვე ადგენს, მაშინ არსება ყოფილა წინააღმდეგობის ერთიანობა. სწორედ ასეთის ცნე-

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 244

ბა არის არსების შესახებ აზრი. სასრულის უსასრულოს შესახებ აზრი არის ცნება, რაც წინააღმდეგობის ერთიანობას სისრულით კი არ წარმოადგენს, არამედ — მხოლოდ მისი ზოგადობის მხრივ. ცნება არის უსასრულოს შესახებ ერთიანი აზრი.

ცნება არის აზრი იმის შესახებ, რის უარყოფაც მასვე ადგენს. აქედან ჩანს, რომ ჩვენ არ გვაქვს ყველა იმ საგნის ცნება, რომლის ცოდნაც გვაქვს. ბევრი რამ ვიცით, მაგრამ მის შესახებ შეიძლება ცნება არ ვიქონიოთ. ცნება არის ცოდნა, მაგრამ არა პირიქით; ყოველი ცოდნა არ არის ცნება. მაგრამ ცოდნა შეიძლება იყოს ცნების რომელიმე მომენტის ცოდნა. ამიტომ არის ცნება ცოდნის განვითარების შედეგი. ცნების მომენტის ცოდნა ხშირად მიღებულია ცნებად. ეს არ არის შეცდომა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რასაც წარმოადგენს სრული ცნება, რომლის განსაზღვრებაც ზემოთ მოვიყვანეთ.

ის, რის უარყოფა მასვე ადგენს, არის არსება, რომლის შესახებ აზრსაც ცნება წარმოადგენს. მაგალითად, იგივეობის ცნება, უარყოფის ცნება, კერძოს ცნება და სხვ. მაგრამ, როგორც ამას შემდეგ თავში ვიხილავთ, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის დასკვნა. ამიტომ ვამბობთ, რომ ცნება არის დასკვნის ზოგადი აზრი (მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ).

რა არის მოძრაობა-განვითარება? რა არის მოძრაობა-განვითარების არსება? ეს არის შინაგანი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ეს დასაბუთებულია დიალექტიკურ მატერიალიზმში—მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში. წინააღმდეგობის ერთიანობის ცნება და მოძრაობა-განვითარების ცნება ერთი და იგივე ცნებაა. უსასრულო განვითარების არსება დასრულებული სახით მის ცნებაშია გამოთქმული. ყოველი მოძრაობა-განვითარებაში მყოფი საგნის არსება იქნება მისი შინაგანი წინააღმდეგობა. ყოველ საგანში არსებული წინააღმდეგობის ერთიანობის ზოგადი აზრი არის ცნება; სრული სახით წარმოდგენილი წინააღმდეგობის ერთიანობა არის გარკვეული დასკვნა, რომელიც ჩვენგან დაწვრილებით განხილვას მოითხოვს.

§ 160. ცნების ცნება

საგნის არსების შესახებ აზრი არის ცნება. ცნება არის აზრი იმის შესახებ, თუ რა არის რაიმე. ასეთი არსება არის უამრავი, უსასრულოდ ბევრი. ამიტომ არსებობს ბევრი ცნება. შესაძლებელია უსასრულოდ ბევრი ცნება. ასეთი ცნებები საგანთა არსების

შესახებ აზრებს წარმოადგენენ. მაგრამ ჩვენ ვიცით და შეიძლება ვიცოდეთ ისიც, თუ რა არის თვითონ ცნება, შეგვიძლია ცნების განსაზღვრება, მისი დადგენა. აზრი იმის შესახებ, თუ რა არის საერთოდ ცნება, იქნება ცნება ცნების შესახებ, ცნების ცნება. ეს ცნება შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. ცნება, როგორც აზრის ფორმა, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. ის ერთზე მეტი რომ იყოს, მაშინ მათ შესახებ აზრი მაინც ერთი იქნებოდა. ის, თუ რას ჰქვია ცნება, არ შეიძლება ერთზე მეტი იყოს. ცნების ცნება იგივეა, რაც ცნების კატეგორია. ცნება არის ერთ-ერთი ლოგიკურ კატეგორიათაგანი. ცნების ცნება, ეს იგივეა, რაც ცნება როგორც ცნება. ის არის ლოგიკურის კატეგორია.

ასევე ითქმის მსჯელობის ცნების შესახებაც. მსჯელობის ცნება არის ის, თუ რა არის მსჯელობა, ეს არის მსჯელობის კატეგორია. ამ აზრით, მსჯელობაც ლოგიკურის კატეგორიაა. დასკვნის ცნებაც ლოგიკურის კატეგორიას წარმოადგენს. არსებობს ლოგიკურის სამი ფორმა: ცნება, მსჯელობა და დასკვნა, რომლებიც ლოგიკურის კატეგორიებს წარმოადგენენ (იხ. ზემოთ ლოგიკურის კატეგორიებზე).

ცნების ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფაც არის ცნება. ცნების უარყოფისას მოიხმარება უარყოფის კატეგორია. ცნების უარყოფა არა მხოლოდ შეუძლებელია, არამედ ცნების ეს უარყოფა თვითონ ადგენს ცნებას. ამიტომ ცნება არის რეფლექსური, რეფლექსურ-ლოგიკური. რომელიმე საგნის ცნება არ არის საგანი, არამედ სწორედ საგნის ცნებაა, მაგრამ ცნების ცნება თვითონ არის ცნება. ცნების ცნებაც არის ცნება და ცნების უარყოფაც არის და ადგენს ცნებას.

ცნების ცნებაში ორი ცნება კი არაა, არამედ ერთი, მაგრამ შინაგანად გაორებული; ეს არის, ასე ვთქვათ, თავისთავისადმი მიმართული ცნება. მსჯელობის ცნება, როგორ მსჯელობის შესახებ აზრი, განსხვავდება მსჯელობისაგან, ისე როგორც დასკვნის ცნება — დასკვნისაგან, მაგრამ მსჯელობის ცნება, როგორც მსჯელობის აზრი — ის, თუ რა არის მსჯელობა, წარმოადგენს მსჯელობას, სახელდობრ. მსჯელობას საერთოდ, მსჯელობის კატეგორიას. ასე ითქმის დასკვნაზეც.

ის, რომ ცნების ცნება არის ერთი ცნების გაორება, ნათლად ჩანს ცნების უარყოფით ცნებისვე დადგენაში. ცნების უარყოფით ხდება ცნებისვე დადგენა, მსჯელობის უარყოფით კი მსჯელობისვე დადგენა სრულდება (მსჯელობის უარყოფაც მსჯელობაა; უარყოფა, ისე როგორც დადგენა, არის მსჯელობა). უარყოფა გულისხმობს

უარყოფილს და უარმყოფელს (როგორც ეს ზემოთ იყო გარკვეული), მაგრამ დასკვნის უარყოფაც რაღაცას ადგენს. ამიტომ აქაც ადგილი აქვს ისევ დასკვნის დადგენას, რადგან უარყოფით დადგენა არის ლოგიკური გაშუალება, ამ აზრით, დასკვნა.

ცნების შინაგანი გაორება. როგორც ცნების ცნება, ცნების რეფლექსურობაა. ეს რეფლექსურობა გარკვეულია, რადგან შეუძლებელია ცნების ცნების ცნება. ცნების ცნება თავის თავს ამოწურავს, ის აღარ საჭიროებს ახალ ცნებას თუ ახალ რეფლექსიას. თუ ვიცით ის. თუ რა არის ცნება, ამით საქმე დამთავრებულია. ამიტომ არ არსებობს უსასრულო რეგრესის საშიშროება. უსასრულო რეგრესის საშიშროება არსებობს სასრულისათვის, ცნების ცნება კი უსასრულო ლოგიკურის ბუნებისაა, რადგან ცნების უარყოფა მასვე ადგენს.

ის გარემოება, რომ ცნების ცნება ლოგიკურად რეფლექსურია, არავითარ პარადოქსალურობას არ შეიცავს, რადგან ის არის ლოგიკური უსასრულობის მქონე. ცნების ცნება შინაარსეული ზოგადობაა. ცნება რომ გავიგოთ როგორც მხოლოდ მოცულობითი ზოგადი, მაშინ ცნების ცნების შესახებ დაისმება საკითხი: ის შედის თავის თავში, როგორც ელემენტი თუ არა? შეიქმნება რასელის პარადოქსის მსგავსი პარადოქსი (სიმრავლის, როგორც თავის თავის ელემენტად შემცველი სიმრავლის, პარადოქსი. ეს პარადოქსიც ადვილად გადაწყდება შინაარსეული ზოგადის და უსასრულო ლოგიკურის საფუძველზე). ცნება არც მხოლოდ მოცულობითი ზოგადია და არც სიმბოლო. ცნების ცნება არის შინაარსეული ზოგადი, კატეგორია, სახელდობრ, ლოგიკურის კატეგორია. მისი როგორც დადგენა, ისე უარყოფა მასვე მოიხმარს. ცნება მოიხმარება თავის მიმართაც. ის არ არის შინაარსეული კერძო, რომელიც სხვა ზოგადს საჭიროებდეს და ა. შ. ის არის უსასრულო ლოგიკურის ბუნების მქონე შინაარსეული ზოგადი და ამიტომ პარადოქსალურობა მოხსნილია.

რეფლექსურობა პარადოქსებს იწვევს მათემატიკურ ლოგიკაში და არა დიალექტიკურ ლოგიკაში, რომელიც სწორედ ლოგიკური რეფლექსობის ლოგიკას წარმოადგენს. ლოგიკური პარადოქსების სრული მოხსნა შეიძლება მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში. ცნების ცნების რეფლექსურობა, სახელდობრ, ის, რომ ცნების უარყოფა მასვე ადგენს, შემცველია „ორმნიშვნელოვანების“, რომლის დაყვანა ერთმნიშვნელობაზე (რასაც ადგილი აქვს მაგ., რასელის ტიპების თეორიაში) იწვევს სიძნელის გადაუწყვეტლობას, მის ღიად დატოვებას. დიალექტიკური ლოგიკური, სახელდობრ, უსასრულო

ლოგიკური შეიცავს ორმნიშვნელოვანებას — დადგენას უარყოფით. სადაც უარყოფას დაღებითი აზრიც აქვს. ეს არ არის არც ერთმნიშვნელოვანების და არც ორმნიშვნელოვანობის გაუქმება, ორმნიშნელოვანების მომხსნელი და შემნახველია, მისი შემცველი ერთმნიშვნელოვანია [1].

§ 161. ცნების გაყოფა

ცნების განსაზღვრების ბუნების განხილვა ჩვენ დავამთავრეთ ცნების ლოგიკური რეფლექსურობის გარკვევით. აღინიშნა, რომ ცნების ლოგიკურ რეფლექსურობაში ადგილი აქვს ერთგვარ შინაგან გაორებას. ეს გარემოება გასაგები იქნება, თუ იმასაც მოვიგონებთ, რაც ზემოთ ითქვა ცნების, როგორც კერძოს და ზოგადის ერთიანობის, შესახებ. ისიც ითქვა, რომ ცნების განსაზღვრებაში დგინდება ზოგადის და კერძოს ერთიანობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ცნების დადგენა მისი ამ მომენტების დადგენაცაა, ამ მომენტების დადგენის გზით ხორციელდება. ამიტომ ბუნებრივია, რომ ცნების რეფლექსურობაში სწორედ ცნების მომენტები აღდგეს. ცნების რეფლექსურობა, როგორც შინაგანი გაორება — თავის თავისადმი დაპირისპირება, ადგენს ცნების მომენტებს, ცნების ცნების, როგორც უსასრულო ლოგიკურის, მომენტებს; ამ გაორებაში დაპირისპირებულები არიან შინაარსეული კერძოები, ცნება, როგორც ასეთი კი მათი გაუყოფელი ერთიანობა — ძირია, მათი ერთი აზრია. მაშასადამე, უნდა ითქვას, რომ ცნების ცნებიდან, როგორც ცნების რეფლექსურობიდან, გამოდის ცნების გაყოფა; ანუ სხვანაირად: ცნების განსაზღვრება გადადის ცნების გაყოფაში.

როგორც ითქვა, თუ შეიძლება ცნების ცნება, როგორც ცნების რეფლექსია, მაშინ ცნება იგივეა, რაც მის შესახებ ცნება; ცნების ცნება არის ერთი ცნება, როგორც კატეგორია. აქამდე მისული იყო ფორმალური ლოგიკა სწორედ ცნების განსაზღვრების გარკვევისას, უკეთ კი — ცნების გაყოფის ბუნების დადგენის დროს. ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით, ცნების განსაზღვრებაში დგინდება სწორედ ცნება. ცნების გაყოფაში ცნების „ნაწილები" დგინდება, სადაც ცნება უდრის მის „ნაწილებს" — სახეებს. ამას მოითხოვს ცნების გაყოფა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი არ ექნებოდა ცნების გაყოფას. ცნების გაყოფის დროს გასაყოფი არის სწორედ ცნე-

[1] ასე უნდა გადაწყდეს ის სიძნელე, რომელზედაც თავს იმტვრევენ, მაგ. Heiss-ი და G. Gilnther-ი, რომლებიც ვერ აბრკვევენ სიძნელიდან გამოსავალ მართებულ გზას.

ბა, გაყოფის წევრების ერთიანობაც იგივე ცნებაა; თუმცა ერთ შემთხვევაში აღებულია „გვარი“ განსხვავების გარეშე, მეორე შემთხვევაში კი აღებულია იგივე ცნება განსხვავებაში. გაყოფის წევრები ამოწურავენ გასაყოფ ცნებას. აქაც ადგილი აქვს ლოგიკურ რეფლექსიას ცნებისა თავის თავში.

ცნების ფორმალურ-ლოგიკური გაყოფისას გვარი — გასაყოფი ცნება არის გარკვეული ნიშანი, სახეებს — გაყოფის წევრებს აქვთ სპეციფიკური ნიშნები, ასე რომ ცნების შინაარსის თვალსაზრისით, გასაყოფია ნიშანი და მისი გაყოფით უნდა დადგინდეს სპეციფიკური ნიშნები (მაშინ როცა, როგორც ცნობილია, გვარიდან არ გამოდის სახეები), მაგრამ ეს გარემოება ვერ განხორციელდა ფორმალურ ლოგიკაში, თუმცა, ცნების გაყოფის თვალსაზრისით, უნდა განხორციელებულიყო, უნდა შესრულებულიყო გაყოფის მოთხოვნა; ე. ი. უნდა იყოფოდეს გაყოფის საფუძველი და არა მხოლოდ მისი, როგორც ნიშნის, მიხედვით ხდებოდეს გაყოფა, როგორც ამას ადგილი აქვს ფორმალურ ლოგიკაში.

როგორც ცნობილია, გაყოფის წევრები შეიძლება იყოს ბევრი (მაგალითად, სამკუთხედი არის ან მართკუთხა, ან ბლაგვკუთხა, ან მახვილკუთხა), მაგრამ გაყოფითი დასკვნის, როგორც დასკვნის, — ლოგიკური აუცილებლობის თვალსაზრისით, გაყოფა უნდა იყოს დიხოტომიური; გასაყოფი უნდა იყოფოდეს ორ წევრად: „ეს და სხვა“, მაგრამ აქ „და“-ს ადგილზე უნდა იყოს „ან“, გაგებული როგორც გამორიცხვა (მაგალითად „ეს არის ან მართკუთხა სამკუთხედი ან სხვა“). „ეს ან სხვა“ იძლევა დასკვნის აუცილებლობას ფორმალურ ლოგიკაში: „თუ ეს არის, მაშინ არ არის სხვა და პირიქით“ (შებრუნებაც შეიძლება).

მაგრამ დიხოტომიური გაყოფა ფორმალურ ლოგიკაში შეიცავს გაურკვევლობას, სახელდობრ, იმას, რომ „სხვა“ არის გაურკვეველი, ე. ი. დიხოტომიური გაყოფის მეორე წევრი გაურკვეველია, რადგან მასში სხვადასხვა რამ იგულისხმება და არა ერთი გარკვეული რამ, როგორიც პირველი წევრია. ეს გაურკვევლობა იხსნება კატეგორიების სფეროში, სადაც, როგორც ვიცით, ორი ერთიმეორის საპირისპირო არის ერთიმეორის გამომრიცხველიც — საწინააღმდეგოც; წინააღმდეგობას ორი სრული მხარე აქვს, ისიც ორივე სრულიად გარკვეული — ურთიერთ-გამომრიცხავი (და ურთიერთდამდგენი).

თუ გაყოფა დიხოტომიურია, მაგრამ ისეთი დიხოტომიური, სადაც ორივე წევრი გარკვეულია, მაშინ ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს

გაყოფა დიხოტომიური კი არაა, არამედ ტრიხოტომიურია, რადგან გაყოფის წევრებთან ერთად გასაყოფი იქნება მესამე წევრი. ამის თქმა არ შეიძლება ფორმალური ლოგიკის სფეროში, რადგან აქ „მესამე“ წევრი იგივეა, რაც ერთად აღებული გაყოფის ორი წევრი, მაგრამ აქაც არის გაურკვევლობა, რადგან გასაყოფი უნდა უდრიდეს გაყოფის წევრთა ჯამს მხოლოდ მოცულობით, შინაარსეულად კი არ უნდა უდრიდეს, რადგან სახეთა სპეციფიკური ნიშნების ჯამი არ არის გვარის ნიშანი; გვარში, როგორც ნიშანში, სახის ნიშანი ზედმეტია, მასში არ შედის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გვარი კი არა სახე იქნებოდა. ეს გაურკვევლობაც იხსნება კატეგორიების სფეროში, რადგან წინააღმდეგობის ერთიანობაში წინააღმდეგობის მხარეები არიან სრული სასრული კერძოები, ერთიანობა კი არის მათგან განსხვავებული, მაგრამ — არა სასრული, კერძო; ერთიანობა არ არის ისეთი, როგორიცაა წინააღმდეგობის ერთი მხარე, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო გახდებოდა ახალი ერთიანობა და ა. შ. უსასრულოდ.

ამრიგად, კატეგორიების სფეროში დიხოტომიური გაყოფა ნამდვილად არის ტრიხოტომიური, ე. ი. რაც გაყოფის წევრების თვალსაზრისით დიხოტომიურია, მთლიანად ცნების გაყოფის თვალსაზრისით არის ტრიხოტომიური, სადაც გაყოფის ორი წევრი არ უდრის მთელს — ერთიანობას, რომელიც არ არის გაყოფის ერთ-ერთი წევრთაგანი, თუმცა მის გარეშე წევრები არაფერია. ამ ტრიხოტომიურობაში ერთიანობა, როგორც „მესამე“, არის სწორედ ორი წევრის ერთიანობა, მაგრამ ისეთი, სადაც ორი წევრი, როგორც წინააღმდეგობის მხარეები, ამოსწურავენ სასრულის სფეროს, მათი ერთიანი ძირი კი არის სასრულის შემცველი უსასრულო. ამრიგად, გაყოფის ტრიხოტომიურობა მართლდება დიალექტიკაში. გაყოფის ტრიხოტომიურობა უდრის წინააღმდეგობის ერთიანობას. ცნება, როგორც კერძოს და ზოგადის ერთიანობა, იყოფა მის მომენტებზე, მაგრამ არ უდრის მათ, ის არის დაპირისპირებულთა ერთიანობა.

თუ განსაზღვრება ადგენს კერძოს და ზოგადის ერთიანობას, როგორც ცნებას — შინაარსეულ ზოგადს, გაყოფა ცნებას ყოფს კერძოებად. ასე გადადის განსაზღვრება გაყოფაში, როგორც მის განვითარებაში, რადგან ცნების გაყოფა მიდის უსასრულობამდე, მაგრამ ისე, რომ ცნების გაშლა აუცილებელია ლოგიკური უსასრულობის სრულად დადგენისათვის.

ამ პარაგრაფში გავაკეთებთ დასკვნას ზემოთ თქმულიდან და დავსვამთ ახალ საკითხს, რომელზედაც პასუხს გავცემთ მომდევნო თავში.

ცნება არის არსების შესახებ აზრი, აზრი იმის შესახებ, თუ რა არის რაიმე. ამ საკითხის ლოგიკიდან ამოღება არ შეიძლება, რადგან, როგორც ითქვა, ყველაფერზე, კერძოდ ლოგიკურზე და მის ფორმებზე შეიძლება და უნდა დაისვას კითხვა: „რა არის ეს“ და მას პასუხი სწორედ ლოგიკამ უნდა გასცეს.

გაირკვა, რომ საგნის არსება, ეს არის უსასრულო სასრულში. ამიტომ ცნება უნდა იყოს აზრი უსასრულოზე. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს არ არსებობს სასრულის ცნება, არა, სასრულის ცნება არის სწორედ უსასრულოს ერთმხრიობის (თუ ცალმხრიობის) ცნება. სასრული და უსასრულო განუწყვეტელ ერთიანობაშია. შეუძლებელია უსასრულოს ცნება სასრულის გარეშე და პირიქით — სასრულის ცნება უსასრულოს გარეშე. ეს ორი ცნება საბოლოოდ ერთსა და იმავე ცნებას შეადგენენ. შესაძლებელია ცნება ყოველი ერთმხრივის შესახებ. უსასრულოს და სასრულის ცნებების დამოკიდებულების სიძნელე, როგორც თქმულიდან ჩანს, ადვილად წყდება შინაარსეული ზოგადის საფუძველზე. სრული შინაარსეული ზოგადი არის უსასრულო, მისი რომელიმე მხარე არის სასრული, სრული სასრული წინააღმდეგობის ერთი მხარეა. სრული ზოგადობა და წინააღმდეგობის ერთიანობის ზოგადობა ერთი და იგივე ზოგადობაა.

ცნების განსაზღვრება არის ზოგადის და კერძოს ერთიანობის დადგენა, ე. ი. ეს ერთიანობა არის ცნება; ცნებაც და მისი განსაზღვრებაც დაპირისპირებულთა ერთიანობაა.

სასრულია მსჯელობა და გარკვეული დასკვნები, რომლებიც იძლევიან ცნებას როგორც მათ ზოგად აზრს. სასრულის ზოგადი აზრი უნდა იყოს უსასრულო. ლოგიკურში სასრული არის პირობითობა — „თუ-მაშინ“. პირობითობას აზრს აძლევს უპირობო, რაც უნდა იყოს ცნება. მაშასადამე, ცნება არის ლოგიკურად უპირობო, უსასრულო.

ცნება უნდა იყოს უსასრულო, მაგრამ ის არ არის უსასრულო, რამდენადაც იგი დასკვნის მხოლოდ ზოგად აზრს წარმოადგენს; ცნება, ცხადია, არ არის სრული შუალობითი კავშირი, რომელიც

დასკვნას წარმოადგენს, ეს დასკვნა სრულიად გარკვეული სახისაა, ის არის უსასრულო დასკვნა. ამრიგად მივიღეთ: ცნება არის უსასრულო, მაგრამ ის არ არის უსასრულო (ანუ: ცნება უნდა იყოს დასკვნა, მაგრამ არ არის დასკვნა); ეს ანტინომია წყდება უსასრულო დასკვნაში, ასე რომ ცნებაზე მაღლა დგას უსასრულო დასკვნა (წინააღმდეგ ჰეგელის თვალსაზრისისა). სწორედ ამ დასკვნაში მართლდება ცნება; ე. ი. აქ ხდება ცნებიდან უსასრულო დასკვნაზე გადასვლა.

თავი მეხუთე (9)

უსასრულო დასკვნა

1. უსასრულო დასკვნის ცნება

§ 163. ლოგიკური შუალობითობის სისრულე

როგორც ითქვა, ყოველი განსაზღვრება გაშუალებას წარმოადგენს. რაიმე განსაზღვრავს რაიმეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი მეორეს აშუალებს. ლოგიკური დაქვემდებარება არის გაშუალება. უშუალო შეიძლება იყოს დასაწყისი, მაგრამ დაწყება უკვე გაშუალებაა. შეიძლება გამშუალებელი წინ უსწრებდეს გაშუალებულს. მაგრამ შეიძლება იგი შემდეგიც იყოს, თუკი ეს შემდეგი წინამავალისათვის აუცილებელია. დასკვნაში არა მარტო შედეგი — დანასკვი არის გაშუალებული, არამედ — საფუძველიც—წანამძღვრებიც.

არსებობს სასრული გაშუალება. სასრული გაშუალება არის სხვით გაშუალება. სრული სასრული გაშუალება არის გაშუალება საწინააღმდეგოთი. საწინააღმდეგონი ერთიმეორეს სისრულით აშუალებენ. საწინააღმდეგოს საშუალებით გაშუალება არის სრული სასრული გაშუალება. ეს ასეა, რადგან წინააღმდეგობას მხოლოდ ორი სრული სასრული მხარე აქვს. ასეთი მესამე გამორიცხულია.

სასრული გაშუალება ეყრდნობა პრინციპს „თუ — მაშინ“. სასრული გაშუალება არ არის სრული გაშუალება, რადგან იგი პირობითი ხასიათისაა. არსებობს უსასრულო ლოგიკური, რომელშიც ხორციელდება ლოგიკურის კატეგორიის აზრი— სრული ლოგიკური გაშუალება. ეს არის არა მარტო საწინააღმდეგოთი გაშუალება, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობა, რაც სრულ გაშუალებას წარმოდგენს. სრული გაშუალება იგივეა, რაც უსასრულო ლოგიკური. სრული გაშუალება — წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში — არის „თუ — მაშინ“-ის გამართლება თვითდადგენაში, თუ ეს თვითდადგენა არ არის ტავტოლოგია, თუ ის სინთეზურია, უფრო ზუსტად, თუ იგი შინაგანი უარყოფით ხორციელდება. სრული ლოგიკური გაშუალება, ეს იქნება სრული სინთეზურობა, შინაარსეული ზოგადობის სრული განხორციელება, შინაგანი უარ-

ყოფით — შინაგანი წინააღმდეგობით თვითდადგენა. სრული გაშუალება გვექნება მაშინ, როცა შესრულდება რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. შესაძლებელია თუ არა ასეთი გაშუალება? თუ შესაძლებელია, მაშინ რაში მდგომარეობს იგი? რომ ასეთი გაშუალება შესაძლებელი და აუცილებელია, ამას მოწმობს ლოგიკურის კატეგორიის არსებობა; ასეთი გაშუალება აუცილებელია მსჯელობის, სასრული დასკვნის და ცნების გამართლებისათვის.

§ 164. უსასრულო (უპირობო) ლოგიკურის ცნება

არსებობს უსასრულობის სხვადასხვა გაგება: 1) უსასრულო არის მხოლოდ და მხოლოდ სიმრავლე (არისტოტელე, ბოლცანო, კანტორი და სხვ.); 2) არსებობს არა მარტო რაოდენობრივი უსაზრულო, არამედ თვისობრივი უსასრულოც; რაოდენობრიობის უსასრულობა მის თვისობრიობაში მდგომარეობს (ჰეგელი, დიალექტიკური მატერიალიზმი). სხვანაირად, არსებობს უსასრულობის შემდეგნაირი გაგებანი: 1) უსასრულო არის პოტენციალური უსასრულო, ეს არის არაბოლოვადი სასრული, დაუსრულებლობა. არასასრულობა, „ცუდი“ უსასრულო, უარყოფითი უსასრულო. მაგალითად, კანტის იდეა, როგორც Sollen-ი, ის, რაც უნდა იყოს, მაგრამ არასდროს არ განხორციელდება; ნატურალურ რიცხვთა დაუსრულებლობა; დროსა და სივრცეში მოძრაობა-განვითარების დაუსრულებლობა, და სხვ. 2) უსასრულო არის აქტუალური უსასრულო, მაგალითად, ა) ფიქსირებული უსასრულოდ მცირე და ბ) ფიქსირებული, მუდმივი უსასრულოდ დიდი. ასეთი უსასრულობის თვალსაზრისი მისტიკური თვალსაზრისია (როგორც ეს კ. მარქსმა აღნიშნა[1]). 3. უსასრულო არის „ჭეშმარიტი“ უსასრულო, დადებითი უსასრულობა (ჰეგელის თვალსაზრისით, ასეთი უსასრულობა თვისობრივი უსასრულობაა). 4) უსასრულობა არის წინააღმდეგობის ერთიანობა, ის არის კანონი. ზოგადობა (ფ. ენგელსი). უსასრულო არის სასრულოში (ფ. ენგელსი), უსასრულოს და სასრულის ერთიანობა აუცილებელია (ვ. ი. ლენინი). სასრულის და დაუსრულებლის ერთიანობა არის უსასრულო, დადებითი დაუბოლოებელი[2].

ყველაფერი ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს არსებობს რამდენიმე უსასრულო, უსასრულოს რამდენიმე ცნება; არა, ასეთის დაშვება იქნებოდა ლოგიკური შეცდომა. უსასრულოს ცნება შეიძლება

---

[1] კ. მარქსი, მათემატიკური ხელნაწერები, გვ. 77.

[2] იხ. ჩემი ნაშრომი, „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“, 1956 წ., გვ. 111 და შემდეგ.

იყოს მხოლოდ ერთი. პოტენციალური უსასრულობა შესუსტებული უსასრულობაა. შესუსტებული უსასრულობა უკვე აღარ არის უსასრულობა. ფიქსირებული უსასრულობა, ეს არის სასრულად წარმოდგენილი უსასრულობა, რომელიც ან მისტიკურია, ან სასრულის და უსასრულოს ერთიანობაა. მათემატიკურ უსასრულო მცირეში და უსასრულო დიდში ერთი და იგივე უსასრულობაა განხორციელებული. ეს გარემოება პირველად შენიშნა კუზანელმა, როცა ის აღნიშნავდა, რომ მაქსიმუმი უდრის მინიმუმს. უსასრულოდ მცირე და უსასრულოდ დიდი უსასრულობის მხრივ ერთი და იგივეა. დაუსრულებელი ცვალებადობა, მოძრაობა, განვითარება შინაგანად გარკვეულია, ამ აზრით დასრულებულია. უსასრულობა მის ცნებაში დასრულებულია.

პირველად კანტორმა აღნიშნა, რომ უსასრულობა შეიძლება დასრულებულად იქნეს მოცემული, ცხადია, არა მოცულობის მხრივ (უსასრულოს დათვლა არ შეიძლება, დათვლადი მხოლოდ სასრულია), არამედ შინაარსით, ზოგადი ნიშნით. მან პირველად განმარტა უსასრულო დადებითად: უსასრულო არის სიმრავლე, რომელიც ექვივალენტურია მისი რომელიმე ნაწილისადმი. უსასრულო სიმრავლე არის ტრანსფინიტური რიცხვი, მაგრამ ტრანსფინიტური რიცხვებიც უსასრულოა. ასე რომ უსასრულო დასრულებულიც გამოდის და არც გამოდის დასრულებული. იქმნება პარადოქსალური მდგომარეობა. უსასრულობის ცნება ხშირად იწვევდა პარადოქსებს.

ცნობილია პარადოქსი, რომელიც კანტორის სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობას გამოხატავს; ეს არის ბურალი-ფორტის პარადოქსი: რიცხვთა უსასრულო რიგი (ნატურალური რიცხვები და ტრანსფინიტური რიცხვები), როგორც ნორმალურად დალაგებული სიმრავლის ტიპი არის ახალი რიგითი რიცხვი, რომელიც მეტია ყოველ რიგით რიცხვზე, მაგრამ რიცხვთა უსასრულო რიგი შეიცავს ყველა რიგით რიცხვს, მათ შორის ამ ახალ რიგით რიცხვსაც, ამიტომ იგი ნაკლებია იმაზე, რის მიმართაც იყო მეტი; ის მეტიც არის და ნაკლებიც ერთსა და იმავე რიცხვზე. ეს გამოუვალი წინააღმდეგობაა — პარადოქსია.

აღსანიშნავია რასელის პარადოქსი: შეიცავს თუ არა სიმრავლეთა სიმრავლე. როგორც სიმრავლე, თავის თავს როგორც ელემენტს? თუ ის შეიცავს თავის თავს, მაშინ არ უნდა შეიცავდეს, რადგან ის სწორედ ყველა სიმრავლეთა სიმრავლეა. მაგრამ თუ ის არ შეიცავს თავის თავს, მაშინ ის,როგორც ყველა სიმრავლის შემცველი, უნდა შეიცავდეს თავის თავს. ეს კი გამოუვალი წინააღმდეგობაა, პარადოქსია. რა იწვევს ამ და ასეთ პარადოქსებს? ამ კითხ-

ვზე პასუხი მოგვცემს მითითებას იმაზე, თუ სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი.

როგორც აღნიშნავენ (ჰაისი, გიუნთერი[1]), აქ დასაბელებულ პარადოქსებს იწვევს რეფლექსურობა, რომელიც არ თავსდება ერთმნიშვნელოვანებაში, მისთვის აუცილებელია ორმნიშვნელოვანება (Zweideutigkeit, Zweiwertigkeit, Doppeldeutigkeit). სიძნელეს ქმნის რეფლექსურობა და მისთვის დამახასიათებელი ორმნიშვნელობა, თუ აზრის ჰეშმარიტება გაგებულია მხოლოდ როგორც ერთმნიშვნელოვანება. სიძნელიდან გამოსავლის, პარადოქსების დაძლევის საშუალებად მიიჩნევენ ერთმნიშვნელოვანების გზით ორმნიშვნელოვანობის მოხსნას, ამით რეფლექსურობის მოხსნას. თუმცა არის იმის ცდაც, უკეთ, დაპირება (გ. გიუნთერი), რომ რეფლექსურობის და ორმნიშვნელოვანების ფაქტი ახსნას ისევ მათემატიკური მეთოდებით.

ის გარემოება, რომ სიტყვის ორმნიშვნელოვანება არის ბუნდოვანება, გაურკვეველობა, რომელიც უნდა მოიხსნას, ცხადია, დავას არ შეიძლება იწვევდეს. ყოველ სიტყვას გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და არა ბუნდოვანი, გაურკვეველი. მაგრამ რეფლექსიის ორმნიშვნელოვანება სრულიად სხვაგვარი ხასიათისაა (როგორც ამას გ. გიუნთერიც აღნიშნავს.

როგორც ცნობილია, პარადოქსების დაძლევის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად მიიჩნევენ რასელის ტიპების თეორიას. მართალია, კლასი „ადამიანი“ არ არის ადამიანი, ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე არ არის ნატურალური რიცხვი, მაგრამ სიმრავლეთა სიმრავლე არის სიმრავლე. სწორედ ეს უკანასკნელი და მისი მსგავსი ცნებები არიან ორმნიშვნელოვანი: საჭიროა ერთმნიშვნელოვანების დადგენა, რაც, რასელის აზრით, ტიპობრივი შეზღუდვით ხდება და უნდა მოხდეს. კლასის ელემენტები არიან ობიექტები ერთი ტიპისა, მათგან შედგენილი კლასი კი არის მაღალი ტიპის ობიექტი. სხვადასხვა ტიპის ობიექტები ერთიმეორის ადგილს არ იკავებენ. ამიტომ კლასის შესახებ არ შეიძლება ვამტკიცოთ არც ის, რომ ის არის წევრი თავის თავისა და არც ის, რომ ის არაა წევრი თავის თავისა.

ამით თითქოს იხსნება „სიმრავლის“ ორმნიშვნელოვანება და დგინდება ერთმნიშვნელოვანება ყოველ ტიპში. ორმნიშვნელოვანება სხვადასხვა ტიპში ნაწილდება. მაგრამ ეს არის სიძნელის მხოლოდ მოჩვენებითი გადაწყვეტა, რადგან რეფლექსიის ორმნიშვნელოვანე-

---

[1] R. Heiss, Wesen und Formen der Dialektik, 1959, იხ. აგრეთვე G. Günther, Zweiwertigkeit, logische Paradoxie und Selbst-referierende Reflexion. „Z. f. Ph. Forsch.“, 1963. Juli-September.

ბის დაშლა რეფლექსიას აუქმებს, მაშინ როცა ის არის ფაქტი. მას გაუქმება კი არ უნდა, არამედ ახსნა. რეფლექსიის ახსნა მისი გაუქმების ცდით შეუძლებელია. მისი ახსნა ნიშნავს მის დატოვებას და ამავე დროს მის გაგებას — გამართლებას.

როგორც ითქვა, სიძნელეს ქმნის გარკვეული რეფლექსურობა, სახელდობრ, ისეთი რეფლექსურობა, რომელიც დაკავშირებულია უსასრულობასთან. სიძნელე უსასრულობის ცნებასთან არის დაკავშირებული, რამდენადაც უსასრულობის სასრულად წარმოდგენას ცდილობენ. როცა აღებულია სიმრავლე, როგორც ყველა სიმრავლე — უსასრულო სიმრავლე, მაშინ გვიანაა, ეს „ყველა" არ იყოს „ყველა" და ის დანაწილდეს ტიპებად, რომელთა რიცხვი, შეიძლება თვითონ იყოს უსასრულოდ ბევრი. „ყველა", როგორც უსასრულო და როგორც ზოგადი არ შეიძლება დაინგრეს ტიპობრივი შეზღუდვით. „ყველას" ტიპებად დანაწილებით. აღნიშნული სიძნელე ამგვარი გზით არ შეიძლება იქნას დაძლეული. პარადოქსების გადაწყვეტა სემანტიკური ხერხებით შეუძლებელია, რამდენადაც უსასრულობა, რეფლექსურობა და ორმნიშვნელოვანება წარმოადგენს ფაქტს. ის გარემოება, რომ უსასრულოს ცნება თვითონ არის სასრული, არ ნიშნავს უსასრულობის სასრულზე დაყვანას, ასეთ შემთხვევაში უსასრულობის ცნებაც არ გვექნებოდა. რეფლექსურობის და ორმნიშვნელოვანების ახსნა არ შეიძლება მათი გაუქმების გზით შესრულდეს.

ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, უსასრულობა არის უარყოფითი ცნება, რომლის დადებითი განსაზღვრება მათემატიკამ მოახერხა. უსასრულობის დადებითი განსაზღვრება, რომელიც მათემატიკაში შესრულდა, უნდა განზოგადდეს ისე, რომ მივიღოთ უსასრულობის ფილოსოფიურ-ლოგიკური დადებითი ცნება. როგორადაც არ უნდა გავიგოთ უსასრულობა, მისი ცნება უნდა იყოს დადებითი, უნდა გამოთქვამდეს უსასრულობის დადებით ბუნებას. როგორც ითქვა, უსასრულობის ცნებაში უსასრულობა წარმოდგენილია სასრულის სახით, სახელდობრ, როგორც სრული. უსასრულობის სრული ცნება მოითხოვს სასრულის და უსასრულობის დადებით აუცილებელ ერთიანობას. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნული სიძნელე, აღებული როგორც ფილოსოფიურ-ლოგიკური სიძნელე, დიალექტიკაში, მატერიალისტური დიალექტიკის თეორიაში უნდა გადაწყდეს. ეს გადაწყვეტა კი გამოყენებულ უნდა იქნას სპეციალურ მეცნიერებაში არსებული სათანადო სიძნელეების დასაძლევად.

ეს იმასაც ნიშნავს და მოითხოვს, რომ რეფლექსიის და მისი

ორმნიშვნელოვანების სიძნელეებიც დიალექტიკურ ნიადაგზე უნდა გადაწყდეს. ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობა, როგორც ვიცით, არა თუ არ იწვევს სიძნელეებს, არამედ სიძნელეების დაძლევის საშუალებას წარმოადგენს. რეფლექსია არ უდრის იგივეობას, როგორც ეს მათემატიკურ ლოგიკაშია გაგებული; ლოგიკური რეფლექსია არის წინააღმდეგობის ერთიანობა; იგივეობა მისი მხოლოდ ერთი მომენტია. ერთმნიშვნელოვანება და ორმნიშვნელოვანებაც ლოგიკური რეფლექსიის მომენტებია. ორმნიშვნელოვანება თუ წინააღმდეგობა, აღებული შიშველი სახით, არის შეცდომა, მაგრამ წინააღმდეგობის ერთიანობა ჭეშმარიტებაა, არა იმიტომ, თითქოს აქ გაუქმებულია წინააღმდეგობა. არამედ იმის გამო, რომ ერთიანობა შეიცავს წინააღმდეგობას — ორმნიშვნელოვანებას, როგორც საკუთარ დაქვემდებარებულ მომენტს.

როგორც ვიცით სასრული არის „ეს და არა სხვა"; სრული სასრული არის წინააღმდეგობის ერთი მხარე; უსასრულო დადებითი აზრით, ეს არის წინააღმდეგობის ერთიანობა. სხვანაირად: სასრული არის ის, რაც სხვით დგინდება და უარიყოფა. სასრულის პრინციპია „თუ— მაშინ". უსასრულო კი არის თვითდადგენა, რომელიც უარყოფით სრულდება, ე. ი. უსასრულო არის რეფლექსური და შინაგანი უარყოფის — წინააღმდეგობის მქონე. უსასრულო არის უარყოფის საშუალებით თვითდადგენა. შესაძლებელია კი ასეთი ლოგიკური? თუ შესაძლებელია, მაშინ რა სახით არსებობს ის?

§ 165. ლოგიკური კავშირის რვამხრიობა და ლოგიკური უსასრულო

ზემოთ განხილული იყო ლოგიკური კავშირის რვამხრიობა, რომელიც ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნება ლოგიკური უსასრულობის დასადგენად. როგორც ვიცით, კერძო — ზოგადის დამოკიდებულება არის რვამხრივი: 1) თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი და 2) პირიქით; 3) თუ არ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი და 4) პირიქით; 5) თუ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი და 6) პირიქით; 7) თუ არ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი და 8) პირიქით. თუ არის კერძო, მაშინ არის მისი საპირისპირო — ზოგადი და პირიქით; თუ ერთი არ არის, მაშინ არც მეორეა; აქ არის დაპირისპირებულთა აუცილებლობა, ერთისათვის აუცილებელია მეორე. თუ კერძო არის, მაშინ ის გამორიცხავს ზოგადს და პირიქით; თუ ერთი არ არის, მაშინ არის მეორე, რადგან ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ. მაშასადამე, ეს დამოკიდებულებები დაპირისპირებულთა სრულ ერთიანობას შეადგენენ.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ სრული ზოგადობა არის დაპირისპირებულთა — სრულ კერძოთა ერთიანობა. დაპირისპირებულები — საწინააღმდეგონი, როგორც ვიცით, სრულ შინაარსეულ კერძოებს წარმოადგენენ, მათი ერთიანობა კი სრული შინაარსეული ზოგადობაა. უფრო ზუსტად: აქ ადგილი აქვს შინაგანი უარყოფით ერთიანობის, როგორც ზოგადობის, დადგენას; ე. ი. ჩვენ გვაქვს რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, რაც ლოგიკურ უსასრულობას წარმოადგენს.

წინააღმდეგობის ერთიანობას, როგორც რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენას, ორი სრული სასრული — კერძო მხარე — აქვს, მაგრამ არასრული მხარეები, როგორც ვნახეთ. არის რვა. რვამხრიობა ორმხრიობაზე („ორმნიშვნელობა") დაიყვანება. მათი ერთიანობა კი სრულ ზოგადობას წარმოადგენს. ლოგიკური უსასრულობა მხოლოდ ზოგადობა კი არ არის, არამედ კერძოთა ზოგადობა, უკეთ, კერძოს და ზოგადის სრული ერთიანობა, როგორც ძირი ერთმხრიობათა. რვა ერთმხრიობას აზრი აქვს მათ ერთიანობაში, როგორც კერძოებს ზოგადში, და პირიქით: ზოგადს აზრი აქვს ერთმხრიობებში, კერძოებში, რომელთა ერთიანობასაც ის წარმოადგენს.

რვამხრიობის ერთიანობა ანუ ორ საპირისპირო-საწინააღმდეგოთა ერთიანობა არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა და პირიქით. თუ შეუძლებელია რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, მაშინ შეუძლებელი იქნება დაპირისპირებულთა ერთიანობა ლოგიკურ სფეროში. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა გაამართლებს მის ერთმხრიობებს — მომენტებს. ამით გადაწყდება ყველა ის სიძნელე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მსჯელობის, უშუალო დასკვნის, სასრული დასკვნების და ცნების ბუნებაში. რომელიც მათი განხილვის დროს აღმოჩნდა. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის ლოგიკურის კატეგორიის აზრის ლოგიკური გამართლება. ლოგიკური კავშირის რვამხრიობის საფუძვლად ძევს უსასრულო დასკვნა.

§ 166. უსასრულო დასკვნა

როგორც ვიცით, სასრული ლოგიკური არის მსჯელობა, რადგან მსჯელობა დგინდება და უარიყოფა სხვა მსჯელობით (ის გარემოება კი, რომ მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობაა, უკვე აღარ არის მსჯელობა). სასრული ლოგიკურია. აგრეთვე, ჩვეულებრივი — ფორმალურ-ლოგიკური — დასკვნები. რადგან მათში ხორციელდება პირობითობა — „თუ არის A, მაშინ არის B". ამიტომ, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, ფორმალურ-ლოგიკური დასკვნა — დასკვნა, რო-

მელსაც ფორმალური ლოგიკა განიხილავს, — არსებად არის მსჯელობა. ორივე სასრული ლოგიკური ბუნებისაა.

ფორმალურ-ლოგიკური დასკვნის, ისე როგორც მსჯელობის, სასრულობა გარკვეულად მჟღავნდება იმაში. რომ აქ მსჯელობაც და დასკვნაც საჭიროებს დასაბუთებას, რომელიც გარეგანი საფუძვლის მონახვაში — დადგენაში მდგომარეობს. ამიტომ ასეთ დასაბუთებას არ აქვს არახელოვნური, ასე ვთქვათ, ბუნებრივი საზღვარი, ის საფუძვლის დადგენის ხაზით მიდის უსასრულო რეგრესში — ლოგიკურ უაზრობაში, ე. ი. თავის თავს უარყოფს. აქ ყველგან ბატონობს მსჯელობის ბუნება, მსჯელობისა. როგორც სხვით დასაბუთებლისა — გასამართლებლისა, ე. ი. — ლოგიკური სასრულობა, გარეგანი საფუძვლის აზრი, არარეფლექსურობა, სწორხაზობრივობა. როგორც ვიცით, მსჯელობა თავისი ბუნებით ანტინომიურია, რაც გადაწყვეტა-გამართლებას მოითხოვს.

როგორც ითქვა, სასრული ლოგიკური არის ის ლოგიკური. რომელიც სხვით დადგენაში — გარეგანი საფუძვლის „მოქმედებაში" მდგომარეობს და რომელიც შინაგანი უარყოფით უარიყოფა, ე. ი. სხვით დგინდება და სხვით უარიყოფა, რადგან ტავტოლოგიურად — ანალიზურად დგინდება და შინაგან შეუსაბამობას (მაგალითად, ანტინომიურობას და უსასრულო რეგრესს) შეიცავს; ერთგვარ გაუმართლებლობას გულისხმობს და წარმოადგენს, ე. ი. ლოგიკურს მხოლოდ ცალმხრივად ანხორციელებს.

მსჯელობის ბუნების განხილვამ დაგვანახა, რომ დადებითი მსჯელობა უარყოფით მომენტს შეიცავს, რაც გვაძლევს უარყოფით მსჯელობას და პირიქით; ამიტომ არსებობს მათი აუცილებელი ერთიანობა, რომელსაც დასკვნა, როგორც შუალობითი კავშირი, შეიძლება ეწოდოს. მსჯელობა — სასრული ლოგიკური — შინაგანი უარყოფით უკავშირდება სხვას, სახელდობრ, „თავის სხვას" და ა. შ., მაგრამ არა უსასრულოდ.

მსჯელობის, როგორც სასრული ლოგიკურის, ასეთი გაგება არის მისი გაგება ერთმხრიობად იმისა, რასაც დასკვნა, სახელდობრ, უსასრულო დასკვნა უნდა ეწოდოს. მსჯელობა არის დასკვნის ერთმხრიობა, ერთმხრივი ლოგიკური, სასრული ლოგიკური. უსასრულო ლოგიკური კი არის უსასრულო დასკვნა, რომელიც ორი საპირისპირო მსჯელობის — ორი სრული სასრული ლოგიკურის ერთიანობას წარმოადგენს. უსასრულო დასკვნა, როგორც უსასრულო ლოგიკური, არის ისეთი დასკვნა, რომელიც შინაგანი უარყოფით დადგენას წარმოადგენს. რაიმეს დადგენა მისი შინაგანი უარყოფით არის უსასრულო დასკვნა. ეს არის, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, სრუ-

ლი დასკვნა, როგორც სრული ლოგიკური შეუღლებითობა, რომელიც „სწორხაზობრივი“ კი არაა, არამედ რეფლექსურია. დადგენა და უარყოფა, ეს არის საპირისპირო მსჯელობები; მათი ერთიანობა კი არის უსასრულო დასკვნა. ეს არის დადგენა-უარყოფის ისეთი ერთიანობა, როცა რაიმეს უარყოფა მასვე ადგენს.

დადგენის (ჰყოფის) და უარყოფის, როგორც მსჯელობების (არისტოტელე მსჯელობას ახასიათებდა როგორც ჰყოფას ან უარყოფას; იგი არ გამოყოფდა კოპულას) ერთიანობა სრულდება ერთიმეორეში გადასვლით, ერთიმეორისათვის შინაგანი აუცილებლობით (ასეთი გადასვლები, როგორ ვიცით, უშუალო დასკვნებს წარმოადგენენ). მსჯელობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტია თავის თავზე; სასრული არ არის მხოლოდ სასრული, წმინდა სასრული (ისე როგორც არ არსებობს წმინდა უსასრულო). დადებითი მსჯელობა არ არის მხოლოდ და მხოლოდ დადებითი, იგი უარყოფითსაც შეიცავს, ისე როგორც პირიქით, უარყოფითი დადებითსაც შეიცავს; კიდევ მეტი: „უარყოფითი ამდენადვე დადებითია“[1], როგორც ამას ჰეგელი ამბობს და რასაც ვ. ი. ლენინი ეთანხმება და განვითარებული სახით წარმოადგენს. მსჯელობა შეუძლებელია შინაგანი უარყოფის გარეშე. მაგრამ შინაგანი უარყოფის მქონე სწორედ იმით, რომ ის არის შინაგანი უარყოფის შემცველი დადებითობა, არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც ერთი მსჯელობით არ ამოიწურება და რაც დასკვნას წარმოადგენს. მსჯელობა შინაგანი უარყოფით გადადის საპირისპიროში და პირიქით. შინაგანი უარყოფა არ შეიძლება იყოს მხოლოდ უარყოფა, რადგან ის არის შინაგანი, დადებითის შინაგანი. ასეთი უარყოფა არის შეფარდებითი უარყოფა, კონკრეტული უარყოფა, გარკვეულის გარკვეული უარყოფა, უკეთ, — ასეთი უარყოფის სრული ფორმა (აბსოლუტური უარყოფა კი გაურკვევლობასაც შეიცავს).

თუ დადებითი, ამავე დროს, უარყოფითიცაა და პირიქით, მაშინ საქმე გვაქვს „ორმნიშვნელოვანებასთან“, მაგრამ რადგან არსებობს მათი ერთიანობა, ამიტომ უნდა არსებობდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სამმნიშვნელოვნება“. თუ ფორმალური ლოგიკა არის ორნიშნა ლოგიკა ანუ ერთმნიშვნელოვანების ლოგიკა, მაშინ დიალექტიკური ლოგიკა იქნება თავისებური „სამნიშნა“, უკეთ, „სამმნიშვნელოვანობის“ ლოგიკა; მაგრამ იგი, ცხადია, განსხვავდება სამნიშნა მათემატიკური ლოგიკისაგან, რადგან დიალექტიკურ ლოგიკაში, როგორც „სამმნიშვნელოვანობის“ ლოგიკაში, „მესამე“ არ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ., 38, გვ. 88, 225—226.

ის არა „შესაძლებლობა“, არა გაურკვევლობა ან ალბათობა (რომელიც მრავალნიშნა ლოგიკაშია სისრულით წარმოდგენილი, და ამიტომ ის არის მათემატიკური მეცნიერება და არა ლოგიკა, რომელიც ფილოსოფიურ მეცნიერებას წარმოადგენს), არამედ არის უსასრულო (რომელიც სასრულს შეიცავს). დიალექტიკური ლოგიკა არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა. ეს არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის ლოგიკა, რომელიც ამხსნელია ყოველგვარი ლოგიკურის, რომელიც ფორმალურ ლოგიკაში განიხილება. აქ უსასრულო გაგებულია როგორც უსასრულო ლოგიკური, ეს კი — როგორც გარკვეული სახის დასკვნა. ცხადია, ეს არ ნიშნავს უსასრულოს და უსასრულო დასკვნის გაიგივებას. როგორც ვიცით, უსასრულო არის ონტოლოგიურის კატეგორიაც, ლოგიკური კატეგორიაც და ლოგიკურის კატეგორიაც. უსასრულო დასკვნაში განხორციელებულია სწორედ ლოგიკურის კატეგორიის აზრი.

საერთოდ სინთეზური ლოგიკური კავშირი, არის კავშირი, როგორც რაიმეს დადგენა-უარყოფა ერთით; თუ ეს „ერთი“ არის საწინააღმდეგო და ამავე დროს შინაგანი, მაშინ გვექნება დაპირისპირებულთა ერთიანობა, რაც ლოგიკაში უსასრულო დასკვნის სახით არსებობს. ასეთი დასკვნა არის მსჯელობათა, სპეციალობრ, დაპირისპირებულ მსჯელობათა — დადგენის და უარყოფის — ერთიანობა, სადაც დადებითი მსჯელობა მხოლოდ კი არ უერთდება უარყოფითს, არამედ უარყოფის საშუალებით ხდება დადგენა იმისა, რასაც უარყოფაც ექვემდებარება. მაგრამ საკითხავია: შესაძლებელია და არსებობს ასეთი დასკვნები? პასუხი: არსებობს ასეთი დასკვნები, ისინი ფაქტიურად ხორციელდებოდა და ხორციელდება დიალექტიკურ აზროვნებაში, რომელიც დიალექტიკური ლოგიკის საგანს წარმოადგენს.

ყველა ლოგიკურის კატეგორია, რომელთაგან რამდენიმე ზემოთ იყო სპეციალურად განხილული, სრული ლოგიკურის სახით წარმოდგება უსასრულო დასკვნებში. ლოგიკურის კატეგორია, როგორც ვიცით, არის ის საშუალება — ობიექტური და აუცილებელი საფუძველ-საშუალება, რომელიც მოიხმარება ყოველგვარ ლოგიკურში და თვითონ თავის თავის მიმართაც, როგორც ლოგიკური აზროვნების ძირი — პირველსაშუალება. ლოგიკურის კატეგორია არის ის კატეგორია, რომლის უარყოფა შეუძლებელია და რომლის უარყოფა მასვე მოიხმარს და ადგენს. მაგრამ ლოგიკურის კატეგორიის სრული ლოგიკური სახით განხორციელება არ არის მხოლოდ კატეგორია, როგორც გარკვეული ცნება, არა, ის არის სრული შუალო-

ბითი კავშირი. ამ აზრით. დაპკვნა, სახელდობრ, უსასრულო დასკვნა — რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა.

განვიხილოთ უსასრულო დასკვნის რამდენიმე მაგალითი.

1) უარყოფის უარყოფა არის უარყოფის დადგენა. აქ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ არა ის, რომ 1) უარყოფის უარყოფა არის ორმაგი უარყოფა, ე. ი. რაიმეს უარყოფის უარყოფა არის რაიმე — თავდაპირველი დადებითობა, რომელიც პირველი უარყოფით უარვყავით და მეორე უარყოფით კი აღვადგინეთ. 2) არც ის, რომ უარყოფის უარყოფა არის ტრიადა: თეზისი, ანტითეზისი და სინთეზი, ე. ი. ის უარყოფის უარყოფა, რომელიც დიალექტიკის ერთ ძირითად კანონს წარმოადგენს, არამედ მხოლოდ ის, რომ არ შეიძლება უარვყოთ უარყოფა. შეუძლებელია უარყოფის ლოგიკური უარყოფა; უარყოფის ლოგიკური უარყოფის დროს თვითონ უარყოფის აუცილებლობა, უკეთ, თვითონ უარყოფა დგინდება; უარყოფის უარყოფა ადგენს უარყოფას. უარყოფა არ არის „არ არის“ არის უარყოფა; უარყოფა არის.

უარყოფა, როგორც ვიცით, არის ლოგიკურის კატეგორია, ე. ი. არის ის, რომლის უარყოფის დროსაც იგივე უარყოფა მოიხმარება, როგორც საშუალება და საფუძველი უარყოფისა, აგრეთვე, ის შეიძლება გაგებულ იქნას როგორც თავისებური შედეგიც. ასეთი არ არის ყველა ლოგიკურის კატეგორია, მაგრამ უარყოფა კი სწორედ ასეთია, ე. ი. ის საშუალებაცაა თავისთვის და შედეგიც; უარყოფის უარყოფა ადგენს უარყოფას. კატეგორიულად აქ ერთი და იგივე უარყოფა უარიყოფა და დგინდება. აქ სრულად ხორციელდება ლოგიკური რეფლექსია. ეს გარემოება გაუგებარია იმისათვის, ვინც ლოგიკიდან კატეგორიებს გამორიცხავს; მაგრამ ასეთი გამორიცხვა თვითონ არის უარყოფა, უარყოფის კატეგორიის მოხმარა (ამიტომ კატეგორიების უარყოფა ლოგიკურად შეუძლებელია; კატეგორიების უარყოფის დროს მოიხმარება უარყოფის კატეგორია).

უარყოფა ყველაფრის მიმართ გამოიყენება, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ის გვაინტერესებს, რომ უარყოფა გამოიყენება თვითონ უარყოფის მიმართ, მაგრამ ამით უარყოფის თავიდან მოუცილებლობა დგინდება, დგინდება თვითონ უარყოფა. უარყოფის მოხმარა თვითონ უარყოფის, როგორც საშუალების, სახელდობრ, ობიექტური (ლოგიკურად ობიექტური) საფუძველ-საშუალების, დადგენას წარმოადგენს. მაგრამ დადგენილი უარყოფა მიღებულია უარყოფის შედეგად, რამდენადაც შესაძლებელია საფუძვლის შედეგად მიღება. მაგრამ აქ უარსაყოფელიც უარყოფაა, უარყოფის

საშუალებაც უარყოფას წარმოადგენს და ამ საშუალებით მიღებული არის უარყოფა.

უარყოფა თავიდან მოუცილებელია. ამ აზრით, ის აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მისი (უარყოფის) უარყოფა — თავიდან მოცილება. ასეთი აუცილებელი, როგორც ვიცით, არის ლოგიკურის კატეგორია, როგორც ძირი საერთოდ ლოგიკური აზროვნებისა.

როცა ვამბობთ, რომ შეუძლებელია უარყოფის უარყოფა, ე. ი. შეუძლებელია ის, რომ უარყოფა უარვყოთ, ამით იმას არ ვამბობთ, რომ უარყოფის უარყოფა არ ხორციელდება, არამედ მხოლოდ იმას, რომ ლოგიკური უარყოფის უარყოფის დროს, უარყოფას ვიყენებთ — ვანხორციელებთ, როგორც საშუალებას, რომლითაც მისსავე დადგენას ვახდენთ. უარყოფის უარყოფისას, პირველ რიგში, სწორედ უარყოფა დგინდება. უარყოფის უარყოფა ადგენს სწორედ უარყოფას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ უარყოფის უარყოფით უარყოფის დადგენაში სამივე ეს უარყოფა ერთი და იგივეა, აქ საქმე გვაქვს უარყოფის ერთსა და იგივე კატეგორიასთან (ცხადია, არ შეიძლება უარყოფის ერთზე მეტი კატეგორია). ეს იგივეობრიობა უსათუოდ არსებობს, მისი მოშლა-გაუქმება შეუძლებელია. მაგრამ ამის თქმა არ არის საკმარისი იმის წარმოსადგენად, თუ რა არის უარყოფის საშუალებით ისევ უარყოფის დადგენა. აუცილებელია განსხვავებული მომენტის აღნიშვნაც. ლოგიკურად ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ პირველი უარყოფა (უარსაყოფელი უარყოფა) დადგენილი (უარყოფით დადგენილი) უარყოფისაგან, რადგან უარყოფა, საიდანაც გამოვდივართ, როგორც უარსაყოფელისაგან, ცხადია, ლოგიკურად განსხვავდება დადგენილი უარყოფისაგან: ერთია უარსაყოფელი, მეორე კი დადგენილი. უარყოფა და დადგენა, სულ ერთია რა საშუალებითაც არ უნდა ხდებოდეს, ერთიმეორისაგან არა მხოლოდ განსხვავებულია, არამედ ერთიმეორისადმი საპირისპიროებსაც წარმოადგენენ. უარყოფა და დადგენა ერთიმეორის საპირისპიროა და ის, რაც ამ საპირისპირო საშუალებით ერთ შემთხვევაში უარიყოფა, მეორე შემთხვევაში კი მიიღება — დგინდება, ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. უარყოფა განსხვავდება უარყოფის დადგენისაგან .უარყოფა განსხვავდება დადგენილი უარყოფისაგან, უარსაყოფელი განსხვავდება დადგენისაგან. თუ უარყოფის შემდეგ დგინდება ის, რაც უარყოფილ იქნა, მაშინ, ცხადია, რომ უარყოფილი უარყოფა და დადგენილი უარყოფა ერთიმეორისაგან განსხვავებულია. რადგან ერთი და იგივე უარყოფა უარიყოფა და

დგინდება, ამიტომ დადგენილი უარყოფა იგივე უარყოფაა, რაც პირველად იქნა აღებული, როგორც უარსაყოფელი; მაგრამ პირველი უარყოფა, როგორც უარსაყოფელი, აღებული იყო დაუსაბუთებლად, დადგენილი უარყოფა კი დასაბუთებული უარყოფაა, ამიტომ ისინი ლოგიკურად განსხვავდებიან (ცნების მიხედვით ერთსა და იმავე დასკვნაში განსხვავდებიან, ცნება ხომ დასკვნის ერთი ზოგადი აზრია). ლოგიკურობა დასაბუთებაშია, ამიტომ დასაბუთებული, ცხადია, არის სხვა, ვიდრე დასასაბუთებელი. ეს განსხვავება სწორედ ლოგიკურობის მიღებაშია. ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ უარყოფის დადგენა, ცხადია, უარყოფას და დადგენას ლოგიკურად აერთიანებს, მით უმეტეს, რომ ორივე — უარყოფაც და დადგენაც—ერთი და იგივე უარყოფით ხდება. დადგენილი უარყოფა, ასე ვთქვათ, არის „მეტი“, ვიდრე უარსაყოფელი უარყოფა. დადგენილი უარყოფა ლოგიკური შედეგია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ უარყოფის უარყოფით დადგენა უარყოფისა არის ლოგიკური განვითარება, უარყოფის საშუალებით შესრულებული ლოგიკური გაშუალება, რომელიც თავისებურ განვითარებას წარმოადგენს.

ლოგიკური განვითარების შესახებ ჩვენ შემდგომ გვექნება სპეციალური საუბარი, აქ კი მხოლოდ შემდეგის აღნიშვნა გვაინტერესებს. იქ, სადაც რაიმეს უარყოფისას ეს რაიმე გამოიყენება როგორც აუცილებელი (ლოგიკურად აუცილებელი) საშუალება, და ამავე დროს ამ საშუალებით იგივე დგინდება, ასეთ შემთხვევაში — ყველგან ხორციელდება უსასრულო დასკვნა — გარკვეული შუალობითი კავშირი, რომელიც შინაგანი უარყოფით არის განხორციელებული. უარყოფის უარყოფით იგივე უარყოფის დადგენა არის უსასრულო დასკვნის ერთი, თანაც, ნათელი, მაგალითი. უარყოფის უარყოფით უარყოფის დადგენა, როგორც რაიმეს უარყოფით იგივე რაიმეს დადგენა, არის სრული გაშუალება, უსასრულო დასკვნა.

თუ რაიმეს უარყოფა გვაძლევს ან არაფერს, ან სხვა რაიმეს, მაშინ უარყოფა მოქმედებს სასრულ სფეროში და სასრული აზრით. თუ კი რაიმეს უარყოფა მასვე ადგენს, მაშინ საქმე გვაქვს უსასრულობასთან, ლოგიკურ უსასრულობასთან.

2) უსასრულო დასკვნის მეორე მაგალითად ავიღოთ იგივეობის უარყოფით იგივეობის დადგენა. როგორც ვიცით, იგივეობა ლოგიკურის კატეგორიაა. ამ მაგალითს უფრო მოკლედ განვიხილავთ, ვიგულისხმებთ იმ მომენტებს, რომლებიც პირველი მაგალითის დროს გავარჩიეთ, აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს გავუსვამთ ხაზს.

იგივეობის უარყოფა არ შეიძლება, რამდენადაც იგივეობის უარყოფის დროს თვითონ იგივეობა მოიხმარება, როგორც აუცილებე-

ლი საშუალება. იგივეობის უარყოფისას თვითონ ეს უარყოფა აუცილებლად უნდა იყოს თავის თავთან იგივეობრივი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ იქნებოდა სწორედ უარყოფა. ამიტომ გასაგებია, რომ იგივეობის უარყოფა ისევ იგივეობას, როგორც აუცილებელ საშუალებას — საფუძველს ადგენს. იგივეობის უარყოფით დგინდება იგივე უარყოფა (არა როგორც შედეგი, სახელდობრ, ისეთი შედეგი, როგორიცაა მაგალითად, სილოგიზმის დანასკვი). აქ ის კი არ არის ნათქვამი, რომ იგივეობა და მისი უარყოფა ერთი და იგივეა, ეს უაზრობა იქნებოდა, არამედ ის, რომ იგივეობის უარყოფა იგივეობას, როგორც საშუალებას მოიხმარს და, ამ აზრით, მას აუცილებლობით ადგენს. იგივეობა არის; იგივეობა არ არის; ეს „არ არის“ იგივეობრივია.

ის გარემოება, რომ იგივეობის უარყოფა შეუძლებელია და რომ, ამიტომ, მისი (იგივეობის) დასაბუთებაც თითქოს არ არის შესაძლებელი, რადგან ორივე შემთხვევაში იგივეობა უნდა გამოვიყენოთ, ჩვენი აზრით, არ ნიშნავს იმას, რომ იგივეობა დაუსაბუთებლად — აქსიომატურად — უნდა მივიღოთ; არა, პირიქით, იგივეობის უარყოფით იგივეობისვე დადგენა არის, მართალია თავისებური, მაგრამ მაინც დასაბუთება, სწორედ იგივეობის დასაბუთება. იგივეობის უარყოფით იგივეობისვე დადგენა არის უსასრულო დასკვნა.

3) ჰეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ვინც უარყოფს ჰეშმარიტებას და ამბობს, რომ „ჰეშმარიტება არ არსებობს“, მას ეს დებულება ჰეშმარიტებად მიაჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილიც არ ექნებოდა ასეთის თქმას, ასეთი დებულების წამოყენებას. თუ ვიტყვით, რომ „ჰეშმარიტება არ არსებობს“, მაშინ ეს დებულება მიგვაჩნია ჰეშმარიტებად, ე. ი. ჰეშმარიტებას თავს ვერ ვაღწევთ, მის უარყოფას ვერ ვახერხებთ. ჰეშმარიტება აუცილებელია ჰეშმარიტების უარყოფისას. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ ვაღიარებდეთ ორი შემდეგი დებულების ჰეშმარიტებას: 1) „ჰეშმარიტება არსებობს“ და 2) „ჰეშმარიტება არ არსებობს“, თითქოს ჰეშმარიტების უარმყოფელი დებულების ჰეშმარიტებასაც ვაღიარებდეთ; ეს იქნებოდა უაზრობის აღიარება, უაზრობის და აზრიანობის ერთიმეორეში აღრევა; არა, ჩვენ იმას ვამბობთ, რომ დებულება „ჰეშმარიტება არ არსებობს“ მცდარი დებულებაა, მაგრამ ეს შეცდომაც აუცილებლობით საჭიროებს იმას, რასაც ის უარყოფს — ჰეშმარიტებას. შეცდომა ჰეშმარიტებით განიზომება. ის რომ არ ვიცოდეთ, თუ რა არის ჰეშმარიტება, ვერც იმას გავიგებდით, თუ რას ნიშნავს შეცდომა. რაიმე დებულების მცდარობის გაგება შეგვიძლია ჰეშმარიტების საფუძველზე. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ჰეშ-

მარიტების უარყოფა ჰეშმარიტებას მოიხმარს, როგორც მისთვის აუცილებელ საშუალებას, ამ აზრით, მასვე ადგენს. ჰეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია; მისი უარყოფა აუცილებლობით მოითხოვს მასვე — ჰეშმარიტებას, როგორც საშუალებას. ჰეშმარიტების უარყოფა ადგენს ჰეშმარიტებას როგორც საშუალება-საფუძველს. ამდენად აქ ორი მომენტი გვაქვს: 1) ჰეშმარიტების აუცილებლობა და 2) ჰეშმარიტების გარკვეული დადგენა. მაშასადამე, ჰეშმარიტების უარყოფა მასვე ადგენს.

სოფისტები უარყოფდნენ ჰეშმარიტებას, რადგან: 1) აღიარებდნენ ყოველი აზრის ჰეშმარიტებას, ე. ი. მათი ამ აზრის უარმყოფელი აზრის ჰეშმარიტებასაც აღიარებდნენ: ჰეშმარიტების უარმყოფელი დებულებაც ჰეშმარიტებად მიაჩნიათ; 2) უარყოფდნენ ობიექტურ ჰეშმარიტებას, ე. ი. ჰეშმარიტებას, მაგრამ ამ უარყოფას ჰეშმარიტებად თვლიდნენ; 3) ყველასათვის სავალდებულო ჰეშმარიტებას უარყოფდნენ, მაგრამ მათი აზრის ჰეშმარიტება მიაჩნდათ ყველასათვის სავალდებულოდ. სოფისტებისათვის ყველა აზრი ჰეშმარიტია; მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ჰეშმარიტება არსებულა ყველასათვის. სოფისტების დებულება თავის თავს უარყოფს. არისტოტელე აღნიშნავდა, რომ მტკიცება და უარყოფა ერთიმეორის საწინააღმდეგოა, მტკიცება-უარყოფა წინააღმდეგობაა. მცდარი არის ჰეშმარიტების უარყოფა და პირიქით. ამიტომ ვინც ყველა აზრის ჰეშმარიტებას აღიარებს, ის უარყოფს თავის თავს, რადგან მან მისი აზრის საწინააღმდეგოს ჰეშმარიტებაც უნდა აღიაროს. ის კი ვინც ყველა აზრის მცდარობას აღიარებს, ის თავის ამ აზრის მცდარობასაც აღიარებს. ლოგიკური შეცდომაა ჰეშმარიტი დებულების ჰეშმარიტობის მტკიცებაც, რადგან ეს იწვევს რეგრესს უსასრულობაში. მტკიცება, რომელიც ჰეშმარიტ დებულებას ჰეშმარიტად აცხადებს, თვითონაც ჰეშმარიტია, ეს რიგი კი წავა უსასრულობაში[1]. ამრიგად სოფისტები იმას ამტკიცებდნენ, რასაც უარყოფდნენ და უარყოფდნენ იმას, რასაც ამტკიცებდნენ, ე. ი. გამოუვალ წინააღმდეგობაში იხლართებოდნენ. სოკრატემ აჩვენა 1) ეს გამოუვალი წინააღმდეგობა სოფისტებისა და 2) ამ წინააღმდეგობით ჰეშმარიტების აბსოლუტურობის აუცილებლობა, ის, რომ წინააღმდეგობის უარყოფა შეუძლებელია, რომ ამ უარყოფის დროსაც იძულებული ვართ მივიღოთ ჰეშმარიტება, ე. ი. ჰეშმარიტება აბსოლუტურია; ჰეშმარიტების უარყოფაც გვაიძულებს მივიღოთ ჰეშმარიტების აბსოლუტურობა. მაშასადამე. დებულებისათვის „არ არსებობს ჰეშმარიტება" აუცილებელია ჰეშმარიტება. ვინც ჰეშმარიტებას უარყოფს, მან ეს უარყოფა უნდა მი-

[1] იხ. არისტოტელე. მეტაფიზიკა, წ. IV, თ. მე-8.

იღოს ჭეშმარიტებად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტების უარყოფა ადგენს ჭეშმარიტებას, როგორც საშუალებას — საფუძველს. ჭეშმარიტების უარყოფით ჭეშმარიტების აუცილებლობის ჩვენება მისი დადგენა, ეს არის აუცილებელი შუალობითი, ისიც სრული შუალობითი კავშირი, რომელსაც ჩვენ უსასრულო დასკვნას ვუწოდებთ. ეს არ არის მხოლოდ გამომდინარეობა, ის არის შუალობითი კავშირი, რომელიც გამომდინარეობას მომენტად შეიცავს, სახელდობრ, ის მომენტად შეიცავს ჭეშმარიტების უარყოფის გზით ისევ ჭეშმარიტების აუცილებლობის მიღებას, მაგრამ ეს პროცესი არის ერთიანი აზრი, რომელიც არ არის დანაწევრებული წანამძღვრებად და დანასკვად.

4) ჩვენი ინტერპრეტაციით (რომელიც გადმოცემული გვაქვს ნაშრომში „დასაბუთების საწყისი") დეკარტის „cogito ergo sum" არის უსასრულო დასკვნა, სახელდობრ, აზრის უარყოფით აზრის დადგენა. აზრის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა თვითონ არის აზრი. აზრის უარყოფით დგინდება აზრი. კატეგორიალურად აქ ერთი და იგივე აზრი უარიყოფა და ამ უარყოფით დგინდება. მიუხედავად ამ იგივეობისა აქ არ არის ტავტოლოგია, რადგან უარყოფილი არის დასასაბუთებელი, უარყოფით დადგენილი კი დასაბუთებულია; დასასაბუთებელი და დასაბუთებული, ცხადია, სხვადასხვაა ლოგიკურად. რადგან ერთი და იგივე აზრი უარიყოფა და დგინდება და ეს ერთიანი ორდება უარყოფის საშუალებით, ამიტომ აქ ადგილი აქვს ერთიანის გაორებას — დაპირისპირებულთა ერთიანობას, როგორც სრულ შუალობით ერთიანობას, ე. ი. უსასრულო დასკვნას. დებულება „მე, როგორც აზროვნება, არ ვარსებობ" თვითონ არის აზროვნება და მისი არსებობა, აზროვნების, როგორც ასეთის, დადგენა. დეკარტის ეჭვი არის აზროვნება, ეს ეჭვი მიმართული აზროვნებისადმი არის აზროვნების უარყოფა, რომელიც აზროვნებას ადგენს. აზროვნების უარყოფა აჩვენებს აზროვნების აუცილებლობას და უარყოფის საშუალებით ადგენს ამ აზროვნებას (ამიტომ მცდარია კარტეზიანული cogito-ს ლოგიკურ პირობად „პრერეფლექსური ცნობიერების" აღიარება).[1]

აზრის ლოგიკური უარყოფა ადგენს აზრს, რადგან ეს უარყოფა თვითონ არის აზრი. ამდენად აზრის უარყოფით მიღებული აზრი არის უარყოფის უარყოფა — აზრის უარყოფის უარყოფა — აზრის დადგენა.

5) აქ აღნიშნულის გამო, მცდარად უნდა ჩაითვალოს აზრი (მაგ., ვუდის[2]) „თვითუარმყოფელი" დებულებების და თვითუარყოფის

[1] იხ. J. P Sartre, Das Sein und das Nichts, 1962, გვ. 10.
[2] Ledger Wood. The Analysis of Knowledge, გვ. 195.

ლოგიკის არარსებობის შესახებ, რადგან „არ არსებობენ წინადადებები“ თვითონ არის წინადადება, „არ არსებობს მსჯელობა“ თვითონ არის მსჯელობა, „არ არსებობს ცნება“ თვითონ ადგენს ცნებას. მართალია, ერთ წინადადებაში არ ჩაიწერება მეორე, სახელდობრ, მისი საწინააღმდეგო წინადადება, წინადადება არ არის რეფლექსური ხასიათის, მაგრამ მსჯელობა კი არის სწორედ რეფლექსური აზრი, ასეა ცნებაც. მსჯელობის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფა თვითონ არის მსჯელობა. მსჯელობის უარყოფა ადგენს მსჯელობის აუცილებლობას, თვითონ მსჯელობას. შეუძლებელია ცნების ლოგიკური უარყოფაც, რადგან ეს უარყოფა არის ცნება, უარყოფის კატეგორია როგორც ცნება, მსჯელობის უარყოფით მსჯელობისვე დადგენა და ცნების უარყოფით ცნებისვე დადგენა უსასრულო დასკვნებს წარმოადგენენ.

6) უსასრულო დასკვნის ბუნებისაა სოკრატეს დებულება: „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“. ამ დებულების პირველი ნახევარი — „მე ვიცი“ ნიშნავს „ჰეშმარიტად ვიცი“, ცოდნა აქ ჰეშმარიტ ცოდნას ნიშნავს. სოკრატეს დებულების მეორე ნახევარი — „არაფერი ვიცი“, ნიშნავს არცოდნას, როგორც ჰეშმარიტი ცოდნის უარყოფას. ამიტომ მთელი ეს დებულება არის ჰეშმარიტი ცოდნის უარყოფის უარყოფა, როგორც ცოდნა. არცოდნის ცოდნა არის არცოდნის დაძლევა და ცოდნამდე ამაღლება. არცოდნის ცოდნა შეიძლება, რადგან ჰეშმარიტება არის რეფლექსური ცნება. „ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“ ცოდნის და არცოდნის ისეთი კავშირია, რომელიც არ უდრის წინააღმდეგობას, ამიტომ ეს არ არის თავის თავის გაბათილება — პარადოქსი, გამოუვალი წინააღმდეგობა. სოკრატეს დებულება შეიცავს წინააღმდეგობას, მაგრამ მეტია წინააღმდეგობაზე, წინააღმდეგობაზე ამაღლება — არცოდნის დაძლევაა და ცოდნის მიღებას წარმოადგენს. წინააღმდეგობა, როგორც გარკვეული ორმნიშვნელოვანება, დაძლეულია — მოქცეულია (და არაა გაუქმებული) ერთმნიშვნელოვანებაში. ამიტომ სოკრატეს ამ დებულების მიმართ არ შეიძლება დავსვათ ალტერნატიული კითხვა: სწორია ის, თუ არაა სწორი; ასეთი კითხვა სოკრატეს ამ დებულებაში არსებული წინააღმდეგობის სრული გაუქმების მოთხოვნა იქნებოდა, რაც არ იქნებოდა მართებული.

7) კერძოს უარყოფა არის კერძო, კერძოს უარყოფა ადგენს კერძოს, რადგან: ა) კერძოს უარყოფა შეუძლებელია; კერძოს უარყოფით მიღებული უნდა იყოს ზოგადი, მაგრამ ასეთი ზოგადი არის კერძო, კერძოსაგან განცალკევებული ზოგადი თვითონ არის განცალკევებული, ცალკეული ანუ კერძო. ასეთი იყო პლატონის იდეა, რო-

გორც ეს არისტოტელემ დაამტკიცა. კერძოს უარყოფით მიღებული ზოგადი — იდეა — თვითონ გამოვიდა კერძო, ამით გამრავლდა კერძოები. კერძოებისგან გამოცალკევებული ზოგადი კარგავს ზოგადობის აზრს, რადგან ზოგადი ასეთია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ ის არის კერძოების ზოგადი. ზოგადი კერძოს ზოგადია. ის გარემოება, რომ ზოგადისათვის აუცილებელია კერძო, ეს არის უარყოფითი დიალექტიკა, წინააღმდეგობა, რომელიც აჩვენებს კერძოს გარეშე აღებული ზოგადის აზრდაკარგულობას და მისთვის კერძოს აუცილებლობას. ბ) კერძოს უარყოფით კერძოს დადგენა არ არის მხოლოდ უარყოფითი დიალექტიკა; კერძოს უარყოფით მიღებული ზოგადისათვის აუცილებელია მისი საპირისპირო, ის გადადის თავის საპირისპიროში, მაგრამ აქ მხოლოდ აზრდაკარგულობა კი არ არის, არამედ ის, რომ კერძოს უარყოფით მიღებული ზოგადი თვითონ ადგენს კერძოს. აქ დგინდება არა მხოლოდ კერძოს აუცილებლობა ზოგადისათვის, არამედ დგინდება კერძო როგორც ზოგადისათვის დადებითი შინაარსი. ზოგადი მხოლოდ მაშინ არის ზოგადი, თუ ის არის კერძოს ზოგადი. კერძოს მოწყვეტილი ზოგადი არ არის ზოგადი, ის არის კერძო; ეს ნიშნავს იმას, რომ ზოგადისათვის კერძო არის შინაგანი, მისი აუცილებელი ელემენტი თუ მომენტი, მაგრამ ისე, რომ ზოგადისათვის კერძოს აუცილებლობა დგინდება უარყოფის საშუალებით. ამიტომ კერძოს უარყოფა აუცილებლობით ადგენს კერძოს ზოგადის საშუალებით. კერძო დგინდება მისი უარყოფით — ზოგადით. კერძოს უარყოფა არის ზოგადი, რომლისთვისაც აუცილებელია კერძო, როგორც ზოგადის დადგენის საშუალება. ეს ზოგადი, როგორც კერძოს უარყოფა, თვითონ მოითხოვს კერძოს, კერძოს დადგენას.

8) ზოგადის უარყოფა არის ზოგადი: ა) ზოგადის უარყოფით მიიღება კერძო, მაგრამ მხოლოდ კერძო, რომელიც თვითონ არის ყველაფერი — აბსოლუტური ანუ ზოგადი; ბ) ზოგადი აქ უარყოფილია ზოგადად; ზოგადის უარყოფას ზოგადობის თვისება აქვს; ასეთი უარყოფა თვითონ არის ზოგადობის ბუნების, ზოგადი.

მაშასადამე, არა მარტო კერძოს უარყოფა ადგენს კერძოს, არამედ ზოგადის უარყოფაც ადგენს ზოგადს. კერძოს უარყოფა გვაძლევს ზოგადს, ეს კი მოითხოვს და ადგენს კერძოს. ზოგადის უარყოფა ადგენს კერძოს, მაგრამ ეს კერძო მოითხოვს და ადგენს მისთვის აუცილებელ ზოგადს. კერძო დგინდება ზოგადის საშუალებით, ზოგადი კი კერძოს საშუალებით. კერძო და ზოგადი ერთიმეორის საპირისპირო — საწინააღმდეგო კატეგორიებია, რომლებიც ერთიმეორის უარყოფით ერთიმეორეს ადგენენ .ეს უკვე მეტია, ვიდრე უარყოფი-

თი დიალექტიკა, ის არის კერძოს და ზოგადის ერთიანობის დადგენა.

კერძო არის ზოგადის უარყოფა, ზოგადი კი კერძოს უარყოფას წარმოადგენს (ამიტომ აქ დაპირისპირება და წინააღმდეგობა ერთი და იგივეა). კერძოს უარყოფა ზოგადია და პირიქით. მაშასადამე, სწორედ უარყოფით დგინდება ერთიც და მეორეც, ორივეს ერთიანობა. შინაგანი უარყოფით დადგენილი ერთიანობა არის სრული გაშუალება, სრული შუალობითი დასკვნა — უსასრულო დასკვნა.

ასე შეიძლება ითქვას იმ შუალობით კავშირებზე, რომელთა საფუძვლადაც ზემოთ განხილული ლოგიკურის კატეგორიები ძევს. რამდენი ლოგიკურის კატეგორიაც არსებობს, იმდენი უსასრულო დასკვნა ხორციელდება. უსასრულო დასკვნა ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობის ბუნებისაა.

9) ზოგიერთი პარადოქსი, თუ გადაწყვეტილი სახით იქნა წარმოდგენილი, ჰგავს უსასრულო დასკვნას, მაგრამ მხოლოდ ჰგავს და მას ნამდვილად არ წარმოადგენს. აქ აღნიშნული „გადაწყვეტა“ იმას ნიშნავს, რომ პარადოქსი წინააღმდეგობის ბუნების მქონედ უნდა იქნას წარმოდგენილი და ამავე დროს ეს წინააღმდეგობა ერთიანობაში იქნას დადგენილი. ასეთი რამ შეუძლებელია ისეთი პარადოქსების მიმართ, როგორიცაა „ცრუ“ და „დალაქი“, რომელთა ბუნების გარჩევაც აქ საჭიროდ მიგვაჩნია, რათა სწორად გავიგოთ უსასრულო დასკვნა, სწორად გავიგოთ ის, თუ უსასრულო დასკვნა როდის არის შეცდომა, უკეთ: შეიძლება რაიმე მივიჩნიოთ უსასრულო დასკვნად, მაგრამ ნამდვილად ის არ იყოს უსასრულო დასკვნა, არამედ მისი მხოლოდ მოჩვენება, რაც შეცდომის ანუ სოფიზმის სახით შეიძლება არსებობდეს მხოლოდ.

ჩვენი აზრით, „ცრუ“ არის სოფიზმი და არა პარადოქსი როგორც გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს და რომლის გადაწყვეტაც თითქოს შესაძლებელი იყოს წინააღმდეგობის გაუუქმებლად — მისი შენახვით. პარადოქსი „ცრუ“ არის სოფიზმი, რომლის გადაწყვეტა იქნება იმის მონახვა, თუ სად არის მისი შეცდომა. პარადოქსი „ცრუ“, როგორც ცნობილია, გამოითქმება ასე: „რასაც ვამბობ, სიცრუეა“. სიცრუე ანუ მცდარობა არ არის ჰეშმარიტებასავით რეფლექსური ცნება. ჰეშმარიტების უარყოფისათვის, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, აუცილებელია ჰეშმარიტება .მცდარობის უარყოფისათვის კი, ცხადია, არ არის აუცილებელი მცდარობა, მისთვის აუცილებელია ჰეშმარიტება (მცდარობის უარყოფა, ცხადია, ჰეშმარიტებაა). ჰეშმარიტებით იზომება და გა-

იგება მცდარობა (და არა პირიქით), რომელიც უარყოფითი ცნებაა (მცდარობა იგივეა, რაც არაჭეშმარიტება).

შეუძლებელია სოკრატეს ზემოთ განხილული დებულების — „ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი"-ის მსგავსად ვთქვათ: „სიცრუეა, რომ სიცრუეს ვამბობ", — ეს შეუძლებელია, რადგან თქმა იმისა, რომ „რასაც ვამბობ, სიცრუეა", არის უკვე ჭეშმარიტება და არა სიცრუე. თუ მცდარობა (სიცრუე) ჩავთვალეთ რეფლექსურად, ე. ი. მცდარობა წარმოვიდგინეთ ისეთ ცნებად, როგორიცაა ჭეშმარიტება, მაშინ მივიღებთ პარადოქსს. მაგრამ, როგორც ითქვა, ეს ასე არაა; მცდარობა არ არის რეფლექსური ცნება, მსგავსად ჭეშმარიტებისა. მცდარობის უარყოფა არაფერნაირად არ ადგენს მცდარობას; მცდარობის უარყოფისათვის არ არის აუცილებელი საშუალება თვითონ მცდარობა. ასეთი საშუალება არის ჭეშმარიტება; ჭეშმარიტება საშუალებაა ჭეშმარიტების უარყოფის დროსაც და მცდარობის უარყოფის დროსაც.

„რასაც ვამბობ, სიცრუეა" თითქოს ქმნის გამოუვალ წინააღმდეგობას: თუ ეს დებულება სიცრუეა, მაშინ ჭეშმარიტება მითქვამს და თუ იგი ჭეშმარიტია ,მაშინ სიცრუე მითქვამს, ანუ: თუ ის ჭეშმარიტია, მაშინ მცდარია და თუ მცდარია, მაშინ ჭეშმარიტია. ასეთი წინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა სიცრუეს ისევე რეფლექსურად ჩავთვლით, როგორც ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს ასე არ არის. სიცრუეს რეფლექსურად თვლის ის, ვინც აღნიშნული დებულების მიმართ სვამს ალტერნატიულ კითხვას; სწორედ ამ კითხვის დამსმელი ურევს ერთიმეორეში მცდარობის და ჭეშმარიტების ცნებების ხასიათს. ალტერნატიული კითხვა არ უნდა დავსვათ მიმართ დებულებისა „რასაც ვამბობ, სიცრუეა", რადგან „რასაც ვამბობ სიცრუეა", ეს უკვე ჭეშმარიტებაა, სიცრუის უარყოფაა; მცდარობის ფაქტი ჭეშმარიტებაა (ამის შესახებ გამოკვლევები დაიწერა უახლეს ფილოსოფიაში). სიცრუის უარყოფა არ ადგენს სიცრუეს, ისე როგორც ჭეშმარიტების უარყოფა ადგენს ჭეშმარიტებას, როგორც საშუალებას. სიცრუის უარყოფა არის ჭეშმარიტება და მეტი არაფერი (ამიტომ მცდარია Heiss [1], როცა ის ამ პარადოქსს უარყოფის უარყოფად თვლის და ისე განიხილავს, როგორც სოკრატეს ზემოთ გარკვეულ დებულებას).

უსასრულო დასკვნის შეცდომის მაგალითია, აგრეთვე, პარადოქსი „დალაქი"; ეს პარადოქსიც ჰგავს უსასრულო დასკვნის აზრს, მაგრამ, ნამდვილად, მას არ წარმოადგენს. პარადოქსი „დალაქი" მდგო-

[1] იხ. Heiss, Wesen und Formen der Dialektik, გვ. 85 და შემდეგ.

მარეობს შემდეგში: დალაქი პარსავს იმას, ვინც თავის თავს არ იპარსავს. თუ ამ დებულებას მივუყენებთ თვითონ დალაქს, მაშინ უნდა ვთქვათ: თუ დალაქი იპარსავს თავის თავს, მაშინ ის არ იპარსავს თავის თავს და თუ ის არ იპარსავს თავის თავის, მაშინ იპარსავს თავის თავს. სად არის გამოსავალი? საქმე იმაშია, რომ დებულება „დალაქი პარსავს იმას, ვინც თავის თავის არ იპარსავს" ეხება სხვას და არა დალაქსაც; ეს დებულება არის კერძო დებულება, ის არ ვრცელდება ყველაზე, თვითონ დალაქზეც, ე. ი. ის არ არის ზოგადი დებულება და რეფლექსური ხასიათის აზრი. თუ კერძოს ზოგადად და არარეფლექსურს რეფლექსურად წარმოვიდგენთ, მაშინ ასეთი არევდარევის შედეგად მივიღებთ სოფიზმს, როგორადაც გაგებული იყო პარადოქსი „დალაქი" ანტიკური დროიდან დღემდე.

„დალაქის" მსგავსია „კრეტელი" („ცრუ"-ს პირველი ვარიანტი); ერთი კრეტელი ამბობდა, რომ „ყველა კრეტელი ცრუობს". მაგრამ თითონაც ხომ კრეტელია, მაშ, ისიც ცრუობს, ე. ი. ტყუილი უთქვამს, რომ „ყველა კრეტელი ცრუობს"; თუ ეს ტყუილია, მაშინ მართალია ის, რომ ყველა კრეტელი არ ცრუობს, ე. ი. არ ცრუობს არც ეს კრეტელი, მაშ., მართალი უთქვამს, რომ ყველა კრეტელი ცრუობს და ა. შ. ეს არის სოფიზმი, რადგან: 1) დებულების „ყველა კრეტელი ცრუობს" საწინააღმდეგო არ არის ის, რომ „არც ერთი კრეტელი არ ცრუობს", ეს მისი მხოლოდ საპირისპიროა. ორივე შეიძლება მცდარი იყოს. 2) კრეტელის დებულება, რომ „ყველა კრეტელი ცრუობს" კერძოა და არა ზოგადი და რეფლექსური, რადგან ის სხვა კრეტელებს ეხება და არა, ამავე დროს, მას. თუ მის დებულებას რეფლექსურად გადავაქცევთ ,მაშინ მივიღებთ პარადოქსს. ამრიგად, ეს სოფიზმი აიხსნება იმით, რომ კერძო და არარეფლექსური არ უნდა აურიოთ ზოგადს და რეფლექსურს.

ამრიგად, პარადოქსს იწვევს: არარეფლექსურის რეფლექსურად წარმოდგენა ან პირიქით, კერძოს ზოგადად წარმოდგენა ან პირიქით, ერთმნიშვნელოვანის ორმნიშვნელოვანად წარმოდგენა ან პირიქით, სასრულის უსასრულოდ წარმოდგენა ან პირიქით. რეფლექსურია მსჯელობა, ცნება, ჰეშმარიტება, უარყოფა და სხვ. ჰეშმარიტება რეფლექსურია, რადგან ჰეშმარიტების უარყოფა ისევ ჰეშმარიტებას ადგენს; მართალია, ჰეშმარიტების უარყოფა არის შეცდომა, მაგრამ ჰეშმარიტების უარყოფისას ჰეშმარიტება აუცილებლობით მოიხმარება. შეცდომა არ არის რეფლექსური, შეცდომის უარყოფა არის ჰეშმარიტება. შეცდომის უარყოფისას არ მოიხმარება საშუალებად ისევ შეცდომა. ამიტომ მცდარობის რეფლექსურად

წარმოდგენა იწვევს სოფიზმს ან პარადოქსს. ასევე, კერძოს არევა ზოგადში არის სოფიზმის თუ პარადოქსის წყარო.

10) სიმრავლე არ არის ლოგიკურად რეფლექსური, რადგან სიმრავლის უარყოფა შესაძლებელია და სიმრავლის უარყოფა არ ადგენს სიმრავლეს. ამიტომ სიმრავლეთა სიმრავლე ქმნის პარადოქსს (რასელის პარადოქსი). პარადოქსი იქმნება მაშინ, თუ სიმრავლედ იქნა გაგებული ის, რასაც უსასრულო სიმრავლის ბუნება წარმოადგენს. რა არის უსასრულო სიმრავლე? პასუხი ამ კითხვაზე იქნება უსასრულო სიმრავლის თვისობრიობა და არა სიმრავლე. რა არის რაოდენობა? ის, რაც რაოდენობას წარმოადგენს. რაც რაოდენობას წარმოადგენს, რასაც რაოდენობა ჰქვია, არის რაოდენობის თვისობრიობა, რომელიც რაოდენობის ცნებაშია გამოთქმული. რაოდენობის განსაზღვრება არის რაოდენობის თვისობრიობის ცნების დადგენა. ამ თვისობრიობასაც თუ სიმრავლედ წარმოვიდგენთ, მაშინ გვექნება შეცდომა, რომელსაც შეიძლება პარადოქსის სახეც მივცეთ. სიმრავლეთა სიმრავლე, ეს არის საერთოდ სიმრავლე ანუ სიმრავლის ცნება, რომელიც თვითონ არ არის სიმრავლე.

ლოგიკურად რეფლექსური ორმნიშვნელოვანია, გარკვეული წინააღმდეგობის შემცველია, მაგრამ ამ წინააღმდეგობაზე არ დაიყვანება. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი კატეგორია ანტინომიურია (როგორც ამას ჰეგელი აღიარებდა), მაგრამ მასში (კატეგორიაში) მისი ანტინომიურობა გადაწყვეტილია, რადგან ის არის წინააღმდეგობის ერთიანობა (სწორედ ამიტომ არ შეუძლია ფორმალურ ლოგიკას, რომელიც მხოლოდ ერთმნიშვნელოვანებას აღიარებს, მოუაროს, გაიგოს კატეგორიები. ანტინომიურობა არ ნიშნავს სოფიზმს თუ პარადოქსს). კატეგორიების ლოგიკა დიალექტიკური ლოგიკაა, რომელიც კატეგორიებში ანტინომიურობას კიდეც აღმოაჩენს და კიდეც წყვეტს მას (ასე უნდა გადაწყდეს კანტის ანტინომიებიც და ძენონის აპორიებიც). ანტინომიურია, მაგალითად, რაოდენობის კატეგორია, რადგან ის არის წყვეტადობისა და უწყვეტობის ერთიანობა; ანტინომიურია მოძრაობაც, ზოგადობაც, უსასრულობაც და ყველა ლოგიკური კატეგორია, მაგრამ ეს ანტინომიურობა ლოგიკურ რეფლექსურობაში მოხსნილ-შენახული სახით, ე. ი. გადაწყვეტილ-გამართლებული სახით არსებობს. ორმნიშვნელოვანია უარყოფა, რამდენადაც „უარყოფითი ამდენადვე დადებითია“ [1]. ორმნიშვნელოვანი არ უნდა დაიყვანო — დაშალო ერთმნიშვნელობებად და პირიქით, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ შეცდომას. ამიტომ დიალექტიკურობა ლოგიკურისათვის აუცილებელია.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 88, 225—226.

დასკვნას განსაზღვრავენ, როგორც ერთი ან რამდენიმე მსჯელობიდან ახალი მსჯელობის გამოყვანას, განსხვავებული მსჯელობის აუცილებელ მიღებას. ამ გამოყვანა-მიღებაში ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა, ლოგიკური გაშუალება, ლოგიკური შუალობითი კავშირი. სხვანაირად: დასკვნა ნიშნავს ერთი ან რამდენიმე მსჯელობის სხვა — ახალ მსჯელობასთან აუცილებელ კავშირს; დასკვნა არის მათი აუცილებელი ერთიანობა, სახელდობრ, სინთეზური აუცილებელი ერთიანობა.

დასკვნის ბუნების ასეთი გაგება ფორმალური ლოგიკის მოთხოვნა იყო (დაწყებული არისტოტელედან — დღემდე), მაგრამ ეს მოთხოვნა არ განხორციელდა, არ მოხერხდა დასკვნის სინთეზური ბუნების დასაბუთება; დასკვნა გაგებულ იქნა როგორც ანალიზური გამომდინარეობა, ტავტოლოგიური კავშირი, ლოგიკა დაყვანილ იქნა ტავტოლოგიებზე .ეს გარემოება განსაკუთრებით რელიეფურად წარმოდგა თანამედროვე მათემატიკური ლოგიკის სისტემაში (მაგალითად, რასელის აზრით, ლოგიკისა და მათემატიკის დებულებები წარმოადგენენ ტავტოლოგიებს)[1].

დასკვნის და საერთოდ ლოგიკური კავშირის ანალიზურობის და ტავტოლოგიური კავშირის სახით წარმოდგენა მცდარად უნდა ჩაითვალოს. ეს მცდარობა რელიეფურად აშკარავდება დასკვნასა და დასაბუთებაში. დასაბუთების თვალსაზრისით, ტავტოლოგიურობა ლოგიკური შეცდომაა (ლოგიკური წრეა), რადგან, ასეთ შემთხვევაში, დასაბუთებელი, ამავე დროს, დამსაბუთებელი გამოდის, იკარგება შუალობითობა — დასკვნისა და დასაბუთების ბუნება. ასეთი შეცდომის წინააღმდეგ თვითონ ფორმალური ლოგიკა გამოდიოდა, წინააღმდეგ იმ შედეგისა, რომელიც მან მიიღო, როცა დასკვნა ანალიზურობა-ტავტოლოგიურობაზე დაიყვანა. ფორმალური ლოგიკა წინააღმდეგობაში გაიხლართა.

ტავტოლოგიური კავშირი, ნამდვილად, არ არის კავშირი, რადგან კავშირი განსხვავებას აუცილებლობით შეიცავს. კავშირი შეიძლება იყოს განსხვავებულთა კავშირი, ის აუცილებლად სინთეზური უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირს აზრი დაეკარგებოდა; დასაკავშირებელთა გარეშე კავშირი შეუძლებელია. ამიტომ დასკვნა, როგორც გარკვეული კავშირი, უნდა იყოს სინთეზური; დასკ-

[1] Б. Рассел, Человеческое познание, გვ. 411.

ვნა უნდა იყოს ლოგიკურ-სინთეზური, სინთეზი ლოგიკური აუცილებლობით უნდა ხორციელდებოდეს.

წმინდა უშუალო კავშირი ტავტოლოგიურია. თუ რაიმე უშუალოდ არის სხვა, მაშინ მათ შორის არ არის განსხვავება, აქ ერთი და იგივეს განმეორებაა და არა რაიმეს სხვასთან კავშირი. ამიტომ დასკვნა არ შეიძლება უშუალო კავშირი იყოს; ამ აზრით, შეუძლებელია „უშუალო დასკვნა". ეს სახელწოდება ან არაფერს არ ამბობს, ან პირობითი სახელია რაღაც შუალობითი კავშირისა (ამის შესახებ საუბარი გვქონდა „უშუალო დასკვნების" განხილვის დროს). თუ, მაგალითად, სილოგიზმი არის წანამძღვრების დანასკვთან უშუალო კავშირი, მაშინ სილოგიზმს, როგორც შუალობით დასკვნას, აზრი ეკარგება (როგორც ეს ზემოთ იყო განხილული).

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყოველგვარი დასკვნა, როგორც მართლაც დასკვნა, შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მხოლოდ აზრთა შუალობითი კავშირი. დასკვნა არის აზრთა აუცილებელი შუალობითი კავშირი (და არა, მაგალითად, სილოგისტური უშუალო გამომდინარეობა, გამომდინარეობაც ერთ-ერთი შუალობითი კავშირთაგანია, თუ ის არ იქნა გაგებული ფსიქოლოგიურად, როგორც ფსიქოლოგიური გადასვლა).

აუცილებელი შუალობითი კავშირი შეიძლება წარმოდგეს არასრულადაც და სრული სახითაც. პირველ შემთხვევაში ლოგიკური აუცილებლობა სრულად არ განხორციელდება და ამიტომ საჭირო იქნება ასეთი რაიმეს დასაბუთება, ან და ის სრულად განხორციელდება, ე .ი. შესრულდება სრული დასკვნა, რომელსაც დასაბუთების ხასიათიც ექნება. ყველაზე უფრო არასრული შუალობითი კავშირი, როგორც ვიცით, ხორციელდება მსჯელობაში, ამიტომ იგი საჭიროებს დასაბუთებას, თავისი ბუნებით მოითხოვს დასკვნა-დასაბუთებას. შუალობითი კავშირი უფრო „მეტად" ხორციელდება „უშუალო დასკვნებში", შემდეგ იგი კიდევ უფრო სრულად წარმოდგება ფორმალურ-ლოგიკურ შუალობით დასკვნებში; სრული შუალობითი აუცილებელი, ლოგიკური კავშირი კი მხოლოდ უსასრულო დასკვნაში ხორციელდება. შუალობითი კავშირის ეს „ზრდა", ცხადია, არ არის რიცხვობრივი ხასიათისა; ის არის გარკვეული ლოგიკური განვითარება (რომლის ბუნებასაც ჩვენ შემდგომ — დასაბუთების თეორიაში — გავარკვევთ). სრული აუცილებელი შუალობითი კავშირი ლოგიკურში, ეს არის სრული დასკვნა, რომელსაც ჩვენ უსასრულო დასკვნას ვუწოდებთ. სრული აუცილებელი შუალობითი ლოგიკური კავშირი, ეს არის რაიმეს დადგენა მისი შინაგანი უარყოფით.

სრული დასკვნა არის სრულ სასრულთა კავშირ-ერთიანობა. როგორც ვიცით, სრული სასრული არის წინააღმდეგობის ერთი მხარე .ორი ასეთი მხარის ერთიანობა არის სრული დასკვნა. წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა — უსასრულო დასკვნა.

სრული სასრულის ფარგლებში იმყოფება ყველა არასრული დასკვნები. რომლებსაც საბოლოოდ იმით აქვთ აზრი, რომ ისინი ენთიმემური არიან, ე. ი. როგორღაც გულისხმობენ საპირისპიროს (წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ვიცით, ისინი შეუძლებელნი იქნებოდნენ), რომლის პირველ მხარესთან კავშირის ლოგიკური გაფორმება მოგვცემს სრულ ლოგიკურ კავშირს — სრულ დასკვნას.

დასკვნის ბუნების გაგება უდრის ლოგიკური აუცილებლობის ბუნების გაგებას. როგორც ეს ზემოთ გაირკვა, სასრულ დასკვნებში ლოგიკური აუცილებლობა განხორციელებულია არასრულად, აქ ვთქვათ „სანახევროდ", რადგან ასეთ დასკვნებში აუცილებელი არის ის, რის საწინააღმდეგო შეუძლებელია; ლოგიკური აუცილებლობა საწინააღმდეგოს შეუძლებლობაა. ეს აუცილებლობა, როგორც ვნახეთ, ემყარება სასრულის კატეგორიას, ის სასრულის კატეგორიის ბუნებისაა; იმის გამო, რომ არ არის არა -A, არის — აუცილებელია A. ეს არის აპაგოგიური დასაბუთების აუცილებლობა. სხვანაირი აუცილებლობა ფორმალურმა ლოგიკამ არ იცის, თუმცა ის აპაგოგიურ დასაბუთებას სუსტ დასაბუთებად თვლის, პირდაპირ დასაბუთებას კი სრულ დასაბუთებად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ დასაბუთებაში განხორციელებული აუცილებლობა სხვა არაფერია, თუ არა საწინააღმდეგოს შეუძლებლობა.

რაიმეს აუცილებლობისათვის საჭიროა საწინააღმდეგოს შეუძლებლობა, მაგრამ ეს აუცილებლობა არის, როგორც ვიცით, სასრულის აუცილებლობა. საწინააღმდეგოს შეუძლებლობა არის სასრულის აუცილებლობის პირობა ;ეს პირობა, ცხადია, განსაზღვრავს მას, როგორც მისით გაპირობებულს. მაგრამ აქ უკვე ჩანს საწინააღმდეგოს აუცილებლობა. A არის A სწორედ იმის გამო, რომ ის არ არის არა-A. A-სთვის აუცილებელია არა-A-ს გულისხმობა. A სწორედ ის არის, რაც არ არის არა -A, ამიტომ A-ს ცნება შეიცავს საწინააღმდეგოს ნიშანსაც, სწორედ როგორც მისი საწინააღმდეგოს ნიშანს (და არა როგორც არა-საწინააღმდეგოს ნიშანს), როგორც ეს ზემოთ იქნა ჩვენს მიერ გარკვეული.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელი არის ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია; მაგრამ რადგან ის, რომლის უარყოფის შეუძლებლობაზე ახლა ვლაპარაკობთ, უნდა არსებობდეს (რო-

გორც ზემოთ აღინიშნა, იმის უარყოფაც შეუძლებელია. რაც არ არსებობს), ამიტომ უარსაყოფელი უნდა მივიღოთ დადგენილად, რომ მისი უარყოფის შეუძლებლობაზე ვილაპარაკოთ. მაშასადამე, ლოგიკურად აუცილებელი უნდა იყოს ის, რომლის უარყოფაც მას ადგენს; ლოგიკური აუცილებლობა კი არის რაიმეს დადგენა მისი უარყოფით, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. ამ აუცილებლობაზე უფრო ძლიერი ლოგიკური აუცილებლობა შეუძლებელია; შეუძლებელია უფრო „მეტი“ აუცილებლობა, ვიდრე ის, როცა რაიმე მისი უარყოფითაც კი დგინდება. ეს არის ლოგიკური უსასრულის აუცილებლობა, აუცილებლობა, რომელიც უსასრულო დასკვნაში განხორციელებული. სასრულის აუცილებლობა უსასრულო ლოგიკური აუცილებლობის ერთი მხარეა, ერთმხრიობაა, რომელსაც ფორმალური ლოგიკა სწავლობდა და სწავლობს.

სრული დასკვნა არის შინაგანი უარყოფის შემცველი სრული შუალობითი კავშირი. სასრული დასკვნა, მაგალითად, Barbara ანტინომიური ხასიათისაა: ის უარყოფის გარეშე არაფერია, უარყოფით კი იგი შეუძლებელია .ამ ანტინომიურობას წყვეტს კატეგორიების კავშირი (როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული), რომელიც უსასრულო დასკვნაში ხორციელდება. საერთოდ დასკვნა არის აზრთა აუცილებელი შუალობითი კავშირი. სრული დასკვნა არის შინაგანი უარყოფის საშუალებით შესრულებული გაშუალება — შუალობითი კავშირ-ურთიერთობა, ანუ უფრო გარკვევით: სრული დასკვნა— უსასრულო დასკვნა არის უარყოფით თვითდადგენა.

§ 168. საშუალო ცნების ბუნება

თუ დასკვნა შუალობითი კავშირია, მაშინ დგება საკითხი საშუალოს ბუნების შესახებ. ეს არის ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ეხება დასკვნის სტრუქტურას, მაგრამ იგი ისე მნიშვნელოვანია, რომ ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი და განხილული (დანარჩენ საკითხებს, რომლებიც უსასრულო დასკვნის სტრუქტურას ეხებიან, განვიხილავთ შემდგომ §-ში).

ყოველ გაშუალებაში მოქმედებს საშუალო („საშუალო“ უვარგისი გამოთქმაა ლოგიკურისათვის, რადგან ის სივრცით წარმოდგენას ეყრდნობა, მაგრამ აზრი, რომელიც ამ სიტყვით პირობითად აღინიშნება, ყოველთვის გასაგები იყო). „საშუალოს“ გარეშე გაშუალება ვერ შესრულდება. არისტოტელესათვის ძირითადი იყო საშუალოს პრობლემა (არა მხოლოდ ლოგიკაში). არისტოტელესათვის დასკვნის საშუალო უნდა ყოფილიყო საგნის არსების — „უსი-

ას“ გამოთქმა. „უსიას“ გამომთქმელი ცნება, რომელიც სილოგიზმის საშუალო ტერმინის როლს შეასრულებდა (ასეთი დასკვნა, ამავე დროს, დასაბუთებაც იქნებოდა). მაგრამ მისტიკური „უსია“ ვერ გადავიდა ლოგიკურში — ცნებაში, ამიტომ არისტოტელეს ლოგიკა, რომელიც ონტოლოგიას უნდა დაყრდნობოდა, მოწყდა მის ამ საფუძველს, და, მაგალითად, დასკვნებში ვერ იქნა განხორციელებული შინაარსეული ზოგადობა (რომლის შესახებაც არისტოტელეს სრულიად გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა) და სილოგიზმის წესები განისაზღვრა მოცულობითი ზოგადის — „ყველას“ და „ზოგიერთის“ დამოკიდებულებით.

ფორმალურ ლოგიკაში სილოგიზმი (კატეგორიული სილოგიზმი) ითვლება სანიმუშო შუალობით დასკვნად. კატეგორიული სილოგიზმის საშუალო არის მართლაც საშუალო, რადგან ის მოცულობით მეტია მცირე ცნებაზე და ნაკლებია დიდ ცნებაზე; საშუალო ტერმინი კიდურების მიმართ საშუალოა მოცულობითი ზოგადობით; შინაარსის მიხედვით კი საშუალო იგივე ნიშნით არის აღებული, რა ხიშნითაც აღებულია მცირე და დიდი ტერმინები. კატეგორიულ სილოგიზმში სამივე ერთი და იგივე ნიშნის მხრივ არის გათვალისწინებული, ამიტომ მოცულობის მხრივაც იგივეობრიობაა არსებითი სილოგისტური დასკვნისათვის .ამიტომაა სილოგისტური დასკვნა ანალიზური ხასიათისა, თუმცა ის ასეთი არ უნდა იყოს, რადგან მასში სამი განსხვავებული ტერმინი მონაწილეობს, სადაც საშუალო მართლაც საშუალო უნდა იყოს და არა კიდურებთან იგივეობრივი, როგორც ეს ზემოთაც იქნა აღნიშნული.

კატეგორიულ სილოგიზმში აქ აღნიშნული საშუალო უნდა იყოს რაღაცნაირად განსხვავებული კიდურებისაგან. სწორედ ან განსხვავებით და განსხვავებული საშუალოთი აქვს აზრი კატეგორიულ სილოგიზმს, თუმცა ეს განსხვავება მასში არ არის ლოგიკურად გაფორმებული.

რამდენადაც სილოგიზმში საშუალო უნდა იყოს კიდურებისაგან განსხვავებული, ამდენად ის შუალობით დასკვნას წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, კატეგორიული სილოგიზმი დაიყვანება „თუ — მაშინ“-ზე, ე. ი. კატეგორიული სილოგიზმი, როგორც შუალობითი დასკვნა, ნამდვილად არ არის შუალობითი, ის არის უშუალო კავშირი. კატეგორიულ სილოგიზმში დანასკვი უშუალოდ გამოდის წანამძღვრებიდან. მასში არ არის საშუალო საფუძველსა და შედეგს შორის; სწორედ ამიტომაა ის ანალიზური დასკვნა. ანალიზურობაში შუალობითობა ვერ ხორციელდება. ანა-

ლოგიური მდგომარეობაა ფორმალური ლოგიკის სხვა შუალობით დასკვნებშიც.

ჰეგელმა და მარქსმა დასკვნები წარმოადგინეს კატეგორიების კავშირის სახით. როგორც ვიცით, კატეგორიების კავშირში, თუ ეს კავშირი ზოგადი ფორმით იქნა წარმოდგენილი, საშუალო არის განსაკუთრებული. მართალია, საშუალო შეიძლება იყოს ერთეულიც და ზოგადიც, მაგრამ დასკვნის ზოგადი ფორმისათვის საშუალო განსაკუთრებულია, კიდურებს კი ერთეული და ზოგადი წარმოადგენენ.

კ. მარქსს ორგვარი აზრი აქვს გამოთქმული განსაკუთრებულის, როგორც საშუალოს, შესახებ დასკვნაში. ერთი მხრივ, კ. მარქსი აღნიშნავს, რომ დასკვნის საშუალო არის განსაკუთრებული, მაგალითად, „განაწილება-გაცვლა“ „წარმოების“ და „მოხმარების“, როგორც კიდურების, მიმართ[1]. ასეთი საშუალო მოიხმარება „კაპიტალის“ წრებრუნვებშიც. მეორე მხრივ, კ. მარქსი აკრიტიკებს ჰეგელის დასკვნის თეორიას, როცა ის აღნიშნავს, რომ ჰეგელისათვის დასკვნის საშუალო, როგორც განსაკუთრებული, არის mixtum compositum, ის ჩქმალავს ერთეულისა და ზოგადის დაპირისპირებას, მაშინ როცა არ უნდა მიჩქმალოს იგი, ე. ი. დაპირისპირება უნდა გაფორმდეს სრულად[2].

თუ ჰეგელთან დასკვნაში მიჩქმალულია დაპირისპირება ერთეულსა და ზოგადს შორის იმიტომ, რომ მასში საშუალოს როლს „განსაკუთრებული“ ასრულებს, მაშინ მარქსის მიერ აღებული საშუალო, რომელიც განსაკუთრებულია, რატომ არ ჩქმალავს დაპირისპირებას, რომელიც არსებობს ერთეულსა და ზოგადს შორის. განსაკუთრებული, როგორც საშუალო, აღნიშნული დაპირისპირების მიმჩქმალველია ყველგან — ჰეგელთანაც და მარქსთანაც. ამიტომ „განსაკუთრებული“, როგორც საშუალო, საერთოდ უნდა იყოს mixtum compositum, „ხის რკინა“. განსაკუთრებული, როგორც საშუალო, აერთიანებს ერთეულს და ზოგადს, მაგრამ თვითონ არის ასეთი ერთიანობა .ამიტომ აქ ადგილი აქვს ერთგვარ ლოგიკურ უხერხულობას. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს უხერხულობა არსებობს დასკვნის, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის თვალსაზრისით.

აქ აღნიშნული სიძნელიდან გამოსავალი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს შემდეგში. ნამდვილად არსებობს ისეთი დასკვნები, სადაც საშუალოს როლს ასრულებს „განსაკუთრებული“. ასეთი დასკვნის მაგალითები, როგორც ითქვა, მარქსს მოყავს თავის ნაშრომებში.

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. ტ. I, 1955 წ. რუს. გამოც. გვ. 317

მარქსი აღიარებს ასეთ დასკვნებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს, მარქსის აზრით, მხოლოდ ასეთი დასკვნები უნდა არსებობდნენ და თითქოს ის უარყოფდეს სხვა დასკვნების არსებობას, კერძოდ, ისეთი დასკვნების არსებობას, სადაც განსაკუთრებული არ იქნება საშუალო, როგორც დაპირისპირების მიმჩქმალველი; არა, ჰეგელის დასკვნის თეორიის კრიტიკის დროს კ. მარქსს მხედველობაში აქვს ისეთი დასკვნა, სადაც დაპირისპირება სისრულით, მიუჩქმალველად უნდა იყოს წარმოდგენილი; ასეთ დასკვნაში საშუალო აღარ იქნება განსაკუთრებული.

ამრიგად, არსებობენ ისეთი დასკვნები, სადაც საშუალო არის განსაკუთრებული, და ისეთი დასკვნებიც უნდა არსებობდნენ, სადაც საშუალო არ იქნება განსაკუთრებული, და განხორციელდება დაპირისპირებულთა ერთიანობა; არსებობენ ისეთი დასკვნები, სადაც დაპირისპირება თუ წინააღმდეგობა არ არის სისრულით წარმოდგენილი და ისეთი დასკვნებიც არსებობენ, სადაც წინააღმდეგობა სისრულითაა გაფორმებული.

მაშასადამე, შუალობითი დასკვნები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან საშუალოს ბუნების მიხედვით; არსებობენ სამგვარი დასკვნები: 1) ისეთი დასკვნები, სადაც საშუალო არის იგივეობრივი კიდურებთან, ე. ი. ისეთი, რომელიც მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ, „ჩქმალავს“ განსხვავებას, გამორიცხავს განსხვავებას, თუმცა მისთვის აუცილებელია განსხვავება; ასეთია, მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმი. 2) დასკვნები, როგორც კატეგორიათა ისეთი კავშირები, სადაც მოქმედებს არა მხოლოდ განსხვავება, არამედ — დაპირისპირება, და საშუალო წარმოდგენილია „განსაკუთრებულის“ სახით, თუმცა ასეთი საშუალო „ჩქმალავს“ დაპირისპირებას. 3) ისეთი დასკვნები, სადაც არ არის მიჩქმალული დაპირისპირება — წინააღმდეგობა, სადაც წინააღმდეგობა სისრულით არის გამოვლენილ-გაფორმებული, ე. ი. ისეთი დასკვნები, რომელთაგან თვითეული წარმოადგენს დაპირისპირებულთა ერთიანობას, წინააღმდეგობის ერთიანობას, რომელშიც იმოქმედებს ისეთი საშუალო, რომელიც არ იქნება არც მხოლოდ იგივეობრივი და არც „განსაკუთრებული“, არამედ იქნება სრულიად სხვაგვარი „საშუალო“. მაინც როგორი? ჩვენი აზრით, ეს საშუალო არის უსასრულო დასკვნის „საშუალო“. სწორედ უსასრულო დასკვნაშია გაფორმებული სრულად დაპირისპირება — წინააღმდეგობა, რომელიც „მიუჩქმალავად“ არის მასში წარმოდგენილი. ამ პარაგრაფის მთავარი საკითხი სწორედ უსასრულო დასკვნის, როგორც სრული შუალობითი კავშირის, „საშუა-

ლოს“ საკითხია. პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: როგორია „საშუალო“ უსასრულო დასკვნებში?

უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობა, წინააღმდეგობის ერთიანობა. წინააღმდეგობა, როგორც ვიცით, გამორიცხავს გარკვეულ „მესამეს“, ამ აზრით გამორიცხულია „საშუალოც“. წინააღმდეგობა გამორიცხავს მესამე სასრულს, სასრულ საშუალოს, ისეთს, როგორიცაა წინააღმდეგობის ერთი მხარე, ან ისეთს, როგორიცაა განსაკუთრებული — წინააღმდეგობის „მიმჩქმალველი“. წინააღმდეგობის ერთიანობაში არ არსებობს სასრული საშუალო, რომელიც წინააღმდეგობის მხარეებს აკავშირებდეს. წინააღმდეგობის ერთი მხარე მეორეს უკავშირდება არა რაიმე სასრული საშუალოთი, არამედ უარყოფით. უარყოფა არა მარტო უარყოფს, არამედ ადგენს კიდეც. უფრო სრულად: საშუალო აქ არის არა მხოლოდ უარყოფა, არამედ წინააღმდეგობა — ურთიერთუარყოფა, მაგრამ მხოლოდ ურთიერთუარყოფა ვერ დააკავშირებს წინააღმდეგობის მხარეებს, პირიქით, ის მათ გათიშავს. მაგრამ, როგორც ვიცით, წინააღმდეგობის ერთიანობაში მოქმედებს შედარებითი უარყოფა და ურთიერთუარყოფა არის არა მხოლოდ ურთიერთგამორიცხვა, არამედ ურთიერთდადგენაც. ამასთანავე, ისიც ვიცით, რომ წინააღმდეგობა, მართალია, გამორიცხავს „მესამეს“, მაგრამ ეს გამორიცხული „მესამე“ არის „მესამე“ როგორც პრედიკატი და არა როგორც სუბიექტი. წინააღმდეგობა გამორიცხავს „მესამეს“ როგორც პრედიკატს, მაგრამ ემყარება „მესამეს“ როგორც სუბიექტს, როგორც წინააღმდეგობის ძირს — ერთიანობას, რომლის გაორება მასთან ერთად წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთიანობას. ერთიანის გაორება არის წინააღმდეგობის ერთიანობა. ამიტომ „საშუალო“ უსასრულო დასკვნაში, როგორც ლოგიკურ წინააღმდეგობის ერთიანობაში, უნდა იყოს ერთიანობა. რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში საშუალო უნდა იყოს დადგენის და უარყოფის ერთიანობა, როგორც მათი ძირი.

მაშასადამე, მივიღეთ, რომ უსასრულო დასკვნაში საშუალო არის: 1) უარყოფა, 2) ურთიერთუარყოფა — წინააღმდეგობა და 3) ერთიანობა; გამოვიდა სამი საშუალო, რაც ცხადია, უაზრობას წარმოადგენს. საშუალო შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. მართლაც, საშუალო უსასრულო დასკვნაში არის მხოლოდ ერთი, ეს არის ერთიანობა, მაგრამ არა უარყოფის და განსხვავების გამომრიცხველი ერთიანობა, რომელიც მხოლოდ — წმინდა იგივეობრივია. როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, სილოგისტურ დასკვნაში (როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ), არამედ ისეთი ერთიანობა, რომლისთ-

ვისაც აუცილებელია წინააღმდეგობის მხარეები (ამიტომ ის ერთიანობა არ არის ფორმალურ-ლოგიკური გვარი). უსასრულო დასკვნის საშუალო არის უარყოფის შემცველი ერთიანობა, კონკრეტული ერთიანობა (და არა აბსტრაქტული ერთიანობა), კონკრეტული და სრული ზოგადი.

აქ პასუხი უნდა გაეცეს ერთ სიძნელეს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: უსასრულო დასკვნა არის წინააღმდეგობის ერთიანობა. მისი „საშუალო" არის უარყოფის შემცველი ერთიანობა; უარყოფის შემცველი ერთიანობა ხომ იგივე წინააღმდეგობის ერთიანობაა? გამოდის, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის „საშუალო" არის ისევ წინააღმდეგობის ერთიანობა.

საქმე იმაშია, რომ უსასრულო დასკვნის, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობის, „საშუალო" — უარყოფის შემცველი ერთიანობა არის მხოლოდ ერთი მომენტი წინააღმდეგობის ერთიანობისა, როგორც უსასრულო დასკვნისა; ის არის წინააღმდეგობის ძირი — ერთიანობა, როგორც უსასრულო დასკვნის ზოგადი აზრი — ცნება. როგორც ზემოთ გაირკვა, ცნება არის დასკვნის ზოგადი აზრი. უსასრულო დასკვნის ზოგადი აზრი, როგორც ცნება, სპეციალურად იქნება განხილული. აქ საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ უსასრულო დასკვნის საშუალო ცნება არის ამ დასკვნის ზოგადი აზრი, როგორც ცნება. ეს არის წინააღმდეგობის ძირი — ერთიანობა. მაგალითად, უსასრულო დასკვნაში „ჰეშმარიტების უარყოფა ადგენს ჰეშმარიტებას" საშუალო იქნება ჰეშმარიტების ცნება, როგორც ზოგადი აზრი გარკვეული შუალობითი კავშირისა. უარყოფის უარყოფით უარყოფის დადგენაში „საშუალო" იქნება უარყოფის ცნება, და სხვ. ამრიგად, უსასრულო დასკვნის საშუალო ცნება, ეს არის უარყოფის შემცველი ერთიანობა, როგორც ზოგადობა — ცნება, რომელიც ამ დასკვნის ზოგად აზრს წარმოადგენს (ამის ანალოგიური თუ ამ აზრის გაურკვეველი ჩანასახი არის არისტოტელესთან დასკვნის საშუალო როგორც ზოგადი კიდურებისათვის). დასკვნის საშუალო არის ცნება .ასეთია დასკვნის და ცნების, როგორც ლოგიკური ფორმების გარკვეული კავშირი. დასკვნაში ცნება არის მოხსნილი და შენახული და არსებობს „საშუალოს" სახით.

როგორც ვიცით, წინააღმდეგობის ერთიანობაში წინააღმდეგობის ძირი, როგორც სუბიექტი, არ არის ისეთი, როგორიცაა წინააღმდეგობის ერთი მხარე; ის არ არის სასრული, წინააღმდეგ შემთხვევაში სამი სასრულის გაერთიანებისათვის საჭირო გახდებოდა ახალი ერთიანობა და ა. შ. უსასრულოდ. წინააღმდეგობის ძირი, როგორც ერთიანობა არის არა სასრული, არამედ უსასრულოს მომენტი, რო-

გორც „გარეგადამწვდომი“ მომენტი (ამიტომ არის ის ცნება). ამრიგად, უსასრულო დასკვნის საშუალო არის უსასრულოს მომენტი, როგორც ცნება — ზოგადი აზრი დასკვნისა; უსასრულო დასკვნის საშუალო არის ცნება როგორც რეფლექსური — ლოგიკურის კატეგორია. ეს ცნება არის საშუალო უარყოფის მეოხებით დადგენისათვის, უშუალობა-გაშუალების სრული ერთიანობისათვის.

§ 169. უსასრულო დასკვნის სტრუქტურა

უსასრულო დასკვნის სტრუქტურის გაგება, ეს ნიშნავს ამ დასკვნის ელემენტებისა და აღნაგობის დადგენას; ეს არის უსასრულო დასკვნის ბუნების დასახსნა მისი გაგების მიზნით.

1) როგორც ეს წინა პარაგრაფში გაირკვა, უსასრულო დასკვნის საშუალო არის ცნება. მაგრამ ეს საშუალო არის არა ორი ცნების „შუაში“, არა, აქ არ არის სამი ცნება, არამედ — მხოლოდ ერთი. უსასრულო დასკვნაში არის მხოლოდ ერთი ცნება. უსასრულო დასკვნა არის ერთცნებიანი დასკვნა, რომლის მსგავსიც არ იცის ფორმალურმა ლოგიკამ. უსასრულო დასკვნა არის ერთი ცნების მიერ ნაგულისხმევი მტკიცება-უარყოფით (ცნებამ ხომ მოხსნა და შეინახა მსჯელობა) შედგენილი დასკვნა; უსასრულო დასკვნა არის ერთი ცნების მიმართ და ერთ ცნებაში მტკიცება-უარყოფის მოხმარით მიღებული შუალობითი კავშირი. უსასრულო დასკვნა არის ერთცნებიანი დასკვნა იმ აზრით, რა აზრითაც კატეგორიული სილოგიზმი არის სამცნებიანი დასკვნა. თუ კატეგორიულ სილოგიზმში არის სამი ცნება — მცირე, საშუალო და დიდი, და „არის“ და „არ არის“ არ ითვლება ცნებებად (თუმცა ზმნები ყოველთვის ზოგადი შინაარსისაა), მაშინ, სწორედ ასეთი გაგებით, უსასრულო დასკვნაში არის მხოლოდ ერთი ცნება. წინა პარაგრაფში განხილული იყო უსასრულო დასკვნის სტრუქტურის ერთი ძირითადი ელემენტი, სახელდობრ, საშუალო ცნება. ზემოთ განხილული ლოგიკურის კატეგორიების საფუძველზე აგებული უსასრულო დასკვნები სწორედ ამ კატეგორიების საშუალოდ შემცველი იქნება; თვითეული უსასრულო დასკვნა შეიცავს მხოლოდ ერთ ცნება-კატეგორიას.

უარყოფის უარყოფით დგინდება უარყოფა (წინააღმდეგ ჩვეულებრივი ორმაგი უარყოფისა, სადაც უარყოფის უარყოფა არის დადებითის მხოლოდ აღდგენა. უარყოფის უარყოფით უარყოფა დგინდება, მაგრამ ეს დადგენა არის დადებითი, როგორც შუალობითი კავშირი და არა ისეთი დადებითის მიღება, რომელსაც ადგილი

ქვს ჩვეულებრივ უარყოფაში: რაიმეს უარყოფის უარყოფა არის იგივე რაიმე, რომელიც პირველად უარვყავით). უარყოფის უარყოფით უარყოფის დადგენაში არის მხოლოდ ერთი ცნება — უარყოფის ცნება. აზრის უარყოფა არის აზრი, აქაც ერთი ცნებაა, სახელდობრ, აზრის ცნება. მსჯელობის უარყოფით ისევ მსჯელობა დგინდება; აქ მხოლოდ ერთი ცნება — მსჯელობის ცნება მოქმედებს. ცნების უარყოფა ისევ ცნებას ადგენს, აქაც ერთი ცნება, სახელდობრ, ცნების ცნება გვაქვს. ჰეშმარიტების უარყოფა ისევ ჰეშმარიტებას ადგენს, აქაც მხოლოდ ერთი ცნება — ჰეშმარიტების ცნება — „მოქმედებს“. კატეგორიის უარყოფა ისევ კატეგორიას (უარყოფის კატეგორიას) მოიხმარს როგორც საშუალებას და მას ასეთად ადგენს. კერძოს უარყოფა ისევ კერძოს ადგენს და სხვ. ყოველ უსასრულო დასკვნაში არის მხოლოდ ერთი ცნება.

2) უსასრულო დასკვნა არის განუყოფელი ერთიანობა, აუცილებლობით „შეკრული“ ერთიანობა. ის არ შეიძლება იყოს სხვანაირი, რადგან, როგორც გაირკვა, მასში მხოლოდ ერთი ცნებაა. უსასრულო დასკვნის განუყოფელი ერთიანობა იმას ნიშნავს, რომ ის არ არის დაშლილი მსჯელობებად, სახელდობრ, წანამძღვრებად და დასკვნად, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, კატეგორიულ სილოგიზმში, სადაც თვითეულ მსჯელობას, ცალკე აღებულს, სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და თავისთავად სრულ აზრს წარმოადგენს (რადგან ენთიმემურია, როგორც ეს ზემოთ იყო გარკვეული), მაშინ როცა უსასრულო დასკვნაში მის ელემენტებს არ აქვს ასეთი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი და სრული აზრი მხოლოდ მთელი დასკვნაა — მთელი უსასრულო დასკვნაა. დასკვნის ასეთი მთლიანობის საჭიროება შეატყო: 1) ჰეგელმა, რომელიც წინააღმდეგი იყო დასკვნის დაყოფის წანამძღვრებად და დანასკვად; ამიტომ იგი დასკვნას შემდეგ ფორმას აძლევდა ე-გ-ზ. ამას, როგორც ვიცით, ეთანხმებოდა კ. მარქსიც, ფ. ენგელსიც და ვ. ი. ლენინიც; 2) მათემატიკურმა ლოგიკამ, რომელმაც კატეგორიული სილოგიზმი ერთ პირობით წინადადებაში (—„თუ A არის B და B არის C, მაშინ A არის C“) ჩამოაყალიბა. მაგრამ უსასრულო დასკვნის მთლიანობა არც სამი ცნების ერთიანობაა და არც წინადადების ერთიანობა. ის არის აზრის ლოგიკური ერთიანობა, რომელიც შესრულებულია შინაგანი უარყოფით, სადაც მხოლოდ ერთი ცნება გვაქვს, და შეიძლება იგი ერთი წინადადებითაც გამოითქვას. უსასრულო დასკვნა არის ერთიანი გადასვლა-დაბრუნება თუ „წრებრუნვა“, რომელიც უდრის რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენას.

3) უსასრულო დასკვნის განუყოფელი ერთიანობა არ ნიშნავს იმას, თითქოს მასში არ იყოს სხვადასხვაობა; ასეთ შემთხვევაში (ე. ი. რომ მასში არ იყოს სხვადასხვაობა) ის არა თუ დასკვნა, მსჯელობაც არ იქნებოდა. უსასრულო დასკვნაში არის განსხვავებული და სრულიად გარკვეული მომენტები; ეს მომენტებია: ა) უარსაყოფი, რომლის გარეშე არ შესრულდება არც უარყოფა და არც დადგენა; ბ) უარყოფა, რომელიც გამოყენებულია იმის მიმართ, რაც უარყოფილ უნდა იქნას — უარსაყოფის მიმართ; გ) დადგენა. სწორედ უარყოფით დადგენა; დ) წინააღმდეგობა, რადგან აგილი აქვს ერთისა და იმავეს უარყოფა-დადგენას; ე) ამ წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელიც სწორედ შინაგანი უარყოფა-წინააღმდეგობით დგინდება, როგორც წინააღმდეგობის ძირი და გაშუალების ერთიანობა. ამრიგად, უსასრულო დასკვნა არის წინააღმდეგობის განუყოფელი ერთიანობა.

4) უსასრულო დასკვნაში აგილი აქვს ორ აზრს (ერთის ორ მხარეს) შორის წინააღმდეგობას — ლოგიკურ წინააღმდეგობას და არა არალოგიკურ წინააღმდეგობას ფაქტსა და მსჯელობას შორის (როგორც ეს წარმოუდგენია ვუდს[1]). აქ „ფაქტი" არ განსხვავდება მსჯელობისაგან. „არ არსებობს მსჯელობა", ეს თვითონ არის მსჯელობა, რომელიც ეწინააღმდეგება მისი უარყოფის აზრობრივ გამოთქმას. მსჯელობა რომ წინადადებაზე დავიყვანოთ (როგორც ითქვა), მაშინ რეფლექსურობა — მსჯელობის რეფლექსურობა — დაიკარგება. რეფლექსურობა აზრს ახასიათებს და არა წინადადებას. მართალია, ერთი წინადადება არ ჩაიწერება მეორე წინადადებაში და ამიტომ „არ არსებობს წინადადება" ეწინააღმდეგება ამ წინადადების არსებობის ფაქტს, მაგრამ მსჯელობის უარყოფა არის მსჯელობა, სადაც ორი აზრი ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. მსჯელობის ფაქტი ლოგიკურად იგივე მსჯელობაა, მისი უარყოფაც მსჯელობაა. ის გარემოება, რომ მსჯელობის უარყოფა არის მსჯელობა, არა ქმნის სიძნელეს პარადოქსის სახით, რადგან მსჯელობა, როგორც კატეგორია, არის ლოგიკურად რეფლექსური. ვინც ვერ ამაღლდება ლოგიკურის კატეგორიამდე, ის ვერ გაიგებს ვერც რეფლექსურობას და ვერც წინააღმდეგობას ლოგიკაში, ლოგიკურის დიალექტიკას. მსჯელობის უარყოფით მსჯელობის დადგენა, ეს არ არის მხოლოდ წინააღმდეგობა, ის არის წინააღმდეგობის დაძლევა — მოხსნა-შენახვა ერთიანობაში, ის არის ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობა.

5) უსასრულო დასკვნას არ აქვს სხვა წანამძღვარი, გარეგანი

---

[1] იხ. ვ უ დ ი ს ზემოთ დასახელებული ნაშრომის იგივე გვერდი.

წანამძღვარი თუ წანამძღვრები. ის, რაც იმის გარეთ არის და რასაც ის ეყრდნობა, არის მისი რეალური საფუძველი და არა ლოგიკური წანამძღვარი—საფუძველი. უსასრულო დასკვნის დანასკვიც არ არის მის გარეთ, როგორც მისი ისეთი შედეგი, რომლის მიმართ უსასრულო დასკვნის რაიმე მხარე იყოს გარეგანი წანამძღვარი. უსასრულო დასკვნის როგორც „წანამძღვარი“ ისე დანასკვი არის მის შიგნით. ეს ორი მომენტი უსასრულო დასკვნის შინაგანი მომენტებია. უსასრულო დასკვნა არის შინაგანი აუცილებლობის მქონე ერთიანობა (ასეთი რამ არ იცის ძველმა ლოგიკამ[1]), შინაგანი უარყოფა-დადგენის ერთიანობა, სრული ლოგიკური აუცილებლობის მქონე შუალობითი კავშირი, შინაგანი გაშუალება.

6) უსასრულო დასკვნაში ხორციელდება წინააღმდეგობის დადგენა, ამიტომ ის არ არის აპაგოგიური დასაბუთების განხორციელება; აპაგოგია არის რაიმეს საწინააღმდეგოს უარყოფა ამ საწინააღმდეგოს შეუძლებლობის ჩვენებით და ამით რაიმეს დატოვება, „დარჩენა“. აპაგოგია საწინააღმდეგოს უარყოფაა და არა საწინააღმდეგოს აუცილებლობა, რომელიც უსასრულო დასკვნაში ხორციელდება, როგორც მისი ერთი აუცილებელი მხარე. უსასრულო დასკვნა შეიცავს არა მხოლოდ საწინააღმდეგოს აუცილებლობას, არამედ რაიმეს დადგენას მისი საწინააღმდეგოს აუცილებლობით. კერძოს უარყოფა ისევ კერძოს ადგენს, მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობაა, — აუცილებლობის უარყოფა აუცილებლობის ბუნებისაა და სხვ. საწინააღმდეგოს დადგენა და საწინააღმდეგოს საშუალებით თავის თავის დადგენა აუცილებელი ელემენტებია უსასრულო შუალობითი კავშირ-ერთიანობისა.

7) უსასრულო დასკვნაში არსებობს ის, რის უარყოფაც შეუძლებელია და, აგრეთვე, უარყოფის საშუალებით დადგენა. ეს ორი მომენტი ერთი და იგივეა, რამდენადაც რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით არის, ასე ვთქვათ, პირველი ლოგიკური — უსრულესი ლოგიკური აუცილებლობა, რომლის უარყოფა შეუძლებელია და რომელშიც განხორციელებულია უარყოფის საშუალებით უარსაყოფის და უარყოფილის დადგენა. ის, რისი უარყოფა შეუძლებელია, არის ცნება, რომელიც უსასრულო დასკვნაში მოქმედებს, და თვითონ უარყოფით დადგენაც შეუძლებელია უარყოფილ იქნას. უარყოფა და დადგენა შინაგანია უსასრულო დასკვნისათვის; მას არ აქვს არც დამდგენი და არც უარმყოფელი გარეგანი წანამძღვარი.

8) უსასრულო დასკვნაში განხორციელებულია დადგენა არა

---

[1] გ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 88.

მხოლოდ უარყოფით ასპექტში—რაიმეს თავიდან აუცილებლობა,— ეს იქნებოდა უსასრულო დასკვნის დაყვანა უარყოფით დიალექტიკაზე; არა, მასში განხორციელებულია დადგენა დადებით ასპექტშიც, რაც თავისში შეიცავს უარყოფით ასპექტსაც, უარსაყოფელი გამოიყენება საშუალებად მის უარსაყოფად — მისი უარყოფისას, სწორედ მას ადგენს დადებითად, როგორც საშუალება საფუძველს. სადაც ეს გარემოება არ ხორციელდება, იქ არ არსებობს უსასრულო დასკვნა. ჰეშმარიტების უარყოფისას საფუძვლად სწორედ ჰეშმარიტება გამოიყენება და ამდენად ეს საფუძველი დადებითად დგინდება და სხვ. აქ არის ერთგვარი რედუქცია — უკანდასკვნა, მაგრამ არა მხოლოდ რედუქცია, არამედ ისეთი გაშუალება, სადაც წინსვლაც იგულისხმება, რადგან უარსაყოფი ბოლოს დგინდება— საბუთდება, თავში კი დაუსაბუთებელი იყო, ამიტომ მივუყენეთ მას უარყოფა.

9) რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით არის წრე, „წრებრუხვა". ეს წრიულობა არ არის ტავტოლოგია, რადგან იგი ხორციელდება შინაგანი უარყოფით. ამიტომ ეს წრიულობა არ არის ლოგიკური შეცდომა. ეს წრიულობა უსასრულობის ბუნებისაა. წრიულობა სასრულ ლოგიკურში წარმოადგენს შეცდომას. კ. მარქსის „კაპიტალში" განხილული წრებრუნვები — „ს-ფ-ს", „ფ-ს-ფ" ჰეშმარიტი ფორმულებია. უსასრულო ლოგიკურის წრიულობაში ადგილი აქვს არა შეცდომას, არამედ „უძლიერეს" ჰეშმარიტებას; სახელდობრ, იმ ჰეშმარიტებას, რომელზედაც დეკარტმა მიუთითა თავის cogito-ში, როცა მან თქვა, რომ შეუძლებელია ვიაზრო, რომ არ ვაზროვნებ, ამიტომ „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ". ყველაფერი რომ შეცდომა იყოს, ეს დებულება — აზრის არსებობის დებულება ლოგიკურად ხელშეუხებელი იქნება, რადგან აზრის ლოგიკური უარყოფა აზრსვე ადგენს; აზრის ლოგიკური უარყოფა თვითონ არის აზრი, აზრი, ცხადია, აზრისათვის აუცილებელია; ეს აუცილებლობა უარყოფით დგინდება. აზრის უარყოფის შეუძლებლობა იმას ნიშნავს, რომ აზრის უარყოფით ისევ აზრის დადგენა ხორციელდება.

10) უსასრულო დასკვნა წრიულია; მაგრამ ამით განვითარება არ უარიყოფა, პირიქით, ლოგიკური განვითარება დგინდება, რადგან უარყოფილთან შედარებით უარყოფით დადგენილი, მართალია იგივეა, მაგრამ სწორედ როგორც დადგენილი, (ამიტომ) ლოგიკურად „მაღალია". უარყოფა რომ იმასვე არ ადგენდეს, რის უარყოფაც ის არის, მაშინ ლოგიკური არ გვექნებოდა, მაგრამ რადგან დადგენა უარყოფით ხდება, ამიტომ ხორციელდება დასაბუთება, რო-

ველსაც განვითარების ხასიათი აქვს. უარსაყოფი, ე. ი. ის, რასაც უარყოფას ვუყენებთ, არის დასაწყისი, რომელიც, ცხადია უშუალოა, მაგრამ ბოლოს ის დგინდება, რაც დასაწყისი იყო, ამიტომ ბოლოს ვღებულობთ გაშუალებულს; ის, რაც იყო უშუალო, შუალდება. უარყოფით დადგენილი დასაწყისსაც შეიცავს და უარყოფასაც, ე. ი. ხორციელდება გაშუალება-დასაბუთება როგორც განვითარება. ასეთია უარყოფით თვითდადგენა ლოგიკურ სფეროში. უსასრულო დასკვნის წრიულობა სისრულეს ნიშნავს.

11) უსასრულო დასკვნა იწყებს უშუალოთი, დაუსაბუთებლით და ამთავრებს ამ უშუალოს გაშუალებით, მისი დასაბუთებით. მაშასადამე, აქ ადგილი აქვს უშუალოს და შუალობის ერთიანობას. უსასრულო დასკვნაში დადგენა და უარყოფა ერთიმეორეს აშუალებს, მოცემული უარიყოფა და ამ უარყოფით დგინდება. მაგრამ ხორციელდება ურთიერთგაშუალება, ორმხრივი გაშუალება. მაგრამ ამით არ ამოიწურება უსასრულო დასკვნა, რადგან მხოლოდ ურთიერთგაშუალება შეცდომას წარმოადგენს, ეს არის წრე — სასრულოთა (დადგენის და უარყოფის) ურთიერთგაშუალება. ეს შეცდომა იხსნება იმით, რომ უსასრულო დასკვნა არის თვითდადგენა, შინაგანი უარყოფით თვითდადგენა. ურთიერთმოქმედების ამხსნელი, ე. ი. მომხსნელ-შემნახველი არის თვითსაფუძველი და თვითდადგენა. თვითდადგენა კი არის თვითგაშუალება. ასეთია შუალობის და უშუალობის ერთიანობა უსასრულო დასკვნაში.

12) უსასრულო დასკვნაში ხორციელდება გაპირობებულის, პირობითის და უპირობოს ერთიანობა ანუ სასრულის და უსასრულოს ერთიანობა. დადგენა და უარყოფა სასრული მომენტებია, მათი ერთიანობა კი უსასრულობას წარმოადგენს. დადგენა და უარყოფა ერთიმეორეს განსაზღვრავს, ე. ი. ერთიმეორეს აპირობებს, თვითეული მათგანი გაპირობებულია, პირობითია. მათი ერთიანობა კი უპირობოს წარმოადგენს. უარსაყოფელის უარყოფით დადგენა არის უსასრულო. შინაგანი უარყოფით თვითდადგენა არის უსასრულო, უპირობო, ამ უსასრულოში და უპირობოში სასრული და პირობითი მომენტებს წარმოადგენენ.

13) უსასრულო დასკვნაში არის ორი სრული შინაარსეული კერძო, რომელთა ერთიანობა სრულ შინაარსულ ზოგადობას წარმოადგენს. კერძოს კატეგორია მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. ამიტომ უსასრულო დასკვნა არის კერძოსა და ზოგადის ერთიანობა; ის არის სრული კერძოს შემცველი ზოგადი.

14) უსასრულო დასკვნაში არსებული უარყოფა არის თავისებური წყვეტი, თვითონ კი ერთიანი — განუწყვეტელი აზრია; ამი-

ტომ შეიძლება და უნდა ითქვას, რომ უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური წყვეტადობა-განუწყვეტლობის ერთიანობა.

15) უსასრულო დასკვნაში, როგორც ერთიან აზრში, უარყოფა ახდენს ერთგვარ გათიშვა-„გარჩევას“, გამოყოფას და გაყოფას, რაც ანალიზს წარმოადგენს. უარყოფით დადგენა კი არის სინთეზის შესრულება, სახელდობრ, სრული სინთეზის განხორციელება, რადგან აქ ერთიანდება უარყოფა და დადგენა — ერთიმეორის საპირისპირონი. მაშასადამე, უსასრულო დასკვნა არის ანალიზ-სინთეზის ერთიანობა. ასეთი უნდა იყოს ყოველი ლოგიკური კავშირი, ყოველი მსჯელობა და ყოველი დასკვნა. უსასრულო დასკვნა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, წარმოადგენს ანალიზ-სინთეზის ერთიანობის უმაღლეს ფორმას.

16) უსასრულო დასკვნის სტრუქტურა დაპირისპირებულთა ერთიანობის ხასიათისაა; ის არის ერთიანის გაორება, სადაც უარყოფა და დადგენა შედარებითია, მათი ერთიანობა კი — აბსოლუტური. ამრიგად, უსასრულო დასკვნა არის შედარებითისა და აბსოლუტურის ერთიანობა, ის არის შედარებითის შემცველი აბსოლუტური, აბსოლუტურ-ლოგიკური.

17) უსასრულო დასკვნაში ხორციელდება საწინააღმდეგოში გადასვლა, წინააღმდეგობის აუცილებლობა, სახელდობრ, დადგენისთვის უარყოფის აუცილებლობა, კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა და პირიქით; ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დასკვნაში ადგილი აქვს უარყოფით დიალექტიკას. მაგრამ უსასრულო დასკვნა უარყოფითი დიალექტიკით არ ამოიწურება. უსასრულო დასკვნა შეიცავს უარყოფით დიალექტიკას, მაგრამ ის თვითონ არის დადებით-დიალექტიკური — დაპირისპირებულთა ერთიანობა: დადგენის და უარყოფის ერთიანობა, კერძოს და ზოგადის ერთიანობა და სხვ. უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური შინაგანი წინააღმდეგობა, ამიტომ ამ წინააღმდეგობის ერთიანობა. ეს დასკვნა არის დიალექტიკის „ბირთვის“ ბუნებისა და თვითონ წარმოადგენს დიალექტიკურ-ლოგიკურის „ბირთვს“.

18) უსასრულო დასკვნა არის კატეგორიალური კავშირ-ერთიანობა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ადგილი აქვს უშუალობის და შუალობის, წინააღმდეგობის, სასრულის და უსასრულოს, კერძოსა და ზოგადის და სხვ. კატეგორიების ერთიანობას, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ დასკვნა არის ლოგიკურის კატეგორიის ბუნებისა; ის არის ლოგიკურ-რეფლექსური, რომელშიც დაქვემდებარებული სახით არსებობს „ორმნიშვნელოვანება“, სახელდობრ, ის,

რომ იქ უარყოფითი ამავე დროს დადებითიცაა. არ შეიძლება სხვანაირი იყოს რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა.

19) უსასრულო დასკვნაში განხორციელებული აუცილებლობა, ერთი მხრივ, არის ლოგიკური სასრულისათვის ლოგიკური უსასრულოს აუცილებლობა: ა) დადგენა-უარყოფის წინააღმდეგობისათვის აუცილებელია ერთიანობა-საფუძველი; ბ) ამ ორი კერძოსათვის (რაც უდრის „ყველას“) აუცილებელია ზოგადი; გ) სასრულის და არასასრულის ერთიანობა არის უსასრულო (დაუბოლოებელი); დ) მსჯელობისათვის (დადგენა და უარყოფა) აუცილებელია დასკვნა (სრული შუალობითი ერთიანობა), რადგან პირველი მართლდება მეორეში, პირველს აზრი აქვს მეორით; ე) დადგენის და უარყოფის ერთიმეორისათვის აუცილებლობა მოითხოვს თავის თავის აუცილებლობას; ვ) გაპირობებულისათვის აუცილებელია უპირობო, რადგან პირველი მეორეში — ერთმხრიობა ერთიანობაში — მართლდება; ზ) ცალმხრიობებისათვის აუცილებელია გარკვეულობა, სახელდობრ, ერთიანობის გარკვეულობა.

20) უსასრულო დასკვნაში განხორციელებული აუცილებლობა. მეორე მხრივ, არის ლოგიკური უსასრულობისათვის ლოგიკური სასრულის აუცილებლობა, რადგან: ა) ერთიანობისათვის აუცილებელია განსხვავება და წინააღმდეგობა; ერთიანობა სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობაა; ბ) ზოგადისათვის აუცილებელია კერძო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იქნებოდა არაზოგადი — კერძო; გ) უსასრულობისათვის აუცილებელია სასრული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ის იქნებოდა სასრული; დ) დასკვნისათვის აუცილებელია მსჯელობა, რადგან დასკვნა არის სწორედ მსჯელობათა გარკვეული კავშირ-ერთიანობა; ე) თავის თავისათვის აუცილებლობა შინაგან განსხვავებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, როგორც სიცარიელე, შეუძლებელი იქნებოდა; ვ) უპირობო — ერთიანობა ასეთია მხოლოდ პირობითის და ერთმხრივის მიმართ; ზ) ერთიანობის გარკვეულობისათვის — სრული გარკვეულობისათვის აუცილებელია ერთმხრიობების გარკვეულობანი (რომლებიც გაურკვეველობას შეიცავენ სწორედ ერთმხრიობობის გამო), რომელთა გაურკვეველობანი დაძლეულია ერთიანობის გარკვეულობაში.

21) ლოგიკური სასრულისათვის უსასრულოს აუცილებლობა და პირიქით წარმოადგენენ უსასრულო დასკვნის აუცილებელ მხარეებს, სახელდობრ, ამ დასკვნისთვის არსებითი მომენტის — ერთიანობის მხარეებს. მაგრამ თვითონ ერთიანობის მომენტი უსასრულო დასკვნაში არ არის და არც შეიძლება იყოს სასრული ხასიათისა. თუ

ეს ერთიანობა სასრულია, მაშინ იქმნება ახალი ერთიანობების მოთხოვნის ლოგიკური სიძნელე. წინააღმდეგობა ერთიანობაშია, მათი კავშირი არ საჭიროებს ახალ ერთიანობებს. წინააღმდეგობის ერთიანობა, სწორედ ერთიანობაა უსასრულობისა და არასასრულობის ბუნებისა; ისე როგორც წარმოების ერთიანობა მისი მომენტების ერთიანობაა, მოძრაობა არის უძრაობა-მოძრაობის ერთიანობა და სხვ. როგორც ვიცით, უარყოფა-წინააღმდეგობა აფართოებს სასრულის სფეროს უსასრულობამდე, რომელიც არაა სასრული მესამე, რასაც გამორიცხავს წინააღმდეგობა, მაშინ როცა ეს უკანასკნელი ემყარება ერთიანობას, როგორც უსასრულოს მომენტს სასრულში. ერთიანობა და წინააღმდეგობა ერთმანეთისათვის აუცილებელია. როგორც ეს ზემოთ აღინიშნა — ამ კატეგორიების განხილვისას. დასკვნა მსჯელობათა კავშირია, ისე რომ ეს კავშირი არ არის კიდევ ზედმეტი მსჯელობა. კანონი მოვლენათა კავშირია და არა ახალი მოვლენა დასაკავშირებელ მოვლენათა შორის. წანამძღვრების დანასკვთან შეერთების წესი არის სწორედ ასეთი წესი და არ არის ახალი წანამძღვარი დასკვნისათვის. ასეთია ერთიანობა წინააღმდეგობისათვის. ერთიანობა-უსასრულო ორ სრულ სასრულოშია და პირიქით. ეს უსასრულო მიღწეულია ორი სრული სასრულით და არ არის ჯერარსი სასრულისათვის. დასაბუთების დაუსრულებლობა მოხსნილია თვითდასაბუთებაში. თვითდაფუძნება ამართლებს მის ლოგიკურ მხარეებს. უსასრულო დასკვნის ერთიანობა არის თვითსაფუძველი.

22) უსასრულო დასკვნა არის ისეთი ბუნების, რომ იგი ლოგიკური ფორმების ძირს წარმოადგენს.

უსასრულო დასკვნაში მსჯელობა და დასკვნა არ არის ერთიმეორის გვერდით თუ შემდეგ (როგორც ეს ფორმალურ ლოგიკაშია), უსასრულო დასკვნა არის დასკვნის და მსჯელობის ერთიანობა. წინააღმდეგობების მხარეები მსჯელობებია, მათი ერთიანობა კი არის დასკვნა. არისტოტელეს აზრით, მსჯელობა არის მტკიცება ან უარყოფა (კოპულა გამოტოვებულია), როგორც ერთიანი აზრები; სწორედ ასე გაგებული მსჯელობები შეადგენენ უსასრულო დასკვნას როგორც გარკვეულ შუალობით ერთიანობას, საბელდობრ, დადგენა-უარყოფის ერთიანობას. ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ორი ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო ერთიმეორეზე მიმატებით იძლეოდეს დასკვნას[1]; არა, ერთი და იგივე აუცილებლობით მსჯელობა არის დასკვნა და დასკვნა არის მსჯელობა, ისე როგორც პირველი არ არის მეორე და პირიქით (იხ. ამის შესახებ ქვემოთ—„დასკვნის წე-

[1] შრდ. არისტოტელე, პირველი ანალიტიკა, წ. II, თავი 15.

სები“). მსჯელობა საკუთარი საწინააღმდეგო ორმხრიობის სრული გაფორმებით არის დასკვნა. დასკვნა არის ამგვარად გაშლილი მსჯელობა. მსჯელობა არის „შეკუმშული“ დასკვნა; მსჯელობა და დასკვნა აღებული „შეკუმშულად“, არის ცნება, რომელიც გაშლილი სახით წარმოადგენს დასკვნას. ცალმხრივად გამოთქმული დასკვნა არის მსჯელობა. მსჯელობის ენთიმემურობის გახსნა გვაძლევს დასკვნას; ენთიმემურად გამოთქმული დასკვნა არის მსჯელობა. მსჯელობაც და დასკვნაც შეიძლება ასე გამოითქვას: „კერძო არის ზოგადი“. ეს დებულება აღებული უშუალოდ არის მსჯელობა, რომლის სუბიექტია „კერძო“. პრედიკატი კი — „ზოგადი“, მაგრამ „კერძო არის ზოგადი“ აუცილებლობით გულისხმობს „კერძოსა“ და „ზოგადის“ დაპირისპირებას, სახელდობრ იმას, რომ „კერძო არ არის ზოგადი“; ორივეს ერთიანობას, როგორც „კერძოს“ და „ზოგადის“ შუალობით ერთიანობას, წარმოადგენს დასკვნა.

დასკვნა არის მსჯელობა, რომელიც გულისხმობს „საშუალოს“ სახელდობრ. იმას, რომელიც არ უნდა გამოვტოვოთ, არამედ უნდა გავაფორმოთ. თუ ეს „საშუალო“ არის უსასრულოს მომენტი, მაშინ საქმე გვაქვს სრულ დასკვნასთან, უსასრულო დასკვნასთან (როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული). თუ „საშუალო“ არის სასრული, მაშინ გვაქვს სასრული დასკვნა. ჩვეულებრივ სილოგიზმშიც (კატეგორიული სილოგიზმი) დანასკვი გულისხმობს საშუალოს (წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დანასკვი არ იქნებოდა). ეს კი გულისხმობს წანამძღვრებს (დანასკვის წევრები და საშუალო, ე. ი. მცირე, საშუალო და დიდი ტერმინები შეადგენენ წანამძღვრებს), ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დანასკვი, როგორც მსჯელობა, არის შეკუმშული დასკვნა (უკეთ: შეკუმშული წანამძღვრები, რადგან კატეგორიული სილოგიზმი ანალიზური ბუნებისაა). ამიტომ ამბობდა ჰეგელი, რომ აპოდიქტური მსჯელობა გადადის დასკვნაში; S-ი M-ით არის P, ე. ი. S—M—P (ე-გ-ზ).

მსჯელობების: „კერძო არის ზოგადი“ და „კერძო არ არის ზოგადი“. — ამგვარი სახით აღებული წინააღმდეგობა ამოწურავს მსჯელობის სფეროს და გვაძლევს დასკვნას. შეუძლებელია მხოლოდ წინააღმდეგობა — დადებითი და უარყოფითი მსჯელობების „მიმატება“, რადგან ისინი ერთიმეორეს უარყოფენ; მათი ერთიანობა კი შესაძლებელია იმით, რომ ერთიანობა არის მათი საფუძველი. ამგვარად შესრულებული გაშუალება კი, როგორც ვიცით, არის უსასრულო დასკვნა.

უსასრულო დასკვნის განსაზღვრება არის მსჯელობა საკუთარი

დადებითი და უარყოფითი მომენტებით; აქ არის მოხსნა-შენახვა, ე. ი. განვითარება — რაიმეს უარყოფა, ამ უარყოფით დადგენა-დასაბუთება იმისა, რაც პირველად იყო უშუალო, რომელიც უარვყავით. მსჯელობის, როგორც სასრული ლოგიკურის, განსაზღვრებაში, უსასრულო წარმოდგენილია უარყოფითად; აქ დადებითად ნაჩვენებია უარყოფითი უსასრულობა; ის, რომ რაიმე არის ეს და არა სხვა, იმას ნიშნავს, რომ „არასხვა“ არის უსასრულო, რომლის გამო არის რაიმე სწორედ ეს, მაგრამ პირიქითაც: რაც ეს არ არის, ის არის სხვა. უსასრულო დასკვნის განსაზღვრებში სრულად არის წარმოდგენილი სრული მსჯელობები—უარყოფა და დადგენა, (რომლებიც ერთიმეორის საწინააღმდეგოა არისტოტელეს აზრითაც [1]). ამით კი დასკვნაა შესრულებული, რადგან განხორციელებულია უარყოფით დადგენა (უარყოფას დადებითი აზრი აქვს). სრული მსჯელობები ერთიმეორის საწინააღმდეგოა, დასკვნა მათი, როგორც ერთმხრიობების, ერთიანობაა (ამდენად არაა საჭირო ფორმალური ლოგიკის, როგორც მსჯელობის ლოგიკის, არსებობა დიალექტიკური ლოგიკის გვერდით).

სასრული ლოგიკური არის ის, რაც დგინდება და უარიყოფა სხვით. ეს არის პირობითი მსჯელობის აზრი და საერთოდ მსჯელობის, როგორც ერთმხრიობის, აზრი, რომელიც მართლდება სხვით, სახელდობრ, საწინააღმდეგო მსჯელობით. „ამის“ და „სხვის“, როგორც საწინააღმდეგოების, ერთიანობა კი არის სრული შუალობითი კავშირი — დასკვნა. „ამის“ და „სხვის“ ერთიანობა მსჯელობაცაა და დასკვნაც; ის, როგორც არა სრული ლოგიკური, მსჯელობაა, როგორც სრული კი — დასკვნა.

უსასრულო ლოგიკური არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, სადაც უარყოფა და დადგენა, როგორც ითქვა, მსჯელობებია; უარყოფა გამოყოფს სასრულს — მსჯელობას, მაგრამ ამ უარყოფით დადგენა კი უდრის უსასრულო დასკვნას.

მსჯელობის კოპულა დასკვნაში მართლდება; თვითონ კოპულა არის არსებითად აღებული დასკვნა, რადგან იგი (კოპულა) აჩვენებს იმას, რომ ერთეული არის ამდენადვე არა ერთეული, არამედ ზოგადი (როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული). ერთეულის და ზოგადის სრული ერთიანობა კი არის დასკვნა; ორი სრული კერძოს და მათი

---

[1] იხ. ზემოთ მითითებული ადგილი არისტოტელეს „მეტ-ფიზიკიდან“, სახელდობრ, IV წიგნის მე 8 თავი.

ზოგადის ერთ-აწობა არის დასკვნა. მსჯელობა, წარმოდგენილი სრულად — უარყოფით „დაბრუნებული" თავის თავში არის დასკვნა.

უსასრულო დასკვნა არის მსჯელობის აზრის გამართლება; უსასრულო ლოგიკური არის მსჯელობის აზრში, მაგრამ არაა მხოლოდ ერთი მსჯელობა. მსჯელობის აზრი ხომ მტკიცება-უარყოფაში მდგომარეობს? მტკიცება-უარყოფა არის წინააღმდეგობა, რომლის ერთიანობა (და არა ჯამი) წარმოადგენს უსასრულო დასკვნას. ეს დასკვნა არის გაშლილი მსჯელობა, გაშლილი ცნება. უსასრულო დასკვნა არის მსჯელობა-ცნება-დასკვნის ერთიანობა. უკეთ. დასკვნაში მსჯელობისა და ცნების ერთიანობა. უსასრულო დასკვნა, მაშასადამე, არის უმაღლესი ლოგიკური ფორმა.

23) უსასრულო დასკვნა არის საფუძველ-შედეგის სრული ერთიანობა. საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება განხილული იქნება ქვემოთ — დასაბუთების თეორიაში, აქ მხოლოდ უსასრულო დასკვნის მომენტებზე გვაქვს ლაპარაკი, სახელდობრ, საფუძველ-შედეგზე, როგორც უსასრულო დასკვნის მომენტებზე.

უსასრულო დასკვნის ერთ მხარედ თუ მომენტად იგულისხმება ის, რომ რაიმედან გამოდის ის, რაც მასში იგულისხმება, ე. ი. არსებობს საფუძვლისა და შედეგის იგივეობა, ანალიზურობა, რომ საფუძველი მხოლოდ საფუძველია (შედეგი კი—მხოლოდ შედეგი), და საფუძვლის და შედეგის დამოკიდებულება არის ერთმხრივი—მიმართული საფუძვლიდან შედეგისაკენ. უსასრულო დასკვნის სწორედ ეს მხარე განსაზღვრავს ფორმალურ-ლოგიკურ დასკვნებს, როგორც საფუძვლიდან შედეგის გამოყვანას. უსასრულო დასკვნის ეს მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ის გამოდის უშუალოდან, რომელიც უნდა იქნეს უარყოფილი, მაგრამ ბოლოს დგინდება იგივე, რაც უარიყოფა; ბოლოს მიიღება უარყოფილი (მაგრამ დადგენილი სახით); საფუძვლიდან მიიღება დადგენილი შედეგი, რომელიც, ერთი მხრივ, იგივე საფუძველია; ის, რაც უარიყოფა, მიიღება ბოლოს. თავი და ბოლო ერთი და იგივეა; თავი, შუა და ბოლო ერთი იგივეა; უსასრულო დასკვნაში ხომ მხოლოდ ერთი ცნებაა? ამიტომ შეუძლებელია მასში დაირღვეს იგივეობა. მისი ერთი მხარე ანალიზურობაა. ამ მხრივ საფუძველი და შედეგი ცალმხრიობებია: საფუძველიც მხოლოდ საფუძველია და შედეგიც; კიდევ მეტი — ორივე ერთი და იგივეა. აქ არის სასრული საფუძველი და სასრული შედეგი.

უსასრულო დასკვნაში ადგილი აქვს მეორეგვარ სასრულ საფუძველს და შედეგს (იხ. საფუძვლის კატეგორია, განხილული ზემოთ — ლოგიკურის კატეგორიებში), ეს არის ორმხრივი საფუძველი

და შედეგი. უსასრულო დასკვნის საწინააღმდეგო მომენტები. სახელდობრ, დადგენა და უარყოფა ერთიმეორეს განსაზღვრავენ. ერთიმეორეს აფუძნებენ (და არა მხოლოდ უარყოფენ). ეს მომენტები ერთიმეორეს კიდეც უარყოფენ და კიდეც ადგენენ; — ერთიმეორეს უარყოფით განსაზღვრავენ და ადგენენ. თვითეული მათგანი ერთიმეორის საფუძველიცაა და შედეგიც. განმსაზღვრელი საფუძველია და განსაზღვრული კი — შედეგი. ასეთია ერთიც და მეორეც,

აქ არის საფუძვლის და შედეგის სასრულობა. რადგან ერთი უარიყოფა და დგინდება მეორით—საწინააღმდეგოთი. ეს, როგორც ვიცით, სრული სასრულობის სფეროა. საფუძველ-შედეგის ამ დამოკიდებულების დამახასიათებელია: 1) ისინი ერთიმეორის საწინააღმდეგოა, საფუძველი საწინააღმდეგო შედეგს ადგენს; 2) ადგილი აქვს შებრუნებადობას (არა „საფუძვლის შებრუნებას"), სახელდობრ, იმას, რომ საფუძველი შედეგში გადადის და შედეგი საფუძველში, საფუძველი შედეგია თავისი შედეგის, შედეგი კი საფუძველია თავისი საფუძვლის. ეს შებრუნებადობა და საფუძველ-შედეგის წინააღმდეგობა არ იცის ფორმალურმა ლოგიკამ.

საფუძველ-შედეგის ეს დამოკიდებულება სრული არ არის, ის ნაკლის შემცველია; ეს ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ 1) ასეთ დამოკიდებულებაში არის წინააღმდეგობა, რომელიც შეუძლებელია ერთიანობის გარეშე; 2) შებრუნებადობა აიგივებს საფუძველს და შედეგს, მათი განსხვავება არ ჩანს; თუმცა ამ განსხვავების აუცილებლობა იმაშია, რომ აქ ადგილი აქვს წინააღმდეგობას; მეორე მხრივ შებრუნებადობა იმაზეც მიუთითებს, რომ წინააღმდეგობის საფუძველი — ერთიანობა უკვე დგინდება სწორედ ამ შებრუნებადობით. საჭიროა საქმის მხოლოდ დასრულება; უნდა არსებობდეს საფუძველ-შედეგის სრული დამოკიდებულება, რომლის აუცილებლობა უკვე ჩანს აქ გარკვეულ მომენტებში.

ამიტომ არსებობს უსასრულო საფუძველ-შედეგიც, რომლის გარეშე არ იარსებებს უსასრულო დასკვნა და არც ის მომენტები თუ მხარეები, რომლებიც ჩვენს მიერ ამის წინ იქნა განხილული.

საფუძველ-შედეგის შებრუნებადობა წრიული ხასიათისაა. სახელდობრ, ეს არის სასრული წრიულობა, რომელიც უშუალოდ არის შეცდომა, მაგრამ მოითხოვს გამართლებას, ე. ი. წრიულობის შემცველი და დამძლევ-ამხსნელის დადგენას. ამ წრიულობის ეს გამართლებელი არის ერთიანობა, როგორც არა სასრული, არამედ უსასრულო. უსასრულო არის წინააღმდეგობის შემცველი ერთიანობა, გარკვეული მთელი (და არა ერთიანობა წინააღმდეგობის გარე-

შე). ეს გარემოება უშუალოდ ჩანს უსასრულო დასკვნაში. მის განსაზღვრებაში.

უსასრულო ლოგიკური არის თვითდაფუძნება, რასაც წრიული ხასიათი აქვს, მაგრამ ეს წრიულობა არაა სასრულის წრიულობა, რომელიც შეცდომას წარმოადგენს. თვითდაფუძნება შინაგანი უარყოფით სრულდება, რომელიც ამოწურავს სასრულს და მიდის უსასრულო-ლოგიკურამდე. თვითდაფუძნებაში არსებობს თვითსაფუძველი და თვითშედეგი, რომლებიც არ არიან ტავტოლოგიები—წმინდა იგივეობები. რადგან ისინი ხორციელდებიან შინაგანი უარყოფით. სწორედ ამას მოითხოვს და ეს არის უსასრულო დასკვნა, როგორც რაიმეს უარყოფით მისივე დაფუძნება

დადგენა-უარყოფის წინააღმდეგობა აუცილებლობით აფუძნებს საკუთარ საფუძველს — ერთიანობას — ზოგადობას, რადგან ეს წინააღმდეგობა არის არა მხოლოდ ურთიერთგამორიცხვა, არამედ. ამავე დროს, ურთიერთდადგენაც. ურთიერთგამომრიცხველების მიერ ურთიერთდადგენა არის იმის დადგენაც, რაც ზოგადობას, მათ შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს.

ამრიგად, უსასრულო დასკვნაში ადგილი აქვს საფუძველ-შედეგის შემდეგნაირ დამოკიდებულებებს: 1) სასრული საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას: ა) ერთმხრივი საფუძველ-შედეგის კავშირს, ბ) ორმხრივი საფუძველ-შედეგის კავშირს, და 2) უსასრულო საფუძველ-შედეგის ერთიანობას, თვითდაფუძნებას, ლოგიკურ causa sui-ს ანუ ratio sui-ს (მხოლოდ აქ ხორციელდება causa sive ratio, და არა სპინოზას ბუნებაში — სუბსტანციაში).

აქ ის კი არ არის ნათქვამი,რომ უსასრულო დასკვნაში მრავალგვარი საფუძველ-შედეგია, არამედ მხოლოდ ის, რომ ეს დასკვნა. როგორც ერთიანი თვითდაფუძნება, ისეთ მომენტებს თუ მხარეებს შეიცავს, რომლებიც, თუ ისინი ცალკე იქნებიან წარმოდგენილი, მაშინ საფუძველ-შედეგი და მათი კავშირი სხვადასხვანაირი ბუნების იქნება. აქ ლაპარაკია ერთი და იგივე საფუძველ-შედეგის კავშირის. როგორც შინაგანი — უარყოფით თვითდაფუძნების, სტრუქტურის შესახებ (რომლის გარკვევასაც ეს პარაგრაფი ემსახურება).

თვითსაფუძველი არ ნიშნავს იმას, თითქოს საფუძველი წინ უსწრებს თავის თავს — თითქოს საფუძველი არსებობდეს საფუძვლამდე, რაც შეუძლებელია და შეცდომას წარმოადგენს სასრულის სფეროში. უსასრულო სფეროში საფუძველი კიდეც უსწრებს თავის თავს და არც უსწრებს, რამდენადაც თავის თავს აფუძნებს, ე. ი. თავისთვის საფუძველიცაა და შედეგიც. ეს ხორციელდება შინაგანი

უარყოფით თვითდაფუძნებაში, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობაში.

თვითდაფუძნება, თვითსაფუძველი, როგორც შინაგანი საფუძველი, ლოგიკურში აუცილებელია, რადგან ლოგიკურს ახასიათებს შინაგანი აუცილებლობა, რომლის გარეშეც ის საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა; — შეუძლებელი იქნებოდა და არ იარსებებდა ლოგიკური, ლოგიკური კანონები, ლოგიკა. ლოგიკურში მოქმედებს არა მხოლოდ გარეგანი საფუძველი — ერთი დებულებით მეორის დადგენა. არამედ იქ ადგილი აქვს თვითდაფუძნებასაც: 1) აქსიომის გამოყენება დასაბუთების დასაწყისად თვითსაფუძვლის მოთხოვნაა, იმის მოთხოვნაა, რომ ლოგიკურის ლოგიკური საფუძველი მხოლოდ ის უნდა იყოს და არა მის გარეთ არსებული რეალური სინამდვილე. რომელიც მის მხოლოდ რეალურ საფუძველს წარმოადგენს; 2) ყოველი სინთეზურ-ლოგიკური, როგორც ვიცით, არის შინაგანი უარყოფის შემცველი, გარკვეული ერთიანობა, რომელიც შინაგანი უარყოფით არის განსაზღვრულ-დადგენილი. ის, რაც შინაგან უარყოფას შეიცავს, არის დამოუკიდებლობის მქონე; შედარებითი დამოუკიდებლობა შინაგანი უარყოფის მქონე დებულებებისათვის აუცილებელია.

ლოგიკური თვითდაფუძნების ონტოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს: 1) შედარებით დამოუკიდებელი არსებობის მქონე საგანი, 2) თვითმოძრავი სინამდვილე; წინააღმდეგობის ერთიანობა სინამდვილეში. უსასრულო დასკვნა, როგორც შინაგანი უარყოფის შემცველი თვითდაფუძნება, არის სინამდვილის „ანალოგი“, უკეთ, ასახვა, თავისებური რეპროდუქცია.

24) უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური მეთოდების ძირი. რომელიც თვითონ არის გარკვეული — სრული ლოგიკური მეთოდი, სახელდობრ, დიალექტიკურ-ლოგიკური მეთოდი. ზემოთქმული პირდაპირ მიუთითებს, რომ უსასრულო დასკვნაში ადგილი აქვს თავისებურ მომენტებს, რომლებსაც დედუქციის, ინდუქციის და რედუქციის ხასიათი აქვთ (ამ გარემოების შესახებ ვრცლად გვექნება ლაპარაკი დასაბუთების მეთოდების განხილვის დროს). ეს მომენტებია:

ა) რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით არის მისი მომენტების — დადგენის და უარყოფის „მიღება“, „დადგენაც“; ეს არის ერთიანობის. როგორც შინაარსეული ზოგადის საფუძველზე მისი ერთხმრიობების — შინაარსეული სრული კერძოების, საკუთარი მომენტების დადგენა-გამართლება. აქ საფუძვლად აღებულია ზოგადი, შედეგი კი კერძოებს — ორ სრულ კერძოს — წარმოადგენს. ერთი სიტყვით, აქ

ადგილი აქვს ზოგადიდან კერძოს თავისებურ გამოყვანას; ეს არის თავისებური დედუქცია.

ბ) დადგენა-უარყოფა, როგორც წინააღმდეგობის მხარეები, ურთიერთ-უარყოფა-დადგენით, როგორც აღინიშნა, „ადგენს“ მათ ძირს, ერთიანობას — ზოგადს. ამ შემთხვევაში საფუძვლად აღებულია ორი სრული კერძო, შედეგს კი მათი ერთიანობა—ზოგადი წარმოადგენს. ამრიგად, კერძოდან, როგორც საფუძვლიდან, მიიღება ზოგადი, როგორც შედეგი. ეს არის თავისებური ინდუქცია.

გ) უსასრულო დასკვნაში ადგილი აქვს შედეგიდან საფუძველზე მისვლას — მიყვანას, გადასვლას, დაყვანას, ე. ი. თავისებურ რედუქციას. თუ ინდუქციაში კერძოებია საფუძველი, ზოგადი კი—შედეგი, რედუქციაში პირიქით, კერძოები შედეგია, ზოგადი კი საფუძველი, მაგრამ გადასვლა ხდება შედეგიდან საფუძველზე, მაშინ როცა ინდუქციასა და დედუქციაში ხორციელდება საფუძვლიდან შედეგზე გადასვლა (თუმცა ინდუქციაში საფუძველი არის კერძო, დედუქციაში კი — ზოგადი). რედუქციაში ხორციელდება შედეგიდან საფუძვლის დადგენა, საფუძველ-საშუალების დადგენა შედეგიდან გამოსვლით, შედეგიდან საფუძველზე მისვლით, შედეგის საფუძველში გამართლებით; რედუქციაში მოქმედებს წინააღმდეგობა და მქღავნდება საფუძვლის თავიდან მოუცილებლობა — აუცილებლობა. რაიმეს (ამ შემთხვევაში საფუძვლის) აუცილებლობის დადგენა სხვა არაფერია, თუ არა დასაბუთება.

უსასრულო დასკვნა არის თავისებური რედუქცია, როგორც უკანდასკვნა — შედეგიდან საფუძველზე უკანმისვლა. მაგალითები: 1) ჰეშმარიტების უარყოფა აუცილებლობით ადგენს ჰეშმარიტებას, როგორც საფუძველს და არა შედეგს; შედეგით დგინდება საფუძველი, საშუალება შედეგისა. ჰეშმარიტების უარყოფა, როგორც შეცდომა, აუცილებლობით მოითხოვს ჰეშმარიტებას, როგორც საფუძველს არა მხოლოდ შეცდომის ბუნების გასაგებად, არამედ იმისათვის, რომ დადგინდეს ჰეშმარიტების აბსოლუტურობა. აქ საფუძველი მიიღება ერთგვარი უკუსვლით. 2) იგივეობის უარყოფა შეუძლებელია; იგივეობის უარყოფით დგინდება თვითონ იგივეობა. იგივეობის უარყოფით დგინდება იგივეობის აუცილებლობა; ე. ი. ის საბუთდება როგორც საფუძველი, საშუალება, რომელსაც კატეგორიული და უპირობო ხასიათი აქვს. საფუძველ-საშუალების ასეთი დადგენა არ არის მხოლოდ თავიდან მოუცილებლობა, მხოლოდ უარყოფითი დადგენა; ის არის საფუძვლის დადებითი დადგენაც, მაგრამ — დადგენა უარყოფის საშუალებით. ეს თავისებურება არ უნდა იქნეს

უგულებელყოფილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი დარჩება მთავარი, სახელდობრ, უსასრულო დასკვნის ბუნება. 3) შეიძლება საფუძვლის ასეთი დადგენა იყოს იმ საფუძვლის დადგენა, რომელიც შედეგს უდრის, ე. ი. სადაც წრიულობა სრულდება; მაგალითად, უარყოფის უარყოფა არის სწორედ უარყოფა, აზრის უარყოფა არის აზრი, მსჯელობის უარყოფა არის მსჯელობა, და სხვ.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ არსებობს უსასრულო დასკვნის ორი სახე: ა) საფუძვლის, როგორც მხოლოდ საშუალების, დადგენა. და ბ) საფუძვლის დადგენა ისე, რომ საფუძველი ემთხვევა შედეგს. მიუხედავად ამ განსხვავებისა საფუძველი მაინც დგინდება, ამიტომ წრიულობა ხორციელდება და დადგენილი გარკვეულ შედეგად წარმოიდგინება. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს რაიმეს დადგენას მისივე (რაიმეს) უარყოფის საშუალებით, ე. ი. თვითდადგენას, სადაც რაიმე თავის თავის საფუძველიც არის და შედეგიც. ამრიგად, ორივე შემთხვევაში არსებითად ერთი და იგივე ლოგიკური მდგომარეობაა.

დ) უსასრულო დასკვნა არის ზემოდახასიათებული სამივე მეთოდის მომენტებად შემცველი, მაგრამ არა როგორც მათი ჯამი, არამედ ისე, რომ თვითონ არის ერთი სრული მეთოდი, რომელიც არსებობს დასკვნის, სრული შუალობითი კავშირის, სახელდობრ, უსასრულო დასკვნის სახით.

უსასრულო დასკვნა არის ლოგიკურის კატეგორიალური რეფლექსიის დასკვნითი ფორმა; ის არის ლოგიკურის კატეგორიის ბუნების მქონე დასკვნა, საფუძველ-საშუალების თვითდადგენა შინაგანი უარყოფით. თუ წინააღმდეგობის ერთი მხარე დგინდება მისი უარყოფის უარყოფით, თვითდადგენა ხორციელდება ორმაგი უარყოფის უარყოფით — წინააღმდეგობით. უსასრულო დასკვნა. როგორც ითქვა, თვითონ არის თვითდადგენა, თვითდაფუძნება. ის არის საფუძველ-შედეგის უსასრულო ერთიანობა; ამ ერთიანობას აქვს სრული შუალობითი კავშირის — დასკვნის — ფორმა.

ზემოთ დახასიათებული სამი მეთოდი ცალმხრივი მეთოდებია. ისინი წარმოადგენენ უსასრულო დასკვნის ცალმხრიობებს, რომლებიც მასში გაერთიანებული არიან, როგორც საკუთარ ძირში თუ სათავეში. თვითონ უსასრულო დასკვნის მეთოდი, როგორც ითქვა, არის სრული — დიალექტიკურ-ლოგიკური მეთოდი, უნივერსალური ლოგიკური მეთოდი.

ასეთია უსასრულო დასკვნის სტრუქტურა. გარჩეული იყო

უსასრულო დასკვნის მხარეები თუ მომენტები. ლოგიკური მეთოდების შესახებ კი ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი, სადაც გამოყენებული იქნება სწორედ ის, რაც ითქვა ზემოთ უსასრულო დასკვნის სტრუქტურის შესახებ.

2. დასკვნის წესები

§ 170. დასკვნის წესების შესახებ

უსასრულო დასკვნის სტრუქტურის გარჩევის საფუძველზე და მისგან გამომდინარე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ დასკვნის წესები. დასკვნის წესები წარმოადგენენ დასკვნის არა წანამძღვრებს (დასკვნის წესების დასკვნის წანამძღვრებად წარმოდგენა ლოგიკური შეცდომაა, რადგან ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება ახალი წესები და ა. შ., ეს არის დასკვნის ბუნების დასკვნის გარეთ გატანა, რაც დაუშვებელია), არამედ დასკვნის მხარეებს, დასკვნის ძირითად დამახასიათებელს, სახელდობრ, იმას. თუ როგორ სრულდება და როგორ უნდა შესრულდეს დასკვნა. დასკვნის წესის გარკვევა არის დასკვნის ბუნების გარკვევა. ამიტომ დასკვნის წესების განხილვით უსასრულო დასკვნა დახასიათდება კიდევ უფრო კონკრეტულად, იმასთან შედარებით, რაც ზემოთ ითქვა მის შესახებ.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ დასკვნის სამი ძირითადი სახე თუ ფიგურა: 1) ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები, 2) კატეგორიათა გარკვეული კავშირები როგორც დასკვნები და 3) უსასრულო დასკვნები. დასკვნის სამი სახის შესაბამისად წესებიც სამი ჯგუფის იქნება, მაგრამ უსასრულო დასკვნის ბუნების განხილვამ ნათელყო ის, რომ სხვა დასკვნები უსასრულო დასკვნის მხარეთა ცალკე წარმოდგენით იქმნებიან. ამიტომ უსასრულო დასკვნის წესები ისეთი წესები იქნებიან, რომლებსაც სხვა დასკვნების წესები დაექვემდებარებიან. უსასრულო დასკვნაში არსებული დადგენის და უარყოფის მომენტები უშუალოდ განსაზღვრავენ სხვა დასკვნების ბუნებას და მათ წესებს. ისიც იყო აღნიშნული, რომ უსასრულო დასკვნის წესი იმოქმედებს აზროვნებაში, როგორც მისი კანონი. უსასრულო დასკვნის წესი და აზრის კანონი შეიძლება გაიგივებულ იქნეს, ამიტომ პირველ რიგში განვიხილოთ უსასრულო დასკვნის წესები.

§ 171. უსასრულო დასკვნა არის წრე.

თუ რაიმე სასრულის უარყოფა თვითონ არის უარყოფილი. მაშინ მივიღებთ იმას, რაც პირველად უარვყავით. მაგიდის სიწითლის უარყოფის უარყოფა ისევ მაგიდის სიწითლეა, მისი აღდგენაა. ეს

არის უარყოფის გაუქმება და უარსაყოფელის აღდგენა, რაც განმეორებას, ტავტოლოგიურ წრეს წარმოადგენს. ასეთი ორმაგი უარყოფა არის უარყოფის გაუქმება და მხოლოდ უარსაყოფელის აღდგენა. მაშინ, როცა უარყოფა არ უნდა გაუქმდეს და ვერ გაუქმდება, რადგან ეს „გაუქმება“ თვითონ არის უარყოფა. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია უარყოფის დატოვება. უარყოფა კი წრიულობის ტავტოლოგიურობას (რომელიც, როგორც ვიცით, დასაბუთების თვალსაზრისით შეცდომაა) მოხსნის და თავისებურ წრიულობას, კ. მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „წრებრუნვას“ დაადგენს.

ასეთი თავისებური წრიულობა უსასრულო დასკვნისათვის დამახასიათებელია, აუცილებელია; რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის წრე, მაგრამ ისეთი, როცა უარყოფა არ უქმდება, არამედ აუცილებელ მომენტებად რჩება, — აღდგება პირველი — უარყოფილი, მაგრამ როგორც უარყოფით დადგენილი; თვითონ დადგენაში კი გაერთიანებულია დადებითობაც და უარყოფითობაც, რადგან დადგენა უარყოფით სრულდება. დადგენა-უარყოფის, როგორც ორი მომენტის, ურთიერთუარყოფა და ურთიერთდადგენა არის წრე, რომლის ამხსნელ საფუძველსაც — მის შინაგან საფუძველს — უსასრულობის მომენტი წარმოადგენს; მთელი კი არის უსასრულო. შინაგანი უარყოფის შემცველი არის წრე; ესაა დადგენა-უარყოფის ერთიანობა. უარსაყოფი და უარყოფილი დადებითი, როგორც უშუალო, ამის უარყოფა და უშუალოს დადგენა არის სრული შუალობითი ერთიანობა, რომელიც უსასრულობას წარმოადგენს.

ცნების განსაზღვრების პროცესი არის წრე, რადგან ეს პროცესი იწყება ცნებით და მთავრდება ცნებით; ცნების განსაზღვრების დასაწყისი არის ცნების დასაწყისი, ამ განსაზღვრების დასასრული არის ცნების დადგენის დამთავრება, ცნების დამთავრება. მსჯელობაც შედარებითი წრეა, რამდენადაც ის არის დასრულებული აზრი (დაუსრულებელი აზრი არ განისილება ლოგიკაში), წინააღმდეგ შემთხვევაში მსჯელობა არც იქნება აზრის გარკვეული ფორმა.

ყოველი შედარებით დამოუკიდებლად არსებული საგანი, საგანი, რომელსაც თავისი არსება აქვს, — სხვანაირი საგანი კი შეუძლებელია, — გარკვეულ წრეს წარმოადგენს; შინაგანი უარყოფის დამძლევი, მისი გამძლე და შემნახველი არ შეიძლება არ იყოს შედარებით დამოუკიდებელი და არ შეიძლება გარკვეულ წრეს არ წარმოადგენდეს. ეს წრიულობა შედარებით დასრულებულობას, შედარებით სისრულეს ნიშნავს. თვითდადგენა, თვითსაფუძველი, თვით-

შედეგი არ შეიძლება არ იყოს წრიულობის ბუნებისა (თვითმიზეზი, თვითმოძრაობა, აზრის განვითარება არ შეიძლება გარკვეულ წრეს და წრეებს არ შეიცავდეს)[1]. ასეთია ყველაფერი, რასაც შედარებით დამოუკიდებლობა ახასიათებს. შედარებით დამოუკიდებელი სისრულე ყოველთვის არის წრე. აბსოლუტურად დამოუკიდებელი კიდევ უფრო გარკვეული წრეა; მთელი სინამდვილე არის წრე, რადგან სინამდვილე არის თავისთავის საფუძველი და თავისთავის შედეგი: სინამდვილე არის წრე როგორც თვითსაფუძველი და არა როგორც დამთავრებული — განვითარების გარეშე მყოფი (როგორც ეს ჰეგელს გამოუვიდა, როცა მან განვითარება დასრულა და მიიღო დასრულებული აბსოლუტური). თვითგანვითარება არის წრიული. ეს წრიულობა განვითარების დასრულებას და შეწყვეტას კი არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ იმას, რომ განვითარების ბუნება გარკვეული რამ არის: 1) რასაც განვითარება წარმოადგენს, ის არ შეიძლება სრული არ იყოს; განვითარება დაუსრულებელია, მაგრამ ის, რაც არის განვითარება, სრულია. განვითარების არსება და განვითარების ცნება არ შეიძლება სრული არ იყოს (როცა ჩვენ განვითარება ისე გვესმის, როგორიც ის არის, მაშინ გვაქვს ჩვენ მისი ცნება). 2) განვითარების ძირითადი კანონი არ შეიძლება დასრულებული, სრულიად გარკვევული არ იყოს; 3) დაუსრულებელი განვითარების, შინაგანი წყარო არის სრული, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა.

წრიულია საერთოდ უსასრულობა. წრიულია არა „ცუდი“ — უარყოფითი — უსასრულობა, არამედ ნამდვილი, „ჰეშმარიტი“, დადებითი უსასრულობა. ფ. ენგელსი წერდა, რომ „მოძრაობის ფორმათა ცვლის კანონი უსასრულოა, თავის თავში ჩაკეტილია“[2]. ეს თავისთავში ჩაკეტილობა თუ დახშულობა სხვა არაფერია, თუ არა სისრულე — დადებითი გარკვეულობა, — გარკვეული დასრულებადობა (საგანისა თუ აზრისა), გარკვეული მთლიანობა.

წრიულია უსასრულო დასკვნა, რადგან იგი არის რეფლექსური თვითდადგენა. წრიულობით ხასიათდება ლოგიკურის კატეგორიებიც, რადგან მათი უარყოფაც მათვე მოიხმარს.

რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, მიუხედავად წრიულობისა, არის განვითარება (როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული), რადგან უარსაყოფ-უარყოფილზე ლოგიკურად უფრო მაღალია იგივე როგორც დადგენილი; დასაწყისზე მაღალია ბოლო. ცნების განსაზღვ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38. გვ. 215, 374—375.
[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 248.

რების დასაწყისზე, ცხადია, უფრო მაღალია დასრულებული განსაზღვრება; მსჯელობის სუბიექტზე უფრო მაღალია მთელი მსჯელობა. უსასრულო დასკვნაში უარსაყოფელი არის ცალმხრივი, თვითონ დასკვნა კი არის მთელი, რომელიც შეიცავს უარსაყოფელსაც, უარყოფასაც და დადგენასაც; ის არის ლოგიკური მოხსნა-შენახვა, მოხსნილის აღდგენა დასაბუთებული ფორმით. უსასრულო დასკვნაში, როგორც ითქვა, უარყოფა არის ერთგვარი წყვეტი, მაგრამ ეს უარყოფა, ამავე დროს, არის დამდგენი უარყოფა — უწყვეტობის განმახორციელებელი. დადგენა-უარყოფა მთლიანობაშია, რასაც, ცხადია, წრიულობა ახასიათებს. „გარეგადამწვდომი მომენტი“ წრიულობას კიდეც ქმნის და კიდეც ხსნის — მისი ამხსნელია (კ. მარქსის აზრით, წარმოება იმასაც განსაზღვრავს, თუ როგორ განსაზღვრავენ მას მის მიერ განსაზღვრული მისივე მომენტები)[1]. წმინდა სასრული წრიულობა არის ტავტოლოგიურობა, შეუძლებლობა, შეცდომა. მას აზრს აძლევს შინაგანი უარყოფა, რომელიც აუქმებს ტავტოლოგიურობას, და უარყოფით დადგენაში უსასრულობა ხორციელდება. ამიტომ ნამდვილი წრიულობა შეიცავს „გარეგადამწვდომს“. წრიულობას აზრი და გამართლება აქვს უსასრულობაში, სასრულში კი შეცდომას წარმოადგენს. უსასრულობა არის წრიული, ეს ნიშნავს იმას, რომ ის არის სრული, რეფლექსური.

ასეთი წრიულობა არ ნიშნავს მოწყვეტას. კ. მარქსის „კაპიტალში“ გარჩეული „წრებრუნვები“ — „ს-ფ-ს“, „ფ-ს-ფ“[1], და სხვ. წრიულობებია, მაგრამ ისინი ერთიმეორეში გადადიან, ერთიმეორისაგან არ არიან მოწყვეტილი.

ზოგადობა, კანონი არის წრე. ფ. ენგელსის აზრით, „ზოგადობის ფორმა შინაგანი დასრულებულობის და, მაშასადამე, უსასრულობის ფორმაა“[2]. თუ ზოგადობა დასრულებული არ არის, ის არ არის ზოგადობა; თუ კანონი არ არის დასრულებული, ის არ არის კანონი. როგორც ითქვა დაუსრულებელი განვითარების კანონი თვითონ არის და უნდა იყოს დასრულებული; წინააღმდეგ შემთხვევაში ის არც იარსებებდა. დაუსრულებელი განვითარების კანონი არის სრული; სწორედ ამ სრულში არის დაჭერილი დაუსრულებლობა, რომელიც სრული კანონის საფუძველზე აიხსნება. აქ არის სასრულისა და უსასრულოს ერთიანობა. უსასრულო (დაუბოლოებელი) არის სასრულოთა ერთიანობა. უსასრულო (დაუბოლოებელი) არის სასრულის და დაუსრულებლის ერთიანობა. განვითარება არის სპირალური

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისთვის, შესავალი.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 224.

და დაუსრულებელი, მაგრამ მისი კანონი დასრულებულია. ამ აზრით კანონი არის წრე. ასეთია ზოგადობაც, რადგან ზოგადი არის ის, რაც ბევრ ელემენტებზე გამოითქმება, რაც საერთოა ბევრისათვის, ის არის ერთი და გარკვეული, სრული ბუნების, სულ ერთია ეს ბევრი დაუსრულებელი იქნება, თუ არა.

უსასრულო დასკვნა არის გარკვეული შინაარსეული ზოგადობა, ლოგიკური კავშირის ზოგადობა, ერთიანობა, რომელიც არ შეიძლება არ იყოს დასრულებული, გარკვეული წრიულობა. ამ დასკვნის წესი არ შეიძლება არ იყოს დასრულებული სრული. ასეთია არა მარტო უსასრულო დასკვნა, არამედ ყოველივე დასკვნა, რადგან დასკვნა არ შეიძლება არ იყოს დასრულებული, მაგალითად. Barbara, რადგან ის არის დასრულებული აზრი. მაგრამ, როგორც ვიცით, მხოლოდ დადებითობა, რომელიც Barbara-ს ახასიათებს, უარყოფით უნდა შეივსოს; ეს „შევსება" კატეგორიების კავშირში ხორციელდება, საბოლოოდ კი — უსასრულო დასკვნაში. ამიტომ ამ უკანასკნელის წესი ყველა დასკვნისათვის აზრის მიმცემი და სავალდებულო უნდა იყოს; სხვანაირად შეუძლებელიცაა.

ის გარემოება, რომ უსასრულო დასკვნის წრიულობა არ გამორიცხავს სხვასთან კავშირს (ამას მოწმობს. მაგალითად, „წრებრუნვების" კავშირი „კაპიტალში"), გაირკვევა შემდგომ — დასაბუთების თეორიაში. აქ კი აღვნიშნოთ მხოლოდ შემდეგი. უსასრულო დასკვნა, როგორც რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, ყოველგვარ დადგენას და უარყოფას იქვემდებარებს, ამ აზრით, უკავშირდება. ის არის საწყისი — არსება საერთოდ დასაბუთებისა, როგორც ეს დაწვრილებით შემდგომ გაირკვევა. უსასრულო დასკვნა თავის თავში მოიცავს ყველაფერს, რასაც ლოგიკური შეიცავს. მისი ცალმხრიობაა, როგორც ვიცით. მსჯელობაც, სასრული დასკვნაც და ცნებაც. უსასრულო დასკვნა თვითონ არის დასაბუთება. უსასრულო დასკვნები სწორედ ერთი — უსასრულო დასკვნის ფორმის დასკვნებია, და სხვ.

§ 172. უსასრულო დასკვნა არის და უნდა იყოს სრული სინთეზური

უსასრულო დასკვნა — უსასრულო ლოგიკური არის დაპირისპირებულთა ერთიანობა. დაპირისპირებულთა ერთიანობის ბუნების მქონე კავშირი არის სრული სინთეზური, რადგან: ა) აქ არაა მხოლოდ განსხვავებულთა ერთიანობა, არამედ არის დაპირისპირებულთა, წინააღმდეგობის ერთიანობა; ბ) წინააღმდეგობა სისრულით ამოწურავს სასრულის ბუნებას, მესამე სასრული გამორიცხულია; გ) ეს

წინააღმდეგობა აუცილებლობით ადგენს მის საფუძველს — ძირს— ერთიანობას; დ) ვღებულობთ უსასრულოს — მთელს, სრულს, რომელიც წინააღმდეგობას მომენტად შეიცავს. წინააღმდეგობა აუცილებლობით გამოაჩენს იმას, რომლის უარყოფა შეუძლებელია. ე. ი. დგინდება ის, რომელიც სხვანაირად შეუძლებელია, მაგრამ რომელიც თავის თავში შეიცავს „თავის სხვას", კონკრეტულ უარყოფას. ამიტომ აქ ლოგიკური აუცილებლობა ხორციელდება. მაგალითად. წარმოების ცნება და მისი მომენტები, კაპიტალის ცნება მსჯელობის ორმაგობა და დასკვნა, მოძრაობის ცნება და მისი მომენტები, ლოგიკურის კატეგორიები და სხვა., რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ნამდვილი სრული ლოგიკური აუცილებლობა და სრული აუცილებელი სინთეზი ხორციელდება მაშინ, როცა უარყოფით დგინდება ის. რაც უარყოფილ იქნა. სხვადასხვას და არსებითად საწინააღმდეგოთა კავშირი ხორციელდება უსასრულობით, რადგან, როგორც ვიცით, წინააღმდეგობაში მესამე სასრული გამორიცხულია, უსასრულო კი არის ძირი წინააღმდეგობისა.

აბსტრაქტული იგივეობაც გადადის ტავტოლოგიის არარაში. ეს უველგან მეორდება, სადაც არის სინთეზურობა, სადაც მოქმედებს კონკრეტული იგივეობა. ყოველი სინთეზური კავშირი შინაგანი უარყოფის შემცველია. ეს უარყოფა ასაბუთებს იმ დადებითობას, რომლის მომენტიც ის არის. ამიტომაა უველგან უსასრულოს (დაუბოლოებლის) მომენტი. უარყოფით. თავის თავის განსაზღვრა-დადგენა გამოითქმის დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობით. თუ მას სისრულით გავაფორმებთ.

სრული უსასრულო ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობაა. მისი ერთმხრიობები კი სასრულია, ფორმალურ ლოგიკურია; ფორმალური ლოგიკა ცდება, როცა ერთმხრივი ჰგონია მთელი. უსასრულო დასკვნა არის სრული სინთეზური. სასრული დასკვნაც სინთეზურია, მაგრამ ენთიმემური ხასიათისაა, მისი სრული გაფორმება არის ერთმხრივის სრულში გადასვლა. სასრულს აზრს აძლევს უსასრულო.

§ 173. უსასრულო დასკვნა არის და უნდა იყოს შინაგანი უარყოფის შემცველი

უარყოფის შემცველია ყოველი სინთეზურ-ლოგიკური კავშირი. უარყოფის გარეშე კავშირებს ვერც მათემატიკური ლოგიკა წარმოიდგენს (თუმცა მასში მოქმედებს მხოლოდ გარეგანი უარყოფა. საერთოდ ფორმალურ ლოგიკას არ ესმის შინაგანი უარყოფა). საერ-

თოდ კავშირში და ყოველ ლოგიკურ კავშირში არ შეიძლება არ იყოს შინაგანი უარყოფა. შინაგანი უარყოფის გარეშე კავშირი შეუძლებელია, რადგან კავშირი მხოლოდ განსხვავებულთა კავშირი შეიძლება იყოს, მაგალითად, Barbara-ში ნაგულისხმევია განსხვავება. რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ არ იქნებოდა სამი ცნება და სამი მსჯელობა. ეს უარყოფა მასში ნაგულისხმევია, მაგრამ ლოგიკურად არ არის გაფორმებული (სიტყვიერად კი წარმოდგენილია). მაგრამ ეს უარყოფა რომ Barbara-ში ლოგიკურად გავაფორმოთ. მაშინ ეს დასკვნა დაინგრეოდა. ასე რომ ამ დასკვნისათვის, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, უარყოფა აუცილებელია, მაგრამ ეს უარყოფა მასში გამორიცხულიცაა; იგი შეუძლებელია უარყოფის გარეშე, მაგრამ ასეთი უარყოფის გაფორმებაც შეუძლებლად ხდის მას. ეს ანტინომიურობა, როგორც ვიცით, წყდება უფრო მაღალ ლოგიკურში გადასვლით, კატეგორიებს ლოგიკურ კავშირში გადასვლით; უარყოფა აფართოებს ლოგიკურის ცნებას; კერძოს და ზოგადის ლოგიკური კავშირი დაპირისპირებულ კატეგორიათა კავშირია.

უსასრულო დასკვნაში გაფორმებულია უარყოფა, ურთიერთუარყოფა — წინააღმდეგობა. ეს მასში არსებითი მომენტია. რაიმეს დადგენა ამ რაიმეს უარყოფით, ცხადია, უარყოფას ემყარება, რომელიც დადებითად ადგენს. აქ ადგილი აქვს არა მარტო უარყოფით კავშირს (რაიმეს თავიდან მოუცილებლობას), არამედ — უარყოფით სრულდება დადგენა — დადებითი კავშირი. დგინდება საფუძველი, რომელიც აუცილებლობით მიიღება უკანდასკვნით — რედუქციით.

თვითდადგენაში არის შინაგანი უარყოფის მომენტი. ეს უარყოფა შედის დადგენაში (die Begründung); იგი არ არის მხოლოდ ფსიქოლოგიური ხერხი (რომელიც ლოგიკურიდან უნდა გამოირიცხოს) იმის მიღებისა, რის უარყოფაც შეუძლებელია. რის უარყოფაც შეუძლებელია, დგინდება სწორედ უარყოფის საშუალებით. ამიტომ აქ გვაქვს არა ინტუიცია (წინააღმდეგ ჰუსერლის აზრისა), არამედ — სრული ლოგიკურობა.

უსასრულო დასკვნა უნდა იყოს შინაგანი უარყოფის შემცველი. ასეთი უნდა იყოს ყოველი სინთეზური დასკვნა და ყოველი დასკვნაც. რადგან წმინდა ანალიზურობა დასკვნის მხოლოდ ერთი მხარეა. წმინდა ანალიზური დასკვნა ლოგიკურად შეუძლებელია. ანალიზურობას აზრი აქვს სინთეზურობით. ანალიზური დასკვნა შესაძლებელია, თუ ის არის ენთიმემური — სინთეზურობის მოგულისხმე.

„უსასრულო" არის უარყოფითი გამოთქმა, რომელიც პირდაპირ ნიშნავს „არასასრულს", დაუსრულებელს, იმას, რასაც ბოლო არ აქვს. სახელდობრ, იმ სასრულს — ბოლოვადს, რომელსაც ბოლო არ აქვს. ეს წინააღმდეგობაა, უარყოფითობაა. არასრული არის ბოლოს არმქონე სასრული — უარყოფითი უსასრულო, რომელიც წინასწარ გულისხმობს დადებით უსასრულოს, როგორც სრულს (დაუბოლოებელს). თუ გვაქვს უსასრულოს ცნება, მაშინ, ცხადია. რომ უსასრულობა სრულად (ამ აზრით, სასრულოდ) არის წარმოდგენილი მის ცნებაში (აქ არის სასრულ-უსასრულოს დიალექტიკური ერთიანობა, მათი დადებითი ერთიანობა).

უსასრულო პროცესის არსება არის გარკვეული კანონი —დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელშიც სრულად (ამ აზრით, სასრულოდ) არის წარმოდგენილი უსასრულობა.

ბოლოს არმქონე სასრული წარმოადგენს წინააღმდეგობას. წინააღმდეგობის ერთიანობა კი არის დადებითი უსასრულობა. ამიტომ უსასრულო დასკვნა უნდა იყოს დადებითი კავშირი.

უსასრულო ლოგიკურის დადებითობა ისაა, რომ: ა) საწინააღმდეგონი ერთიმეორეში გადადიან (უარყოფითი დიალექტიკა); ბ) ისინი ადგენენ ერთიმეორის აუცილებლობას; გ) ერთიმეორეს მოითხოვენ საკუთარი არსებობისათვის; დ) იმყოფებიან განუწყვეტელ ერთიანობაში, არ არსებობენ ერთიმეორის გარეშე; ე) ერთიმეორეს ადგენენ — აფუძნებენ; ვ) შეიცავენ იგივეობრივს; ზ) ქმნიან ერთიანობას. ეს ასეა საერთოდ, მით უმეტეს ლოგიკურად — ცნების მიხედვით. ლოგიკური სრულად გამოთქვამს რეალურს; ის მის ასახვას წარმოადგენს.

დაპირისპირებულნი — დადგენა-უარყოფა — ერთიმეორეს 1) უარყოფენ, 2) უარყოფითად ადგენენ. 3) დადებითად აფუძნებენ. 4) ამით ადგენენ მათ ძირს — ერთიანობას (კანონიც შეიცავს უარყოფას: 1) ის არის აუცილებელი სინთეზური — უარყოფის შემცველი — დადებითი კავშირი, 2) ის არის მოვლენათა კანონი, კანონი იმისა, რაც არ არის კანონი). უსასრულო ლოგიკური, უსასრულო დასკვნა შინაგანი უარყოფის შემცველი დადებითი ლოგიკურია — დასკვნაა.

სასრული და უსასრულო არიან ფარდობითნი, ისე რომ უსასრულო არის გარეგადამწვდომი. ამიტომ მსჯელობა — დადგენა ან უარყოფა — ფარდობითობითია უსასრულო დასკვნაში (და არა

მხოლოდ უსასრულო დასკვნაში, მსჯელობა. როგორც ერთმხრიობა, ყოველთვის არის ფარდობითი). სრული — უსასრულო დასკვნა არის უპირობო, აბსოლუტურ-ლოგიკური; ის არის ორი სრული სასრულის — დადგენის და უარყოფის — ერთიანობა. უსასრულო დასკვნა არის კატეგორიალურობამდე ასული საპირისპირო მსჯელობათა დადებითი ერთიანობა. კატეგორიალურობამდე ასული დადებითი მსჯელობა არის დადგენა, ასეთი უარყოფითი მსჯელობა კი უარყოფაა. მსჯელობა არის სასრული ლოგიკური, სრული დასკვნა არის უსასრულო დასკვნა. მსჯელობა პირობითია. დასკვნა კი — უპირობო. ძველი ფორმალური ლოგიკა არის მსჯელობის ლოგიკა, დიალექტიკური ლოგიკა კი სრული დასკვნის ლოგიკაა, რომელიც შეისწავლის ლოგიკურის ყოველ მხარეს, ე. ი. ხსნის და ინახავს ფორმალურ ლოგიკას (დასკვნის, სახელდობრ, სინთეზური დასკვნის თეორია ვერ შექმნეს კანტმა, ნეოკანტიანელებმა, ჰუსერლმა, მათემატიკურმა ლოგიკამ, მათ ეშინიათ „მეტაფიზიკისა", უსასრულობის). მათემატიკური ლოგიკა არ სწავლობს არც ცნებას, არც მსჯელობას, არც დასკვნას: ის შეისწავლის მათემატიკურ სქემებს და მათ მოდელირებას; მისთვის ლოგიკა, როგორც აზრის ფორმების შესახებ მოძღვრება, არის მხოლოდ ერთ-ერთი მოდელი. მაგრამ მათემატიკური ლოგიკის სქემა არ არის ზოგადობის ბუნებისა, და არც მოდელია კერძო. მათემატიკური ლოგიკის სქემა როგორც გარეგანი ყველაფერს ეხება, რაც საკმარისია მათემატიკისათვის, მაგრამ უცხოა ლოგიკისათვის.

§ 175. უსასრულო ლოგიკური არის და უნდა იყოს ზოგადი

უსასრულო დასკვნა, როგორც სასრულისა და უსასრულოს ერთიანობა, რომელიც არის წინააღმდეგობის — ორი სრული კერძოს — ერთიანობა, ზოგადობის ბუნებისაა. ეს არის სრული შინაარსეული ზოგადი. ამ ზოგადობაში, როგორც გარკვეულ ერთიანობაში, მოქმედებს: 1) უარყოფა, რომელიც ქმნის სასრულს — მსჯელობას, 2) ამ უარყოფის დაძლევა-შენახვა ერთიანობაში. ამით უკვე იქმნება სრული შუალობითი კავშირი. ურთიერთუარყოფა-დადგენა ანუ წინააღმდეგობა ერთიანობის საფუძველზე, ცხადია, ზოგადობის ბუნებისაა. წინააღმდეგობის ერთიანობის ზოგადობა (როგორც ვიცით) უკონკრეტულესი ზოგადობაა. ის არის ორი სრული კერძოს — საპირისპირო მსჯელობების (დადგენისა და უარყოფის) — ერთიანობა, რომელიც სრულ შინაარსეულ ზოგადს წარმოადგენს (არასრული ში-

ნაარსეული ზოგადი არის ყოველი სინთეზური ერთიანობა, როგორც განსხვავებულთა ერთიანობა, განსხვავების შემცველი ერთიანობა).

ზოგადობა შინაგანი დასრულებულობაა, უსასრულობაა[1]. როგორც ითქვა. ამ ზოგადობის ფორმა არის კანონი[2]. მაშასადამე, წინააღმდეგობის წესის, კანონის ზოგადობა არის უსასრულო ლოგიკის ზოგადობა. ეს არის კატეგორიალური კავშირის ზოგადობა.

მსჯელობის ერთიანობა სრულად არის წარმოდგენილი კატეგორიების კავშირში („კერძო არის ზოგადი"). ამიტომ ასეთი საპირისპირო მსჯელობების ერთიანობის ზოგადობა არის უსასრულო დასკვნის ზოგადობა (რომელიც დადგენა-უარყოფის მომენტების ერთიანობაა). ეს ზოგადობა არის ორი სრული კერძოს ერთიანობის ზოგადობა, რომლის მსჯელობაზე. დაყვანა — „კერძო არის ზოგადი" მსჯელობის სახით აღებული ლოგიკურის არაადექვატურობას ქმნის, ლოგიკურის ადექვატური არის უსასრულო დასკვნის ზოგადობა, უსასრულო ლოგიკურის ზოგადობა.

§ 176. უსასრულო დასკვნის მომენტები არის და უნდა იყოს საფუძველ-შედეგის შუალობით დამოკიდებულებაში

აქ უნდა გავარჩიოთ ორგვარი დამოკიდებულება: 1) უსასრულო დასკვნის მომენტთა, სახელდობრ, დადგენის და უარყოფის მომენტთა დამოკიდებულება, რომელიც არის მსჯელობათა ისეთი დამოკიდებულება, რაც იძლევა უსასრულო დასკვნას, როგორც მის ძირს, საფუძველს; 2) სასრულის და უსასრულოს დამოკიდებულება, რომელიც მსჯელობის და უსასრულო დასკვნის დამოკიდებულებას წარმოადგენს; მსჯელობა, როგორც სრული სასრული, ე. ი. როგორც წინააღმდეგობის ერთი მხარე, გარკვეულ საფუძველ-შედეგობრივ დამოკიდებულებაშია უსასრულო დასკვნასთან, როგორც უსასრულო ლოგიკურთან(როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, დადგენა არის მსჯელობა, უარყოფაც მსჯელობაა, რამდენადაც მსჯელობა აღებულია მთლიანად. როგორც ეს არისტოტელეს ესმოდა, და რამდენადაც მსჯელობა აღებულია როგორც კატეგორია; მსჯელობა, აყვანილი კატეგორიალურობამდე, არის დადგენა ან უარყოფა; მსჯელობა, როგორც ასეთი, არის სრული ლოგიკურის სრული ერთმხრიობა).

1) ჯერ გავარკვიოთ უსასრულო დასკვნის მომენტთა — დადგენის

---

[1] „Die Form der Allgemeinheit ist aber Form der Insichabgeschlossenheit damit Unendlichkeit". M. E. G. A. გვ. 475—6.

[2] იხ. ფ. ენგელსი, იქვე.

და უარყოფის საფუძველ-შედეგობრივი დამოკიდებულება. რამდენადაც ეს დამოკიდებულება გვაძლევს უსასრულო დასკვნას. როგორც ვიცით, ეს და ასეთი დამოკიდებულება არის რვამხრივი. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვაქვს და მოქმედებს რვა წესი. ჩვენ აქ სწორედ დასკვნის წესები გვაინტერესებს. ლოგიკურში დაპირისპირებულთა — ერთიმეორის საწინააღმდეგოთა — საფუძველ-შედეგობრივი დამოკიდებულება, რომელიც რვამხრივია, გვაძლევს რვა წესს, რომელთაც გარკვეული დასკვნები, სახელდობრ, სასრული დასკვნები ექვემდებარებიან. ეს რვა წესი ემყარება და უნდა დაემყაროს ერთ წესს, რომელიც უსასრულო დასკვნის, როგორც თვითდადგენის — უარყოფით თვითდადგენის წესი იქნება და არის.

უსასრულო დასკვნაში დადგენისა და უარყოფის რვამხრივი დამოკიდებულება მოგვცემს რვა წესს: ა) თუ არის A, მაშინ არის B; ბ) თუ არის B, მაშინ არაა A; გ) თუ არ არის A. მაშინ არ არის B; დ) თუ არ არის B, მაშინ არ არის A; ე) თუ არის A, მაშინ არ არის B; ვ) თუ არის B, მაშინ არ არის A; ზ) თუ არ არის A, მაშინ არის B; თ) თუ არ არის B, მაშინ არის A.

თუ A-ს და B-ს მაგიერ ავიღებთ „დადგენას" და „უარყოფას", როგორც უსასრულო დასკვნის მომენტებს, მაშინ გვექნება შემდეგი წესები: ა) თუ არის დადგენა, მაშინ არის უარყოფა; ბ) თუ არის უარყოფა, მაშინ არის დადგენა; გ) თუ არ არის დადგენა, მაშინ არც უარყოფაა; დ) თუ არ არის უარყოფა, მაშინ არც დადგენაა; ე) თუ არის დადგენა, მაშინ არ არის უარყოფა; ვ) თუ არის უარყოფა, მაშინ არ არის დადგენა; ზ) თუ არ არის დადგენა, მაშინ არის უარყოფა; თ) თუ არ არის უარყოფა, მაშინ არის დადგენა.

ამ რვა წესიდან უკანასკნელი ოთხი არის ანალიზური გამოყვანის წესები. თუ დადგენაა, მაშინ არის სწორედ დადგენა და არა უარყოფა; თუ უარყოფაა, მაშინ არ არის დადგენა. და პირიქით (ორივე დებულების შებრუნება გვაძლევს იგივე ანალიზურობას). პირველი ოთხი წესი კი დიალექტიკური წესებია, რადგან ისინი სრული სინთეზის წესებს წარმოადგენენ. რამდენადაც დადგენა და უარყოფა ერთიმეორეს ადგენენ, ერთის დადგენა არის მეორის დადგენაც და პირიქით — ერთის უარყოფა მეორის უარყოფაცაა. „გ" და „ზ" წესები თითქოს გამორიცხავენ ერთიმეორეს, მაგრამ ორივეს აქვს გარკვეული აზრი, ისე რომ ისინი ერთიმეორეს ან რაღაც მთელს უნდა ავსებდნენ — უნდა შეადგენდნენ ამ მთელის მომენტებს. „გ" წესი აღნიშნავს იმას, რომ დადგენის გარეშე არც უარყოფაა, „ზ" წესი კი უბრალოდ იძას ამბობს, რომ თუ დადგენას არ აქვს ადგილი. მაშინ

გვექნება მისი საწინააღმდეგო — უარყოფა. ასევე ითქმის „დ“ და „თ“ წესების დამოკიდებულების შესახებაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ „თ“ წესი აღნიშნავს: ორმაგი უარყოფა არის დადგენა, რადგან გამოთქმა „არ არის უარყოფა“ ნიშნავს „უარყოფის უარყოფას“ — ორმაგ უარყოფას; ორმაგი უარყოფა — უარყოფის უარყოფა არის დადგენა. მაგრამ „დ“ წესში ორმაგი უარყოფა — „არ არის უარყოფა“ დადგენა კი არაა, არამედ დადგენის უარყოფაა, ე. ი. ორმაგი უარყოფა წარმოადგენს უარყოფას. ორივე ეს აზრი, სახელდობრ, ის, რომ 1) უარყოფის უარყოფა არის დადგენა და 2) უარყოფის უარყოფა არის უარყოფა, არის სწორი. რადგან ერთ შემთხვევაში ის არის ნათქვამი, რომ რაიმეს უარყოფის უარყოფა რაიმეს დადგენა თუ აღდგენაა; მეორე შემთხვევაში კი ხაზგასმულია უარყოფის უარყოფის მეორე მხარეზე. სახელდობრ, იმაზე, რომ უარყოფის უარყოფა ნიშნავს სწორედ უარყოფას, რომ უარყოფის უარყოფა შეუძლებელია, ე. ი. არ შეიძლება უარყოფა უარყო (აქ, ცხადია, ლაპარაკი არ არის უარყოფის უარყოფაზე, როგორც დიალექტიკის ძირითად კანონზე თუ ტრიადაზე).

აღნიშნულ წესებში ადგილი აქვს შებრუნებადობას: 1) თუ არის დადგენა, მაშინ არის უარყოფა და პირიქით; 2) თუ არ არის დადგენა, მაშინ არც უარყოფაა და პირიქით. აქ ორი რამ არის აღსანიშნავი: 1) ეს შებრუნებადობა და 2) საფუძვლის და შედეგის უოთიერთგამორიცხვა, ანუ, უკეთ, რაიმეს დადგენით, როგორც საფუძვლით, მისი საწინააღმდეგო შედეგის დადგენა. ეს ორი რამ განუხორციელებელია ფორმალურ ლოგიკაში. დიალექტიკურ ლოგიკაში კი ისინი არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა. მაგრამ საკითხავია, თუ როგორ არის შესაძლებელი შებრუნებადობა და საწინააღმდეგოს აუცილებლობა-დადგენა? ორივე ეს გარემოება, როგორც ვიცით, შესაძლებელია იმით, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რვა წესი არის ცალმხრივი თუ ერთმხრივი წესები, რომლებიც გამმართლებელ საფუძვლად ერთ უნივერსალურ წესს გულისხმობენ. ისინი შესაძლებელია მხოლოდ დაპირისპირებულთა ერთიანობაში, სახელდობრ, დადგენა-უარყოფის ერთიანობაში, სადაც დადგენა და უარყოფა წინააღმდეგობის მხარეებს წარმოადგენენ. ასეთი წინააღმდეგობის ერთიანობა კი, როგორც ვიცით, არის უსასრულო დასკვნა — რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. ზემოთ დახასიათებული რვა წესი სხვა არაფერია, თუ არა უსასრულო დასკვნის ერთმხრიობები, რომელთაც საბოლოო გამართლება აქვთ მთელში, იმაში, რის ერთმხრიობებსაც ისინი წარმოადგენენ — უსასრულო დასკვნაში. ურთიერთ-

უარყოფა და ურთიერთდადგენა ერთიანდება მათ საფუძველში — რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში, რომელიც მათ ამართლებს. სხვანაირად, ეს აზრი გამოითქმის ასე: ზემოთ აღნიშნული რვა წესი ემყარება ერთ — უნივერსალურ — წესს, სახელდობრ. შინაგანი უარყოფით თვითდადგენის წესს.

2) ახლა შეიძლება და ბუნებრივია გავარკვიოთ მეორეგვარი დამოკიდებულება, რომლის შესახებაც ზემოთ, სახელდობრ, უსასრულო დასკვნის მე-6 წესის გარკვევის დასაწყისში აღვნიშნეთ. ეს დამოკიდებულება არის დამოკიდებულება მსჯელობას, როგორც სრულ სასრულ ლოგიკურსა, და თვითდადგენას (უსასრულო დასკვნა) შორის. როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, რომელშიც კიდევ უფრო სრული სახით წარმოდგება ის, რაც ზემოთ განხილულ რვა წესს აძლევს აზრს. ეს დამოკიდებულება, როგორც სრული მსჯელობის (წინააღმდეგობის ერთი მხარის) და უსასრულო დასკვნის (წინააღმდეგობის ერთიანობის) დამოკიდებულება, იგივეა, რაც სასრულის და უსასრულოს, როგორც ლოგიკური კატეგორიების, დამოკიდებულება; „მსჯელობა“ აქ გაგებული უნდა იყოს, როგორც სასრულის კატეგორია, უსასრულო დასკვნა კი როგორც უსასრულოს კატეგორია; ე. ი. აქ გვექნება კატეგორიების სიმაღლეზე — კატეგორიების ზოგადობაზე აყვანილი მსჯელობის და დასკვნის დამოკიდებულება.

ეს დამოკიდებულება არის შემდეგი: ა) თუ არის მსჯელობა, მაშინ არის დასკვნა; ბ) თუ არის დასკვნა, მაშინ არის მსჯელობა; გ) თუ არ არის მსჯელობა. მაშინ არ არის დასკვნა; დ) თუ არ არის დასკვნა, მაშინ არ არის მსჯელობა; ე) თუ არის მსჯელობა, მაშინ არ არის დასკვნა; ვ) თუ არის დასკვნა, მაშინ არ არის მსჯელობა; ზ) თუ არ არის მსჯელობა. მაშინ არის დასკვნა და თ) თუ არ არის დასკვნა, მაშინ არის მსჯელობა.

აქ, ვიმეორებთ, გამოთქმები „მსჯელობა“ და „დასკვნა“ აღებულია არა ფორმალურ-ლოგიკური გაგებით. არამედ როგორც „სასრული ლოგიკური“ და „უსასრულო ლოგიკური“, მოკლედ — „სასრული“ და „უსასრულო“. „მსჯელობა“ ნიშნავს შინაარსეულ კერძოს— ერთმხრიობას, სახელდობრ სრულ ერთმხრიობას, „დასკვნა“ კი — ზოგადს. „მსჯელობა“ ლოგიკური უშუალოა, „დასკვნა“ კი — ლოგიკური შუალობა. „მსჯელობა“ მომენტია, „დასკვნა“ — გარეგადამწვდომი მომენტი; „მსჯელობა“ მომენტია, „დასკვნა“ — მთელი. „მსჯელობა“ ცალმხრივი (ერთმხრივი) წესია, „დასკვნა“ — უნივერსალური წესი, კანონი. „მსჯელობა“ ფარდობითია — ნაწილობრივი

ლოგიკური ჭეშმარიტებაა (აქ საბოლოოდ ირკვევა მსჯელობის ფარდობითი ბუნება). „დასკვნა“ კი—ლოგიკური აბსოლუტური ჭეშმარიტება, ლოგიკური აბსოლუტური. ამიტომ ბოლოს ჩამოთვლილი 8 წესი სხვანაირია, ვიდრე ამის წინა რვა წესი. წინა რვა წესი „უშუალო“ დასკვნის წესებია, რადგან დადგენის და უარყოფის, როგორც მსჯელობების, დამოკიდებულების წესებს წარმოადგენენ. ბოლოს ჩამოთვლილი რვა წესი კი შუალობითი დასკვნის წესებს წარმოადგენენ, რადგან ამ შემთხვევაში: 1) მსჯელობა არის დასკვნის საფუძველი ინდუქციის აზრით: მსჯელობის დასკვნაზე გადასვლა, ეს არის შინაარსეული კერძოს ზოგადზე გადასვლა; 2) დასკვნა მსჯელობის საფუძველია თავისებური დედუქციის აზრით. ამ უკანასკნელ რვა წესში ადგილი აქვს: 1) ანტინომიურობას, რადგან მსჯელობა არის და არც არის დასკვნა და პირიქით, მაგრამ 2) ეს ანტინომიურობა ახსნება და ინახება დადებით დიალექტიკაში, რომელიც უსასრულო დასკვნაში ხორციელდება.

§ 177. უსასრულო დასკვნის მომენტთა დამოკიდებულების წესები

განვიხილოთ ბოლოს დასახელებული წესები ცალ-ცალკე:

1) თუ არის მსჯელობა, მაშინ არის დასკვნა, ანუ რამდენადაც არის მსჯელობა, იმდენად არის დასკვნაც. როგორც ეს ზემოთ იყო განხილული, მსჯელობის არსება მდგომარეობს დასკვნაში. მსჯელობას აზრი აქვს დასკვნაში და დასკვნით, იგი მასში მართლდება. ამიტომ თუ არის მსჯელობა, მაშინ არის მისი არსებაც, ის, რაც მას ამართლებს, აძლევს აზრს.

დასკვნა შინაარსეული ზოგადია, საფუძველია მსჯელობისა; მსჯელობა მისი ელემენტია, შინაარსეული კერძოა. თუ არის შინაარსეული კერძო (მსჯელობა), მაშინ არის შინაარსეული ზოგადი (დასკვნა).

მეორე მხრივ, თუ არის შინაარსეული კერძო როგორც საფუძველი. მაშინ ინდუქციურად აუცილებელია ზოგადი როგორც შედეგი. ამ აზრით, როგორც ეს შემდეგ გაირკვევა, ინდუქციურ დასკვნაში ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა, ე. ი. ასეთი დასკვნა (და ასეთი ლოგიკური მეთოდი) შესაძლებელია და არსებობს.

თუ არსებობს მხოლოდ სასრული ლოგიკური — მსჯელობა — მაშინ ის არის ყველაფერი, ე. ი. არის უსასრულო ლოგიკურიც; ყველაფერი უკვე არის უსასრულო.

სასრული წინასწარ გულისხმობს უსასრულოს. მსჯელობა უნდა

-გამართლდეს. უნდა იყოს დანასკვი, როგორც ცალმხრიობა (ერთმხრიობა). ცუდი უსასრულო წინასწარ გულისხმობს სრულ უსასრულობას (ცნების მიხედვით ეს ნათელია). ამიტომ მსჯელობის მიღება გვაიძულებს დასკვნის მიღებას.

დადებითი მსჯელობისათვის აუცილებელია უარყოფითი (და პირიქით); აქ არის დიალექტიკური გადასვლა საპირისპიროში—უარყოფითი დიალექტიკა, რაც წინასწარ გულისხმობს და ემყარება დადებით დიალექტიკას — წინააღმდეგობის ერთიანობას.

„ცნება=გადასვლა" [1], მსჯელობაც გადასვლაა. როგორც ეს ზემოთ გაირკვა. გადასვლა კი არის დასკვნა. ცნებას და მსჯელობას დასკვნაში აქვთ აზრი.

მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა არის თავისებური ინდუქციური დასკვნა, უკეთ, ის დიალექტიკური დასკვნაა, რომელიც ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს.

ამ და მსგავსი არგუმენტებით გაიგება შემდეგი დებულებებიც:

2) **თუ არის დასკვნა, მაშინ არის მსჯელობაც,** ანუ რამდენადაც არის დასკვნა (უსასრულო), იმდენად არის მსჯელობაც (სასრული). თუ არის დასკვნა, მაშინ, ცხადია, იქნება მისი მხარე — მომენტიც — მსჯელობაც.

თუ ვიტყვით, რომ არის დასკვნა მსჯელობის გარეშე. მაშინ ის თვითონ იქნება რაღაც მსჯელობა; ეს აღიარებაც მსჯელობაა. მაგრამ დასკვნა მსჯელობის გარეშე შეუძლებელია, ის არაფერია. დასკვნა არის სწორედ მსჯელობიდან თუ მსჯელობებიდან მსჯელობაზე გადასვლა.. დასკვნის ცნებისათვის აუცილებელია მსჯელობის ცნება. დასკვნა არის მსჯელობის დაფუძნება.

დასკვნიდან, როგორც ზოგადიდან, მსჯელობაზე, როგორც კერძოზე. გადასვლა არის თავისებური დედუქცია.

3) **თუ არ არის მსჯელობა, მაშინ არ არის არც დასკვნა,** ანუ: რამდენადაც არ არის მსჯელობა — სასრული ლოგიკური, იმდენად არ არის არც დასკვნა—უსასრული ლოგიკური. თუ არ არის სასრული, ცხადია, არც უსასრულო იქნება. სასრულის არსებობა მინიმუმია უსასრულოს არსებობისათვის. ყველა სასრული არის უსასრულო. თუ არაა სასრული, არც არა-სასრულია. ამიტომ არც უსასრულო იქნება. თუ არაა ერთი მსჯელობა, არ არის არც ბევრი მსჯელობა, ამიტომ არ არსებობს არც მათი კავშირი, რომელიც დასკვნას წარმოადგენს. თუ არ არის კერძო, არ იქნება ზოგადიც. რადგან ზოგადი არის სწორედ კერძოს ზოგადი. ზოგადი კერძოებს მოიცავს,

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 225.

კერძოების გარეშე შეუძლებელია მათთვის საერთო, — ის, რაც მათზე გამოითქმის.

4) თუ არ არის დასკვნა, მაშინ არ არის არც მსჯელობა, ანუ რამდენადაც არაა დასკვნა, იმდენად არც მსჯელობაა (ამას ცხადყოფს ზემოთ მოყვანილი არგუმენტები). თუ არ არის დასკვნა, მაშინ არც მისი მხარე — მსჯელობა იქნება. თუ არაა უსასრულო, რომელიც ყველაფერია, მაშინ არც მისი ერთი მომენტი იქნება. უსასრულო არის სრულის არსება. და თუ არაა არსება, მაშინ, ცხადია, არც ის არის, რის არსებასაც ის წარმოადგენს და უნდა წარმოადგენდეს.

მსჯელობა არის დასკვნის მსჯელობა, ლოგიკურის მსჯელობა, მსჯელობა ლოგიკური კავშირია. მსჯელობას არ აქვს აზრი დასკვნის გარეშე. დასკვნა სრული ლოგიკურია, მსჯელობა მისი მხოლოდ ერთიანობაა, მაგრამ პირველის გარეშე მეორე უაზროა; თუ არ არის პირველი, არ არის არც მეორე. ერთმხრიობას არ აქვს აზრი იმის გარეშე, რის ერთმხრიობასაც ის წარმოადგენს. სრულის გარეშე არ არის არასრულიც — ერთმხრიობა.

ამ გარემოებას, თითქოს არც უნდა მტკიცება. მაგრამ ამ მტკიცების საჭიროება იქიდან ჩანს, რომ არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ლოგიკურ აზროვნებაში ყველაფერი არის მსჯელობა; დასკვნაც დაუყავთ მსჯელობაზე, ე. ი. შეიძლება უარყო დასკვნა, მაგრამ აღიარო მსჯელობა. მაგრამ თუ ყველაფერი, კერძოდ, დასკვნა არის მსჯელობა, მაშინ დასკვნის როლს ასრულებინებენ მსჯელობას. მსჯელობაც არის გადასვლა; გადასვლის გარეშე გაუგებარია მსჯელობა. მაგრამ გადასვლა უკვე არის დასკვნა (მაგალითად, „კერძო არის ზოგადი“; ეს უკვე არის კერძოდან ზოგადზე გადასვლა, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული). ეს ასეა, თუ მხედველობაში გვაქვს სინთეზური მსჯელობა. მაგრამ თუ იმას ვიტყვით, რომ მსჯელობა ტავტოლოგიურია, მაშინ უნდა ითქვას, რომ ის არსებითად არის დასკვნა, რადგან „A=A“ იგივეა, რაც „თუ არის A, მაშინ არის A“, როგორც გარკვეული რეფლექსური გადასვლა.

5) თუ არის მსჯელობა, მაშინ არ არის დასკვნა. თუ სასრული ლოგიკური არის, მაშინ არ არის უსასრულო ლოგიკური, ანუ რამდენადაც არის მსჯელობა, იმდენად არ არის დასკვნა; მსჯელობა არის სწორედ მსჯელობა და არა დასკვნა. მსჯელობის მიღება დასკვნის თავისებური გამორიცხვაა. ლოგიკური უშუალობის მიღება არის ლოგიკური შუალობის გამორიცხვა. თუ არის უშუალო, მაშინ არ არის შუალობა. სასრულ ლოგიკურსა და უსასრულო ლოგიკურს

შორის არის დაპირისპირება, ურთიერთგამორიცხვა. თუ არის სასრული, მაშინ არ არის უსასრულო. ეს გარემოება ფორმალურ ლოგიკას აუცილებელ ჭეშმარიტებად მიაჩნია. წინააღმდეგობის მხარეებიდან თუ ერთი არის, მაშინ მეორე არ არის; ამის გარეშე წინააღმდეგობა არ არსებობს. აქ გასარჩევი დებულება სწორია მხოლოდ ერთი მხრივ, სახელდობრ, ისე, რამდენადაც სასრული გამორიცხავს უსასრულოს, კერძო — ზოგადს, ერთმხრივი —მთელს და ა. შ.

შეიძლება დასკვნა წარმოვიდგინოთ მსჯელობის (თუ ცნების) სახითაც და შემდეგ გამოვრიცხოთ დასკვნა, ე. ი. ვთქვათ. რომ არის მსჯელობა და არ არის დასკვნა. ასე იქცევა ის, ვისაც დასკვნა დაყავს მსჯელობაზე (რაც ზემოთ აღინიშნა). უსასრულო დასკვნაც გამოითქმება მსჯელობით: „რაიმეს დადგენა ხდება მისივე უარყოფით"; ამიტომ, ამ აზრით, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ეს მსჯელობა და არა დასკვნა. თუ დადებითი მსჯელობა იგულისხმებს უარყოფითს, მაშინ თუ არის ასეთი ენთიმემური მსჯელობა, მაშინ არ არის დასკვნა.

მაგრამ ენთიმემურობა გაფორმებას მოითხოვს. სასრული მოითხოვს უსასრულოს, კერძო — ზოგადს; იმას მოითხოვს, რასაც გამორიცხავს. მაგრამ ეს გარემოება სხვა დებულებებით უნდა გამოითქვას, ასეთი ცალმხრივი დებულებები თავისი ბუნებით ადგენენ მათი ერთიანობის აუცილებლობას.

დებულება „რამდენადაც არის სასრული, იმდენად არის სწორედ ის და არა უსასრულო", არის ფორმალურ-ლოგიკური დებულება. რამდენადაც აქ აღიარებულია იგივეობრივი და უარყოფილია საპირისპირო. უფრო ძნელია გაიგო დიალექტიკა — თუ როგორ არის შესაძლებელი, რაიმეს დადგენით მიიღო მისი საწინააღმდეგო.

6) თუ არის დასკვნა, მაშინ არ არის მსჯელობა, ანუ რამდენადაც არის დასკვნა, იმდენად ის არ არის მსჯელობა. თუ არის უსასრულო ლოგიკური, მაშინ არ არის სასრული ლოგიკური. რამდენადაც რაიმე არის დასკვნა. იმდენად ის არაა მსჯელობა, ე. ი. დასკვნა მართლაც დასკვნაა და არა მსჯელობა. ეს დებულება („ვ") სწორია, მაგრამ არა აბსოლუტურად, რადგან უსასრულო სასრულს არ გამორიცხავს აბსოლუტურად. რამდენადაც უსასრულო გამორიცხავს სასრულს, ამდენად ის თვითონაა სასრული. რამდენადაც არის ზოგადი, იმდენად არ არის კერძო. რამდენადაც არის შუალობა, იმდენად არ არის უშუალო.

7) თუ არ არის მსჯელობა, მაშინ არის დასკვნა, ანუ რამდენადაც არ არის სასრული, იმდენად არის უსასრულო. მსჯელობის უარყოფა

არის მსჯელობა, ეს მთლიანად კი არის დასკვნა. არასასრული არის უსასრულო, არაკერძო არის ზოგადი, არაუშუალო არის შუალობითი. სასრულის გამორიცხვა უსასრულოს ტოვებს აუცილებლობით, რამდენადაც რაიმე არის ან სასრული (მსჯელობა). ან უსასრულო (დასკვნა). აქ არის დაცვა იგივეობის და წინააღმდეგობის შეუძლებლობის პრინციპებისა. დაპირისპირებულთაგან ერთის მიღება გამორიცხავს მეორეს; დაპირისპირებულთაგან ერთის მიღება არის მეორის გამორიცხვა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ეს დებულება ფორმალური ლოგიკისათვის გაუგებარია, რადგან მსჯელობა და დასკვნა არაა (მისთვის) ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო; მაგრამ ჩვენი ეს დებულება სწორია, რამდენადაც მსჯელობა სასრულია, დასკვნა კი უსასრულო (მსჯელობა არის „ეს და არა სხვა“, უსასრულო დასკვნა კი არის რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით; ამიტომ ისინი ერთიმეორისადმი დიალექტიკურ წინააღმდეგობაში იმყოფებიან).

აქ გვაქვს კატეგორიები: მსჯელობა როგორც სასრული ლოგიკურის კატეგორია და დასკვნა როგორც უსასრულოს კატეგორია, ლოგიკურის კატეგორიაა (კატეგორიებში, როგორც ვიცით, ერთიმეორეს უდრის კონტრარობა და კონტრადიქტორობა. სწორედ ამიტომ შესაძლებელია დებულებების შებრუნება, რომელსაც ჩვენ ამ წესებში ვახდენთ).

8). თუ არ არის დასკვნა, მაშინ არის მსჯელობა. ეს დებულება იმავე — ზემოთ მოყვანილ არგუმენტებს ემყარება. ეს დებულება აუცილებელია ფორმალური სისრულისათვის, მაგრამ იგი გამართლებულია შინაარსეულადაც როგორც ერთიანობის ერთ-ერთი მომენტი.

თუ უსასრულო ლოგიკური არ არის, მაშინ არის სასრული ლოგიკური. ლოგიკურის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რამდენადაც ადგილი აქვს ამ უარყოფას და ლოგიკური არსებობს; დასკვნა რომ უარყო, მსჯელობა მაინც უნდა დარჩეს. დასკვნა ხშირად დაყავთ მსჯელობაზე, ამით დასკვნის უარყოფისას მსჯელობას ტოვებენ. მაგალითად, ლუკასევიჩის აზრით, სილოგისტური დასკვნა დაყვანილია პირობით წინადადებაზე „თუ A არის B და B არის C, მაშინ A არის C“.

თუ არის დასკვნა ან მსჯელობა, მაშინ პირველის უარყოფით დგინდება მეორე.

სანამ დასკვნას მივიღებდეთ, მანამ არის მსჯელობა. ლოგიკის დასაწყისში, როგორც ვიცით, უნდა იყოს მსჯელობა; ლოგიკის დასა-

წყისში არ არის დასკვნა, მაგრამ არის მსჯელობა. თუ არ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო; თუ არ არის შუალობა, მაშინ არის უშუალო და სხვ.

ზემოთ გარჩეული რვა დებულება შეიძლება ჩაიწეროს ასე:

1) $A \to B$, 2) $B \to A$, 3) $\overline{A} \to \overline{B}$, 4) $\overline{B} \to \overline{A}$,

5) $A \to \overline{B}$, 6) $B \to \overline{A}$, 7) $\overline{A} \to B$, 8) $\overline{B} \to A$.

(ნიშანი „→“ აქ აღნიშნავს საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებას და არა იმპლიკაციას). ამ ფორმულების ნაკლოვანება ისაა, რომ ისინი ვერ არჩევენ ზემოგანხილულ ორგვარ წესებს: პირველ რვას წესს მეორე რვა წესისაგან, რომლებიც ერთი მეორისაგან, როგორც ვნახეთ, შინაარსეულად და შინაარსეული ფორმებით განსხვავდებიან. სიმბოლოები ასეთ განსხვავებას ერთიმეორისგან ვერ არჩევს (თუ ზედმეტად ხელოვნურად არ გავართულეთ ეს სიმბოლოები).

ზემოთ განხილული დებულებებიდან თვითეული არის ერთმხრივი (ცალმხრივი), ამიტომ იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც თავისებური ინდუქციის თუ ლოგიკური განვითარების დასაწყისი, „წანამძღვარი“, საიდანაც წამოსული აზრი მივა ბოლოს უსასრულო დასკვნამდე, ანუ გადასვლა მოხდება ამ დასკვნაზე. ასეთი „დანასკვი“ და ნამდვილი საწყისი ერთი და იგივეა, ეს არის „რაიმეს დადგენა მისივე უარყოფით“. რომელიც ყველა ზემოთჩამოთვლილ ცალმხრიობებს ხსნის და ინახავს, ამართლებს. ამიტომ უსასრულო დასკვნა არის ზემოთ გარჩეული დებულებების საფუძველიც, საიდანაც ისინი გამოდიან როგორც „დანასკვები“, ერთმხრიობები. ცალმხრიობები უსასრულო დასკვნის ინდუქციური საფუძველია. თვითონ უსასრულო დასკვნა მისი ცალმხრიობების თუ მომენტების დედუქციურ საფუძველს წარმოადგენს. ცალმხრიობებიდან, როგორც შედეგებიდან, მათ საფუძველზე — უსასრულო დასკვნაზე მისვლა არის რედუქცია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აქ ჩვენ გვაქვს საფუძველ-შედეგის ყოველმხრივი და ყოველი მიმართულებით დამოკიდებულებანი, რომლებიც უსასრულო დასკვნაში მართლდებიან.

უსასრულო დასკვნა, როგორც ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობა, ამართლებს ერთმხრიობებს და ამ ერთმხრიობების შებრუნებადობასაც, რადგან ლოგიკური წარმოდგენილია კატეგორიების კავშირში, ამაღლებულია უზოგადეს ლოგიკურამდე (სადაც „მიზეზთა“ სიმრავლე ერთი და იგივე შედეგებისათვის მოხსნილია, ამით პირობითი დამოკიდებულების რვა „მოდუსია“ გამართლებუ-

ლი და წინააღმდეგობა და დაპირისპირება გაიგივებულია მის ერთიანობაში).

9) **უარყოფის უარყოფა არის დადგენა.** ეს წესი, რომელიც დიალექტიკის ერთი ძირითადი კანონის თავისებური — სპეციფიკური გამოთქმაა, მოქმედებს უსასრულო დასკვნაში. უსასრულო დასკვნა, როგორც ვიცით, არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. ეს სხვანაირად გამოითქმება ასე: უარყოფის უარყოფა არის დადგენა. როცა რაიმე დგინდება მისივე (რაიმეს) უარყოფით, ეს ნიშნავს: რაიმე უარიყოფა, მაგრამ ეს უარყოფაც უარიყოფა და ამ უარყოფით ხდება დადგენა. ეს დადგენა უარყოფს პირველ უარყოფას. უშუალოს უარყოფის უარყოფა არის დადგენა როგორც გაშუალება იმისა, რაც იყო პირველი უარყოფილი — უშუალო. კერძოს უარყოფა არის ზოგადი, მაგრამ ასეთი — კერძოს უარმყოფელი ზოგადი— თვითონ არის კერძო. პირველი კერძო უარიყოფა ზოგადით, რომელიც დაპირისპირებულია კერძოსადმი, მაგრამ ასეთი ზოგადი უარიყოფა საკუთარი ბუნებით — თვითონ გადადის და არის კერძო, რომელიც არის უარყოფის უარყოფა, მაგრამ ის არ არის პირველი კერძოს მხოლოდ განმეორება, არამედ არის ისეთი კერძო, რომელიც ზოგადსაც შეიცავს. კერძოს უარყოფის უარყოფა არის კერძოს აუცილებლობა ზოგადისათვის, ისე როგორც ზოგადის უარყოფის უარყოფა არის ზოგადის აუცილებლობა კერძოსათვის. ამდენად, სწორედ უარყოფის უარყოფით, ანუ უკეთ, ორმაგი უარყოფის უარყოფით დგინდება კერძოსა და ზოგადის ერთიანობა.

10) **ორმაგი უარყოფის უარყოფა არის თვითდადგენა.** ტავტოლოგიაც არის თვითდადგენა, მაგრამ ეს არის მოჩვენებითი თვითდადგენა, რადგან მასში განსხვავება და უარყოფა არ მონაწილეობს. ამიტომ ის არის უშუალობა და არა გაშუალება-დადგენა. დებულება A არის A, როგორც ვიცით, არის არა A-ს დადგენა, არამედ მხოლოდ „თუ—მაშინ", სადაც A-ს დადგენა არ იგულისხმება. ამიტომ ტავტოლოგიის შეცდომა სრულად წარმოდგება დასკვნაში, სადაც წანამძღვარი უდრის დანასკვს; შეცდომაა რაიმეს დასაბუთება უშუალოდ თავის თავით, რადგან ამ შემთხვევაში დასასაბუთებელი, ამავე დროს, გამოდის დამსაბუთებლის როლში. ეს არის circulus vitiosus და regresus in infinitum.

თვითდადგენა სწორია, როცა ის ხდება შინაგანი უარყოფით. თუ რაიმეს უარყოფა ამ რაიმეს ადგენს, მაშინ გვაქვს თვითდადგენა, თვითდაფუძნება.

როგორც ითქვა, უარყოფის უარყოფა არის დადგენა, მაგრამ უსასრულო დასკვნა, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობა, არის

არა მხოლოდ უარყოფის უარყოფა, არამედ, როგორც ითქვა, ორმაგი უარყოფის უარყოფა: წინააღმდეგობის თვითეული მხარე არის უარყოფის უარყოფა, ე. ი. წინააღმდეგობა არის ორმხრივი თუ ორმაგი უარყოფის უარყოფა; წინააღმდეგობის ერთიანობა არის ორმხრივი უარყოფის უარყოფით დადგენა; ეს არის შინაგანი წინააღმდეგობით თვითდადგენა, გარკვეული თვითდაფუძნება, თავისებური თვითმოძრაობა. სხვანაირად, უსასრულო დასკვნის მომენტები — დადგენა და უარყოფა — ერთიმეორის მიმართ უარყოფის უარყოფის დამოკიდებულებით ქმნიან მთელს, როგორც რაიმეს დადგენას მისივე უარყოფით. უარსაყოფელი და დასადგენი უარყოფის უარყოფით დგინდება. უარყოფა ასრულებს დადგენას; უარყოფა, ამავე დროს დადგენაა.

თვითდადგენის წესში მართლდება ყველა წესი, ამიტომ ის არის კანონიც, სახელდობრ, უნივერსალური კანონი; უსასრულო ლოგიკურში წესი არის ძირითადი კანონი.

რადგან უსასრულო დასკვნა სრული ლოგიკურია (ის არის დასაბუთების ძირი, საწყისი, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ), ამიტომ ლოგიკური აზრის მთავარი კანონები, ამავე დროს, უსასრულო დასკვნის წესებსაც წარმოადგენენ. ზემოთ განხილული ლოგიკური კანონებიდან (ოცი კანონიდან) ზოგიერთი კანონი, მთავარი კანონები უსასრულო დასკვნის წესებს წარმოადგენს, უსასრულო დასკვნის მთავარი წესები, ამავე დროს, ლოგიკური კანონებიცაა.[1]

§ 178. კატეგორიათა ზოგიერთი კავშირის, როგორც დასკვნის, წესები

როგორც ნათქვამიდან ჩანს, უსასრულო დასკვნაში განხორციელებული წესები საფუძვლად უდევს ყოველგვარ ლოგიკურ კავშირს. კატეგორიები ლოგიკურად უკავშირდება ერთიმეორეს უსასრულო დასკვნის ფორმით ან მისი რომელიმე წესით. მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს კატეგორიათა იმ კავშირის წესები, რომლებიც წარმოდგენილია სამი კატეგორიის — ზოგადის, განსაკუთრებულის და ერთეულის — კავშირის სახით. ეს დასკვნები, როგორც ითქვა, გაარკვიეს ჯერ ჰეგელმა, შემდეგ კი მარქსმა და ენგელსმა. ჩვენ აქ არ გავიმეორებთ იმას, რაც ზემოთ ითქვა მათ შესახებ; ვიტყვით

[1] ლოგიკური განვითარების უფრო მეტი სისრულით წარმოდგენისას ლოგიკური კანონები განხილულ უნდა იქნეს უსასრულო დასკვნის წესების განხილვის დროს.

მხოლოდ იმას, რომ ეს კავშირი თავისებური შუალობითი კავშირია და ამიტომ მას აქვს საკუთარი — სპეციფიური წესებიც, რომელთაგან დავასახელოთ მხოლოდ ზოგიერთი.

1) პრედიკაცია არის გაშუალება. დასკვნები (რომელთა შესახებაც ახლა ვლაპარაკობთ) ერთიმეორისაგან იმითაც განსხვავდებიან, თუ დასკვნაში რომელი ცნებაა განსაზღვრულ-გაშუალებული და რომელი არ არის გაშუალებული (რომელია უშუალოდ ალებული). ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან იმით, თუ რომელი კატეგორიაა დასკვნაში უშუალო: ერთეული, განსაკუთრებული, თუ ზოგადი. უშუალოს პრედიკაცია არის მისი განსაზღვრება; განსაზღვრება არის გაშუალება; გაშუალება კი გარკვეულ გადასვლას— დასკვნას წარმოადგენს. ჰეგელის „ლოგიკაში“ დასკვნის ფიგურები ერთიმეორისაგან იმით განსხვავდებიან, თუ რომელი ცნება რომელს განსაზღვრავს, — აშუალებს და რომელია უშუალო, განუსაზღვრელი. ეს იმას ნიშნავს, რომ პრედიკაცია—განსაზღვრება (კატეგორიის კატეგორიით პრედიკაცია არის განსაზღვრება), როგორც გაშუალება არის ის წესი, რომლითაც სრულდება გარკვეული დასკვნები. სრული გაშუალება ხდება მაშინ, როცა სრულდება დასკვნის სამივე ცნების ურთიერთპრედიკაცია — გაშუალება.

2) როგორიცაა საშუალო ცნების ადგილი, ისეთია დასკვნა. თუ ერთეული არის საშუალო ცნება, მაშინ გვაქვს, მაგალითად, ინდუქციური დასკვნა (გ-ე-ზ). თუ განსაკუთრებულია საშუალო ცნება, მაშინ ადგილი აქვს ჩვეულებრივ კატეგორიულ სილოგიზმს (I ფიგურა) და მის საფუძვლად მდებარე კავშირს (ე-გ-ზ). საშუალო, ასე ვთქვათ, ბუნებრივ ადგილზეა (იხ. ჰეგელის „ლოგიკა“, კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „შესავალი“ და წრებრუნვები „კაპიტალში“). დასკვნის ეს ფორმა, ამავე დროს, ითვლება დასკვნის ზოგად ფორმად (იხ. ზემოთ კ. მარქსის მიერ კრიტიკა ჰეგელის საშუალოსი როგორც განსაკუთრებულის). თუ ზოგადია საშუალო ცნება, მაშინ სრულად ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა (ე-ზ-გ), რადგან ზოგადობა კიდურებს მოიცავს და სრული აუცილებლობით აკავშირებს.

3) ურთიერთგაშუალებისათვის აუცილებელია შინაგანი უარყოფა. დასკვნის სამი ცნების ურთიერთგაშუალება იმას ნიშნავს, რომ თვითეული მათგანი, მსჯელობის აზრით, არის მეორე; ასე რომ სამივე ცნება ურთიერთგაშუალებით ხდება ერთიმეორე (ზ-ზ-ზ). ეს კი, ჰეგელის აზრით, არის დასკვნის აზრის დაკარგვა (თუმცა გადასვლა ხდება რეფლექსიის დასკვნაზე). ასეთი ურთიერთგაშუალება მიდის ურთიერთგაშუალების უარყოფამდე, ურთიერთგაშუა-

ლება იძირება ტავტოლოგიაში; ამრიგად, დასკვნას აზრი ეკარგება. ურთიერთგაშუალება მისული იგივეობამდე უნდა ნიშნავდეს თვითგაშუალებამდე მისვლას, რეფლექსურობის მიღებას; მაგრამ ეს რეფლექსურობა მხოლოდ მაშინ იქნება აზრის მქონე, თუ თავიდან იქნება აცილებული ტავტოლოგიურობა, ე. ი. თუ მასში იმოქმედებს უარყოფა. ასეთი დასკვნა, როგორც ვიცით, არის უსასრულო დასკვნა. მაშასადამე, ურთიერთგაშუალებისათვის აუცილებელია შინაგანი უარყოფა.

4) **დადებითობა და უარყოფითობა შეფარდებითია.** ერთეული, განსაკუთრებული და ზოგადი საპირისპირო კატეგორიებია. კერძო და ზოგადი ერთიმეორეს უარყოფენ. ეს უარყოფა, ისე როგორც მათი კავშირის დადებითობა შედარებითია და არა აბსოლუტური; სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან წინააღმდეგობა გამორიცხავს მესამეს, მაგრამ აქ სამი ცნება გვაქვს, ე. ი. „მიჩქმალულია" წინააღმდეგობა (რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, როცა ჰეგელის „საშუალო ცნებას" ვაკრიტიკებდით). მიუხედავად ამისა, აქ ადგილი აქვს დიალექტიკურობას, რადგან მათ კავშირში უარყოფა მოქმედებს. როგორც ვიცით, ეს დიალექტიკურობა უფრო სრულად წარმოდგება მაშინ, როცა წინააღმდეგობის „მიჩქმალვა" მოიხსნება, ე. ი. სამი კატეგორიის მაგიერ აღებული იქნება ორი—კერძო და ზოგადი, რომლებიც ერთიმეორეს კიდეც უარყოფენ და კიდეც ადგენენ, შეადგენენ ერთიანობას, რომელიც აბსოლუტურია მისი შეფარდებითი მხარეების მიმართ. წინააღმდეგობის ერთიანობაში დადებითობას და უარყოფითობას შედარებითი აზრი აქვთ და უნდა ჰქონდეთ.

5) **საშუალო უნდა იყოს კიდურათა ერთიანობა.** ჯერ კიდევ არისტოტელემ აღნიშნა, რომ არსებობს საშუალო ცნების ზოგადობა. ეს არის არა მოცულობითი, არამედ შინაარსეული ზოგადობა.

როგორც ვიცით, როცა საშუალო არის განსაკუთრებული, რომელიც ერთეულის და ზოგადის ერთიანობაა, მაშინ ადგილი აქვს შეცდომას: ერთეულის და ზოგადის ერთიანობა სრულდება იმ საშუალოთი, რომელიც თვითონ არის ერთეულის და ზოგადის ერთიანობა. ასეთი საშუალო არის, მარქსის თქმით, mixtum compositum. ასეთი საშუალო „ჩქმალავს" წინააღმდეგობის აზრს.

ეს შეცდომა შესაბამისი დასკვნების უარყოფისათვის კი არ უნდა იქნას გამოყენებული, არამედ უფრო ზოგადი ლოგიკური კავშირის დახასიათებისათვის. განსაკუთრებული არის საშუალო გარკვეულ დასკვნებში, რომელსაც ახასიათებს გარკვეული ნაკლი, მაგრამ ეს ნაკლი იხსნება უფრო სრულ დასკვნაში — უსასრულო

დასკვნაში — სადაც საშუალო არ არის განსაკუთრებული, არამედ ის არის ისეთი ერთიანობა, რომელიც წინააღმდეგობის ძირშია და წინააღმდეგობის გამმართლებელია. „საშუალო“ უნდა იყოს გარკვეული „კიდურების“ გარკვეული ერთიანობა, რომელიც არის ცნება—დასკვნის ზოგადი აზრი, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული. ასეთი „საშუალო“ აძლევს აზრს ყოველ სხვა საშუალო ცნებას.

§ 179. ფორმალურ-ლოგიკური დასკვნის წესები

ფორმალურ-ლოგიკური დასკვნის წესები, როგორც ვნახეთ, უშუალოდ გამომდინარეობენ ზემოთგანხილული დასკვნის წესებიდან, როგორც მისი ცალმხრიობანი; ეს წესები ცნობილია და ამიტომ მათ აქ არ განვიხილავთ. გავაკეთებთ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნას მათ შესახებ.

ფორმალური ლოგიკის დასკვნები ძირითადად არიან დედუქციური და ინდუქციური დასკვნები, ე. ი. ისეთი დასკვნები, სადაც უნდა განხორციელდეს ზოგადიდან კერძოზე და პირიქით გადასვლა, ე. ი. საპირისპიროში გადასვლა, ამიტომ მათ საფუძვლად ძევს კერძოსა და ზოგადის დიალექტიკური ერთიანობა, თუმცა ეს დიალექტიკა დაკარგულია ფორმალურ ლოგიკაში, რადგან ყურადღება ექცევა მხოლოდ ცალმხრიობებს, კერძოსა და ზოგადის დამოკიდებულების ცალმხრიობებს, საჭიროა ყურადღება მიექცეს კერძოსა და ზოგადის დიალექტიკას და მის საფუძველზე აიხსნას ფორმალურ-ლოგიკური დასკვნა და მისი წესები.

სილოგისტური დასკვნის წესები მოცულობითი ზოგადისა და ასეთივე კერძოს დამოკიდებულების წესებია. აქ არ სრულდება ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, ხორციელდება მხოლოდ ზოგადიდან ზოგადის და კერძოდან კერძოს გამოყვანა (როგორც ეს ზემოთ იქნა ნაჩვენები). დასკვნას ანალიზური ხასიათი აქვს. ზოგადიდან კერძოზე გადასვლა, როგორც საპირისპიროზე გადასვლა, ცხადია, დიალექტიკური გადასვლაა, რაც გაუგებარია ფორმალური ლოგიკისათვის. ინდუქციური დასკვნებიც მოცულობით და ნომინალისტურად გაგებულ ზოგადს ემყარება, ამიტომ ინდუქციური დასკვნები ალბათური ხასიათისაა, მათში არ ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა, ამიტომ ისინი არც წარმოადგენენ დასკვნებს, თუმცა უნდა წარმოადგენდნენ, რასაც მოითხოვს მისი ამხსნელი საფუძველი — კერძოდან ზოგადზე გადასვლის დიალექტიკა, კერძოს და ზოგადის დიალექტიკური ერთიანობა.

მოცულობითი ზოგადი, როგორც ვიცით, შინაარსეულის განმეორება — მოვლენაა. ამიტომ სწორედ ყოველგვარი დასკვნა შინაარსეული ზოგადის საფუძველზე უნდა აიხსნას. ამას მოითხოვს არისტოტელესთან „პაშუალის“ შინაარსეული ზოგადობის ცნება. ამ მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში.

მოცულობითი ზოგადის გამოყენება დასკვნებში გაანავითარა მათემატიკურმა ლოგიკამ ისე, რომ ლოგიკური პროცესი დაყვანილ იქნა აღრიცხვაზე; ზოგადის ადგილი დაიჭირა სქემამ, რომელიც არ არჩევს აზრს საგნისაგან და პირიქით. აღრიცხვა და სქემა არ უდგება ლოგიკური კავშირის ბუნებას; მათზე დამყარებული „ლოგიკა“ ლოგიკის უარყოფამდე მიდის, თუმცა ყალიბდება სპეციალურ მათემატიკურ მეცნიერებად.

მიმართების ლოგიკის დასკვნები საგანთა მიმართებას ლოგიკური კავშირებისაგან არ ანსხვავებს. დროულ-ვრცეული თუ მიზეზობრივი მიმართების წესები ლოგიკურ წესებს არ წარმოადგენენ, რადგან ისინი საგანთა მიმართებების წესებია და არა აზრთა დამოკიდებულების წესები.

როგორც ცნობილია, მათემატიკური ლოგიკა აქსიომატური სისტემაა, მაგრამ აქსიომებიდან არაფერი არ გამომდინარეობს, თუ არ იქნა მოხმარებული გამოყვანის წესები, სახელდობრ, ჩასმის წესი და დასკვნის სქემა. ეს წესები არიან არა ლოგიკური წესები, — ისინი ვერ თავსდებიან ლოგიკურ სისტემაში, — არამედ წარმოადგენენ მეტალოგიკურ წესებს. როცა ლოგიკა მოითხოვს მეტალოგიკას, მაშინ ირღვევა ლოგიკის მთლიანობა, ირღვევა ლოგიკა; ადგილი აქვს უსასრულო რეგრესის ლოგიკურ შეუძლებლობას.

ჩასმის წესის გამოყენება ლოგიკური ხასიათის არ არის, ის არის მექანიკური და ნომინალისტური სქემის ბუნებისა; იგი გამოდგება მათემატიკურ ოპერაციებში, მაგრამ არა ლოგიკაში. როცა მათემატიკაში მოიხმარენ სიმბოლოებს, მაშინ საქმე გვაქვს არა ზოგადობასთან, არამედ სქემასთან, მაგალითად, სიმბოლო a-თი შეიძლება აღინიშნოს უამრავი რიცხვი. $a + b = c$ აღნიშნავს უსასრულო მრავალ ჯამს. მაგრამ ასეთი სიმბოლოები სქემებია და არა ზოგადობანი. a-ს მაგიერ შეიძლება ჩავსვათ რომელიმე რიცხვი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს რიცხვთა ზოგადი ბუნება იყოს a. სიმბოლოები პირობითი სახელწოდებებია და მეტი არაფერი. თუ სიმბოლო $x+a$-ში x არის ცვლადი და თუ მათ აზრი ეძლევა მხოლოდ ჩასმის, სახელდობრ, ერთეულის ჩასმის შემდეგ, ე. ი. თუ

ასეთი ჩასმის შემდეგ მივიღებთ წინადადებას, მაშინ ჩასმის ხერხის გამოყენება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მათემატიკური სფეროთი, რა არ შეიძლება ლოგიკურ სფეროში იქნას მოხმარებული. ჩასმა მექანიკური მოქმედებაა და არა ლოგიკური.

ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს „დასკვნის სქემის“ გამოყენებაც, რადგან არ შეიძლება დავუშვათ ის, რომ დასკვნას წინ უსწრებდეს დასკვნის აზრი. დასკვნის აზრი დასკვნაში ხორციელდება და არ არის დასკვნის წინწასწრებული რაღაც წესი—სქემა (იხ. § 203 — „აქსიომატური მეთოდი“).

ქვემოთ სპეციალურად იქნება ნაჩვენები, რომ ლოგიკის აქსიომატურად აგება შეუძლებელია. ის მეცნიერება, რომელიც აქსიომატურად აიგება, არის სპეციალური მეცნიერება და არა ლოგიკა, რომელიც მხოლოდ ფილოსოფიური მეცნიერება შეიძლება იყოს.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ სრული დასკვნა, როგორც გაირკვა, არ-ს უსასრულო დასკვნა, რომლის წესებიც განსაზღვრავენ სასრული დასკვნის წესებს. სასრული დასკვნები თავიანთ გამართლებას პოებენ მხოლოდ უსასრულო დასკვნაში.[1]

3. აზრის ლოგიკური ფორმის სისრულე

§ 180. უსასრულო დასკვნის შინაარსი და ფორმა

უსასრულო დასკვნის შინაარსია მისი ელემენტების — დადგენის და უარყოფის ერთიანობა; ფორმა კი არის ამ ერთიანობის წესი (ყოველი გაერთიანება ამ ელემენტებისა, ცხადია, არ იძლევა დასკვნას, როგორც შეალობით კავშირს). ეს წესი არის ამ ერთიანობის გარკვეულობა; დადგენის და უარყოფის მხოლოდ გარკვეული ერთიანობა არის უსასრულო დასკვნა.

უსასრულო დასკვნის შინაარსში ელემენტები არის „მატერია“ — მასალა; დადგენა და უარყოფა წარმოადგენენ კერძო საშუალებებს, მსჯელობებს, ცალმხრიობებს; ისინი სასრული ბუნების არიან. უსასრულო დასკვნის ერთიანობა, როგორც შინაარსი, არის თვითონ ლოგიკური უსასრულობა, რომელიც თვითდადგენას,

---

[1] ლოგიკის სისტემაში, როგორც მკაცრ ლოგიკურ განვითარებაში, დასკვნის წესების განხილვა უნდა მოხდეს შებრუნებით, სახელდობრ, ჯერ სასრული დასკვნის წესები უნდა გაირკვეს, შემდეგ კი უსასრულო დასკვნის წესები. აქ კი ჩვენი პიზანი იყო უსასრულო დასკვნის წესების დადგენა და იმის ჩვენება, რომ სასრული დასკვნები საკუთარი ბუნებით და წესებით უსასრულო დასკვნას ემყარებიან და იქიდან გამოიყვანებიან.

გარკვეულ თვითდადგენას — შინაგანი უარყოფით თვითდადგენას — წარმოადგენს. უსასრულო დასკვნის ერთიანობა არის ზოგადობა, შინაარსეული ზოგადობა, რომელსაც ახასიათებს სისრულე, რადგან ის არის წინააღმდეგობის (მესამეს გამორიცხავს) ერთიანობა.

ზოგადობას აქვს ფორმა; ერთიანობა, როგორც ზოგადობა, არის შინაარსი; მას აქვს ფორმა. როგორც ითქვა, ზოგადობის ფორმა, ფ. ენგელსის მიხედვით, არის უსასრულობის ფორმა, რომელიც იგივეა, რაც შინაგანი სისრულის ფორმა. ეს არის უსასრულო დასკვნის ფორმა, სახელდობრ, რაიმეს დადგენა მისივე (რაიმეს) უარყოფით, ანუ რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა.

რადგან დასკვნა არის შუალობითი კავშირ-ერთიანობა, ამიტომ მას უნდა ჰქონდეს ტრიპლიციტეტის ფორმა (ეს აღნიშნა ჰეგელმა, მაგრამ ვერ განახორციელა, რადგან ვერ ჩამოაყალიბა უსასრულო დასკვნის ფორმა, თუმცა ამას მოითხოვდა მისი დიალექტიკა. ჰეგელთან დასკვნის საშუალო კი, როგორც ითქვა, იყო „ხის რკინა“, ჩქმალავდა დაპირისპირებას — წინააღმდეგობას, ე. ი. ამახინჯებდა დიალექტიკას).

უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობა; ასეთია ის როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით. უსასრულო დასკვნა სრული რეფლექსურობაა, ის არის თვითდადგენა — თვითსაფუძველი და თვითშედეგი. ამიტომ უსასრულო დასკვნაში ფორმა და შინაარსი, გარკვეული მხრივ, ერთიმეორეს ემთხვევა. რეფლექსურობაში სხვანაირად შეუძლებელიც უნდა იყოს.

როგორც ვიცით, უსასრულო დასკვნაში იგულისხმება: 1) რაიმე, რომელიც უარიყოფა; ეს არის უშუალო, 2) ამ რაიმეს უარყოფა, 3) ამ უარყოფის უარყოფა; ეს არის უარყოფით დადგენა იმისი, რაც პირველად იყო უარყოფილი; 4) მაგრამ დადგენაც უარყოფის უარყოფაა, ე. ი. აქ გვაქვს ორი უარყოფის უარყოფა, რაც გვაძლევს წინააღმდეგობის ერთიანობას, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენას — უსასრულო დასკვნას, რომელიც დასკვნის სრული ფორმაა; ეს არის გარკვეული მომენტების ერთიანობის ფორმა.

„უარყოფაც“ ლოგიკური ფორმაა და „დადგენაც“ ლოგიკურ ფორმას წარმოადგენს. ეს არის მსჯელობის ფორმა: „დადგენა“ დადებითი მსჯელობაა, „უარყოფა“ კი — უარყოფითი მსჯელობა. მათი ერთიანობა — უარყოფით დადგენა კი დასკვნის ფორმას წარმოადგენს. ეს არის უსასრულო დასკვნის ფორმა. ეს არ არის წმინდა ფორმა, რადგან ზოგადობა არის შინაარსი და მას ზოგადი ფორმა

აქვს. ზოგადობა არ არის მხოლოდ ფორმა (როგორც ეს კანტს წარმოედგინა, და რაც შემდგომ გავრცელდა ლოგიკაში და გნოსეოლოგიაში. კანტს შინაარსი მრავალსახეობაზე დაყავდა. მან არც იცოდა შინაარსის ზოგადობა და ზოგადობის შინაარსეულობა.[1] ასეთი ზოგადობა ფორმალური ლოგიკისათვის დღესაც გაუგებარია. კიდევ მეტი, მათემატიკურ ლოგიკას აზრის ფორმა დაყავს სიმბოლოებზე, სქემებზე, რომლებიც უკვე აღარ არიან აზრის ფორმები. სწორედ შინაარსისგან განთავისუფლებას ემყარება აქსიომატური მეთოდი მათემატიკურ ლოგიკაში. საერთოდ შინაარსის უარყოფა კი, როგორც ვიცით, შეუძლებელია, ის ლოგიკურ შეკდომას წარმოადგენს. უარყოფასაც ხომ გარკვეული შინაარსი აქვს, განსხვავებული დადგენის შინაარსისაგან).

უსასრულო დასკვნაში, როგორც ეს ახლა აღინიშნა, მთავარია უარყოფა, რომელიც მხოლოდ კი არ უარყოფს, არამედ, ამავე დროს აღგენს. ეს „ორმნიშვნელოვანება“ და ამ ორმნიშვნელოვანების ერთიანობა არის უსასრულო დასკვნის შინაარსიც და ფორმაც, რადგან უარყოფა კიდეც უარყოფს და კიდეც აღგენს, განხორციელებულია წინააღმდეგობის ერთიანობა.

უსასრულო დასკვნა სქემატურად შეიძლება (პირობითად) ასე გამოითქვას: $(A \leftarrow\rightarrow \bar{A}) \leftarrow\rightarrow \overset{\pm}{A}$, ან: $(A \leftarrow\rightarrow \bar{A}) \leftarrow\rightarrow \overset{+}{A}$, ანუ:



A არის უშუალო რაიმე, Ā მისი უარყოფაა, ამ უარყოფით დადგენა გვაძლევს იგივე A-ს, მაგრამ დადებითად დადგენილს, რომელმაც მოხსნა და შეინახა უარყოფა; სხვანაირად უარყოფის უარყოფა არ განხორციელდებოდა.

ნიშანი „←→“ იმას აღნიშნავს, რომ აქ არ არის ერთმხრივი სვლა, არამედ არის გარკვეული რეფლექსია: „უარყოფაც“ არის არა გარეგანი, არამედ შინაგანი უარყოფა. დადგენაც და უარყოფაც სრულდება ერთსა და იგივე სფეროში, რაიმე (A-ს) სფეროში.

უსასრულო დასკვნის ეს ფორმულა ანუ სქემა არის ზემოთგან-

[1] იხ. N. Hartmann, Ethik, 1949, გვ. 109—110.

ხილული რვამხრიობის ფორმულების ძირი, პირველი ლოგიკურის ფორმულა. ისიც უნდა ითქვას, რომ დასკვნის ბუნებას ადექვატურად ვერავითარი სქემა ვერ გამოხატავს.

§ 181. უსასრულო დასკვნა და ცნება

როგორც ეს ზემოთ გაირკვა, ცნება არის დასკვნის ზოგადი აზრი, რომელიც მსჯელობის და დასკვნის ლოგიკური შედეგია. ჩვეულებრივი დასკვნები მიდიან ცნებამდე. ზემოთ ჩვენ სწორედ ამგვარად განვიხილეთ ცნება, მაგრამ უსასრულო დასკვნაში კიდევ უფრო სრულად წარმოდგება აქ აღნიშნული გარემოება, სახელდობრ, დასკვნის და ცნების კავშირი, მათი დამოკიდებულება, ერთიანობა.

ის გარემოება, რომ ცნება დასკვნის ზოგადი აზრია, სრულიად გარკვეულად არის წარმოდგენილი უსასრულო დასკვნაში, რადგან უსასრულო დასკვნა, როგორც ითქვა, არის ერთცნებიანი დასკვნა. ამ დასკვნაში სრულად, გაშლილად არის წარმოდგენილი ერთი ცნება. ლოგიკური სისრულე ლოგიკური აუცილებლობის სრულად წარმოდგენაში მდგომარეობს, რაც მხოლოდ დასკვნაში, სახელდობრ, უსასრულო დასკვნაშია განხორციელებული და არა ცნებაში, როგორც ერთიან — განუყოფელ აზრში. ერთიანობა, როგორც განუყოფლობა, შეალობითობას ვერ წარმოადგენს. შეალობითობისათვის, როგორც ვიცით, აუცილებელია შინაგანი განსხვავება, შინაგანი უარყოფა, რაც მხოლოდ დასკვნაში შეიძლება განხორციელდეს. სრული შეალობითობა ლოგიკურ სფეროში, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, უსასრულო დასკვნის სახით არსებობს.

სწორედ აქ აღნიშნულის გამოა უსასრულო დასკვნა ლოგიკურად უფრო მაღალი მსჯელობა-დასკვნა-ცნებაზე. უსასრულო დასკვნა დასკვნის უმაღლესი ფორმაა. ის არის მსჯელობის და ცნების ერთიანობა.

უსასრულო დასკვნა არის ერთცნებიანი დასკვნა. ის ცნება, რომელიც მონაწილეობს უსასრულო დასკვნაში, არის არა ყოველი ცნება, არამედ განსაკუთრებული ცნება. ეს არის ცნება, რომელიც კატეგორიას წარმოადგენს. ასეთია არა ყველა კატეგორია, არამედ მხოლოდ ზოგიერთი კატეგორია, სახელდობრ, ის კატეგორია, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ „ლოგიკურის კატეგორია“. თვითონ „ლოგიკურიც“ არის ლოგიკურის კატეგორია.

ლოგიკურის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს

უარყოფა თვითონ არის ლოგიკური და ლოგიკურის კატეგორია. ლოგიკურის ლოგიკური უარყოფა ლოგიკურსვე ადგენს. „ლოგიკურის" მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ „აზრი" და ვთქვათ, რომ აზრის უარყოფა ისევ აზრს ადგენს. აზრის უარყოფა ისევ აზრს მოიხმარს საფუძველ-საშუალებად და ამიტომ ამ უარყოფისას თვითონ უარსაყოფელი დგინდება, დგინდება ის, რაც უარიყოფა, რადგან იგი უარყოფის საშუალებად მოიხმარება. ლოგიკურის უარყოფით ლოგიკურისვე დადგენაში არის ერთი ცნება, აზრის ცნება.

უარყოფის უარყოფით ისევ უარყოფის დადგენაში არის ერთი—უარყოფის ცნება. ჰეშმარიტების უარყოფით ჰეშმარიტებისავე დადგენაში არის ერთი—ჰეშმარიტების ცნება. უსასრულობის უარყოფით უსასრულობისვე დადგენაში არის ერთი—უსასრულობის ცნება. კერძოს უარყოფით კერძოსვე დადგენაში მოქმედებს ერთი, სახელდობრ, კერძოს ცნება, და ასე შემდეგ. ასე ითქმის ყველა უსასრულო დასკვნაზე, რომელშიც ლოგიკურის კატეგორიები მოქმედებენ.

უსასრულო დასკვნის ზოგადი აზრი არის ლოგიკურის კატეგორია—ცნება. ლოგიკურის კატეგორია სრული სახით არსებობს უსასრულო დასკვნის ფორმით. ასეთია ცნებისა და დასკვნის დამოკიდებულება, რომელიც არასრული სახით ზემოთ იყო განხილული, სრული სახით კი აქ — „უსასრულო დასკვნაში" განხილება და უსასრულო დასკვნაში წარმოდგება.

დასკვნის, როგორც შუალობითი კავშირის, და ცნების დამოკიდებულება შეიძლება გამოითქვას სხვა მაგალითებითაც, მაგალითად: მოძრაობის ცნება განისაზღვრება, როგორც დროისა და სივრცის წყვეტადობა — უწყვეტობის ერთიანობა[1]. ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც შუალობითი კავშირის სახით წარმოადგენს დასკვნას, როგორც მოძრაობის ცნების (ამ ერთი ცნების) გაშლილ ფორმას. ჰეშმარიტება მდგომარეობს შეფარდებითისა და აბსოლუტურის ერთიანობაში, როგორც შუალობით კავშირში, სადაც მხოლოდ ერთი ცნება — ჰეშმარიტების ცნება მოქმედებს და სხვ.

ამრიგად, დასკვნა და ცნება განუწყვეტელ ერთიანობაშია; მაგრამ დასკვნა ლოგიკურად უფრო სრულია მის ზოგად აზრზე—ცნებაზე. როგორც ზემოთ იქნა გარკვეული, ცნება დასკვნაში არის „საშუალო". ეს გარემოება უფრო სრულად არის განხორციელებული ერთცნებიან დასკვნაში, უსასრულო დასკვნაში, სადაც ერთი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 262.

ცნება არის „საშუალო“ როგორც ერთიანობა დაპირისპირებულთა—დადგენის და უარყოფის ერთიანობა. უსასრულო დასკვნა, ცხადია, უფრო სრულია მის „საშუალოზე“ (იხ. ზემოთ „საშუალო ცნების“ შესახებ).

რადგან უსასრულო დასკვნა სრული სახით წარმოადგენს ლოგიკურს, ე. ი. მასში ლოგიკურად გაშლილი სახით არის წარმოდგენილი ცნება, ამიტომ დიალექტიკური ლოგიკა არის დასკვნის ლოგიკა და არა ცნების ლოგიკა.

ჰეგელის „ლოგიკა“, ჰეგელისავე თქმით, წარმოადგენს ცნების ლოგიკას. ცნება მისთვის არის აბსოლუტურის ძლიერება. ამიტომ მისი „ლოგიკა“ არის იდეალისტური. მასში დიალექტიკურ-ლოგიკური მისტიფიცირებულია. ჰეგელის ცნების „სუბიექტურობა“ მისტიკური მომენტის გარეშე ვერ ხორციელდება. ჩვენს უსასრულო დასკვნაში ლოგიკური რეფლექსურობა სისრულით და მეცნიერული აზრით — ლოგიკური აზრით — არის განხორციელებული. დიალექტიკური ლოგიკა მხოლოდ მაშინ არის მეცნიერულ საფუძველზე აგებული და თვითონ წარმოადგენს მეცნიერებას, როცა ის არის მატერიალისტურ-დიალექტიკური ლოგიკა.

§ 182. უსასრულო დასკვნა როგორც დასაბუთება

როგორც ცნობილია, დასაბუთებისაგან დასკვნის განმასხვავებელი ერთი ნიშანი ისაა, რომ დასკვნის წანამძღვრებს, ობიექტურობის მხრივ, გამართლება სჭირდება, რათა იგი გახდეს დასაბუთება. ამიტომ იქმნება დასაბუთებაში უსასრულო რეგრესის საშიშროება. რადგან წანამძღვრები უნდა დასაბუთდეს სხვა წანამძღვრებით, ამიტომ არსად არ ჩანს ის, რომელიც ამ პროცესს შეაჩერებს და დასაბუთებას თავისებურად გაამართლებს — მას შესაძლებელს გახდის.

უსასრულო დასკვნას არ სჭირდება ასეთი გამართლება, რადგან 1) მას არ აქვს და არც სჭირდება წანამძღვრები, სახელდობრ, გარეგანი — სხვა წანამძღვრები; სწორედ გარეგანი წანამძღვრები იწვევს უსასრულო რეგრესს; თუ დასაბუთება გაიგივებულ იქნა გარეგანი საფუძვლის გამოყენებასთან, მაშინ უსასრულო რეგრესი ბუნებრივად, თავისთავად ვერ შეჩერდება; მისი მხოლოდ ხელოვნური შეჩერებით შეიძლება დავკმაყოფილდეთ. 2) უსასრულო დასკვნის საფუძველი თვითონ ამ დასკვნაშია და არა მის გარეთ. მასში მოქმედებს შინაგანი საფუძველი, თვითსაფუძველი; უსასრულო დასკვნა არის თვითსაფუძვლის და თვითშედეგის განმახორ-

ციელებელი დასკვნა, ის არის თვითდადგენა. 3) უსასრულო დასკვნა, როგორც ვიცით, არ არის სწორხაზობრივი, არამედ წრიულია (თვითდადგენაა); ის თავის თავში ჩაკეტილია. ამიტომ მოხსნილია უსასრულო რეგრესის საშიშროება და ეს დასკვნა დასაბუთებასაც წარმოადგენს. 4) უსასრულო დასკვნა, ამავე დროს, არის დასაბუთება, რადგან მასში ადგილი აქვს შებრუნებადობას, რეფლექსურობას, სახელდობრ, იმას, რომ დასაწყისი შედეგით საბუთდება (და არ რჩება დაუსაბუთებელი), ის, რაც უშუალო იყო, თვითონ დასკვნაში შუალდება — დგინდება—საბუთდება. უსასრულო დასკვნა უშუალოს აშუალებს და ასაბუთებს იმით, რომ მოიხმარს უარყოფას, რომლის საშუალებადაც თვითონ უარყოფილია გამოყენებული.ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობის გამართლება დასკვნაში ამ დასკვნას დასაბუთებად აქცევს. 5) უსასრულო დასკვნის უარყოფა შეუძლებელია, ისე როგორც არ შეიძლება ვიაზრო, რომ არ ვაზროვნებ (დეკარტი).

არისტოტელე ფიქრობდა, რომ ის დასკვნაა დასაბუთება, რომლის საშუალო ცნება არის საგნის არსების გამომთქმელი განსაზღვრებით დადგენილი ცნება. უსასრულო დასკვნა თვითონ არის ერთი ცნების მქონე დასკვნა—ერთცნებიანი დასკვნა; მასში არსებული ერთი ცნება არის „საშუალო“, როგორც სრული „საშუალო“ — როგორც ერთიანობა (რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი). უსასრულო დასკვნაში მოქმედებს ერთი ცნება და მსჯელობა, სახელდობრ, დადგენა და უარყოფა, რომელთა ერთიანობასაც ცნება წარმოადგენს. ამიტომ უსასრულო დასკვნა არის მსჯელობისა და ცნების ერთიანობა, სახელდობრ, კატეგორიალური ერთიანობა. უსასრულო დასკვნა, როგორც დადგენა-უარყოფის ერთიანობა, არის წინააღმდეგობის ერთიანობა, ის არის არსების — წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნების მქონე შუალობითი კავშირი (ამიტომ ეს არსება არ არის მისტიკური, როგორიც იყო არისტოტელეს „უსია“, რომლის გადატანა ლოგიკურში და მისი საშუალო ცნებად წარმოდგენა, მართალია, აუცილებელი იყო, მაგრამ ვერ განხორციელდა).

უსასრულო დასკვნაში მსჯელობა — დადგენა და უარყოფა (კატეგორიალურად წარმოდგენილი მსჯელობები) ცალმხრივი გაშუალებებია, თვითონ უსასრულო დასკვნა კი ორმხრივი — რეფლექსური—ლოგიკური გაშუალებაა. მასში სრული სახით განხორციელებულია ლოგიკური აუცილებლობა. შეუძლებელია იმაზე „მეტი“ აუცილებლობა, როგორიცაა რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის აუცილებლობა; ამაზე მეტი ობიექტურობა ლოგიკურ სფეროში

შეუძლებელია. ამიტომ უსასრულო დასკვნა სრული აპოდიქტურობის ბუნებისაა, ე. ი. სრულ დასაბუთებას წარმოადგენს. დასაბუთება მეტს ვერაფერს მოგვცემს, რაც ამ დასკვნაში არ იყოს განხორციელებული. პირიქით, ყოველი დასაბუთება ამ დასკვნის აზრს უნდა ანხორციელებდეს. ამიტომ, როგორც ჩვენ ამაში შემდგომ უფრო დავრწმუნდებით, უსასრულო დასკვნა არის დასაბუთების საწყისი, მისი არსება; დასაბუთების საწყისს უსასრულო დასკვნის სახე აქვს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ უსასრულო დასკვნა არის ისეთი დასკვნა, რომელიც დასაბუთებაცაა და პირიქით — ისეთი დასაბუთება, რომელიც დასკვნას წარმოადგენს. უსასრულო დასკვნა არის დასკვნა-დასაბუთება.

ყველაფერი ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ლოგიკაში არ იყოს საჭირო დასაბუთების თეორია; პირიქით, ლოგიკა არის სწორედ დასაბუთების თეორია, სახელდობრ, ისეთი დასაბუთების თეორია, რომელიც, ამავე დროს, ლოგიკური არგუმენტაციის თეორიას წარმოადგენს. თუ უსასრულო დასკვნა არის დასაბუთებაც, მაშინ უსასრულო დასკვნის თეორია თვითონ იქნება დასაბუთების თეორია. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ უსასრულო დასკვნა, როგორც დასკვნა, განხილულ იქნეს დასკვნის თეორიაში, როგორც დასაბუთება კი — დასაბუთების თეორიაში, სადაც საბოლოოდ სრულად წარმოდგება უსასრულო დასკვნა, როგორც უსასრულო ლოგიკურის ბუნება. ჩვენ ამ შემთხვევაში ამ მეორე გზას მივყვებით; ამის შემდეგ განხილული იქნება სწორედ დასაბუთების თეორია (თუმცა „ლოგიკის სისტემაში“ დასაბუთების თეორიის ძირითადი საკითხები. უნდა განხილულ იქნეს უსასრულო დასკვნის თეორიაში; კიდევ მეტი, ლოგიკის ყველა საკითხი განხილულ უნდა იქნეს როგორც უსასრულო დასკვნის საკითხი. უსასრულო დასკვნა მოიცავს ყველაფერს ლოგიკაში. დიალექტიკური ლოგიკა, განმარტებული მოკლედ და ზუსტად, არის მეცნიერება უსასრულო დასკვნის შესახებ).

ნაწილი მესამე

დასაბუთება

§ 183. დასაბუთების პრობლემა

როგორც ვიცით, არისტოტელეს აზრით, ყოველი დასაბუთება არის დასკვნა, მაგრამ არა ყოველი დასკვნაა დასაბუთება. დასაბუთება არის დასკვნა ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან; დასკვნა კი ხორციელდება არაჭეშმარიტი წანამძღვრებიდანაც; თუ არაჭეშმარიტი წანამძღვრები პირობითად მივიღეთ როგორც ჭეშმარიტი, მაშინ ხორციელდება დასკვნა; აქ ადგილი აქვს პირობითობას. ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან დასკვნა, როგორც დასაბუთება, ემყარება ჭეშმარიტებას — ჭეშმარიტ დებულებებს, რომლებიც რაღაც უპირობოს შეიცავენ და უნდა შეიცავდნენ. მაგრამ ეს უპირობობა (არისტოტელეს ლოგიკაში) შეიძლება ნიშნავდეს: 1) ან დაუსაბუთებლის უპირობო დაშვებას, ასეთია აქსიომის დაშვება, დაშვება დებულებისა, რომელიც დაუსაბუთებელია, მაგრამ დასაბუთებას არ საჭიროებს, არ უნდა საჭიროებდეს; 2) ან უპირობო დასაბუთებას, დასაბუთების უპირობო ლოგიკურობას. ეს უკანასკნელი არისტოტელესთან გამორიცხულია, შეუძლებლად არის მიჩნეული, ვინაიდან დასაბუთება ყოველთვის პირობითია — პირობის თუ საფუძვლის მონახეაა, სადაც საფუძველი არის ყოველთვის გარეგანი. მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება უსასრულო რეგრესი; გარეგანი საფუძვლის ძიება უსასრულობაში მიდის. უსასრულო რეგრესი დასაბუთებაში არის შეცდომა, დასაბუთების შეუძლებლობა. დასაბუთების დაფუძნება აქსიომაზე კი, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ, უსასრულო რეგრესის მხოლოდ ხელოვნურ შეჩერებას წარმოადგენს. ამიტომ დასაბუთების სიძნელე გადაუწყვეტელი რჩება; დასაბუთების საკითხი პრობლემას წარმოადგენს.

ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან დასკვნა-დასაბუთება გულისხმობს იმას, რომ ეს წანამძღვრები ემყარებიან და გამოთქვამენ რეალურს— სინამდვილეს. ლოგიკური უნდა ემყარებოდეს რეალურს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში ხორციელდება აპოდიქტურობა; წინააღმდეგ შემთხვევაში გზა ეხსნება სუბიექტურობას, არაობიექტურობას, ე. ი. დასაბუთების — ლოგიკურის — ბუნება უარყოფილი გამოდის, დასაბუთება შეუძლებელი ხდება.

ლოგიკურის ობიექტურობას აქსიომა ვერ უზრუნველყოფს, რადგან აქსიომა, საბოლოო ანგარიშში, მაინც პირობითად მიღებული დებულებაა. ლოგიკურის — დასკვნის ობიექტურობას შეიძლება უზრუნველყოფდეს ის, რომ დასკვნის საშუალო ცნება, არისტოტელეს აზრით, მიღებული უნდა იყოს დეფინიციის გზით, რომელიც საგნის არსებას („უსიას") გამოთქვამს, ე. ი. ადგენს არსების გამომთქმელ ცნებას. მაგრამ ეს გარემოებაც არისტოტელესთან არ ხორციელდება, რადგან „უსია" არის საგნის მისტიკური სული, რომელიც ცნებაში არ გადმოდის; ამიტომ ლოგიკა წყდება ონტოლოგიას, დასკვნის ობიექტურობა ეჭვის ქვეშ არის მოქცეული; დასაბუთების ერთადერთ გამმართლებლად მაინც აქსიომა (აქსიომები) რჩება. ეს აზრი თანამედროვე ფორმალურ ლოგიკაში, განსაკუთრებით მათემატიკურ ლოგიკაში, პრინციპამდეა აყვანილი.

დასაბუთების პრობლემის გადაწყვეტისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია გაირკვეს სამი რამ: 1) დასკვნა-დასაბუთების ობიექტურობა, ლოგიკურობა, ლოგიკურის განსაზღვრა ობიექტური საგნის ბუნებით; 2) ასეთი ობიექტურ-ლოგიკურის ანუ დასაბუთების უნივერსალური მეთოდი, და 3) დასაბუთების ობიექტური საწყისის ბუნება. ეს საკითხები ამოწურავენ დასაბუთების პრობლემას.

1) ობიექტური საგანი, სინამდვილე, სინამდვილის კანონზომიერება განსაზღვრავს და უნდა განსაზღვრავდეს ლოგიკურს, დასაბუთებას, ლოგიკური აზრი განისაზღვრება ობიექტურით: ა) სინამდვილით და ბ) ადამიანის რევოლუციურ-გარდამქნელი მოქმედებით — პრაქტიკით. ასეთი ობიექტური საფუძვლის მქონე აზრი თვითონ არის ობიექტური შინაარსისა, რომელსაც სწორედ ამ შინაარსით განსაზღვრული ფორმა აქვს. ამიტომ ჭეშმარიტება უნდა განსაზღვრავდეს ლოგიკურს, დასაბუთებას. რელატიური ჭეშმარიტება, როგორც ცნობილია, განისაზღვრება აბსოლუტური ჭეშმარიტებით. ასევე, პირობითი ლოგიკური განისაზღვრება უპირობო ლოგიკურით.

აქ აღნიშნულის გამო უნდა ითქვას, რომ ლოგიკა, რომელიც აზრის ფორმებს სწავლობს, არსებითად უნდა უდრიდეს გნოსეოლოგიას და პირიქით. ცოდნის ლოგიკური პირობები არის ლოგიკის მეცნიერების საგანი. მაგრამ შემეცნების თეორია, საგნის მხრივ, განისაზღვრება ონტოლოგიით, ამიტომ ლოგიკაც ონტოლოგიური უნდა იყოს. თუ სინამდვილეში ბატონობს დიალექტიკა, თუ სინამდვი-

ლე დიალექტიკურია, მაშინ დიალექტიკური უნდა იყოს სინამდვილის ასახვაც — ჰეშმარიტება, და ასეთივე — დიალექტიკური უნდა იყოს ლოგიკურიც, რადგან ის არის ჰეშმარიტების ობიექტურობის ბუნების მქონე. ერთი სიტყვით, დიალექტიკა, ლოგიკა და გნოსეოლოგია ერთიმეორეს უნდა უდრიდეს. მათი იგივეობა გაამართლებს დასაბუთების აპოდიქტურობას. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა, ეს არის ლოგიკის საგნის თავისებურების მაჩვენებელი, სახელდობრ, ამის მაჩვენებელი, თუ როგორია დიალექტიკური ლოგიკის საგანი — დასაბუთება. ლოგიკა არის მეცნიერება დასაბუთების შესახებ. ასეთია დიალექტიკური ლოგიკაც. მაგრამ ამ ლოგიკის თავისებურება დასაბუთების ბუნების თავისებურებით განისაზღვრება. დასაბუთების ჰეშმარიტი ბუნება განსაზღვრავს იმას, რომ ერთადერთი ჰეშმარიტი მეცნიერება აზრის ფორმების შესახებ, დასაბუთების შესახებ, არის დიალექტიკური ლოგიკა. სწორედ ამიტომ აუცილებელია დასაბუთების ბუნების თვალსაზრისით გაირკვეს საკითხი დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ. ეს იქნება პირველი საკითხი დასაბუთების თეორიაში.

2) საგანმა უნდა განსაზღვროს მისი შემსწავლელი მეცნიერების მეთოდიც. არ შეიძლება დავუშვათ საგნისა და მეთოდის დუალიზმი ლოგიკაში; მაგალითად, შეცდომად უნდა მივიჩნიოთ ის აზრი, თითქოს ლოგიკის საგანი არ არის აზრის ფორმები და მისი მეთოდი არის სხვა მეცნიერების, სახელდობრ, მათემატიკის მეთოდი. ლოგიკის საგნის ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს ლოგიკის მეთოდის თავისებურება. როგორც ზემოთ („შესავალში") აღინიშნა, ლოგიკა არის ფილოსოფიური მეცნიერება, ამიტომ მისი მეთოდიც ფილოსოფიურ (და არა კერძო მეცნიერულ) მეთოდს უნდა წარმოადგენდეს.

საგანი განსაზღვრავს მეთოდს, მაგრამ ლოგიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების მეთოდი, თვითონ არის ამ მეცნიერების საგანი; აქ მეთოდი იგივე საგანია. ლოგიკის ისტორიაში დღემდე ცნობილი მეთოდები კერძო მეთოდებია იმ აზრით, რომ არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს უნივერსალურ მეთოდს. ასეთ მეთოდს კი მოითხოვს ლოგიკურის ცნება, რომელიც მხოლოდ ერთი უნდა იყოს. ლოგიკის ერთი — უნივერსალური მეთოდი, როგორც ამას ჩვენ შემდგომ დავამტკიცებთ, არის დიალექტიკური მეთოდი, როგორც სწორედ დასაბუთების მეთოდი, რომელიც მომენტებად შეიცავს დღემდე ცნობილ ლოგიკურ მეთოდებს. დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, დახასიათება იქნება ცენტრალური

ნაწილი დასაბუთების თეორიისა, რომელსაც ჩვენ შემდგომ გადმოვცემთ.

დიალექტიკური მეთოდი ხორციელდება დასაბუთებაში, რომელიც „ლოგიკურ განვითარებას“[1] წარმოადგენს. ეს განვითარება არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის პროცესი, რომელიც შინაარსეული კერძოთი იწყება და შინაარსეული ზოგადით მთავრდება; დასაწყისი არის უმარტივესი შინაარსეული კერძო, დასასრული კი კონკრეტული ზოგადია. ლოგიკური განვითარება, როგორც დასაბუთება, საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების ბუნების მქონე პროცესია. ლოგიკური განვითარება კონკრეტიზაციის პროცესს წარმოადგენს. ეს პროცესი, ერთი მხრივ, დედუქციური ხასიათისაა, მეორე მხრივ კი ინდუქციურ პროცესს წარმოადგენს. ლოგიკურ განვითარებაში, აგრეთვე, მოქმედებს რედუქციულობა, რომელიც აუცილებელია ლოგიკური სისრულისათვის, თავისებური წრიულობისათვის.

ლოგიკური განვითარება იწყება სასრულის შარტივი ფორმით — დადებითი მსჯელობით და მთავრდება უსასრულო ლოგიკურით— უსასრულო დასკვნით. უსასრულო დასკვნა მთელ განვითარებას მოიცავს, რომელიც იწყება უსასრულო დასკვნის უმარტივესი მომენტით და მთავრდება უსასრულო დასკვნით. დიალექტიკური ლოგიკა არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა. უსასრულო ლოგიკური, ცხადია, თავისთავში შეიცავს ყოველგვარ სასრულ ლოგიკურს, სასრული ლოგიკურის ყოველ მომენტს. დიალექტიკურ-ლოგიკური ფორმალურ-ლოგიკურის მომენტად შემცველი ლოგიკურია. ამიტომ ერთადერთი ლოგიკა არის დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც ლოგიკის განვითარების უმაღლეს საფეხურს, „უმაღლეს ლოგიკას“ წარმოადგენს.

3) დასაბუთების თეორიის ბოლო — მესამე — თავში განხილული იქნება დასაბუთების საწყისის პრობლემა, რომელიც ორი ათასი წლის განმავლობაში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. მოცემული იქნება ცდა იმის დამტკიცებისა, რომ დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, არის უსასრულო დასკვნა. სწორედ ამის გამო ლოგიკის აქსიომატიზაციის ცდა გაუმართლებელ ცდად უნდა ჩაითვალოს. არსებობს უპირობო ლოგიკური, რომლის მოშეტთა გაშლით წარმოდგენა სხვა არაფერია, თუ არა მთელი ლოგიკის

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 310, (ფ. ენგელსის რეცენზია კ. მარქსის ამ წიგნზე).

შინაარსი. დასაბუთების არსება ლოგიკურ დაპირისპირებულთა ერთიანობაა, რომელიც უსასრულო დასკვნას ეძრის. ლოგიკურის, როგორც დასაბუთების — ლოგიკური განვითარების, დაწყების არის სინთეზური დადებითი მსჯელობა, საიდანაც დაწყებული პროცესი გაივლის ლოგიკის ყოველ მომენტს და დასრულდება უპირობო ლოგიკურით — უსასრულო დასკვნით.

თავი პირველი (19)

დიალექტიკის, ლოგიკისა და გნოსეოლოგიის იგივეობა

§ 184. ცოდნის ლოგიკის აუცილებლობა

დასაბუთება შეუძლებელია ლოგიკურის ობიექტურობის გარეშე. დასაბუთების ობიექტურობის აუცილებლობა მოითხოვს იმას, რომ ლოგიკა, როგორც დასაბუთების სისტემა, იყოს დიალექტიკის, ლოგიკისა და გნოსეოლოგიის იგივეობა. ლოგიკური დასაბუთების დიალექტიკურობისათვის აუცილებელია ლოგიკური განვითარების და შემეცნების — ცოდნის — გზების იგივეობა.

ვ. ი. ლენინის დებულება დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ[1] იმას ნიშნავს, რომ აქ ლაპარაკია ამ სამი მეცნიერების არა ერთიანობაზე (ეს ერთიანობა ყველასათვის იყო ცნობილი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა შორის ერთიანობის უარყოფა არც ერთ ფილოსოფოსს არასოდეს არ უცდია), არამედ სწორედ მათ იგივეობაზე; ამ დებულებას მხედველობაში აქვს ის ერთი მეცნიერება, რომელშიც გაიგივდა მანამდე არსებული სამი მეცნიერება: დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია. ამ სამი მეცნიერების იგივეობის საკითხს ლოგიკის დიალექტიკურობა წყვეტს. დიალექტიკური სინამდვილის და დიალექტიკური ონტოლოგიის შესატყვისი ლოგიკა დიალექტიკური უნდა იყოს; ეს შესატყვისობა, სახელდობრ, ჰეშმარიტების ობიექტურობა ამ ლოგიკისათვის არსებითია, ე. ი. ის შემეცნების თეორიასაც წარმოადგენს. შეუძლებელია სხვანაირი იყოს ონტოლოგიური ლოგიკა საერთოდ, კერძოდ კი ონტოლოგიური ლოგიკის მეცნიერული სახე — დიალექტიკური ლოგიკა.

ონტოლოგიაში, როგორც არსის შესახებ მეცნიერებაში, ლოგიკაში, როგორც აზრის შესახებ მეცნიერებაში, და შემეცნების თეორიაში, როგორც არსისა და აზრის გარკვეული დამოკიდებულების შესახებ მეცნიერებაში არსებობდა რაღაც იგივეობრივი, რომლის

---

[1] იხ. ჩემი ნაშრომი „დასაბუთების საწყისი", გვ. 294 და შემდეგ.

შესახებ მეცნიერების განვითარებამ თავის თავში გააიგივა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია; ეს სამი მეცნიერება ერთ მეცნიერებად ჩამოყალიბდა, სახელდობრ, იმ მეცნიერებად, რომელიც აღნიშნული სამივე მეცნიერების როლს ასრულებს და არ გამორიცხავს არც ერთ მათგანს; სამივე მეცნიერების მომხსნელ-შემნახველი ეს ერთი მეცნიერება არის ისეთი ლოგიკა, რომელიც შემეცნების თეორიაცაა, სახელდობრ ისეთი შემეცნების თეორიაა, რომელიც ლოგიკასაც წარმოადგენს; იგი დიალექტიკური ბუნებისაა. ასეთია დიალექტიკური ლოგიკა.

არისტოტელეს ლოგიკა იყო ონტოლოგიური ლოგიკა, რადგან: 1) ის იყო „ორგანონი", იარაღი და შესავალი ყოველი მეცნიერებისა, საერთოდ ცოდნისა, სწორედ ობიექტური — სინამდვილის ამსახველი ცოდნისა; 2) იგი, განსაკუთრებით „მეორე ანალიტიკა", წარმოადგენდა სწორედ ცოდნის თეორიას. ეს არ იყო ლოგიკის და შემეცნების თეორიის აღრევა, არამედ გარკვეული მეცნიერება აზროვნების ლოგიკური ბუნების შესახებ; აზრის ლოგიკური ბუნება კი გაგებული იყო, როგორც ცოდნის ბუნება; 3) არისტოტელესათვის აზრის ლოგიკური ფორმები და ცოდნის ლოგიკური ფორმები ერთსა და იმავე ფორმებს წარმოადგენდა. 4) დასაბუთება გაგებული იყო როგორც ობიექტური ხასიათის მქონე ლოგიკური. ლოგიკური დასაბუთების ობიექტურობა (არისტოტელეს აზრით) იმით ხორციელდებოდა, რომ: ა) დასაბუთებას წარმოადგენდა ის დასკვნა, რომლის საშუალო ცნებას უნდა გამოეხატა საგნის არსება („არსის არსება"), ბ) დასაბუთების საწყისს წარმოადგენდა ის კანონი, რომელიც საგნის არსებობის (ონტოლოგიის) კანონსაც წარმოადგენდა (წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი), და სხვ.

ლოგიკის ფორმალიზაციამ, როშელიც დაიწყო სტოელებით და დამთავრდა თანამედროვე მათემატიკური ლოგიკით, საქმე მიიყვანა ლოგიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების, ლიკვიდაციამდე. ლოგიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებამ იგი (ლოგიკა) სპეციალურ მეცნიერებად გადააქცია; მას დაეკარგა საერთოდ ცოდნისათვის კატეგორიული ზოგადობის ხასიათი.

არისტოტელეს ონტოლოგიური ლოგიკის აზრი თავისებურად აღდგა იდეალისტურ დიალექტიკაში (კანტი, ფიხტე, ჰეგელი). კანტის თეორიული ფილოსოფიის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ცოდნის ლოგიკური პირობების გამოკვლევა-დადგენა. „ტრანსცენდენტალური ლოგიკა" არის ლოგიკა ცოდნის პირობების, სწორედ ლოგიკური პირობების შესახებ, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების ლოგიკური პირობების შესახებ. ეს არის იმ პირობების გამოკ-

ვლევის ცდა, რომელთა გარეშე ცოდნა შეუძლებელია; აქ მთავარი იყო იმ პირობების ჩვენება, რომ ცოდნა სხვანაირად შეუძლებელია.

ცოდნის ლოგიკური პირობების პრობლემა კანტმა გააიგივა სინთეზურ-ლოგიკურის პრობლემასთან. სინთეზურ-ლოგიკური შინაარსეული ლოგიკურია. აუცილებელი სინთეზისათვის, სახელდობრ, სინთეზურ-აპრიორული მსჯელობისათვის, კანტის აზრით, არ არის საკმარისი ფორმალურ ლოგიკაში ცნობილი აზროვნების კანონები, კერძოდ, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი[1]. „აზროვნების კანონები“ ცოდნის მხოლოდ უარყოფით პირობებს წარმოადგენენ. მათი დაცვის გარეშე ცოდნა არ მიიღწევა, მაგრამ მათი დაცვა ცოდნას ვერ უზრუნველყოფს. ცოდნის პირობების გამოკვლევა მიზნად ისახავს ცოდნის დადებითი ლოგიკური პირობების დადგენას, სინთეზურ-აპრიორული მსჯელობის, ე. ი. აუცილებელი სინთეზური მსჯელობის დადებითი ლოგიკური პირობის დადგენას. კანტის აზრით, აპრიორულ-სინთეზური მსჯელობები მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ჩვენ გრძნობადი ინტუიციის ფორმალურ პირობებს, წარმოსახვის უნარის სინთეზს და მის აუცილებელ ერთიანობას ტრანსცენდენტალურ აპერცეპციაში დავუკავშირებთ საერთოდ შესაძლებელ ცდისეულ ცოდნას და მივიღებთ, რომ საერთოდ ცდის შესაძლებლობის პირობები ამასთანავე არიან ცდის საგანთა შესაძლებლობის პირობები და ამიტომ აქვთ მნიშვნელობა აპრიორულ-სინთეზურ მსჯელობაში[2].

კანტმა ცოდნა ცდის საზღვრებით შემოფარგლა. ამიტომ ტრანსცენდენტალური ლოგიკა, როგორც ცოდნის ლოგიკა, დააფუძნა სასრულ-ლოგიკურს, რომლის ფორმასაც მსჯელობა წარმოადგენს. მისი აზრით, აუცილებელი სინთეზი მხოლოდ მსჯელობაში ხორციელდება. შეუძლებელია უსასრულო ლოგიკური და სინთეზური დასკვნა (ამიტომ შეუძლებელია მეტაფიზიკა როგორც მეცნიერება უსასრულოს შესახებ). ცოდნის ლოგიკური ფორმა არის მსჯელობა, აუცილებელი სინთეზური მსჯელობა. ამ მსჯელობის ლოგიკურ პირობას, ტრანსცენდენტალურ პირობას თუ ფორმას წარმოადგენს კატეგორია. კატეგორია არის მსჯელობის წესი, მსჯელობის ფორმა. მსჯელობა არის ცოდნის ლოგიკური ფორმა. კატეგორია კი ამ ფორმის ფორმას წარმოადგენს (მაგალითად, ზოგადი მსჯელობის ფორმა

---

[1] Kant, Prolegomena. K. Schulz. გვ. 42.

[2] Kant, Kritik dar reinen Vernun t, B. Erdmann, 1900, გვ. 179—180.

არის ერთიანობა, დადებითი მსჯელობის ფორმა არის რეალობის კატეგორია და სხვ.).

კანტმა პირველად შემოიტანა კატეგორიები ლოგიკაში. მანამდე კატეგორიები ონტოლოგიის სფეროში განიხილებოდნენ, კატეგორიები ონტოლოგიის ცნებებს წარმოადგენდნენ. კატეგორიების, როგორც ცოდნის ფორმის, დაფუძნება ცოდნის ლოგიკის დაფუძნებას უდრის. კატეგორიების ლოგიკა, ეს არის ცოდნის ლოგიკურ-ობიექტური საშუალებების ლოგიკა.

ამრიგად, კანტის აზრით, მსჯელობა და კატეგორია ცოდნის ლოგიკურ ფორმებს წარმოადგენენ. დასკვნა კი არის აზრის ფორმა, მაგრამ არა ცოდნის ფორმა. მხოლოდ ფიხტემ და ჰეგელმა შესძლო იმის თავისებური დასაბუთება, რომ დასკვნაც წარმოადგენს ცოდნის ლოგიკურ ფორმას.

კანტის ტრანსცენდენტალური ლოგიკის, როგორც ცოდნის ლოგიკის, თავისებურებას შეადგენს ის, რომ ის არის კატეგორიების და ძირითადი დებულებების ლოგიკა, რომელსაც თავისებური ლოგიკური მეთოდი აქვს; ეს არის ტრანსცენდენტალური დედუქციის მეთოდი, რომელიც, ცხადია, თავისებურ ლოგიკურ მეთოდს უნდა წარმოადგენდეს და წარმოადგენს კიდეც. ამ გარემოების ნათელყოფა სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს. ჩვენ აქ შემდეგის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

ტრანსცენდენტალური მეთოდი (რომელსაც შემდეგაც შევეხებით) არის შედეგიდან საფუძვლის — ლოგიკური პირობის თავისებური დადგენა, მაშინ როცა ფორმალურ ლოგიკაში დადებითი რეგრესიული მოდუსი შეცდომად არის მიჩნეული. მაგალითად, ზოგადი მსჯელობა აუცილებლობით მოითხოვს მის ლოგიკურ პირობას — ერთიანობის კატეგორიას, რადგან ზოგადი მსჯელობის შესრულება იმ წესის მოხმარაა, რომელიც მის ფორმას წარმოადგენს. უარყოფითი მსჯელობის დადგენა ადგენს უარყოფის კატეგორიას, როგორც ფორმას — წესს, რომლის მოქმედება უარყოფით მსჯელობაში ხორციელდება, და სხვ. მსჯელობის შესრულება უკვე არის მისი პირობის — ლოგიკური საფუძვლის — დადგენა. რომელიმე მსჯელობა აუცილებლობით ადგენს იმ ლოგიკურ-ობიექტურ საშუალებას, რომლის მოხმარაც ის არის. ტრანსცენდენტალური მეთოდით შედეგის დადგენა, ამავე დროს, საფუძვლის დადგენაცაა. ამიტომ ის რედუქციის მომენტსაც შეიცავს და მთლიანად წრისებური ლოგიკურის შინაარსისაა.

კანტისათვის, მართალია, კატეგორია ცოდნის ფორმას წარმოადგენს; ის არის მსჯელობის ფორმა, მაგრამ შესაძლებელია კატე-

გორიის გამოყენება ცდის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ ასეთი გამოყენება, კანტის აზრით, შეცდომას გვაძლევს, რადგან ამ შემთხვევაში უსასრულო ლოგიკურის განხორციელების ცდასთან გვაქვს საქმე. უსასრულობის მიმართ კატეგორიის გამოყენება არის გონების დიალექტიკა, როგორც გონების „ილუზია“. ტრანსცენდენტალური დიალექტიკა არის „მოჩვენების“ და არა ჰეშმარიტების ლოგიკა. ჰეშმარიტების ლოგიკას წარმოადგენს ტრანსცენდენტალური ანალიტიკა და არა დიალექტიკა. ეს ასეა, რადგან ცდის გარეთ სინთეზი არ ხორციელდება. მსჯელობაში აუცილებელი სინთეზი ემყარება გრძნობადი ინტუიციის ფორმებს (დროსა და სივრცეს). ინტელექტუალური ინტუიცია არ არსებობს, ამიტომ შეუძლებელია სინთეზური დასკვნა.

კატეგორიების ცდის გარეთ მოხმარა იწვევს აუცილებელ დიალექტიკას, გონების ჩავარდნას წინააღმდეგობაში. ეს წინააღმდეგობა, კანტის აზრით, არის აუცილებელი წინააღმდეგობა. მაგალითად, ქვეყნის სასრულობისათვის აუცილებელია უსასრულობა და პირიქით, სიმარტივისათვის აუცილებელია სირთულე და პირიქით, და სხვ. წინააღმდეგობის აუცილებლობა, მართალია, შეცდომაა, მაგრამ ეს შეცდომა, ეს წინააღმდეგობა, მართლაც, აუცილებელია. მაგრამ ეს გარემოება, კანტის ეს აზრი ეწინააღმდეგება მისსავე იმ აზრს, რომ გონების სფეროში — დასკვნის სფეროში — თითქოს შეუძლებელია სინთეზი. წინააღმდეგობის აუცილებლობაზე უფრო მეტი სინთეზი წარმოუდგენელიც კია. მართალია, მხოლოდ წინააღმდეგობა შეცდომაა, მაგრამ, როგორც ამას შემდეგ ფიხტესა და ჰეგელის დიალექტიკა დაამტკიცებს, წინააღმდეგობა, წინააღმდეგობის აუცილებლობა, როგორც უარყოფითი დიალექტიკა, მართლდება დადებით დიალექტიკაში, რომლის მომენტსაც ის წარმოადგენს.

ერთი სიტყვით, კანტის ტრანსცენდენტალურმა ლოგიკამ, როგორც ცოდნის ლოგიკამ, დაიწყო დიალექტიკური ლოგიკის ჩამოყალიბება, მაგრამ მხოლოდ დაიწყო; მან თავისი დაწყებული საქმე უარყოფითად გადაწყვიტა. მაგრამ ფიხტემ და, განსაკუთრებით, ჰეგელმა დიალექტიკური ლოგიკის საქმე ბოლომდე მიიყვანა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იდეალიზმის საფუძველზე.

კანტი მივიდა სასრული ლოგიკურის საზღვრამდე, დაარღვია ეს საზღვარი, მაგრამ მეტი ვერაფერი შესძლო. ფიხტეს და ჰეგელის დიალექტიკაში კი წყდებოდა უსასრულო ლოგიკურის პრობლემა. უსასრულო ანუ უპირობო ლოგიკური, განსხვავებით სასრული-პირობითი ლოგიკურისაგან, უნდა ყოფილიყო არა აუცილებელი დადგენა სხვით — გარეგანი საფუძვლით, არამედ თვითდადგენა. მაგ-

რამ თვითდადგენის ძირითად საშუალებად ფიხტესა და ჰეგელთან მოხმარებული იყო შემმეცნებელი სუბიექტის უნარი. ეს კი ლოგიკურის დამახინჯებას, საბოლოოდ, მის მისტიფიკაციას (ჰეგელთან) იწვევდა; მაგრამ „რაციონალური მარცვალი“ მაინც მუშავდებოდა და შემუშავდა კიდეც.

უსასრულობის ლოგიკა არის თვითდადგენის ლოგიკა, რომლის ნამდვილი დასაწყისი, ჩვენი აზრით, მოცემულია არა იმდენად კანტთან, რამდენადაც დეკარტთან „cogito, ergo sum“-ის სახით. ყოველ შემთხვევაში იდეალისტურ დიალექტიკაში შესაძლებელი გახდა ცოდნის თავისებური ლოგიკის ჩამოყალიბება. ეს ლოგიკა არის უსასრულო ლოგიკურის შესახებ მეცნიერება, ის არის კატეგორიების ლოგიკა, როგორც კატეგორიების სისტემა, რომელიც ლოგიკური განვითარების სისტემას წარმოადგენს. ამ ლოგიკის ძირითადი კანონი არის წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი. ეს ლოგიკა წარმოადგენს დიალექტიკურ ლოგიკას, რომელშიც განხორციელდა დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობა.

ერთი სიტყვით, ჰეგელმა შექმნა ისეთი ლოგიკა, რომელიც წარმოადგენს ცოდნის ლოგიკას, უკეთ ლოგიკას, რომელიც უდრის დიალექტიკას და შემეცნების თეორიას. მაგრამ ეს ლოგიკა აგებული იყო იდეალიზმის საფუძველზე. იდეალიზმმა დაამახინჯა დიალექტიკაც და ლოგიკაც. მისტიფიცირებულ დიალექტიკურ ლოგიკაში მაინც აქვს ადგილი „რაციონალურ მარცვალს“, რომლის თავისებური გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ ლოგიკის პრინციპების დადგენა, რომელიც გამოყენებული იქნა კერძო სფეროსადმი კ. მარქსის მიერ. ამით შეიქმნა „კაპიტალის“ ლოგიკა [1].

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკის და საერთოდ ფილოსოფიის ისტორიამ აჩვენა ცოდნის ლოგიკის აუცილებლობა და ამით დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის გაიგივების აუცილებლობა.

§ 185. ლოგიკური განსაზღვრების წესი

ეს წესი ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მის საფუძველზე შეიძლება დასაბუთდეს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა. ამ წესის ასპექტში ეს სამი მეცნიერება ერთი და იგივეა.

ლოგიკური განსაზღვრების წესი არის წესი აზრის განსაზღვრუ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 326.

ლობის განხილვისა თავისთავად, კატეგორიალურად; ეს არის რაიმეს განხილვა ისე, რომ დგინდება ის, თუ რა არის ეს რაიმე, ე. ი. დგინდება რაიმეს ცნება, დგინდება განსაზღვრულობა სუბიექტისა და ობიექტის ფსიქოლოგიური დაპირისპირების გარეშე. ლოგიკური განსაზღვრების ანუ ცნების განსაზღვრების წესი არის გზა, რომლითაც დგინდება რაიმეს ცნება; დგინდება ის, თუ რა არის ეს რაიმე და არა ის, თუ სად არის ის, ანდა როგორია ის სხვა რაიმესთან დამოკიდებულებაში. თვითონ ასეთ დამოკიდებულებასაც მიეყენება ლოგიკური განსაზღვრების წესი, რადგან შესაძლებელია ყველაფრის ცნება; დამოკიდებულება თუ მიმართებაც არის რაიმე.

რა არის საგანი? ლოგიკური თვალსაზრისით, საგანი არის ყველაფერი ის, რაზედაც შეიძლება აზრი გამოითქვას, ასეთია ობიექტურად არსებული საგანიც, თვითონ აზრიც, მატერიალური საგნის ფორმაც და აზრის ლოგიკური ფორმაც. ლოგიკური საგანია არსიც და არარსიც, ჰეშმარიტებაც და შეცდომაც. საგნის უარყოფაც არის გარკვეული ლოგიკური საგანი: 1) თვითონ ეს უარყოფა არის რაღაც, რომელზედაც უნდა ვიმსჯელოთ და ვმსჯელობთ; 2) საგნის უარყოფის შემდეგ მიღებულიც საგანია, შეიძლება დამახინჯებული საგანი, მაგრამ მაინც საგანი, საგნის მოჩვენებაც გარკვეული საგანია, ის საგნის როლს ასრულებს, თუმცა ამახინჯებს მას. ძველი სკეპტიკოსები უარყოფდნენ სინამდვილეს, სინამდვილეს მოჩვენებად თვლიდნენ, მაგრამ კ. მარქსის თქმით, ისინი ისეთივე დამოკიდებულებაში იყვნენ ამ მოჩვენებასთან, როგორც სინამდვილესთან [1]. თუ სინამდვილის, საგნის მაგივრად ლოგიკაში აღებული იქნება სიმბოლო (სიმბოლოები), მაშინ თვითონ სიმბოლო გამოვა საგნის როლში, ლოგიკის სინამდვილე იქნება სიმბოლოების სინამდვილე. თუ საგნის, სინამდვილის თავიდან მოცილებას — უარყოფას — შევეცდებით, მაშინ ჩვენი საგანი ეს უარყოფა იქნება. სინამდვილის, არსის, უარყოფა და ამ უარყოფის დასაბუთება შეცვლის ყველაფერს (როგორც ამას ადგილი ჰქონდა გორგიასთან). ასე რომ საგნის უარყოფა შეუძლებელია; ის არის აუცილებელი შემეცნებისათვის, ლოგიკურისათვის და არსებობისათვისაც.

ლოგიკური განსაზღვრების წესის მიხედვით, მცდარია კანტიანური დაპირისპირება საგნისა თავის თავად და მოვლენისა ანუ არსებისა და მოვლენისა. კანტის საგანი თავის თავად არ შეიძლება იყოს ჩვენთვის გაუგებარი, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ეს საგანი ჩვენი შეგრძნებების მიზეზია; ისიც ვიცით, რომ საგანი და ჩვენი შეგრ-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 3, 1955, გვ. 127.

ძნება სხვადასხვაა; საგანი იმას ჰქვია, რაც დროსა და სივრცეში არ არის, და სხვ. თავისთავად საგნის ცნების არსებობა სრულიად საკმარისი საბუთია იმისა, რომ უარვყოთ მისი შეუმეცნებლობა. თუ საგანი არ გადადის მოვლენაში, მაშინ არც მისი მოვლენა არსებობს, მოვლენას ეკარგება აზრი. მოვლენა შეიძლება იყოს არსების მოვლენა. თუ არსებობს არსება მოვლენის გარეშე, მაშინ როგორადაც არსება არსებობს, ეს იქნება მოვლენა. არ შეიძლება იცოდე მოვლენის საზღვარი და არ გქონდეს ის გადალახული (როგორც ეს ჰეგელმა აღნიშნა). ცნების განსაზღვრების თვალსაზრისით, არსების და მოვლენის გათიშვა შეუძლებელია; რაც არსებაა, ის არის მისი მოვლენა და მოვლენის ბუნება მის არსებაშია.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთი რამ გვაინტერესებს: ლოგიკური განსაზღვრების თვალსაზრისით, საგანი არის ის, რაც სინამდვილეში არსებობს და რაც სავალდებულოა, თავიდან აუცილებელია აზრისათვის. კიდევ მეტი; საგნის ცნება, ე. ი. ის, თუ რა არის საგანი, არ განისაზღვრება იმით, თუ როგორია მასთან ჩვენი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება. საგნის ცნება ერთნაირად მოქმედებს ონტოლოგიაში, შემეცნების თეორიასა და ლოგიკაში. მართალია, ერთიმეორისაგან განსხვავდება საგანი, რომელიც სინამდვილეში არსებობს და აზრში არსებული საგანი — ასახული საგანი, მაგრამ საგნის სწორი ცნება, საგნის კატეგორია, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, ამიტომ, საგნის კატეგორიის აზრით, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა; თუ საგანი დიალექტიკური ბუნებისაა, რაც აზრის დიალექტიკურობასაც განსაზღვრავს, მაშინ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია, აქ აღნიშნულ ასპექტში, არ შეიძლება არ იყოს ერთი და იგივე.

ის, თუ რა არის წინააღმდეგობა, არ შეიძლება განისაზღვროს იმით, თუ სად არის წინააღმდეგობა. წინააღმდეგობა, როგორც ასეთი, ერთი და იგივეა, იმის და მიუხედავად, თუ სად არის იგი: არსში თუ აზრში. მართალია, რეალური წინააღმდეგობა და აზრში არსებული წინააღმდეგობა ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ წინააღმდეგობა, როგორც კატეგორია, არ შეიძლება იყოს ერთზე მეტი. ეს ერთი წინააღმდეგობა, ცხადია, ერთნაირად მოქმედებს დიალექტიკაში, ლოგიკასა და შემეცნების თეორიაში. ამიტომ წინააღმდეგობის კატეგორიის ასპექტში ეს სამი მეცნიერება არის არა სამი, არამედ ერთი და მხოლოდ ერთი.

მცდარია შეხედულება, რომლის მიხედვითაც წინააღმდეგობა მხოლოდ სინამდვილეშია და არა აზრში, რადგან თუ ვიცით, რომ წინააღმდეგობა არსებობს სინამდვილეში, მაშინ ჩვენ უკვე გვქონია წი-

ნააღმდეგობის ცნება, ე. ი. გვცოდნია ის, თუ რა არის წინააღმდეგობა. თუ გვაქვს წინააღმდეგობის ცნება, მაშინ არ შეიძლება წინააღმდეგობა არ იყოს ჩვენს აზრში. ის გარემოება, რომ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ჩვენს მიერ არაწინააღმდეგობრივად მ ო ი ა ზ რ ე ბ ა, აზრში წინააღმდეგობას კი არ აუქმებს, არამედ სწორედ მის მოაზრებაზე და აზრში მის არსებობაზე მიუთითებს.

მცდარია ის შეხედულებაც, რომელიც წინააღმდეგობას მხოლოდ აზრის საკუთრებად თვლის. მაგალითად, კანტის აზრით, გონებისათვის დამახასიათებელია მასში წინააღმდეგობის აუცილებლობის არსებობა, მაშინ როცა იგი სინამდვილეში არ არსებობს. სადაც არ უნდა არსებობდეს წინააღმდეგობა, მთავარია ის, თუ რას წარმოადგენს წინააღმდეგობა, რა ბუნებისაა იგი. წინააღმდეგობის ლოგიკური განსაზღვრება ერთი და იგივეა ცოდნის ყოველი სფეროსათვის.

როცა ვამბობთ, რომ აზრში წინააღმდეგობა არის შეცდომა, წინააღმდეგობა შეუძლებელია ჰეშმარიტ და სწორ აზროვნებაში, მაშინ გამოყენებული გვაქვს წინააღმდეგობის კატეგორია, რომლის მიხედვითაც ვამბობთ, რომ ესა და ეს წინააღმდეგობა არის შეცდომა. წინააღმდეგობის შეუძლებლობა თვითონ ეყრდნობა წინააღმდეგობის კატეგორიას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს შეუძლებლობის შესახებ ლაპარაკიც კი. შეცდომა მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიცოდეთ, თუ ვიცით ჰეშმარიტება. ჰეშმარიტება არის საზომი შეცდომის. შეცდომის ფაქტი თვითონ არის ჰეშმარიტება (ეს გარემოება სპეციალური კვლევის საგნად არის გამხდარი).

პასუხები კითხვებზე: 1) ქვეყანა სასრულია თუ უსასრულო? ჩვენ სასრულს შევიმეცნებთ, თუ უსასრულოს? — ამ კითხვებზე პასუხები, უპირველეს ყოვლისა, იმით განისაზღვრება, თუ როგორ ვგებულობთ სასრულისა და უსასრულოს ცნებები. ამ ცნებების განსაზღვრების თვალსაზრისით, ე. ი. სასრულისა და უსასრულოს კატეგორიების ასპექტში ერთი და იგივეა დიალექტიკა, ლოგიკა კი შემეცნების თეორია. სამივე ამ სფეროში სასრულის და უსასრულოს ერთი და იგივე კატეგორიები მოიხმარება.

ერთ-ერთი მიზეზი კანტის დაბნეულობისა მისი პირველი ანტინომიის გარჩევისას სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კანტი სასრულისა და უსასრულოს კატეგორიებიდან კი არ გამოდის და უშუალოდ ამ კატეგორიებს კი არ არჩევს, არამედ ქვეყნის სასრულობას და უსასრულობას, — სასრულის და უსასრულოს კატეგორიების კონკრეტულ გამოყენებას. კანტი უარყოფს ცნებების კავშირის სინთეზურობას, მაგრამ მას რომ უშუალოდ აეღო და გაერჩია სასრუ-

ლის და უსასრულოს კატეგორიები და მათი ლოგიკური კავშირი, ის უსათუოდ მიაგნებდა ამ კატეგორიების დიალექტიკურ ერთიანობას, არ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ უარყოფითი დიალექტიკით — სასრულის და უსასრულოს, როგორც დაპირისპირებულთა, აუცილებლობით და აუცილებლობას შეცდომად არ ჩათვლიდა; იგი მიაგნებდა იმას, რომ უსასრულო არ არის მხოლოდ პოტენციალური უსასრულო (საიდანაც ის დოგმატურად გამოდიოდა).

კანტს რომ უშუალოდ სასრულის და უსასრულოს კატეგორიები, როგორც სწორედ კატეგორიები, გაერჩია, ის დარწმუნდებოდა, რომ ანტინომიის გადაწყვეტა არ მოითხოვს ქვეყნის, როგორც საგნის თავისთავად, უარყოფას და მის მხოლოდ მოვლენად გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში, შემეცნებას არ მოწყვეტდა მეტაფიზიკურისაგან, და მეტაფიზიკის, როგორც მეცნიერების, პრობლემას სრულიად სხვანაირად გადაწყვეტდა. სასრულის და უსასრულოს კატეგორიების ლოგიკური განხილვის წესი აფუძნებს ლოგიკურის, შემეცნებითისა და დიალექტიკურის იგივეობას, რაც მხოლოდ ჰეგელისათვის გახდა გასაგები.

აქ აღნიშნული მდგომარეობა განმეორდა კანტთან მის მიერ სხვა ანტინომიების გადაწყვეტის დროსაც. მაგალითად, მეორე ანტინომიის გადაწყვეტის დროს ის დაეყრდნო საგნის თავისთავად და მოვლენის განსხვავებას, შემეცნებითი მოწყვიტა მეტაფიზიკურს და ლოგიკურს, მისი მიდგომა საკითხისადმი იყო არადიალექტიკური, ამიტომ, მართალია, მან საქმე უარყოფით დიალექტიკამდე მიიყვანა, მაგრამ ეს დიალექტიკა შეცდომად ჩათვალა. მას უშუალოდ უნდა გაერჩია რაოდენობის კატეგორიის ბუნება, და იგი დარწმუნდებოდა, რომ წყვეტადობა და განუწყვეტლობა ერთიმეორისათვის მხოლოდ აუცილებელი კი არ არის და ეს აუცილებლობა შეცდომას კი არ წარმოადგენს, არამედ ისინი შეადგენენ ერთიდაიგივეს ცნებას, სახელდობრ, რაოდენობის ცნებას, რომლის ბუნება არის დიალექტიკური, დაპირისპირებულთა (წყვეტადობა-განუწყვეტლობის) ერთიანობა. ამ ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. კანტი მივიდა იმ მომენტამდე, საიდანაც ფიხტემ დაიწყო, ჰეგელმა კი გააგრძელა და საქმე მიიყვანა ამ სამი მეცნიერების იგივეობამდე.

ის, რაც ზემოთ ითქვა ზოგიერთი კატეგორიის შესახებ, უნდა განმეორებულ იქნეს სხვა ლოგიკური კატეგორიების შესახებაც, მაგალითად, იგივეობის, შინაარსის, ფორმის, ერთეულის, კერძოს, ზოგადის, შეფარდებითის, აბსოლუტურის, კანონის და სხვათა შესახებ. ამ კატეგორიების და საერთოდ ლოგიკური განსაზღვრების წესის გა-

მოყენება არის არსისა და აზრისათვის უზოგადესის ლოგიკურ-ობიექტური განხილვა. საგნის და აზრის უზოგადესი ფორმების ცნებების განხილვა მათ ლოგიკურ სისტემაში არის იმ ლოგიკის საქმე, რომელიც, ამავე დროს, გნოსეოლოგიასაც წარმოადგენს და დიალექტიკასაც. ასეთი ლოგიკა არის ონტოლოგიური ლოგიკა, რომლის საგანშიც გაიგივებულია დიალექტიკური, ლოგიკური და შემეცნებითი. ლოგიკაში შედის როგორც საგნის ცნება, როგორც ცნება, ასევე ცნების ცნებაც.

როგორც ცნობილია, მარქსიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ, რომ არსისა და აზრის უზოგადესი კანონები ორივე სფეროსათვის ერთი და იგივეა. მატერიალისტური დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების მოძრაობა-განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ. სწორედ არსის და აზრის მოძრაობა-განვითარების კანონები და კატეგორიები, განხილული ცნების განსაზღვრების, საერთოდ ლოგიკური განსაზღვრების წესის მიხედვით, გვაძლევს საფუძველს დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობის დაფუძნებისათვის.

ლოგიკური განსაზღვრების წესი, პირველ რიგში, ცხადია, თვითონ ლოგიკურის მიმართ გამოიყენება; ლოგიკური განხილვის წესი თვითონ ამ წესის მიმართაც გამოიყენება. ამით იქმნება ლოგიკური რეფლექსურობა.

§ 186. ლოგიკური რეფლექსურობა

შემეცნების თეორიასა და ლოგიკაში არსებითად ერთი და იგივე რეფლექსურობა მოქმედებს; ეს არის ლოგიკური რეფლექსურობა. შემეცნებაში სუბიექტის ობიექტად ქცევა და ობიექტის სუბიექტში მოქცევა ანუ ტრანსცენდენტურის იმანენტურად წარმოდგენა და იმანენტურის ობიექტურობა შესაძლებელია (ეს პრობლემა, როგორც ცნობილია, არის თავსამტვრევი პრობლემა უახლეს ფილოსოფიაში) მხოლოდ ლოგიკური რეფლექსიის, სახელდობრ, ლოგიკურის კატეგორიის ლოგიკური რეფლექსურობით. როგორც ვიცით, ონტოლოგიის ზოგიერთი კატეგორია, ამავე დროს, არის ლოგიკურის კატეგორიაც (არსის, არსების, იგივეობის, წინააღმდეგობა-უარყოფის და სხვ. კატეგორიები). ასეთი კატეგორიების რეფლექსურობას, სწორედ ლოგიკურ რეფლექსურობას შემოჰყავს ლოგიკურში რეალური თავისებური ფორმით. ამით უზრუნველყოფილია ლოგიკურის ობიექტურობა, ლოგიკური (არაობიექტური ლოგიკური, რო-

გორც ვიცით, შეუძლებელია). ისეთი ლოგიკურის კატეგორიები, რომლებიც არ არიან ონტოლოგიის კატეგორიები და მხოლოდ ლოგიკურ სფეროს ეკუთვნიან (მაგ., კატეგორიის ცნება, ცნების ცნება, მსჯელობის ცნება) თავისთავს ხდიან ობიექტად. ეს არ ნიშნავს სუბიექტურის ობიექტურად წარმოდგენას; არა, ეს არის ლოგიკური ობიექტურობის სრული განხორციელება, რადგან ლოგიკურის ამ კატეგორიების რეფლექსურობაში ხორციელდება სრული ლოგიკური აუცილებლობა, თავის თავის უარყოფით თვითდაფუძნების აუცილებლობა, რომელზე უფრო ობიექტური ლოგიკურად შეუძლებელია.

შემეცნებაში მოქმედებს რეფლექსურობა, რადგან ჭეშმარიტებაც ცოდნაა და შემეცნების შემეცნებაც, როგორც ცოდნის ცოდნა (ეს საკითხი, როგორც ცნობილია, პირველად სოკრატემ დასვა. პლატონის „თეეტეტი" და სხვა დიალოგები სწორედ ამ პრობლემას იკვლევენ). რა არის ცოდნა? ამ კითხვაზე პასუხი არ შეიძლება არ იყოს რეფლექსურობის შემცველი. ცოდნას, მეცნიერებას რა ლოგიკური პირობები აქვს? ამ კითხვაზე პასუხი არის ძირითადი შინაარსი გნოსეოლოგიისა, რომელიც კანტმა დაიწყო. ცოდნის ბუნების გაგება არის ცოდნა ცოდნის შესახებ. რა ფორმები აქვს ცოდნას? რა ფორმებში არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული ცოდნა? ამ კითხვაზე პასუხი და ცოდნის ლოგიკური ფორმების შინაარსი ერთიმეორეს ემთხვევა. გნოსეოლოგია არის მეცნიერება ცოდნის ლოგიკური ფორმების შესახებ. მაგრამ ლოგიკა, როგორც მეცნიერება, სხვა არაფერს არ უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე მეცნიერებას ცოდნის ფორმების შესახებ, მეცნიერულ ცოდნას თვითონ ცოდნის ლოგიკური ფორმების შესახებ. ამ აზრით, გნოსეოლოგია და ლოგიკა ერთი და იგივეა; ორივესთვის არსებითია ლოგიკური რეფლექსურობა, ერთი და იგივე ლოგიკური რეფლექსურობა.

შემეცნების, ცოდნის მიღწევის, ცოდნის მეთოდი არ შეიძლება არ იყოს ლოგიკური მეთოდი. მაშინაც კი, როცა ფსიქოლოგიზმის ნიადაგზე დგანან შემეცნების თეორიაში, შემეცნების უნარის გამოყენებას ლოგიკური ხერხის მოხმარის როლს ასრულებინებენ. თანამედროვე პოზიტივიზმში ვერიფიკაციის პრინციპის გამოყენება ლოგიკური პრინციპის მოხმარის მნიშვნელობისაა. შეგრძნება-აღქმებზე დამყარება, შეგრძნება-აღქმების ჭეშმარიტების კრიტერიუმად გამოყენება შეგრძნება-აღქმებს არა მარტო ლოგიკურ მნიშვნელობას ანიჭებს, არამედ მათ თავისებურ მეტაფიზიკურ პრინციპადაც კი წარმოადგენს. მეტაფიზიკის პრინციპის უარმყოფელი პრინციპი ახალი მეტაფიზიკის პრინციპს წარმოადგენს და მის როლში გამო-

დის. ცდაზე ცოდნის დამყარების პრინციპზე მსჯელობა თვითონ სცილდება ცდის ფარგლებს. ცდის ფარგლებში თავის ჩამწყვდევა არაცდისეულით შემოფარგვლას, თავისთავის არაცდისეულით განსაზღვრას, არაცდისეულზე დამყარებას ნიშნავს. საზღვრის დადგენა საზღვრის გადალახვაცაა (როგორც ამას კანტის მიმართ ჰეგელი ამბობდა).

ცოდნის ლოგიკური მეთოდი ლოგიკას წინასწარ არ ეძლევა; მეთოდი ლოგიკაში, ამავე დროს, ლოგიკის საგანიცაა. დედუქციური ლოგიკა სწავლობს დედუქციის მეთოდს, განხორციელებულს აზრის ფორმებში, კერძოდ, დასკვნებში; ასევე ინდუქციური ლოგიკის საგანი არის ინდუქციის მეთოდი, განხორციელებული ინდუქციურ დასკვნებში. რედუქციული ლოგიკა რედუქციის მეთოდს იხდის საგნად და სხვ. ასევე უნდა ითქვას დიალექტიკური ლოგიკის შესახებაც. დიალექტიკური ლოგიკის საგანს შეადგენს აზრის ლოგიკურ ფორმებში განხორციელებული დიალექტიკური მეთოდი. დიალექტიკური მეთოდი როგორც დასაბუთების მეთოდი (ამის შესახებ შემდგომ). მაშასადამე, ლოგიკისათვის ლოგიკური მეთოდი, როგორც საშუალება, ამავე დროს, არის საგანიც. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ლოგიკა თავისი ბუნებით არის რეფლექსური.

დიალექტიკური მეთოდის განხილვა თვითონ არის და უნდა იყოს დიალექტიკური ბუნებისა. დიალექტიკური მეთოდის შემეცნებაც დიალექტიკურია. ლოგიკის რეფლექსურობა არსებითია შემეცნების თეორიაშიც. შემეცნების დიალექტიკური მეთოდი და ლოგიკის დიალექტიკური მეთოდი ერთი და იგივე მეთოდია. ის ერთსა და იგივე კანონებსა და ფორმებს შეიცავს. კატეგორიები, როგორც ობიექტური საშუალებანი, გამოიყენება თვითონ მათ მიმართაც; ეს არის ერთი და იგივე არსებითი რამ როგორც შემეცნების თეორიაში, ისე ლოგიკაშიც. ლოგიკური ფორმის მიმართ იმავე ფორმის გამოყენება ლოგიკური რეფლექსურობაა. ლოგიკისათვის არსებითია ცნების ცნება, მსჯელობაზე მსჯელობა, დიალექტიკის ცნების დიალექტიკურობა და სხვ. სილოგიზმის გარჩევა სილოგიზმის ფორმის გამოყენებით, დიალექტიკური მეთოდის გარჩევისას დიალექტიკური დასკვნების თუ მსჯელობების გამოყენება ერთსადაიმავე დროს არის ლოგიკური რეფლექსიაც და შემეცნებითი რეფლექსიაც. ამიტომ ლოგიკა, შემეცნების თეორია და დიალექტიკა ერთი და იგივეა.

ლოგიკა თავისი ბუნებით იყო რეფლექსური თვითონ არისტოტელესთანაც, რომლის ლოგიკასაც არსის ლოგიკას ეძახიან; არსის ლოგიკას განასხვავებენ რეფლექსიის ლოგიკისგან (მაგალითად,

Günther-ი)[1]. ასეთი განსხვავება არ არის სწორი, რამდენადაც ლოგიკა არ შეიძლება არ იყოს რეფლექსური. ლოგიკა სწორედ ლოგიკურს სწავლობს; ლოგიკური ფორმები ყოველთვის განიხილებოდა ამ ფორმების გამოყენებით და სხვ. მაგრამ ლოგიკური რეფლექსიის დასკვნითი ფორმა ლოგიკის განვითარების ბოლოდ უმაღლეს საფეხურზე აღმოჩნდა. ეს დასკვნითი ფორმა არ შეიძლება მოცემულ იქნეს მრავალნიშნა ლოგიკაში (როგორც ეს Günther-ს ჰგონია), რადგან ეს ლოგიკა მათემატიკური მეცნიერებაა. ლოგიკური რეფლექსიის დასკვნით ფორმას მხოლოდ უსაბოლოო დასკვნა წარმოადგენს, როგორც ეს ზემოთ, ვფიქრობთ, საკმარისად იყო დასაბუთებული და ნაჩვენები.

მართალია, ლოგიკა ყოველთვის იყო რეფლექსური, მაგრამ თვითონ ამ რეფლექსურობაზე მოძღვრება პირველად ჰეგელმა (ფიხტეს რეფლექსურობაზე დაყრდნობით) მოგვცა თავის დიალექტიკურ ლოგიკაში. ჰეგელის აზრით, რეფლექსურია არსების კატეგორიები; თუ არსის კატეგორიებში ხორციელდება გადასვლა ერთისა სხვაზე, არსებაში — თავისთავთან მიმართებაში ერთგვარი შებრუნება-წრიულობა გვაქვს, სადაც რეფლექსურობა ნიშნავს თავისებურ რელატიურობას, სახელდობრ, იმას, რომ ერთი კატეგორია მეორეში „მოჩანს“ და პირიქით; საფუძველი „ჩანს“ შედეგში და პირიქით, პირობა გაპირობებულში და პირიქით, მიზეზი — მოქმედებაში და პირიქით და სხვ.

ამიტომ ის ლოგიკური რეფლექსურობა, რომელსაც ჩვენ ვაღიარებთ, არსებითად განსხვავდება ჰეგელის მიერ აღიარებული რეფლექსურობისაგან (მხედველობაში გვაქვს ჰეგელთან განხილული რეფლექსურობის მხოლოდ ლოგიკური მხარე, მისტიკურ მხარეს კი უგულებელვყოფთ). ჩვენს მიერ აღიარებული ლოგიკური რეფლექსურობა იმას უფრო ჰგავს, რასაც ჰეგელი ცნების „სუბიექტურობას“ ეძახდა. ცნება, ჰეგელისათვის, წარმოადგენს თვითსაფუძველსა და თვითგანვითარებას; ცნების „სუბიექტურობა“ იმაში მდგომარეობს, რომ ცნება თვითდაფუძნებას წარმოადგენს; ცნება არის ზოგადობა, მაგრამ ის არის განსაკუთრებულობაც; ორივეს ერთიანობა არის ერთეულობა. ცნება, როგორც ერთეული, თავის თავში შეიცავს ზოგადობას და განსაკუთრებულობას. ეს სამი რამ ცნების ბუ-

---

[1] G. Günther, Idee und Grundriss einer nicht–Aristotelischen Logik, B. I. 1959.

ნებას ამოწურავს. ცნება არის თავის თავში დაბრუნებული ერთიანობა.

ჩემს მიერ აღიარებული ლოგიკური რეფლექსურობა, მართალია, ჰგავს ჰეგელის ცნების „სუბიექტურობას“, მაგრამ, ნამდვილად, მისგან არსებითად განსხვავდება, რადგან: 1) როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, ჰეგელის „განსაკუთრებული“ ჩქმალავს დაპირისპირებაწინააღმდეგობას, მაშინ როცა უსასრულო დასკვნის რეფლექსურობაში სრულად არის განხორციელებული დაპირისპირებულთა ერთიანობა; 2) ჰეგელისათვის ცნება, როგორც ზოგადობა, არის აბსოლუტის მისტიკური ძალა თავის თავში მიბრუნებისა, მაშინ როცა ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობა, განხორციელებული უსასრულო დასკვნაში, არაფერს არ შეიცავს ისეთს, რომელიც არალოგიკური იყოს. 3) ჰეგელმა ვერ შესძლო დიალექტიკური დასკვნის ფორმის ჩამოყალიბება; ის დაკმაყოფილდა ფორმალური ლოგიკური დასკვნებით, თუმცა მისი დიალექტიკის „რაციონალური მარცვალი“ მოითხოვდა, რომ ლოგიკური არ შემოფარგლულიყო ძველი ლოგიკის დასკვნის ფორმებით. 4) სწორედ ამის გამო მოხდა ის, რომ ჰეგელისათვის უმაღლეს დასკვნას წარმოადგენს გაყოფითი დასკვნა, რომელიც მესამე ფიგურის (ე-ზ-გ) დასკვნას წარმოადგენს, მაშინ როცა ჩვენთვის დასკვნის უმაღლესი ფორმა არის უსასრულო დასკვნა.

ჩვენთვის რეფლექსურობა არის შინაგანი თვითდადგენა (და არა აბსოლუტის თვითშემეცნების მისტიკური უნარის მოქმედება, როგორც ეს ჰეგელს აქვს წარმოდგენილი). რეფლექსურობა არ უნდა იქნას დაყვანილი იგივეობაზე თუ ტოლობაზე, თავისთავთან მიმართებაზე (xRx) შინაგანი განსხვავებისა და უარყოფის გარეშე. შინაგანი განსხვავების და უარყოფის გარეშე ლოგიკური რეფლექსურობა განუხორციელებელია. იგივეობის დროსაც, როგორც ვიცით, ადგილი აქვს განსხვავებას; „A არის A“ ნიშნავს: „თუ არის A, მაშინ არის A“, აქ კი „თუ არის A“ (დაუდგენელი A) განსხვავდება „არის A“-საგან (დადგენილი A-საგან). (რაც შეეხება მათემატიკური ლოგიკის რეფლექსურ მიმართებას, იგი ტოლობას წარმოადგენს, უკეთ: მიმართება, რომელიც არის რეფლექსურიც, სიმეტრულიც და ტრანზიტულიც. იწოდება ტოლობად ანუ ეკვივალენტობად [1]. მაგრამ ეს ცნება წმინდა მათემატიკური ცნებაა, ლოგიკური რეფლექსიის მასზე დაყვანა შეუძლებელია).

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკური რეფლექსიის

[1] А. Тарский, Введение в логику..., §3. 136 – 138.

ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთიდაიგივეა. ეს ასეა სწორედ ლოგიკური (და არა ფსიქოლოგიური ან სხვ.) თვალსაზრისით.

§ 187. ლოგიკა როგორც ორგანონი

ლოგიკა, როგორც რეფლექსური მეცნიერება ლოგიკური რეფლექსიის შესახებ, არ შეიძლება არ წარმოადგენდეს „ორგანონს", ამ სიტყვის არა მხოლოდ ანტიკური გაგებით, არამედ „უმაღლესი ლოგიკის" აზრითაც, დიალექტიკურ-ლოგიკური გაგებით. ლოგიკური საშუალებები თუ ფორმები გამოიყენებიან არა მხოლოდ ყველა მეცნიერებაში — საერთოდ ცოდნაში, არამედ ისინი, როგორც ითქვა, გამოიყენებიან თვითონ მათ მიმართაც. ამიტომ აქვს მათ ლოგიკური რეფლექსიის აზრი. ლოგიკურის კატეგორიები წარმოადგენენ ობიექტურ ლოგიკურ საშუალებებს — „იარაღს" საერთოდ ცოდნის მიმართ. ამიტომ ლოგიკა არის „შესავალი" ყველა მეცნიერებისათვის, საერთოდ ცოდნისათვის, რომელშიც თვითონ ლოგიკაც იგულისხმება. ლოგიკა, როგორც „შესავალი", ზოგადია, ე. ი. თავისთავსაც მოიცავს.

აქ ჩვენი მიზნებისათვის საკმარისი იქნება შევეხოთ მხოლოდ ორ საკითხს: 1) ლოგიკის მეცნიერების აბსოლუტურობას სხვა მეცნიერებათა მიმართ და 2) ლოგიკურის და შემეცნების წესთა იგივეობას.

როგორც ითქვა, ლოგიკა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი; ერთზე მეტი ლოგიკის აღიარება ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ლოგიკა აბსოლუტური ხასიათის არის, ის ასეთია სხვა მეცნიერებების მიმართ. ეს — სხვასთან მიმართებაში ყოფნა არ აუქმებს მის აბსოლუტურ ხასიათს; არა, სხვასთან მიმართება მას თავის თავში აქვს მოქცეული, რადგან ლოგიკა თვითონ არის ერთ ერთი მეცნიერებათაგანი და მისი აბსოლუტურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის არის მეცნიერება და ამავე დროს მეცნიერების თეორიაც.

აზრის ლოგიკური ფორმები ერთი და იგივეა ყველა მეცნიერებისათვის; აზრის ლოგიკური ფორმები საერთოდ ცოდნის (თვითონ ლოგიკური მეცნიერებისაც) ფორმებს წარმოადგენენ. ყოველგვარი შემეცნების თუ ცოდნის ლოგიკური საშუალება და ფორმა ერთი და იგივეა. ასეთი საშუალებები და ფორმები ლოგიკის საგანს შეადგენენ და თვითონ მათი განხილვაც ამავე საშუალებებით და ფორმებით ხორციელდება.

ლოგიკა ყოველ მეცნიერებაში გამოიყენება; მეცნიერება ლოგიკის გამოყენების გარეშე შეუძლებელია, რადგან ცოდნა ლოგიკური ფორმების — ცნების, მსჯელობის, დასკვნის, დასაბუთების სახით არსებობს. ლოგიკაც იყენებს მეცნიერებებს, რადგან ლოგიკის საგანს მეცნიერული ცოდნის და საერთოდ ცოდნის ფორმები წარმოადგენს. მეცნიერებათა მიღწევები, მეცნიერების განვითარების შედეგები ყალიბდება ცნება-კატეგორიებში, რომელთაც ლოგიკა შეისწავლის. მაგრამ მეცნიერებათა მიერ ლოგიკის გამოყენება განსხვავდება ლოგიკის მიერ სხვა მეცნიერებათა გამოყენებისაგან. იმ აზრით, რა აზრითაც ლოგიკა სხვა მეცნიერებებს იყენებს, თვითონ ლოგიკა ამგვარად არ გამოიყენება სხვა მეცნიერებების მიერ, რადგან კერძო მეცნიერებები ლოგიკას იყენებს საკუთარ ლოგიკურ საფუძვლად, მაშინ როცა კერძო მეცნიერებები ლოგიკის ლოგიკურ საფუძველს არ წარმოადგენენ. ლოგიკას სხვა მეცნიერებები აწვდიან მასალას, მაგალითებს, სანიმუშო მაგალითებსაც; მაგალითად, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, მათემატიკამ (კანტორმა) მოახერხა უსასრულობის დადებითი განსაზღვრება. ამიტომ ლოგიკაც იძულებული იყო და მისთვის შესაძლებელი გახდა უსასრულობის ზოგად-ლოგიკური დადებითი ცნების დადგენა. ლოგიკის მიერ სხვა მეცნიერებათა გამოყენება იმავე ლოგიკას, მის საშუალებებს იყენებს და მოიხმარს. ლოგიკა არის ერთიანი. სხვა რაიმეს გამოყენება და მოხმარა თვითონ ლოგიკის საფუძველზევე ხდება და უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა ლოგიკის აუცილებლობა უნდა დავუშვათ, რაც ორი ლოგიკის აღიარებამდე მიგვიყვანდა.

კერძო მეცნიერებები ერთიმეორისაგან საგნით განსხვავდებიან. საერთოდ, ყოველი მეცნიერება მისი საგნით განისაზღვრება; მეცნიერება იმიტომ არის გარკვეული ცოდნა, რომ ის არის საგნის ცოდნა. საგნის გარეშე მეცნიერება, ცხადია, არ არსებობს. მაგრამ, მეორე მხრივ, მეცნიერება არ იარსებებს, თუ ლოგიკა შეუძლებელია. ყოველი მეცნიერება არის მეცნიერება ლოგიკის გამო. მეცნიერება არის სისტემა, სისტემის გარეშე მეცნიერება შეუძლებელია; მაგრამ სისტემა სხვა არაფერია, თუ არა დასაბუთება, დასაბუთების სისტემა მეცნიერების სისტემა, როგორც დასაბუთების სისტემა, არის მეცნიერების მასალაში განხორციელებული ლოგიკურობა. მაგალითად, ევკლიდეს გეომეტრიის სისტემა არის არისტოტელეს ლოგიკის ზოგიერთი დებულების საფუძველზე შედგენილი სისტემა, სისტემა, სადაც მასალა გეომეტრიულია, თვითონ სისტემობა კი ლოგიკურ კავშირს წარმოადგენს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ „ყოველი მეც-

ნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა“.[1] მაგალითად, მარქსის „კაპიტალში“, როგორც კერძო მეცნიერებაში, გამოყენებულია ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია, რომლებიც ერთ მეცნიერებას წარმოადგენენ.[2] „კაპიტალის“ დიალექტიკა არის დიალექტიკის კერძო შემთხვევა[3]. ასე ითქმის სხვა მეცნიერებათა შესახებაც. ლოგიკა კი არაფერს არ ემყარება ლოგიკურად. ის თვითონ საბუთდება თავისივე საშუალებებით. ამ აზრით ლოგიკა აბსოლუტური ხასიათისაა.

აქ აღნიშნულის გამო, შეუძლებელია ლოგიკა დაემყაროს კერძო მეცნიერების მეთოდს, მაგალითად, მათემატიკის მეთოდებს, როგორც ამას მათემატიკური ლოგიკის ზოგიერთი მიმდევარი მოითხოვს. მათემატიკური მეთოდის გამოყენება ლოგიკაში ამ უკანასკნელს მათემატიკად გადააქცევს. თუ მათემატიკური მეთოდი ყველა ლოგიკური საშუალების მომცველი იქნება, მაშინ მათემატიკა ლოგიკად — უნივერსალურ მეცნიერებად — გადაიქცევა, ე .ი. შეიცვლება მხოლოდ სახელწოდება, ლოგიკის ბუნება კი იგივე დარჩება. თუ მათემატიკური სქემა შეცვლის ლოგიკას, მაშინ ლოგიკა, როგორც მეცნიერება მოიხსნება. ასეთ გარემოებას ადგილი აქვს (ნაწილობრივ მაინც) მაშინ, როცა ლოგიკას „ზოგადი სქემის“ მოდელად თვლიან. ლოგიკა არის მეცნიერება, ის თეორიას წარმოადგენს. არ შეიძლება ლოგიკა წარმოვიდგინოთ თეორიის გარეშე. ყოველ ლოგიკურ სქემას აქვს რაღაც აზრი და სწორედ აზრი შედის ლოგიკის საგანში. თეორია არის გაგება, აზრი, და როცა საქმე გვაქვს ლოგიკასთან, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ლოგიკა არის თეორია ლოგიკურის შესახებ, ლოგიკური კი არის აზრთა კავშირი, წარმოდგენილი აზრის (და არა სქემის) სახით.

ლოგიკა, როგორც თეორია თავის თავის შესახებ, არ შეიძლება არ იყოს, ამავე დროს, შემეცნების თეორია. თუ ლოგიკა დიალექტიკურია, მაშინ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია არ შეიძლება არ იყოს ერთი და იგივე.

შემეცნების მეთოდი და წესი უნდა იყოს ახალი ცოდნის მიღების მეთოდი და წესი. თუ ლოგიკური არის სინთეზურ-ლოგიკური (ეს კი, როგორც აღინიშნა, ასეა), მაშინ ლოგიკური წესიც ახლის მიღების წესს წარმოადგენს. ლოგიკის ზემოთ განხილული აბსოლუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 199.

[2] იქვე, გვ. 326.

[3] იქვე, გვ. 373.

ტურობის გამო მისი მეთოდი და ძირითადი წესი უნდა იყოს უნივერსალური მეთოდი და წესი. ახლის მიღების ასეთი წესი და შემეცნების წესი ერთსა და იგივე წესს უნდა წარმოადგენდეს. ეს უნდა იყოს ლოგიკის, როგორც იარაღის — „ორგანონის“, წესი. ლოგიკური ობიექტური საშუალება — იარაღი გამოიყენება საერთოდ მეცნიერებაში და ლოგიკურშიც. ეს რეფლექსურობა, როგორც ვიცით, აიგივებს შემეცნებითსა და ლოგიკურს, და რადგან სინთეზურ ლოგიკური დიალექტიკური ბუნებისაა, ამიტომ ეს იგივეობა დიალექტიკურობასაც შეიცავს, დიალექტიკურია.

ლოგიკურში გადასვლა, როგორც ახალზე გადასვლა, არის დასკვნა, ლოგიკური აუცილებლობის განხორციელება. მაგრამ ეს გადასვლა, როგორც ახლის მიღება, ამავე დროს არის „აღმოჩენა“. ამიტომ ლოგიკაში ერთი მეორეს უნდა გაუიგივდეს დასაბუთების გზა და აღმოჩენის გზა; დასაბუთების წესი და აღმოჩენის წესი ერთი და იგივე წესს უნდა წარმოადგენდეს. ახლის მიღებას უნდა წარმოადგენდეს დედუქციის მეთოდის განხორციელება, რადგან დედუქცია, როგორც ზოგადიდან კერძოზე გადასვლა, არის საპირისპიროზე გადასვლა. ინდუქციაც საპირისპიროზე გადასვლაა, რადგან იგი კერძოდან ზოგადზე გადასვლას წარმოადგენს. ამიტომ დასაბუთების წესი და აღმოჩენის წესი უნდა იყოს დიალექტიკური წესი, ლოგიკური განვითარების წესი, რომლის ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე იქნება (აქ აღნიშნული წესი ქვემოთ სპეციალურად იქნება განხილული).

§ 188. ლოგიკურ-ობიექტური

როგორც ეს ზემოთ საკმაოდ აღინიშნა, ლოგიკური მხოლოდ ობიექტური, არასუბიექტური უნდა იყოს. მაგრამ ის არ არის აზრისაგან დამოუკიდებლად არსებული არც საგნის ობიექტურობა და არც სქემა. ლოგიკური არის ობიექტური აზრში, ე. ი. ისეთი, რომელიც აზრისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ მხოლოდ აზრში არსებობს. ასეთი ობიექტური, როგორც ვიცით, არის ჰეშმარიტების ობიექტური, ლოგიკურის ობიექტურობა ჰეშმარიტების ობიექტურობაა. ობიექტურობა, როგორც აზრისაგან დამოუკიდებლობა, ე. ი. აზრის ისეთი განსაზღვრულობა, რომელიც საგანზეა დამოკიდებული, ერთი და იგივეა ჰეშმარიტებისათვის და ლოგიკურისათვის, რადგან საგანთა დიალექტიკა ქმნის აზრთა დიალექტიკას[1]. ამიტომ, აქ აღნიშნუ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 38, გვ. 194, 259—260.

ლი ობიექტურობის გამო, ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. დიალექტიკური სინამდვილე ქმნის დიალექტიკურ აზროვნებას. თვითონ აზრი იმ მხრივაცაა დიალექტიკური. რომ ის შეიცავს იმას, რაც მისგან დამოუკიდებელია.

ლოგიკური ან ობიექტურია, ან არ არსებობს. ლოგიკურის უარყოფა კი შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა თვითონ არის ლოგიკური ოპერაცია, ლოგიკური ფორმა და საშუალება. რადგან ასეთი უარყოფა ლოგიკურის ბუნებისაა, ამიტომ იგი თვითონ ადგენს ლოგიკურს.

ლოგიკური არ შეიძლება არ იყოს ობიექტური, რადგან, როგორც ვიცით, აზრისათვის საგნის ობიექტურობის თავიდან აცილება შეუძლებელია. საგანი აზრისათვის აუცილებელია. თუ საგანს უარვყოფთ და მხოლოდ აზრს ვაღიარებთ, მაშინ აზრი თვითონ შეასრულებს საგნის როლს. აზრი არის აზრი საგანზე, აზრი კი შეუძლებელია არ იყოს აზრი. აზრს ვერ შეცვლის სიმბოლო, რადგან ამ შეცვლის შემძლე ისევ აზრი შეიძლება იყოს.

აზრის, ლოგიკურის ობიექტურობა შეუძლებელია, თუ არსსა და აზრს არ აქვს საერთო, ზოგადი კანონები. ასეთი კანონები არსებობენ; არსისა და აზრის უზოგადესი კანონები „არსებითად იდენტურნი არიან“,[1] „აზროვნების კანონები ასახავენ საგნების ნამდვილი არსებობის ფორმებს და სავსებით ჰგვანან ამ ფორმებს, არ განსხვავდებიან მათგან“.[2] აქ, ცხადია, ლაპარაკია არსის და აზრის მხოლოდ უზოგადეს კანონებზე, დიალექტიკის კანონებზე. სინამდვილის მოძრაობა-განვითარებაში ძირითადი კანონი არის დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, რომელიც ძირითადია აზრის ლოგიკურ მოძრაობა-განვითარებაშიც; ეს აზრი ზემოთ იქნა ნათელყოფილი, აქ კი იგი მოგვყავს დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობის დამსაბუთებელ არგუმენტად. ეს იგივეობა აუცილებელია ლოგიკურ-ობიექტურის ცნების ასპექტში.

ლოგიკურის ობიექტურობას ამტკიცებს ისიც, რომ თავისთავად არსებული საგნის მიღება-არმიღება გვაიძულებს ლოგიკურის სხვადასხვა ფორმა მივიღოთ. ამ გარემოებას ნათელყოფს კანტის „ანტინომიების“ მაგალითი. კანტი ცდილობდა ანტინომიები გადაეწყვიტა იმით, რომ უარეყო ქვეყანა როგორც საგანი თავისთავად. თუ ქვეყანა არსებობს თავისთავად, მაშინ გონებაში წინააღმდეგობა ვერ გადაწყდება; თუკი ქვეყანა არ არის საგანი თავისთავად, მაშინ შეიძ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 465.

[2] ვ. ი. ლენინი, ობზ., ტ. 14, გვ. 460.

ლება წინააღმდეგობას დავაღწიოთ თავი; თუმცა საგნის თავისებური აუცილებლობა წინააღმდეგობის აუცილებლობას მაინც ტოვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საგანი განსაზღვრავს როგორც შემეცნებითს, ისე ლოგიკურს. სწორედ საგნის არსებობა და მისი ბუნება განსაზღვრავს აზრის როგორც უარყოფით დიალექტიკას, ისე დადებით დიალექტიკას. დიალექტიკა კი აზროვნების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს; დიალექტიკური აზროვნება აზროვნების უმაღლესი ფორმაა [1].

ლოგიკურის ობიექტურობას ევიმტკიცებს იმ გარემოებაც, რომ არსების და მოვლენის განსხვავება იწვევს აზრის ლოგიკური ფორმების განსხვავებას. თუ მხედველობაში გვექნება საგნის მხოლოდ ფორმალური — გარეგანი — განსაზღვრებები, ე. ი. ისეთი, რაც „ყველაზე ჩვეულებრივია, ანდა რაც ყველაზე ხშირად გვეცემა თვალში“. მაშინ ჩვენ ფორმალურ ლოგიკას მივიღებთ. მაგრამ თუ ჩვენ უფრო შორს წავედით და მხედველობაში მივიღეთ არსებითი, „გამეშვეება“, მაშინ გადავალთ დიალექტიკურ ლოგიკაში, რომელიც ფორმალურ ლოგიკაზე უფრო შორის მიდის[2]. მაშასადამე, საგანი განსაზღვრავს ლოგიკურს.

ლოგიკური სხვადასხვანაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ იმის მიხედვით, თუ რას — აზრის რა მხარეს — ვაქცევთ ყურადღებას. თუ ლოგიკას მხედველობაში აქვს თავისი საგნის მხოლოდ „გარეგანი“, „ზერელე“ განსაზღვრულობები და ყურადღების გარეშე ტოვებს ამ განსაზღვრულობების შინაგან — არსებით — მხარეს, ე. ი. მათ შინაგან გადასვლებს — მოძრაობასა და განვითარებას, მაშინ იგი არის ფორმალური ლოგიკა, რომელიც აზრის ფორმებს მხოლოდ ჩამოთვლის, განიხილავს კოორდინაციაში, ერთიმეორის გვერდით. მაგრამ თუ ლოგიკა ამით არ კმაყოფილდება და იგი მსჯელობის და დასკვნის ფორმებს განიხილავს მათ შინაგან კავშირში, განვითარებაში, სუბორდინაციაში, მაშინ საქმე გვაქვს დიალექტიკურ ლოგიკასთან[3]. აქაც საგანი განსაზღვრავს ლოგიკურს. ამ მხრივაც ლოგიკურის ობიექტურობა საბუთდება.

ლოგიკურის ობიექტურობის აუცილებლობა იქიდანაც გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია ლოგიკურად უარყო არსებობა. არსებობა ლოგიკურისთვის აუცილებელია. არსებობის უარყოფის ცდის შემთხვევაში თვითონ ეს უარყოფა ხომ მაინც უნდა არსებო-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 25.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 102.

[3] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 232.

ბდეს. არსებობის უარყოფა არსებობის აუცილებლობას ლოგიკურად აღგენს. არსებობის უარყოფა და ყველაფრის სიმბოლოებზე დაყვანა ამ სიმბოლოების არსებობას მაინც უნდა დაემყაროს. ერთი სიტყვით, არსებობის უარყოფის ცდის შემთხვევაში აუცილებელი ხდება მიიღო ამ უარყოფის არსებობა და უარყოფით მიღებულის არსებობაც. არსებობის აუცილებლობა ლოგიკურისათვის ამ უკანასკნელის ობიექტურობას ასაბუთებს.

ლოგიკურის ობიექტურობის ყველაზედ უფრო სრული და ძლიერი დამსაბუთებელი არის ის, რაც ზემოთ ითქვა სასრულის და უსასრულოს ლოგიკურ კატეგორიებზე დაფუძნებული განსხვავების შესახებ, ივ განსხვავებისა, რომელიც იქმნება ლოგიკურში და ლოგიკაში, როგორც მეცნიერებაში. როგორც ვიცით, სასრულის კატეგორია განსაზღვრავს ფორმალურ ლოგიკურის თავისებურებას და მის შესახებ მეცნიერებას — ფორმალურ ლოგიკას. უსასრულოს (სასრულის შემცველი უსასრულო) კატეგორია განსაზღვრავს დიალექტიკურ-ლოგიკურს, რომლის შესახებ მეცნიერებასაც დიალექტიკური ლოგიკა ჰქვია. სასრული ლოგიკური, როგორც ვიცით, არის პირობით-ლოგიკური; უსასრულო ლოგიკური კი არის უპირობო-თვითდადგენის ლოგიკური. როგორც ეს ქვემოთ იქნება გარკვეული, დასაბუთების გამართლება შესაძლებელია მხოლოდ თვითდადგენის პრინციპზე დამყარებით. თუ მხედველობაში მივიღებთ ყველაფერს იმას, რაც ზემოთ ითქვა სასრულ და უსასრულო ლოგიკურის განსხვავების შესახებ, ნათელი გახდება, რომ საგანი განსაზღვრავს ლოგიკურს, რომ ლოგიკური ობიექტურია. ლოგიკურ-ობიექტურის ცნების მიხედვით კი დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ლოგიკურად იმაზე უფრო ობიექტური შეუძლებელია, ვიდრე ის ობიექტური, რომელიც ხორციელდება რაიმეს უარყოფის შეუძლებლობაში და რაიმეს უარყოფით მისსავე (იმავე რაიმეს) დადგენა-დასაბუთებაში. ამიტომ უნდა ითქვას, რომ უსასრულო დასკვნის ობიექტურობის საფუძველზე დგინდება დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა.

§ 189. ლოგიკური როგორც ისტორიულ-რეალურის ასახვა

თუ ლოგიკური ობიექტურია, მაშინ ის არის ასახვა. რისი ასახვა? ცხადია, ეს ასახვა იქნება რეალური სინამდვილის ასახვა, მოძრაობა-განვითარებაში მყოფი სინამდვილის ასახვა, რომელიც ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძველზე ხორციელდება. სი-

ნამდვილის ასახვა. ეს არის სინამდვილის შემეცნება, რომელიც ისტორიაში ხორციელდება. ამიტომ ლოგიკური უნდა იყოს ისტორიულ-რეალურის ასახვა. ეს საკითხი, სახელდობრ, ლოგიკური, როგორც განვითარების, ისტორიის ასახვა და როგორც განვითარება, დაწვრილებით შემდგომ იქნება განხილული. აქ ჩვენთვის საჭიროა ამ საკითხის შინაარსის იმის დამამტკიცებელ არგუმენტად მოხმარა, რომ თუ ლოგიკური არის ისტორიულ-რეალურის ასახვა, მაშინ ცხადია, დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე იქნება.

როგორც ცნობილია (ჩვენ კი ამას შემდეგ გავარჩევთ), კ. მარქსმა თავისი ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" შესავალში და ფ. ენგელსმა კ. მარქსის ამ შრომის შესახებ რეცენზიაში[1] დაამტკიცეს, რომ ლოგიკური არის ისტორიულის ასახვა: ლოგიკური არის შემეცნების ისტორიული, აღებული მის ზოგად ხაზებში. ამ გარემოებას ვ. ი. ლენინიც ხაზს უსვამს[2]; ვ. ი. ლენინი კიდევ მეტს ამბობს, სახელდობრ, იმას, რომ აზრის ისტორია არსებითად ემთხვევა აზროვნების კანონებს[3]. ამგვარად გაგებული ლოგიკური ვ. ი. ლენინს გამოყენებული აქვს მთლიანად ლოგიკის განსაზღვრებისათვის; ვ. ი. ლენინის აზრით, ლოგიკა არის მოძღვრება აზროვნების არა გარეგან ფორმებზე, არამედ მთელი სინამდვილის შემეცნების ისტორიის შედეგებზე[4].

დიალექტიკური ლოგიკა არ არის მოძღვრება აზრის მხოლოდ გარეგანი ფორმების შესახებ; მისი საგანია მთელი სინამდვილის შემეცნების ისტორიის შედეგები. ამ ისტორიის „საკვანძო პუნქტები"[5], რომლებიც ცნებებს, კატეგორიებს წარმოადგენენ. ლოგიკა სწავლობს ამ კატეგორიებს მათ კავშირში, სწორედ ლოგიკურ კავშირში. ლოგიკური არის შემეცნების ისტორიის საკვანძო პუნქტებისა და შედეგების კავშირის ლოგიკური. ამიტომ ლოგიკა, ამავე დროს, არის შემეცნების თეორიაც. შემეცნების ისტორია და თეორია, აღებული მის არსებაში, არის ლოგიკა.

კატეგორიების, როგორც შემეცნების ისტორიის საკვანძო პუნქტების, ლოგიკური სუბორდინაცია არის ლოგიკური განვითარება. რომელსაც ლოგიკა, სწორედ დიალექტიკური ლოგიკა სწავლობს კატეგორიების, როგორც ცნებების, ლოგიკური კავშირი არსებიფის

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 255—314.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 326—327.

[3] იქვე, გვ. 325 და თხზ. ტ. 14, გვ. 460.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ, ტ, 38, გვ. 83.

[5] იქვე, გვ. 83—84.

შემეცნებაში, შემეცნების ისტორიასა და თეორიაში. რადგან აქ ერთსა და იმავე დროს გვაქვს ასახვა — შემეცნება, ლოგიკური და ლოგიკურის ისტორია-განვითარება, ამიტომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთსა და იმავე მეცნიერებას წარმოადგენს.

კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის აზრით, ლოგიკური არის შემეცნების ისტორიული მის ზოგადობაში. სწორედ ამგვარად ვაგებული ლოგიკურის საფუძველზე წყდება და უნდა გადაწყდეს ლოგიკურის აპოდიქტურობის პრობლემა. ლოგიკური არის ისტორიულის არა მარტო ასახვა, არამედ იგი (ლოგიკური) თვითონ არის ისტორია, როგორც „ლოგიკური განვითარება" (ფ. ენგელსი). ლოგიკური განვითარება, როგორც ამას შემდგომ გავარკვევთ, არის დასაბუთება. დასაბუთება, როგორც ლოგიკური განვითარება, ისტორიულის ასახვას წარმოადგენს. ამიტომ დასაბუთების აპოდიქტურობა, ობიექტურობა დამტკიცებულია.

ყოველგვარი მოძრაობა-განვითარების, კერძოდ, შემეცნების ისტორიისა და ლოგიკური განვითარების არსება არის დაპირისპირებულთა ერთიანობა (თანახმად მატერიალისტური დიალექტიკისა). ამ არსებაში, ცხადია, ერთიმეორეს ემთხვევა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია. დაპირისპირებულთა ერთიანობაში ერთიმეორეს ემთხვევა დიალექტიკური, შემეცნებითი და ლოგიკური, ამიტომ ერთი და იგივეა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია. საგნის იგივეობა მის შესაბებ მეცნიერებებსაც აიგივებს.

ლოგიკური არის ისტორიულის ასახვა. ისტორიულის ამსახველი ლოგიკური, ამავე დროს, ჰეშმარიტებასაც წარმოადგენს. რეალურ-ისტორიულის საფუძველზე ლოგიკური შემეცნებითიცაა; ორივე განვითარებას წარმოადგენს, ე. ი. ორივე დიალექტიკურია. მაშასადამე: 1) დიალექტიკური, ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა, ამიტომ 2) დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

§ 190. ლოგიკურის ჰეშმარიტება

წინა პარაგრაფის შინაარსიდან უშუალოდ გამომდინარეობს ლოგიკურის ჰეშმარიტობის ცნების სისწორე-სამართლიანობა. დიალექტიკაში, ლოგიკასა და შემეცნების თეორიაში აღგილი აქვს ერთსა და იმავე ობიექტურობას. ლოგიკურის ობიექტურობა, როგორც ითქვა, არის ჰეშმარიტების ობიექტურობა. ამდენად შეიძლება ლაპარაკი ლოგიკურის ჰეშმარიტობის შესახებ. ლოგიკურის ჰეშმარი-

ტობა ისაა, რომ აზრში არის ობიექტური; აზრში ობიექტური კ არის ის, რომლის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია; წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ეს უარყოფა იქნებოდა ობიექტური; ამიტომ აზრში ობიექტური არის ის, რომლის ლოგიკური უარყოფა მასვე ადგენს. ლოგიკურის ობიექტურობას ემყარება ლოგიკური აუცილებლობა; სრული ლოგიკური აუცილებლობა, რომელიც, მაგალითად, ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობაში ხორციელდება, ემთხვევა ლოგიკურ ობიექტურობას, რასაც ლოგიკურის ჰეშმარიტობა წარმოადგენს.

უსასრულო დასკვნაში განხორციელებული ობიექტურობა ლოგიკურის ჰეშმარიტობას წარმოადგენს. ეს ჰეშმარიტობა აბსოლუტური ხასიათისაა, განისაზღვრება უსასრულობის ბუნებით. უსასრულო დასკვნის მომენტების — დადგენის და უარყოფის — ობიექტურობა და ჰეშმარიტობა კი სასრული ბუნებისაა. პირველი ობიექტურობა-ჰეშმარიტობა უპირობოა, მეორე — პირობითი, რადგან სასრული ლოგიკური ექვემდებარება პრინციპს „თუ-მაშინ". უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს იმას, რასაც სისწორეს ეძახიან. სისწორე ანუ „ლოგიკური ჰეშმარიტება", რომელიც ერთადერთად იყო და არის მიჩნეული ფორმალურ ლოგიკაში, მხოლოდ პირობითი ლოგიკურის, ცალმხრიობის ლოგიკურის ჰეშმარიტობას წარმოადგენს. ლოგიკური პირობითობის ჰეშმარიტობა გამართლებას მოითხოვს, რაც ხორციელდება უპირობო ლოგიკურის ჰეშმარიტობაში.

ფორმალურ-ლოგიკური არის სასრული ლოგიკური, სადაც აუცილებელი არის ის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია. აუცილებლობა, როგორც საწინააღმდეგოს შეუძლებლობა, არ არის ჰეშმარიტების გარეშე აღებული ლოგიკური. ამ სასრულ-ლოგიკურშიც ლოგიკური და ჰეშმარიტება გარკვეულ ასპექტში ერთი-მეორეს ემთხვევა. ეს დამთხვევა მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ლოგიკური გზა არის გზა ჰეშმარიტებისაკენ, რომ ჰეშმარიტება არის საზომი ამ გზის ავკარგიანობის, არამედ იმაშიც, და ეს არის აქ მთავარი, რომ საწინააღმდეგოს შეუძლებლობა არის, ერთსა და იმავე დროს, ლოგიკურიც და ჰეშმარიტებაც. წინააღმდეგობა მიჩნეულია შეცდომად, მისი შეუძლებლობა კი ჰეშმარიტებაცაა და ლოგიკურის გამართლებაც (ამის შესახებ გვექნება საუბარი, სახელდობრ, მაშინ, როცა ჩვენს საკითხს განვიხილავთ ლოგიკური კანონის ასპექტში).

მაგრამ დასაბუთების აუცილებლობა — დასაბუთებაში განხორციელებული ლოგიკური აუცილებლობა — არ უდრის საწინააღმდეგოს შეუძლებლობის აუცილებლობას, რადგან რამდენადაც რაი-

მე არის აუცილებლად ეს საწინააღმდეგოს შეუძლებლობის გამო, ამდენად რაიმეს ცნება საწინააღმდეგოს ნიშანსაც აუცილებლობით გულისხმობს. ამ გარემოებას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ დასაბუთების უარყოფა შეუძლებელია. დასაბუთება ყოველთვის ხორციელდება მტკიცება-უარყოფის საშუალებით; დასაბუთება მტკიცება-უარყოფის გზით არის შესაძლებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ უარყოფა არის დასაბუთების აუცილებელი ელემენტი. ამიტომ დასაბუთების უარყოფის შემთხვევაში (მაგალითად, ძველი სკეპტიკოსების „ახალი ტროპების“ შემთხვევაში) გამოყენებულია დასაბუთების ერთი, ძირითადი ელემენტი „უარყოფა“, რომლის საშუალებითაც შესრულებულია დასაბუთების უარყოფა. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთების უარყოფისას მოხმარებულია დასაბუთება; დასაბუთების შეუძლებლობას ა ს ა ბ უ თ ე ბ ე ნ. ამრიგად, დასაბუთების უარყოფა ადგენს დასაბუთების აუცილებლობას. დასაბუთების ლოგიკური უარყოფა არა მხოლოდ ლოგიკური შეუძლებლობაა, არამედ ის არის შეუძლებლობა ჭეშმარიტების თვალსაზრისითაც. დასაბუთების უარყოფით დასაბუთების აუცილებლობის დადგენა, ეს არის, ამავე დროს, დასაბუთებაში ჭეშმარიტების ლოგიკურად გამართლებაც.

რაიმეს დასაბუთება არის ამ რაიმეს აუცილებლობის ჩვენება; რომ რაიმე ლოგიკურად აუცილებელია, ეს მის დასაბუთებას ნიშნავს. მაგრამ ეს დასაბუთება სხვა არაფერია, თუ არა იმის დადგენა, რომ რაიმე არის ასე და არა სხვანაირად; ამიტომ დასაბუთება არის ახსნაც. ახსნა კი შემეცნებით ჭეშმარიტობასაც ნიშნავს. ამიტომ დასაბუთება არის ჭეშმარიტებაც. მაგალითად, მსჯელობა, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, თავისი ბუნებით არის ანტინომიური. ამ ანტინომიურობის გადაწყვეტა დასკვნაში ერთსა და იმავე დროს არის მსჯელობის დასკვნაში ლოგიკური აუცილებლობით გადასვლაც და მსჯელობის ანტინომიურობის ახსნა-გადაწყვეტაც, ე. ი. ჭეშმარიტებაც. ამრიგად, დასაბუთება მხოლოდ იმას კი არ მოითხოვს, რომ ლოგიკური აუცილებლობა განხორციელდეს ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან გამოსვლით, არამედ იმასაც, და ეს არის მთავარი, რომ თვითონ დასაბუთებაში განხორციელდეს ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება „გაგრძელებაშია“ [1]. დასაბუთებაში ლოგიკური აუცილებლობა და ჭეშმარიტება ერთიმეორეს ემთხვევა. სხვაგვარი დასაბუთება, საბოლოო ანგარიშში, შეუძლებელია.

როგორც ვიცით, ლოგიკური, რომელიც განხორციელებს დამო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 168.

კიდებულებას „თუ—მაშინ“, არის პირობით-ლოგიკური, ანუ რელატიურ-ლოგიკური. არსებობს რელატიურ-ლოგიკური, ისე როგორც არსებობს რელატიური ჭეშმარიტება. რელატიური ჭეშმარიტება, როგორც ცნობილია, ნაწილობრივი ჭეშმარიტებაა; ის არის უპირობო თუ აბსოლუტური ჭეშმარიტების ნაწილობრიობა, მისი „მარცვალი“. ასევე ითქმის, როგორც ვიცით, პირობითი ლოგიკურის შესახებაც; ისიც არის უპირობო ლოგიკურის „მარცვალი“, ერთმხრიობა. უპირობო-აბსოლუტური ლოგიკური არის უარყოფის საშუალებით თვითდადგენის ლოგიკური — უსასრულო დასკვნის ლოგიკური, პირობითი ლოგიკური კი მისი მომენტია, ეს არის დადგენის ან უარყოფის ლოგიკური. რაიმეს დადგენა ან უარყოფა, არის სხვით დადგენა-უარყოფა, გარეგანი ლოგიკური საფუძვლით დადგენა ან უარყოფა, მაშინ როცა თვითდადგენა შინაგანი საფუძვლის მქონე ლოგიკურია. პირველი პირობით-ლოგიკურია, მეორე — უპირობო ლოგიკური.

აქ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ პირობით-ლოგიკურის დროს ლოგიკური და ჭეშმარიტება შეიძლება ერთი მეორეს დასცილდეს, რამდენადაც შესაძლებელია პირობითად ავიღოთ მცდარი, როგორც ჭეშმარიტი, და იქედან ლოგიკური სიწორით გამოვიყვანოთ დანასკვი. ეს გარემოება, როგორც ცნობილია, არისტოტელემაც ზუსტად განსაზღვრა და იგი საფუძველად დაედო ლოგიკურის ჭეშმარიტებიდან მოწყვეტის ტენდენციას. მაგრამ უპირობო ლოგიკურში შეუძლებელია ლოგიკურის და ჭეშმარიტების ერთიმეორისაგან დაცილება, აქ ისინი ერთიმეორეს ემთხვევიან. რაიმეს უარყოფის შეუძლებლობა და რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის ლოგიკური აუცილებლობა, ამავე დროს, არის აბსოლუტური ჭეშმარიტებაც. ამ გარემოების მაგალითად ფილოსოფიის ისტორიიდან გამოდგება დეკარტის cogito, თუ მივიღებთ მის ჩვენებურ ინტერპრეტაციას. აზრის უარყოფა შეუძლებელია, აზრის ლოგიკური უარყოფა თვითონ აზრის დადგენაა, რადგან ეს უარყოფა თვითონ არის აზრი, და სწორედ ამ უარყოფით ხორციელდება დასაბუთება როგორც გარკვეული თვითდადგენა. დეკარტის აზრით (როგორც ეს ჩვენ გავარკვიეთ ნაშრომში „მსჯელობის საწყისი“), „cogito, ergo sum“ გამოთქვამს და წარმოადგენს უმაღლეს — აბსოლუტურ— ჭეშმარიტებას. ამის შემდეგ საკვირველია დეკარტეს მიერ ღმერთის მოშველიება დებულებათა ჭეშმარიტობის გასამართლებლად. თუ cogito-ში მიგნებულია აბსოლუტური ჭეშმარიტება, მაშინ სწორედ ის გაამართლებს სხვა დებულებების ჭეშმარიტებას; ღმერთი სრულიად ზედმეტი ბარგი ხდება.

ის გარემოება, რომ უსასრულო ლოგიკურში ერთიმეორეს ემთხვევა ლოგიკური და ჰეშმარიტება, და ის გარემოება, რომ უსასრულო ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს (შინაგანი უარყოფით თვითდადგენა დაპირისპირებულთა ერთიანობაა), ნიშნავს იმას, რომ ლოგიკური და შემეცნებითი დიალექტიკური ბუნებისაა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. ლოგიკურის დიალექტიკურობა უზრუნველყოფს ლოგიკურის ჰეშმარიტობას და პირიქით, ლოგიკურის ჰეშმარიტობა მის დიალექტიკურობაში მდგომარეობს.

დიალექტიკურ-ლოგიკურის ჰეშმარიტობა ვლინდება აზრის ლოგიკურ ფორმებში. მსჯელობა არის რელატიურ-ლოგიკური — სრული ლოგიკურის ერთმხრივობა, ასეთივეა მისი — მსჯელობის, როგორც ლოგიკურის, ჰეშმარიტობაც. უსასრულო დასკვნაში ხორციელდება ლოგიკურის სისრულე — სრული ლოგიკური; ეს არის აბსოლუტურ ლოგიკური; ასეთივეა მისი ჰეშმარიტობაც. მსჯელობის აზრი, როგორც ვიცით, მტკიცება-უარყოფაში მდგომარეობს, დასკვნა კი მტკიცება-უარყოფის ერთიანობას წარმოადგენს. მსჯელობა მართლდება დასკვნაში; მსჯელობის ჰეშმარიტობა დასკვნაში დგინდება. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მსჯელობის დასკვნაში გადასვლა არის მისი დასაბუთება, რომელსაც განვითარების ხასიათი აქვს. ამიტომ შეიძლება ითქვას და უნდა ითქვას, რომ ობიექტურის, ჰეშმარიტობის და ლოგიკურის უმაღლესი ფორმა არის წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელიც მოქმედებს უნივერსალური კანონის აზრით. რადგან საგანი განსაზღვრავს აზრს, ამიტომ ლოგიკურის აქ დახასიათებული ბუნება განსაზღვრავს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობას. ეს იმასაც ნიშნავს, რომ როგორიც არის ლოგიკურის შინაარსი, ისეთივეა მისი ფორმა. შინაარსი განსაზღვრავს ფორმას.

§ 191. ლოგიკური ფორმის შინაარსეულობა

აქ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ, იმის ჩვენება, რომ ლოგიკური ფორმის შინაარსეულობის გამო (და ამ ასპექტში) დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

მცდარად უნდა ჩაითვალოს ლოგიკურში ფორმისა და შინაარსის ურთიერთგამომრიცხავი დაპირისპირება, კერძოდ, შეხედულება, რომლის თანახმად ლოგიკას თითქოს საქმე აქვს აზრის ფორმასთან შინაარსის გარეშე. არ უნდა იყოს სწორი იმის თქმა, თითქოს ფორ-

მალური ლოგიკა სწავლობს აზრის მხოლოდ ფორმებს, დიალექტიკური ლოგიკა კი აზრის შინაარსს, და ამიტომ იგი არის შინაარსეული თუ საგნობრივი ლოგიკა (მაშინ როცა აზრის მხოლოდ ფორმის შემსწავლელი მეცნიერება ფორმალურ ლოგიკას წარმოადგენს). ვერც ფორმალური ლოგიკა იარსებებს წმინდა ფორმების საფუძველზე და არც დიალექტიკურ ლოგიკას შეუძლია იარსებოს, თუ ის აზრის ფორმებს არ შეისწავლის. ლოგიკური ფორმის შინაარსეულობა აუცილებელია თვითონ ფორმის არსებობისათვის, და ამიტომ — როგორც ფორმალური ლოგიკისათვის, ისე დიალექტიკური ლოგიკისათვის, ე. ი. ლოგიკისათვის საერთოდ.

ყველა მეცნიერება სწავლობს ფორმას, სახელდობრ, მოძრაობის ფორმებს, მაგრამ ეს ფორმები არიან შინაარსის ფორმები, შინაარსის შინაგანი ფორმები. ფორმა არის შინაარსის შინაგანი გარკვეულობა, არსებითი გარკვეულობა, მისი არსება. ფორმის შესწავლა სხვა არაფერია, თუ არა შინაარსის შესწავლა. საგნის ცოდნა და მისი შინაგანი ფორმის შესწავლა ერთი და იგივეა. ეს გარემოება მატერიალისტურ დიალექტიკაში გარკვეული და დასაბუთებულია, გარკვეულია ის ზოგადი პრინციპი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ყველა მეცნიერებაში, კერძოდ კი, ლოგიკაში.

დიალექტიკურ მატერიალიზმში გარკვეულ-დასაბუთებულია ის, რომ აზრის ჰეშმარიტი შინაარსი საგნობრივი ხასიათისაა. აზრის შინაარსი, ეს არის საგნის შინაარსი, გადატანილი და გადამუშავებული აზრში.[1] ის არის საგნის შინაარსის რეპროდუქცია.[2] ამიტომ აზრი განისაზღვრება საგნით, საგნის განსაზღვრულობით.

ფორმალურ ლოგიკაში ცნობილია, რომ საგნის ცნების განსაზღვრება არის საგნის არსებითი ნიშნების დადგენა. საგნის ცნება არის აზრი საგნის არსების შესახებ. მაგალითად, ადამიანის ცნების ძირითად ნიშნად ითვლება ადამიანის ძირითადი ნიშანი — იარაღის მკეთებლობა, — მიუხედავად იმისა, რომ იარაღის მკეთებელი არის ადამიანი და არა ადამიანის ცნება. ამიტომ ცნების განსაზღვრება საგნობრივი ხასიათისაა თვითონ ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისითაც. როცა ლოგიკაში ვლაპარაკობთ შინაარსზე, მაშინ, ცხადია, მხედველობაში უნდა გვქონდეს შინაარსი, რომელიც ცნების განსაზღვრებით დგინდება. განსაზღვრება არის ლოგიკურის შინაარსის დადგენის ერთადერთი ლოგიკური საშუალება. განსაზღვრება არის საშუალება, რომლითაც ცნება დგინდება, სულ ერთია ეს იქნება საგნის ცნება, თუ აზრის ცნება. ცნება საგნის შესახებ და ცნება აზ-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 23.

[2] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281—282.

რის შესახებ ერთი და იგივე საშუალებით დგინდება, სახელდობრ, იმ საშუალებით, რომლითაც დგინდება სწორედ შინაარსი. ცნების შინაარსის თვალსაზრისით შეუძლებელია ფორმა არ იყოს შინაარსეული.

ლოგიკური ფორმის შინაარსეულობა ორგვარია: 1) საგნობრივი შინაარსეულობა და 2) ლოგიკური ფორმის საკუთარი შინაარსი, თვითონ ფორმის შინაარსი. როგორც ვიცით, შეუძლებელია ფორმა შინაარსის გარეშე, წმინდა ფორმა. ასეთი ფორმა რომ არსებობდეს, მაშინ მასაც ექნება თავისი საკუთარი შინაარსი, რომელიც იგივე იქნება, რაც წმინდა ფორმის ცნების შინაარსი, რომელიც სწორედ ამ ცნების განსაზღვრებით დადგინდება და უნდა დადგინდეს.

როგორც ვიცით, ლოგიკური ფორმები იმ ზოგადობით განისაზღვრება, რომელსაც სინამდვილეში არსებული კავშირები შეიცავენ, მაგალითად, დადებითი მსჯელობა, როგორც ლოგიკური ფორმა, რომელიც ზოგადია თავისი ბუნებით, განისაზღვრება საგნებში არსებული დადებითი კავშირის ზოგადობით, ამ ზოგადობის შინაარსით, მაშინ როცა ემპირიული შინაარსის მრავალგვარობა გამოირიცხება, თუმცა ეს მრავალგვარობა საგანთა კავშირის ზოგადობით განისაზღვრება და მას ემორჩილება. ზოგადად რომ ვთქვათ, საგანთა ურთიერთობის დიალექტიკურობა განსაზღვრავს აზრის ლოგიკური მოძრაობის დიალექტიკურობას. მაგრამ ამ გარემოებას ემატება ისიც, რომ ლოგიკურ ფორმას თავისი საკუთარი შინაარსი აქვს. რასაც ფორმა წარმოადგენს, ის არის მისი შინაარსი. ლოგიკური ფორმის ცნების განსაზღვრება ადგენს მის შინაარსს. ცნების შინაარსი მისი განსაზღვრებით დგინდება, ასე დგინდება მსჯელობის, ცნებისა და დასკვნა-დასაბუთების ცნების შინაარსი. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ლოგიკა შეისწავლის აზრის ლოგიკურ ფორმებს არა შინაარსის გარეშე, არამედ სწორედ შინაარსეულ ფორმებს. ლოგიკური ფორმის შესწავლა, მისი შინაარსის შესწავლაა.

არ არსებობს უშინაარსო, წმინდა ფორმა. აზრის წმინდა ფორმას თავისი შინაარსი აქვს. რასაც ეს წმინდა ფორმის ცნება შეიცავს, ის არის მისი შინაარსი. ყოველგვარი აზრი თავისი ბუნებით არის შინაარსი. ამიტომაა, რომ ლოგიკის ფორმალიზაციას შინაარსის გამორიცხვით საქმე მიყავს აზრის გამორიცხვამდე, ისეთი სიმბოლოებისა და სქემების აღიარებამდე, რომლებიც აზრს არ წარმოადგენენ; ლოგიკის ფორმალიზაციას აზრი დაყავს სიმბოლოებზე, სქემებზე, რომლებიც წარმოადგენენ ან ენობრივ სქემებს ან საგნობრივ სქემებს, ანდა: ამ ორი სქემის იგივეობას, აზრს კი მის ერთერთ

მოდელად განიხილავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლოგიკური დაუქვემდებარო არა ლოგიკას, არამედ მათემატიკას, მაშინ როცა ლოგიკა ყოველი მეცნიერების (კერძოდ, ფილოსოფიის) ლოგიკას უნდა წარმოადგენდეს.

ლოგიკას საქმე აქვს აზრის ზოგად ფორმებთან და არა მათ ემპირიულ შინაარსთან. სქემა, სიმბოლო არ შეიძლება აზრის ზოგადობას წარმოადგენდეს, რადგან თვითონ არ არიან აზრები, აზრის ფორმები. ერთადერთი უზოგადესი, როგორც ვიცით, ეს არის კატეგორიის ზოგადობა. კატეგორიების ფორმალიზაცია კი, როგორც ცნობილია, შეუძლებელია. კატეგორიები უზოგადესი ცნებები. უზოგადესი აზრებია, რომლებიც ასახავენ სინამდვილის უზოგადეს მხარეებს. ამიტომ ისინი შინაარსეული აზრებია. კატეგორია არის აზრის ფორმა (კანტთან კატეგორია მსჯელობის ფორმაა), რომელსაც საკუთარი შინაარსიც აქვს და საგნობრივი შინაარსიც, ისე რომ კატეგორიის საგნობრივი შინაარსი განსაზღვრავს მის საკუთარ შინაარსს და ამ შინაარსის ზოგადობას. დიალექტიკური ლოგიკა, უპირველეს ყოვლისა, არის კატეგორიების ლოგიკა, ამიტომ ის შინაარსეული ფორმების შესახებ მეცნიერებას წარმოადგენს. ცნების, მსჯელობის და დასკვნის კატეგორიები, მართალია, სინამდვილის უზოგადეს მხარეებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ასეთ მხარეებს ემყარებიან. ამიტომ მათ საგნობრივი შინაარსი აქვთ.

სქემა თუ სიმბოლო გარკვეული შინაარსის და მნიშვნელობის მქონეა. მაგალითად, სიმბოლო A არის A და არ არის B და სხვ. იგივეობრივად მოხმარებული სიმბოლო (მაგალითად, A) მის შინაარსზე და ზოგადობაზე მიუთითებს. თუ სიმბოლოს, სქემას მნიშვნელობის და შინაარსის გარეშე ავიღებთ, მაშინ ისინი თვითონ იქნებიან გარკვეული საგნები. ასე რომ უშინაარსობის მიღება ე. ი. მხოლოდ წმინდა ფორმების თუ სქემების მიღება შეუძლებელია, თუმცა სწორედ ასეთ რამეს ემსახურება ლოგიკის ფორმალიზაცია, აქსიომატური მეთოდის გამოყენება ლოგიკაში (რომლის შეუძლებლობაზე ქვემოთ გვექნება სპეციალურად საუბარი). შეუძლებელია შინაარსისაგან და ზოგადობისაგან განთავისუფლება ლოგიკაში ისე, რომ ლოგიკის უარყოფა არ მივიღოთ და არ გადავიდეთ სხვა სფეროში, რომელიც ლოგიკას კი არ იმორჩილებს, არამედ მას ემორჩილება, მას იყენებს.

ლოგიკურ ფორმას აქვს საკუთარი შინაარსი (ჰეგელი, მარქსი). ყოველგვარი განსხვავებულობა არის შინაარსი. უარყოფაც გარკვეული შინაარსია (განსხვავება არის უარყოფა). აზრის ფორმების, მათი სახეების სხვადასხვაობა, აზრის კანონების სხვადასხვაობა ლოგიკის

შინაარსია. სწორედ იმის გამო, რომ აზრის ფორმებს საკუთარი შინაარსი აქვთ, ისინი ერთიმეორეს უკავშირდებიან. აზრის ლოგიკური ფორმები საკუთარი შინაარსით და ამ შინაარსის გამო შინაგანი აუცილებლობით ერთიმეორეს უკავშირდებიან და ქმნიან სისტემას, რომელსაც ლოგიკური განვითარების ხასიათი აქვს. შინაარსის გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს ლოგიკური აუცილებლობა, სახელდობრ, სინთეზურ-ლოგიკური აუცილებლობა, ლოგიკური განვითარება.

რაიმეს შინაარსი არის შ ი ნ ა- ა რ ს ი. შინა-არსი არის არსი არსში, არსი თავისთავში; ეს არის თავისთავში გაორებული არსი, თვითმყოფი არსი, თვითმყოფი. თავისთავთან მიმართებაში მყოფი არსი არის არსება[1] (ეს აზრი მომდინარეობს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ წყაროებიდან. სწორედ ამ წყაროებში გამოთქმული აზრი, რომელიც გაბატონებული იყო ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეებში, განავითარა ჰეგელმა თავის „არსების ლოგიკაში“). შინაარსი არის თავის თავში გაორებული და რეფლექსური არსი. ასეთია ლოგიკური ფორმების შინა-არსი; ისინი, როგორც ვიცით, რეფლექსური ბუნებისაა.

ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ რადგან აზროვნების ფორმები რეფლექსური ხასიათისაა, ამიტომ არიან ისინი შინა-არსის მქონე, შინაარსეული ხასიათის. შინაარსის გარეშე შეუძლებელია რეფლექსურობა. რეფლექსურობა ეს არის თვითონ შინა-არსი .ასე რომ აქ ერთიმეორეს ემთხვევა შინაარსი და ფორმა; უკეთ, შინაარსი განსაზღვრავს ფორმას. ლოგიკურის კატეგორია, როგორც აზრის ფორმა, რეფლექსურია, ის არის თავისი საკუთარი შინა-არსი. ცნება არის შინა-არსი და ამავე დროს აზრის ერთ-ერთი ლოგიკური ფორმა. მსჯელობის მსჯელობა არის მისი შინა-არსი და გარკვეული ფორმა. მსჯელობის უარყოფა ისევ მსჯელობაა. ეს შინა-არსი არის მისი ფორმა. მსჯელობათა აუცილებელი კავშირი არის დასკვნის შინა-არსი და აზრის თავისებური ფორმა. რეფლექსურობა სრული აზრით, როგორც ვიცით, უსასრულო დასკვნაში ხორციელდება.

ერთი სიტყვით, შეუძლებელია ლოგიკური, როგორც რეფლექსური, არ იყოს შინაარსეული ფორმა. ლოგიკურის შინაარსეულობა კი არ შეიძლება არ იყოს, ამავე დროს, შემეცნებითიც. სწორედ ლოგიკური შინაარსეულობის ასპექტში არის იგივეობრივი დიალექტიკური, ლოგიკური და შემეცნებითი. იმ იგივეობის გამო და მის ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე მეცნიერებაა.

[1] იხ. ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, იხ. „მყოფი“.

წინა პარაგრაფიდან უშუალოდ გამომდინარეობს ის, რომ: 1) კატეგორიალურ-ლოგიკურისა და 2) ზოგადობის შინაარსეულობის გამო ერთი და იგივეა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია. ამ პარაგრაფში განვიხილოთ პირველი საკითხი—საკითხი კატეგორიულ-ლოგიკურის შესახებ; შემდეგ პარაგრაფში კი—მეორე საკითხი.

კატეგორიალურ-ლოგიკური არის ის ლოგიკური, რომელიც უშუალოდ არის განხორციელებული კატეგორიების კავშირში. ეს კავშირი, ცხადია, ლოგიკური კავშირია. დიალექტიკური ლოგიკა, უპირველეს ყოვლისა, არის კატეგორიების ლოგიკა. დიალექტიკური ლოგიკა ლოგიკური კატეგორიების სისტემას წარმოადგენს. კატეგორიებს და მათ კავშირებს ლოგიკაში ყველაფერი ექვემდებარება; ეს დაქვემდებარებულიც მის შინაარსში შედის. დიალექტიკური ლოგიკა არის გარკვეული კატეგორიების სისტემა, რომელიც ლოგიკის მთელ შინაარსს მოიცავს. დიალექტიკური ლოგიკა არის კატეგორიების და მასზე დაქვემდებარებულის შესახებ მეცნიერება. კატეგორიების და მათი ლოგიკური კავშირების შეტანით ლოგიკა განვითარდა და გადაიქცა დიალექტიკურ ლოგიკად. ფორმალურმა ლოგიკამ არ იცის კატეგორიები, როგორც ლოგიკური ფორმები (პირველად კანტმა გაიგო კატეგორია როგორც ლოგიკური ფორმა, სახელდობრ, როგორც მსჯელობის ფორმა). დიალექტიკური ლოგიკა, როგორც კატეგორიების ლოგიკა, არის ისეთი ლოგიკა, რომელშიც ერთი და იგივეა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია (გნოსეოლოგია).

კატეგორიები, როგორც უზოგადესი ცნებები, ლოგიკური ცნებებია. ყველა ფილოსოფიური კატეგორია, როგორც სწორედ ცნება, ლოგიკურ კატეგორიას წარმოადგენს. ყველა კატეგორია ლოგიკურია, მაგრამ, როგორც ვიცით, ლოგიკური კატეგორია განსხვავდება ლოგიკურის კატეგორიისაგან. ლოგიკური კატეგორიის გარკვეული —კონკრეტული უარყოფა გვაძლევს სხვა კატეგორიას, თუ კატეგორიები განხილულია მათ სისტემაში, როგორც გარკვეულ განვითარებაში. ლოგიკურის კატეგორიის უარყოფა კი შეუძლებელია; რომელიმე ლოგიკურის კატეგორიის უარყოფა თვითონ მოიხმარს ამ კატეგორიას, გარკვეულად ადგენს მას. ეს განსხვავება არის ლოგიკური განსხვავება; მაგრამ ის არის, ამავე დროს, შემეცნებითი განსხვავებაც, რადგან: 1) სხვაზე გადასვლა არის სხვისი ახსნა-დასაბუთება, 2) თავისთავზე დაფუძნება არის თავისთავის ახსნაც და სხვისი ამხსნელი საშუალების დადგენა. ერთ შემთხვევაში სხვისი დად-

გენა და ახსნაა. მეორე შემთხვევაში კი ახსნის და დადგენის საწყისი საშუალება გვაქვს. ამ განსხვავებაში ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა. ლოგიკურის კატეგორია, როგორც რეფლექსური, დიალექტიკურია, ის ორმნიშვნელოვანების შემცველია. კატეგორიალურ-ლოგიკური შემეცნებითიცაა.

ისიც ვიცით, რომ ონტოლოგიის კატეგორია შეიძლება იყოს ლოგიკურის კატეგორიაც. მაგალითად, იგივეობას ადგილი აქვს სინამდვილეშიც და ლოგიკურშიც; ასეთია განსხვავება, უარყოფა, ზოგადი და სხვ. ამიტომ ასეთი კატეგორიების ასპექტში ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა; ისინი ობიექტური არიან, რადგან ემყარებიან არსისა და აზრისთვის საერთო კატეგორიას. ამგვარ კატეგორიებზე დამყარებული ლოგიკა აუცილებლად იქნება ონტოლოგიური ლოგიკა, რომელშიც ლოგიკური არ შეიძლება არ დაემთხვეს შემეცნებითს. მასში ობიექტური არის ჭეშმარიტების ობიექტურობის ბუნების მქონე. ონტოლოგიისა და ლოგიკის საერთო კატეგორიის თვალსაზრისით არ შეიძლება დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთსა და იგივე მეცნიერებას არ წარმოადგენდეს.

ლოგიკურის კატეგორია არის აზრის ფორმაც და ცოდნის ფორმაც. ამ კატეგორიის ასპექტში აზრის ფორმას და ცოდნის ფორმას შორის არ არის განსხვავება, როგორც ეს კანტს ჰქონდა წარმოდგენილი, როცა იგი კატეგორიას ცოდნის ფორმად თვლიდა, თუ ის სასრულო სფეროსადმი, სახელდობრ, გრძნობადი სფეროსადმი იყო გამოყენებული; უსასრულობის (ზეგრძნობადი) სფეროსადმი კატეგორიის გამოყენება კი, კატეგორიას აზრის ფორმად ტოვებდა, მაგრამ მას ცოდნის ფორმის მნიშვნელობა ერთმეოდა, რადგან უსასრულობა არ შეიძლება ცდაში იყოს მოცემული. მაგრამ უსასრულობის ლოგიკური გაგება, სახელდობრ, ისეთი გაგება, რომელიც ჩვენს მიერ არის დასაბუთებული, ანგრევს კანტის აქ აღნიშნულ შეხედულებას. ლოგიკური უსასრულობა, როგორც ლოგიკური რეფლექსური, წარმოდგენილი ლოგიკურის კატეგორიის სახით, არა მარტო აზრის ფორმაა, არამედ ცოდნის ფორმასაც წარმოადგენს. ამ აზრით, კანტის იდეა კატეგორიის როლს შეასრულებს და კატეგორია უმაღლეს ცნებად წარმოდგება, როგორც ეს შემდგომ ჰეგელმა წარმოიდგინა (ფიხტემ კი ვერ დასძლია კატეგორიის და იდეის დუალიზმი). ლოგიკურის კატეგორიები არიან როგორც ლოგიკური, ისე შემეცნებითი პირველი საშუალებები—ფორმები, რომელთაც ობიექტური ხასიათი აქვთ. ამ სფეროში ლოგიკური არის კატეგორიალურ-ლოგიკური,

რომელიც ამავე დროს კატეგორიალურ-შემეცნებითიც არის და არ შეიძლება არ იყოს.

კატეგორიები მოქმედებენ ლოგიკურის კანონებში. რომლებიც, როგორც ამას ქვემოთ ვაჩვენებთ, ცოდნის კანონებსაც წარმოადგენენ. კანონი თვითონ არის ერთ ერთი კატეგორია .ის ერთნაირად მოქმედებს აზრში და ცოდნაში; იგივეობის კატეგორიას ეყრდნობა იგივეობის კანონი, რომელიც ერთი და იგივეა ცოდნაში და აზრის ლოგიკურ ფორმებში. ასე ითქმის წინააღმდეგობის და უარყოფის კატეგორიებზეც და სხვ.

კატეგორიები მოქმედებენ აზრის ფორმებში—ცნება-მსჯელობა-დასკვნაში. როგორც ვიცით, მსჯელობის ზოგადი ფორმა არის კერძის და ზოგადის კატეგორიების კავშირი. ასეთი მსჯელობებისგან შემდგარი დასკვნაც კატეგორიების კავშირს წარმოადგენს. ცნება თვითონ არის ზოგადობა, სახელდობრ, დასკვნის ზოგადი აზრი. ასე რომ კატეგორიალურ-ლოგიკური განსაზღვრავს აზრის ფორმებს. კატეგორიების აზრის ფორმებში მოქმედების გამო ეს ფორმები ცოდნის, შემეცნების ფორმებსაც წარმოადგენენ. ამიტომ კატეგორიალურ-ლოგიკურის ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე უნდა იყოს.

თუ აზროვნების უნივერსალურ კანონად წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს მივიჩნევთ, მაშინ წინააღმდეგობის, უარყოფის, იგივეობის და შესაძლებლობის კატეგორიები, რომლებსაც ეს კანონი აუცილებლობით გულისხმობს, ერთნაირად მოქმედებენ ლოგიკურ ფორმებში და ცოდნაში. კატეგორიების გარეშე არ შეიძლება აზროვნება და შემეცნება. ლოგიკურიც და შემეცნებაც ერთი და იგივეა ამ კატეგორიების ასპექტში. ისიც ცნობილია, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი მიჩნეული იყო არსებობის კანონადაც, რადგან წინააღმდეგობა, როგორც თვითგაუქმება, შეუძლებელს ხდის საგნის არსებობას. მაგრამ თუ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს ჩავთვლით (და უნდა ჩავთვალოთ) უნივერსალურ კანონად, მაშინაც ერთი და იგივე კატეგორიები იმოქმედებენ ლოგიკურში და შემეცნება-ცოდნაში. მატერიალისტური დიალექტიკის თეორიაში ცნობილია, რომ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი მთელი სინამდვილის უნივერსალური კანონია. ის მოქმედებს ლოგიკურში და შემეცნებაშიც. დიალექტიკური აზროვნების წესი არის ის ლოგიკური წესი, რომელიც შემეცნების (და მოქმედების) მეთოდს წარმოადგენს. ამიტომ ის კატეგორიები, რომლებიც ნაგულისხმევია წინააღმდეგობის ერთიანობის მიერ, სახელდობრ, იგივეობის, განსხვავების, უარყოფის, ერთიანობის და დაპირისპირება- წინააღმდეგობის

კატეგორიები ერთი და იგივეა ლოგიკურ ფორმებში და ცოდნაში. ამიტომ ამ კატეგორიების ასპექტში, დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

წინააღმდეგობის ერთიანობა არის ყოველგვარი მოძრაობის არსება; წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს ჰეშმარიტება: წინააღმდეგობის ერთიანობით აზრი აქვს მსჯელობას, დასკვნას. წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში უშუალოდ არის განხორციელებული უსასრულო დასკვნის სახით. მაშასადამე, წინააღმდეგობის ერთიანობა არსებითად ერთი და იგივეა ლოგიკურსა და ცოდნაში. წინააღმდეგობის ერთიანობის საფუძველზე დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

ცნობილია, რომ კატეგორიების და მათი კავშირების ფორმალიზაცია არ შეიძლება. კატეგორიებზე უმაღლესი და უზოგადესი არაფერია; არც არავითარი სქემა და სიმბოლოა უფრო ზოგადი კატეგორიებზე, რადგან 1) ყოველი სიმბოლო (როგორც ითქვა) თვითონ ეყრდნობა იგივეობას და ზოგადობას, რამდენადაც სიმბოლოს თუ სქემას მაშინ აქვს აზრი, თუ ის ერთი და იგივე მნიშვნელობით მოიხმარება და თუ ის არის ზოგადი მნიშვნელობით აღებული; სიმბოლოს წინ უსწრებს აზრი, რომლითაც მას რაღაც დანიშნულება აქვს; 2) კატეგორიის უარყოფა შეუძლებელია, ლოგიკური კატეგორიის უარყოფა თვითონ ადგენს ამ კატეგორიას. სწორედ ის გარემოება, რომ ლოგიკურის კატეგორიის უარყოფა თვითონ ამ კატეგორიას მოიხმარს და ამიტომ მასვე ადგენს, იმას ნიშნავს, რომ კატეგორიებზე უზოგადესი და უმაღლესი არაფერია. მათი ფორმალიზირება კი შეუძლებელია.

ლოგიკურის კატეგორია რეფლექსურია, მასში მოქმედებს შინაგანი უარყოფა. ასეთი რეფლექსურობა მოქმედებს კატეგორიების გადასვლებში, კატეგორიების ლოგიკურ სისტემაში, რომელიც დასაბუთებას წარმოადგენს. ეს დასაბუთება სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერება. მეცნიერება არის დასაბუთების სისტემა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის ლოგიკის სისტემაზე. ამიტომ ლოგიკის დასაბუთებითი სისტემა და ლოგიკა — ცოდნის სისტემა-მეცნიერება ერთი და იგივეა.

დიალექტიკურ-ლოგიკური რეფლექსური ხასიათისაა. ლოგიკური რეფლექსურობა სისრულით ვლინდება, ხორციელდება უსასრულო დასკვნაში—რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში. უსასრულო დასკვნაში კი, როგორც ითქვა, ერთიმეორეს ემთხვევა ლოგიკური და ჰეშმარიტება, უპირობო ლოგიკური და აბსოლუტური ჰეშმარიტება. ლოგიკური უსასრულობა და შემეცნებითი თუ ცოდ-

ნითი უსასრულობა, როგორც ჰეშმარიტება. არსებითად, ერთი და იგივეა. ორივე წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. ლოგიკა დადგენის და ცოდნის სფეროები ერთი და იგივეა რეფლექსური კატეგორიების ლოგიკურ ასპექტში. სასრულის და უსასრულობის ერთიანობა ერთი და იგივეა ლოგიკურსა და ცოდნაში. ლოგიკაში და შემეცნების თეორიაში. ლოგიკური სასრულის და უსასრულოს ერთიანობა იგივეა, რაც შინაარსეული კერძოსა და შინაარსეული ზოგადის ერთიანობა.

§ 108. ლოგიკური ზოგადობის შინაარსეულობა

როგორც ვიცით, არსებობს შინაარსეული ზოგადობა. აქ ჩვენ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ ზოგადობის შინაარსეულობის ასპექტში ერთიდაიგივეა ლოგიკური და შემეცნებითი, ამის საფუძველზე კი ერთი და იგივეა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია.

შინაარსეული ზოგადი არის განსხვავებულთა თუ საპირისპიროთა ერთიანობა. ზოგადის კატეგორია, როგორც ვიცით, არის რეფლექსური; ზოგადის უარყოფით მიღებული კერძო აუცილებლობით მოითხოვს ზოგადს.

რეფლექსურობა შეუძლებელია შინაარსეულობის გარეშე. შინაარსეულობა რეფლექსურობაშია. ის, რომ ზოგადი არის რეფლექსური, ნიშნავს იმას, რომ მას აქვს შინაარსი, უკეთ, ის არის შინა-არსი. ზოგადის რეფლექსურობაში ზოგადი არის „გარე-არსიც" და „შინა-არსიც". ის არის თავისთავთან დამოკიდებულება—თავისთავთან მიმართება, ე. ი. არსებას წარმოადგენს.

ზოგადობის შინაარსეულობა გაუგებარი იყო, მაგალითად, კანტისათვის; მისთვის, ზოგადი არის მხოლოდ უშინაარსო წესი; შინაარსი მხოლოდ გარედან მოდის; შინაარსს არავითარ ზოგადობა არ აქვს და ზოგადობას — არავითარი შინაარსი. ამიტომ ზოგადი არის აპრიორული ფორმა, ცარიელი ფორმა, რომელიც უნდა ამოივსოს შინაარსით, რასაც სხვა პრინციპი და წყარო აქვს. ამ ორის დაკავშირება სქემებით გადაუწყვეტელ სიძნელედ დარჩა კანტთან.

კანტის ეს სიძნელე და ფორმალიზმთან დაკავშირებული სიძნელეები, რომელთაც ადგილი აქვს თანამედროვე ფორმალურ ლოგიკაში, ადვილად წყდება, თუ დავდგებით ზოგადის შინაარსეულობის, ზოგადის რეფლექსურობის ნიადაგზე.

შინაარსეულ ზოგადობაში შინაარსი არის ის ელემენტები, რომლებიც შინაარსეულ კერძოებს წარმოადგენენ. შინაარსი, რო-

გორც ელემენტები, ზოგადის ერთმხრიობებია. ერთმხრიობების, როგორც კერძოების, ერთიანობა არის ზოგადობა. ასეთია, მაგალითად, წარმოება მისი მომენტების — საკუთრივ წარმოების, განაწილება-გაცვლის და მოხმარების — მიმართ. ასეთია საქონელი მისი მხარეების მიმართ და სხვ. ამგვარი ზოგადი არის მისი ელემენტების ერთიანობა, მაგრამ ლოგიკური ერთიანობა, ამავე დროს, არის გაგება, ცნება. ამრიგად, შინაარსეული ზოგადის ასპექტში ლოგიკური და შემეცნებითი ერთიმეორეს ემთხვევა.

ასეთი მდგომარეობა გვაქვს თვითონ ლოგიკურ ფორმებშიც. ცნება არის შინაარსეული ზოგადი, რამდენადაც ის არის ერთიანობა ნიშნებისა, რომლებიც მის ცალმხრიობებს, ამ აზრით, შინაარსეულ კერძოებს წარმოადგენენ; ასეთია, მაგალითად, წარმოების ცნება, ჰეშმარიტების ცნება და სხვ. ყოველი ცნება არის ერთი აზრი, ერთიანი აზრი, შემცველი გარკვეული ნიშნებისა. შინაარსეული ზოგადობის ბუნებისაა კატეგორიაც, როგორც ერთიანობა მისი ქვემდებარე კატეგორიებისა, როგორც მისი მომენტებისა; მაგალითად, ზომის კატეგორია არის ერთიანობა რაოდენობის და თვისობრიობის; რაოდენობის კატეგორია არის ერთიანობა წყვეტადობის და განუწყვეტლობისა; უსასრულოს კატეგორია არის სასრულის და მისი საპირისპირო უსასრულოს ერთიანობა, ზოგადი არის კერძოს და მისი საპირისპირო ზოგადის ერთიანობა. ცნება და კატეგორია, როგორც „გარეგანდამწვდომი“, შინაარსეული ზოგადობის ბუნებისაა. ყოველ ცნებას და კატეგორიას ახასიათებს ზოგადობა და მისი შინაარსეულობა, რადგან შინაარსი ერთიანობას ჰქვია.

როგორც ვიცით, შინაარსეული ზოგადი არის კონკრეტული ზოგადი. კონკრეტული ზოგადის შინაარსეულობა აზრს აძლევს აბსტრაქტულ ზოგადს, რომელიც კონკრეტული ზოგადის ცალმხრიობას წარმოადგენს. აბსტრაქტული ზოგადი არის ნაკლებ კონკრეტული ზოგადი. კატეგორიები ერთიმეორესთან აბსტრაქტული და კონკრეტული ზოგადობების დამოკიდებულებაშია. აბსტრაქტული ზოგადები შეადგენენ კონკრეტულს, რომელშიც ისინი გამართლებას პოულობენ. აბსტრაქტული არის კონკრეტულის მომენტი. მომენტი მართლდება მთელში. ეს გარემოება არის დასაბუთება, ე. ი. იგი ლოგიკური ბუნებისაა; მაგრამ, ამავე დროს, აბსტრაქტულის მომენტად არსებობა კონკრეტულში არის მისი გაგება. ასე რომ ლოგიკური და შემეცნებითი ერთიმეორეს ემთხვევა აბსტრაქტულის და კონკრეტულის დამოკიდებულებაში. ასეთი ლოგიკური-შემეცნები-

თი წარმოადგენს საგნის მხარეების მათ მთლიანობაში არსებობის ასახვას.

შინაარსეული ზოგადი, როგორც „გარეგანდამწკდომი“ მომენტი, არის არსება, რომლის ერთმხრიობებიც „მოკლენებს“ წარმოადგენენ. გარკვეული აზრით, ერთიანობა არის „მოკლენა“. ცნება არსების ასახვაა, მისი ნიშნები მის „მოკლენებს“ წარმოადგენენ. ამრიგად ერთიანდება არსების და მოკლენის, კერძოს და ზოგადის ცნებები შინაარსეული ზოგადის საფუძველზე. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ზოგადის შინაარსეულობა არის ობიექტურ-ლოგიკურის, შემეცნებითის და ჭეშმარიტების გარკვეული საფუძველი, რომლებიც გარკვეული მხრივ, ერთსა და იგივეს წარმოადგენენ. ამ იგივეობის საფუძველზე დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე მეცნიერებაა. ზოგადის და კერძოს კატეგორიების ერთიანობის ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

ცნების რომელიმე ნიშანი, როგორც მომენტი, ასეთია იმიტომ, რომ თვითონ ცნება არის მისი პრედიკატი. ასე იქმნება მსჯელობა. რომელიც მტკიცება-უარყოფის საშუალებით აკავშირებს მომენტს მის მთელთან. მსჯელობა, როგორც ვიცით, არის ერთმხრიობა. იგი თვითონ არის მომენტი მთელისა, დასკვნისა, მაგრამ მსჯელობასაც აქვს მომენტი, რომელთა მიმართ ის არის ერთიანობა, გარკვეული შინაარსეული ზოგადობა. ასე რომ შინაარსეული ზოგადია ცნებაც, მსჯელობაც და დასკვნაც. მათი დამოკიდებულებაც შინაარსეული ზოგადობის და შინაარსეული კერძოს დამოკიდებულებაა. მსჯელობის გადასვლა დასკვნაში, დასკვნისა ცნებაში და ცნების, როგორც დასკვნის ზოგადი აზრის, განხორციელება უსასრულო დასკვნაში, როგორც ვიცით, ერთიანი პროცესის მომენტებს თუ საფეხურებს წარმოადგენენ. ეს პროცესი წარმოადგენს ლოგიკურ განვითარებას, რომელიც შემეცნების — ცოდნის განვითარებასაც ღრმის.

ლოგიკური ფორმების აქ აღნიშნული კავშირი, როგორც ლოგიკური განვითარება არის სასრულის და უსასრულოს დამოკიდებულება, რომელიც ზემოთ იყო განხილული; აქ კი გვინდა ის წარმოვადგინოთ არგუმენტად დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობის დასაბუთებისათვის. სასრული არის შინაარსეული კერძო, უსასრულო არის უზოგადესი. სრული სასრული არის სრული კერძო, რომელიც წინააღმდეგობის ერთ მხარეს უდრის. სრული ზოგადი კი არის ლოგიკური უსასრულო, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობის ზოგადობას წარმოადგენს. სასრულსა და უსასრულოს შორის გაშლილი ლოგიკური პროცესი არის

ლოგიკური განვითარება, რომლის საფეხურებსაც ზემოთ დასახელებული და ადრე განხილული ლოგიკური ფორმები წარმოადგენენ. ეს ლოგიკური ფორმები, მათი კავშირ-გადასვლები და მათში მოქმედი კატეგორიები — იგივეობა, უარყოფა, განსხვავება, წინააღმდეგობა, ერთიანობა — სხვადასხვა შინაარსებს და ლოგიკურ ფორმებს წარმოადგენენ; ყველას მათ აზრი აქვთ შინაარსეული ზოგადობით, რომელიც უსაპრულო ლოგიკურის ზოგადობას წარმოადგენს; ყველაფერი აიხსნება წინააღმდეგობის ერთიანობით. ამიტომ და ამდენად დიალექტიკა, ლოგიკა შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ ამ სამი მეცნიერების იგივეობის დამამტკიცებელ ერთ-ერთ არგუმენტად გამოდგება ის, რასაც ჩვენ შინაარსეული განზოგადება ვუწოდეთ. როგორც ვიცით, შინაარსეული განზოგადება ხორციელდება უარყოფის საშუალებით, სახელდობრ, ისეთი უარყოფის საშუალებით, რომელიც „შემატებას“ ასრულებს; უარყოფის საშუალებით მივდივართ ჯერ „მეტ“ სილრმეში, გადავდივართ ჯერ „მეტ“ შინაარსეულ ზოგადობაზე; შინაარსეულ განზოგადებაში ხდება ნიშნების „შემატება“ უარყოფის საშუალებით, ე. ი. ხორციელდება ლოგიკური მოხსნა-შენახვა. როგორც ვიცით, სწორედ მოხსნა-შენახვის გზით ხორციელდება შინაარსეული კერძოდან, როგორც ცალმხრიობიდან, შინაარსეულ ზოგადზე, როგორც ერთიანობაზე, გადასვლა. ლოგიკური განვითარება არის შინაარსეული ზოგადის შექმნის პროცესი.

ლოგიკური განვითარების ბუნებას სპეციალურად გავარკვევთ შემდგომ, აქ ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ლოგიკური განვითარება არის დიალექტიკურიც, ლოგიკურიც და შემეცნებითიც. ამიტომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე მეცნიერებას უნდა წარმოადგენდეს.

ლოგიკურ განვითარებაში შინაარსეული კერძო გადადის შინაარსეულ ზოგადში. ეს გადასვლა ნიშნავს იმას, რომ: 1) ერთი არის მეორე — კერძო არის ზოგადი, და 2) „ერთი არის მეორე“ სხვა არაფერია, თუ არა „ერთი გაიგო როგორც მეორე“ — კერძო გაიგო როგორც ზოგადი, სუბიექტი გაიგო როგორც პრედიკატი. მსჯელობა გაიგო როგორც შეუალობითი კავშირი, რომელიც სრული სახით არის დასკვნა. მსჯელობა „კერძო არის ზოგადი“ ნიშნავს იმას, რომ კერძო გადადის ზოგადში, სხვანაირად: კერძო უნდა გაიგო როგორც ზოგადი (არისტოტელესთვის ზოგადი — მეორე სუბსტანცია არის კერძოს ცნებითი ბუნება). ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ერთი რამ გაიგო როგორც მისი საპირისპირო. ამიტომ უნდა ითქვას, რომ

ლოგიკური ფორმა და გაგების ფორმა, გარკვეული მხრივ. ერთი და იგივეა.

ამრიგად, ლოგიკური ზოგადის შინაარსეულობის აღიარება არის ერთ-ერთი არგუმენტი დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობის დასაბუთებისათვის.

§194. დიალექტიკურ-ლოგიკური

დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნება არის ძირითადი ცნება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია და ნამდვილად საბუთდება დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა. დღესაც სადავოა როგორც დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნება, ისე ამ სამი მეცნიერების იგივეობა. ლოგიკოსთა უმრავლესობა უარყოფს ერთსაც და მეორესაც. ამიტომ არის საჭირო როგორც ერთის ისე მეორის განხილვა (უდავო საკითხებს არ განვიხილავთ ამ შრომაში).

არისტოტელედან დაწყებული დიალექტიკის ცნება გაგებული იყო როგორც ალბათურის, სოფისტურის თუ ილუზიის ცნებების იგივეობრივი, თუმცა პლატონის დიალექტიკა ამის საბაბს არ იძლეოდა. პლატონს დიალექტიკა მიაჩნდა ნამდვილ მეცნიერებად;[1] მისთვის დიალექტიკა იყო ნამდვილი და ერთადერთი გზა იდეების მიწვდომისა. პლატონთან დიალექტიკა გაგებული იყო როგორც ლოგიკური და შემეცნებითი გზა, ერთი და იგივე გზა, რომელიც ამართლებდა არსებობას (ცერძო საგნების არსებობას იდეებით) და ლოგიკურ აუცილებლობას, რომელშიც შემეცნება ხორციელდებოდა. ჰეგელმა სრულად გაიმეორა ის, რაც პლატონში უსრულო სახით იყო მოცემული. ამიტომ აქებდა ჰეგელი პლატონის დიალექტიკას.

ფორმალური ლოგიკისათვის (როგორც ძველი, ისე თანამედროვე ფორმალური ლოგიკისათვის) დიალექტიკური აზრი, დიალექტიკურ-ლოგიკური შეუძლებელია, რადგან, მისთვის (ფორმალური ლოგიკისათვის) აუცილებელი არის ის, რომლის საწინააღმდეგო შეუძლებელია; ლოგიკური აუცილებლობა საწინააღმდეგოს შეუძლებლობას ნიშნავს. თუ, მაგალითად, არსებობს თავისუფლება, მაშინ აუცილებლობა შეუძლებელია; თუ არსებობს აუცილებლობა, მაშინ თავისუფლება შეუძლებელია; თავისუფლების და აუცილებლობის ცნებები ერთიმეორეს გამორიცხავენ. თუ ყველაფერი მოძრაობაშია, მაშინ არაფერი არ არის უძრავი; თუ არსებობს უძრაობა, მაშინ არ არსებობს მოძრაობა; მოძრაობის და უძრაობის ცნებები ერ-

---

1 პლატონი, სახელმწიფო, 534 E.

თიმეორესთან შეუთავსებელია: თუ არსებობს ზოგადი, მაშინ არ არსებობს კერძო და პირიქით; თუ რაიმე არის კერძო, ის არ არის ზოგადი და პირიქით. თუ ორივე, ერთიმეორის საპირისპირო თუ საწინააღმდეგო ცალცალკე არსებობენ, მაშინ მაინც იმის საკითხი მათი კავშირის შესახებ, რადგან ორივეს არსებობა სწორედ ერთ არსებობას შეიცავს, არსებობის „მიზეზების“ გამოკვლევა თავისებური ერთიანობის ბუნების გამოკვლევას უნდა წარმოადგენდეს.

ფორმალური ლოგიკისათვის დღემდე დაუძლეველ სიძნელედ დარჩა იგივეობის და განსხვავების დაკავშირება. თუ რაიმე იგივეობრივია, ის არ უნდა იყოს არაიგივეობრივი, განსხვავებულობის შემცველი და პირიქით — განსხვავებულობა არის სწორედ განსხვავებულობა და არა იგივეობა. თუ მსჯელობა ტავტოლოგიურია, მაშინ ის არ შეიძლება იყოს არატავტოლოგიური. მსჯელობის სუბიექტი უნდა იყოს სწორედ სუბიექტი და არა სხვა რამ; ამ აზრით, შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ დებულება: „სუბიექტი არის პრედიკატი“. პრედიკატი არ შეიძლება იყოს სუბიექტისაგან განსხვავებული; ის ხომ სწორედ სუბიექტის გამოთქმაა. თუ მსჯელობის სუბიექტი არის კერძო, მაშინ ის არ შეიძლება იყოს ზოგადი, რადგან კერძო და ზოგადი ერთი მეორის საპირისპირო ცნებებია; რაიმე კი არის სწორედ ეს იმის გამო, რომ ის არ არის მისგან განსხვავებული, მით უმეტეს — საპირისპირო.

ამიტომ ვამბობდით ზემოთ, რომ ფორმალურ-ლოგიკური არის სასრული ლოგიკური; ფორმალურ-ლოგიკურს განსაზღვრავს სასრული კატეგორიის აზრი. სასრულის კატეგორია განსაზღვრავს არა მხოლოდ ლოგიკურს, არამედ შემეცნებითსაც. ფორმალურ ლოგიკას ემყარება გარკვეული შემეცნების თეორია. რაიმეს კავშირი საწინააღმდეგოსთან არის არა მხოლოდ ლოგიკური შეცდომა, არამედ ცოდნის, შემეცნების შეცდომაც. ეს აზრი იყო და არის გაბატონებული ლოგიკოსების და საერთოდ ფილოსოფოსების უმრავლესობას შორის. მათი აზრით, დიალექტიკურ-ლოგიკური, აღნიშნულის გამო, შეუძლებლად უნდა იყოს მიჩნეული.

პირველად კანტმა აღნიშნა ის, რომ წინააღმდეგობა აუცილებელია, სახელდობრ, გონების წინააღმდეგობა არის აუცილებელი წინააღმდეგობა. კანტის ანტინომიების ლოგიკური აზრი, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, სწორედ წინააღმდეგობის აუცილებლობაში მდგომარეობს. კანტის მიერ აღიარებული წინააღმდეგობის აუცილებლობა არის უარყოფითი დიალექტიკა. აზრის აუცილებელი წინააღმდეგობა კანტმა „ილუზიად“, „მოჩვენებად“, შეცდომად ჩათ-

ვალა, მაგრამ ეს შეცდომა გონების აუცილებელ შეცდომას წარმოადგენს. კანტი ისევ სასრულის კატეგორიის ტყვეობაში დარჩა, როცა მან წინააღმდეგობა შეცდომად (როგორც ლოგიკურ, ისე შემეცნების შეცდომად) ჩაითვალა. მაგრამ ის მივიდა სასრული კატეგორიის საზღვრამდე, მიადგა უსასრულოს სფეროს. სწორედ უსასრულობის მიმართ ვარდება აზრი დიალექტიკაში, ფიქრობდა კანტი. აზრის ანტინომიურობას სწორედ უსასრულობა იწვევს. კანტმა „ანტინომიებში“ გარკვევით აჩვენა ის, თუ როგორ მიდის აუცილებლობით სასრულის ცნება უსასრულოს ცნებამდე და პირიქით, მაგრამ უსაარსლობის ლოგიკური ფორმის მოწახვა მხოლოდ დადებითი დიალექტიკის საშუალებით სცადა ჰეგელმა, რომელიც ფიხტეს კატეგორიების დიალექტიკას დაემყარა, მაგრამ იდალიზმმა დაამახინჯა უსასრულო ლოგიკურის ბუნება.

როგორც ვიცით, უარყოფითი დიალექტიკა არის იმ კატეგორიების კავშირის ერთი მომენტი, რომლებიც ლოგიკურში, აზრის ლოგიკურ ფორმებში უშუალოდ მოქმედებენ, რომლებიც ანტინომიურობას შეიცავენ (როგორც ეს ნაჩვენები იყო ზემოთ აზრის ლოგიკურ ფორმათა გადასვლების გარჩევისას). ზოგადისა და კერძოს ერთიანობა, როგორც ვიცით, შეიცავს ისეთ მომენტს, რომელიც უარყოფითი დიალექტიკის მაგალითად და ნიმუშად გამოდგება. უარყოფითი დიალექტიკაა ის, რომ კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი და ზოგადისათვის — კერძო. კერძოს უარყოფა შეუძლებელია, რადგან კერძოს უარყოფის დროს კერძოს ვერ ავიცდენთ, თავიდან ვერ ავიცილებთ. კერძოს უარყოფა გვაძლევს ზოგადს, მაგრამ ეს ზოგადი თვითონ არის კერძო. „ზოგადი არის კერძო“ და „კერძო არის ზოგადი“ გარკვეული მხრივ, სახელდობრ, იმ მხრივ, რომ ისინი იგივდებიან, წარმოადგენს უარყოფით დიალექტიკას; კერძოს და ზოგადის გაიგივება მართლაც არის შეცდომა. მაგრამ ასეთი გაიგივება აუცილებელია და ის. გამმართლებელიცაა, როგორც მომენტი კერძოს და ზოგადის ერთიანობისა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ უარყოფითი დიალექტიკა არის დადებითი დიალექტიკის მომენტი, რომელშიც ის მართლდება. რაიმესათვის საწინააღმდეგოს აუცილებლობა მართლდება წინააღმდეგობის ერთიანობაში. წინააღმდეგობის ერთიანობა არის დადებითი დიალექტიკა; დიალექტიკური-ლოგიკური არის დადებითი დიალექტიკურ-ლოგიკური.

ჩვენთვის აქ ის არის აღსანიშნავი, რომ დიალექტიკურ-ლოგიკური არის ისეთი ლოგიკური, რომელიც ამავე დროს, შემეცნებითიცაა. დიალექტიკურ-ლოგიკური არის უსასრულო-ლოგიკური, ისე-

თი უსასრულო, რომელიც სასრულის შემცველია, წარმოადგენს ლოგიკურ წინააღმდეგობის ერთიანობას.

ლოგიკაში, რომელიც შემეცნების თეორიაცაა და დიალექტიკაც, ე. ი. დიალექტიკურ ლოგიკაში ძირითად ცნებას, ცხადია, წარმოადგენს დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნება, რომელიც პირველად ჰეგელმა გამოიკვლია. დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობა ეფუძნება დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნებას. ამ ცნების გარეშე ეს იგივეობა არ დაფუძნდება. ჰეგელი სწორედ მასზე აფუძნებდა მის დიალექტიკურ ლოგიკას. მატერიალისტურ-დიალექტიკური ლოგიკაც ამ ცნებას უნდა დაეფუძნოს. დიალექტიკურ-ლოგიკურის ჰეგელიანურ გაგებას ჩვენ აქ ძალიან მოკლედ შევეხვდებით, სახელდობრ, იმდენად, რამდენადაც საჭიროა დიალექტიკურ-ლოგიკურის ჩვენებური გაგება განვასხვავოთ ჰეგელიანურისაგან და რამდენადაც ამას მოითხოვს ის შესაბამისი არგუმენტი, რითაც საბუთდება დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობა.

ჰეგელი ერთიმეორისაგან განასხვავებდა ლოგიკურის სამ მხარეს: 1) აბსტრაქტულს ანუ განსჯითს, 2) დიალექტიკურს ანუ უარყოფით გონებითს და 3) სპეკულაციურს ანუ დადებით-გონებით ლოგიკურს[1]. მისთვის აბსტრაქტულ-ლოგიკური იგივეა, რაც ფორმალურ-ლოგიკური, ცალმხრიობის ლოგიკური; დიალექტიკურ-ლოგიკური კი მას გაიგივებული ჰქონდა კანტის უარყოფით დიალექტიკასთან, სპეკულაციური კი — დადებით დიალექტიკასთან. გაწყვა ემყარება წინააღმდეგობის შეუძლებლობას, უარყოფით გონებითი — წინააღმდეგობის აუცილებლობას, დადებით-გონებითი კი წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთიანობას. მართალია, ჰეგელის იდეალიზმმა ლოგიკურის ცნება დაამახინჯა, რადგან ამ ცნებისათვის არსებითი მომენტები — ზოგადობა და უარყოფა — მან წარმოიდგინა როგორც აბსოლუტის მისტიკური ძალა, მაგრამ ლოგიკურის აქ აღნიშნული საჭი მხარის დახასიათება შეიცავს „რაციონალურ მარცვალს", რომლის თავისებური გამოყენების გარეშე შეუძლებელია მატერიალისტურ-დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნების დადგენა. მართალია, ჰეგელმა სწორად აღნიშნა ის, რომ 1) აზრის აბსტრაქტული განაზღვრულობა, რომლის აბსოლუტურ წარმოდგენასაც ფორმალური ლოგიკა ემყარება, თავისი ბუნებით — შინაგანი აუცილებლობით გადადის თავის საწინააღმდეგოში, ე. ი. 2) ქმნის უარყოფით დიალექტიკურს, რომელიც დაძლეულია 3) სპეკულაციურში — დადებით

[1] იხ. ჰ ე გ ე ლ ი ს „ენციკლოპედია", §§ 79, 80, 81, 82.

დიალექტიკურში, მაგრამ მან ვერ მონახა სპეკულაციურ-ლოგიკური შესატყვისი დასკვნის ფორმა. დასკვნის ფორმების განვითარების დროს ის დაკმაყოფილდა ფორმალური ლოგიკაში განვითარული დასკვნის სახეებით.

ჩვენი აზრით, ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ ლოგიკურის ორი მომენტი: 1) სასრული-ლოგიკური და 2) უსასრულო ლოგიკური, მაგრამ ისე, რომ უსასრულო ლოგიკური, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, სასრულ-ლოგიკურს თავის თავში მომენტად შეიცავს. არსებობს მხოლოდ ერთი ლოგიკური, ეს არის დიალექტიკურ-ლოგიკური, რომელიც იგივეა, რაც უსასრულო ლოგიკური, რომლის მომენტს ერთმხრივობას — წარმოადგენს სასრული ლოგიკური, სადაც, თავის მხრივ, ორ მხარეს აქვს ადგილი: 1) წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე დამყარებულ მომენტს და 2) წინააღმდეგობის აუცილებლობის მომენტს — უარყოფით დიალექტიკას. სასრული ლოგიკური არის ფორმალურ-ლოგიკური, რომელიც მოიცავს უარყოფით დიალექტიკასაც, მაგრამ ცალკე აღებული უარყოფით დიალექტიკური არის აუცილებელი წინააღმდეგობა, როგორც შეცდომა. უსასრულო ლოგიკური არის დიალექტიკურ-ლოგიკური, რომელიც შეიცავს უარყოფითი დიალექტიკის მომენტს, როგორც არა შეცდომას, არამედ როგორც გამართლებულს, როგორც ლოგიკური ჭეშმარიტების მომენტს.

დიალექტიკურ-ლოგიკური არის ამავე დროს შემეცნებითიც. სასრული ლოგიკური არის ლოგიკური გარკვეულობაც და შემეცნებითი გარკვეულობაც, რადგან ის, რომ „რაიმე არის ეს და არა სხვა“ რომ რაიმეს გარკვეულობა არის ამგვარად და არა სხვაგვარად ყოფნა, ეს არის ლოგიკური გარკვეულობაც და შემეცნების — ცოდნის გარკვეულობაც. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს გარკვეულობა სრული არ არის, ის გაურკვეველობასაც შეიცავს, რადგან, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, რაიმე, რომელიც სხვის და საწინააღმდეგოს უარყოფას ემყარება, აუცილებლობით შეიცავს საწინააღმდეგოს, როგორც სწორედ მის საწინააღმდეგოს ნიშანს, ამიტომ აუცილებელია არა მარტო საწინააღმდეგო, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობა. ეს უკანასკნელი კი არის ერთი და იგივე ფორმა როგორც ლოგიკურისათვის, ისე ცოდნისათვის. ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობა არის უსასრულო დასკვნა, რომელიც ერთსა და იმავე დროს, ლოგიკური უპირობოცაა და აბსოლუტური ჭეშმარიტებაც. ეს ორი რამ მასში არის ერთი და იგივე. ამის გამო, დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

დიალექტიკურ-ლოგიკური, უპირველეს ყოვლისა, არის სინთეზურ-ლოგიკური. ლოგიკური სწორედ სინთეზურობის გამო არის ამავე დროს შემეცნებითიც; ის ცოდნის ლოგიკურია. სინთეზურ-ლოგიკურის აღიარება არის გადამწყვეტი არგუმენტი დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის დასასაბუთებლად.

ლოგიკურობისათვის სინთეზურობა არის აუცილებელი. ანალიზური ლოგიკური ტავტოლოგიურია. როგორც ვიცით, ტავტოლოგია მსჯელობაში არის ერთი და იგივეს განმეორება. განმეორება რაოდენობრივი სინთეზურობაა და არა ლოგიკური. ტავტოლოგიური მსჯელობა არ არის მსჯელობა, რადგან ის არაფერია. დასკვნის ტავტოლოგიურობა დასკვნას აზრს უკარგავს, რადგან მასში წანამძღვარი დანასკვში მეორდება; განმეორება არც აქ არის ლოგიკური კავშირი. განმეორება დასკვნაშიც არის არარა. დასაბუთების ტავტოლოგიურობა კი, როგორც ვიცით, არის ლოგიკური შეცდომა, ლოგიკური წრე — დასასაბუთებლის და დამსაბუთებლის გაიგივება. მათი განურჩევლობა, რაც არაფრის დასაბუთებას უდრის. დასაბუთება, სადაც არაფერი საბუთდება, ცხადია, არ არის დასაბუთება. ტავტოლოგიურობა, წმინდა ანალიზურობა დასაბუთებას აუქმებს.

ყველაფერი ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ანალიზურობა, იგივეობა არ იყოს აუცილებელი ლოგიკურისათვის; არა, იგივეობის და ანალიზურობის გარეშე ლოგიკური შეუძლებელია. თუ მსჯელობაში სუბიექტს და პრედიკატს შორის იგივეობრივი არ არსებობს, თუ ისინი იგივეობრივს, საერთოს, არ შეიცავენ, მაშინ მსჯელობა, როგორც ერთი აზრი, შეუძლებელი იქნება. პრედიკატი სწორედ იმას უნდა გამოთქვამდეს, რასაც სუბიექტი წარმოადგენს. მსჯელობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ „სუბიექტი არის პრედიკატი“. ეს კი იგივეობის და ანალიზურობის გარეშე შეუძლებელია. დასკვნისათვისაც აუცილებელია ანალიზურობის, იგივეობის მომენტი. იგივეობის და ანალიზურობის გარეშე შეუძლებელია ლოგიკური აუცილებლობის განხორციელება. თუ წანამძღვრებს და დანასკვს შორის არ არის იგივეობა, მაშინ მათი აუცილებელი კავშირი არ განხორციელდება. ყოველი აუცილებელი კავშირისათვის აუცილებელია იგივეობრივი. თუ დასაბუთებაში ერთი და იგივე არ საბუთდება, მაშინ იგი შეუძლებელი იქნება. დამსაბუთებელი და დასასაბუთებელი იგივეობრიობას აუცილებლად შეიცავს. დამსაბუთებელი — საფუძველი არის სწორედ იმის საფუძველი, რაც დასასაბუთებელია. დასაბუთებაში უწ-

და განპირობებულიყოს ერთი აზრი; დასაბუთება ერთი აზრის მქონე უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი არ დასაბუთდება. ცნებაც, ცხადია, ერთი აზრია, სულ ერთია მას რამდენი ნიშანიც არ უნდა ჰქონდეს. იგივეობა აუცილებელია აზროვნების ფორმების ერთიმეორესთან კავშირისათვის, რადგან ეს ფორმები სწორედ ერთი და იგივე ლოგიკურის ფორმებს წარმოადგენენ და უნდა წარმოადგენდნენ.

ლოგიკურისათვის ანალიზურობა არის აუცილებელი, მაგრამ ის მისთვის საკმარისი არ არის. ლოგიკურისათვის აუცილებელია სინთეზურობაც. ერთი სიტყვით, ლოგიკურისათვის აუცილებელია ანალიზურობაც და სინთეზურობაც. ლოგიკური ფორმებისათვის ორივე საკმარისი უნდა იყოს. ლოგიკური არის და უნდა იყოს ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობა.

ამ ერთიანობის აუცილებლობის დასასაბუთებლად საკმარისია ერთი არგუმენტიც, რომლის ხასიათი ზემოთ რამდენჯერმე იქნა აღნიშნული. ეს არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ანალიზურობის აღიარება თვითონ აჩვენებს სინთეზურობის აუცილებლობას. საქმე იმაშია, რომ წმინდა იგივეობა გადადის თავის საწინააღმდეგოში. წმინდა იგივეობა, როგორც წმინდა დადებითობა, ნამდვილად, არის წმინდა უარყოფითობა, არარა. ეს გარემოება დასაბუთების ტავტოლოგიურობის დროს ყველაზე უფრო ნათლად ჩანს, როგორც ეს ახლახან იყო აღნიშნული. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ანალიზურობის აღიარება და სინთეზურობის უარყოფა სინთეზურობის აუცილებლობას თვითონ ასაბუთებს. მხოლოდ ანალიზურობის აღიარება და სინთეზურობის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა ამ დასაბუთების (და საერთოდ დასაბუთების) აუცილებელი ელემენტია. ის დასაბუთება, რომლის აუცილებელ ელემენტსაც უარყოფა წარმოადგენს, არ შეიძლება არ იყოს სინთეზური.

რადგან ლოგიკური არის ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობა, ამიტომ ლოგიკური აუცილებლობა, ლოგიკური აუცილებელი კავშირი, თავის ელემენტარულ ფორმაში, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ლოგიკურში ერთი რაიმე არის, ამავე დროს, სხვაც. ეს არის მსჯელობის აზრი, რომელიც ასე გამოითქმება: S არის P, სადაც პრედიკატი განსხვავებულია სუბიექტისაგან, მაგრამ სწორედ სუბიექტის ბუნებას გამოთქვამს, გამოთქვამს იმას, რასაც სუბიექტი წარმოადგენს. დასკვნასაც სწორედ იმით აქვს აზრი, რომ წანამძღვრებიდან გამომდინარეობს რაღაც სხვა — მათგან განსხვავებული, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება აუცილებელი გამო-

ყვანა, აუცილებელი კავშირი. დასაბუთებაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ რაიმეს გამო არის რაღაც სხვა; დამსაბუთებელი განსხვავდება დასასაბუთებლისაგან, მაგრამ პირველი მეორეს აფუძნებს, და ამ დაფუძნებას ერთი აზრი აქვს.

ისიც ვიცით, რომ აქ აღნიშნული სინთეზურობა სისრულით ხორციელდება კატეგორიებში, სადაც შესაძლებელია ერთი კატეგორია იყოს მისი საწინააღმდეგო. მსჯელობის აზრი გამოითქმება ასე: „კერძო არის ზოგადი“, სადაც კერძო და ზოგადი ერთიმეორის საპირისპიროცაა და საწინააღმდეგოც. დედუქციური დასკვნა არის ზოგადიდან მის საპირისპიროში — კერძოში გადასვლა, ინდუქციას აზრი აქვს შებრუნებულ გადასვლაში — კერძოდან ზოგადზე გადასვლაში, და სხვ.

ეს სინთეზურობა შემეცნებაში. ცოდნაში აუცილებელი და არსებითია, შემეცნება ნიშნავს არაცოდნიდან ცოდნაზე გადასვლას, რაც, ცხადია, შეუძლებელია სინთეზური არ იყოს. იმის გაგება, რაც უკვე იცი, ზედმეტია („მენონის“ აპორია). რაიმეს ცოდნა ნიშნავს რაიმეში არსებული განსხვავებულობის ცოდნას, რაიმეს შინაარსის ცოდნას. რაიმეს შემეცნება არის გაგება ამ რაიმესი, როგორც სხვისა. ამიტომ ცოდნა სინთეზური მსჯელობის სახით ხორციელდება. ცოდნის ელემენტარული ფორმა არის მსჯელობა. რაიმეს ცოდნა არის მისი არა მარტო როგორც სხვის ცოდნა, არამედ როგორც მისი საპირისპიროს ცოდნა; გაიგო კერძო ნიშნავს გაიგო კერძო როგორც ზოგადი.[1] ერთეულის ცნებითი ბუნება ზოგადობაშია (არისტოტელეს პირველი სუბსტანციის ბუნება მის ზოგადობაშია). შემეცნება, როგორც გაგება ერთისა როგორც სხვის და გაგება ერთისა როგორც საწინააღმდეგოსი, თავის არსებაში, კატეგორიების ლოგიკურ კავშირს წარმოადგენს. ამიტომ ლოგიკური სინთეზურობა და შემეცნების სინთეზურობა, აღებული მის არსებაში, არის ერთი და იგივე.

კატეგორიების კავშირის სინთეზურობა ერთი და იგივეა ლოგიკურსა და შემეცნებაში. ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა კატეგორიების კავშირის სინთეზურობაში. კატეგორიების კავშირის სინთეზურობა უზოგადესი და იგივეობრივი ფორმით გამოთქვამს ლოგიკურის და შემეცნებითის სინთეზურობას. კატეგორიების კავშირის სინთეზურობის ობიექტურობა საგანთა კავშირით განისაზღვრება, მის ასახვას წარმოადგენს. აუცილებელი სინთეზურობა ახასიათებს საგანსაც, აზრსაც და შემეცნებასაც. დიალექტიკური სინთეზურობა თავისებური „პირველი ფილოსოფიის“ ცნებას წარმოადგენს, და თავისი ბუნებით უზოგადესია.

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 244.

როგორც ანალიზურობის, ისე სინთეზურობის და მათი აუცილებელი ერთიანობის დროს მოქმედებენ ერთი და იგივე კატეგორიები. აუცილებელია ერთი და იგივე კატეგორიები და მათი კავშირები, რომლებიც არ შეიძლება არ იყოს სინთეზური, აუცილებელი სინთეზის ხასიათისა. იგივეობის, ერთიანობის, უარყოფის, განსხვავების წინააღმდეგობის კატეგორიები ერთი და იგივეა ანალიზურობაში და სინთეზურობაში როგორც ლოგიკურის, ისე შემეცნება-ცოდნის ხაზით.

შემეცნების სინთეზურობა, აუცილებელი სინთეზურობა ცოდნაში იგივეა, რაც მსჯელობის და მსჯელობათა კავშირების სინთეზურობა. შემეცნების აუცილებელი სინთეზურობა არსებითად იგივეა, რაც ლოგიკურის სინთეზურობა; ლოგიკურის სინთეზურობა შემეცნების სინთეზურობასაც ნიშნავს. თუ ერთი არის სხვა. მაშინ პირველი უნდა გაიგო როგორც სხვა. თუ ერთი რაიმე არის მისი საწინააღმდეგო, მაშინ პირველი უნდა გაიგო როგორც მისი საწინააღმდეგო. ეს გარემოება არის არსებითი ლოგიკურისა და შემეცნებისათვის.

ამგვარი სინთეზურობა სხვა არაფერია, თუ არა განვითარება, თავისებური წინსვლა. ყოველი სინთეზურ-ლოგიკური არის განვითარება. მსჯელობაში სუბიექტს „ემატება“ პრედიკატი, სუბიექტი გადადის პრედიკატში. ცნების განსაზღვრება არის გარკვეული მსჯელობა, რომლის შედეგიც არის ცნება. მსჯელობაც და ცნების განსაზღვრება-დადგენაც არის ერთეულის თუ კერძოს ზოგადობად დადგენა. მსჯელობა „ერთეული არის ზოგადი“ საპირისპიროში გადასვლაა. ცნების დადგენა უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის დადგენით არის კერძოს და ზოგადის ერთიანობის დადგენა, რომელიც გარკვეულ განვითარებას წარმოადგენს. მსჯელობის დასკვნაში გადასვლა-გამართლება განვითარებას წარმოადგენს. კატეგორიებს ლოგიკური კავშირი სინთეზურია და ლოგიკურ განვითარებას ნიშნავს. ეს განვითარება სრულდება განსაზღვრებით, რომელიც შინაგანი უარყოფით ხორციელდება. ლოგიკური განვითარება, როგორც ახლის მიღება, არის ახლის გაგებაც, ერთგვარი მოხსნა-შენახვა, რომელსაც ლოგიკური ხასიათი აქვს და ცოდნის განვითარების არსებას წარმოადგენს.

ლოგიკური მოხსნა-შენახვა ლოგიკურ ფორმებში ხორციელდება. მსჯელობაში „კერძო არის ზოგადი“ კერძო გადადის ზოგადში, ზოგადი ხსნის და ინახავს კერძოს; ამიტომ ვღებულობთ მსჯელობას, როგორც განსხვავებულთა (და დაპირისპირებულთა) ერთიანობას. დედუქციურ დასკვნაში, როგორც ზოგადიდან კერძოს აუცილებელ

გამოყვანა-გადასვლაში. ხორციელდება კერძოს მიერ ზოგადის მოხსნა-შენახვა; ამიტომაა დედუქციური დასკვნა ზოგადის და კერძოს ერთიანობა-კავშირი. ასე ითქმის ინდუქციის შესახებაც. მომხსნელი და შემნახველი არის ლოგიკური საფუძველიც და შემეცნებითი ამხსნელიც. ლოგიკური მოხსნა-შენახვა, ახსნასაც ნიშნავს. ამხსნელი საფუძველი არის შინაარსეული — კონკრეტული — ზოგადი. ეს გარემოება სისრულით წარმოდგენილია კატეგორიების ლოგიკურ კავშირში, როგორც განვითარებაში.

ლოგიკური მოხსნა-შენახვის ასპექტში დიალექტიკური, ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა, რის საფუძველზედაც ხორციელდება დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა; პირველი ამ უკანასკნელის შინაარსს წარმოადგენს.

საგნის განვითარება არის საგნის ამოწურვა და მისი გადასვლა სხვა საგნებში და ა. შ. საგნის ამოწურვას ერთგვარი წრიულობა ახასიათებს. საგნის განვითარება იწყება საგნის გაჩენით და მთავრდება საგნის მთელი შინაარსით. საგნის განვითარება იწყება საგნის დაწყებით და ამ განვითარებაში მთავრდება ის, რაც დაიწყო. ასეთი წრიულობა ახასიათებს შემეცნებასაც. შემეცნება იწყება საგნის შემეცნებით და მთავრდება ამ საგნისვე შემეცნებით. ლოგიკური განვითარებაც წრიული ხასიათისაა. მსჯელობის განვითარება მსჯელობის ბუნების ამოწურვაა. ასეა დასკვნის განვითარებაც. ცნების განსაზღვრება იწყება ცნებით და მთავრდება ცნების დადგენით. ლოგიკურის და შემეცნების წრიულობა, „წრებრუნვა“ არის მათი სტრუქტურის ერთგვარობა; მათი წრიულობა საგნის წრიულობით განისაზღვრება. აქ აღნიშნული სტრუქტურის ასპექტში ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა; ეს იგივეობრივი კი ობიექტური ხასიათისაა.

ლოგიკურის და შემეცნებითის წრიული სტრუქტურა იგივეა. რაც ანალიზ-სინთეზის ერთიანობა. ანალიზი არის ნიშნის, განსაზღვრულობის გამოყოფა, მაგალითად, მსჯელობის სუბიექტიდან პრედიკატის გამოყოფა, მაგრამ ეს გამოყოფა, ამავე დროს მათი ერთიანობის დადგენაა[1]; პრედიკატის გამოყოფა იმის გამოყოფაა, რასაც სუბიექტი წარმოადგენს. ასე ითქმის დასკვნაში და დასაბუთებაში განხორციელებულ სინთეზ-ანალიზის ერთიანობაზეც.

ერთი სიტყვით, სინთეზურ-ლოგიკურის საფუძველზე შესაძლებელია დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობის დაფუძნება.

---

[1] შდრ. კ. მ ა რ ქ ს ი, მათემატიკური ხელნაწერები, პროფ. ლ. გოკიელის თარგმანი გამოკვლევითურთ. გვ. 16, 86—87, 188—190.

ის, რაც ზემოთ ითქვა ლოგიკური კანონების შესახებ, აქ გამოყენებულ უნდა იქნას არგუმენტად. რათა დასაბუთდეს დიალექტიკის, ლოგიკის და გნოსეოლოგიის იგივეობა.

ლოგიკის კანონი არის ცოდნა-შემეცნების კანონიც. ლოგიკური კანონის ასპექტში ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა. თუ ლოგიკური წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს უნდა ექვემდებარებოდეს, მაშინ შემეცნებაც — ცოდნაც ამ კანონის ქვემდებარე უნდა იყოს; თუ წინააღმდეგობა არის ლოგიკური შეცდომა. მაშინ წინააღმდეგობა შეცდომა იქნება შემეცნების თვალსაზრისითაც. ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით წინააღმდეგობა ერთნაირად გამორიცხავს ჰეშმარიტებასაც და ლოგიკურ სისწორესაც; წინააღმდეგობა და წინააღმდეგობის შეუძლებლობა ერთგვარი საზომია ჰეშმარიტება-სისწორის შეცდომისაგან განსასხვავებლად. წინააღმდეგობის შემცველი აზრი მცდარად ითვლება როგორც ლოგიკური, ისე შემეცნების თვალსაზრისით.

თუკი ლოგიკურ კანონად მიღებული იქნება წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, მაშინ ეს კანონი შემეცნების — ცოდნის — კანონადაც უნდა იქას მიღებული. წინააღმდეგობის ერთიანობის ასპექტში ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა. წინაღმდეგობის ერთიანობის საფუძველზე დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთსა და იმავე მეცნიერებას წარმოადგენს.

ამრიგად, ლოგიკური კანონის თვალსაზრისით, სულ ერთია ფორმალური ლოგიკის წინააღმდეგობის შეუძლებლობას მივიღებთ თუ დიალექტიკური ლოგიკის დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე იქნება. კიდევ მეტი: ისე როგორც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი არისტოტელეს მიერ მიჩნეული იყო ონტოლოგიის კანონადაც. ასევე უნდა ითქვას წინააღმდეგობის ერთიანობის კანონის შესახებაც. ეს კანონი. უპირველეს ყოვლისა, სინამდვილის უნივერსალურ კანონს წარმოადგენს; ის არის ონტოლოგიის კანონი, რომელიც მოქმედებს ლოგიკურშიც და შემეცნების პროცესშიც, — ლოგიკაშიც და გნოსეოლოგიაშიც.

პოზიტივიზმის პოზიციებზე მდგომი ლოგიკოსების ის აზრი, რომ ლოგიკის კანონები თამაშის კანონებს წარმოადგენენ, შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ლოგიკის კანონების თამაშის კანონებად მიჩნევა არის ლოგიკური კანონის ობიექტურობის უარყოფა, რაც ლოგიკის კანონების უარყოფას ნიშნავს. საერთოდ მეცნიერების, კერძოდ კი,

ლოგიკის კანონი ობიექტური კანონია, მაშინ როცა თამაშის კანონები არ წარმოადგენენ ობიექტურ კანონებს (თუმცა ყოველგვარი ობიექტურობის გარეშე არც თამაშის კანონები არსებობენ), ისინი შეთანხმების საფუძველზე დგინდებიან; მათი შეცვლა შეიძლება თვითნებურად (თუმცა ამ თვითნებობასაც აქვს ობიექტური საზღვარი). ლოგიკის კანონების თამაშის კანონებად მიჩნევის წინააღმდეგ შეიძლება საკმარისად ჩავთვალოთ ერთი არგუმენტიც: ლოგიკის კანონების თამაშის კანონებად აღიარება თვითონ არ შეიძლება იყოს თამაში; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აღიარება შეიძლება თავისუფლად გავაუქმოთ, ე. ი. ლოგიკის კანონების ობიექტურობა ვაღიაროთ. თუ ლოგიკის კანონების თამაშის კანონებად აღიარება თვითონ არის თამაში, მაშინ შესაძლებელი ხდება ლოგიკის კანონები ხან აღიაროთ თამაშის კანონებად, ხან კი არა. ასეთ შემთხვევაში დაიკარგება ყოველგვარი ლოგიკა. თუ ლოგიკის კანონების თამაში კანონებად აღიარება თვითონ არ არის თამაში, მაშინ ლოგიკის კანონებს ობიექტური საფუძველი ჰქონია, ლოგიკის კანონები ობიექტური კანონები ყოფილა და არა თამაშის კანონები. ლოგიკის კანონების თამაშის კანონებად აღიარება თავის თავს აუქმებს; ლოგიკის კანონების თამაშის კანონებად აღიარება ლოგიკის კანონების უარყოფას წარმოადგენს. საერთოდ კანონის უარყოფა შეუძლებელია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ეს უარყოფა უნდა გამოვაცხადოთ აბსოლუტურ კანონად. მით უმეტეს ეს ითქმის ლოგიკური კანონის შესახებ. ლოგიკური კანონის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს უარყოფის ლოგიკური კანონი. ლოგიკური კანონების უარყოფა თვითონ ადგენს ლოგიკური კანონების აუცილებლობას.

როგორც ცნობილია, კანონი არის ერთ-ერთი ფილოსოფიური კატეგორიათაგანი. ის უზოგადესია არსის, ლოგიკურის და შემეცნებისათვის. ამიტომ, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ, ლოგიკური კანონი იმ ნიშნებსაც შეიცავს, რასაც საერთოდ კანონი, თუმცა იგი სპეციფიკურია, რადგან იგი სწორედ ლოგიკური აზრის კანონს წარმოადგენს. რადგან კანონი, როგორც ასეთი, არის კატეგორია, ამიტომ ლოგიკურის კანონსაც აქვს კატეგორიულობის თვისება; ლოგიკურის კანონი დასაბუთების კანონია, ამიტომ იგი ყოველი კანონის დასაბუთებისათვის პირველია. კანონი ერთ-ერთი კატეგორიათაგანია. მაგრამ იგი თვითონ არის კატეგორიების გარკვეული კავშირი. მაგალითად, წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი აერთიანებს წინააღმდეგობისა და ერთიანობის კატეგორიებს; იგივეობის და სხვაობის აუცილებლობის თუ ერთიანობის კანონები იგივეობის და სხვაობის

კატეგორიებს აერთიანებს და სხვ. კანონი, როგორც ვიცით, არის არსებითი კავშირის ზოგადობის ფორმა. ასეთია ლოგიკურის კანონიც. ლოგიკური კანონი, როგორც აზრთა არსებითი კავშირის ზოგადობის ფორმა, თვითონ წარმოადგენს გარკვეული შინაარსის და ფორმის ერთიანობას; ის არის შინაარსის გარკვეულობა, გარკვეული წესი. კანონს, როგორც წესს, ცხადია, ახასიათებს კანონის და წესის ზოგადობა, შინაარსეული ზოგადობა. კანონი შინაარსეული ზოგადობის ფორმას წარმოადგენს. კანონი არ არის წმინდა ფორმა. ის არ არის არც აპრიორული და არც შეთანხმების საფუძველზე მიღებული. ყოველგვარი შეთანხმება კანონს ექვემდებარება და არა პირიქით. კანონი არ შეიძლება არ იყოს ობიექტური.

ლოგიკური კანონები უნდა წარმოადგენდნენ ლოგიკური კავშირის დადებით, აუცილებელ და საკმარის პირობებს, ისინი ლოგიკური კავშირის ბუნებას უნდა გამოხატავდნენ. ზემოგანხილული ლოგიკური კანონებიდან ზოგიერთი კანონი არის მხოლოდ უარყოფითი პირობა ლოგიკური კავშირისათვის. ცნობილია, რომ იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობის და გამორიცხული მესამის კანონები არის აუცილებელი, არასაკმარისი და უარყოფითი პირობები ლოგიკური კავშირისა და ჭეშმარიტებისათვის. მცდარიც ექვემდებარება ამ კანონებს. მათემატიკური ლოგიკის „ყოველთვის ჭეშმარიტი" დებულებები, როგორც კანონები, ტავტოლოგიური ბუნების არიან, ამიტომ ისინი არაფერს არ ლაპარაკობენ სინამდვილის შესახებ. ობიექტურობის შესახებ. იგივეობრივში განსხვავების შეტანა გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ ობიექტურობის შესახებ. იგივეობრივი ყველაფერია, მცდარიც ასეთია. წინააღმდეგობის ერთიანობის და მის მიერ ნაგულისხმევი ზოგიერთი კანონი კი როგორც ჭეშმარიტების, ისე ლოგიკურის აუცილებელ, საკმარის და დადებით ლოგიკურ პირობებს წარმოადგენენ, რადგან ისინი ჭეშმარიტების და ლოგიკურის ერთსა და იმავე არსებას შეადგენენ. ამიტომ უზრუნველყოფილია დიალექტიკურის, ლოგიკურისა და შემეცნებითის იგივეობა.

ლოგიკურ კანონთა უმრავლესობა ისეთი კანონებია, რომლებიც ზოგადია არსისა, ლოგიკურისა და შემეცნებისათვის, თუმცა ამ სფეროებში ისინი სპეციფიკურობას იძენენ. როგორც ვნახეთ, აზრის ლოგიკური კანონები ერთიანდება ერთ უძირითადეს კანონში — წინააღმდეგობის ერთიანობის კანონში, რომელიც სინამდვილის უნივერსალურ კანონს წარმოადგენს, მაგრამ მოქმედებს შემეცნებაშიც, როგორც სინამდვილის შემეცნების მეთოდი, წესი და ლოგიკურშიც, სადაც მას თვითდადგენის კანონის ფორმა აქვს. იგივეობის

კანონი სინამდვილის კანონიცაა და აზრისაც; ასეთია წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონიც, როგორც არსებობის, შემეცნების და ლოგიკურის კანონი; ასეთია საფუძვლის კანონიც, რადგან არსებობს რეალური საფუძველიც, ლოგიკური საფუძველიც და შემეცნების საფუძველიც. ასე ითქმის სხვა ბევრი ლოგიკური კანონის შესახებაც და სხვ.

აქ აღნიშნულის გამო არ შეიძლება ლოგიკურ კანონებს არ ჰქონდეს ობიექტური შინაარსი, არ შეიძლება ისინი შინაარსეულ კანონებს არ წარმოადგენდნენ. იგივეობისა და სხვაობის ერთიანობის კანონი არის ის ფორმა, რომლის შინაარსში არის იგივეობის და სხვაობის ელემენტები; ურთიერთდადგენის კანონი შეიცავს როგორც უარყოფის, ისე დადგენის მომენტებს. დადგენის კანონი სწორედ შინაარსეულობით განსხვავდება იგივეობის კანონისაგან (როგორც ეს პირველად ფიხტემ თავისებურ ფორმაში დაასაბუთა); დადგენის კანონი ადგენს „A“-ს, მაშინ როცა იგივეობის კანონი („A არის A“) მხოლოდ ფორმაა, სახელდობრ „თუ — მაშინ“-ის ფორმა, და სხვ.

როგორც აღინიშნა, დიალექტიკის ძირითადი კანონები სპეციფიკურად მოქმედებენ ლოგიკურ სფეროშიც. მაგალითად, რაოდენობის თვისობრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი ლოგიკის სფეროში მოქმედებს როგორც ახლის მიღების თუ აუცილებელი მეორის კანონი; უარყოფის უარყოფის კანონი უშუალოდ ხორციელდება ლოგიკურ სფეროში; ამ სფეროშიც აქვს ადგილი მოხსნა-შენახვას და შინაგანი წინააღმდეგობაც ორმაგ უარყოფას უარყოფას წარმოდგენს; წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი კი თვითდადგენის, სახელდობრ, შინაგანი უარყოფით თვითდადგენის კანონს წარმოადგენს. ამით უზრუნველყოფილია დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობა.

ლოგიკური კანონების და აზრის ფორმების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ლოგიკურის ყოველ ფორმაში მოქმედებს უარყოფის მომენტი (მათემატიკური ლოგიკაც იძულებულია უარყოფის საყოველთაობა აღიაროს). როგორც ვიცით, ასეთი უარყოფა შედარებითი ხასიათისაა. შედარებითი უარყოფა არის როგორც საერთოდ კავშირის მომენტი (ვ. ი. ლენინი), ისე ლოგიკური კავშირის მომენტიც. უარყოფა აუცილებლობით გულისხმობს უარსაყოფელს და უარმყოფელს, ამით მიიღება წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ლოგიკური კავშირის არსება, „უარყოფის“ ასპექტშიც ერთი და იგივეა დიალექტიკური, ლოგიკური და შემეცნებითი.

ლოგიკურის ზოგიერთი კანონი არის კანონი, რომელიც ამართ-

ლებს ლოგიკურის „სწორხაზობრიობას". შეუბრუნებადობას. ასეთია როგორც ძველი, ისე ახალი ფორმალური ლოგიკის ყველა კანონი. ფორმალურმა (და მათემატიკურმა) ლოგიკამ არ იცის შებრუნებადობა ლოგიკურში. იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობის და ზოგიერთ სხვა კანონს ემყარება ლოგიკური კავშირი, რომლის ბუნება გამოითქმება „თუ—მაშინ"-ის პრინციპით; საფუძველი განსაზღვრავს შედეგს და არა პირიქით. მაგრამ დიალექტიკურ ლოგიკაში არის ისეთი კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ შებრუნებადობას, ერთგვარ არასწორხაზობრიობას, წრიულობას ლოგიკურ კავშირში. ასეთია წინააღმდეგობის აუცილებლობის (უარყოფითი დიალექტიკა), ურთიერთუარყოფის, ურთიერთდადგენის, თვითდადგენის და სხვა კანონები. არამარტო საფუძველი განსაზღვრავს შედეგს, არამედ პირიქითაც (ამიტომ არის შესაძლებელი ინდუქცია და დედუქცია). შებრუნებადობა, წრიულობა, ცხადია, არ გამორიცხავს „სწორხაზობრიობას", წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ წრიულობა იქნებოდა შეუძლებელი. „სწორხაზობრიობა" „წრიულობის" მომენტია, ასე ვთქვათ, პირველი ნახევარია.

ლოგიკურში შებრუნებადობა და წრიულობა ლოგიკურის რეფლექსურობას ნიშნავს. დიალექტიკურ-ლოგიკურის რეფლექსურობას განსაზღვრავენ კანონები, რომელთა შორის უძირითადესია თვითდადგენის კანონი, რომლის მომენტებსაც გამოხატავენ ურთიერთუარყოფის, ურთიერთდადგენის და სხვ. კანონები. სწორედ შებრუნებადობა და რეფლექსურობა უზრუნველყოფს იმას, რომ თავიდან ავიცილოთ დასაბუთებაში უსასრულო რეგრესის საშიშროება, გავამართლოთ დასაბუთება აქსიომების — დაუსაბუთებლის გარეშე, როგორც ამას შემდგომ სპეციალურად გავარკვევთ. როგორც ვიცით, რეფლექსურობა და წრიულობა შესაძლებელი და გამართლებულია ლოგიკურ უსასრულობაში; სასრულ სფეროში იგი შეცდომას წარმოადგენს.

ზემოთგანხილული ლოგიკური კანონები უშუალოდ ეყრდნობა სასრულის და უსასრულოს კატეგორიებს, უკეთ: სასრულის და უსასრულოს დიალექტიკურ ერთიანობას, სადაც უსასრულო არის „გარეგადამწვდომი"; საბოლოოდ, ლოგიკურის კანონები უსასრულო-ლოგიკურის კანონებს წარმოადგენენ. თვითდადგენის კანონი უშუალოდ გამოხატავს ლოგიკურ-უსასრულოს, რაიმეს დადგენას მისივე (რაიმეს) უარყოფის საშუალებით. ლოგიკური კანონები არის ამხსნელი როგორც „აბსტრაქტულ-ლოგიკურის". ისე უარყოფითი დიალექტიკურ-ლოგიკურისა და დადებით-დიალექტიკურ-ლოგიკურის; ისინი წარმოადგენენ ლოგიკური ერთმხრიობის — მსჯელობის,

„არასრული“ და „სრული“ დასკვნების ამხსნელ კანონებს, — ლოგიკური განვითარების კანონებს. ლოგიკური კანონები წარმოადგენენ უსასრულო დასკვნის კანონებს, ამიტომ — სასრულ-ლოგიკურის კანონებსაც. სასრული, როგორც „ეს და არა სხვა“ ან „ეს და არა საწინააღმდეგო“ და უსასრულო, როგორც თვითსაფუძველი, უნივერსალური ხასიათის კატეგორიებს წარმოადგენენ. მათ საფუძველზე და მათ ასპექტში დიალექტიკური, ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა.

ზემოთ ისიც გაირკვა, რომ თვითონ ლოგიკური კანონების კავშირი წარმოადგენს ლოგიკურ განვითარებას, სადაც ლოგიკური კანონები ერთიანი ლოგიკურის ნიშნებს — შინაარსს — შეადგენენ. ამიტომ ლოგიკური კანონების კავშირი შინაარსეული ლოგიკურის ბუნებისაა. ამიტომ ამ კანონების მიერ დაფუძნებული ლოგიკა „საგნობრივი“ და შინაარსეული ლოგიკაა. ამის გამო ეს ლოგიკა არის ონტოლოგიური ლოგიკა და გარკვეულ შემეცნების თეორიასაც წარმოადგენს.

მაშასადამე, ლოგიკური კანონების ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

§ 197. დიალექტიკურ-ლოგიკური უპირობო

მატერიალისტურ დიალექტიკაში დასაბუთებულია, რომ დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოების და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ. ამ მეცნიერების საგანი არის სინამდვილეში არსებული დიალექტიკა. სინამდვილის უნივერსალური კანონები დიალექტიკის კანონებია. დიალექტიკა სინამდვილის ყოველ სფეროში ბატონობს; დიალექტიკურია ყველაფერი, დიალექტიკას ემორჩილება ყველაფერი. ყველაფერი არის ურთიერთკავშირსა და მოძრაობა-განვითარებაში, რომელიც შინაგანი წინააღმდეგობით ხორციელდება და ალმავალ განვითარებას წარმოადგენს. ყველაფერი გაპირობებულია დიალექტიკურობით. თვითონ დიალექტიკა კი არაფერს არ ექვემდებარება, არაფრით არ არის გაპირობებული; ის არის უპირობო; დიალექტიკა უპირობოდ მოქმედებს ყველაფერში. დიალექტიკა სხვას არაფერს არ ემორჩილება. დიალექტიკა რომ სხვა რაიმეს ემორჩილებოდეს, რომ ეს სხვა რაიმეთი იყოს გაპირობებული, მაშინ ეს სხვა რაიმე, როგორც დიალექტიკის გამპირობებელი, თვითონ მოექცევა ურთიერთკავშირში, თვითონ იქნება დიალექტიკაში შემავალი მომენტი. დიალექტიკის უარყოფა შეუძლებელია, რადგან უარყოფა თვითონ არის დიალექტიკის არსება, გან-

ვითარების არსება. დიალექტიკის უარყოფის ცდა თვითონ აჩვენებს დიალექტიკის აუცილებლობას, დიალექტიკას ადგენს. ამიტომ დიალექტიკა, თავისი ბუნებით, არის აბსოლუტური და უპირობო.

დიალექტიკურობა აბსოლუტურობაა, მოძრაობა-განვითარება აბსოლუტურია. ის არის აბსოლუტური ყველგან და ყოველ სფეროში. სადაც ის მოქმედებს, — მოქმედებს კი ყველგან, სინამდვილის ყოველ სფეროში. დიალექტიკურია არსიც, ლოგიკურიც და შემეცნებაც. თვითეულ ამ სფეროში დიალექტიკურობა ნიშნავს აბსოლუტურობას და უპირობობას. როგორც ვიცით, ეს აბსოლუტურობა და უპირობობა არ გამორიცხავს და არ აუქმებს შედარებითობას და პირობითობას, პირიქით. შეიცავს მას. აბსოლუტური, უპირობო. უსასრულო, კ. მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, არის „გარეგანდამწვდომი“ მომენტი აბსოლუტურის და შედარებითის ერთიანობაში, უპირობოს და პირობითის, უსასრულოს და სასრულის ერთიანობაში. ასეთი აბსოლუტურობა და უპირობობა ბატონობს არსშიც. აზრში, შემეცნებაშიც.

არ შეიძლება არსებობდეს ერთზე მეტი უპირობო. არსის უპირობო, აზრში არსებული უპირობო და შემეცნებაში არსებული უპირობო თუ აბსოლუტური, სამი აბსოლუტური — უპირობო კი არ არის, არამედ მხოლოდ ერთი. ეს ერთი არის დიალექტიკურობა, დიალექტიკა. არსის დიალექტიკა, ლოგიკურის დიალექტიკა და შემეცნების დიალექტიკა, არსებითად არის ერთი და იგივე დიალექტიკა. რომელიც სპეციფიკურობებს იძენს ამ სამ სფეროში. მაგრამ რადგან შემეცნება არის სწორედ არსის შემეცნება. ლოგიკურობა კი შემეცნების და ცოდნის ლოგიკურობაა, ამიტომ არსის დიალექტიკა განსაზღვრავს შემეცნების და ლოგიკურის დიალექტიკას. შემეცნება და მისი ლოგიკა არის არსის დიალექტიკის თავისებური რეპროდუქცია (კ. მარქსი). სწორედ ამის გამო მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკაა მეცნიერული დიალექტიკა.

რადგან არსის დიალექტიკა განსაზღვრავს შემეცნების და ლოგიკურის დიალექტიკას, რადგან სამივე ამ სფეროში არსებითად სწორედ დიალექტიკა ბატონობს, ამიტომ დიალექტიკის, როგორც გარკვეული აბსოლუტურის და უპირობოს, ასპექტში ონტოლოგია, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა; უკეთ, საგნობრიობის მხრივ, როგორც ვიცით, ონტოლოგია განსაზღვრავს ლოგიკასა და შემეცნების თეორიას. ამიტომ ლოგიკა, რომელშიც დიალექტიკა ბატონობს, დიალექტიკური ლოგიკა ონტოლოგიური ლოგიკაა. ლოგიკურს ონტოლოგიური განსაზღვრავს, ამიტომაა ლოგიკური ობიექტური, ე. ი. მას შემეცნებითი ხასიათიც აქვს. სწორედ

დიალექტიკურობის გამო არის ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობაში დიალექტიკა არის გაბატონებული, გარეგანდამწყვდომი მომენტი. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობაში დიალექტიკა არის დამქვემდებარებელი და განმსაზღვრელი. ამ სამი ცნების იგივეობას სწორედ დიალექტიკურობა ასაბუთებს. ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა დიალექტიკურობაში, რომელიც აბსოლუტური ხასიათისაა.

სინთეზურია საგანი, რადგან ის არის განსხვავებულთა ერთიანობა. სინთეზურობით აქვს აზრი შემეცნებას, რადგან შემეცნება არის ახლის გაგება. სინთეზურია ლოგიკურიც, რადგან, როგორც ვიცით, ლოგიკური კავშირი მხოლოდ განსხვავებულთა კავშირი შეიძლება იყოს. საგნის სინთეზურობა განსაზღვრავს შემეცნების და ლოგიკურის სინთეზურობას. საგნის სინთეზურობა სპეციფიკურად ვლინდება აზრში, აზრის ფორმებში — მსჯელობაში, დასკვნაში, ცნებაში, დაბაბუთებაში. სინთეზურობის ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთიდაიგივეა.

საჭიროა ამ სფეროში სინთეზურობის ბატონობა, როგორც ვიცით, არის მათში შინაგანი უარყოფის ბატონობა. განსხვავება— სინთეზურობის არსება არის შინაგანი უარყოფა, რომელიც ბატონობს საგანში, ამიტომ — აზრშიც, შემეცნებაშიც. ლოგიკურისათვის არსებითია ლოგიკური უარყოფა. არ არსებობს მსჯელობა შინაგანი უარყოფის გარეშე. ასე ითქმის დასკვნისა და დაბაბუთების შესახებაც. უარყოფის ასპექტში ლოგიკური და შემეცნებითი ერთიდაიგივეა.

უარყოფა ქმნის წინააღმდეგობას, რადგან, უარყოფა, როგორც ვიცით, არის ის, რომელიც აუცილებლობით გულისხმობს უარმყოფელს და უარმყოფელს; ამიტომ უარყოფის მოქმედებისას აგდილი აქვს ურთიერთუარყოფას, წინააღმდეგობას. დიალექტიკური წინააღმდეგობა ბატონობს აზრის ფორმებში: 1) მსჯელობა არის მტკიცება-უარყოფის ბუნების, 2) სრული დასკვნა არის შინაგანი უარყოფით დადგენა, და სხვ. ასე რომ წინააღმდეგობა, რომელიც აბსოლუტურია (ვ. ი. ლენინი)[1] სინამდვილეში, თავისებურად მოქმედებს ლოგიკურშიც, ცოდნის ლოგიკაში. წინააღმდეგობის აბსოლუტურობა ქმნის ლოგიკურის უპირობობას. დიალექტიკური

---

[1] წინააღმდეგობა აბსოლუტურია, ერთიანობა — შედარებითი, მაგრამ მოძრაობა, როგორც ერთიანობა, აბსოლუტურია. აბსოლუტურია სამყაროს ერთიანობა, რომელიც მატერიალურობაში მდგომარეობს. მაშ., არსებობს განსხვავება ამ ორ ერთიანობას შორის.

წინააღმდეგობის ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

. წინააღმდეგობის მოქმედება არსში, აზრსა და შემეცნებაში, ეს არის წინააღმდეგობის ერთიანობის მოქმედება, წმინდა შიშველი წინააღმდეგობა შეუძლებელია არსში, აზრში კი შეცდომას წარმოადგენს; წინააღმდეგობის ერთიანობით აქვს აზრი, როგორც ვიცით. მსჯელობას, დასკვნას, საერთოდ ლოგიკურს. წინააღმდეგობის ერთიანობა ხორციელდება ლოგიკურის კატეგორიების რეფლექსურობაში და უსასრულო დასკვნაში, რომელსაც ექვემდებარება აზრის ყველა ფორმა.

წინააღმდეგობის ერთიანობის მოქმედება ხორციელდება თვითმოძრაობაში, შინაგანი უარყოფა-წინააღმდეგობით განხორციელებულ მოძრაობა-განვითარებაში. ასეთ მოძრაობასა და განვითარებაშია ბუნება, საზოგადოება და აზროვნება: ლოგიკური და შემეცნებითი. თვითმოძრაობა-განვითარების აბსოლუტურობა ხორციელდება ლოგიკურშიც. როგორც ვიცით, მსჯელობა შინაგანი წინააღმდეგობით გადადის უშუალო დასკვნაში, ეს კი შუალობითში, რაც უსასრულო დასკვნით სრულდება. არსებობს ლოგიკური განვითარება, აზრის ლოგიკური ფორმების გადასვლები, რომლებშიც სწორედ ლოგიკური განვითარების კანონები მოქმედებენ. განვითარების აბსოლუტურობა ლოგიკურშიც ხორციელდება. სწორედ ამ აბსოლუტურის ასპექტში და მის გამო არის ერთი და იგივე დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია.

სინამდვილე არის causa sui. ასეთია ლოგიკურიც, სახელდობრ, ლოგიკურის უმაღლესი ფორმა — უსასრულო დასკვნა. ეს არ ნიშნავს არც ლოგიკურის მოწყვეტას სინამდვილისაგან და არც მათ გაიგივებას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ლოგიკური ასახავს სინამდვილეს იმ მხრივაც, რომ ორივეგან მოქმედებს შინაგანი საფუძველი. ლოგიკურში რომ არ მოქმედებდეს შინაგანი საფუძველი, სახელდობრ, შინაგანი ლოგიკური საფუძველი, მაშინ, როგორც ითქვა და როგორც ამას შემდგომ უფრო სისრულით დავამტკიცებთ, ლოგიკური დასაბუთება უსასრულო რეგრესში დაიკარგებოდა, შეუძლებელი იქნებოდა; ამავე დროს აუცილებელი გახდებოდა რეალური საფუძვლის ლოგიკურ საფუძველთან გაიგივება, რაც, როგორც ვიცით, მოგვცემდა: 1) ლოგიკურ რეგრესს, უაზრობას და 2) ობიექტურ იდეალიზმს. რომ ლოგიკური causa sui შეუძლებელი იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ლოგიკური კანონზომიერება, ლოგიკური შინაგანი აუცილებლობა, ე. ი. შეუძლებელი იქნებოდა ლოგიკა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, რადგან

მას საგანი არ ექნებოდა. როგორც ვიცით, ლოგიკურში ადგილი აქვს პირობითის და უპირობოს დიალექტიკურ ერთიანობას, რომელიც სრული სახით არსებობს უსასრულო, უპირობო ლოგიკურში — უსასრულო დასკვნაში, რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში, რაც ლოგიკურ წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. უსასრულო დასკვნა ლოგიკურად ანხორციელებს იმას, რაც აბსოლუტურია სინამდვილეში და მის შემეცნებაში. ეს არის წინააღმდეგობის ერთიანობა. ამ მხრივ, დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

ისიც ვიცით, რომ უსასრულო დასკვნაში, როგორც უპირობო (ლოგიკურად უპირობო, რეალურად გაპირობებული) ლოგიკური. ამავე დროს უპირობო-აბსოლუტურ ჭეშმარიტებასაც წარმოადგენს. აქ ადგილი აქვს პირველ ლოგიკურს და პირველ ჭეშმარიტებას, როგორც ლოგიკურის არსებას და ჭეშმარიტების არსებას. უსასრულო დასკვნაში მხოლოდ იმიტომ კი არ არის ჭეშმარიტება, რომ ის რეალური წინააღმდეგობის ერთიანობის ასახვას წარმოადგენს, არამედ იმიტომაც, რომ მასში ლოგიკური დადგენა ხორციელდება შინაგანი უარყოფით, რაც ჭეშმარიტებასაც წარმოადგენს. თუ რაიმეს უარყოფით იგივე დგინდება, მასში ხორციელდება სრული ლოგიკური აუცილებლობა, რომელიც ჭეშმარიტებასაც წარმოადგენს. შეუძლებელია შეცდომა იყოს ის, რომელიც დადგენაა შინაგანი უარყოფის საშუალებით. წინააღმდეგობის ერთიანობა აბსოლუტურია არსშიც, შემეცნებაშიც და ლოგიკურშიც. ის ლოგიკურში არის უპირობო. წინააღმდეგობის ერთიანობის სრული განხორციელება ლოგიკურში არის ლოგიკური უპირობო, რაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებასაც წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას მეტიც, სახელდობრ ის, რომ მხოლოდ უსასრულო დასკვნის საშუალებით შეიძლება არსებობის დასაბუთება. არსებობა არის არა მარტო ონტოლოგიის კატეგორია, არამედ აგრეთვე, ლოგიკურის კატეგორიაც. არსებობა ლოგიკურშიც მოქმედებს. არსებობის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან არსებობის ლოგიკური უარყოფისას ეს უარყოფა აუცილებლად უნდა არსებობდეს. არსებობის ლოგიკური უარყოფა არის საშუალება, რომლითაც არსებობის აუცილებლობა ხასიათდება. ამიტომაც არის ლოგიკური ონტოლოგიურზე დაფუძნებული.

ამრიგად, დიალექტიკურ-ლოგიკური უპირობო არის ის, რომელიც შეუძლებელს ხდის სუბიექტივიზმის და რელატივიზმის საფუძველზე ლოგიკის აგებას; იგი ასეთი აგების მცდარობას აშკარავებს, ამტკიცებს.

დიალექტიკურ-ლოგიკური უპირობო, ე. ი. უსაბრუნლო დასკვნა არის უზოგადესი და ამიტომ დამქვემდებარებელი ყოველი ლოგიკური ფორმისა. ეს ზოგადობა არის შინაარსეული ხასიათის ზოგადობა. ის, რომ მას ექვემდებარება ყოველი ლოგიკური ფორმა და ამ ფორმის სახეები, არ ნიშნავს იმას, თითქოს ყოველი აზრი, მაგალითად, ყოველი მსჯელობა იყოს უსაბრუნლო დასკვნა; არა. უსაბრუნლო დასკვნა არ არის მოკულობითი ზოგადი, ის არის შინაარსეული ზოგადი. მას ექვემდებარება მისი ყოველი ცალმხრიობა, რომელიც, ცხადია, არ არის არაცალმხრიობა, მთელი, ის ერთიანობა, რომლის ცალმხრიობასაც ის წარმოადგენს.

მაშასადამე, დიალექტიკურ-ლოგიკურის უპირობობის აღიარება არის, არგუმენტი, რომლის საფუძველზედაც შეიძლება დასაბუთდეს და საბუთდება დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობა.

§ 198. დასაბუთების მეთოდის დიალექტიკურობა

ყველაზე უფრო ძლიერი არგუმენტი, რომლითაც დიალექტიკის და შემეცნების თეორიის იგივეობა საბუთდება, არის არგუმენტი რომელიც დასაბუთების მეთოდის დიალექტიკურობის აღიარებაში მდგომარეობს; ეს არის იმის აღიარება, რომ დიალექტიკური მეთოდი არის დასაბუთების მეთოდიც. დიალექტიკური მეთოდი ერთსა და იმავე დროს არის შემეცნების მეთოდიც და დასაბუთების ლოგიკური მეთოდიც. დიალექტიკური მეთოდი ლოგიკური მეთოდი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ ის დასაბუთების მეთოდს წარმოადგენს.

ჩვენ აქ — დიალექტიკის, ლოგიკის და შემეცნების თეორიის იგივეობის საკითხის განხილვის დასასრულს—აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე დებულებას დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, შესახებ. ჩვენი ამ შრომის უკანასკნელი ორი თავი მთლიანად მიეძღვნება სწორედ დასაბუთების მეთოდის დიალექტიკურობას, დიალექტიკურ მეთოდს როგორც დასაბუთების მეთოდს; იქ დამტკიცდება ის, რაც აქ მხოლოდ ზოგადად იქნება აღნიშნული.

ფ. ენგელსი დიურინგის წინააღმდეგ ბრძოლის დროს აღნიშნავდა, რომ დიალექტიკა არ არის „უბრალო მტკიცების რაღაც იარაღი"; „უბრალო მტკიცების რაღაც იარაღად" შეიძლება გამოდგეს ფორმალური ლოგიკა, თუ ის შეზღუდულად იქნება გაგებული; მაგრამ, ნამდვილად, „თვითონ ფორმალური ლოგიკაც. უწინარეს ყოვლისა, ახალი შედეგების გამოძებნის მეთოდს წარმოადგენს ცნობილიდან უცნობზე გადასასვლელად"; „დიალექტიკა არღვევს

ფორმალური ლოგიკის ვიწრო ჰორიზონტს"; არ შეიძლება, „რომ დიალექტიკის სფეროში მოპოვებული შედეგები ფორმალური ლოგიკის საშუალებით დაამტკიცონ".[1] მაშასადამე, დიალექტიკური მეთოდი. ფორმალურ-ლოგიკურზე უფრო სრული აზრით, არის დასაბუთების მეთოდი, რომელიც, იმავე ფ. ენგელსის აზრით (იხ. მისი რეცენზია კ. მარქსის წიგნზე „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის"), არის ის ლოგიკური მეთოდი, რომელიც კ. მარქსმა გამოიყენა ნაშრომებში — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" და „კაპიტალი".

თუ დიალექტიკური მეთოდი, როგორც ამას ენგელსი აღნიშნავს, ფორმალურ-ლოგიკურზე უფრო სრული აზრით არის ახლის მიღების მეთოდი, მაშინ ეს მეთოდი ერთი და იგივე იქნება ლოგიკურშიც და შემეცნების თეორიაშიც; ის იქნება ცოდნის მიღების მეთოდიც და სინთეზური დასაბუთების მეთოდიც, რომელიც ერთნაირად იმოქმედებს ლოგიკაში, როგორც ლოგიკური წესი, და შემეცნების თეორიაშიც, როგორც შემეცნების წესი; სინთეზური („ახლის მიღების") დასაბუთების წესი არ შეიძლება არ იყოს შემეცნების წესიც.

ცნობილია, რომ ინდუქცია არის და უნდა იყოს კვლევა-ძიების ანუ შემეცნების მეთოდი, მაგრამ იგი (ინდუქცია) უნდა გამართლდეს როგორც დასაბუთების მეთოდი; ამას ცდილობდა ინდუქციური ლოგიკა დღიდან მისი წარმოშობისა დღემდე. თუ ინდუქცია გამართლდა, როგორც დასაბუთების მეთოდი, მაშინ ის იქნება, ერთსა და იმავე დროს, ლოგიკური დასაბუთების და შემეცნების ერთი და იგივე მეთოდი. როგორც ამას ქვემოთ დავამტკიცებთ, ინდუქცია, როგორც დასაბუთების მეთოდი, მართლდება კატეგორიების კავშირში, საბედნიეროდ, კერძოდან ზოგადზე გადასვლის დიალექტიკურ-ლოგიკურ აუცილებლობაში. კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა, როგორც ვიცით, ხორციელდება შინაარსეული კერძოსათვის ასეთი ზოგადის აუცილებლობაში. სწორედ აქ ხდება შესაძლებელი დაძლეულ იქნას ის ალბათობა, რომელიც დამახასიათებელია ინდუქციისათვის, თუ ის აღებულია ფორმალურ-ლოგიკური აზრით. ფორმალურ-ლოგიკური ინდუქციისათვის დამახასიათებელი ალბათობა არ შეიძლება არ იქნეს დაძლეული, რადგან: 1) ყველაფრის ალბათობის აღიარება უკვე აღარაა ალბათური; ალბათურის საფუძველი უნდა იყოს არაალბათური, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ ალბათურიც შეუძლებელი იქნება (როგორც ამას დავამტკიცებთ შემდგომ — დასაბუთების მეთოდების განხილვის

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 160.

დროს); 2) კერძოსათვის, როგორც კატეგორიისათვის, აუცილებელია ზოგადის კატეგორია (როგორც ეს ზემოთ იქნა ნათელყოფილი).

ფორმალური ლოგიკისათვის ცნობილია, რომ ინდუქცია კერძოდან ზოგადამდე უნდა მივიდეს; მაგრამ ის, ამავე დროს, გამოდის ზოგადიდან (მაგ., ბუნების ერთგვაროვნის კანონიდან); ეს უკვე ლოგიკურ წრეს ქმნის. ლოგიკურ წრეს ქმნის დედუქციაც, რადგან დედუქცია გამოდის ზოგადიდან და მიდის კერძომდე, მაგრამ მისთვის აუცილებელი ხდება ზოგადის მიღება კერძოდან. ინდუქციისა და დედუქციის ეს სიძნელე, სახელდობრ, წრიულობის სიძნელე წყდება დიალექტიკურ-ლოგიკაში ურთიერთმოქმედების კატეგორიის „თვითმიზეზით“ — თვითსაფუძვლით — გამართლებით. თვითსაფუძველი მოქმედებს თვითდაფუძნებაში, რომელსაც, როგორც ვიცით, უსასრულო დაკვნა წარმოადგენს. სწორედ უსასრულო ლოგიკური ამართლებს პირობით-ლოგიკურს, რომელიც ინდუქციაში და დედუქციაში მოქმედებს. ინდუქცია და დედუქცია ემყარება კერძო-ზოგადის, როგორც საფუძველ-შედეგის, დამოკიდებულებას, კერძოს და ზოგადის დიალექტიკურ ერთიანობას, რომელიც უსასრულო დაკვნის მეთოდს წარმოადგენს. ინდუქცია და დედუქცია თავიანთი მოწოდებით უნდა იყვნენ დიალექტიკური ბუნებისა, რადგან ისინი საწინააღმდეგოში გადასვლას უნდა წარმოადგენდნენ. ინდუქცია, როგორც კერძოდან ზოგადზე გადასვლა, და დედუქცია, როგორც ზოგადიდან კერძოზე გადასვლა, საპირისპიროში თუ საწინააღმდეგოში გადასვლებს უნდა წარმოადგენდნენ, და უნდა დაემყარონ კერძოსა და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულების, ერთიანობას. ამიტომ ინდუქცია და დედუქცია დიალექტიკური მეთოდის მომენტებს უნდა წარმოადგენდნენ. დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, როგორც ამას ქვემოთ ვაჩვენებთ, არის დასაბუთების უნივერსალური მეთოდი, რომლის მომენტებსაც ინდუქცია და დედუქცია შეადგენენ. ინდუქცია და დედუქცია ემყარებიან პირობით დებულებას „თუ—მაშინ“. დიალექტიკური მეთოდი კი არის წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნების მქონე; წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ვიცით, ლოგიკურში ხორციელდება თვითდადგენაში, რომელიც შინაგანი უარყოფით სრულდება, რაც უპირობო ლოგიკურს წარმოადგენს. პირობით-ლოგიკური მართლდება უპირობო ლოგიკურში. დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, აზრს აძლევს ინდუქციას და დედუქციას, რომელიც დასაბუთების კერძო ხასიათის მეთოდებს

წარმოადგენენ, მაშინ როცა დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი, ეს არის დასაბუთების უნივერსალური მეთოდი.

დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ, დედუქციის და ინდუქციის მეთოდების ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ ის არის ისეთი მეთოდი, რომელშიც ხორციელდება თავისებური, არაფორმალურ-ლოგიკური დედუქცია და ინდუქცია, რომლებსაც ემყარებიან ფორმალურ-ლოგიკური დედუქცია და ინდუქცია.

მატერიალისტურ დიალექტიკაში ცნობილია, რომ დიალექტიკური მეთოდი არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის მეთოდი,[1] ისტორიულის ამსახველი ლოგიკურის მეთოდი. ჩვენ აქ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლა წარმოადგენს როგორც შემეცნებით, ისე ლოგიკურ განვითარებას, რომელიც, ერთსა და იმავე დროს, ინდუქციური ბუნების მქონეცაა და დედუქციური ხასიათისაცაა. აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე სვლა შეიცავს შემდეგ მომენტებს: 1) აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა არის თავისებური დედუქცია, რადგან აბსტრაქტული არის ზოგადი, კონკრეტული კი კერძოა, მაგალითად, საქონელი აბსტრაქტული ზოგადია, ფული კი განსაკუთრებულ საქონელს წარმოადგენს. ამიტომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულის გამოყვანა არის ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, დედუქციის ბუნების მქონე პროცესი; 2) აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა, ეს, ამავე დროს, არის თავისებური ინდუქციაც. რადგან გამოსავალი აბსტრაქტული არის შინაარსეული კერძო, კონკრეტული კი შინაარსეული ზოგადია, ამიტომ აქ ხორციელდება კერძოდან ზოგადზე გადასვლა — თავისებური ინდუქცია. 3) აბსტრაქტული, ერთსა და იმავე დროს, არის აბსტრაქტული ზოგადიც და შინაარსეული კერძოც, ისინი ერთიმეორეს ემთხვევიან; აქვე, კონკრეტული არის კერძო, აბსტრაქტულ ზოგადთან შედარებით, მაგრამ იგი შინაარსეულ ზოგადსაც წარმოადგენს; ამდენად, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლაში ერთიმეორეს ემთხვევა ინდუქცია და დედუქცია. 4) უნდა ითქვას ისიც, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა, ეს არის შედეგის საფუძველზე, როგორც ამხსნელზე გადასვლა და, ამავე დროს, საფუძვლიდან შედეგზე გადასვლაც. როცა საქონლიდან გადავდივართ ფულზე (აქ მხედველობაში გვაქვს, ცხადია, კ. მარქსის „კაპიტალი"), მაშინ საქონელი არის გამოსავალი საფუძველი, ფული კი შედეგია. საქონელი აბს-

[1] იხ. კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", „შესავალი" და ამ ნაშრომის შესახებ ფ. ენგელსის რეცენზია.

ტრაქტული ზოგადია, მაგრამ შინაარსეული კერძოა. ამიტომ შინაარსეული კერძოდან, როგორც საფუძვლიდან, შინაარსეულ ზოგადზე (ფულზე) გადასვლა, ეს არის თავისებური ინდუქცია, ასე ვთქვათ. შინაარსეული ინდუქცია. მეორე მხრივ, აქ ხორციელდება შედეგიდან საფუძველზე გადასვლა; საქონელი, როგორც შინაარსეული კერძო, არის შედეგი, ფული, როგორც შინაარსეული ზოგადი, არის საფუძველი; საქონლის ფულში გადასვლა, ეს არის შედეგიდან საფუძველზე გადასვლა. ასე ითქმის ფულის კაპიტალში გადასვლის შესახებაც. ჰეგელის „ლოგიკაში" „არსიდან" და „არარსიდან" ქმნადობაში გადასვლა არის როგორც საფუძვლიდან შედეგზე გადასვლა, იქ შედეგიდან საფუძველზე გადასვლაც. „არსი" და „არარსი" მართლდება „ქმნადობაში"; ეს გამართლება ლოგიკურიც არის და შემეცნებითიც: ა) „არსიდან" და „არარსიდან" აუცილებლობით მიიღება „ქმნადობა", ეს უკანასკნელი პირველთა ერთიანობაა; ბ) „არსი", „არარსი" და მათი დამოკიდებულება გასაგებია მხოლოდ „ქმნადობაში". ამრიგად, ამ დიალექტიკურ დასაბუთებაში და საერთოდ დასაბუთებაში ლოგიკური საფუძველი, როგორც ამხსნელი, არის შემეცნებითი საფუძველიც, ე. ი. აქ ადგილი აქვს ლოგიკურის და შემეცნებითის იგივეობას. 5) როგორც ახლა აღინიშნა, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის დროს ხორციელდება შედეგიდან საფუძველზე გადასვლა (შინაარსეული კერძოდან შინაარსეულ ზოგადზე გადასვლა), შედეგის საფუძველში გამართლება, შედეგის მიყვანა საფუძველზე (რომელშიც შედეგი მომენტის სახით არის შენახული, ე. ი. მოხსნილ-შენახულია), ე. ი. აქ ხორციელდება თავისებური რედუქცია. 6) აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა ხორციელდება ანალიზით; ეს არის ანალიზის გზა, რომელიც, ამავე დროს, სინთეზის გზასაც წარმოადგენს. შინაარსეული კერძოს ანალიზი გვაძლევს ისეთ ახალს, რომელშიც საანალიზო აიხსნება და მართლდება. საქონლის ანალიზი გვაძლევს ისეთ საქონელს, სადაც სახმარი ღირებულება ემთხვევა საცვლელს, საქონლის ღირებულების ანალიზით დგინდება „საყოველთაო საქონელი" — ფული, რომელიც შინაარსეული ზოგადია, უფრო კონკრეტულია საანალიზო საქონელზე, ე. ი. ხორციელდება სინთეზი, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა ანალიზ-სინთეზის დიალექტიკური ერთიანობაა, რომელიც გარკვეულ განვითარებას წარმოადგენს. ეს არის ლოგიკური გზაც და შემეცნებითიც. 7) აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა წარმოადგენს უშუალობიდან შუალობაზე — გაშუალებაზე გადასვლას. ამ გადასვლის დროს უშუალო შუალდება. ეს გაშუალება არის სინთეზური ხასია-

თის. იგი ლოგიკურიცაა და შემეცნებითიც. უშუალობის და შუალობის ერთიანობა დიალექტიკურია, დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს. 8) აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა, კონკრეტიზაციის პროცესი, როგორც ეს შემდგომ იქნება გარკვეული, ლოგიკური პრედიკაციის პროცესს წარმოადგენს. ანალიზით ნიშნები დგინდება, ეს ნიშნები ერთი და იგივე სუბიექტის ნიშნებია. თუ ეს ნიშნები კატეგორიებია, როგორც ამას ადგილი აქვს კ. მარქსის „კაპიტალში“ და ჰეგელის „ლოგიკაში“, მაშინ ასეთი პრედიკატებით ხდება ერთი და იგივე სუბიექტის შინაარსის გაშლა, ამ სუბიექტის ამოწურვა; ბოლოს, ეს სუბიექტი დგინდება როგორც გარკვეული ცნება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ სვლა ლოგიკურად არის ცნების განსაზღვრის პროცესი, რომელიც გარკვეულ განვითარებას წარმოადგენს. ეს განვითარება არის ლოგიკურიც და შემეცნებითიც.

მაშასადამე, დიალექტიკური მეთოდი არის დასაბუთების მეთოდიც. ის არის ლოგიკური წესიც და შემეცნების წესიც. დასაბუთების მეთოდის დიალექტიკურობის საფუძველზე დიალექტიკური, ლოგიკური და შემეცნებითი ერთი და იგივეა, ამიტომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთსა და იმავე მეცნიერებას წარმოადგენს.

აქ, შენიშვნის სახით, უნდა ითქვას შემდეგი. ზემოთგანხილული არგუმენტები გვიმტკიცებენ იმას, რომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე მეცნიერებას წარმოადგენს. ამ სამს აერთიანებს ერთი და იგივე საგანი. ეს არის ახალი მეცნიერება და არა ძველი მეცნიერებების შეჯამება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მეცნიერების საგნის შესახებ შეუძლებელი იყოს სხვადასხვა მეცნიერება. მათემატიკა ერთი მეცნიერებაა, მაგრამ არსებობს მათემატიკური მეცნიერებები. ასევე შეიძლება არსებობდეს მრავალი ლოგიკური მეცნიერება, რომლებიც აუცილებლად განვითარდებიან იმ ერთი მეცნიერებისგან, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, რადგან შესაძლებელია და ასეც უნდა მოხდეს ის, რომ ერთი საგნის მხარეები გახდეს სხვადასხვა ქვემეცნიერებების საგანი.

თავი მეორე (11)

დასაბუთების მეთოდები

1. დასაბუთების მეთოდის პროგლემა

§ 199. ლოგიკური მეთოდი

აზრის ფორმების ზემოწარმოებული განხილვის დროს, ცხადია, გამოყენებული იყო გარკვეული ლოგიკური მეთოდი. რომელიც შემდეგ იქნება სპეციალურად გამოკვლეული, რასაც სწორედ ახლა ვიწყებთ. ამ პარაგრაფში საუბარი გვექნება ლოგიკურ მეთოდზე ზოგადად—შესავლის სახით.

ლოგიკური მეთოდი, ცხადია, არის და უნდა იყოს დასაბუთების მეთოდი, რადგან ლოგიკური არის აზრთა აუცილებელი ობიექტური კავშირი, ამიტომ ლოგიკური მეთოდი იქნება ის, თუ როგორია ეს კავშირი, როგორია ამ კავშირის ფორმა. ეს არის გარკვეული წესი, რომელსაც ობიექტური ხასიათი აქვს, და არა სუბიექტური ხერხი. საგანთა კავშირი, რომელიც მოძრაობა-განვითარებაში ხორციელდება, გადამუშავებული სახით უნდა გადავიდეს აზრში, რათა მივიღოთ აზრთა კავშირის ობიექტური წესი.

ცნობილია ლოგიკური მეთოდები—დედუქცია, ინდუქცია და სხვა. დედუქცია აზრთა აუცილებელი კავშირის წესია. ის არის და უნდა იყოს აზრთა გამომდინარეობა-დაქვემდებარების გარკვეული წესი. დედუქციის მეთოდი ხორციელდება გარკვეულ დასკვნებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მეთოდიც არ იქნებოდა. დედუქციური მეთოდი გარკვეული დასკვნების ფორმაა, ის წესია, თუ როგორაა დაკავშირებული აზრები დასკვნებში, რა გზით არის წარმართული აზრთა ურთიერთდაქვემდებარება ამ დასკვნებში. ასე ითქმის ინდუქციის შესახებაც. ინდუქცია უნდა განხორციელდეს და ხორციელდება გარკვეულ დასკვნებში, აზრთა გარკვეული დაქვემდებარების ფორმით. ყოველი ლოგიკური მეთოდი უნდა განხორციელდეს შესაბამის დასკვნებში, აზრთა აუცილებელ კავშირებში, რომელთაც ობიექტური ხასიათი აქვთ, ე. ი. რომლებიც საგანთა კავ-

შირებით განისაზღვრებიან, დამოკიდებული არიან საგანთა კავშირებზე. თუ დედუქცია არის ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, კერძოს აუცილებელი დაქვემდებარება ზოგადზე, მაშინ აზრთა ასეთი დაქვემდებარება განსაზღვრულია იმით, რომ სინამდვილეშიც კერძო საგნები ზოგად კავშირებს, კანონებს ექვემდებარებიან; საგანთა კლასი მის ქვეკლასს შეიცავს და იქვემდებარებს. თუ ინდუქცია არის აზრთა ისეთი კავშირი, სადაც ზოგადი კერძოებიდან გამოდის, ზოგადი კერძოების საფუძველზე მიიღება, მაშინ ასეთი დაქვემდებარებაც საგანთა კავშირით განისაზღვრება. მოვლენათა აუცილებელი კავშირები, ეს არის მოვლენათა ბუნებიდან გამომდინარე კავშირები. ერთი მოვლენა მეორეს თავისი შინაგანი ბუნებით უკავშირდება. მოვლენათა შინაგანი არსებითი კავშირები განისაზღვრებიან იმით, თუ როგორი ბუნების არიან ეს მოვლენები. კანონები მოვლენათა ბუნებიდან გამომდინარე კავშირებს წარმოადგენენ. ასე განისაზღვრება სხვა ლოგიკური მეთოდები საგანთა კავშირებით. ლოგიკური მეთოდი არ შეიძლება არ იყოს ობიექტური; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ლოგიკური არ იქნებოდა. ლოგიკური არის, როგორც ვიცით, აზრში არსებული ობიექტური, აზრის თუ მისი განსაზღვრულობის ფორმით არსებული ობიექტური.

საგანთა განვითარების შესატყვისი ლოგიკური მეთოდი, რომელიც აზრთა ლოგიკური განვითარების მეთოდს წარმოადგენს, არის დიალექტიკური მეთოდი. როგორც ვიცით, აზრის ლოგიკური ფორმები—მსჯელობა, უშუალო დასკვნა, სასრული შუალობითი დასკვნები, ცნება და. განსაკუთრებით, უსასრულო დასკვნა დიალექტიკურ-ლოგიკური ბუნების არიან; დიალექტიკურია, ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს მსჯელობის უშუალო დასკვნაში და ა. შ. გადასვლები. ლოგიკურ-დიალექტიკური მეთოდი ხორციელდება აზრთა ლოგიკურ ფორმებში. უსასრულო დასკვნა აზრთა ლოგიკური კავშირის უმაღლეს, სრულ ფორმას წარმოადგენს. ეს ფორმა განსაზღვრავს აზრის ყველა ლოგიკურ ფორმას და ამ ფორმათა სახეებს. ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული დიალექტიკური მეთოდი, როგორც ლოგიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი და ამ მეთოდის სხვა ლოგიკურ მეთოდებთან კავშირ-დამოკიდებულება.

ლოგიკური მეთოდი, როგორც ეს ლოგიკური ფორმების ზემოთ განხილვიდან ჩანს და შემდგომ კიდევ უფრო სრულად წარმოსდგება, არ არის ცარიელი ფორმა (მით უმეტეს, სქემა ან ფიგურა);[1] ის

[1] Д. Гильберт, Основания геометрии, გვ. 360, 366.

არის შინაარსის ფორმა, შინაარსის იმანენტური განვითარების ფორმა. ფორმა, რომელიც შინაარსში არსებობს,—შინაარსის გარკვეულობას წარმოადგენს, — და არაა წინადადებებიდან მათ ჰეშმარიტების მნიშვნელობაზე, წინადადებათა კავშირიდან ჰეშმარიტების ფუნქციებზე გადასვლის მეთოდი, როგორც ეს მათემატიკურ ლოგიკას წარმოუდგენია. მსჯელობის ბუნება, როგორც ვიცით, ანტინომიურია. ასეთია სხვა ფორმათა ბუნებაც; ეს ანტინომიურობა, საბოლოოდ, წყდება უსასრულო დასკვნაში, მანამდე კი შემდეგ ფორმაზე გადასვლა წინა ფორმის ანტინომიურობის ნაწილობრივი გადაწყვეტაა. ასე რომ ლოგიკურ ფორმათა გადასვლები, კავშირები წარმოადგენენ ლოგიკური ფორმების, როგორც სწორედ შინაარსეული ფორმების, იმანენტურ ლოგიკურ განვითარებას, რომლის ფორმასაც დიალექტიკურ-ლოგიკური მეთოდი, დიალექტიკურ-ლოგიკური წესი წარმოადგენს. ლოგიკური ობიექტურია, ამიტომ ლოგიკური მეთოდი არის ობიექტური აზრის ფორმათა იმანენტური განვითარებითი კავშირის გარკვეულობა, არსებითი ფორმა. როგორც ვიცით, არასინთეზური ლოგიკური კავშირი შეუძლებელია, სინთეზური ლოგიკური კავშირი კი განვითარებას წარმოადგენს. ლოგიკური მეთოდი არის შინაარსის იმანენტური განვითარების ფორმა.

ჩვენ ჯერ მოკლედ დავახასიათებთ ცნობილ ლოგიკურ მეთოდებს. ყურადღებას მივაქცევთ, უმთავრესად, ამ მეთოდთა სადავო-, გადაუწყვეტელ მხარეებს, ე. ი. იმას, რომ ისინი მოითხოვენ მათთვის აუცილებელ უნივერსალურ მეთოდს, რომლის საფუძველზე გამართლებულ იქნება ცნობილი ლოგიკური მეთოდები, როგორც ერთმხრივი მეთოდები. მეტი ყურადღება მიექცევა ინდუქციის მეთოდს, რომლის ბუნებაც მრავალ გაუგებრობას იწვევს. მოცემული იქნება ცდა ინდუქციის, როგორც დასაბუთების ლოგიკური მეთოდის, გამართლებისა. განსაკუთრებით შევჩერდებით დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, ბუნების განხილვაზე.

§ 200. ფორმალურ-ლოგიკური დედუქცია

„დედუქცია" ხშირად ესმით ფართოდ—აიგივებენ დასაბუთებასთან საერთოდ. ჩვენ აქ გავარკვევთ „დედუქციას" ვიწრო მნიშვნელობით, როგორც დასაბუთების ერთ-ერთ მეთოდს; ვილაპარაკებთ ძალიან მოკლედ, რადგან დედუქციის ბუნება ცნობილია. ყურადღებას გავამახვილებთ დედუქციის როგორც დასაბუთების მეთოდის, ნაკლოვანებებზე; წინ წამოვწევთ დედუქციური მეთოდის

სადავო მხარეებს, სახელდობრ, ისეთს, რომელთა გათვალისწინება, მიგვიყვანს დედუქციისათვის დიალექტიკური მეთოდის აუცილებლობამდე.

დედუქცია, ზოგადად, გაგებულია როგორც ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, ზოგადის კერძოსადმი გამოყენება-მიყენება-მოხმარა. დედუქცია არის ზოგადიდან არა მეტი ზოგადობის აუცილებელი მიღება; ეს არის ზოგადიდან ზოგადის, ნაკლებ ზოგადის ანუ კერძოს აუცილებელი მიღება, ზოგადზე კერძოს დაქვემდებარება.

თუ დედუქცია არის ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ დედუქცია ასეთ გამოყვანას ვერ ანხორციელებს, ის ვერ ამართლებს თავის თავს. ამ აზრის ნათელსაყოფად ავიღოთ კატეგორიული სილოგიზმის მაგალითი, კატეგორიული სილოგიზმის ყველა მოდუსში, ნამდვილად, ზოგადიდან მიიღება ზოგადი, კერძოდან კერძო და არა ზოგადიდან კერძო. მაგალითად, Barbara-ში ზოგადი წანამძღვრებიდან მიიღება ისევ ზოგადი დანასკვი, და სხვ. Darapti-ში და Bramalip-ში თითქოს ზოგადიდან კერძო მიიღება, მაგრამ ნამდვილად ამ მოდუსებში კერძო დანასკვი მიიღება წანამძღვრებში არსებული კერძოებიდან; წანამძღვრებში გაუნაწილებელი ცნება არის კერძო, რომელიც მეორდება კერძო დასკვნაში; ამიტომ აქ ადგილი აქვს კერძოს მიღებას კერძოდან და არა ზოგადიდან (წინადადების ზოგადი ფორმა არ უდრის აზრის, მსჯელობის ზოგადობას; ზოგადი წინადადებით შეიძლება გამოითქვას კერძოობითი აზრი). ზოგადიდან კერძოს გამოყვანას ისიც კრძალავს, რომ გვარიდან არ მიიღება სახის სპეციფიკურობა.

აქ აღნიშნულის გამო უნდა ითქვას ისიც, რომ დედუქცია არის ანალიზური გამოყვანის მეთოდი. თუ დედუქციაში ზოგადიდან ზოგადი და კერძოდან კერძო მიიღება, მაშინ, კატეგორიალურობის თვალსაზრისით, საქმე გვაქვს ერთი და იგივეს განმეორებასთან. თუ დედუქციას გავიგებთ, როგორც ზოგადიდან კერძოს მიღებას, მაშინაც ანალიზურობა, სახელდობრ, ნაწილობრივი (კერძო არის ზოგადის ნაწილი) განმეორება გვაქვს. თუ ზოგადიდან ზოგადი და კერძოდან კერძო გამოდის, მაშინ ასეთი განმეორება ლოგიკურად მხოლოდ ანალიზურობას წარმოადგენს; ზუსტად რომ ვიმსჯელოთ, ასეთი ანალიზურობა არავითარი გამოყვანა არ არის, რადგან თუ ზოგადი გვაქვს მოცემული და იქიდან ისევ ზოგადი მივიღეთ, ანუ თუ კერძო გვაქვს და იქიდან ისევ კერძო მივიღეთ, ეს ნიშნავს, რომ არაფერი არ მიგვიღია, იქვე დავრჩით, რაც მოცემული გვქონდა. „ანალიზური გამოყვანა“ თავისთავს არ ეთანხმება, ის შეუძლებელია, რადგან გამოყვანას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იქ-

სადაც განსხვავებულის გამოყვანაა. ამდენად გაუმართლებელია დედუქცია. როგორც გამოყვანის ლოგიკური მეთოდი.

დედუქციური დასკვნები ცნობილია როგორც შუალობითი დასკვნები. დედუქცია ლოგიკური გაშუალების მეთოდი უნდა იყოს. მაგრამ ამ დანიშნულებას დედუქცია ვერ ასრულებს. დღემდე ცნობილი ფორმალურ-ლოგიკური დედუქციური დასკვნები უშუალო კავშირებს წარმოადგენენ. მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმი არის საფუძვლიდან შედეგის არა შუალობითი, არამედ უშუალო მიღება. ანალიზური დასკვნა არ შეიძლება იყოს შუალობითი, რადგან ასეთ დასკვნაში შედეგი საფუძვლიდან გამოდის უშუალოდ; შედეგი საფუძველში იგულისხმება და ამიტომ მის გამოყვანას არ სჭირდება საშუალო, გაშუალება. კატეგორიული სილოგიზმის წანამძღვრებში ერთიმეორეს უკავშირდება სამი ცნება, აქედან დანასკვში გადადის ორი ცნების კავშირი, გამოტოვებულია მესამე ცნება და მასთან კავშირი, ე. ი. დანასკვი არის წანამძღვრების შემოკლებული წარმოდგენა.

რამდენადაც დედუქციური დასკვნა არის უშუალო დასკვნა, ამდენად უნდა ითქვას, რომ ის დაიყვანება მსჯელობაზე. მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმი, როგორც ეს ზემოთ განვიხილეთ, დაიყვანება მსჯელობაზე. რამდენადაც დედუქციურ დასკვნაში შედევთან საფუძვლის უშუალო კავშირი გვაქვს, ამდენად ის დაიყვანება პირობით მსჯელობაზე—„თუ—მაშინზე", „თუ არის საფუძველი, მაშინ არის შედეგი". საფუძვლის და შედეგის ლოგიკური დამოკიდებულება, ცხადია, არ დაიყვანება იმპლიკაციაზე; საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე: „ან საფუძვლის ჭეშმარიტობის უარყოფა ან შედეგის ჭეშმარიტობა". დედუქცია, როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება, არ შეიძლება გამართლდეს, თუ ეს დამოკიდებულება ანალიზურია, რადგან შედეგში საფუძვლის განმეორება შეცდომას წარმოადგენს დასაბუთების თვალსაზრისით, ეს არის ლოგიკური წრის შეცდომა. ასე რომ ფორმალურ-ლოგიკურ დედუქციაში ვერც პირობითი დამოკიდებულება მართლდება. პირობითი დამოკიდებულების გამართლება მხოლოდ უპირობოს საფუძველზე შეიძლება, ეს კი არ არის გათვალისწინებული ფორმალურ-ლოგიკური დედუქციის თეორიაში.

დედუქცია არის დასაბუთების ისეთი მეთოდი, როცა დასაბუთება ემყარება წინ დაშვებულ დაუსაბუთებელს და ასეთი დაუსაბუთებლიდან გამოსვლას ჰქვია დასაბუთება. ამ გარემოების გამო დედუქციაში ადგილი აქვს შეუსაბამობას: 1) დაუსაბუთებლის დასაბუ-

თებასთან ლოგიკური კავშირი არის წინააღმდეგობა—შეცდომა. 2) ის. რაც შემდეგ უნდა იქნას მიღებული, წინასწარაა მიღებული. ე. ი. საბუთდება ის, რითაც უნდა დასაბუთდეს იგი. 3) დასაბუთება გაგებულია დაყვანად. დაუსაბუთებელზე დაყვანა კი დასაბუთებას აუქმებს, და სხვ. მაშასადამე, დედუქციაში ადგილი აქვს წრიულობასაც და დასაბუთების გაუმართლებლობასაც. ეს წრიულობა არის დასაბუთების ტავტოლოგიურობა—სიცარიელე. დასაბუთების დამყარება ლოგიკურად დაუსაბუთებელზე შეიძლება დასაბუთებას მხოლოდ ნაწილობრივ ანხორციელებდეს. თუკი ის. რაც დედუქციაშია დაუსაბუთებლად აღებული, სხვა გზით, დასაბუთების სხვა მეთოდით გამართლდება.

ამრიგად, დედუქციაში, როგორც დასაბუთებაში, ადგილი აქვს დაუსაბუთებლის და დაუსაბუთებლობის მომენტს, რაც დედუქციურ მეთოდს დაანგრევს—უარსაყოფელს და შეუძლებელს გახდის, თუ იგი (დაუსაბუთებლობის მომენტი) არ მოიხსნა, მაგრამ ასეთი მოხსნა თვითონ დედუქციაში ვერ გამართლდება, მისი გამართლება შეუძლებელია, რადგან დედუქცია ჰქვია სწორედ ისეთ დასაბუთებას, რომლის ლოგიკურ საყრდენს დაუსაბუთებელი (აქსიომები) წარმოადგენენ. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ დედუქცია თავისი გამართლებისათვის საჭიროებს სხვა მეთოდს, რომელიც მასში დაუსაბუთებლობის მომენტს მოხსნის. თუ დედუქცია აუცილებლობით საჭიროებს სხვა მეთოდს, მაშინ თვითონ დედუქცია არ ყოფილა სრული ლოგიკური მეთოდი, ის ყოფილა ცალმხრივი (ერთმხრივი), ლოგიკური მეთოდი, ლოგიკურის კერძო მეთოდი—სხვა მეთოდზე დაფუძნებული მეთოდი, მაგრამ ისე, რომ ეს დაფუძნება, თავის მხრივ, არ შეიძლება იყოს დედუქციური დაფუძნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დედუქციის ნაკლი უსასრულოდ განმეორდება, მივიღებთ უაზრობას: 1) რეგრესს უსასრულობაში, და 2) დედუქციის აზრის დედუქციიდან გატანას, ამით დედუქციის გამართლების ცდას, რაც ყოველთვის შეუსრულებელი დარჩება.

დედუქციის აქ აღნიშნული ნაკლი მოითხოვს იმას, რომ უნდა არსებობდეს სხვა ლოგიკური მეთოდი, რომელსაც უფრო მეტი ლოგიკური სიძლიერე ექნება, ვიდრე დედუქციას, და, ამავე დროს, არადედუქციური ხასიათის იქნება. დედუქციის ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანება არ უნდა იქნას გამოყენებული დედუქციური მეთოდის უარსაყოფად. რაც შეუძლებელია—დედუქცია აუცილებელი ლოგიკური მეთოდია (ამას ამტკიცებს მისი ნაყოფიერი გამოყენება მეცნიერებებში). არამედ იმისათვის, რომ ავმაღლდეთ უნივერსა-

ლურ ლოგიკურ მეთოდამდე; ე. ი. დასაბუთების ცნება მოითხოვს. რომ მოიხსნას დედუქციის ნაკლოვანებანი და არა თვითონ დედუქცია.

§ 201. ფორმალურ-ლოგიკური ინდუქცია

ინდუქციის პრობლემა სრულად ქვემოთ იქნება გარჩეული. აქ ჩვენ შევეხებით ფორმალურ-ლოგიკური ინდუქციის ბუნებას მოკლედ, ისიც იმ მხრივ, რომ ვაჩვენოთ რამდენიმე სიძნელე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, გასაგებად.

ინდუქცია თავიდანვე გაგებული იყო, როგორც კვლევა-ძიების მეთოდი: 1) სოკრატეს და პლატონის ინდუქცია („ეპაგოგე") ნიშნავდა წარმოდგენებიდან, როგორც კერძოდან, ცნებამდე, როგორც ზოგადამდე, ასვლას; ეს იყო კერძო წარმოდგენებში არსებული წინააღმდეგობის გამოაშკარავებით და მისი დაძლევით ზოგადის ძიება და მისი მონახვა, ზოგადამდე მისვლა; 2) ფ. ბეკონის ინდუქცია იყო ფაქტებიდან, როგორც კერძოებიდან, კანონებამდე, როგორც ზოგადამდე მისვლა; ფაქტების ანალიზით. მათი გამოკვლევით ზოგადი კანონების ძიება და ამ კანონების აღმოჩენა; ინდუქცია აღმოჩენის მეთოდად იქნა წარმოდგენილი.

ინდუქცია, როგორც 1) კერძოდან ზოგადის მიღება და 2) როგორც ფაქტებში კანონების აღმოჩენა, კვლევა-ძიების ანუ შემეცნების მეთოდს წარმოადგენს. ინდუქცია, არისტოტელეს აზრით, ეს არის „ჩვენთვის პირველიდან"—შეგრძნებაში მოცემულიდან „ბუნებისათვის პირველამდე"—ზოგადამდე ასვლის ანუ ზოგადის ნახვის მეთოდი. რადგან, არისტოტელეს აზრით, ზოგადის მხოლოდ ნახვა. აღმოჩენა შეიძლება და არა „სილოგისტური აუცილებლობით" მიღება, ამიტომ ინდუქცია არის მხოლოდ აღმოჩენის მეთოდი და არა დასაბუთების მეთოდი. ფ. ბეკონის, ჯ. ს. მილის და სხვ. აზრით კი ინდუქცია არის არა მხოლოდ აღმოჩენის მეთოდი, არამედ დასაბუთების მეთოდიც, ისიც ერთადერთი მეთოდი, უნივერსალური მეთოდი.

მიუხედავად მრავალი ცდისა, დღემდე ვერ მოხერხდა ინდუქციის მეთოდის დასაბუთების ლოგიკურ მეთოდად ჩამოყალიბება. რადგან დაუძლეველი დარჩა ის სიძნელეები, რომლებზეც ჯერ კიდევ არისტოტელემ მიუთითა. არისტოტელეს აზრით, კერძოები (კერძოობითი მსჯელობები) არ წარმოადგენენ ზოგადის საკმაო საფუძველს, ე. ი. კერძოდან ზოგადზე გადასვლას არ აქვს „სილოგის-

ტური აუცილებლობის“ ხასიათი. შეუძლებელია რამდენიმე კერძოს საფუძველზე დავასკვნათ ყველას შესახებ; ის, რომ რამდენიმე ერთეულს ახასიათებს რომელიმე ნიშანი, არ წარმოადგენს საფუძველს იმის თქმისა, რომ ყველას ახასიათებს ეს ნიშანი. მცირე ცნების საშუალებით საშუალო ცნება დიდ ცნებას ლოგიკური აუცილებლობით ვერ უკავშირდება. შეუძლებელია განხორციელდეს დასკვნა, რომლის საშუალო ცნება არის ერთეულის გამომთქმელი მცირე ცნება. არისტოტელეს ამ აზრების საწინააღმდეგოდ მრავალი არგუმენტი იქნა წამოყენებული ახალ დროში, მაგრამ ინდუქციის დასაბუთების ლოგიკურ მეთოდად წარმოდგენა ვერც ერთმა ლოგიკოსმა ვერ შესძლო. ინდუქციის მეთოდი ლოგიკური დასაბუთების ერთადერთ მეთოდად მიჩნეული იყო ემპირისტების (მილი და სხვ.) მიერ, მაგრამ სწორედ თანამედროვე პოზიტივისტები—რასელი და სხვ. ინდუქციას ლოგიკურ მეთოდად არ თვლიან; მათ ინდუქცია მოათავსეს ლოგიკის სფეროს გარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ვერ დამტკიცდა ინდუქცია დასაბუთების ლოგიკურ მეთოდად, მაინც აღიარებენ ინდუქციურ დასკვნებს. დღემდე გაბატონებულია აზრი, რომ ინდუქციური დასკვნა არ არის აუცილებლობის განმახორციელებელი დასკვნა, მაგრამ ის მაინც არის დასკვნა, რადგან შესაძლებელია ალბათური დასკვნაც; ინდუქციური დასკვნა სწორედ ალბათურ დასკვნად არის მიჩნეული; რამდენიმე კერძოდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ალბათ ყველაც არის ისეთი, როგორიცაა რამდენიმე.

ინდუქციური დასკვნა მიჩნეულია ალბათურ დასკვნად, რადგან: 1) ზოგადი, რომელზედაც უნდა დავასკვნათ კერძოების საფუძველზე, გაგებულია ნომინალისტურად—„ყველას“-ს სახით; „ყველა“ კი, თუ ეს „ყველა“ უსასრულოა, შეუძლებელია ამოწურულ იქნეს; 2) უსასრულობის გავლა შეუძლებელია, ამიტომ ცნება, რომელიც ეხება უსასრულოდ მრავალ საგნებს, ლოგიკური აუცილებლობით ვერ დადგინდება, თუ რამდენიმე კერძოს დავემყარებით, ყველა—უსასრულოდ მრავალი საგნის გათვალისწინება კი შეუძლებელია.

ამრიგად, თუ საერთოდ დასკვნა შეუძლებელია ლოგიკური აუცილებლობის განხორციელების გარეშე, ალბათობა კი არ არის აუცილებლობა, მაშინ, ცხადია, რომ ინდუქციური დასკვნა არ შეიძლება დასკვნად ჩაითვალოს, ამიტომ ინდუქციაც არ იქნება ლოგიკური მეთოდი, დასაბუთების მეთოდი. ის შეიძლება დარჩეს კვლევა-ძიების ერთ-ერთ მეთოდად, აღმოჩენის ერთ-ერთ მეთოდად.

ინდუქციის ახლახან აღნიშნული სიძნელე სხვანაირად იმას ნიშ-

ნავს, რომ ინდუქცია არ არის ლოგიკური მეთოდი, იმიტომ, რომ ინდუქცია არის სინთეზი; რამდენიმე კერძოდან ზოგადზე გადასვლა, კერძოდან ზოგადზე გადასვლა არის, ცხადია, სინთეზური ხასიათის (რასელი გარკვევით აღნიშნავს, რომ ინდუქცია სინთეზური ხასიათისაა და ამიტომ ის არ არის ლოგიკური მეთოდი).[1]

მაგრამ ინდუქცია შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ანალიზური: 1) სრული ინდუქცია ანალიზურია, რადგან სასრული ერთეულების ბოლომდე ჩამოთვლა და აქედან ყველა ერთეულზე დასკვნა. ერთი და იგივეს განმეორებაა, თუ ცხადია, „ყველა" იგივეა, რაც „ყველა ერთეული"; 2) არასრული ინდუქციაც ანალიზურია, თუ ინდუქციას გავიგებთ, როგორც კერძოდან რამდენიმე კერძოზე გადასვლას, და ეს რამდენიმე უკვე ჩამოთვლილია ინდუქციური დასკვნის შესრულებისას; თუ, როგორც ითქვა, ინდუქცია არის ალბათური, ე. ი. კერძოებიდან ზოგადი მიიღება მხოლოდ ალბათურად, მაშინ ის კერძოები, რომლებიც ამ დროს ჩამოვთვალეთ, იქნება „ყველა", ე. ი. აუცილებლობა ისევ კერძოს სფეროში რჩება; კერძოს სფეროში დარჩენა მაშინ, როცა კერძოდან გამოვდივართ, ცხადია, იქნება ანალიზურობის სფერო; ასეთ შემთხვევაში არ გვაქვს სინთეზურობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ინდუქციის ალბათობა განისაზღვრება ნომინალისტური ზოგადით და „ცუდი" უსასრულობით. „ყველას" დაუსრულებლობით.

ჯერ კიდევ სოკრატმა შეატყო, რომ ზოგადი მიიღება ინდუქციის გზით, მაგრამ ის არ იქმნება ინდუქციის გზით; ცნება, როგორც წარმოდგენებისათვის ზოგადი, მიიღება წარმოდგენების შეზღუდულობის დაძლევით, წარმოდგენებზე ზემოთ—ცნებამდე ასვლით, მაგრამ ცნება არ იქმნება წარმოდგენების საფუძველზე. ცნება წარმოდგენების საფუძველზე არ იქმნება, რადგან გარკვეული წარმოდგენების ამორჩევა უკვე წინასწარ გულისხმობს ცნებას; მაგალითად, ადამიანის ცნების შექმნისათვის კერძო ადამიანებს და მათ შესახებ წარმოდგენებს უნდა დაემყარო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცნება წინასწარ გვაქვს და სწორედ მის საფუძველზე ვარჩევთ ადამიანებს ცხოველთა სხვა სახეებისაგან. ეს გარემოება, რომელიც ახალ დროში ბევრის მიერ იყო აღნიშნული, თავის სათავეს სოკრატესთან პოულობს. სოკრატეს აზრით, ცნება კი არ იქმნება, არამედ მას ჩვენ ვშობთ (რისთვისაც საჭიროა „მაიევტიკის" მეთოდი). მაშასადამე, სოკრატემ იგრძნო ის, რომ ინდუქცია, რომელიც მიდის ზოგადამდე,

---

[1] Б. Рассел, Человеческое познание, გვ. 396, 411, 530.

წინასწარ გამოდის ზოგადიდან; ე. ი. ინდუქციისათვის აუცილებელია სხვა მეთოდი.

ზემოაღნიშნული სიძნელეების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ინდუქცია არის კვლევა-ძიების მეთოდი, მაგრამ არა დასაბუთების მეთოდი, ამ ორი მეთოდის გაიგივება—კვლევა-ძიების მეთოდის ჩამოყალიბება დასაბუთების მეთოდად შეუძლებელი ჩანს (ეს გარემოება გაირკვევა შემდეგ).

§ 202. ფორმალურ-ლოგიკური რედუქცია

ფორმალურ-ლოგიკური რედუქცია არის რედუქციის ერთ-ერთი სახე (არსებობს, აგრეთვე, ფენომენოლოგიური რედუქცია, დიალექტიკური რედუქცია და სხვ.). მაგრამ ჩვენ აქ არ ვარჩევთ რედუქციის სახეებს, გამოთქმას „ფორმალურ-ლოგიკური რედუქცია“ ვხმარობთ ფართო მნიშვნელობით, სახელდობრ, არადიალექტიკური რედუქციის მნიშვნელობით.

რედუქცია, ზოგადად, ნიშნავს შედეგიდან საფუძველზე გადასვლას, შედეგის საფუძველზე მიყვანას, შედეგის საფუძველში გამართლებას, შედეგიდან საფუძველზე უკანდასკვნას. რედუქციული მეთოდი არის წესი შედეგიდან საფუძველზე გადასვლისა.

დედუქციის და ინდუქციის სიძნელეები, რომელთა ნაწილი ზემოთ იქნა ჩვენს მიერ განხილული, აიძულებდა ლოგიკოსებს მიემართათ რედუქციისათვის. თუ, მაგალითად, დედუქციის სიძნელეს ის წარმოადგენს, რომ იგი გამოდის დაუსაბუთებლიდან, რომელიც წინასწარ არის დაშვებული დასაბუთების დაწყებისას, რედუქცია, თითქოს ეშორებს ამ სიძნელეს, რამდენადაც ის არ გამოდის ასეთი წინდაშვებულიდან, პირიქით, მიდის—ასკვნის მასზე, როგორც სწორედ საფუძველზე. მაგალითად, თუ დედუქციაში ზოგადიდან მივდივართ ერთეულამდე, ე. ი. ზოგადით ვხსნით ერთეულს, მაშინ როცა ზოგადი აუხსნელი გვრჩება, რედუქცია ერთეულიდან გადადის ზოგადზე, ერთეული მიყავს ზოგადამდე. მაგალითად, არსებობს იგივეობრივი ქვები, ხეები და სხვა. მათი ახსნა შეიძლება იგივეობის საფუძველზე. აზრი იგივეობრივი ქვების შესახებ წინასწარ გულისხმობს იგივეობას, როგორც ასეთს. ქვების იგივეობრიობა არის ნაწილობრივი იგივეობა, ნაწილობრივი კი აიხსნება სრულით, ამიტომ კერძოს გამართლება ხდება მისი მიყვანით ზოგადზე (რედუქცია გამოდის პლატონის ანამნეზისიდან).

როგორც ვიცით, ინდუქცია არის გადასვლა ერთეულიდან ზოგადზე. ახლახან ნათქვამიდან ჩანს, რომ რედუქციაც ერთეულიდან

ზოგადზე გადასვლა ყოფილა. აქ განსხვავება იმაშია, რომ ინდუქ
ის საფუძველს წარმოადგენს ერთეული, შედეგს— ზოგადი; რედუქ
ცია კი ერთეულიდან, როგორც შედეგიდან, გადადის ზოგადზე, რო
გორც საფუძველზე. ერთი სიტყვით, რედუქცია არის ინდუქც
შებრუნებული ლოგიკური გზა.

რედუქცია მიიჩნევს სწორად იმას, რაც ფორმალურ ლოგიკ
მიჩნეულია მცდარად. ასეთია რედუქციის და პირობით-კატეგორი
ლი სილოგიზმის დამოკიდებულება. რედუქციის გზა არის, ა
ვთქვათ, რეგრესულ-დადებითი მოდუსი, რაც პირობით-კატეგორ
ულ სილოგიზმში შეცდომად არის მიჩნეული. პირობით-კატეგორ
ულ სილოგიზმში დადებით-რეგრესული მოდუსი მიჩნეულია მც
რად, რადგან შედეგს შეიძლება ჰქონდეს მრავალი მიზეზი თუ ს
ფუძველი, ამიტომ შეუძლებელია შედეგის არსებობიდან დაასკვ
მიზეზების არსებობაზე. მიუხედავად ამისა, მეცნიერება სწორედ მ
ზეზის თუ რეალური საფუძვლის აღმოჩენაში მდგომარეობს; მოც
მულია შედეგი, საჭიროა მისი მიზეზის თუ საფუძვლის მონახვა. მ
ორე მხრით, საფუძველზე გადასვლას მოითხოვს დასაბუთებაც, რა
გან დასაბუთებისათვის საჭიროა საფუძვლის მონახვა მოცემულ
თეზისის გასამართლებლად. ამ მხრივ, დასაბუთების გზა შებრუნე
ბულია შედარებით დასკვნის გზასთან, რომელიც საფუძვლიდან შ
დეგის მიღებაში მდგომარეობს. ამასთანავე, როგორც ითქვა, ლოგ
კისათვის აუცილებელი ხდება საფუძვლის დაუსაბუთებლობის გ
უქმება, საფუძველზე მისვლა, და არა მხოლოდ იქიდან გამოსვლ
ამრიგად, რედუქციას საჭიროებს შემეცნების თეორიაც და ლოგ
კაც; ის თითქოს უნდა იყოს უნივერსალური მეთოდი შემეცნებ
(მეცნიერების) და ლოგიკისათვის—დასაბუთებისათვის. სწორე
ამიტომ მიმართავდნენ რედუქციას როგორც ფორმალური ლოგიკ
სიძნელეების დამძლევ მეთოდს. ამიტომ იყო, რომ დედუქცია დ
ინდუქცია მიაჩნდათ კერძო მეცნიერების მეთოდებად, რედუქცია ,
უნივერსალურ-ფილოსოფიურ მეთოდად (მაგალითად, აკოს ფი
პაულერს[1]).

რედუქციის მეთოდის უნივერსალურობას იმაშიც ხედავდნენ, რო
ყოველგვარ დასკვნას რედუქციულ დასკვნად თვლიდნენ. დედუ
ცია, მართალია, არის ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, მაგრამ ნამდვ
ლად იგი, მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმი, დანასკვის გამა-
თლებას წარმოადგენს, იგი დანასკვს ამართლებს საფუძველში. დ
ნასკვის აზრი დაყავს საფუძველზე; საფუძვლიდან შედეგის გამოყვა

[1] იხ. პაულერის ზემოთ დასახელებული შრომები.

არის შედეგის საფუძველში გამართლება. ასევე ინდუქციაც, მას კერძოდან გამოყავს ზოგადი, მაგრამ ის არის კერძოს ზოგადში, როგორც საფუძველში, გამართლება. ამიტომაა, რომ ზოგიერთი ლოგიკოსი ინდუქციას რედუქციის სახედ თვლის.

რედუქციის შესახებ ლაპარაკი გვექნება ქვემოთაც; მას საბოლოოდ იქ შევაფასებთ, სადაც საბოლოოდ შეფასდება ფორმალურ-ლოგიკური დედუქციის და ინდუქციის ღირებულება, ეს მოხდება ამ მეთოდების ერთიმეორესთან დამოკიდებულების გარჩევის დროს; აქ კი რედუქციის შესახებ ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: რედუქციის მეთოდს მხოლოდ მაშინ ექნება ლოგიკური მეთოდის აზრი, მხოლოდ მაშინ იქნება ის გამართლებული ლოგიკურად, თუ გაირკვევა რედუქციული დასკვნის ფორმა, მისი ბუნება, ე. ი. თუ შეიქმნება რედუქციული დასკვნის ლოგიკა. მაგრამ ფორმალურმა, არადიალექტიკურმა ლოგიკამ ვერ მოახერხა რედუქციული დასკვნის ბუნების გარკვევა; რედუქცია ვერ გაფორმდა დასკვნის სახით. რედუქცია დარჩა მეთოდურ ხერხად და მოთხოვნად იმისა, რომ იგი დასკვნის სახით გაფორმდეს.

რედუქცია გამართლდება მაშინ, თუ აღმოჩნდება რედუქციული დასკვნა, თუ გაირკვევა რედუქციული დასკვნის ლოგიკური ფორმა, ე. ი. მაშინ: 1) თუ შედეგიდან საფუძვლის გამოყვანა დასკვნის ფორმას მიიღებს; თუ შედეგის საფუძვლად გამოყენება არ გააუქმებს შედეგის შეტევობას და საფუძვლის შედეგად მიღება არ მოხსნის საფუძველს (შედეგიდან საფუძველზე გადასვლა ხომ იგივე უნდა იყოს, რაც საფუძვლიდან შედეგზე გადასვლა?), შედეგი შედეგად უნდა დარჩეს, საფუძველი კი საფუძვლად, მაგრამ ლოგიკური გადასვლა უნდა იყოს შედეგიდან საფუძველზე გადასვლა. 2) რედუქცია გამართლდება, თუ აღმოჩნდა თეზისიდან საფუძველზე გადასვლის დასკვნის ფორმა; როცა მოცემული გვაქვს თეზისი, მაშინ ეძებენ მის საფუძველს; რედუქციული ლოგიკა კი მოითხოვს, რომ ამ „ძიების“ ადგილზე მოთავსდეს გარკვეული გადასვლა, რომელსაც ლოგიკური აუცილებლობის ბუნება ექნება, რომელსაც დასკვნის ფორმა ექნება. 3) რედუქცია გამართლდება მაშინ, თუ რეალური საფუძვლის აღმოჩენის, ე. ი. შემეცნების გზა დაემთხვევა ლოგიკურ გზას. როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ, აქ აღნიშნული გარემოებები დადებითად განხორციელდება მხოლოდ დიალექტიკურ-ლოგიკურ მეთოდში, რომელშიც იქნება რედუქციის მომენტი, როგორც ერთერთი აუცილებელი მომენტი.

აქსიომატური ანუ ლოგისტიკური მეთოდი[1] მათემატიკური ლოგიკის მეთოდს წარმოადგენს. ამ მეთოდის შინაარსი, მოკლედ, იმაში მდგომარეობს, რომ აგებულ იქნეს ლოგიკური ენა ანუ ფორმალიზებული ენა. ამ ენის აგებისას ემყარებიან რომელიმე ჩვეულებრივი ენის ნაწილს, მოიხმარენ მას, აგებენ რა სიტყვარს და ენის წესებს. ამ წესებში ხორცი უნდა შეისხას ლოგიკური ანალიზის თეორიამ ანუ სისტემამ. უნდა მოვიხმაროთ ერთი ენა რომ ვილაპარაკოთ მეორე ენის შესახებ. ამიტომ ერთიმეორისაგან ანსხვავებენ ობიექტ-ენას და მეტა-ენას, ენის მოხმარა იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ამ ენაზე თვითონ ამ ენის შესახებ, არ შეიძლება იყოს ფორმალიზებული ენის აგების მეთოდი (თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ფორმალიზებული ენის აგების შემდეგ შესაძლებელია უკანა რიცხვით გადავსახოთ ენაში თვითონ მისი აგების პროცესიც, ე. ი. არ არის უარყოფილი ობიექტ-ენის და მეტა-ენის ერთიმეორეზე დამთხვევის შესაძლებლობა). ერთი სიტყვით, რომელიმე ჩვეულებრივი ენის ნაწილის საშუალებით, შინაარსეულობის გამორიცხვით, აგებენ ახალი ენის ფორმალურ ნაწილს, ამით ღებულობენ არაინტერპრეტირებულ აღრიცხვას ანუ ლოგიკურ სისტემას. ეს, უფრო დაწვრილებით, ხდება შემდეგნაირად.

ენის სიტყვარი მოიცემა იმით, რომ ამოიწერება ერთიანი სიმბოლოები, რომლებიც მოხმარებულ უნდა იქნან. ეს სიმბოლოები იწოდება ფორმალიზებული ენის საწყის სიმბოლოებად (ასეთია კონსტანტები, ცვლადები, კავშირები და ოპერატორები, უმატებენ ფრჩხილებსაც). აღსანიშნავია ის, რომ 1) ენის აგებისას არ მოიხმარება მისი ნაწილები და 2) საწყისი სიმბოლოები გარკვეული თანმიმდევრობით ლაგდება. საწყისი სიმბოლოების საბოლოო თანმიმდევრობა იწოდება ფორმულად. ყველა ფორმულიდან, გარკვეულ წესების მიხედვით, გამოიყოფა ე. წ. სწორად აგებული ფორმულები (მხოლოდ სწორად აგებული ფორმულები წარმოადგენენ ენის გამოსახულებებს). ამის შემდეგ მხოლოდ ზოგიერთი სწორად აგებული ფორმულა ცხადდება აქსიომებად. ბოლოს დაგინდება ე. წ. დასკვნის წესები, რომლებიც მოქმედების ანუ გარდაქმნების წესებს წარმოადგენენ. ამ წესების მიხედვით ხდება გარკვეული სწორად აგებული ფორმულებიდან, როგორც წანამძღვრებიდან, სხვა გარკვე-

---

[1] А. Черч, Введение в математическую логику, I გვ. 48—56, 377 და სხვ

ული სწორად აგებული ფორმულის, როგორც დანასკვის, უშუალო გამოყვანა.

ეს უშუალო დასკვნა არ არის ტრადიციული ლოგიკის უშუალო დასკვნა—მხოლოდ ერთი მსჯელობიდან, როგორც წანამძღვრიდან (საფუძვლიდან), მეორის, როგორც დანასკვის (შედეგის), გამოყვანა. მათემატიკურ ლოგიკაში უშუალო დასკვნა გაგებულია როგორც გამოყვანა დასკვნის ერთერთი წესის ერთჯერადი გამოყენებით.

არაინტერპრეტირებულ ლოგიკურ სისტემაში ტერმინებს „წანამძღვარი", „უშუალოდ გამოდის" და „დანასკვი" აქვთ მხოლოდ ის შინაარსი, რომელიც მათ ეძლევათ თვითონ დასკვნის წესებით.

სასრული თანმიმდევრობა, რომელიც შედგება ერთი ან მეტი რიცხვის სწორად აგებული ფორმულებისაგან, იწოდება დასაბუთებად, თუ თვითეული სწორად აგებული ფორმულა თანმიმდევრობაში არის ან აქსიომა, ან დასკვნის ერთი წესის მიხედვით უშუალოდ გამოდის თანმიმდევრობის წინამავალი სწორად აგებული ფორმულებისაგან.

დასაბუთება არის დასაბუთება უკანასკნელი ფორმულისა სწორად აგებულ ფორმულათა თანმიმდევრობაში; ლოგიკური სისტემის თეორემებად კი იწოდება ის სწორად აგებული ფორმულები, რომლებისთვისაც არსებობს დასაბუთება (კერძოდ, სისტემის ყოველი აქსიომა არის თეორემა, რომლის დასაბუთება შედგება ერთადერთი სწორად აგებული ფორმულისაგან—თვითონ აქსიომისაგან). ახლა აღწერილ სქემას, სახელდობრ, ლოგიკური სისტემის საწყის სიმბოლოებს, წესებს, რომელთა ნაწილის თანახმად ზოგიერთი ფორმულა ცხადდება სწორად აგებულად (აგების წესებს), დასკვნის წესებს და აქსიომებს ეწოდება ლოგიკური სისტემის საწყისი ბაზისი:

მათემატიკურ ლოგიკაში ლოგისტიკური მეთოდის და დასაბუთების ცნების თავისებურების გასაგებად აუცილებელია ეფექტურობის ცნების გათვალისწინება.

ლოგისტიკური მეთოდი მოითხოვს იმას, რომ მეტა-ენას უნდა დაემატოს ეფექტურობის მოთხოვნა: 1) საწყისი სიმბოლოების მოცემულობა უნდა იყოს ეფექტური იმ აზრით, რომ უნდა არსებობდეს მეთოდი, რომელიც ყოველთვის მოგვცემს საშუალებას ეფექტურად განვსაზღვროთ, არის თუ არა რომელიმე მოცემული სიმბოლო ერთი საწყისი სიმბოლო. 2) სწორად აგებული ფორმულის განსაზღვრება უნდა იყოს ეფექტური იმ აზრით, რომ უნდა არსებობდეს მეთოდი, რომელიც ყოველთვის გვაძლევს შესაძლებლობას ეფექტურად განვსაზღვროთ, არის თუ არა რომელიმე მოცემული

ფორმულა სწორად აგებული. 3) აქსიომების მოცემულობა უნდა იყოს ეფექტური იმ აზრით, რომ უნდა არსებობდეს მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ეფექტურად განვსაზღვროთ, არის თუ არა მოცემული სწორად აგებული ფორმულა ერთერთი აქსიომათაგანი. 4) დასკვნის წესები. აღებული ერთად. უნდა იყოს ეფექტური იმ მკაცრი აზრით, რომ უნდა არსებობდეს მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ. დასკვნის წესებით უშუალოდ გამოიყვანება თუ არა მოცემული სწორად აგებული ფორმულა, როგორც დანასკვი, მოცემული სწორად აგებული ფორმულებიდან როგორც წანამძღვრებიდან.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარეობს შემდეგი: დასაბუთების ცნება ეფექტურია იმ აზრით, რომ ყოველთვის, როცა მოცემული სწორად აგებული ფორმულების სასრული თანმიმდევრობა, ეფექტურად შეიძლება დადგინდეს, წარმოადგენს იგი დასაბუთებას თუ არა.

პირველი მოთხოვნის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: თუ საწყისი სიმბოლოები სასრული რიცხვისაა, მაშინ ადვილად შევასრულებთ ამ მოთხოვნას იმით, რომ სისრულით გადმოვწერთ მათ. მაგრამ თუ მათი რიცხვი უსასრულოა, მაშინ საწყისი სიმბოლოების განსაზღვრებისათვის საჭირო ხდება მითითება მეტა-ენაში. ასევე ითქმის მესამე მოთხოვნის შესახებაც, თუმცა ხანდახან უმჯობესია დაემყაროთ უსასრულო რაოდენობის აქსიომებს.

ეფექტურობის ცნება ინტუიციურად ცხადი ჭათემატიკური ცნებაა. ამბობენ, რომ ინტუიციური ცნება სრულიად საკმარისია, რათა ეფექტური გავარჩიოთ არაეფექტურისაგან. აღრიცხვის ეფექტური მეთოდი, განსაკუთრებით თუ ის იშლება ცალკეულ ნაბიჯებად, რომელთა შორისაც შემდეგი დამოკიდებულია წინამავალთა შედეგზე, იწოდება ალგორითმად (რომელიც გარკვეულ სქემას წარმოადგენს). აღრიცხვის ის მეთოდი (ანუ ალგორითმი) არის ეფექტური. რომლისთვისაც შესაძლებელია გამომთველი მანქანის აგება.

არაეფექტურობის დროს ვერ განვსაზღვრავთ, გვაქვს თუ არა დასაბუთება, ე. ი. — ფორმულათა თანმიმდევრობა არის თუ არა დასაბუთება.

ზემოაღწერილი წესით აიგება ლოგიკური სისტემა, მაგრამ ფორმალიზებული ენა არ გვექნება მანამ, სანამ არ არის მითითებული ინტერპრეტაცია. ამისთვის კი საჭიროა უფრო ფართო მეტა-ენა. საჭიროა მოხმარა სემანტიკური წესებისა, რომლებიც განსაზღვრავენ

იმას, თუ რას აღნიშნავენ ფორმულები. მიუთითებენ იმას, რომ მეტა-ენას სჭირდება მეტა-მეტაენა.

დასაბუთების სიმკაცრე მოითხოვს იმას, რომ არ იქნას მოხმარებული ინტერპრეტაცია, რომ იგი შესრულდეს მხოლოდ ლოგიკური სისტემის წესებით. ამ მოთხოვნისათვის არსებობს მოტივირება: 1) ზემოთ დასახელებულ დასაბუთებაში უფრო ზუსტია ფორმისა და შინაარსის ტრადიციული განსხვავების ფორმულირება; უფრო დაზუსტებულია პრინციპი, რომლის თანახმადაც მსჯელობის სისწორე დამოკიდებულია მხოლოდ ფორმაზე (დასაბუთებისა ლოგისტიკურ სისტემაში); დასაბუთების ფორმა ზოგადია მისი ყველა შინაარსისათვის და ლოგისტიკური სისტემის სხვადასხვა ინტერპრეტაციისათვის. 2) აქ სრულდება მათემატიკური სიმკაცრის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც დასაბუთება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ აქსიომებს და არაფერი სხვა არ უნდა იქნეს მოხმარებული. ეს მოთხოვნა ფართოვდება იმით, რომ დასაბუთებას ამყარებენ მხოლოდ აქსიომებს და დასაბუთების მიმდინარეობას განსაზღვრავენ მხოლოდ დასკვნის წესებით. 3) ლოგიკური სისტემა უფრო საიმედო და განსაზღვრულია ინტერპრეტაციებთან შედარებით.

ერთიმეორისგან განასხვავებენ არაფორმალურ აქსიომატურ მეთოდს და ფორმალურ აქსიომატურ მეთოდს. არაფორმალური აქსიომატური მეთოდი მოიხმარება და განიხილება უშუალოდ მათემატიკაში. მათემატიკური დარგები იწყება განუსაზღვრელი ტერმინების სიით და პოსტულატების სიით, იმ პოსტულატებისა, რომლებიც შეიცავენ ამ ტერმინებს და საიდანაც თეორიები გამოიყვანებიან ფორმალური ლოგიკის საშუალებებით („ფორმალური ლოგიკა" წინასწარაა ნაგულისხმევი). ფორმალური აქსიომატური მეთოდი ლოგისტიკური მეთოდისაგან განსხვავდება შემდეგით: 1) ლოგისტიკურ სისტემაში საწყისი სიმბოლოები იყოფა ორ ჯგუფად: სიმბოლოები, რომლებსაც მიაკუთვნებენ ლოგიკას, და განუსაზღვრელი ტერმინები, რომლებსაც მათემატიკის კუთვნილებად თვლიან. ამის შესატყვისად აქსიომებიც იყოფიან ორ ჯგუფად: ლოგიკური აქსიომები, რომლებიც წარმოადგენენ სწორად აგებულ ფორმულებს, სადაც იგულისხმება საწყისი სიმბოლოები და პოსტულატები, ესენი შეიცავენ განუსაზღვრელ ტერმინებსაც და ითვლებიან მათემატიკის კონკრეტული სფეროს განმსაზღვრელებად. დასკვნის წესები, თანახმად აქსიომატური მეთოდის ჩვეულებრივი კონცეპციისა, ეკუთვნიან ლოგიკას, რომელიც სისტემის საფუძველში ძევს. ინტერპრეტაციაში სემანტიკური წესებიც იყოფა ორ ჯგუფად: ერთნი აფიქსირებენ ინტერპრეტაციის ზოგად ასპექტს და რასაც ლოგიკას მია-

კუთვნებენ, მეორენი კი განსაზღვრავენ ინტერპრეტაც-ის დანარჩენ ნაწილს.

გადავიდეთ ზემოდახასიათებული აქსიომატური ანუ ლოგისტიკური მეთოდის შეფასებაზე: ეს მეთოდი მათემატიკისა და მისი დაფუძნებისათვის ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ, ის რომ აქსიომატური მეთოდი არ არის ფილოსოფიური ლოგიკის მეთოდი; ის არის კერძო მეცნიერული მეთოდი, რომელიც ზოგად ლოგიკას წინასწარ გულისხმობს, როგორც გარკვეულ საფუძველს. ლოგიკის აქსიომატიზაციის შეუძლებლობის შესახებ ქვემოთ (§ 230) სპეციალურად გვექნება საუბარი, აქ კი მხოლოდ ზოგიერთ შენიშვნას გავაკეთებთ.

1) მართალია, საჭიროა მოიხმაროთ ერთი ენა, რომ მეორე ენის შესახებ ილაპარაკოთ, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ერთი ენის შესახებ იმავე ენაზე ილაპარაკოთ; შეიძლება გვქონდეს ინგლისურად დაწერილი ლათინური გრამატიკა (ჩერჩის მაგალითი), მაგრამ ინგლისურად დაწერილი ინგლისური ენის გრამატიკაც ხომ შესაძლებელია? ქართულად დაწერილი ქართული გრამატიკა არ წარმოადგენს ორი ენის მოხმარას. რეფლექსურობა არ ქმნის ორ ენას ერთსა და იმავე ენაში. თვითონ ჩერჩიც აღნიშნავს იმას, რომ შეიძლება გაიგივდეს ობიექტ-ენა და მეტა-ენა. თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ჩვეულებრივი ენის რეფლექსურობა არ ყოფს ერთ ენას ორ ენად. თუ ერთი ენა შეუძლებელია მეორის გარეშე და თუ ერთი ენისათვის აუცილებელია მეორე ენა, მაშინ შეუძლებელი იქნება ენის ცნება, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. მეტა-და მეტამეტაენების აუცილებლობა ენის ცნებას ეწინააღმდეგება.

თუ ფორმალიზებული ენისათვის აუცილებელია მეტა-ენა (ამისთვის კი—მეტამეტაენა), მაშინ ფორმალიზებული ენა ნაკლოვანია: ა) ის არ შეიძლება იყოს ერთადერთი ენა, ბ) სრული ფორმალიზება შეუძლებელი იქნება, შინაარსეული მომენტი ყოველთვის იქნება აუცილებელი: გ) ენის ზოგადობა იშლება, ფორმალიზებული ენა კერძო ენად რჩება. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ის არის კერძო მეცნიერებისათვის გამოსადეგი ენა და არაა ზოგადი ლოგიკის ენა.

2) თუ დასკვნის წესები მეტალოგიკური წესებია, ე. ი. ლოგიკის სფეროს გარეთაა და მათემატიკური ლოგიკისათვის აუცილებელია, მაშინ მათემატიკური ლოგიკა არის არა ლოგიკა, არამედ ლოგიკის გამოყენება, რადგან: ა) დასკვნის სქემა — modus ponens-ი არის აუცილებელი წანამძღვარი ლოგისტიკური სისტემისათვის. modus ponens-ის ბუნება გაირჩევა ზოგად ლოგიკაში, მათემატიკურ ლოგიკაში კი მხოლოდ მოიხმარება. ბ) თუ კატეგორიული სილო-

გიზმის პირველი ფიგურის მოდუსები აქსიომებად უნდა იქნას გაგებული (ლუკასევიჩი), მაშინ აქსიომატურად აგებული სისტემა წინასწარ გულისხმობს და ემყარება იმას, რასაც, მაგალითად, არისტოტელეს ლოგიკა შეისწავლიდა; არისტოტელეს ლოგიკა, ბოლოს და ბოლოს, სხვა არაფერია, თუ არა სილოგიზმის პირველი ფიგურის ბუნების გარკვევა. გ) აქსიომები და დასკვნის წესები უველაფერს წინასწარ გულისხმობენ. ამიტომ სწორია ჩერჩი. როცა ამბობს, რომ დასკვნის წესები ეკუთვნის ლოგიკას, როშელიც ლოგისტიკური სისტემის საფუძველში ძევს. ეს იმას ნიშნავს. რომ ლოგისტიკური—აქსიომატური სისტემა ლოგიკას ემყარება და მას არ წარმოადგენს; აქსიომატური მეთოდი კერძო მეცნიერული მეთოდია და არა ზოგად ლოგიკური მეთოდი. აქსიომატურ სისტემაში ძირითადი ცნება არის ფუნქციის, ფუნქციონალური დამოკიდებულების ცნება და არა ლოგიკური საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების ცნება, რაც ლოგიკის შინაარსს წარმოადგენს.

აქსიომები, კავშირები და მეტაწესები სისტემისათვის უველაფერს წინასწარ გულისხმობს. დასკვნის წესების დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ტავტოლოგიური დებულებებიდან გამოიყვანოს ტავტოლოგიური დებულებები, დაიცვას ტავტოლოგიურობა[1], ეს იმას ნიშნავს, რომ: ა) გამორიცხოს ლოგიკურისათვის აუცილებელი უოველგვარი სინთეზურობა, ბ) გაჰყვანის წესები, როგორც მოქმედების წესები, არაგამოყვანის და უმოქმედობის წესებად რჩება. ეს წესები გამოსადეგია მხოლოდ მათემატიკური გარდაქმნებისათვის, ფორმულათა გარდაქმნებისათვის, რისთვისაც არსებითია ჩასმის ხერხი, რომელსაც მათემატიკურ-მექანიკური ხასიათი აქვს.

3) „წანამძღვრები", „დანასკვი", „დასკვნა". „უშუალო დასკვნა" და „დასაბუთება" ზოგადი ლოგიკის ცნებებია, მაგრამ ისინი მათემატიკურ ლოგიკაში გამოიყენებიან სხვა შინაარსით, რადგან აქ მხედველობაში არ არის ზოგადი ლოგიკისათვის ძირითადი. სახელდობრ, საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება. ეს უკანასკნელი დაყვანილია იმპლიკაციაზე; უშუალო დასკვნა გაგებულია, როგორც გარდაქმნა, სახელდობრ, დასკვნის ერთი წესის ერთჯერადი გამოყენება; დასაბუთება კი სხვა არაფერია, თუ არა ფორმულათა თანმიმდევრობა მათემატიკური ხერხების საშუალებით; შუალობითი კავშირები დაყვანილია უშუალო გარდაქმნებზე (ისე როგორც ლუკასევიჩს Barbara დაყავს პირობით წინადადებაზე, და სხვ.). მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ დასკვნის წესები გამოცხადებულია

[1] А. Чёрч, Введение в матем. логику, გვ. 121.

ლოგიკის წანამძღვრებად: დასკვნის სქემის წანამძღვრად გამოყენება დასკვნის გატანაა დასკვნის გარეთ; დასკვნის ბუნების დასკვნისწანამძღვრად წარმოდგენა ლოგიკური შეცდომის მეტს არაფერს წარმოადგენს სწორედ ზოგად-ლოგიკური თვალსაზრისით. ამ შეცდომას არ აქვს ადგილი მათემატიკურ ლოგიკაში, რამდენადაც ის არის ლოგიკის გამოყენება და არა თვითონ ლოგიკა. აღნიშნულ შეცდომას მაშ-ნ აქვს ადგილი, თუ მათემატიკურ ლოგიკას ზოგად ლოგიკად წარმოვიდგენთ და თუ ზოგადი ლოგიკის აქსიომატიზაციას მოვინდომებთ. საწყისი ბაზისი, როგორც ვნახეთ, წარმოადგენს სქემას, ამიტომ მათემატიკური ლოგიკა არის მათემატიკური ხასიათის სპეციალური მეცნიერება. ამას ისიც მოწმობს, რომ როგორც ითქვა, აქსიომაც კი საბუთდება; ეს გარემოება გასაგებია მხოლოდ მაშინ, თუ დასაბუთების ზოგად-ლოგიკურ ცნებას შევცვლით დასაბუთების მათემატიკური ცნებით, სახელდობრ, თუ დასაბუთებას გავიგებთ, როგორც ფორმულის სწორად აგებას.

4) ეს გარემოება კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ მოვიგონებთ ჩერჩის ერთ დებულებას, რომელიც ზემოთ იქნა აღნიშნული. სახელდობრ, იმას, რომ დასაბუთებას არადასაბუთებისაგან ვარჩევთ ინტუიციის საშუალებით და რომ ეფექტურობის ცნება ინტუიციურად ცხადი მათემატიკური ცნებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მათემატიკურ ლოგიკაში არ არსებობს ლოგიკური წესი, რომლითაც შეიძლება გავარჩიოთ დასაბუთება არადასაბუთებისაგან; მათემატიკურ ლოგიკაში არ არის ნათელი ის, თუ რით აიხსნება აქსიომების და წესების ამორჩევა და როგორ ღავასაიაოოთ მთლიანად მათგან მიღებული დამტკიცებული ფორმულები, რომლებიც განსხვავდება საერთოდ აღრიცხვის ფორმულებისაგან [1]. ზოგადლოგიკური მეთოდის განმსაზღვრელი არ შეიძლება იყოს არც მეტალოგიკური და არც ინტუიცია, როგორც ამას ადგილი აქვს ლოგისტიკურ მეთოდში.

5) მათემატიკურ ლოგიკაში დასაბუთების ხასიათის ჩვენებისათვის მოვიყვანოთ დასაბუთების ერთი მაგალითი ჰილბერტ-აკერმანის წიგნიდან [2]. „თუ არსებობს შვილი, მაშინ არსებობს მამა", რაც სიმბოლურად გამოისახება ასე:

$$(Ex)\ S(x) \rightarrow (Ex)\ v(x).$$

სადაც $S(x)$ აღნიშნავს „x არის შვილი", $v(x)$ კი — „x არის მამა". ამ წინადადების დასაბუთება შესაძლებელია, თუ ჩვენ მასში არსე-

[1] Д. Гильберт и В. Аккерман Основы теоретической логики, გვ. 237—238.

[2] იქვე, გვ. 89—90

ბულ პრედიკატებს დავშლით. შვილის ცნებაში იგულისხმება, ერთი მხრივ, პრედიკატი „მამაკაცი“; მეორე მხრივ — მიმართება ბავშვისა მშობლებთან; მამის ცნებაში იგულისხმება მიმართება ცოლისადმი და ბავშვისადმი. თუ ჩვენ შემოვიტანთ „x არის მამაკაცის“ მაგივრად ნიშანს M(x) და გამოვხატავთ პრედიკატს „x და y არიან z-ის მშობლები“ (ანუ, უფრო ზუსტად: x-ს და y-ს, როგორც ქმარს და ცოლს, ჰყავთ შვილი z“) სიმბოლო K (x, y, z)-ის საშუალებით, მაშინ ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ S(x) ასე: M(x) · (Eu) (Ev) K (u,v,z). („x არის შვილი“ აღნიშნავს „x არის მამაკაცი, და არსებობს u და v ისეთები, რომ u როგორც ქმარი და v როგორც ცოლი არიან x-ის მშობლები). ასევე განისაზღვრება V(x) იც:

$$(Ey)\,(Ez)\,k\,(x,\,y,\,z)$$

(„x არის მამა“ აღნიშნავს: „არსებობს ისეთი y და z, რომ x და y როგორც ქმარი და ცოლი, არიან z-ის მშობლები“). თუ ჩვენ მიღებულ გამოსახულებებს ჩავსვამთ S(x) და V(x)-სათვის, მაშინ განხილულ მტკიცებას ექნება სახე:

$$(Ex)\,[M\,(x)\,.\,(Eu)\,(Ev)\,K\,(u,\,v,\,x)]\rightarrow$$
$$(Ex)\,(Ey)\,(Ez)\,K\,(x,\,y,\,z).$$

ეს ფორმულა გამოხატავს თანმიმდევრობის მიმართებას ორ გამოსახულებას შორის; დასაბუთების საკითხი დაიყვანება იმაზე, რომ ერთი გამოსახულებიდან მივიდეთ მეორემდე „დასკვნების“ რიგის გზით, იმ დასკვნებისა, რომელთაგან თითოეული დასაბუთებულია აღრიცხვაში. ჩვენ აქ მოვიხმართ პრინციპს, რომლის თანახმადაც წინადადებებს A→B და B—C შორის ორი მიმართებიდან ყოველთვის შეგვიძლია დავასკვნათ A—C-ზე.

ეს მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ მათემატიკურ ლოგიკაში დასაბუთება არის მოცემულის დაშლა და მისი ნაწილების გარკვეული კავშირების დადგენა წინასწარ მოცემული ზოგადი ლოგიკიდან გამომდინარე, პრინციპის მიხედვით: თვითონ კავშირები კი მათემატიკურ ლოგისტიკური ხასიათისაა.

6) როგორც ცნობილია, მათემატიკური ლოგიკის მთავარი პრობლემა არის გადაწყვეტადობის პრობლემა. ზოგადმნიშვნელოვანების და შესრულებადობის პრობლემები, რომლებიც ექვივალენტურნი არიან, იწოდებიან ერთი — გადაწყვეტადობის პრობლემის სახელით. შესრულებადობის პრობლემა არის ამოცანა გადაწყდეს, არის თუ არა მოცემული წინადადება ყოველთვის მცდარი ანდა არსებობენ წინადადებები, რომლებიც აკმაყოფილებენ მას, ე. ი. რომელთათვისაც ის არის ჭეშმარიტი. პრედიკატთა წმინდა აღრიცხვის ფორმულა,

რომელშიც არ არის არავითარი ინდივიდუალური ნიშნები, იწოდება შესრულებადად რაიმე ინდივიდუმთა სფეროში, თუ შესაძლებელია ცვლადი წინადადებები შევცვალოთ მნიშვნელობებით „ჭეშმარიტება“ და „მცდარობა“, ცვლადი პრედიკატები — რაიმე სპეციალური პრედიკატებით. რომლებიც განსაზღვრული არიან ინდივიდთა შესატყვის სფეროში, და თავისუფალი საგნობრივი ცვლადები — ინდივიდუალური საგნებით ისე, რომ ფორმულა გადაიქცეს ჭეშმარიტ წინადადებად [1].

ზოგადმნიშვნელოვანი (ტავტოლოგიური) წინადადების მიღება ცხრილების საშუალებით ხდება შემდეგნაირად: ავიღოთ მაგალითები:

ა) A	A	A→A
ჰ	ჰ	ჰ
მ	მ	ჰ

A → A არის იგივეობის კანონი, რომელიც ყოველთვის ჭეშმარიტია, წარმოადგენს ტავტოლოგიას.

ბ) A	$\overline{A}$	A∨$\overline{A}$
ჰ	მ	ჰ
მ	ჰ	ჰ

A∨$\overline{A}$ არის გამორიცხული მესამის კანონი, რომელიც ყოველთვის ჭეშმარიტია, წარმოადგენს ტავტოლოგიას.

გ) A	$\overline{A}$	A$\overline{A}$	$\overline{A\overline{A}}$
ჰ	მ	მ	ჰ
მ	ჰ	მ	ჰ

$\overline{A\overline{A}}$ არის წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, რომელიც ყოველთვის ჭეშმარიტია, წარმოადგენს ტავტოლოგიას.

დ) A	B	C	A→B	B→C	(A→B).(B→C)	A→C	[(A→B).(B→C)]→(A→C)
ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ
ჰ	ჰ	მ	ჰ	მ	მ	მ	ჰ
ჰ	მ	ჰ	მ	ჰ	მ	ჰ	ჰ
ჰ	მ	მ	მ	ჰ	მ	მ	ჰ
მ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ
მ	ჰ	მ	ჰ	მ	მ	ჰ	ჰ
მ	მ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ
მ	მ	მ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ	ჰ

[1] Д. Гильберт и В. Аккерман, Основы теоретическоіі логики, გვ. 42, 146, 147.

ეს იმას ამტკიცებს, რომ ჰიპოთეტური სილოგიზმი არის ყოველთვის ჭეშმარიტი (ტავტოლოგიური) წინადადება, ე. ი. წარმოადგენს კანონს.

გადაწყვეტადობის პრობლემა წინადადებათა აღრიცხვაში ადვილად წყდება; აქ დასაბუთებას აქვს წმინდა მექანიკური ხასიათი, როგორც ეს მოყვანილი ცხრილიდან ჩანს. წინადადებათა აღრიცხვაში გადაწყვეტადობის პრობლემა სრულდება ცხრილების საშუალებით და კონიუნქციური და დისიუნქციური ნორმალური ფორმების მოხმარების გზით. მაგრამ პრედიკატთა აღრიცხვაში, რომელიც მათემატიკური ლოგიკის მთავარ ნაწილს წარმოადგენს, გადაწყვეტადობის პრობლემა არ წყდება, როგორც ეს ჩერჩმა დაამტკიცა. პრედიკატთა აღრიცხვაში შეუძლებელია მოიძებნოს გადაწყვეტადობის პრობლემის უზოგადესი გადამწყვეტი მეთოდი; ე. ი. შეუძლებელია დასაბუთება განხორციელდეს წმინდა მექანიკურად. ეს იმას ნიშნავს, რომ მათემატიკური ლოგიკის მთავარი ამოცანა გადაუწყვეტელი რჩება.

7) როგორც ითქვა, პრედიკატთა აღრიცხვაში არ წყდება გადაწყვეტადობის პრობლემა; არ არსებობს სრული სისტემა აქსიომების იგივეობრივი (ტავტოლოგიური) ფორმულებისათვის. მაგრამ 1931 წ. გედელმა დაამტკიცა კიდევ მეტი, სახელდობრ შემდეგი: ძირითადი ფორმულების და დასკვნის წესების ნებისმიერი სისტემისათვის შეიძლება მივუთითოთ იგივეობრივ ფორმულებს, რომლებიც არ შეიძლება გამოყვანილ იქნას (საკითხი ეხება ლოგისტიკური სისტემის არასისრულეს). გედელის მიხედვით, რა სრული და ყოვლის მომცველი არ უნდა იყოს დასაბუთების მეთოდი, ყოველთვის შეიძლება მოინახოს წინადადებები, რომლებიც მაშინ და მხოლოდ მაშინ არიან ჭეშმარიტი, როცა ისინი არ შეიძლება დამტკიცებულ იქნას მოცემული მეთოდის საშუალებით. ამ გარემოებას მივყევართ ალტერნატივამდე: შინაარსით მეტად თუ ნაკლებად მდიდარი თეორია ან არასრულია ან მცდარი. მართლაც, თუ წინადადებები (რომლებზედაც ლაპარაკობს გედელი) ჭეშმარიტია, მაშინ ისინი არაა დამტკიცებადი, და, მაშ., თეორიის ფარგლებში არსებობს ჭეშმარიტი წინადადებები, რომლებიც არ შეიძლება დამტკიცებულ იქნას თეორიაში გამოყენებული მეთოდების საშუალებით. ასეთი თეორია არასრულია, მისი სრული აქსიომატიზაცია შეუძლებელია. თუ დასახელებული წინადადებები დამტკიცებადია, მაშინ ისინი მცდარია. მაგრამ თეორია, რომლის საშუალებითაც მტკიცდება მცდარი წინადადებები, თვითონაა მცდარი. ამრიგად, დამტკიცებულია, ლოგისტიკური მეთოდის შეზღუდულობა.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრედიკატთა გაფართოებული აღრიცხვა, საბოლოოდ, აწყდება ლოგიკური რეფლექსურობის სიძნელეს, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ ცნების ერთმნიშვნელობების ლოგიკით შემოვიფარგლებით (როგორც ეს G. Günther -მა აღნიშნა). ცნობილია ის, რომ პრედიკატთა გაფართოებული აღრიცხვა მიდის პარადოქსებამდე, რომელსაც სწორედ რეფლექსურობა ჰქმნის. ასეთია, მაგალითად, სიძნელე: წინადადება „ყველა წინადადება ან ჭეშმარიტია ან მცდარი“ თვითონ არის ერთ-ერთი წინადადებათაგანი. მაგრამ იგი განსაზღვრულია სწორედ ყველა წინადადებათა ერთობლიობასთან მიმართებით.

ეს და ასეთი სიძნელეები, რომლებიც ლოგიკურ რეფლექსურობასთან არიან დაკავშირებული, წყდება მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში, როგორც ამას ჩვენ წინამდებარე შრომაში ვამტკიცებთ.

8) აქსიომატური მეთოდი, როგორც ეს ზემოთაც აღნიშნა, ეყრდნობა და გამოდის დროისა და სივრცის ბუნებიდან. ამას ადასტურებს, უპირველეს ყოვლისა, ჰილბერტის თვალსაზრისი, რომლის შესახებაც ზემოთ მოკლედ იყო აღნიშნული, აქ კი შედარებით უფრო ვრცლად წარმოვადგინეთ. როგორც ვიცით, ჰილბერტისა და აკერმანის აზრით, წინადადებათა აღრიცხვის და კლასთა აღრიცხვის (ერთადგილიანი პრედიკატთა აღრიცხვის, რომელშიც არისტოტელეს ლოგიკაც არის ნაგულისხმევი) ფორმალიზმი ძალიან ვიწროა იმასთან შედარებით, რაც აუცილებელია პრედიკატთა აღრიცხვისათვის, სადაც ძირითადია მიმართებები, როგორიცაა, მაგალითად, სივრცითი მიმართება სამ წერტილს შორის, სახელდობრ, სიმეტრიული მიმართება წერტილებს შორის („თუ B მდებარეობს A-სა და C-ს შუა, მაშინ B მდებარეობს C-სა და A-ს შუა“), ანდა ისეთი მიმართება, როგორიცაა მიმართება შვილსა და მამას შორის.[1] ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ ასეთი მიმართებები არიან სხვანაირი მიმართებები, რომლებიც ლოგიკაში არ უნდა შევიდნენ; ისინი მათემატიკურ მიმართებებს წარმოადგენენ (მეტ-ნაკლებობა სიდიდეებს შორის არ არის ცნებათა მიმართება, ამიტომ ის მათემატიკის სფეროს ეკუთვნის და არა ლოგიკის სფეროს, ასე ითქმის სხვანაირ მიმართებაზეც).

ის გარემოება, რომ მათემატიკური ლოგიკის აქსიომატური მეთოდი სწორედ დროის და სივრცის ბუნებას უკავშირდება, ნათლად აქვს გამოთქმული ჰილბერტს თავის „გეომეტრიის საფუძვლებში“.

---

[1] Д. Гильберт и В. Аккерман, Основы теоретической логики, გვ. 81, 82.

ჰილბერტი ეთანხმება კანტის ფილოსოფიას იმის აღიარებაში, რომ ლოგიკურს წინ უსწრებს არალოგიკური, კონკრეტული ობიექტები, რომლებიც მოცემულია უშუალო განჭვრეტაში[1]; დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს შინაარსეულ-თვალსაჩინოს;[2] ფორმალიზებული დასაბუთება არის კონკრეტული და თვალსაჩინო საგანი[3]; „დასაბუთება არის ფიგურა, რომელიც ჩვენს წინაშე უნდა წარმოდგეს თვალსაჩინოდ“.[4]

ბევრი თანამედროვე მკვლევარი იზიარებს ჰილბერტის აქ აღნიშნულ აზრს, რომელსაც ისინი თავისებურად ასაბუთებენ და გამოთქვამენ. ასეთია, მაგალითად, კურტ ვუხტერლი, რომელიც ნაშრომში „წმინდა და მათემატიკური ლოგიკა“ ერთიმეორისაგან განასხვავებს ორ ლოგიკას: 1) Logik als Kanon des Denkens, ეს არის კანტის ფორმალური (ზოგადი) ლოგიკა და 2) Logik als Organon რომელსაც ეკუთვნის მათემატიკური ლოგიკაც, რომელიც ზოგადი ლოგიკის გამოყენებაა კონკრეტულ სფეროში. Die Logik als Kanon არის წინასწარი საფუძველი მისი ყოველგვარი გამოყენების, კერძოდ მათემატიკური ლოგიკისაც. ვუხტერლი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მათემატიკის სტრუქტურული თეორიები და ლოგისტიკა მიიყვანება კანტის მიერ განვითარებულ წარმოდგენაზე წმინდა ინტუიციის კონსტრუქციების შესახებ, საფუძვლად არის გამოყენებული წმინდა გრძნობადი ინტუიცია (reine Anschauung)[5]. ამიტომ მათემატიკურ ლოგიკას, ამბობს ვუხტერლი, ესთეტიკური ხასიათი აქვს (როგორც ცნობილია, კანტის „ტრანსცენდენტალურ ესთეტიკაში“, როგორც დროისა და სივრცის შესახებ მოძღვრებაში, ე. ი. როგორც მათემატიკის მეცნიერების დაფუძნებაში, გამოყენებულია ბერძნული სიტყვის „აისთეზის“-ის აზრი).

ყველაფერი ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, თითქოს მათემატიკური ლოგიკა კანტის სუბიექტურ იდეალიზმს ემყარება; არა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას „ესთეტიკური ხასიათი“ აქვს, ე. ი. მათემატიკურ ლოგიკაში გამოყენებული დასაბუთება ეყრდნობა დროისა და სივრცის ბუნებას და რომ მას მათემატიკურ-მექანიკური ხასიათი აქვს. როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, დასაბუთება არის

---

[1] Д. Гильберт, Основания геометрии, გვ. 351.

[2] იქვე, გვ. 373.

[3] იქვე, გვ. 377.

[4] იქვე, გვ. 366, 360.

[5] Kurt Wuchterl, Reine und mathematische Logik. Eine Deutung auf dem Boden der Philosophie Kants. „Zeitschrift für philosophische Forschung“, B. XVIII, H. 3. 1963, გვ. 408.

ფორმულათა თანმიმდევრობა, სადაც დასკვნები სრულდება მხოლოდ მეტაწესების გამოყენებით, ე. ი. აქსიომების ბუნებიდან არაფერი არ გამოიყვანება გარეგანი საშუალებების გარეშე, ე. ი. არ ხორციელდება შინაგანი აუცილებელი გამომდინარეობა, რაც ლოგიკისათვის არის მთავარი და ძირითადი.

მაშასადამე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლოგისტიკური (აქსიომატური) მეთოდი არ არის ზოგადი ლოგიკის, ფილოსოფიური ლოგიკის მეთოდი, ის სპეციალური მეცნიერების სპეციალურ მეთოდს წარმოადგენს. ის არ არის ფილოსოფოსობის მეთოდი; იგი ფილოსოფიურ შრომებში არსად არ გამოიყენება, ზედმეტია მათთვის.

§ 204. ჰიპოთეზური მეთოდი

„ჰიპოთეზურობა", რომელსაც ჰიპოთეზური მეთოდი გულისხმობს და რომლის შესახებაც ახლა უნდა ვილაპარაკოთ, არ არის წარმოებული ჩვეულებრივად გაგებული „ჰიპოთეზიდან", როგორც დებულების ნებისმიერად დაშვებიდან. ჰიპოთეზური მეთოდის ვიერ ნაგულისხმევი „ჰიპოთეზურობა" წარმოებულია ბერძნული „ჰიპოთეზისიდან", როგორც თავისებური პირველი დებულებიდან — „პირველი თეზისიდან". ამ „ჰიპოთეზურობისთვის" არსებითია გარკვეული აუცილებლობა, სახელდობრ, პირველის აუცილებელობა. „პირველ-დებულების" აუცილებლობა, ეს არის ლოგიკური პირობის თუ საფუძვლის აუცილებლობა, ეს დაახლოებით არის ისეთი აუცილებლობა, როგორიცაა ლოგიკურის კატეგორიის აუცილებლობა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. „პირველ-დებულების" აუცილებლობა ისაა, რომ მისი არგამოყენება შეუძლებელია, იგი აუცილებელია ყოველთვის და ყველასათვის ლოგიკაში, მათ შორის, თვითონ მისთვისაც. აქ ადგილი აქვს ლოგიკურ რეფლექსურობას.

ჰიპოთეზური მეთოდი არის ლოგიკური რეფლექსიის თავისებური მეთოდი. ის არის აუცილებელი საფუძვლის მეთოდი, შედეგისათვის საფუძვლის აუცილებლობის მეთოდი. ჰიპოთეზური მეთოდი შედეგისათვის საფუძვლის აუცილებლობის მიღების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს (ამიტომ ის არ უნდა გავუიგივოთ „პოსტულირების მეთოდს", რომელსაც თანამედროვე ბურჟუაზიული დასავლეთის ფილოსოფოსები მიმართავენ ხოლმე).

ჰიპოთეზური მეთოდი ჰგავს რედუქციის მეთოდს, მაგრამ განსხ-

ვავდება მისგან, რადგან რედუქცია არის შედეგიდან საფუძველზე გადასვლა აუცილებლობით, ჰიპოთეზური მეთოდის გამოყენებაში კი ხორციელდება შედეგისათვის აუცილებელი საფუძვლის მოქმედება თვითონ შედეგის დადგენის დროს. შედეგის არსებობა უკვე ნიშნავს მასში საფუძვლის მოქმედებას. აქ არც შედეგიდან გამოდის საფუძველი და არც საფუძველიდან შედეგი. „პირველი“ როგორც პირობა, არ არსებობს არც შემდეგ, არც მხოლოდ წინასწარ. ის არის „პირველი“ „მეორეში“ და „მეორე“ — „პირველში“.

ლოგიკისა და საერთოდ ფილოსოფიის ისტორიაში ჰიპოთეზური მეთოდი გამოიყენებოდა სხვადასხვანაირად, თუმცა არსებითად ერთსა და იმავე მეთოდს წარმოადგენდა. ავიღოთ აქ აღნიშნული „ჰიპოთეზური მეთოდის“ რამდენიმე მაგალითი, რათა გასაგები გახდეს, თუ რის შესახებ გვაქვს ამჟამად საუბარი. ამ მხრივ სანიმუშოა პლატონი და კანტი.

1) პლატონს გამოყენებული ჰქონდა ჰიპოთეზური მეთოდი, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: ა) პლატონისათვის იდეა არის „ჰიპოთეზისი“, რადგან ის არის გარკვეული თავისებური საფუძველი თუ „მიზეზი“,[1] „პირველ-სახე“ თუ არსება, რომელზედაც დამოკიდებულია ყველაფერი, რის არსებასაც ის წარმოადგენს. ეს „მიზეზი “ანუ „პირველ-სახე“ დამოუკიდებელია და მოქმედებს მასზე დამოკიდებულში. მაგალითად, იგივეობრივი ქვები დამოკიდებულია იგივეობაზე, რომელიც მოქმედებს იგივეობრივ ქვებში. იგივეობრივი ხეების არსებობაც და მათი გაგებაც ნიშნავს იმ იგივეობრივის გაგებას, რომელიც თავისთავადია, დამოუკიდებელია, მაგრამ „მოქმედებს“ მასზე დამოკიდებულებში. იგივეობრივის ცნება მართლდება იგივეობის ცნებით და არა პირიქით. ამრიგად, პლატონისათვის „ჰიპოთეზურობა“ „მოქმედებს“ არსებობაშიც, შემეცნებაშიც და ლოგიკურშიც. ჰიპოთეზური მეთოდი არის „პირველი ფილოსოფიის“ მეთოდი, თუ აზრს არისტოტელეს სიტყვებით გამოვთქვამთ. ჩვენი აზრით, ჰიპოთეზური მეთოდი, როგორც ეს პლატონთან იყო მოხმარებული, არის კატეგორიალური მეთოდი, უნივერსალური მეთოდი, რომლის მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკურის კატეგორიის „მოქმედება“.

ბ) პლატონის „პარმენიდეში“ გამოყენებული მეთოდი არის „ჰიპოთეზური მეთოდი“, რომელიც მდგომარეობს რაიმეს გამართლებაში ამ რაიმეს შედეგებიდან. ჰიპოთეზური მეთოდის გამოყენება, ეს არის ჰიპოთეზური დაშაბუთების წარმოება, რომელიც პლატონის

[1] იხ. პლატონის „ფედონი“, 100B.

„პარმენიდეში“ წარმოადგენს იმას, რომ რაიმეს მიღება-არმიღება უნდა გამოყვანილ იქნას ამ რაიმეს დაშვება-არდაშვების შედეგებიდან; შედეგებმა უნდა გაამართლოს დაშვებული დებულება. დიალოგ „პარმენიდეში“ მოცემულია ერთისა და არაერთის თავისებური დიალექტიკა, რომელიც შეიძლება დაყოფილ იქნას ორ ნაწილად: 1) ერთის დაშვება და აქედან მიღებული შედეგების საფუძველზე დაშვებულის მიღება-არმიღება; 2) ერთის უარყოფის დაშვება და აქედან მიღებული შედეგებით დაშვების შეფასება. უფრო ზუსტად „პარმენიდეს“ ძირითადი ნაწილის ჩონჩხი მდგომარეობა შემდეგში: 1. ერთის დაშვება; 1) შედეგები ერთისათვის, ა) — ერთის აბსოლუტური დაშვების დროს, ბ) — ერთის შედარებით დაშვების დროს, გ) — ორივე ამ დაშვების სინთეზის დროს; 2) შედეგები სხვისათვის (არაერთისათვის), ა) ერთის შედარებითი დადგენის დროს, ბ) ერთის აბსოლუტური დადგენის დროს; 2. ერთის უარყოფა, 1) შედეგები ერთისათვის, ა) ერთის შედარებითი უარყოფის დროს, ბ) ერთის აბსოლუტური უარყოფის დროს.

როგორც ვხედავთ, დიალოგი „პარმენიდე“ ორი მთავარი ნაწილისგან შედგება: 1) თეზისი (ერთის დადგენა), 2) ანტითეზისი (ერთის უარყოფა), მაგრამ მას აკლია სინთეზი-რეზულტატი; ანტითეტიკა ამ დიალოგში თითქოს გადაუწყვეტელი დარჩა, გადაუწყვეტელი დარჩა ის, თუ სანამდე მივიდა ანტითეტიკა, რომელიც დიალოგშია გაშლილი სახით წარმოდგენილი, თითქოს ამ დიალოგის მიზანი მიუღწეველი დატოვა პლატონმა. ჩვენი აზრით, ეს ასე არ არის. ამაზე მოწმობს პლატონის „სახელმწიფოს“ ერთი ადგილი, სახელდობრ, ის, სადაც ნათქვამია, რომ მოძღვრება ერთის შესახებ სულს წარმართავს და ამაღლებს არსის ჰვრეტისაკენ.[1] მართლაც, პლატონის დიალოგში „პარმენიდე“ გამოყენებული ჰიპოთეზური მეთოდის აზრით, ამ დიალოგში გაშლილი ანტითეტიკა შემდეგში კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ „პირველ-საფუძველში“, რომლის ნიადაგზე და რომლის მოხმარით შესაძლებელია აღნიშნული ანტითეტიკა; „სინთეზი“ შემდეგ კი არაა, არამედ წინ, ის არის წინადაშვებული პირველი, რომელიც მაღლა დგას წინაალმდეგობაზე და მოქმედებს წინაალმდეგობაში, რომელიც აზრის მჭონეა და შესაძლებელია მხოლოდ „პირველის“, ნამდვილი „არსის“ საფუძველზე.

მართალია, დიალოგში მოხმარებულ მეთოდში ჩვეულებრივად გაგებული ჰიპოთეზურობაც (პირობითი დაშვება) არის მოხმარებული, მაგრამ მათვარია უპირობო პირველის დადგენა.

[1] პ ლ ა ტ ო ნ ი, სახელმწიფო, გვ. 525A.

2) კანტის ტრანსცენდენტალური მეთოდი. ზოგადად რომ ვთქვათ, არის რაიმეს აუცილებელ საშუალებად გამოყენების მეთოდი. ეს აუცილებელი საშუალება არის, ამავე დროს, საკმარისიც. იგი არის არა მხოლოდ აპრიორული, არამედ — ტრანსცენდენტალური პირობა (დრო, სივრცე, კატეგორიები, გარკვეული აზრით — იდეებიც). იმ წესის ახსნა, თუ როგორ ცნებები აპრიორულ დამოკიდებულებაში არიან საგნებთან, თუ როგორ აპრიორულად ეცნობიან საგნებს, არის ტრანსცენდენტალური დედუქცია.[1] ის საშუალებაა, რომლითაც საგნები გვეძლევა შემეცნებაში, არის ცრძნობიერების წმინდა ფორმები — დრო და სივრცე. ის საშუალება, რომლითაც ხორციელდება მსჯელობები, არის კატეგორია. ერთიანობა არის აუცილებელი და საკმარისი საშუალება ზოგადი მსჯელობისათვის, უარყოფა არის აუცილებელი საშუალება უარყოფითი მსჯელობისათვის და სხვ. ეს საშუალებები ობიექტურ პირობებს წარმოადგენენ. ისინი, ერთსა და იმავე დროს, ლოგიკური საშუალებებიც არიან და შემეცნების საშუალებებიც, ისეთი ლოგიკური საშუალებებია, რომლებიც ცოდნის აუცილებელ პირობებს შეადგენენ.

ტრანსცენდენტალური პირობები, ცხადია, არ გამოდიან იქედან, რის პირობებსაც ისინი წარმოადგენენ; პირიქით ისინი წინაწარმდებული პირობები არიან, მაგრამ ეს წინასწარ არსებობა ისეთია, რომ განპირობებულის გარეშე ისინი აზრს კარგავენ — არ წარმოადგენენ იმას, რაც უნდა იყვნენ. ამ პირობებით საგნის შექმნა და საგნის ობიექტური მნიშვნელობის მქონე ცნების დადგენა ერთი და იგივეა. საგნის არსებობა შეუძლებელია მისი პირობების გარეშე. ისე როგორც პირობები სწორედ საგნის პირობებს წარმოადგენენ. ზოგადი მსჯელობა შეუძლებელია ერთიანობის კატეგორიის გარეშე; ერთიანობა არის ზოგადი მსჯელობის ობიექტური საშუალება — ტრანსცენდენტალური პირობა, მაგრამ ერთიანობა სწორედ ზოგადი მსჯელობის ფორმას წარმოადგენს. ერთიანობა არის ზოგადი მსჯელობის, ასე ვთქვათ, „ჰიპოთეზისი“; ის არსებობა მისი. თუ არის პირობა, არის გაპირობებული. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ტრანსცენდენტალური პირობა და მის მიერ გაპირობებული ისე იყვნენ ერთიმეორეზე დამოკიდებული, რომ მათ ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდეთ, არა, მათი დამოკიდებულება ხორციელდება ერთსადაიმავეში. აქ ადგილი აქვს თვითშემეცნებას, თავისთავის დაფუძნებას. კანტისათვის საგნის შემეცნება იგივეა, რაც

[1] I Kant, Kritik der reinen Vernunft², გვ. 117.

საკვანძო შეკვეთა. რამდენადაც აქ გვაქვს საქმე თვითშემეცნებასთან. რომელიც ლოგიკურად სხვა არაფერია. თუ არა რაიმეს გამოყენება თვითონ მის მიმართ. ეს გარემოება აშკარად გაიგო ფიხტეს და ჰეგელის დიალექტიკამ. სწორედ დიალექტიკის თეორიაში დადგინდა ის. რომ კატეგორიები, როგორც აზრის ლოგიკური ფორმები, გამოიყენებიან თვითონ მათ მიმართაც. ლოგიკაში სხვანაირად შეუძლებელიცაა. ლოგიკური ძირითადი საშუალებები რეფლექსურია.

ჰიპოთეზური მეთოდი არის ისეთი მეთოდი, როცა რაიმეს დადგენა იმით ხდება, რაც დგინდება მისკენ გაპირობებულის დადგენით. თუ არსებობს ცოდნა, არსებობს მისი ლოგიკური პირობები და პირიქით; თუ არსებობს ლოგიკური ფორმები, არსებობს მათი ლოგიკური პირობებიც და პირიქით. აქ არის ლოგიკურის კატეგორიის თავისებური მოქმედება. ეს არის გაორკეცული რეფლექსურობა, ლოგიკური რეფლექსურობა, სადაც შესაძლებელია და აუცილებელიც შებრუნებები საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებებში. მაგრამ ჰიპოთეზურ მეთოდს არსებითი ნაკლიც აქვს, ეს არის რეფლექსიაში უარყოფის, სახელდობრ, შინაგანი უარყოფის გამორიცხვა. თუ ლოგიკურ რეფლექსიაში არ მოქმედებს შინაგანი უარყოფა, მაშინ ლოგიკური რეფლექსია შეუძლებელიც იქნება, რადგან ყველაფერი დაყვანილი იქნება ტავტოლოგიაზე, რაც რეფლექსიას მხოლოდ სიტყვიერად შეასრულებს. სწორედ ამის გამო მოხდა ის. რომ კანტის ტრანსცენდენტალური „მე“, როგორც ტავტოლოგიური, არ გამოდგა დამაკავშირებლად (მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სინთეზური „მე“-ც); წმინდა იგივეობიდან არაფერი არ გამოდის. ფიხტეს და ჰეგელის დიალექტიკამ სწორედ ამ გზით, ამ ნაკლის დაძლევის გზით წარმართა საქმე. ჰეგელმა ლოგიკურ კავშირში დაინახა წრიულობა: შედეგიდან საფუძველში გადასვლა და საფუძველიდან შედეგის გამოყვანა ერთიმეორეს გაუიგივა; წინასწარ წარმოადგინა როგორც უკანასკნელი საფუძვლისკენ.

სრული ლოგიკური რეფლექსურობა, როგორც ვიცით, ხორციელდება უსასრულო დასკვნაში — შინაგანი უარყოფით თვითდადგენაში, სადაც ადგილი აქვს თვითსაფუძველს, ამიტომ თვითშედეგსაც.

დედუქციის, ინდუქციის, რედუქციისა და სხვა ლოგიკურ მეთოდთა სიძნელენი, რომელთა ნაწილი ზემოთ იქნა მითითებული, ნაწილს კი ახლა შევეხებით და რომლებიც ცნობილია ლოგიკის ისტორიაში, აჩვენებენ არა მეთოდთა სრულ უვარგისობას, არამედ იმას, რომ ისინი ერთიმეორისათვის აუცილებელნი არიან. მათი ერთიმეორისადმი ეს აუცილებლობა კი, როგორც ეს ქვემოთ გაირკვევა, იმას ამტკიცებს, რომ მათთვის, როგორც კერძო მეთოდებისათვის, აუცილებელია ერთი უნივერსალური ლოგიკური მეთოდი.

დედუქციის სიძნელეები აჩვენებენ სხვა მეთოდის თუ მეთოდების აუცილებლობას. დედუქციის სიძნელე აღნიშნეს „ახალმა ტროპებმა", რომლებიც მიმართული იყო არისტოტელეს დედუქციის წინააღმდეგ. „ახალმა ტროპებმა" აღნიშნეს ის, რომ დედუქცია მიდის უსასრულობაში, რომ აქსიომა ვერ აჩერებს ასეთ სვლას; უსასრულობაში სვლა კი დასაბუთების შეუძლებლობის მაჩვენებელია, რადგან ყოველი საფუძვლისათვის ახალი საფუძვლის მოძებნის საქმე უსაზღვროა; მაგრამ თუ უსასრულობაში რეგრესის საშიშროებას დასაბუთების წრიულობით (დებულებათა ურთიერთდასაბუთებით) შევეცდებით, მაშინაც გაუქმდება დასაბუთება, რადგან ასეთი წრე ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს. ამიტომ დასაბუთება საერთოდ შეუძლებელია, ასკვნიდნენ ძველი სკეპტიკოსები. აქ დედუქციის სიძნელე თუ შეუძლებლობა გაიგივებულია საერთოდ დასაბუთების შეუძლებლობასთან. მაგრამ დედუქციის და საერთოდ დასაბუთების ასეთი უარყოფა, თვითონ არის შეუძლებელი, რადგან დასაბუთების უარყოფას ანტიკური დროის სკეპტიკოსები თვითონ ასაბუთებენ. უაზრობაა ის, რომ დაასაბუთო დასაბუთების შეუძლებლობა. დასაბუთების შეუძლებლობის დასაბუთება დასაბუთების უარყოფის შეუძლებლობას აჩვენებს; ის აჩვენებს დასაბუთების აუცილებლობას. ამიტომ თუ დედუქცია შეუძლებელია, აუცილებელია დასაბუთების სხვა მეთოდი. დედუქციის ნაკლი აჩვენებს დასაბუთების სხვა მეთოდის აუცილებლობას.

დედუქციის სიძნელე აღნიშნეს ინდუქციური ლოგიკის მიმდევრებმა (ფ. ბეკონი, ჯ. ს. მილი და სხვ) მაშინ, როცა აჩვენეს, რომ დედუქცია შეიცავს და წარმოადგენს შეცდომას, რომელსაც სახელად petitio principii ჰქვია. სილოგისტურ დასკვნაში დანასკვი წინასწარ იგულისხმება დიდ წანამძღვარში; მაგალითად, სოკრატეს

მოკვდაობა ნაგულისხმევია ყველა ადამიანის მოკვდაობაში, საიდანაც დედუქტივისტები ასკვნიან სოკრატეს მოკვდაობაზე; რაც უნდა დაასაბუთონ, სწორედ იმით ასაბუთებენ. ეს არის გამოუვალი წრე, რაც დედუქციის მცდარობად არის მიჩნეული.

დედუქციის ამ ნაკლის გამომამჟღავნებელი უძლიერესი არგუმენტი, ჩვენი აზრით, ეს არის დეკარტის cogito. „ვაზროვნებ, მაშასადამე. ვარსებობ“ ამტკიცებს იმას, რომ ვინც აზროვნებს, ის არსებობს და არა პირიქით. დებულება „ვინც აზროვნებს, ის არსებობს“ წინასწარ გულისხმობს იმას, რომ „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“, ამიტომ იგი ამ უკანასკნელის წანამძღვრად, დამსაბუთებლად არ გამოდგება; პირიქით, თუ სწორია მეორე დებულება, მაშინ და მხოლოდ მაშინ იქნება სწორი პირველი დებულებაც; დებულება „ვაზროვნებ. მაშასადამე, ვარსებობ“ კი უეჭვო დებულებაა, რადგან აზრის უარყოფა თვითონ არის აზრი, აზრის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია; აზრის უარყოფა აუცილებლობით ადგენს აზრს.

თუ დედუქციის ნაკლი იმაშია, რომ ის ვერ იშორებს უსასრულო რეგრესის საშიშროებას, და თუ დედუქციური დასკვნის ზოგადი წანამძღვარი სხვა საფუძველს მოითხოვს და ა. შ., მაშინ ზოგადის განმსაზღვრელ საფუძვლად უნდა აღებულ იქნას არა-ზოგადი, კერძო. ინდუქტივისტები სიძნელის გადაწყვეტას სწორედ ასე ფიქრობდნენ. მაგრამ თუ ზოგადის საფუძვლად აღებულ უნდა იქნას კერძო, თუ ზოგადი კერძოს საშუალებით უნდა დასაბუთდეს, მაშინ გამოდის, რომ დედუქციისათვის აუცილებელია ინდუქცია. დედუქცია უნდა დაემყაროს ინდუქციას. ფ. ბეკონი და ჯ. ს. მილი სწორედ იმას ამტკიცებდნენ, რომ აუცილებელია ინდუქცია, რომლითაც ზოგად დებულებებს ვწვდებით. მაგრამ აუცილებელია ინდუქციით მიწვდომილი — მიღებული ზოგადი დებულებების კერძოებისადმი გამოყენებაც, ე. ი. დედუქცია აუცილებელი ელემენტია ინდუქციისათვის; დედუქცია ექვემდებარება ინდუქციას, მის თავისებურ საბეს წარმოადგენს.

ერთი სიტყვით, დედუქციის ნაკლი არ აუქმებს დედუქციას; ეს ნაკლი აჩვენებს მისთვის ინდუქციის აუცილებლობას. თუ დედუქციის დაუსაბუთებელი დასაყრდენი, რომელიც ზოგადს წარმოადგენს, დასაბუთდა, მაშინ ეს დასაბუთება იქნება ინდუქციური, რადგან ზოგადი უნდა განისაზღვროს, დასაბუთდეს კერძოს საფუძველზე. ამ აზრის განვითარებამ შეიძლება მიგვიყვანოს აზრამდე, რომ ინდუქცია არის უნივერსალური ლოგიკური მეთოდი, დედუქცია კი იქნება მისი ქვემდებარე მეთოდი, როგორც ამას ზოგიერთი ლოგიკოსი

აღიარებს. ზოგადი, კატეგორიულად. გულისხმობს კერძოს, ამიტომ დედუქცია აუცილებლობით უნდა გულისხმობდეს ინდუქციას და მას ემყარებოდეს. პლატონის წინააღმდეგ ბრძოლაში არისტოტელემ აღნიშნა ის, რომ ზოგადს არ აქვს დამოუკიდებლობა, ის კერძოს პრედიკატია, ამიტომ კერძოზე (ერთეულზე) არის დამოკიდებული; მაგრამ მან მაინც ვერ მოახერხა ინდუქციის ლოგიკურ მეთოდად წარმოდგენა, პირიქით, მან უარყო ინდუქცია, როგორც ლოგიკური მეთოდი, და აღიარა მხოლოდ დედუქციური მეთოდი.

მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ინდუქციის, როგორც დასაბუთების ლოგიკური მეთოდის, გამართლება ფორმალურმა ლოგიკამ ვერ მოახერხა. ასე რომ დედუქციის ლოგიკური მეთოდი, მიუხედავად მისი ნაკლოვანებისა, მაინც ინარჩუნებს გაბატონებულ მდგომარეობას ლოგიკაში. ამიტომ მრავალი ლოგიკოსი სწორედ იმას ამტკიცებს, რომ დედუქცია კი არ ექვემდებარება ინდუქციას, არამედ პირიქით — ინდუქცია ექვემდებარება დედუქციას.

ინდუქცია შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დედუქციის სახე, რადგან: 1) მართალია, ინდუქციური დასკვნა, ეს არის ზოგადის კერძოდან გამოყვანა, ფაქტებიდან კანონების მიღება, მაგრამ ინდუქცია თვითონ არის შეუძლებელი, თუ ის არ ემყარება ზოგადს. ცნობილია, რომ ინდუქციის საყრდენ საფუძვლად მიღებული იყო ბუნების ერთგვაროვნობის პრინციპი, როგორც უზოგადესი დებულება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ინდუქცია ემყარება დედუქციას. რამდენადაც კერძოდან ზოგადის მიღება საფუძვლად წინასწარ გულისხმობს ზოგადს — ბუნების ერთგვაროვნობის დებულებას, ე. ი. ის გამოდის ზოგადიდან, იმდენად დედუქციის სახეს როგორღაც წარმოადგენს. 2) ინდუქცია არის დედუქციის სახე იმდენად, რამდენადაც ის, არისტოტელეს აზრით, არის საშუალო ცნების დიდ ცნებასთან კავშირი მცირე ცნების საშუალებით, და რამდენადაც, ჰეგელის აზრით, ინდუქციური დასკვნის ფორმულა არის შემდეგი: გ-ე-ზ (განსაკუთრებული ერთეულის საშუალებით არის ზოგადი). ეს ფორმა არის დედუქციის — დედუქციური დასკვნის ერთერთი სახე. ამასთანავე, ეს სახე თვითონ მიიღება დედუქციურად მის წინ არსებული სახისაგან. და სხვ. 3) ფ. ენგელსი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ინდუქცია იწყება ზოგადით, რადგან მის ფორმულას წარმოადგენს შემდეგი: ზ-ე-გ (ზოგადი არის განსაკუთრებული ერთეულის საშუალებით).[1] თუ დედუქცია გამოდის — იწყებს ზოგადით, მაშინ

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა. გვ. 236.

ინდუქცია. რომელიც ზოგადიდან იწყებს, იქნება დედუქციის სახე. მაგრამ თუ დავაკვირდით „საწყისი" არის საშუალო. რომელიც ერთეულს წარმოადგენს ინდუქციაში, ამდენად და ამ აზრით ინდუქცია იწყებს ერთეულით. 4) მათემატიკურ ლოგიკაში ადგილი აქვს არა მხოლოდ დედუქციურ აქსიომატურ სისტემებს, არამედ ინდუქციურ აქსიომატური სისტემის აგების ცდებსაც. ინდუქციისათვის აქსიომების გამოყენება. ეს უკვე არის ინდუქციის დამორჩილება დედუქციაზე, ინდუქციის წარმოდგენა დედუქციის სახედ. აქსიომატური სისტემა ყოველთვის დედუქციურია. 5) როგორც ვიცით, ერთეულის კატეგორია განისაზღვრება ზოგადით; ამასთანავე. თვითონ ერთეულის კატეგორია არის ზოგადი (არაზოგადი კატეგორია არ არსებობს). ამდენად. ინდუქციურობა ემორჩილება დედუქციურობას. მაგრამ ასეთი დამორჩილება არის დიალექტიკური და არა ჩვეულებრივი ინდუქციური თუ დედუქციური.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ ინდუქციისათვის აუცილებელია დედუქცია. ინდუქციის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ის კერძოდან ზოგადზე გადადის, იმის რომ საფუძვლად იყენებს ზოგადს: 1) ბუნების ერთგვაროვნების კანონს, 2) კერძოს საფუძვლად ზოგადს თვლის. ეს არის, ერთი შეხედვით, გამოუვალი წრე. როგორც ლოგიკური შეცდომა, რომლის დაძლევა ჩვეულებრივ — ფორმალურ ლოგიკურ ინდუქციას არ შეუძლია. ინდუქციას ვერ აკვიპუნის თვითონ ინდუქცია; „ვერავითარი ინდუქცია ქვეყნად ვერასოდეს ვერ დაგვეხმარებოდა იმაში, რომ ინდუქციის პროცესი გაგვერკვია".[1] ინდუქციისათვის აუცილებელია სხვა ლოგიკური მეთოდი. ინდუქცია ნაკლოვანი ლოგიკური მეთოდია.

დედუქციის და ინდუქციის მეთოდების დამოუკიდებელ მეთოდებად წარმოდგენა, მათი ერთიმეორისაგან გათიშვა დასაბუთების პრობლემას ღიად ტოვებს, რადგან მათი ცალ-ცალკე გამართლება არ შეიძლება; თვითეული მათგანი შეიცავს ერთგვარ დაუსაბუთებლობას (დედუქცია ემყარება დაუსაბუთებელს, ინდუქციაც ემყარება პოსტულატს და არც კერძოდან ზოგადზე გადასვლაა დასაბუთების საბით წარმოდგენილი). რაც მათ ცალმხრიობას ამჟღავნებს და რაც აუცილებლად უნდა იქნას მოხსნილი; ცალმხრივი არ უნდა იქნას წარმოდგენილი არაცალმხრივად, შედარებითი — აბსოლუტურად. დედუქცია და ინდუქცია ერთიმეორისათვის აუცილებელია, ისინი თავიანთ საწყისებს ერთიმეორეში ეძებენ, რადგან ზოგადისათვის

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 237.

აუცილებელია კერძო, კერძოსათვის კი — ზოგადი. ერთიმეორისათვის აუცილებელია კერძო და ზოგადი, ამიტომ ინდუქციაც აუცილებელია დედუქციისათვის და პირიქით—დედუქცია ინდუქციისათვის

ზოგიერთის მიერ ინდუქცია მიჩნეულია არა დედუქციის სახედ, არამედ რედუქციის სახედ (მაგალითად, ზიგვარტი), რედუქციაზე დაქვემდებარებულად, რადგან ზოგადი გაგებულია როგორც კერძოს საფუძველი, ინდუქცია კი არის კერძოდან მის საფუძველზე გადასვლა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რედუქცია შედეგიდან საფუძველზე გადასვლაა, ინდუქცია კი — საფუძვლიდან შედეგზე გადასვლა. ინდუქციას ახასიათებს რედუქციულობა, რედუქციულობას კი — ინდუქციურობა, მაგრამ ისინი ერთიმეორეზე არ დაიყვანებიან. არა მარტო ინდუქცია, არამედ დედუქციაც ესმით როგორც რედუქციის აზრს დაქვემდებარებული, რამდენადაც: 1) დედუქციაში შედეგის საფუძვლიდან გამოყვანა, ეს, საბოლოოდ, არის შედეგის საფუძველში გამართლება. ეს აზრი აქსიომატურ მეთოდში კიდევ უფრო ნათლად ჩანს, როცა დასაბუთება ესმით აქსიომებზე დაყვანად. შედეგების წინასწარ აღებულ დებულებებში გამართლებად.

დედუქციას უპირისპირებენ ინდუქციით და პირიქით; ამავე დროს დედუქციას ამართლებენ ინდუქციით და პირიქით. დედუქციაში წრიულობას ხედავენ, ასევე ინდუქციაშიც წრიულობა მოქმედებს. ინდუქციის და დედუქციის ერთიმეორეთი გამართლებაც წრიულობაა. გამოსავალს ეძებენ რედუქციაში, რადგან დედუქციის და ინდუქციის აზრს შედეგის საფუძველში გამართლებაში ხედავენ. მაგრამ რედუქციაც შეიცავს მრავალ სიძნელეს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს აუცილებლობა კიდევ სხვა მეთოდისა, რომელიც უნდა იყოს უხიერსალური მეთოდი.

რედუქციას ახასიათებს წრიულობა, ეს უკანასკნელი მასში უფრო აშკარად არის წარმოდგენილი, ვიდრე ინდუქციასა და დედუქციაში. რედუქციის წრიულობა იმაში მდგომარეობს, რომ რედუქცია, როგორც შედეგიდან საფუძველზე მისვლა, წინასწარ გულისხმობს საფუძვლიდან შედეგის გამოყვანას, რადგან შედეგი, საიდანაც რედუქცია იწყება, გაგებულია როგორც მართლაც შედეგი, ე. ი. საფუძვლის მქონე შედეგი. ეს წრიულობა, აღებული ცალკე — თავისთავად, ლოგიკურ წრეს, როგორც შეცდომას წარმოადგენს. ამიტომ თუ რედუქცია ამართლებს ინდუქცია-დედუქციას, თვითონაც მოით-

ბოვს გამართლებას. კიდევ მეტი: რედუქცია, მისი წრიულობის გამო, უფრო ნაკლოვანი ჩანს, ვიდრე ინდუქცია-დედუქცია.

რედუქციაში ისიც გაურკვეველია, თუ რით განსხვავდება შედეგი საფუძვლისაგან, რადგან შედეგის საფუძველზე მიყვანისას შედეგი თავისებურ საფუძვლად არის მოხმარებული და საფუძველს თავისებური შედეგის აზრი აქვს.

ინდუქცია იწყებს კერძოდან, დედუქცია ზოგადიდან; ამ დასაწყისებს ადგილი აქვს რედუქციაში, რადგან მასში მოქმედებს საფუძველიც, რომელიც ზოგადია და შედეგიც, რომელიც კერძოა, მაგრამ რედუქცია მოითხოვს კიდევ ახალ დასაწყისს, რამდენადაც მასთან შედეგიც გარკვეული დასაწყისია ზოგადზე გადასასვლელად. ეს გაურკვეველობა მოითხოვს მოხსნას, რომელიც ვერ განხორციელდება ვერც რედუქციაში და ვერც ინდუქცია-დედუქციაში; ამისათვის საჭიროა რაღაც უნივერსალური მეთოდი, რომელიც აქ ჩამოთვლილ მეთოდებზე მაღლა დგას, როგორც მათი მომცველი და ამხსნელი.

რედუქცია წინააწარ გულისხმობს ზოგადსა და კერძოს შორის როგორც ინდუქციურ, ისე დედუქციურ დამოკიდებულებებს, ამიტომ ინდუქცია-დედუქცია რედუქციაზე არ დაიყვანება. რედუქცია, დასაბუთების მეთოდის თვალსაზრისით, ამჟღავნებს ფორმალური ლოგიკის ნაკლოვანებებს. დასაბუთების ფორმალურ-ლოგიკური მეთოდი, რომელიც ინდუქცია-დედუქციის აზრის ფარგლებში ტრიალებს, მიდის თავის საზღვრამდე რედუქციაში, რომელიც შედეგს ამართლებს საფუძველში, მაგრამ რადგან შედეგიდან გამოდის, ამიტომ საფუძვლის შედეგში გამართლებასაც მოითხოვს.

ეს უკანასკნელი გარემოება კი ხელს უშლის რედუქციას მოგვცეს რედუქციული გადასვლა დასკვნის გარკვეული ფორმით. რედუქციულ ლოგიკაში (მაგ., აკოს ფონ პაულერის ლოგიკაში) არ არის რედუქციული დასკვნის ფორმა დადგენილ-გარკვეული. ლოგიკური მეთოდი, თუ ის არის მართლაც ლოგიკური მეთოდი, უნდა იყოს განხორციელებული დასკვნაში, დასკვნებში. მაგრამ ის გარემოება, რომ ფორმალურმა ლოგიკამ ვერ განახორციელა რედუქციული დასკვნები, არ ნიშნავს იმას, რომ მათი განხორციელება საერთოდ შეუძლებელია. არ არის გამორიცხული სხვა მეთოდის არსებობა, სადაც განხორციელდება რედუქციული გადასვლებიც.

დედუქცია და ინდუქცია ზოგადის და კერძოს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებებია: დედუქცია ზოგადიდან კერძოზე გადადის და ინდუქცია კი პირიქით. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს საფუძვლი-

დან შედეგზე გადასვლას. რედუქცია კი კერძოდან, როგორც შედეგიდან, გადადის ზოგადზე როგორც საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ რედუქცია, ისე როგორც ინდუქცია-დედუქცია, კერძოს და ზოგადის ერთიანობის ერთმხრივობებს, მომენტებს წარმოადგენენ. ამიტომ თუ სრული დასაბუთება ზოგადის და კერძოს ერთიანობაში მდგომარეობს, მაშინ ინდუქცია, დედუქცია და რედუქცია სრული დასაბუთების მეთოდის მომენტებს წარმოადგენენ.

ინდუქცია-დედუქცია-რედუქციის მეთოდების დაბრკოლებათა, რომელიც ზემოთ იქნა წარმოებული, გვარწმუნებს იმაში, რომ შეცდომაა მათი როგორც ერთიმეორეზე დაყვანა, ისე ერთიმეორისაგან გამოცალკევება და თვითეულისათვის აბსოლუტური მეთოდის შნიშვნელობის მინიჭება. იმიც ნათელია, რომ ლოგიკურის უნივერსალური მეთოდი უნდა იყოს რაღაც სხვა მეთოდი. ინდუქციის, დედუქციის და რედუქციის მეთოდთა ნაკლოვანებანი ამტკიცებენ: 1) მათ არა უნივერსალურობას და 2) უნივერსალური მეთოდის აუცილებლობას.

ინდუქციის, დედუქციის და რედუქციის, როგორც არაუნივერსალური მეთოდების, ერთიმეორისაგან მოწყვეტა არის მთავარი შეცდომა დასაბუთების თეორიის თვალსაზრისით. მათი ერთიმეორისაგან მოწყვეტა არის შედეგი ზოგადის და კერძოს ერთიმეორისაგან მოწყვეტისა, მათი აბსოლუტური დაპირისპირებისა, ზოგადის და კერძოს აბსოლუტური მნიშვნელობით აღებისა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ზოგადის და კერძოს არადიალექტიკური გაგებაა იმის მიზეზი, რომ დასაბუთების პრობლემა ღიად რჩება, ღიად არის დატოვებული. ფორმალურ ლოგიკას არ ესმის ზოგადის და კერძოს დამოკიდებულების დიალექტიკა, ამიტომ იგი ვერ ახერხებს დასაბუთების პრობლემის გადაწყვეტას.

ზოგადი და კერძო ერთიმეორისათვის აუცილებელნი არიან. როგორც ვიცით, ზოგადის და კერძოს, ერთიმეორისაგან მოწყვეტა თვითონ ადგენს მათი ერთიმეორისათვის აუცილებლობას. ზოგადი და კერძო ერთიმეორის გარეშე საკუთარ აზრს ჰკარგავენ. ზოგადი და კერძო ერთიმეორეს განსაზღვრავენ, ისინი ერთიმეორის განმსაზღვრელ საფუძველს წარმოადგენენ, ე. ი. ერთიმეორისათვის აუცილებელი არიან. ამიტომ ინდუქციის, დედუქციის და რედუქციის მეთოდებიც არიან ერთიმეორისათვის აუცილებელი. სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან დედუქციის საფუძველია ზოგადისათვის კერძოს აუცილებლობა, ინდუქციისათვის კი პირიქით — კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა, რედუქციაში თითქოს ჩანს ზოგადის და

კერძოს ერთიმეორისათვის აუცილებლობა, მაგრამ ეს აუცილებლობა მასში წარმოდგენილია ცალმხრივად — შედეგის საფუძველზე დაყვანის სახით.

ინდუქციის, დედუქციის და რედუქციის ზემოთაღნიშნულ სიძნელეთა დაძლევა და ამ მეთოდების ერთიმეორისათვის აუცილებლობის დასაბუთება ხდება იმით, რომ ზოგადი და კერძო, თავიანთი ბუნებით, არიან ფარდობითი. ზოგადი და კერძო ფარდობითი ცნებებია. ფარდობითი ცნებები არ ემორჩილებიან არც დედუქციას, არც ინდუქციას და არც რედუქციას, თუ ამ მეთოდებს ისე წარმოვიდგენთ, როგორც ეს ესმის ფორმალურ ლოგიკას. ფარდობითი ცნებები არ ემორჩილებიან ამ მეთოდებს და პირიქით — ეს მეთოდები ფარდობით ცნებებს არ ითვალისწინებენ. ფარდობითი ცნებები ემორჩილებიან დიალექტიკას, განვითარების თეორიას და პირიქით — ლოგიკაში განვითარების თეორიის დაფუძნება ემყარება სწორედ ფარდობით კატეგორიებს. ფ. ენგელსი წერდა: „ის ცნებები, რომლებითაც ინდუქცია სარგებლობს: სახეობა, გვარეობა, კლასი. განვითარების თეორიის წყალობით დენადი და, მაშასადამე შეფარდებითი გახდნენ; ხოლო შეფარდებითი ცნებები ინდუქციას არ ემორჩილებიან".[1] ფ. ენგელსის ეს აზრი ეხება, ცხადია, არა მარტო ინდუქციას, არამედ ფორმალური ლოგიკის სხვა მეთოდებსაც.

მაშასადამე, დასაბუთების პრობლემა წყდება და უნდა გადაწყდეს დიალექტიკურ ლოგიკაში.

დასაბუთების ფორმალურ-ლოგიკური მეთოდების სიძნელეთა დაძლევა და ამ მეთოდების, როგორც კერძო მეთოდების, გამართლება შესაძლებელია დიალექტიკურ მეთოდში, როგორც დასაბუთების მეთოდში, იმიტომაც, რომ: 1) დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია, როგორც ზოგადის და კერძოს ურთიერთგადასვლები, წარმოადგენენ საპირისპიროში გადასვლებს, ე. ი. შეიცავენ უარყოფით დიალექტიკას, რომელიც აიხსნება დადებითი დიალექტიკით, სახელდობრ, დაპირისპირებულთა ერთიანობით. 2) როგორც ეს ზემოთ აღინიშნა. ცნების განსაზღვრება-გაყოფის გზების დახასიათება სწყვეტს ინდუქცია-დედუქციის სიძნელეს, რადგან განსაზღვრება გვაძლევს მომენტებს — ერთმხრიობებს, რომლებისთვისაც აუცილებელია ერთიანობა, გაყოფა კი აჩვენებს ერთიანობისათვის მისი მომენტების აუცილებლობას. 3) „ინდუქცია და დედუქცია ერთმანეთთან ისევე აუცილებლად არიან დაკავშირებული, როგორც სინთეზი და ანალიზი";[2] ამ

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 237.

[2] იქვე.

უკანასკნელთა კავშირი კი დიალექტიკურია და დიალექტიკაში უნდა გაირკვეს. 4) ინდუქციის, დედუქციის, რედუქციის და მათი დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელი წრიულობები შეიძლება ახსნილ იქნას მხოლოდ დიალექტიკურ ლოგიკაში, რადგან ზოგადის და კერძოს, როგორც საფუძველ-შედეგის, დამოკიდებულების წრიულობა ემყარება ურთიერთმოქმედების კატეგორიას. თვითონ ურთიერთმოქმედებისათვის დამახასიათებელ წრიულობას გვიხსნის თვითსაფუძველი (ლოგიკური causa sui, ratio sui), რომელიც, როგორც ვიცით, ხორციელდება შინაგანი უარყოფით თვითდადგენაში — უსასრულო დასკვნაში; და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია უნდა წარმოადგენდენ დიალექტიკური მეთოდის მომენტებს, მაგრამ დიალექტიკურ მეთოდს, როგორც სწორედ დასაბუთების მეთოდს, ამ სამი მომენტის გარდა, უნდა ჰქონდეს სხვა მომენტებიც. ამ გარემოებას ნათელყოფს ის გარემოება, რომ კერძოს და ზოგადის ერთიანობა, როგორც ვიცით, არის რვამხრივი, რომლის თვითეული მხარე არის გარკვეული კერძო მეთოდი, რაც თავისებურ დასკვნებში უნდა ხორციელდებოდეს. ასე რომ დიალექტიკურ მეთოდში რვა მომენტი, რვა მეთოდი უნდა იგულისხმებოდეს. თვითონ დიალექტიკური მეთოდი, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობის ანუ თვითდადგენის მეთოდი არის „მეცხრე" მეთოდი, მაგრამ უნივერსალური მეთოდი და არა მეცხრე კერძო მეთოდი.

ლოგიკა მოითხოვს იმას, რომ ლოგიკური მეთოდების, როგორც სწორედ ლოგიკური მეთოდების, ბუნება უნდა გაირკვეს აზრის ლოგიკური ფორმების და მათი კავშირების ასპექტში. მართლაც, თუ მოვიგონებთ აზრის ფორმებს და მათ კავშირებს, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, ნათელი გახდება, რომ ინდუქციის აზრი ემთხვევა მსჯელობის აზრს, რადგან მსჯელობის, როგორც კერძოს და ზოგადის კავშირის („კერძო არის ზოგადი"), ბუნების გარკვევა გაარკვევს კერძოდან ზოგადზე გადასვლის — ინდუქციის ბუნებას. ინდუქციის პრობლემა დაყვანილ უნდა იქნას მსჯელობის პრობლემაზე. თავისებურ ინდუქციას წარმოადგენს მსჯელობის, როგორც ლოგიკური ერთმხრიობის, დასკვნაში გადასვლა, რომელიც ზემოთ იყო განხილული. მსჯელობის და დასკვნის ერთიანობა, ეს არის თავისებური ინდუქციის, დედუქციის და რედუქციის ერთიანობა, და სხვ.

უნდა არსებობდნენ თავისებური, სახელდობრ, კატეგორიალური (შინაარსეული) ინდუქცია, დედუქცია და რედუქცია; ამას მოწმობს ზემოთგარჩეული დასკვნები, რომლებიც ხორციელდებიან კატეგორიების კავშირებში—კერძოს ზოგადში და პირიქით და სხვ. გადა-

სვლებში, რომლებიც ზემოთ იყო განხილული, მაგრამ ეს თავისებური მეთოდები განსაბილველი დაგვრჩა იმდენად, რამდენადაც ისინი უსასრულო დასკვნის მომენტებს წარმოადგენენ. ამ გარემოების მოკლედ გათვალისწინება აუცილებელი პირობაა დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, გარკვევისათვის. მაგრამ რადგან ინდუქციის, როგორც დასაბუთების მეთოდის, შესაძლებლობის გარკვევა მთავარ სიძნელეს წარმოადგენს დღემდე არსებულ მოძღვრებებში დასაბუთების შესახებ, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ჯერ აშ უკანასკნელი საკითხის გარკვევა, შემდეგ კი თავისებური ინდუქციის. დედუქციის და რედუქციის მეთოდების მოკლე დახასიათება, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს გადავიდეთ დასაბუთების საკუთრივ დიალექტიკურ-ლოგიკური უნივერსალური მეთოდის გარჩევაზე.

2. ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტის გზა

§ 206. ინდუქციის სიძნელის შესახებ

ინდუქციის მიზანი არის კერძოდან ზოგადის მიღება. ინდუქციის სიძნელე კერძოდან ზოგადის მიღების სიძნელეა. ცნობილია, რომ ინდუქციური დასკვნა ალბათურია; კერძოს საფუძველზე ზოგადი აუცილებლობით არ მიიღება; კერძოების საფუძველზე კანონების მიღება ალბათური ხასიათისაა. ამიტომ ინდუქციის პრობლემის სიძნელის გადაწყვეტა ნიშნავს ინდუქციური დასკვნის ალბათობის დაძლევას და ამ დასკვნაში ლოგიკური აუცილებლობის აღმოჩენა-დადგენას. ინდუქციის პრობლემა იგივეა, რაც ლოგიკური ალბათობის პრობლემა. ამიტომ ჩვენთვის (ამ შემთხვევაში) მთავარია სწორედ ლოგიკური „ალბათობის“. ცნება.

ინდუქციის ალბათობას ის აზრი აქვს, რომ ცდის საფუძველზე შესაძლებელი გახდეს ზოგადობის თუ კანონის აუცილებელი მიღება. ეს გარემოება დამახასიათებელია საერთოდ ინდუქციისათვის, რასაც მოწმობს ინდუქციის თანამედროვე თეორიებიც, სადაც ეს სიძნელე მთელი სიმწვავით იგრძნობა.

რაიტის (Wright) აზრით, მეცნიერების ზოგად დებულებათა დასაბუთება დედუქციის გზით წარმოებს, მათი აღმოჩენა კი ინდუქციის გზით; ამ ორ რაიმეს შორის არსებობს ფუნდამენტალური განსხვავება, რომელიც არის „ფატალური ინდუქციის ფილოსოფიისათვის“.[1]

---

[1] Wright, The Logical Problem of Induction, Oxford, 1957 გვ. 55.

ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტას ცდილობენ ალბათობის თეორიის საფუძველზე. ალბათობის თეორია ხშირად ესმით როგორც სემანტიკის ნაწილი (კეინსი, ჯეფრისი, კარნაპი). ალბათობას განიხილავენ როგორც გარკვეულ ლოგიკურ მიმართებას წინადადებათა შორის. მიუხედავად ამისა, ინდუქცია მაინც გაგებულია, როგორც ემპირიული დაკვირვებებიდან დასკვნების გაკეთება. მაგალითად, კარნაპისათვის ალბათობა არის ემპირიულ დაკვირვებათა მონაცემებით (წანამძღვრები) ჰიპოთეზის დამოწმება-დადასტურების ხარისხი[1]. ჯეფრისის აზრით, ალბათობის თეორიის მიზანია „მოგვცეს მეთოდი დასკვნების გამოყვანისა დაკვირვებათა მონაცემებიდან";[2] ალბათობა არის „დამოკიდებულება მონაცემების სიმრავლესა და დასკვნას შორის".[3] ემპირიული მონაცემები უზრუნველყოფენ დასკვნების მხოლოდ მხარდაჭერას, ე. ი. არ იძლევიან მათ საკმაო საფუძველს.

ჰ. რაიხენბახის ალბათობის თეორიის საფუძველში ძევს ალბათური იმპლიკაციის ცნება, რომელიც განსხვავდება კლასიკური მათემატიკური იმპლიკაციისაგან იმით, რომ თუ ამ უკანასკნელში ანტეცედენსის ჭეშმარიტების დროს კონსექვენცი ყოველთვის ჭეშმარიტია, ალბათურ იმპლიკაციაში ანტეცედენსის ჭეშმარიტების დროს შეიძლება ვთქვათ მხოლოდ ის, რომ კონსექვენცი ალბათურია, ვთქვათ, P ხარისხში.

როგორც ცნობილია, მცდარიდან გამოიყვანება მცდარიც და ჭეშმარიტიც, ჭეშმარიტიდან კი მხოლოდ ჭეშმარიტი გამოიყვანება და არავითარ შემთხვევაში არ გამოიყვანება მცდარი. ამიტომ ჭეშმარიტება უზრუნველყოფს აუცილებლობას, რაც სრულიად ირღვევა, თუ ჭეშმარიტიდან ჭეშმარიტის გამოყვანა გავხადეთ საალბათო, რასაც ადგილი აქვს ალბათური იმპლიკაციის აღიარებისას. რაიხენბახის ალბათობის თეორია ანგრევს ლოგიკას.

ლოგიკაში არსებული ალბათობის პრობლემა არ დაიყვანება მათემატიკურ ალბათობაზე; მათემატიკური ალბათობა თვითონ ეფუძნება ლოგიკურ მეთოდებს და არა პირიქით. ინგლისელი ფილოსოფოსის აიერის აზრით, ალბათობის აპრიორული აღრიცხვა წმინდა მათემატიკური საქმეა, რომელიც გვიჩვენებს იმას, თუ ლოგიკაში დასკვნები როგორ გამომდინარეობენ შემთხვევითობით მოცემული განაწილებიდან, მაგრამ თავისთავად არაფერს გვეუბნებიან იმის შესა-

---

[1] R. Carnap, Logical Fundations of Probability, Chicago, 1950, გვ. V.

[2] Jeffreys, Theory of Probability, Oxford, 1939, გვ. Y.

[3] იქვე, გვ. 22.

სებ, თუ რა გზით სრულდებიან ისინი. ალბათობა წინასწარ გულისხმობს ინდუქციას. ამიტომ ალბათობა არაა ინდუქციის საფუძველი.

რაიხენბახის აზრით, ერთადერთი ლოგიკა არის ალბათობის ლოგიკა, რადგან ლოგიკურ აუცილებლობას აქვს ხარისხები, რომლებიც ალბათობის ხარისხებს წარმოადგენენ. რასელი კი აღნიშნავს, რომ ალბათობის ლოგიკა ნაკლებად სრული და უდავოა, ვიდრე ელემენტარული ლოგიკა. ალბათობის მსჯელობა, ე. ი. ჭეშმარიტება-მცდარობის დაყვანა ალბათობის ხარისხზე ექცევა ჭეშმარიტება-მცდარობის აბსოლუტური დიხოტომიის ქვეშ.[1]

რასელის აზრით. ინდუქცია საჭიროებს ლოგიკის გარეშე პრინციპს, რომელიც ცდას არ ემყარება. ინდუქციას სჭირდება პრინციპი, რომელიც ინდუქციას არ ექვემდებარება. ინდუქციისათვის აუცილებელია დედუქცია. ინდუქციისათვის საჭიროა ის, რაც აუცილებელია. „თუ ჩვენ არ ვცდილობთ რ ა ი მ ე ვამტკიცოთ, მაშინ არავითარი დასაბუთება არ არის შესაძლებელი".[2]

რასელის აზრით, ლოგიკის და მათემატიკის სფერო არის ტავტოლოგიების სფერო. ახალს იძლევა ინდუქცია; სინთეზურობა ინდუქციაშია, მაგრამ ძალიან ძნელია უპასუხო კითხვას, თუ რა არის სინთეზური. სინთეზური არის ის, რაც არ არის ლოგიკური და მათემატიკური.[3] ინდუქცია უნდა დაემყაროს გარკვეულ პოსტულატებს, მაგრამ ეს პოსტულატები, რასელის აზრით, საალბათოც კი არ არიან.

თუ ეს ასეა, მაშინ ასეთი პოსტულატებისათვის საჭირო გახდება ახალი პოსტულატები და ა. შ. თუ სინთეზის ბუნება გაუგებარია. მაშინ ინდუქციის ბუნებაც გაუგებარი იქნება, რადგან, რასელის აზრით. სინთეზურობა ინდუქციაშია და არა ლოგიკაში. ამით ინდუქცია ლოგიკის გარეთ არის გამოტანილი, მაშინ როცა ინდუქცია, რასელისავე აზრით, მეცნიერული მეთოდოლოგიისათვის აუცილებელია.

რასელი გრძნობს, რომ ცდის საფუძველზე არ გადაწყდება ინდუქციის პრობლემა, ინდუქციისათვის აუცილებელია ცდის საზღვრებს გარეთ გასვლა. ინდუქციამ უნდა მოგვცეს ზოგადი, მაგრამ თავიდანვე უნდა დაემყაროს ზოგადს. ამ ლოგიკური წრიდან გამოსავალს რასელი ვერ მიუთითებს; და რადაგანაც. ამავე დროს ინდუქციის პოსტულატები თვითონ საალბათოზე უარესი არიან, ამიტომ თანამედროვე პოზიტივიზმი პრობლემას არა თუ ვერ წყვეტს, არა-

---

[1] ალბათობისა და ინდუქციის პრობლემის, კერძოდ მათემატიკური ინდუქციის პრობლემის რასელისეული განხილვა გადმოცემული გვაქვს ნაშრომში „დასაბუთების საწყისი", რომლის განმეორება აქ ზედმეტად მიგვაჩნია.

[2] Б. Рассел. Человеческое познание, გვ. 431.

[3] იქვე. გვ. 530.

შედ მას კიდევ უფრო აბნევს და აბნელებს. ერთი სიტყვით, ინდუქციის პრობლემა გადაწყვეტას მოელის. მისი გადაწყვეტა აუცილებელია როგორც ლოგიკის, ისე შემეცნების თეორიისათვის. ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა დააფუძნებს დასაბუთების და კვლევა-ძიების მეთოდების იგივეობას.

§ 207. არასაკმარო საფუძველი და ინდუქციის ალბათობა.

ინდუქციის ალბათობა დაკავშირებულია 1) ობიექტურ ალბათობასთან, რადგან სტატისტიკურ კანონზომიერებაში არსებითია შემთხვევათა კავშირი ზოგად კანონთან, და 2) ცოდნის ალბათობასთან. თვითონ ინდუქციის ალბათობა არის დასკვნის, სახელდობრ, ინდუქციური დასკვნის ალბათობა, ობიექტური ალბათობის ცნება, უპირველეს ყოვლისა, მოიხმარება სტატისტიკური მეთოდის გამოყენებისას. თუ ყველაფერი, მათ შორის ცოდნაც, ალბათურია, მაშინ მეცნიერება შეუძლებელია. ალბათობა დასკვნასაც შეუძლებელს ხდის, რადგან დასკვნას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, თუ ხორციელდება არა ალბათობა, არამედ სწორედ აუცილებლობა, სახელდობრ, ლოგიკური აუცილებლობა. დასკვნის ალბათობის სიძნელე შეიძლება გადაწყდეს, თუ სინამდვილეში მხოლოდ აუცილებლობაა და არა — მხოლოდ ალბათობა. ობიექტური ალბათობის არსებობა ცოდნის ალბათობის და დასკვნის ალბათობის პრობლემას კიდევ უფრო ართულებს, რადგან ცოდნის და ლოგიკურის ალბათობის დასაყრდენი რეალური ალბათობა თვითონ საჭიროებს ამხსნელ საყრდენს. ობიექტური ალბათობა, მართალია, ობიექტურია, მაგრამ ეს ობიექტურობა, ცხადია, არ ხსნის ალბათობას, რომელიც აუცილებლობასთან მიახლოებას ნიშნავს და არა თვითონ აუცილებლობას, ამიტომ კატეგორიალურად, არსებითად ერთი და იგივეა ობიექტური ალბათობა, როგორც ობიექტურ. აუცილებლობასთან მიახლოება და ლოგიკური თუ ცოდნის ალბათობა, როგორც ლოგიკურ აუცილებლობასთან მიახლოება. ეს იგივეობა სწორედ აუცილებლობასთან მიახლოებაა, თუმცა აქ სხვადასხვა აუცილებლობასთან გვაქვს საქმე (აუცილებლობის კატეგორია კი არ შეიძლება იყოს ერთზე მეტი).

ინდუქციის პრობლემა იგივეა, რაც ინდუქციური დასკვნის ალბათობის და ლოგიკურის აუცილებლობის დამოკიდებულების პრობლემა. ინდუქციის პრობლემა არის კერძოდან ზოგადის მიღების შე-

საძლებლობის პრობლემა. სწორედ ამ შესაძლებლობას უკავშირდება ალბათობის ცნება. ამრიგად, ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა იგივეა, რაც შესაძლებლობასთან ალბათობის კავშირის პრობლემის გადაწყვეტა. შესაძლებლობის ბუნებამ უნდა აგვიხსნას ალბათობის ბუნება.

ამბობენ, რომ საერთოდ შესაძლებლობას აქვს თვისობრივი და რაოდენობრივი მხარეები. ალბათობა შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც შესაძლებლობის რაოდენობრივი მხარის გამოხატულება, სახელდობრ ის, თუ რას წარმოადგენს რეალური დაფუძნებადობის სიდიდე, რამდენად არის ახლოს შესაძლებლობა სინამდვილესთან. ამიტომ ამბობენ, რომ ალბათობა არის შესაძლებლობის ზომა თუ საზღვარი. ალბათობა არის შესაძლებლობის ხარისხი, სინამდვილესთან სიახლოვის ხარისხი. ალბათობა მას გვიჩვენებს, თუ რა ზომით არის დამოკიდებული რაიმე მის პირობებზე. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ალბათობა აუცილებლობას კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს. აუცილებლობასთან მიახლოების ხარისხი სწორედ აუცილებლობით განისაზღვრება. ალბათობის მასშტაბს აუცილებლობა წარმოადგენს. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ალბათობა არის აუცილებლობის მომენტი. თუ არსებობს რაიმე საკმაო საფუძველი. მაშინ არსებობს აუცილებელი კავშირი რაიმესა და მის საფუძველს შორის. რაიმეს დაფუძნება ხდება აუცილებლობით, მაგრამ საქმე თუ ასეთ აუცილებლობამდე არ არის მისული, მაშინ ალბათობა იქნება აუცილებლობაზე დაბალი ხარისხი, როგორც რაიმეს დაფუძნებადობის ხარისხი, რომელიც არ არის ასული აუცილებლობამდე. ასეთ შემთხვევაში რაიმეს საფუძველი იქნება არასაკმაო საფუძველი. საკმაო საფუძველი ცხადია შეიცავს არასაკმაო საფუძველსაც. რაოდენობრივი თუ მათემატიკური ალბათობა სწორედ ამგვარად არის დაკავშირებული შესაძლებლობასთან.

ისიც შეიძლება ითქვას, რომ თუ სინამდვილეში არსებული კანონი არის მოვლენებში არსებული გაბატონებული ტენდენცია, მაშინ ალბათობა იქნება არა ეს ტენდენცია, არამედ მისი მხოლოდ მომენტი, რომელიც შეუძლებელია, თუ ის ცალკე იქნა აღებული; როგორც მომენტი კი განსაზღვრული იქნება იმ ტენდენციით, რომელსაც კანონი წარმოადგენს. ალბათობას განსაზღვრავს კანონი.

მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს არა ალბათობა საერთოდ, არამედ აზრის ალბათობა, რომლის შესახებაც ლოგიკაში ლაპარაკობენ. ამბობენ, რომ აზრის დაფუძნებადობას აქვს ხარისხი. ალბათობას და აუცილებლობას აზრის დაფუძნებადობის დაბალ და მაღალ ხარისხებად თვლიან. ზოგიერთ ლოგიკოსს ალბათობა დაყავს გაყოფით

სილოგიზმზე (ზიგვარტი, ლანგე). აზრი არის ალბათური, თუ მისი საფუძველი გამოდგება საპირისპირო აზრის საფუძვლად. ალბათობასთან გვაქვს საქმე, თუ A შეიძლება იყოს B-ც და არა B-ც. შესაძლებლობა შეუძლებლობასაც შეიცავს. ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ შესაძლებლობა არის ისეთი არსებობა, რომელიც შეუძლებლობასაც შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როცა შეუძლებლობა გამორიცხულია, საქმე გვაქვს სინამდვილესთან, როგორც აუცილებელ გარკვეულობასთან

რკინა არის მყარი სხეული, ოქრო არის მყარი სხეული, ვერცხლი არის მყარი სხეული, მაშასადამე, ყველა ლითონი მყარი სხეულია? თუ ყველა ლითონი არ არის მყარი სხეული? ყველა ლითონი ან არის მყარი სხეული, ან არ არის მყარი სხეული. ლითონის რამდენიმე სახის თუ მაგალითის საფუძველზე ვერ ვიტყვით იმას, რომ ყველა ლითონი არის მყარი; ის შეიძლება იყოს მყარიც და არამყარიც (ვერცხლის წყალი ხომ არ არის მყარი). ალბათობა სწორედ ამ წინააღმდეგობის დაუძლეველობაშია. ინდუქციის სიძნელე სწორედ ამ ალბათობაშია.

თუ აზრის ალბათობა იმას ნიშნავს, რომ რომელიმე აზრის საფუძველი შეიძლება იყოს საწინააღმდეგო აზრის საფუძველიც, მაშინ ასეთი საფუძველი იქნება არასაკმაო საფუძველი. მაგრამ სწორია აზრი, რომ საფუძველი ყოველთვის საკმაოა, არასაკმაო საფუძველი არ არის საფუძველი. „საკმაო საფუძვლის დებულებაში“ სიტყვა „საკმაო“ ზედმეტია. არასაკმაო საფუძვლის საკმაო საფუძვლად, ე. ი. საფუძვლად მიჩნევა სხვა არაფერია, თუ არა სოფისტიკა. ყოველ არსებულ საგანს აქვს რეალური საფუძველი, „საკმაო საფუძველი“. რეალურ არასაკმაო საფუძველზე არაფერს შეუძლია არსებობა, რადგან არასაკმაო სფუძველი არ არის საფუძველი. ამიტომ ამბობდნენ ჰეგელი და მარქსი („კაპიტალი“), რომ „ყველაფერი, რაც ქვეყნად წახდა, საკმაო საფუძვლის გამო წახდა“[1]. ქვეყნად მართლაც „წახდება“ ყველაფერი, თუ არასაკმაო საფუძველს საკმაო საფუძვლად მიიჩნევენ.

აზრი გარკვეულია, თუ მას აქვს საფუძველი (ცხადია, საკმაო საფუძველი). უსაფუძვლო აზრი შეცდომას წარმოადგენს. აზრს, რომელსაც მონახული აქვს საფუძველი, არის დასაბუთებული აზრი. თუ აზრს არ აქვს საფუძველი, მაშინ ის არ არის დასაბუთებული. აზრს, რომელსაც მოვუნახეთ მხოლოდ არასაკმაო საფუძველი, არ არის დასაბუთებული. სწორედ ამიტომ ამბობდა არისტოტელე, რომ

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 332.

რამდენიმე კერძო შემთხვევა არ არის ზოგადის საკმაო საფუძველი, ამდენად ინდუქციაში არ ხორციელდება „სილოგისტური". ე. ი. ლოგიკური აუცილებლობა; ინდუქცია არ არის დასაბუთების მეთოდი-ო. თუ იმას ვიტყვით, რომ ინდუქციური დასკვნა ხორციელდება, მაგრამ ასეთ დასკვნაში დანასკვისათვის არ არის საკმაო საფუძველი და ამიტომ ეს დასკვნა ალბათურია, მაშინ ეს ალბათური დასკვნა არასაკმაო საფუძვლიდან დასკვნას წარმოადგენს. ინდუქციის ალბათურობა არასაკმაო საფუძვლის გამოყენებაში მდგომარეობს.

§ 208. ლოგიკური აუცილებლობის ხარისხების შესახებ

როგორც ეს ზოგიერთებს (რასელს და სხვებს) ჰგონიათ, ალბათობა არაა აუცილებლობის დაბალი ხარისხი. ალბათობა რომ აუცილებლობის დაბალი ხარისხი იყოს, მაშინ (როგორც ამბობენ და აღიარებენ) აუცილებლობა იქნება ალბათობის მაღალი ხარისხი. ე. ი. გვექნება მხოლოდ ალბათობა, იარსებებს მხოლოდ ალბათობა (რაიხენბახი) და არა აუცილებლობა; ეს იქნება ალბათობის აბსოლუტურობის აღიარება. ამგვარად გაგებული ალბათობა გამორიცხავს აბსოლუტურს; ალბათობის აბსოლუტურობის აღიარება კი თავისთავს აუქმებს, გამოუვალ წინააღმდეგობას ქმნის,— სულერთია ობიექტურ ალბათობაზე ვლაპარაკობთ, თუ ცოდნის ალბათურობაზე. ცოდნის ალბათურობის აღიარების წინააღმდეგ გამოდგება ჰუსერლის არგუმენტი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: მტკიცება, რომ ყოველი ცოდნა მხოლოდ ალბათურია, თვითონაც მხოლოდ ალბათური იქნებოდა; ასეთივე იქნებოდა ეს ახალი დებულებაც, და ა. შ. უსასრულოდ.[1] ეს არის უკიდურესი პრობაბილიზმი, რომელიც გამოუვალ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ალბათურის აბსოლუტურად წარმოდგენა თავისთავს აუქმებს. ალბათურის აბსოლუტურად წარმოდგენა ალბათურის კატეგორიის აღიარებაა. თუ ალბათური არის კატეგორია, მაშინ ის აღარ იქნება ალბათური; ალბათური კატეგორია შეუძლებელია; კატეგორიას არ შეიძლება ჰქონდეს ალბათური ხასიათი. მაშასადამე, ლოგიკურ აუცილებლობას არ აქვს ხარისხი. ლოგიკური აუცილებლობის შესუსტება მას აუქმებს.

ხარისხობრივი განსხვავება არის რაოდენობრივი განსხვავება და არა არსებითი განსხვავება. ამიტომ მცდარია აზრი, თითქოს აუ-

[1] E. Husserl, Logiselie Untersuchungen, 1922, I, გვ. 65. აქ ნათქვამია: „Auch die Behauptung, dass alles Wissen ein bloss wahrscheinliches sei, wäre nur wahrscheinlich gültig; dieso neue Behauptung abermals und so in infinitum".

ცილებლობა არის ალბათობის უმაღლესი ხარისხი. ლოგიკური „ალბათობა“ აუცილებლობისაგან განსხვავდება გვარით და არა ხარისხით (წინააღმდეგ რასელის და სხვ.); ეს ასეა, თუ ალბათობას უნივერსალურ ხასიათს მივცემთ, თუ მას დამოუკიდებლობას მივანიჭებთ. ლოგიკურ აუცილებლობას არ შეიძლება ხარისხი ჰქონდეს, რადგან ის არ არის სიდიდე, რაოდენობა; ხარისხი კი არის რაოდენობა.

ლოგიკური აუცილებლობა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს შეუძლებელი იყოს ლოგიკური აუცილებლობის სხვადასხვანაირი გამოვლენა. ლოგიკური აუცილებლობა შეიძლება არსებობდეს სრული სახით. ასეთია, როგორც ვიცით, აუცილებლობა, რომელიც განხორციელებულია უსასრულო დასკვნაში; მაგრამ შეიძლება ლოგიკური აუცილებლობის არსებობა არასრული სახით, ასეთია, მაგალითად, ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობა, წინააღმდეგობის შეუძლებლობის აუცილებლობა, სასრული ლოგიკურის აუცილებლობა, რაც, ცხადია, არ არის ალბათური ხასიათის. არსებობს უპირობო ლოგიკური და პირობითი ლოგიკური („თუ—მაშინ“); მაგრამ არა ალბათურ-ლოგიკური. ლოგიკური არის აუცილებლობის ბუნების, ის არ არის ალბათური. ლოგიკური აუცილებლობა სხვადასხვანაირად ვლინდება მსჯელობაში, უშუალო, სასრულ შუალობით და უსასრულო დასკვნებში. მაგრამ ეს სხვადასხვაობა არ არის ლოგიკური აუცილებლობის ხარისხები. ლოგიკური აუცილებლობა, მსგავსად ზოგადობისა, არაა აზრის მხოლოდ რომელიმე ფორმაში, არამედ ის არის ყველა ფორმაში, თუმცა სხვადასხვანაირად, მაგრამ არა სხვადასხვა ხარისხის აზრით და სახით. აზრის სხვადასხვა ლოგიკური ფორმა არის ლოგიკური აუცილებლობის სხვადასხვა ფორმა და არა სხვადასხვა ხარისხი. ლოგიკური აუცილებლობა მსჯელობაში არსებობს კოპულის სახით, დასკვნაში — გამომდინარეობის სახით, მაგრამ ეს სხვადასხვაობა არ არის ხარისხი. ლოგიკური აუცილებლობის ერთმხრივი არსებობა არ არის ამ აუცილებლობის დაბალი ხარისხი. შეუძლებელია ლოგიკურ აუცილებლობას ხარისხი ჰქონდეს. ამიტომ შეუძლებელია ალბათური ლოგიკა. შეუძლებელია რაიხენბახის ალბათური იმპლიკაცია; შეუძლებელია ჰეშმარიტიდან არ გამოდიოდეს ჰეშმარიტი.

თუ ლოგიკურ აუცილებლობას არ აქვს ხარისხი, მაშინ რას წარმოადგენს ის ალბათობა, რომელიც ინდუქციას ახასიათებს? ეს ალბათობა ინდუქციას გააუქმებს, თუ ის არ არის თავისებურად გამოვლენილი—თავისებური ფორმით არსებული აუცილებლობა; მაგრამ თუ ინდუქციაში ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა, მა-

შინ ხომ გამოირიცხება ალბათობა? თუ ლოგიკური ალბათობა შეუძლებელია, მაშინ რა უნდა მოთავსდეს მის ადგილზე ინდუქციაში, რათა შესაძლებელი გახდეს ინდუქციური დასკვნა, ინდუქციურ-ლოგიკური?

§ 209. ინდუქციის ალბათობა და უარყოფითი დიალექტიკა

ჩვენი აზრით, „ალბათური“ ლოგიკაში მართლაც ალბათური კი არ არის, არამედ ის არის უარყოფითი დიალექტიკა, რომელიც ინდუქციაში ხორციელდება და უნდა განხორციელდეს (ის ხორციელდება არა მხოლოდ ინდუქციაში). ინდუქცია შესაძლებელია როგორც უარყოფითი დიალექტიკა.

თუ, როგორც ითქვა, არასაკმაო საფუძვლის გამოყენება საკმაო საფუძვლად არის ალბათობა, მაშინ ასეთი ალბათობა შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც სოფისტიკა და სკეპტიციზმი. თუ წინააღმდეგობა არის წმინდა, შიშველი, ე. ი. ერთიანობის გარეშე და თუ ასეთი წინააღმდეგობის,სახელდობრ, როგორც აბსოლუტური ურთიერთგამორიცხვის პირობებში რაიმე გამოვიყენეთ როგორც ერთის ისე მისი საწინააღმდეგოს გამმართლებელ საფუძვლად, მაშინ ადგილი ექნება სოფისტიკას; ეს იქნებოდა საწინააღმდეგოთა ერთიმეორეში აღრევა. ამ აზრით, „ალბათობა,“ სოფისტიკა და სკეპტიციზმი ერთი და იგივეა. მაგრამ თუ არსებობს წინააღმდეგობის ნამდვილად გამმართლებელი საფუძველი, მაშინ ეს იქნება დაპირისპირებულთა ერთიანობა, დადებითი დიალექტიკა.

ალბათობა როგორც საწინააღმდეგოთა შესაძლებლობა (რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი), შეიცავს გაურკვევლობას, რადგან შესაძლებლობა შეუძლებლობასაც შეიცავს. ამ გაურკვევლობის მოხსნა შეიძლება ორ შემთხვევაში: 1) ერთ-ერთი საწინააღმდეგოს მოხსნით, გამორიცხვით; აქ მოქმედებს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ეს არის, როგორც ვიცით, სასრულის გარკვეულობა. სახელდობრ, სრული სასრულის—წინააღმდეგობის ერთი მხარის გარკვეულობა (ისიც ვიცით, რომ ასეთი გარკვეულობა სრული არ არის; ის გაურკვევლობასაც შეიცავს, რადგან რაიმე არის ეს იმის გამო, რომ არ არის სხვა, საწინააღმდეგო); 2) წინააღმდეგობის გამმართლებელი ერთიანობით, რომელიც წინააღმდეგობას შეიცავს და არ აუქმებს; აქ მოქმედებს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი. წინააღმდეგობის ერთიანობაში, ცხადია, არსებობს წინააღმდეგობა. ურთიერთგამორიცხვა, ამიტომ იგი მომენტად შეიცავს იმ შესაძლებლობას, რომელსაც ადგილი აქვს „ან—ან“-ში. აი, სწორედ ამ შესაძლებლობას უკავშირდება „ალბათობა“. ამიტომ უნდა ითქვას.

რომ „ალბათობა“ არის არა აუცილებლობის გაუქმება (აუცილებლობის დაბალი ხარისხი. როგორც ვნახეთ, აუცილებლობის გაუქმებაა), არამედ აუცილებლობის ერთი მომენტი. სრული აუცილებლობა, როგორც ვიცით, ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობის აუცილებლობა. „ალბათობა“ არის დაპირისპირებულთა აუცილებლობის ერთი მომენტი.

დაპირისპირებულთა ერთიანობის ის მომენტი, რომელიც „ალბათობას“ უნდა წარმოადგენდეს, არის საწინააღმდეგოს შესაძლებლობა; რაიმე შეიძლება იყოს საწინააღმდეგოც; კიდევ მეტი. რაიმესათვის, როგორც წინააღმდეგობის ერთი მხარისათვის, აუცილებელია წინააღმდეგობის მეორე მხარე; აი ეს აუცილებლობა წინააღმდეგობისა, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტს წარმოადგენს, არის უარყოფითი დიალექტიკა, რასაც „ალბათობა“ უნდა წარმოადგენდეს. „ალბათური“ არის უარყოფითი დიალექტიკა; უკეთ „ალბათურის“ ადგილზე მოქმედებს და არსებობს უარყოფითი დიალექტიკა. როგორც ცნობილია, უარყოფით დიალექტიკას აზრი აქვს როგორც მომენტს დადებით დიალექტიკაში. ლოგიკაში „ალბათური“ უნდა მოიხსნას და შენახულ იქნეს, ე. ი. აიხსნას დადებითი დიალექტიკით. შეუძლებელია თავისთავად, ცალკე აღებული „ალბათურ-ლოგიკური“. ის შესაძლებელია, როგორც უარყოფით — დიალექტიკური, რომელიც არის დადებითი დიალექტიკის, წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტი.

თუ ინდუქციური დასკვნა ალბათურია, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ალბათური შესაძლებელია აუცილებლობის (და ჭეშმარიტების) საფუძველზე, როგორც ამ საფუძვლის გარკვეული მომეხტი. „ალბათური“ არის წინააღმდეგობის ერთიანობის ერთი მომენტი, ის არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის ერთი მომენტი.

§ 210. ინდუქციის ალბათობა და კერძო-ზოგადის ერთიანობა

ახლახან თქმული უფრო სრული სახით წარმოდგება, თუ ვიტყვით, რომ „ალბათური“ არის უარყოფით-დიალექტიკური, როგორც კერძოს და ზოგადის. როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის ერთი მომენტი. ინდუქციის ალბათობა სწორედ კერძოს და ზოგადის ერთიანობის ერთი მომენტია, რადგან ინდუქცია კერძოდან ზოგადზე გადასვლაში მდგომარეობს, და კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა სხვა არაფერია, თუ არა უარყოფითი დიალექტიკა, რომელიც დადებითი დიალექტიკის, დაპირისპირებულთა ერთიანობის — კერძოს და ზოგადის ერთიანობის—მომენტს წარმოადგენს. თუ „ალ-

ბათობა“ არის სკეპტიციზმი, რელატივიზმი. მაშინ ისიც უნდა ი[illegible]ქ-ვას, რომ „დიალექტიკა შეიცავს რელატივიზმის, უარყოფის, სკეპ-ციზმის მომენტს, მაგრამ იგი რელატივიზმი როდია“.[1]

ვ. ი. ლენინის ამ დებულებაში ერთი მნიშვნელობით არის აღ-ბული „რელატივიზმი“, „უარყოფა“ და „სკეპტიციზმი“. რაიმესთვის მისი საწინააღმდეგოს აუცილებლობა არის „სკეპტიციზმი“, რადგან საწინააღმდეგოების გაერთიანება ერთგვარი „საერთო“ მდგომარეობაა; ის არის „რელატივიზმი“, რადგან საწინააღმდეგოები ფარ[illegible]ბითად „დენადად“, ერთიმეორეში გარდამავლად არის წარმოდგენილი; ის არის „უარყოფა“, რადგან რაიმეს გადასვლა საწინააღმდეგოში არის პირველის (რაიმეს) უარყოფა. საწინააღმდეგოს აუცილებლობა, წინააღმდეგობის აუცილებლობა იმ აზრითაც არის „უარყოფა“. „რელატივიზმი“ და „სკეპტიციზმი“, რომ ის, აღებული თავისთავად, დამოუკიდებლად, კანტის ტერმინები რომ ვისმაროთ, შეცდომას, „მოჩვენებას“, „ილუზიას“ წარმოადგენს.

რაიმეს გადასვლა მის საპირისპიროში შეიცავს უარყოფითი დიალექტიკის მომენტს, სახელდობრ, იმას, რომ რაიმესათვის აუცილებელია საპირისპირო, რაიმე მის საპირისპიროს თავიდან ვერ იცილებს. ზოგადისათვის აუცილებელია კერძო, რადგან მის გარეშე ის თვითონ არის კერძო; ასე ითქმის კერძოს შესახებაც. როგორც ეს ზემოთ რამდენჯერმე იქნა აღნიშნული, საპირისპიროთა ერთიმეორისათვის აუცილებლობა, მათი განუწყვეტლობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ-ერთი საპირისპირო-საწინააღმდეგო, აღებული თავისთავად—დამოუკიდებლად, საკუთარ აზრს ჰკარგავს, მაგრამ წინააღმდეგობა, აღებული შიშველი სახით, არის თავისთავის გაუქმება, შეცდომა; ზოგადი, რომ ცალკე აღებული გადადის კერძოში, ეს იმას ნიშნავს, რომ ის თავისთავს ეწინააღმდეგება, თავისთავს გამორიცხავს; აი სწორედ ეს მომენტია შეცდომა, კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ—„ილუზია“, მოჩვენება (Schein). მიუხედავად ამისა, ასეთი მომენტი საპირისპიროთა დამოკიდებულებაში აუცილებელია, წინააღმდეგობა აუცილებელია. სწორედ უარყოფითი დიალექტიკის ეს მომენტი არის ინდუქციის, კერძოს ზოგადში გადასვლის, „ალბათობის“ მომენტი. ინდუქციის ალბათობა წარმოადგენს უარყოფით დიალექტიკას, რომელიც შეუძლებელია, თუ ის არ გამართლდა, თუ ის არ არის მომენტი მასზე უფრო სრული კავშირისა, რასაც დადებითი დიალექტიკა წარმოადგენს. რაიმესათვის საწინააღმ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, იხხ. ტ. 14 (ენ-ის გამოცემა), გვ. 165, თხხ ტ. 38 გვ. 225—226, 372.

დეგოს აუცილებლობა, როგორც უარყოფითი დიალექტიკა, არის მომენტი საწინააღმდეგოში გადასვლისა. უარყოფით დიალექტიკაზე უფრო სრულია ის, რომ რაიმე თავისი შინაგანი ბუნების აუცილებლობით გადადის თავის საწინააღმდეგოში და პირიქით, რითაც დგინდება დაპირისპირებულთა ერთიანობა. ინდუქცია საბოლოოდ მართლდება კერძოს და ზოგადის დიალექტიკურ ერთიანობაში.

§ 211. ფარდობითობა ინდუქციაში

კერძოს ზოგადში თუ პირიქით გადასვლები ამ ცნებათა ფარდობითობას აჩვენებს. მათი ურთიერთაუცილებლობა და გადასვლები ამ ცნებათა „დენადობას“ წარმოადგენს,[1] როგორც ეს ზემოთაც იქნა აღნიშნული. ინდუქციის (ისე როგორც დედუქციის) პრობლემა წყდება სწორედ იმით, რომ კერძო და ზოგადი ფარდობითი დენადი კატეგორიებია. მაგრამ ეს ფარდობითობა უკვე დიალექტიკას წარმოადგენს და არა ფორმალური ლოგიკის სფეროს, რომლის საფუძველზეც ვერ მოხერხდა ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა სწორედ კერძოს და ზოგადის არაფარდობითად გაგების გამო. ნომინალისტურად გაგებული ზოგადის საფუძველზე ინდუქცია ყოველთვის პრობლემატური დარჩება, რადგან კერძოს და ზოგადის არაფარდობითად წარმოდგენა არის მათი ერთიმეორისაგან აბსოლუტური მოწყვეტა. თუ კერძო და ზოგადი ერთიმეორეს აბსოლუტურად მოვწყვიტეთ, მაშინ შემდგომ მათ ვეღარ დავაკავშირებთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კერძოსა და ზოგადის ერთიმეორესთან დასაკავშირებლად თითქოს წინასწარ უნდა გამოვიდეთ მათი კავშირისაგან, რომ თითქოს ეს კავშირი აქსიომად უნდა ჩავთვალოთ, არა, ასეთი რამ პრობლემას ადგილს მოუნაცვლებს მხოლოდ, გადაუწყვეტლად ტოვებს. კერძო მისი შინაგანი ბუნებით გადადის ზოგადში და პირიქით.

უარყოფითი დიალექტიკა მხოლოდ იმას კი არ აჩვენებს, რომ წინააღმდეგობაა აუცილებელი, არამედ იმასაც, და ესაა მთავარი, რომ საწინააღმდეგოს აუცილებლობა მის დადგენასაც ნიშნავს. ზოგადი, აღებული ცალკე, შეუძლებელია, ის შესაძლებელია კერძოს არსებობის საფუძველზე; კერძო საფუძველია თავისი საპირისპირო ზოგადისა. კერძოს ზოგადში გადასვლა არის ინდუქციის გამართლება (კერძოს და ზოგადის ასეთი ფარდობითობა წყვეტს დედუქციის პრობლემასაც).

ინდუქციის პრობლემას (ისე როგორც დედუქციის პრობლემას)

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 237.

წყვეტს კერძოსა და ზოგადის ფარდობითობა. ეს ფარდობითობა იმაშიც მჟღავნდება, რომ ჩვეულებრივი ინდუქცია ალბათური ხასიათისაა. ის არის აუცილებლობასთან მიახლოება. ეს არის თვითონ ინდუქციის, როგორც ლოგიკური მეთოდის, ფარდობითობა და ცალმხრიობა, რაც ლოგიკურ შინაარსეულ კერძოს წარმოადგენს. ეს კერძო კი ზოგად მეთოდში უნდა გამართლდეს. ფარდობითობის და ერთმხრიობის დაძლევა და ახსნა ხდება აბსოლუტურში. უპირობოში, უნივერსალურში. ინდუქცია თვითონ ინდუქციით ვერ აიხსნება[1], ის მოითხოვს დიალექტიკურ მეთოდს, როგორც მის ამხსნელს და გამმართლებელს, მისთვის ზოგადს. ინდუქციური მეთოდისათვის დიალექტიკური მეთოდის აუცილებლობა და მასში გადასვლის აუცილებლობა თვითონ არის თავისებური ინდუქცია, რომელიც უკვე დიალექტიკაა და არა საკუთრივ ინდუქცია.

§ 212. წინააღმდეგობის დაძლევა და ინდუქცია

ცნობილია ის გარემოება, რომ ინდუქცია გვაძლევს უცილობელს, თუ საწინააღმდეგო გამორიცხულია, რამდენადაც კერძოებიდან ზოგადი მხოლოდ მაშინ მიიღება, თუ კერძოებში მათი საწინააღმდეგო არ არსებობს. მაგალითად, კერძო ლითონები მყარია და თუ არამყარობა ამ კერძოებიდან გამორიცხულია, მაშინ, ცხადია, მიიღება დებულება: ყველა ლითონი არის მყარი. მაგრამ საწინააღმდეგოს ასეთი გამორიცხვა ტავტოლოგიური ბუნებისაა; საწინააღმდეგოს ასეთი გამორიცხვა, ცხადია, იქნება „ყველა“. თუ შეუძლებელია არამყარი ლითონი, მაშინ, ცხადია, რომ ყველა ლითონი იქნება მყარი.

საწინააღმდეგოს აქ აღნიშნული გამორიცხვა ინდუქციის სიძნელეს კი ვერ წყვეტს, არამედ მხოლოდ ახახელებს, რადგან ინდუქციის სიძნელე სწორედ ისაა, რომ შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, რომ საწინააღმდეგო შეუძლებელია; საწინააღმდეგოს გამორიცხვა და „ყველა“-ს მიღება ერთიდაიგივეა. ნომინალისტური ზოგადის პირობებში საწინააღმდეგოს გამორიცხვის სიძნელის გადაწყვეტა შეუძლებელი ხდება.

ამბობენ, რომ ინდუქცია გვაძლევს უცილობელს, თუ წანამძღვრებიც და დანასკვიც უარყოფითია. აქაც ტავტოლოგია გვაქვს, რადგან თუ რაიმე ნიშანი არ ახასიათებს ერთს, მაშინ, ცხადია, ის არც ყველას ახასიათებს. თუ რომელიმე ლითონი თხიერია (ვერცხლის-

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 237.

წყალი). მაშინ, ცხადია, რომ არ შეიძლება ითქვას: ყველა ლითონი მყარია, თუ ერთი ლითონი არ არის მყარი, მაშინ არც ის შეიძლება ითქვას, რომ ყველა ლითონი არ არის მყარი. თუ რამდენიმე ერთეულს არ აქვს რაიმე თვისება, მაშინ ვერ ვიტყვით იმას, რომ ყველას არ აქვს ეს თვისება. რკინა არ არის თხიერი, ოქრო, ვერცხლი და სხვა ბევრი ლითონი არ არის თხიერი, მაგრამ ამის საფუძველზე ვერ დავასკვნით, რომ არც ერთი ლითონი არ არის თხიერი. ამრიგად, ინდუქციის სიძნელე მაშინაც მეორდება, თუ უარყოფითია წანამძღვრები. მაგრამ თუ უარყოფითია წანამძღვრებიც და დანასკვიც, მაშინ მართლდება ინდუქცია, მაგრამ სიძნელე სწორედ უსასრულობის ამოწურვაშია. თუ წინასწარ გამორიცხა საწინააღმდეგო, მაშინ ცხადია, შესრულდება ინდუქცია, მაგრამ სიძნელე საწინააღმდეგოს გამორიცხვაშია.

საწინააღმდეგოს გამორიცხვის სიძნელისდა მიუხედავად ამ გამორიცხვას ერთი გარკვეული რაციონალური აზრი აქვს, სახელდობრ ის, რომ ეს გამორიცხვა წინააღმდეგობის ამოწურვაზე მიუთითებს. საქმე იმაშია, რომ რაიმეს საზღვარი საწინააღმდეგოსთან ამ საწინააღმდეგოს აუცილებლობას აჩვენებს, მასში გადასვლა კი წინააღმდეგობის ამოწურვა-დაძლევას ნიშნავს. წინააღმდეგობა ამოიწურება მისი დაძლევის და არა საწინააღმდეგოს გამორიცხვა-შეუძლებლობით, თუმცა ეს უკანასკნელიც იმას აჩვენებს, რომ საჭიროა დაძლეულ იქნეს წინააღმდეგობა. საწინააღმდეგოს გამორიცხვის წესი უარყოფითად უკავშირებს დადებითობას და უარყოფითობას; საჭიროა კი მათი დადებითი დაკავშირებაც. სწორედ წინააღმდეგობის დაძლევა გვაძლევს უცილობელს, ინდუქციის ალბათობის დაძლევას. კერძო მოვლენებში საწინააღმდეგოს შეუძლებლობის დადგენა ინდუქციის პრობლემას სიძნელედ ტოვებს. თუ საწინააღმდეგო შეუძლებელია, მაშინ მიიღწევა ალბათობის დაძლევა, მაგრამ სიძნელე სწორედ ამ შეუძლებლობის დადგენაშია. ინდუქციის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ერთი გზით — წინააღმდეგობის არა გაუქმებით, არამედ დაძლევით, წინააღმდეგობის ამოწურვით. ინდუქცია არის კერძოს გადასვლა ზოგადში, ეს კი საპირისპირო—საწინააღმდეგოში გადასვლაა და არა საწინააღმდეგოს შეუძლებლობა. თუ კერძოს საწინააღმდეგო შეუძლებელია, მაშინ ზოგადია შეუძლებელი, ე. ი. ყოველთვის დავრჩებით კერძოს სფეროში, ვერ გადავალთ ზოგადზე. მართალია, თუ ყველა კერძო ასეთი და ასეთია, მაშინ მიღწეულია ზოგადი, მაგრამ საკითხი სწორედ იმას ეხება, თუ როგორ მივიდეთ ამ „ყველა"-მდე.

ერთი სიტყვით, კერძოს ზოგადზე გადასვლა არის მათ შორის წინააღმდეგობის ამოწურვა-დაძლევა, რაც ინდუქციის სიძნელის გადაწყვეტას ნიშნავს. ინდუქციის პრობლემა წყდება წინააღმდეგობის ერთიანობაში, დიალექტიკის სფეროში. დიალექტიკის საფუძველზე.

§ 213. უსასრულობის ამოწურვა და ინდუქცია

წინააღმდეგობის ამოწურვა, რომლის შესახებაც ახლა გვქონდა საუბარი, იგივეა, რაც უსასრულობის ამოწურვა. ინდუქციის მიზანია კერძოდან ზოგადის მიღება, რაც უსასრულობის ამოწურვას წარმოადგენს. ინდუქციის სიძნელე არის უსასრულობის ამოწურვის სიძნელე. ზოგადის მიღებისათვის აუცილებელია უსასრულობის „გავლა" (არასრული ინდუქცია). სახელდობრ. უსასრულო ერთეულების თუ კერძოებია გავლა. ნომინალისტური ზოგადი ითვალისწინებს „ცუდ" — პოტენციალურ უსასრულობას. მხოლოდ ასეთი უსასრულობა რომ არსებობდეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მისი „გავლა". ინდუქციის სიძნელე სწორედ ასეთი უსასრულობის „გავლის" სიძნელეა; რადგან შეუძლებელია „გაიარო" უსასრულობა, ამიტომ შეუძლებელია დასძლიო ინდუქციის ალბათობა. ეს ალბათობა, როგორც ითქვა, უკავშირდება შესაძლებლობას, პოტენციალობას. სახელდობრ, პოტენციალურ უსასრულობას. თუ უსასრულობა მხოლოდ პოტენციალურია, მაშინ, ცხადია, რომ მისი „გავლა" ნამდვილად არ შესრულდება, ესეც პოტენციალური იქნება, ე. ი. ინდუქცია ალბათობას ვერასოდეს დასძლევს და ვერ მივა აუცილებლობამდე.

მაგრამ დიალექტიკის თეორიაში ცნობილია. რომ ნამდვილი უსასრულობა — „ჰეშმარიტი" უსასრულობა — არ არის პოტენციალური, „ცუდი", უარყოფითი უსასრულობა; ის დადებითი უსასრულობაა, რომელშიც „გავლილია" პოტენციალური უსასრულობა.

უსასრულობის გავლა, უპირველეს ყოვლისა, ხდება ცნებაში, უსასრულობის ცნებაში, — პასუხში კითხვაზე, თუ რა არის უსასრულობა, თუ ვიცით უსასრულობა, თუ ჩვენ გვაქვს უსასრულობის ცნება, მაშინ ეს ცნება თვითონ, ცხადია, არ გაგრძელდება დაუსრულებლად, არამედ ის სრულია, დასრულებულია, დაუსრულებლობა სრულად წარმოდგება დაუსრულებლობის ცნებაში. როცა გვაქვს უსასრულობის ცნება, მაშინ, ცხადია, რომ ეს უსასრულობა დასრულებულადაა წარმოდგენილი მის ცნებაში. აქ წყდება ის, თუ როგორ არის შესაძლებელი ინდუქცია. ის გარემოება, რომ დაუსრულებლო-

ბა დასრულებული და სრული სახით არის წარმოდგენილი მის ცნებაში, ინდუქციას, როგორც უცილობლობის მიღწევის საშუალებას, შესაძლებლად ხდის. რადგან უსასრულობის გავლა ხდება მის ცნებაში, ამით გადაწყვეტილია ინდუქციის, როგორც ლოგიკური მეთოდის, შესაძლებლობის პრობლემა. მაგრამ საჭიროა ამ შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევა, სახელდობრ ის, თუ როგორ ხორციელდება ინდუქცია ნამდვილად. რაც შესაძლებელია, ის ნამდვილად უნდა განხორციელდეს; ამას მოითხოვს ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა.

მართალია, დაუსრულებლობის—პოტენციალური უსასრულობის „გავლა“ ხდება მის ცნებაში, მაგრამ სიძნელე სწორედ აქაშია. თუ როგორ მივიღოთ ეს ცნება. უსასრულობის ცნების მიღება რომ უსასრულობის „გავლის“ შედეგად უნდა მოხდეს? როგორ გავიაროთ უსასრულო, ე. ი. როგორ დავადგინოთ უსასრულოს ცნება? აი საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გადაუწყვეტელი დარჩება, ინდუქციის სიძნელე ისევ სიძნელედ დარჩება.

უსასრულო (დაუსრულებელი) ერთეული საგნების გავლა შეუძლებელია, ამიტომ ამ გზით არ მიიღწევა ნომინალისტური ზოგადი. დაუსრულებელი ერთეულების გავლა, ეს იქნებოდა „დათვლილი ურიცხვის წინააღმდეგობა“. ამ წინააღმდეგობის გამო კერძოდან ზოგადზე ინდუქციური გადასვლა განუხორციელებელი რჩება.

მაგრამ, როგორც ვიცით, არსებობს არანომინალისტური ზოგადი და ისეთი უსასრულო, რომელიც არ უდრის დაუსრულებელს, არამედ „მეტია“ მასზე. ასეთი ზოგადი და ასეთი უსასრულო მიიღწევა სასრულოთა ანუ კერძოთა გავლის გზით, ასეთი „გავლა“ შესაძლებელია და ხორციელდება. შინაარსეული კერძოდან მიიღება შინაარსეული ზოგადი, რადგან შინაარსეული ზოგადისათვის აუცილებელია ყველა ერთმხრიობა, რომელთა ერთიანობასაც ის წარმოადგენს, და, პირიქით, ყველა ერთმხრიობისათვის აუცილებელია მათი შინაგანი ერთიანობა. მაგალითად, წარმოებისათვის აუცილებელია საკუთრივ წარმოება, განაწილება-გაცვლა და მოხმარება და პირიქით; ამ მომენტების ერთიანობა არის მათი ზოგადობა, რომელიც წარმოებას უდრის. ამ ოთხი ერთმხრიობის — კერძოს გავლა, ცხადია, შეიძლება, ამით კი მიიღება ზოგადი, ე. ი. განხორციელდება ინდუქცია. ასე მიიღება არსის და არარსის ერთიანობა ქმნადობაში, სუბიექტის და პრედიკატის ერთიანობა მსჯელობაში, ნიშნების ერთიანობა ცნებაში, მსჯელობების ერთიანობა დასკვნაში და სხვ.

როგორც ვიცით, ერთმხრიობა არის შინაარსეული კერძო; არა-

სრული კერძოები ამოიწურება წინააღმდეგობის ერთი მხარით. წინააღმდეგობის ერთი მხარე არის სრული კერძო. არსებობს წინააღმდეგობის მხოლოდ ორი მხარე, როგორც ორი სრული კერძო, როგორც ორი სრული სასრული. რადგან ასეთი კერძო არის მხოლოდ ორი და მესამე გამორიცხულია, ამიტომ მათი „გავლა“ შეიძლება და ხორციელდება. ორი ასეთი კერძოს დადგენით უკვე გავლილია კერძოს სფერო. ამ კერძოების დადგენით დგინდება მათთვის აუცილებელი ერთიანობა (მათი ძირი). ეს ერთიანობა არის სრული ზოგადი (უსასრულო). ამრიგად ხორციელდება კერძოდან ზოგადზე გადასვლა და უსასრულობის „გავლა“.

შეიძლება ითქვას კიდევ მეტიც, სახელდობრ, ის, რომ, მართალია, სრული კერძო არის მხოლოდ ორი, მაგრამ ორივე კერძო, როგორც კერძო, ე. ი. როგორც კატეგორია არის მხოლოდ ერთი. კერძოების უსასრულობის გავლა ხდება კერძოს კატეგორიაში. კერძოს კატეგორია, როგორც ასეთი, კი თვითონ არის ზოგადი. თუ უსასრულო კერძოები, კატეგორიალურად, არის ერთი კერძო, მაშინ უნდა ითქვას, რომ „კერძო არის ზოგადი“. არა თუ კერძო გადადის ზოგადში, არამედ კერძო არის ზოგადი. ასე ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა, რომელსაც ინდუქციური ხასიათი აქვს.

აქ მიღებული „კერძო არის ზოგადი“ ნიშნავს იმას, რომ: 1) კერძოსთვის აუცილებელია მისი საპირისპირო-საწინააღმდეგო-ზოგადი (ეს არის უარყოფითი დიალექტიკა), 2) კერძო არის მისი საპირისპიროს — ზოგადის საფუძველი, 3) კერძო გადადის ზოგადში და 4) თვითონ კერძო არის ზოგადი.

§ 214. ინდუქციის პრობლემა როგორც მსჯელობის პრობლემა

ის გარემოება, რომ ინდუქციის პრობლემა კატეგორიების კავშირში წყდება, არ ნიშნავს იმას, თითქოს ინდუქციის ცნობილი სიძნელე მაინც გადაუწყვეტელი დარჩა, რამდენადაც ინდუქცია ერთეულებიდან ზოგადის მიღებაში მდგომარეობს, კატეგორიები კი ზოგადია; კატეგორიების კავშირში ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა თითქოს ვერ მოიცავს ერთეული საგნებიდან ზოგადის მიღების საკითხის გადაწყვეტას. ის მის გარედ რჩება, ინდუქციის ალბათობა ხომ სწორედ ერთეულების ამოუწურავობის გამო არსებობს? მართალია, მათემატიკური ალბათობის და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები არ შედის ლოგიკის საკითხებში, კერძო მეცნიერებას არ შთანთქავს ლოგიკა, მაგრამ ლოგიკამ უნდა გაარკვიოს ის, რასაც კერძო მეცნიერება დაემყარება. უნდა აღმოჩნდეს ის ლო-

გიკური გზა, რომელიც კატეგორიებშიც განხორციელდება და ერთეულში ზოგადის აღმოჩენასაც მოგვცემს.

ზემოთ გარჩეული მაგალითი წარმოებისა და მისი მომენტების დამოკიდებულებისა სწორედ იმას გვიჩვენებს, თუ როგორ აღმოჩნდება ერთეულში ზოგადი და რომ ეს „აღმოჩენა" ლოგიკური აუცილებლობით ხორციელდება. როგორც ვიცით, კ. მარქსს „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" შესავალში[1], გარჩეული აქვს წარმოება მომენტების ერთიმეორესთან და წარმოებასთან, როგორც მათ ერთიანობასთან, რომელიც ამ მომენტების ზოგადობას წარმოადგენს, დამოკიდებულება. წარმოების მომენტების დამოკიდებულებაში აღმოჩნდება მათი ერთიანობა-ზოგადობა; ეს „აღმოჩენა" არის ლოგიკური ხასიათის, რადგან: 1) ის არის პრედიკაცია („მოხმარება არის წარმოება" და სხვა); 2) ის არის მომენტთა აუცილებელი ერთიანობა, კერძოებისთვის ზოგადის აუცილებლობა, ერთეულ წარმოებაში „აღმოჩნდა" ზოგადი; ერთეულის მომენტები აუცილებლობით უკავშირდებიან მათ ზოგადობას, როგორც მათ ერთიანობას.

მეორე მაგალითად შეიძლება ავიღოთ სადი კარნოს ერთი ორთქლის მანქანის მაგალითი, სადი კარნომ სწორედ ერთ მანქანაში აღმოაჩინა, ერთი მანქანის საფუძველზე დაამტკიცა, რომ „სითბოდან შეიძლება მივიღოთ მექანიკური მოძრაობა. 100.000 ორთქლის მანქანამ ეს იმაზე უფრო დამაჯერებლად როდი დაამტკიცა, ვიდრე ერთმა მანქანამ".[2] ერთეულში არსებული ერთიანობა გარკვეული მომენტებისა არის ზოგადობა, რომლის მიღებას არ სჭირდება ბევრი ერთეული, საკმარისია მხოლოდ ერთი. თუ ზოგადი არ აღმოჩნდა ერთში, ის არც ასეთი ერთების სიმრავლეში აღმოჩნდება.

ერთეულში აღმოჩენილი შინაარსეული ზოგადობა არის მისი არსება, რომელიც მსგავს ერთეულებშია განმეორებული. ცნება ერთეულის არსების ასახვაა და არა განმეორების, თუმცა ეს უკანასკნელიც იგულისხმება მასში. ერთეულები ერთი ერთეულის შინაარსეული ზოგადობის მაგალითებია. ერთეულების სიმრავლე საჭიროა ფსიქოლოგიური დარწმუნებულობისათვის. ინდუქციური ლოგიკურობისათვის საკმარისია ის სიმრავლე, რომელიც ერთეულის მომენტებს წარმოადგენს და რომლებიც „შეადგენენ" მათ ერთიანობას, როგორც ზოგადობას.

აქედან არ უნდა დავასკვნათ ის, რომ თითქოს სწორ გზაზე დგას ნომინალიზმი, რომელსაც (თანამედროვე ნომინალიზმს, მაგ., ქუაინს,

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, შესავალი.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 238.

გუდმენს) ზოგადი დაყავს ერთეულებზე. ზოგადს უარყოფს. აქ საყმარისია ერთი არგუმენტიც, სახელდობრ, ის, რომ ერთეულში ზოგადის აღმოჩენა არის ერთეულში მისი საპირისპიროს აღმოჩენა; რადგან ზოგადი ერთეულის საპირისპირო და საწინააღმდეგოა, ამიტომ მისი ერთეულზე დაყვანა შეუძლებელიცაა.

ერთეულში ზოგადის აღმოჩენა, რომელზედაც ახლა ვილაპარაკეთ, ცხადია, არ არის ფორმალურ-ლოგიკური ინდუქცია, რომელიც ყოველთვის პრობლემატურია და რომლის ლოგიკური აზრით განხორციელება შეუძლებელია. ეს არის თავისებური ინდუქცია, რომელსაც სპეციალურად ქვემოთ განვიხილავთ.

გადასაწყვეტი და გასარკვევია ისიც, თუ რა გზით ხდება ერთეულში ზოგადის აღმოჩენა; რა გზით მოქმედებდა, მაგ., სადი კარნო, რომლის შესახებაც ფ. ენგელსი ლაპარაკობს ინდუქციის პრობლემასთან დაკავშირებით. ეს გზა, როგორც ამას ენგელსი აღნიშნავს, არის ანალიზის გზა. ქვემოთ იმასაც სპეციალურად გავარკვევთ, თუ როგორ ხორციელდება ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა ანალიზის საშუალებით, ანალიზის და სინთეზის ერთიანობის საშუალებით. ისიც დაწვრილებით იქნება გარკვეული, რომ ინდუქციის პრობლემა საბოლოოდ წყდება ლოგიკურ განვითარებაში. ამიტომ არ არის სწორი ჰუსერლი, თითქოს ერთეულში ზოგადის აღმოჩენა ხდებოდეს ინტუიციით (ეიდეტური ჰვრეტით)[1].

ამრიგად, ერთეულში აღმოჩნდება ზოგადი. ერთეულში ხდება კერძოდან ზოგადზე გადასვლა. სწორედ ლოგიკური გადასვლა. ერთეული ანუ „კერძო არის ზოგადი", რომელიც მსჯელობის ფორმას წარმოადგენს. აღმოჩენის და ლოგიკური გადასვლის გზები ერთი და იგივეა. სწორედ ეს არის საფუძველი და ნიმუში აღმოჩენის და დასაბუთების გზის გაიგივებისა. ინდუქციის მეთოდი ლოგიკურ მეთოდს წარმოადგენს. ამიტომ ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთიმეორეს უნდა დაემთხვეს.

მაშასადამე, ხორციელდება ლოგიკური კავშირი, რომელიც შეიძლება გამოითქვას ასე: „კერძო არის ზოგადი". ეს არის ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა. „კერძო არის ზოგადი" არის, როგორც ვიცით, მსჯელობა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ინდუქციის პრობლემა დაიყვანება მსჯელობის პრობლემაზე. მსჯელობის პრობლემის გადაწყვეტა იგივეა, რაც ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა. თუ ვიცით ის, თუ როგორ არის შესაძლებელი „კერძო არის ზოგადი". ამით ვიცით ის, თუ როგორ არის შესაძლებელი მსჯელობა და ისიც, თუ

---

[1] E. Husserl. Ideen..., I, გვ. 13.

როგორ არის შესაძლებელი კერძოდან ზოგადზე გადასვლა, ინდუქცია.

ამ საკითხის შესახებ საუბარი გვექნება ქვემოთ, მაგრამ იგი ფაქტიურად გადაწყდა მაშინ, როცა გაირკვა მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა. როგორც ვიცით, მსჯელობა არის ლოგიკური სასრული, ლოგიკური ერთმხრიობა — კერძო. მისი დასკვნაში გადასვლა. ეს არის ზოგადში გადასვლა, თავისებური ინდუქცია. როგორც ვნახეთ, მსჯელობა ანტინომიურია, უარყოფითი დიალექტიკის ბუნებისაა. ეს ანტინომიურობა წყდება და უარყოფითი დიალექტიკა მართლდება დასკვნაში, საბოლოოდ, უსასრულო დასკვნაში; სწორედ უსასრულო დასკვნაში წყდება საბოლოოდ ინდუქციის პრობლემა (მაგრამ არა მხოლოდ ინდუქციის პრობლემა). თვითონ უსასრულო დასკვნის მომენტების დამოკიდებულებაში აქვს ადგილი თავისებურ ინდუქციას, დედუქციას და რედუქციას. ამიტომ სწორედ ამ მომენტების გარჩევაა აუცილებელი ჩვენი პრობლემის (როგორც ინდუქციის, ისე საერთოდ დასაბუთების პრობლემის) საბოლოო გადაწყვეტისათვის.

8. კატეგორიალური მეთოდები

§ 215. შინაარსეული (კატეგორიალური) ინდუქცია

ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, გარჩევისას, რადგან დიალექტიკურ მეთოდში გამართლდება როგორც ინდუქცია, ისე სხვა კერძო ლოგიკური მეთოდები. აქ საკითხი განხილული იქნება შედარებით ზოგადად, როგორც დასკვნა იმისა, რაც ზემოთაც ითქვა ინდუქციის შესახებ და როგორც შესავალის ნაწილი ინდუქციის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისათვის.

როგორც ითქვა, ინდუქციისათვის საკმარისი უნდა იყოს ერთი ერთეულიც; თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, იგი (ინდუქცია), როგორც კერძოდან ზოგადის მიღება, უნდა შესრულდეს ერთი ერთეულის სფეროში, სადაც კერძო იქნება ერთეულის ერთმხრიობა, ზოგადი კი ერთეულში არსებული ერთიანობა; შინაარსეული კერძო გადავა შინაარსეულ ზოგადში. შინაარსეული ინდუქცია არის ერთმხრიობიდან ერთიანობაზე გადასვლა.

ფორმალურ-ლოგიკური (ფორმალურ ლოგიკაში განხილული) ინდუქციის დროს წანამძღვრებში მოცემული ერთეული მსჯელობების სუბიექტი არის ბევრი, პრედიკატი კი არის ერთი (ივანე მოკვდა-

ვია, სოკრატე მოკვდავია..., მაშ., ყველა ადამიანი მოკვდავია), შინაარსეული ინდუქციის დროს კი პირიქით, — იცვლება პრედიკატები, სუბიექტი კი იგივე რჩება, მაგრამ ისე, რომ პრედიკატები ამოწურავენ სუბიექტს, რომელიც შინაარსეული ზოგადობის ბაზიათხაა, იგი წარმოადგენს ერთიანობას, სახელდობრ, პრედიკატების ერთიანობას; სუბიექტი იქცევა პრედიკატად, პრედიკატები ემთხვევიან სუბიექტს. პრედიკატები ამოწურავენ სუბიექტს, რომელიც მათ ძირს წარმოადგენს, სწორედ ეს „ძირი" არის მათი (პრედიკატების) ერთიანობა. მაგალითად, წარმოების მომენტები ამოწურავენ წარმოებას. წარმოება არის მოხმარება, განაწილება, გაცვლა, საკუთრივ წარმოება. წარმოება არის სუბიექტი მისი მომენტებისა, მაგრამ ის ამ მომენტების ზოგადი პრედიკატიცაა. წარმოებაში ერთიმეორეს ემთხვევა სუბიექტი და მისი ამომწურავი პრედიკატი — ნიშნები — მომენტები. საერთოდ მსჯელობის სუბიექტს გამოთქვამს პრედიკატი; პრედიკატი არის ის, რასაც სუბიექტი წარმოადგენს.

პირველად არისტოტელემ აღნიშნა, რომ 1) ზოგადი წარმოადგენს ერთეულის ბუნებას (მეორე სუბსტანცია პირველი სუბსტანციის ბუნებას წარმოადგენს), 2) პირველი სუბსტანცია, როგორც კატეგორია, ასეთია სწორედ იმიტომ, რომ ის არის ზოგადი ქვემდებარე — სუბიექტი სხვა კატეგორიებისა, როგორც მისი გარკვეული პრედიკატებისა. ამ დებულებებიდან გამოსული არისტოტელეს უნდა გადაეწყვიტა ინდუქციის, როგორც დასაბუთების მეთოდის. პრობლემა, მაგრამ მას ინდუქცია ამ ასპექტში არ გაურჩევია.

ჩვეულებრივ — ფორმალურ-ლოგიკურ — ინდუქციას ანალიზურად მიიჩნევენ, როცა ლაპარაკობენ 1) სრულ ინდუქციაზე, სადაც დანაკლისი წანამძღვრებს აჯამებს, იმეორებს, 2) როცა მხედველობაში აქვთ ის, რომ ინდუქცია ვერ მიდის ზოგადამდე, ამდენად ისევ კერძოს სფეროში რჩება; გამოდის კერძოდან და ვერ გადის კერძოდან. მაგრამ ინდუქცია ესმით სინთეზურად, როცა ზოგადს ალბათურად ღებულობენ; კერძოებიდან ზოგადის ალბათური მიღება, მართალია, არ არის აუცილებელი მიღება, მაგრამ სინთეზურობას კი წარმოადგენს. მაგრამ რადგან ეს სინთეზურობა ლოგიკური აუცილებლობის ბუნების არაა, არამედ მხოლოდ ალბათურია, ამიტომ უარყოფენ, ლოგიკის სფეროდან გამორიცხავენ სინთეზურობას; ინდუქციას ლოგიკურ მეთოდად, სახელდობრ, დასაბუთების მეთოდად არ მიიჩნევენ.

შინაარსეული ინდუქცია, ერთსა და იმავე დროს, არის ლოგიკური, ე. ი. აუცილებლობის მქონე გადასვლა, აუცილებელი გადასვლა და სინთეზური ხასიათის გადასვლაც. შინაარსეულ ინდუქციაში

სინთეზი აუცილებლობით ხორციელდება. ერთმხრიობიდან ერთიანობაზე გადასვლა სინთეზურია და აუცილებელიც. მოხმარება არის წარმოების მხარე, მაგრამ „მოხმარება არის წარმოება". მსჯელობის სუბიექტი, როგორც კერძო, არის პრედიკატი, როგორც ზოგადი; „კერძო არის ზოგადი" იმასაც ნიშნავს, რომ კერძო გადადის ზოგადში; ზოგადი — პრედიკატი იმას გამოთქვამს, რაც არის კერძო — სუბიექტი.

ჩვეულებრივი, ე. ი. ფორმალურ-ლოგიკური ინდუქცია ემყარება შინაარსეულ ინდუქციას (ასე ითქმის დედუქციის შესახებაც), რადგან ერთეულებიდან „ყველას" მიღება ემყარება ერთმხრიობიდან ერთიანობის მიღების აზრს. რადგან ერთეულში არის ზოგადი, ამის გამო მიიღება და უნდა მიღებოდეს ერთეულებიდან ზოგადი. ერთ ერთეულში არსებული ზოგადი მეორდება მრავალ ერთეულში, საიდანაც ცდილობენ ზოგადის მიღებას. ერთეულები ვერ მოგვცემს ზოგადს, თუ ერთეულიდან წინასწარვე გამოვრიცხეთ ზოგადი (ესაა ძველი ინდუქციის ნაკლი).

შინაარსეულ ინდუქციაში სრული აუცილებლობაა, რადგან, როგორც ვიცით, არსებობს მხოლოდ ორი სრული კერძო; მხოლოდ ორი სრული კერძოა აუცილებელი და საკმარისი მათი ერთიანობის, როგორც ზოგადის, მიღებისათვის. ორი სრული სასრული აუცილებელიცაა და საკმარისიც უსასრულობის დასადგენად, „მისაღებად"; წინააღმდეგობა, რომელიც მხოლოდ ორი მხარის მქონეა, ადგენს წინააღმდეგობის ერთიანობას.

შინაარსეული კერძოდან — „ერთეული არის ზოგადი", როგორც ვიცით, გამოდის მეორე—საპირისპირო კერძო: „კერძო არ არის ზოგადი" (ეს უარყოფითი დიალექტიკა მართლდება დადებითში). ამ დაპირისპირებიდან მიიღება მათი საფუძველი — კერძოს და ზოგადის ერთიანობა, რომელშიც ისინი მართლდებიან. სწორედ მსჯელობიდან დასკვნაში გადასვლა არის, როგორც ვიცით, შინაარსეული ინდუქცია, ინდუქცია ლოგიკურ ფორმათა კავშირში.

შინაარსეული ანუ კატეგორიალური ინდუქცია ხორციელდება კერძოდან, როგორც კატეგორიიდან ზოგადზე, როგორც კატეგორიაზე, გადასვლაში, რომელიც ერთ ერთი დასკვნის სახედ იქნა წარმოდგენილი და განხილული ზემოთ — დასკვნის ფორმაში. კერძოდან აუცილებლობით ხდება გადასვლა ზოგადზე, რადგან ზოგადის გარეშე აღებული კერძო თვითონ არის აბსოლუტური ხასიათის; ის არის ყველაფერი, ე. ი. ზოგადი. ზოგადი, რომელსაც უარვყოფთ, არის კერძო; ასეთი უარყოფაც არის კერძო — ცალმხრივი; მბო-

ლოდ კერძო კი ზოგადია. კერძოს უარყოფა ზოგადია, ამ ზოგადის უარყოფა კი კერძო. კერძო თავისი ბუნებით არის ზოგადის უარყოფა, მაგრამ ის არის ამავე დროს მისი უარყოფის უარყოფა, რომელიც ზოგადს ნიშნავს. ამიტომ კერძო გადადის ზოგადში. კერძოს და ზოგადის, როგორც ერთიმეორის უარყოფის უარყოფა, ადგენს მათ იგივეობრივს — ერთიანობას, რომელიც შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს.

უსასრულო დასკვნაში დადგენა და უარყოფა წარმოადგენენ კერძოებს, მათი აუცილებელი ერთიანობა, რომელიც უსასრულო დასკვნაში ხორციელდება, არის ზოგადი, ამიტომ უარყოფით დადგენა გვაძლევს ზოგადს; ეს არის შინაარსეული ინდუქციის სრული ფორმა.

შინაარსეული ინდუქცია გაგებული უნდა იქნეს, როგორც აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა, რადგან, როგორც ვიცით, ერთმხრიობა არის აბსტრაქტული, ერთმხრიობათა ერთიანობა კი კონკრეტულია. მაგალითად, კ. მარქსის „კაპიტალის“ მიხედვით, საქონელი გადადის ფულში, ფული კი — კაპიტალში. ეს გადასვლები აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, როგორც კერძოდან ზოგადისაკენ, გადასვლებს წარმოადგენენ. ასეთივეა მსჯელობიდან, როგორც ერთმხრიობიდან დასკვნაზე, როგორც ერთიანობაზე, გადასვლა და სხვ.

თუ შინაარსეული კერძოები აღებულია საფუძვლად, ზოგადი კი მათ შედეგად, მაშინ ადგილი აქვს შინაარსეულ ინდუქციას. ეს ინდუქცია სრული სახით უსასრულო დასკვნაში ხორციელდება. მაგრამ ასეთი ინდუქცია უკვე აღარ არის ინდუქცია, ის დიალექტიკას წარმოადგენს. შინაარსეული კერძოს და შინაარსეული ზოგადის დამოკიდებულებაში ინდუქცია წარმოდგება სრულიად თავისებურად. ასეთი ინდუქცია მის შესატყვის დედუქციას და რედუქციას ისე დაუკავშირდება, რომ ვღებულობთ დიალექტიკურ მეთოდს, როგორც დასაბუთების მეთოდს.

§ 216. შინაარსეული (კატეგორიალური) დედუქცია

ჩვეულებრივ—ფორმალურ-ლოგიკურ დედუქციაში „ყველა“-დან გამოდის „ზოგიერთი“, კლასიდან — ქვეკლასი. ამიტომ ეს გამოყვანა არის ტავტოლოგიურ-ანალიზური. შინაარსეული დედუქცია არის ერთიანობიდან ერთმხრიობის მიღება, შინაარსეული ზოგადიდან შინაარსეული კერძოს გამოყვანა; მაგალითად, წარმოებიდან მოხმარების გამოყვანა, დასკვნიდან მსჯელობის გამოყვანა და სხვ. სადა-

ოდ თვლიან მსჯელობიდან დასკვნის გამოყვანას, მაგრამ უდავოა დასკვნიდან მისი შემადგენელი მომენტების — მსჯელობების მიღება; მაგრამ ჩვენ ეს თავისებურად გვესმის, სახელდობრ, როგორც შინაარსეული ზოგადიდან შინაარსეული კერძოს მიღება, რომელიც სინთეზური ხასიათისაა.

ერთიანობიდან, როგორც საფუძვლიდან, გამოდის მისი ერთმხრიობა, რომელსაც სპეციფიკური ნიშანი აქვს, თუმცა მთელის ნიშანსაც ატარებს; ამიტომ გამოყვანა არის აუცილებელიც და სინთეზურიც; ეს გამოყვანა არის აუცილებელი სინთეზი. უნდა ითქვას კიდევ მეტი. ერთმხრიობა მთელის საპირისპირო და საწინააღმდეგოცაა, რამდენადაც ზოგადს უპირისპირდება კერძო, რომელიც მისგან გამოდის. ზოგადიდან კერძოს გამოყვანა არის საპირისპირო-საწინააღმდეგოში გადასვლა (შებრუნებული პროცესი კი ინდუქციას წარმოადგენს). საპირისპიროში გადასვლის მომენტს წარმოადგენს საპირისპიროს თავიდან მოუცილებლობა — უარყოფითი დიალექტიკა.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ დასკვნა, რომელიც ზოგადიდან, როგორც კატეგორიიდან, კერძოს, როგორც კატეგორიის, აუცილებელ გამოყვანას წარმოადგენს. აი სწორედ ამ დასკვნაში ხორციელდება კატეგორიალური დედუქცია. ზოგადისათვის აუცილებელია კერძო, ზოგადიდან აუცილებლობით გამოდის კერძო, რადგან ზოგადი, აღებული კერძოსგან დამოუკიდებლად, თვითონ არის კერძო (წარმოება თვითონ არის მოხმარება). ზოგადი, რომელიც კერძოს გამორიცხავს, არის კერძო; ზოგადი არის მისი უარყოფის — კერძოს უარყოფა, მაგრამ რადგან ის თვითონ არის კერძოც, ამიტომ კერძოს მიღება არის აუცილებელი სინთეზური; ასეთი კერძო არის ზოგადის შემცველიც (ისე როგორც პირიქით).

ის გარემოება, რომ ზოგადიდან კერძოს გამოყვანა არის საპირისპიროში გადასვლა, ნათლად აჩვენებს დედუქციის სინთეზურობას. საპირისპიროში გადასვლაზე მეტი სინთეზურობა შეუძლებელიც კია. ისე როგორც ინდუქციაში, დედუქციაშიც, სახელდობრ, შინაარსეულ თუ კატეგორიალურ დედუქციაში არსებობს უარყოფითი დიალექტიკის მომენტი, მაგრამ იგი ამ მომენტზე „მეტს“ წარმოადგენს, რადგან ზოგადიდან კერძოში გადასვლა არ არის მხოლოდ საწინააღმდეგოს თავიდან მოუცილებლობა, არამედ იგი ამ უკანასკნელის შემცველი და გამმართლებელი მთელია.

წარმოებიდან გამოდის მისი საპირისპირო მოხმარება, მოძრაობიდან გამოდის მისი საპირისპირო უძრაობა, რომელიც მოძრაობის მომენტს წარმოადგენს. ისეთი ტავტოლოგიური დასკვნიდან, როგო-

რიც Barbara-ა, აუცილებლობით უნდა გამოდიოდეს რაღაც უარყოფითი, ის უნდა შეიცავდეს უარყოფის მომენტს (თუმცა იგი ასეთს არ შეიცავს), წინააღმდეგ შემთხვევაში მასში არ უნდა არსებობდეს განსხვავებულობანი, მაგალითად, განსხვავებული ცნებები და მსჯელობები.

დასკვნიდან, როგორც კერძოს და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობიდან, გამოდის მისი ერთი მხარე. მაგალითად, „კერძო არის ზოგადი", აგრეთვე — „კერძო არ არის ზოგადი". როგორც ვიცით, შუალობითი კავშირი შეიცავს უშუალობის მომენტსაც, რომელიც აუცილებლობით გამოდის გაშუალებიდან, როგორც მისთვის ზოგადიდან. უშუალობა გაშუალების კერძო მხარეა.

როგორც ვიცით. სრული გაშუალება არის უსასრულო დასკვნა. რომელსაც ორი სრული კერძო მომენტი აქვს, სახელდობრ, დადგენა და უარყოფა, რომლებიც მათი ერთიანობიდან უშუალოდ გამოდიან, თუმცა ეს „უშუალობა" გაშუალებაცაა, რადგან გამოყვანა ხდება სწორედ საპირისპიროსი: უსასრულოდან გამოდის მისი საპირისპირო სასრული. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენიდან, ცხადია, დადგენაც გამოდის და უარყოფაც. აქ ხორციელდება სრული სახით ის, რასაც ჩვენ შინაარსეულ ანუ კატეგორიალურ დედუქციას ვეძახით.

როგორც ითქვა, შინაარსეული ინდუქცია, როგორც ერთმხრიობიდან ერთიანობაზე გადასვლა, არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა. ახლა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლას აქვს მეორე მხარეც, სახელდობრ. ის. რომ სუბიექტი, საიდანაც გამოვდივართ მისი პრედიკაციის დროს, არის აბსტრაქტული ზოგადი იმ აზრითაც, რომ ის „მომავალი" პრედიკატების ერთიანობას წარმოადგენს; ის არის ერთიანობა, რომელიც პრედიკატებით იქნება ამოწურული და ბოლოს დადგინდება როგორც კონკრეტული ერთიანობა. ამიტომ ასეთი სუბიექტისაგან გამოსვლა არის აბსტრაქტული ზოგადიდან გამოსვლა, რაც გარკვეულ დედუქციას წარმოადგენს.

§ 217. შინაარსეული (კატეგორიალური) რედუქცია

დღემდე ცნობილი რედუქციები დასკვნებს არ წარმოადგენენ. ისინი არიან შედეგის საფუძველზე მიყვანის ზოგადი მეთოდები, რომლებიც არ არიან გაფორმებული დასკვნებში. შედეგის საფუძველზე მიყვანისას აბსტრაქციით გამორიცხავენ შედეგს და ამ გამორიცხვით ღებულობენ საფუძველს; მაგალითად, ასეთია ჰუსერლის ფენომენოლოგიური რედუქცია, როგორც „ფრჩხილებში ჩასმის"

მეთოდი. მაგრამ საფუძვლის ასეთი მიღება თავის თავს ეწინააღმდეგება, რადგან გამორიცხული შედეგი საფუძველს ლოგიკურად არ უკავშირდება, ამიტომ ვერ ფორმდება დასკვნა, შუალობითი კავშირი შედეგსა და საფუძველს შორის. თუ გამორიცხულ შედეგსა და მიღებულ საფუძველს შორის ლოგიკური კავშირი დადგინდა, მაშინ გვექნება დიალექტიკა, რადგან გამორიცხულის და გამორიცხვით დარჩენილის ერთიანობა დაპირისპირებულთა ერთიანობა იქნება.

ამბობენ, რომ საფუძვლიდან შედეგის გამოყვანა და საერთოდ დასაბუთება არის შედეგის საფუძველში გამართლება. საფუძველში. მაგალითად, აქსიომებში. ყველაფერს გულისხმობენ, ამიტომ იქედან გამოყვანა იგივეა, რაც ყველაფრის მასში გამართლება (აქსიომატური მეთოდი). ასე გაგებული რედუქცია, როგორც ითქვა, არის ტავტოლოგია, წრე და არა შუალობითი ლოგიკური კავშირი.

თუ შინაარსეულ ინდუქციაში საფუძვლად გამოიყენება შინაარსეული კერძოები, საიდანაც ასკვნიან ზოგადზე, როგორც შედეგზე, შინაარსეულ რედუქციაში შინაარსეული კერძოები წარმოადგენენ შედეგს, საიდანაც ზოგადზე, როგორც საფუძველზე, გადადიან, შედეგი მიყავთ საფუძველზე. როცა დასაბუთებაში თეზისის საფუძველს ეძებენ, მაშინ სწორედ რედუქციას ასრულებენ. თეზისი არის შედეგი, რომლის საფუძვლის მონახვაც რედუქციას წარმოადგენს. თუ კი ეს „მონახვა“ არის ლოგიკური გადასვლა. ამ აზრით, შეიძლება ითქვას, რომ დასაბუთების გზა დასკვნის გზისგან განსხვავდება რედუქციულობით. დასკვნა საფუძვლიდან შედეგის მიღება უნდა იყოს, დასაბუთება კი პირიქით, შედეგიდან საფუძველზე გადასვლა. მაგრამ თუ ეს გადასვლა ლოგიკური ბუნებისაა, მაშინ ის თავისებური დასკვნა იქნება, სახელდობრ, ისეთი, რომელიც იგივე იქნება, რაც დასაბუთდება.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ მსჯელობა როგორც დანასკვი როგორც შედეგი და მსჯელობა როგორც საფუძველი; მსჯელობიდან, როგორც საფუძვლიდან, დანასკვზე გადასვლა არის ინდუქციური გადასვლა, მაგრამ მსჯელობიდან, როგორც შედეგიდან, დანასკვზე, როგორც საფუძველზე, გადასვლის აუცილებლობა არის რედუქციის აუცილებლობა. შედეგი არის სწორედ საფუძვლის შედეგი, შედეგისათვის აუცილებელია საფუძველი, შედეგის ცნება აუცილებლობით გულისხმობს საფუძველს; შედეგისათვის საფუძვლის აუცილებლობა არის სწორედ ის აუცილებლობა, რომელიც რედუქციაში უნდა განხორციელდეს.

შინაარსეული რედუქცია შესაძლებელია კატეგორიების სფეროში, რადგან ამ სფეროში შესაძლებელია და ხორციელდება ლოგი-

კური შებრუნება; აქ არა მარტო შედეგი განისაზღვრება საფუძვლით, არამედ პირიქითაც — საფუძველი განისაზღვრება შედეგით. კატეგორიებში კერძო არის საფუძველი ზოგადის, ზოგადი კი კერძოს საფუძველს წარმოადგენს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ შედეგია კერძოც და ზოგადიც. კერძოდან, როგორც შედეგიდან, ზოგადზე, როგორც საფუძველზე. ან ზოგადიდან, როგორც შედეგიდან, კერძოზე, როგორც საფუძველზე, გადასვლა ხდება რედუქციის გზით. კერძოს უარყოფით მიღებული ზოგადი არის შედეგი და ზოგადის უარყოფით მიღებული კერძოც არის შედეგი, მაგრამ ამ შედეგის უარყოფაც გვაძლევს იმას, რაც მის საფუძველს წარმოადგენს. კერძოს უარყოფის (ზოგადის) უარყოფა ხომ საფუძვლის მიღება იქნება? ასე ითქმის ზოგადის უარყოფის შესახებაც. როგორც ვიცით, ასეთი უარყოფისათვის დამახასიათებელი გაურკვევლობა, რომელიც წრიულობაში მდგომარეობს, იხსნება თვითსაფუძვლით, თვითდაბენით, რომელიც რედუქციულობას კი არ აუქმებს, არამედ მომენტად შეიცავს თავის თავში.

თუ „კერძო არის ზოგადი" მსჯელობაა, მაშინ ცხადია, რომ პრედიკატი. როგორც სუბიექტის გამოთქმა, არის საფუძველში გადასვლა, რადგან სუბიექტის საფუძველზე მიღებული პრედიკატი სწორედ სუბიექტის გამოთქმაა, საფუძველში თავისებური დაბრუნებაა. ასე ითქმის ყოველი მსჯელობის შესახებ, კატეგორიების კავშირი იქნება იგი თუ არა, ტავტოლოგიური მსჯელობა იქნება თუ სინთეზური. დედუქცია, როგორც საფუძვლიდან შედეგზე გადასვლა. ამავე დროს, არის საფუძვლის გამოსვლა შედეგში, შედეგში საფუძვლის „აღმოჩენა". ასე ითქმის ინდუქციის შესახებაც, რამდენადაც ინდუქცია მართლდება მის მიერ აუცილებლობით ნაგულისხმევ საფუძველში (მაგალითად, ბუნების ერთგვაროვნების კანონში); აგრეთვე, ინდუქციაში ხორციელდება რედუქციაც, რამდენადაც კერძოს საფუძველი არის ზოგადი, ე. ი. რამდენადაც კერძო თავის საფუძველ-ზოგადში გადადის.

კერძო და ზოგადი ერთიანობაში არიან, მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა ორივეს აზრს უკარგავს: მათ ორივეს აზრი აქვს ერთიანობაში, როგორც მათ საფუძველში; ამიტომ კერძო-ზოგადიდან, როგორც საწინააღმდეგო მხარეებიდან, აუცილებლობით მიიღება მათი ერთიანობა; ამდენად, ეს „მიღება" არის რედუქციული გადასვლა საპირისპირო კერძოებიდან ზოგადზე. ეს არის იმანენტური გადასვლა, საკუთარი თავის გამართლება საფუძველში. ჰეგელი აღნიშნავდა, რომ განსჯის განსაზღვრულობები თავიანთი ბუნებით მიდიან

თვითუარყოფამდე — უარყოფით დიალექტიკამდე. ეს კი — სპეკულაციურამდე. ეს „მისვლა“ არის საფუძველში მისვლა, რედუქცია.

უსასრულო დასკვნაში ხორციელდება დედუქცია, რამდენადაც ერთიანობიდან მისი ცალმხრიობები გამოდიან, — ინდუქციაც, რამდენადაც დადგენა-უარყოფა ერთიანობის მიღების საფუძვლად გამოიყენება, მაგრამ იქ ხორციელდება რედუქციაც, რამდენადაც ადგილი აქვს: 1) დადგენა-უარყოფიდან, როგორც შედეგიდან, ერთიანობაზე, როგორც საფუძველზე, გადასვლას, პირველის გამართლებას მეორეში; 2) რაიმეს დადგენას მისივე უარყოფით, როგორც შედეგით. თვითსაფუძველში შედეგით საფუძვლის დადგენასაც აქვს ადგილი.

დედუქციის, ინდუქციისა და რედუქციის ერთიმეორისათვის აუცილებლობა, რომელიც ზემოთ იყო განხილული, მოითხოვს მათ ერთიანობას, როგორც გამმართლებელ საფუძველს; ეს მოთხოვნა ხორციელდება ამ მეთოდებისათვის უნივერსალური მეთოდის აუცილებლობაში. ესეც თავისებურ რედუქციას წარმოადგენს. დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია კერძო ლოგიკური მეთოდებია, რომლებიც თავიანთი ბუნებით გადადიან დიალექტიკურ მეთოდში. როგორც მათ გამმართლებელ საფუძველში. ზემოგანხილული შინაარსეული მეთოდები კი უშუალოდ მოითხოვენ და გადადიან დიალექტიკურ მეთოდში, როგორც უნივერსალურ მეთოდში, რომელიც მათ მოხსნილი სახით შეიცავს, ის მათი გამმართლებელი საფუძველია.

დედუქცია, ინდუქცია და რედუქცია, როგორც ვნახეთ, საწინააღმდეგოში გადასვლებს წარმოადგენენ, ისინი ურთიერთკავშირში ქმნიან წრიულობას, რომლის გამართლება შესაძლებელია მხოლოდ თვითდადგენაში. დედუქციისათვის აუცილებელია ინდუქცია, რომლის ალბათობის მოხსნა და ამით ინდუქციის გამართლება დედუქციასაც ამართლებს. დედუქციას, ინდუქციას და რედუქციას აერთიანებს ისიც, რომ ისინი, როგორც საწინააღმდეგოში (კერძოსი ზოგადში და პირიქით) გადასვლები შეიცავენ უარყოფითი დიალექტიკის მომენტს. რომელიც დადებით დიალექტიკაში, როგორც მათ საფუძველში, მართლდება.

აქ შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ ინდუქცია, როგორც კვლევაძიების მეთოდი, და ინდუქცია, როგორც „ალბათობისგან“ განთავისუფლებული ლოგიკური მეთოდი ერთი და იგივე მეთოდს უნდა წარმოადგენდეს. მეტი ითქმის ინდუქციის, დედუქციის და რედუქციის ერთიანობის შესახებ. ეს მეთოდები, როგორც საპირისპიროში გადასვლის მეთოდები და თვითონ ამ მეთოდთა ერთიანობა, როგორც გარკვეული მეთოდი, უნდა იყოს შემეცნების მეთოდიც და

ლოგიკური მეთოდიც. დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, თუ ასეთი შესაძლებელია, უნდა შეიცავდეს ინდუქციის, რედუქციისა და დედუქციის მომენტებს. დიალექტიკური მეთოდი, როგორც ცნობილია, შემეცნების მეთოდს წარმოადგენს, ის არის აზროვნების გარკვეული წესი, რომელიც ლოგიკური წესია; თუ ის დასაბუთების მეთოდიცაა (ამის შესახებ ქვემოთ), მაშინ უზრუნველყოფილია ლოგიკის, დიალექტიკის და შემეცნების თეორიის იგივეობა.

§ 218. ანალიზი და სინთეზი

როგორც ითქვა, ზემოთ განხილული ზოგიერთი მეთოდი, იმ მეთოდის მომენტებია, რომელსაც ჰქვია დიალექტიკური მეთოდი, რაც შემდგომ იქნება განხილული. ანალიზის და სინთეზის და მათი ერთიანობის მეთოდებიც დიალექტიკური მეთოდის ელემენტებს წარმოადგენენ და სრულად იქნებიან წარმოდგენილი შემდგომ — დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, განხილვისას. აქ კი გამოვყოფთ ამ მეთოდებისათვის არსებითს, განსაკუთრებით, ანალიზის და სინთეზის ერთიმეორისათვის აუცილებლობას. როგორც ეს მოვახდინეთ სხვა კერძო მეთოდების განხილვის დროს (მთელის განხილვას ელემენტების განხილვა უნდა უსწრებდეს წინ დასაბუთების მეთოდის გარკვევის დროსაც).

მატერიალური საგნის ანალიზის თუ სინთეზის საკითხი, ცხადია, არ არის ლოგიკის საკითხი. ლოგიკა სწავლობს იმ ანალიზს და სინთეზს, რომლებიც აზრის ფორმებში — ცნება-მსჯელობა-დასკვნებში — ხორციელდება.

ანალიზი არის მეთოდი, რომელსაც რაიმე აზრიდან ის გამოყავს, რაც მასშია წინასწარ ნაგულისხმევი. სინთეზი არის მეთოდი, რომელიც რაიმე აზრს უკავშირებს იმას, რაც მასში არ არის; რაიმე აზრს უკავშირებს სხვას. ანალიზ-სინთეზის ერთიანობის მეთოდი, როგორც ამას ქვემოთ გავარკვევთ, არის რაიმე აზრიდან განსხვავებული აზრის გამოყვანის მეთოდი. პირველი ორი არის მესამის ცალმხრიობები; მხოლოდ მესამე მეთოდია დიალექტიკური ხასიათის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირველი ორი უნდა გამოირიცხოს და გაუქმდეს, არა, ცალმხრიობა მთელის ერთი მომენტია.

ანალიზი არის მეთოდი, რომელიც ტავტოლოგიურობის სფეროში გამოიყენება. ამიტომაა ანალიზური ის დასკვნები, რომლებსაც ფორმალური ლოგიკა სწავლობდა და სწავლობს. სინთეზური მეთოდი კი გამოიყენება სინთეზურ ლოგიკურში. ანალიზური მეთოდი მოითხოვს სინთეზურ მეთოდს და პირიქით — სინთეზისათვის აუცილებელია ანალიზი. ორივე მეთოდი აუცილებელია ლოგიკურ სფეროში, ამიტომ ისინი ლოგიკურ მეთოდებს (და არა მხოლოდ შემეცნების მეთოდებს) წარმოადგენენ. ამ მეთოდების ასპექტშიც ერთი და იგივეა შემეცნებითი და ლოგიკური; ამიტომაა ერთი და იგივე დიალექტიკა. ლოგიკა და შემეცნების თეორია.

ანალიზი და სინთეზი ხორციელდება მსჯელობაში, დასკვნაში, ცნებაში, დასაბუთებაში. ანალიზური და სინთეზური მეთოდები გამოიყენება და ხორციელდება აზრის ლოგიკურ ფორმებში. ანალიზური და სინთეზური მეთოდების, ანალიზ-სინთეზის ერთიანობის მეთოდის, როგორც ლოგიკური მეთოდის, გამოყენების გარეშე ლოგიკა შეუძლებელია.

მსჯელობაში პრედიკატი გამოთქვამს იმას, რასაც სუბიექტი წარმოადგენს. მსჯელობაში აღებულია სუბიექტი, რომელსაც პრედიკატი გამოთქვამს. რამდენადაც პრედიკატი გამოთქვამს სუბიექტს და სხვას არაფერს, ამდენად მსჯელობაში ადგილი აქვს ანალიზს, მასში ხორციელდება ანალიზი. მაგრამ რამდენადაც პრედიკატი განსხვავებულია სუბიექტისაგან, იმდენად მსჯელობა არის სინთეზი. მაგალითად, რამდენადაც „ძაღლი" არის „ცუგას" ნიშანი, გამოთქვამს სწორედ „ცუგას", ამდენად მსჯელობა „ცუგა არის ძაღლი" ანხორციელებს ანალიზს. მაგრამ რამდენადაც „ძაღლი" განსხვავდება „ცუგასაგან", ამდენად მსჯელობა ანხორციელებს სინთეზს. ანალიზის და სინთეზის ერთიმეორისათვის აუცილებლობა ხორციელდება მსჯელობაში. მსჯელობა არის ანალიზ-სინთეზის ერთიანობა.

ეს ასეა სინთეზურ მსჯელობაში, მაგრამ ანალიზური ანუ ტავტოლოგიური მსჯელობაც აჩვენებს სინთეზის აუცილებლობას. თუ პრედიკატი არ არის განსხვავებული სუბიექტისაგან, მაშინ მსჯელობა არის არაფრის გამოთქმა. წმინდა ანალიზურობა, როგორც წმინდა დადებითობა, არის უარყოფითობა. ამიტომ ანალიზურობისათვის აუცილებელია სინთეზურობა. წმინდა დადებითობის უარყოფითობაში

გადასვლა ეს არის საწინააღმდეგოში გადასვლა, რომელზე უფრო სრული სინთეზურობა წარმოუდგენელიც კია

ანალიზურია დასკვნა, რამდენადაც დანასკვი წინამძღვრებიდან გამოიყვანება აუცილებლობით იგივეობის საფუძველზე. თუ წანამძღვრებსა და დანასკვში არ არის იგივეობრიობა, ისე დასკვნა შეუძლებელია. რამდენადაც დანასკვში წინასწარ აღებულია წანამძღვრები და იქიდან გამოიყვანება ის, რაც მასში იგულისხმება, ამდენად დასკვნაში ხორციელდება ანალიზი. მაგრამ აუცილებელი გამომდინარეობა. რომელსაც დასკვნა წარმოადგენს, აზრს კარგავს, თუ არ ხორციელდება განსხვავებულის გამოყვანა, ამდენად, სწორედ განსხვავებულის აუცილებელი გამოყვანის გამო, დასკვნა არის სინთეზური. დასკვნა ანალიზ-სინთეზის ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომ ის არის დიალექტიკური (ისე როგორც მსჯელობაა დიალექტიკური, რამდენადაც მსჯელობაც ანალიზ-სინთეზის ერთიანობას წარმოადგენს).

ანალიზ-სინთეზის ერთიანობას წარმოადგენს ცნებაც, რადგან ცნება არის ერთი. იგივეობრივი აზრი, მაგრამ ის არის განსხვავებულ ნიშანთა ერთიანობა. ცნებაში არსებული იგივეობრიობა ანალიზურობაა, მასში არსებული განსხვავებული ერთიანობა კი სინთეზურობას, აუცილებელ სინთეზურობას, ანალიზურობის შემცველ სინთეზურობას წარმოადგენს. ასეთია ერთნიშნა ცნებაც, მაგალითად, რომელიმე კატეგორია, ვთქვათ, არსის კატეგორია, რომელიც არარსით განისაზღვრება, არარსს გულისხმობს აუცილებლობით, ისე როგორც პირიქით -- არარსი გულისხმობს არსს, და სხვ. ცნება, როგორც დასკვნის ზოგადი აზრი, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, არ შეიძლება არ იყოს ანალიზ-სინთეზურობის ერთიანობა..

ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ დასაბუთება არის ის, რომ რაიმეს გამო არის აგრეთვე სხვა. დასაბუთება შეუძლებელია, თუ საფუძველი და შედეგი ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან. დასაბუთების ტავტოლოგიურობა, როგორც ვიცით, შეცდომას წარმოადგენს. დასაბუთება არის ანალიზ-სინთეზის ერთიანობა.

შეუძლებელია გამოთქვა რაიმე, თუ ეს რაიმე არ გამოთქვი როგორც სხვა; იგივეს გამოთქმა, როგორც განმეორება, არის არაფრის თქმა; შეუძლებელია გამოთქვა რაიმე, თუ არ მოახდინე სხვადასხვაობის ერთიანობა. ამიტომ ანალიზისათვის აუცილებელია სინთეზი. ყოველი გამოთქმისათვის აუცილებელია ანალიზური, სინთეზური და მათი ერთიანობის ლოგიკური მეთოდების გამოყენება.

ანალიზის და სინთეზის ერთიმეორისაგან გამოყოფა და მათი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე, წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ თვითეული მათგანი გაგებულ იქნა როგორც ენთიმემური — მეორეს მოგულისხმე; ანალიზი სინთეზს გულისხმობს, სინთეზი — ანალიზს. თვითეული მათგანი მეორის გულისხმობის გარეშე შეუძლებელია. შეუძლებელია წმინდა ანალიზი და წმინდა სინთეზი. მხოლოდ სინთეზი, ანალიზის გარეშე აღებული სინთეზი, სხვა არაფერია, თუ არა შემთხვევითი შეერთება იმათი, რაც ანალიზურად არის გაგებული. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სინთეზი იხსნება, ის დაგვყავს ანალიზზე. მხოლოდ ანალიზი მოითხოვს საანალიზოს, რაც აუცილებლობით გულისხმობს სინთეზურობას, განსხვავებულობას, რომლის გარეშე საანალიზო არ იარსებებს და ანალიზი არ განხორციელდება. ანალიზი ხდება სინთეზურის და ანალიზით მიიღება სინთეზური. ამრიგად, აუცილებელია ანალიზ-სინთეზის ერთიანობა; ანალიზი და სინთეზი არიან ერთში (ამ ერთის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი). ანალიზი და სინთეზი ერთსა და იმავეს ერთმხრიობებს წარმოადგენენ; მათი ერთიანობა არის დიალექტიკური.

ანალიზით აზრი აქვს ანალიტიკას,[1] მარტივზე მიყვანას — დაყვანას; სინთეზით კი აზრი აქვს სინთეტიკას. სინთეტიკის პირველი ცდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კანტის ტრანსცენდენტალურ დიალექტიკაში, მარცხით დამთავრდა თვითონ კანტის ფილოსოფიაში. მაგრამ ეს ცდა გამოდგა დასაწყისად, რომელიც ფიხტემ გააგრძელა, ჰეგელმა კი დაამთავრა იდეალიზმის საფუძველზე. ნამდვილი, მეცნიერული სინთეტიკა კი შესაძლებელია მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკაში. „ანალიზისა და სინთეზის შეერთება“, მათი ერთიანობა არის დიალექტიკის ერთერთი ელემენტთაგანი.[2]

§ 219. ცნების განსაზღვრების მეთოდი

ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს უშუალოდ უკავშირდება ცნების განსაზღვრების მეთოდი. ეს მეთოდები დასაბუთების მეთოდებს წარმოადგენენ. ეს გარემოება ნათლად ჩანს ცნების განსაზღვრების მეთოდში, რომელიც ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს თავისებურად შეიცავს თავის თავში.

რომელიმე ცნების განსაზღვრება სწორედ ამ ცნების დადგენაა.

---

[1] მაგალითად, არისტოტელეს „ანალიტიკას“.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 38, გვ. 220, 221.

ამ დადგენას აქვს დასაწყისი და ბოლო. ცნების განსაზღვრების, როგორც სწორედ ცნების დადგენის, დასაწყისი და ბოლო არის თვითონ ცნების დასაწყისი და ბოლო. განსაზღვრება ხდება მსჯელობით, ის არის მსჯელობითი პროცესი (განსაკუთრებული მსჯელობაა). როგორც ვიცით, ცნების განსაზღვრების, როგორც მსჯელობის, დასაწყისი არის ცნების დასაწყისი. მსჯელობის დასაწყისი არის მისი სუბიექტი, ბოლო კი პრედიკატია, რომელიც სუბიექტს წარმოადგენს: ამიტომ მსჯელობაში დგინდება ის, თუ რა არის სუბიექტი. სუბიექტი გამოითქმება პრედიკატში; სუბიექტი არის პრედიკატი; მაგრამ პრედიკატი არის სუბიექტი იმ აზრით, რომ სუბიექტი მეტი არაფერია, ვიდრე პრედიკატი.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ სუბიექტს მხოლოდ ერთი პრედიკატი შეიძლება ჰქონდეს; არა, სუბიექტი შეიძლება გამოითქვას მრავალი პრედიკატით, რადგან ცნებას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ნიშანი. ცნების ნიშანი სუბიექტის პრედიკატია იმ მსჯელობაში, რომელშიც ცნება დგინდება.

სუბიექტიდან პრედიკატის გამოყოფა არის ანალიზი, სუბიექტისადმი განსხვავებული პრედიკატის „მიწერა" კი არის სინთეზი; ამიტომ, როგორც ითქვა, მსჯელობა თვითონ არის ანალიზ-სინთეზის ერთიანობა, რომელიც ბოლოს ადგენს ცნებას. ცნების განსაზღვრება არის ანალიზ-სინთეზის ერთიანობა, რომელიც ცნებას ადგენს.

პრედიკატი შეიძლება იყოს სუბიექტის საპირისპირო (და არა მხოლოდ განსხვავებული), მაგალითად, მსჯელობაში, „კერძო არის ზოგადი" ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი ორდება — თავის თავს უპირისპირდება და ბოლოს ვღებულობთ დაპირისპირებულთა ერთიანობას, რომლის ზოგადი აზრი, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, არის ცნება, რაც სწორედ პრედიკატების სუბიექტზე გამოთქმით — პრედიკაციით — მიიღება. ცნების დადგენა სწორედ პრედიკაციის საშუალებით, პრედიკაციის გზით სრულდება. მთელი ეს პროცესი არის ერთი ცნების დადგენის პროცესი, რომელიც იწყება ცნებით (ცნების დასაწყისით) და მთავრდება ცნებითვე (დასრულებული ცნებით). აქ დასაწყისი და ბოლო ერთი და იგივეა, უკეთ, დასაწყისი და ბოლო არის ერთისა და იმავეს დასაწყისი და ბოლო. ამდენად ცნების განსაზღვრების პროცესი წარმოადგენს წრეს, რომლის გარეშე არ იარსებებს დასრულებული ცნება, არ გვექნება საერთოდ ცნება.

მართალია, ცნება, რომელიც ახლა გვაქვს, შეიძლება შეიცვალოს, რადგან საგანი, რომლის ასახვასაც ცნება წარმოადგენს, შემდგომ უფრო ღრმად იქნას შემეცნებული, მაგრამ თუ ცნება არ არის თა-

ეისებურად, შედარებითად დასრულებული. მაშინ ის საერთოდ არ არსებობს. ლოგიკას არ ეხება ის, თუ ჩვენ ფსიქოლოგიურად როგორ ვსაქმიანობთ ცნების დადგენისათვის. როდესაც არ უნდა დადგინდეს ცნება, თუკი ის მართლაც დადგინდა, თუ კი ჩვენ გვაქვს ცნება, მაშინ ის არ შეიძლება არ იყოს დასრულებული, შეიძლება ერთი ცნება მეორის განვითარებას წარმოადგენდეს. მაგრამ ამ განვითარების საფეხურებს, როგორც გარკვეულ ცნებებს, ცხადია. რაღაც დასრულებული აზრი უნდა ჰქონდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცნებას თვალსაზრისით, არაფერი არ გვექნება.

ცნება დგინდება იმ გზით, რომ სუბიექტის ანალიზი ხორციელდება პრედიკაციით, რომელიც გრძელდება სუბიექტის ამოწურვამდე; პრედიკატები სუბიექტს უნდა ამოწურავდეს, რათა შესაძლებელი გახდეს ცნების დადგენა. სუბიექტი არის პრედიკატების ძირი, რომელიც სწორედ პრედიკატებში გამოითქმის. პრედიკატებს არ უნდა დარჩეს გამოუთქმელი სუბიექტში, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება აგნოსტიციზმი (როგორც ლოგიკური. ისე შემეცნებითი თვალსაზრისით). ეს იქნება აგნოსტიციზმი სწორედ ცნების დადგენის თვალსაზრისით. ასეთი აგნოსტიციზმი არის ცნების შეუძლებლობა. ცნების დადგენა კი ამ ლოგიკურ აგნოსტიციზმს აუქმებს.

ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს, ცხადია, ცნების და მისი დადგენის ის ბუნება, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი; ცნება არის დასკვნის ზოგადი აზრი; ცნება დგინდება მსჯელობის და დასკვნის შედეგად. ცნების განსაზღვრება (და არა სიტყვის განმარტება, როგორც ეს ნომინალისტებს, მაგალითად, კოტარბინსკის[1] ესმის) იმ ზოგადის დადგენაა, რომელიც დასკვნის ზოგად აზრს წარმოადგენს; როგორც ვიცით. ცნება სრული სახით დგინდება ერთცნებიან დასკვნაში — უსასრულო დასკვნაში. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ცნების განსაზღვრების პროცესი არის ლოგიკური აუცილებლობის ბუნების პროცესი.

ეს გარემოება კარგად ჩანს კატეგორიების ურთიერთგადასვლებში, რომლებიც ამოწურავენ იმ ცნებას. რაც კატეგორიებში, როგორც პრედიკატებში, ამოიწურება, ე. ი. ამ პრედიკატების სუბიექტს წარმოადგენს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ცნების განსაზღვრების მეთოდი, არსებითად იგივეა. რაც ლოგიკურის განსაზღვრების მეთოდი, ლოგიკურის ცნების განსაზღვრების მეთოდი.

ამგვარად გაგებულ ლოგიკურის განსაზღვრების პროცესი სხვა

---

[1] Т. Котарбинский, Избранные произведения, 1963, გვ. 627 და შემდეგ.

არაფერია, თუ არა დასაბუთების პროცესი. ლოგიკურის ცნების განსაზღვრების პროცესი არის მთელი ლოგიკა, ლოგიკის სისტემა, რომელიც დასაბუთების სისტემას წარმოადგენს. სწორედ ამ დასაბუთების მეთოდი არის ცნების განსაზღვრების მეთოდი. მაშასადამე. ცნების განსაზღვრების მეთოდი არის დასაბუთების მეთოდი. ეს დასაბუთება თავისებურია. ის არის ლოგიკური განვითარება. ცნების განსაზღვრების მეთოდი არის დასაბუთების. როგორც ლოგიკური განვითარების, მეთოდი. ამიტომ შეიძლება უმჯობესი იყოს „ცნების განსაზღვრების მეთოდის" მაგიერ ვიხმაროთ „ლოგიკურის განსაზღვრების მეთოდი" (ეს გარემოება სრულად გაირკვევა ქვემოთ. ლოგიკური განვითარების ცნების განხილვისას).

§ 220. კერძოს და ზოგადის დიალექტიკა და დასაბუთების მეთოდები

დასაბუთების ზემოთ განხილული მეთოდები, როგორც ვნახეთ. უშუალოდ ემყარებიან და წარმოადგენენ კერძოსა და ზოგადის დამოკიდებულებას, რამდენადაც. ცხადია, ამ დამოკიდებულებას ადგილი აქვს ლოგიკაში — რამდენადაც კერძო და ზოგადი ცნებებს, კატეგორიებს წარმოადგენენ.

ზოგიერთი ლოგიკოსის აზრით, კერძოსა და ზოგადის კატეგორიები სრულიადაც არ შედის ლოგიკის სფეროში. ფიქრობენ, რომ დედუქცია არ არის ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, რადგან თითქოს: 1) დედუქციური დასკვნა არის დასკვნა არა ზოგადიდან კერძოსი. არამედ დასკვნა ლოგიკის კანონების საფუძველზე. მაგრამ ლოგიკის კანონებს ექვემდებარება ყოველგვარი დასკვნა, არა მხოლოდ დედუქციური, არამედ ინდუქციურიც და სხვ. ლოგიკის კანონი და წესი ხომ ზოგადი ბუნებისაა? ამიტომ ყოველი დასკვნა დედუქციური ყოფილა; დასკვნა თუ არის დასკვნა ლოგიკის წესის საფუძველზე. მაშინ აქედან არ გამოდის ის, რომ ზოგადიდან კერძოს გამოყვანა არ არის დედუქცია, არამედ გამოდის ის, რომ ყოველი დასკვნა არის ზოგადიდან კერძოს გამოყვანა. 2) დედუქციას განმარტავენ ასე: ის არის დასკვნა, სადაც დანასკვი გამოდის წანამძღვრიდან ლოგიკურად[1], მაგრამ ეს არის არა მხოლოდ დედუქციური დასკვნა, არამედ საერ-

[1] იხ. **Ajdukiewicz**, Abriss der Logik, 1958, გვ. 158; იხ. აგრეთვე **R. Carnap**, Einfiihrung in die symbolische Logik, 1954, გვ. 20.
A: N. Prior, Formal Logic, 1962,
А. Чёрч, Введение в математ. логику, და სხვ.

თოდ დასკვნა, — საერთოდ დასკვნის გაიგივება დედუქციურ დასკვნასთან და არა დასკვნის, როგორც ზოგადიდან კერძოს გამოყვანის, უარყოფა. 3) ამბობენ, რომ დედუქციურად ჩათვლილი დასკვნები (მათემატიკაში, ფიზიკაში) ხშირად არ არიან ზოგადიდან კერძოს გამოყვანა, მაგრამ ხომ შეიძლება ეს დასკვნები იყოს სხვა სახის დასკვნები? რატომ უნდა გაუიგივდეს დასკვნა ზოგადიდან კერძოს გამოყვანას, ხომ შეიძლება კერძოდან ზოგადის გამოყვანაც იყოს დასკვნა? ხომ არსებობს შინაარსეული კერძო და ზოგადიც? ამ გარემოებას ანგარიშს არ უწევენ და ამიტომ იქმნება მრავალი გაუგებრობა. 4) ამბობენ, რომ არისტოტელეს, რომელიც ლოგიკურ მეთოდად მხოლოდ დედუქციას აღიარებდა, მოხმარებული ჰქონდა სხვა ლოგიკის კანონები, მაგალითად, მაშინ, როცა მას პირველი ფიგურის მოდუსებზე დაყავდა სხვა ფიგურის მოდუსები, მოხმარებული ჰქონდა წინადადებათა აღრიცხვის კანონები.[1] მაგრამ ეს არაფერს არ ამბობს იმის წინააღმდეგ, რომ დედუქცია არის ზოგადიდან კერძოს გამოყვანა. რადგან ამ „სხვა ლოგიკაშიც“ ხომ არის კანონები, რომელთაც ზოგადი ხასიათი აქვთ და რომლებსაც დასკვნები ემყარებიან? 5) წინადადებათა აღრიცხვაში ერთი გამოთქმიდან მეორის მიღება არ არისო ზოგადიდან კერძოს გამოყვანა; მაგრამ: ა) აქ საერთოდ არ არის საფუძვლის და შედეგის დამოკიდებულება, ადგილი აქვს მათემატიკურ დამოკიდებულებას. სახელდობრ, ფუნქციონალურ დამოკიდებულებას; ბ) წინადადებათა აღრიცხვაში კანონებისა და წესების გამოყენება არის ზოგადის გამოყენება საფუძვლად; წესები და კანონები არ შეიძლება არ იყოს ზოგადი. კანონის და წესის ზოგადობის საფუძვლად გამოყენება როგორ შეიძლება გამორიცხავდეს ზოგადიდან კერძოს გამოყვანას? 6) მართალია ის, რომ ლოგიკური ზოგადობა არ არის სიმბოლოებში, სქემებში. რომლებიც აზრებს სრულიადაც არ წარმოადგენენ. სიმბოლო არ არჩევს კერძოს და ზოგადს, რომ, როგორც ვიცით, ლოგიკური ზოგადობა კატეგორიებშია და არა სიმბოლოებში, მაგრამ ზოგადობის გარეშე არც სიმბოლოს და სქემას აქვს არავითარი მნიშვნელობა. ის გარემოება, რომ რაიმე სიმბოლო იგივეობრივი მნიშვნელობით მოიხმარება, რომ ის იგივეობრივია გარკვეულ სისტემაში, ეს უკვე არის ზოგადის გამოყენება, ამ სიმბოლოს ზოგადი აზრით მოხმარა. 7) ის გარემოება, რომ სილოგიზმის მოდუსებში ზოგადიდან ზოგადიც მი-

---

[1] Я. Лукасевич, Аристотелевская силлогистика..., 1959, გვ. 86—115.

იღება და რომ ზოგადიდან კერძოს მიღება არაა ზოგად უარყოფით მსჯელობის უკუქცევაში, არაფერს არ ლაპარაკობს ზოგადიდან კერძოს გამოყვანის წინააღმდეგ, როგორც ამას ზოგიერთი ლოგიკოსი ფიქრობს. დედუქციაში გამორიცხულია ნაკლებ ზოგადიდან უფრო მეტი ზოგადის მიღება, და არა ზოგადიდან ზოგადის ან კერძოდან კერძოს მიღება; როგორც ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, სილოგიზმი ვერ ახერხებს ზოგადიდან კერძოს მიღებას, რადგან ზოგადიდან კერძოზე გადასვლა, ეს არის საწინააღმდეგოში გადასვლა, რაც დაუშვებელია ფორმალური ლოგიკისათვის საერთოდ. თუ სილოგიზმი ზოგადიდან კერძოს მიღებას ვერ ამართლებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ შეუძლებელია ზოგადიდან კერძოს გამოყვანა. ინდუქციაც, როგორც კერძოდან ზოგადის მიღება, შეუძლებლად მიაჩნიათ. მაგრამ ის მართლდება, ინდუქციური დასკვნა ხორციელდება, როგორც ეს ზემოთ იქნა დამტკიცებული. ზოგადიდან კერძოს ან პირიქით გამოყვანა, კერძოდან კერძოს ან ზოგადიდან ზოგადის გამოყვანა, ცხადია, ემყარება ზოგადის და კერძოს დამოკიდებულებას, მის მომენტებს წარმოადგენენ და არ გამორიცხავენ მას.

კანონს და წესს ზოგადი აზრი აქვს, ამიტომ ზოგადიდან კერძოს გამოყვანა თუ ზოგადის კერძოსადმი მიყენება საფუძველია არაზოგადიდან არაზოგადის გამოყვანისაც. უარყოფითს დადებითით აქვს აზრი. ზოგადი წესის მოხმარა იმპლიკაციაში ამ უკანასკნელს უქვემდებარებს მას, მიუხედავად იმისა. რომ აქ არ არის საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება („ანტეცედენცი" არ არის ლოგიკური საფუძველი და „კონსექვენცი" არ არის მისი შედეგი). დასკვნის სქემა არის წაშლის სქემა და არა საფუძვლიდან შედეგის გამოყვანა, მაგრამ დასკვნის სქემის გამოყენება მაინც არის ზოგადის გამოყენება. კერძოს დაქვემდებარება ზოგადზე.

კერძოს და ზოგადის დამოკიდებულებას წარმოადგენს ინდუქცია, დედუქცია და რედუქცია, რომლებშიც, როგორც ვნახეთ, ხორციელდება საპირისპიროში გადასვლები. სადაც ადგილი აქვს უარყოფით დიალექტიკასაც და ამ უკანასკნელის მომენტად შემცველ დადებით დიალექტიკასაც (იხ. ქვემოთ კერძოს და ზოგადის ერთიანობის, როგორც დასაბუთების საწყისის, შესახებ).

როგორც ვიცით, ზოგადის უარყოფა კერძოს ხდის აბსოლუტურად — ზოგადად. თვითონ ეს უარყოფაც ზოგადი ხასიათისაა; კერძოს უარყოფა ზოგადს ხდის კერძოდ; ამიტომ ხორციელდება საწინააღმდეგოს თავიდან აუცილებლობა, საწინააღმდეგოში გადასვლა.

რაც ერთიანობაშია შესაძლებელი, ერთიანობაში ფუძნდება და აიხსნება.

კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, რომელიც დასაბუთების კერძო მეთოდების საფუძველია, ლოგიკაში უნდა არსებობდეს დასკვნის ფორმით, რომლის წესიც იქნება დასაბუთების უნივერსალური მეთოდი. დასკვნის ეს ფორმა, როგორც ვიცით, არის უსასრულო დასკვნა, რომლის წესი იგივეა, რაც ლოგიკურის უნივერსალური კანონი; ეს არის თვითდადგენის წესი ანუ დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკური კანონი. ამიტომ დასაბუთების უნივერსალური მეთოდი უნდა იყოს სრული დიალექტიკურ-ლოგიკური მეთოდი.

§ 221. საფუძველ-შედეგის დიალექტიკური დამოკიდებულება

ზემოთ იყო აღნიშნული, რომ საფუძველი არის კატეგორია, ამიტომ არსებობს რეალური საფუძველიც და ლოგიკური საფუძველიც; ასევე არსებობს რეალური შედეგი და ლოგიკური შედეგიც. საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება არის, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიალური დამოკიდებულება, რაც განსაზღვრავს ლოგიკურ დამოკიდებულებებს, რომლებსაც ადგილი აქვს ინდუქციაში, დედუქციაში და სხვ. საფუძველი არის განმსაზღვრელი, დამქვემდებარებელი. შედეგი კი დაქვემდებარებული, განსაზღვრულია. განმსაზღვრელი შეიძლება წინ უსწრებდეს განსაზღვრულს, მაგრამ შეიძლება მომდევნოც იყოს; მაგალითად, მსჯელობა როგორც დანასკვი წანამძღვრებით არის განსაზღვრული, დასკვნა განსაზღვრავს დადანასკვს, როგორც მის მომენტს. მაგრამ მსჯელობიდან დასკვნაში გადასვლის დროს ადგილი აქვს: 1) მსჯელობის საფუძვლად გამოყენებას, რადგან აქ ხდება კერძოდან (ერთმხრიობა) ზოგადზე (მთელზე) გადასვლა; 2) აქ დასკვნა, მართალია, მომდევნოა, მსჯელობიდან გამოდის ინდუქციურად, მაგრამ იგი მსჯელობის ამხსნელ საფუძველს — გამსაზღვრელს წარმოადგენს; მსჯელობიდან დასკვნაში გადასვლა არის შედეგის საფუძველში გადასვლა, გარკვეული რედუქცია.

საფუძველი და შედეგი, მართალია, სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც განსაზღვრავენ ერთიმეორეს; საფუძველი არის შედეგის საფუძველი, შედეგი კი სწორედ საფუძვლის შედეგია.

საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება. რომელიც კერძო ლოგიკურ მეთოდებშია განხორციელებული. არის ერთმხრივი — „სწორსაზობრივი" დამოკიდებულება, რადგან აქ ადგილი აქვს ან საფუძვლიდან შედეგებზე გადასვლას, ან პირიქით — შედეგიდან საფუძ-

ველზე გადასვლას; თუმცა აქ არის შებრუნების მოთხოვნაც. რადგან შედეგიდან საფუძველზე გადასვლა წინასწარ გულისხმობს საფუძვლიდან შედეგზე გადასვლას; მაგრამ აქ ორი გადასვლაა, რომელთაც „სწორხაზობრივი“ ხასიათი აქვთ. ინდუქცია ზოგადიდან გამოდის, ემყარება ზოგადს, თუმცა თვითონ არის კერძოდან ზოგადზე გადასვლა — კერძოზე ზოგადის დაფუძნება; ეს ორგვარი დაფუძნება განსხვავდება ერთიმეორისაგან, ორივეს „სწორხაზობრივი“ — არარეფლექსური ხასიათი აქვს; თუმცა ორივეს ერთიანობა რეფლექსურობას მოითხოვს, მაგრამ იქ არ ხორციელდება ეს რეფლექსურობა, რაც სხვაგან — სხვა მეთოდში შეიძლება და უნდა განხორციელდეს.

ერთმხრივი საფუძველი (იხ. ზემოთ საფუძვლის კატეგორიის განხილვისას „ერთმხრივი“ და „ორმხრივი“ საფუძვლის შესახებ) იძლევა საფუძველ-შედეგის „სწორხაზობრივ“ დამოკიდებულებას, რადგან ამ შემთხვევაში, საფუძველი არის მხოლოდ საფუძველი, შედეგი კი — მხოლოდ შედეგი. მართალია. „ორმხრივი საფუძვლის“ დროს ადგილი აქვს ერთგვარ შებრუნებას, რადგან ამ შემთხვევაში საფუძველი შედეგსაც წარმოადგენს. მაგრამ ეს შებრუნება მოთხოვნად რჩება. საფუძელით შედეგის განსაზღვრა და შედეგით საფუძვლის განსაზღვრა მაინც ორ „სწორხაზობრივ“ დამოკიდებულებას წარმოადგენს; მაგალითად, „ორმხრივ“ საფუძველს ადგილი აქვს კერძოსა და ზოგადის ურთიერთდამოკიდებულებაში, როგორც დაპირისპირებულთა ურთიერთგანსაზღვრაში, სადაც კერძო არის ზოგადის განმსაზღვრელი საფუძველი (ამდენად, ზოგადი არის შედეგი) და ზოგადი არის კერძოს განმსაზღვრელი საფუძველი (კერძო შედეგია); ასეთია ყოველ დაპირისპირებულთა ერთიანობაში არსებული საპირისპირო მხარეების ურთიერთდამოკიდებულება. მაგრამ თვითეული მათგანი „სწორხაზობრივი“ დამოკიდებულებაა: რაიმეს მის საპირისპიროს საფუძვლად აღება ისეთივეა, როგორც პირიქით. ეს შებრუნება აქ არ მართლდება; ის გამართლდება უფრო ზოგად დამოკიდებულებაში სახელდობრ, შინაგანი უარყოფით თვითდაფუძნებაში.

როგორც ვიცით, „უსასრულო საფუძველი“ არის დაპირისპირებულთა ერთიანობა, არა მხოლოდ ერთიანობა, არამედ სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობა. ეს არის უსასრულო დასკვნა, რომელშიც საფუძველიც არის და შედეგიც, რომლებიც ერთი მთლიანი აზრის მომენტებია, მაგრამ ისე, რომ რაიმეს უარყოფით იგივე დგინდება; ერთი და იგივეა საფუძველიც და შედეგიც, მაგრამ მათი ერთიანობა შინაგანი უარყოფით არის შესრულებული; აქ ადგილი

აქვს თვითსაფუძველსა და თვითშედეგს, ე. ი. ლოგიკურ რეფლექსიას, რომელშიაც მოხსნილ-შენახული სახით არსებობს „ორმნიშვნელოვანება“. ასე ხორციელდება საფუძველ-შედეგის დიალექტიკური დამოკიდებულება, რომლის ცალმხრიობებსაც წარმოადგენენ სხვა—კერძო დამოკიდებულებები საფუძვლისა შედეგთან; „სწორხაზობრივი“ დამოკიდებულებები განისაზღვრება „წრიულობით“, როგორც ლოგიკური რეფლექსიით, რომელიც სისრულით ხორციელდება თვითდაფუძნებაში — უსასრულო დასკვნაში.

უსასრულო დასკვნიდან უშუალოდ გამოდის: 1)შინაარსეული დედუქცია — ერთიანობას ემყარება დადგენა-უარყოფა როგორც დაპირისპირება, 2) შინაარსეული ინდუქცია—დადგენა-უარყოფის საფუძველზე მიიღება მათი ერთიანობა, 3) შინაარსეული რედუქცია, —დადგენა-უარყოფიდან, როგორც შედეგიდან, გადასვლა მათ საფუძველზე. დადგენის და უარყოფის ერთიანობა არის ზოგადობა, რომლის ცალმხრიობებსაც ისინი (დადგენა და უარყოფა) წარმოადგენენ. აქ ადგილი აქვს, როგორც ვიცით, კერძოს და ზოგადის დამოკიდებულებას, სახელდობრ, სრული კერძოების და სრული ზოგადის დამოკიდებულებას, დიალექტიკურ დამოკიდებულებას, რომელიც უსასრულო დასკვნაში წარმოდგება საფუძველ-შედეგის ისეთი დამოკიდებულებით, რომელსაც ლოგიკური რეფლექსის ხასიათი აქვს.

აქ შეიძლება აღინიშნოს ერთი გარემოება, სახელდობრ, ის, რომ უსასრულო დასკვნაში, რომელიც დიალექტიკურ-ლოგიკურის „ბირთვს“ (ლოგიკურ დაპირისპირებულთა ერთიანობას) წარმოადგენს, ადგილი აქვს საფუძვლიდან შედეგზე და პირუკუ გადასვლას, თავისებურ შებრუნებას. ეს გარემოება ლოგიკურად გამართლებულია, ის გარკვეულ დასკვნას წარმოადგენს, როგორც ეს გარკვეული გვაქვს ზემოთ—უსასრულო დასკვნის განხილვის დროს. სწორედ ეს შებრუნებადობა უნდა იყოს და შეიძლება გამოდგეს ლოგიკურ საფუძვლად იმ გარემოებებისა, რომელთა ნიადაგზე ცდილობენ დააფუძნონ მართვის ცნება კიბერნეტიკაში, სახელდობრ, როცა ცდილობენ მიზეზობრიობა, როგორც სწორხაზობრიობა, დაუკავშირონ „მიზანს“, როგორც შედეგის წინამავალზე მოქმედებას.[1] კიბერნეტიკა, ჩვენი აზრით, უნდა ემყარებოდეს არა „მიზნის“ ცნებას, არამედ უკუკავშირის, საბოლოოდ კი — თვითმოძრაობის ცნებას, რომელიც სრულიად გარკვეულად არის წარმოდგენილი მატერიალისტურ დიალექტიკაში.

---

[1] შდრ. Г. К л а у с, Кибернетика и философия, 1963, გვ. 310 და შემდ.

დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი არის დიალექტიკური მეთოდი როგორც დასაბუთების მეთოდი, დიალექტიკური მეთოდის სპეციფიკური ფორმა ლოგიკაში, ლოგიკურ დასაბუთებაში. ეს მეთოდი, როგორც ეს ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, უნდა იყოს ლოგიკურის უნივერსალური მეთოდი, უნივერსალური ლოგიკური მეთოდი. ზემოთ განხილული ლოგიკური მეთოდები ექვემდებარებიან და უნდა დაექვემდებარონ უნივერსალურ მეთოდს, რომელიც მათ მომენტების სახით—ცალმხრიობების სახით უნდა შეიცავდეს. კერძო ლოგიკური მეთოდები მართლდებიან დასაბუთების დიალექტიკურ მეთოდში.

§ 222. დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის უნივერსალურობა

ჩვენ აქ შემოვიფარგლებით იმ არგუმენტების ჩამოთვლით, რომლებიც ასაბუთებენ დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის უნივერსალურობას; ეს არგუმენტები ისეთი დებულებებია, რომლებიც უშუალოდ იგულისხმებიან ზემოთ განხილული მეთოდების შინაარსში; დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის აუცილებლობა მისი ზემოთ განხილული შედეგების ბუნებიდან გამომდინარეობს; იგი მათ გამმართლებელს და თავისებურად დამსაბუთებელს წარმოადგენს.

1) დიალექტიკური მეთოდი არის წინააღმდეგობის ერთიანობის მეთოდი; წინააღმდეგობის ერთიანობაზე უმაღლესი და მისი დამქვემდებარებელი შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია წინააღმდეგობის ერთიანობის უარყოფა, რომელიც წარმოადგენს მის შინაგან მომენტს და არა მისდამი გარედან დაპირისპირებულს; მისი უარყოფა მასვე მოითხოვს და მასვე ადგენს. თუ ფორმალურ-ლოგიკურის საზღვარი არის წინააღმდეგობა, წინააღმდეგობის ერთიანობა ამ საზღვრის გადალახვა-დაძლევაა. წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურის უსაზღვროობას (ლოგიკური აგნოსტიციზმის დაძლევას) მოასწავებს და არა ლოგიკურის ახალ საზღვარს, რომლის გადალახვაც თითქოს საჭირო იყოს; წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში ყველაფერს მოიცავს, ის არ არის ლოგიკურის ახალი შემოსაზღვრულობა, ის არის ლოგიკური უსასრულობა.

2) დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი ემყარება და ანხორციელებს ლოგიკურის კატეგორიის აზრს. ლოგიკურის კატეგორია

აზროვნების უკანასკნელი საშუალება-საფუძველია. ის არის ლოგიკურის ძირი; ლოგიკურის კატეგორიაზე უფრო ზოგადი შეუძლებელია. ლოგიკურის კატეგორიის უარყოფა თვითონ მას მოიხმარს და ადგენს, ამიტომ დიალექტიკურ მეთოდზე უმაღლესი მეთოდი დასაბუთებისა შეუძლებელია. ის არის უნივერსალური მეთოდი ლოგიკურში, დასაბუთებაში (და არა მხოლოდ დასაბუთებაში).

3) დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი არის ლოგიკურის კატეგორიის და უსასრულო დასკვნის მეთოდი. ის ლოგიკური უსასრულობა, რომელიც ამ მეთოდში არსებობს, არ შეიძლება გახდეს სასრული, რომელიც ახალი უსასრულობის მომთხოვნი იქნება, რადგან ეს უსასრულო არის სასრულის შემცველი, ის სასრულის და უსასრულოს ერთიანობაა, რომელიც არ საჭიროებს სხვა უსასრულოს; მისთვის ასეთი რამ შეუძლებელიცაა. ეს უსასრულობა არის ისეთი ზოგადი, რომელიც კერძოს შეიცავს და ამიტომ არ გადაიქცევა ისეთ კერძოდ, რომელსაც ახალი ზოგადი დასჭირდება.

4) უსასრულო დასკვნაში განხორციელებული აუცილებლობა არის უმაღლესი ლოგიკური აუცილებლობა, რომლის ერთ მხარესაც ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობა წარმოადგენს, ამიტომ დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის მიერ ნაგულისხმევი აუცილებლობის ფორმა, წესი და კანონი ერთი და იგივეა. ეს არის ლოგიკურის უმაღლესი, უნივერსალური ფორმა, წესი და კანონი.

5) წინააღმდეგობის შეუძლებლობა აუცილებლობით მიდის წინააღმდეგობის აუცილებლობამდე, უარყოფით დიალექტიკამდე. კატეგორიები, რომლებიც მოიხმარება დედუქცია-ინდუქცია-რედუქციაში, თავიანთი ბუნებით ფარდობითი არიან, ამიტომ მათი კავშირი აუცილებლობით შეიცავს უარყოფით დიალექტიკას, რომელსაც აზრი და გამართლება აქვს დადებით დიალექტიკაში, ამიტომ დადებით-დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, რომელიც მოხსნილი სახით შეიცავს უარყოფით დიალექტიკას, თვითონ არ შეიძლება დაექვემდებაროს წინააღმდეგობას, რომელსაც ახალი ერთიანობა და ხელახალი გამართლება დასჭირდებოდა.

6) როგორც ვიცით, წრიულობით ხასიათდება ინდუქცია, დედუქცია, რედუქცია და მათი ურთიერთაუცილებლობაც. ამ წრიულობის მომცველი და გამმართლებელი დიალექტიკური მეთოდი თვითონ აღარ ვარდება გამოუვალ წრიულობაში. ამიტომ მას აღარ სჭირდება მისი გამმართლებელი ახალი მეთოდი. ის უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს.

7) უსასრულო დასკვნაში, როგორც ვიცით, საფუძველი ამავე დროს შედეგიცაა, საფუძველიც დგინდება როგორც შედეგი. რაიმეს

უარყოფით მისივე დადგენა სწორედ ამ გარემოებას მოასწავებს. ამიტომ აღარ არის საჭირო კიდევ ახალი საფუძველი, როგორც ახალი გამმართლებელი საფუძველი. დასაბუთების დიალექტიკურ მეთოდში არ არსებობს უსასრულო რეგრესის საშიშროება. ამიტომ ის უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს.

8) „თუ—მაშინ"-ის გამმართლებელი საფუძველი, როგორც ვიცით, არის თვითსაფუძველი, რომელიც უსასრულო დასკვნაში ხორციელდება, და რომელიც გამმართლებელ (არა გასამართლებელ) წრიულობას, „წრებრუნვას" წარმოადგენს. ამ „წრებრუნვაში" მართლდება დასაბუთების სწორხაზობრიობა, რომელსაც გამართლება სჭირდება, მის გამმართლებელ „წრიულობას" კი აღარ სჭირდება გამართლება. შეუბრუნებადობა მართლდება შებრუნებადობაში, რომელშიც მოხსნილია აპაგოგიის მსგავსი შებრუნებადობა, და რომელიც, როგორც წინააღმდეგობის აუცილებლობის შემცველი, ახალ შებრუნებადობას არ საჭიროებს; ასეთი ახალი შებრუნებადობის შესაძლებლობაც კი წინასწარვეა უარყოფილი.

9) დასაბუთების დიალექტიკურ მეთოდში მართლდება არა მხოლოდ ფორმალურ-ლოგიკურის ერთმნიშვნელოვანება, არამედ უარყოფით-დიალექტიკურის ორმნიშვნელოვანებაც; ეს გამმართლებელი არის, ასე ვთქვათ „სამმნიშვნელოვანი" თუ „სამნიშნა", სადაც „მესამე" არის უსასრულო, ამიტომ, სწორედ ამ უსასრულობის გამო, აღარ საჭიროებს სხვა გამმართლებელს, როგორც სრულიად ზედმეტს და შეუძლებელს. ამიტომ „მრავალნიშნა" ლოგიკური შეუძლებელია. დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი უნივერსალურია.

10) დასაბუთების დიალექტიკურ მეთოდში, როგორც უსასრულო დასკვნის მეთოდში, დასკვნა უდრის დასაბუთებას, რომელიც აღარ საჭიროებს დასაბუთებას. „დასაბუთების დასაბუთება" აქაც შეუძლებელია. დასკვნის ფორმა, რომელიც ყოველგვარ დასკვნის ფორმას ამართლებს, არის უზოგადესი, ის თავის თავზე ვრცელდება, რეფლექსურია, ამიტომ მოხსნილია ასეთი რეფლექსურობის პარადოქსალურობის საშიშროება.

11) დასაბუთების დიალექტიკურ მეთოდს, როგორც უსასრულო დასკვნის მეთოდს და ფორმას, არ სჭირდება (და შეუძლებელიცაა) სხვა ფორმა. მისი ფორმა და შინაარსი, გარკვეული აზრით, ერთი მეორეს ემთხვევა. ის არის თავისებური, ასე ვთქვათ, ფორმის ფორმა.

12) დიალექტიკურ მეთოდში ადგილი აქვს უსასრულობის ბუნების მქონე გაშუალებას. ამიტომ ის არის სრული გაშუალება. სრული

გაშუალება აღარ შუალდება, ამიტომ დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი არის უნივერსალური ლოგიკური მეთოდი.

13) ლოგიკური მეთოდების ერთ-ერთი სიძნელე ყოველთვის ემყარებოდა შემეცნებითისა და ლოგიკურის განსხვავებას, აღმოჩენისა და დასაბუთების მეთოდების განსხვავებას. ინდუქციის მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, გამართლება, რომელიც დიალექტიკურ მეთოდში ხორციელდება, და ამით შესაძლებელი ხდება აღმოჩენის და დასაბუთების მეთოდების გაიგივება დასაბუთების დიალექტიკურ მეთოდში, წყვეტს პრობლემას; ამ აზრითაც დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი უნივერსალურ ლოგიკურ მეთოდს წარმოადგენს.

ამ არგუმენტების შინაარსი გვაჩვენებს იმას, რომ ისინი, როგორც ითქვა, უშუალოდ გამომდინარეობენ ზემოთ განხილული საკითხების შინაარსიდან; მაგრამ ისიც ნათელია, რომ ბევრი რამ საჭიროებს შემდეგ კონკრეტიზაცია-განვითარებას.

მაშასადამე, დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, უნდა იყოს უნივერსალური ლოგიკური მეთოდი.

§ 223. ლოგიკური დალაგების, როგორც დასაბუთების, შესახებ

ლოგიკური „დალაგება“, გადმოცემა (Darstellung, изложение) არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ ისეთი სვლა, რომელსაც დასაბუთების ხასიათი აქვს; ეს არის სინთეზურ-ლოგიკური პროცესი, მარტივიდან რთულისაკენ სვლის პროცესი, გარკვეული ლოგიკური სინთეზური კავშირი.

ფართოდ გაგებული ლოგიკური დალაგება არის ყოველი დასკვნა და დასაბუთება, მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმი არის გარკვეული ლოგიკური დალაგება, ზოგადიდან კერძოს გამოყვანა; ინდუქციური დასკვნა არის ისეთი დალაგება, სადაც ერთეული მსჯელობებიდან ზოგად მსჯელობაზე გადასვლა ხდება. აქსიომებიდან დაწყება და თეორემების დასაბუთებითი დალაგება არის და უნდა იყოს ლოგიკური აუცილებლობის მქონე გარკვეული პროცესი.

მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს ლოგიკური დალაგება, როგორც აღმავალი სვლა — განვითარება; ლოგიკური დალაგება არის აბსტრაქტულიდან, როგორც შინაარსეული კერძოდან, კონკრეტულზე, როგორც შინაარსეულ ზოგადზე, გადასვლის პროცესი. ლოგიკური დალაგება ისეთი განვითარების პროცესია, რომელსაც ლოგიკური ხასიათი აქვს. ეს ისეთი განვითარებაა, რომელიც დასაბუთებას უდრის. ფორმალურ-ლოგიკური ინდუქცია და დედუქცია, რამდენადაც ისინი ანალიზური ხასიათისაა, ამდენად, ცხადია, ლოგიკურ განვითა-

რებას არ წარმოადგენენ. თუ ინდუქცია, როგორც კერძოდან ზოგ
დზე გადასვლა, ლოგიკურად გამართლებულია, მაშინ ეს გადასვლ
იქნება „ლოგიკური განვითარება“ (ფ. ენგელსი). თუ დედუქცია არი
ზოგადიდან კერძოზე გადასვლა, რომელიც სინთეზური ხასიათისა
მაშინაც ლოგიკური განვითარება გვექნება. ზემოთგანხილული შე
ნაარსეული დედუქცია და ასეთივე ინდუქცია ლოგიკური განვითარე
ბაა. კერძოდან ზოგადზე და პირიქით გადასვლები, როგორც საწ
ნაალმდეგოში გადასვლები, ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენ
ყოველი ლოგიკური სინთეზი, მაგალითად, სინთეზური მსჯელობ
არის ლოგიკური დალაგება, რომელსაც განვითარების ხასიათი აქვ

პირველად ფიხტემ და ჰეგელმა გაუიგივეს ერთმეორეს ლოგ
კური დალაგება, როგორც განვითარება, და დასაბუთება. კატეგო
რიების დალაგება სისტემაში წარმოდგენილ იქნა როგორც დასაბუ
თების პროცესი. მართლაც, თუ ლოგიკური სინთეზურ-ლოგიკური
მაშინ ის არ შეიძლება არ იყოს ლოგიკური განვითარება. სწორე
ლოგიკურ განვითარებაში განხორციელდება სრული ლოგიკური კა
შირი. ასე გაგებული ლოგიკური დალაგების მაგალითებია ჰეგელი
„ლოგიკის“ სისტემა, როგორც კატეგორიების სისტემა, და კ. მარქს
„კაპიტალში“ განხილული კატეგორიების (საქონელი-ფული-კაპიტ
ლი) სისტემა. სწორედ ლოგიკურ დალაგებას, როგორც დასაბუთ
ბას, წარმოადგენს ის, რაც ჩვენ ზემოთ გადმოვეცით აზროვნებ
ფორმების განხილვის სახით: მსჯელობა, მისი გადასვლა უშუალ
დასკვნაში, ამ უკანასკნელის გადასვლა სასრულ შუალობით დასკ
ნებში, შემდეგ ცნებაში გადასვლა, ბოლოს ცნების გადასვლა უსა
რულო დასკვნაში სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკური დალაგებ
როგორც დასაბუთება. აზრის ლოგიკური კანონების კავშირიც ას
თია, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ.

დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, არ
ლოგიკური დალაგების წესი. აზროვნების დიალექტიკური წესი არ
შემეცნების წესიც და ლოგიკური დალაგების წესიც. აზროვნებ
დიალექტიკური წესი კვლევა-ძიების წესიცაა და ლოგიკური დალ
გების წესიც, ამიტომ ის დასაბუთების წესსაც, ე. ი. მეთოდსაც წა
მოადგენს. ლოგიკური დალაგების წესი არის დიალექტიკურ-ლოგ
კური წესი. ლოგიკური დალაგების წესი არის „ნამდვილი მოძრაობ
სათანადო წესი“ (კ. მარქსი). აქ არ არის აპრიორული კონსტრუქც
თუმცა შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იგი ასეთია[1]. ასეთი მოძრაობ
დამოუკიდებლობა მხოლოდ შედარებითი ხასიათისაა.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, I ტ., გვ. 22.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ამტკიცებენ,[1] რომ ერთადერთი მეცნიერული მეთოდი არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის ლოგიკური მეთოდი. ეს არის ნამდვილის აზრში თავისებური განმეორების — რეპროდუქციის — მეთოდი. აზროვნების გზა შეესაბამება ისტორიულს; ლოგიკური არის ისტორიულის ასახვა. ეს ასახვა არის შემეცნება, ამიტომ შემეცნების წესის და ლოგიკური წესის იგივეობა ლოგიკურის ობიექტურობას, დასაბუთების აპოდიქტურობაა ამტკიცებს, ადგენს.

კ. მარქსი გარკვეულად ასაბუთებს, რომ კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ სვლის გზა არის მცდარი გზა, იმიტომაც, რომ ასეთ შემთხვევაში კონკრეტულიდან დაწყება არის ცარიელი სიტყვიდან დაწყება, და, ასეთ შემთხვევაშიც ნამდვილად იწყებენ აბსტრაქტულიდან და გადადიან კონკრეტულზე; კონკრეტულიდან რომ დავიწყოთ, მაინც აბსტრაქტულიდან დავიწყებთ, რადგან გადასვლა ყოველთვის სინთეზურია, თუ. ცხადია, აქვს ნამდვილ და არა მოჩვენებით გადასვლას. გადასვლა უნდა მოხდეს ყოველთვის ერთმხრივიდან მრავალმხრივზე. აბსტრაქტული არის კონკრეტულის ერთმხრიობა, კონკრეტული კი არის მრავალმხრიობის ერთიანობა.

კვლევა-ძიების გზა იწყებს კონკრეტულიდან და კონკრეტულის ანალიზით და მიდის იმ აბსტრაქტულამდე, საიდანაც იწყებს ლოგიკური დალაგების გზა. ამიტომ ეს ორი გზა ერთიმეორისაგან ფორმალურად განსხვავდებიან, მაგრამ არსებითად ერთი და იგივე გზას წარმოადგენენ, რამდენადაც: 1) ორივე არის დიალექტიკური ბუნების, და 2) რამდენადაც ლოგიკური დალაგების გზაც შეიცავს ანალიზის წესს. კ. მარქსის აზრით, კონკრეტული არის ნამდვილი წანამძღვარი, საფუძველი და სუბიექტი, რომელიც ლოგიკური დალაგების გზას თუ წესს სულ მუდამ თვალწინ უნდა ედგას და მას ემყარებოდეს. ერთი და იგივე სუბიექტი, როგორც საფუძველი, გასდევს მთელ გზას, მას მისი განსაზღვრებები ამოწურავს და ამიტომ შედეგად ვღებულობთ იმ კონკრეტულს, რომლის უმარტივესი ერთმხრივობიდანაც იწყება ლოგიკური დალაგება. ეს პრედიკატები, რომელთა ზოგადობის ფორმასაც კატეგორიები წარმოადგენენ, უფრო და უფრო ღრმად გამოხატავენ სუბიექტს მისი შინაარსის ამოწურვამდე, აქ არის წესი თუ გზა ერთმხრიობიდან ერთმხრიობათა ერთიანობისკენ, სადაც

---

[1] იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", შესავალი; განსაკუთრებით თავი „პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი" და ფ. ენგელსის რეცენზია კ. მარქსის ამ წიგნზე. კ. მარქსის და ფ. ენგელსის შესაბამისი დებულებები დაწვრილებით არის გარჩეული ჩემს ნაშრომში „დასაბუთების საწყისი". აქ მათ შემოკლებით გადმოვცემ.

წინა ექვემდებარება შემდეგს, ბოლოს კი ყველაფერი — ერთს. ერთი სუბიექტის საფუძველზეა შესაძლებელი ეს კავშირ-განვითარება. ასეთი სუბიექტის უარყოფა პრედიკატებს, ასე ვთქვათ, დააბნევს, მათ დაუკარგავს აზრს (როგორც ეს მოხდის ყველას, ვინც მსჯელობის სუბიექტს უარყოფს. მაგალითად, რასელს[1]). კონკრეტული არის აბსტრაქტულის ამხსნელი, რადგან უკანასკნელი პირველის ერთმხრივობას — მომენტს წარმოადგენს (ამიტომ ამბობს კ. მარქსი, რომ „ადამიანის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებია"). კონკრეტული აბსტრაქტულის, როგორც მისი ერთიანობის, მხოლოდ ამხსნელი კი არ არის, არამედ დამსაბუთებელიც (მოხსნა-შენახვა დასაბუთებაცაა და ახსნაც). აქ ერთი და იგივე წესია შემეცნების წესიც და ლოგიკურის წესიც; ეს ერთი და იგივე არის დიალექტიკური მეთოდი, რომელიც კ. მარქსის ხელში გახდა აზრთა განვითარების ერთადერთი მართებული ფორმა (ფ. ენგელსი). ეს ფორმა არის ლოგიკური დალაგების, როგორც დასაბუთების, ფორმა, ლოგიკური განვითარების წესი, ფორმა.

აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლა არის ზოგადიდან კერძოსაკენ სვლა, რადგან აბსტრაქტული არის ზოგადი, კონკრეტული კი კერძოა, მაგალითად, კ. მარქსის „კაპიტალში" საქონელი არის ზოგადი, ფული კი არის კერძო, განსაკუთრებული საქონელი; ჰეგელის „ლოგიკაში" არსი (დასაწყისი) არის აბსტრაქტული, „ქმნადობა" კი არის „კერძო", როგორც არსის ერთ-ერთი ფორმა. მაგრამ თუ აბსტრაქტული არის ზოგადი, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს აბსტრაქტული არის კერძო, რადგან ის არის კონკრეტულის ერთმხრივობა. რომელიც შინაარსეულ კერძოს წარმოადგენს; კონკრეტული კი არის შინაარსეული ზოგადი, ამიტომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლა, ეს არის სვლა კერძოობიდან ზოგადობისაკენ, სახელდობრ, შინაარსეული ზოგადობისაკენ. ამრიგად, უნდა ითქვას, რომ აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლა, როგორც ზოგადიდან კერძოსაკენ სვლა, არის გარკვეული დედუქცია; აბსტრაქტულიდან, როგორც კერძოდან, სვლა კონკრეტულისაკენ კი არის თავისებური ინდუქცია. ორივე ეს გზა არის ერთი და იგივე გზა, ერთი და იგივე ლოგიკური დალაგების გზა, რომელშიც ინდუქცია და დედუქცია ერთსადა იგივე მეთოდს შეადგენენ. ეს მეთოდი გულისხმობს არა მხოლოდ აქ აღნიშნულ დედუქციას და ინდუქციას, არამედ ზოგადიდან ზოგადზე გადასვლასაც და კერძოდან კერძოზე გადასვლასაც. მაგრამ ისე, რომ გადასვლა ხდება: 1) აბსტრაქტული ზოგადიდან კონ-

---

[1] Б. Рассел, Человеческое познание, გვ. 118, 339.

კრეტულ ზოგადზე და 2) აბსტრაქტული კერძოდან — კონკრეტულ კერძოზე. მაგრამ აბსტრაქტული ზოგადი არის იგივე შინაარსეული კერძო, კონკრეტული ზოგადი კი არის თავისებური კერძო. ოთხივე აქ აღნიშნული გზა ერთი და იგივე გზის ასპექტებს წარმოადგენენ.

აბსტრაქტული ზოგადი კონკრეტულ ზოგადში მართლდება, რომლის მომენტსაც ის წარმოადგენს. მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოგანხილულ გადასვლაში მსჯელობიდან დასკვნაზე მსჯელობა არის აბსტრაქტული ზოგადიც და შინაარსეული კერძოც, დასკვნა კი არის კონკრეტული ზოგადი, რომელშიც მართლდება მსჯელობა, როგორც დასკვნის მომენტი; მეორე მხრივ, დასკვნა სხვა არაფერია, თუ არა სრულად წარმოდგენილი მსჯელობა, მსჯელობა კი ცალმხრივად აღებულ დასკვნას წარმოადგენს. შინაარსეული ზოგადი, როგორც საერთო ბევრი ელემენტისათვის (კ. მარქსი), არის კონკრეტული — ბევრი აბსტრაქტულის შემცველი ერთიანობა. აბსტრაქტული კი არის ერთი ზოგადი ნიშანი, რომელსაც მოცულობითი ზოგადის ბასიათი აქვს. მაგრამ, მეორე მხრივ, აბსტრაქტული ზოგადი არის შინაარსეული კერძო; ის არის ის სუბიექტი, რომელიც უნდა ამოიწუროს მრავალი აბსტრაქტული პრედიკატით, რომელთა კავშირებს გასდევს პირველი აბსტრაქტული სუბიექტი, რომელიც სრული სახით წარმოსდგება კონკრეტულ ზოგადში, როგორც მრავალმხრიობათა ერთიანობაში. ამიტომ აქ ადგილი აქვს ისეთ ლოგიკურ დალაგებას, რომელიც ლოგიკური განვითარების ბუნებისაა; ეს არის ერთი და იგივე სუბიექტის განვითარება პრედიკაციაში, რომლის ბოლოს დადგინდება ცნება, სწორედ სუბიექტის ცნება მის კონკრეტობაში (როგორც ეს ზემოთ გვაქვს განხილული სასრული დასკვნიდან ცნებაზე გადასვლის განხილვის დროს).

ლოგიკური დალაგება, როგორც აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ სვლა, ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს. იმიტომ, რომ აქ ხორციელდება ლოგიკური მოხსნა-შენახვა, სახელდობრ კონკრეტულის მიერ აბსტრაქტულის მოხსნა-შენახვა. აბსტრაქტული არის განვითარების საფეხური და კონკრეტულის მომენტი. განვითარების საფეხური მომენტის სახით შეინახება. წინაალმდეგ შემთხვევაში განვითარებას ადგილი არ ექნებოდა. კონკრეტული, როგორც ზოგადი, იქვემდებარებს აბსტრაქტულს, ის მისი ამხსნელია. კონკრეტული არის საფუძველი აბსტრაქტულისათვის, თუმცა აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე აუცილებელი გადასვლა გარკვეული საფუძვლიდან შედეგზე გადასვლაა. ამდენად აბსტრაქტული არის ინდუქციური გადასვლის საფუძველი.

აბსტრაქტულს აზრი აქვს კონკრეტულით, განვითარებით და მისი შედეგით, რადგან აბსტრაქტული კონკრეტულის მხარეს ჰქვია და მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა კონკრეტული არსებობს. კონკრეტულამდე აბსტრაქტული არ არსებობს, რადგან მანამდე არსებული აბსტრაქტული თვითონ არის კონკრეტული, მართალია, ნაკლებ კონკრეტული, მაგრამ მაინც კონკრეტული. მაგალითად, მსჯელობა კონკრეტულია, მაგრამ დასკვნაზე უფრო ნაკლებ კონკრეტული; ცნებაც კონკრეტულია, მაგრამ უსასრულო დასკვნაზე ნაკლებ კონკრეტული; ფული კონკრეტულია, მაგრამ კაპიტალზე უფრო ნაკლებ კონკრეტული; რაოდენობაც კონკრეტულია, მაგრამ ზომაზე უფრო ნაკლებ კონკრეტული და სხვ. აბსტრაქტული და კონკრეტული შედარებითი ცნებებია. არ არსებობს წმინდა აბსტრაქტული. წმინდა აბსტრაქტული რომ არსებობდეს, ისიც დამოუკიდებლად არსებული კონკრეტული იქნებოდა. არსებობს უფრო მეტად (არარაოდენობრივი გაგებით) და უფრო ნაკლებად კონკრეტული და აბსტრაქტული. ლოგიკურად შეუძლებელია წმინდა აბსტრაქტულის არსებობა, რადგან მას ყოველთვის აქვს აზრი იმით, რისგანაც ის არის აბსტრაჰირებული; ეს ისე, როგორც პირიქით — კონკრეტულს აზრი აქვს აბსტრაქტულით, მისი ერთმხრიობით, ერთმხრიობებით.

აბსტრაქტულის და კონკრეტულის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება იმას მოასწავებს, რომ ამ დამოკიდებულებაში ხორციელდება ერთი და იგივე, რაც დასაწყისში ცალმხრივად არის წარმოდგენილი, ბოლოს კი სრულად. ლოგიკურ დალაგებაში ამოსავალი, შუა და ბოლო ერთი და იგივე სუბიექტია. ის, რაც დასაწყისში მარტივია, ბოლოს სრული სახით წარმოდგება. პრედიკაცია ამოწურავს სუბიექტს და დგინდება ცნება. ლოგიკური დალაგება, როგორც განვითარება, ცნების განსაზღვრების პროცესია (როგორც ეს ზემოთ აღინიშნა და შემდგომ კიდევ უფრო იქნება ნათელყოფილი). ასეთია საგნის განვითარებაზე — ისტორიაზე დამყარებული მისი (საგნის) ცნების განვითარება, — როგორც შემეცნების ისე ლოგიკური განვითარება. ასეთია ლოგიკურის ცნების განვითარება, ლოგიკურის განვითარება მის ფორმებში: მსჯელობა, სასრული დასკვნა, ცნება, უსასრულო დასკვნაში. როგორც ვიცით, ცნების ამოწურვის გარეშე, ცნება არ დადგინდება, არ გვექნება. ასევე — ლოგიკურის ამოწურვის გარეშე არ გვექნება ლოგიკური. როგორც ზემოთ გაირჩა: 1) ლოგიკურის კანონის აზრი დაიწყო იგივეობის კანონით და ამოიწურა წინააღმდეგობის ერთიანობის ანუ თვითდადგენის კანონით; 2) ლოგიკურის განვითარება დაიწყო მსჯელობით და ამოიწურა უსასრულო დასკვნით, რამდენადაც რაიმეს განვითარება ამოწურავს მას, ამდე-

ნად ეს განვითარება წარმოადგენს წრეს, „წრებრუნვას“. თუ გვაქვს უსასრულო განვითარების ცნება, მაშინ ამ ცნებაში დაჭერილია ის, თუ რა არის უსასრულო განვითარება. უსასრულო განვითარების ცნება არც მაშინ გვექნება, თუ არ ვიცით ის, თუ რა არის უსასრულო განვითარება, ე. ი. თუ არ გვაქვს მისი ცნება, და არც მაშინ, თუ არ არის უსასრულო განვითარება. უსასრულო განვითარების შეუძლებლობის დროს არც მისი ცნება გვექნება. უსასრულო განვითარების ბუნების გაგება გვაძლევს მის ცნებას.

კვლევა-ძიების წესი, შემეცნების წესი, როგორც ვიცით, არის ახლის მიღების წესი, რაც, ამავე დროს, ლოგიკური აუცილებლობის წესიც უნდა იყოს. ამას მოითხოვს ლოგიკური დალაგების, როგორც დასაბუთების, ზემოთ განხილული ცნება. ლოგიკური დალაგება არის დასაბუთება, სადაც ახლის მიღება-აღმოჩენა ხდება, მაგრამ ეს უკვე, ამავე დროს, არის შემეცნებაც. საბედნიეროდ, ის, რაც არსებითია ცოდნისათვის. ცოდნის ელემენტების ლოგიკური კავშირი არის ერთი და იგივე შემეცნებისათვის და ლოგიკურისათვის. ახლის მიღება ცოდნაში არის სინთეზურობა ლოგიკურში. ზემოთ განხილული მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა, ეს არის ლოგიკური გადასვლა, რომელშიც შემეცნებაც არის განხორციელებული. როგორც ვნახეთ, მსჯელობა ანტინომიურია, რომლის გადაწყვეტა აუცილებლობით გვაძლევს დასკვნას, მაგრამ ეს გადაწყვეტა არის მსჯელობის გაგებაც. ასე ითქმის ზემოთ განხილული სხვა გადასვლების შესახებაც.

ლოგიკური დალაგება, როგორც აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა, რომელიც განვითარებას წარმოადგენს, როგორც აღინიშნა, მოიცავს დედუქციას, ინდუქციას და რედუქციას. აბსტრაქტული მარტივი, საიდანაც ლოგიკური დალაგება იწყება, არის იმ სუბიექტის დასაწყისი, რომელიც პრედიკატებით უნდა იქნას ამოწურული; ეს სუბიექტი დასაწყისში არის აბსტრაქტული ზოგადი ანუ შინაარსეული კერძო, რომელიც გადადის კონკრეტულში; ეს გადასვლა საფეხურებით ხორციელდება, სანამ არ მივიღებთ იმავე სუბიექტს კონკრეტული სახით, მრავალმხრიობის ერთიანობის სახით. ეს განვითარება არის „ინდუქცია“, რადგან აქ ადგილი აქვს კერძოდან ზოგადზე გადასვლას; იგი არის „დედუქციაც“, რადგან პროცესი იწყება აბსტრაქტული ზოგადით; ის არის რედუქციაც, რადგან გადასვლა ხდება ამზსნელ საფუძველში. ამ მეთოდების შემცველი ერთიანი პროცესი, როგორც ლოგიკური დალაგება, წარმოადგენს განვითარებას. მაგრამ საკითხავია, თუ როგორ ხდება, რა საშუალებით, რომელი

მეთოდით ხორციელდება ეს გადასვლები, განვითარებითი გადასვლა. როგორ არის შეუძლებელი ლოგიკური დალაგება, როგორც აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა?

§ 224. ანალიზ-სინთეზის ერთიანობის მეთოდი

ლოგიკური დალაგების პროცესი, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა ხორციელდება ანალიზ-სინთეზის ერთიანობაში; ანალიზის საშუალებით სრულდება სინთეზი, აუცილებლობით ხორციელდება სინთეზი.

ანალიზურობაში არ ხორციელდება გაშუალება, აქ გამორიცხულია სხვაზე გადასვლა, როგორც ეს მითითებული იყო ზემოთაც. ანალიზურობა. ანალიზი ემყარება იგივეობის პრინციპს. ანალიზი არის რაიმეს დამოკიდებულება თავის თავთან; ეს არის უშუალობის დამოკიდებულება. ანალიზის დროს (არა საგნის ანალიზი. როგორც დაშლა, რომელიც ლოგიკას არ ეხება, არამედ რაიმე საგნის შესახებ აზრის ლოგიკური ანალიზი) აღებულია რაღაც, როგორც წინასწარმოცემული, და გამოთქვამენ იმას, რასაც ის წარმოადგენს; მაგალითად, სუბიექტში ნაგულისხმევი გაგებულია როგორც ამ სუბიექტის პრედიკატი, დანასკვი გაგებულია როგორც წანამძღვრებში არსებული და სხვ. რაიმე აზრის ანალიზი არის ამ აზრის განსაზღვრებების თუ განსაზღვრულობების დადგენა და მეტი არაფერი. განსაზღვრულობები მიიღება არა გაშუალების გზით, არამედ უშუალოდ; განსაზღვრულობები თუ განსაზღვრებები არის განსასაზღვრში უშუალოდ. ამიტომ ხშირად ამბობენ, რომ განსაზღვრება (დეფინიცია) არის ანალიზური. ანალიზი არის რაიმე მოცემულის იმანენტური განსაზღვრულობების დადგენა. კანტის წინა რაციონალისტების აზრით. შედეგი მიზეზში იგულისხმება ანალიზურად, მიზეზიდან შედეგი ანალიზურად გამოდის, ისე როგორც ლოგიკური საფუძველიდან შედეგი გამოიყვანება ანალიზურად.

ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს (და ასეც იყო გაგებული) განმეორებას, მაგალითად, საფუძვლის შედეგში განმეორებას. მიზეზის მოქმედებაში განმეორებას, სუბიექტის პრედიკატში განმეორებას და სხვ. ანალიზი არ მიდის მოცემულის იქით, ის მოცემულის სფეროში რჩება. ამიტომ იგი ემყარება მხოლოდ იგივეობას, ტავტოლოგიურობას და წარმოადგენს მას. თანამედროვე ფორმალური ლოგიკა მხოლოდ ასეთ ანალიზს აღიარებს, მისთვის (მაგალი-

თად, მათემატიკური ლოგიკისათვის) მიუღებელია სინთეზურობა, რომელიც აუცილებლად შინაარსეული ხასიათისაა.

ანალიზი არის რთულის მარტივზე დაყვანა; ანალიზი არის კონკრეტულის აბსტრაქტულ ზოგადზე დაყვანა თუ მიყვანა. რაიმე ცნების ანალიზი მის აბსტრაქტულ განსაზღვრებებს ადგენს. კონკრეტულის ანალიზი გვაძლევს აბსტრაქციას. რაიმეს ანალიზი ადგენს იმას, რასაც ეს რაიმე წარმოადგენს. ანალიზი არის იმის დადგენა, რაც არის რაიმე, რაიმეს ანალიზი ამ რაიმეს სფეროს არ სცილდება.

მართალია, ანალიზი არ სცილდება საანალიზოს, იმას, რის ანალიზიც ხდება, მაგრამ ანალიზი, როგორც რაიმეს განსაზღვრულობების დადგენა, უკვე არის ამ რაიმეში არსებული სინთეზურობის დადგენა. რაიმეში განსხვავებულობის დადგენა იმას ნიშნავს, რომ რაიმე მისი განსხვავებულობის სინთეზურ ერთიანობას წარმოადგენს. ანალიზით ხდება განსხვავებულობის დადგენა; განსაზღვრება სხვასთან კავშირშია, იმ სხვასთან, რომელიც იმავე რაიმეშია, რის განსაზღვრებაც ხდება, მაგრამ სხვადასხვაობის შინაგანი კავშირი არის სწორედ ის, რასაც სინთეზი ჰქვია. ანალიზი უშუალოდ გადადის სინთეზში, ხორციელდება მათი ერთიანობა.

ანალიზი შეიძლება მხოლოდ იმისი, რაც სინთეზურია. ანალიზი შესაძლებელია სინთეზურში და სინთეზურის საფუძველზე. ანალიზის საშუალებით აბსტრაქტულის მიღება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს საანალიზო კონკრეტული, რომელიც თავისი ბუნებით სინთეზურია. კონკრეტულის, სინთეზურის გარეშე ანალიზი შეუძლებელია. ანალიზმა უნდა მიატოვოს სინთეზური, მაგრამ თუ მართლაც მიატოვა, მაშინ ის შეუძლებელი იქნება. ანალიზმა უნდა მიატოვოს კონკრეტული და გადავიდეს აბსტრაქტულზე, მაგრამ ასეთი „მიტოვება“ და „გადასვლა“ მისსავე უარყოფას ნიშნავს, ე. ი. ქმნის გამოუვალ წინააღმდეგობას. ანალიზი აზრს ჰკარგავს სინთეზის და სინთეზურის გარეშე.

თუ რაიმეს ანალიზი ამ რაიმეს არ სცილდება, სინთეზი სწორედ სხვასთან კავშირს წარმოადგენს. სინთეზი სხვადასხვაობის ერთიანობაა. თუ ანალიზს გავიგებთ, როგორც ერთეულიდან ზოგადზე ასვლას, მაშინ სინთეზი იქნება ზოგადიდან ერთეულზე გადასვლა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ზოგადი ერთეულში არსებობს. ანალიზი ერთეულში აღმოაჩენს ზოგადს, სინთეზი კი ზოგადში ადგენს ერთეულს. მაგრამ ერთეულიდან ზოგადზე (აბსტრაქტულ ზოგადზე) გადასვლა თვითონ არის სინთეზი, ეს არის საპირისპიროში გა-

დასვლის სინთეზი. ამრიგად, ანალიზი თავისი ბუნებით არის სინთეზური.

სინთეზი ადგენს რაიმეს, მაგალითად, ლოგიკურის მომენტებს; სინთეზის საშუალებით ხორციელდება განვითარება, ერთი და იგივე მომენტების კავშირ-ერთიანობა, მაგრამ სწორედ ერთი და იგივეს განვითარება, ე. ი. სინთეზი ხორციელდება ანალიზის საფუძველზე. კ. მარქსის „კაპიტალში“ საქონლის ანალიზი გვაძლევს ფულს, ფულის ანალიზი კი — კაპიტალს, მაგრამ ეს უკვე არის სინთეზის განხორციელება. როგორც ვნახეთ, მსჯელობის ანალიზი მიდის სასრულ დასკვნამდე, რის ანალიზიც გვაძლევს ცნებას, ცნების ანალიზით კი უსასრულო დასკვნაზე გადავდივართ. ანალიზით ხორციელდება სინთეზი, სახელდობრ, აუცილებელი სინთეზი, რაც შეუძლებელია იგივეობის, ანალიზურობის გარეშე. სინთეზური დასკვნა არის დასკვნა მხოლოდ მაშინ, თუ ის იგივეობას შეიცავს. თუ ის არის, ამავე დროს, ანალიზურიც. დასკვნა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის არის ანალიზ-სინთეზის ერთიანობა.

ისე როგორც ანალიზი შეუძლებელია სინთეზის გარეშე, ასევე სინთეზურიც შეუძლებელია ანალიზის გარეშე. სინთეზი აუცილებელია, აუცილებლობით არის განხორციელებული მხოლოდ მაშინ, თუ ის ანალიზს შეიცავს.

თუ ანალიზი არის უშუალობა, სინთეზი არის შუალობა. გაშუალება. ცნების განსაზღვრება არის იმის დადგენა, რასაც ცნება წარმოადგენს, ეს არის ანალიზურობა, უშუალობის სფეროში დარჩენა. მაგრამ ცნების განსაზღვრება არის (როგორც ვიცით) კერძის და ზოგადის აუცილებელი ერთიანობის დადგენა, ე. ი. ის სინთეზურია. აუცილებელი სინთეზია. ასეთივეა ცნების გაყოფაც, რადგან ეს ოპერაცია ადგენს ცნების სახეებს, რომლებშიც მოქმედებს გამომრიცხავი „ან-ან“, მათ ერთიანობას კი წარმოადგენს გასაყოფი ცნება. ამრიგად, აქაც გვაქვს ანალიზურის და სინთეზურის, უშუალობის და შუალობის ერთიანობა.

დასაბუთება სხვა არაფერია, თუ არა აუცილებელი გაშუალება. ამიტომ დასაბუთება არის ანალიზ-სინთეზის ერთიანობა, განსაზღვრულობათა ურთიერთშუალობითი აუცილებელი კავშირის განხორციელება. მაშინაც კი, როცა დასაბუთება ესმით როგორც ანალიზური, მიმართავენ გარეგან — სხვა საფუძველს, ე. ი. მოითხოვენ სინთეზის განხორციელებას. სინთეზურობაში კი ექცევა საფუძველიც და შედეგიც, ორივე შინაგანი ხდება. დასაბუთება, როგორც ანალიზ-სინთეზის ერთიანობა, არ შეიძლება არ იყოს დიალექტიკური, რად-

გან ანალიზ-სინთეზის ერთიანობა არის დაპირისპირებულთა ერთიანობა.

ის გარემოება, რომ, მაგალითად, მსჯელობა არის ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობა, რომ პრედიკატი სწორედ სუბიექტის აზრობრივი გამოთქმაა და, ამავე დროს, ეს არის სუბიექტის დადგენა სხვად (კერძოს დადგენა ზოგადად), ვ. ი. ლენინს დიალექტიკის ერთ-ერთ განსაზღვრებად მიაჩნდა. სწორედ აქედან გამოყავს ვ. ი. ლენინს დიალექტიკის ელემენტები. სახელდობრ, სამი ელემენტი (რომლებიც გაშლილი სახით თექვსმეტ ელემენტად წარმოსდგება): 1) ცნების განსაზღვრება თავის თავიდან, 2) წინააღმდეგობრიობა რაიმეში, 3) სინთეზის და ანალიზის ერთიანობა[1]. შეიძლება ითქვას, რომ სინთეზ-ანალიზის ერთიანობა აერთიანებს წინააღმდეგობას და ცნების განსაზღვრებას თავის თავიდან. რომ რაიმეს განსაზღვრება სწორედ იმის დადგენაა, რაც ის არის, ანალიზურობას წარმოადგენს; ამ რაიმეში წინააღმდეგობის დადგენა (მაგალითად მსჯელობაში კერძოს და ზოგადის წინააღმდეგობის დადგენა) სინთეზურობაა; ორივეს ერთიანობა კი სინთეზ-ანალიზის ერთიანობას წარმოადგენს.

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ სინთეზ-ანალიზის ერთიანობის მეთოდი არის დაპირისპირებულთა ერთიანობის, ე. ი. დიალექტიკური მეთოდი. მაგრამ ეს მეთოდი მხოლოდ მსჯელობის ლოგიკური მეთოდი კი არაა, ის მხოლოდ მსჯელობის ლოგიკურ ფორმაში განხორციელებულ მეთოდს კი არ წარმოადგენს, არა, ის არის საერთოდ ლოგიკურის მეთოდი, ყველა ლოგიკური ფორმის მეთოდი, ყველა ლოგიკურ ფორმაში განხორციელებული მეთოდი, რადგან მსჯელობისათვის დამახასიათებელი მტკიცება-უარყოფა მოქმედებს დასკვნაში და მტკიცება-უარყოფის გზით სრულდება დასაბუთება. ანალიზ-სინთეზის ერთიანობის მეთოდი არის დიალექტიკურ-ლოგიკურის მეთოდი. დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობის მეთოდია. ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობა ამ მეთოდის არსებას წარმოადგენს.

§ 225. უშუალობა-შუალობის ერთიანობის მეთოდი

დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი, როგორც ანალიზ-სინთეზის ერთიანობის მეთოდი, უშუალოდ არის უშუალობა-შუალობითობის ერთიანობის მეთოდი (ეს მეთოდები არაა კერძო ლოგიკური

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 220, 221.

მეთოდები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ; არა, აქ არის ერთი და იგივე — დიალექტიკური მეთოდის, როგორც დასაბუთების მეთოდის, დახასიათება, მისი სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა, სხვადასხვა ასპექტით განხილვა. დიალექტიკური მეთოდის ჰეგელიანური გაგება გაკრიტიკებული გვაქვს შრომაში „დასაბუთების საწყისი“, ამიტომ ამ კრიტიკას აქ არ ვიმეორებთ).

უშუალობა-შუალობითობის ერთიანობის მეთოდი იგივე სინთეზ-ანალიზის ერთიანობის მეთოდია, რომელიც გამოთქმულია უშუალობის და შუალობის კატეგორიებით. ანალიზი, როგორც ითქვა, უშუალოს სფეროს არ სცილდება; უშუალობის სფეროს გარედ გასვლა, მისი დაძლევა არის შუალობითობა. უშუალოს ანალიზით დგინდება სხვა, რომელიც პირველის (უშუალოს) განსაზღვრულობაა, ე. ი. იხსნება უშუალობა და დგინდება შუალობითობა, რომელიც უშუალობის შემცველია; ეს არის მათი ერთიანობა. ანალიზ-სინთეზის ერთიანობა არის უშუალობისა და შუალობითობის ერთიანობა. მსჯელობის სუბიექტი, აღებული უშუალოდ, გამოითქმება პრედიკატში, მაგრამ პრედიკატი განსაზღვრავს სუბიექტს, პრედიკატი არის სუბიექტის განსაზღვრულობა, ე. ი. სუბიექტი პრედიკატით არის გაშუალებული. დასკვნა, როგორც შუალობითი კავშირი, არის უშუალობის და შუალობის ერთიანობა. რადგან მსჯელობა, როგორც დასკვნის ელემენტი, არის უშუალო კავშირი დასკვნით კავშირთან შედარებით და თვითონ დასკვნაც, როგორც დასრულებული მთელი, არის უშუალო. დასკვნა არის ერთიანი აზრი, რომელიც თავის შიგნით არის გაშუალებული. თუ დასკვნა წარმოდგენილია ერთეულის, განსაკუთრებულის და ზოგადობის ერთიანობის სახით, მაშინ, როგორც ვიცით, ის არის ამ კატეგორიების შუალობითი კავშირი: 1) ერთეულის კავშირი ზოგადთან განსაკუთრებულის საშუალებით. 2) განსაკუთრებულის კავშირი ზოგადთან ერთეულის საშუალებით, ან 3) ერთეულის კავშირი განსაკუთრებულთან ზოგადის საშუალებით. თვითონ კატეგორიული სილოგიზმი სხვა არაფერი არ უნდა იყოს, თუ არა ერთეულის ზოგადთან კავშირი განსაკუთრებულის საშუალებით (მცირე ცნების დიდ ცნებასთან კავშირი საშუალო ცნების საშუალებით).

დედუქციას აზრი აქვს იმით, რომ ის არის და უნდა იყოს ზოგადის კერძოსთან შუალობითი კავშირი. ინდუქციაც შუალობითი კავშირია კერძოსი ზოგადთან. ასე ითქმის რედუქციის შესახებაც. გაშუალება, როგორც ვიცით, ეს არის განსაზღვრება, მაგალითად, კერძოს განსაზღვრება ზოგადით, ან პირიქით; საფუძვლის განსაზღვრება შედეგით ან პირიქით და სხვ.

ისიც ვიცით, რომ სრული გაშუალება ხდება მაშინ, როცა საქმე გვაქვს შინაგან უარყოფასთან, სახელდობრ, რაიმეს უარყოფით ამავე რაიმეს დადგენასთან — უსასრულო დასკვნასთან, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობასთან ანუ როგორც შინაგანი უარყოფით თვითდადგენასთან, რომელიც მოქმედებს ყოველ სინთეზურ კავშირში, რადგან ასეთი კავშირისათვის აუცილებელია შინაგანი უარყოფა. უსასრულო დასკვნაში უარსაყოფი რაიმე არის უშუალო, მისი უარყოფა და ამ უარყოფით მისივე დადგენა სრული გაშუალებაა; ამიტომ ეს დასკვნა არის სრული შუალობითი კავშირი, უშუალოს და შუალობის სრული ერთიანობა. ეს სისრულე იმაში მდგომარეობს, რომ წინააღმდეგობა ამოწურავს სასრულის ბუნებას და ადგენს უსასრულოს, რომელიც შეიცავს სასრულს, მაგრამ თვითონ არ არის სასრული. ამიტომ მასზე უმაღლესი შეუძლებელია. რადგან ლოგიკური კავშირები ყოველთვის სინთეზურია, ამიტომ მათში ხორციელდება უნივერსალური ლოგიკური მეთოდი, როგორც შუალობა-უშუალობის ერთიანობის მეთოდი.

შუალობა-უშუალობის ერთიანობის უმაღლესი და უზოგადესი ფორმა არის შინაგანი უარყოფით თვითდადგენის ფორმა, უსასრულო დასკვნის ფორმა.

წინააღმდეგობის შეუძლებლობა ანალიზურობის და უშუალობის ბუნების გამოხატულებაა, წინააღმდეგობის ერთიანობა კი სინთეზურობის და შუალობითობის ბუნებას სისრულით წარმოადგენს. ისიც გარკვეული გვაქვს, რომ პირველი მეორის აუცილებელი მომენტია.

სინთეზურ-ლოგიკური ყოველთვის კონკრეტულია. ყოველი კონკრეტული ლოგიკური არის შინაგანად გაშუალებული, ე. ი. ის არის ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობა ანუ უშუალობის და შუალობის ერთიანობა. ეს არის დამახასიათებელი საერთოდ დიალექტიკურ-ლოგიკურისათვის. „დიალექტიკური ლოგიკა ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს (требует того, чтобы мы шли дальше), რათა ნამდვილად გაიცნოთ საგანი, საჭიროა მოიცვათ, შეისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავშირი და „გამეშვეება“[1] (ამ ლოგიკაში გაიგივებულია დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია. ისე რომ არც ერთი ამათგანი არ არის უარყოფილი, ე. ი. დიალექტიკური ლოგიკა ისეთი ლოგიკაა, რომელიც შემეცნების თეორიასაც წარმოადგენს და ისეთი შემეცნების თეორიაა, რომელიც ლოგიკას

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 102 იხ. რუს. გამოც., გვ. 72.

წარმოადგენს). ყველაფერი გაშუალებულია, დაკავშირებულია ერთიანში, დაკავშირებულია გადასვლებით[1]; ასეა ლოგიკურშიც.

როგორც ეს უშუალობის და შუალობის ცნებების განხილვის დროს გაირკვა, უშუალობა ლოგიკური პროცესის დასაწყისიც და ბოლოც. უშუალობის მოხსნა არის შუალობითობა, რომელიც უშუალოდ წარმოდგება, მაგალითად, მსჯელობაში. დასკვნაში, ცნების განსაზღვრებაში, რაიმეს დასაბუთებაში. ამიტომ უშუალობის და შუალობის ერთიანობა (ისე როგორც ანალიზისა და სინთეზის ერთიანობა) არის გარკვეული „წრებრუნვა", გარკვეული წრე, რომელიც წარმოადგენს არა შეცდომას, არამედ სწორედ ჭეშმარიტებას, ლოგიკურ ჭეშმარიტებას (და ამავე დროს, ლოგიკურის ობიექტურობის გამო, შემეცნებით ჭეშმარიტებასაც). შუალობითობის და უშუალობის ერთიანობის მეთოდი წრიული მეთოდია. ასეთია დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი.

§ 226. ლოგიკური განვითარების მეთოდი

ის აზრი, რომელიც განხილული იყო ზემოთ ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობის და უშუალობა-შუალობითობის ერთიანობის, როგორც დასაბუთების მეთოდების, დასაბუთებისას, სისრულით წარმოდგება ლოგიკური განვითარების მეთოდის სახით. დიალექტიკური მეთოდი. როგორც დასაბუთების მეთოდი, არის ლოგიკური განვითარების მეთოდი. ეს არის ლოგიკური დალაგების მეთოდი, რომლის შესახებაც ზემოთ ზოგადად გვქონდა საუბარი. აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლის მეთოდი სრული სახით წარმოდგება ლოგიკური განვითარების მეთოდში, როგორც სწორედ დიალექტიკურ მეთოდში, რომელიც აზრის ლოგიკურ ფორმებში და დასაბუთების სისტემაში არის განხორციელებული.

როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ლოგიკური რეალურ-ისტორიულის ასახვაა, საგნის განვითარების აზრობრივ რეპროდუქციას წარმოადგენს (კ. მარქსი); კერძოდ, ლოგიკური არის შემეცნებით-ისტორიულის, შემეცნების ისტორიის ზოგადი მხარე. ასეთია ლოგიკური: 1) ჰეგელის „ლოგიკაში", რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ფილოსოფიის ისტორია მის ზოგად ასპექტში. ჰეგელის აზრით, ფილოსოფიის ისტორია იწყება პარმენიდეს მოძღვრებით არსის შესახებ; ლოგიკაც სწორედ იწყება იმ არსით, რომელსაც იკვლევდა პარმენიდე; არარსი კი თვითონ პარმენიდეს არსიდან გამოდიოდა (ჩვენი აზრით, ეს არის გორგიას არარსი); პარმენიდეს არსი თვითონ არის არარსი, გადადის არარსში. არსის და არარსის ურთიერთგადასვლა კი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 95.

არის ჰერაკლიტეს ქმნადობა და ა. შ. ჰეგელის „ლოგიკა“, როგორც კატეგორიათა ლოგიკური განვითარების სისტემა, არის ფილოსოფიის ისტორია მის ლოგიკურ ასპექტში. 2) კ. მარქსის „კაპიტალის“ სისტემა, როგორც კატეგორიების სისტემა, ეს არის ისტორია, აზრობრივად წარმოდგენილი მისი არსებითი — ზოგადი მხრივ. ისტორიაში ჯერ იყო საქონელი, შემდეგ ფული და ბოლოს კაპიტალი. ამ კატეგორიების სისტემა, როგორც განვითარება, ისტორიის ასახულობაა. ლოგიკური განვითარება ობიექტური ბასიათისაა, რადგან ის ისტორიულობის ასახვას წარმოადგენს. 3) ვ. ი. ლენინის აზრით, შემეცნების ისტორიის საკვანძო პუნქტებს[1] წარმოადგენენ კატეგორიები, რომელთა ლოგიკური სისტემა არის თვითონ ლოგიკა. რომელიც შემეცნების ისტორიას წარმოადგენს მის ზოგად ასპექტში; ამიტომ ასეთი ლოგიკა, როგორც ითქვა, შემეცნების თეორიაცაა.

ლოგიკური განვითარება, როგორც დასაბუთება, კარგად ჩანს თვითონ ლოგიკურის ცნებაში, სახელდობრ, 1) ლოგიკურის იმ ცნებაში, რომელიც ჰეგელმა გაარკვია და 2) ლოგიკურის იმ გაგებაში. რომელიც ჩვენ ზემოთ — აზრის ფორმების განხილვის დროს გადმოვეცით.

ჰეგელისათვის, მოკლედ რომ ვთქვათ[2], და როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ლოგიკურს აქვს სამი სახე თუ მომენტი; ეს არის აბსტრაქტული, დიალექტიკური და სპეკულაციურ ლოგიკური, რომელსაც ლოგიკის ისტორიაში შეესატყვისება სამი საფეხური: ფორმალურ-ლოგიკური, კანტის უარყოფითი დიალექტიკა და თვითონ ჰეგელის სპეკულაციურ-ლოგიკური. პირველი არის წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე დამყარებული ლოგიკური, მეორე — წინააღმდეგობის აუცილებლობის ლოგიკური და მესამე — წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნების მქონე ლოგიკური (ლოგიკის ისტორია სწორედ ამ სამ საფეხურს უნდა შეიცავდეს. ამგვარი ლოგიკის ისტორია ჯერ არ დაწერილა, მაგრამ მისი დაწერა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს). წინააღმდეგობის ერთი მხარის ლოგიკური, ჰეგელის აბსტრაქტულ-ლოგიკური ანუ განსჯის ლოგიკური თავისი ბუნებით გადადის წინააღმდეგობის აუცილებლობაში, ეს კი წინააღმდეგობის ერთიანობაში, ე. ი. პირველი არის მეორის მომენტი, მეორე (ე. ი. პირველიც) მესამის მომენტს წარმოადგენს. ასე რომ თვითონ ლოგიკურის ცნება არის განვითარების, სწორედ ლოგიკური განვითარების ბუნების მქონე. ამ განვითარებაში მეორე პირველს უარყოფს, მესამე კი მეო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 38, გვ. 83—84.

[2] უფრო ვრცლად ეს საკითხი გარჩეული გვაქვს ნაშრომში „დასაბუთების საწყისი“.

რეს, მაგრამ შეინახავს კიდეც. აქ ადგილი აქვს ლოგიკურ მოხსნა-შენახვას, რაც წარმოადგენს ლოგიკურ განვითარებას, რომელიც დასაბუთებაა; ლოგიკური განვითარება. რომელიც ლოგიკურის ცნებაშია, არის დასაბუთება. ლოგიკური მოხსნა-შენახვა არის შემეცნებითი ახსნაც და ლოგიკური დადგენა-გამართლებაც.

ჰეგელის აზრით, განსჯის ლოგიკური არის აზრის განსაზღვრების დამოუკიდებლად, აბსტრაქტულად აღებით მიღებული ლოგიკური, სადაც დადებითი და უარყოფითი ერთი მეორეს გარეშეა წარმოდგენილი და განსხვავებას აბსოლუტური მნიშვნელობა ენიჭება. განსჯა აფიქსირებს გარკვეულობას იგივეობის პრინციპის მიხედვით; განსჯა უარყოფს გაურკვეველობას, აღრევას. იგი აზრის განსაზღვრულობებს ერთიმეორისაგან გამოყოფს, ჩამოთვლის ერთი მეორის შემდეგ (დადებითი მსჯელობა, უარყოფითი მსჯელობა და ა. შ.). ამიტომ ლოგიკურისათვის აუცილებელია განსჯის ლოგიკური; ლოგიკური არ შეიძლება იყოს გაურკვეველი. იგივეობის პრინციპის დაცვა და გარკვეულობის დადგენა აზრის განსაზღვრულობებში ლოგიკურისათვის აუცილებელია.

საერთოდ ლოგიკურისათვის აბსტრაქტულ-ლოგიკური აუცილებელია. მაგრამ არ არის საკმარისი; აბსტრაქტულ-ლოგიკური არ ამოწურავს ლოგიკურს, ის მის მხოლოდ ერთ მომენტს წარმოადგენს. განსჯის განსაზღვრულობა, როცა იგი სისრულით არის წარმოდგენილი, მიდის თავის თავის უარყოფამდე და გადადის თავის საპირისპიროში. მაგალითად, განსაკუთრებულს დაპირისპირებული ზოგადი თვითონ არის განსაკუთრებული; ამრიგად, ლოგიკური ფართოვდება დაპირისპირებულთა აუცილებლობამდე, „დიალექტიკურ"-ლოგიკურამდე ანუ უარყოფით დიალექტიკურ-ლოგიკურამდე. ეს არის წინააღმდეგობის აუცილებლობა, მაგალითად, ზოგადისათვის კერძის აუცილებლობა. სასრულისათვის უსასრულოს აუცილებლობა, მარტივისათვის რთულის აუცილებლობა, თავისუფლებისათვის აუცილებლობის თავიდან მოუცილებლობა და სხვ. ასეთი ლოგიკური განსჯისათვის გაუგებარია. უარყოფითი დიალექტიკურ-ლოგიკური, აღებული თავისთავად, არის სკეპტიციზმის მომენტი. მაგრამ უარყოფითი დიალექტიკა არის განსჯის განსაზღვრულობის ბუნება; გადასვლა საპირისპიროში არის იმანენტური გადასვლა. დიალექტიკა ქმნის იმანენტური კავშირის აუცილებლობას. ამიტომ უარყოფითი დიალექტიკურ-ლოგიკური გადადის და მართლდება სპეკულაციურში — დადებით დიალექტიკაში, დაპირისპირებულთა ერთიანობაში. უარყოფითი დიალექტიკა შესაძლებელია დადებითი დიალექტიკით და მასში. და-

პირისპირებულთა ერთიანობა აზრში არის სრული კონკრეტული ლოგიკური. ამრიგად, ლოგიკურის მომენტების კავშირი არის განვითარებითი კავშირი, განვითარება, რომელიც დასაბუთებას წარმოადგენს.

ჰეგელის შეცდომა ის იყო, რომ ლოგიკური წარმოადგინა, როგორც აბსოლუტი, ღმერთი; ლოგიკური გაახვია მისტიკურ გარსში. მაგრამ მისი აზრი იმის შესახებ, რომ ლოგიკურში ხორციელდება წინააღმდეგობის ერთიანობა, რომ ლოგიკური არის დიალექტიკური ბუნების და რომ ლოგიკური განვითარებას, სახელდობრ, დასაბუთების ბუნების მქონე განვითარებას წარმოადგენს, უსათუოდ „რაციონალური მარცვალია“ მის მოძღვრებაში. ამ გარემოებას მატერიალისტურმა დიალექტიკურმა ლოგიკამ აუცილებლად უნდა გაუწიოს ანგარიში.

ჩვენი აზრით, ისტორიულად ადგილი ჰქონდა და არსებობს სასრული ლოგიკური და უსასრულო ლოგიკური. მაგრამ ისე, რომ პირველი მეორის მომენტს წარმოადგენს. სასრული ლოგიკურის ცალკე წარმოდგენა შესაძლებელია და ამიტომ არსებობდა და არსებობს ფორმალური ლოგიკა, რომელიც სწორედ სასრულ ლოგიკურს შეისწავლის, მაშინ როცა სასრული ლოგიკური არის ერთი მხარე დიალექტიკურ ლოგიკურის, როგორც უსასრულო ლოგიკურის. უსასრულო ლოგიკური არის დადებით-დიალექტიკურ ლოგიკური, რომელიც მომენტებად შეიცავს ფორმალურ-ლოგიკურსაც და უარყოფით დიალექტიკურსაც; სასრული ლოგიკური მოიცავს ფორმალურ-ლოგიკურს და უარყოფით-დიალექტიკურ-ლოგიკურს, რომლის ცალკე წარმოდგენა, მისი დამოუკიდებელი სახით არსებობა შეუძლებელია, რადგან ასეთი რამ გვაძლევს არა ლოგიკურს, არამედ სოფისტიკურს, რომელიც ლოგიკურის დარღვევას, აღრევას წარმოადგენს (არისტოტელეს ლოგიკა სწორედ სოფისტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოყალიბდა; სოფისტიკას საბოლოოდ სძლევს მხოლოდ დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც შეისწავლის დადებით დიალექტიკურ-ლოგიკურს, რაც უარყოფითი დიალექტიკის დაძლევას — მოხსნა-შენახვას წარმოადგენს).

როგორც ვიცით, სასრული არის ის, რაც არის ეს და არა სხვა; ეს გარემოება უშუალოდ გამოიხატება მსჯელობაში; უსასრულო ლოგიკურს კი გამოხატავს უსასრულო დასკვნა, რომლის ერთ მხარესაც სასრული ლოგიკური წარმოადგენს (ამიტომ ფორმალური ლოგიკა არის მსჯელობის ლოგიკა, დიალექტიკური ლოგიკა კი უსასრულო დასკვნის ლოგიკას წარმოადგენს. ფორმალური ლოგიკა დიალექ-

ტიკურ-ლოგიკურის ერთ მხარეს შეისწავლის). ფორმალურ-ლოგიკური არის ერთმნიშვნელოვანი ლოგიკური. დადებით დიალექტიკურ-ლოგიკურის ერთ მომენტს შეადგენს ერთმნიშვნელოვან-ლოგიკური. ფორმალური ლოგიკისათვის შესაძლებელია მხოლოდ ერთმნიშვნელოვან-ლოგიკური. ერთმნიშვნელოვან ლოგიკური არის ანალიზური ხასიათის. რადგან იგი არ სცილდება რაიმე განსაზღვრულობის ფარგლებს. სწორედ ამიტომ ფორმალური ლოგიკისათვის დადებითი მხოლოდ დადებითია, უარყოფითი კი — მხოლოდ უარყოფითი: შეუძლებლად არის მიჩნეული დადებითობის და უარყოფითობის შინაგანი აუცილებელი კავშირი, ამით დარღვეულია ლოგიკურის ბუნება, რადგან დადებითობის და უარყოფითობის აუცილებელ კავშირს ემყარება აზრის ლოგიკური ფორმები, მაგალითად, მსჯელობა როგორც მტკიცება-უარყოფა, დასკვნა და დასაბუთება, რომელშიც მოქმედებს სწორედ მტკიცება-უარყოფა მათ აუცილებელ ერთიანობაში.

ჯერ კიდევ ანტიკური სკეპტიციზმის წარმომადგენელმა ენეზიდემმა აღნიშნა ერთმნიშვნელოვან-ლოგიკურის არასაკმარისობა, მისი აზრით, მცდარობა (ამით თითქოს — საერთოდ ლოგიკურის შეუძლებლობა). ენეზიდემის აზრით, შეუძლებელა მიზეზის ერთმნიშვნელოვანი ცნება და შედეგის ერთმნიშვნელოვანი ცნება, რადგან მიზეზის ცნება აუცილებლობით გულისხმობს შედეგის ცნებას და შედეგის ცნება—მიზეზის ცნებას. არ არსებობს მიზეზი შედეგის გარეშე და პირიქით, მაშინ როცა ლოგიკისათვის აუცილებელია მიზეზის და შედეგის ერთმნიშვნელოვანი ცნებები.

პირველად ლოგიკურისათვის ორმნიშვნელოვანების აუცილებლობა დამტკიცდა კანტის მიერ ანტინომიების ბუნების გარჩევით, სადაც ნათელი გახდა რაიმესათვის მისი საწინააღმდეგოს აუცილებლობა, რაც სწორედ უსასრულობის ცნებამ მოითხოვა. სწორედ უსასრულობის ცნებამ დასძლია სასრულის ერთმნიშვნელოვანება. როგორც ვიცით, კანტის ანტინომიებში ნათელი გახდა სასრულისათვის უსასრულოს და პირიქით აუცილებლობა, მარტივისათვის რთულის და პირიქით აუცილებლობა (განუწყვეტლისათვის წყვეტადობის და პირიქით აუცილებლობა). თავისუფლებისათვის მიზეზობრიობის და პირიქით აუცილებლობა და სხვ., თუმცა კანტისათვის უარყოფითი დიალექტიკა, როგორც ორმნიშვნელოვანება, დაუძლეველ შეცდომად, „ილუზიად“ დარჩა. მართლაც, უარყოფითი დიალექტიკა, როგორც სასრულის შინაგანი ბუნება, რომელიც თავისთავის უარყოფაში მდგომარეობს, სასრულის სფეროს ვერ სცილდება, თუმცა მიდის

მის საზღვრამდე. რომელსაც ის ანგრევს, მაგრამ აქ ჩერდება, ლოგიკურის აზრს ვერ ასრულებს. ის გარემოება, რომ უარყოფითს დადებითი აზრიც აქვს, რომ დადებითი უარყოფითსაც შეიცავს, რომ არსი გარკვეული აზრით არარსსაც გულისხმობს და პირიქით, ორმნიშვნელოვანების აუცილებლობის ჩვენებაა.

ლოგიკურისათვის აუცილებელია ორმნიშვნელოვანების დაძლევა არა მისი ერთმნიშვნელოვანებაზე დაყვანით (რადგან ერთმნიშვნელოვანი ლოგიკური განსაზღვრულობა თავისი ბუნებით გადადის საწინააღმდეგოში — ორმნიშვნელოვანში), არამედ ისეთი ერთმნიშვნელოვანების დადგენით, რომელიც ორმნიშვნელოვანის მომხსნელ-შემნახველია; ეს არის უარყოფითი დიალექტიკის შემცველი დადებითი დიალექტიკა, როგორც გარკვეული სინთეზი ერთმნიშვნელოვანების და ორმნიშვნელოვანების მქონე ლოგიკურობისა, როგორც მისი ცალმხრიობის ერთიანობა.

უარყოფითი დიალექტიკურ-ლოგიკური, როგორც ორმნიშვნელოვანი, გარკვეული რეფლექსურობის მქონეა, რადგან უარყოფითში დადებითი „ჩანს“ და პირიქით, სასრულში უსასრულო „ჩანს“ და პირიქით, კერძოში ზოგადი „ჩანს“ და პირიქით. ასე გაგებული რეფლექსურობა (რეფლექსურობის ჰეგელიანური გაგება) უნდა იქნეს დაძლეული სრული რეფლექსურობით, სახელდობრ, ისეთი რეფლექსურობით, რომელიც წარმოადგენს ლოგიკურ თვითდადგენას, რის ბუნებასაც ჩვენს მიერ განხილული ლოგიკურის კატეგორიები, უფრო სრულად კი, უსასრულო დასკვნები ანხორციელებენ.

უსასრულო დასკვნა, როგორც რაიმეს უარყოფით თვითდადგენა, ცხადია, შეიცავს უარყოფით დადგენას. როგორც ისეთ უარყოფითობას, რომელსაც ამავე დროს დადებითი ხასიათი აქვს, ე. ი. შეიცავს ორმნიშვნელოვანებას, გარკვეულ წინააღმდეგობას (რომელიც, თავის მხრივ, როგორც ვიცით, წინააღმდეგობის შეუძლებლობის მომენტებსაც შეიცავს), მაგრამ იგი ამაზე მეტია, რადგან ის მხოლოდ წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობას, როგორც შინაგან უარყოფით თვითდადგენას, წარმოადგენს. ამრიგად, აქ ადგილი აქვს ერთგვარ „სამმნიშვნელობას“, მაგრამ „მესამე“ მნიშვნელობა არ არის სასრული ხასიათის, მართლაც მესამე, ის უსასრულობის ბუნებისაა, თავის თავში შეიცავს ორმნიშვნელოვანებასაც და ერთმნიშვნელოვანებას—სასრულსაც. მცდარია Günther-ის ცდა ორმნიშვნელოვანების გამართლებისა მრავალმნიშვნელობით (გიუნთერი გვპირდება ამ ცდის გამართლებას

მისი ნაშრომის[1] მეორე ტომში), რადგან უსასრულო არ ნაწილდება სიმრავლეზე, რომელიც აუცილებელია მათემატიკაში, მაგრამ არა ლოგიკაში, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ფილოსოფიური ლოგიკა. გიუნთერის პოზიციაზე უკეთესია Heiss[2]-ის პოზიცია, მაგრამ მისი კვლევა ჯერჯერობით გარკვეული შედეგის სახით არ არის ჩამოყალიბებული. ისე კი უნდა ითქვას, რომ Heiss-ის და Günther-ის ნაშრომები თანამედროვე ლოგიკის ჯერ გადაუწყვეტელ პრობლემებს და სიძნელეებს ეხებიან. ეს პრობლემები, ჩვენი აზრით, შეიძლება გადაწყდნენ და წყდებიან დიალექტიკურ ლოგიკაში. გიუნთერი გრძნობს, რომ თანამდროვე ლოგიკის სიძნელეები უნდა გადაწყდეს ლოგიკური რეფლექსიის გამართლებით, მაგრამ მის წინააღმდეგ უნდა ითქვას, რომ ლოგიკური რეფლექსია მხოლოდ უსასრულო ლოგიკურის სფეროშია შესაძლებელი და არა მრავალნიშნა ლოგიკაში, რომელიც მათემატიკას წარმოადგენს.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია იმის აღნიშვნა, რომ ერთმნიშვნელოვანი ლოგიკური თავისი ბუნებით გადადის ორმნიშვნელოვანში, რომელიც მართლდება „სამ“ მნიშვნელოვან ლოგიკურში, როგორც უსასრულო ლოგიკურში — დადებით დიალექტიკურ ლოგიკურში (რელატიურ-ლოგიკური გადადის აბსოლუტურ-ლოგიკურში), რომლის დასკვნით ფორმასაც უსასრულო დასკვნა წარმოადგენს, ამრიგად, ლოგიკურის ცნება ლოგიკურ განვითარებას, როგორც გარკვეულ დასაბუთებას წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას და უნდა ითქვას, რომ დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი, როგორც ლოგიკური განვითარების მეთოდი, სხვა არაფერს არ წარმოადგენს, თუ არა იმ განვითარებას, რომელიც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ, როცა გავარჩიეთ: 1) ლოგიკური კანონების განვითარებითი კავშირი, 2) აზროვნების ფორმათა გადასვლები და განვითარებითი კავშირი და, ბოლოს, 3) აბსტრაქტულის კონკრეტულში გადასვლა, როგორც განვითარება, ანალიზ-სინთეზის და უშუალო-შუალობის კავშირი, როგორც განვითარებითი კავშირი.

აქ საკმარისი იქნება გავიხსენოთ აზრის ფორმების სუბორდინაციის რამდენიმე მომენტი, რათა ნათელი გახდეს ლოგიკური განვითარების მეთოდის ბუნება. დადებითი მსჯელობა ანტინომიურია, რადგან ის შეიცავს უარყოფის მომენტს, რომელიც ფორმდება უარყოფით მსჯელობაში. ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა დასკვნაში უნდა

[1] G. Günther, Idee und Grundriss einer nicht-Aristotelischen Logik, 1, 1959.

[2] R. Heiss, Logik des Widerspruchs, 1932; იხ. მისივე, Wesen und Formen der Dialektik, 1959.

მოხდეს; მსჯელობა დასკვნაში მართლდება. მაგრამ დასკვნის პირველი ფორმა არის უშუალო დასკვნა, რომელიც თვითონ არის ანტინომიური ხასიათის, რადგან უშალო დასკვნას ახასიათებს შებრუნებადობა, სადაც განურჩეველი გამოდის საფუძველი და შედეგი: შედეგი საფუძველი გამოდის და საფუძველი — შედეგი, ე. ი. უშუალო დასკვნის რეფლექსურობა გამართლებას მოითხოვს. უშუალო დასკვნა საწინააღმდეგოში გადასვლაა, მაგალითად, კერძო საფუძველია ზოგადის თუ პირიქით. აგრეთვე, უშუალო დასკვნა წინააღმდეგობრივია, რადგან დასკვნა უნდა იყოს შუალობითი და არა უშუალო. უშუალო დასკვნა მართლდება შუალობით დასკვნაში, სადაც ორის კავშირი მესამეს ემყარება, მას საშუალო ამართლებს. მაგრამ არსებობს სასრული შუალობითი დასკვნა და უსასრულო შუალობითი დასკვნა, რადგან გამაშუალებელი არის სასრულიც და უსასრულოც. სასრული შუალობითი დასკვნა არის კერძოსა და ზოგადის გარკვეული ერთიანობა, რომელიც ცნებას წარმოადგენს, თუმცა იგი დასკვნაა და არა ცნება. დასკვნის ზოგადი აზრი არის ცნება. კერძოს და ზოგადის ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, არის უსასრულო. ამიტომ ცნება უნდა იყოს უსასრულო, მაგრამ ის არ არის უსასრულო, რადგან ის არის მისი მხოლოდ ზოგადი აზრი. ამიტომ ცნების ანტინომიურობა უნდა გადაწყდეს უსასრულო დასკვნაში, ერთცნებიან დასკვნაში, რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში, რომელიც წარმოადგენს უპირობო ლოგიკურს — წინააღმდეგობის ერთიანობას, რომელიც ამართლებს ყოველგვარ ლოგიკურს და რომელშიც ლოგიკური წარმოსდგება სრული სახით. აქ მთავრდება ის ლოგიკური განვითარება, რომელიც დაიწყო მსჯელობით.

ამრიგად, აზრის ფორმათა კავშირი არის ლოგიკური განვითარება — სუბორდინაცია, რომელიც ხორციელდება შინაგანი წინააღმდეგობის წარმოშობა-გადაწყვეტის გზით და სრულდება წინააღმდეგობის ერთიანობით, როგორც თვითდადგენით: აზრის ლოგიკურ ფორმებში ხორციელდება განვითარების წესი, მეთოდი, რომელიც მომენტებად შეიცავს ინდუქციას, დედუქციას და რედუქციას, რადგან აზრის ფორმათა სუბორდინაცია, როგორც განვითარება, არის: 1) აბსტრაქტული ზოგადიდან კონკრეტულისკენ სვლა, 2) შინაარსეული კერძოდან ასეთივე ზოგადზე გადასვლა და 3) გადასვლა ხდება შინაარსეულ ზოგადში, როგორც გამმართლებელ საფუძველში (როგორც ვიცით ცნება არის გადასვლა, მსჯელობაც გადასვლაა, დასკვნაც გადასვლას წარმოადგენს). აზრის ფორმათა ლოგიკური განვითარება არის ლოგიკურის განსაზღვრების პროცესი. ამიტომ ლოგიკური განვითარების მეთოდი და ლოგიკურის ცნების განსაზღვრე-

ბის მეთოდი ერთი და იგივე მეთოდს წარმოადგენს. ლოგიკურ განვითარებაში დგინდება ლოგიკურის ჭეშმარიტება, ლოგიკურის ცნება. ლოგიკურის ბუნება სისრულით წარმოსდგება განვითარების ბოლოს, თვითონ განვითარებაში. „ჭეშმარიტება იმყოფება არა დასაწყისში, არამედ ბოლოში, უფრო სწორად, გაგრძელებაში"[1]. ლოგიკურის ჭეშმარიტი ბუნება წარმოდგება განვითარებაში. ლოგიკური არის განვითარება. ამიტომ მისი შესატყვისი მეთოდი არის განვითარების მეთოდი. აზრის ყოველი ლოგიკური ფორმა უნდა განხილულ იქნას განვითარების წესით.

როგორც ვნახეთ, აზრის ლოგიკურ ფორმათა კავშირი არის განვითარება, რომელიც სრულდება უსასრულო დასკვნით. მაგრამ ისიც ვიცით, რომ თვითონ უსასრულო დასკვნა წარმოადგენს განვითარებას. ლოგიკური განვითარების ბუნება სრული სახით წარმოდგენილია სწორედ უსასრულო დასკვნაში. ძირითადი იმისა, რომ დიალექტიკური მეთოდი არის დასაბუთების, როგორც ლოგიკური განვითარების, მეთოდი, არის ის, რასაც უსასრულო დასკვნა, როგორც განვითარება, წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღინიშნა, უსასრულო დასკვნა არის უშუალობის და შუალობის ერთიანობა. მასში უშუალო არის ის, რაც უარიყოფა, მაგრამ მისი უარყოფა მასვე მოიხმარს და მასვე ადგენს; ეს დადგენა, რომელიც უარყოფით სრულდება. არის გაშუალება; დადგენილი არის გაშუალებული ანუ დასაბუთებული. უშუალობა-შუალობის ეს ერთიანობა წარმოადგენს განვითარებას, ცხადია, ლოგიკურ განვითარებას, რომელიც არის უსასრულო დასკვნა. ის უშუალო, რომელიც უარიყოფა, ლოგიკურად არის, ასე ვთქვათ, დაბალი; მაგრამ იგი, როგორც შემდეგ დადგენილი — უარყოფის საშუალებით დადგენილი, არის ლოგიკურად უფრო მაღალი — განვითარებული, რადგან ის დასაბუთებულია. დაუსაბუთებელზე უფრო სრული არის დასაბუთებული. ლოგიკურად სხვანაირად შეუძლებელია. ამრიგად, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის განვითარება, და იგი ლოგიკური განვითარების არსებას წარმოადგენს. უსასრულო დასკვნის, როგორც განვითარების, წესი თუ მეთოდი არის უმაღლესი ლოგიკური წესი, მეთოდი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 38, გვ. 168.

დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, სრული სახით წარმოდგება ლოგიკური თვითდადგენის მეთოდში. აქ სისრულით წარმოდგება ისიც, თუ რა არის თვითონ ლოგიკური მეთოდი.

ფორმალურ ლოგიკაში დასაბუთება გაგებულია, როგორც გარეგანი საფუძვლით რაიმეს დადგენა, რაიმე დებულების დადგენა სხვით, სხვა დებულებით. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება გარეგან საფუძვლად გამოყენებული დებულების სხვა გარეგანი საფუძვლით დასაბუთება და ა. შ. უსასრულოდ. დასაბუთებაში უსასრულო რეგრესი კი დასაბუთების შეუძლებლობას ნიშნავს. ამიტომ ასეთ დასაბუთებას აჩერებენ, მას ზღვარს უდებენ აქსიომებით, დაუსაბუთებელი დებულებებით. დასაბუთებაში რეგრესის შეჩერება დაუსაბუთებლით, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, და თავისთავადაც ნათელია (დასაბუთებას დაუსაბუთებლობა ვერ შეაჩერებს), შეუძლებელია. ამიტომ ასეთი დასაბუთება, რომელიც „სწორხაზობრივია", შეუძლებლობას, სწორედ დასაბუთების შეუძლებლობას ამჟღავნებს. „სწორხაზობრივი" დასაბუთება შეუძლებელი ხდება.

ასეთი დასაბუთება ამასთანავე, იმ შეუსაბამობას შეიცავს, რომ იგი, ერთი მხრივ, გაგებულია როგორც ანალიზური — გამოყვანა ხდება იმის, რაც გამოსაყვანშია, მეორე მხრივ კი — რაიმეს დასაბუთება წარმოებს გარეგანი საფუძვლით, სხვით, ე. ი. დასაბუთება მოითხოვს სინთეზურობას. ერთი მხრივ ანალიზურობა, მეორე მხრივ კი ანალიზურობის დარღვევა ერთიმეორეს არ უთავსდება.

თუ დასაბუთება უნდა იყოს ანალიზური, თუ სინთეზური დასაბუთება შეუძლებელია, მაშინ გარეგანი — სხვის საფუძვლად გამოყენება უნდა გაუქმდეს და ერთადერთი დასაბუთება, ეს უნდა იყოს შინაგანი საფუძვლით დასაბუთება. მაგრამ თუ საფუძველი შინაგანია, მაშინ აქსიომები, როგორც წინასწარ მოცემული დაუსაბუთებელი დებულებები, უნდა მოიხსნან. ესეც თავისებური შეუსაბამობაა, რომელიც არსებობს დასაბუთების ფორმალურ ლოგიკურ თეორიაში.

ამრიგად, სწორხაზობრივი დასაბუთების გამართლება შეუძლებელი უნდა იყოს. ეს გარემოება პირველად ფილოსოფიის ისტორიაში შეამჩნია ძველმა — ანტიკურმა სკეპტიციზმმა („ახალი ტროპები"), რომელიც ებრძოდა არისტოტელეს დასაბუთების თეორიას. მაგრამ იგი უარყოფდა საერთოდ დასაბუთების შესაძლებლობას, უარყოფდა არა მარტო სწორხაზობრივ დასაბუთებას და აქსიომა-

ტურ მეთოდს დასაბუთებაში, არამედ წრიულ დასაბუთებასაც, რადგან ლოგიკური წრე ნიშნავს არაფრის დასაბუთებას, იგი დასაბუთების შეცდომას, მის შეუძლებლობას მოასწავებს. მაგრამ ძველი სკეპტიციზმი თავის თავს აუქმებდა, რადგან დასაბუთების უარყოფის დასაბუთება შეუძლებლობას მოასწავებს.

ამდენად, ნათელია, რომ დასაბუთება უნდა გამართლდეს. მაგრამ დასაბუთება არ შეიძლება იყოს სწორხაზობრივი, ე. ი. როგორმე უნდა გამართლდეს დასაბუთება როგორც წრიული, მაგრამ ეს წრიულობა ლოგიკურ შეცდომას არ უნდა წარმოადგენდეს. ეს სიძნელე დაუძლეველი ჩანს.

დასაბუთების სწორხაზობრივი მეთოდის შეცვლა დასაბუთების წრიული მეთოდით პირველად ფიხტემ სცადა. მისი აზრით, ფილოსოფია უნდა წარმოადგენდეს სისტემას (როგორც ეს პირველად დეკარტმა მოითხოვა), დახურულ სისტემას (ფიხტეს აზრით, კერძო მეცნიერებები ვითარდება უსასრულოდ, მაგრამ იმის ცოდნა, თუ რა არის მეცნიერება, თვითონ მეცნიერების თეორია — ფილოსოფია— კი უნდა იყოს დასრულებული[1], წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნებოდა მეცნიერების ცნება, შეუძლებელი იქნებოდა ასეთი ცნება), რომლის დაწყისი უნდა გამართლდეს მთელ სისტემაში, რომლის ბოლოსაც იგი დასაბუთებულად უნდა წარმოდგეს. ამ მოთხოვნის განხორციელება ფიხტემ ვერ მოახერხა, რადგან ის, რაც სისტემის ბოლოს უნდა გამართლებულიყო, მან მიუღწეველად, კანტიანურ იდეად დასახა. ამასთანავე, თვითონ ფიხტემ აღნიშნა ის, რომ დასაბუთების გამართლება სისტემის წრიულობაში, ეს არის მისი სისწორის მხოლოდ შესაძლებლობის და არა აუცილებლობის მაჩვენებელი, რადგან წრე შეიძლება შეიკრას შემთხვევითი ან მცდარი დებულების გამოყენებით. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფიხტეს წრიული მეთოდი, ეს იყოს არა საკუთრივ ლოგიკური მეთოდი, არამედ საერთოდ ფილოსოფიური, მეტაფიზიკურ-ფილოსოფიური მეთოდი.

ფიხტეს ნაკლის დაძლევა და დასაბუთების წრიულობის განხორციელება ფილოსოფიურ სისტემაში ჰეგელმა სცადა ობიექტური იდეალიზმის საფუძველზე. ჰეგელმა აღნიშნა კანტიანურ-ფიხტეანური იდეის, როგორც მიუღწეველის, არალოგიკურობა; მისი აზრით, იდეა ლოგიკურად, ცნების თვალსაზრისით, არ შეიძლება მიუღწეველი იყოს. ცნებაში ყველაფერი მიიღწევა, ერთი შეხედვით მიუღწეველი მიზანი მის ცნებაში არ შეიძლება არ იქნას მიღწეული (მიუხედავად ამისა და ამ აზრის წინააღმდეგ ჰეგელმა მისი სისტემის ძირი-

[1] Fichte, Ueber den Begriff der Wissenschaftslehre. Sämmtliche Werke. 1845, I, B. გვ. 58, 59.

თად ცნებად მაინც მიზანი აღიარა; ამით იგი გამოუვალ წინააღმდეგობაში ჩავარდა). მართალია, ჰეგელმა თავის „ლოგიკაში“ მოგვცა კატეგორიების სისტემა, შეეცადა ეს სისტემა ლოგიკურად, სახელდობრ, ლოგიკურ-დიალექტიკურად გამართლებულიყო, ე. ი. მოგვცა დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ცდა, მაგრამ მან ლოგიკა გათქვიფა მეტაფიზიკაში (აზრი არ'თან გააიგივა), ლოგიკური გააყალბა აბსოლუტის — ღმერთის — მისტიკური უნარით. ლოგიკის საკუთარი პრობლემები („სუბიექტური ლოგიკა“) გაიგო მცდარად; იმის გამოც, რომ ისინი გაიგო როგორც მეტაფიზიკური — ონტოლოგიური პრობლემები[1] (ჰეგელისათვის ცნება არის სუბსტანცია, საგანი არის მსჯელობა და დასკვნა და სხვ.); ამით დამახინჯდა არა მარტო დიალექტიკური ლოგიკა, არამედ საერთოდ ლოგიკა. კერძოდ, დასაბუთების წრიულობის პრობლემა შეეწირა მეტაფიზიკური სისტემის წრიულობას.

დასაბუთების არასწორხაზობრიობა, წრიულობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მაშინ, თუ დადგინდა დასკვნის გარკვეული ფორმა, როგორც დასაბუთების წრიულობის ლოგიკური ფორმა. ეს პრობლემა მეცნიერულ ნიადაგზე შეიძლება მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკურ ლოგიკაში გადაწყდეს.

როგორც ითქვა, ლოგიკური განსაზღვრულობების გამოყვანა წინდაშვებულად აღებული დაუსაბუთებელი წანამძღვრებიდან დამახასიათებელია ფორმალური ლოგიკისათვის, მასში მიღებული დასაბუთების სწორხაზობრიობისათვის. ლოგიკაში უნდა მოიხსნას ყოველგვარი დაუსაბუთებელი, დაუსაბუთებლად აღებული წანამძღვარი; გამოსავალი როგორმე უნდა დასაბუთდეს (როგორც ჰეგელი იტყოდა, საფუძველი შედეგად უნდა იქცეს და პირიქით). ამ გარემოებაზე ჩვენ მივუთითეთ ზემოთ, სახელდობრ, მაშინ, როცა ვაჩვენეთ ის, რომ დედუქციაში, ინდუქციასა და რედუქციაში რაღაც დაუსაბუთებლად არის აღებული: 1) დედუქციაში დაუსაბუთებლად არის აღებული პირველი წანამძღვრები, 2) ინდუქციაში არსებული დაუსაბუთებელი ჩანს იმაში, რომ ა) როგორღაც აუცილებელია ზოგადი წანამძღვარი, მის გარეშე ინდუქცია არ ხორციელდება, მაშინ როცა ინდუქცია სწორედ ზოგადის მიღებაში მდგომარეობს, ბ) ინდუქცია თვითონ არის დაუსაბუთებლობა, რამდენადაც მასში არსებითია ალბათობა, 3) რედუქცია დაუსაბუთებლად წინასწარ გულისხმობს დედუქციურ გზას, და სხვ. დასაბუთების ამ მეთოდებით და მათში არ მართლდება დასაბუთება, რადგან ისინი შეიცავენ დაუსაბუთებელს.

[1] იხ. ამის შესახებ ჩემი ნაშრომი „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“, 1959.

დასაბუთებისათვის, ცხადია, აუცილებელია, რომ ის გაიწმინდოს დაუსაბუთებლისაგან. დასაბუთებაში არსებული დაუსაბუთებელი წანამძღვარი თუ სხვა რამ უნდა განისაზღვროს ლოგიკურად, გაშუალდეს, დასაბუთდეს.

როგორც ვნახეთ, დასაბუთება არის ლოგიკური დალაგება, რომელსაც განვითარების ხასიათი აქვს, მაგრამ ეს ლოგიკური განვითარება არ უნდა იყოს სწორხაზობრივი; ის არ უნდა იყოს, ასე ვთქვათ, უთავბოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნებოდა: 1) დაუსაბუთებელი ლოგიკური წანამძღვრის მქონე, 2) ლოგიკურად უშედეგო, 3) ერთი გარკვეული, სრული აზრის არმქონე, ე. ი. არ იქნებოდა დასაბუთება, ლოგიკურად გარკვეული რამ; უთავბოლობაში განვითარებასაც ეკარგება აზრი.

ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთება, საბოლოოდ, უნდა იყოს არა გარეგანი საფუძვლის მოხმარა (გარეგანი საფუძვლის მოხმარას მომენტად უნდა შეიცავდეს, რადგან ასეთი რამ თვითონ არის ასახსნელ-დაუსაბუთებელი), არამედ: 1) ურთიერთგანსაზღვრა-გაშუალება, აზრთა ურთიერთშუალობითი აუცილებელი კავშირი, 2) შინაგანი საფუძვლის მოქმედების განხორციელება, 3) სრული აუცილებელი შინაგანი გაშუალება; ე. ი. დასაბუთება უნდა იყოს „წრებრუნვა".

იმას, რომ დასაბუთება უნდა იყოს წრიული, „წრებრუნვა", მოწმობს ის, რომ დასაბუთებისათვის აუცილებელია ზემოთ განხილული მეთოდები, მაგალითად, შემდეგი მეთოდები: 1) ცნების თუ ლოგიკურის განსაზღვრების მეთოდი, ლოგიკურის ცნების ამოწურვის მეთოდი, სუბიექტის მის პრედიკატებში სისრულით დადგენის მეთოდი, 2) აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ სვლის მეთოდი, ერთმხრიობების შემცველი კონკრეტული ერთიანობის მეთოდი, 3) ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობის მეთოდი, 4) უშუალობა-შუალობის ერთიანობის მეთოდი, 5) ლოგიკური განვითარების, როგორც გარკვეული აუცილებელი წინსვლის, მეთოდი. დასაბუთების ასეთი უნივერსალური მეთოდი უნდა იყოს წრიულობის, „წრებრუნვის" მეთოდი, რომელიც ყველა ლოგიკურ მეთოდს მომენტებად შეიცავს, ამართლებს და ადგენს მათ; ის ჯამი კი არაა ამ მეთოდების, არამედ თვითონ არის ერთიანი, განუყოფელი მეთოდი. მისი წრიულობა უშუალოდ გამომდინარეობს იქიდან, რასაც წარმოადგენენ ახლახან ჩამოთვლილი მეთოდები, რომლებიც ერთ უნივერსალურ მეთოდს სხვადასხვა ასპექტით წარმოადგენენ. ასეთი უნივერსალური მეთოდი არის ლოგიკური რეფლექსურობის მეთოდი, ლოგიკური თვითდადგენის მეთოდი, შინაგანი უარყოფით თვითდადგენის მეთოდი ანუ ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობის მეთო-

დი. ეს მეთოდი უნდა არსებობდეს და არსებობს დასკვნის ფორმით. ეს დასკვნა არის უსასრულო დასკვნა. ლოგიკური თვითდადგენის მეთოდი უსასრულო დასკვნის მეთოდს წარმოადგენს. ამრიგად, დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის დასკვნითი ფორმა არის უსასრულო დასკვნა, როგორც შინაგანი უარყოფით თვითდადგენითი შუალობითი კავშირი. ყოველი სინთეზური ლოგიკური კავშირი არ შეიძლება ასეთ დასკვნას არ ექვემდებარებოდეს და მას როგორმე არ წარმოადგენდეს, რადგან ყოველი სინთეზური კავშირი შეიცავს შინაგან უარყოფას, რომელიც კავშირის განსაზღვრულობას და გარკვეულობას წარმოადგენს. მაშასადამე, დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი არის შინაგანი უარყოფით თვითდადგენის მეთოდი, წესი (ტავტოლოგიური თვითდადგენა, როგორც ვიცით არის ლოგიკური არარა).

აი, სწორედ ამ მეთოდზე შეიძლება ითქვას, რომ ის არის ლოგიკური განვითარების ზოგადობის ფორმა. ეს ზოგადობა კი დასაბუთების უმაღლესი ზოგადობაა, რომლის ფორმა არის უსასრულო დასკვნის ფორმა; სწორედ უსასრულო დასკვნა არის დასაბუთების სრული ფორმა, ლოგიკური უსასრულობის ზოგადობის ფორმა, უსასრულო ლოგიკურის მეთოდი. ფორმალურ-ლოგიკური ერთმნიშვნელოვანების ლოგიკურია, უარყოფითი დიალექტიკა არის ორმნიშვნელოვანების ლოგიკური, უსასრულო ლოგიკურის მეთოდი კი არის „სამმნიშვნელოვანების" მეთოდი, მეთოდი „სამმნიშვნელოვანი" ლოგიკურისა, სადაც „მესამე" არის „ორმნიშვნელობის" შემცველ-დამქვემდებარებელი ერთიანობა (გერმანულმა იდეალისტურმა დიალექტიკამ შენიშნა, რომ ლოგიკურ მეთოდს უნდა ჰქონდეს ტრიპლიციტეტის ფორმა). დადებითი დიალექტიკურ-ლოგიკური თავის თავში შეიცავს ერთმნიშვნელოვნების და ორმნიშვნელოვნების მომენტებს. ამიტომ იგი არის თავისებური „სამნიშნა" ლოგიკური, სადაც „მესამე" არის უსასრულო.

როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, აზრის ყველა ლოგიკური ფორმა და ამ ფორმათა გადასვლები—განვითარება სხვა არაფერია, თუ არა უსასრულო დასკვნის მომენტები და ამ მომენტების ურთიერთაუცილებელი კავშირი. ამიტომ უსასრულო დასკვნა საკუთარ მომენტებად შეიცავს ყველაფერს, რაც გაშლილია მთელ ლოგიკაში. მთელი ლოგიკის სისტემის შინაარსი არის გაშლილი უსასრულო დასკვნა. მთელი ლოგიკა შეკრულია ერთ სრულ შუალობით კავშირში, გამოიხატება ერთი დასკვნით — უსასრულო დასკვნით. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ უნივერსალური ლოგიკური მეთოდი არის აზრის ლოგიკურ ფორმათა განვითარების ზოგადობის ფორმა, თვითონ

განვითარების ფორმა. ეს არის გარკვეული წესი, სახელდობრ, დადგენა-უარყოფის ერთიანობის წესი, შინაგანი უარყოფით დადგენის წესი, ლოგიკური თვითდადგენის წესი.

ეს მეთოდი არის უნივერსალური ანუ აბსოლუტური მეთოდი, ლოგიკური განვითარების აბსოლუტური წესი. აბსოლუტური არ გამორიცხავს რელატიურს და რელატიური — აბსოლუტურს. „სუბიექტივიზმისა და სოფისტიკისათვის რელატიური მხოლოდ რელატიურია და აბსოლუტურს გამორიცხავს". „ობიექტური დიალექტიკისათვის რელატიურში არის აბსოლუტური". „დიალექტიკაში შეფარდებითია (რელატიურია) განსხვავებაც რელატიურსა და აბსოლუტურს შორის".[1] თვითონ ლოგიკური განვითარება არის რელატიურის და აბსოლუტურის ერთიანობა. მაგალითად, მსჯელობა არის რელატიური, სრული დასკვნა კი აბსოლუტურია, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული. რელატიურობა არის სასრულობა, სრული სასრული ანუ რელატიური არის წინააღმდეგობის ერთი მხარე (ერთი მსჯელობა, როგორც ერთ-ერთი ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო მსჯელობათაგანი); ორი ასეთი ერთიანობა კი არის აბსოლუტური ანუ უპირობო, ამიტომ რეგრესის საშიშროება მოხსნილია, რომელიც დამახასიათებელია პირობითი ლოგიკურისათვის, სწორხაზობრივი დასაბუთებისათვის ფორმალურ ლოგიკაში. ეს აბსოლუტური ანუ უპირობო არის საპირისპირო-საწინააღმდეგო კატეგორიების თუ მსჯელობების — დადგენა-უარყოფის ერთიანობა, ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობა, უსასრულო დასკვნა.

როგორც ითქვა, ლოგიკური მეთოდი არის გარკვეული ფორმა, მაგრამ ეს არ არის უშინაარსო ფორმა. ლოგიკურის უნივერსალური მეთოდი არის ლოგიკური შინაარსის განვითარების წესი, სახელდობრ, ის, თუ როგორ, რა ფორმით ხდება აზრის ლოგიკურ ფორმათა განვითარება. განვითარება კი შინაარსის გარეშე შეუძლებელია. განვითარება არის რაიმეს გადასვლა სხვაში, ეს გადასვლა არის იმანენტური; რაიმე თავისი ბუნებით გადადის სხვაში, მაგალითად, მსჯელობა, როგორც ვიცით, თავისი ბუნებით გადადის დასკვნაში, როგორც გარკვეულ შუალობით კავშირში. ის, რასაც საკუთარი ბუნება აქვს, არ შეიძლება შინაარსეული არ იყოს.

ლოგიკური მეთოდის შინაარსეულობაზე მიუთითა ჰეგელმა როცა ჩამოაყალიბა მეთოდის ასეთი განსაზღვრება: „მეთოდი არის შინაარსის თვითმოძრაობის ფორმის ცნობიერება",[2] მაგრამ ჰეგელ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 38, მე-4 გამოც., გვ. 372.

[2] დასაბუთების მეთოდის ჰეგელიანური გაგება კრიტიკულად გარჩეული გვაქვს ნაშრომში „დასაბუთების საწყისი".

მა დასაბუთების მეთოდი გაუიგივა საგნის ბუნებას (აზრი—არსს), რაც გამოთქვა ასე: „მეთოდი არის საგნის იმანენტური პრინციპი და სული“. ნამდვილად კი მეთოდი არის საგნის ბუნების, მისი მოძრაობა-განვითარების რეპროდუქცია აზრში (კ. მარქსი). ცოდნის (შემეცნების) და ლოგიკურის მეთოდი არის საგნის თვითმოძრაობის ფორმის ასახვის აზრობრივი ფორმა. ლოგიკური მეთოდი არის ობიექტურ-ლოგიკურის (არაობიექტურ-ლოგიკური შეუძლებელია) განვითარების ზოგადობის ფორმა. რა გზით მოძრაობს და ვითარდება საგანი, იმ წესით უნდა განვითარდეს მისი ამსახველი აზრიც. ლოგიკური ისტორიულის ასახვაა. ამიტომ ლოგიკური მეთოდი არის არა სუბიექტური ხერხი, არამედ ობიექტური წესი. ლოგიკური წესი კონვენციით დადგენილი წესი კი არა, არამედ ის, ობიექტურობის მხრივ, არის აბსოლუტური ხასიათის. ლოგიკური მეთოდი (როგორც ეს ზემოთ ვაირკვა) არ შეიძლება არ იყოს ობიექტური, რადგან ასეთია თვითონ ლოგიკური.

უმაღლესი ლოგიკური ობიექტურობა არის ის ობიექტურობა, რომელიც განხორციელებულია უსასრულო დასკვნის ლოგიკურ აუცილებლობაში; რაიმეს უარყოფით მისივე დადგენაზე უფრო მაღალი ობიექტურ-ლოგიკური აუცილებლობა შეუძლებელია. ამიტომ ლოგიკური თვითდადგენის მეთოდი არის უმაღლესი ლოგიკური მეთოდი ობიექტურობის მხრივაც.

როგორც ვიცით, უმაღლესი ლოგიკური, როგორც აბსოლუტური თუ უპირობო ლოგიკური, ემთხვევა აბსოლუტურ ჰეშმარიტებას. ამიტომ საკითხი ლოგიკის შესახებ ემთხვევა საკითხს ჰეშმარიტების შესახებ (პირობით-ლოგიკური, როგორც ლოგიკური ჰეშმარიტება — სისწორე, არის მომენტი უპირობო ლოგიკურის, რომელიც უსასრულო დასკვნის ფორმით ხორციელდება და არსებობს). ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ვ. ი. ლენინის აზრი, რომელიც მას გამოთქმული აქვს შემდეგნაირად: „არა მარტო აღწერა აზროვნების ფორმებისა და არა მარტო ბუნებრივ-ისტორიული აღწერა აზროვნების მოვლენებისა..., არამედ შესაბამისობაც ჰეშმარიტებასთან, ე. ი. ?? კვინტესენცია ანუ, უფრო მარტივად, აზროვნების ისტორიის შედეგები და შეჯამება? არა ფსიქოლოგია, არა სულის ფენომენოლოგია, არამედ ლოგიკა=საკით-

ხი ჰეშმარიტების შესახებ. ასეთი გაგებით ლოგიკა ემთხვევა შემეცნების თეორიას“.[1]

დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის გარჩევის საფუძველზე უფრო სრულად წარმოდგება ფორმალური ლოგიკის და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულება, რომლის მომენტებიც ზემოთ იქნა ცალ-ცალკე გარჩეული. და რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სქემით:

ფორმალური ლოგიკა	დიალექტიკური ლოგიკა
ანალიზურობა	— სინთეზურობა
ერთმნიშვნელოვანება	— ორმნიშვნელოვანება
არაწინააღმდეგობრიობა	— წინააღმდეგობრიობა
სწორხაზობრიობა	— წრიულობა
არარეფლექსურობა	— რეფლექსურობა
სასრულობა	— უსასრულობა
სხვით დადგენა	— თვითდადგენა
„ორნიშნა“	— „სამნიშნა“ [2].

მარცხენა მხარე არის მარჯვენა მხარის მომენტი — ფორმალურ-ლოგიკური დიალექტიკური ლოგიკურის მომენტია: ანალიზურობა არის სინთეზურობის მომენტი და ა. შ.

ლოგიკური თვითდადგენის აზრი კიდევ უფრო სრულად წარმოდგება, თუ განვიხილავთ დასაბუთების საწყისს, რომელიც დასაბუთების მეთოდის არსებას წარმოადგენს. ეს საკითხი განხილული იქნება შემდგომ თავში, რომელიც ჩვენი ნაშრომის უკანასკნელ თავს წარმოადგენს. ამ თავში განხილული იქნება ის საკითხი, რომელსაც ჩვენ მივუძღვენით ცალკე მონოგრაფია — „დასაბუთების საწყისი“ (1963 წ.), რომლის შინაარსი აქ წარმოდგენილი იქნება, მართალია, მოცულობით შემოკლებულად. მაგრამ აზრით განვითარებული სახით.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 172.

[2] მათემატიკური სამნიშნა და მრავალნიშნა ლოგიკები არის მათემატიკური ხასიათის მქონე დარგები. ლოგიკა, რომელიც მხოლოდ ფილოსოფიური მეცნიერებაა, „სამნიშნა“ ანუ „სამნიშნელოვანი“ ლოგიკაა, თუ ის გაგებულია დიალექტიკური ლოგიკის აზრით; ამისგან განსხვავებით, ფორმალური ლოგიკა იყო და არის ორნიშნა, მაგრამ ერთმნიშვნელოვანის ლოგიკა.

თავი მესამე (12)

დასაბუთების საწყისი

§ 228. დასაბუთების საწყისის პრობლემა

დასაბუთების საწყისის პრობლემა დასაბუთების თეორიის ძირითადი პრობლემაა, რადგან დასაბუთების საწყისი არის დასაბუთების არსება, სახელდობრ, ის, თუ რას წარმოადგენს არსებითად დასაბუთება, რა არის დასაბუთება მის არსებაში. ყველაფრის საწყისი არის მისი არსება, ასეთია დასაბუთების საწყისიც.

დასაბუთებას, ერთი შეხედვით, უნდა ჰქონდეს ორი საწყისი: 1) დასაბუთების საწყისი უნდა იყოს საგანი; ლოგიკური, დასაბუთება უნდა იწყებოდეს საგნით, რადგან დასაბუთება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ის ობიექტურია; დასაბუთების აპოდიქტურობა სწორედ მის ობიექტურობაში მდგომარეობს; დასაბუთების ობიექტურობას კი ქმნის საგანი; ლოგიკურის, საერთოდ აზრის ობიექტურობას ქმნის საგანი, რადგან აზრი არის აზრი საგნის შესახებ. მაშინაც აზრის ობიექტურობას ეძებენ, როცა აზრის საგანი არის აზრი. ყოველი აზრი, საბოლოოდ, საგნით განისაზღვრება, რადგან აზრი არის საგნის ასახვა. ამიტომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს რეალური სინამდვილე მის გარკვეულობაში, მის კანონზომიერებაში, მის სისტემობაში, რომელიც დასაბუთებას, ლოგიკურ სისტემას უძევს საფუძვლად. ამასთანავე, აზრს საგანთან აკავშირებს ადამიანის რევოლუციური მოქმედება, სინამდვილის (ბუნებისა და საზოგადოების) გარდამქმნელი მოქმედება — პრაქტიკა. ამიტომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს სწორედ ეს პრაქტიკა, უკეთ, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს პრაქტიკის საშუალებით აზრისათვის მოცემული სინამდვილე, აზრის ობიექტი. 2) მაგრამ თუ რაიმეს საწყისი არის მისი არსება, მაშინ დასაბუთების საწყისი ვერ იქნება სინამდვილე. არ შეიძლება იმის თქმა, რომ დასაბუთების არსება არის სინამდვილე. თუ დასაბუთების არსება არის სინამდვილე, მისი კანონზომიერება, მაშინ დასაბუთება არც იარსებებს; იარსებებს სინამდვილე და არა

ლოგიკური, დასაბუთება, რომელსაც, ასეთ შემთხვევაში, დაეკარგება თავისებურება, ანდა, თვითონ სინამდვილეს დაეკარგება თავისებურება, ის დასაბუთებად გადაიქცევა, არსი აზრად გადაიქცევა, რაც მეცნიერული თვალსაზრისით, დაუშვებელია. ამიტომ აუცილებელია დასაბუთებისათვის სხვა საწყისი. თუ ლოგიკურს, დასაბუთებას აქვს თავისებურება, თუ მას შედარებითი დამოუკიდებლობა გააჩნია, თუ მას აქვს საკუთარი კანონები და წესები, ე. ი. თუ არსებობს ლოგიკის საგანი და ლოგიკა, როგორც მეცნიერება, შესაძლებელია, მაშინ მას უნდა ჰქონდეს საკუთარი არსება, საწყისი. ეს იქნება სწორედ დასაბუთების შინაგანი არსება, ის, რასაც ის წარმოადგენს.

მაგრამ შეუძლებელია დასაბუთებას ჰქონდეს ორი საწყისი, თუ სიტყვა საწყისი გაგებულია ერთი აზრით. თუ საწყისი არის არსება და თუ რაიმეს აქვს ორი საწყისი, მაშინ მას ჰქონია ორი არსება, ე. ი. ის ყოფილა არა ერთი, არამედ ორი. დასაბუთება კი არის გარკვეული ერთი და მას არ შეიძლება ჰქონდეს ორი საწყისი, მას მხოლოდ ერთი საწყისი უნდა ჰქონდეს. მაგრამ ისიც ნათელია, რომ ზემოღასახელებული ორი საწყისი აუცილებელია დასაბუთებისათვის, რადგან ის, როგორც თავისებური, საკუთარი საწყისის მქონეა და, მეორე მხრით, მას აქვს საფუძველი — საწყისი სინამდვილეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ითქვა, შეუძლებელი იქნება დასაბუთების ობიექტურობა, დასაბუთება (არაობიექტური დასაბუთება არ არის დასაბუთება).

აქ აღნიშნული გარემოება სიძნელეს არ წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ დასაბუთების რეალური და ლოგიკური საწყისი. დასაბუთების რეალური საწყისი არის ობიექტური სინამდვილე, მისი კანონზომიერება და ადამიანის პრაქტიკა. რეალური საწყისი, ცხადია, არ არის ლოგიკური საწყისი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩავარდებოდით ობიექტურ იდეალისტურ შეცდომაში: რეალური სინამდვილე უნდა წარმოგვედგინა ლოგიკური ბუნების მქონედ, ანდა, როგორც ითქვა, დასაბუთების თავისებურება უნდა უარგვეყო.

დასაბუთებას აქვს რეალური საწყისი, როგორც რეალური საფუძველი, რომელიც არ არის ლოგიკური ბუნების, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით რეგრესს უსასრულობაში; დასაბუთებისათვის აუცილებელი რეალური საფუძველი თუ ლოგიკურია, მაშინ მას სხვა საფუძველი დასჭირდება, თუ ეს სხვა საფუძველიც ლოგიკურია, მაშინ კიდევ სხვა საფუძველი იქნებოდა საჭირო და ა. შ. უსასრულოდ. დასაბუთებას აქვს რეალური საფუძველი, რომელიც მისთვის, მისი ობიექტურობისათვის აუცილებელია, ლოგიკურის, დასა-

ბუთების რეალური საფუძვლის პრობლემა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში გადაწყვეტილია, ამიტომ მის შესახებ ჩვენ აქ არ გვექნება საუბარი. დასაბუთების საწყისის პრობლემა არის დასაბუთების ლოგიკური საწყისის პრობლემა, რომლის გარკვევასაც ჩვენ აქ ვცდილობთ.

აქ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, თითქოს დასაბუთების რეალური საწყისი და მისი ლოგიკური საწყისი ერთმეორისაგან აბსოლუტურად იყოს მოწყვეტილი. არა, რადგან დასაბუთების რეალური საწყისი დასაბუთების ობიექტურობას ქმნის, ამიტომ ის არის დასაბუთების ლოგიკური საწყისის ობიექტურობის რეალური საფუძველიც. დასაბუთების ლოგიკურ საწყისში მთელი სისრულით უნდა გამომჟღავნდეს ლოგიკურის, დასაბუთების ობიექტურობა. ეს, მართლაც, ასეა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, და ეს ზემოთ გარკვეული საკითხების შინაარსიდან კარგად ჩანს.

დასაბუთებას აქვს ლოგიკური საწყისი, საკუთარი საწყისი, მაგრამ როგორ წარმოვიდგინოთ ეს საწყისი? რას წარმოადგენს დასაბუთების საწყისის პრობლემა? ეს პრობლემა არსებობს ორიათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში და დღესაც ისე აქტუალურია, როგორც წინათ; შეიძლება ითქვას, რომ დასაბუთების საწყისის პრობლემა არასოდეს ისე აქტუალური არ ყოფილა, როგორც იგი არის დღეს.

რაიმე დებულების დასაბუთება არის ამ დებულების გამმართლებელი, განმსაზღვრელი, დამკვიდებარებელი საფუძვლის მონახვა. რაიმე დებულების დასაბუთება ამ დებულების დადგენაა მისი საფუძვლით; რაიმე დებულების სხვა დებულებით თუ დებულებებით დადგენა არის მისი დასაბუთება. მაგრამ დამდგენიც ხომ დებულებაა, რომელსაც სხვა დამდგენი დებულება სჭირდება საფუძვლად? ამ სხვა საფუძველს კი კიდევ სხვა საფუძველი დასჭირდება და ა. შ. უსასრულოდ. თუ საფუძვლის ხაზით დასაბუთება წავიდა უსასრულობაში, მაშინ დასაბუთება შეუძლებელია, როგორც ეს ნათლად გაარკვია ჯერ კიდევ არისტოტელემ და ისედაც ყველასთვის გასაგებია. დასაბუთებაში უსასრულო რეგრესი არის აუცილებელი ნიშანი დასაბუთების შეუძლებლობისა. მაგრამ თუ დასაბუთებაში უსასრულო რეგრესი შევაჩერეთ, ე. ი. თუ გავჩერდით რომელიმე დებულებაზე, მაშინ ამ დებულების დაუსაბუთებულობის გამო ყველა მისი ქვემდებარე დებულებებიც დაუსაბუთებელი იქნება, ასე რომ ამ შემთხვევაშიც დასაბუთება შეუძლებელია. სად არის გამოსავალი? აქ აღნიშნული სიძნელიდან გამოსავალს, ე. ი. დასაბუთების გამართლებას იმაში ხედავენ (დაწყებული არისტოტელედან დღემდე), რომ

დასაბუთების საწყისად მიიჩნევენ ისეთ დებულებას (დებულებებს), რომელიც არ არის დასაბუთებული, მაგრამ დასაბუთებას არც საჭიროებს. ასეთ დებულებას აქსიომას ეძახიან, დასაბუთება არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი, მას საზღვარი უნდა ჰქონდეს. ასეთ საზღვრად მიჩნეულია აქსიომა (აქსიომები).

მაგრამ არისტოტელეს წინააღმდეგ ბრძოლაში ძველმა სკეპტიკოსებმა წამოაყენეს დებულებები („ახალი ტროპები"), რომლებიც ახლაც ძალაში არიან. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ყოველ დებულებას აქვს შინაარსი, ყოველი დებულება არის გარკვეული აზრი, ასეთი და არა სხვანაირი აზრი, მაგრამ რომ აზრი ასეთია და არა სხვანაირი, ამას საფუძველი აქვს და უნდა ჰქონდეს; ამიტომ ყოველი დებულება, მათ შორის აქსიომატური დებულებაც, საჭიროებს დასაბუთებას, ასე რომ დასაბუთების რეგრესი უსასრულობაში აუცილებელია. თუ დასაბუთების საწყისად მივიჩნევთ რომელიმე დაუსაბუთებელ დებულებას, მაშინ ამავე საფუძვლით თუ უსაფუძვლობით შეგვიძლია დასაბუთების საწყისად ავიღოთ მის (ამ დაუსაბუთებელი დებულების) საწინააღმდეგო დებულებაც. ამდენად, სულ ერთია რა დებულებას ავიღებთ დასაბუთების საწყისად. მაგრამ ასეთ შემთხვევაში დასაბუთებას აზრი დაეკარგება, ის შეუძლებელი იქნება, რადგან მას არ ექნება მყარი გამოსავალი დებულება, მყარი საზღვარი. დასაბუთების საწყისი დებულება არ შეიძლება იყოს ნებისმიერი დებულება. მაგრამ დასაბუთების საწყისად მხოლოდ გარკვეული დებულების (თუ დებულებების) აღება კი უკვე მიუთითებს მათ დასაბუთებაზე, რასაც ახალი საწყისი დასჭირდება და ა. შ. უსასრულოდ. ამიტომ აქაც დასაბუთების შეუძლებლობას ვღებულობთ. თუკი დასაბუთების საწყისის დაუსაბუთებლობას იმით ავიცილებთ თავიდან, რომ მას სხვა დებულებებით დავასაბუთებთ და სხვა დებულებებს კი ამ საწყისით დავასაბუთებთ, მაშინ მივიღებთ ლოგიკურ წრეს, როგორც შეცდომას; ამ წრეში არც ერთი დებულება არ დასაბუთდება, ურთიერთდასაბუთება არც ერთ დებულებას არ ასაბუთებს; წრეში ტრიალიც არ ხსნის უსასრულობაში სვლას; უსასრულობაში სვლა წრეში ტრიალის უსასრულო განმეორებაა. ასე რომ დასაბუთების პრობლემა გადაუწყვეტელ პრობლემას ჰგავს. მით უმეტეს, რომ დასაბუთების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფა თვითონ არის გარკვეული დასაბუთება.

დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს დასაბუთებული, რადგან ის ყოველგვარი დასაბუთების (თვითონ საწყისის დასაბუთებისაც) საწყისს უნდა წარმოადგენდეს. ის საერთოდ დასაბუთების გამმართლებელი უნდა იყოს და თვითონ არ უნდა იყოს გასამართლე-

ბელი — დასაბუთებელი და დასაბუთებული. მაგრამ თუ დასაბუთების საწყისი არის დასაბუთების გამმართლებელი და ეს გამართლება ლოგიკური გამართლებაა, მაშინ საწყისი იქნება დასაბუთების დამსაბუთებელი. ასეთ შემთხვევაში: 1) დამსაბუთებელი, როგორც საფუძველი, თვითონ მოექცევა დასაბუთებაში; დასაბუთება საფუძვლის და შედეგის კავშირია, რომლის კომპონენტებსაც საფუძველი და შედეგი წარმოადგენს; 2) დასაბუთების დასაბუთება, როგორც ეს არისტოტელემ აღნიშნა, თვითონ არის შეუძლებელი, ის შეცდომაა.

მაგრამ, მეორე მხრივ, დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს არც დაუსაბუთებელი, რადგან: 1) დაუსაბუთებელი ვერ იქნება დასაბუთების გამმართლებელი, და 2) დაუსაბუთებლის და დასაბუთების ლოგიკური კავშირი, ეს იქნება დაუძლეველი წინააღმდეგობა.

ასე რომ დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს არც დასაბუთებული და არც დაუსაბუთებელი, მაშინ როცა დასაბუთებისათვის მისი საწყისი, როგორც აღინიშნა, აუცილებელია. აქ ნათლად ჩანს დასაბუთების საწყისის პრობლემის შინაარსი, ამ პრობლემის სიძნელე.

დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს ინტუიციური, რადგან ინტუიცია არ არის ლოგიკური მდგომარეობა, ის არალოგიკურია. არალოგიკურის ლოგიკურთან კავშირიც გამოუვალი წინააღმდეგობა იქნება. დასაბუთების საწყისი არის დასაბუთების არსება, ამიტომ ლოგიკურის არსება ვერ იქნება ის, რაც არალოგიკურია. შეუძლებელია ლოგიკურის არსება იყოს არალოგიკური. ინტუიცია ბოლოს და ბოლოს, არის ფსიქოლოგიური და არა ლოგიკური მდგომარეობა. ლოგიკას არ უნდა ჰქონდეს საქმე ინტუიციასთან, მით უმეტეს, ინტუიციასთან როგორც დასაბუთების საწყისთან.

თუ ინტუიცია არ გამოდგება დასაბუთების საწყისი დებულების (თუ დებულებების), ასე ვთქვათ, ამოსარჩევად, მაშინ ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ დასაბუთების საწყისის არჩევის საფუძველი არის შეთანხმება, კონვენცია. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ კონვენციონალიზმი მცდარი შეხედულებაა, ის სიყალბეს მოასწავებს, რადგან: შეთანხმება არ შეიძლება იყოს საფუძველი აქსიომისა და მისი ამორჩევისათვის; თუ აქსიომას რაღაც საფუძველი სჭირდება (მაგალითად, შეთანხმება), მაშინ, კატეგორიალური აზრით, ეს რაღაც იქნება აქსიომის დამსაბუთებელი; ე. ი. აქსიომა მოიხსნება. აქსიომის ამორჩევა არის იმ აუცილებლობის ჩვენება, რომ აქსიომად უნდა ავიღოთ ეს და არა სხვა დებულება; ასეთი აუცილებლობა კი უკვე არის დასაბუთება, სახელდობრ, აქსიომის დასაბუთება, რაც აქსიომის, როგორც დაუსაბუთებლის, მოხსნას ნიშნავს. თუ შეთანხმება თვითნე-

ბურია, მაშინ ლოგიკა იკარგება; მაგრამ შეთანხმება არ შეიძლება იყოს თვითნებური (წინააღმდეგ კონვენციონალიზმისა), რადგან შეთანხმებას განსაზღვრავს ის, რის შესახებაც ვახდენთ შეთანხმებას. ლოგიკურ შეცდომას მივიღებთ მაშინ, თუ ვიტყოდით, რომ შეთანხმების საფუძველი არის ისევ შეთანხმება, ე. ი. თუ ვიტყოდით, რომ შეთანხმების შესახებ უნდა შევთანხმდეთ; ეს გამოიწვევდა ლოგიკურ რეგრესს. ის გარემოება, რომ სხვადასხვა სისტემას (გეომეტრიის სხვადასხვა სისტემას თუ მათემატიკური ლოგიკის სხვადასხვა სისტემას) აუცილებლად სხვადასხვა აქსიომები სჭირდება, იმას მოწმობს, რომ აქსიომებს შეთანხმება კი არ განსაზღვრავს, არამედ ამ სისტემის შინაარსი, რომლის აქსიომებსაც არჩევენ. ვთანხმდებით სწორედ შესათანხმებლის გამო. შეთანხმებას თვითონ სჭირდება გამმართლებელი ობიექტური საფუძველი. ობიექტურობის უარყოფა ლოგიკისათვის შეუძლებელია. ობიექტურობის უარყოფა და სუბიექტური შეთანხმებით ლოგიკის დაფუძნება შეუძლებელია. შეუძლებელია ლოგიკის უარყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უარყოფა იქნებოდა გაგებული როგორც აბსოლუტურად ობიექტური. ამიტომ უაზრობას წარმოადგენს კარნაპის „შემწყნარებლობის პრინციპი“.

თუ დასაბუთება, როგორც ლოგიკური გარეგანი საფუძვლის მოხმარა, იწვევს უსასრულო რეგრესს, მაშინ აუცილებელი უნდა იყოს დასაბუთების გამმართლებელი შინაგანი საფუძველი. დასაბუთების ლოგიკური საწყისის აუცილებლობა უნდა იყოს იგივე, რაც დასაბუთების შინაგანი საფუძვლის აუცილებლობა. დასაბუთების საწყისი ხომ მის არსებას უნდა წარმოადგენდეს? მაგრამ შინაგანი ლოგიკური საფუძველი ხომ ლოგიკური წრე — შეცდომა იქნება? დასაბუთების წრიულობა აუცილებელი უნდა იყოს, მაგრამ ეს წრიულობა შეცდომას არ უნდა წარმოადგენდეს. ლოგიკურს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ლოგიკური საფუძველი (სხვა საფუძველი, როგორც რეალური საფუძველი, კი მისთვის აუცილებელია), რადგან ასეთ შემთხვევაში ჩავარდებოდით უსასრულო რეგრესში, მივიღებდით უაზრობას. მაგრამ ლოგიკური თვითსაფუძველიც შეუძლებელი ჩანს, რადგან წრიულობა შეიძლება იყოს შეცდომა. სად არის გამოსავალი? როგორი უნდა იყოს დასაბუთების ლოგიკური საწყისი? როგორი უნდა იყოს ამ საწყისის ნიშნები?

§ 229. დასაბუთების საწყისის ნიშნების შესახებ

ჯერ არ ვიცით, თუ რა წარმოადგენს დასაბუთების საწყისს, ამიტომ შეუძლებელი ჩანს დასაბუთების საწყისის ნიშნების შესახებ

ლაპარაკი. ის რომ ვიცოდეთ, თუ რა არის დასაბუთების საწყისი, მაშინ მისი ანალიზი მოგვცემდა მის ნიშნებს. მაგრამ თუ ვიცით დასაბუთების საწყისი, მაშინ, ცხადია, მისი ნიშნებიც გვცოდნია; დასაბუთების საწყისის ცოდნის, მისი ცნების ქონების შემდეგ ზედმეტია მის ნიშნებზე ლაპარაკი, რადგან საწყისის ცნება უკვე შეიცავს მის ნიშნებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, სწორედ საწყისის ცნების დასადგენად. საჭიროა ჯერ გავარჩიოთ ის ნიშნები, რომლებიც აუცილებელია საწყისის ცნებისათვის; ჯერ უნდა გაირკვეს ის, თუ როგორი უნდა იყოს საწყისის ნიშნები, რა ნიშნები უნდა აკმაყოფილებდნენ საწყისის ცნებას, და შემდეგ, აქ აღნიშნული გზით, დავადგენთ საწყისის ცნებას. თუ ვიცით ის, თუ როგორი ნიშნები შეიძლება აკმაყოფილებდეს დასაბუთების საწყისის ცნებას და რომელი არ შეიძლება მას მიეკუთვნოს, ცხადია, მაშინ შეგვიძლია მივუდეთ საწყისის ცნებამდე და დავადგინოთ იგი. ჩვენი აზრით, დასაბუთების საწყისს უნდა ჰქონდეს შემდეგი ნიშნები:

1. დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დადებითი, რადგან ის არ შეიძლება იყოს უარყოფითი. უარყოფა არის რაიმეს უარყოფა, სახელდობრ, იმის უარყოფა, რაც უარყოფისათვის დადებითია; უარსაყოფი რაღაც დადებითია. თუ თვითონ უარყოფაა უარსაყოფელი, მაშინ მას რაღაც დადებითი აზრი აქვს უარყოფისათვის. უარყოფა შეიძლება იმის, რაც შეიძლება უარყოფილ იქნას; უარყოფილ შეიძლება იქნას მხოლოდ ის, რაც არის, ან რაც მიჩნეულია რაღაც დადებითობად. უარყოფას წინ უსწრებს დადებითობა, ამიტომ დასაბუთების საწყისი არ შეიძლება არ იყოს დადებითი. დასაბუთება ყოველთვის არის რაიმეს დასაბუთება, რომელიც წარმოებს რაიმეს საფუძველზე. არ შეიძლება უარყოფითის დასაბუთება დადებითის გარეშე, მაშინ როცა დადებითის წინასწარი მიღება შესაძლებელია[1]. ის, რის საშუალებითად ასაბუთებენ, უფრო აუცილებელია იმასთან შედარებით, რასაც ასაბუთებენ,[2] ამბობდა ჯერ კიდევ არისტოტელე. დასაბუთების პირველი საშუალება — საფუძველი —უნდა იყოს რაღაც დადებითი, რომელიც პირველი აუცილებლობაა დასაბუთებისათვის. ამიტომ დასაბუთების საწყისი, წინააღმდეგ არისტოტელეს აზრისა, არ შეიძლება იყოს წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, რადგან ეს დებულება უარყოფითი ხასიათისაა; ის მიუთითებს მხოლოდ იმას, რაც შეუძლებელია.

2. დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დადებითი, მაგრამ თუ ის არის მხოლოდ დადებითი, თუ ის წმინდა დადებითობის ბუნებისაა,

[1] არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წ. I, თავი 25.
[2] იქვე, თავი 2. 72 a 32 და შემდეგ.

მაშინ იგი უნდა იყოს მარტივი. მაგრამ საჭიროა გაირჩეს ის, რომ დასაბუთების საწყისი შეიძლება იყოს თუ არა მარტივი. აქ ჩვენ ვილაპარაკებთ განსაზღვრების, როგორც დასაბუთების საწყისის, სიმარტივის შესახებ.

დასაბუთების ბუნება მტკიცება-უარყოფაში მდგომარეობს; დასაბუთება წარმოებს მსჯელობის საშუალებით. მტკიცება-უარყოფა არის ლოგიკური სირთულე (როგორც ეს არისტოტელეს ესმოდა); რთული წინასწარ გულისხმობს მარტივს, ამიტომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს მარტივი. აქ ლაპარაკია განსაზღვრების სიმარტივეზე, რადგან: მტკიცება-უარყოფა წინასწარ გულისხმობს საგანს. თუ დასაბუთების პრინციპია დებულება: „თუ არის A, მაშინ არის B“ (როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება), მაშინ პასუხი კითხვაზე, თუ „რა არის A“, არის განსაზღვრება და არა დასაბუთება. დასაბუთება, როგორც ითქვა, მსჯელობის ბუნებისაა, განსაზღვრება კი მარტივია, ამიტომ ის წინ უსწრებს დასაბუთებას. განსაზღვრება არ არის დასაბუთება. განსაზღვრება შებრუნებადია, დასაბუთება კი არა. განსაზღვრება რომ დასაბუთება იყოს, მაშინ შებრუნებადობა დასაბუთებაში არაფერს დასაბუთებას არ მოგვცემდა. განსაზღვრება არ არის მსჯელობის ბუნებისა. მსჯელობა რომ განსაზღვრება იყოს, მაშინ, ფიქრობდა არისტოტელე, დასაბუთება, შებრუნებადობის და სიმარტივის გამო, შეუძლებელი იქნებოდა.[1] განსაზღვრება მარტივი დადებითობის ბუნებისაა, ამიტომ ის არის ანალიზური, მაშინ როცა მსჯელობა და დასაბუთება ლოგიკური სირთულის (მტკიცება-უარყოფის) ბუნებისაა, ე. ი. სინთეზურია. მსჯელობა, მაგალითად, დანასკვი რომ იყოს განსაზღვრება, მაშინ არისტოტელეს აზრით, შებრუნებადი იქნებოდა წანამძღვრებიც, საშუალო ცნება ადრევე იგულისხმებდა იმას, რაც უნდა დასაბუთდეს, ამიტომ შეუძლებელი იქნებოდა დასაბუთება.[2] გარკვეული რეალური განსაზღვრება, ფიქრობს არისტოტელე, ადგენს ცნებას, რომელიც დასკვნაში ასრულებს საშუალო ტერმინის როლს (ასეთი დასკვნა არის დასაბუთება); ასეთი საშუალო არ საბუთდება, ის არის დაუსაბუთებული „მიზეზი“.[3]

დასაბუთების საწყისის ასეთი სიმარტივის აღიარება არ უნდა იყოს სწორი. განსაზღვრება შებრუნებადია. თუ ეს ასეა, მაშინ ის განსხვავებასაც გულისხმობს. შებრუნება შეუძლებელია განსხვავე-

---

[1] არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წ. II, თ. 4.

[2] იქვე.

[3] იქვე, თ. 8.

ბის გარეშე. თუ განსასაზღვრი და განმსაზღვრელი ერთიმეორისაგან როგორმე არ განსხვავდება, მაშინ შებრუნებადობა აზრს ჰკარგავს. სიმარტივე არის სიცარიელე. თუ განსაზღვრება მარტივია, თუ მისი შინაარსი მარტივი დადებითობაა, მაშინ მას არ ჰქონია შინაარსი, ის ცარიელი უარყოფითობა ყოფილა; ეს მაშინ, როცა განსაზღვრება სწორედ შინაარსს, სახელდობრ, ცნების შინაარსს ადგენს. ცნების შინაარსის დამდგენი განსაზღვრება არ შეიძლება იყოს სიმარტივის ბუნების მქონე, ის არ შეიძლება არ იყოს მსჯელობა, განსხვავების შემცველი დადებითობა. განსაზღვრება შეიცავს არა მარტო განსხვავებას, ის დაპირისპირების შემცველიცაა, რამდენადაც განსაზღვრება არის უახლოესი გვარის და სპეციფიკური განსხვავების, ე. ი. ზოგადის და კერძოს ერთიანობის დადგენა.

ამიტომ მცდარია დასაბუთების საწყისის დასაბუთების გარეთ გატანა; დასაბუთების საწყისი დასაბუთების ბუნების უნდა იყოს და არა რაღაც მისტიკური დადებითობა (არისტოტელესთან განსაზღვრების მარტივი დადებითობა იგივეა, რაც „უსიას“ მისტიკური სიმარტივე). დასაბუთების საწყისი არ არის მარტივი. დასაბუთების საწყისი დასაბუთების არსებაა და ცხადია, დასაბუთების ბუნების იქნება. დასაბუთების საწყისის დასაბუთების გარეთ გატანა იწვევს უსასრულო რეგრესს.

3. ნათქვამიდან უშუალოდ გამომდინარეობს ის, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს შინაგანი უარყოფის შემცველი დადებითობა. თუ დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს არც მხოლოდ უარყოფითობა და არც წმინდა დადებითობა და თუ რაიმეს დადგენა, როგორც საწყისი, უნდა იყოს შინაარსის, ე. ი. განსხვავებულობის მქონე, მაშინ, ცხადია, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს უარყოფის შემცველი დადებითობა, სადაც დადებითობის და უარყოფითობის მომენტები მხოლოდ შედარებითი ბუნების იქნებიან. თუ დადებითობა და უარყოფითობა აღებულ იქნა აბსოლუტური მნიშვნელობით, მაშინ ისინი ერთიმეორეს გააბათილებენ და დასაბუთების საწყისი, ისე როგორც დასაბუთება, რომელიც მტკიცება-უარყოფით ხორციელდება, შეუძლებელი იქნება. პლატონის მიერ აღმოჩენილი შედარებითი უარყოფის ცნება (გარკვეული თხზულებაში „სოფისტი“) ვერ გაიგო არისტოტელემ და ამიტომ ასცდა დიალექტიკის გზას, როგორც საერთოდ ისე ლოგიკაშიც.

თუ დადებითობა არის უარყოფის შემცველი, მაშინ ის არის სინთეზური. დასაბუთების საწყისი უნდა იყოს სინთეზური. დადებითობის და უარყოფითობის ერთიანობა, როგორც ვიცით, შეტია

მსჯელობაზე, ის არის შუალობითი კავშირი, ამ აზრით, დასკვნა. მაშასადამე, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დასკვნის ხასიათის: დასაბუთების საწყისი არ შეიძლება არ იყოს დასაბუთების ბუნების; დადებითობის და უარყოფითობის ერთიანობა დასაბუთების არსებას წარმოადგენს.

4. რადგან დასაბუთების საწყისი არის უარყოფის შემცველი დადებითობა, ამიტომ და ამის გამო დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ზ ო გ ა დ ო ბ ი ს ბუნებისა, სახელდობრ, შინაარსეული ზოგადობის ხასიათისა.

ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ ზოგადის საფუძველზე ჩვენ ვიცით ესეც და სხვაც; ეს ორი არის კერძოები, რომელთა საფუძველსაც ზოგადი უნდა წარმოადგენდეს. ზოგადი არის ერთიანობა „ამის“ და „სხვის“. არისტოტელე იმასაც ამბობდა, რომ დასაბუთების ზედა საზღვარი არის კატეგორიები[1]. თუ „ეს “და „სხვა“ აყვანილ იქნა კატეგორიალურ აზრამდე და მათ დასაბუთების ელემენტებად განვიხილავთ, მაშინ „ეს“ და „სხვა“ იქნება მტკიცება და უარყოფა; ზოგადი კი მათი ერთიანობა იქნება. ეს იქნება შინაარსეული ზოგადობა, რომელიც ერთეულის ბუნების გამომთქმელიც იქნება; ამიტომ თუ განსაზღვრება გამოთქვამს ერთეულის ბუნებას (თანახმად არისტოტელეს მტკიცებას), მაშინ ამ ერთეულის ბუნება არ არის მარტივი, არამედ შინაარსეული ზოგადობაა (თვითონ არისტოტელეს მიხედვითაც, ზოგადი ხომ ერთეულის ბუნებას წარმოადგენს).

დასაბუთების, როგორც ერთიანი სისტემის, საწყისი არ შეიძლება არ იყოს ზოგადი იმ აზრითაც, რომ ის არის დასაბუთების არსება, აზრის ყველა ფორმის და მათი ლოგიკური კავშირის საერთო და არსებითი აზრი. საერთო და არსებითი კი არის გარკვეული, „არსებითი ზოგადი“.

არისტოტელე აღნიშნავდა, რომ საშუალო ცნება არის ზოგადი კიდურების მიმართ[2]. ეს ზოგადობა, ცხადია, არ შეიძლება იყოს მოცულობითი ხასიათისა (ასეთია არა საშუალო ცნება, არამედ სწორედ დიდი ცნება სილოგიზმის ტერმინებში). ეს არის გარკვეული ერთიანობა განსხვავებულთა, სახელდობრ, ერთეულის (მცირე) ცნების და ზოგადი (დიდი) ცნების ერთიანობა.

მაშასადამე, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს შინაარსეული ზოგადის ხასიათის.

---

[1] არისტოტელეს „კატეგორიები“, თ 5; „პირველი ანალიტიკა“, წ. I, თავები 19, 22, 27 – 30.

[2] „მეორე ანალიტიკა“, წ. I, თავი მე-11.

5. დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების ზოგადი, ცხადია, უნდა იყოს ერთი. დასაბუთების საწყისი აუცილებლად უნდა იყოს ერთი; დასაბუთებას უნდა ჰქონდეს ე რ თ ი ს ა წ ყ ი ს ი.

არისტოტელეს აზრით, დასაბუთება არის ბევრი, რადგან (უპირველეს ყოვლისა) არსებობს ისეთი დასკვნები, რომელთა საშუალო ცნებები დეფინიციით არის დადგენილი(ე. ი. საგნის არსებას გამოთქვამენ) და ამიტომ დასაბუთებას წარმოადგენენ. ამიტომ არსებობს ზოგადი საწყისებიც, რამდენიმე უზოგადესი საწყისი, რომელთაგან „ყველაზე უცილობელია“ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება.[1] მაშასადამე, ყველაზე უზოგადესი საწყისი ყოფილა მხოლოდ ერთი. არისტოტელესათვის დასაბუთების უზოგადესი საწყისი არის წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, ალბათ, იმიტომ, რომ ეს დებულება დასაბუთების არსებას გამოთქვამს; დასაბუთების არსება, არისტოტელესათვის, მდგომარეობს ერთდროულ მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობაში (ერთსა და იმავეზე ერთისა და იმავეს მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობაში). დასაბუთებას, ცხადია, ერთი არსება უნდა ჰქონდეს. დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, არის ერთი. არისტოტელე ფიქრობდა, რომ ნაკლები პოსტულატებიდან და წანამძღვრებიდან გამოსული დასაბუთება უკეთესია;[2] თუ ეს ასეა, მაშინ სრულ დასაბუთებას ერთი სრული საწყისი უნდა ჰქონდეს.

თანამედროვე მათემატიკური ლოგიკის აზრით, დასაბუთების საწყისი არის ბევრი; რომელიმე სისტემის აქსიომები ბევრია; ამას ემატება მეტალოგიკური წესებიც. მაგრამ ბევრ აქსიომათაგან თვითეული არის ტავტოლოგიური დებულება. აი სწორედ ტავტოლოგიურობა ყველა აქსიომისა და თვითონ აქსიომის ცნება (რომელიც მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს) მოითხოვს ერთ საწყისს; ერთი საწყისი აუცილებელია.

დასაბუთების საწყისთა სიმრავლის აღიარება, არის ლოგიკისადმი ღალატი (რასაც იწვევს ემპირიზმის ზედმეტი სიჭარბე არისტოტელესთანაც და მათემატიკურ ლოგიკაშიც), რადგან ბევრ საწყისს, როგორც საწყისს, მხოლოდ ერთი საწყისით ექნებათ აზრი; სხვანაირად შეუძლებელია.

რადგან წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება უარყოფითი ხასიათისაა, ამიტომ, როგორც ეს ზემოთ რამდენჯერმე აღინიშნა, მას რაღაც დადებითი უნდა უსწრებდეს წინ. ისიც ვიცით,

---

[1] ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს „მეორე ანალიტიკა“, თავი 22; „მეტაფიზიკა“, III 2, 996, b 27—31; იქვე, IV, 3, 1005 b 19—23.

[2] მ ი ს ი ვ ე „მეორე ანალიტიკა“, წ. I, თ. 25.

რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობას წინ უსწრებს წინააღმდეგობა, წინააღმდეგობას კი — ერთიანობა. როგორც ვიცით, ლოგიკურში უზოგადესი არის კატეგორია. ამიტომ დასაბუთების საწყისს კატეგორიულობის ნიშანი უნდა ჰქონდეს. არისტოტელემ ვერ მონახა უზოგადესი, რადგან მას არ გაურკვევია კატეგორიების კავშირის ბუნება (თუმცა დასაბუთების ზედა საზღვრად კატეგორიები აღიარა, აღიარა ის, რაც სხვაზე გამოითქმის, მაგრამ სხვა მასზე არ გამოითქმის. დასაბუთების ქვედა საზღვრად კი აიღო ერთეული საგნის არსება, ე. ი. ის, რაზედაც სხვა გამოითქმის, მაგრამ რაც სხვაზე არ გამოითქმის; თუმცა ასეთი პირველი სუბიექტი სწორედ პირველ კატეგორიას წარმოადგენდა არისტოტელესათვის).[1]

მტკიცება-უარყოფის ერთდროულ შეუძლებლობას წინ უნდა უსწრებდეს მტკიცება-უარყოფის ერთიანი აზრი, რომელიც დასაბუთების საწყისს უნდა წარმოადგენდეს. ასეთი რამ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი.

6. დასაბუთებისათვის აუცილებელია საწყისი. მაგრამ დასაბუთებისათვის მისი საწყისის აუცილებლობა უნდა განსხვავდებოდეს ფორმალურ-ლოგიკურ დასაბუთებაში განხორციელებული აუცილებლობისაგან. ეს არ ნიშნავს პირველი აუცილებლობის არარსებობას, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ ეს აუცილებლობა უნდა იყოს თავისებური, სახელდობრ, თავისებური დასაბუთების აუცილებლობა.

დასაბუთების საწყისი, როგორც სწორედ დასაბუთების საწყისი, განისაზღვრება დასაბუთების ბუნებით; როგორიცაა დასაბუთება, ისეთია მისი საწყისი. ამიტომაა, რომ სხვადასხვა სისტემისათვის განსხვავებულ საწყისებს (აქსიომებს) ეძებენ; ყოველ სისტემას (გეომეტრიულ, ფორმალურ-ლოგიკურ თუ მათემატიკურ-ლოგიკურ სისტემას) სხვადასხვა აქსიომები აქვს.

დასაბუთებაში განხორციელებული აუცილებლობა განსხვავდება დასაბუთებისათვის საწყისის აუცილებლობისგან, მაგრამ ეს უკანასკნელიც ლოგიკურ აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს. დასაბუთებისათვის მისი საწყისის აუცილებლობა უნდა იყოს თავისებური ლოგიკური აუცილებლობა, რადგან თუ დასაბუთებაში განხორციელებული აუცილებლობა გაგებულ იქნა (და დღემდე ეს ასე იყო გაგებული) როგორც საფუძვლიდან შედეგის მიღების აუცილებლობა, მაშინ დასაბუთებისათვის მისი საწყისის აუცილებლობა, ეს იქნება და უნდა იყოს შედეგისათვის საფუძვლის აუცილებლობა,

---

1 იხ. არისტოტელე, მეორე ანალიტიკა, წ. I, თ. 19.

იგი უნდა წარმოადგენდეს თავისებურ დადებით რეგრესულ დასკვნას, მაშინ როცა დადებით-რეგრესული დასკვნა ფორმალურ ლოგიკაში შეცდომას წარმოადგენს.

დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ის, რასაც დასაბუთების შინაგანი აზრი წარმოადგენს (ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ სილოგიზმი ეხება შინაგან აზრს და არა გარეგან გამოხატულებას).[1] ამიტომ იგი დასაბუთების ბუნების უნდა იყოს. ეს თავისებურ ლოგიკურ აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს, რაიმეს ლოგიკური აუცილებლობის ჩვენება სხვა არაფერია, თუ არა მისი დასაბუთება. ამიტომ დასაბუთებისათვის მისი საწყისის აუცილებლობა განხორციელდება თავისებურ დასაბუთებაში. ეს გარემოება კი სიძნელეს წარმოადგენს, სახელდობრ, შემდეგ სიძნელეს, თუ დასაბუთებისათვის მისი საწყისის აუცილებლობაც დასაბუთებაა, მაშინ ამ დასაბუთებას სხვა საწყისი დასჭირდება და ა. შ. საბოლოოდ დასაბუთება ხორციელდება საწყისის საფუძველზე, ამიტომ, ერთი შეხედვით, შეუძლებელი უნდა იყოს დასაბუთების საწყისის დასაბუთება. ჩვენ აქ ჯერჯერობით იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დასაბუთების გარკვეული საფუძველი და საშუალება, რომელსაც დასაბუთება იყენებს, ამდენად ის ამ დასაბუთებში შეიძლება ვერ დასაბუთდეს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დასაბუთების საწყისის, როგორც მისი საფუძვლის და საშუალების, აუცილებლობის ჩვენება არ შეიძლება არ იყოს თავისებური დასაბუთება.

დასაბუთებისათვის საწყისი აუცილებელია, უსაწყისო დასაბუთება არ არის დასაბუთება, ამიტომ დასაბუთების საწყისის უარყოფა შეუძლებელი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთების საწყისის უარყოფის შეუძლებლობა დასაბუთებისათვის მისი საწყისის აუცილებლობაა. დასაბუთების საწყისის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა თვითონ უნდა დაექვემდებაროს დასაბუთების საწყისს, რამდენადაც უარყოფა დასაბუთების ერთ მომენტს წარმოადგენს; დასაბუთება ხორციელდება მტკიცება-უარყოფის საშუალებით. დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ის, რის უარყოფაც შეუძლებელია; დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ის საფუძველ-საშუალება, რომლის მთხმობელსაც დასაბუთება ჰქვია. დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების აუცილებელი საშუალების უარყოფის ცდა თვითონ მოიხმარს და, ამ აზრით, ადგენს მას. ხორციელდება დასაბუთების საწყისის აუცილებლობა, ეი ი ნ ტ რ ა ც ი ე ლ დ ე ბ ა

---

[1] ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, შეორე ანალიტიკა, წ. I, თავი 10.

ბა მისი დასაბუთება, თუ ეს ასეა, მაშინ ყველაფერი დასაბუთდება, დასაბუთდება მისი საწყისიც, მაგრამ ისე, რომ დასაბუთებაში რეგრესის საშიშროება არ იარსებებს.

მაშასადამე, დასაბუთების საწყისის აუცილებლობა თავისებურია და ის თავისებურ დასაბუთებას წარმოადგენს.

7. ზემოთქმულიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ისეთი საშუალება-საფუძველი, რომელიც მოიხმარება ყველაფრის დასაბუთებისათვის, მათ შორის თვითონ მისი დასაბუთებისთვისაც, ე. ი. ის უნდა იყოს რაღაც თ ვ ი თ ა ფ უ ძ ვ ე ლ ი. მაგრამ, იმის ჩვენება, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ასეთი და არა სხვანაირი, უკვე არის მისი დასაბუთება. ამ დასაბუთების საწყისიც იგივე საწყისი უნდა იყოს, რაც სხვის დასაბუთების საწყისს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბუთების საწყისი არის ზოგადი ბუნების — სხვაზეც ვრცელდება და თავის თავზეც — ასეთი ზოგადობა დასაბუთებაში შეიძლება იყოს მხოლოდ თვითსაფუძველი.

როცა აქსიომას დასაბუთების გამოსავლად ათავსებენ, ე. ი. როცა აქსიომას მიიჩნევენ დასაბუთების საწყისად, მაშინ ამტკიცებენ იმას, რომ დასაბუთებისათვის აუცილებელია დაუსაბუთებელი დებულება, როგორც მისი საწყისი, მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, დასაბუთებისაფვის აქსიომის აუცილებლობის ჩვენება, ეს უკვე მისი დასაბუთებაა; ეს კი დასაბუთებისათვის თვითსაფუძვლის, როგორც საწყისის, მოთხოვნას ნიშნავს.

არისტოტელეც კი აღნიშნავდა, რომ ვეშმარიტი და პირველადი არის ის, რაც აუცილებელია არა სხვისი საშუალებით, არამედ თავის თავის საშუალებით[1]. სწორედ ამიტომ მოითხოვენ იმას, რომ ლოგიკა დაიფუძნონ იმას, რაც თავის თავს აფუძნებს, რათა ლოგიკა გადაურჩეს უსასრულო რეგრესს — დანგრევას. მაგრამ ასეთი თვითსაფუძველი უნდა იყოს ლოგიკური და არა თავისუფალი ნებისყოფა, როგორც ამას დინგლერი[2] აღიარებს, და რაც წარმოადგენს არა ლოგიკის დაფუძნებას, არამედ ლოგიკის უარყოფას, ლოგიკიდან გა-

[illegible]

[illegible] უნდა აღინიშნოს, რომ დასაბუთების საწყისი, როგორც თვითსაფუძველი, უნდა იყოს სინთეზური, უარყოფის შემცველი დადებითობა და არა ტავტოლოგიური დებულება, რადგან დასაბუთების თუ თვითსაფუძვლის ტავტოლოგიურობა ლოგიკურ სიყალ-

[1] Analytica posteriora, I, 100 a 30—b 21.

[2] H. Dingler: Der Zusammenbruch der Wissenschaft, 1926, გვ. 74; იხ. მისივე, Philosophie der Logik und Arithmetik, 1931, გვ. 22.

ბეს წარმოადგენს, რადგან ასეთი ტავტოლოგიურობა არის დასასაბუთებლის გაიგივება დამსაბუთებელთან, რაც, ცხადია, შეცდომას ნიშნავს.

თუ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს რაღაც თვითსაფუძველი, მაშინ: 1) ის იქნება ლოგიკური უპირობო. ლოგიკურად პირობითი არის ის, რასაც აქვს გარეგანი ლოგიკური საფუძველი; ეს არის „თუ-მაშინ"-ის პრინციპის გამოყენება; ლოგიკური უპირობო კი უნდა იყოს ლოგიკური causa sui; 2) ეს თვითსაფუძველი, უკეთ, თვითდაფუძნება იქნება გარკვეული „დასაბუთების დასაბუთება", რომელიც ლოგიკური ჰეშმარიტება იქნება და არა შეცდომა. არისტოტელეს მიერ აღნიშნული „დასაბუთების დასაბუთების[1]", როგორც შეცდომის, დაუძლეველი სიძნელის თავიდან აცილება მართლაც შეუძლებელია, თუ ლოგიკური საფუძველი გაიგივებულია გარეგან საფუძველთან, თუ ლოგიკურში მოქმედებს მხოლოდ პრინციპი „თუ-მაშინ", (როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება და არა როგორც იმპლიკაცია).

გასაგებია, რომ დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების ლოგიკური საშუალება, არ შეიძლება იყოს დასაბუთების წანამძღვარი, დასაბუთებამდე არსებული, რადგან ასეთ შემთხვევაში მასსა და დასაბუთებას შორის კავშირი იქნებოდა ახალი დასაბუთება, რომელსაც ახალი საწყისი დასჭირდებოდა და ა. შ. უსასრულოდ. ამიტომ დასაბუთების საწყისი, როგორც მისი აუცილებელი საშუალება, უნდა იყოს თვითონ დასაბუთებაში, მის შიგნით; ის უნდა იყოს შინაგანი საფუძველი. ამავე დროს, ამ საშუალების ბუნება უნდა განისაზღვრებოდეს იმით, რის საშუალებასაც ის წარმოადგენს. საწყისი განსაზღვრული უნდა იყოს იმით, რის საწყისსაც ის წარმოადგენს. თვითონ საწყისს უნდა ჰქონდეს დასაბუთების ხასიათი; სხვანაირად შეუძლებელიცაა, თუკი ის არის ლოგიკური თვითსაფუძველი—ლოგიკური causa sui, მაგრამ გასარკვევია ის, თუ რას წარმოადგენს ეს თვითსაფუძველი? შესაძლებელია ლოგიკური causa sui თუ არა? დასაბუთების საწყისი, როგორც თვითსაფუძველი, ხომ არ არის რაღაც ინტუიციური? ჯერ პასუხი გავცეთ ამ უკანასკნელ საკითხს, შემდეგ კი დანარჩენ საკითხებს.

დასაბუთების საწყისად ინტუიციურის აღება იგივეა, რაც დასაბუთების საწყისად აქსიომების აღიარება, ამიტომ ჩვენ ახლა უნდა გადავიდეთ იმის გარჩევაზე, შეიძლება თუ არა აქსიომები იქნას

[1] არისტოტელეს „მეორე ანალიტიკა", წ. I, თ. 22; წ.II თ. 19.

აღიარებული დასაბუთების საწყისად; ჩვენ გვგონია, რომ ლოგიკის აქსიომატიზაცია შეუძლებელია, ლოგიკის სფეროში დასაბუთების საწყისად აქსიომები არ გამოდგება.

§ 230. ლოგიკის აქსიომატიზაციის შეუძლებლობა

1. რომელიმე მეცნიერების, როგორც დასაბუთების სისტემის, აქსიომებზე დაფუძნება, ე. ი. დასაბუთების საწყისად აქსიომების აღება — მეცნიერების აქსიომატიზაცია თუ ფორმალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ეს მეცნიერება არის კერძო — სპეციალური მეცნიერება, თუ ის არ არის ფილოსოფიური მეცნიერება, რადგან: 1) აქსიომების საწყისად მიღება, ეს არის დაუსაბუთებლის საწყისად მიღება,[1] და მეცნიერება ეყრდნობა მასში დაუსაბუთებელს (მაგალითად, ფილოსოფიურ კატეგორიებს), თუ იგი არის კერძო მეცნიერება, 2) ფილოსოფიური მეცნიერების საწყისად დაუსაბუთებელი დებულებების აღება შეუძლებელია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო გახდებოდა სხვა ფილოსოფიის აღიარება და ა. შ. ამიტომ უნდა ითქვას, რომ აქსიომატური მეთოდი არის კერძო-მეცნიერული მეთოდი. აქსიომატური მეთოდი, მართლაც, მიჩნეულია ერთ-ერთ მეთოდად, კერძო მეცნიერების (მაგალითად, გეომეტრიის) ერთ-ერთ მეთოდად. ამიტომ ის არ არის ზოგად-ლოგიკური მეთოდი. ლოგიკაში არაფერი არ შეიძლება იყოს დაუსაბუთებლად დატოვებული, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა — ახალი ლოგიკა იქნებოდა აუცილებელი. სადაც დასაბუთებასთან ერთად დაუსაბუთებლობაცაა, იქ არის კერძოობა, ცალმხრიობა და არა ზოგადობა.

2. დასაბუთების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ რაიმე უნდა გამართლდეს; ეს გამართლება უნდა მოხდეს დასაბუთების დასრულებით, დასაბუთების ბოლოს და თვითონ დასაბუთების პროცესში. ამიტომ დასაბუთების აზრს ეწინააღმდეგება ლოგიკური ჰეშმარიტების მოთავსება დასაბუთების დასაწყისში. „ჰეშმარიტება იმყოფება არა დასაწყისში, არამედ — ბოლოში, უფრო სწორად, გაგრძელებაში[2]"; ამიტომ არ არის სწორი დასაბუთების დასაწყისში აქსიომების, როგორც უცილობელი ჰეშმარიტების, მოთავსება. ყოველგვარი

---

[1] დ. ჰ ი ლ ბ ე რ ტ ი ს აზრით, აქსიომატურ მეთოდში ლოგიკური ეფუძნება არალოგიკურს; ეს გარემოება, მისი აზრით, კანტის ფილოსოფიური სახელმძღვანელო დებულებაა. იხ. მისი „გეომეტრიის საფუძვლები", 1948 წ. რუს. გამოც. გვ. 351, 353, 360, 366, 373, 377. იხ. ზემოთ § 203—„აქსიომატური მეთოდი".

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 38, გვ. 168.

ჰეშმარიტება, კერძოდ, ლოგიკური ჰეშმარიტება არ არის დასაწყისში, არამედ „გაგრძელებაში“ — თვითონ დასაბუთებაში.

3. აქსიომატური მეთოდის აზრი ემყარება იმას, რომ დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების არსება, დასაწყისში გადაიტანოს, დასაწყისში მოათავსოს ის, რაც შემდეგ — გაგრძელებაში თუ ბოლოსაა. თუ დასაბუთების არსება, სისრულით აღებული, გადავიტანეთ დასაწყისში, შემდეგ დასაბუთება ზედმეტი გახდება. თუ ის, რაც დასაბუთების ბოლოს უნდა იყოს, მოვაქციეთ თავში — დასაწყისში, მაშინ, ცხადია, რომ დასასაბუთებელი წინასწარ გვაქვს წარმოდგენილი, როგორც დამსაბუთებელი; ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში დასაბუთება ზედმეტი გახდებოდა და თვითონ დასაბუთების ასეთი გადაბრუნება მხოლოდ შეცდომა იქნებოდა.

4. თუ დასაბუთებას წინ უსწრებს უშუალო დადებითობა, როგორც დასაბუთების ზოგადი აზრი, რომელსაც აქსიომები წარმოადგენენ, მაშინ შეუძლებელია ასეთი გარემოების განხორციელება, რადგან: 1) ზოგადი არის ის, რაც გამოითქმის სხვადასხვაზე, ის არის საერთო სხვადასხვაობისათვის; ეს განსხვავებულობა აუცილებელია ზოგადისათვის, მაგრამ იგი (განსხვავებულობა) ანგრევს უშუალობას, მასში შეაქვს შუალობითობა. ზოგადობა, როგორც განსხვავებულთა ერთიანობა, შეუძლებელია იყოს უშუალო თუ ინტუიციური და პირიქით; 2) ასეთი დადებითობა არის მსჯელობის დადებითობა, ამიტომ იგი, როგორც ვიცით, აუცილებლობით შეიცავს განსხვავებულობას; განსხვავებულობა კი ხსნის წმინდა დადებითობას — უშუალობას თუ ინტუიციურობას.

5. უშუალო — დაუსაბუთებელი ვერ ამართლებს დასაბუთებულს, დასაბუთებადს, დასასაბუთებელს თუ დასაბუთებას, რადგან ა) ეს არის დასაბუთების დაყვანა დაუსაბუთებელზე: დასაბუთების დაყვანა დაუსაბუთებელზე ვი დასაბუთების გაუქმებაა; ბ) დაუსაბუთებელი ვერ მხსნელმა აზრის დასაბუთებას, ის მის საწყისად ვერ გამოდგება; დასაბუთების არსება არ შეიძლება იყოს დაუსაბუთებელი; გ) დასაბუთების დაუსაბუთებელზე დაყვანა, როგორც მართლაც დაყვანა, თვითონ არის გარკვეული დასაბუთება, ამიტომ უშუალოც მასში მოქცევა, ე. ი. გაუქმდება იგი, ყველაფერი დასაბუთებაში შეგა, არაფერი არ დარჩება დასაბუთების გარეთ; დ) დაუსაბუთებლის და დასაბუთების კავშირი იქნება გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა, ლოგიკური შეცდომა; ე) თუ ამ წინააღმდეგობას აქვს საფუძველი, მაშინ ის წყდება, ეს გადაწყვეტა კი იქნება დასაბუთება, რომელშიც მოქცევა უშუალო საწყისი, ე. ი. ამით იგი გაშუალდება, დასაბუთდება, უშუალობა გაუქმდება. ამრიგად, დასაბუ-

თუბის საწყისი არ შეიძლება იყოს უშუალო — არც ინტუიცია, არც ლოგიკური უშუალო.

ბ) თუ დასაბუთების საწყისი მხოლოდ უშუალოა, მაშინ ადგილი ექნება უშუალოს და შუალობის გაიგივებას, რაც საერთოდ შეუძლებელი და დაუშვებელია ლოგიკაში, რადგან დასაბუთება არის შუალობის და უშუალობის ერთიანობა. უშუალობის და შუალობის გათიშვა სასიკეთოდ უდევს ლოგიკის აქსიომატიზაციას, აქსიომები მხოლოდ უშუალო არიან. უშუალოს და შუალობითის გათიშვა ორიენტირებულია ერთ-ერთ ამ ორ მხარეზე, ისინი ფუნდამენტალური ცნებებია და აზრი აქვთ მხოლოდ ერთიანობაში. შუალობის და უშუალობის დიალექტიკის გადაწყვეტა წყვეტს დასაბუთების საწყისის პრობლემას. უშუალოს და შუალობითის კავშირის არადიალექტიკური გაგება დასაბუთების საწყისის და საერთოდ დასაბუთების პრობლემის გადაწყვეტას შეუძლებელს ხდის. არ შეიძლება დასაბუთების საწყისი არ იყოს გაშუალებული, რადგან ის არის სწორედ დასაბუთების საწყისი, ის გაშუალებულია მისით, რის საწყისსაც ის წარმოადგენს, სხვანაირად შეუძლებელია [illegible]

გ) თუ დასაბუთების საწყისი არის ზოგადი, მაშინ ის გაშუალებული უნდა იყოს კერძოთი. დასაბუთების საწყისი, როგორც ზოგადი, არ შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალო, რადგან ზოგადი ყოველთვის კერძოთია გაშუალებული. დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო, რადგან კერძო არის ზოგადის კერძო. კერძო გაშუალებულია ზოგადით, დასაბუთების საწყისი უნდა იყოს არც მხოლოდ კერძო, არც მხოლოდ ზოგადი, ის უნდა იყოს კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, თუკი დასაბუთება უნდა წარმოადგენდეს კერძოსა და ზოგადის ერთიანობას, დასაბუთების საწყისიც [illegible] ერთიანობისა საწყისი უნდა

[illegible] დასაბუთების საწყისად ექსპრომაციებული იქნა უსასრულო რეგრესში შესაჩერებლად. ის შემოყვანილ იქნა უსასრულო რეგრესის გამო. ამიტომ აქსიომა ამ რეგრესს გულისხმობს წინასწარ, ის ამ რეგრესით განისაზღვრება. აქსიომა დასაბუთებაში უსასრულო რეგრესს აჩერებს ხელოვნურად, ყოველივე, რაც სხვით არის განსაზღვრული, შეიძლება იყოს საწყისი. ასევე აქსიომა წინასწარ განსაზღვრულია უსასრულო რეგრესის საშიშროებით, აქსიომა რეგრესს დასაბუთებაში ვერ აჩერებს, პირიქით, ქმნის მას, რადგან ის აუცილებლობით გულისხმობს უსასრულო რეგრესს. [illegible] მათემატიკურ ლოგიკაში ქსერქსების გამოყენებისთვის აუცილებელია მეტაწესები, რომელთა მოხმარება ახალ მეტაწესებს მოითხოვს და ა. შ.

9. როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, აქ კი არგუმენტის სახით იქნება წარმოდგენილი, აქსიომად გამოდგება მხოლოდ ზოგიერთი დებულება, ე. ი. აუცილებელია დებულებების აქსიომებად ამორჩევა, მაგრამ ეს ამორჩევა უკვე არის დასაბუთება. იმის დადგენა, რომ სწორედ ეს და არა სხვა დებულება გამოდგება აქსიომად, უკვე მის დასაბუთებას წარმოადგენს; ამ დასაბუთებით იხსნება ამორჩეული დებულების აქსიომობა. რადგან ეს უკანასკნელი მასზეა დაქვემდებარებული, ე. ი. მეორადია და არა პირველი.

10. ამორჩევა მოითხოვს საფუძველს, ე. ი. იმას, რის გ ა მ ო ც ამოვარჩიეთ აქსიომად რომელიმე დებულება; ეს ამორჩევა მოხდა რაღაცის საფუძვლად გამოყენებით; საფუძვლის გამოყენებას კი დასაბუთება ჰქვია. ამდენად აქსიომა გამოდის დასაბუთების შედეგი და არა დასაწყისი, ე. ი. აქსიომა, როგორც დასაბუთებისათვის პირველი და დაუსაბუთებელი, იხსნება.

11. მცდარია აქსიომის ამორჩევის საფუძვლად შეთანხმების აღება (კონვენციონალიზმი), რადგან: ა) შეთანხმება საჭიროებს რაღაც საფუძველს (კატეგორიალური აზრით აღებულ საფუძველს, „რაღაც" არის კატეგორია), რომელიც მის მიმართ არის პირველი და რასაც, ცხადია, „შეთანხმების" გზით მიღებული აქსიომა დაემყარება; ეს კი აქსიომის გაუქმებაა; ბ) თუ შეთანხმება აბსოლუტურია, მაშინ საჭირო იქნება შეთანხმება შეთანხმების შესახებ, რაც ქმნის წრეს და უსასრულო რეგრესს; გ) აქსიომას განსაზღვრავს შეთანხმება, როგორც რაღაც საფუძველი, ამდენად მისი პირველობა იხსენება; აქსიომა ხდება გაშუალებული, მაშინ როცა აქსიომა უნდა იყოს სწორედ უშუალო; დ) შეთანხმება გულისხმობს შესათანხმებელს, იმას, რის შესახებაც უნდა შევთანხმდეთ. შეთანხმებას განსაზღვრავს ის, რის მიმართაც ხდება შეთანხმება; ამდენად შეთანხმება არ არის თავისუფალი; ამ გაგებით ის აზრს ჰკარგავს; შედეგით განისაზღვრება ის, რაც შედეგს უნდა უსწრებდეს წინ და განსაზღვრავდეს; ე) თუ აქსიომა არის ის, რის შესახებაც შეუძლებელია არ შევთანხმდეთ, მაშინ მოქმედებს აუცილებლობა, ისიც — უპირობო აუცილებლობა; ეს კი აუქმებს შეთანხმებას, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს; ვ) თუკი აქ არ არის აუცილებლობა, მაშინ აქსიომა ყოფილა ნებისმიერი, ე .ი. შეთანხმება არ ყოფილა საჭირო. თავისუფალი ნებისმიერება კი ქმნის ქაოსს, რომელიც დასაბუთებას აუქმებს და, ცხადია, ვერ აფუძნებს; დასაბუთებისათვის მთავარია სწორედ აუცილებლობა. „შემწყნარებლობის პრინციპი" არ შეიძლება იყოს პრინციპი. უპრინციპობა პრინციპს აუქმებს და თვითონ არ შეიძლება იყოს პრინციპი.

12. აქსიომა არის გარკვეული შინაარსის მქონე დებულება, ამიტომ მისი საწინააღმდეგოც შესაძლებელია; დასაბუთების გარეშე ორივე ამ დებულების აქსიომად აღება ერთი და იგივე უფლებით შეგვიძლია. თუ შესაძლებელია აქსიომებად ავიღოთ ორი ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო დებულება, მაშინ: ა) ან შეუძლებელია დასაბუთება, რადგან საწინააღმდეგონი ერთიმეორეს გააბათილებენ, ბ) ან არ არსებობს დასაბუთების ობიექტური საყრდენი, მაშინ როცა ობიექტურობის გარეშე დასაბუთება არ არსებობს და გ) ან იქმნება დასასაბუთებელი მდგომარეობა, რომლებშიც აქსიომები მოექცევიან, ამით კი უქმდება მათი აქსიომობა, რადგან წინააღმდეგობის გადაწყვეტა არის დასაბუთება, დასასაბუთებელი მდგომარეობის მოხსნა და დასაბუთების განხორციელება.

13. აქსიომების სიმრავლე და სხვადასხვაობა მოითხოვს ერთიანობას თანახმად აქსიომის ცნებისა, რომელიც მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს; ამას მოითხოვს აქსიომების ტავტოლოგიურობა და ტავტოლოგიური — ანალიზური პრინციპების დაცვა ლოგიკაში. წმინდა ანალიზურობა და ტავტოლოგიურობა ხსნის სხვადასხვაობას, სხვადასხვაობა კი მოითხოვს სინთეზურობას. ამრიგად, აქსიომათა სხვადასხვაობა მოითხოვს ანალიზურობა-სინთეზურობის ერთიანობის გადაწყვეტას, რაც მხოლოდ დასაბუთების გზით უნდა შესრულდეს. ამდენად, აქსიომების სხვადასხვაობა ქმნის დასასაბუთებელ მდგომარეობას, რაც, ცხადია, დასაბუთების საწყისად არ გამოდგება.

14. როგორც ცნობილია, მათემატიკურ ლოგიკაში აქსიომების არჩევა ხდება გარკვეული პირობების დაცვით; აქსიომები უნდა აკმაყოფილებდნენ პირობებს — არაწინააღმდეგობრიობას, დამოუკიდებლობას და სისრულეს; ეს გარემოება კი აქსიომებს აქცევს დასასაბუთებელ მდგომარეობაში, რომელსაც, ალბათ, კიდევ დასჭირდება აქსიომები, ანდა ასეთი მდგომარეობის გამართლება უკვე მოხსნის აქსიომებს, რადგან მათ გაამართლებს — დაასაბუთებს.

15. როგორც ცნობილია, რომელიმე მათემატიკური ლოგიკა (უკეთ მისი ნაწილი, რადგან მთელი ლოგიკის აქსიომატიზაცია ვერ მოხერხდა) არის გარკვეული სისტემა, რომლის გამოსავალს აქსიომები წარმოადგენენ, რომლებიდანაც თეორემების გამოყვანა შეუძლებელია, თუ არ იქნა მოხმარებული სხვა აქსიომები თუ წესები, რომლებიც მეტალოგიკურ წესებს წარმოადგენენ. თუ აქსიომებიდან გამოყვანას სხვა აქსიომები სჭირდება, მაშინ ამ აქსიომების გამოყვნებას კიდევ სხვა აქსიომები დასჭირდება და ა. შ. უსასრულოდ.

16. აქ აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ აქსიომატური მეთო-

დიაზრს უკარგავს ლოგიკას, რამდენადაც იგი იწვევს ლოგიკიდან ლოგიკის გატანას, ლოგიკის შეუთანხმებლობის დამშლას, ხელს უშლის მეტა- და მეტამეტალოგიებს. ლოგიკა შეიძლება და უნდა იყოს მხოლოდ ერთი ლოგიკა ვერა მარტოებს თავის თავს, თუ მას სხვა ლოგიკა სჭირდება. ლოგიკის არსებობისათვის, ცხადია, არ არის საჭირო ლოგიკიდან ლოგიკური გახვევა, პირიქით, ასეთი რამ მას ანგრევს. [illegible] მათემატიკურ ლოგიკაში ლოგიკის კანონებს ასაბუთებენ აქსიომებიდან გამომდინარეობით, მაშინ როცა აქსიომებიდან გამოყვანა თვითონ არის დასაბუთებული ლოგიკური კანონების ემყარება და თვითონ აქსიომების ცირკულარულობაში ესაა კანონები (მაგ., არაწინააღმდეგობრიობა) ერთი სიტყვით, აუცილებელი ხდება გამოყენება კანონის და კატეგორიების, რომელთა აქსიომატიზაციაც, როგორც ცნობილია, შეუძლებელია ეს კი ნიშნავს, რომ ლოგიკის ერთიანობა მოითხოვს მის გარეაქსიომატურ დასაბუთებას და ლოგიკური რეფლექსიის გამართლებას. ლოგიკური კატეგორიების რეფლექსიობა ლოგიკის აქსიომატიზაციის საჭიროებას და შესაძლებლობას გამორიცხავს. [illegible] 18. მათემატიკურ ლოგიკაში აქსიომებიდან გამოყვანას და საერთოდ დასკვნებს აფუძნებენ ჩასმის ხერხი და დასკვნის სქემა, მაგრამ ჩასმის ხერხი არის მექანიკური ხერხი, რომელიც მათემატიკაში ნაყოფიერია, მაგრამ ლოგიკაში შეცდომას წარმოადგენს, რამდენადაც ზოგადის ადგილზე კერძოს ჩასმა ზოგადის და კერძოს ლოგიკური დამოკიდებულება უგულებელყოფს, არამედ ამ დამოკიდებულებას წინასწარ გულისხმობს. ჩასმის ხერხი ზოგადის და კერძოს დამოკიდებულება წინასწარ გულისხმობს იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ზრდა ზენაარსებობა 2) დასკვნის სქემა (modus ponens) დასკვნის წანამძღვარად წარმოდგენა, რასაც მათემატიკურ ლოგიკაში აქვს ადგილი, გამართლებულია მასში, როგორც მათემატიკაში, მაგრამ ასეთი მოქმედება ლოგიკაში გაუმართლებელია, რადგან დასკვნის წესს, როგორც დასკვნის წანამძღვარს, დასკვნამდე მორის კიდევ უნდა იყოს დასკვნის დამოკიდებულება, რომელსაც კიდევ ერთი წესი უნდა უსწრებდეს წინ და ა. შ. ამასთანავე დასკვნისათვის დაკვნის წესის, როგორც დასკვნის ბრის, წინაწასწრებაც ეს არის დასკვნამდე დასკვნის საჭიროებაც და ხელიარებაც ლოგიკურ შეცდომა წარმოადგენს და, ცხადია, ლოგიკიდან უნდა გამორიცხულიყო. [illegible] 19. აქსიომებიდან ერთი არაფერი ეგვლება თუ არა დასაბუთებას წამსთლება, მეორეს კი გამართლება არის დასაბუთე-

ბა. ამრიგად, აქ იდგილი აქვს დასაბუთების დასაბუთების იმ შეცდომას, რომელზედაც პირველად არისტოტელემ მიუთითა. დასაბუთების დასაბუთება კიდევ ახალი დასაბუთების ფორმთხოვნილებას ქმნის და ასე უსასრულოდ. ეს ასეა, მაშინ როცა აქსიომები შემოიტანეს დასაბუთების დასაბუთების შეცდომის თავიდან ასაცილებლად. ამბობენ, რომ რადგან შეუძლებელია დასაბუთების დასაბუთება, ყოველი დასაბუთება უნდა დაემყაროს დაუსაბუთებელს, მაგრამ რადგან ეს დამყარება "თვითონ არის დასაბუთება, ამიტომ სწორედ ამით იქმნება დასაბუთების დასაბუთების შეცდომა. ეს ნიშნავს იმას, რომ დასაბუთების დასაბუთების შეცდომის თავიდან აცილება შეუძლებელი ყოფილა დასაბუთების დამყარებით დაუსაბუთებელზე. საჭირო ყოფილა სხვა გზა

-ეშუთ დასაბუთების საწყისი არის აქსიომა და დასაბუთება იწყება აქსიომით. ე. ი. დასაბუთება არის აქსიომიდან სხვაზე გადასვლა, მაშინ აქსიომა მოქცეულა დასაბუთებაში, ე. ი. აქსიომა, როგორც დაუსაბუთებელი დებულება, გაუქმდება. სწორედ დასაბუთების საშუალებით ლოგიკისათვის აქსიომების აუცილებლობის მტკიცება არ შეიძლება. თვითონ აქსიომებსაც

-20. თუ დასაბუთებისათვის აუცილებელია აქსიომა, მაშინ ეს აუცილებლობა, ცხადია, ლოგიკურად უნდა იყოს და აქსიომამ ამ აუცილებლობას უნდა დაუქვემდებაროს. რაიმეს აუცილებლობის არსებობა მისი დასაბუთებაა. ამრიგად, იხსნება აქსიომა, როგორც დაუსაბუთებელი დებულება. დასაბუთების საწყისი აუცილებლობა, როგორც ითქვა, თავისებური რია, ის არ არის ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობა

-21. რადგან სხვადასხვა სისტემა სხვადასხვა აქსიომას მოითხოვს, რადგან სხვადასხვა სისტემებისათვის აქსიომების სხვადასხვაობა არსებობს, ამიტომ ამ სისტემათა ხასიათი, მათი შინაარსი განსაზღვრავს აქსიომებს. აქსიომები სწორედ იმით მოწმდებიან, ქმნიან ისინი სისტემაში წინააღმდეგობას თუ არა. ეს იმას ნიშნავს, რომ აქსიომები თვითონ მართლდებიან სისტემის შინაარსით. აქსიომას განსაზღვრავს, აშუალებს ისეთი აქსიომასაც ის წარმოადგენს. ლოგიკურად განსაზღვრული და გაშუალებული კი, როგორც ვიცით, დასაბუთებულია. ამრიგად იხსნება აქსიომები, როგორც დაუსაბუთებელი დებულებები. თვითონ აქსიომა, როგორც დებულება, როგორც გარკვეული მსჯელობა, დასაბუთების ე. ი. მტკიცება-უარყოფის

-22. ლოგიკის აქსიომატიზაცია-ფორმალიზაცია დასაბუთების მთელ ლოგიკურ შინაარსს აქსიომებში აქცევს; მაგალითად, ლუკა-

სევიჩისათვის არისტოტელეს ლოგიკის აქსიომები კატეგორიული სილოგიზმის პირველი ფიგურის მოდუსებია, რომელთა ბუნების გამორკვევა ასე აქსიომატიზებული ლოგიკის გარეთ რჩება. აგრეთვე, თუ წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არისტოტელესათვის დასაბუთების აქსიომას წარმოადგენს, რადგან იგი დასაბუთების არსებაა (მტკიცება-უარყოფის ერთდროული შეუძლებლობა), მაშინ აქსიომად გამოცხადებულია ის, რასაც დასაბუთება არსებითად წარმოადგენს. ლოგიკის აქსიომატიზაცია დასაბუთებულს და დასასაბუთებელს დაუსაბუთებლად გულისხმობს წინასწარ. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა დასაბუთებისადმი გვერდის ავლა.

23. დასაბუთებისათვის აუცილებელია საწყისის დადებითობა. ეს აუცილებლობა არის დადებითი საწყისის აუცილებლობა, რომლის თავისებურება, როგორც ვიცით, ისაა, რომ დადებითი საწყისის უარყოფა შეუძლებელია, რადგან უარყოფა სწორედ დადებითის მიმართ გამოიყენება; უარყოფა დადებითს წინასწარ გულისხმობს; მაგრამ დასაბუთებისათვის აუცილებელი საწყისი დადებითობის უარყოფა თვითონ გამოიყენებს მას, როგორც საშუალებას — საფუძველს. ასეთი ობიექტური დადებითობის გარეშე შეუძლებელია დასაბუთება. ამიტომ დასაბუთების ობიექტურობის უარმყოფელი თვალსაზრისები მცდარ შეხედულებებს წარმოადგენენ. ასეთია, მაგალითად, პოზიტივისტური შეხედულებები. დასაბუთების საწყისი რომ რაღაც თავისთავადს გულისხმობს, ამას მოწმობს ისიც, რომ აქსიომებს თავისთავად ცხად დებულებებს ეძახიან. დასაბუთება საწყისად მოითხოვს რაღაც თავისთავად ცხადს.

24. აქსიომა არის ცხადი დებულება, მაგრამ სიცხადე არ უნდა იყოს ფსიქოლოგიური სიცხადე, რომელსაც ლოგიკაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. დასაბუთების საწყისის სიცხადე უნდა იყოს მხოლოდ ლოგიკური სიცხადე. ლოგიკურად არაცხადი არის დასასაბუთებელი. ლოგიკური სიცხადე მხოლოდ დასაბუთების სიცხადეა; ლოგიკური სიცხადე დასაბუთებაში მდგომარეობს. თუ აქსიომა არის ლოგიკურად ცხადი. მაშინ ის დასაბუთებულია, ე. ი. არაა აქსიომა. ამრიგად, აქსიომა იხსნება მაშინაც, როცა ის არის ლოგიკურად არაცხადი, რადგან ის ასეთ შემთხვევაში არის დასასაბუთებელი, და მაშინაც, როცა ის არის ლოგიკურად ცხადი, რადგან ის, ასეთ შემთხვევაში, დასაბუთებულია.

25. დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ობიექტური საშუალება, აუცილებელი საშუალება — საფუძველი დასაბუთებისათვის. დასაბუთების საშუალება, ცხადია, მოქცევა დასაბუთებაში. თუ ასეთი საშუალება აქსიომად იქნება წარმოდგენილი, მაშინ ის, როგორც დაუ-

საბუთებელი მოიხსნება. დასაბუთების პირველი საშუალება. ცხადია, იქნება პირველ ადგილზე დასაბუთებაში, თუმცა ის მთელ დასაბუთებაში იქნება მოხმარებული როგორც საშუალება. ასეთი საფუძველ-საშუალება არ შეიძლება დარჩეს დაუსაბუთებელი, რადგან ის არის პირველი დასაბუთებისათვის, ის დასაბუთებაში არის პირველ ადგილზე. რაიმეს დასაბუთება, როგორც ვიცით, არის ამ რაიმეს ადგილის მონახვა დასაბუთების სისტემაში. პირველი ადგილის მონახვაც დასაბუთებაა. დასაბუთების საწყისს პირველი ადგილი უჭირავს დასაბუთებაში, მისი ადგილის დადგენაც დასაბუთებას წარმოადგენს. იმის ჩვენება, რომ დასაბუთების საწყისი არის ეს და არა სხვა და რომ მისი ადგილი სწორედ პირველია, არის ამ საწყისის დასაბუთება. თუ დასაბუთების საწყისი არის უშუალო, მაშინ როგორც სწორედ დასაბუთების საწყისი, ე. ი. ის, საიდანაც იწყება დასაბუთება, უკვე საბუთდება, რადგან დაწყება უკვე გაშუალებაა.

26. თუ დასაბუთების საწყისი შუალდება, განისაზღვრება, საბუთდება დასაბუთების დაწყებით და თუ დასაბუთების საწყისი განისაზღვრება — შუალდება იმით, რისი საწყისიც ის არის, მაშინ ადგილი აქვს შედეგით საფუძვლის გამართლებას; მაგრამ რადგან შედეგის განმსაზღვრელი არის საფუძველი, ამიტომ აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ურთიერთგანსაზღვრას, სადაც შედეგიც შინაგანია და საფუძველიც. აქსიომებს მიმართავენ მაშინ, როცა დასაბუთება ესმით როგორც გარეგანი საფუძვლით გამართლება. მაგრამ თუ არსებობს შინაგანი საფუძველი, მაშინ იხსნება აქსიომის, დაუსაბუთებლის საწყისად აღების საჭიროება. დასაბუთების საწყისი, როგორც პირველი, საბუთდება შემდეგით, თუ ეს შემდეგი მის ამხსნელს წარმოადგენს. დასაბუთების საწყისის, როგორც დაუსაბუთებლის, სიძნელეს ხსნის შედეგის საფუძველში გადასვლის შესაძლებლობაც. მაგალითად, აბსტრაქტული ზოგადის, როგორც შინაარსეული კერძოს, შინაარსეულ ზოგადში, როგორც მის ამხსნელ კონკრეტულში, გადასვლის შესაძლებლობა. ასეთ გადასვლებს წარმოადგენენ ყველა ზემოთ განხილული ძირითადი გადასვლები, დაწყებული მსჯელობიდან და უსასრულო დასკვნით დამთავრებული.

27. ახლახან თქმულიდან ნათელია ის, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს რაღაც რეფლექსური, შინაგანი საფუძვლის და ასეთივე შედეგის მქონე აზრი. ის უნდა იყოს ლოგიკური causa sui. ამას ისიც მოწმობს, რომ დასაბუთების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა თვითონ არის დასაბუთების გამოყენება და მისი თავისებური განხორციელება. ძველი სკეპტიკოსები თავიანთ

თავს აბათილებდნენ, როცა ცდილობდნენ იმის დასაბუთებას, რომ დასაბუთება არ არსებობს.

მაშასადამე, დასაბუთების საწყისი უნდა საბუთდებოდეს და ამავე დროს საერთოდ დასაბუთების საწყისიც უნდა იყოს. მაგრამ რა შეიძლება იყოს ასეთი? ეს კითხვა პასუხს მოითხოვს.

§ 231. ლოგიკური უშუალობისა და შუალობის ერთიანობა როგორც დასაბუთების საწყისი

თუ აქსიომები, როგორც უშუალო დებულებები, არაა დასაწყისი, მაშინ უნდა ითქვას, რომ უშუალო არ არის დასაწყისი და დასაწყისი არ არის უშუალო. მაგრამ დასაწყისი, როგორც პირველი, რომელსაც წინ არაფერი არ უსწრებს, ე. ი. არ არის შემდეგი და შედეგი, უნდა იყოს უშუალო; პირველი უნდა იყოს უშუალო. აქსიომები დასაბუთების არა მარტო დასაწყისია, არამედ საწყისსაც წარმოადგენს; საწყისი, როგორც პირველი, არ შეიძლება არ იყოს უშუალო. ასევე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ გაშუალებული არ არის არც დასაწყისი, არც საწყისი, რადგან ყოველი გაშუალებული არის შემდეგი და შედეგი, მას სხვა უსწრებს წინ, იხ განსაზღვრულია სხვით; სწორედ სხვით განსაზღვრულს ჰქვია გაშუალებული. მაგრამ, მეორე მხრივ, დასაწყისი თუ საწყისი უნდა იყოს გაშუალებული. დასაწყისი თუ საწყისი უნდა იყოს ის, რაც გაშუალებულია, რადგან, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, დასაბუთების პირველი არ შეიძლება იყოს დაუსაბუთებელი, ე. ი. არ შეიძლება იყოს უშუალო; დასაბუთების პირველი უნდა იყოს ლოგიკური, რომელიც ყოველთვის გაშუალებულია და გაშუალებას წარმოადგენს. უშუალობა დასაბუთების გაუქმებაა, დასაბუთება სწორედ გაშუალებას ჰქვია. ამრიგად, მივიღეთ, ერთი მეხედვით, გამოუვალი, დაუძლეველი წინააღმდეგობა: დასაბუთების საწყისი არც გაშუალებულია და არც უშუალო და ის გაშუალებულიც უნდა იყოს და უშუალოც.

მაგრამ, როგორც ჩვენ ამას ქვემოთ გავარკვევთ, ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ დასაბუთების დასაწყისი და საწყისი. აქ ჩვენ მსჯელობა გვაქვს დასაბუთების საწყისის შესახებ მხოლოდ. დასაბუთების საწყისი კი არის დასაბუთების არსება, რომელიც გაშუალებაში მდგომარეობს; გაშუალება კი შეიძლება იმისა, რაც არის უშუალო; მეორე მხრივ, უშუალო არის ან გაშუალების ერთი მხარე, ანის არის გაშუალება, როგორც თავის თავთან იგივეობრივი ერთი რამ, და ესაა ის, რომელიც გვაქვს, როდესაც ვსებობს

მხოლოდ უშუალო მსჯელობისა, როგორც ასეთის, არსებობს გაშუალება უშუალოს გარეშე. მაშინ, ერთიანობა აუცილებელია, რისიც საკუთარ აზრს ჰკარგავენ ერთიმეორის გარეშე; მათ აზრი აქვთ მხოლოდ ურთიანობაში. ამიტომ უნდა დავინახოთ, რომ დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, უნდა იყოს არა მხოლოდ უშუალო, ან მხოლოდ შუალობითი, არამედ უშუალობის და შუალობის აუცილებელი ერთიანობა.

როგორც ვიცით, თავიდანვე თანაბარი არის უშუალო; ასევე დასაბუთების საწყისიც, რის არის უშუალო, მას უშუალობაც ახასიათებს, რის არ გამორიცხავს უშუალობას, მაგრამ დასაბუთება მოგვმართავს გაშუალებაში, აუცილებელ შუალობაში. ამიტომ დასაბუთების საწყისი არის უშუალოს და შუალობის ურთიანობა. მაგრამ ეს ქმნის ახალ სიძნელეს. უშუალობის და შუალობის ერთიანობა ტერმინების მთელ დასაბუთებას არ ემსახურება, რომელიც დასაბუთებისთვის არის მხოლოდ პირველი. ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს უშუალობის და შუალობის ერთიანობა, როგორც პირველი მთელი დასაბუთების მიმართ. დასაბუთების საწყისს უნდა ჰქონდეს უშუალობის და შუალობის ერთიანობის პირველი ფორმა. შეიძლება ვთქვათ, მარტივი სახე. დასაბუთების საწყისი, რის არის დასაბუთებისათვის პირველი, ემსახურება სხვა არაფერს, არ უსწრებს წინ, რის არის სხვით განსაზღვრულ-გაშუალებულ, ამდენად, რის არის უშუალო; მაგრამ ხელშეკრულების გაშუალებულობა თავისთავად უნდა იყოს დასაბუთებული-გაშუალებული. როგორც ვიცით, აუცილებელია ის, რომ დასაბუთებისათვის პირველი უნდა იყოს დასაბუთებული; ის არ შეიძლება დაუსაბუთებელი იყოს. დასაბუთების საწყისი არსებობა, ცხადია, დასაბუთების ნებისმიერი [illegible] არისტოტელე ფიქრობდა, რომ დასაბუთების საწყისებს გონება სწვდება [illegible] გონება უშუალოდ სწვდება საწყისებს; [illegible] საწყისების მიწვდომა ხდება [illegible] ტერმინების [illegible] ზრდა უნდა იყოს [illegible] ინტუიციონიზმის [illegible] ლოგიკიდან, 2) რადგან დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს დაუსაბუთებელი, ის უნდა იყოს დასაბუთებული, ამიტომ მას უნდა მივუწვდეთ ლოგიკური [illegible] დასაბუთების გზით და მხოლოდ ამ გზით. შეიძლება ისიც ითქვას, რომ დასაბუთების საწყისების მიწვდომის [illegible]

[illegible] Вторая аналитика, кн. II, гл. 19, 100 a 16—100 b 17.

ფსიქოლოგიური გზა არის ინტუიცია, მაგრამ ლოგიკური გზა კი მხოლოდ დასაბუთების გზა უნდა იყოს. ლოგიკაში ზედმეტია და უადგილოა ფსიქოლოგიური გზა.

თუ დასაბუთების საწყისი არის წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, როგორც „ყველაზე აუცილებელი“ საწყისი, როგორც ეს არისტოტელეს ჰქონდა წარმოდგენილი, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი უშუალო გაშუალებულია სხვით; წინააღმდეგობის შეუძლებლობა, როგორც ვიცით, გაშუალებულია წინააღმდეგობით, ეს კი ერთიანობით; წინააღმდეგობის შეუძლებლობა არის დაქვემდებარებული წინააღმდეგობის ერთიანობაზე, რადგან ის მის ერთ მომენტს წარმოადგენს. მართალია, წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება არის პირველი იმ აზრით, რომ მისი დასაბუთების ცდა იძულებულია იგივე გამოიყენოს როგორც საშუალება, მაგრამ ასეთი არის სხვაც; ასეთია, მაგალითად, იგივეობაც, რომლის დასაბუთება თუ უარყოფა მასვე იყენებს, როგორც აუცილებელ საშუალებას; ასეთია, როგორც ვიცით, ლოგიკურის ყველა კატეგორია.

თუ იმას ვიტყვით, რომ დასაბუთების საწყისი არის განსაზღვრება, განსაზღვრების მარტივი დადებითობა, როგორც ამას იგივე არისტოტელე აღიარებდა, მაშინ ისიც უნდა ითქვას, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, რომ განსაზღვრების დადებითობა არ არის მხოლოდ უშუალო, წმინდა სიმარტივე, ის არის მსჯელობის ბუნების; განსაზღვრება არის მსჯელობა, ამიტომ იგი დასაბუთების ბუნებისაა, ე. ი. ის არ არის მხოლოდ უშუალო, არამედ უშუალობის და შუალობის გარკვეული ერთიანობაა.

ამრიგად, დასაბუთება არის უშუალობის და შუალობის ერთიანობა, დასაბუთების საწყისი კი არის პირველი გაშუალება, გაშუალების არსება, შუალობის და უშუალობის არსება, რომელიც დასაბუთების საწყისში უნდა არსებობდეს მარტივი (შედარებით მარტივი) სახით (ამის შესახებ ქვემოთ).

დასაბუთებაში პირველი, როგორც ზემოთ გაირკვა, არის ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია და რომლის უარყოფა მასვე იყენებს, როგორც საფუძველ-საშუალებას, ამ აზრით ის მისივე უარყოფით დგინდება. რა უნდა იყოს ასეთი პირველი? ამ კითხვას პირდაპირ ვუპასუხებთ შემდგომ. აქ კი უნდა აღინიშნოს ის, რომ გაშუალება არის გარკვეული ერთიანობა, ამიტომ ის არის შინაარსეული ზოგადი, შუალობა კი, მისი მხარეა, მისი ერთმხრიობაა, ე. ი. ის არის შინაარსეული კერძო; ამიტომ უშუალოს და შუალო-

ბითის ერთიანობა არსებობს კერძოს და ზოგადის ერთიანობის სახით. დასაბუთების საწყისი, როგორც უშუალობის და შუალობის ერთიანობა, იგივეა, რაც კერძო-ზოგადის ერთიანობა.

§ 232. ზოგადისა და კერძოს ერთიანობა როგორც დასაბუთების საწყისი

ზემოთ ბევრი რამ ითქვა კერძოს, ზოგადის და მათი ერთიანობის შესახებ; ყველაფერი ეს გვაიძულებს ვამტკიცოთ, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს კერძოს და ზოგადის ერთიანობა, უკეთ, დასაბუთება არის კერძოს და ზოგადის ერთიანობა, ამიტომ მისი არსება — საწყისიც ასეთი უნდა იყოს, დასაბუთების საწყისი არის კერძოს და ზოგადის ერთიანობა, აღებული მის არსებაში, როგორც გარკვეული პირველი.

დედუქციის საწყისად მიიჩნევენ უზოგადესს, რომელიც არ არის დასაბუთებული არაფრით, კერძოდ, ინდუქციით, რადგან ინდუქციას არ თელიან დასაბუთების მეთოდად. დაუსაბუთებელი ზოგადი, როგორც დედუქციის საწყისი თითქოს უნდა იყოს უშუალო, სწორედ ასეთ შემთხვევაში იქნება ის დედუქციის საწყისი, მაგრამ ზოგადი, როგორც ითქვა, არ შეიძლება იყოს უშუალო, რადგან 1) ის არის საერთო მრავლის მიმართ, მრავლის მოგულისხმეა, ე. ი. განსაზღვრულია ამ მრავლით, 2) ზოგადი არის კერძოს ზოგადი, ზოგადის კატეგორია კერძოს კატეგორიით განისაზღვრება.

როგორც ზემოთ გაირკვა, შეუძლებელია აქსიომა იყოს დედუქციის საწყისი. დედუქციას აქვს საწყისი, მაგრამ ეს საწყისი არ არის საერთოდ დასაბუთების საწყისი, რადგან დედუქციის საწყისი, როგორც ახლა ითქვა, უნდა განისაზღვროს — გაშუალდეს სხვით. ამიტომ აუცილებელია გამართლდეს დედუქცია და მისი საწყისი სხვა მეთოდით და სხვა საწყისით. უნდა არსებობდეს სხვა დასაბუთება საკუთარი საწყისით.

როგორც ვიცით, აუცილებელია, რომ დედუქციის საწყისი დასაბუთდეს ინდუქციით. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ინდუქცია არის დასაბუთების მეთოდი.

მაგრამ თვითონ ინდუქცია დედუქციაზე უარეს მდგომარეობაშია. ინდუქციაც კერძო მეთოდია. ის იწყებს კერძოთი, მისი საწყისი და დასაწყისი არის კერძო თუ ერთეული, რომელიც თვითონ მოითხოვს ზოგადობას, როგორც გამმართლებელს. ინდუქციის საწყისიც არ არის საერთოდ დასაბუთების საწყისი. მეორე მხრივ, თუ ინდუქცია ალბათური ბუნებისაა, მაშინ ის არ არის დასაბუთების მეთოდი და ამიტომ არ გამოდგება დედუქციის გამმართლებლად.

მაგრამ როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, ინდუქციაში ხშირ ციელდება ლოგიკური აუცილებლობა, ამიტომ ის ასაბუთებს დედუქციის საწყისს, მაგრამ თვითონ ინდუქციის საწყისი მოითხოვს გამართლებას. ინდუქცია იწყებს კერძოთი, მაგრამ ის ეყრდნობა ზოგადს (მაგალითად, ბუნების ერთგვაროვნების კანონი); ამიტომ გაურკვეველია ის, თუ რაა ინდუქციის საწყისი. ეს გაურკვევლობა ინდუქციის შეუძლებლობა კი არაა, არამედ იმის მოთხოვნას წარმოადგენს, რომ ინდუქციის გამართლებისათვის სჭირო დედუქცია.

ერთი სიტყვით, სიძნელეებს შეიცავს ინდუქციის საწყისიც და დედუქციის საწყისიც. ამ სიძნელეების გადაწყვეტისათვის აუცილებელია დედუქციისა და ინდუქციის ერთიანობა; დედუქციის და ინდუქციის საწყისები ერთმანეთისათვის აუცილებელნი, ე. ი. არც ერთი მათგანი არ არის დასაბუთების ერთადერთი საწყისი. დასაბუთების საწყისი არ არის არც ცერძო და არც ზოგადი. დასაბუთების საწყისისათვის აუცილებელია კერძოსა და ზოგადის ერთიანობა. ამრიგად, დასაბუთების საწყისი ვერც კერძოა და ვერც ზოგადის ერთიანობაში. უნდა ვეძიოთ დედუქცია და ინდუქცია ერთიანობაში, ეყრდნობა კერძოსა და ზოგადის ერთიანობას, ისინი ამ ერთიანობის ცალმხრიობებს წარმოადგენენ; ზოგადისა და კერძოს ერთიანობა არის დიალექტიკური, დაპირისპირებულთა ერთიანობა. ამიტომ დედუქცია და ინდუქცია დიალექტიკური შეხედულებებია. ამიტომ უნდა ვიპოვნოთ, რომ დედუქციის და ინდუქციის საწყისების ურთიერთმოთხოვნა და ურთიერთდასაბუთება, რომელიც ზემოთ იქნა გარკვეული, ქმნის წრიულობას, რომელიც უნდა გადაწყდეს წინააღმდეგობაში გადაზრდის გარეშე. ამ წრიულობის გადაწყვეტა ხდება დიალექტიკაში, კერძოს და ზოგადის, პროგრესირებულ ურთიერთობაში.

ამრიგად, აუცილებელია დასაბუთების სხვა საწყისის, სხვაგვარი დასაბუთების სხვა საწყისი, ვიდრე დედუქციის და ინდუქციის საწყისებია. დასაბუთების უნივერსალური მეთოდი დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს ისეთი დასაბუთების და ამ დასაბუთების სხვა საწყისს. ეს საწყისი უნდა იყოს კერძოსა და ზოგადის ლოგიკური ურთიერთობა. კერძოსთან ზოგადის დამოკიდებულება, როგორც ვიცით, გამოიწვევს უთველგვარ ლოგიკურ დამოკიდებულებას; ერთმეორეს უპირისპირდება, ზოგადი დასაბუთების საწყისი უნდა იყოს. შინაარსეული ზოგადი უეიძლია ზოგადის როგორც კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, რაც დასაბუთების საწყისად უნდა შეადგენდეს. დასაბუთების საწყისი ერთიანობა კერძოსა და ზოგადის

თიანობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა. დასაბუთების უნივერსალური მეთოდი, ზოგიერთდება შინაარსეული კერძოს და ზოგადის ერთიანობაში, ამიტომ ამ დასაბუთების საწყისს უნდა შეადგენდეს სწორედ კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, აღებული მისი მარტივი სახით, აღებული როგორც პირველი დასაბუთების საფუძველი.

მაგრამ კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომელიც დასაბუთების საწყისს უნდა წარმოადგენდეს, ცხადია, უნდა იყოს ლოგიკური ხასიათის, უფრო ზუსტად, ის უნდა წარმოადგენდეს გარკვეულ დასკვნას, ეს სწორედ ეს დასკვნა იქნება დასაბუთების საწყისი, ყოველგვარი დასაბუთების არსებობა-საწყისი.

§ 233. უსასრულო დასკვნა როგორც დასაბუთების საწყისი

მუალობისა და უშუალობის სრული ერთიანობა, როგორც შინაარსეული ზოგადის და კერძოს ერთიანობა, სრული სახით ლოგიკურობაში არსებობს როგორც უსასრულო დასკვნა, რომელიც წარმოადგენს შინაგანი უარყოფის საშუალებით თვითგაშლილობას და კატეგორიული კერძოების — დადგენის და უარყოფის — კატეგორიალურ ერთიანობას, სწორედ შინაგანი უარყოფის საშუალებით ერთიანობის უმაღლეს ფორმას. უსასრულო დასკვნა ზემოთ იქნა განხილული, ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე დებულების აღნიშვნით დავკმაყოფილდებით.

1. დასაბუთების საწყისს არ შეიძლება ჰქონდეს სასრულის ხასიათი, ის არ შეიძლება იყოს ლოგიკური სასრული, სასრული, როგორც ვიცით, არის „ეს და არა სხვა“, ანუ, რაც სხვით — გარეგანი საფუძვლით — დგინდება და უარიყოფა. ასეთი რამ არ შეიძლება იყოს დასაბუთების საწყისი, რადგან ის სხვით დადგინდება და უარყოფილია, ანუ, რაც სხვა რაიმეთი უარიყოფა არის შემთხვევითი; დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, ცხადია, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, ის უნდა იყოს სრული ლოგიკური აუცილებლობის ბუნების შეკონ. ასეთი კი, როგორც ვიცით, არის ის, რომლის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია და რომლის უარყოფა მასვე ადგენს. ასეთია, როგორც ვიცით, ლოგიკურის ყოველი კატეგორია; ამიტომ დასაბუთების საწყისი კატეგორიულობის ბუნების შეკონ აუცილებლობის ხასიათს უნდა იყოს ეს, იგივე შინაგანი უარყოფით თვითდადგენა, რომელიც უსასრულო დასკვნაა — სრული შუალობით ერთიანობა.

დასაბუთების ასეთი საწყისის მაგალითი დეკარტმა მოგვცა თავის cogito-ში, როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული, თუკი cogito გაგებული იქნება, როგორც აზრის უარყოფით აზრისავე დადგენა, და არა სხვაგვარად, მაგალითად, არა როგორც იმპლიკაცია, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია (დეკარტის cogito ჰ. შოლცს გაგებული აქვს როგორც იმპლიკაცია: jedesmal wenn ich denke, existiert ein mit mir identisches Wesen[1]. მაგრამ ამით cogito-ს ეკარგება ლოგიკური რეფლექსურორობის და გარკვეული დასკვნის ხასიათი, რომელიც მის ბუნებას წარმოადგენს). ამგვარივეა ფიხტეს „თვითდადგენა", როგორც სისტემის საწყისი, თუმცა მას დასკვნის ხასიათი არ აქვს. ასეთივე ხასიათისაა ჰეგელის ლოგიკაში თავიდან ბოლომდე მოხმარებული „ორმნიშვნელოვანება" („არსი არის არარსი" და პირიქით, „უარყოფითი დადებითიცაა" და პირიქით) და შინაგანი გამშუალებელი რეფლექსია. ასეთივეა „თვითუარმყოფელი დებულებები", მაგალითად, 1) „არ არსებობს წინადადებები", 2) „არ არსებობს ჭეშმარიტება" და 3) „მე არ ვარსებობ",[2] თუკი, ცხადია, ამ დებულებებს გავიგებთ, როგორც მსჯელობებს, რომელთაც რეფლექსური ხასიათი აქვს და არა როგორც წინადადებებს, სადაც არ არის რეფლექსურობა (წინააღმდეგ ვუდის და ვერკმაისტერის გაგებისა). „არ არსებობს მსჯელობა" უკვე არის მსჯელობა. მსჯელობის უარყოფა თვითონ არის მსჯელობა; აქ არის არა მხოლოდ წინააღმდეგობა ფაქტთან, არამედ ლოგიკური წინააღმდეგობა მსჯელობის დადგენასა და მის უარყოფას შორის, კიდევ მეტი, აქ ადგილი აქვს ლოგიკურ წინააღმდეგობის ერთიანობას —მსჯელობის უარყოფით მსჯელობისვე დადგენას, და სხვ.

დასაბუთების საწყისი ისეთი ბუნებისაა, როგორიცაა ლოგიკური კატეგორიების რეფლექსურობა. იგივეობის უარყოფა იგივეობასვე მოიხმარს საფუძველ-საშუალებად, უარყოფის უარყოფაც სწორედ უარყოფას ადგენს, კერძოს უარყოფა კერძოს დადგენაა, ზოგადის უარყოფა ზოგადს ადგენს და სხვ. დასაბუთების საწყისი ლოგიკური რეფლექსიის ბუნების მქონე კავშირია.

დასაბუთების საწყისი არის უარყოფის შემცველი დადებითობა. სწორედ უარყოფა ადგენს იმას, რის უარყოფა შეუძლებელია. ამიტომ დასაბუთების საწყისი არის არა ის, რის უარყოფა შეუძლე-

---

[1] იხ. H. Scholz, Über das cogito ergo sum. „Kantstudien", 36, გვ. 126—127.

[2] L. Wood, The Analysis of Knowledge, London, 1940, გვ. 195. აგრეთვე, W. H. Werkmeister, The Basis and Structure of Knowledge, 1948. გვ. 243—244.

ბელია (ასეთი, როგორც ვიცით, შეიძლება იყოს არარაობაც), არამედ — რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა. ეს არის. ასე ვთქვათ, პირველი ლოგიკური, ლოგიკური causa sui (ratio sui); დასაბუთების საწყისი არის უსასრულო ლოგიკური, როგორც უსასრულო დასკვნა, რომელსაც არ აქვს გარეგანი ლოგიკური წანამძღვრები და რომლის საფუძველი და შედეგი მასშივეა. ეს არის ერთცნებიანი დასკვნა (რომელიც ზემოთ იქნა განხილული), სრული შინაგანი ლოგიკური გაშუალება.

2. უსასრულო დასკვნა, როგორც ვიცით, არის საწყისი დედუქციის, ინდუქციის, რედუქციის და საერთოდ ყოველგვარი სასრული ლოგიკური მეთოდისა, რომლებიც დასკვნებში ხორციელდებიან. ეს ასეა, რადგან, როგორც ითქვა, უსასრულო დასკვნა არის კერძოს და ზოგადის კატეგორიალური ერთიანობის გარკვეული, სრული ფორმა. ის არის დადგენის და უარყოფის სრული შუალობითი ერთიანობა. მასში მოხსნილია დასაბუთების და დაუსაბუთებლის, უშუალოსა და შუალობის და სხვ. გათიშვა. ამიტომაა ის დასაბუთებისათვის პირველი. უსასრულო დასკვნა ხსნის, აუქმებს ყოველგვარ ლოგიკურ აგნოსტიციზმს.

უსასრულო დასკვნა არის საწყისი დედუქციის, ინდუქციისა და რედუქციისა. რადგან ის შეიცავს ისეთ მომენტებს, რომლებიც, როგორც ვიცით, თავისებური ინდუქციის, დედუქციის და რედუქციის საწყისებს წარმოადგენენ: 1) უსასრულო დასკვნაში ერთიანობა, როგორც ზოგადობა, იქვემდებარებს მის მხარეებს — დადგენას და უარყოფას, როგორც თავისებურ კერძოებს; ამ აზრით, აქ ადგილი აქვს თავისებურ — შინაარსეულ თუ კატეგორიალურ დედუქციას. რომელსაც ჩვეულებრივი — ფორმალური ლოგიკური დედუქცია ემორჩილება. 2) უსასრულო დასკვნაში არსებული უარყოფით დადგენა ადგენს მათ ერთიანობას, ე. ი. დადგენა-უარყოფით, როგორც კერძოებით, დგინდება მათი ერთიანობა, როგორც ზოგადობა, რომელიც, როგორც შედეგი, პირველთა საფუძველზე მიიღება. ამიტომ აქ ადგილი აქვს შინაარსეულ-კატეგორიალურ ინდუქციას, რომელიც ფორმალური-ლოგიკური ინდუქციის საფუძველს წარმოადგენს და უნდა წარმოადგენდეს. წინააღმდეგობით მისი ერთიანობის მიღება არის „ინდუქცია“, რომელიც უკვე აღარაა ინდუქცია, არამედ დიალექტიკას წარმოადგენს. 3) თუკი დადგენა-უარყოფა გაგებულ იქნა როგორც შედეგი, საიდანაც მათი საფუძველი—ერთიანობა მიიღება აუცილებლობით, მაშინ საქმე გვაქვს რედუქციასთან. რომელიც აზრს აძლევს და ამართლებს ყოველგვარ რედუქციულობას ლოგიკაში.

უსასრულო დასკვნა არის დასაბუთების საწყისი, რადგან იგი

არის შინაარსეული ზოგადის და კერძოს სრული შუალობითი ერთიანობა; მისგან გამომდინარეობს ზოგადის და კერძოს ყოველგვარი დამოკიდებულება) რომლებიც სხვადასხვა სასრულ დასკვნებში ხორციელდებიან.

სასრულო დასკვნა არის ყოველგვარი დასაბუთების საწყისი, თვითონ უთვითდასაბუთებას წარმოადგენს; ეს თვითდასაბუთება არ არის ახალი მისი დამქვემდებარებელი დასაბუთების აუცილებლობის მაჩვენებელი, ამიტომ 1) მოხსნილია „დასაბუთების დასაბუთების“ შეცდომა და 2) განხორციელებულია დასაბუთების დასაბუთება, როგორც თვითდადგენა.

სასრულო დასკვნა არის დასაბუთების საწყისი, პირველ რიგში, როგორც ლოგიკის სისტემის საწყისი. ლოგიკის შინაარსი უნდა წარმოადგენდეს დასაბუთების სისტემის შინაარსს. ლოგიკა არის აზრის ფორმათა სისტემა, რომელსაც დასაბუთების ხასიათი აქვს; სასრულო დასკვნა არის მსჯელობა. ცნება დასკვნის როგორც ლოგიკური ფორმების და მათი ცავშირის, საწყისი. ამ გარემოების ნათელყოფა იმასაც აგვიხსნის, თუ როგორ არის შესაძლებელი ის, რომ სასრულო დასკვნა, რომელიც თავისთავშია დახურული (გარკვეულ წრეს წარმოადგენს), დაუკავშირდეს სხვას. აქ აღსანიშნავია, ძირითადად, ორი გზა აზრის ფორმების სისტემატური დასაბუთებების დალაგებისა, ორივე შემთხვევაში სასრულო დასკვნა დასაბუთების საწყისის როლში გამოდის; ერთ შემთხვევაში სასრულო დასკვნა ერთსადაიმავე დროს საწყისიცაა და დასაწყისიც, მეორე შემთხვევაში კი ის არის დასაბუთების საწყისიც და დასაბუთების ბოლოც განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

3) სასრულო დასკვნა არის სრული ლოგიკური ამიტომ ის არის ლოგიკაში უკანასკნელი საწყისიც და დასაწყისიც.

სასრულო დასკვნა ზოგადი აზრი, როგორც ცნება, არის ცნება; სასრულო დასკვნა თავ ერთცნებიანი დასკვნაა. სასრულო დასკვნა, შეკუმშული სახით, არის ცნება, რომელიც ამიტომ უქვემდებარება სასრულო დასკვნას, როგორც სრულ შუალობით კავშირს და იქედან გამომდინარეობს ცნება დასკვნის და მსჯელობის გარეშე, როგორც ვიცით, არის ცნება. ცნება, როგორც სასრულო დასკვნის ზოგადი აზრი, როდის ხდება ზოგადობად და კერძოდ? აქ მოქმედებს ლოგიკური გაყოფის გაყოფის ლოგიკური ოპერაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს სწორედ ცნება. ეს ცნება, მაშასადამე, გაყოფა ერთიმეორისადმი საპირისპირო ცნებებად ხორციელდება ერთიანის გარება, რომელსაც ცხადია, ლოგიკური ხასიათი აქვს; ის ბომ სწორედ ცნების ლოგიკური გაყოფაა?

ზოგადი და კერძო ერთიმეორეს კიდეც უარყოფენ და კიდეც ადგენენ; მათი ერთიანობა არის განსაზღვრება (გარკვეული სახის დეფინიცია). განსაზღვრება ადგენს ზოგადის და კერძოს ერთიანობას, რომლიდანაც გამომდინარეობს ზოგადის და კერძოს სხვადასხვანაირი დამოკიდებულება.

ცნება, როგორც უსასრულო დასკვნის ზოგადი აზრი, არის უპირობო ზოგადი, რომელიც ორად იყოფა: პირობით ზოგადად (კერძოსადმი დაპირისპირებული ზოგადი) და კერძოდ. ზოგადის და კერძოს ურთიერთდაქვემდებარება უსასრულო დასკვნაში საფუძველად უდევს შინაარსეულ-კატეგორიალურ დედუქციას, ინდუქციას და რედუქციას.

არსებობს ზოგადის და კერძოს სხვადასხვანაირი დამოკიდებულება. არსებითად, რვამხრივი დამოკიდებულება: თუ არის (არ არ-ს) A, მაშინ არის (არ არის) B და პირიქით, რომელთაგან თვითეული წარმოადგენს პრინციპს „თუ არის A, მაშინ არის B-ს“ გარკვეულ სახეს.

კერძოს და ზოგადის დამოკიდებულების რვამხრიობის თვითეული მხარე, აღებული ზოგადად — კატეგორიალურად, არის შინაარსეული ანუ კატეგორიალური მსჯელობა („ერთეული არის ზოგადი“ და სხვა; „თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი“ და სხვ.).

აქედან უშუალოდ გამოდის სასრული შუალობითი დასკვნები; სასრული შუალობითი დასკვნის საფუძველს წარმოადგენს შინაარსეული ანუ კატეგორიალური მსჯელობა.

სასრული დასკვნებიდან უშუალოდ მიიღება უშუალო დასკვნები, რომელიც სასრულ შუალობით დასკვნის შეკუმშულ ფორმას წარმოადგენს.

უშუალო დასკვნის (ისე როგორც საერთოდ დასკვნის) ელემენტს თუ მომენტს წარმოადგენს ჩვეულებრივი — ფორმალურ-ლოგიკური — მსჯელობა. მსჯელობის სახეებში ყველაზე მარტივი არის დადებითი მსჯელობა (სინთეზურ-დადებითი მსჯელობა).

ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობის ელემენტი წარმოდგენილია ცალკე, არის ან წარმოდგენა, ან ცარიელი სიტყვა, და ამა ცნება. ამიტომ დადებით მსჯელობაზე უფრო დაბალი მარტივი ლოგიკური ფორმა არ არსებობს.

ამრიგად, დასაწყისში გვქონდა ლოგიკის სისტემის საწყისი — უსასრულო დასკვნა, ბოლოს კი მივიღეთ დადებითი მსჯელობა. ეს სისტემა არის დედუქციური სისტემა, სადაც ყველაფერი გამოდის უსასრულო დასკვნიდან, როგორც დასაწყის — საწყისიდან; უზოგადესიდან თანდათანობით გამოიყვანება კერძოები, ბოლოს კი ვღებულობთ ყველაზე უფრო კერძოს (შინაარსეულ კერძოს) — და-

დებით მსჯელობას. ეს სისტემა არის, ასე ვთქვათ, დაღმავალი სისტემა, განვითარების შებრუნებული სისტემა.

4. მეორე სისტემა კი აქ დახასიათებული სისტემის შებრუნებულ სისტემას წარმოადგენს. ეს არის ლოგიკური განვითარების სისტემა, სადაც სრული სახით ხორციელდება ლოგიკური აუცილებლობა, ეს სისტემა არის სინთეზური პროცესის ხასიათისა, მაშინ როცა პირველი სისტემა იყო ანალიზური ხასიათის სისტემა. მეორე სისტემაში, როგორც ლოგიკურ განვითარებაში, საბუთდება აზრის ყოველი ფორმა; ამ სისტემაში სრულად წარმოდგება აზრის თვითეული ფორმის აუცილებლობა და ბოლოს უსასრულო დასკვნის აუცილებლობაც. ეს არის ის სისტემა, რომელიც ზემოთ იყო წარმოდგენილი ჩვენი ლოგიკის ცენტრალური ნაწილის (მეორე ნაწილი) სახით; ამიტომ აქ მის გადმოცემას აღარ შევუდგებით; აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეს მეორე სისტემა, არის ლოგიკურ ფორმათა სისტემა, რომელიც წარმოადგენს დასაბუთებას — ლოგიკურ განვითარებას, რაც ხორციელდება შინაგანი წინააღმდეგობის გზით, ანტინომიების წარმოშობა-გადაწყვეტით, და მთავრდება თვითდადგენით, უსასრულო დასკვნით.

უსასრულო დასკვნა არის ამ სისტემის საწყისი, მაგრამ იგი სისტემის ბოლოსაა. ლოგიკის ამ სისტემაში ყოველი მომენტი უსასრულო დასკვნის მომენტია. უსასრულო დასკვნა მოიცავს ყველაფერს, მაგრამ თვითონ წარმოდგება დასკვნის გარკვეული ფორმის სახით. ამ სისტემის დასაწყისი არის მსჯელობა, რომელიც გადადის მის საფუძველში — უშუალო დასკვნაში და ასე შემდეგ. გადასვლები ხდება შედეგისა საფუძველში. ბოლოს კი თვითდადგენა ასრულებს დასაბუთების ლოგიკურ სისტემას, ლოგიკის სისტემას როგორც დასაბუთებას. ლოგიკის სისტემა, როგორც ლოგიკური განვითარება, წარმოადგენს ლოგიკური სიძნელეების წარმოშობა-გადაწყვეტას. ასეთი ლოგიკა არის არა ანალიტიკა, არამედ სინთეტიკა, რაც დიალექტიკურ ლოგიკას წარმოადგენს. ამ ლოგიკის სისტემა, როგორც განვითარება-დასაბუთება, წარმოადგენს წრეს, ერთ სრულ აზრს, რომელიც ლოგიკურის სრული ფორმით — უსასრულო დასკვნით და მისი სახით არსებობს.

როგორც ვიცით, არსებობს მრავალი უსასრულო დასკვნა. ეს დასკვნები უსასრულო დასკვნის მაგალითებია. უსასრულო დასკვნა თავის თავში ჩაკეტილია; ამდენად უსასრულო დასკვნებს შორის არსებობს უარყოფითი კავშირი. ამასთანავე, ლოგიკურის კატეგორიები წარმოადგენენ სისტემას, სახელდობრ, უსასრულო დასკვნების სისტემას. კატეგორიების კავშირი დიალექტიკურია, დაპირის-

პირებულთა ერთიანობის კავშირია, ე. ი. ეს კავშირი სრულდება უსასრულო დასკვნის ფორმით. უსაბოლოო დასკვნების სისტემა თვითონ უსასრულო დასკვნის ფორმით უნდა განხორციელდეს.

§ 234. დასაბუთების საწყისი და დასაწყისი

წინა პარაგრაფში გარჩეული ორი სისტემის ურთიერთდამოკიდებულება აუცილებელს ხდის ერთიმეორისგან განვასხვაოთ დასაბუთების საწყისი და დასაბუთების დასაწყისი.

ერთი შეხედვით, ლოგიკურის თუ დასაბუთების დასაწყისის შესახებ ლაპარაკიც კი შეუძლებელი უნდა იყოს, რადგან დასაწყისი აქვს იმას, რაც არსებობს დროში; რაც დროში წარმოიშობა იმის დასაწყისის შესახებ ლაპარაკობენ; ლოგიკური პროცესი კი არ არის დროში გაშლილი პროცესი, წანამძღვრები დანასკვს, ცხადია, წინ არ უსწრებენ დროში, ისინი ერთდროულად არსებობენ. თუმცა წანამძღვრები სწორედ იმიტომ არიან, რომ ისინი წინ უსწრებენ დანასკვს; ლოგიკური საფუძველი წინ უსწრებს შედეგს, როგორც ეს გარკვეულად აქვს დახასიათებული ფორმალურ ლოგიკას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს წინწასწრება არის ლოგიკური წინწასწრება და არავითარ შემთხვევაში დროული წინწასწრება.

რამდენადაც ლოგიკურ კავშირში არსებობს ლოგიკური წინწასწრება, ამდენად ლოგიკის სფეროშიც არის შესაძლებელი ვილაპარაკოთ ლოგიკურის თუ დასაბუთების დასაწყისის შესახებ. დასაბუთების მიმართ ლოგიკური დასაწყისის შესახებ ლაპარაკი ყველაზე უფრო გამართლებულია მაშინ, თუ მხედველობაში გვაქვს ლოგიკური განვითარება. ლოგიკურ განვითარებას აქვს დასაწყისი. მაგრამ დასაწყისი აქვს იმ დასაბუთებასაც, რომელიც არ წარმოადგენს ლოგიკურ განვითარებას. ლოგიკური განვითარების საწინააღმდეგო დალაგებასაც აქვს დასაწყისი, როგორც ეს წინა პარაგრაფში იყო ნაჩვენები.

დასაბუთების დასაწყისი და საწყისი ერთიმეორისგან განსხვავდებიან, რამდენადაც დასაბუთების საწყისი არის დასაბუთების არსება, მაგალითად, არისტოტელესათვის დასაბუთების საწყისს წარმოადგენს წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, გაგებული როგორც ერთდროული მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობა; დასაბუთების დასაწყისს კი წარმოადგენს განსაზღვრება, განსაზღვრების მარტივი დადებითობა, რომელიც წინ უსწრებს მსჯელობას, როგორც მტკიცება-უარყოფას და დასაბუთებას, რომელიც მტკიცება-უარყოფის საშუალებით ხორციელდება; მისთვის განსაზღვრება არ არის დასაბუთება და დასაბუთება არ არის განსაზღვრება.

დასაბუთება იწყება იმით, რაც არ არის დასაბუთება — განსაზღვრებით.

ის გარემოება, რომ დასაბუთების საწყისი და დასაბუთების დასაწყისი ერთიმეორისგან განსხვავდებიან და რომ საწყისი არ შეიძლება იყოს დასაწყისი, ყველაზე სრულად ჩანს მაშინ, როცა შევეცდებით დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების არსება, წარმოვიდგინოთ დასაწყისად, სახელდობრ, წანამძღვრად დასაბუთების არსების, მაგალითად, Dictum-ის წანამძღვრად წარმოდგენა არის ლოგიკური შეცდომა. თუ ის, რაც დასაბუთების არსებას წარმოადგენს, ავიღეთ წანამძღვრად, მაშინ დასაბუთება იქნება ამ წანამძღვრის კავშირი სხვასთან. ეს კავშირიც თუ წანამძღვრად წარმოვიდგინეთ, მაშინაც იგივე განმეორდება და ა. შ. უსასრულოდ. ამავე დროს ეს იქნება დასაბუთებამდე დასაბუთების აღიარება, დასაბუთების არსება არის ის, რასაც დასაბუთება წარმოადგენს და არა ამ დასაბუთების წანამძღვარი. თუ ერთდროულად მტკიცება უარყოფის შეუძლებლობა არის დასაბუთების არსება, მაშინ ის არ არის დასაბუთების წანამძღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით ახლახან აღნიშნულ შეცდომებს. კანონი და წესი არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას წანამძღვრად; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სხვასთან კავშირი თვითონ მასდაქვემდებარება, ე. ი. ის კანონადაც იქნება წარმოდგენილი და არაკანონადაც (წანამძღვრად) იქნება მიჩნეული. ამიტომაც შეცდომა დასკვნის სქემის, როგორც გარკვეული წესის, წანამძღვრად წარმოდგენა, რაც აუცილებელია ლოგიკის ფორმალიზაციისათვის, ასე ითქმის ჩასმის წესის შესახებაც ის, რაც დასკვნა-დასაბუთების არსებაა, რაც მხოლოდ მასში ხორციელდება, ცხადია, მას წინ არ უსწრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით დასკვნიდან დასკვნის აზრის გარეთ გატანას, დასაბუთების გადაქცევას მის წანამძღვრად და ა. შ.

მიუხედავად აქ აღნიშნული განსხვავებისა, დასაბუთების საწყისი და დასაწყისი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ერთი და იგივე. ამ გარემოების ადგილი აქვს მაშინ, როცა დასაბუთების დასაწყისად აღებულია აქსიომები. აქსიომა შეიძლება იყოს დასაბუთების არსებაც და დასაბუთების დასაწყისიც. ამას ადგილი აქვს დედუქციურ სისტემებში, კერძოდ, მათემატიკაში, სადაც დასაბუთების საწყისად და ამავე დროს დასაწყისად აღებულია აქსიომები და გამოდგვანის წესები. აქსიომებში წინასწარი აზრის ნაგულისხმევი მთელი დასაბუთებაა თეორიულ არსებითად. ლუკასევიჩის აზრით, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, არისტოტელესთან აქსიომებს წარმოადგენენ ცალკეგთრივ აღებული

ველი ფიგურის მოდუსები, მაშინ როცა მთელი კატეგორიული სილოგიზმი, ბოლოს და ბოლოს სხვა არაფერია, თუ არა პირველი ფიგურის მოდუსები სხვა ფიგურების მოდუსების პირველ ფიგურაზე დაყვანა. წინაალმდეგ ლუკასევიჩის აზრისა, არის მეორეხარისხოვანი გარემოება, ან ის არის die falsche Spitzfindigkeit[1].

ამრიგად, აქსიომა არის პირველი დებულება დასაბუთებაში, ის არის დასაწყისი და საწყისიც, თუმცა მათემატიკურ ლოგიკაში აქსიომები, როგორც პირველი, იყოფა ორად: აქსიომებად და „შინაარსეულ აქსიომებად“ ანუ მეტალოგიკურ წესებად. ასეთი გაყოფა კი ლოგიკის ერთიანობას არღვევს, როგორც ეს ზემოთაც ითქვა. ეს გაორება თუ გასამება არალოგიკურობაა ლოგიკაში.

დასაბუთების საწყისი რომ შეიძლება ამავე დროს დასაწყისიც იყოს, ამას აჩვენებს ზემოგანხილული სისტემა, რომელიც იწყებს უსასრულო დასკვნით და ამთავრებს დადებითი მსჯელობით. მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, ლოგიკური აუცილებლობა იჩქმალება, არ მეღავნდება სისტემა ანალიზურია და სინთეზურობა იკარგება. ამასთანავე, ყველაფერი არსებითად მოქცეულია დასაწყისში, მაშინ როცა ყველაფერი მთელ სისტემაში უნდა განხორციელდეს.

დასაბუთების დასაწყისი და საწყისი ერთმეორეს ჰგავს იმით, რომ დასაწყისიც პირველია დასაბუთებაში და საწყისიც დასაბუთების პირველს წარმოადგენს. არც ერთს და არც მეორეს არაფერი არ უსწრებს წინ ლოგიკურად. დასაბუთება იწყება დასაწყისიდანაც და საწყისადანაც. მეორე მხრივ, დასაბუთების როგორც საწყისი ისე დასაწყისი გულისხმობს სხვას, როგორც შემდეგს და შედეგს. დასაბუთების დასაწყისი გულისხმობს მის შემდეგს, წინაალმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა დასაწყისი (დასაწყისის ცნება წინაალმდეგობრივია). დასაბუთების საწყისიც გულისხმობს ყველაფერს, რის საწყისსაც ის წარმოადგენს. დასაბუთების საწყისი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკე დებულების თუ დასკვნის სახით, ასეთია, მაგალითად, უსასრულო დასკვნა, რომელიც დასაბუთების საწყისია, მაგრამ ცალკე დასკვნის სახითაც არსებობს. მაშასადამე, დასაბუთების საწყისი და დასაწყისი თითქოს ერთი და იგივეა, მათ აქვთ საერთო ნიშნები, რომელთაგან ზოგიერთი ახლა აღვნიშნეთ. ნამდვილად დასაბუთების საწყისი და დასაწყისი არ არის ერთი და იგივე. მართალია, ორივე ისეთია, რომ ლოგიკურად მათ არაფერი არ უსწრებს წინ, მაგრამ ეს სხვადასხვა აზრით უნდა იქნეს გაგებული: დასაწყისს არაფერი არ უსწრებს წინ, რადგან დასაწყისი არის დასაბუთების პროცესის წამოწყება; დასაბუთების საწყისი კი არის

[1] I. Kant, Sämmtliche Werke, V, Kirchmann, გვ. 3—18.

დასაბუთების არსება, რომელსაც არაფერი არ უსწრებს წინ ლოგიკურად, მაგრამ სხვა აზრით, სახელდობრ, დასაბუთების არსებას სხვა დასაბუთება და ამ დასაბუთების არსება არ უსწრებს წინ. დასაბუთების დასაწყისი გულისხმობს შემდეგს და საწყისიც გულისხმობს შემდეგს, მაგრამ სხვადასხვა აზრით: დასაწყისი იმას გულისხმობს, რაც იწყება, საწყისი კი არის არსება. რომელიც „მოვლენებს“ გულისხმობს; საწყისი, როგორც არსება, გულისხმობს მთელ დასაბუთებას და მის მომენტებს.

დასაბუთების დასაწყისი არის „მარტივი“, დასაბუთების საწყისი კი „რთულია“. მაგალითად, არისტოტელესთვის დეფინიცია მარტივია, ერთდროული მტკიცება-უარყოფის შესაძლებლობა კი არის ლოგიკურად რთული; პირველი დასაწყისია, მეორე კი საწყისი, მით უმეტეს ეს ითქმის ლოგიკური განვითარების შესახებ.

გარკვეული აზრით, დასაბუთების საწყისი წინ უსწრებს დასაწყისს, გარკვეული აზრით კი პირიქით — დასაწყისი წინ უსწრებს საწყისს. დასაბუთების დასაწყისი წინ უსწრებს საწყისს, როგორც დასაბუთების არსებას, რადგან დასაბუთების არსება ხორციელდება თვითონ დასაბუთების განხორციელებით. რომელსაც დასაწყისი მხოლოდ იწყებს. დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების არსება, წინ უსწრებს დასაბუთების დასაწყისს, რამდენადაც დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, დასაბუთების ყოველ მომენტს იქვემდებარებს, დასაწყისი კი მისი ერთ-ერთი, სახელდობრ, დასაწყისი მომენტია. დასაწყისიც რაღაც დებულება თუ ცნებაა, რომელიც შედის დასაბუთებაში. დასაწყისიც საწყისის ბუნების უნდა იყოს, ისე როგორც ყველაფერი დასაბუთებაში.

დასაბუთების დასაწყისის და საწყისის ცნებები სრული გარკვეულობით წარმოდგებიან დასაბუთებაში, როგორც ლოგიკურ განვითარებაში. დასაბუთების დასაწყისი გულისხმობს ყველაფერს დასაბუთებაში, როგორც შემდეგს, რადგან დასაწყისი არის ყველაფრის დასაწყისი დასაბუთებაში. დასაბუთების საწყისი გულისხმობს ყველაფერს დასაბუთებაში, რადგან ის არის ამ ყველაფრის არსება. მაგრამ დასაბუთების დასაწყისი იწყებს დასაბუთებას, ამიტომ ის არის „მარტივი“; დასაბუთების საწყისი. როგორც დასაბუთების არსება, უნდა იყოს რთული, ლოგიკურად რთული, მტკიცება—უარყოფის ერთიანობის სირთულის მქონე. ამიტომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დასაბუთების ბოლოს. დასაბუთების დასაწყისი დასაბუთების თავშია, დასაბუთების საწყისი კი დასაბუთების ბოლოს. დასაბუთების საწყისი არის დასაბუთების სირთულის არსება და, ცხადია, თვითონ იქნება ყველაზედ უფრო რთული. ასეთია უსასრულო დასკვნა, როგორც დასაბუთების საწყისი. უსასრუ-

ლო დასკვნა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, არის ყველაზე უფრო რთული და უკონკრეტულესი, რადგან, ის არის ლოგიკური უსასრულობა, რომელზე უფრო მეტი ლოგიკური სისრულე შეუძლებელია.

მაგრამ რადგანაც დასაბუთების არსება მთელი დასაბუთების არსებაა, ამიტომ რა უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ ბოლოს, არამედ თავიდან ბოლომდე დასაბუთებაში; ის უნდა მოქმედებდეს დასაბუთების დასაწყისშიც. დასაბუთების დასაწყისი არის დასაბუთების საწყისი მარტივი სახით; დასაბუთების საწყისი. როგორც დასაბუთების თავში მყოფი, როგორც დასაბუთების დამწყები, არის დასაწყისი. დასაწყისი არის საწყისის დასაწყისი (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

მართალია, დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსება, არსებობს და მოქმედებს დასაბუთებაში თავიდან ბოლომდე, მაგრამ ის სრულად მხოლოდ ბოლოს წარმოდგება. ამიტომ დასაბუთების საწყისი არის დასაბუთების დასაწყისი, წარმოდგენილი სრულად. დასაბუთების საწყისი, მართალია, მოქმედებს დასაბუთებაში თავიდან ბოლომდე, მაგრამ იგი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს და ნამდვილად წარმოდგება ცალკე დებულების, წესის, კანონის თუ დასკვნის სახით. ასეთია უსასრულო დასკვნა, როგორც დასაბუთების საწყისი, როგორც ეს ზემოთ იქნა ნაჩვენები, სახელდობრ. მაშინ, როცა განვიხილეთ აზრის ლოგიკური ფორმები მათ განვითარებაში.

ისიც ვიცით, რომ ლოგიკური საფუძველი წინ უსწრებს შედეგს. მაგრამ შეიძლება საფუძველი, როგორც გამმართლებელი, იყოს შედეგის შემდგომ, რომ შესაძლებელია ლოგიკური გადასვლა შედეგიდან საფუძველზე, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე და სხვ. ასე, რომ დასაწყისი შეიძლება იყოს შედეგი. ეს ასეც არის ლოგიკურ განვითარებაში. დასაწყისი, როგორც შედეგი, გადადის და მართლდება თავის საფუძველში და ასე შემდეგ, ვიდრე არ დასრულდება დასაბუთება, რომლის ბოლოს სისრულით წარმოდგება დასაბუთების საწყისი. ეს რომ ასეა, ამაში ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით. ახლა ჩვენ იმის თქმა გვინდა. რომ დასაბუთების დასაწყისის და საწყისის ცნებები სრული სახით წარმოდგება ლოგიკის სისტემაში, როგორც დასაბუთებაში, რომელსაც განვითარების ხასიათი აქვს. დასაბუთების საწყისი, როგორც მისი არსების, ბუნება გარკვეული გვაქვს უსასრულო დასკვნის გარკვევისას. გასარკვევია დასაბუთების დასაწყისი, როგორც ლოგიკური განვითარების დასაწყისი; სწორედ აქ გაირკვევა საბოლოოდ დასაწყისის ცნება; მაგრამ ჯერ გასარკვევი გვაქვს რამდენიმე საკითხი, რომელთა განხილვა წინ უსწრებს ლოგიკური განვითარების დასაწყისის ცნების უფრო ზუსტ განხილვას.

თუ ლოგიკურს დასაბუთებას აქვს დასაწყისიც და საწყისიც, მაშინ ის უნდა იყოს განსაზღვრული, ის არ შეიძლება იყოს უსაზღვრო. ლოგიკურს აქვს საზღვარი: 1) ობიექტური სინამდვილე განსაზღვრავს აზრს, რადგან აზრი ეხება სინამდვილეს; ასახვა ობიექტური სინამდვილე თავისი ბუნებით არის მატერიალური, ის არსებობა აზრისაგან დამოუკიდებლად და განსაზღვრავს აზრს; აზრი არის აზრი ყოველთვის სინამდვილის შესახებ, მცდარი აზრიც სინამდვილით განისაზღვრება; მცდარი აზრი არის სინამდვილის დამახინჯებული ასახვა. ობიექტური სინამდვილე თავისი ბუნებით არის არალოგიკური, რეალური; ლოგიკურს აქვს რეალური განმსაზღვრელი საფუძველი.

ლოგიკურს აქვს საზღვარი: 2) იმ აზრითაც, რომ ის განისაზღვრება. მისი დეფინიცია შეიძლება. ლოგიკურის საზღვარი არის მისი არსება, გარკვეულობა; ლოგიკურის გარკვეულობა, ფორმა არის მისი საზღვარი. ლოგიკურს აქვს გარკვეულობა, თვისობრიობა (ლოგიკური — მსჯელობის თვისობრიობა).

ლოგიკურის აქ აღნიშნული ორი საზღვრის შესახებ უნდა ითქვას ის, რომ ისინი არ გამორიცხავენ, არ აუქმებენ ლოგიკურის უსაზღვრობას: 1) ლოგიკურის გარკვეულობა არ გამორიცხავს მის უსაზღვრობას, რადგან უსაზღვრო და უსასრულო არ არის გაურკვევლობა (უსასრულობა შეცდომით მიაჩნდათ გაურკვევლად ძველ ბერძნებს, ინტუიციონისტებს, მაგ. ბროუერს და სხვ.). უსასრულობა მათემატიკაშიც (კანტორიდან დაწყებული) და ფილოსოფიაშიც დადებითი გარკვეულობის სახით არის წარმოდგენილი (როგორც ეს ზემოთ იქნა საკმაოდ გამორკვეული). ლოგიკური უსასრულობა არის ლოგიკურის სრული გარკვეულობა, მას დასკვნის ფორმა აქვს; არსებობს უსასრულო დასკვნა. 2) არც ობიექტური სინამდვილის მიერ ლოგიკურის განსაზღვრა აუქმებს ლოგიკურის უსაზღვროებას, რადგან სინამდვილე და მისი უსაზღვროება არ ზღუდავს ლოგიკურს. პირიქით აფუძნებს მის უსაზღვროებას, რამდენადაც ლოგიკური ასახავს უსაზღვრო სინამდვილეს; უსაზღვრო სინამდვილე აიძულებს ლოგიკურს იყოს უსაზღვრო; შეიძლება გვქონდეს ცნება ყველაფრის შესახებ, მსჯელობა ყველაფერზე და ასეთივე დასკვნები და დასაბუთება, რომლებიც არაფრით არ ფერხდება. ისინი სინამდვილის ყოველი სფეროს მიმართ გამოიყენებიან. ლოგიკურის უსაზღვროება არ ნიშნავს არალოგიკურის — არალოგიკური სინამდვილის არარსებობას და მხოლოდ მის არსებობას, როგორც ეს ჰეგელს

ჰქონდა წარმოდგენილი; ჰეგელი ილუზიაში იყო ჩაგდებული, როცა ის ლოგიკურის აბსოლუტურობას ალიარებდა იმ აზრით, რომ იგი სინამდვილის სუბსტანციად მიაჩნდა.

ლოგიკურის უსაზღვროება იმას კი არ ნიშნავს, რომ თითქოს ის ასრულებს ობიექტური სინამდვილის როლს, არა, ლოგიკურის უსაზღვროება ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია ყველაფრის დასაბუთება, რომ ყველაფრის შესახებ შეიძლება გვქონდეს ცნება და მსჯელობა. ლოგიკური უსაზღვროების ალიარება ლოგიკური აგნოსტიციზმის უარყოფაა.

ლოგიკურს მაშინ ექნებოდა საზღვარი, რომ არსებობდეს ისეთი არალოგიკური, რომელსაც მისი როლის შესრულება დაეკალებოდა. ასეთი არალოგიკური იწოდება მისტიკურად. ლოგიკურის საზღვარი არის მისტიკური, ლოგიკურისათვის რაღაც საიდუმლოებით მოცული, მისთვის მიუწვდომელი. მაგრამ ასეთი რამ არ არსებობს. შესაძლებელია ყველაფრის ლოგიკური ფორმით გამოხატვა, პრინციპულად შესაძლებელია ყველაფრის გაგება; არ არსებობს ლოგიკურად გაუგებარი. ბგრეთვე, ლოგიკურს მაშინ ექნებოდა საზღვარი, რომ მასში მოქმედებდეს არალოგიკური, რომ, მაგალითად, დასაბუთებაში იყოს დაუსაბუთებელი; დაუსაბუთებელი წანამძღვარი (რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი) თუ სხვა რამ.

ლოგიკურს საზღვარი ექნებოდა მაშინ, რომ ის განისაზღვრებოდეს იმით, რაც მის მაგივრობას გასწევს, მის როლს შეასრულებს. ლოგიკურს საზღვარი ექნებოდა მაშინ, რომ, მისი როლის შესრულების თვალსაზრისით, ის არ იყოს საკმარისი, რომ მისი როლის შემსრულებლად გამოდიოდეს არალოგიკური. ლოგიკურს მაშინ ექნებოდა საზღვარი, რომ ის ლოგიკურად სხვით განისაზღვრებოდეს, რომ მას სხვა ლოგიკური საზღვარი ჰქონდეს, მაგრამ ასეთი დაშვება წაგვიყვანდა უსასრულო რეგრესში; სხვა ლოგიკურიც ხომ ლოგიკური იქნებოდა? ლოგიკურის განმსაზღვრელი რომელიც არ არის ლოგიკური, მაგრამ ლოგიკურის როლის შემსრულებელი კი უნდა იყოს, არაფერი არ არსებობს. ლოგიკურის როლის სხვა ყოველგვარი შემსრულებელი, ეს იქნება ლოგიკურის დამმახინჯებელი და არა მისი გამაუქმებელი, რადგან ლოგიკურის როლის შემსრულებელ ლოგიკურს ექნებოდა არა მისი განისაზღვრება, არსებობს ლოგიკურის ზღვარი, როგორც საზღვარი, მაგრამ არ არსებობს ლოგიკური, რომელიც ლოგიკურად თუ მის მსგავსად შემოსაზღვრელ შემცველობას ლოგიკურს არ აქვს ლოგიკური საზღვარი.

მაშასადამე, ლოგიკურს გარკვეული აზრით აუცილებლად აქვს საზღვარი, გარკვეული აზრით ის ასაზღვრავს.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს ფორმალურ-ლოგიკურს არ ჰქონდეს საზღვარი, სახელდობრ, ლოგიკური საზღვარი. ფორმალურ-ლოგიკური, როგორც ვიცით, არის სასრული ლოგიკური; ფორმალური ლოგიკა უარყოფს უსასრულო ლოგიკურს. ამიტომ ნათელია, რომ ის არის განსაზღვრული ლოგიკური, იგი ადგილ-ტოვებს ლოგიკური აგნოსტიციზმისათვის. რას წარმოადგენს ფორმალურ-ლოგიკურის ლოგიკური საზღვარი? მოკლედ რომ ვთქვათ, ფორმალურ-ლოგიკურის საზღვარი იგივეა, რაც სასრული ლოგიკურის საზღვარი.

ფორმალურ-ლოგიკურის ანუ სასრული ლოგიკურის საზღვარი მეღავნდება, მაგალითად, იმით, რომ ის აუცილებლობით მიმართავს ინტუიციას, რომ მისთვის აუცილებელი ხდება ინტუიციაზე დაყრდნობა, მაშინ როცა ინტუიცია არის არალოგიკური. ფორმალურ-ლოგიკურის საზღვარს წარმოადგენს ის, რომ მისთვის აუცილებელი ხდება დაუსაბუთებელი წანამძღვარი; ფორმალურ-ლოგიკური დასაბუთება ემყარება დაუსაბუთებელს (ასეა დედუქციის დროსაც და ინდუქციის დროსაც ფორმალურ ლოგიკაში, როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული). ფორმალური ლოგიკის კანონებს მიიჩნევენ დაუსაბუთებელ დებულებებად, „რწმენის რეგულატურ დოგმებად“ [1]. ფორმალურ-ლოგიკური, როგორც არაწინააღმდეგობრივი, ე. ი. წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე დაფუძნებული და მისით განსაზღვრული ლოგიკური, არის უარყოფით-ლოგიკური, როცა ლოგიკური, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს დადებით-ლოგიკური. ფორმალურ-ლოგიკურის საზღვარი იმაშიც ჩანს, რომ ის არის სხვით დაფუძნების — გარეგანი საფუძვლით დასაბუთების ლოგიკური. ამიტომ მისთვის აუცილებელია უსასრულო რეგრესი, რაც ლოგიკურ შეუძლებლობას ნიშნავს.

ფორმალურ-ლოგიკურის მთავარ ლოგიკურ საზღვარს წარმოადგენს წინააღმდეგობა. ფორმალური ლოგიკა მიდის წინააღმდეგობამდე, როგორც მის ლოგიკურ საზღვრამდე, რომლის ლოგიკური გადალახვა, დაძლევა მას არ შეუძლია. ეს გარემოება ნათლად აჩვენა კანტმა თავის ანტინომიებში. ფორმალური ლოგიკისათვის წინააღმდეგობა შეუძლებელია; ფორმალურ-ლოგიკურის სისრულე წინააღმდეგობის შეუძლებლობაში მდგომარეობს. კანტმა კი აჩვენა, რომ გონებისათვის წინააღმდეგობა აუცილებელია, თუმცა იგი შეცდომას, „ილუზიას“ წარმოადგენს. კანტის ანტინომიები წარმოადგენენ

[1] Ф. Ницше, Полное собрание сочинений, т. IX, 1910, გვ. 247.

უარყოფით დიალექტიკას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურ-ლოგიკურის საბოლოო საზღვარს უარყოფითი დიალექტიკა წარმოადგენს.

როგორც ვიცით, უარყოფითი დიალექტიკის სიძნელე მოხსნილია დადებით დიალექტიკაში. რადგან უარყოფით-დიალექტიკურ-ლოგიკური არის მომენტი დადებით-დიალექტიკურ-ლოგიკურის, რომელიც უსასრულო ლოგიკურს წარმოადგენს; ამ აზრით, ეს ლოგიკური არის უსაზღვრო. უსასრულო ლოგიკური, რომლის დასკვნით ფორმას წარმოადგენს უსასრულო დასკვნა, არის სხვით დაფუძნების საზღვრის მოხსნა, რადგან ის არის თვითდადგენა, შინაგანი უარყოფით თვითდადგენა.

ახლახან აღნიშნული გარემოება სხვანაირად ასე გამოითქმის: ფორმალური ლოგიკა ერთმნიშვნელოვანობის ლოგიკაა; მისთვის დადებითი აბსოლუტურად არის მოწყვეტილი უარყოფითს და პირიქით; დადებითი მხოლოდ დადებითია, უარყოფითი კი მხოლოდ უარყოფითს წარმოადგენს. ფორმალურ-ლოგიკურის საზღვარი და ერთმნიშვნელოვანების საზღვარი ერთი და იგივეა. ამიტომ ფორმალური ლოგიკისათვის ყოველგვარი ორმნიშვნელოვანება შეცდომაა. უარყოფით-დიალექტიკური კი ორმნიშვნელოვანია; უარყოფით დიალექტიკაში დადებითი უარყოფითიცაა და უარყოფითი დადებითი მნიშვნელობის მქონეცაა. მაგრამ ეს გარემოება ახსნას საჭიროებს. ჯერ ერთი, ორმნიშვნელოვანება, როგორც ცნებების აღრევა, ცხადია, შეცდომაა და იგი უნდა მოიხსნას — გაუქმდეს ლოგიკაში. მაგრამ, მეორე მხრივ, ერთმნიშვნელოვანება თავისი ბუნებით გადადის საწინააღმდეგოში — ორმნიშვნელოვანებაში; ამ გარემოებას უნდა ახსნა-გამართლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვანებაც უარყოფილი იქნება. უარყოფითი დიალექტიკის ორმნიშვნელოვანება მართლდება — იხსნება და ინახება დადებით დიალექტიკაში, სადაც ადგილი აქვს არა მხოლოდ „ორმნიშვნელოვანებას", არამედ მის ერთიანობას, ასე ვთქვათ, „სამმნიშვნელოვანებას", როგორც შინაგანი უარყოფის საშუალებით თვითდადგენას. ორმნიშვნელოვანების პრობლემა წყდება დიალექტიკაში და არა მრავალნიშნა ლოგიკაში (როგორც ეს G. Günther-ს წარმოუდგენია), რადგან წინააღმდეგობის ერთიანობა უსასრულობაა, რომელიც არ შეიძლება სასრულოებად დანაწილდეს და დაიშალოს სხვადასხვა მნიშვნელობებად; წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს, „მესამე" ერთიანობაა და არა მართლაც მესამე.

რადგან ლოგიკური არის უსასრულო ლოგიკური, ამიტომ არც ლოგიკას აქვს საზღვარი, მას არ სჭირდება დამხმარე; თავის ამოცა-

ნებს იგი თვითონ წყვეტს. ლოგიკას არ აქვს დასაწყისი იმ აზრით, რა აზრითაც კერძო მეცნიერებებს აქვს დასაწყისი. კერძო მეცნიერებები ეყრდნობა მასში დაუსაბუთებელ წანამძღვრებს, მაგალითად, ფილოსოფიურ კატეგორიებს და ლოგიკურ კანონებს, მაშინ როცა ლოგიკა არ უნდა ეყრდნობოდეს დაუსაბუთებელს. კერძო მეცნიერებების უზოგადესი მეთოდი ფილოსოფიურ-ლოგიკურია, ამიტომ მათ ეს მეთოდი ეძლევათ, ასე ვთქვათ, გარედან, მაშინ როცა, როგორც ეს ზემოთ გავარკვიეთ, ლოგიკის მეთოდი, ამავე დროს ლოგიკის საგანსაც წარმოადგენს. ლოგიკის საგანი არის აზრის ფორმა, რომელიც მეთოდს წარმოადგენს; ლოგიკის მეთოდი არის აზრის ფორმა, წესი. ყველა კერძო მეცნიერება ემყარება და ფუძნდება ლოგიკური მეთოდით; ყოველი მეცნიერება თავის საგანს აითვისებს აზრის ლოგიკური ფორმებით. ამიტომ კერძო მეცნიერებებიდან „ყოველი მეცნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა“.[1] ამიტომ მცდარად უნდა ჩაითვალოს მეთოდის მათემატიკიდან ლოგიკაში გადატანა; ლოგიკის მეთოდი არ შეიძლება იყოს მათემატიკური მეთოდი.

ის გარემოება, რომ ლოგიკის მეთოდი არის აზრის ფორმა, აზრის ფორმები კი ლოგიკის საგანს შეადგენს, ნიშნავს იმას, რომ ყოველგვარი ლოგიკური საშუალება თვითონ ლოგიკაში იგულისხმება; ლოგიკას არავითარი ლოგიკური საშუალება გარედან არ ეძლევა, სხვა სფეროდან არ მოაქვს; ამ აზრით მას არ აქვს საზღვარი. ლოგიკის ყოველი ლოგიკური საშუალება პირველად ლოგიკაში უნდა დადგინდეს. ამიტომ ლოგიკა არის რეფლექსური მეცნიერება; ლოგიკური, საბოლოოდ, არის რეფლექსურ-ლოგიკური.

ლოგიკის კანონები და ლოგიკურის კატეგორიები, როგორც ლოგიკური აზროვნების პირველადი საშუალებები, ობიექტური და აუცილებელი საშუალებები. არ არიან „რწმენის დოგმები“, ისინი, როგორც ეს ზემოთ საკმაოდ გაირკვა, საბუთდებიან თვითონ ლოგიკაში; დასაბუთების პირველი საშუალებები დასაბუთებას არ ეძლევიან დაუსაბუთებლად; მათი დასაბუთება არ ხდება გარეგანი საფუძვლით, ამიტომ მოხსნილია უსასრულობაში რეგრესის საშიშროება. როგორც ვიცით, ლოგიკურის კატეგორიის უარყოფა შეუძლებელია და მისი უარყოფა მასვე ადგენს. ის გარემოება, რომ ლოგიკურის კატეგორიის (მაგალითად, იგივეობის, უარყოფის, კერძოს, ზოგადის და სხვ.) უარყოფა შეუძლებელია და ასეთი უარყოფის დროს იგივე კატეგორია მოიხმარება აუცილებლობით და რომ მისი დასაბუთებისათვის სწორედ ის გამოიყენება, სრულიად არ ნიშნავს მის დაუსაბუთებლობას, მის უშუალობას თუ ინტუიციურობას, როგორც

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 199.

ეს ჩვეულებრივ არის აღიარებული, არამედ პირიქით — აღნიშნული გარემოება სწორედ დასაბუთებას წარმოადგენს. დასაბუთება არა მარტო გარეგანი საფუძვლის მოხმარას ნიშნავს, არამედ შინაგანი საფუძვლის მოხმარასაც. დასაბუთების არსება სწორედ თვითდადგენაში მდგომარეობს. შინაგანი უარყოფით თვითდადგენას ემყარება ყოველგვარი დადგენა, შესრულებული გარეგანი საფუძვლის მეოხებით.

ლოგიკურს, როგორც ვიცით, არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ლოგიკური საწყისი. ლოგიკაში აზრი თავისთავს სწავლობს, აზრი სწავლობს საკუთარ ფორმებს; მართალია, ეს ფორმები ობიექტური საგნის ასახვის ფორმებია, მაგრამ ისინი საგნის ფორმებს კი არ წარმოადგენენ, არამედ — სწორედ აზრის ლოგიკურ ფორმებს. ლოგიკაში ხორციელდება აზრის მიერ აზრების დასაბუთება საკუთარი — ლოგიკური საშუალებებით. აქ ხორციელდება ლოგიკური რეფლექსია, რომელიც წარმოადგენს თვითდაფუძნებას, თვითდასაბუთებას. ლოგიკა იწყებს ლოგიკურად მხოლოდ ლოგიკურიდან და ამთავრებს ლოგიკურით, ხორციელდება გარკვეული „წრებრუნვა". მაგალითად, საგნის არსების ამსახველი აზრის განსაზღვრება ადგენს საგნის ცნებას (ასე დგინდება ყველაფრის, კერძოდ თვითონ აზრის თუ ლოგიკურის ცნებაც). ცნების განსაზღვრება იწყებს ცნებით და ამთავრებს სწორედ ცნების დადგენით. ლოგიკურის ცნების განსაზღვრება იწყება ლოგიკურით და მთავრდება ლოგიკურის სრული ცნების დადგენით; თუ ჩვენ ამას ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ასე არ უნდა მოხდეს.

ამრიგად, ლოგიკური არის უსასრულო, ამ აზრით, უსაზღვრო. თუმცა მას აქვს საზღვარიც, დასაწყისიც, ბოლოც და გარკვეული არსებაც. საბედნიეროდ, ის, რასაც იგი წარმოადგენს. ლოგიკურის უსაზღვროება, მაშასადამე, არ გამორიცხავს მის საზღვარს. უსასრულო შეიცავს და არ გამორიცხავს სასრულს ლოგიკურ სფეროშიც. ლოგიკური არის შესაბამისი სასრულის და უსასრულოს დიალექტიკური ერთიანობა, რომელიც გარკვეული დასკვნის ფორმის სახით არსებობს.

აზრის დაუსრულებელ განვითარებას გარკვეული ლოგიკური ფორმა უნდა ჰქონდეს და აქვს.

§ 236. დასაწყისის და საწყისის ტავტოლოგიურობის შესახებ

დასაწყისი უნდა იყოს მარტივი. დასაწყისი არ შეიძლება იყოს რთული, რადგან რთული არის ის, რაც მარტივს წინასწარ გულისხმობს, რთული ყოველთვის მიიღება მარტივისაგან. მართალია, რთუ-

ლი შეიძლება დაიშალოს მარტივებად და ამდენად რთულიდან მიიღება მარტივი, მაგრამ ეს გარემოება არის მეორადი ხასიათის, რადგან რთული მარტივებს წინასწარ გულისხმობს; მარტივები მიიღება იმ რთულიდან, რომელიც მიღებულია მარტივიდან თუ მარტივებიდან.

რთული მიიღება მარტივიდან იმ აზრითაც, ესაა ჩვენთვის მთავარი, რომ რთული არის განვითარების შედეგი, მარტივი კი უნდა იყოს განვითარების დასაწყისი. ამრიგად, დასაწყისი თუ საწყისი უნდა იყოს მარტივი.

მაგრამ ფილოსოფიის და საერთოდ მეცნიერების ისტორია გვიჩვენებს, რომ მარტივიდან არაფერი არ გამოიყვანება. თალესის წყალი, ანაქსიმენის ჰაერი და სხვ. იყო მარტივი, ამიტომ აქედან სხვა რაიმეს გამოყვანა შეუძლებელი და დაუსაბუთებელი დარჩა. ამ გამოყვანისათვის საჭირო გახდა სიცოცხლის შეტანა ასეთ მარტივ საწყისებში. არც ემპედოკლეს ელემენტების ბუნებიდან გამოდიოდა რაიმე და არც დემოკრიტეს უცვლელი და მარტივი ატომებიდან; ელემენტებიდან და ატომებიდან სხვათა გამოყვანისათვის აქ მოხმარებულ იქნა მექანიკური მეთოდი, მიმატება-გამოკლების მეთოდი, რომელიც სწორი იყო ფიზიკის თვალსაზრისით, მაგრამ არაფერს გვეუბნებოდა მეტაფიზიკის, ონტოლოგიის თვალსაზრისით, რადგან ამხსნელი საფუძველი უკვე შეიცავდა ყველაფერს. ანაქსიმანდრეს აპეირონი იყო იმის ნიმუში, რომ ყველაფრის შემცველიდან რაიმეს გამოყვანა ზედმეტი ხდებოდა, რადგან გამოსაყვანი წინასწარ იგულისხმებოდა გამოყვანილად. მარტივი იყო პარმენიდეს არსი, ის აბსოლუტურ სიმარტივეს წარმოადგენდა, რადგან არავითარ განსხვავებას არ შეიცავდა და არც მის (განსხვავების) დასაწყისად თუ საწყისად გამოდგებოდა; პარმენიდეს არსი ყოველგვარ განსხვავებას გამორიცხავდა, რადგან განსხვავება შესაძლებელია შედარებითი არარსის საშუალებით (როგორც ეს პლატონმა დაამტკიცა). პარმენიდეს აზრით კი არარსი არ არსებობს; არსებობს მხოლოდ არსი ყოველგვარი განსხვავების გარეშე. პარმენიდეს მარტივი არსიდან რაიმე განსხვავებულის გამოყვანა აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. მარტივი იყო არისტოტელეს „უსიაც“, ამიტომ არ გამოდგა კერძოს და ზოგადის ერთიანობად, მაშინ როცა უსია სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. არისტოტელეს მარტივი უსია წარმოადგენდა საგნის მისტიკურ სულს, საიდანაც არაფრის გამოყვანა და ახსნა არ შეიძლებოდა. ასეთი მარტივი იყო ლაიბნიცის მონადაც, და სხვ. ერთი სიტყვით, სინამდვილეში მარტივიდან არაფერი არ გამოდის. აბსოლუტური სიმარტივე არც არსებობს.

ლოგიკაში მარტივი არის ტავტოლოგიური; ლოგიკურად რთული კი არის არატავტოლოგიური, სახელდობრ, ის, რაც მტკიცებაუარყოფის ბუნებისაა, როგორც ეს არისტოტელეს ჰქონდა წარმოდგენილი. არისტოტელესათვის მარტივი იყო, მაგალითად, დეფინიცია, რადგან, მისი აზრით, ის წარმოადგენდა დადებითობას უარყოფითის გარეშე; რთული კი არის მსჯელობა, დასაბუთება, რომელსაც აზრი აქვს მტკიცება-უარყოფით, როგორც დადებითობა-უარყოფითობით, სოკრატელები გამოდიოდნენ პარმენიდეს არსიდან და, როგორც ვიცით, ამტკიცებდნენ, რომ შესაძლებელია მხოლოდ ტავტოლოგიური მსჯელობები, მარტივი მსჯელობები, არასინთეზური მსჯელობები: სინთეზური მსჯელობები შეიცავენ უაზრობას, რადგან უარყოფის შემცველი არიან; უარყოფის არაებულად აღიარება უაზრობაა. დეკარტის cogito, როგორც დასაბუთების — ფილოსოფიური სისტემის აქსიომა, გაგებული იყო სიმარტივის ბუნების მქონედ, ტავტოლოგიურ დებულებად (თვითონ დეკარტს, კანტს და ბევრ სხვას ასე ესმოდათ cogito-ს ბუნება). ამიტომ გახდა დეკარტისათვის საჭირო ღმერთის ცნება. cogito მარტივია, ამიტომ აქედან არაფერი გამოიყვანება, სახელდობრ, არ გამოიყვანება სისტემის დებულებათა ჭეშმარიტობა; სწორედ ამ უკანასკნელის ასახსნელად მოიხმარა დეკარტმა ღმერთის ცნება (მაგრამ, როგორც ვიცით, ღმერთის ცნება ნამდვილად ზედმეტი იყო დეკარტისათვის, რადგან cogito აბსოლუტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა და მისგან სხვა დებულებების ჭეშმარიტობის გამოყვანას ხელს არაფერი არ უშლიდა). მარტივი იყო კანტის ტრანსცენდენტალური „მე“, როგორც წმინდა იგივეობრივი; ასეთივე იყო ჰუსერლის წმინდა „მე“ და სხვ. კანტის „მე“, როგორც წმინდა იგივეობრივი, სხვას მხოლოდ თან სდევს (begleitet), მაგრამ მისგან არაფერი არ გამოდის; ის უნდა ქმნიდეს ყველაფერს, მაგრამ წმინდა იგივეობრივს არაფრის წარმოება არ შეუძლია. ამიტომ დასაწყისად ფიხტემ აიღო Tathandlung-ი, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა დადებითობის ფორმასთან უარყოფის ფორმის დაკავშირება. და, ამიტომ, ერთი დასაწყისის მაგიერ სამი დასაწყისის მიღება მოუხდა.

მაშასადამე, წმინდა იგივეობრივიდან, წმინდა მარტივიდან, ტავტოლოგიურიდან არაფერი არ გამოდის. ფორმალური ლოგიკა ეყრდნობა წმინდა იგივეობის კანონს, ამიტომ მსჯელობა, დასკვნა, დასაბუთება წმინდა ანალიზურ-ტავტოლოგიურია ფორმალურ ლოგიკაში; სინთეზურ-ლოგიკური გაუგებარი ხდება, მაშინ როცა დასაბუთების ტავტოლოგიურობა, როგორც ვიცით, ლოგიკურ წრეს — შეცდომას წარმოადგენს. დასაბუთების წმინდა იგივეობაზე დაყრ-

დნობა დასაბუთებას კი არ აფუძნებს, არამედ შეუძლებელს ხდის და აყალბებს. მათემატიკური ლოგიკისათვის აქსიომები (და ყველა ყოველთვის ჭეშმარიტი წინადადება) ტავტოლოგიურ დებულებებს წარმოადგენენ; სწორედ დასაბუთების დასაწყისის. და საწყისის ამ ტავტოლოგიურობის გამო, ის იძულებულია აქსიომები გააოროს აქსიომებად და მეტალოგიკურ წესებად. მეტალოგიკური წესების (ჩასმის წესი და დასკვნის სქემა) გარეშე აქსიომებიდან, როგორც ტავტოლოგიური დებულებებიდან (თუ სქემებიდან), არაფერი არ გამოიყვანება. მეტალოგიკური წესები, როგორც გამოყვანის წესები კი თვითონ გამოყვანის აზრს წინასწარ გულისხმობენ და შეიცავენ: 1) გამოყვანა გაგებულია, როგორც ჩასმა, ჩასმის წესი კი სწორედ მას წარმოადგენს და გამოსავლად წინასწარ არის აღებული; 2) დასკვნის აზრს წინასწარ გულისხმობს „დასკვნის სქემა" (modus ponens). მდგომარეობის ასე გართულება შედეგია იმისა, რომ დასაბუთების სისტემის საწყისად აღებულია ტავტოლოგიური, საიდანაც ნამდვილად არაფერი არ გამოიყვანება. თუ ყველაფერი აქსიომებსა და წესებში იგულისხმება წინასწარ, მაშინ გამოყვანას უნდა მისცე მექანიკური ხასიათი, სიმბოლოების თამაშის ხასიათი. ეს ასეც ხდება ფორმალიზებულ სისტემებში. აქსიომატიზაცია და ფორმალიზაცია მეტად სასარგებლოა მათემატიკისათვის, მაგრამ მიუღებელია ლოგიკისათვის, რომელიც ფილოსოფიურ მეცნიერებას წარმოადგენს და უნდა წარმოადგენდეს.

ამრიგად, დასაწყისი და საწყისი არ შეიძლება იყოს ტავტოლოგიური, წმინდა იგივეობა თუ წმინდა სიმარტივე.

მაშასადამე, მივიღეთ ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობა: 1) დასაბუთების დასაწყისი და საწყისი უნდა იყოს მარტივი, 2) ის არ შეიძლება იყოს მარტივი. 3) იგი რადგან არ შეიძლება იყოს მარტივი, ამიტომ უნდა იყოს რთული, 4) დასაწყისი და საწყისი არ შეიძლება იყოს რთული. სად არის გამოსავალი? როგორ უნდა გადაწყდეს ეს სიძნელე?

ამ სიძნელის გადაწყვეტა მხოლოდ განვითარების თვალსაზრისით შეიძლება. იგი წყდება დიალექტიკაში. დასაბუთების დასაწყისი და საწყისი უნდა იყოს ლოგიკური განვითარების დასაწყისი და საწყისი. საწყისის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ახლა შევეხოთ დასაწყისის ცნებას, სახელდობრ, ლოგიკური განვითარების დასაწყისის ცნებას.

1. ლოგიკურ დალაგებას ხშირად იწყებენ ცნების (ცნებების) განსაზღვრებით (განსაზღვრებებით). სისტემის ძირითად ცნებებს წინასწარ განსაზღვრავენ (არისტოტელე, სპინოზა, მთელი ფორმალური ლოგიკა), შემდეგ კი ამ განსაზღვრებების საფუძველზე სისტემას აყალიბებენ. მაგრამ ლოგიკური დალაგება, რომელიც განვითარებას უნდა წარმოადგენდეს, არ შეიძლება იწყებოდეს ძირითადი ცნებების განსაზღვრებებით, ძირითადი ცნებების დასრულებული განსაზღვრებით. რადგან: 1) ძირითადი ცნებების განსაზღვრებები უკვე შეიცავენ მთელი სისტემის არსებით შინაარსს, იმას, რაც შემდეგ უნდა დადგინდეს; ამდენად ვღებულობთ ანალიზურ გამომდინარეობას, რომელიც ზედმეტია ლოგიკური დალაგებისათვის, რადგან „დასალაგებელი“ უკვე წინასწარ არის განსაზღვრებაში „დალაგებული“; 2) განსაზღვრება, როგორც ცნების ნიშნების დადგენა, თვითონ არის ლოგიკური დალაგება; ცნების ნიშნების გადმოცემა მის ამოწურვამდე არის ცნების განსაზღვრებაც და არსებითად მთელი დალაგება-განვითარებაც. 3) ლოგიკური დალაგების პროცესი სწორედ ცნების დადგენის პროცესია და ამიტომ მისი დაწყება ცნების დასრულებული განსაზღვრებიდან შეუძლებელია. ცნება ამ პროცესის შედეგია და არა დასაწყისი.

კ. მარქსს „კაპიტალი“ რომ დაეწყო კაპიტალის ცნებით, ის მაინც საქონლით დაიწყებდა, რადგან კაპიტალი წინასწარ გულისხმობს ფულს, ეს კი — საქონელს. ჰეგელს თავისი „ლოგიკა“ რომ დაეწყო ცნებით, ის მას მაინც არსით დაიწყებდა, რადგან რთული იწყება მარტივით. ჰეგელს რომ „ლოგიკა“ დაეწყო ქმნადობის (Werden) ცნებით, ის მას მაინც „არსით“ დაიწყებდა, რადგან ქმნადობა წინასწარ გულისხმობს არსს (და არარსს). როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ჰეშმარიტება დასაწყისში კი არაა. არამედ ბოლოს, უკეთ, გაგრძელებაში (ვ. ი. ლენინი). ასეთია ლოგიკური ჰეშმარიტებაც. თუ ჰეშმარიტება წინასწარაა მოცემული, მაშინ ყველა დანარჩენი ზედმეტი ხდება. დასაბუთების დასაწყისი უნდა იყოს სწორედ დასაწყისი და არა ყველაფერი.

მაგრამ, მეორე მხრივ, თუ არ დავიწყებთ ცნებით და მისი განსაზღვრებით, მაშინ საერთოდ არაფერს. არ ვიწყებთ. შეუძლებელია დავიწყოთ რაიმე და არ დავიწყოთ ამ რაიმეს ცნებით, მისი განსაზღვრებით. როდესაც ვიწყებთ განსაზღვრებას, მაშინ სწორედ მხედველობაში გვაქვს ცნება და არა სხვა რამ; როდესაც ვიწყებთ მსჯელობის განსაზღვრებას, მაშინ სწორედ მსჯელობას ვიწყებთ;

დასაბუთების დასაწყისი სწორედ დასაბუთების დასაწყისია. როდესაც იწყებენ გეომეტრიას, მაშინ სწორედ გეომეტრია, მისი ცნება აქვთ მხედველობაში; როცა იწყებენ ლოგიკას, მაშინ სწორედ ლოგიკის ცნებით იწყებენ და სხვ. როცა იწყებენ შემეცნებას, მაშინ სწორედ შემეცნებით იწყებენ; მაგრამ მცდარია შემეცნების დაწყებამდე შემეცნების წინასწარ მიღება; მცდარია შემეცნებამდე შემეცნების აღიარებაც (როგორც ამას კანტს ჰეგელი უსაყვედურებდა).

ამრიგად, მივიღეთ, ერთი შეხვედვით, გამოუვალი მდგომარეობა: ლოგიკური დალაგება არ შეიძლება დავიწყოთ ცნების განსაზღვრებით და, ამავე დროს, არ შეიძლება არ დავიწყოთ ცნების განსაზღვრებით. ლოგიკური დალაგება გამოდის და არც გამოდის ცნების განსაზღვრებიდან, ის კიდეც მიდის და არც მიდის (გამოდის და არ მიდის) ცნების განსაზღვრებამდე. ლოგიკური დალაგება არ შეიძლება გამოვიდეს მზამზარეული ცნებიდან, ის ამ ცნებამდე უნდა მივიდეს.

როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, დასაწყისის ზემოთ აღნიშნული სიძნელე წყდება მაშინ, თუ დასაწყისი გაგებული იქნება, როგორც ლოგიკური განვითარების დასაწყისი. ლოგიკური განვითარება — დასაბუთება იწყება ცნებით და მთავრდება ცნებით, მაგრამ ისე, რომ იგი იწყება ცნების, მისი განსაზღვრების დასაწყისით და მთავრდება ცნების განსაზღვრების დასრულებით, ცნების დადგენით, სახელდობრ, ლოგიკურის ცნების განსაზღვრების დასრულებით, ან იმ ცნებისა, რომლის განსაზღვრებას და დასაბუთებასაც ვახდენთ. მთელი დასაბუთება ერთი და იგივე ცნების ნიშნების დადგენაა, რასაც განვითარების ხასიათი აქვს. ამ განვითარების თავი და ბოლო და მთელი შინაარსი ერთი და იგივე ცნებაა, თანახმად ცნების განსაზღვრების ზემოთ განხილული მეთოდისა.

2. როგორც ეს ახლახან ითქვა, დასაბუთების დასაწყისი არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად მარტივი, რადგან მარტივიდან არაფერი არ გამოიყვანება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს დასაბუთების დასაწყისი არ შეიძლება იყოს მარტივი. დასაბუთების დასაწყისი არის მარტივი და არც არის მარტივი; ასეთი რამ არის შედარებით მარტივი; სხვანაირად შეუძლებელია, რადგან დასაწყისი არის შემდეგის და შედეგის დასაწყისი. აბსოლუტური მარტივიდან, წმინდა ტავტოლოგიურიდან არაფერი არ გამოიყვანება. ეს იმას ნიშნავს, რომ აქედან არაფერი არ გამოიყვანება ანალიზურად, რადგან ტავტოლოგია ლოგიკურად არის არაფერი, არარა, სიცარიელე. დასაწყისი არის მარტივი და ტავტოლოგიური, მაგრამ იქიდან გამოიყვანება სხვა, რადგან ის არის შედარებით მარტივი და ტავტოლო-

გიური. დასაწყისი, როგორც მარტივი დასაწყისი, არ არის მხოლოდ მარტივი, რადგან ის დასაწყისია, დასაწყისია სხვისი, მაგ ამ უკანასკნელთან მიმართებაში აქვს აზრი. მარტივი დასაწყისი, როგორც დასაწყისი, არ არის მხოლოდ მარტივი. ამას მოითხოვს დასაწყისის ცნება. მარტივი, როგორც დასაწყისი, არის რთულის მარტივი; ის არის რთულის დასაწყისი, ამიტომ მას აზრი აქვს რთულით. ამიტომაა იგი შედარებითი.

მაშასადამე, დასაწყისი არის რთულის მარტივი. რთულის დასაწყისი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა დასაწყისი. დასაწყისი შედარებითია, რადგან იგი არის განვითარების დასაწყისი. მხოლოდ განვითარების თვალსაზრისით, მხოლოდ დიალექტიკაში წყდება დასაბუთების დასაწყისის პრობლემის სიძნელე.

დასაბუთების სისტემის, როგორც ლოგიკური დალაგება-განვითარების, დასაწყისი არის შედარებით მარტივი, რომელიც შეიძლება აღინიშნოს სიტყვით „უჯრედი". ვ. ი. ლენინი წერდა: „მარქსი „კაპიტალში" თავდაპირველად ანალიზს უკეთებს ბურჟუაზიული (სასაქონლო) საზოგადოების ყველაზე მარტივ, ჩვეულებრივ, ძირითად. ყველაზე მასობრივ თვალსაჩინო, ყველაზე ყოველდღიურ უ რ თ ი ე რ თ თ ო ბ ა ს, მილიარდჯერ რომ გვხვდება: საქონელთა გაცვლას. ამ უმარტივეს მოვლენაში (ბურჟუაზიული საზოგადოების ამ „უჯრედში") ანალიზი ამჟღავნებს თანამედროვე საზოგადოების ყ ვ ე ლ ა წინააღმდეგობას (resp. ყ ვ ე ლ ა წინააღმდეგობის ჩანასახებს). შემდგომი გადმოცემა გვიჩვენებს ამ წინააღმდეგობათა და ამ საზოგადოების განვითარებას (ზრდასაც და მოძრაობასაც), მისი ცალკეული ნაწილების Σ -ში, მისი დასაწყისიდან დასასრულამდე.

ასეთივე უნდა იყოს საერთოდ დიალექტიკის გადმოცემის (resp. შესწავლის) მეთოდი (ვინაიდან ბურჟუაზიული საზოგადოების დიალექტიკა მარქსისათვის დიალექტიკის მხოლოდ კერძო შემთხვევაა). დავიწყოთ ყველაზე მარტივით, ჩვეულებრივით მასობრივად თვალსაჩინოთი etc., რ ო მ ე ლ ი ც გ ი ნ დ ა წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი თ: ხის ფოთლები მწვანეა; ივანე ადამიანია; ცუგა ძაღლია და მისთ. უკვე აქ (როგორც ჰეგელმა გენიალურად შენიშნა) არის დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა: ც ა ლ კ ე უ ლ ი ა რ ი ს ზ ო გ ა დ ი"[1]. (ვ. ი. ლენინის ეს აზრები არის ჩვენთვის საბელმძღვანელო არა მხოლოდ აქ გასარკვევი საკითხის გადაწყვეტისათვის, არამედ მრავალი სხვა საკითხის გადაწყვეტისათვის, რომელთა ნაწილი ადრე იყო განხილული, ნაწილი კი შემდეგ განიხილება).

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 373.

დასაწყისი არის „უჯრედი“; ეს, თანახმად ვ. ი. ლენინის ახლახან მოყვანილი დებულებებისა, ნიშნავს: დასაწყისი არის მარტივი, მაგრამ ამავე დროს ძირითადი, არსებითი, არსების დასაწყისი. ის არის წინააღმდეგობა, მაგრამ მარტივი წინააღმდეგობა. ყველა წინააღმდეგობის დასაწყისი, სახელდობრ, ის, საიდანაც განვითარდება მთელი. დასაწყისი „კაპიტალში“ არის საქონელი, რომელიც კაპიტალისტური საზოგადოების „უჯრედს“ წარმოადგენს. ეს დასაწყისი არის მაგალითი საერთოდ დასაწყისისა, დიალექტიკურად გაგებული საერთოდ დასაწყისისა. საერთოდ განვითარების დასაწყისი არის მისი „უჯრედი“. ასეთი უნდა იყოს ლოგიკური განვითარების, როგორც დასაბუთების, დასაწყისი.

მაშასადამე, დასაბუთების დასაწყისი უნდა იყოს შედარებით მარტივი და არა აბსოლუტურად მარტივი. ეს უკანასკნელი, როგორც ითქვა, არის არარა, არაფერი, საიდანაც რაიმეს დაწყება შეუძლებელია. შეიძლება ითქვას მეტიც, სახელდობრ, ის, რომ არარაც კი არ არის აბსოლუტურად მარტივი, რამდენადაც არარა არის; არარა არის შედარებითი არარა (როგორც ეს პლატონმა დაამტკიცა თხზულებაში „სოფისტი“). რამდენადაც არარა არის, ამდენად ის, ცხადია, შედარებითია, შედარებითი არაა, ე. ი. ისეთი, რომელიც არსს გულისხმობს და არსებობს არსში, როგორც განსხვავება.

3. დასაწყისი არის მარტივი; ეს სხვანაირად იმას ნიშნავს, რომ ის არის უშუალო. დასაწყისი არის შედარებით მარტივი, ამიტომ დასაწყისი არის არა წმინდა უშუალო, არამედ გაშუალების დამწყები უშუალო, გაშუალების დასაწყისი; დასაწყისი არის უშუალო, როგორც გაშუალების მხარე. დასაწყისი არის შედეგის და შემდეგის, ე. ი. გაშუალების დასაწყისი (ისე როგორც შედეგი არის დასაწყისის შედეგი და შემდეგი).

დასაწყისი, როგორც გაშუალების დასაწყისი, არის დასაწყისის. როგორც ასეთის, დადგენა, ეს კი პირველი გაშუალებაა; ეს არის დაწყება. დაწყება არის პირველი გაშუალება, უშუალოს გაშუალება. დაწყება, პირველი გაშუალება და პირველი ადგილის — დასაწყისის დადგენა ერთი და იგივეა.

დასაწყისი, ცხადია, არის ეს და არა სხვა; ეს უკვე არის დასაწყისის განსაზღვრება, დასაწყისის ცნების დადგენა; დასაწყისის დადგენა არის გაშუალება, პირველი გაშუალება, რაც პირველ დასაბუთებას წარმოადგენს; დასაწყისი, როგორც პირველის ადგილის (პირველი ადგილი) დადგენა, არის მისი გაშუალება-დასაბუთება. დასაწყისი არის დასაბუთების დასაწყისი, პირველი დასაბუთება, დასაბუთების პირველი; დასაბუთების სისტემის პირველი არის პირველი

გაშუალება, რომელსაც დასაბუთების ხასიათი აქვს, ის დასაბუთების ბუნებისაა.

რადგან 1) დასაწყისი შუალდება დაწყებით, 2) დასაწყისი არის შემდეგის დასაწყისი და 3) შემდეგი დასაწყისის გაგრძელებაა, ამიტომ აქ ერთი და იგივეა დასაწყისშიც და შემდეგშიც; ამდენად აქ ადგილი აქვს შინაგან გაშუალებას. დასაწყისი არის უშუალო, მაგრამ შინაგანად გაშუალებული. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, მსჯელობა, აღებული უშუალოდ, მაგრამ შინაგანი განსხვავების, ამდენად, გაშუალების შემცველი — შინაგანად გაშუალებული.

ამრიგად, დასაწყისი არის შინაგანი გაშუალების დასაწყისი. დაწყება, როგორც პირველი გაშუალება, ხდება გაშუალების წესით, რაც დასაბუთების წესს — ლოგიკურ წესს წარმოადგენს. ეს არის ლოგიკური გადასვლის წესი. დაწყება არის გადასვლის წესის განხორციელების დასაწყისი და პირიქით. ასეთია „კაპიტალში" საქონლიდან დაწყება, ჰეგელის „ლოგიკაში" არსიდან დაწყება. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული აზრის ფორმების დაწყება მსჯელობიდან და სხვ.

4. ლოგიკური განვითარების დასაწყისი არის გარკვეული ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი, საიდანაც ხდება გადასვლა შედეგზე, მაგრამ ეს საფუძველი არ არის ისეთი, საიდანაც ფორმალურ-ლოგიკურად — ანალიზურად გამოდიოდეს სხვა, ასეთ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა გადასვლა-განვითარებას. ლოგიკური განვითარების დასაწყისი, როგორც ითქვა, უნდა იყოს უშუალოც და გაშუალებულიც. დასაწყისის გაშუალება იმას ნიშნავს, რომ ის არის შ ე დ ე გ ი, მაგრამ ისეთი შედეგი, რომელიც ანალიზურად კი არ გამოდის საფუძვლიდან, არამედ გადადის საფუძველში. ასეთია, მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული გადასვლა მსჯელობიდან დასკვნაზე, როგორც მსჯელობის საფუძველზე.

დასაწყისი არის შედეგი შემდეგის, როგორც მისი საფუძვლის; დასაწყისი ხომ შემდეგის დასაწყისია; ამ აზრით არის ის შედეგი. შემდეგი არის დასაწყისის გამმართლებელი საფუძველი. დაწყება არის დასაწყისიდან მის გამმართლებელ საფუძველში გადასვლა. ამ გადასვლით მართლდება დასაწყისი, როგორც სწორედ დასაწყისი; წინააღმდეგ შემთხვევაში დასაწყისს არ ექნებოდა ადგილი.

დასაწყისიდან შემდეგზე გადასვლა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს 1) საფუძვლიდან შედეგზე გადასვლის სახით; ეს არის ინდუქციური გადასვლა — შინაარსეულის კერძოდან, როგორც ერთმხრიობიდან, შინაარსეულ ზოგადზე, როგორც ერთიანობაზე გადასვლა; 2) შედეგიდან საფუძველზე გადასვლის სახით; ეს არის

შინაარსეული რედუქცია; 3) ლოგიკური თვითგანვითარების სახით, რომელიც პირველი ორი გზის ერთიანობას წარმოადგენს; დაწყება არის შინაგანი გაშუალება — გასრულება-განვითარება; ამიტომ აქ ერთ გადასვლასთან გვაქვს საქმე.

აქ აღნიშნული გარემოება მსჯელობის ენაზე ასე გამოითქმება: 1) ზოგადი არის კერძო; დასაწყისი არის აბსტრაქტული ზოგადი, ე. ი. შინაარსეული კერძო, 2) კერძო არის ზოგადი, შინაარსეული, კერძო — ერთმხრიობა არის აბსტრაქტული ზოგადი (ამ მომენტების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). თუ ამ მსჯელობებს გავშლით, როგორც ვიცით, მივიღებთ შუალობით კავშირს, ამ აზრით — დასკვნას. ამრიგად, დაწყება არის პირველი მსჯელობაც და პირველი დასკვნაც. გადასვლაა მსჯელობაც და დასკვნაც. მსჯელობა არის სუბიექტიდან პრედიკატზე (კერძოდან ზოგადზე) გადასვლა. ამიტომ ის არის „შეკუმშული" დასკვნა. დასკვნა არის გადასვლა, სახელდობრ, საფუძვლიდან შედეგზე გადასვლა, სახელდობრ, შუალობითი კავშირ-გადასვლა, რასთანაც შედარებით მსჯელობა უშუალო ხასიათისაა; ეს უშუალობა გამოითქმება ასე: სუბიექტი არის პრედიკატი.

ერთი სიტყვით, დაწყება არის ლოგიკური გადასვლა, რომლის დასაწყისიც არის ლოგიკური განვითარების დასაწყისი როგორც მისი ლოგიკური პირველი.

5. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ა ნ ა ლ ი ზ-ს ი ნ თ ე ზ ი ს ერთიანობა (როგორც გარკვეული ლოგიკური მეთოდი). ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასაწყისი არის ამ ერთიანობის დასაწყისი; ამიტომ ამ ასპექტში დასაწყისი არის ანალიზით სინთეზის მიღების დასაწყისი; დასაწყისი არის საანალიზო. დასაწყისი არის სინთეზის დასაწყისი. ლოგიკური განვითარება უნდა იწყებოდეს იმით, რისი ანალიზიც შეიძლება.

როგორც ითქვა, დასაწყისიდან ხდება გადასვლა, რასაც დაწყება ჰქვია, მაგრამ საკითხავია, თუ როგორ არის შესაძლებელი დაწყება, ე. ი. როგორ შეიძლება დასაწყისიდან გამოვიდეს ის, რაც იქ არ არის? რაც იქ არის, იმის გამოყვანა კი ზედმეტია.

ანალიზური გამოყვანა შეუძლებელია, თუ დასაწყისში არის უველაფერი, რადგან ამ შემთხვევაში გამოსაყვანი წინასწარ იგულისხმება, ანუ გამოყვანა ზედმეტი ხდება. გამოყვანა და დაწყება არც მაშინ არის შესაძლებელი, თუ დასაწყისში არის მხოლოდ არაფერი; არაფრიდან არაფერი არ მიიღება, არ იწყება.

ანალიზი შეიძლება საანალიზოსი, იმის, რის ანალიზიც არის შესაძლებელი; მაგრამ ასეთი არის ის, რაც რთულია; მარტივის ანალიზი შეუძლებელია, იქ არაფერია ერთი მეორისაგან გასარჩევი,

წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მარტივი კი არა რთული იქნებოდა. ანალიზი შესაძლებელია იმისი, რაც რთულია, მაგრამ რთული შეიძლება იყოს განვითარების შედეგი და არა დასაწყისი. აუცილებელია ამ სიძნელის გადაწყვეტა, რომ გაირკვეს ის, თუ რა არის დასაწყისი, თუ რას წარმოადგენს დასაწყისის ცნება.

დაწყების, როგორც სინთეზურობის, სიძნელე უშუალოდ უკავშირდება და არის სინთეზის, სახელდობრ, ლოგიკური სინთეზის სიძნელე. კანტის აზრით, ცნებითი სინთეზი შეუძლებელია; საერთოდ ცნებიდან, კერძოდ, დასაწყისი ცნებიდან გადასვლა მხოლოდ ანალიზურია (აქ ის ეთანხმება რაციონალისტებს — დეკარტეს, ლაიბნიცს და სხვ.); ეს გადასვლა მხოლოდ მაშინ არის სინთეზური, თუ გავცდით ცნების სფეროს და დავემყარეთ გრძნობად ინტუიციას. ჰეგელმა კი თავისი დიალექტიკით აჩვენა, რომ ცნების ანალიზი გვაძლევს სწვას —სინთეზს (წინააღმდეგ კანტისა და მის წინ არსებული რაციონალისტებისა). მაგრამ ჰეგელმა ეს „რაციონალური მარცვალი“ გააყალბა იმით, რომ ყოველგვარი გადასვლის საშუალებად, ბოლოს და ბოლოს, ღმერთის მისტიკური უნარი წარმოადგინა. საკითხის მეცნიერული გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკაში.

როგორც ითქვა, დაწყება არის დასაწყისიდან გადასვლა, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ განსაზღვრებას, მაგრამ, საკითხავია, თუ რის განსაზღვრებას წარმოადგენს იგი? ცხადია, რომ ეს იქნება დასაწყისის განსაზღვრება. ეს განსაზღვრება არის პასუხი კითხვაზე, თუ რა არის დასაწყისი? ეს პასუხი — განსაზღვრება შეიძლება იყოს და არის დასაწყისის ნიშნის დადგენა, ე. ი. ეს არის დასაწყისის ნიშნის გამოყოფა — ანალიზი; ეს იმის დადგენაც იქნება, თუ რისი დასაწყისია ეს დასაწყისი. ასეთია, მაგალითად, ჰეგელის „ლოგიკის“ დასაწყისი — „არსი“; მარქსის „კაპიტალის“ დასაწყისია — „საქონელი“ და სხვ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქონლის ნიშანი იქნება ღირებულება, სახელდობრ, სახმარი და საცვლელი ღირებულება, რომელთა ერთიანობასაც საქონელი წარმოადგენს. დასაწყისი არის გარკვეული ნიშანი, გარკვეულობა.

ის გარემოება, რომ დასაწყისის ნიშანი იმის ნიშანია, რის დასაწყისიც ის არის, რომ ის შედეგის დასაწყისია, ამტკიცებს იმას, რომ დასაწყისი არ არის შემთხვევითი, ის არის აუცილებელი. დასაწყისი უნდა იყოს ობიექტურად აუცილებელი. ამიტომ ანალიზით სინთეზურის მიღება საერთოდ, კერძოდ კი პირველი სინთეზურის მიღება არის არა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი სინთეზი. ის, რაც უარიყოფა, რის უარყოფაც შესაძლებელია შემთხვევითია. და-

საწყისის უარყოფა შეუძლებელია; რის უარყოფაც შეუძლებელია, ის, როგორც ვიცით, აუცილებელია. დასაწყისის აუცილებლობას იძლევა ის, რის დასაწყისიც ის არის. დასაწყისი არის ეს და არა სხვა სწორედ ამ სხვის გამო.

დასაწყისში არ არის შემდეგი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დასაწყისი არ იქნებოდა, მაგრამ დასაწყისი არის სწორედ შემდეგის დასაწყისი, ამდენად მასში არის ის, რაც არ არის მასში; ეს წინააღმდეგობა აჩვენებს იმას, რომ დასაწყისში არის რაღაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ აღნიშნული წინააღმდეგობა არც იარსებებდა. როგორც ითქვა, დასაწყისი არის ეს და არა სხვა, სწორედ ამ სხვის გამო, ამ სხვის საფუძველზე. აქედან ჩანს, რომ დასაწყისში აუცილებელია უარყოფა; დასაწყისის სიმარტივე არის მისი უარყოფა; სიმარტივე არის არარა, სიცარიელე. დასაწყისში არის შემდეგის არარსი; დასაწყისის პრედიკატია ის, რომ ის არის შემდეგის არარსი, მაგრამ ამავე დროს შემდეგის დასაწყისსაც წარმოადგენს. დასაწყისის მარტივი დადებითობა თვითონ არის უარყოფითობა და პირიქით. ამრიგად, დასაწყისი არის ანტინომიური; დასაწყისიდან დაწყება არის მისი ანტინომიურობის გადაწყვეტა.

დასაწყისის ანტინომიურობა არის მისი „ორმნიშვნელოვანება", მაგალითად, ჰეგელის „ლოგიკის" დასაწყისში „არსი არის არარსიც". მარქსის „კაპიტალის" საქონელში სახმარი ღირებულება არის არა-ღირებულება და ამიტომ საქონელი შეიცავს ღირებულების და არა-ღირებულების წინააღმდეგობას. ამ დასაწყისების წინააღმდეგობის გადაწყვეტა არის: 1) ჰეგელთან — „ქმნადობა, 2) მარქსთან — „ფული". „ორმნიშვნელოვანობაა" ის, რომ: 1) აბსტრაქტული არსი, მაგალითად, პარმენიდეს არსი, იგივე არარსია; 2) შედარებითი არარსი არის; 3) აბსტრაქტული იგივეობა, როგორც დადებითობა, უარყოფითობაა და პირიქით, და სხვ. რაიმე თავის ბუნებით არის სხვა; რაიმე შეიცავს თავის უარყოფას.

ასეთი ანტინომიურია ის დასაწყისი, რომელიც ჩვენ განვიხილეთ აზრის ლოგიკური ფორმების დასაწყისში „მსჯელობის" სახით. მსჯელობის ანტინომიურობა, როგორც ვიცით, წყდება დასკვნაში.

ლოგიკური განვითარების დასაწყისი არის მტკიცება-უარყოფის, ე. ი. ლოგიკური ბუნებისა; ის სწორედ ლოგიკურის დასაწყისია, მისი პირველია.

6. გადასვლა ხდება დასაწყისიდან, მაგრამ თვითონ დასაწყისიც **გადასვლაა**, რადგან საერთოდ ცნება არის გადასვლა, „ცნება =

გადასვლა“,[1] რაც ზემოთ იქნა გარკვეული. ასეთია, კერძოდ, დასაწყისის ცნებაც, და იმის ცნებაც, რაც დასაწყისშია (ამ უკანასკნელს გამოთქვამს პირველი). როგორც ვიცით და როგორც ეს ახლახან აღინიშნა, კატეგორია თავისი ბუნებით არის გადასვლა; მაგალითად, არსი გადადის არარაში და პირიქით, რაც ქმნადობაში ხორციელდება; თვისობრიობა, როგორც ერთი, უკვე რიცხობრიობაა; რიცხობრიობა, როგორც ახეთი, თვისობრიობაა; კერძო არის ზოგადი და პირიქით, და სხვ.

რადგან იგივეობა შეიცავს განსხვავებას (ფ. ენგელსი), ამიტომ იგივეობა გადადის განსხვავებაში; იგივეობა შეიცავს უარყოფას, ამიტომ თავისი ბუნებით გადადის სხვაში; ეს გადასვლა იმანენტურია, შინაგანი აუცილებლობით ხდება. ამიტომ ცნება არის გადასვლა. თვითონ ცნება, როგორც ასეთი, როგორც ვიცით, გადადის უსასრულო დასკვნაში. ის გარემოება, რომ ასეთი გადასვლებით უკავშირდებიან ერთიმეორეს აზრის ფორმები, ჩვენ უკვე განვიხილეთ ზემოთ. მაგრამ აქ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ დასაწყისიდან გადასვლაც დიალექტიკური ბუნებისაა. დასაწყისი, როგორც განსხვავების შემცველი მარტივი, გადადის სხვაში. აქ არის უარყოფითი დამოკიდებულება, ე. ი. გადასვლა ხდება უარყოფის საშუალებით.

ამრიგად, კატეგორიებში რაიმეს, როგორც დასაწყისის, დადგენით დგინდება საპირისპირო; კერძოს დადგენით დგინდება ზოგადი და პირიქით, უსასრულოს დადგენით სასრული და პირიქით, და ა. შ. ამ აზრით, დასაწყისის დადგენით დგინდება ის, რაც ის არის და ამავე დროს, რაც ის არ არის, მაგრამ რისი დასაწყისიც ის არის; ამაშია, როგორც ვიცით, მსჯელობის კოპულის აზრი. დასაწყისი, ამიტომ, არის საწინააღმდეგო თავის თავის მიმართ. დასაწყისი იმის დასაწყისია, რაც ის არ არის; დასაწყისის ამ ანტინომიურობის აღნიშვნა აქ გვჭირდება იმისათვის, რომ რადგან დასაწყისის დადგენით საწინააღმდეგო დგინდება, ამიტომ დასაწყისიდან გადასვლა (და არა მხოლოდ ეს გადასვლა) არის საწინააღმდეგოში გადასვლა; ამიტომ ეს გადასვლა არის სრული სინთეზური გადასვლა; მაშასადამე, დასაწყისიდან გადასვლა (რომელიც ლოგიკურ განვითარებაში შემდეგ ყოველთვის მეორდება) არის წ ი ნ ს ვ ლ ა. ამიტომაა ასეთი დასაწყისი ლოგიკური განვითარების დასაწყისი; საქონელი, როგორც ღირებულება, არის ფული; ერთეული არის ზოგადი, მოხმარება არის წარმოება, და სხვ. დასაწყისი სინთეზურია.

დასაწყისი და დაწყება არის პირველი გადასვლა, პირველი წინ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 38, გვ. 225.

სვლა; ეს არის, ასე ვთქვათ, „მისი სხვის“ დადგენა. დასაწყისი, როგორც გადასვლა, არის მისი და სხვის ერთიანობა; მათი ერთიმეორისაგან განსხვავება აუქმებს დასაწყისს (დასაწყისი ხომ სწორედ რაიმეს, სხვისი დასაწყისია); ერთიანობა კი შემდეგია, რომელიც დასაწყისსაც შეიცავს მოხსნილი სახით. აქ ადგილი აქვს ლოგიკურ მოხსნა-შენახვას, რომელიც წინსვლას წარმოადგენს. მსჯელობა „კერძო არის ზოგადი“ წარმოადგენს გადასვლას, სახელდობრ, კერძოს ზოგადში გადასვლას, სადაც ზოგადი ინახავს კერძოს, ამიტომ კერძო არის ზოგადი. საქონელი გადადის ფულში, არსი— ქმნადობაში და სხვა. წინსვლაში მართლდება — საბუთდება ის, რაც იყო დასაწყისში; ლოგიკური განვითარების დასაწყისი არის დასაბუთების დასაწყისი, რომელიც შემდეგში, განვითარებაში მართლდება, რაც ხორციელდება გადასვლის ლოგიკური წესით. გადასვლის წესი მოქმედებს დასაწყისიდან მთელ განვითარებაში.

7. როგორც ვიცით, დასაწყისი არის ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი, კონკრეტიზაციის დასაწყისი; კონკრეტიზაციის დასაწყისი, ცხადია, იქნება არაკონკრეტული, აბსტრაქტული. ცნების, ლოგიკურის თვალსაზრისით სხვანაირად შეუძლებელიცაა.

აბსტრაქტული სხვადასხვანაირია: 1) საერთო ნიშანი, მოცულობითი ზოგადი, რომელიც ბევრი ერთეულის პრედიკატად გამოდგება; 2) კონკრეტულის დასაწყისი, როგორც მარტივი, რომელიც პრედიკატად გამოდგება დასაწყისისათვის, 3) როგორც სუბიექტისათვის; ეს სუბიექტიც აბსტრაქტულია.

დასაწყისი არის სუბიექტი საკუთარი პრედიკატით; ის აბსტრაქტული ერთეულიცაა და აბსტრაქტული ზოგადიც; დასაწყისი არის სუბიექტის პირველი და მისი პირველი პრედიკატი; დასაწყისი არის ის, რომელიც ორდება ამ სუბიექტად და პრედიკატად. დასაწყისი არის პირველი ერთიანობა შემდგომი პროცესისა.

დასაწყისი არის იმ სუბიექტის დასაწყისი, რომელიც შემდგომი პრედიკატების ქვემდებარე იქნება; ამ აზრით ის არის ზოგადი საფუძველი პრედიკატებისა. ამ ზოგადი ქვემდებარის დასაწყისი, ცხადია, აბსტრაქტული იქნება. სუბიექტი არის ერთეული, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ბევრი პრედიკატი 1) ერთდროულად და 2) განვითარებაში. დასაწყისი არის განვითარების ქვემდებარის დასაწყისი. განვითარება არის ასეთი დასაწყისის, როგორც სუბიექტის, პრედიკაცია.

აბსტრაქტული დასაწყისი განვითარებაში კონკრეტდება, შინაარსეული ზოგადი ხდება; ამიტომ დასაწყისი, როგორც სუბიექტი, არის შინაარსეული ზოგადის დასაწყისი. აბსტრაქტული არის კონკრე-

ტული ზოგადის დასაწყისი. პრედიკატში ინახება ის სუბიექტი, რომელიც ლოგიკური განვითარების დასაწყისს წარმოადგენს. პრედიკატი გამოთქვამს სწორედ იმას, რასაც სუბიექტი წარმოადგენს, ეს ასეა როგორც დასაწყისში, ისე შემდეგაც.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვაოთ ერთეული, კერძო და ზოგადი, სახელდობრ, შემდეგნაირად: მრავალი პრედიკატის ქვემდებარე არის ერთეული; კერძო არის რომელიმე პრედიკატი და მისი შესატყვისი სუბიექტი. ზოგადი არის: 1) პრედიკატი, რომელიც მრავალი სუბიექტის პრედიკატია, ან 2) პრედიკატი, როგორც რამდენიმე მომენტის ერთიანობა. მაგრამ, მეორე მხრივ, ერთეული. ამავე დროს, არის ზოგადი, რამდენადაც ის არის ერთი და იგივე ქვემდებარე მრავალი პრედიკატისა, და რამდენადაც მისი ბუნება ზოგადი პრედიკატით გამოითქმება; ასეთი სუბიექტის ცალმხრიობა არის კერძო, მაგრამ ის შეიძლება იყოს მოცულობითი ზოგადი. სუბიექტს გამოთქვამს პრედიკატი; ამიტომ 1) სუბიექტი გადადის პრედიკატში და 2) ერთი და იგივე სუბიექტი ამოიწურება ცალმხრიობებით; ამიტომ სუბიექტი და კონკრეტული ზოგადი ლოგიკური განვითარების შემდეგ ერთიმეორეს უნდა დაემთხვეს.

დასაწყისი არის სწორედ ასეთი განვითარების სუბიექტის დასაწყისი. საქონლის ნიშანია ღირებულება, რომელიც განსხვავდება სარგებლიანობისაგან; ფულის ნიშანია ღირებულება, რომელიც მის სახმარ ღირებულებას უდრის; კაპიტალიც ღირებულებაა, მაგრამ თვითმზარდი ღირებულება. ასე რომ აქ ადგილი აქვს ერთი და იგივეს განვითარებას. მსჯელობის ბუნების მტკიცება-უარყოფითობა ვითარდება აზროვნების ფორმებში და ბოლოს ვღებულობთ უსასრულო დასკვნას.

დასაწყისი არის ერთეული სუბიექტი, როგორც შინაარსეული ზოგადის დასაწყისი. დასაწყისი არის ლოგიკური განვითარების დასაწყისი. ეს ტავტოლოგიური დებულებები, ცხადია, არ არიან განსაზღვრებები. აქ ნათქვამია ის, რომ პირველი გაგებულ უნდა იქნეს მეორის აზრით.

დასაწყისი, ერთი მხრივ, არის სუბიექტის დასაწყისი, მეორე მხრივ, ის არის შინაარსეული კერძო, როგორც ცალმხრივი; მაგრამ ორივე არის აბსტრაქტული ზოგადი, როგორც შემდეგი პროცესის დასაწყისი. დასაწყისშიც კერძო არის ზოგადი, ამიტომ დასაწყისი უნდა იყოს მსჯელობის ბუნების.

8. დაწყება, როგორც ითქვა, არის პირველი გადასვლა. განსაზღვრების პროცესის პირველი; დასაწყისი არის პირველი განსხვა-

ვება, პირველი შინაგანი გაორება, პირველადი გაყოფა — „Ur-teil“. დაწყება და დასაწყისი, როგორც გადასვლა, არის მ ს ჯ ე ლ ო ბ ა.

როგორც ითქვა, ცნება არის გადასვლა, ასეთივეა დასაწყისის ცნებაც. გადასვლა არის მსჯელობა, მსჯელობაა პირველი გადასვლაც — დაწყება. ისიც ვიცით, რომ თვითონ მსჯელობა თავისთავში არის გადასვლა; ეს არის ერთეულის გადასვლა ზოგადში —„ერთეული არის ზოგადი“.

დასაწყისი, როგორც რაიმეს და მისი სხვის ერთიანობა, არის მსჯელობა, პირველი გადასვლა — პირველი მსჯელობა, პირველადი მსჯელობა. ეს არის პირველი დეფინიცია, სახელდობრ, პირველი კატეგორიალური დეფინიცია, რომლის საშუალებითაც იქმნება კატეგორიათა კავშირები, ლოგიკის სისტემა, როგორც ლოგიკურის კატეგორიების განვითარება.

ლოგიკის სისტემაში დასაწყისი უნდა იყოს მსჯელობა.

§ 238. საწყისის დასაწყისი

1. ჩვენს მიერ გარკვეულია დასაბუთების საწყისიც და დასაბუთების დასაწყისიც. ამით გარკვეულია მათი დამოკიდებულებაც, რომელიც საჭიროებს უფრო სრული სახით წარმოდგენას, რასაც ჩვენ ამ პარაგრაფში შევეცდებით.

როგორც ვიცით, დასაბუთების საწყისი არის მისი არსება; დასაბუთების არსება სრული სახით არის წარმოდგენილი მის საწყისში. ასე იყო არისტოტელესთან, ასეა მატერიალისტურ დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისითაც. არისტოტელეს აზრით, დასაბუთების „უველაზე უცილობელი“ საწყისი, როგორც ეს ზემოთ გავარჩიეთ, არის წინააღმდეგობის შეუძლებლობის დებულება, ერთდროული მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობის დებულება, როგორც კანონი; დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისით კი დასაბუთების საწყისს წარმოადგენს წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელიც, როგორც ვიცით, არსებობს უსასრულო დასკვნის სახით, მაშინ როცა არისტოტელეს ერთდროული მტკიცება-უარყოფის შეუძლებლობა უარყოფითი ხასიათისაა და არ არსებობს დასკვნის სახით.

ისიც გარკვეული გვაქვს, რომ დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს დასაბუთების წანამძღვარი არც აქსიომის და არც სხვა რაიმე გარეგანი საფუძვლის სახით. დასაბუთების საწყისი თვითონ არის დასკვნა-დასაბუთება, დასაბუთება წარმოდგენილია გარკვეული დასკვნის სახით და მოქმედებს ყოველ ლოგიკურში, ლოგიკურ-

ში საერთოდ. დასაბუთების საწყისიც და დასაწყისიც თვითონ დასაბუთების სისტემაშია მოქცეული. დასაბუთების დასაწყისი პირველი ადგილია დასაბუთებაში. დასაბუთების საწყისი კი მოქმედებს დასაბუთებაში, როგორც მისი შინაგანი და არსებითი ბუნება, მისი არსება.

დასაბუთების საწყისი, გარკვეული აზრით, არის პირველი დასაბუთებაში, იმ სხვას არაფერს არ ექვემდებარება, მას კი ყველაფერი ექვემდებარება; მაგრამ ეს პირველობა არ არის დასაბუთების დასაწყისის პირველობა. დასაბუთების დასაწყისი არის დასაბუთებისათვის პირველი, როგორც დასაბუთების სისტემის დამწყები. დასაბუთების საწყისის პირველობა კი არის არსების პირველობა დასაბუთებაში. დასაბუთება, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, არ უნდა იწყებოდეს მისი არსებით, საწყისით, რადგან, ასეთ შემთხვევაში, დასაბუთება არსებითად უკვე თავიდანვე გვექნებოდა მოცემული და დასაბუთების პროცესი, ე. ი. თვითონ დასაბუთება ზედმეტი გახდებოდა. დასაბუთების საწყისი არის ლოგიკურად ყველაზე რთული, მაშინ როცა დასაბუთების დასაწყისი არის ყველაზე უფრო მარტივი ლოგიკის სისტემაში. ლოგიკური განვითარების, როგორც დასაბუთების, თვალსაზრისით, ყველაზე უფრო რთული უნდა იყოს ბოლოს და არა დასაწყისში. დასაბუთების საწყისი, როგორც ყველაზე უფრო რთული, ლოგიკის სისტემის, როგორც დასაბუთების სისტემის, ბოლოს უნდა იყოს და არის კიდეც, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ; უსასრულო დასკვნა, როგორც დასაბუთების საწყისი ჩვენ განვიხილეთ ლოგიკური ფორმების განხილვის ბოლოს.

ის გარემოება, რომ უსასრულო დასკვნა. როგორც დასაბუთების საწყისი, ლოგიკურ სისტემაში, როგორც ლოგიკურ განვითარებაში, არის ბოლოს, არ ნიშნავს იმას, თითქოს ის არ მოქმედებდეს მანამდე. დასაბუთების საწყისი, როგორც ითქვა, მოქმედებს დასაბუთებაში თავიდან ბოლომდე, რადგან ის დასაბუთების არსებას წარმოადგენს. უსასრულო დასკვნა, როგორც დასაბუთების საწყისი, აზრს აძლევს მთელ დასაბუთებას, მის ყოველ მომენტს; უსასრულო დასკვნა მოქმედებს ყოველ ლოგიკურ სინთეზურ კავშირში, რადგან სინთეზური კავშირი შინაგანი უარყოფის მომენტს შეიცავს; ეს უარყოფა ამ კავშირის გარკვეულობას ქმნის. დადებითობა, რომლის შინაგან მომენტსაც უარყოფა წარმოადგენს, არის ისეთი კავშირი, რომელსაც აზრი აქვს თვითდადგენით, რასაც უსასრულო დასკვნა წარმოადგენს. უსასრულო დასკვნა არ არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ადგილი აქვს „თვითუარმყოფელ დებულებებს“, არა, ის მოქმედებს ყველგან სინთეზურ კავშირებში; ლო-

გიკური კავშირები კი ყოველთვის სინთეზური ხასიათის უნდა იყოს, როგორც ეს, ვფიქრობთ, საკმარისად იქნა ჩვენს მიერ დასაბუთებული.

რადგან დასაბუთების საწყისი, როგორც დასაბუთების არსება, მოქმედებს დასაბუთების მთელ სისტემაში, ამიტომ ის მოქმედებს დასაბუთების დასაწყისშიც, რომელიც, როგორც ვნახეთ, სინთეზურია, ისიც ისეთი, რომ იგი ანტინომიური ბუნებისაა. დასაბუთების საწყისი მოქმედებს დასაბუთებაში დასაწყისიდან ბოლომდე; დასაბუთების ბოლოს კი თვითონ საწყისი წარმოადგენს სრული ლოგიკური ფორმით. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დასაბუთების დასაწყისი არის დასაბუთების საწყისის დასაწყისი; დასაწყისი საწყისის დასაწყისია. ის, რაც მარტივია დასაწყისში სრული სახით წარმოდგება ბოლოს; დასაბუთების ბოლო, როგორც ლოგიკურად ურთულესი, დასაწყისი სახით არსებობს დასაბუთების დაწყებისას. ამიტომაა დასაბუთების სისტემა ლოგიკური განვითარება, რომელსაც თავიც აქვს და ბოლოც.

2. დასაწყისს, როგორც საწყისის დასაწყისს, სხვადასხვა ასპექტი აქვს. სხვადასხვანაირად შეიძლება და უნდა იქნას წარმოდგენილი, სახელდობრ, ისე, როგორც ამას გვიკარნახებს ზემოთ განხილული ლოგიკური განვითარების სხვადასხვა ასპექტი.

1) დასაწყისი, როგორც ითქვა, არის შემდეგის დასაწყისი, ახლა კი უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასაწყისი არის მთელი ლოგიკური განვითარების დასაწყისი, ეს შესაძლებელია, რადგან ლოგიკაში ლოგიკური განვითარება არის ლოგიკურის განვითარება, ლოგიკურის ცნება კი სრულიად გარკვეულ რაიმეს წარმოადგენს; გარკვეულია ის, თუ რას წარმოადგენს ლოგიკური განვითარება; ლოგიკური განვითარების ცნება არ შეიძლება არ იყოს დასრულებული, ამიტომ შესაძლებელია და უნდა ვილაპარაკოთ მთელი ლოგიკური განვითარების დასაწყისზე. ისიც ვიცით, რომ საერთოდ უსასრულობა დასრულებულია მის ცნებაში; მით უმეტეს ითქმის ლოგიკურის განვითარების შესახებ, იმ ლოგიკურისა, რომელსაც, როგორც ცნობილია, სამი ფორმა აქვს, სახელდობრ, მსჯელობა, ცნება და დასკვნა.

ლოგიკურის დასაწყისი და ბოლო (საწყისი) არის ერთი ცნების, სახელდობრ, ლოგიკურის ცნების თავი და ბოლო, თანახმად ცნების განსაზღვრების მეთოდისა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ეს ასეა ლოგიკურად (და არა ფსიქოლოგიურად. ჩვენ რომ ჯერჯერობით არ ვიცოდეთ ის, თუ რა არის მთელი განვითარე-

ბის ცნება, ის შემდგომში მაინც შეიძლება და უნდა იყოს ერთი გარკვეული, ლოგიკურად დასრულებული რამ).

ლოგიკურის ცნების (ისე როგორც საერთოდ ცნების) განვითარების საფეხურებიც ცნებებს წარმოადგენდნენ, რომელთაც აქვთ თავიანთი განვითარება და საკუთარი საფეხურები, მაგრამ ყველა ისინი შეიძლება გაგებულ იქნეს ერთი ცნების ნიშნებად.

დასაწყისი არის მთელი განვითარების დასაწყისი. ამიტომ დასაწყისი აუცილებლობით გულისხმობს მთელ განვითარებას, ისე როგორც პირიქით, ეს განვითარება აუცილებლობით გულისხმობს დასაწყისს. მაშასადამე, დასაწყისი არის მთელი ლოგიკური განვითარების დასაწყისი, ამიტომ იგი ლოგიკური განვითარების ბოლოს, ე. ი. საწყისის დასაწყისია.

2) როგორც ითქვა, დასაბუთების, როგორც ლოგიკური განვითარების, დასაწყისი არის ამ განვითარების ყველა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს დასაწყისი („უჯრედი"); ის არის ძირითადი, არსებითი წინააღმდეგობის დასაწყისი; დასაწყისი არის დასაწყისი წინააღმდეგობა. როგორც ეს ზემოთ იქნა ნაჩვენები, მთელი ლოგიკური განვითარება არის წინააღმდეგობა — ანტინომიების წარმოშობა-გადაწყვეტის პროცესი. ლოგიკური განვითარების ბოლოს არის წინააღმდეგობის ერთიანობა; იგი მოქმედებს განვითარების მთელ მანძილზე, მაგრამ სრული ლოგიკური კავშირის სახით წარმოდგება ბოლოს; ეს ბოლო აუცილებელია, რადგან წინააღმდეგობის და მისი ერთიანობის უარყოფა შეუძლებელია და მასვე ადგენს. წინააღმდეგობის ერთიანობაზე უფრო სრული ლოგიკური კავშირი შეუძლებელია. ამიტომ დასაწყისი არის ამ ბოლოს — წინააღმდეგობის ერთიანობის დასაწყისი. წინააღმდეგობა არის უარყოფითი დიალექტიკა, რომელიც შესაძლებელია დადებით დიალექტიკაში —წინააღმდეგობის ერთიანობაში, რომელიც არ დაიყვანება წინააღმდეგობრივ — „თვითუარმყოფელ დებულებებზე", ის არის მათზე „მეტი", სახელდობრ, წინააღმდეგობის შინაგან მომენტად შემცველი ერთიანობა.

3) დასაწყისი, როგორც ეს ზემოთ გაირკვა, უნდა იყოს შედარებით მარტივი, სახელდობრ, ის, რომლის ა ნ ა ლ ი ზ ი შესაძლებელია; ეს არის პირველი საანალიზო. ლოგიკური განვითარება არის სინთეზების პროცესი, რომლის ბოლოც სრულ სინთეზურობას წარმოადგენს. წინააღმდეგობის ერთიანობაზე უფრო „მეტი" სინთეზურობა შეუძლებელია. დასაწყისი არის პირველი სინთეზური, როგორც სრული სინთეზურობის დასაწყისი.

4) როგორც ეს ზემოთ იქნა გარკვეული, დასაწყისი არის უშუალო, როგორც პირველი გაშუალების დასაწყისი. მთელი განვითარება არის გაშუალების პროცესი, რომლის ბოლოს ხორციელდება სრული გაშუალება; ეს არის ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობა, რომელიც არსებობს შინაგანი უარყოფით თვითდადგენის სახით — უსასრულო დასკვნის სახით. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დასაწყისი არის სრული გაშუალების დასაწყისი, ამ გაშუალების პირველი.

5) ისიც ვიცით, რომ ლოგიკური განვითარების დასაწყისი არის აბსტრაქტული, უაბსტრაქტულესი; განვითარება არის კონკრეტიზაციის პროცესი; იგი ხორციელდება პრედიკაციით. განვითარებაში პრედიკაცია ამოწურავს ერთსა და იმავე სუბიექტს, რომელიც ყველა პრედიკატის საფუძველს წარმოადგენს. ეს სუბიექტი ბოლოს ემთხვევა ყველა პრედიკატს (წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ვიცით, არ იარსებებდა ცნება). პრედიკაციის, როგორც ლოგიკური განვითარების, ბოლოს არის უკონკრეტულესი, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს. წინააღმდეგობის ერთიანობაზე უფრო კონკრეტული არაფერია, ამრიგად, ლოგიკური განვითარების დასაწყისი, როგორც უაბსტრაქტულესი, არის ამ უკონკრეტულესის დასაწყისი. ამიტომაა ეს უაბსტრაქტულესი შედარებით მარტივი.

6) ლოგიკური განვითარების დასაწყისი არის ცალმხრივი, კერძო. განვითარება არის ასეთი კერძოების დადგენა, რაც გვაძლევს შინაარსეულ ზოგადებს. განვითარების ბოლოს გვაქვს სრული ერთიანობა, სრული შინაარსეული ზოგადი. სრული ზოგადის, ისე როგორც საერთოდ ზოგადის, დამახასიათებელია ის, რომ იგი ვრცელდება თავის თავზეც; ეს ქმნის პარადოქსალურობას; პარადოქსალურობას ქმნის ის, რომ ეს ზოგადი არის რეფლექსური. მაგალითად, რეფლექსურია ცნება, რადგან არსებობს ცნების ცნება; რეფლექსურია მსჯელობა, რადგან არსებობს მსჯელობის მსჯელობა; ცნების უარყოფა არის ცნება; მსჯელობის უარყოფაც არის მსჯელობა. ლოგიკური განვითარების ბოლოს გვაქვს სრული ზოგადი — წინააღმდეგობის ერთიანობის ზოგადობა. სრული ზოგადი, როგორც კერძოს და ზოგადის სრული ერთიანობა, სახელდობრ, დადგენა-უარყოფის შინაგანი ერთიანობა, როგორც ვიცით, არის უსასრულო დასკვნა, რომელშიც იხსნება ახლახან აღნიშნული პარადოქსალურობა. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ლოგიკური განვითარების დასაწყისი არის სრული შინაარსეული ზოგადის დასაწყისი.

7) ლოგიკური განვითარების დასაწყისი არ შეიძლება არ იყოს

ს ა ს რ უ ლ ი. სრული სასრული, როგორც ვიცით, არის წინააღმდეგობის ერთი მხარე. ორი ასეთი სასრულის ერთიანობა არის უსასრულო, რომელიც მოქმედებს განვითარებაში თავიდან ბოლომდე, მაგრამ სრული ლოგიკური სახით წარმოდგება განვითარების ბოლოს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დასაწყისი არის სასრული, როგორც ლოგიკური უსასრულოს დასაწყისი.

8) ლოგიკური განვითარების დასაწყისს არ აქვს გარეგანი საფუძველი (ასეთი საფუძველი არ აქვს არც საწყისს), მაგრამ ის განისაზღვრება შემდეგით, როგორც საფუძვლით; ამ აზრით, დასაწყისი არის შ ე დ ე გ ი, სახელდობრ. ის არის შედეგი შემდეგის, რომელშიც ის გადადის და მართლდება, და ა. შ., მაგრამ ბოლოს გვაქვს თვითსაფუძველი — შინაგანი უარყოფით თვითდადგენა, რასაც უსასრულო დასკვნა ეწოდება; ეს არის საწყისი, რომლის დასაწყისიც ლოგიკური განვითარების დასაწყისს წარმოადგენს.

3. თუ ლოგიკური განვითარების ბოლო, როგორც მისი საწყისი, არის შინაგანი უარყოფით თვითდადგენა, ეს იმას ნიშნავს, რომ მის წინ ხორციელდება მტკიცება-უარყოფის ერთიანობის სხვადასხვა ფორმები, რომლის პირველი — დასაწყისი — აღნიშნულის გამო, იქნება მ ს ჯ ე ლ ო ბ ა. ლოგიკური განვითარების დასაწყისი არის მსჯელობა, სახელდობრ, დადებითი სინთეზური მსჯელობა; დასაწყისი ხომ სინთეზის დასაწყისია? როგორც ზემოთ — აზრის ფორმათა დალაგების დროს — გაირკვა, დადებითი მსჯელობა არის ლოგიკის სისტემის, როგორც განვითარების, და ამ განვითარების ბოლოს — უსასრულო დასკვნის ლოგიკური დასაწყისი. მსჯელობა, როგორც დასაწყისი, სხვადასხვა აზრით უნდა იქნას აღებული.

1) მსჯელობა არის ლოგიკის სისტემის, როგორც ლოგიკური განვითარების, პირველი; მის წინ არ არის არავითარი სხვა ლოგიკური ფორმა. მსჯელობას, როგორც ვიცით, წინ არ უსწრებს ცნება. მსჯელობის დასაწყისი (სუბიექტი) და ცნების დასაწყისი ერთი და იგივეა. მსჯელობის გარეშე აღებული ცნება არის ცარიელი სიტყვა ან წარმოდგენა, რომელიც ლოგიკურ ფორმას არ წარმოადგენს და ამიტომ არ შედის ლოგიკის სისტემაში.

2) მსჯელობა, უკეთ, მისი ერთი ელემენტი, სახელდობრ, სუბიექტი არის საანალიზო; მსჯელობა, როგორც სუბიექტის პრედიკატის დადგენა-გამოყოფა, არის პირველი ანალიზი; მსჯელობა, როგორც „სუბიექტი არის პრედიკატი" არის პირველი სინთეზი. მსჯელობა არის ანალიზ-სინთეზის პირველი ერთიანობა. ტავტოლოგიური მსჯელობაც, როგორც ვიცით, თავის არსებაში არის სინთეზური, რადგან ტავტოლოგიური, როგორც დადებითი, ამავე დროს უარყო-

ფითიცაა, უარყოფითობას წარმოადგენს (პირველად პლატონმა თავის „პარმენიდე“-ში აჩვენა, რომ, მაგალითად, „არსი არის“ სინთეზურია).

3) მსჯელობა არის პირველი უშუალო და პირველი გაშუალება. მსჯელობა არის პირველი უშუალო, რადგან მას წინ არაფერი არ უსწრებს და, მეორე მხრივ, ის არის გაშუალების დასაწყისი; მსჯელობა უშუალოა შემდეგ გაშუალებასთან — დასკვნასთან შედარებით. მსჯელობა არის გაშუალება, რადგან ის არის განსხვავებულთა ერთიანობა; აგრეთვე, ის არის გაშუალების — დასკვნის ელემენტი; მსჯელობა დასკვნაში მართლდება, მას დასკვნა აშუალებს; მსჯელობა, როგორც ვიცით, არის გადასვლა: 1) შინაგანი გადასვლა — სუბიექტიდან პრედიკატზე გადასვლა, 2) სხვაზე — დასკვნაზე გადასვლა.

4) მსჯელობა არის პირველი დაწყება, პირველი გადასვლა, ამიტომ ის არის პირველი განვითარება. სინთეზური მსჯელობა ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს.

5) მსჯელობა არის ლოგიკურის განსაზღვრების დასაწყისი. ლოგიკური განვითარების დასაწყისი; ის პირველია ლოგიკის სისტემაში; მსჯელობა არის პირველი ლოგიკური ფორმა. მსჯელობა ლოგიკური ფორმების დასაწყისია.

6) მსჯელობა, როგორც პირველი ლოგიკური ფორმა, არის აბსტრაქტული; ის ამავე დროს არის პირველი კონკრეტული. პირველი განსხვავებულთა ერთიანობა.

7) მსჯელობა არის „უჯრედი“. დიალექტიკის გადმოცემაში უნდა „დავიწყოთ ყველაზე მარტივით, ჩვეულებრივით, მასობრივით, მასობრივად თვალსაჩინოთი etc., რომელიც გინდა წინადადებით: ხის ფოთლები მწვანეა; ივანე ადამიანია; ცუგა ძაღლია და მისთ“.[1] აქ „წინადადების“ ქვეშ, ცხადია, მსჯელობა იგულისხმება. მსჯელობა, როგორც ანტინომიური, არის ლოგიკური განვითარების ყველა წინააღმდეგობის „უჯრედი“.

8) მსჯელობა არის ლოგიკური განვითარების ბოლოს — უსასრულო დასკვნის — დასაწყისი, რადგან უსასრულო დასკვნა არის დადგენა-უარყოფის სრული ერთიანობა, მაშინ როცა დადებითი სინთეზური მსჯელობა არის უარყოფის შემცველი დადგენა. მსჯელობა, როგორც პირველი ანტინომიური, სვამს ლოგიკურ პრობლემას, რომელიც საბოლოოდ წყდება უსასრულო დასკვნაში. მსჯელობა საბოლოოდ მართლდება უსასრულო დასკვნაში. მსჯელობა, როგორც

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ., 38, გვ. 373.

პირველი ანტინომიური, პირველი „ორმნიშვნელოვანია“, რაც საბოლოოდ წყდება და მართლდება უსასრულო დასკვნაში, შინაგანი უარყოფით თვითდადგენაში.

მთელი ლოგიკა, როგორც ლოგიკური განვითარება, არის გაშლილი უსასრულო დასკვნა, რომლის დასაწყისსაც მსჯელობა წარმოადგენს. ლოგიკის სისტემა, შეკუმშული სახით, წარმოდგება ერთი დასკვნის ფორმით — უსასრულო დასკვნის ფორმით. ლოგიკის მთელი სისტემა არის უსასრულო დასკვნის მომენტების სისტემა, სადაც მსჯელობა არის პირველი ლოგიკური ჰეშმარიტება, უსასრულო დასკვნა კი სრულ ლოგიკურ ჰეშმარიტებას წარმოადგენს.

ПОНЯТИЕ ДИАЛЕКТИЧЕСКОЙ ЛОГИКИ

Резюме

По нашему мнению, в работах советских логиков, в первую очередь сторонников диалектической логики, еще не установлено понятие диалектической логики; не обращается внимание на то основное в диалектической логике, о котором 1) имеется прямое указание В. И. Ленина об изучении «рационального зерна» гегелевской диалектики, о том, что для развития теории материалистической диалектики необходимо диалектическое преодоление диалектики Гегеля, 2) на современном буржуазном западе создаются серьезные исследования.[1]

Для установления понятия диалектико-материалистической логики необходимо предусмотреть и преодолеть гегелевскую трактовку понятия логического, а именно, гегелевское понимание единства формально-логического, негативной диалектики и позитивной диалектики. С этой стороны, можно сказать, что в нашей логической литературе ничего не сделано; не исследована природа диалектико-логического и, конечно, поэтому точно не установлено понятие диалектической логики; что и вызывает пестроту мыслей в работах советских логиков о диалектической логике.

Из черт главного для диалектической логики понятия диалектико-логического мы здесь укажем только на некоторые. По нашему мнению понятие диалектико-логического подразумевает следующие основные черты.

1. Диалектико-логическое есть **синтетическо-логическое.** Одну из основных проблем диалектической логики представляет проблема логической синтетичности.

Правда, создатель науки логики Аристотель определял

---

[1] R. Heiss: Logik des Widerspruchs, 1932; его же Wesen und Formen der Dialektik, 1959, см. также

G. Günther, Idee uud Grundriss einer nicht-Aristotelischen Logik, I B., 1959, и др.

умозаключение и доказательство в смысле синтетического: 1) «Силлогизм есть высказывание, в котором при утверждении чего-либо из него необходимо вытекает нечто отличное от утвержденного и (именно) в силу того, что это есть»,[1] 2) доказательство означает то, что «если есть одно, то необходимо должно быть и нечто другое»,[2] но, несмотря на это, силлогистические умозаключения (как у Аристотеля, так и после него) рассматривались в качестве аналитических выводов. И. Кант отрицал возможность синтетических умозаключений; он не признавал вышеприведенного аристотелевского понимания доказательства, отрицая возможность ответа на вопрос: «как должен я понять, что, благодаря тому что есть нечто, есть также и что-то другое».[3] Несмотря на это, «Критика чистого разума» Канта является не чем иным, как попыткой разрешения проблемы необходимого синтеза.

Рассмотренные в формальной логике умозаключения имеют аналитическую природу. Аналитичность логического доведена до крайности в «математической логике». Импликация «если А, то В», точное выражение которой представляется в виде формулы $\overline{A} \vee B$, аналитична; если осново-следственное отношение («если А, то В» математической логики не является осново-следственным отношением[4]), существенное для логики, будет представлено в виде утверждения — «отрицание истинности основания или истинность следствия», то оно, конечно, исключает синтетичность.

В математической логике все тавтологично: это обстоятельство Б. Рассел выражает так: дедуктивная логика состоит из тавтологических утверждений; независимо от опыта нельзя понять ничего, кроме тавтологии[5], трудно понять то, что из себя представляет синтетическое[6]; на опыт опирается и синтетична только индукция, которая дает новое[7], но индукция зиждется на вероятности и научная теория индукции является математической наукой. Индуктивная логика, как логика синтетического, считается невозможной. Как известно, Аристотель не считал индуктивный метод логическим методом доказательства. Теория индукции, начиная с Ф. Бекона и кончая последними исследованиями по индукции, не смогли выяснить природу индуктивно-логического, как синте-

---

[1] Аристотель. Первая Аналитика, кн. I, гл. 1.

[2] „Вторая аналитика", кн. II, гл. 7.

[3] I. Kant, Werke, V, Kirchmann, S. 59.

[4] Гильберт и Аккерман, Основы теоретической логики, стр. 20.

[5] Б. Рассел. Человеческое познание, стр. 411.

[6] Там же, стр. 530.

[7] Там же, стр. 396.

тическо-логического и оправдать метод открытия или исследования в смысле логического метода доказательства.

По нашему мнению, проблема синтетическо-логического разрешается только лишь в диалектической логике. Как было сказано выше, Аристотель требовал синтетичности логического. И на самом деле невозможно оправдать логическое в качестве чисто аналитического. Необходима синтетичность логического. Мы здесь пока укажем только на следующее.

С точки зрения доказательства, считать логическое тавтологичным значит впасть в логическую ошибку, поскольку тождество обосновывающего (основания) и обосновываемого (следствия) означает: 1) доказательство ничего, т. е. логическое ничто и 2) логический круг, как логически безвыходное положение. Невозможно чисто аналитическо-логическое, так как: 1) аналитичность состоит в повторении одного и того же. Если математически повторением одного получается два, то логически оно ничего не дает. 2) Повторение же в доказательство, как было сказано, представляет из себя ошибку. Как отмечалось, формальная логика и, особенно, математическая логика опирается на аналитическо-логическое; существование и плодотворность этих логик оправдываются не тем, что якобы возможно аналитическо-логическое, а тем, что в этих логиках аналитичность с необходимостью подразумевает синтетичность. Например, Barbara является аналитическим умозаключением, но оно с необходимостью подразумевает три понятия и три суждения, т. е. — различие, синтетичность, которая в нем не оформлена. Это умозаключение не будет возможным без подразумевания синтетичности. В математической логике смысл синтетичности перенесен в аксиомы и металогические правила, в необходимость мета- и метаметалогик для логики (что и вызывает нарушения единства логики); итак, необходимо синтетическо-логическое, наукой о котором и является диалектическая логика.

Формальная логика (и тем паче «математическая логика») не знает содержащего внутреннее отрицание логического, синтетическо-логическое же является именно таким логическим. Каждый синтез, в частности, синтетическо-логическое, с необходимостью содержит в себе внутреннее различие; синтез — это именно синтез различных. В различии одно есть то, что не есть другое и наоборот; это **«не есть»** представляет отрицание, которое является внутренним моментом синтетическо-логического.

Такое отрицание — это не абсолютное отрицание (отрицание, имеющее природу парменидовского «небытия», которое господствует в формальной логике и по сей день), а отрицание относительное (которое впервые было исследовано

Платоном в диалоге «Софист», и не было принято ни Аристотелем, ни последующей формальной логикой).

В материалистической диалектике известно, что положительное и отрицательное являются относительными понятиями; поэтому надо сказать, что правильно понятое отрицание имеет относительный характер. Понятие отрицания логически, т. е. с необходимостью подразумевает отрицаемое (отрицание всегда есть отрицание чего-либо) и отрицающее (не мыслящий субъект как отрицающее, а логически отрицающее). Например, частное есть отрицание общего и наоборот. Итак, относительное отрицание объединяет отрицающее и отрицаемое. Единство же отрицаемого и отрицающего представляет собой единство противоположностей. Это и есть диалектико-логическое. Синтетическо-логическое есть диалектико-логическое.

Синтетическо-логическое не исключает аналитического, наоборот оно содержит его в себе. Если бы в синтетическом не было аналитического — тожественного, то невозможно было бы логическое — необходимая логическая связь. Синтетическо-логическое есть единство анализа и синтеза (поэтому диалектико-логическое в качестве момента содержит в себе формально-логическое как аналитическое). Единство же анализа и синтеза является элементом диалектики.[1] Единство анализа и синтеза — это единство противоположностей.

Необходимая синтетичность, содержащая в себе внутреннее отрицание, осуществляется в каждой форме мышления — в суждении, умозаключении, понятии и вообще в доказательстве. Она во всей полноте осуществляется в связях категорий, например, в суждении как связи категорий единичного и общего. Суждение «Жучка-собака» синтетично, так как «Жучка» есть единичное, а «собака» — общее. Если суждение «Жучка — собака» будем представлять как «единичное есть общее», тогда синтетичность будет представлена в полном виде, а именно, в виде единства противоположностей (единство частного и общего есть единство противоположностей). Если же суждение будет понято как синтетическо-логическое, тогда будет необходимым признание диалектической логики.

Следовательно, логическое синтетично, т. е. диалектично. Синтетичность необходима для диалектико-логического. Это обстоятельство должно быть учтено диалектической логикой, в противном случае диалектическая логика была бы невозможной.

2. Если логическое синтетично, тогда в нем в качестве общего будет действовать единство различных. В самом де-

[1] В. И. Ленин. Соч. т. 38, 4-ое изд, стр. 213, 214.

ле, проблема общего существенна для всякой науки, в частности, логики.

Известно, что логика имеет дело с общностью. Например, суждение «Сократ — человек» в логике рассмотрено со стороны формы, общности. Логика не изучает Сократа, человека и т. п.; такие предметы изучаются в других науках. Логика интересуется суждением «Сократ — человек» со стороны общности связи мыслей, со стороны той формы, посредством которой выражается бесконечное множество таких суждений и которая в этих суждениях одна и та же. Но общность, с которой должна иметь дело логика, понимается по разному.

В логиках, построенных на базе номинализма, отрицается общее, как таковое; общность сводится к единичностям, в роли общего выступает символ. Надо сказать, что отрицание общего невозможно, так как это отрицание само имеет значение общности. Отрицание общего вообще представляет логическую ошибку. Отрицание общего само с необходимостью использует общее.

В математической или символической логике роль общего выполняет символ или схема. Если, например, символом X обозначим людей, тогда этот символ есть простой условный знак, а не «человек» как общность. «X есть человек» является пропозициональной функцией — простой схемой, которая ни истинна, ни ложна, так как она — не мысль (и не предмет). Подстановка единичного вместо X дает предложение, которое или истинно или ложно. Подстановка или применение кванторов («все», «существует») указывает именно на то, что общее сводится к единичностям, т. е. отрицается общее, хотя значение общего придается символу или схеме (как было сказано, полное отрицание общего невозможно). Применение правила подстановки необходимо и полезно в математике, где все единицы одинаковы. Символ или схема — это кажущееся, а не действительное общее.

Почти вся история философии показывает, что общие, точнее, всеобщие — это категории, именно, философские категории. Поэтому действительная логика, именно, философская логика основывается на категориях; она, прежде всего логика категорий; это значит и то, что общее надо взять в смысле общности категории.

Как известно, категориями считаются те определенные всеобщие понятия, которые не находятся в родо-видовом отношении; для их определения не применяется способ установления ближайшего рода и видового различия. Словом, общность категории не является объемной, она, так сказать, представляет из себя содержательную общность.

Известно, что базирование логики на объемной общности доходит до исчисления классов, но использование содержания или значения, которое становится необходимым для логики, изменяет положение дела, так как если классы могут быть тождественными, то невозможно отождествлять два свойства.[1] Общность необходимой связи свойств или содержаний отличается от объемной общности, однако последняя общность подчиняется первой, так как объемное общее, как известно, опирается на определенный признак и количество, полученное путем повторения.

Тождественное в свойствах — это единство свойств. Содержательное общее представляет из себя единство; например, производство, как общность, есть единство его элементов (собственно производства, распределения, обмена и потребления).[2] Если объемное общее есть «все» и объемное частное — «некоторые», то содержательное общее представляет из себя единство, содержательное же частное — односторонность.

Содержательно-общее представлено в каждом суждении, умозаключении и понятии, как в единстве собственных элементов или моментов. Открытие отношения содержательного общего и частного в формах мысли и такое рассмотрение этих форм — это их диалектико-логическое рассмотрение. Итак, должно сказать, что диалектико-логическое есть логическое, имеющее природу содержательно-общего.

3. Диалектическая логика есть, прежде всего, **логика категорий.** Одно указание на это обстоятельство достаточно для отличия диалектической логики от формальной; формальная логика не рассматривает категорий; математическая же логика исключает категории, как якобы нечто метафизическое (хотя это исключение является применением именно категории отрицания).

Диалектическая логика, как логика категорий, не тождественна материалистической диалектике. В ней не рассматриваются все философские категории. Диалектическая логика изучает категории логического, каковы, например, тождество, отрицание, противоречие и пр. Категориями логического, прежде всего, являются суждение, понятие, умозаключение. Существует множество понятий, возможны понятия всего, но понятие, как понятие, только одно; понятие, как таковое, является категорией логического; так надо сказать и о суждении. Логическая связь категорий логического — это основное в диалектической логике, изучающей категории логического, их связи и то, что им подчиняется.

---

[1] См. Р. Карнап, Значение и необходимость, стр. 168 и др.

[2] К. Маркс, К критике политической экономии, введение.

Известно, что классики марксизма-ленинизма понимают суждение и умозаключение, как связи категорий: 1) «Жучка— собака» в сущности тоже, что «отдельное есть общее»;[1] 2) Единичное, особенное и всеобщее лежат в основе видов суждений;[2] 3) умозаключение является единством единичного, особенного и всеобщего.[3]

Диалектико-материалистическая логика, согласно многократным указаниям классиков марксизма, необходимо должна предусмотреть «рациональное зерно» гегелевской «Логики», которая является ни чем иным, как логической системой категорий.

Категории логического определяют логические законы и формы. Закон сам является одной из категорий. Закон тождества опирается на категорию тождества, закон невозможности противоречия подразумевает категории противоречия и возможности. Формы мысли, как было сказано, представляют категории и их связи. Сама категория является определенной формой мысли (впервые Кант внес категорию в логику и понял ее, как форму мысли, именно, суждения. Эта мысль Канта была развита диалектикой Фихте и Гегеля).

Вышерассмотренная синтетичность логического во всей полноте предстанет в связи категорий; например, суждение «Жучка есть собака», как синтетическое, как единство различных, в полном виде представляется суждением «частное есть общее», как единством противоположностей. Синтетичность логического, как единство различных, с необходимостью доходит до единства противоположностей, как логического единства.

Следовательно, диалектико-логическое есть, прежде всего, категориально-логическое; диалектическая логика в первую очередь, представляет из себя логику категорий.

4. Из природы категории логического непосредственно вытекает рефлексивность логического, необходимость **рефлексивно-логического.**

Некоторые авторы видят существенное различие между двумя логиками — между аристотелевской логикой, как логикой бытия (мысли о бытии) и неаристотелевской логикой, как логикой рефлексии[4]. До сих пор существующую логику (традиционную и математическую логику) считают нерефлексивной логикой и обещают создать рефлексивную логику (Гюнтер обещает создать такую логику в виде многозначной логики во втором томе своего вышеназванного со-

---

[1] В. И. Ленин, Соч., т. 38, стр. 359.

[2] Ф. Энгельс, Диалектика природы, 1950, стр. 177.

[3] К. Маркс, К критике политической экономии, 1949, стр. 200.

[4] См. вышеназванное сочинение G. Cünther-a.

числения). Гюнтер ищет основы многозначной логики в понятии рефлексии, охарактеризованном Фихте и Гегелем при формировании идеалистической диалектики. Гюнтер специально разбирает рефлексию в смысле самопознания и старается вывести из нее новую многозначную логику. Если же математическая логика выводима из гегелевской диалектики, как это старается сделать Гюнтер, то почему диалектическую логику нельзя вывести из диалектической логики Гегеля?

Некоторые авторы (напр., Гюнтер) стараются трудности (парадоксы) расширенного исчисления предикатов, которые связаны именно с рефлексивностью (например, расселевский парадокс о множестве множеств и др.), разрешить на основе понятия рефлексии, рассмотренного в идеалистической диалектике. Нам кажется, что «рациональное зерно» идеалистической диалектики пригодится источником, в первую очередь, именно для диалектико-материалистической логики.

В математической логике рефлексивным является отношение с самим собой (xRx), которое в полном виде предстает в таком отношении, которое одновременно и рефлексивно и симметрично и транзитивно.[1] Рефлексивность логического непосредственно вытекает из природы категории логического. Если, например, понятие человека не есть человек, то понятие понятия есть понятие. Понятие рефлексивно, так как существует понятие понятия в смысле категории понятия. Рефлексивно и суждение, так как суждение о суждении является суждением. Рефлексивность категории логического во всей полноте выявляется при отрицании этой категории. Логическая категория — это именно та категория, отрицание чего невозможно и при таком отрицании используется та же категория, как средство — основание, в этом смысле, отрицание его утверждает его же. Например, при отрицании тождества с необходимостью используется само тождество, так как такое отрицание само должно быть тождественным себе; т. е. отрицать тождество невозможно, отрицание тождества само полагает тождество, как собственное средство — основание. Невозможно отрицать отрицание, так как здесь осуществляется именно отрицание; отрицание суждения само есть суждение, отрицание понятия само есть понятие и т. д. Рефлексивность категорий логического не является только тождеством или тавтологией, нет, это есть такое отношение с самим собою, когда действует внутреннее отрицание. Синтетичность логического во всей полноте представлена в логической рефлексии.

---

[1] А. Тарский. Введение в логику... стр. 136—138.

Следовательно, природа категорий логического рефлексивна; она определяет рефлексивность диалектико-логического вообще.

Логика не может не быть рефлексивной, так как, не обращая внимание на все остальное, надо сказать, что она как наука изучает формы всякой мысли и знания вообще, в частности, и самой себя. Метод логики представляет ее собственный метод, который в нее не привносится извне, из других наук (использование математического метода в логике превращает ее в математику, иначе и не может быть, так как метод определяется предметом); метод логики вместе с тем является и ее предметом. Дедуктивная логика изучает дедуктивный метод, осуществленный в определенных умозаключениях; так можно сказать об индуктивной логике, а так же о диалектической логике. Логическое имеет реальное основание — закономерность действительности и революционно-преобразующую деятельность человека — практику, но не другое логическое основание. Невозможно, чтобы логическое вообще имело другое логическое основание, в противном случае получился бы регресс в бесконечность и объективный идеализм (реальное основание предстало бы в виде логического основания). Поэтому надо сказать, что логическое имеет свое логическое основание внутри себя.

Это обстоятельство ярко выступает в охарактеризованной выше рефлексивности категорий логического. Логическое мышление осуществляется посредством категорий. В логическом мышлении категории логического представляют собой первоначальные средства-основания. Как мы видели выше, отрицать категорию логического невозможно, отрицание ее использует и полагает ее же. Категории логического, конечно, входят в предмет логики.

В формальной логике (включая и математическую логику) считаются невозможными такие обратные связи, как переход следствия к основанию; следствие зависит (и «выводится») от основания, но не наоборот; например, в условно-категорическом силлогизме положительно-регрессивный модус «если есть следствие, то есть основание» считается ошибочным модусом. Логические обратные связи в формальной логике считаются невозможными связями; в диалектической же логике логические рефлексии осуществляют и обратные связи. Это лучше всего видно в логических связях категорий; например, в единстве частного и общего: если есть частное, то есть общее (так как общее есть общее именно частного) и наоборот — если есть общее, то есть частное (так как общим называется именно то, что общо для множества элементов); основание—это основание для следствия и наоборот. Поэтому невозможно, чтобы в этой рефлексивности не

было обратной связи, взаимосвязи. Оправдание в логике одного из основных положений материалистической диалектики, а именно, положения о взаимосвязи возможно только лишь в диалектической логике.

Если логическое оправдание обратных связей осуществляется в диалектической логике и если обратные связи лежат в основе кибернетики, как об этом говорит Г. Клаус,[1] тогда диалектическая логика является основой кибернетики.

Следовательно, можно заключить, что диалектико-логическое есть рефлексивно-логическое.

5. Рефлексивно-логическое содержит в себе трудность, которая для формальной логики является непреодолимой; это есть трудность «двузначности», которой посвящено несколько работ на буржуазном Западе.[2] В этих работах приведены факты логической «двузначности» (Zweiwertigkeit Zweideutigkeit, Doppeldeutigkeit), в основном, из «Логики» Гегеля (также из сочинений К. Маркса). Из этих фактов самым важным является положение Гегеля: «отрицательное есть в равной мере положительное» и вообще рефлексивность, о которой шла речь выше. По мнению Г. Гюнтера, единство положительного и отрицательного, рефлексивность, которая двузначна, разрешается в многозначной логике (создание чего он обещает во втором томе своего сочинения), главным образом, путем расчленения единства двузначности на многозначности. По нашему же мнению такой путь разрешения трудности двузначности является ошибочным, так как расчленением единства на многозначности еще более осложняется трудность двузначности и становится невозможной ее разрешение, так как двузначность можно разрешить только одним путем, путем отыскания однозначности для нее. Это означает не упразднение двузначности, а отыскание такой однозначности, которая должна содержать в себе двузначность как свой собственный момент. Это будет единство противоположностей, которое будет иметь природу совершенной, полной необходимости и не разложится на многозначности (как это произойдет по указанному Гюнтером пути).

Формальная логика (включая математическую логику) признает только однозначность понятия, а двузначность считает ошибкой. Если понятие имеет не одно, а два различных или противоположных значения, т. е. если двузначность упраздняет однозначность, тогда такое понятие ложно, оно не-

---

[1] Г. Клаус, Философия и кибернетика, стр. 310—347.

[2] Вышеназванные работы Heiss-a и G. Günther-a, также статья G. Günther-a „Zweiwertigkeit, logische Paradoxie und Selstreferierende Reflexion". „Zeitschrift für philosphische Forschung", 1963, Juli-September.

возможно. Для семантики существенно установление однозначности слов; двузначность считается неясностью и ошибкой. Это на самом деле так, но существуют такие двузначности, непризнание которых невозможно.

Еще в древности скептик Энезидем отмечал двузначность причинной связи, на основе которой он старался отрицать причинность. И на самом деле, понятие причины не может быть понятием только причины в том смысле, чтобы оно совершенно исключало понятия действия и невозможно, чтобы понятие действия не содержало бы в себе ничего из причины. Причина есть причина именно действия и действие — это действие именно причины; одно понятие подразумевает другое и наоборот. Невозможна причина без действия и наоборот. Содержание трудности, отмеченной Энезидемом — это характеристика причинности, а не ее упразднение. В причинности существует двузначность, содержащая в себе определенную трудность, но она преодолевается посредством применения другой категории. Здесь видна необходимость одной категории для другой, необходимость их связи. В материалистической диалектике известно, что для категории причинности необходима категория взаимодействия, которая в свою очередь сама опирается на самопричинность. Трудность двузначности, характерной для причинности и взаимодействия, в конечном счете разрешается в самопричинности, но и сама причинность имеет один смысл, несмотря на то, что двузначны и причина и действие; словом, однозначная причинность содержит в себе двузначность, снимает и сохраняет (не упраздняет) ее. И сама причина однозначна, несмотря на то, что она содержит в себе признак действия. Подразумевающая действие причина имеет один определенный смысл.

Так надо сказать и об отношении логического основания и следствия. Понятие основания содержит в себе признак следствия и наоборот, так как основание — это основание именно следствия и наоборот. Основание, неподразумевающее следствие, не является основанием. Трудность этой двузначности в конечном счете разрешается в самооснование (о котором речь будет идти ниже), но и теперь можно сказать, что двузначность основания и двузначность следствия сняты и сохранены в однозначности осново-следственного отношения. И само основание (следствие) однозначно, несмотря на то, что оно содержит в себе признак следствия (основания).

В материалистической диалектике определение свободы — свобода есть осознанная необходимость — указывает на то, что свобода не есть только свобода, она есть определенная необходимость. Или же, когда говорят, что «отдель-

ное есть общее» (например, «Жучка есть собака»), тогда имеют в виду то, что отдельное есть не только отдельное, но оно есть и общее, и пр. Вне такой двузначности невозможна материалистическая диалектика, которая признает не просто двузначные понятия и положения, а однозначные понятия и положения, которые внутри себя содержат двузначности. Свобода, содержащая признак необходимости, однозначна; отдельное, содержащее в себе общее, однозначно, хотя в нем подразумевается двузначность, и пр.

В. И. Ленин соглашается с положением Гегеля, что «отрицательное есть в равной мере положительное» и добавляет: «отрицательное есть определенное нечто, имеет определенное содержание...»[1] и также: «Не голое отрицание, не зряшное отрицание, не скептическое отрицание, колебание, сомнение характерно и существенно в диалектике, которая, несомненно, содержит в себе элемент отрицания и притом как важнейший свой элемент, нет, а отрицание как момент связи, как момент развития, с удержанием положительного, т. е. без всяких колебаний, без всякой эклектики»[2]. Из этих положений видно, что «отрицание» двузначно, так как оно в равной мере и положительно, но такое «конкретное отрицание» однозначно и не распадается на двузначности, а содержит эту двузначность внутри себя. Здесь имеется диалектика, а не эклектика.

История понятия «двузначности» начинается с платоновского «Софиста», где Платон против парменидовского понятия абсолютного «небытия» применил понятие относительного небытия, как различия. По мнению Платона, «небытие есть», поскольку нечто есть то, что не есть другое, точнее, поскольку нечто есть небытие другого, иного. Понятие относительного небытия или понятие относительного отрицания было плодотворно использовано Гегелем в его диалектике. Диалектика невозможна без понятия относительного отрицания. Относительное отрицание есть конкретное отрицание, которое содержит в себе двузначность. Противники диалектики отождествляют относительное отрицание с абсолютным отрицанием, т. е. допускают ошибку и на основе этой ошибки стараются отрицать диалектику, что и выявляет их слабость перед диалектикой.

Двузначность содержится в полагании чего-либо посредством отрицания другого, так как в таком случае, отрицание есть вместе с тем и полагание, оно выполняет роль положительности. Например, отрицание частного есть утверждение общего; отрицание общего есть полагание частного; неконеч-

---

[1] В. И. Ленин, Соч. т. 38, стр. 85.

[2] Там же, стр. 218—219.

ное есть бесконечное и наоборот, неотносительное есть абсолютное и наоборот.

Всякое синтетическо-логическое содержит в себе двузначность. В синтетическом суждении субъект есть отличный от него предикат («отдельное есть общее»); из предпосылок с необходимостью вытекает подразумеваемое ими, но отличное от них заключение; доказательство есть, как говорил Аристотель, то, что если есть нечто одно, то с необходимостью есть так же и другое.

Если двузначность взята так, что для нечто, как для несовместимого с противоречащим, это противоречащее необходимо, что именно эта необходимость (но не единство) противоречия называются негативной диалектикой (понятие чего впервые установил Гегель). Например, для конечного неустранимо и, в этом смысле, необходимо бесконечное и наоборот, для частного необходимо общее и наоборот, так как они друг без друга теряют смысл. Голое противоречие в мышлении представляет ошибку; отрицательная диалектика, взятая оторванно как противоречие, является ошибкой, это есть «скептицизм», который, по мнению В. И. Ленина, является моментом диалектики.[1] Отрицательная диалектика требует оправдания; она оправдывается в положительной диалектике.

Следовательно, диалектико-логическое содержит в себе отрицательную диалектику, своеобразную двузначность.

6. Логическое, оправдывающее «двузначность», есть **бесконечно-логическое.** По мнению Аристотеля, конечное или определенное есть «это, а не другое». Эта мысль господствует и в новое время (Лейбниц, Больцано, Гуссерль и вся формальная логика), поскольку под конечностью или определенностью подразумевают «быть так, а не иначе». Так понятая категория конечного лежит в основе всей формальной логики(включая и математическую логику), так как смысл положения «это есть это, а не другое» лежит в основе и составляет содержание всякого суждения (положительного и отрицательного суждений); такие суждения составляют умозаключения и доказательства. Когда «другое» или «иное» есть противоречащее, тогда «это, а не иное» непосредственно высказано законом невозможности противоречия (и другими законами формальной логики: «это есть это» — закон тождества, «это или противоречащее» — закон исключенного третьего). Для формальной логики существует только конечное логическое, а бесконечное логическое невозможно.

---

[1] В. И. Ленин, Соч. т. 14, стр. 124; Соч. т. 38, стр. 218—219.

На возможность бесконечно-логического указывает существование и правомерность вышерассмотренной проблемы «двузначности». Если «отрицательное есть в равной мере положительное», тогда мы имеем дело не только с конечным, так как правильным считаем не только то, что «отрицательное есть отрицательное, а не другое (положительное)», но и то, что «отрицательное и положительно». Проблему бесконечного ставят и тогда, когда рассуждают о «самоотрицающих положениях»[1] и тогда, когда ищут основу логики в том, что само обосновывает себя,[2] хотя эта проблема в таких случаях разрешается отрицательно: 1) Вуд и Веркмейстер отрицают логическую противоречивость «самоотрицающих положений»; 2) Динглер же основу логики видит в свободной воле. Ошибочность этих взглядов не упраздняет проблему бесконечно-логического.

Проблему бесконечно-логического ставят и тогда, когда рассуждают о логических парадоксах или парадоксах теории множеств; если расширенное исчисление предикатов приводит к парадоксам, которые вызываются приписыванием предиката самому себе как аргументу,[3] в частности, приводит к парадоксу «непредикабельный», тогда, конечно, проблема касается и должна касаться бесконечно-логического. Проблема логической рефлексивности есть проблема логической бесконечности.

Проблема логической рефлексивности и «двузначности» разрешается разрешением проблемы логической бесконечности.

Первой ступенью разрешения проблемы «двузначности» является отрицательная диалектика, необходимость противоречащего. Например, для общего не устранимо, и в этом смысле, необходимо частное, так как оторванное от частного общее само есть частное; бесконечное, представленное по ту сторону конечного, само есть конечное и пр. Поэтому необходимость противоречащего для нечто уже указывает на необходимость «двузначности» и представляет ее. Отрицательная диалектика, как необходимость противоречия (которую впервые выявил Кант в своих «Антиномиях»), требует оправдания. Оправдание отрицательной диалектики возможно в положительной диалектике, именно, в единстве противоречия. Противоречие возможно и оправдывается на основе

[1] ob. L. Wood, The Analysis of Knowledge, 1940. p. 195; W. H. Werkmeister, The Basis and Structure of Knowledge, 1948, стр. 243—244.

[2] H. Dingler: Philosophie der Logik und Arithmetik, 1931, стр. 22, его же Der Zusammenbruch der Wissenschaft, 1926, стр. 74.

[3] Д. Гильберт и В. Аккерман, Основы теоретической логики, стр. 183 и след.

единства, в единстве (в «спекулятивном» Гегеля и в материалистической диалектике как в положительной диалектике). Если «двузначность» полностью разрешается в единстве противоречия, тогда это последнее будет не «двузначным», а «трехзначным», но в том смысле, что «третье» здесь не конечное, а бесконечное, так как противоречие имеет только две стороны — две полные конечные стороны, их же единство не может быть таким, какова одна сторона противоречия. Если конечное есть «это, а не другое» или «это, а не противоречащее», тогда бесконечное следует понимать как «это и противоречащее», точнее, как единство противоречия. Но спрашивается, как возможно такое логическое? В какой логической форме может существовать единство противоречия?

Конечное логическое то же, что условно-логическое, которое выражается положением «если есть А, то есть В» (в смысле осново-следственного отношения), что и является принципом рассмотренных в формальной логике умозаключений. Если конечное логическое есть условно-логическое, тогда бесконечно логическое будет безусловно-логическим. Конечное и конечное логическое можно определить и так: конечное есть то, что утверждается и отрицается другим; таков каждый предмет, который существует в силу определенных условий и уничтожается в других условиях. Конечное логическое есть то, которое обосновывается и отрицается другим. Таково каждое заключение, которое основывается на предпосылках и каждое положение, которое можно отрицать другим положением.

Если конечное логическое есть то, что утверждается и отрицается другим, тогда бесконечно-логическим будет самополагание. Возможно ли такое логическое? Если возможно самополагание, осуществляемое посредством внутреннего отрицания, тогда такое логическое будет тем же, что единство противоречия. Такое (бесконечное) логическое не только возможно, но существует фактически; оно имело место в истории философии и всегда лежит в основе формально-логического.

Вышерассмотренная рефлексивность, которая связана с категориями логического, непосредственно указывает на существование бесконечно-логического. Как было сказано выше, отрицание тождества использует и утверждает его же как собственного средства и основания; отрицание отрицания утверждает именно отрицание; логическое отрицание суждения является опять суждением; логическое отрицание мысли само есть мысль (так надо понять логическую природу декартовского cogito); отрицание истины невозможно, так как при таком отрицании само это отрицание надо считать

истинным (такой смысл имела борьба Сократа против софистов в вопросах истины); общее, полученное отрицанием частного, само является частным и частное, полученное отрицанием общего, само надо взять в качестве общего, и само отрицание имеет характер общности; поэтому отрицания общего и частного утверждают их необходимость, более того, необходимость их единства.

Итак, утверждение чего-либо отрицанием его же есть бесконечно-логическое. Если умозаключение будет понято в смысле опосредствованного единства мыслей, тогда бесконечно-логическое надо понять в смысле бесконечного умозаключения.

Как выясняется, бесконечное умозаключение, как определенная опосредствованная связь, есть: 1) единство противоречия, так как оно — единство утверждения и отрицания; 2) полное рефлексивно-логическое, так как оно есть утверждение чего-либо отрицанием его же; это есть самополагание посредством отрицания; 3) полная синтетичность, поскольку она является единством противоположностей; 4) преодолевающее и сохраняющее «двузначность», поскольку утверждение чего-либо отрицанием его же есть единство утверждения-отрицания, где отрицательное имеет и значение положительного: отрицание не только отрицает, но и полагает.

Бесконечно-логическое, как единство противоречия, действует во всяком синтетическом, так как это последнее содержит внутри себя отрицание и определено внутренним отрицанием. Всякая определенность содержит в себе внутреннее отрицание; «всякое определение есть отрицание» (Omnis determinatio est negatio).

Если бесконечное логическое есть логическое единство противоположностей, тогда ясно, что основным законом диалектической логики, как логики бесконечно-логического, будет закон единства противоположностей, который в логике существует и действует в виде закона самополагания. Все остальные законы будут подчиненными ему законами. Например, закон тождества будет выражением его одной стороны, поскольку утверждение чего-либо отрицанием его же с необходимостью содержит в себе тождество; утверждение чего-либо отрицанием его же есть единство противоречия, но оно запрещает отождествление утверждения с отрицанием: полагание, как положительное, исключает отрицание и наоборот; взаимоисключение и взаимонесовместимость противоположностей содержит в себе в качестве момента невозможность противоречия: невозможно, чтобы полагание было бы отрицанием и наоборот; так что невозможность противоречия является моментом единства противоре-

чия, поскольку в нем есть противоречие (взаимоисключение). Поскольку полагание и отрицание отрицают друг друга, постольку каждое из них есть отрицание отрицания его же. Отсюда видно, что отрицание отрицания, как закон диалектики, является и логическим законом. Поскольку логическое синтетично, постольку в нем осуществляется получение нового. Закон перехода количества в качество и обратно в логике существует в виде закона получения нового, необходимого синтеза или необходимого второго.

Следовательно, диалектико-логическое есть бесконечно-логическое, которое содержит в себе конечное логическое в качестве момента. Поскольку диалектическая логика снимает и сохраняет формальную логику, она есть высшая ступень развития логики, «высшая логика».

7. Диалектическая логика будет логикой только в том случае, если **диалектический метод** осуществляется в формах мысли, т. е. если этот метод является методом **доказательства**. Как дедуктивная логика опирается на дедуктивный метод, который осуществляется в определенных умозаключениях, и индуктивная логика — на индуктивный метод, осуществленный в индуктивных умозаключениях, так и диалектическая логика базируется на диалектическом методе, осуществленном в формах мысли, особенно, в определенных умозаключениях. Такими умозаключениями, как мы видели выше, являются бесконечные умозаключения; бесконечное умозаключение предстявляет из себя единство противоположностей; оно, как бесконечное умозаключение, содержит в себе конечное логическое и подчиняет его. Все логическое подчиняется диалектическому методу, сущность чего состоит в единстве противоположностей. Единство противоположностей есть «ядро» диалектики (В. И. Ленин).

В материалистической диалектике доказано, что единство противоположностей является источником развития. Поэтому диалектический метод в логическом должен быть правилом, методом развития логических форм мысли. В логике диалектический метод — это метод «логического развития» (Ф. Энгельс).

В диалектической логике изложение логических форм не может не быть логическим развитием. Ф. Энгельс прямо указывает: «Диалектическая логика, в противоположность старой, чисто формальной логике, не довольствуется тем, чтобы перечислить и без всякой связи поставить рядом друг возле друга формы движения мышления, т. е. различные формы суждений и умозаключений. Она, наоборот, выводит эти формы одну из другой, устанавливает между ними отноше-

ние субординации, а не координации, она развивает более высокие формы из нижестоящих».[1] Развитие форм мышления может осуществиться только во всей системе логики: представление его несколькими фразами почти невозможно. Несмотря на это, мы здесь постараемся предельно кратко указать, каково это развитие.

Вообще надо сказать, что если логическое синтетично, то оно не может не быть развитием, так как синтетичность есть «прибавление» нового, что и является определенным развитием. Если суждение синтетично, тогда ясно, что к субъекту «прибавляется» отличный от него предикат, т. е. суждение в целом представляет развитие. Если умозаключение синтетично, т. е. если заключение является новым по отношению к предпосылкам, то умозаключение в целом представляет развитие. Если доказательство означает то, что: «если есть нечто, то есть и нечто другое», тогда эта синтетичность доказательства и есть развитие. Как известно, суждение оправдывается в умозаключении, а умозаключение в доказательстве, которое имеет аподиктическую природу; именно это оправдание суждения в умозаключении и умозаключения в доказательстве само есть доказательство (логическое оправдание есть доказательство), которое имеет характер развития.

Логическое развитие состоит в синтетичности логического, но согласно материалистической диалектике, развитие совершается путем развертывания-разрешения внутреннего противоречия. Таковым должно быть и логическое развитие, а именно развитие форм мысли, их диалектические переходы, что, вкратце, можно представить следующим образом.

Поскольку понятие имеет признаки (содержание), приписание же признака к чему-либо есть суждение, постольку на основе суждения создается понятие, т. е. суждение первично по отношению к понятию и, конечно, умозаключению. Простейшая форма мысли есть суждение, которое и представляет собой начало системы логики.

Аристотель правильно указал на признаки суждения, когда он его определил, как утверждение и отрицание (в отношении чего вторичны признаки истинности и лжи), хотя это определение не реальное, а номинальное, поскольку определение суждения осуществлено перечислением его видов (утверждение — это положительное суждение, отрицание — отрицательное суждение). По нашему мнению, аристотелевское определение суждения надо развить таким образом, чтобы признаки утверждения-отрицания счесть признаками или моментами самого суждения, т. е. суждение надо определить

[1] Ф. Энгельс. Диалектика природы, стр. 177.

так: суждение есть утвердительно-отрицательная мысль; суждение имеет смысл посредством утверждения-отрицания. Но полное единство, логически оправданное единство утверждения-отрицания, как это было выяснено выше, есть не суждение, а бесконечное умозаключение, как утверждение чего-либо отрицанием его же (где, логическая необходимость представлена во всей полноте). Это неопределенность исчезнет, если укажем на то, что суждение есть начало системы развития форм мысли, бесконечное умозаключение же есть конец этой системы; все логическое развитие совершается между ними.

Суждение есть утверждение-отрицание, точнее, суждение должно быть утверждение-отрицанием, но суждение в действительности есть одна сторона единства утверждения-отрицания, с необходимостью подразумевающая его другую сторону. Суждение, как утверждение (положительное суждение), с необходимостью подразумевает момент отрицания, поскольку оно синтетично (как это было выяснено выше); и отрицательное суждение с необходимостью подразумевает момент положительности (отрицательное приписание предиката субъекту), в противном случае, оно не было бы суждением. То, что суждение есть утверждение-отрицание и суждение не есть утверждение-отрицание (поскольку оно является одной стороной их единства), представляет антиномичность суждения. Суждение по своей природе антиномично, что отчетливо представляется тогда, если суждение будет понято как «отдельное есть общее»: «отдельное есть общее» (напр., «Жучка есть собака»), но «отдельное не есть общее», так как «отдельное» и «общее» являются противоположными понятиями.

Если бы противоречивость-антиномичность суждения разрешалась в сфере суждения, тогда не были бы нужны другие логические формы мысли; логика была бы исчерпана суждением, так как суждение, понятое в смысле единства утверждения-отрицания, было бы тем же, чем является бесконечное умозаключение, логическая необходимость которого является самой полной необходимостью, исчерпывающей сферу логики.

Только что сказанное указывает на то, что антиномичность суждения постепенно будет разрешаться в разных формах мысли, полное размещение же ее осуществится в бесконечном умозаключении, которым и кончается система логики.

Первым шагом разрешения антиномичности суждения является «непосредственное» умозаключение, как переход одного суждения в другое и одной категории в другую, или: пе-

реходы положительного в отрицательное и наоборот и частного к общему и наоборот, как переходы в противоположное и противоречащее (что не осуществимо в формальной логике, где непосредственное умозаключение имеет чисто аналитический характер); но так понятые непосредственные умозаключения представляют собой необходимость противоречия; а это и есть отрицательная диалектика, которая сама требует оправдания (без которого она является ошибкой), что и возможно в опосредствованном умозаключении, а именно, в конечном опосредствованном умозаключении (в небесконечных опосредствованных логических связях).

В конечных опосредствованных умозаключениях оправдываются непосредственные умозаключения, поскольку нечто переходит в другое или противоположное посредством «третьего», связь совершается посредством «третьего». Таким является, например, категорический силлогизм (и другие формально-логические опосредствованные умозаключения) и связи категорий, именно, единичного, особенного и общего (например, рассмотренные в гегелевской «Логике» умозаключения). (В математической же логике опосредствованное умозаключение сводится к условному предложению. Если понятию соответствует слово, суждению — предложение, то умозаключение не имеет соответствующей речевой формы, поэтому тот, кто логику сводит к грамматике, вынужден опосредствованное умозаключение свести к предложению; но это и есть упразднение опосредствованной логической связи).

Здесь надо отметить два обстоятельства: 1) конечные опосредствованные умозаключения устанавливают общее единство, а именно, единство частного и общего, что и является понятием (на это обстоятельство указывает и формально-логическое правило определения понятия — правило установления ближайшего рода и специфического различия). Это означает то, что конечное умозаключение переходит в понятие, и полагается понятие, как единство частного и общего; 2) единство единичного и общего посредством особенного является только одним видом умозаключения, но не представляет полную опосредствованную связь, в которой оно само нуждается; это обстоятельство видно в том, что особенное, как среднее, в конечном счете, затушевывает противоположность между общим и единичным и создает безвыходное противоречие,[1] тогда как эта противоположность в умозаключении должна быть представлена в полной форме (что и осуществляется в бесконечном умозаключении). Итак, необходим еще более полный вид логической формы.

Следовательно, конечное опосредствованное умозаклю-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. I, 1955, стр. 316.

чение есть опосредствованное единство частного и общего. что и представляет понятие, но оно должно быть не понятием, а умозаключением — именно опосредствованной логической связью мыслей. И здесь имеется противоречие-антиномия: единство частного и общего должно быть понятием и не должно быть им. Эта антинония требует разрешения, без этого разрешения потеряет смысл и понятие и конечное опосредствованное умозаключение (и вместе с ними, непосредственное умозаключение и суждение); разрешение же ее оправдывает все формы мысли.

Разрешение этой антиномии то же, что осуществление требования К. Маркса: среднее понятие не должно затушевывать существующую в логической связи противоположность и единство противоположностей должно предстать в логически полном виде. Такое логическое, как мы знаем, есть бесконечное умозаключение, как утверждение чего-либо отрицанием его же, что и представляет логическое единство противоречия. Это есть полный необходимый синтез. В утверждении чего-либо отрицанием его же полностью оправдывается смысл суждения — утверждение-отрицание, непосредственное умозаключение, конечное опосредствованное умозаключение, а также понятие, как переходящие к нему ступени. Суждение есть односторонность бесконечного умозаключения; взаимопереходы односторонностей дают непосредственные и конечные опосредствованные умозаключения. Понятие же есть общий смысл бесконечного умозаключения. Бесконечное умозаключение есть умозаключение с одним понятием (подобного чему не знает формальная логика). Утверждение тождества отрицанием его же, как опосредствованная связь-единство, осуществленное внутренним отрицанием, содержит в себе только одно понятие — понятие тождества. Так надо сказать и о других бесконечных умозаключениях (см. приведенные выше примеры). Умозаключение есть опосредствованная связь (одной стороной которого является непосредственное). Полная опосредствованная же связь есть бесконечное умозаключение — утверждение чего-либо отрицанием его же, где в полном виде осуществляется логическая необходимость.

Так как в бесконечном умозаключении полагается единство (утверждения-отрицания) внутренним отрицанием, то это умозаключение не имеет внешних предпосылок. Основание и следствие являются внутренними элементами самого умозаключения. Такое умозаключение есть самополагание внутренним отрицанием (тогда как формально-логические умозаключения и доказательство опираются только на применение внешнего основания).

Итак, надо сказать, что в полном виде взятое диалектико-логическое есть бесконечное умозаключение; диалектическая логика есть наука о бесконечно-логическом.

Рассмотренное выше логическое развитие имеет и исходное положение и конец; исходное есть положительное синтетическое суждение, конец же — бесконечное умозаключение. Исходный пункт есть абстрактное, конец же — конкретное, поскольку конкретное есть единство многосторонности (К. Маркс). Поэтому все это развитие есть процесс от абстрактного к конкретному.

Выше рассмотренное исходное положение логического развития можно охарактеризовать как общее, поскольку суждение, так сказать, ставит проблему логического: суждение должно быть утверждение-отрицанием, но таким, во всей полноте, является бесконечное умозаключение, которое в виде одного определенного умозаключения представляет то, что в общем виде имеется в природе суждения. Поэтому можно сказать, что осуществленное в диалектической логике логическое развитие есть процесс от общего к единичному, что и представляет своеобразную дедукцию.

Поскольку процесс от суждения к бесконечному умозаключению доходит до оправдывающего суждения, постольку здесь имеет место переход от следствия к основанию, приведение следствия к основанию, что и можно назвать редукцией (в определенном смысле).

Поскольку исходное положение логического развития есть суждение, как односторонность логического, концом же его является полное логическое единство, осуществленное в бесконечном умозаключении, постольку охракатеризованное выше логическое развитие является процессом от односторонности или от содержательного частного к единству, как содержательному общему. В этом смысле здесь осуществляется своеобразная индукция. Но надо сказать, что логическое развитие форм мысли не есть ни только дедукция, ни только редукция и ни только индукции, нет, оно есть то, что объединяет эти методы в один определенный метод, и что можно назвать диалектико-логическим методом. Это есть такой метод доказательства, которого не знает формальная логика, хотя формально-логические методы доказательства можно оправдать только на основе этого метода. Диалектический метод есть не только универсальный метод познания, но и представляет собой логический метод, а именно, — диалектико-логический метод доказательства. В логическом развитии форм мысли каждое предшествующее оправдывается, т. е. обосновывается в последующем; поэтому это развитие есть доказательство; система логики — это система доказательства.

Диалектическая логика есть наука о диалектическом

методе доказательства, осуществленном в логических формах мысли.

Как было отмечено выше, бесконечное умозаключение есть беспредпосылочная (имеющая реальное основание, но не имеющая логических предпосылок) полная опосредствованная связь; сказано было и то, что бесконечное умозаключение есть умозаключение, объясняющее и оправдывающее все логические формы умозаключения, поэтому надо сказать, что бесконечное умозаключение есть начало — сущность доказательства, которое (начало) не может иметь другого логического начала (его реальным началом же является действительность, ее закономерность).

Итак, если бесконечное умозаключение есть начало доказательства, то, конечно, начало доказательства имеет логическую природу, оно не может быть нелогическим, например, интуицией.

Начало доказательства отличается от его исходного положения. Исходное положение доказательства, логического изложения логических форм, как об этом было сказано выше, есть суждение, которое, конечно, имеет логическую природу. Поэтому и исходное положение доказательства не является нелогическим, интуицией.

Как мы это показали выше, каждая предшествующая ступень логического развития оправдывается-обосновывается в последующей ступени; так обстоит дело и с исходным положением — суждением, которое оправдывается в последующих ступенях. Итак, исходное положение не остается недоказанным и оно не имеет и не нуждается в предшествующем ему логическом основании; постольку снимается опасность бесконечного регресса в доказательстве (которая мучила науку логики начиная с Аристотеля). Поскольку последующее обосновывает предшествующее, т. е. осуществляются обратные связи, постольку недоказуемое принимать в качестве исходного положения (или начала) доказательства излишне и невозможно.

Если доказательство чего-либо будет понято, как нахождение его места в системе, тогда надо сказать и то, что и нахождение первого места (для исходного положения доказательства) уже означает его доказательство. К этому надо добавить и то, что логическое — это опосредствованная связь, опосредствование же является единством непосредственного и опосредствованного (как учит материалистическая диалектика), нарушение которого разрушило бы логическое. Поэтому невозможно принять за исходное положение (или начало) доказательства только лишь непосредственное, потом иметь дело только с опосредствованным. Логическое, как необходимое единство непосредственности и опосредствова-

ния (единство противоположностей) снимает непосредственность исходного положения (и начала) доказательства. Иначе и не может быть, так как в логическом развитии предшествующее обосновывается последующим.

Следовательно, надо сказать, что исходным положением (и началом) доказательства не может быть нелогическое, например, интуиция, в противном случае, мы будет иметь противоречие нелогического (исходного положения) и логического (доказательства), преодоление чего будет невозможным. Итак, в начале логики невозможно поставить интуитивные положения, недоказываемые положения—аксиомы; невозможна аксиоматизация логики, как философской науки. Аксиоматический метод весьма плодотворен в специальной науке, например, в геометрии, так как специальная наука опирается на в ней недоказуемые философские категории и положения, тогда как в философии, в частности, в философской логике опереться на недоказуемое будет предвещением ошибки. Ошибочно логическое опирание логического на нелогическое, что и имеет место в аксиоматическом методе, и что, по мнению Гильберта, является кантовской философской установкой для аксиоматического метода[1]. В математической логике именно попытка опереть логическое на нелогическое вызывает нужду в мета- и мета-металогиках и соответствующую трудность, что и состоит в нарушении единства логики.

Итак, единственно совершенный метод доказательства — это диалектический метод.

8. То, что было сказано о понятиях диалектико-логического и диалектической логики, как науки, дает основание утверждать, что **диалектика, логика и теория познания** одно и то же. Для обоснования этого положения мы дополнительно приведем здесь только несколько аргументов. (Проблему представляет не единство этих трех наук, а тождество их: единство философских наук для всех философов является бесспорным).

а) Логическое, составляющее предмет науки логики, не может быть субъективным, в противном случае невозможно было бы отделение ее от психологии. Логическое не существует в материальных вещах, оно существует только в мысли, которая может быть только человеческой мыслью. Логическое есть объективное в мысли, определенная предметом мысли. Это означает то, что объективность логического есть объективность истины, знания, поэтому именно в этом аспекте логика и теория познания должны быть одним и тем же.

[1] См. Д. Гильберт. Основания геометрии, 1948, стр. 351, 353, 360, 366, 373, 377.

Логика изучает путь (законы, правила) мысли к истине; поэтому истина определяет направленность и природу этого пути. Аподиктичность доказательства опирается именно на объективность истины. Логика является и диалектикой, если логическое диалектично; но это именно так, как это было показано выше.

б) Логика, как наука, конечно, сама есть знание о формах мысли; она есть знание о формах самого знания. Поэтому логика вместе с тем есть и теория познания; она является и диалектикой, если формы мысли диалектичны; но это именно так, как об этом было сказано выше.

в) Только что сказано, что логика есть логика знания, логика знания форм знания; иначе и не может быть, так как, как это было выяснено выше, логическое имеет синтетическую природу, синтетичность же является содержательностью. Вследствие содержательности логических форм становится возможным переход этих форм друг в друга — логическое развитие. Синтетичность диалектична, она есть необходимое единство, содержащее в себе внутреннее отрицание. Так что в этом аспекте диалектика, логика и теория познания одно и то же.

г) Доказательство, как логическое оправдание, вместе с тем, есть и объяснение; например, как это было отмечено выше, оправдание суждения есть и его объяснение. Логическое оправдание и объяснение совпадают в аспекте доказательства, как предмета логики. В этом смысле диалектика, логика и теория познания одно и тоже, если, конечно, доказательство имеет диалектическую природу.

д) Первоначальные средства мысли и познания — это категории логического (тождество, различие, отрицание, противоречие, единство, частное, общее, конечное, бесконечное и пр.), которые одни и те же как для логики, так и для теории познания. Если связи этих категорий диалектичны, тогда логика категорий, диалектика и теория познания будут одно и тоже. Логика категорий, как диалектическая логика, не может не быть вместе с тем и теорией познания или знания. В аспекте категорий логического эти три науки представляют не три, а одну науку.

е) Логические формы мысли и формы знания являются одними и теми же формами. Не является спорным то, что суждение есть и логическая форма мысли и форма знания. Если мы будем опираться на вышепредставленное понимание природы понятия и умозаключения, тогда их надо считать и формами знания. Сама система доказательства ничто иное, кроме системы знания. Как было выяснено, формы мысли диалектичны. Поэтому в аспекте форм мысли диалектика, логика и теория познания одно и тоже.

ж) Логические законы мысли и законы познания-знания одни и те же. Например, нарушение закона тождества является и логической ошибкой и ошибкой в знании. Этот закон один и тот же закон для обоих этих сфер. Если противоречие является логической ошибкой, тогда оно есть ошибка-заблуждение и с точки зрения знания. Если закон единства противоречия есть логический закон, тогда он является и законом знания и т. д. Словом, если логические законы имеют диалектическую природу (а это так, как было отмечено выше), тогда в аспекте этих законов диалектика, логика и теория знания одна и та же наука.

з) Как известно, индукция считается методом познания, исследования. Если индукция будет оправдана и как метод логического доказательства, тогда в аспекте индукции логика и теория познания, метод доказательства и метод открытия будут совпадать друг с другом. Выше было выяснено, что содержание диалектической логики, система логики, как система форм мысли, имеет характер логического развития; это развитие представляет из себя своеобразную индукцию, так как оно есть процесс от содержательного частного к содержательному общему; поэтому, в этом смысле и аспекте, диалектика, логика и теория познания одно и тоже.

Как это видно из вышесказанного, для тождества этих наук главным является диалектичность. Если логика диалектична, тогда она есть и теория познания. Диалектичность логического отождествляет диалектику, логику и теорию познания.

В аспекте вышеприведенных аргументов диалектика, логика и теория познания одно и тоже. Словом, существует такой аспект, такая сфера, где эти три философские науки тождественны. Это есть новая наука, на необходимость которой указал В. И. Ленин.[1] На ее месте раньше существовали три науки. Отождествляются не раньше существующие три науки, а создается новая наука, в которой диалектика, логика и теория познания одно и то же.

Если «всякая наука есть прикладная логика»,[2] тогда такая логика не может не быть и теорией познания или знания. В тоже время, такая логика не может не быть философской наукой. Наука о первоначальных средствах, формах и законах мыслей и знания не может не быть философской наукой. Такова материалистическая диалектическая логика, которая опирается на реальную основу — действительность, ее закономерность, но которая не может иметь другой логической посылки, в противном случае была бы необходима и

[1] В. И. Ленин, Соч. т. 38, стр. 315.
[2] Там же. стр. 193.

другая логика, т. е. нарушилось бы единство логики. Поскольку логика не может иметь другой логической предпосылки, поэтому аксиоматизация логики невозможна; та «логика» же, аксиоматизация которой возможна, не является философской логикой, она специальная наука. Такова «математическая логика», являющаяся специальной математической наукой, которая изучает характерные для математики правила или способы, опирается на математические понятия (например, на функциональную зависимость). Традиционная же формальная логика изучала и изучает только лишь одну сторону диалектико-логического; она не рассматривает развитие логических форм мысли, т. е. их существенную логическую связь, абстрактно представляет тождество, суждение, умозаключение; опирается только на аналитичность мысли, не может исследовать природу необходимого синтеза и т. д. Только диалектическая логика есть наука о категориях логического, которые представляют основу всего, что изучала и изучает логика формальная. Диалектическая логика, которая охватывает всю логическую проблематику, есть высшая ступень развития логики, «высшая логика».

Так как «всякая наука есть прикладная логика», поэтому применение логики осуществляется в виде методологии всякого знания. Поскольку диалектическая логика есть своеобразная индуктивная логика (как это было показано выше), постольку ее применение является и логической основой исследования и научного открытия. Таково непосредственное практическое значение диалектической логики (техническое применение имеет только специальная наука; сведение практического к техническому является ошибкой).

На основе вышесказанного можно определить понятие диалектической логики: логика есть наука об объективных формах движения- развития мысли.

Представить в полном виде все, что было сказано выше, это значит создать систему диалектической логики.

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

ნაწილი პირველი 9

დიალექტიკური ლოგიკის შესავალი 9

თავი პირველი 10

დიალექტიკური ლოგიკის საგანი 10

1. ლოგიკა და ფსიქოლოგია 10
2. ლოგიკა და გნოსეოლოგია 17
3. ცოდნის ლოგიკა 22
4. ლოგიკა და ონტოლოგია 24
5. ლოგიკურის ობიექტურობა 27
6. ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა 30
7. ლოგიკა როგორც ფილოსოფიური მეცნიერება 32
8. ლოგიკა და „მათემატიკური ლოგიკა" 34
9. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ 38
10. დიალექტიკური ლოგიკა როგორც მეცნიერება 40

თავი მეორე 51

ლოგიკურის კატეგორიები 51

11. ლოგიკური კატეგორიები და ლოგიკურის კატეგორიები 51
12. იგივეობა და განსხვავება 54
13. ჰოყოფა და უარყოფა 55
14. დაპირისპირება 58
15. წინააღმდეგობა 61
16. ერთიანობა 63
17. წინააღმდეგობა და ერთიანობა 65
18. არსი და არარსი ლოგიკურში 67
19. შედარებითი და აბსოლუტური 70
20. პირობითი და უპირობო 71
21. კერძო და ზოგადი 73
22. ერსება და მოვლენა ლოგიკურში 73
23. ფორმა და შინაარსი 75
24. საფუძველი და შედეგი 76
25. მსჯელობა, დასკვნა და ცნება როგორც კატეგორიები 78
26. აუცილებლობა 79
27. სასრული და უსასრულო 82
28. კატეგორიების ლოგიკა 85
29. ლოგიკური და მეტალოგიკური 86

თავი მესამე 90

ზოგადის აუნება 90

30. ზოგადის სფეროს შემოსაზღვრის შესახებ 90

1) რეალიზმი 91
2) კონცეპტუალიზმი 92
3) ნომინალიზმი 94
4) ზოგადისა და კერძოს აუცილებელი ერთიანობისათვის 95
31. მოცულობითი ზოგადი და კერძო 96
32. ცვლადი და ზოგადი 97
33. წესის და კანონის ზოგადობა 98
34. საერთო და არსებითი ზოგადი 100
35. ერთიანობის ზოგადობა 102
36. შინაარსეული ზოგადის ცნება 103
37. კერძოს და მომენტის ცნება 105
38. ზოგადის სახეები 107
39. დაქვემდებარების ხასიათი 109
40. განზოგადება 111
41. ზოგადის აბსტრაქტულობა და კონკრეტულობა 113
42. კერძოსა და ზოგადის ერთიანობა 116
43. კერძო-ზოგადი და სასრულო-უსასრულო 118
44. შინაარსეული ზოგადი და აზრის ლოგიკური ფორმები 119
45. დასაბუთების საწყისის ზოგადობა 121
46. „ლოგიკური სქემა“ და მოდელი 122

თავი მეოთხე 125

აზრის ლოგიკური კანონები 125

47. კანონის ცნების შესახებ 126
48. ლოგიკური კანონის ობიექტურობა 127
49. კანონის აუცილებლობა 129
50. კანონის იდენტურობა 130
51. კანონის არსებითობა 132
52. კანონის ზოგადობა 135
53. ლოგიკური კანონის განსაზღვრება 137
54. კატეგორია და კანონი 138
55. იგივეობის კანონი (1) 140
56. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი (2) 143
57. გამორიცხული მესამის კანონი (3) 151
58. დადგენის კანონი (4) 158
59. უარყოფის კანონი (5) 161
60. განსხვავების კანონი (6) 162
61. იგივეობისა და სხვაობის აუცილებლობის კანონი (7) 163
62. აუცილებელი მეორის კანონი (8) 166
63. დაპირისპირებულთა აუცილებლობის კანონი (9) 167
64. წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონი (10) 171
65. აუცილებელი მესამის კანონი (11) 175
66. აუცილებელი პირველის კანონი (12) 177
67. ურთიერთუარყოფის კანონი (13) 179
68. დადგენით უარყოფის კანონი (14) 180
69. უარყოფით დადგენის კანონი (15) 181
70. ურთიერთდადგენის კანონი (16) 183
71. უარყოფის უარყოფის კანონი (17) 185
72. ერთიანობის კანონი (18) 187
73. საფუძვლის კანონი (19) 189
74. წინააღმდეგობის ერთიანობის ანუ თვითდადგენის კანონი (20) . . . 192

75. ფორმალური ლოგიკის კანონთა დაქვემდებარებული ხასიათი . . . 212
76. ლოგიკის კანონთა კავშირი . . . 214
77. ლოგიკური აზრის ძირითადი კანონი . . . 216
78. ლოგიკური ძირითადი და არაძირითადი კანონები . . . 218
79. ონტოლოგიური და ლოგიკური კანონები . . . 220
80. წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი როგორც ლოგიკური კანონი . 222
81. ლოგიკური კანონი და წესი . . . 224

ნაწილი მეორე . . . 226

აზრის ლოგიკური ფორმები . . . 226

თავი პირველი (5) . . . 226

მსჯელობა . . . 226

82. აუცილებელი სინთეზის პრობლემა . . . 226
83. განსაზღვრულობის ცნება . . . 229
84. სასრული ლოგიკური . . . 231
85. ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობის შესახებ . . . 235
86. მსჯელობა და წინადადება . . . 237
87. მსჯელობის ობიექტურობა . . . 241
88. მსჯელობის ცნება მათემატიკურ ლოგიკაში . . . 244
89. მსჯელობა და ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები . . . 248
90. მსჯელობის შინაარსი და ფორმა . . . 251
91. მსჯელობის სტრუქტურის შესახებ . . . 253
92. მსჯელობის სუბიექტი . . . 254
93. მსჯელობის პრედიკატი . . . 256
94. კოპულა . . . 259
95. შინაარსეული მსჯელობა . . . 262
96. მსჯელობა როგორც ლოგიკური ერთმხრიობა . . . 266
97. მსჯელობის დიალექტიკურობა . . . 268
98. მსჯელობის განსაზღვრება . . . 271
99. მსჯელობის ძირითად სახეთა შესახებ . . . 273
100. დადებითი მსჯელობა . . . 274
101. უარყოფითი მსჯელობა . . . 275
102. „უსასრულო“ მსჯელობა . . . 277
103. მსჯელობის არაძირითადი სახეების შესახებ . . . 280
104. კატეგორიათა კავშირი როგორც მსჯელობა . . . 284
105. ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობები . . . 288
106. მსჯელობის დასკვნაში გადასვლის შესახებ . . . 299
107. „უსასრულო“ მსჯელობა და დასკვნა . . . 300
108. კოპულის ბუნება და დასკვნა . . . 300
109. მსჯელობა როგორც გადასვლა . . . 301
110. მსჯელობა როგორც დანასკვი . . . 302
111. მსჯელობა როგორც საფუძველი . . . 303
112. მსჯელობის ანტინომიურობა . . . 305

თავი მეორე (6) . . . 307

უშუალო დასკვნა . . . 307

113. უშუალობის ცნება . . . 307
114. უშუალო დასკვნის ცნება . . . 311
115. ტავტოლოგიური უშუალო დასკვნები . . . 314
116. ლოგიკური სამკუთხედი . . . 316
117. უშუალო ლოგიკური კავშირის ნიშნები . . . 318
118. უშუალო დასკვნის ცნება მათემატიკურ ლოგიკაში . . . 322
119. „თუ — მაშინ“-ის ლოგიკური აზრი . . . 324

120. გადასვლა როგორც უშუალო დასკვნა 327
121. უარყოფა როგორც გადასვლის საშუალება 329
122. მსჯელობათა გადასვლები 331
123. კატეგორიათა გადასვლები 334
124. ლოგიკური რეფლექსია 337
125. უშუალო დასკვნის ანტინომიურობა 339
126. უშუალო დასკვნის გადასვლა შუალობითში 340

თავი მესამე (7) 343

სასრული შუალობითი დასკვნა 343

127. შუალობის ცნება 343
128. ლოგიკური აუცილებლობის ცნება 345
129. ფორმალურ-ლოგიკური და დიალექტიკურ-ლოგიკური აუცილებლობა 348
130. შუალობითი დასკვნის ცნება მათემატიკურ ლოგიკაში 350
131. ლოგიკური კავშირის რვამხრიობა 355
132. დასკვნათა კლასიფიკაციის პრინციპი 358
133. სასრული შუალობითი დასკვნები 359
134. პირობითი დასკვნისათვის უპირობო ლოგიკურის აუცილებლობა . . 361
135. კატეგორიათა კავშირები როგორც დასკვნები 363
136. სასრული შინაარსეული დასკვნები 365
137. ზოგადიდან კერძოზე გადასვლა როგორც დასკვნა 367
138. კერძოდან ზოგადზე გადასვლა როგორც დასკვნა 369
139. კერძოს მიყვანა ზოგადზე როგორც დასკვნა 372
140. კერძოდან კერძოზე გადასვლა როგორც დასკვნა 375
141. ზოგადისა და კერძოს ერთიანობა როგორც ცნება 378
142. დასკვნა და ცნება 380

თავი მეოთხე (8) 382

ცნება 382

143. მსჯელობა, დასკვნა და ცნება 382
144. ცნების ფორმალურ-ლოგიკური გაგება 385
145. ცნება მათემატიკურ ლოგიკაში 389
146. ცნება და კატეგორია 391
147. ცნების ფორმა და შინაარსი 394
148. ცნება და მისი ნიშნები 396
149. დიალექტიკური აბსტრაქციის ბუნება 397
150. დიალექტიკური ანალიზი და ცნების განსაზღვრება 400
151. კატეგორიალური პრედიკაცია როგორც განსაზღვრება 402
152. კატეგორიათა ზოგიერთი კავშირის თავისებურება 404
153. ცნების კონკრეტულობა და დიალექტიკურობა 406
154. ცნების განსაზღვრების ბუნება 409
155. ცნების ბუნება 411
156. ცნების განსაზღვრება როგორც მსჯელობა 413
157. ცნების განსაზღვრება როგორც დასკვნა 416
158. ცნების განსაზღვრების დიალექტიკურობა 419
159. არსების და მისი დადგენის ნიშანი და ცნების განსაზღვრება . . . 420
160. ცნების ცნება 423
161. ცნების გაყოფა 426
162. ცნება და ლოგიკურის უსასრულობა 429

თავი მეხუთე (9) 431

უსასრულო დასკვნა 431

1. უსასრულო დასკვნის ცნება 431

163. ლოგიკური შუალობითობის სისრულე 431
164. უსასრულო (უპირობო) ლოგიკურის ცნება 432
165. ლოგიკური კავშირის რვამხრიობა და ლოგიკური უსასრულო 436
166. უსასრულო დასკვნა 437
167. დასკვნის განსაზღვრება 453
168. საშუალო ცნების ბუნება 456
169. უსასრულო დასკვნის სტრუქტურა 462

2. დასკვნის წესები 479

170. დასკვნის წესების შესახებ 479
171. უსასრულო დასკვნა როგორც წრე 479
172. უსასრულო დასკვნა არის და უნდა იყოს სრული სინთეზური . . . 483
173. უსასრულო დასკვნა არის და უნდა იყოს შინაგანი უარყოფის შემცველი 484
174. უსასრულო დასკვნა არის და უნდა იყოს დადებითი 486
175. უსასრულო ლოგიკური არის და უნდა იყოს ზოგადი 487
176. უსასრულო დასკვნის მომენტები არის და უნდა იყოს საფუძველ-შედეგის შუალობით დამოკიდებულებაში 488
177. უსასრულო დასკვნის მომენტთა დამოკიდებულების წესები 492
178. კატეგორიათა ზოგიერთი კავშირის, როგორც დასკვნის, წესები . . 499
179. ფორმალურ-ლოგიკური დასკვნის წესები 502

3. აზრის ლოგიკური ფორმის სისრულე 504

180. უსასრულო დასკვნის შინაარსი და ფორმა 504
181. უსასრულო დასკვნა და ცნება 507
182. უსასრულო დასკვნა როგორც დასაბუთება 509

ნაწილი მესამე 512

დასაბუთება 512
183. დასაბუთების პრობლემა 512

თავი პირველი (10) 517

დიალექტიკის, ლოგიკისა და გნოსეოლოგიის იგივეობა 517

184. ცოდნის ლოგიკის აუცილებლობა 517
185. ლოგიკური განსაზღვრების წესი 522
186. ლოგიკური რეფლექსურობა 527
187. ლოგიკა როგორც ორგანონი 532
188. ლოგიკურ-ობიექტური 535
189. ლოგიკური როგორც ისტორიულ-რეალურის ასახვა 538
190. ლოგიკურის ჭეშმარიტობა 540
191. ლოგიკური ფორმის შინაარსეულობა 544
192. კატეგორიალურ-ლოგიკური 549
193. ლოგიკური ზოგადობის შინაარსეულობა 553
194. დიალექტიკურ-ლოგიკური 556
195. სინთეზურ-ლოგიკური 578
196. ლოგიკურისა და ცოდნის კანონი 79
197. დიალექტიკურ-ლოგიკური უპირობო 82
198. დასაბუთების მეთოდის დიალექტიკურობა 85

თავი მეორე (11) 86

დასაბუთების მეთოდები 795

1. დასაბუთების მეთოდის პრობლემა 558

199. ლოგიკური მეთოდი 583
200. ფორმალურ-ლოგიკური დედუქცია 585
201. ფორმალურ-ლოგიკური ინდუქცია 589
202. ფორმალურ-ლოგიკური რედუქცია 592
203. აქსიომატური მეთოდი 595
204. ჰიპოთეზური მეთოდი 607
205. დედუქციის, ინდუქციისა და რედუქციის ურთიერთაუცილებლობა . 612

2. ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტის გზა 621

206. ინდუქციის სიძნელის შესახებ 621
207. არასაკმაო საფუძველი და ინდუქციის ალბათობა 624
208. ლოგიკური აუცილებლობის ხარისხების შესახებ 627
209. ინდუქციის ალბათობა და უარყოფითი დიალექტიკა 629
210. ინდუქციის ალბათობა და კერძო-ზოგადის ერთიანობა 630
211. ფარდობითობა ინდუქციაში 632
212. წინააღმდეგობის დაძლევა და ინდუქცია 633
213. უსასრულობის ამოწურვა და ინდუქცია 635
214. ინდუქციის პრობლემა როგორც მსჯელობის პრობლემა 637

3. კატეგორიალური მეთოდები 640

215. შინაარსეული (კატეგორიალური) ინდუქცია 640
216. შინაარსეული (კატეგორიალური) დედუქცია 643
217. შინაარსეული (კატეგორიალური) რედუქცია 645
218. ანალიზი და სინთეზი 649
219. ცნების განსაზღვრების მეთოდი 652
220. კერძოს და ზოგადის დიალექტიკა და დასაბუთების მეთოდები . . . 655
221. საფუძველ-შედეგის დიალექტიკური დამოკიდებულება 657

4. დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი 661

222. დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის უნივერსალურობა 661
223. ლოგიკური დალაგების, როგორც დასაბუთების, შესახებ 664
224. ანალიზ-სინთეზის ერთიანობის მეთოდი 671
225. უშუალობა-შუალობითობის ერთიანობის მეთოდი 674
226. ლოგიკური განვითარების მეთოდი 677
227. ლოგიკური თვითდადგენის მეთოდი 686

თავი მესამე (12) 694

დასაბუთების საწყისი 694

228. დასაბუთების საწყისის პრობლემა 694
229. დასაბუთების საწყისის ნიშნების შესახებ 699
230. ლოგიკის აქსიომატიზაციის შეუძლებლობა 709
231. ლოგიკური უშუალობისა და შუალობის ერთიანობა როგორც დასაბუთების საწყისი 718
232. ზოგადისა და კერძოს ერთიანობა როგორც დასაბუთების საწყისი . . 721
233. უსასრულო დასკვნა როგორც დასაბუთების საწყისი 723
დასაბუთების საწყისი და დასაწყისი 725
თავი მეოთხე. საზღვრის შესახებ 734
უსასრულობისა და საწყისის ტავტოლოგიურობის შესახებ 739
განვითარების დასაწყისი 742
დასაწყისი 753
1. უსახრულად) 762

СОДЕРЖАНИЕ

ПРЕДИСЛОВИЕ 5

ЧАСТЬ ПЕРВАЯ 9

ВВЕДЕНИЕ В ДИАЛЕКТИЧЕСКУЮ ЛОГИКУ 9

ГЛАВА ПЕРВАЯ 10

ПРЕДМЕТ ДИАЛЕКТИЧЕСКОЙ ЛОГИКИ . 10

1. Логика и психология 10
2. Логика и гносеология 17
3. Логика знания 22
4. Логика и онтология 24
5. Объективность логического 27
6. Формальная и диалектическая логика 30
7. Логика как философская наука 32
8. Логика и «математическая логика» 34
9. О тождестве диалектики, логики и теории познания . 38
10. Диалектическая логика как наука 40

ГЛАВА ВТОРАЯ 51

КАТЕГОРИИ ЛОГИЧЕСКОГО . . . 51

11. Логические категории и категории логического . . . 51
12. Тождество и различие 54
13. Полагание и отрицание 55
14. Противоположность 58
15. Противоречие 61
16. Единство 63
17. Противоречие и единство 65
18. Бытие и небытие в логическом 67
19. Относительное и абсолютное 70
20. Условное и безусловное 71
21. Частное и общее 73
22. Сущность и явление в логическом 73
23. Форма и содержание 75
24. Основание и следствие 76
25. Суждение, умозаключение и понятие как категории . 78
26. Необходимость 79
27. Конечное и бесконечное 82
28. Логика категорий 85
29. Логическое и металогическое 86

ГЛАВА ТРЕТЬЯ . . 90

ПРИРОДА ОБЩЕГО . . 90

30. Об ограничении сферы общего 90
1) Реализм 91
2) Концептуализм 92
3) Номинализм 94
4) К необходимому единству частного и общего . 95
31. Объемное общее и частное 96
32. Переменное и общее 97
33. Общность закона и правила 98
34. Общее и существенно-общее 100
35. Общность единства 102
36. Понятие содержательного общего 103
37. Понятие момента и частного 105
38. Виды общего 107
39. Характер подчинения 109
40. Обобщение 111
41. Абстрактность и конкретность общего 113
42. Единство частного и общего 116
43. Частное-общее и конечное-бесконечное . . . 118
44. Содержательное общее и логические формы мысли . 119
45. Общность начала доказательства 121
46. «Логическая схема» и модель 122

ГЛАВА ЧЕТВЕРТАЯ 125

ЛОГИЧЕСКИЕ ЗАКОНЫ МЫСЛИ . 125

47. О понятии закона 126
48. Объективность логического закона 127
49. Необходимость закона 129
50. Идентичность закона 130
51. Существенность закона 132
52. Общность закона 135
53. Определение логического закона 137
54. Категория и закон 138
55. Закон тождества (1) 140
56. Закон невозможности противоречия (2) 143
57. Закон исключенного третьего (3) 151
58. Закон полагания (4) 158
59. Закон отрицания (5) 161
60. Закон различия (6) 162
61. Закон необходимости тождества и различия (7) . 163
62. Закон необходимого второго (8) 166
63. Закон необходимости противоположностей (9) . . 167
64. Закон нобходимости противоречия (10) 171
65. Закон необходимого третьего (11) 175
66. Закон необходимого первого (12) 177
67. Закон взаимоотрицания (13) 179
68. Закон отрицания полаганием (14) 180
69. Закон полагания отрицанием (15) 181
70. Закон взаимополагания (16) 183
71. Закон отрицания отрицания (17) 185
72. Закон единства (18) 187
73. Закон основания (19) 189

74. Закон единства противоположностей или самополагания (20) 192
75. Подчиненный характер законов формальной логики . . 212
76. Связь логических законов 214
77. Основной закон логической мысли 216
78. Логические основные и неосновные законы . . . 218
79. Онтологические и логические законы 220
80. Закон единства противоположностей как логический закон 222
81. Логический закон и правило 224

ЧАСТЬ ВТОРАЯ 226

ЛОГИЧЕСКИЕ ФОРМЫ МЫСЛИ . . . 226

ГЛАВА ПЕРВАЯ (5) 226

СУЖДЕНИЕ 226

82. Проблема необходимого синтеза 226
83. Понятие определенности 229
84. Конечное логическое 231
85. О формально-логическом суждении 235
86. Суждение и предложение 237
87. Объективность суждения 241
88. Понятие суждения в математической логике . . . 244
89. Суждение и формально-логические выводы . . . 248
90. Содержание и форма суждения 251
91. О структуре суждения 253
92. Субъект суждения 254
93. Предикат суждения 256
94. Связка 259
95. Содержательное суждение 262
96. Суждение как логическая односторонность 266
97. Диалектичность суждения 268
98. Определение суждения 271
99. Об основных видах суждения 273
100. Положительное суждение 274
101. Отрицательное суждение 275
102. «Бесконечное» суждение 277
103. О неосновных видах суждения 280
104. Связь категорий как суждение 284
105. Формально-логические суждения 288
106. О переходе суждения в умозаключение 299
107. «Бесконечное» суждение и умозаключение . . . 300
108. Природа связки и умозаключение 300
109. Суждение как переход 301
110. Суждение как заключение 302
111. Суждение как основание 303
112. Антиномичность суждения 305

ГЛАВА ВТОРАЯ (6) 307

НЕПОСРЕДСТВЕННОЕ УМОЗАКЛЮЧЕНИЕ 307

113. Понятие непосредственности 307
114. Понятие непосредственного вывода 311
115. Тавтологические непосредственные выводы . . . 314
116. Логический треугольник 316
117. Черты непосредственной логической связи 318
118. Понятие непосредственного вывода в математической логике 322

119. Логический смысл «если — то» 324
120. Переход как непосредственное умозаключение . . . 327
121. Отрицание как средство перехода 329
122. Переходы суждений 331
123. Переходы категорий 334
124. Логическая рефлексия 337
125. Антиномичность непосредственного умозаключения . 339
126. Переход непосредственного умозаключения в опосредствованное 340

ГЛАВА ТРЕТЬЯ (7) 343

КОНЕЧНОЕ ОПОСРЕДСТВОВАННОЕ УМОЗАКЛЮЧЕНИЕ 343

127. Понятие опосредствованности 343
128. Понятие логической необходимости 345
129. Формально-логическая и диалектико-логическая необходимость 348
130. Понятие опосредствованного вывода в математической логике 350
131. Восьмисторонность логической связи 355
132. Принцип классификации выводов 358
133. Конечные опосредствованные выводы 359
134. Необходимость безусловно-логического для условного вывода 361
135. Связи категорий как выводы 363
136. Конечные содержательные выводы 365
137. Переход от общего к частному как вывод 367
138. Переход от частного к общему как вывод 369
139. Приведение частного к общему как вывод 372
140. Переход от частного к частному как вывод 375
141. Единство общего и частного как понятие 378
142. Умозаключение и понятие 380

ГЛАВА ЧЕТВЕРТАЯ (8) 382

ПОНЯТИЕ 382

143. Суждение, умозаключение и понятие 382
144. Формально-логическое понимание понятия 385
145. Понятие в математической логике 389
146. Понятие и категория 391
147. Форма и содержание понятия 394
148. Понятие и его признаки 396
149. Природа диалектической абстракции 397
150. Диалектический анализ и определение понятия . . 400
151. Категориальная предикация как определение . . . 402
152. Особенность некоторых связей категорий 404
153. Конкретность и диалектичность понятия 406
154. Природа определения понятия 409
155. Природа понятия 411
156. Определение понятия как суждение 413
157. Определение понятия как умозаключение 416
158. Диалектичность определения понятия 419
159. Признак сущности и ее открытия и определение понятия 420
160. Понятие понятия 423
161. Деление понятия 426
162. Понятие и логическая бесконечность 429

ГЛАВА ПЯТАЯ (9) 431
БЕСКОНЕЧНОЕ УМОЗАКЛЮЧЕНИЕ . 431
1. Понятие бесконечного умозаключения 431
163. Полнота логического опосредствования 431
164. Понятие бесконечного (безусловного) логического . . 432
165. Восьмисторонность логической связи и логическое бесконечное 436
166. Бесконечное умозаключение 437
167. Определение умозаключения 453
168. Природа среднего понятия 456
169. Структура бесконечного умозаключения 462
2. Правила умозаключения 479
170. О правилах умозаключения 479
171. Бесконечное умозаключение как круг 479
172. Бесконечное умозаключение есть и должно быть полным синтетическим 483
173. Бесконечное умозаключение содержит и должно содержать внутреннее отрицание 484
174. Бесконечное умозаключение есть и должно быть положительным 486
175. Бесконечное умозаключение есть и должно быть общим 487
176. Моменты бесконечного умозаключения находятся и должны находиться в опосредствованном отношении основания и следствия 488
177. Правила отношения моментов бесконечного умозаключения 492
178. Правила некоторых связей категорий как умозаключений 499
179. Правила формально-логического умозаключения . . . 502
3. Полнота логической формы мысли . 504
180. Содержание и форма бесконечного умозаключения . . 504
181. Бесконечное умозаключение и понятие 507
182. Бесконечное умозаключение как доказательство . . 509
ЧАСТЬ ТРЕТЬЯ 512
ДОКАЗАТЕЛЬСТВО 512
182. Проблема доказательства 512
ГЛАВА ПЕРВАЯ (10) 517
ТОЖДЕСТВО ДИАЛЕКТИКИ, ЛОГИКИ И ГНОСЕОЛОГИИ 517
184. Необходимость логики знания 517
185. Правило логического определения 522
186. Логическая рефлексивность 527
187. Логика как органон 532
188. Логически-объективное 535
189. Логическое как отражение исторически-реального . . 538
190. Истинность логического 540
191. Содержательность логической общности 544
192. Категориально-логическое 549
193. Содержательность логической общности 553
194. Диалектико-логическое 557
195. Синтетически-логическое 562
196. Закон логического и знания 567
197. Диалектико-логически безусловное 572
198. Диалектичность метода доказательства 577

ГЛАВА ВТОРАЯ (11) 583
МЕТОДЫ ДОКАЗАТЕЛЬСТВА . . . 583
1. Проблема метода доказательства . 583
199. Логический метод 583
200. Формально-логическая дедукция 585
201. Формально-логическая индукция 589
202. Формально-логическая редукция 592
203. Аксиоматический метод 595
204. Гипотетический метод 607
205. Взаимонеобходимость дедукции, индукции и редукции . 612
2. Путь разрешения проблемы индукции 621
206. О трудности индукции 621
207. Недостаточное основание и вероятность индукции . . 624
208. О степенях логической необходимости 627
209. Вероятность индукции и отрицательная диалектика . 629
210. Вероятность индукции и единство частного и общего . 630
211. Относительность в индукции 632
212. Преодоление противоречия и индукция 633
213. Исчерпание бесконечности и индукция 635
214. Проблема индукции как проблема суждения . . . 637
Категориальные методы 640
215. Содержательная (категориальная) индукция . . . 640
216. Содержательная (категорильная) дедукция . . . 643
217. Содержательная (категориальная) редукция . . . 645
218. Анализ и синтез 649
219. Метод определения понятия 652
220. Диалектика частного и общего и методы доказательства 655
221. Диалектическое отношение основания и следствия . . 657
4. Диалектический метод доказательства 661
222. Универсальность диалектического метода доказательства 661
223. О логическом изложении как доказательстве . . . 664
224. Метод единства анализа и синтеза 671
225. Метод единства непосредственности и опосредствования . 674
226. Метод логического развития 677
227. Метод логического самополагания 686
ГЛАВА ТРЕТЬЯ (12) 694
НАЧАЛО ДОКАЗАТЕЛЬСТВА . . . 694
228. Проблема начала доказательства 694
229. О чертах начала доказательства 699
230. Невозможность аксиоматизации логики 709
231. Единство непосредственности и опосредствования как начало доказательства 718
232. Единство частного и общего как начало доказательства . 721
233. Бесконечное умозаключение как начало доказательства . 723
234. Начало и исходное положение доказательства . . . 729
235. О границе логического 734
236. О тавтологичности начала и исходного положения . . 739
237. Начало логического развития 743
238. Исходное положение начала 753
Резюме 762

Севле Бенедиктович Церетели
ДИАЛЕКТИЧЕСКАЯ ЛОГИКА
(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი შ. თოფურია
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი გ. შეთეკაური
კორექტორი დ. წერეთელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VI 65 წ.; ქაღალდის ზომა 60×90;
ნაბეჭდი თაბახი 50; საღრიცხვო-საგამომცემლო 45,24 თაბახი;
უე 02152, ტირაჟი 2000, შეკვეთა 950.

ფასი 3 მან. 46 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина 14.